თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჟურნალისტიკის კათედრა

ნიკო ნიკოლაძე

თხზულებანი

პროფ. დ. მ. გამეზარდაშვილის
რედაქციით და შენიშვნებით

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი. 1966

Тбилисский государственный университет
Кафедра журналистики

НИКО НИКОЛАДЗЕ

Сочинения

ПОД РЕДАКЦИЕЙ проф. Д. М. ГАМЕЗАРДАШВИЛИ

Издательство „Сабчота сакартвело“
Тбилиси. 1966

1 Ф (С 41)
301 (47.922) (092 ნიკოლაძე)
ნ 636

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა

ა. ბახტაძე, ი. გოცვაძე, დ. გამეზარდაშვილი (მთავარი რედაქტორი),
ლ. გორგილაძე, ვ. ზამგახიძე, მ. ზანდუკელი, კრ. კეკელიძე,
თ. მაჭავარიანი, შ. რადიანი, ვ. შადური,
ს. ხუციშვილი, ჯ. ჭუმბურიძე

ნიკო ნიკოლაძე

თხზულებანი

ტომი მეხუთე

1877–V,1878

1877



1. ჩვენი წელი

(ადგილობრივი მიმოხილვა)

გასულ წელს ჩვენ შევხვდით იმედისა და შიშის დიდი მარაგით. მისგან ყველა, თუ დიდ და მდიდარ წყალობას არა, ყოველ შემთხვევაში, არაჩვეულებრივ მოვლენებსა და ცვლილებებს მაინც ელოდა. ჩვენი მხარე ელოდა ახალ ცვლილებებს როგორც საერთო „მსოფლიო მოვლენებში", ასევე კერძო, ჩვენს პირად პატარა და დიდ საქმეებში. უმცირესობა ჩვენი საზოგადოებისა ამ ლოდინს სრულიად გასაგები უნდობლობით უყურებდა. მაგრამ ჩვენი ხალხისათვის. ისევე როგორც ყველა ხალხისათვის, სრულიად უცხო იყო პესიმიზმი. სწორედ ეს ხალხი ამყარებდა დიდ იმედებს სხივმოსილ შარავანდედზე. რითაც 1876 წელი შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში.

ჩვენ აქ არ შევეხებით იმედების იმ გაცრუებას, რომლითაც დაგვაჯილდოვა 1876 წლის პოლიტიკამ. ჩვენ განზე გადავდებთ ყველაფერს. რაც ეხება გარეშე მოვლენებს. რათა შემოვიფარგლოთ ადგილობრივი. — კავკასიის ცხოვრებით.

ახალი წლის დასაწყისი აღინიშნა ადგილობრივი პრესის მოულოდნელი გამოცოცხლებით. კავკასიის პრესამ, რომელიც ნორმალურად აგერ უკვე ორმოცი წელიწადია არსებობს, მხოლოდ გასულ წელს დაიწყო ხმის ამოღება. თუმცა ჩვენში პრესას არ შეუძლია ქონდეს არც გადამწყვეტი ხმა და არც სერიოზული მნიშვნელობა. მაგრამ ხალხი მაინც განსაკუთრებული მოწონებით შეხვდა ჟურნალისტიკის გამოცოცხლებას. საერთოდ ადამიანებს ერთგვარად ნუგეშს გვრის ის გარემოებაც კი, რომ მათ ესმით თავიანთი განცდებისა და მწუხარების გამოძახილი... რა პლატონიურიც არ უნდა იყოს ამგვარი ნუგეშისცემა. ისინი ამითაც კმაყოფილდებიან, რადგან უკეთესი არ გააჩნიათ.

თავისთავად ცხადია, რომ ჩვენს პრესას არ შეეძლო გაემართლებია იმედები, რაც გამოიწვია მისმა პირველმა თამამმა სიტყვებმა.

მართლაც. ჩვენი მხარე წარმოადგენს ამოუწურავ ქვეყანას სერიოზული კვლევისათვის. მის ბუნებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგს უამრავი თავისებურებანი გააჩნია. გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ყოფითი, ეკონომიური, რელიგიური და პოლიტიკური თვალსაზრისით იგი ისეთ მრავალმხრივ ამალგამას წარმოადგენს, რომ მისი შესწავლისათვის ასობით ადამიანების სიცოცხლეც არ იკმარებს. რა უნდა სურდეს უკეთესი ახალ დაარსებულ პრესას თუ არა ამ მდიდარი მასალის ყურადღებით შესწავლა? ერთი შეხედვით აქ თითქოს არის საშუალება იმისა, რომ პრესამ ფრთა გაშალოს და იმისაც, თუ სად მონახოს საინტერესო მასალა ხალხის ჭკუის სასწავლებლად და გასართობად. მაგრამ საქმე ისაა, რომ პრესა აქ უფრო დიდ სიძნელეებს განიცდის, ვიდრე მასალის სიმცირეა. თუ იგი მიზნად დაისახავს ამ თავისებური მხარის მხოლოდ ბუნების სილამაზის, ტანსაცმელის ორიგინალობის, ღვარჭნილ ცრუ შეხედულებათა აღწერას, მაშინ საზოგადოება მის მიმართ გულგრილი დარჩება. რადგან ნაკლებად აინტერესებს აბსტრაქტულ-გეოგრაფიული გამოკვლევა. ხოლო თუ პრესა, საზოგადოების გულგრილობის შიშით, შეეცდება შეეხოს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების სწორედ იმ მხარეებს, რომლებიც იწვევენ საყოველთაო ინტერესს როგორც ადგილობრივი ხალხისას, ასევე მთელი განათლებული რუსეთისას, მაშინ ჩვენ მოძველებულ ცრუ შეხედულებებისაგან გამოწვეულ უამრავ სიძნელეებს ვაწყდებით... ყოველი განათლებული ერის ცხოვრებაში ახლა ბატონობს ის უბრალო აზრი, რომ ამ ქვეყნად არაფერი არაა სრულყოფილი და ყველგან გვხვდება შეცდომები, მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. შეუსაბამობა, ცუდი ჩვევები და ა. შ. ასეთი შეცდომების გამომზეურება და შეუსაბამობა ცივილიზირებულ სამყაროში აღარ აწყდება წინააღმდეგობას, რადგან იქ უკვე დიდი ხანია შეიგნეს, რომ საზოგადოების სრულყოფისათვის ეს საუკეთესო გზაა. სულ სხვა რამეს ვხედავთ იმ საზოგადოების ცხოვრებაში, რომელიც ჯერ კიდევ პირველყოფილ საფეხურზე დგას. ასეთ საზოგადოებაში ერთი აზნაურის შეცდომის გამომზეურება ისე შეურაცხყოფს მთელ აზნაურობას, როგორც წმინდა ადგილის შებღალვა. ერთი ჩინოვნიკის მხილება ყველა ჩინოვნიკის შეურაცხყოფაა... აღარაფერს ვამბობთ სხვა ფენებზე. საერთოდ, ჩვენ ყველა იმას ვფიქრობთ, რომ თუ ჩვენს უარყოფით მხარეებს დავმალავთ და არავის არ მივცემთ უფლებას ხმა ამოიღოს ჩვენს შეცდომებზე, მაშინ ყველას ეგონება, რომ ჩვენი მხარე ყოველმხრივ სრულყოფილია, ხოლო ჩვენ უცოდველობის

იდეალები ვართ. გასაგებია, რომ, საზოგადოებაში ამგვარი აზრის ბატონობის დროს, პრესას ეუხერხულება შეეხოს ჩვენი ცხოვრების არსებით მხარეებს. დიდი შრომის გაწევასთან ერთად, პრესამ საზოგადოება შიაჩვია მოთმინებით შეხედნენ უმნიშვნელო პიროვნებათა უარყოფითი მხარეების გამოაშკარავებას. მაგრამ საქმის არსი ხომ სრულიად არაა დამოკიდებული პიროვნებებზე და წვრილმანებზე. რაც შეეხება ცხოვრების მნიშვნელოვან მხარეებს, ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა ფენების უფლებრივ და ეკონომიურ ურთიერთობას და საერთო სისტემას, რომელიც არეგულირებს ამ ურთიერთობას, ამ დარგში ჩვენი პრესა ჯერჯერობით სრულიად უძლურია...

უდაოა, რომ დროთა განმავლობაში ჩვენი პრესა უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდება და გააფართოებს ფარგლებს იმ დარგებისას, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მსჯელობისათვის. ჩვენ აქ მხოლოდ იმას ვლაპარაკობთ, რომ ეს არ გაკეთდა 1876 წელს და რომ ამ მხრივ ჩვენი მკითხველი საზოგადოების იმედები არ გამართლდა. დროთა განმავლობაში გონივრული შეხედულება პრესის დანიშნულებაზე და სარგებლობაზე, რაც მას მოაქვს, რა თქმა უნდა, გაიმარჯვებს გაბატონებულ ცრუ შეხედულებებზე. დროთა განმავლობაში ჩვენი საზოგადოება მიხვდება, რომ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და უარყოფითი მხარეების არსებობა შესაძლებელია მხოლოდ ჩვენთან და არა ამერიკის შეერთებულ შტატებში ან ინგლისში: სირცხვილი მათი გამომზეურება კი არაა, არამედ მათი საერთო მფარველობა და დაფარვა. როცა ასეთი შემობრუნება მოხდება ჩვენი საზოგადოების შეგნებაში, მაშინ ჩვენ აღვნიშნავთ ამ სასიხარულო ფაქტს ალმანახში. იმედს ვაძლევთ ჩვენს თავს, რომ ეს აღინიშნება ჩვენი გამოცემის „ერთერთი შემდეგი გამოშვების დროს“...

საქმის საჯაროდ გამოტანის საკითხზე ადრინდელი თვალსაზრისის უხერხულობა ყველაზე რელიეფურად გამომჟღავნდა აგრარული არეულობის დროს გასული წლის ზაფხულს სამეგრელოში. ჩვენი პრესა თავის დროზე არ შეეხო არც ამ არეულობის გამომწვევ მიზეზებს და არც თვით არეულობის წარმოშობის ფაქტს. ვიდრე ჩვენი პრესა მკითხველ საზოგადოებას ამ არეულობის აღწერილობას მიაწვდიდა, ხმებმა მის შესახებ საზღვარგარეთის პრესამდე მიაღწია და აქ უსაშველოდ გაზრდილმა მოიარა მთელი ევროპა იმ აზრით, თითქოს რუსეთის წინააღმდეგ მთელი ამიერკავკასია აჯანყდა... ამავე დროს საკმარისი იყო „ტიფლისკი ვესტნიკის“[1] ათიოდე

ბიტყვა. რომელთაც ტელეგრაფით გადასცემდა ჰავასის სააგენტო ყველა ევროპულ გაზეთს იმ მიზნით, რომ ერთბაშად მოეღო ბოლო არახელსაყრელი მითქმა-მოთქმისათვის ამიერკავკასიის თითქოსდა აჯანყების შესახებ. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ჩვენი პრესა დროულად და გულახდილად რომ შეხებოდა მიზეზებს, რამაც სამეგრელოში აგრარული არეულდარეულობა გამოიწვია, ამ არეულობის წარმოშობაც კი წარმოუდგენელი იქნებოდა. სასიხარულოა მხოლოდ ის, რომ ჩვენმა უმაღლესმა ადმინისტრაციამ თავისუფალ სვანეთში ახალი არეულდარეულობის დაწყებისთანავე, აგვისტოს დასაწყისშივე, გამოაქვეყნა ცნობა ამ ამბის შესახებ „კავკაზში" და ამით მაშინვე შეაჩერა ამ მოვლენის შესახებ ყოველგვარი გაზვიადებული ხმების გავრცელება. როგორც ცნობილია, სვანეთის არეულდარეულობას არავითარი ხმები და გაზვიადება არ გამოუწვევია უცხოეთის პრესაში, რადგან იცოდნენ ეს ამბავი ჰავასის დეპეშის მეშვეობით.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამბის საჯაროდ გამოტანის სწორი და ფართო სისტემის უქონლობა მოსათმენი იყო მხოლოდ იმ დროს, როცა საჯაროდ გამოტანა იფარგლებოდა მხოლოდ დაბეჭდილი სიტყვით. საზოგადოებრივი ცხოვრების დაქსაქსულობის, უგზოობისა და ყოველგვარი წოდებრივი დაბრკოლებების დროს, როცა „ყოველმა ჭრიჭინამ თავისი ტოტი იცოდა". მხოლოდ პრესას შეეძლო მიეტანა ადამიანებამდე ყოველგვარი საყოველთაო მნიშვნელობის ცნობები და აზრები. მაგრამ ახლა რკინიგზებმა, ფოსტამ, ტელეგრაფმა, ღია სასამართლოებმა, საზოგადოებრივმა კრებებმა უპრესოდაც კი დაიწყო ცნობებისა და აზრების ისეთი გაცვლა, რომ პრესისათვის ამბის საჯაროდ გამოუტანლობა წმინდა წყლის ანაქრონიზმია. პატარა ცნობა, რომელიც ცოტათი მაინც აინტერესებს საზოგადოებას, ჩვენს მხარეს გაცილებით უფრო ადრე მოიცლის, ვიდრე პრესისაკენ გაიკაფავს გზას. ცნობას გადასცემენ ერთმანეთს, რაღაცას ამატებენ, ცვლიან უსასრულოდ და ჩვენს მხარეში ძნელია მონახო ისეთი შორეული კუთხე, რომ იქამდე არ მიაღწიოს შან მეტად თუ ნაკლებად დამახინჯებული, ან გაზვიადებული სახით ამ ცნობას პრესაც შეიტანდა შორეულ კუთხეებში, მაგრამ პირვანდელი, ჭეშმარიტი სახით და ხალხის რწმენა, რომ პრესას შეუძლია ბეეხოს ჩვენი ცხოვრების ყველა მოვლენას, ერთხელ და სამუდამოდ დაიცავდა მოსახლეობას და მთავრობას მცდარი და ცრუ ხმების სწრაფი გავრცელებისაგან. ვიმეორებთ, საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების სწრაფი ცვლის გამო, ამბის საჯაროდ გამო-

ტანის უქონლობა წარმოადგენს ანაქრონიზმს და ბევრი მავნებელი მხარე გააჩნია. ამ თვალსაზრისით არ შეიძლება არ გავიზიაროთ ის, რომ შარშანდელ ლოდინში, რაც წარუმატებლად დამთავრდა, იყო ბევრი ისეთი მხარე, რომელიც უკეთესი ხვედრის ღირსია.

გასულ წელს ჩვენი ცხოვრების ამავე სფეროს მეორე ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო ჩვენი თითქოსდა „ცივილიზებული საზოგადოების ერთი ნაწილის არა ნაკლებ მოულოდნელი გააფთრება იმავე ახლად წარმოშობილი საქმის საჯაროდ გამოტანის ცდის წინააღმდეგ. ბატ. ექიმები და პედაგოგები, რომლებიც ყველგან ცივილიზირებული საზოგადოების ნაღებად ითვლებიან, პირველნი გამოვიდნენ საქმის საჯაროდ გამოტანის წინააღმდეგ და პირველებმა სცადეს „ჩაეწყვიტათ მისთვის ხმა". ექიმების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ამისათვის ღია, სასამართლოში ჩივილის გზა მაინც აირჩიეს. „ტიფლისკი ვესტნიკის" რედაქტორის პროცესმა სამუდამოდ ასწავლა მათ ჭკუა და ბატ. ექიმები დარწმუნდნენ, რომ საქმის საჯაროდ გამოტანის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე უკეთესი საშუალება იმავე საჯაროდ გამოტანის მეშვეობით თავის დაცვაა. თბილისის საქალაქო საავადმყოფოს ხელმძღვანელები ბოლოს სწორედ ამ გზას დაადგნენ, რაც მათთვის მართლაც სასარგებლო აღმოჩნდა. ამიტომ, ჩვენ არ გვსურს „გავაღიზიანოთ წარსული დღეების ჭრილობები". სულ სხვა რამ უნდა ითქვას ჩვენს პედაგოგებზე...

ამ უკანასკნელებმა გამოიყენეს ცილისწამების ფარული გზა და ხელი ჩასჭიდეს **ბულგარინ-კატკოვის** ხერხებს. და თუმცა ამ საძრახის ასპარეზზე მათ იგემეს სრულიად დამსახურებული დამარცხება, მაგრამ მათი საქციელი იმის ღირსია, რომ ყურადღება მიაქციონ თანამედროვე და მომავალმა ადამიანებმა. ჩვენ აქ არ შევეხებით საკითხს, მართალი იყო თუ არა „ტიფლისკი ვესტნიკი" თავის თავდასხმებში ზოგიერთ ჩვენ ბატ. პედაგოგზე. თუ გაზეთი მართალი არაა, მაშინ პედაგოგებისათვის არაფერი არ იყო იმაზე ადვილი, რომ აღედგინათ ჭეშმარიტება იმავე „ტიფლისკი ვესტნიკის" მეშვეობით. მაგრამ, როცა ადამიანები, რომელთაც სცადეს ამის გაკეთება და ვერ მიაღწიეს თავიანთ მიზანს, ხელს ჰკიდებენ იარაღს, რომელსაც ვერ შეეხება მოწინააღმდეგე, ამით ისინი საბოლოოდ აგებენ თავიანთ საქმეს. კიდევ უფრო ცუდად ააშკარავებენ თავიანთ საქმეებს ის ადამიანები, რომლებიც თავიანთ პიროვნებას უკავშირებენ არა მარტო რომელიმე საერთო პრინციპს, არამედ მთელ წოდებას. როცა ქურდი, რომელიც ადგილზე დაიჭირეს, იწყებს

. მტკიცებას. რომ მისი მხილება ჩირქს სცხებს მთელ მის სამ-
შობლოს. მაშინ საკითხავია მხრების აჩეჩვის მეტი რა უნდა გა-
ეწიოწვიოს მისმა არგუმენტაციამ? დაუშვათ თუნდაც ერთი წუთით,
რომ ამგვარი მხილება მართლა ჩირქს სცხებს მისი სამშობლოს
პრესტიჟს. მაშინ კვლავ საკითხავია, განა იგი თვითონ არ უნდა ცდ-
ილ ყო თვალის ჩინივით დაეცვა საკუთარი თავი, არ მოემოქმედებია.
არაფერი ისეთი. რაც გასაკიცხი და მაცდუნებელი იქნებოდა და
რომ მისი საქციელის საძაგლობა. რაც ყველას თვალში ხვდება ან
პრესას გამოაქვს საჯაროზე. კიდევ უფრო ამცირებს მის სამშობ-
ლოს? უცნაურია ეს ამბავი. მაგრამ, მაინც უნდა ვთქვათ, რომ ამ-
გვარი ცილისწამება გამოიყენეს ჩვენი პედაგოგიის წარმომადგენ-
ლებმა. ჩვენი ახალგაზრდობის გაბანათლებლებმა. რომელთაც
ამ ცოტა ხნის წინათ უკვირდათ თავიანთი შეხედულებების ლიბე-
რალიზმის შუქი. ახლა სწორედ ასეთ იარაღს მოკიდეს ხელი. რაღას
უნდა ველოდეთ „გაუნათლებელი ბრბოსაგან" და რა იმედები შე-
ეძლება დავამყაროთ იმ ახალგაზრდობაზე. რომლებიც ამგვარი
ქცევის გმირებმა გამოკვებეს და აღზარდეს!

ზემოთ ჩამოთვლილ გარემოებათა გამო ადგილობრივ პრესას.
რა თქმა უნდა. არ შეიძლება თავისი მოღვაწეობის ნაყოფიერების
იმედი ჰქონდეს. მაგრამ მეორეს მხრივ. მას სრული უფლება აქვს
ბოთმინებით უცქიროს მომავალს. სხვა ქვეყნის პრესის ფურცლებ-
ზე ჩვენ პედაგოგებზე და ექიმებზე უფრო მნიშვნელოვანი და ჭკვი-
ანი ოაინდები იბრძოდნენ... და თუ ევროპის მბრძანებლებმა **ნაპო-
ლეონმა** და **მეტერნიხმა** ვერაფერი გააწყეს პრესის წინააღმდეგ. თუ
იგი ვერ ჩაახრჩვეს სამყაროს ყოვლისშემძლე ადამიანებმა, მაშინ
ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ. რომ ჩვენი პრესაც გაუძლებს თავის
პატარა მტრებს. ყოველი ღევნა, ყოველი დაბრკოლება, რომელიც
ეი პრესას შეხვედრია, მას კი არ ვნებს, არამედ — მხოლოდ მის მო-
წინააღმდეგეებს. ეს საყოველთაო კანონია და ამ მხრივ ჩვენი მხარე
არ შეიძლება გამონაკლისი იყოს.

*

ადგილობრივ საზოგადოებაში დიდი ლაპარაკი გამოიწვია 1876
წლის დასაწყისში სენატორ **პ. ნ. კლუშინის** დანიშვნამ კავკასიის
მეფისნაცვალის მთავარი სამართველოს უფროსად. სენატორი
კლუშინი. რომელმაც რუსეთში დიდი პოპულარობა. მოიპოვა რე-
ვიზიის წარმოების „გულახდილი" და ჰუმანიური მეთოდით და მე-
ფის დავალებების შესრულებით. ჩამოვიდა ჩვენს მხარეში და წინ

სწორედ ეს პოპულარობა მოუძღოდა. როგორც სამყაროს ყველა ნაწილში, ასევე ჩვენშიც ბევრია უარყოფითი მხარეები, მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, უწესრიგობა და ა. შ. როგორც ყველგან, ასევე ჩვენშიც, საზოგადოების ყველა ფენაში ბევრი ისეთი ადამიანები, რომელთაც მთელი სულით და გულით სწადიათ გამოასწორონ და აღმოფხვრან ეს ნაკლი. უმაღლეს სფეროში ყოველი ასეთი ახალი ადამიანის გამოჩენა, რომელმაც ვერ მოასწრო შეჩვეოდა დაძველებულ უარყოფით მხარეებს, მათთვის სასიხარულო მოვლენაა და იმედებსა და სასოებას იწვევს. კიდევ უფრო მეტი იმედები უნდა გამოეწვია ისეთი კაცის გამოჩენას, რომელიც სწორედ იმითაა ცნობილი, რომ არ ეშინია ბიუროკრატიზმის უარყოფითი მხარეების, თანამდებობის ბოროტად გამოყენების გამოაშკარავებისა და მასთან ბრძოლისა. ამიტომ გასაგებია, რომ ამგვარი ადამიანების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და ჩვენი მხარის თითქმის მთელი საზოგადოებრივი აზრი მას ამ ადამიანების თვალებით უყურებდა...

მაგრამ, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში ხდება, იმათ, ვისაც წყლის დინების იმედი ჰქონდათ, გადააჭარბეს. ჩვენ უნდა შევეხოთ ამ გარემოებას და გამოვარკვიოთ: არა როგორც კერძო ფაქტი ბატ. კლუშინის ჩამოსვლისა და წასვლისა, არამედ საერთო პრინციპის თვალსაზრისით, რასაც ხშირად უყურადღებოდ სტოვებს ჩვენი მკითხველი საზოგადოება. ჩვენ, ამ შემთხვევაში, ბატ. კლუშინი გვაინტერესებს არა თავისთავად, როგორც უფროსი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ჩვენი მხარის და საზოგადოების შარშანდელ ცხოვრებაში, არამედ როგორც რელიეფური წარმომადგენელი ისეთი საყოველთაოდ ცნობილი ტიპისა, რომელიც ძალზე ხშირად გვხვდება რუსეთის ცხოვრებაში და რომელსაც „რუს რეფორმატორს" უწოდებენ. ჩვენ მასზე მხოლოდდამხოლოდ ამ მიზნით, ასე ვთქვათ, აბსტრაქტული თვალსაზრისით ვილაპარაკებთ.

არსებობს ორი ტიპი „რეფორმატორებისა", და არა ჩვენში, არამედ საერთოდ, ადამიანები, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყნის ნაკლს მის დაწესებულებებში, მის ზნეჩვეულებებში, სხვადასხვა ფენების სოციალურ ურთიერთობაში ხედავენ. ცდილობენ გადაახალისონ და შესცვალონ მისი კანონმდებლობა და დაწესებულებები, მისი სოციალური ყოფა და საზოგადოებრივი ზნეჩვეულებები. მაგრამ რეფორმატორები, რომლებიც ხედავენ ბოროტების ძირს და უმთავრესად მთელ სოციალურ ორგანიზმს მკურნალობენ, მსოფლიოში ძალზე ცოტაა. უმეტესობა ადამიანებისა, რომელთაც რეფორმატო-

რული მისწრაფებები გააჩნიათ, მხოლოდ ბოროტების კერძო გამოვლინებას ამჩნევენ და აღმაშფოთებელი ფაქტის წინააღმდეგ ასეთივე კერძო ბრძოლის იქეთ არ მიდიან. არ ეხებიან რა არსებულ საზოგადოებრივ ვითარებას, რაც იწვევს და კვებავს ამგვარ ფაქტებს, ისინი იფარგლებიან უსასრულო და გაუთავებელი ომით იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც თანამდებობას ბოროტად იყენებენ. მაგრამ როცა ძირითადი მიზეზები რჩება, დააყენეთ გამოცვლილი აღმსრულებლის ადგილას თუნდაც ხორცშესხმული ანგელოზი, დროთა განმავლობაში ეს ძირითადი მიზეზები ისეთივე ცოდვილებს წარმოშობენ, როგორც მათი წინაპარი იყო. უდაოა, რომ აქ შეიძლება იყოს განსხვავება, მაგრამ ხარისხში და არა ჯიშში: ახალი პიროვნება წინანდელზე ცოტათი უკეთესი იქნება თუ უარესი, ამით საქმე ერთი ბეწოთიც არ შეიცვლება.

როდესაც ამა თუ იმ ქვეყნის ცხოვრების საერთო წყობა, ძველი უარყოფითი მხარეების სულ უფრო და უფრო ხშირი გამოვლენის გამო, თხოულობს საფუძვლიანად შეცვლას, მაშინ აქ ადამიანების შეცვლა კი არაა საჭირო, არამედ დაწესებულებებისა და წესებისა...

რომ აღარაფერი ვთქვათ ისეთ ნაკლზე, რომლის არსებობა ზოგიერთმა შეიძლება უარყოს კიდეც, მხოლოდ ის გარემოება, რომ ჩვენში დარჩა იგივე წესები. ხოლო მთელი რუსეთი მიიწევს წინ. თვითმართველობისა და რეფორმების გზით, მხოლოდ ეს გარემოება, ვამბობთ ჩვენ, გვიჩვენებს თუ როგორი აუცილებელია არა მარტო პიროვნებების შეცვლა, არამედ საფუძვლიანი ცვლილებები. რადგან ასეთ გარემოებათა შეთავსება შეუძლებელია, ამიტომ ერთი წუთით არ უნდა შეგვპაროდა ეჭვი იმაში, რომ უნაყოფო იქნებოდა ის პირველი ნაბიჯები, რომლებიც ბატ. კლუშინმა გადადგა. ჩვეხ ეჭვი არ გვეპარება, რომ სერიოზული რეფორმების გატარების შემთხვევაში, რაც უნდა შეხებოდა ადგილობრივი ცხოვრების საერთო პირობებს, მისი წამოწყებები შეიძლებოდა ყველაზე ადრე დაგვირგვინებულიყო წარმატებებით. ამისათვის აქ ნიადაგიც დიდიხანია მომზადებულია, არც წინააღმდეგობები შეიძლებოდა წარმოშობილიყო. მაგრამ როცა ესენი პირადი ინტერესების სფეროს, გადაყენებულთა, მათი ოჯახის წევრების და მათი კეთილისმსურველთა თავმოყვარეობას ეხებიან, მაშინ წინააღმდეგობანი ელვის სისწრაფით წარმოიშობიან, რის დაძლევა პატარა ქვეყნებში თითქმის შეუძლებელია...

აი რატომ არ შეეძლოთ ჩვენი ქვეყნის პროგრესულად განვითარების მომხრეებს ღრმა მწუხარებით არ აღენიშნათ ის გარემოება,

რომ ბატ. კლუშინის მოღვაწეობა არ შეეხო საერთო კანონმდებლობას და სახელმწიფო საკითხებს, რასაც უდაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს კავკასიისათვის. ჩვენი ცხოვრების ყველა საკითხს შორის, დაწყებული გლეხობის საკითხით და გათავებული თვითმმართველობის ურთულესი საკითხებით, ერთი არაა ისეთი, რომელიც არ წარმოადგენდეს ფართო და კეთილშობილურ ასპარეზს სერიოზული და ღრმააზროვანი რეფორმატორის მოღვაწეობისათვის. სამწუხაროდ, არცერთ ასეთ საკითხს არ შეხებია ბატ. კლუშინის რეფორმატორული მოღვაწეობა. ამის მაგივრად, მთელი წლის მანძილზე, ჩვენ ვხედავდით მის უძლურ მეცადინეობას პოლიტიკური ღონისძიებების გატარების საქმეში, რაც უმეტეს შემთხვევაში იფარგლებოდა მოხელეების მოხსნით და არსებული კანონმდებლობის შეხსენებით...

უდავოა, ამგვარი მოღვაწეობაც სასარგებლო იყო, მაგრამ არა იმდენად, რამდენადაც სასარგებლო იქნებოდა ისეთი მოღვაწეობა, რომელზედაც ჩვენ აზრი გამოვთქვით. მხსნელმა კანკალმა, რასაც გვრიდა მისი მბოლოდ სახელის გაგონება ხაზინის ყველა ვამოუსწორებელ ქურდს, ხელი შეუშალა ბევრი ბოროტმოქმედების განხორციელებას. ჩვენის აზრით, მისმა ცდამ — მკაცრად მოქცეოდა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების დამრღვევებს, ხაზინას ათასობით მანეთი შეუნარჩუნა. და ბოლოს, ის განმანათლებლური და გონივრული დახმარება, რის გაწევასაც იგი ცდილობდა საქმის საჯაროდ გამოტანისათვის ჩვენს ლიტერატურაში. მადლიერების გრძნობით უნდა აგონდებოდეს ჩვენი მხარის ყველა წესიერ ადამიანს. ყოველი თვალსაზრისით გასაგებია ის არაჩვეულებრივი პოპულარობა, რამაც სულ მოკლე დროში ბატ. კლუშინი ცნობილი გახადა ჩვენი ქვეყნის ყველა შორეულ კუთხეში. და თუნცა იმ მცირე დრის მანძილზე, რაც იგი კავკასიაში იმყოფებოდა, ისეთი არაფერი გაკეთებულა, რომ მის მოღვაწეობას წარუშლელი კვალი დაეტოვებია, მაგრამ დიდი უანგარობა, ყველასთვის ღია კარები და ყველასათვის გასაგები სურვილი — შეძლებისდაგვარად ქვეყანას მოუტანოს სარგებლობა. ისეთი თვისებებია, რომ მას დიდხანს მოიგონებს ადგილობრივი მოსახლეობა მადლიერების გრძნობით.

* * *

1876 წელი ჩვენში აღინიშნა, აგრეთვე, საზოგადოებრივი ცხოვრების არაჩვეულებრივი გამოცოცხლებით, რადგან ერთდროულად მოხდა თავად-აზნაურთა წინამძღოლებისა და თბილისის და ქუთა-

ისის საადგილმამულო ბანკების მართველობის არჩევნები. თბილისის გუბერნიაში თავადაზნაურთა არჩევნები ჩატარდა ჩუმად და შეუმჩნევლად, რაც არ შეიძლება ითქვას ასეთსავე არჩევნებზე ქუთაისის გუბერნიაში, სადაც დიდი ხანია თავად-აზნაურთა არჩევნები გახდა მრავალრიცხოვან პარტიებს შორის guasi- პარლამენტალური გაცხარებული ბრძოლის ასპარეზი. მაგრამ, რომ აღარაფერი ვთქვათ თბილისზე, თავად-აზნაურთა არჩევნები ქუთაისშიც კი დაჩრდილა ბანკის მმართველობის არჩევნებმა.

ცხადია, ჩვენ არ უნდა ვწერდეთ ამ არჩევნების მიუკერძოებელ და ავტორიტეტულ ისტორიას, რადგან არჩევნებში ამ სტრიქონების ავტორი პირადად ღებულობდა მეტისმეტად ცხარე მონაწილეობას. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ დავარღვევთ მიუკერძოებლობის კანონებს, თუ გაკვრით შევეხებით რამდენიმე ძირითად მხარეს იმ აღფრთოვანებული ბრძოლისას, რითაც აღინიშნა ჩვენი საბანკო არჩევნები.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა, განსაკუთრებით კი ორი მისი გუბერნიისა, თბილისისა და ქუთაისისა, ჩვენი საადგილმამულო ბანკებისათვის სრულიად განსაკუთრებულ პირობებს ქმნიდა, რაც მათ ანიჭებდათ უაღრესად ორიგინალურ და ნაყოფიერ როლს. კრედიტს თავისთავად არსად არ შეუძლია სარგებლობის მოტანა, თუ მას არ იყენებენ წარმოების გაზრდის და გაცვლა-გამოცვლის გასაადვილებელ საშუალებად. ამიტომ, კრედიტით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ ნამდვილ მწარმოებლებს და საქმის წამომწყებთ. ხოლო როცა კრედიტის მიღებას უადვილებ ისეთ ადამიანებს, რომლებიც არაფერს არ აწარმოებენ, ამით მათ სწრაფი მობილიზაციის და უძრავი ქონების ასევე სწრაფად განიავების საუკეთესო საშუალებას აძლევთ, თუმცა თავისთავად ცხადია, რომ ამ მოსაზრებას არ უნდა შეეჩერებია ჩვენში ისეთი საადგილმამულო ბანკების დაარსება, რომელთა მიზანი იქნებოდა მიწისმფლობელთათვის კრედიტის მიცემა. ცხადია, ბანკებს არ უნდა ეზრუნა იმაზე, თუ როგორ და რისთვის გამოიყენებდნენ სესხის ამღებლები სესხს. მაგრამ არსებობს სხვა საზრუნავიც, რაზედაც აუცილებლად უნდა ეფიქრათ ბანკებს, ან უფრო სწორად, მათ დამაარსებლებს. კერძოდ, უნდა ცოდნოდათ თავადაზნაურობას, რომელთა სახსრებითაც დააარსეს ბანკი, მართლა ექნებოდა თუ არა იმის შესაძლებლობა, რომ მ ი ე ღ ო თ მათგან სესხი და, სესხის მიღების შემთხვევაში, რით უზრუნველყონ იმ დაგირავებული მამულის სარგებლიანად გაყიდ-

ვას, რომელთა გადასახადი აუცილებლად ვადაგადაცილებული იქ-ნება.

ქვეყანაში, სადაც უძრავი საკუთრება არავითარი ოქმით არა აქვს დამტკიცებული მის მფლობელს, სადაც მამული ხელიდან ხელ-ში გადადის „მემკვიდრეობით წინაპართაგან", სადაც მთელი ნათესა-ობა განუყოფლად სარგებლობს მთელი ერთი მაზრის ნახევარი ან მეოთხედი მიწით და არა აქვთ გაყოფის ოქმები და მსგავსი დოკუ-მენტები, სადაც საზღვრის გავლება მხოლოდ ახლა იწყებს არეულ-დარეული უფლებების მოწესრიგებას და სადაც თითქმის არავის არ შეუძლია თქვას რას ფლობს და რას არა, ასეთ ქვეყანაში, ვაბ-ბობთ ჩვენ, მოქმედების დიდი ასპარეზი არა აქვს ისეთ ბანკებს, რომ-ლებიც სესხს მიწის საკუთრებით უზრუნველყოფენ. ამგვარ ქვეყ-ნებში დაარსებული საადგილმამულო ბანკები, ბედისაგან განწირულ-ია და ან უმოქმედონი უნდა იყვნენ, ანდა ცალმხრივად განავითა-რონ ქალაქის კრედიტი, ე. ი. გასცენ სესხი, რომელიც უზრუნველ-ყოფილი იქნება ქალაქის უძრავი ქონებით და საამშენებლო ნაგებო-ბებით. მეორეს მხრივ, იმ გაბონაკლისი მამულების შესახებ, რო-მელზედაც აქვთ საკუთრების ოქმები და შეუძლიათ დააგირაონ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ ჩვენი მემამულეები ცუდად ზრუნავენ თავიანთ მეურნეობაზე, რასაც ბოლოსდაბოლოს აუცილებლად მივყევართ დაგირავებული მამულების საჯაროდ გა-ყიდვამდე. შეიძლება პირველი წლის მანძილზე წესიერად გადაიხა-დონ ვალი მემამულეთა სხვა კრედიტის წყალობით, მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელდება და დროთა განმავლობაში ჩვენ მოწმე ვიქნებით დაგირავებული მამულების ხშირი და ერთ-დროული გაყიდვისა. ვინ იყიდის ბანკის მიერ გასასყიდ მამულებს. როცა ჩვენი თავადაზნაურობა მთლიანად უფულოდაა დარჩენილი, როცა ჩვენში ძალზე მცირე რიცხოვანია საშუალო ფენა და როცა მას არ სურს გასცვალოს ქალაქში ვაჭრობის სარგებლიანობა სოფ-ლის წამგებიან საქმიანობაზე და, ბოლოს, როცა ჩვენი გლეხები უბედურ დღეში არიან?

აი, კითხვების ორმაგი რიგი, რომლებიც უნდა წარმოიშვას იმ ადამიანების გონებაში, ვინც ხელი მოჰკიდა ჩვენში ადგილობრივ თავადაზნაურთა სახსრებით საადგილმამულო ბანკების დაარსებას.

ახლა ვეცდებით თვალი შევავლოთ საქმის მეორე მხარეს: ვნა-ხოთ, რა სარგებლობა ნახეს არსებული მდგომარეობის გამოყენე-ბით საზოგადოებრივი და სოციალური ურთიერთობის სამართლია-ნად მოწყობის მომხრეებმა, ხალხის კეთილდღეობის მომხრეებმა.

ვინც ცოტათი მაინც იცნობს ჩვენი თავად-აზნაურობის ხასიათს, ძალიან კარგად იცის, რომ ახლო მომავალში საკუთარი მიწების დიდი ნაწილი ხელიდან გამოეცლება ამ წოდებას და გადავა ბურჟუაზიისა და ხალხის ხელში. თუ საქმე ბუნებრივად წარიმართა, გადასვლა მოხდება ნელნელა, მამულები ჯერ ვაჭრობით გამდიდრებული მოქალაქეების ხელში გადავა, ხოლო შემდეგ მათგან წელმომაგრებულ მესაკუთრე გლეხების ხელში. მაგრამ გამოსყიდვის შესახებ დადგენილებისა და, ამასთან ერთად, საადგილმამულო წესდების წყალობით, რომლის თანახმად ბანკმა უნდა დაიგირავოს თავად-აზნაურთა მამულები, ამ ბუნებრივ და აუცილებელ პროცესს შეიძლებოდა მისცემოდა მიწის მეურნეებისათვის უფრო გარკვეული და სასარგებლო მსვლელობა. საკმარისი იყო შეგუებოდნენ ადგილობრივ პირობებს და მაშინვე გაუადვილებდნენ თავად-აზნაურობას კრედიტის მიღებას, ეცდებოდნენ შეეერთებიათ საბანკო ოპერაციები გამოსყიდვის ოპერაციებთან და გლეხთა საზოგადოებებს გაუადვილებდნენ ვადა გადაცილებული მამულების შესყიდვას ბანკისათვის გადასახდელი თანხის განაწილადების და ნაწილ-ნაწილ გადახდევინების მეშვეობით. ამ საქმის ცოტა ენერგიულად და რაციონალურად წარმოების შემთხვევაში, ორი-სამი ათწლეულის შემდეგ, ჩვენი მიწის საკუთრების დიდი ნაწილი დაიყოფოდა და მიწის მეურნეთა ხელში გადავიდოდა, და ამით ყოველგვარი ზიანის გარეშე მიღწეული იქნებოდა ჩვენი დროის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი რეფორმის განხორციელება...

სამწუხაროდ, ჩვენი საადგილმამულო ბანკების დამაარსებლები ძალზე ზერელედ იყვნენ მომზადებულნი სოციალურ-ეკონომიურ და ფინანსურ საკითხებში იმისათვის, რომ ამგვარი მიზანი დაესახათ. მათ აირჩიეს ნაკლებად თავისსამტვრევი სამუშაო: მონური ერთგულებით გადმოიწერეს რა ხერსონისა და ხარკოვის საადგილმამულო ბანკების წესდებები და მოამზადეს რა მათი პარაგრაფებისაგან შეტად თუ ნაკლებად მოხერხებული ვინიგრეტი, დაამტკიცებიეს თავიანთი წესდებები საჭირო დაწესებულებებს და გახსნეს ბანკები. მაგრამ რადგან ადგილობრივ საზოგადოებას ეს ბანკები დაუსახეს ლიბერალიზმის და მეცნიერების კვინტესენციად და რადგან მათი შემდგომი გარდუვალი წარუმატებლობა, მოსახლეობის თვალში, ახალგაზრდა თაობის მიმართ წარუშლელი საყვედური იქნებოდა, ამიტომ ბანკის ზოგიერთმა წევრმა, რომლებიც გამოდიოდნენ წესდების წინააღმდეგ მათი დამტკიცების დროს, თავიანთ

მოვალეობად ჩასთვალეს ხმაამღლა ეთქვათ, რომ საყოველთაოდ ვავრცელებულ ილუზიებს აღსრულება არ უწერია.

ჩვენ არ დავიწყებთ იმ მძაფრი სცენების აღწერას, რაც ამ გარემოებამ გამოიწვია, არ გამოვამზეურებთ მთელ რიგ გაუმართლებელ ღონისძიებებს, რაც გამოიყენეს „არამკითხე ბამხილებლების“-წინააღმდეგ, როგორც თბილისში, ისე ქუთაისში, არ გამოვამზეურებთ იმ ჩვენი ლიბერალების გმირობასაც კი, რომელთაც სახიფათო მომენტში გამოიყენეს ძველი იარაღი, — მოწინააღმდეგისათვის სიტყვის წართმევა. ყველაფერი ეს შეიძლება მოგეჩვენოთ ბედნიერ გამარჯვებულებზე დამარცხებულის ჩვეულებრივ ჩივილად. რაც მოხდა მოხდა, მაგრამ მძაფრი შეტაკებებისა და ცხარე კამათის შემდეგ, ბანკების დამაარსებლებმა ხმათა დიდი უმრავლესობა მიიღეს და აიღეს თავიანთ ხელში ბანკის მართვის სადავეები, ხოლო მათი მოწინააღმდეგეები, რომელთაც ვერც ადგილი მიიღეს და ვერც შემოსავალი გაიჩინეს, რომელთაც მხოლოდ „საზოგადოების გაფრთხილება“ სურდათ, თავის მხრივ, კმაყოფილნი დარჩნენ არჩევნების შედეგებით. ჯერჯერობით ამით გათავდა ეს ორმაგი პრეისიშეილაუსის ბრძოლა², რომელშიც ორივე მხარემ თანაბარი უსაფუძვლობით გამარჯვებას მიაღწია.

პოლემიკამ, რომელიც ამ შემთხვევის გამო დაიწყო ამ სტრიქონების ავტორმა „ტიფლისკი ვესტნიკში“ და ქართულ გაზეთ „დროებაში“, თავის დროზე მიიქცია მკითხველი საზოგადოების ყურადღება. ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო შევაჯამოთ ეს პოლემიკა. შეჯამება შეიძლება მხოლოდ ჩვენი საადგილმამულო ბანკების რამდენიმე წლის მოღვაწეობის შემდეგ. ჯერჯერობით კი თბილისის საადგილმამულო ბანკის ბალანსი ამართლებს ჩვენს თვალსაზრისს ამ საქმეზე. და საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ასეთი რამ კიდევ უფრო რელიეფურად გამოჩნდება შემდეგ. მაგრამ ჩვენ მთელი გულით ვისურვებდით, რომ ჩვენი ბანკების პრაქტიკამ თვალსაჩინოდ უარყოს ყველა ჩვენი პესიმისტური დებულება. ამით დაზარალდება მხოლოდ ჩვენი წვრილმანი თავმოყვარეობა, სამაგიეროდ სარგებლობას ნახავენ ჩვენი მიწის მეურნეები და, რაც მთავარია, მშვიდობიანად განვითარდება ჩვენი ხალხის კეთილდღეობა. თავისთავად ცხადია, რომ ამ ორ გამოსავალს შორის ერთი წუთითაც არავინ არ დაიწყებს ყოყმანს. მაგრამ ჩვენ გვეშინია, რომ ჩვენი საადგილმამულო ბანკების პრაქტიკა ჩვენს წვრილმან თავმოყვარეობას არ შელახავს, რაც, სრულიად გულწრფელად ვამბობთ, — ჩვენ მეტისმეტად გვეწყინება.

* * *

ჩვენ არაფერს ვიტყვით საზოგადოებრივი ყურადღების იმ აღგზნებაზე, რაც გამოიწვია „ქალწულის, ნინა ანდრეევსკაიას უეცარმა გაქრობამ". ამის შესახებ ბევრი ითქვა თავის დროზე და იმედი გვაქვს, რომ ეჭვმიტანილთა მომავალი პროცესი გამოარკვევს ამ საქმის მთელ საზოგადოებრივ მნიშვნელობას. მაგრამ ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ზედმეტი არ იქნება, თუ ვიფიქრებთ სერიოზული ღონისძიებების გამომუშავებაზე მოსახლეობის პირადი და ქონებრივი უსაფრთხოების დასაცავად. მართალია, ვერავითარი გამაფრთხილებელი ღონისძიებები ვერ შეუშლის ხელს წინასწარ მოფიქრებული დანაშაულის ჩადენას, მაგრამ იმის რწმენა, რომ არავითარი დანაშაული არ დაიფარება, მნიშვნელოვნად შეამცირებს დანაშაულთა რიცხვს. სამწუხაროდ, ჩვენი საგამომძიებლო ორგანო არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, უამრავი დანაშაული გაუხსნელი რჩება, ხოლო დიდი ნაწილი გამოძიებული საქმისა თავდება სისხლის სამართლის კოდექსის 227 მუხლის ცნობილი განაჩენით: „რადგან დამნაშავენი აღმოჩენილი არაა, ეს შემთხვევა ღვთის ნებისათვის მიგვინდვია, ხოლო საქმე გადაწყვეტილად ჩაითვალოს და ჩაბარდეს არქივს"? ბრალდებულის სკამზე დამნაშავე მხოლოდ უხეშ, მოუფიქრებლად, ცხადად ჩადენილ დანაშაულს მიჰყავს. ხოლო თუ დანაშაული ცოტათი ნოფიქრებულია და ოსტატურადაა ჩადენილი, ასეთი დამნაშავეები იშვიათად ვარდებიან და თუ ვარდებიან, მხოლოდ მეორეხარისხოვანი შემსრულებლები. ასეთი ვითარება ვერ აღუძრავს ადგილობრივ მოსახლეობას პატივისცემას მართლმსაჯულობისადმი და რწმენას იმისას, რომ იგი ძლიერია.

ჩვენში გამომძიებლებად მსახურობენ ახალგაზრდა ადამიანები, რომელთაც ახლახან დაიწყეს სამსახური და ინიშნებიან „სასამართლო თანამდებობათა კანდიდატებად". სინამდვილეში მათ უნდა დაავალონ კანცელარული საქმის წარმოება, რამდენიმე უმნიშვნელო საპოლიციო საჩივრის გარჩევა, რათა შეაჩვიონ პრაქტიკულ საქმიანობას. მაგრამ „საშუალებათა ნაკლებობა", რაც ჩვენ შესაძლებლობას არ გვაძლევს გვყავდნენ ისეთივე გამომძიებლები, როგორც ჰყავთ რუსეთში, სასამართლო უწყებას იძულებულს ხდის დაავალოს გამოძიება გამოუცდელ კანდიდატებს...

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გასული წლის პრაქტიკას ამ მხრივ უნდა დავერწმუნებიეთ, რომ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, გამოვნახოთ საშუალება, რათა ავამაღლოთ ჩვენი საგამომძიებლო ორგანოს

დონე საერთოდ კი უნდა ვთქვათ, რომ როგორც ამ ორგანოს მიმართ, ასევე სხვა მხრივ, წარსული და შარშანდელი წლის სასამართლო პრაქტიკამ აბსოლუტურად დაამტკიცა თუ რა არადამაკმაყოფილებელია სასამართლო წესდებების საერთო მწყობრიდან ზოგიერთი მუხლის ამოღება. ეს აზრი საკმაო დამაჯერებლობით იქნა დამტკიცებული გასული წლის მთელ რიგ ბრწყინვალე სტატიებში, რომლებიც დაიბეჭდა „ტიფლისკი ვესტნიკში" სასამართლო რეფორმების შესახებ, განსაკუთრებით კი სტატიაში „რვა წლის ღირსი ჩვენი სასამართლო რეფორმებისა". ამიტომ ვთავაზობთ რა მათ მკითხველებს, ჩვენ უფლება გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ დადგა დრო დაუბრუნდეთ საერთო წესებს, რაც უფრო შეეფერება ადგილობრივ პირობებს, ვიდრე ყოველგვარი „ამოღება და გამოყენება".

რადგან სიტყვა ჩამოვარდა რეფორმებიდან ზოგიერთი მუხლის ამოღებაზე, რამდენიმე სიტყვა აქვე უნდა ვთქვათ თვითმართველობაზეც. გასულ წელს ამ მიმართულებით ჩვენ გადავდგით ერთი გაუბედავი ნაბიჯი. ქალაქებში: ქუთაისში, გორში და ახალციხეში შემოღებულია „საქალაქო წესები", მაგრამ, ზოგიერთი მუხლის ამოღების გამო, ქალაქის თავი პირველ ოთხ წელიწადს ინიშნება ადმინისტრაციის მიერ, რომლის ხელშიც მთლიანად რჩება ქალაქის მშენებლობა... როგორც არ უნდა იყოს, ცდა უკვე ჩატარებულია და, ადგილობრივი თვითმართველობის მოწინააღმდეგეთა მოღლილობის საწინააღმდეგოდ, ცდა დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. როგორც ცნობილია, მოწინააღმდეგეები წინასწარმეტყველებდნენ, რომ ჩვენი მხარის ველური მოსახლეობა ენვების ბაბილონისებური აღრევის გამო, საზოგადო საკითხებზე მსჯელობის ნაცვლად, პირველსავე თათბირზე ვერ გაუგებენ ერთმანეთს და აუცილებლად დაამთავრებენ იმით, რომ ცვირებს მოსჭამენ ერთმანეთს. იგივე ადამიანები წინასწარმეტყველებდნენ გარდუვალ ანტაგონიზმს საზოგადოების წარმომადგენლებსა და აღმსრულებელ ხელისუფლებას შორის და ყოველგვარი საშინელების ისეთ სურათს გვიხატავდნენ, რომლის წინაშეც განცვიფრებული შეჩერდებოდა ყველაზე თავდადებული რეფორმატორიც კი. ახლა ცდა უკვე ჩატარებულია და მერე რა? მადლობა ღმერთს, ცხვირები ყველას მთელი შერჩა. საზოგადოების წარმომადგენლებმა მოილაპარაკეს და გაუგეს ერთმანეთს. ერთნი ლაპარაკობდნენ სომხურად, მეორენი — ქართულად, მესამენი — რუსულად და ყველამ ყველას გაუგო. გარდა ამი-

სა. აღმოჩნდა, რომ, ყოველგვარი დაძალების გარეშე, მხოლოდ მისი მოხერხებულობის გამო, უმეტეს შემთხვევაში ყველა რუსულ ენას იყენებდა. თუმცა ადმინისტრაციამ ქალაქების საზოგადო საწართველოებს წინა წლების ანგარიში გადასცა, რაც საშინლად არეულ-დარეული იყო (იხ. „ტიფლისკი ვესტნიკი“, სტატიები — „ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტი“ და „კორესპონდენციები ახალციხიდან“). თუმცა შთამომავლობით დაუტოვა დიდი ვალები და დეფიციტი. მაგრამ ანტაგონიზმი არსად არ წარმოშობილა და ომი არავის არ დაუწყია ადმინისტრაციისათვის. ყველა მის კანონიერ და საეკვო მოთხოვნილებებზეც კი ქალაქის საბჭოები გონივრულად თანხმდებოდნენ და დათმობაზე მიდიოდნენ. ხოლო როცა მთავრობას ჯარის კერძო სახლებში დაბინავება დასჭირდა, ქალაქის მოსახლეობამ მას დახმარება გაუწია, ხოლო ქალაქის საბჭოებმა, მოსახლეობის თავდაჭერით და თანაგრძნობით, ელვის სისწრაფით და როელი მონდომებით შეასრულეს თავიანთი მოვალეობა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ცდამ უკვალოდ არ უნდა ჩაიაროს. გასული წლის დასაწყისში, როცა ქალაქის წესების მოსალოდნელ შემოღებაზე ვლაპარაკობდით, ჩვენ „ტიფლისკი ვესტნიკში“ (1876, № 1) ვწერდით, რომ ამ ღონისძიების შემოღების ცდა ცხადს გახდის ადგილობრივ თვითმმართველობათა მოწინააღმდეგეების მოსაზრებათა მთელ უსაფუძვლობას და უაზრობას. ჩვენი მოლოდინი გამართლდა. ახლა კიდევ უფრო მეტი რწმენით ვამბობთ, რომ ყოველგვარი შიშის უსაფუძვლობას ასევე ცხადყოფს ჩვენში საეროობო დაწესებულებების შემოღება, რომელთა საჭიროებაც სულ უფრო მეტად და მეტად იგრძნობა ჩვენს ცხოვრებაში. მაშინ ყველასათვის ცხადი გახდება, რომ ერთადერთი საფუძველი, ერთადერთი მიზეზი თვითმართველობის მოწინააღმდეგეთა უაზრო შიშისა, — ჩვენი მხარის მრავალფეროვნება, მისი ჩამორჩენილობა კი არაა, არამედ ამ მოწინააღმდეგეთა სურვილი იბატონონ რაც შეიძლება დიდხანს, აიღონ რაც შეიძლება მეტი სესხი და გაზარდონ დეფიციტი, რის გადახდაც მოგვიხდება ჩვენ და არა მათ.

* * *

გასული წლის არა ნაკლებ მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს აგრარული მღელვარების დაწყება სამეგრელოში. ჯერ კიდევ არეულობის დაწყებამდე ჩვენ მივაქციეთ „ტიფლისკი ვესტნიკის“ მკითხველების ყურადღება იმას, რომ ჩვენი ხალხის აგრარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არაა. მიწის ფლობის

მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში დიდად განსხვავებულია რუსეთის ასეთივე მდგომარეობისაგან. საქართველოში გლეხები თვითონ ყიდულობდნენ მიწას, ცვლიდნენ, ყიდდნენ და ა. შ. და დასამუშავებელი მიწის ნაკვერს, რაც სისხლის ფასად ნაშოვნი ფულით შეიძინეს, ისე უყურებდნენ, როგორც პირად, ხელშეუხებელ საკუთრებას. ამის გამო, ბატონყმური ურთიერთობა ჩვენში არ შეიძლება ყოფილიყო ისეთი, როგორც რუსეთშია, სადაც გლეხი მთლიანადაა დამოკიდებული მემამულეზე. საქართველოში ბატონყმობა შემოიფარგლა გლეხის მკაცრად განსაზღვრული დამოკიდებულებით მემამულესთან. ამ მორჩილების საშუალო ნორმა იყო საბატონო ბეგარა კვირაში ორი დღე, წელიწადში 1 მანეთის გადახდა და წელიწადში უმნიშვნელო რაოდენობით (ორი-სამი თუნგი) ღვინის. ფქვილის და რამდენიმე ქათმის მიტანა. ზოგიერთი გლეხის ოჯახს უნდა მიეტანა დაკლული ღორი, ზოგიერთი იძლეოდა შინამოსამსახურეს. ყოველი გლეხი, რომელიც რაიმე ქონებას იძენდა, ცდილობდა ერთბაშად განთავისუფლებულიყო ამა თუ იმ გადასახადისაგან. ყველაზე ადრე ცდილობდნენ განთავისუფლებულიყვნენ „ღორისაგან", რაც ძალზე შეურაცხმყოფელ გადასახადად ითვლებოდა და გლეხები არაფერს არ იშურებდნენ ამ გადასახადის ჩამოსაწერად. შემდეგ კი ნელ-ნელა თავისუფლდებოდნენ სხვა გადასახადებისაგანაც და გლეხთა განთავისუფლების მომენტში ძალზე ბევრი იყო ისეთი გლეხი, რომელსაც არაფერი არ მართებდა ბატონისა, გარდა იმისა, რომ ცხენით უნდა ხლებოდა მეზობლებთან სტუმრად გამგზავრების დროს. ბევრი მიწა, რომელსაც გლეხი ფლობდა, მისი პირადი საკუთრება იყო და ამ მიწებზე მემამულეებს არავითარი უფლება არ ქონდათ. ჩვენ არა ერთი მაგალითი გვინახავს იმისა, როცა გლეხს თავის გამოსასყიდად მემამულისათვის საკუთარი მიწები მიუყიდია. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა გლეხი თავის გამოსყიდვას ფულით ახერხებდა და გამოსყიდვის ოქმში, რა თქმა უნდა, ისიც იწერებოდა, რომ გლეხი თავისუფალია თავის მიწიანად. სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია იმ საერთო წესის მიღება, რომლის მიხედვითაც გლეხების მიწები, გარდა ნაყიდი მიწებისა, გლეხთა განთავისუფლების მომენტში, მემამულეთა საკუთრებად გამოაცხადეს. გლეხები იძულებული გახდნენ იჯარით აღებული მიწისათვის გადაეხადათ 3 წან. ვერცხლით, ხოლო საკარმიდამო მიწისათვის მთელი თავის მოსავლის მეოთხედი. მართალია, ამ ფასად მათ იყიდეს დამოუკიდებლობა, რაც ყოველგვარ შენაძენზე უფრო ძვირფასია, მაგრამ რა დიდადაც არ უნდა აფასებდნენ ისინი ამ სიკეთეს, არ შე-

უძლიათ არ დაინახონ რომ ეკონომიური თვალსაზრისით მათი მდგომარეობა უწინდელზე უარესია. გლეხის ოჯახი, რომელიც უწინ მემამულეს წელიწადში 1 მანეთს უხდიდა, ანდა ორ-სამჯერ ცხენით ახლდა ბატონს, ახლა იძულებულია გადაუხადოს მას მთელი თავისი შემოსავლის მეოთხედი... ამ გარემოებამ, ცხადია, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია გლეხობაში.

თუმცა დებულებამ გაითვალისწინა ისეთი შემთხვევები, როცა გლეხს მიწა ნაყიდი ქონდა და მისი საკუთრება იყო. დებულება ითვალისწინებდა: თუ გლეხი წარმოადგენს საკუთრების ოქმებს იმ მიწებზე, რომელთაც ფლობს, მაშინ საკრებულომ უნდა დაუმტკიცოს მას ეს მიწები და არ შეიტანოს საწესდებო გუჯარში. განთავისუფლების პირველივე დღეების განმავლობაში თბილისისა და, განსაკუთრებით, ქუთაისის გუბერნიის გლეხებმა შუამავალ მომრიგებელს წარუდგინეს უამრავი ასეთი ოქმები და დოკუმენტები, რაც ამტკიცებდა მათ უფლებას მიწის საკუთრებაზე. მარტო ქუთაისის გუბერნიაში წარმოადგინეს 70.000 ამგვარი დოკუმენტი. მაგრამ აქ გამომჟღავნდა ერთი სრულიად გაუგებარი გარემოება.

კავკასიის მეფის ნაცვლის მ. ი. უ. ცირკულარში „ამიერკავკასიის გლეხთა და ხიზანთა საქმის გამრჩევ დაწესებულებათა მომრიგებლებს", რომელიც გამოვიდა 1876 წელს, ვკითხულობთ:

„იმ ცნობების საფუძველზე, რომლებმაც მოაღწიეს ჩემამდე კერძო პირთა საჩივრების და ხელმძღვანელი პირების მოხსენებების სახით, არ შემიძლია არ მივაქციო თქვენი ყურადღება იმას, რომ ბევრ შემთხვევაში გლეხთა საქმეების გამრჩევ დაწესებულებათა მომრიგებლების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა გამოწვეულია იმით, რომ მომრიგებლები არ ხელმძღვანელობენ 1861 წლის 19 თებერვლის საზოგადოებრივი წესების დებულებებით, და უმთავრესად იმით, რომ ამ დაწესებულებათა ზოგიერთი წევრი, ისეთ მნიშვნელოვან საქმის წარმოებისას, როგორიცაა გლეხებსა და მემამულეებს შორის მიწის საკუთრებაზე სწორი ურთიერთდამოკიდებულების დამყარება, გულგრილად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და უუნარობას იჩენენ. ზოგიერთი მომრიგებელი მოსამართლე მთელი წლის მანძილზე ერთხელაც არ ყოფილა იმ სოფელში, რომელიც მის განყოფილებას ეკუთვნის. გლეხებისა და მემამულეების ბევრი ქონებრივი საჩივარი რამდენიმე წლის მანძილზე გაურჩეველია. იმის მაგივრად, რომ თვითონ შემოიარონ სოფლები და პირადად გასცენ განკარგულება ადგილებზე, მომრიგებლები ფეხმოუცვლელად სხედან თავი-

ანთ მამულებში და ან მომჩივანთა გამოძახებით კმაყოფილდებიან, ანდა სოფლის უფროსებთან მიმოწერით. საგუბერნიო საკრებულოები კი არავითარ ხელმძღვანელობას არ უწევენ და არ წარმართავენ მომრიგებელ მოსამართლეთა საქმიანობას. ამავე დროს, როგორც თბილისის გუბერნიისათვის 34 მუხლის დამატება გვაუწყებს, მათ უფლება აქვთ ჩაერიონ მომრიგებელთა საქმიანობაში, რისთვისაც შეუძლიათ მიავლინონ ადგილზე დროებითი განყოფილების განსაკუთრებული წარმომადგენელნი, რომელთაც უფლება ექნებათ ამა თუ იმ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანონ".

როგორც ცნობილია, ძირითადი მიზეზი „ხელისუფლების უუნარობისა", ისაა, რომ გლეხთა საქმეების გამრჩევი დაწესებულებების პირადი შემადგენლობის უმრავლესობა, თავადაზნაურობისა და იმ პირთაგან შესდგება, რომლებიც გლეხთა ინტერესებისადმი სრულიად გულგრილნი არიან. მათ ხელში, რა თქმა უნდა, „გლეხებსა და მემამულეებს შორის მიწის საკუთრებაზე სწორ ურთიერთდამოკიდებულების დამყარება" წინ ვერ წავიდოდა. ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ დოკუმენტების დიდი ნაწილი, რაც გლეხებმა მათ მიერ დამუშავებული მიწის საკუთრების დასამტკიცებლად წარმოადგინეს, ათი წლის მანძილზე არა თუ არ გაარკვიეს და გადაწყვიტეს, არამედ არც კი განუხილავთ, ამავე დროს მემამულეები, სასწრაფოდ შედგენილი გუჯარების ძალით, რითაც მათ მამულები გადაიმტკიცეს, განაგრძობდნენ გადასახადის აღებას იჯარით ვაცემული მიწებისათვის. არ კმაყოფილდებოდნენ რა ამითაც, ისინი ცდილობდნენ მომრიგებელი შუამავლის დახმარებით ნატურით დაწესებული გადასახადი ფულადი გადასახადით შეეცვალათ და წინანდელი 1 მანეთის ნაცვლად, წლიურად, ყოველი კომლისაგან 25 მანეთი და 40 კაპიკი მოითხოვეს. ზოგიერთი გლეხი, რომელიც ფიქრობდა, რომ ამ გზით განთავისუფლდება ყოველდღიური დაგვისაგან და შარიანობისაგან, დათანხმდა ხელი მოეწერა მემამულესთან დადებულ ხელშეკრულებაზე, სადაც განსაზღვრული იყო მუდმივი ფულადი გადასახადის რაოდენობა. როცა მათ დაინახეს, რომ ამ ხელშეკრულების ძალით მემამულეები მათ გადაუხდელ გადასახადებსაც თხოვენ, მაშინ მათ გადაწყვიტეს დაბრუნებოდნენ ძველ წესებს, გადასახადის ნატურით გადახდას. მაგრამ მომრიგებელმა შუამავლებმა მოსთხოვეს მათ ხელშეკრულების შესრულება და მემამულეთა ამ მოთხოვნამ, რასაც მხარი დაუჭირეს მომრიგებლებმა, ცეცხლზე ნავთი დაასხა.

როგორც გაზეთ „კავკაზის"[3] ოფიციალური ცნობებიდან ვიცით,

სამეგრელოს გლეხების პასიური წინააღმდეგობა, ჯარებმა ჩააქრეს. მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დაღვრილი სისხლი კარგი გაკვეთილი იქნება მომავალში „ისეთი მნიშვნელოვანი საქმის წასამართავად, როგორიცაა ჩვენს ქვეყანაში მიწის საკუთრებაზე სწორი ურთიერთდამოკიდებულების დამყარება“. თუმცა, მადლობა ღმერთს, ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებში ამ ამბავს არ ქონია ისეთი მწვავე ხასიათი, როგორიც სამეგრელოს აგრარულ მღელვარებას ახასიათებდა. მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოუშვათ ის გარემოება, რომ მიზეზები, რომელთაც ეს მღელვარება გამოიწვიეს, როგორც ეს ჩანს დიდი მთავრის, — კავკასიის მეფისნაცვლის ცირკულარის ჩვენს მიერ მოყვანილი ციტატებიდან, სხვა ადგილებშიც არსებობს. ამავე ცირკულარიდან ჩანს ისიც, რომ მთავრობამ ყურადღება მიაქცია ამ ამბავს და ცდილობს სწორი ურთიერთდამოკიდებულება ღაამყაროს მიწის საკუთრებაზე მეგამულეებსა და მათ ყოფილ ყმებს შორის. ამგვარად, ვუსურვებთ რა მას დიდ წარმატებას ამ მნიშვნელოვანი და დიდი საქმის სამართლიანად მოწესრიგებაში, ჩვენ ამ ნაწილს იმ რწმენის გამოხატვით დავამთავრებთ, რომ ამგვარი წარმატებებისათვის საჭიროა ამ საკითხთან დაკავშირებული წესებისა და კანონმდებლობის ძირეულად გადასინჯვა...

* * *

ამგვარად, ჩვენი ადგილობრივი მოსახლეობა თავის მოვალეობით, ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო უტოლდება რუსეთის შიდა გუბერნიების მოსახლეობას. ვართ რა მოწინააღმდეგე ყოველგვარი პრივილეგიებისა და განსაკუთრებული უფლებებისა, და მტკიცედ გვახსოვს რა, რომ არ არსებობს მოვალეობა უფლების გარეშე და უფლება — მოვალეობის გარეშე, ჩვენ არ შეგვიძლია თანაგრძნობით არ ვიყოთ განწყობილი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართულებისადმი, რომელიც სულ უფრო და უფრო უტოლებს მას რუსეთს და ამით გვხდის იმ უკეთესი რეფორმების თანამონაწილეებად, რაც წილად ხვდა რუსეთის შიდა გუბერნიებს. იმაში, რასაც ჩვენ ვუსურვებთ მომავალ წელს, ისევე, როგორც საერთო მისწრაფებებს, არაფერი არ იქნება გადაჭარბებული და მიუწვდომელი. ვიცნობთ რა მწარე გამოცდილებით ბრძნულ გამოთქმას „довлеет дневи злоба его“, ჩვენ სურვილებს ასე შემოვფარგლავთ: ჩვენი ქვეყანა, რომელიც მდიდარია ბუნებრივი ძალებით, სწრაფად დაუკავშირდეს რუსეთში უკვე რეალიზებულ პროგრესს და მასთან პარალელურად დაიძრას შემდგომი პოლიტიკური განვითარების გზით...

253
1877

КАВКАЗСКІЙ АЛЬМАНАХЪ

НА 1877 ГОДЪ.

Я. Шакрабскаго

(ГОДЪ ПЕРВЫЙ).

ТИФЛИСЪ.
Типографія Краевскаго
1877

2. საახალწლო გოდება

Печально я гляжу на наше поколенье...
ლერმონტოვი.

„გ ო დ ე ბ ა ო, მერე საახალწლოო? ახალწელიწად დღეს ვის გაუგონია გოდების დაბედებაო?“, — იფიქრებს გაოცებული მკითხველი. „ახალწლის-დღეს ხეირიანმა კაცმა სამხიარულო რამ უნდა გვიკვლიოს, ოქრო, მყინვარე-შაქარი, თაფლი, ხილი, და არა გოდება ას ვაი-ვაგლახიო“.

სხვამ, ჩემო მკითხველო, რაც უნდა ის გიკვლიოს, რითაც უნდა, მით გამხიარულოს. მე კი, თუნდ უხეიროთ ჩამთვალო, გოდების მეტი საახალწლოთ არაფერი მაქვს სამკვლეველი.

იქნება შენს კერძო ცხოვრებაში — და ჩემსაშიაც — ბევრი რამ გქონდეს და მქონდეს სამხიარულო, სანუგეშო, სასიამოვნო. იქნება ჩვენს შრომას მატერიალური სარგებლობა მოეტანოს შენთვის და ჩემთვის. იქნება საზოგადოებაში მე და შენ წინ წავწეულვიყოთ, ჯილდო მიგვეღოს, სახელი გვეშოვნოს; იქნება კიდევ ჩვენს ოჯახობაში და ნათესავებში საკმაო ბედნიერება და კმაყოფილება გვეპოვოს შენც და მეც, — ეს ყველაფერი შესაძლებელია. შესაძლებელია კიდევ, რომ მომავალ წელიწადში უფრო მეტს სიამოვნებას და ბედნიერებას მოველოდეთ კერძოთ თვითეული ჩვენგანი. მართალია. „მაშ საგოდებელი რაღა გვაქვსო?“, — მკითხავ, ხომ?

სრულიად არაფერი, ერთის რამ გარდა, გიპასუხებ, ჩემო მკითხველო. კერძო ცხოვრებაში თითოეული ჩვენგანი ბედნიერია და ჩვენს ქვეყანას ამ მ ხ რ ი თ სიხარბით უნდა შეექეროდეს ევროპის უმეტესი ნაწილი. აი მაგალითად, დღეს რომ დეკემბრის დამლევია, დღეს რომ ევროპის უმეტეს ნაწილში ხალხი სიცივით კვდება და ხელებს ორთქლით ითბობს, ჩვენში შემოდგომის ნაზი სითბო დგას და ხე-ხილი ხელმეორეთ ყვავის. იმერეთში ტყეში დღეს იას ჰკრეფენ, და ახალი ტყემლის საწებელს ხმარობენ. — ეს მართალია. ბუნებას ჩვენთვის არც ერთი მომხიბვლელი და სანატრელი თავისი

სიკეთე არ დაუკლია. არც ჩვენ თვითონა ვართ ზარმაცნი და უხეირონი. ჩვენი ხალხის ნიჭს, მოხერხებას, მეცადინეობას დღეს მტერიც და მოყვარეც ჰკვირობს. მაგრამ უბედურება ეს არის, რომ თუმც ჩვენ არც ბუნებას დაუჩაგრივართ, არც გონებას დაუვიწყნივართ, მაინც უკანასკნელი ევროპიელი ხალხი ჩვენზე უკეთესად და ხეირიანად ჰსცხოვრობს, ჩვენზე უფრო სახარბელ მდგომარეობაშია...

რომელი ევროპის მხარეც გინდათ ავიღოთ, ჩვენს ქვეყანასთან შესადარებლად, ვნახავთ, რომ იქაც ხალხი უმჯობესათ სცხოვრობს, უფრო გონიერად სარგებლობს ღვთისაგან მინიჭებული „ტალანტით", ვინემ ჩვენში. მიბრძანდით, აბა, და მოიყვანეთ აქ უკანასკნელი იქაური გლეხი, ჩააყენეთ ჩვენს მდგომარეობაში, გააცანით მას ჩვენი გარემოება, და ნახავთ, რომ მეორე დღესვე გეტყვისთ — არა, ჩვენში სატუსაღოში დაბმა მირჩევნია თქვენთან ცხოვრებასაო.

რისთვის, ვითომ? მისთვის, ბატონო, რომ მარტო ბუნების სიუხვე და მარტო კერძო ბედნიერება როდი შეადგენს ხალხის კეთილდღეობას, ან ქვეყნის სიკეთეს. მაგალითად, რას მიპასუხებ შენ თვითონ, ჩემო მკითხველო, პირადად რომ აი ეს კითხვა დაგიდვა „რომელს საზოგადოებაში გირჩევნია ცხოვრება — ორას შემძლე, ბედნიერ, მაგრამ გაუტანელ ვიგინდარებს შუა, თუ ორას გაჭირვებულ, უბედურს, მაგრამ ერთგულს და დამხმარე მოძძეებს შორის? დარწმუნებული ვარ, რომ ამ კითხვაზე დიდხანს როდი დაფიქრდები, პირდაპირ მიპასუხებ: რასაკვირველია მოძძეებთან სჯობია ცხოვრებაო, თორემ თუ კი მე ყველასთვის ვიგინდარა ვიქნები, თუ კი მთელი ქვეყანა მტრად მეყოლება, ფეხებზე მკიდია მისი სიმდიდრე და კეთილდღეობა... თუ კი ერთი ფეხი რომ გადამიბრუნდეს და მომაკვდავად ვეგდო, ვერავისგან ერთს ჭიქა წყალს ვერ მოველი, ამგვარ საზოგადოებასთან ცხოვრებას მგლებთან ყოფნა მირჩევნიაო...

დღეს ჩვენ მართლა რომ ახირებულ მდგომარეობაში ვართ, და გაჭირვებულ დროებას მოვესწარით. რაც უწინ ჩვენი წინაპრების სარწმუნოებას და ზნეობით მცნებას შეადგენდა — ძმობა, ერთობა, ერთმანეთის დახმარება, ერთი საზოგადო სული, ერთი საქვეყნო გული, — ეს ყველაფერი დღეს უარნაყოფი და დავიწყებული არის. ჩვენ როდიღა გვწამს, რაც ჩვენს ძველებს სჯულის საფუძვლად მიაჩნდათ, როდიღა გვეშინია მისი, რაც იმათ ცუდ ვნებებს ლაგმავდა, როდიღა გვენატრება ის სასყიდელი, რომლითაც მათი სარწმუნოება მათ სიკეთეს და ქველის მოქმედებას დეზავდა. დღეს დიდსა

და პატარას ჩვენში ეს ყველაფერი „ცრუმორწმუნოებათ“, „შეცდომათ“, „უმეცრებათ“ მიაჩნია. ამასთანავე, ჩვენ არც ის ზნეობის მცნებები მიგვიღია, რომლითაც ევროპიელებმა განაახლეს თავიანთი ცხოვრება და ძველი რწმუნების მსგავსად ალაგმეს კაცობრივი ბუნების მავნე ვნებები. დღეს თითოეული ჩვენგანი გამოდის ცხოვრებაში როგორც ველური მხეცი, რომელსაც არაფერი სწამს, არაფერი ამოქმედებს, არაფერი მიიზიდავს, გარდა მისი საკუთარი მ ა დ ი ს ა და ქ ე ი ფ ი ს ა. თუ მოგვშივდა, შეგვიძლიან საკუთარს ძმას ცხვირი მოვკვნიტოთ და საკუთარი შვილის ხორცი შევჭამოთ. ამიტომ რომ ჩვენში არაფერი ლაგმავს ჩვენს მადას, აღარაფერი გვასწავლის მოთმენას, სიმწარის ატანას, არაფერი გვეუბნება, რომ ის ქმნილება, რომლის ხორცით ჩვენ გაძღომას ვაპირებთ, ჩვენი ძმაა. „ხორცი ხორცთაგან და ძვალი ძვალთაგან ჩვენთა“

თუ ჩვენი წუთიერი მადის დაკმაყოფილება მას სანიადაგო ტანჯვას მიაყენებს, ამას ვინ კითხულობს? „მე ქე რა მენაღვლებაო!“, — ეს აზრი: — დღეს მე დაუთმობ სხვას, ხვალ სხვა მე დამითმობსო,— ჩვენ თავში როდი მოგვდის. სხვისი დაჩაგვრა რომ შემდეგში ჩვენვე დაგვჩაგრავს, და ჩვენვე მოგვეკითხება — ეს აღარავის ახსოვს. ერთიღა ლაგამი დაგვრჩენია — სისხლის სამართლის შიში, ც ი მ ბ ი რ ი ს მ ო რ ი დ ე ბ ა, — და თუ კი ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ციმბირში არ დავიკარგებით, ყველაფერს გავბედავთ. ყველაფერს ვიკისრებთ, თუნდ კაცის მოკვლაც რომ იყოს...

ამას ჰქვია ორი სახელი: „ხალხის ზნეობის დაცემა“ და „ქვეყნის დამხობა“. რათ მინდა პირადი კეთილდღეობა, სიმდიდრე, პატივი, თუ კი გარშემო ისეთი პირნი გვახვევიან, რომელსაც არაფერი დაუშლის ჩემ გაცარცვას, შეჭმას, დამხობას, დარჩობას? თუ კი ვერვის დავენდობი, ვერვისზე იმედს ვერ ვიქონიებ, ვერვისგან შემწეობას ვერ ველირსები გაჭირვების დროს?

წარსული წელიწადი ჩვენს ქვეყანაში სწორეთ აი ამით არის საგოდებელი და შესანიშნავი, რომ იმან ცხადად და საშინელი სახით დაგვანახა ეს ჩვენი საზოგადო სენი, ეს ჩვენი უბედურება. უწინ ამგვარივე უხეირობები ჩვენ კერძო მოვლენად გვეჩვენებოდნენ, იმგვარად, როგორიც ყოველგან მოხდება ხოლმე. შარშან კი ეს მოვლენები ჩვენ წარმოგვიდგნენ სხვა და სხვა სფეროებში, და მერმე ისე, როგორც საზოგადო მოვლენა, და არა კერძოობითი. მოდი, და ნუ იგოდებ შენ, მოდი და ყინვარე შაქრით ან ფორთოხლით გაიქარწყლე ამგვარი სიმწარე!

რას მოვესწარით ჩვენ შარშან?

სამს სრულიად მოულოდნელს, უშველებელს და დამხობელს მოვლენას...

პირველი მოვლენა, ყველაზე უფრო უმცირესი, ის იყო, როცა უმაღლესი სწავლის მიმღებმა კაცმა იკადრა, როგორც ზოგიერთნი ამბობენ, უმანკო სისხლის დანთხევა — უმანკო ქალის წახრჩობა — მარტო პირადი სარგებლობისათვის, მარტო ფულის ანგარიშისათვის. დღემდი ერთი მარტივი რწმუნება შერჩენოდა ჩვენს ხალხს — მეცნიერების პატივისცემა, სწავლის ყურისგდება, ის რწმუნება, რომ სწავლა და მეცნიერება აკეთილშობილებს და აპატიოსნებს კაცს. ჩვენს ხალხს, რომელიც აღარაფერს ენდობა და არაფერს იჯერებს, დღემდე სწავლა მაინც სწამდა, მეცნიერების მაინც ერიდებოდა. ამ ძვირფას რწმუნებას, ამ წმინდა და მომავლიან გრძნობას ძირი გამოაცალა და ბოლო მოუღო ანდრეევსკის ქალის დახრჩობამ...

მართალია, სხვაგანაც მომხდარა ამგვარი საზარელი მოქმედება, სხვაგანაც ნასწავლს კაცს მოუკლავს ვინმე. განათლებულს საფრანგეთში ლაპომრე დოქტორი იყო, მაგრამ მეცნიერებამ იმას არ დაუშალა ქალის მოწამვლა. რუსეთში დანილოვიც სტუდენტი იყო, მაგრამ იმანაც კაცი მოკლა. მაგრამ იქ ეს მ ა რ ტ ი ვ ი, კერძოობითი მოვლენა იყო, ამიტომ რომ ყველა მეცნიერებმა საფრანგეთში, როგორც რუსეთში, ზიზღით და დაუზოგველად კაჰკიცხეს და დადაგეს ამგვარი დამნაშავენი. იქ მათთვის თავი როდი ვისმეს გაბოუდვია, მათთვის ფული როდი ვისმეს დაუხარჯავს, და მათი დანაშაულობა, მათ გარდა, არავის სცოდნია და მათთან არავის განუზრახავს. ჩვენში კი რამდენმა გამოიდვა თავი, რამდენმა იქადაგა „ტყუილიაო, არ მოუკლავსო, და თუნდ მოეკლას, რა უყოთო, მაინც არ უნდა ვთქვათო!“ ამით ზნეობითი ჩირქი დაედვა მთელს იმ საზოგადოებას, რომელიც მისთვის სცდილობდა, რომელიც მისი გულისთვის ქადაგებდა და თავს იკლავდა...

ქვეყანაზე იმისთანა საზოგადოება არ მოიძიება, რომელშიაც ერთი ან ორი, ან ოცი ცუდი კაცი არ იპოებოდეს. მაგრამ ხეირიან საზოგადოებაში, როცა რომელიმე მისი წევრი ცუდს რასმე იმოქმედებს, დანარჩენები თვითონ სდევნიან და ლაფს ასხამენ ამგვარ წევრს, აგდებენ იმას საზოგადოებისაგან, გამოააშკარავებენ მის ცუდს, და მარტო ამნაირი მოქმედებით ამ წევრის ჩირქი არ მოედობა მთელს საზოგადოებას. ის საზოგადოება, რომელიც თავისი წევრის ცუდს მალავს და აფუჩეჩებს, თავის თავზე, ყველა თავის წევრებზე იღებს მის ჩირქს და სიგლახეს. ეხლა მიბრძანეთ, როცა

ერთმა ან ორმა განათლებულმა კაცმა კაცი მოკლა, დანარჩენებმა რა ჰქნეს? ვინ გაჰკიცხა მათი მოქმედება, ვინ ჩაუდგა კვალში მათ სიგლახეს, ვინ ააცილა მთელს ახალგაზრდობას დამნაშავეობის და კაცის მკვლელობის ჩირქი? — ერთმა თუ ორმა. დანარჩენები კი ჰქადაგებდნენ კარის კარამდე „არაფერიაო, ტყუილიაო, რა უყოთო, ससूो!“

ამ შემთხვევას რა გავლენა ექნება ჩვენი ხალხის ზნეობაზე და მის გონებაზე, ამას ჩვენ ამ ხუთს-ექვს წელიწადში დავინახავთ. და მაშინ კი გაგვიკვირდება — რამ წაბილწა ჩვენი ხალხიო, რამ წაუხდინა მას ნდობა, რწმუნება და მეცნიერების მორიდებაო!

* * *

მეორე უფრო შესამჩნეველი მოვლენა, უფრო ხანგრძლივად მაენებელი, აი რა იყო:

შარშან ბანკების და აზნაურობის კენჭის ყრის დროს, ჩვენმა საზოგადოებამ პირველად დაინახა საქმეში ჩვენი ვითომ ახალი თაობა, და ეს თაობა წარდგა საზოგადოების წინაშე მეტის მეტად ბნელი მხრით.

მის მაგიერ, რომ იმას თვალი აეხილა გაუნათლებელი და უმეცარი ხალხებისათვის, მის მაგიერ, რომ იმას ესარგებლებია საქვეყნო ყრილობით ხალხის გონების ასამაღლებლად, მის მაგიერ, რომ იმას ეძებნა მარტო საზოგადო სიკეთე, პირადი სარგებლობის დავიწყებით, ამ თაობამ დაივიწყა ყველაფერი, რასაც უწინ ამბობდა. იმან ისარგებლა საზოგადო უმეცრებით, და თვალი აუხვია უიმისოდაც დაბნელებულ ხალხს. პირველი მისი საქვეყნო სიტყვა, პირველი დარიგება, რომელიც იმან ხალხს მისცა — იყო: „ნურავის ალაპარაკებთ, ნუ განსჯით საქმეს, ნურაფერს დაიჯერებთ, რაც ჭკუაში შოსასვლელი იყოს, ან რაც დაინახოთ. თქვენ ხართ ძალა, უმრავლესობა თქვენია, იხმარეთ ეს ძალა; რისი ცოდნა, რისი ჭკუა, რისი გამჭრიახობა: კენჭი და მისი ძალა! ჩვენთანა არს ღმერთიო!“

აი, ეს გახლდათ ის ახალი სიტყვა, რომელიც ჩვენი ხალხის ცხოვრებაში შეიტანა შარშან ჩვენმა ვითომ ახალგაზრდობამ. ძალით, უმრავლესობით, ხანჯლებით მოინდომა იმან სიმართლის გათელა, სწავლის დახშობა, უმცირესობის ალაგმა, იმ უმცირესობის, რომელსაც მარტივ იარაღად ჰქონდა შეგონება, გაფრთხილება და საზოგადო სიკეთე. ძალა იხმარა ამ ვითომ განათლებულმა ვითომ ახალგაზრდობამ ჭკუის წინააღმდეგ, როცა დაინახა, რომ ვერ შეეძლო მოაზრების მოაზრებით მოგერება, ვერ შეეძლო თავის სარ-

გებლობის დაცვა ცოდნით. ჭკუით და გონიერებით. ეს ჩირქი, ეს სიგლახე ინას სამუდამოდ შერჩება, და საფლავშიაც ჩაჰყვება.

ამას გარდა, ესვე ვითომ განათლებული ვითომ ახალგაზრდობა ერთ საძრახის გზას დაადგა.

იმან დაინახა, რომ ჩვენს ქვეყანაში უმრავლესობა უმეცარია, რომ ეს უმრავლესობა უძლურია თავისი უმეცრებით, და თვითონ ამ ვითომ ახალგაზრდობას კი ხელში ზოგიერთი საჭირო „სეკრეტები“ უკავია, მაგალითად „უსტავების“ ცოდნა, რუსული ენის გაგება და სხვ. „ვისარგებლოთ ამ ჩვენი მდგომარეობით, მოვაჩვენოთ საზოგადოებას და ხალხს, ვითომ ჩვენ დიდი რამ მეცნიერება და უშველებელ, მიუწვდომელი რამ „სეკრეტი“ გვიშოვია, ისეთი, რომელსაც ხალხი ვერ მიწვდება თავის ჭკუით, და ვეამოთ პური ამის შემწეობით. და ორშაურიანი შრომისთვის, სრულიად უბრალო აზრისთვის იტაცევენ ვაება ჯამაგირებს, უშველებელ ადგილებს და თითქმის საშვილიშვილოთ იმკვიდრებენ საზოგადოების შემოსავალს და სიმდიდრეს.

ეს იყო, განა, ის უანგარო სამსახური, რომელსაც ჩვენი თაობა ჰპირდებოდა ჩვენს ხალხს და ქვეყანას? ეს იყო განა ჩვენი „მამულის ერთგულება“, მამულისთვის თავის დადება? იმისთვის გამოვიზარდეთ, განა, რომ ჩვენს მებეგრეთ გაგვეხადა ჩვენი ღარიბი და უძლური ხალხი, რომ მისი უმეცრებით გვესარგებლებია, მისთვის თვალი აგვეხვევნა, მისთვის ორი კაპეიკის შრომა გერკულესის ჯაფად მოგვეჩვენებია, და ოცი თაბახის გადმოწერისათვის უფრო მეტი სასყიდელი გვეთხოვა და მიგვეღო, ვინემ დავით აღმაშენებელს, თამარ დედოფალს და მეფე ერეკლეს მიუღიათ მათგან ამაღლებულ და სახელგანთქმულ ხალხისაგან!

ჩვენი თაობა შერცხვა ხალხის წინ, შერცხვა მით, რომ გამოდგა ხალხის უმეცრების ექსპლუატატორათ, ხალხის უძლურებით მოსარგებლეთ... როდის დაიბადება ახალი თაობა, რომელიც ხალხს დაუბრუნებს ძველს რწმუნებას სწავლის უანგარობაში, გარდუხდის ეხლანდელს მის გაცარცვას, გაანთავისუფლებს შარშანდელის დაბრმავებისაგან? ვინ იცის! ის კი კარგათ ვიცი, რომ მანამდე მტკვარში და რიონში ბევრი წყალი ჩაივლის!

* * *

მესამე, უფრო უსაშინელესი მოვლენა იმაში მდგომარეობს, რომ შარშან ჩვენი სოფლის ხალხი, ჩვენი გლეხ-კაცობა გაჭირვებაში იყო, და ამ გაჭირვებაში ცდაცურებდა გამწარებულად...

ამ გამწარებაში და გაჭირებაში იმისთვის ხელი არავის გაუწყვია, ჩვენი ახალ თაობისაგან, მისთვის არც დარიგება, არც დახმარება, არც შველა არავის მიუწოდებია... ამით ხალხსა და ნასწავლებს შუა უფრო და უფრო დიდდება და ღრმავდება გამყოფი თხრილი, და უფრო და უფრო იკარგება მამაპაპობრივი ერთობა. ვინ ისარგებლებს ამით? ვის დააკლდება ეს?..

* *

აბა ეხლა მითხარით, მკითხველო, ჩვენი ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის საგოდებელი გვქონია რამ საახალწლოდ, თუ სასიხარულო?

---

3. გაფრთხილება

ზოგიერთი სენი ისეთ რიგათ გამჯდარა ჩვენი საზოგადოების ძვალსა და რბილში, რომ მის ამოსანერგავად კაცმა ერთხელ კი არა, მგონია ოცდაათჯერაც უნდა წაუწეროს ავადმყოფს კარგი მაგარი ღეკოხტი. ამგვარი სენის რიცხვს ეკუთვნის ის უსინდისობა, რომ-ლითაც ჩვენში ყველა ჰკიდებს ხელს სრულიად უცნობს საქმეს და კისრულობს სრულიად აუწონავს ტვირთს. თუმც ბევრჯერ მიმიქცევია მე მკითხველი საზოგადოების ყურადღება ამ ჩვენს უბედურ თვისებაზე. ჯაგრამ დღეს, ხელახლავ საჭიროა მასზე ლაპარაკის ატეხა. მით უფრო, რომ დღეს ეს სენი ჩვენ ახალ კანში გვეჩვენება...

მოგეხსენებათ, რომ ჩვენში არავინ, არც დიდი, არც მცირე, არ იტვირთებს, მაგალითად, კუპრიელის გაკეთებას ან ყასბობას, ანა და ხარაზობას, არ ითაკილებს სთქვას: მე ეს ხელობა არ შემისწავლია, მისი არა მესმის-რა და არ შემიძლია, რომ ის შევასრულოო. თუ ჩააჯინ-დით, დაუმატებს კიდეც: ეს საქმე რომ ვიკისრო, ტყავსაც წავახდენ და დროსაც დაგაკარგვინებთო. მაგრამ იგივე პირი, რომელიც ყას-ბობას არ ჰკიდებს ხელს იმ საფუძვლით, რომ მე ეს ხელობა არ შე-მისწავლიაო, დაუფიქრებლად მზადაა იკისროს, მაგალითად, მსაჯუ-ლობა, ბანკირობა, ქალაქის მმართველობა და სხვა ამგვარი თანამ-დებობა. თითოეულს ამ თანამდებობას, სულ უკანასკნელი, ასჯერ მაინც უფრო მეტი ცოდნა და დამზადება სჭირია, ვინემ ყასბობას. მაგრამ საკვირველი ისაა, რომ კაცი არ გამოჩენილა ჩვენში, რომელ-საც სინიდისი გაღვიძებოდეს ამგვარი თანამდებობის ძიების დროს და ეთქვას: რადგანაც მე სრულიად არაფერი მისწავლია ამ თანამ-დებობისა, მე მისი აღსრულება არ შემიძლიან და სჯობს, მასზე უა-რი ვთქვაო. ამ მიზეზით ჩვენ ვხედავთ წამ და უწუმ, რომ სხვა და სხვა რთულ და მძიმე თანამდებობას ეწაფებიან სრულიად მოუმზა-დებელნი პირნი, რომელნიც, რასაკვირველია, გაკეთების მაგიერ, ჰფუშავენ და ახდენენ მათგან ნაკისრ საქმეს.

ეს შენიშვნა მე ორჯერ-სამჯერ გამომითქვამს ჩვენს მწერლობა-

ში, და დღეს მე იმას როდი მიუბრუნდებოდი, ესეც სათაკილო და მავნე მოვლენა სხვა, უფრო მძიმე სფეროებში რომ არ გადასულიყო და სხვა, უფრო ხელუხლებელი ფორმა არ მიეღო.

თუმც დიახაც საკნებელია საზოგადოების ერთი ნაწილისათვის რომ დაუმზადებელი და უმეცარი პირი ბანკის საქმეს ჰკიდებს ხელს, ანა და ქალაქის მმართვას ჰკისრულობს, მაგრამ ეს ვნება ეკუთვნის მატერიალურს მხარეს, და შეადგენს საზოგადოებისათვის მატერიალურს ზარალს. ამგვარი მოქმედებით ბანკის წევრებს ეკარგებათ ფული, ანა და საშუალება ფულის გამოტანისა; ქალაქის მცხოვრებლებს შკოლები აკლდებათ, ან ქუჩები უტალახიანდებათ და სხვ. მაგრამ თითოეული ამგვარი ყმაწვილის მოქმედება ზიანს როდი აძლევს მთელს საქართველოს, როდი ავნებს მთელს ჩვენს ხალხს და ჩვენი ქვეყნის მომავალს. სულ სხვანაირია იმ პირების როლი, რომელნიც წინდაუხედველად, მოუმზადებლად, უმეცარივით ხელს კიდებენ მწერლობას და საზოგადო აზრს. მათი შეცდომა ხშირად შესამჩნევს კვალს სტოვებს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მათი უმეცრება ხშირად ოცი და ორმოცი წლით აბრკოლებს ჩვენი ქვეყნის წინწაწევას და კეთილდღეობას. აქ, მართალია, მატერიალური ვნება იშვიათია, მაგრამ, სამაგიეროთ, გაუზომავია ის ზნეობითი ვნება, რომელიც ჰღუპავს მთელს თაობას და აბრკოლებს მთელს ხალხს...

მწერალი, ან ის კაცი, რომელიც კისრულობს მრჩევლათ გაუხდეს თავის საზოგადოებას და თითქმის წინამძღომლად გამოვიდეს თავისი ხალხისა, ისეთ უშველებელს და მძიმე მოვალეობას კისრულობს, რომლის სინიდისიანად ასრულებისათვის საჭიროა ათასნაირი პირობა. ხეირიანი კაცი, რომელიც ამ მაღალ დანიშნულებას ეძებს, უნდა იყოს ჩინებულად მომზადებული ერთს რომელიმე საგანში კი არა, თუთხმეტ და ოცს მეცნიერებაში. საზოგადო ცხოვრებაში ერთი ისეთი მოვლენა არ მოიპოვება, რომელიც ერთსა და იმავე დროს არ ეხებოდეს ხუთს-ექვს სხვა და სხვა მეცნიერებას. მის დასაფასებლად და გასარჩევად საჭიროა, რომ კაცს შეეძლოს ყველა ამ მეცნიერებების მხრით გაარჩიოს ამ მოვლენის თითოეული მხარე. მაგალითად ავიღოთ თუნდ იმისთანა სულ უბრალო საქმე, როგორიცაა შკოლების გამართვა. მისი სინიდისიანად გასასჯელად მწერალს სჭირია ცოდნა პედაგოგიური სისტემებისა, სოფლების ეკონომიური მდგომარეობისა, ხალხის ნაციონალური მიმართულებისა, ქვეყნის ფინანსური ძალისა, დანარჩენ ქვეყნებში შკოლების საქმის მსვლელობისა და სხვა და სხვა. უწარჩინებულესი პედაგოგი, რომელიც ჩინებულად დამზადებულია შკოლაში ყმაწვი-

ლის აღზრდისათვის. შეიძლება რომ სრულიად დაუმზადებელი იყოს შკოლის საქმის გარჩევისათვის მწერლობაში, ამიტომ რომ იმისთვის ხშირად სრულიად დახშული არიან ყველა ეს მეცნიერებები, პედაგოგიის გარდა...

თუ ასე ძნელია წვრილმანი საზოგადო კითხვების გარჩევა და მათზე ხელმძღვანელი აზრის გამოთქმა, მიბრძანეთ, რამოდენად უფრო მძიმე უნდა იყოს იმისთანა საქმეებზე აზრის გამოთქმა, როგორც მთელი ერთი ხალხის მომავალი, ან მთელი ერთი ქვეყნის ხელმძღვანელობა?

ეს საქმე თხოულობს კაცისგან ხანგრძლივ სინიდისიან დამზადებას, რომელსაც ოთხი და ხუთი წლის შრომა როდი კმარის, თხოულობს ამას გარდა ხეირიან გონებას, დამჯდარ მსჯელობას და დიდს გამოცდილებას. ასე გასინჯეთ, რომ პატიოსანნი მწერლები, რომელთაც ყველა ეს საუნჯენი უხვათ აქვთ, ისინიც კი თითოეული ახალი საზოგადო კითხვის აღძვრის დროს თავს იმტვრევენ, წვალობენ და ათასჯერ ზომავენ ყველაფერს, რაც კი იციან, სანამ ერთხელ „მოჭრას" გაბედვენ. ესე იგი სანამ თავიანთ აზრს გამოთქმენ...

ეხლა ვნახოთ, რა სურათს წარმოგვიდგენს ჩვენ აქ ჩვენებური ახალგაზრდობა, რომელიც ჰკისრულობს ჩვენი საზოგადო აზრის წინამძღოლობას.

წაბრძანდება რომელიმე ჭაბუკი რუსეთში ანა და სამზღვარს გარეთ, წაიკითხავს ხუთს-ექვს პაწაწინა წიგნს, დაათვალიერებს ქუჩებს და ყავახანებს, და დაბრუნდება უკან, სრულიად დარწმუნებული. რომ მასში მსოფლიო მეცნიერებაა დაბუდებული. არც ეჭვს, არც ფიქრს, არც ზაფრას მის თავში ადგილი არა აქვს. თუ ქვეყანაზე უწინ ყოფილა რამე ცოდნა, თუ არსებობს ხალხში ის ისტორიული ტრადიცია, ან მამაპაპური მიმართულება და თვისებები, ამას ის არც დაეძებს, არც იცის, თუ საჭიროა ძიება. ის სრულებით დარწმუნებულია, რომ რაკი იმას ორიოდე ბროშურა წაუკითხავს ფლეროვსკის და მისი მსგავსებისა, მეტი აღარაფერი ცოდნა აღარ სჭირია უწინ რომ მეცნიერები ყოფილან, კაცობრიობის თვალის-ამხსნელნი, ყველა ეს — მეცნიერები, ამ ყმაწვილების აზრით, „დაბერებულები" არიან. მათი შესწავლა, მათი თხზულებების გაცნობა ვის სჭირია! და ის კი არავის ესმის, რომ ბროშურების დამწერნი სწერენ იმ საზოგადოებისთვის, სადაც ყოველ ხეირიან კაცს თავში გათქვეფილი აქვს ყველა ის უკვდავი ჭეშმარიტებები, რომელნიც უწინდელ მეცნიერებს კაცობრიობისთვის უძღვნიათ. ის კი არავინ იცის, რომ ფლეროვსკები სხვისგან დამზადებულ საფუძველზე და შენო-

ბაზე ადებენ თავიანთ საკუთარს ერთს ახალს აგურს. ჩვენ ყმაწვილებს კი ჰგონიათ, რომ თუ იმათ მარტო ეს ახალი აგური გაიცვნენ და გადმოიტანენ, ჩვენშიაც მზათ იქნება ის შენობა, რომელიც ევროპიული საზოგადოების სიამაყეს და იმედს შეადგენს!

მობრძანდება-მეთქი ამგვარად დაუმზადებელი ყმაწვილი, და მის მაგიერ, რომ სწავლა შეისრულოს ჩვენი ხალხის და მდგომარეობის გაცნობით, რომ ჯერ რითიმე საზოგადო ნდობა დაიმსახუროს, მივარდება პირდაპირ ისეთი კითხვების სჯას, რომელშიაც სრულიად არაფერი ესმის, და იწყებს ისეთს საქმეებზე აზრის გამოთქმას, რომელზედაც უწარჩინებულესი მეცნიერი ორს-სამს თვეს მაინც გამწარებულად იფიქრებდა. მერმე როგორ კითხვებზე და როგორ საქმეებზე ლაპარაკობს ის? იმისთანაებზე, რომელნიც პირდაპირ შეეხებიან მთელი ხალხის მომავალს, რომელნიც შეადგენენ ჩვენი ქვეყნის ასავალ-დასავალს!

ყოველ კაცს სრული ნება აქვს ისე გაატაროს თავის დრო და ისე მოიხმაროს თავის ენა, როგორც იმას სურს. მაგრამ როცა ვისმეს ლაპარაკი და ვისმეს დროს გატარება შეეხება მთელი ხალხის, ან მთელი ქვეყნის აზრს და მომავალს, მაშინ არც ერთმა სინიდისიანმა კაცმა არ უნდა იკისროს „ალა-ალათ“ როტვა და ყბედობა. თუ კი არც ერთი პატიოსანი და სინიდისიანი კაცი ვერ გაბედავს რჩევის მიცემას ერთი თავისი მეგობარისათვის, სანამ კარგად არ გასჯის მის საქმეს, რა ნაირად უნდა ჩაითვალოს პატიოსნების რიცხვში ის კაცი, რომელიც ალა-ალათ ბედავს რჩევის მიცემას მთელი ხალხისათვის? თუ კი ყოველს ხეირიანს კაცს ემძიმება სრულიად უბრალო ბანქოს თამაშის დროს მეგობრისთვის რჩევის მიცემა, რა სახელი უნდა დაერქვას დაუფიქრებელ რჩევის მიცემას იმისთანა საქმეებში, სადაც რჩევის ასრულებას მოსდევს მთელი მხარის ბედი და უბედობა?

იმ ქვეყნებში, სადაც საზოგადო ცხოვრება ხეირიან კალაპოტშია ჩამჯდარი, ვერავინ ვერ ნახავს ამგვარ სავნე მოვლენას. იქ. მეტი-რობა და მატრაკვეცობა საზოგადო საქმეებში ბოიქმის სრულიად უცნობ მოვლენას შეადგენს. იქ ახალგაზრდობა ერთათ იკრიბება, და ამ ყრილობაზე თითოეული თავის აზრს გამოსთქვამს, დანარჩენები ამ აზრს დააფასებენ, ასწონიან, განსჯიან, და მარტო ამგვარი მხაროვანი განსჯის შემდეგ მიიღებენ გარდაწყვეტილებას, თუ რა აზრს და რა საქციელს დაადგენენ. ამის წყალობით, სამზღვარს გარეთ, ჩვენ იშვიათად ვხედავთ სხვა და სხვა ტუტუცურს ან ბავშვურს პროექტებს, უფრო იშვიათად ვესწრებით მოუაზრებელს და-

აჩქარებულს მოვლენებს და თითქმის სრულიადაც არ ვესწრებით იმისთანა, უსარგებლო ძალისა და დროის კარგვას ახალგაზრდობისას, რომლის მოწმეთ ჩვენ ასე ხშირად ვართ ჩვენში.

კარგად ვიცით, რომ ეს ჩვენი სიტყვები არავის არ ასწავლიან ჭკუას. ინგლისში, წყევლაში, აი ამ სიტყვებს ხმარობენ: „ღმერთმა არც შენ გაცოდინოს რამე, არც სხვისი დაგაჯეროსო". არ ვიცი ვინ, ან როდის დასწყევლა ასე მწარეთ ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ახალგაზრდობა. ნამდვილი კია, რომ ჩვენზე ამ წყევლას სრულებით გაუჭრია. მაგრამ, თუმც იმედი არ არის, რომ აქ წერით რამე გარიგდეს, ვისურვებ კი მაინც, რომ შემდეგში ჩვენს ქვეყანაში იმისთანა პირების რიცხვი შემცირდეს, რომელთაც ჯიუტად და წინდაუხედველად მარტო უმეცრება ხდის. ვისურვებ კიდევ, რომ იმათ უმეცრებას არავითარი გავლენა არ ჰქონდეს ჩვენი საზოგადოების აზრზე და ჩვენი ხალხის მომავალზე.

---

4. ცოტა კიდევ!

ყოველი პაწია ჭკუის და სუსტი ხასიათის აუცილებელი თვისება ის არის, რომ როცა იმას მსჯელობაში საბუთი ან მოაზრება შემოელევა, ის მაშინვე გამწარებულ ლანძღვას სტაცებს ხელს, თითქო გინებით მოაზრების დარღვევა შეიძლებოდეს. ჩემდა სასიამოვნოთ, ეს თვისება ეხლავე დატყობია უფ. მაჭახელაძეს: იმას ეხლავე წაუვლია ხელი ამ დაცემულობის იარაღისათვის. ჩემი სტატიის წინააღმდეგ იმას მოუბოჭავს ერთი ურემი ლანძღვა, როგორც, მაგალითად, ძაღლი, მაიმუნი, უსინიდისო, სალახანა. და სხვ. და სხვ. და ეს ნაზი იარაღი გამოუტყოცნია ჩემზე პარიჟიდამ".

ლანძღვა და გინება ადვილი საქმეა. ლიტერატურული მსჯელობა გინებაზე რომ იყოს დამყარებული, ჩვენი კინტოები პირველ კრიტიკოსებად გამოდგებოდნენ. ამგვარი იარაღი, საზოგადოდ, მარტო უკანა სცემს, და ჰკლავს მარტო იმას, ვინც მათი ხმარება იკადრა. მაშ მიუტევოთ ეს შეცდომა უფ. მაჭახელაძის გამწარებას და სისუსტეს: ღმერთმა ხომ იცის, რომ იმან არ უწყის რას შვრება და რასა სწერს. გადავიდეთ, ისევ. ჩვენი პოლემიკის უფრო საკადრის მხარეებისაკენ.

როცა უფ. მაჭახელაძის სტატია დაბეჭდა, ჩემი ყურადღება "ბიგ მარტო ერთმა მხარემ მიიზიდა. შიგ შეკრებილი და გამოთქმული იყო ჩემს მწერლობაზე ზოგიერთი იმისთანა აზრები, რომელიც ხშირათ გამეგონა უწინ სიტყვიერად ბევრი ჩვენი ახალგაზრდებისაგან. მარტო ამ მხრით მივაქციე მე ყურადღება უფ. მაჭახელაძის სტატიას, თორემ არც ავტორის ნიჭი, არც მისი მოაზრება და გონების ძალა არ მოითხოვდა ჩემგან ბაასში გარევას. უფ. მაჭახელაძის შემწეობით, მე საშუალება მეძლევოდა პასუხი გამეცა იმ დაბრალებებზე, რომელნიც ხშირად ესმენოდა საზოგადოებაში. მე მივატოვე უფ. მაჭახელაძის სტატიაში ყველაფერი, რაც კი თვითონ დამწერს საკუთრივ ეკუთნოდა, და გავსინჯე მარტო ის, რაც იმას სხვების ნალაპარაკევისაგან გამოეკრიბა და დაებეჭდა. ამ მხრით უფ. მაჭახე-

ლაძეს არც ეხლა დაუკარგავს ჩემთვის თავისი მნიშვნელობა, თორემ ეს მხარე რომ არ იყოს, საკადრისიც არ იქნებოდა მის ნაწერებზე ბაასის გაგრძელება.

მკითხველს ემახსოვრება, რა დაპრალებები გამოთქვა ჩემზე უფ. მაჭახელაძემ, რასაკვირველია, სხვისი ნალაპარაკევის ყურისგდებით. ნიკოლაძეს შრომა ქეიფად მიაჩნიაო, ის დაუდეგარი კაციაო, დღეს სწერს. და ხვალ კი არაო. ის დიქტატორობას ცდილობსო, ბატონობა უნდა ჩაიგდოს ხელშიო, და სხვ. და სხვ. მკითხველს, აგრეთვე, ისიც ემახსოვრება, რამდენი საფუძვლებით დავარღვიე მე ეს ბრალდებები. მაშინ მე მეგონა, რომ უფ. მაჭახელაძე გულწრფელად მარტო ჭეშმარიტებას ეძებდა და სიმართლის აღდგინებას. მე იმედი მქონდა, რომ ჩემი საბუთები დააკმაყოფილებდნენ იმას, როგორც დააკმაყოფილეს ბევრი სხვა ყმაწვილები, რომელნიც უწინ იმავე დაბრალებებს სხვისი სიტყვიდან იმეორებდნენ. მაგრამ უფ. მაჭახელაძე თურმე ჭეშმარიტების მაგიერ სულ სხვა რასმე ეძებს.. იმას თითქოს არც კი გაუგონია და არ წაუკითხავს ჩემი პასუხი, თითქოს არც კი გაუგია, რა მიზეზისთვის არ ვწერდი მე ხანდისხან მთელი წლობით! ამ მხრით ბაასის გაგრძელება საჭირო არ არის. მე, იმიტომ კი არ ვწერ, რომ დავაჯერო უფ. მაჭახელაძე. ჩემთვის სრულიად საკმაოა, რომ სხვანი დაჯერდნენ.

მაგრამ აქ საჭიროა დავანახო ჩვენს საზოგადოებას, თუ რანაირ პატიოსანს იარაღს ხმარობენ ხოლმე მწერლობაში ის ვაჟბატონები, რომელნიც მე უსინიდისოს მიძახიან. დიქტატორობაზე ბაასი რომ ჩამოვარდა, მე დავწერე, რომ თვითონ დიქტატორობა, თავის თავად, როგორც ყოველი საშუალება არც კარგია, არც ცუდი. მისი სიკარგე ან სიავე გარემოებაზე, კაცზე, ზიზანზე ჰკიდია მეთქი. ამ აზრის დასამტკიცებლად მე მოვიყვანე მაგალითი ორი ისეთი დიქტატორებისა, როგორც გარიბალდი და ვაშინგტონი. ეს უბრალო მაგალითი უფ. მაჭახელაძეს გადმოუტრუალებია, და ეხლა ის აჯერებს მკითხველებს ვითომ მე ჩემი თავი გარიბალდისთვის და ვაშინგტონისთვის შემედარებინოს. მეორე ადგილას იგივე უფ. მაჭახელაძე დარწმუნებით ბრძანებს, ვითომ მე მეთქვას საქართველოს ბორნე და ლასალი ვარო! აი, ამგვარი იარაღის მხმარებლები თავიანთ თავს კიდევ ნებას აძლევენ სხვისი პატიოსნების სჯისას. ღმერთს როგორ არ უნდა გაეცინოს ამგვარ საქციელზე!

ცოტა კიდევ უნდა დავაკვირდეთ ჩვენი მსაჯულების იარაღის სიწმინდეს. მე როგორღაც გაკვრით ვთქვი, რომ არაფრად ვაფასებ ზოგიერთ უქმ-ლიბერალებს, რომელნიც სანამ რუსეთში, ან სამზ-

ღვარსგარეთ იპოებიან მთელი ქვეყნის ყირაზე დაყენებას ჰფიქრობენ, და როცა ჩვენში მობრძანდებიან, მაშინ კი თავიანთ სტოლნაჩალნიკზედაც ვერ ჰბედავენ სიტყვის ამოღებას. ეს ერთობ ხშირი შოვლენაა ჩვენში. და უფ. მაჭახელაძეს ვერ გაუბედნია მისი უარყოფა ან დაცვა. „უქმი ლიბერალობა ცუდიაო, — მიპასუხებს ის ეხლა, — მაგრამ ანტილიბერალობა უფრო უარესია. და ნიკოლაძე კი ამ გზას დაადგაო". რასაკვირველია, რომ ამ მძიმე დაბრალების საბუთი იმას არ მოჰყავს. ვიმეორებ, ჩემთვის სულ ერთია, რაც უნდა დაბრალება გამოთქვას კაცმა ჩემზე — ყურები დიდი ხანია შეეჩვევია ამგვარი ყბედობისათვის. მაგრამ, როგორც წინეთ ვთქვი, რომ ბევრი უქმი ლიბერალი მინახავს ჩვენში გაყუჩებული-მეთქი, ეხლაც ვეტყვი უფ. მაჭახელაძეს და იმათ, ვისაც სიტყვასაც ის იმეორებს: მე იგივე ვარ დღეს, რაც თექვსმეტი წლისა ვყოფილვარ, და იგივე ჩავალ საფლავში. იმ პირებში კი, ვინც ჩემს ანტი-ლიბერალობაზე ჩურჩულებდნენ, მე ბარე ორი-სამი მინახავს, რომ პატრიოტობა და სოციალისტობა უფროსების ზურგის ლოკვაში და ენის-მიტანაში გაეცვალოსთ. და წრფელის გულით ვისურვებ უფ. მაჭახელაძისთვის, რომ ივან ამ პირების საქციელს არ წაბაძოს, ვის სიტყვებსაც დღეს ის ასე წინდაუხედველად იმეორებს...

უფ. მაჭახელაძე უფრო ნათლად იჩენს თავის ზნეობით სიწმინდეს მეორე შემთხვევაში. ხომ გახსოვთ, იმან დაბეჭდა, ვითომ მე მარტო მაშინ ვიღებ ხელში კალამს. როცა ვინმე პირადად შემეხება. ამაზე მე უპასუხე, რომ პირადად მე კი არავინ შემხებია. მე თვითონ შევხებივარ პირველი თითქმის ყველასა. და იმისთანა პირებს, რომელთაც პირადად ჩემთან არავითარი საქმე და განწყობილება არ ჰქონიათ-თქო. მაშასადამე, ეს შეხება პირადი საქმე კი არა, საზოგადო მოვალეობის ასრულება ყოფილა-მეთქი. ამ მოაზრებაზე და საბუთზე ის ეხლა ხმასაც ვერ იღებს, მაგრამ ეხლა ის ოინობს და ამტკიცებს ვითომ შეედარებინოს პოლემიკური ჩემი სტატიების რიცხვი დანარჩენი ჩემი ნაწერებისათვის, და დაენახოს, რომ მე უფრო მეტი დამიწერია პოლემიკური სტატიები, ვინემ საზოგადო ინტერესისა. ამას ამბობს კაცი, რომელიც სწერს — ყველა ნიკოლაძის სტატიები წამიკითხავს, რაც კი იმას ქართულად დაუწერიაო. ვისაც ჩვენი მწერლობისთვის თვალი უდევნებია, იმან კარგად იცის, რომ მე ორას სტატიაზე მეტი დამიწერია ქართულად და ამ რიცხვში სულ ბევრი ოცდახუთი თუ მოიძებნება პოლემიკური სტატია. აი, ამას ჰქვია სამართლიანობა, ჭეშმარიტების ძიება,

სიმართლე! და ეს კაცები კიდევ მსაჯულობას სჩემობენ! დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი!

ვინ სჯის, კიდევ და რა ცოდნით, რომ იცოდე მკითხველო! „დროების"[7] პრინციპები გავსინჯეო, ყველა მისი თანამშრომლების ნაწერების დაფასებითაო და დავინახეო... ამბობს მსაჯული, ჩვენი უფალი მაჭახელაძე! იცით, აბა, რა ჰგონებია იმას პრინციპი?

„ეს არის მათი პ რ ი ნ ც ი პ ვ ბ ი: ერთს („დროების" პარტიას) უნდა, რომ სიკეთისათვის შრომა საქეიფო იყოს, და მეორეს კი („ივერიის"[8] პარტიას), რომ სიკეთისთვის შრომა საპატიო იყოს".

რადგანაც ყოფილა ჩვენში იმისთანა გვამები, რომელნიც პრინციპებზეც კი მაღალბანზე სჯიან, და პრინციპი რაა არ იციან, მე საჭიროთ ვრაცხ აუხსნა ამ სიტყვის მნიშვნელობა. პრინციპი, ბატონებო, იმას ჰქვია, რაც შეადგენს კაცის რწმუნებას, მიზანს, რომლისკენ მიილტვის კაცი, საფუძველს, რომელზედაც ის აშენებს თავის ცოდნას, ზომას, რომლითაც ის ზომავს ყველაფერს, რაც კი გზაზე შეხვდება. თუ კაცს უნდა შეიტყოს რომელიმე პირის ან პარტიის პ რ ი ნ ც ი პ ი, იმან უნდა იკითხოს: „რ ა შ ი ა ჩ ნ ი ა ა მ პ ი რ ს ან ა მ პ ა რ ტ ი ა ს ს ი კ ე თ ე თ, რ ა წ ე ს ი ს უ რ ს ი მ ა ს ხ ა ლ ხ ი ს ა თ ვ ი ს", და არა ის, თუ „რ ა თ მ ი ა ჩ ნ ი ა მ ა ს ს ი კ ე თ ი ს ა თ ვ ი ს შ რ ო მ ა — ქეიფათ, თუ პატივათ". ყოველს პარტიის წევრს, როგორც კარგს, ისე ავს, თავისი პარტიის სასარგებლოდ შრომა მიაჩნია ქეიფად და საპატიოდ. ეშაფოტზე გადიან პარტიის წევრები ქეიფიანად, და უაღრესი დამცირება ან გაუპატიურება მიაჩნიათ იმათ ხანდისხან საპატიო და სანატრელად. ნუთუ ამებით უნდა გინირჩეოდნენ პარტიები, ნუ თუ ეს თავისებურებანი უნდა ჰქონდეს კაცს მათ დასაფასებელ ზომათ!

ეხლა მიბრძანოს ვინმემ, „დროების" გარჩევა რომ დააპირა უფ. მაჭახელაძემ — და „დროებას" რომ ზოგიერთები სიტყვიერათ არჩევენ — შეეხო ან უფ. მაჭახელაძე, ან სხვა ვინმე იმ კითხვას, თუ რა მიაჩნია „დროებას" საზოგადო სიკეთეთ? ბევრი წერა და ლაპარაკი როდია საჭირო იმისთანა გამოცემაზე, რომელსაც საზოგადო სიკეთეთ, მაგალითად, კაზარმა მიაჩნია. საკმაოა მარტო ეს გამოთქვას კაცმა, და ამ გამოცემის მნიშვნელობა დამხობილი იქნება. რას ნიშნავს, ეხლა, რომ აი ამ პრინციპებზე არავინ იღებს ხმას? ან იმას, რომ „დროების" პრინციპები იმოდენათ კარგნი არიან, რომ იმათ ვერავინ შეეხება, ანა და იმას, რომ „დროებაზე" სჯიან იმისთანა პირნი, რომელნიც, თუმც პრინციპებზე ლაპარაკობენ, მაგრამ პრინციპი სასმელია თუ საჭმელი ის კი არ იციან.

შეიძლება კაცს კარგი პრინციპი ჰქონდეს, და ცუდი გზით მიდიოდეს მით გამარჯვებისაკენ. ეს ხშირად მოხდება. „დროებას“ თუ საშუალებებს უწუნებთ, ეს საშუალებები ვაარჩიეთ, მაგრამ, თუ გინდათ რომ ხეირი ჰქონდეს თქვენს მსჯელობას, საშუალებას და მიზანს ერთმანეთში ნულარ არევთ. თორემ რა პატივი უნდა დასდვას კაცმა თქვენს ლაპარაკს, როცა თქვენ თითონ მსჯელობის გზას ვერ აგნებთ და თქვენივე ხელით თქვენს მსჯელობას ხაფანგში აბავთ!

პრინციპი არ უვარგა „დროებას“, ამბობს უფ. მაჭახელაძე, ამიტომ რომ უფ. ნიკოლაძეს შრომა ქეიფად მიაჩნიაო. სად ნიკოლაძის, ან თუნდ ყველა „დროების“ თანამშრომლების, ქეიფი — და სად „დროების“ პრინციპი? სასაცილო სისულელე არ იქნება, რომ ვთქვა მაგალითად: უფ. მაჭახელაძეს აზრები არ უვარგა, ამიტომ რომ მისი მზარეული ლოთობსო? აი სწორეთ ამ მოაზრებით და ამგვარი ლოგიკით ხელმძღვანელობენ ჩვენი მსაჯულები.

კარგი, ქეიფად მიმაჩნია მე შრომა, მერე რა? ნუ თუ ზოგიერთებსავით რომ გავიბერო და თითო სიტყვის გამოთქმა ათიოდე ოხვრით და კლაკნით შევაზავო, მაშინ კი პატივისსაცემელი იქნება ჩვენი ნაშრომი? თქვენ ეს გასაჯეთ, რაა ჩემი შრომა, კარგია თუ ცუდი, სასარგებლო თუ მავნებელი, და ვიცინი მე, როცა სტატიებს ვწერ, თუ ვკრუსუნობ, ეს, ბატონებო, ღმერთმანი სრულიად უმნიშვნელო საქმეა. — მაგრამ ვისაც შინაგანი არსების დაფასება არ შეუძლია, ის ყოველთვის მარტო გარეგან გამოხედულებაზე სჯის. ის მარტო ტანსაცმელს აფასებს. მიხვრა-მოხვრას, და არა შინაარსს.

მეორე მაგალითს კიდევ მოვიყვან იმისას, თუ როგორ სჯიან ჩვენი ბრძენნი. რაკი იმათ ვერ შეუძლიათ „დროების“ პრინციპის გასინჯვა და „დროების“ საშუალებების დაფასება, იმათ წაუვლიათ ხელი ერთი დაფხრეწილი ვითომ-აზრისათვის: „დროებაში“ საქმე სიტყვას არ ეთანხმებაო. მე საჭიროდ ვრაცხ უჩვენო ჩვენ მკითხველებს საიდან სწარმოებს ეს აზრი და რაში მდგომარეობს მისი უსაფუძვლობა.

ჩვენი კრიტიკოსები რუსეთში და საზღვარსგარეთ კითხულობენ ზოგიერთ გაზეთებს, სადაც ხშირად სწერდენ: ამა და ამ გამოცემას სიტყვა და საქმე თანასწორათ არ მიპყავსო. მაგრამ რუსეთში და საფრანგეთში ეს სიტყვები აი რას ნიშნავენ. საფრანგეთში, მაგალითად, გამოვა ერთი ვინმე პურტალესი და დაიძახებს: მე გამოვცემ განსაკუთრებით გამბედავ რესპუბლიკურ გაზეთს, მე ყველაზე უფრო წინ-წასული რესპუბლიკელი ვარო. სიტყვით ამისთანა ვაკბატო-

ნი რომ ამას ყვირის, საქმით ის აი რას შვრება: ის აქებს ოსტატურათ ყველა იმ წესებს, რომელნიც ბონაპარტების ტახტის დედაბურჯათ არიან, სდევნის და ცილს სწამებს ყველა იმ კაცებს, რომელნიც რესპუბლიკური პარტიის მოთავე არიან, ავრცელებს ყველა იმ აზრებს, რომელნიც რესპუბლიკური თეორიის წინააღმდეგნი არიან. მაშინ ხეირიანი ვაზეთები სწერენ ამისთანა გაზეთზე: „ძმობილო, შენ სიტყვით ერთს ამბობ და საქმით კი სხვას შვრებიო".

ეს ვერ გაუგიათ ჩვენ ბრძენებს. ამათ ეს სიტყვა მოსწონებიათ, და გაუკითხველად გადმოუტანიათ ჩვენში. მაგრამ რადგანაც იმათ თვითონ არ შეუძლიათ გასაჯონ ჩვენი პრინციპი რაა და რამოდენა ერთგულობით ვუახლოვდებით ჩვენ ჩვენს მიზანს, იმათ მოჩვენებიათ, რომ „სიტყვისა და საქმის ერთობა" აი რაში უნდა მდგომარეობდეს. მაგალითად, „დროებამ" დასწერა: ჩვენში რკინის გზაა საჭიროო. მაშ „დროებამ" თვითონ უნდა გაეშენოს რკინის გზაო. ანა და სთქვა: სასოფლო შკოლების მასწავლებლები სჭირია ჩვენს ხალხსაო; — მაშასადამე, თვითონ მისი მწერლები სოფლის მასწავლებლებათ უნდა წავიდენო. — ერთი სიტყვით, რაღა ბევრი გავაწილადობილო ლაპარაკი, გაუგონიათ ამათ ზარების რეკვაო, და სად არის, ან რა ზარების რეკვაა, ამისას კი ნურას ჰკითხავთ.

რაღა გასაკვირველია, რომ ამისთანა ცოდნის და ჭკუის პატრონი კაცები ვერ შეიდგენენ სრულს და გონიერს აზრს იმისთანა ათასმხაროვანს საქმეზედ, რომელსაც ჰქვია ხალხის ცხოვრების წინწაწევა? მათი ვიწრო ჭკუა, მათი მარტო ერთ პატარა წერტილზედ გახსნილი გონება მარტო ერთ მხარეს აჩვენებს მათ ხალხის საჭიროებებისას. ერთი გამოვა და დაიყვირებს: ხალხს მარტო სასოფლო შკოლები სჭირიაო, და პირად მტრად ჩასთვლის ყველას, ვინც კი იტყვის სხვას რასმე. მეორე დაიყვირებს: არა, ხალხს მარტო სასოფლო ბანკები სჭირიაო, ჯერ გააძღეთ, სწავლას მერე თვითონ შეიძენსო. ესეც გაბღვერილად უყურებს ყველა იმას, ვინც სასოფლო შკოლების ანა და სხვა რამე დაწესების საჭიროებას ჰქადაგებს. მესამე გამობრძანდება და იტყვის: სულ ყველაფერი შეცდომაა, ხალხს მარტო ქართული ენის შესწავლა სჭირიაო, მეოთხე დაობს — არა ზნეობითი გახსნაო, მეხუთე — მატერიალური კეთილდღეობაო და არის ერთი უშველებელი ალიაქოთი და დავა-დარდუბალა ამ ვიწრო შეხედულობის კაცებს შუა. ყველას გულწრფელად სურს ხალხის სიკეთე, ყველას უნდა მისი დახმარება, მაგრამ საუბედუროდ ბათი დრო და ძალა ურთიერთს შუა გამწარებულ ბაასში და დავაში იკარგება. ხალხს ამით ბევრი არა ემატება რა, და ყმაწვილები კი,

ორი სამი წლის დაობის შემდეგ, რწმუნდებიან, რომ „არაფერი გამოდის რაო“, და ჰრგავენ თავს ბიუროკრატიაში... აი როგორ იფანტება და იკარგება ჩვენი ხალხის უმჯობესი ძალა, უკეთესი იმედი, უძვირფასესი საუნჯე, მარტო იმიტომ, რომ არავის თავში არ მოდის უბრალო აზრი: ამ ყმაწვილებში მტყუანი არავინ არის, ამიტომ რომ ხალხს მართლა ყველაფერი ის სჭირია, რასაც თითოეული ყმაწვილი ცალ-ცალკე ჰყვირის. მოვა დრო, როცა ჩვენ, ან ჩვენი შემდეგნი, ამას მიხვდებიან. მაშინ, ურთიერთთან დავის მაგიერ, ისინი თავიანთ შრომას და ძალას შეაერთებენ და ნელ-ნელა მიანიჭებენ, ან უფრო სწორად ვთქვათ, შეაძენინებენ ხალხს ყველაფერს, რაც იმას სჭირია.

აი, რითი აიხსნება ხშირი საყვედური „დროებაზე“. ზოგი იმას ვეუბნება — საკმაოთ ქართველები არა ხართო, და ქართული ენის საჭიროებას ყველაზე უფრო უაღრეს საჭიროებათ არა სთვლითო. სხვანი გვიცხავენ, რომ ერთობ დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ ჩვენ ქართულს ენას, და ხალხის მატერიალურ კეთილ-დღეობას, მის ზნეობით აღდგინებას კი ვივიწყებთ. ზოგი რას გვიწუნებს, ზოგი რას. ყველა ესენი სტამბაში რომ ხმას იღებდნენ, მათი კრიტიკები და საყვედურები ერთმანეთს გააქარწყლებდნენ, და გამოვიდოდა, რომ „დროებას“ ხალხის საჭიროება მარტო ერთი ვიწრო მხრით როდი ესმის, რომ ხალხის ცხოვრება ემორჩილება ათასნაირ ბუნებითს და ხელოვნურს ძალებს, რომლების წინააღმდეგ კაცმა ათასნაირი საშუალება და ძალები უნდა გამოძებნოს. ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ ადრე თუ გვიან ეს მაინც გამოჩნდება. და მაშინ საზოგადოება დაინახავს, რომ „დროება“ არ შემცდარა, ამრიგათ რომ გაუგია თავისი დანიშნულება და მოვალეობა.

აი, რა დავინახე მე საჭიროთ გამომეთქვა უფ. მაჭახელაძის სტატიის იმ ადგილების წინააღმდეგ, რომელნიც შეადგენენ, ჩემის აზრით, ჩვენი ახალგაზრდობის ერთს ნაწილში გავრცელებულს შეცდომას. რაც შეეხება თვითონ უფ. მაჭახელაძის კვინტრიშს და დიალექტიკურს ვაჭრობას, მე. იმათ სწორეთ იმოდენს ყურადღებას მივაქცევ, რამდენი ჩემგანს მის გინებას ეღირსა. თუმც უფ. მაჭახელაძე ამბობს, რომ მართალი აზრი მარტო მაშინ გაიტანს თავისასო, როცა იმას გამოთქმენ და დაიცვენ საზოგადოების წევრებიო, მაგრამ ჩვენი საზოგადოება არც იმოდენად ბრიყვია, რამოდენად იმას უფ. მაჭახელაძე სთვლის. ათასჯერაც რომ დაბეჭდოს უფ. მაჭახელაძემ ის აზრი, რომ კაცი ყირა-მაღლა უნდა დაიარებოდესო, თუნდ

არავინ ამის წინააღმდეგ არ აღიჭურვოს, ამ აზრს მაინც არავინ ჩა-
თვლის გონიერად, და სახელმძღვანელოდ მაინც არავინ მიიღებს.
მაშ ივარჯიშოს კიდევ თავის დიალექტიკაში და ლანძღვაში უფ. მა-
ჭახელაძემ. როცა იმოდენად ისწავლის თავის საქმეს, და იმოდენად
დახელოვნდება, რომ პრინციპი რაა გაიგებს და პრინციპს ხასიათთან
არ არევს, მაშინ, მაგრამ მარტო მაშინ, მე გამოვემუსაიფები იმას.
მაგრამ ჩემი ანგარიშით მანამდე, მგონია, ბარე ოცი მუხა გახმეს
აჯამეთის ტყეში.

---

5. სირაჯ-პოეტი

(ღია წიგნი, მიწერილი ნ. ბარათაშვილთან, საიქიოს)

ძმაო პოეტო!

კაი ხანია, რაც შენთვის წიგნის მოწერა მსურდა, მაგრამ შენი ადრესის უცოდნელობა ნიადაგ ხელს მიშლიდა. თუმცა ბევრჯერ ვკითხე ხახმებს და მოლებს, სად იმყოფები შენ ეხლა, სასუფეველში, თუ სამოთხეში, მაგრამ ამის პასუხი ვერავინ მომცა. ფოშტაშიაც მივიტანე ორჯერ-სამჯერ შენთან მოწერილი წიგნი, ამ უბრალო ზედ-წარწერით: „საიქიოს, ნ. ბარათაშვილს, მყოფ პოეტს“, მაგრამ არც ამით გამირიგდა რა. პეტრე დავიდიჩმა წიგნის მიღებაზე უარი მითხრა: ადრესი გარკვევით და ბეჯითათ ზედ არ აწერიაო. ვეუბნებოდი, თქვენ იქნება იქაური ფოშტალიონები აქაურებსავით მიუგნებლები ggონიათ; თქვენ ოღონდ გააგზავნეთ წიგნი, და იქ ადრესატს ადვილად მოძებნიან-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერეს. საიქიოო, მითხრეს, ჩვენ არც სპისოკში გვიწერია, არც ტაქსაშიო. — მინდოდა ვისმე ხელით გამომეგზავნა შენთვის წიგნი, მაგრამ მანდეთ წამოსვლის მსურველი სრულიად ვერავინ ვიშოვნე. როგორც ხედავ, მეტი ღონისძიება არ დამრჩენია, ეს ჩემი წიგნი ისევ „დროებაში“[7] უნდა ჩავბეჭდო. ალბათ, მანდაურ მთავრობას მოუდის ეს ჩვენი გაზეთი. და იქნება მისი შემოწმებით ამ ჩემმა ბარათმა შენამდინაც მოაწიოს.

— ვითომ რა გქონდა ჩემთან მოსაწერიო, მკითხო იქნება.

ბევრი არაფერი. მინდოდა მეკითხა შენთვის, თუ რა თვალით უცქერ ეხლა შენს ცხოვრებას და მოქმედებას ამ ჩვენს ცოდვილს დედამიწაზედ. მინდოდა შემეტყო, ნანულობ თუ არა, რომ აქ შენ სიმწრისა და გაჭირვების მეტი არა გხვდენია? ნეტა იცოდე, რამდენი ამგვარი და ბევრი სხვაფერი კითხვები მებადება თავში, როცა შენს ბედს ვაფიქრდები და „ქვეყნიერებას“ ვაკვირდები!

მართლა რომ შესანიშნავია შენი უბედური სვე. რა გიშავდა ვითომ, ან რა გაკლდა ამ წუთიერს ცხოვრებაში? ბედმა უხვად მოგანიჭა მხურვალე გრძნობა, გახსნილი გონება, ნარნარი გული და

მშვენიერი ნიჭი. ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც კი შეადგენს ზეციის უძვირფასეს სამკაულს და გვირგვინს. და ამ სამკაულით დაყურსული, შენ თითქმის შიმშილით მოკვდი, ყველასაგან მიტოვებული. შენ შეგეძლო დაწაფებოდი ქვეყნიერების სიტკბოებას, შეგეძლო დაუღალველად გებოჭა შვმოსავალი, ჯამაგირი, ჯილდოები, თაყვანისცემა. ამის მაგიერ შენ დაჭკნი მარტოობაში, თანამედროვეთაგან — უცნობი, ნათესავებთაგან — მოძულებული. ეხლა რომ კაცმა არ იცის როდის მოკვდი და სად დაიმარხე, შენ შეგეძლო ისე ამაღლებულიყავი ამ წუთიერ ცხოვრებაში, რომ შენი გვამი ნათესავებს უცხოეთიდან მოესვენებიათ, და შენს კუბოს წინ მრავალი პაწია ბალიშები გაძღოლოდა, და უკან უთვალავი დიდკაცების გროვა...

შენ როდი გეღირსა ეს „ბედნიერება", ამიტომ რომ შენ გაგიტაცა პოეტურმა ლტოლვილებამ. არც კაცი ვარგაო, ჰფიქრობდი, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში, და სოფელს კი არა რა არგოსო. გამოუდექი შენ ამ „სოფლის რგებას", დაფიქრდი „საქართველოს ბედზე", და ქვეყანას მიეც ფიქრი შენი შავათ მღელვარე. როდის რასმე ერიდებოდი, როდი რასმე ეძებდი, გარდა იმისა, რომ ამაოთ არ ჩაეარა შენს განწირული სულის კვეთებას, და გზა უვალი, შენგან თელილი, სხვებისთვის მაინც დარჩენილიყო. მართალია, ეს შენგან გათელილი გზა დარჩა სხვისთვის, შენი მოკანანახესთვის. სხვა ზედ მოსვენებით და ბეჯითად გაგოგიალდა, და ზედ სამიოდე ნაბიჯის გადადგმით სახელი, გავლენა და პატივი შეიძინა. მართალია, კიდევ, შენი განწირული სულის კვეთებას ჩვენს მამულში ბევრის გული აუფართქალებია, ბევრისთვის გაუმხელია, რომ ისიც ადამიანია, ადამიანური ცხოვრების ღირსი. მაგრამ შენ კი რა გერგო, შენ, ჩემო საბრალო და სულელო ჭაბუკო, ჩვენო ჩინებულო და დიდო პოეტო? შენ თვითონ ამბობ, რომ მოაკლდი ტოლსა და მეგობარსა, არ დაგიტირა სატრფომ გულისა, საბრალო იყავ სულით ობოლი, და ვეღარ ჰპოვე რა დაკარგე შენ ტოლი...

იცი, ძმაო, რათ დაგემართა ეს უბედურება? ამიტომ რომ შენ მარტო პოეტი იყავი და ხეირიანი მაგალითი არ გქონდა თვალს წინ. შენ პოეტურ გვირგვინს დაეძებდი, და მიჩერებოდი იმ ზეციერს სხივს, რომელიც აშვენებდა ანდრე შენიეს, ბაირონის, რილეევის ან ლერმონტოვის თავს. ქვეყნიერებისაგან შენ მეტს არას თხოულობდი, არას ელოდი, და არც კი გეგონა, თუ პოეტს სხვა რამე უნდა ეძებნა ქვეყანაზე. როგორ სცდებოდი, რომ იცოდე!..

შენის სიკვდილის შემდეგ, ძმაო, ქვეყანა შეიცვალა და პოეტებმა „ჭკუა ისწავლეს“. — რისი „სხივიო“, სადაური გვირგვინიო, ჰფიქრობს დღევანდელი პოეტი: არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში, და თავის თავს კი არა არგოსო. ის დღეს იმას ცდილობს, რომ გზა თელილი, შენგან ნავალი, თვითონ მოსვენებით გაიაროს, და სხვებისთვის კი დახშოს და გადაღობოს. აი, ძმაო, ამასავით უნდა გეცხოვრა და გემოქმედა, „ჭკუა რომ გქონოდა!“

დარწმუნებული ვარ, რომ ეხლანდელი ჩვენი პოეტების მაგალითი შენთვის ნათლად გამოსახული არაა. დარწმუნებული ვარ, აგრეთვე, რომ თუ ეს მაგალითი საქვეყნოდ არ გამოვხატეთ და ყველას არ დავანახეთ, ბევრი შენისთანა მიუხვდომელი ჭაბუკი წაიმტვრევს შენსავით შემდეგში ფეხსა და კისერს. ამისთვის მინდა ორიოდე სტრიქონით დაგიხატო ეს მაგალითი, რომ მიხვდე ბოლოს შენს შეცდომას, და სხვები გადაარჩინო შენს წაბაძვას და შენს მსგავსად „დაღუპვას“.

ჭკუა რომ გქონოდა, შენ დაიწყებდი შენს „კარიერას“ ლექსების წერით რომელიმე გამოჩენილი პოეტის კილოზე, და ექვს სიტყვას არ იტყოდი ისე, რომ შიგ „ჰოი მამულო, დაღუპულო“ არ გეხსენებია, ანა და არ გამოგეთქვა, რომ შენს მეტს მამული არავის უყვარს. მთელი ქვეყანა დარწმუნდებოდა მაშინ, რომ შენ ღრმა გრძნობის მფლობელი ხარ, მერმე უნდა დაგემტკიცებია, რომ ამას გარდა, დიდი ძალის პატრონიცა ხარ. ამისათვის გამოძებნიდი ვინმე გამოყრუებულ ნადიაკვნარს, ან გამოფშუტურებულ დედაბერს, და დაუწერდი საშინელ „კრიტიკას“: დაუმტკიცებდი, რომ ისინი რეგვენები არიან, რადგანაც წერაში უბრჯგუს და ჭი-ვეს ბმარობენ. რასაკვირველია, გაიმარჯვებდი ტკაცა-ტკუცით. მერე წამოიწყებდი ჟურნალის გამოცემას, და მთელი წლის განმავლობაში ქვეყანას იმას უქადაგებდი, რომ თანამგრძნობელი არავინა გყავს, არც არავინ გეხმარება, და მარტო შენ სწევ ქვეყნის ჭაპანს. თუ დაინახავდი, რომ ჟურნალი შემოსავლიანი საქმე როდი ყოფილა, რომ ის მწერლისაგან, წერის გარდა, ათასნაირ სხვა ჯაფას და ხარჯს თხოულობს, მაშინ, რასაკვირველია, ჟურნალს უკუაგდებდი და სამსახურში შერგავდი თავს, სადაც შენი მწერლობის რეპუტაცია ხეირიანს ადგილს გაშოვნინებდა.[9]

სამსახურში მოისყენებდი და ჩასუქდებოდი. თუ მაშინ ვინმე გაგახსენებდა ჩვენი ლიტერატურის დაცემულობას, თუ ვინმე უწინ-

დელს ასპარეზზე გამოგიწვევდა, შენ მძიმეთ უპასუხებდი: შიმშილით ხომ ვერ დავიხოცებით, გვაცალეთ, ჯერ შეძლება შევიძინოთ, ჯერ კუჭი გავიძღოთ, და მერე მიცქირეთ, როგორ დავტრიალდეო. ხანდისხან, როცა შეამჩნევდი, რომ მკითხველ საზოგადოებას თანდათან უფრო და უფრო ავიწყდები, ამოიღებდი ძველი ნაწერებიდამ თითო-ოროლა ლექსს „ჰოი მამულო, დაღუპულოს“ კილოზე, და გაგზავნიდი დასაბეჭდად. მკითხველ საზოგადოებას ამით გაეთამაშებოდი: იმას ეგონებოდა, რომ შენ საზოგადო მამულზე სწერ და სტირი. და თუ ვინმე უფროსებთაგანი შეგნიშნავდა, ვინ მამული და ვინ ჩინოვნიკიო, შენ ლმობიერად უპასუხებდი: „ბატონო, მე ჩემს საკუთარს მამა-პაპისეულს მამულზე ვსტირი, რომელიც დაგირავებული მაქვს და რომლის დახსნა არ ძალმიძს. აი ამ აზრით ვსწერ: „ჰოი მამულო, დაღუპულოო“, და გაპატიებდნენ შენს ვალს, მამულს დაგისხნიდნენ და დაგიბრუნებდნენ იმ პირობით, რომ შემდეგში „ჰოი მამულო, დაღუპულო“ აღარ დაგეწერა.

ამასობაში ჩვენს საზოგადოებას საშუალება მიეცემოდა ჯამაგირიანი და შემოსავლიანი ადგილების დარიგებისა. მაშინ შენ შეუპოვრად გამოხვიდოდი საზოგადო სამსახურის ასპარეზზე, და საზოგადო სიკეთის სურვილი შენში იქამდე გაძლიერდებოდა, რომ შენ იკისრებდი იმისთანა საქმეს, რომლისთვისაც დამზადებული არ იყავი. მიიღებდი მაშინ დღეში ერთი საათის შრომისათვის დიდძალს სასყიდელს. დროც ბევრი გექნებოდა მაშინ და თავისუფლებაც, კუჭიც გამძღარი გექნებოდა და თვალიც.

მაგრამ მაშინ დაინახავდი, რომ ნიჭიც, როგორც ყველაფერი ამ წუთიერ დედა-მიწაზე, წუთიერი და წარმავალი ყოფილა. მოინდომებდი ისევ წერას, მაგრამ ბევრი ოფლის ღვრისა და კვნესა-ტანჯვის შემდეგ დაინახავდი, რომ ვეღარაფერს გამოსწურავ შიგნით დამჭკნარ და გარეთგან ქონმოდებულ გულისგან. როცა კარგად დარწმუნდებოდით, რომ ათის წლის უაზრო ცხოვრებას მოუკლავს შენში გონების სიფხიზლე და ჭკუის ძალა, მაშინ ნაცნობს და უცნობს იმის შეჩივლას დაუწყებდი, რომ საზოგადო სამსახური ერთ ფიორა თავისუფალ დროს არ მიტოვებს, და ეს გარემოება წერას გიშლიდ. ადე, უსაქმოთ დაიარებოდე დილიდამ საღამომდე, დაე ნიადაგ გამართული გქონდეს პატიჟობა და სტუმრობა, და დილა-საღამოს ჰადრაკისა და ბანქოს თამაშში ატარებდე, შენ ნიადაგ ის უნდა იძახო, დრო არა მაქვს, ჯაფას ვერ უძლებო. ხალხი, ძამია ჩემო, ბრმა და ტუტუცია. ის ხომ თავისი საკუთარი თვალით ვერ სჯის, იმას ის

როდი სჯერა, რასაც თვითონ ხედავს. ის გამოუკვლევლად, თვალგაუხილველათ იმეორებს, რასაც სხვა ყურში ჩასძახის. ის შენ ნაშრომელ კაცად ჩაგთვლის, თუნდა სრულიად არაფერს შვრებოდე. თამაშის მეტს, და შენივე სიტყვით ცუღლუტს დაუძახებს იმას, ვინც კაცის შრომას სწევს და ერევა.

ამგვარი საქციელი, ჩემო პოეტო, დიდს სარგებლობას მოგიტანდა. სახელად შენ დაგერქმევოდა „მამულის ერთგული შვილი" და შენვე მოგეკვდლებოდნენ ყველანი, ვინც კი ჩვენს ქვეყანაში უტვინონი და დამშეულები იპოებიან: მათი სახელი, ხომ იცით, ლეგიონია. ზოგს შენ პირფერობით მიიზიდავდი, სხვას ადგილს უშოვნიდი, ან ჯამაგირს გაუჩენდი. ეს შენი გროვა ქვით ჩაქოლავდა და ცილის წამებით გახეთქდა იმას, ვინც შენს წინააღმდეგ სიტყვის ამოღებას გაბედავდა.

მაშინ, ძმაო, შეგეძლებოდა ლაგამი აგეხსნა შენი ბუნებისა და სიხარბისათვის, და დაუფარავად გამოდგომოდი აქაური წუთიერი განძის ძიებას. ჩინებულად მოუვლიდი მაშინ შენს მამულს, და სხვისასაც ოსტატურად დააპატრონდებოდი. შენგან აწერილ „საბრალო გლეხებს" და „უბედურ მუშებს" ლაზათიანად დაბეგრავდი და მოსთოკავდი, რომ უადვილესად გამოგეწურა მათგან ნაშრომი. ნაღდ ფულად აქცევდი იმ გავლენას, რომელსაც შენ დიდ-კაცებთან შეგობრობა და ნათესაობა მოგანიჭებდა, და სასტიკ პირობებს გაბოლართმევდი იმათ, ვისაც „საქმის გარიგებას" დაჰპირდებოდი. და ამ გვარად შებოჭავდი დიდძალს შემოსავალს.

მაგრამ არც ამით დაკმაყოფილდებოდი. შენ როდი გეყოფოდა ახალგაზრდობის თაყვანისცემა და დიდკაცობის პატივისცემა. შენ მოინდომებდი მიკირტუმ გასპარიჩების[10] თვალშიაც ამაღლებას. ამისთვის შეაგროვებდი ალაზნის პირზე გლეხებისაგან ბეგრად გამორთმეულ ღვინოებს, და ჩამოიტანდი ქალაქში, სადაც მათ გასასყიდად ღვინის მარანსაც გახსნიდი. გაკვირდებოდნენ მაშინ პოღოს არტემიჩები და პეტრუშ მინაიჩები და იტყოდნენ: „ვა, ეს პოეტი კი არა, მუცელი მუცელთაგან ჩვენთა ყოფილაო".

ან რა გენაღვლებოდა, ვითომ, რომ მარნის გახსნით უარს ჰყოფდი პოეტურს მსახურებას, რომ მარნის ზედ-წარწერითაც გმობდი უმთავრესს შენს ლიტერატურულს შრომას, მით რომ ზედ მსხვილი ასოებით დააწერდი: „ღუინის მარანიო" (უბრჯგუთი). ამას როდი ვინმე გაიხსენებდა. ან ვინ მოიაზრებდა იმას, რომ კაცი, რომელსაც ორი-სამი ლექსის ან სტატიის დაწერის დრო არა აქვს, ადვოკატო-

ბისთვის, მამულების შეძენისთვის და სირაჯობის გამართვისათვის კი ადვილათ ჰპოულობს დროს?

ასე, ძმაო, შენ იყავი მხოლოთ პოეტი, და თაყვანს სცემდი მარტო პოეზიას. ამისთვის მთელი შენი სიცოცხლე იტანჯებოდი, ჭკნებოდი, ხმებოდი, და ბოლოს მოკვდი ჭაბუკი, უნუგეშო, გაუგებარი. ეს სიბრიყვით დაგემართა. გიჯობდა სირაჯ-პოეტად გამოსულიყავ დედიშენის მუცლიდან: მაშინ ჩვენებური, სირაჯული, ჭკუა გაეოგყვებოდა, და შეიქნებოდი სიცოცხლეშივე ქებული, ამაღლებული და ჩასუქებული...

მაშინ „მერანის“ დაწერის მაგიერ შენ „მარანს“ უგალობებდი, სირაჯულ პოეზიას ხელს მოჰკიდებდი და დასწერდი:

გასწი, სირაჯო, შენს მომავალს არ აქვს საზღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი შენი, ლაყე, დამჭკნარი!..

---

6. „ივერიის“ პირველი ნომერი

მოკვდა იგი მებუკეცა,
რომელიცა ბუკსა სცემდა!

სახალხო.

„ივერიის“[8] პირველი ფურცელი, დაპირებისამებრ, გამოვიდა წარსულ ხუთშაბათს, ამ თვის სამს. თუმც ახალი გაზეთის რედაქციამ შიგ საკმაო სისრულით გამოაჩინა თავისი შეხედულება, ძალა და მიმართულება, ისე, რომ გამჭრიახე პირისთვის ადვილია „ივერიის“ მომავალზე სჯის შედგენა, მაგრამ, ჯერჯერობით, ამგვარი სჯის გარდაწყვეტით გამოთქმა, ჩემის აზრით, უდროოც იქნება და უსარგებლოც. მართალია, ჰეინემ თქვა, ვერავინ დამაჯერებს, ვითომ ლომი ჯერ თაგვად დაიბადება და ლომის ბრჭყალები და თვისება კი მას მერმე მიენიჭებაო; მართალია კიდევ, ჩვენი ხალხი ამბობს, რომ საუღლე ხბოს კანჭებში შეეტყობაო, მაგრამ აჩქარებით სოფელი მაინც არავის მოუჭამია. ვაცალოთ დროს, მოხერხებას, მეცადინეობას, შემთხვევას. იქნება ღმერთმა ჰქნას, და ჩვენმა ხბომ მგელი დაიჭიროს. ნუ დავიჟინებთ თავიდანვე „არა, ვერ დაიჭერს ხბო მგელსაო“. ვაცალოთ, შეუშვათ ხბო ტყეში, მივცეთ დრო, და თუ ვინიცობაა რამდენიმე თვის განმავლობაში იმან ფეხზეკრული მგელი შინ ვერ მოგვიგვაროს, ან თვითონაც აღარ დაგვიბრუნდეს, მაშინ, მაგრამ მარტო მაშინ, საფუძველი გვექნება ვთქვათ: „ხბოს მგელი როდი დაუჭერიაო“.

ამის გამო უდროოა ჯერჯერობით აზრისა და სჯის გამოთქმა ახალ გაზეთზე და მის რედაქციაზე. რა ვიცით, იქნება შემდეგში მისი საქმე უკეთ წავიდეს, იქნება მომავალში იმან ახალი ძალა შეიძინოს!..

მაგრამ, „ივერიის“ პირველ ნომერზე კი ყოველ კაცს შეუძლია სჯის შედგენა და გამოთქმა. ის დაიბეჭდა, გამოიცა, ხალხში გავრცელდა. მომავალი იმას ვერც გააუმჯობესებს, ვერც დაამცირებს. ის

ეხლა ხორცშესხმული არსებაა, და მისი გასინჯვა, დაფასება ან გარკვევა ყველასთვის ადვილია, ოღონდ იმას ნუ ვიტყვით და ნურც ვიფიქრებთ, რომ როგორიც პირველი ნომერია, იმნაირივე იქნება მთელი „ივერიაც“, ოღონდ ამ პირველი ნომრის სიკარგეს ან სიგლახაკეს მთელ გაზეთს თავზე ნუ მოვახვევთ, — მაშინ ამ ნომერის განხილვით ჩვენ როდი დავარღვევთ „დარბაისელი კრიტიკის“ კანონებს და ჩვეულებას. ეს ვიქონიოთ სახეში, და შეუდგეთ იმ შთაბეჭდილებების გამოხატვას, რომელიც ჩვენზე „ივერიის“ პირველმა ფურცელმა მოახდინა.

დავიწყოთ წვრილმანებით. ამ პირველი ფურცლის ენა ერთობ შესანიშნავია, და ღირსია მიიქციოს ჩვენი მწერლობის სრული ყურადღება.

1861-ში უფ. ილია ჭავჭავაძემ დიდი და დაუვიწყარი სამსახური გაუწია ჩვენს მწერლობას[11]. უწინდელი ჩვენი მწერლები ხმარობდნენ მკვდარ მწიგნობრულ ენას, რომელსაც ჩვენი ხალხი ვერც კი იგებდა. ილია ჭავჭავაძემ პირველად დაამტკიცა ის საფუძვლიანი აზრი, რომ მწერლობა იმ ენას უნდა ხმარობდეს, რომლითაც ხალხი ლაპარაკობსო. ამით იმან ზურგი გაუმაგრა იმ მწერლებს, რომელთაც ჯასზე უწინ სახალხო ენაზე წერა დაეწყოთ. „საქართველოს მოამბის“[12] შემდეგ ქართულმა მწერლობამ ერთი ორი ნაბიჯი მაინც წინ წაადგა, და უფრო და უფრო მიითვისა სახალხო ენა, რომელიც ამ ეკანასკნელი ათი წლის განმავლობაში გამდიდრდა საქართველოს სხვა და სხვა პროვინციალური დიალექტების სიმდიდრეების ჩართვით ქართულ მწერლობაში. უფ. ჭავჭავაძეს ეხლა, ალბათ, შეშინებია იმ მიმართულების, რომელიც თვითონვე დაამყარა. „ივერიის“ პირველ ნომერში ის უკან დახეულა ძველ მწიგნობრულ ენისკენ. დღეს ის თითქოს საგანგებოდ უბრუნდება დავიწყებულ სიტყვის-წყობილებას, მიტოვებულ ფლექსიებს და უხმარ მიმოხვრას. აიღეთ და შეადარეთ „ივერიის“ პირველი ნომრის ენა თუნდ „კაცია ადამიანის“ ენას, — და აი რას ნახავთ:

„თავადი ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ კარგათ ჩასუქებული ძველი ქართველი, რგვალი — უკაცრავათ არ ვიყო ამ სიტყვაზე — როგორც კარგი ნასუქი კურატი. დარბაისელის კაცის შეხედულობა ჰქონდა მის ბრწყინვალეებასა: თავი ისეთი მსხვილი, რომ, თითქოს, იმის სიმძიმეს მორგვივით სქელი კისერი მხრებში ჩაუძვრენიაო“. და სხვ. („კაცია ადამიანი“).

ახლა კი უფ. ჭავჭავაძეს აი როგორ დაუწყია წერა:

„ვიდრე ამ აღსნას შეუდგებით საჭიროდ ვრაცხთ მოვიხსენიოთ, რომ ნაყმევ-

-ჯა გარეითად ჩვენის გუბერნიის გლეხობას შეადგენს საეკლესიო (რომელნიც ეხლა სახასოდ არს ჩარიცხულნი) და სახასო გლეხნი, რომელთაც როგორც ვენახები, ისე სახნავ-სათესი მიწები უფრო უხვად და ბლომადა აქვსთ" („იეერია", № 1, გვ. 4).

შეადარეთ ეს ორი ენა და მიბრძანეთ — პროგრესად ჩავთვალოთ ეს, თუ რეგრესად, წარმატებად, თუ უკან დახევად?

მწერლობის წარმატებას ყოველ ქვეყანაში ერთი და იგივე კანონი მართავს: ყველგან მწერლობა თანდათან უფრო და უფრო უახლოვდება ცოცხალ ენას და თავის გრამატიკას ამ ენის თვისებაზე იდგენს და არა ძველ ნაწერებში ეძებს. ნიჭიერი მწერალია უფ. ილია ჭავჭავაძე, მაგრამ მისი ნიჭი ვერ დაარღვევს ამ საზოგადო და საყოველთაო კანონს. ბევრათ უფრო ნიჭიერი იყვნენ რუსეთში აქსაკოვები და შიშკოვი, როცა იმათ სცადეს ძველი მწერლური ენის აღდგინება, მაგრამ ვერა გაარიგეს რა და, რადგანაც ჩვენში ნიჭი იშვიათი საქონელია, სჯობს, და სასურველიც არის, რომ უფ. ჭავჭავაძემ თავისი ღონე და მეცადინეობა სხვა, უფრო სახეირო და მომავლიან შრომას მოახმაროს.

ენიდან მანერისკენ გარდავიდეთ.

„იეერიის" პირველ ნომერს მიუღია „Неделя"[13]-ს ჩვეულება — ბრტყლად და „დამჯდარად" გამოთქმა სრულიად უმნიშვნელო და ყველასაგან ნაცნობი აზრებისა. იწყებ კითხვას, გგონია აი, ესეც არის გამოთქმენ იმ აზრს, რომლის გამოთქმამდე ამდენს ცერემონიას ხმარობენო, ძლივს ინელებ სიტყვების ტკაცა-ტკუცს, გადახვევ-გადმოხვევას, და ათავებ სტატიას ისე, რომ აზრი ვერც კი გიპოვია. შემოძველდა, ბატონებო, ეს მანერა. ათასნაირი ბრძნული სახე რომ მიიღოთ, ათასნაირად რომ გაიჭინთოთ და წილადობილები გამართოთ, საქმე მაინც იმითი უნდა გათავდეს, რომ ახალი აზრი გამოთქვათ და დაამტკიცოთ. გამოთქვით, რაღა, ეს აზრი, გვიჩვენეთ რაში მდგომარეობს, ნუ გვაწვალებთო, — ფიქრობს მკითხველი, და ხედავს, რომ აზრი, მერმე ახალი აზრი, არსად იპოვება. გაცვეთილი, ბანალური აზრების ბრტყლად გამოთქმით მწერალი მკითხველ საზოგადოებას ვერ დააკმაყოფილებს. თუ მის ნაწერში ისეთი აზრი არ მოიძიება, რომელიც მკითხველს შუაგულ ჭკუაში გაუჯდება და ჩაებეჭდება, თუ ეს აზრი ერთბაშად არ არწმუნებს მკითხველს ისე, რომ იმას ჰგონია ეს აზრი მე თვითონ მიჯდა თავში, მაგრამ ასე გარკვეულად კი არ მეჩვენებოდაო, — მწერალი ვერ მიითვისებს მკითხველის გონებას, ვერ გახდება მის მესაიდუმლე მეგობრად, და ვერ დაიმსახურებს მის ნდობას და რწმუნებას. ეს იცოდეთ, ეს დაი-

მახსოვრეთ, და აი ამისთანა აზრების პოვნა მოახერხეთ, თუ გსურო გზა გაიკაფოთ მკითხველი საზოგადოების გონებისა და გრძნობის-კენ. თორემ მარტო მედიდური პირისსახით, წარბის შეღუშვით და სიტყვის დამძიმებით მწერალი შორს ვერ წავა.

ეხლა „დანიშნულებაზედაც" ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

„ივერიის" პირველი მოწინავე სტატია ამბობს:

„სამეცნიერო ცნობათა გადმოტანა და გავრცელება საზოგადოებაში, ჩვენისა და უცხო ხალხთა ცხოვრების დაკვირვება და განმარტება, — აი რაში მდგომარეობს ჩვენის გაზეთის პროგრამმა".

ღმერთმა ჰქნას, რომ ჩვენმა ხბომ მგელი დაიჭიროს, მაგრამ „სამეცნიერო ცნობათა გადმოტანას" სამეცნიერო ცნობათა ცოდნა სჭირია, და არა ამგვარი სიტყვის რახა-რუხი:

„მეცნიერება სალარია, საცა აწყვია უკეთესი განძი ადამიანის უკეთესის ჭკვითა და გრძნობით მოპოვებული; იგი უდიდესი ტაძარია, საცა დაყუდებულია დიდებული ხატი კაცობრიობისა, ადამიანის ჭკვითა და გულით ძვირფასის თვალებით შეჭედილი, საცა განუქრობლად ანთია უმშვენიერესი ხომლი ადამიანის ჭკვითა და სულით ანთებულის ჭეშმარიტებისა".

ამგვარი ფრაზებით, ბებია ჩვენის დროს, „აკვირვებდა ხალხს" განსვენებული მარლინსკი. ფრაზები შემოძველდნენ. ეხლა მკითხველი აზრს თხოულობს, ახალს, მარჯვე, სწორ აზრს, და არა ფრაზას. მართლა რომ იცოდეთ თქვენ მეცნიერება რაა, ამგვარ ფრაზებს როდი დასწერდით, ამიტომ რომ ამნაირი ფრაზები მოსპო და მოკლა მეცნიერებამ, რომელიც თხოულობს ფაქტს და იმ ფაქტზე დამყარებულ აზრს, და არა სიტყვების სრულიად უმნიშვნელო ჭრიჭინს.

რამოდენად ნამდვილია „ივერიის" პირველი ნომრის პრეტენზია. გვინდა მეცნიურ გზას დავადგეთო, გვიჩვენებს სტატია „ტფილისის გუბერნიის ეკონომიური ღონე რის ნაკლებ არ უნდა იყოს" (?!). თუ ემაგრე სცოდნია „ივერიის" მეცნიერ-რედაქციას სტატისტიკის ხმარება, თუ ემაგრე იხმარა იმან მეცნიერების „განძი", — გაკეთებულა ჩვენში მეცნიერების საქმე! ჩვენ იშვიათად წაგვიკითხავს ამ სტატიაზე უფრო უმეცარი რამ, მაგრამ, რადგანაც „ივერიის" ათიოდე ნომრის გამოსვლის შემდეგ ვაპირებთ მისი „მეცნიერების" ერთბაშად გასინჯვას, ამის გამო ეხლა ჩვენ ამ სტატიას დაწვრილებით როდი განვიხილავთ.

რაკი მეცნიერებაზე ჩამოვაგდეთ ბაასი, უნდა შევნიშნოთ, რომ „ივერიის" პირველს ნომერს ვერ გამოუჩენია საკმაო მეცნიერება, როცა ის აზრი გამოუთქვამს, ვითომ მარტო დაცემულ საზოგადოებაში ჰქონდეს მწერლობას „ერთმანეთის ლანძღვის და თრევის ხა-

სიათიო". დაცემული როდი იყო ვოლტერის დრო და საზოგადოება, მაგრამ ლანძღვა და თრევა თუ გინდათ, ჩაიხედეთ მის ნაწერებში. ჰეინეს დრო და საზოგადოება, აგრეთვე, დაცემული არ იყო; აბა ლანძღვა და თრევა კი მის ნაწერებში მოიკითხეთ. გაიხსენეთ, აგრეთვე, ბოკლი და ბაირონი, ვიქტორ ჰიუგო და ბორნე, არმან კარელი, დობროლუბოვი, გერცენი და ლასალი, და გამოტყდით, რომ თქვენზე ნაკლები არცერთი მათგანი არ ყოფილა, თუმც ლანძღვაში და თრევაში ისინი დიდი დარდიმანდები იყვნენ. არც მეცნიერების ნიშანია, აგრეთვე, აი ამ აზრის გამოთქმა:

(მწერალმა მოპირდაპირეს თავის აზრი) „ისე უთხრას, რომ არ შეუგინოს, არ შეურაცხ-ჰყოს მისი ადამიანობა, მისი კაცობრიული გრძნობა, ღირსება და პატივი, არ დაურღვიოს ის ძვირფასი და უკეთესი ზნეობითი კანონი, რომელიც კაცს კაცად ჰქმნის და რომლის მეოხებითაც იგი თავის-თავს კაცად ჰსცნობს და აღიარებს".

ერთი რომ, ეს ფრაზების შადრევანი „ევერიამ" უნდა უძღვნას „გამოცანების" დამწერს „ჩატეხილ ხიდზე", „მსუნაგზე" და სხვ.[14]. მეორე რომ, როცა კაცი თავისი საკუთარი მოქმედებით და ხასიათით თვითონ ივიწყებს და უარჰყოფს კაცობრიულ გრძნობას, მაშინ ?ის მოწინააღმდეგეს სრული უფლება აქვს დაივიწყოს ის, რაც დავიწყებული აქვს თვითონ მეპატრონეს. მესამე რომ, მწერლობისთვის „ევერია" ახალ კანონებს ვერ დააარსებს: რაც სხვა მწერლობაში ნიადაგ ხდება, იმას ვერც ჩვენ ავცილდებით. მიბრძანდით და ჰკითხეთ უფ. კოკორევს, შეუხებელი თუ დასტოვა მასში დობროლიუბოვმა „კაცობრიული გრძნობა" და სხვ. მიაკითხეთ ამაზე იულიან შმიტს ან შულცედელიჩს, სან-ბევს ან ჟირარდანს და ათას სხვა მწერლებს, რომელთაც მოხვედრიათ პოლემიკის მწარე შოლტი, ან დასმიათ კრიტიკის აუხოცავი დაღი... როცა გამეცნიერდეთ, ამაების შეტყობით, მობრძანდით, და ამბავი მე მიბრძანეთ.

პუბლიცისტური მხრით „ევერიის" პირველი ნომერი წარმოგვიდგენს უფრო სანუგეშო მოვლენას. სტატია „ცხოვრება და კანონი"[15] იწყება ჩინებულად. შიგ ორიოდე განიერი აზრია გამოთქმული, და თუმც ახალი არა რაა ამ აზრებში, მაგრამ სტატია მაინც ყურადღების ღირსია. როცა ეს სტატია დაბოლოვდება, ჩვენ უეჭველად გავაცნობთ მკითხველებს მის შინაარსს. ეხლა კი ორს რამეს ვისურვებთ: პირველად იმას, რომ ეს სტატია ისე კარგად დაბოლოვდეს, როგორც დაწყებულია, და მეორეთ, რომ ამისთანა ხეირიანი სტატიები ხშირად იბეჭდებოდნენ „ევერიაში".

ჩვენ იმედი გვქონდა, რომ „კაცია ადამიანის?!" და „გლეხების

გათავისუფლების სცენების“ დამწერი „ივერიას“ ხეირიანი მოთხრობებით და ფელეტონებით შეამკობდა. „ივერიის“ პირველმა ნომერმა ეს იმედი ვერ გაგვიმართლა. ფელეტონი „კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“[16] ერთობ სუსტი და უკბილოა. ნუტა ვინ ან რამ ჩაამტვრია კბილები მის დამწერს? დიდი სურვილი კი დარჩენია გულში კბენის, მაგრამ მადა და მისი დაკმაყოფილება ერთი როდია. რაც შეეხება „ქალაქის სცენებს“[17], გვიკვირს, უფ. ილია ჭავჭავაძემ როგორ მისცა თავის გაზეთში ალაგი ამისთანა ყოვლად-უნიჭო და უმნიშვნელო ვითომ სურათს ხალხის ცხოვრებიდან!

ნებას ვაძლევ ჩემ თავს ერთი რჩევა მივსცე უფ. ჭავჭავაძეს. რასაკვირველია, იმას სრული უფლება აქვს მიიღოს ან უკუაგდოს ეს რჩევა. მისი პირველი ნომრის გასინჯვა მარწმუნებს, რომ თითქმის მთელი ეს ნომერი, ორი სუსტი სტატიის გარდა, მისი დაწერილია, თავიდან ბოლომდე. კარგად დარწმუნდეს, რომ „ივერიის“ რედაქციაში ლიტერატურული ძალა არ მოიძიება, გარდა თვითონ ილ. ჭავჭავაძის ძალისა, და იმედი იქონიოს მარტო თავის თავისს. ნუ

ააძალებს თავის ნიჭს, ნუ მოთხოვს იმას იმისთანა რასმე, რისი მოცემაც მის ნიჭს არ შეუძლია. მიატოვოს იქით მეცნიერება, ფილოსოფია, მაღალი ფრენა: ამაებში უხეირო ფრაზების მეტს მისი ნიჭი ვერას მოგვცემს. მიუბრუნდეს ისევ მოთხრობებს, ბელეტრისტიკას, — ამ მხრით მისმა ნიჭმა დიდი დავალება დაადვა ჩვენს მწერლობას, და იქნება კიდევაც შეეძლოს ახალი დავალების დადება. მიუბრუნდეს საკუთარ დაკვირვებას, მოგონებას, და, თუ მოთხრობების წერა ეძნელება, გვიწეროს იმისთანა სტატიები საკუთარი მსაჯულის პრაქტიკიდან, როგორც სტატია „ცხოვრება და კანონი“. ამით „ივერიას“ მნიშვნელობაც შეეძინება და მკითხველებიც, და მაშინ ეს გაზეთი ნამდვილ სარგებლობას მოუტანს ჩვენს საზოგადოებას და ხალხს. ნუ ერიდება მუშტი-კრივს, ნუ მიაქცევს ყურადღებას გარეგან შეხედულებას, და ნუ დაივიწყებს, რომ ხანგრძლივია მარტო შინაგანი ძალა, მარტო დედა-აზრი. დაიჯეროს ეს ჩემი გულწრფელი რჩევა: დარწმუნებული ვარ, ჩვენი მწერლობის მომავალი მემატიანე იტყვის შემდეგში რომ ეს რჩევა გონიერი და გულწრფელი ყოფილაო.

---

7. პოლიტიკური მდგომარეობა

თბილისი, 30 მარტი

ხელმოწერას ლონდონის ოქმზე, რომელიც ბევრს ეგონა ომისაგან დაცვის საშუალება, როგორც ჩანს, ამ მხრივ არ მოჰყოლია გადამჭრელი შედეგები. იმით არავინ დაკმაყოფილებულა. ოსმალეთისათვის ოქმი ომის საფრთხეს წარმოადგენს, ხოლო რუსეთისათვის იგი არ ცვლის პარიზის ტრაქტატის დადგენილებებს. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ საზოგადოებასა და ბეჭდვით სიტყვაში ომის საშიშროება არამც თუ გაიფანტა ოქმზე ხელისმოწერით, არამედ კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა.

უნდა ვაღიაროთ, რომ დიპლომატიურ მოლაპარაკებათა შედეგი, ყოველ შემთხვევაში აქამდე, ჩვენი პოლიტიკისათვის არადამაკმაყოფილებელი იყო. ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის გაცხარებული კამათის დროს, სერბელებისა და ბულგარელებისათვის მხარდაჭერის და „სლავიანური საკითხის" გადაწყვეტის აუცილებლობის შესახებ, გამოვთქვით აზრი, — რომ ჩვენი პოლიტიკა აღმოსავლეთის საკითხში მიმართული უნდა იყოს არა მარტო ამ მიზნისაკენ, არამედ პარიზის ტრაქტატის დადგენილებათა გაუქმებისაკენ. საერთაშორისო სააგენტოს მიერ სისტემატურად არასწორი დეპეშების მოწოდების გამო, ჩვენ შეცდომაში შეყვანილებმა გამოვთქვით კიდეც აზრი, რომ ჩვენმა პოლიტიკამ მიაღწია ამ მიზანს. ცნობილია, რომ კონსტანტინეპოლის უკანასკნელ კონფერენციაზე გენერალმა იგნატიევმა გამოთქვა თავისი პირადი რწმენა, რომ პორტას უარის თქმას — დაემორჩილოს კონფერენციის გადაწყვეტილებებს — უნდა მოჰყვეს ოსმალეთისათვის ტრაქტატებით მინიჭებული გარანტიების გაუქმება. საერთაშორისო სააგენტომ ყოველგვარი ცერემონიის გარეშე აუწყა მთელ რუსეთს ეს ეპიზოდი იმგვარად, რომ თითქოს ასეთი იყო გადაწყვეტილება კონსტანტინეპოლის კონფერენციისა და ჩვენ ეს ფაქტი საკმაო წარმატებად ჩავთვალეთ... მისწრაფებათა და მიზნების სრული

წინააღმდეგობებისა და მათი დაუკმაყოფილებლობის გამო, საკითხი ომის შესახებ ახალი ძალით იჭრება. მაგრამ სანამ ლაპარაკს დავიწყებდეთ თვით ომის შესახებ, ჩვენ ჩვენი მკითხველების ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა ყველა დიპლომატიურმა მოლაპარაკებამ, რაც წინ უსწრებდა აფეთქებას.

თურქეთის იმპერიის — ამ გასაღებისა ევროპასა და აზიას შორის — უაღრესად მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდგომარეობა ყურადღებას იქცევს და ფიქრებს იპყრობს ევროპის ყველა უდიდესი სახელმწიფოსას. თვითეული მათგანი უარს არ იტყოდა ჩაეგდო თავის ხელში ეს გასაღები, მაგრამ არა აქვს რა ამის გაკეთების შესაძლებლობა. ცდილობს ხელი შეუშალოს ყოველ მეორე სახელმწიფოს მის დაუფლებაში. ყველა ამ სახელმწიფოთა ინტერესების წინააღმდეგობანი ანეიტრალებს მათ ძალებსა და გაელვნას და თვითონ ოსმალეთი რჩება ადგილზე და თავის ძალას ჰპოულობს სხვათა უძლურებაში.

რუსეთმა, უარყო რა ყოველგვარი დაპყრობითი თუ ანგარებითი სწრაფვანი, მაინც გამონახა შესაძლებლობა — ოსმალეთში დაეკავებია უაღრესად ხელსაყრელი მდგომარეობა. თურქეთის ცუდი შინაგანი ადმინისტრაციისა და თურქ ქვეშევრდომთა უბადრუკი მდგომარეობის გამო, რუსეთმა, ჯერ კიდევ ეკატერინე II დროს, თავის ხელში აიღო დაცვა „ადამიანთა უფლებებისა, რომლებიც ისრისება თურქეთის ბარბაროსობით“. გამოდის რა თურქეთში ჰუმანური იდეების, რელიგიური მოთმინების, პოლიტიკური თანასწორუფლებიანობისა და ევროპული ცივილიზაციის სხვა ასეთნაირ მონაპოვართა დამცველად, — რუსეთმა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი ევროპაში. ევროპული სახელმწიფოები, ეწინააღმდეგებიან რა მას, უნდა გამოსულიყვნენ ბარბაროსობის, უსამართლობისა და მუსულმანური ფანატიზმის დამცველთა უმადურ და არახელსაყრელ როლში. ამრიგად, რუსეთმა თავის მხარეზე გადასწონა მდგომარეობის მორალური მხარე, მაგრამ მაინც ვერ ისარგებლა ამ მომგებიანი როლის მთელი ნაყოფით და ბევრ ევროპულ სახელმწიფოში გამოიწვია საწინააღმდეგო მოქმედება. მისი ადრინდელი საგარეო და საშინაო პროგრამების უკიდურეს წინააღმდეგობათა გამო, ევროპის ჭკვიანმა ადამიანებმა, ძალღონის დაუხარჯავად, შეამცირეს რუსეთის მორალური ძალის მნიშვნელობა იმით, რომ ამტკიცებდნენ რუსეთისათვის ისე-

ული სიტყვები, როგორიცაა ჰუმანიურობა, თანასწორობა და მოთმინება მხოლოდ კონსტანტინეპოლის აღების საბაბიაო. სინამდვილეში კი იგი არც ისე ჰუმანიური და მომთმენია, როგორც აღმოსავლეთის საკითხში აღმოჩნდაო. აი, რატომ ვერ შესძლო რუსეთმა არა თუ მოკავშირე-სახელმწიფოთა შეძენა, არამედ ხალხის, ლიტერატურისა და პოლიტიკური მოღვაწეების ნდობის მოპოებაც კი. თვით რუსეთში, პოლიტიკური პროგრესის უქონლობის გამო, უშედეგო აღმოჩნდა არაჩვეულებრივად ხელსაყრელი საგარეო ვითარება.

მაგრამ, ამ ბოლო დროს, საქმის ვითარება ბევრად შეიცვალა უკეთესობისაკენ. მთელმა რიგმა შინაგანმა გარდაქმნებმა რუსეთში, საგლეხო, საერობო და სასამართლო რეფორმებმა, ბევრი ისეთი ევროპელი მოღვაწე, როგორიცაა ჟირარდენი, გლადსტონი, ფაუსეტი და სხვები, რუსეთის ჰუმანიურ მისწრაფებებში დააჯერა. მართალია, მათ ჯერ არსად არა აქვთ დიდი გავლენა და ჯერჯერობით არ ძალუძთ შესცვალონ თავიანთი ქვეყნების პოლიტიკა, მაგრამ ისინი უკვე იწყებენ არაპირდაპირი გზით გავლენის მოხდენას ამ პოლიტიკის მიმართულებაზე... რაც უფრო სერიოზული, რაც უფრო საგრძნობი იქნება თვით რუსეთში შინაგანი პროგრესი, მით უფრო მრავალრიცხოვანი, ძლიერი და მნიშვნელოვანი იქნება ევროპის ყველა სახელმწიფოში ეს ახალჩასახული ჯგუფები. და თუ ამ ჯგუფებმა წარმოშობისთანავე გაუწიეს რუსეთს დიდი სამსახური, მოუტანეს უფრო მეტი სარგებლობა, ვიდრე ზოგიერთ სახელმწიფოსთან კავშირმა, მაშინ როგორიდა იქნება მათ ჩვენდამი სამსახური მაშინ, როცა ჩვენი შინაგანი პროგრესით საშუალებას მივცემთ მათ მოიპოვონ თავიანთ ქვეყნებში უპირატესი პოლიტიკური მნიშვნელობა?

ჩვენ რუსული ლიტერატურის იმ მიმართულებას ვეკუთვნით, რომელიც ამტკიცებს, რომ რუსეთის მთელი საგარეო წარმატება დამოკიდებულია მის შინაგან წარმატებაზე. იმისათვის, რომ მან მოიპოვოს ბრწყინვალე პოლიტიკური გამარჯვებები საკუთარი ქვეყნის გარეთ, მისთვის საკმარისია დაძლიოს თავის შინაგანი უმეცრება, რუტინა და უწესრიგობა. ჩვენი წესების გაუმჯობესება, ჩვენი ცხოვრების გაკეთილშობილება, ჩვენი ხალხის განვითარება, არა მარტო ჩვენს სლავიანურ მისწრაფებებს შესძენს ძალას, არამედ გადმოვიბირებთ და მოვიმხრობთ მთელი ევროპის ყველა კეთილშობილი გონებისა და ყველა პატიოსანი გულის მქონე ადამიანებს. როცა ამგვარი მხარდაჭერის იმედი გვექნება, ჩვენ შევძლებთ ზიზღით

შევხედოთ ჩვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მატერიალურ ძალას, რადგან მხოლოდ რიცხობრივი და მატერიალური ძალა, მორალური და აზრობრივი მხარდაჭერის გარეშე, მტკიცედ და ხანგრძლივად პოლიტიკაში ვერაფერს გააკეთებს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გასული წლის მოვლენებმა არაჩვეულებრივი სიცხადით დაამტკიცა რუსული ლიტერატურის იმ ბიმართულების შეხედულებათა სისწორე, რომელსაც ჩვენ ვეკუთვნით. ჩვენ დავინახეთ, რა არასასურველი გავლენა მოახდინა საქმეზე შინაგანი პროგრესის უქონლობამ, რა სუსტი აღმოჩნდა ამის გამო ჩვენი კავშირი სლავებთან და საზოგადოებრივი კონტროლის უქონლობის გამო რა წარუმატებელი აღმოჩნდა ჩვენი მოხალისეებისა და მათი ხელმძღვანელების მოქმედება...

მაგრამ ჩვენ გადავუხვიეთ ჩვენს მიზნებს. ინგლისი, რომელმაც თავის ხელში აიღო ევროპული წონასწორობის ინტერესების დაცვა რუსეთის წინააღმდეგ, ჩავარდა გაჭირვებულ მდგომარეობაში. მას არ შეუძლია გულახდილად აღიაროს, რომ იგი არ ენდობა რუსეთის დაპირებებს და ეშინია მისი დაპყრობითი მიზნების. ამასთან, მას არ შეუძლია აშკარად გამოვიდეს თურქეთის უკანონობის დასაცავად. ამიტომ, იგი იძულებულია დაკმაყოფილდეს იმ წინა ტრაქტატების პირობების ხელშეუხებლობის დამცველის უმადური როლით, რომლებმაც მორალურად დაჰკარგეს თავისი ძალა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჯერ კიდევ ფორმალურად გაუქმებულნი არ არიან. თავისთავად ცხადია, რომ განხეთქილების შემთხვევაში ინგლისი არ მოერიდება განაცხადოს, თუ რაზე ხლაფორთობს და რას იცავს იგი. მაგრამ ახლა, განხეთქილებამდე, მოსახლეობის თვალში ის ასრულებს როლს მოხერხებული ადვოკატისას, რომელიც იცავს „არაკარგ საქმეს, ფორმალური, პედანტური, „ხრიკებით“.

მაგრამ ის, რისი თქმაც ჯერჯერობით არ შეუძლია ინგლისს, ძალიან კარგად ესმით სახელმწიფო მოღვაწეებს. მათ იციან, რომ ინგლისს არ სურს დაუშვას რუსეთის გაძლიერება აღმოსავლეთში, და ისინი მათ შორის, ვისთვისაც არახელსაყრელია ეს გაძლიერება, იწონებენ და ხელს უწყობენ ინგლისის პოლიტიკას...

უკანასკნელი დროის დიპლომატიურმა მოლაპარაკებებმა ორნაირი შთაბეჭდილება მოახდინეს. საზოგადოება საგონებელში ჩავარდა იმის გამო, რომ რუსეთის ზომიერი და უანგარო მისწრაფებები — დაეხმაროს ბალკანეთის ნახევარკუნძულის დაჩაგრულ ქრისტიანებს — ხვდება ინგლისის მხრიდან ასეთ წინააღმდეგობას. პოლიტიკური მოღვაწეები და სახელმწიფო ადამიანები კი, რომლებიც

სკეპტიკურად არიან განწყობილნი ორივე მხარის სიტყვებისა და მომიზეზებისადმი, საქმეს უყურებენ პარტიული ან ნაციონალური ინტერესების პრიზმიდან.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენს მიერ აღნიშნული მოსაზრების გამო, რუსეთი, მიუხედავად ყველა ხელსაყრელი პირობებისა, ჯერ კიდევ იმდენად თავისუფალი არაა ეპვებისაგან, რომ საბოლოოდ მოიპოვოს ევროპის ხალხის კეთილგანწყობა და ამ საერთო კეთილგანწყობის ფორეგში, ძალა გამოაცალოს ჩვენი იმ სახელმწიფო მოღვაწეების მეცადინეობას, რომლებიც ევროპის წონასწორობის შენარჩუნებისაკენ ისწრაფვიან.

ჩვენი აზრი დასრულებული არ იქნება თუ იტალიის მაგალითი არ მოვიყვანეთ. ევროპის სახელმწიფო მართველებს კარგად ესმოდათ თუ რამდენ ზიანს მიაყენებს ევროპის წონასწორობას იტალიის გაერთიანება და რამდენად საჭიროა წინ აღუდგნენ ამგვარ გაერთიანებას. ეს ამბავი საფრანგეთშიც კი ესმოდათ, ესმოდა ნაპოლეონ III-საც. არა ნაკლები სიცხადით ესმოდათ თვით იტალიაშიც, რომ სარდინიის ხალხისათვის იტალიის ნაციონალური გაერთიანება მიწისა და გავლენის მოსაპოვებელი საბაბია. მაგრამ ევროპის საზოგადოების საუკეთესო ნაწილის სიმპატიები იმდენად ძლიერი და შეუკავებელი იყო, რომ ცივი, შორსმჭვრეტელი სახელმწიფო მართველები იძულებული იყვნენ დამორჩილებოდნენ ამ ძალას და ეცნოთ მომხდარი ფაქტი.

წარსულის გაკვეთილები საზოგადოებისათვის სასარგებლოა და ჩვენ უნდა ვისწავლოთ მათი გამოყენება. მათ გარეშე ჩვენ ვერც შომავალში ავიცილებთ. თავიდან შეცდომებსა და მარცხს... ხოლო დასკვნა ასეთი იქნება: რუსეთის კეთილშობილური საგარეო პოლიტიკით ევროპის საზოგადო კეთილგანწყობისა და ნდობის მოპოების ერთადერთი საშუალება მხოლოდ შინაგანი განვითარება და რუსეთის ცხოვრების გაუმჯობესებაა. სწორედ ექეთ უნდა იყოს მიმართული ყველა იმ ადამიანის ძალღონე, ვისაც სურს მისმა ქვეყანამ მტკიცე წარმატებას მიაღწიოს საგარეო პოლიტიკაში.

ს. საკვირაო

გადაყლაპული სტატიები. — მწერლის როლი. — მე ვამხედრებ ჭკითხველებს პოლიტიკური გაზეთების წინააღმდეგ. — შეუძლებელი შესაძლებელია სახელმწიფო მრჩევლისათვის და უფრო მაღლა მდგომთათვის. — ლონდონის მაკულატურა. — ბევრი დავა წვრილმანებისათვის. — ლორდ დერბის პარალელი თბილისის ღვარძლიან ბლანკზე ხელის მომწერლებთან. — ო. ნ. საბინინის შესახებ, რომლის სახითაც თითქოს ბატ. პოტეხინმა შეურაცხყოფა მიაყენა ქართველ ერს. — ახალი ფარისევლების ტიპი. — ბატ. საბინინის სიტყვა. — კვთილის მქმედი მოღვაწეობა და ღვთისმოსაობით აღებული ქრთამი. — სადა: დაშალული ჩვენში შანტაჟი. — ალერსიანი ხბო. — დაწყეველილი კითხვა.

დიდი ხანია, მკითხველო, ჩვენ არ გვისაუბრია მნიშვნელოვან და უმნიშვნელო მატერიებზე. არ ვიცი, მოგწყინდათ უჩემოდ თუ არა, მაგრამ მე უთქვენოდ საშინლად მომწყინდა. ამ ხნის განმავლობაში რამდენი საინტერესო სიუჟეტი აღმოჩნდა გულთბილი საუბრისათვის, რამდენი აზრი და შენიშვნა დაგროვდა. რომ იცოდეთ რა ძნელია ჩვენი პროფესიის კაცისათვის ამგვარი შენიშვნების მარაგით ხეტიალი, როცა არავითარი შესაძლებლობა არა გაქვს გაუზიარო მკითხველს შენი აზრები. თქვენ, ალბათ, გქონიათ შემთხვევა გამოგეცადათ თქვენს თავზე, თუ როგორ გაღრჩობთ მოზღვავებული გრძნობები და შთაბეჭდილებები, როცა ყელში გაწვებათ და სუნთქვას გიშლით. საკმარისია ასეთ წუთებში დაიწყოთ კრუნჩხვების მომგვრელი ხარხარი ან ისტერიული ტირილი, საკმარისია დაღვაროთ რამდენიმე მგრძნობიარე ცრემლი და დამძიმებული გული მაშინვე შვებას იგრძნობს. დაახლოებით ასეთ მდგომარეობაში არიან მწერლები. წერა და ბეჭდვა მათი სულის ბუნებრივი, დაუოკებელი მოთხოვნილებაა, მაგრამ მოიღეთ მოწყალება და მითხარით, რა დღე დაგადგებოდათ თქვენ, იძულებული რომ ყოფილიყავით გადაგეყლაპათ ცრემლები და ჩაგეხშოთ სიცილი ისეთ წუთებში, რომელზედაც ზემოთ ვლაპარაკობდით.

მშვიდობიან დროს, როცა თანამედროვე ამბები და მოვლენები არ ეხება სახალხო და საზოგადოებრივი ცხოვრების საყოველთაო და მნიშვნელოვან ინტერესებს, როგორღაც ურიგდები მუნჯის

როლს. მაგრამ ხედავდე, რომ მახლობელი ადამიანების უმნიშვნელოვანეს ინტერესებს საფრთხე ემუქრება, რომ ბევრი რამ უთქმელია, რომ ირგვლივ საყოველთაო თავბრუსხვევაა, რომ საჭიროა ზოგიერთების მისწრაფებების შეჩერება, ზოგის აპატიის შენჯღრევა, მესამე წყების ადამიანთა ანგარიანობის გაკიცხვა, მეოთხეთა თვალის ახელა, იმის ჩვენება, თუ რა ხდება მათ ირგვლივ და მათ ფეხებ ქვეშ, — ხედავდე ყოველივე ამას და არ გააკეთო მეასედი ან თუნდაც მემილიონედი ნაწილი იმისა, რისი გაკეთებაც საჭიროა და შეიძლებოდა გაკეთებულიყო — განა შეიძლება ამ მდგომარეობაზე უფრო მძიმე და საშინელი იყოს რამე?

მძიმე შენ კი არა ხარ, ქუდო მონამახისა, ო, არა! მძიმეა რუსი მწერლის ხვედრი, რომელიც განწირულია იმისათვის, რომ ილაპარაკოს არაფრის მომტანი წვრილმანების შესახებ, რაც თითქმის არავის არ აინტერესებს. შენს ირგვლივ ყოველნაირად წყდება უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომელთა ასე თუ ისე გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ბევრი თაობის მომავალი, შენ კი წერე არაფრისმაქნისი, ცარიელი მოსაზრებები ბალებისა და მასკარადების, ამინდისა და ხანძრების შესახებ. ერთხელ მაინც როგორ არ მოგივა ადამიანური აზრი, მკითხველო, დაჭმუჭნო მთელი ეს უაზრო მაკულატურა, რასაც ტყუილად ქვია „პოლიტიკური პრესა“ და ეს-როლო თავში ჩვენ ძმა მწერლებს შემდეგი სიტყვებით:

— თუ თქვენ არ... მართლის თქმა და საქმეზე ლაპარაკი, მაშინ შეცდომაში მაინც ნუ შეგყავთ პატიოსანი ხალხი, ყოველ შემთხვევაში, თავი მაინც ნუ გიჭირავთ ისე, თითქოს ჩვენში პოლიტიკური პრესა არსებობდეს...

„სოვრემენაია იზვესტიამ“[18] ძალზე დროულად და ძალზე სწორად თქვა, რომ ჩვენს დროში „პოლიტიკის“ გარდა არაფერზე არ შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ ლაპარაკი არც პოლიტიკაზე შეიძლებაო. მოსკოვის გაზეთის პირით ლაპარაკობს თვით სიმართლე, თვით ლოგიკა. მაგრამ ადამიანები იშვიათად უგდებენ ყურს სიმართლესა და ლოგიკას. აი, რატომ მინდა დავიწყო ლაპარაკი „შეუძლებელზე“. თუმცა გოეთემ სთქვა, რომ „შეუძლებელი მხოლოდ ადამიანისათვის არის შესაძლებელიო“, მაგრამ ეს შეეძლო ეთქვა გოეთეს, რომელიც მეფის მრჩეველი და რამდენიმე სხვადასხვა ორდენის კავალერი იყო. ასეთი ადამიანებისათვის შეუძლებელი მართლაც შესაძლებელია. შეუძლია იჯარით აიღოს მიწა, რომელიც მეტისმეტად სჭირდება ბევრ მშიერ მწყურვალს და, მიუხედავად ბევრი მეცადინეობისა, ხვეწნისა და მუდარისა, მაინც ვერ მიუღიათ. გოეთეს რანგის „ერთმა კაცმა“ შესძლო იმის გაკეთება, რის

გაკეთებაც გაჭირვებულთათვის შეუძლებელი აღმოჩნდა. ამ ქვეყნად ყველაფერი შედარებითი და პირობითია, ისეთი აბსოლუტური ცნებაც კი, როგორც შეუძლებლობაა..

დავიწყოთ „მაკულატურით“ (ასე უწოდეს ინგლისურმა გაზეთებმა ლონდონის ოქმს, რომლის შედგენაზეც ამდენი შრომა დაიხარჯა). ინგლისმა თუმცა უხალისოდ, მაგრამ მაინც მოაწერა ხელი ამ ოქმს. სამაგიეროდ იმ წამსვე წასჩურჩულა თურქეთს, რომ არავითარი სახით არ ეცნო იგი. ყოველ შემთხვევაში ისე ღვარძლიანად და გადაკრულად ლაპარაკობს ბატ. პოგენპოლის „რუსეთის გენერალური სააგენტო (არ ვიცი გარდა რუსეთის ფულებისა და გენერალური მონოპოლიისა, რა აქვს „რუსული“ ან „გენერალური“ ბატ. პოგენპოლს, წარმო'მობით ნეაპოლელს, პარიზის ბულვარების ხშირ სტუმარს და ბრიუსელელ თაღლითს?).

გქონიათ შემთხვევა, მკითხველო, მიგემართათ რომელიმე კაპიტალისტისათვის თხოვნით იმის შესახებ, რომ ხელი მოეწერა თქვენს გაბერილ თამასუქზე. რათა აღერიცხათ ერთ-ერთ ჩვენს ბანკში? თქვენ ბევრი „მოვალე ადამიანი“ გყავთ. რომლებიც არავის არ ეუბნებიან უარს „ხელი მოუწერონ ბლანკზე“, მაგრამ რომლებიც ამ ოპერაციის ჩატარების წინ ყოველთვის ბანკის საბჭოს წევრებთან მიდიან და ეჩურჩულებიან: „თუ შეიძლება, უარი უთხარით ამა და ამ კაცს სესხზე, — ჩემთვის უხერხული იყო თამასუქზე ხელის არ მოწერა, მაგრამ მოვაწერე იმიტომ, რომ იმედი მაქვს თქვენ უარს ეტყვით“.

ჩემის ვარაუდით. ინგლისმა სწორედ ამ აზრით მოაწერა ხელი ოქმს. მაგრამ როცა მათ ვადარებ ჩვენ ღვარძლიან „ბლანკზე ხელის მომწერლებს“, უპირატესობას მაინც ამ უკანასკნელთ ვანიჭებ. ესენი, ყოველ შემთხვევაში, არავის არ აწვალებენ ხანგრძლივი მოლაპარაკებებით, მერყეობით, და პირველ წინადადებაზევე პირდაპირ პასუხს იძლევიან:

— დამდეთ პატივი, მე ყოველთვის მოხარული ვარ გავაკეთო თქვენთვის ყველაფერი, რაც კი შემიძლია, ხალისით მოვაწერ ხელს, თუ კი ბანკში აღრიცხავენ..

ვიომებთ თუ არა, ე. ი. იქნება ომი თუ არა? ჩვენში ამ საკითხზე თითქმის ყოველ წუთს დებენ სანიძლაოს და ყოველი სანიძლაო ერთფეროვანია: „ამდენი და ამდენი ბოთლი შამპანიური“ ან „სადილი ამდენი და ამდენი კაცისათვის“. ჩვენ ყველა ისე ვიცინით, თითქოს ლაპარაკი რომელიღაც ბალეტს, ანდა ერალაშის თამაშს ეხება. მინდა ვიყვირო, გოგოლის გოროდნიჩის[19] მსგავსად „ვის და-

სცინით“, „თქვენსავე თავს“! მაგრამ გადავდოთ განზე ლირიზმი, გამოვიზოგოთ იგი უფრო დიდებული აკორდებისათვის. თუმცა, სულ მალე დაგვჭირდება.

გადავიდეთ უფრო მხიარულსა და ნაკლებად სევდიან მასალაზე, შევეხოთ ბატ. საბინინს.

— ვინ არის ბატ. საბინინი?— კითხულობს გაოცებული მკითხველი. ო, ეს ნამდვილი ტიპია და ძალზე, ძალზე საინტერესო ტიპიც. მე რამდენჯერმე მოვინდომე მისი „ფორმაში ჩამოყალიბება“, მაგრამ შესაფერის საბაბს ვერ ვპოულობდი. ახლა საბაბი თვით ბატ. საბინინმა მომცა და მე აუცილებლად ვისარგებლებ ამ შემთხვევით.

უპირველეს ყოვლისა, ვილაპარაკოთ საბაბზე.

ვიღაცამ სადღაც რაღაცისთვის სილა გაეწნა ვიღაც ბატ. პოტეხინს. გალახულმა უჩივლა გამლახავს „მომრიგებელთან“ და აი, ამ საქმის გარჩევის დროს სასამართლოს წარუდგა ბატ. საბინინი როგორც მოწმე. მე არაფერი მესაქმება თვით პროცესთან, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელოვანია ბატ. საბინინის ჩვენებები. აი, ის ჩვენებებიც, რომლებიც „ბირჟევიე ვედემოსტიმ“[20] დაბეჭდა: „პოტეხინს მე პატივს ვცემდი და ახლაც პატივს ვცემ როგორც საზოგადო მოღვაწეს. რადგან ახალგაზრდა კაცი ვარ, ამიტომ ვეძებდი წესიერ საზოგადოებას, მინდოდა სარგებლობა მომეტანა ჩემი ხალხისათვის. სწორედ ამ მიზნით დავდიოდი მხატვართა კლუბში და დავუმეგობრდი ბატ. პოტეხინს. მე სომეხი არა ვარ, როგორც ამას გაზეთები წერდნენ, გაჯავრდა ბატ. საბინინი, მე ვარ ქართველი, ხოლო ქართველისათვის დიდი შეურაცხყოფაა უწოდო სხვა ვინმე. ერთხელ მე ბატ. პოტეხინმა დამავალა გავყოლოდი კეთილშობილ ქალებს. მე გავყევი, მაგრამ ეს ქალები საეჭვო ქცევისა აღმოჩნდნენ. მეორეჯერ კლუბში ვიჯექი ქალებთან ერთად ბატ. პოტეხინის გვერდით. ბატ. პოტეხინმა მაგინა უწმაწური სიტყვებით, რამაც მე მეტისმეტად გამაბრაზა. ლაპარაკი ეხებოდა ჩემს ერს. ჩემთვის არაფერია იმაზე უარესი, როცა ჩემს ერს შეურაცხყოფენ. ჩემი ერი აგერ უკვე 40 საუკუნეა არსებობს და 15 საუკუნეა, რაც ქრისტიანობა მიიღო. მე მაინც პატივს ვცემდი ბატ. პოტეხინს, რადგან შრომობს. ერთხელ კლუბში მან ბანგებ მკრა ხელი, ხოლო როცა მე ამაზე ვუთხარი, იგი დამეჯღანა. მეორედ მე, დიდად პატივცემული ზუბარიოვის დავალებით, წავიღე სია, რათა მსახიობ სტრეპეტოვას საჩუქრისათვის ფული შეგვეგროვებინა. მივედი ბატ. პოტეხინთან, მაგრამ მან გამლანძღა. მე არ ვიცი რას ქვია „აღმოსავლეთელი კაცი“,

მაგრამ ასეთი რამ ჩემთვის შეურაცხმყოფელია. 40 საუკუნეა არსებობს ჩვენი ერი" და ა. შ.

როგორ მოგწონთ, მკითხველო, ბატ. საბინინის მანერა გაეხვიოს „ისტორიული ქართველი ერის" მანტიაში და მისი უაზრო გამოხდომა სომხების წინააღმდეგ? მე მიხდება ამ საკითხზე ლაპარაკი, მაგრამ არავითარი სურვილი არა მაქვს იმისა, რომ ვინმემ იფიქროს, თითქოს ამ შემთხვევაში „ტიფლისკი ვესტნიკი"[1] ხელმძღვანელობს პირველივე სალახანას მიერ გამოწვეული ნაციონალური გრძნობით. მკითხველთა უმრავლესობისათვის ცნობილია, რომ მე დაბადებით ქართველი ვარ, ამიტომ ჩემი აზრი ბატ. საბინინზე არც რასობრივი უპირატესობით იქნება გაპირობებეული და არც შეურაცხყოფილი ეროვნული თავმოყვარეობით ნაკარნახევი.

ბოლო წლებში ქართველებში გამოჩნდა რამდენიმე უკიდურესად „კეთილად განწყობილი" ახალგაზრდა, რომელთაც ძალზე ზუსტად გაიანგარიშეს, თუ რა სარგებლობა შეუძლია მოუტანოს მათ ძველ-ქართულ გადმოცემათა სიმზე დაკვრამ. ამგვარ დაკვრას არც ხიფათი მოაქვს და შემოსავლიანიცაა. ასე შეიძლება უმწიკვლობაც შეინარჩუნო და მოზრდილი კაპიტალიც შეიძინო. და აი, ამ ყმაწვილებმა დაიწყეს ყოველივე ძველი ქართულის მოყვარულ ღვთისმოსავ ბერიკაცებთან და ქრისტიანული სიძველეების მოყვარულ ღვთისმოშიშ დედაბრებთან სიარული. ფარისევლობენ რა მათ წინაშე, მოაქვთ რა თავი ბერიკაცებთან „ისტორიული ერის აღმდგენლებად, ხოლო დედაბრებთან—ქრისტიანული თავმდაბლობის მქადაგებლებად, ეს ახალგაზრდები მოწყალების მისაღებად ყველას ხელს უწვდიან და აგროვებენ ფულს არა ას, არამედ ათას მანეთობით. მათთვის ღიაა დიდებული სასახლეების წინა კარი და ბუდუარი. მათ უღებენ წმინდა სალოცავებსა და ძველი მონასტრების საცავებს. თავისთავად ცხადია, რომ მათ არც უნარი შესწევთ და არც სურვილი აქვთ ისარგებლონ ყველა ამ სიკეთით. ყველაფერი ეს მათ იმისთვის კი არ ჭირდებათ, რომ ჩვენი ხალხის და ჩვენი ეკლესიის ისტორია გააშუქონ, არამედ იმისათვის, რომ ჯიბე გაისქელონ და უდარდელი ქეიფებისათვის ფული იშოვონ. ხუთ-ექვს წელიწადში გაჭირვებით გადათარგმნიან რამდენიმე ცალკეულ გვერდს ქართული სვინაქსრებიდან, რომლებშიც მართლაც ბევრი რამ არის ჭკუის სასწავლებელი და საინტერესო და თავიანთ თარგმანს გამოსცემენ შესანიშნავად. დაბეჭდავენ ვალენის ქაღალდზე, რათა მიართვან და მიუძღვნან მოღვაწეებს და წამქეზებლებს... ასეთი გამოცემებისათვის კი ისინი ღებულობენ დიდ თანხას და ამ ფულით

მოგზაურობენ ევროპაში, თითქოსდა პოლიტიპაქებისა და სურათების შესაკვეთად.

როგორც კი გამოცხადდებიან ჩვენთან, მაშინვე შეძვრებიან ყველა სასტუმრო ოთახში და სასულიერო პირთა საკანში. ხლესტაკოვის[86] მსგავსად, ყველგან ლაპარაკობენ მაღალი საზოგადოების წევრთა მფარველობაზე, გავლენაზე, რომელიც მათ მაღალ საზოგადოებაში მოიპოვეს, ხოლო ჩვენი საზოგადოება უსმენს და გაკვირვებულია: როგორ შეუძლიათ ამგვარ, ჩვენთვის კარგად ცნობილ უსაქმურებს, ასე მაღლა ასვლა?

და მერე რას აკეთებენ! არ არსებობს ისეთი ქრთამი, რომელიც მათ არ აიღონ მათ მიერვე დაშინებული ადამიანებისაგან. ამავე დროს ფორმაც კი უბრალო აქვთ:

— მე თქვენ ესა და ეს ცოდვა, ესა და ეს შეცდომა, თანამდებობის ამგვარი და ამგვარი ბოროტად გამოყენება შეგაშჩნიეთ (რას, რას და, ამ სიკეთეს ჩვენში ვინ ვერ შეამჩნევს!). მე ვალდებული ვარ მოვახსენო ამის შესახებ მის აღმატებულებას...

და იღებს ფულს ჯიბიდან საბრალო მხილებული, და დგას გაჩუმებული ამ ღვთისმორწმუნეობრივი, თავხედური შანტაჟის წინაშე.

მაგრამ ხდება ისეც, რომ ეს შანტაჟისტები თვითონ ეგებიან შანტაჟზე. განსაკუთრებით იმერეთში, სადაც ხალხი არც სულელია და არც გულუბრყვილო, სადაც „ბევრი რამ" უნახავთ.

ამას წინათ ბატ. საბინინი სტუმრად იყო ქუთაისში. ცხოვრობდა სასტუმრო „კოლხიდაში". ატარებდა რა თვითნებურ „რევიზიას", ყველა ეკლესიებსა და მახლობელ მონასტრებში, ჩვენმა ფარისეველმა გადასწყვიტა მცირე წვლილი შეეტანა განაყოფიერების საქმეში (რის გამოც მას „აღმოსავლეთელ ადამიანს" ეძახიან პეტერბურგში). სწორედ ამ საქმიანობაზე შეისწრო სასტუმროს ლაქიამ. იგი იძულებული იყო ფულით გამოეხსნა თავი. მაგრამ ავი ენები იმასაც ამბობენ, რომ ფულიც გადაიხადა და გვერდებიც დაუზილესო... და როცა ასეთი ადამიანები ბედავენ „ისტორიული ერის" წარმომადგენელთა პოზა მიიღონ, ბედავენ გამოაცხადონ თავიანთი თავი ჭეშმარიტად წმინდა ფასეულობის „აღმდგენლებად" — რომელი წესიერი ქართველი შესძლებს ჩაახშოს თავის თავში აღშფოთების გრძნობა! რა აქვს ამ ადამიანებს საერთო „ერთან", რომლის სახელსა და წმინდანებს ასე თავხედურად უწევენ ექსპლოატაციას?..

არ შეიძლება გიყვარდეს რომელიმე ერის მხოლოდ წარსული და ამავე დროს ინდიფერენტულად იყო განწყობილი მის აწმყოსა და მომავლისადმი.

ჩემთვის ესეც საკმარისი საბაბია იმისათვის, რომ არ მჯეროდეს მათი გულწრფელობა. მაგრამ მე ძალზე მოხარული ვარ, რომ ბატ. საბინინის სიტყვა თვალს უბელს ნაკლებ შორსმჭვრეტელ ადამიანებსაც. შეხედეთ ბატონებო, ჩვენო არისტოკრატებო, აი ადამიანი, რომელიც თქვენ ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ მაღალი საზოგადოების ქალბატონთა სანდო პირად მიგაჩნდათ. აი, როგორ ავიწროებენ პეტერბურგში, აი, როგორი ქალბატონები „დაჰყავს“ კლუბში პოტეხინის თხოვნით, აი როგორ საქმეზე წაისწრეს „კოლხიდაში“.

მაგრამ, ასეთი ადამიანი ყველას პირში თხრის „ქართველის“ ლირსებებს, რაც მას არ გააჩნია. პეტერბურგში მისთვის სიტყვა „ქართველი“ — რეკლამაა, პატენტია. საქართველოში მან აღმოაჩინა „ღვთისმოსაობის“ ოქროს შრე და იგი ძაბავს ნებისყოფას, რადგან უმეცრებსა და ფარისეველთა შორის ერთ და იმავე დროს ორიგინალობაცაა და შემოსავლიანი საქმეც სპეციალობად გაიხადო საქართველოს ძველი ფასეულობანი. ადამიანი, რომელსაც პეტერბურგში ქართველობით მოაქვს თავი, აქ თავს გვაწონებს როგორც რუსი ქალბატონების ნდობით აღჭურვილი პირი, რაც ეშმაკობაცაა, ორიგინალობაც და საფრთხისაგან განზე დგომაც. ესაა ცნობილი ანდაზის გამოყენების ცოცხალი მაგალითი: „ალერსიანი ხბო ორ დედას წოვს ძუძუს“.

მაგრამ ერთი მითხარით, რატომ წყალობს ჩვენში ასეთ ადამიანებს ბედი? ისინი ყველგან ახერხებენ შესვლას, ადვილად პოულობენ მფარველებს, ცნობილ ხარისხებამდეც მალე აღწევენ—ეს იმიტომ ხდება, რომ სხვა ახალგაზრდა ადამიანები მართლაც პატიოსნები არიან...

---

9. ომი თუ იქნა...

1

თბილისი, 2 აპრილს 1877

ოსმალეთს როდი მიუღია დიდი ვაივაგლახით შედგენილი „ლონდონის პროტოკოლი". მის პასუხში გამოცხადებულია, რომ მაგნაირი პირობების მიღებას ოსმალეთს ისევ ომი ურჩევნიაო, რადგანაც დამარცხებულიც რომ გამოვიდეთ, მაგაზე უარესი რაღა დაგვემართებაო! მაშასადამე, ლონდონის პროტოკოლი დაინგრა, როგორც ბანქოს შენობა. ეხლა თუ რუსეთმა ერთხელ კიდევ არ უჩვენა ქვეყანას ერთი იმისთანაავე მაგალითი მშვიდობიანობისა და ლმობიერებისა, როგორიც ამ უკანასკნელ წელიწადში იმან ხშირად გამოიჩინა, ომი აუცილებლად მოხდება. მაშასადამე, დროა დავფიქრდეთ იმაზე, თუ ჩვენ რა მოგველის და როგორი უნდა იქნეს ჩვენი საზოგადოების საქციელი, იმ შემთხვევაში, ვინიცობაა ომი რომ მოხდეს. ამ საგანზე ვაპირებთ მკითხველებთან ვრცელი მუსაიფის გამართვას, დარი თუ დაგვიდგა...

ჯერ ჩვენ კარგად უნდა დავიხსოვნოთ, რომ აღმოსავლეთის ომი თუკი ატყდა, ბრძოლა მარტო რუსეთსა და ოსმალეთს შუა კი არ დაბოლოვდება. მარტო ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი ამგვარი „ომის შემოსაზღვრა". თუ რუსეთმა თავდაპირველშივე ხეირიანად დაამარცხა ოსმალეთის რაზმები, ისე, რომ ოსმალეთს ბრძოლის გაგრძელება აღარ შეეძლოს, და თუ რუსეთის დიპლომატიამ იმ წამსვე წარუდგინა ოსმალეთს ადვილად მისაღები მორიგების პირობა, მაშინ შესაძლებელია, რომ ომი ადვილად და მალე დაბოლოვდეს. ასე მოიქცა იმპერატორი ნიკოლოზ პირველი, 1829-ში. თუ ბრძოლა გაჭიანურდა ისე, რომ გარდაწყვეტილი და უცილო გამარჯვება არც ერთ მხარეს დიდხანს არ ერგო, შესაძლებელია, რომ რომელიმე სხვა სახელმწიფო გამოერიოს ბრძოლაში, როცა ის დარწმუნდება, რომ ორივე მოწინააღმდეგე საკმაოდ დაუძლურდაო. და თუ რუსეთმა თავდაპირველშივე ოსმალეთი ერთობ დაამარცხა და მასთან მორიგება კი ვერ მოახერხა, მაშინ კი ოსმალეთის ევროპიელი

მომხრეები მისთვის აუცილებლად თავს გამოიდებენ და ბრძოლა, მთელს ევროპას მოედება...

ისიც უნდა დავისსოვნოთ, რომ ევროპის ეხლანდელი პოლიტიკური მდგომარეობა აი როგორ ანაწილებს სხვა და სხვა სახელმწიფოებს აღმოსავლეთის კითხვის დასაბოლოებლად. ორი სახელმწიფო დგას ერთმანეთის წინააღმდეგ, რუსეთი და ოსმალეთი. რუსეთს მეგობრად გვერდში უდგია გერმანია, და შესაძლებელია, რომ ამ ორ სახელმწიფოს დაეხმაროს იტალიაც. ოსმალეთს კი, აშკარად თუ არა, საიდუმლოდ ხომ მაინც, ეხმარება ინგლისი და ავსტრო-ვენგრია. ამას გარდა, თუ კი გერმანია ბრძოლაში გამოვიდა და რუსეთს აშკარად დაეხმარა, ოსმალეთს, ინგლისს და ავსტრო-ვენგრიას გვერდში ამოუდგება საფრანგეთიც. ეს არის ევროპიელი სახელმწიფოების განაწილება მათი სარგებლობის და მიდრეკილების შესაფერ. შეიძლება, ზოგიერთ ამ სახელმწიფოთაგანს ომში გარევა არც კი დასჭირდეს. შეიძლება, მაგალითად, რომ იმგენმა ერთმანეთი წყვილ-წყვილად გააკავონ და, ზანტი მოზარესავით, შორიდამ ბანის მოცემა დაიწყონ, ანა და შორიდანვე იყვირონ „გამიშვითო!", მაგრამ სულით და გულით ისინი სწორედ ამ წესით გაინაწილებიან.

მომავალი ომი — თუ ჩვენ ერთობ არ ვცდებით — ხანგრძლივი და მძიმეთ მოსანელებელი იქნება. ჩვენ გვგონია, რომ ეს ომი, რომელიც ჯერ მარტო ორ სახელმწიფოს შუა ატყდება, ნელ-ნელა და წყვილ-წყვილა ჩაითრევს ბევრ სხვა სახელმწიფოებსაც. რადგანაც ომი აუცილებელი შეიქნა, სასურველია, რომ ის ქემაინც საბოლოო, გ ა რ დ ა მ წ უ ვ ე ტ ი გამოდგეს, რომ იმან სანიადაგოდ აავსოს ის საშინელი ორმო, რომელსაც ამდენი საუკუნეების განმავლობაში ქვეყანა კაცის ძვლებით და სისხლით ავსებს. სასურველია ისიც, რომ ამ ომმა აღვირი აუხსნას ევროპაში კეთილშობილურ ლტოლვილებას, და გამარჯვება მიანიჭოს ძმობის საქმეს, იმ საქმეს, რომლისთვისაც ამოდენა სისხლი დაღვრილა... ამ მხრით ბევრი რამ არის სასურველი. მაგრამ ჩვენ ჩვენს თავს უნდა დაუბრუნდეთ და ჩვენი ქვეყნის მომავალზე უნდა დავფიქრდეთ.

ჩვენს ქვეყანას დიდი სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა მოელის აღმოსავლეთის ომში. საქართველოთი რუსეთი პირდაპირ შედის ოსმალეთში, მაშინ როდესაც დუნაიზე ამ ორ სახელმწიფოს შუა მდებარეობს მესამე თავისუფალი სახელმწიფო, რუმინია, რომლის გადაჯირგალება ყოველთვის ადვილი როდია. შავი ზღვის სიახლოვე საქართველოსთან, რუსეთის მოპირდაპირეს რუსეთის საზღვარშივე ომის შემოტანის ნებას აძლევს. ინგლისი, მაგალითად, პოლშას ვერ მიადგება, ვერც მოსკოვს, ვერც ყაზანს.

ოდესის აღება, ან რიგასი, ანდა ყირიმის, მას არავითარ სარგებლობას არ მოუტანს, ამიტომ რომ ოდესიდამ, რიგადამ და ყირიმიდამ რუსეთის ჯარს ადვილად შეუძლია რუსეთის თვალუწვდენელი მინდვრების გადარება, და უფრო შესაფერ ადგილებზე დაბანაკება... საქართველოს კი, ეხლა მაინც, დიდი პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ინგლისის თვალში. დღეს რომ ინგლისს ყველაზე უფრო იმისი ეშინია, რუსეთმა ინდოეთისკენ საშუალ-აზიაში გზა არ გაიკაფოსო, ინგლისი ვერც ერთი მხრით ვერ მიუწვდება ამ ახალ გზას, და ვერ გადუჭრის იმას რუსეთს, ამიტომ რომ ამ გზას წინ, ევროპის მხრით, რუსეთს ფარივით აფარებული აქვს საქართველო და კასპიის ზღვა. ინგლისს საშუალება რომ ჰქონდეს საქართველო გადმოიაროს და კასპიის ზღვას გაღმა როცა მოინდომებს მაშინ ჯარი გადაისროლოს, იმას როდიღა მოერიდება რუსეთის გაძლიერებისა საშუალო-აზიაში. ინგლისს მაშინ ყოველთვის შეეძლება მოუჭრას რუსეთს მისგან გაკაფული ახალი გზა ინდოეთისაკენ. ამის გარდა, ინგლისს კარგად ესმის, რომ აღმოსავლეთის კითხვის დასაცხრობლად, რუსეთსა და ოსმალეთს შუა ომის გასაძნელებლად, სასარგებლოა, რომ ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთს არსად არ ეკარებოდნენ თავიანთი საზღვრებით. ამ აზრით დააარსა ევროპიელმა დიპლომატიამ რუმინიის თავისუფლება, და ამავე აზრით ძლიერდება რუმინიის თვითმმართველობა და დამოუკიდებლობა...

მაშასადამე, ჩვენ წინათვე უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ინგლისი ყოველს ღონისძიებას იხმარს, ოღონდ კი ჩვენს ქვეყანას რამე დააკლოს... თუ ის პირდაპირ ომში გაერია, დღეს ის იმავე შეცდომას როდიღა გაიმეორებს, რომელიც 1854 მოახდინა, როცა თავისი ჯარი ყირიმში გაგზავნა. დღეს ის უფრო სრული გამოცდილებით სულ სხვა ასპარეზს გამოირჩევს ბრძოლისათვის და ჩვენ სრულებით დარწმუნებული ვართ, რომ ამ ასპარეზად, იმის აზრით, გამორჩეული იქნება ჩვენი ქვეყანა. აგრეთვე დარწმუნებული ვართ, რომ თუ საფრანგეთი ბრძოლაში ჩამოყვა, ეს სახელმწიფოც ამავე აზრის იქნება ომის სტრატეგიულ მიმართულებაზე.

ნურც იმას ვიფიქრებთ, ვითომ ინგლისელები და ფრანცუზები ჩვენ ქვეყანას არ იცნობენ, და მის მდებარეობასთან დაახლოებით გაცნობილი არ არიან. მათ ინჟინრებს და სწავლულებს ერთიანად დავლილი აქვთ ჩვენი ქვეყნის დიდი და მცირე გზები და ადგილები. ამ უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში ინგლისურ და ფრანცუზულ ენაზე დაბეჭდილია თხუთმეტიოდე მაინც თხზულება, რომელშიაც აღწერილია ჩვენი ქვეყნის მდებარეობა, ჩვენი ხალხის ხასიათი,

თვისება, რაოდენობა და სხვ. და სხვ. მთელი ხუთი წლის განმავლობაში, როცა ფოთი-თფილისის რკინის გზა შენდებოდა, ინგლისელები და ფრანცუზები ბატონებივით დასეირნობდნენ ჩვენში, და ისინი, ხომ მოგეხსენებათ, იმოდენად ბრიყვნი და ტუტუცნი არ არიან, რომ ნანახს კარგად არ დააკვირდენ და ნასმენი ან გასაგონი უფრო კარგად არ დაიმახსოვრონ...

ჩვენ იძულებული ვართ ნაწყვეტ-ნაწყვეტად გამოვთქვათ ეს შენიშვნები, რადგანაც მათი გავრცელება და მათგან დასკვნის გამოყვანა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. დედა-აზრი ამ ჩვენი შენიშვნებისა ის არის, რომ ჩვენი საზოგადოებისათვის სასარგებლო იქნება ამ შენიშვნებზე და გარემოებებზე დაფიქრება და მათი დამახსოვრება... ეხლა ესეც საკმაოა.

2

თბილისი, 5 აპრილს 1877

ეხლა ჩვენ იმაზე უნდა დავფიქრდეთ, თუ მომავალი ომის დროს როგორ უნდა მოიქცეს ჩვენი ხალხი და ჩვენი საზოგადოება.

—„ამას რაღა ფიქრი სჭირიაო, — იტყვის მკითხველი. — განა საქართველო ომში გამოუცდელიაო. განა ჩვენ ან ჩვენ წინაპრებს ომი არ უნახავსო, განა ჩვენში ყველამ არ იცის, რომ ომის დროს კაცმა ლეკურს ხელი უნდა გაუსვას და მტერს კუდით ქვა ასროლინოსო!...“

მართლაც, უწინდელ დროში, როცა ჩვენ ქვეყანას მტერი მოადგებოდა, ჩვენში ყველანი იარაღს ხელს ჰკიდებდნენ. კაცი და ქალი, დიდი და პატარა, მოხუცი და ბავშვი, მღვდელი და ერის კაცი საზოგადო ბრძოლაში ყველა მონაწილეობას იღებდა. ვისაც იარაღის ხმარება არ შეეძლო, ის ჯარს საზრდოს უზიდავდა, ან მტერს გზებს უხდენდა, ანა და მისგან დაკავებულ სოფლებს ცეცხლს უკიდებდა. გაქცეულს მტერს კი, ხომ, მთელი ქვეყანა თავზე ესხმოდა ასაკლებლად და გასაგლეჯად.

იმ დროს ომი ისეთი ბრძოლა იყო, რომელშიაც პირდაპირ მონაწილეობას იღებდა ორივე მოწინააღმდეგე ხალხი: მთელი ერთი ხალხი მთელ მეორე ხალხს შეეტაკებოდა. დედაბერზე უარესად ითვლებოდა მაშინ, ორივე ხალხის თვალში, ის, ვინც ომს ერიდებოდა, და ომში პირდაპირ მონაწილეობას არ იღებდა.

ეხლა კი ომი სულ სხვანაირ სურათს წარმოადგენს. ეხლა ომი დ უ ე ლ ი ა ორ სახელმწიფოს შუა. ორივე ხალხი გზავნის საბრძოლველად თავ-თავის ჯარს, და ო მ შ ი მ ა რ ტ ო ამ ჯ ა რ ე ბ მ ა უ ნ დ ა მ ი ი ღ ო ნ მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა.

1874-ში ჩვენმა ხელმწიფემ ისურვა ხალხისათვის ომების სიმ-

ძიმის შემსუბუქება. ამ განზრახვით ჩვენმა მმართებლობამ მოიწვია ბრიუსელში კონფერენციაზე ყველა სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლები, და წარუდგინა მათ გასაშინჯველად მისგან შედგენილი პროექტი „ომის კანონების და ჩვეულებისა“. ევროპიელი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა გასინჯეს რუსეთის პროექტი, შეასწორეს, შეავსეს და შეადგინეს საზოგადო „დეკლარაცია, რომელიც დღეს ყოველგან თითქმის კანონად ითვლება. ეს დეკლარაცია, რომელსაც ეწოდება „ბრიუსელის დეკლარაცია 27 აგვისტოს 1874 წლისა“, თავის დროს გამოცხადებული იქმნა რუსეთში, მმართებლობის მხრით. „Правительственный Вестникъ“[22]-ში. დღეს ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ გავახსენოთ ჩვენ საზოგადოებას ამ დეკლარაციის ზოგიერთი მუხლები.

დედა-აზრი ამ დეკლარაციისა იმაში მდგომარეობს, რომ ჯარი, რომელიც შედის მოწინააღმდეგის ქვეყანაში, არ უნდა შეეხებოდეს არც მშვიდობიან ხალხს, არც კერძო პირების ქონებას. ამ ჯარს უფლება აქვს დაიკავოს მხოლოდ ის, რაც თვითონ მმართებლობას ეკუთვნოდა: ხაზინის უფლებები, არსენალები, იარაღი, ყაზარმები, და, აგრეთვე, რკინისგზები, თოფ-იარაღის ქარხნები, რომელნიც სხვა და სხვა საზოგადოებებს ეკუთვნიან. სასწავლებლები, გოშპიტლები, ეკლესიები და სხვა ამგვარი კაცმოყვარე ან სამეცნიერო დაწესებულებანი. თუნდა მმართებლობის საკუთრებასაც შეადგენენ, მაინც ხელუხლებელი უნდა დარჩენ, აგრეთვე როგორც საკუთრება ქალაქებისა, სოფლებისა და კერძო პირებისა. (მუხლი 6, 7 და 8).

მეომრად იცნობა მარტო ის პირი, რომელიც ეკუთვნის მეომარ ჯარს. მილიცია (ოპოლჩენიე) და ვოლონტერების რაზმები მარტო იმ შემთხვევაში იცნობიან მეომრად:

ა) როცა იმათ მოთავედ ანუ უფროსად იმისთანა პირი ეყოლებათ, რომელიც პასუხისმგებელი იქნეს თავისი ხელქვეითების მოქმედებისა;

ბ) როცა იმათ მითვისებული ექნებათ ისეთი ფორმის ნიშანი, რომელიც შორიდამ ადვილათ გასარჩევი და დასანახი იყოს;

გ) როცა იმათ იარაღი აშკარად, და არა დამალულად, ექნებათ დაკიდებული;

და დ) როცა თავიანთ სამხედრო მოქმედებაში ისინი მტკიცედ დაიცავენ ომის (ესე იგი დეკლარაციის) კანონებსა და ჩვეულებას (მუხლი 9).

მარტო ამგვარი პირებით ითვლებიან მეომრად, და მარტო მათზე გავრცელება „დეკლარაციის“ დებულება. სამხედრო ტყვეებზე.

ყოველი პირი, რომელიც ჯარს ან ამგვარ მილიციას არ ეკუთვნის, და ისე ომში გაერევა, ან გზას წაახდენს, ან ტელეგრაფს, ან ჯარს ეწინააღმდეგება, ან სხვაფრივ როგორმე გამოიჩენს ბრძოლის სურვილს, სასტიკად და განურჩეკლად ადგილზევე დასჯილი იქნება..

„დეკლარაციას“ მარტო ერთ შემთხვევისათვის პატივი უცია, და მარტო ერთის მხრით მიუცია ხალხისთვის ბრძოლაში გარევის უფლება. აი რას ამბობს დეკლარაციის მ ე ა თ ე მუხლი: „მცხოვრებნი ჯერ კიდევ დაუკავებელი მხარისა (ადგილისა), რომელნიც მტრის მოასლოვების დროს თ ა ვ ი ს ნ ე ბ ი თ დაიარაღდებიან მტერის საწინააღმდეგოდ, და რომელნიც, თანახმად მეცხრე მუხლისა, მომზადებას ვერ მოასწრებენ, უნდა ჩ ა ი თ ვ ა ლ ო ნ მ ე ო მ ა რ მ ხ ა რ ე დ, თ უ კ ი ისინი ომის კანონებს და ჩვეულებას მტკიცედ დაიცავენ“.

დანარჩენი მუხლები ბრიუსელის დეკლარაციისა შეეხებიან სხვადასხვა წვრილმან შემთხვევას. ჩვენთვის კი აუცილებლად საჭიროა დავიხსოვნოთ ეს მუხლები, რომელნიც ზემოთ გადმოვთარგმნეთ.

ეხლა, ამ მუხლებიდან, ჩვენ აი რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ.

სადაც უნდა იქნეს ბრძოლა და ომი, შიგ არავინ არ უნდა გაერიოს გარდა იმ პირებისა, ვისაც თვითონ ჩვენი მთავრობა მოუწოდებს და რაზმში ჩააყენებს, იარაღის და ფორმის მიცემით.

რკინისა და უბრალო გზებს, ხიდებს, ტელეგრაფს, სამხედრო ბარგს, ჩვენი იყოს, გინდ მტრისა, სრულიად არავინ არ უნდა შეეხოს, გარდა იმ პირებისა, რომელნიც ჯარში ჩარიცხულნი და ჩარაზმულნი არიან.

ვინც ჩვენგანი ჯარში ჩარიცხული იქნება, იმას ნიადაგ უნდა ახსოვდეს, რომ მტრის კერძო საკუთრებას ის ხელს ვერ უნდა ახლებდეს, თორემ სასტიკად დასჯილი იქნება.

და თუ სტრატეგიული საჭიროების მიხედვით — მთავრობამ ისურვა ზოგიერთი ჩვენს საზღვართან მახლობელი სოფლების უჯაროდ დატოვება, ჩვენ ხალხს სრული უფლება აქვს დაიარაღდეს და რაზმად ჩადგეს, იმ განზრახვით, რომ წესიერება დაიცვას და მტერს წინააღმდეგობა გაუწიოს, ან ცარცვის ნება არავის მისცეს. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც საჭირო იქნება, რომ დაიარაღებულმა ხალხმა რამე ფორმის ნიშანი მიიღოს და თავ-კაცები აირჩიოს წესიერების დასაცველად, რაზმის გასაწვრთნელად და „ომის კანონების და ჩვეულებების“ მტკიცედ შესანახავად.

ერთი საზოგადო კანონიც ყველამ გულში ღრმად უნდა ჩაინერგოს: ომიანობის დროს ცარცვა და გლეჯა, ჯარის ან კერძო-პირე-

ბის საკუთრების შეხება, სამხედრო ამბების მიტან-მოტანა ითვლებიან ისეთ საშინელ დანაშაულობად, როძლისთვისაც დამნაშავეებს ოცდაოთხი საათის განმავლობაში სიკვდილით სჯიან. ჩვენი ხალხი ყოველ ამნაირ საქციელს მარტო სიკვდილით დასჯის შიშის გამო კი არ უნდა ერიდებოდეს: ამგვარი საქმეები სანიადაგოთ თავს სჭრიან მთელს ხალხს და საზიზღარ სახელს უგდებენ მთელს ქვეყანას დანარჩენ დედა-მიწაზე. ყოველს ქართველს მტკიცედ უნდა ახსოვდეს, რომ ომის დროს მთელი ევროპის ყურადღება ჩვენ ქვეყანაზე იქნება მოქცეული. როგორც რუსეთის, აგრეთვე ევროპის თვალში, ჩვენი ხალხი უნდა გამოჩნდეს მხნე, პატიოსან და რაინდულ ხალხად, იმისთანად, რომელიც პატივისცემის ღირსია სამხედრო მამაცობისათვის, და ხეირიანი გაწყობილების ღირსია მოქალაქეობრივი პატიოსნების და წესიერების დაცვისათვის.

ერთი სიტყვით, ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი ქვეყნის სახელი, სიკეთე და მომავალი ჩვენს საკუთარ საქციელზეა დამოკიდებული. ნუ შევირცხვენთ დღემდე პატივცემულ სახელს, ნუ გაურევთ ბრძოლაში ნურც ავაზაკობას, ნურც სიმხდალეს, ნუ ვეძიებთ პირად სარგებლობას, ნუ დავივიწყებთ ურთი-ერთი დახმარების საჭიროებას, ნუ დავიმალვით სოროში: მაშინ, ჩვენი გონიერი, წესიერი და პატიოსანი საქციელი მაღლა ასწევს საქართველოს სახელს, და მტერსა და მოყვარეს დაანახებს, რომ ჩვენი ხალხი სიყვარულის, პატივისცემის, მორიდების და კეთილდღეობის ღირსია...

ვიმეორებთ, რადგან დღეს, ომი თუ იქნა, მთელი ქვეყნის ყურადღება ჩვენ ქვეყანაზე და ხალხზე მოქცეული იქნება, ჩვენი მამულის ყოველმა ერთგულმა შვილმა, ყველაზე უფრო იმაზე უნდა იზრუნოს, რომ მთელმა ქვეყანამ საქართველოზე აი ამგვარი შთაბეჭდილება შეიდგინოს და აი ამგვარი აზრი იქონიოს...

---

10. კალმის კაპრიზები

უცნაური გრძნობა ეუფლება ადამიანს, როცა ემორჩილება საკუთარ სწრაფვას დაუახლოვდეს „დიდ მოვლენებს“, დადგეს „ისტორიის“ წყაროსთან და ღრმად, უშუალოდ დააკვირდეს იმ წვრილმან ამბებს და წვრილმან ფაქტებს, რომელთა ერთობლივობა „მსოფლიო მოვლენებს“ ქმნის. შორიდან სასიამოვნოა უყურო ამ მოვლენათა უსაზღვროებას და სიდიადეს; იგი იტაცებს წარმოდგენას, ხიბლავს გრძნობას, ხოლო გონება გაოცებულია მისი გარეგნული სახის სიდიადით. მაგრამ ახლოდან მთელ მოვლენას თვალით ვერ გასწვდები. ახლოდან მხოლოდ ურთიერთ დაუკავშირებელი ნაწილები, უცნობი შენობის მხოლოდ უხეში მასალა მოსჩანს. ვუყურებ და მიკვირს როგორ ხიბლავს ამგვარი საგანი შორიდან მაცქერალს. ზუსტად ასეთი შთაბეჭდილება მექმნება, როცა ვუახლოვდები თეატრალურ დეკორაციებს. ის, რაც შორიდან ტროპიკულ მცენარეთა ტყედ მეჩვენებოდა, ახლოდან მღებავის მიერ უხეიროდ მოქნეული უხეში ჯაგრისის ნაყოფია.

რა უნდა იყოს ილუზიაზე და მომხიბვლელობაზე უფრო სასიამოვნო და მათ ნგრევაზე უფრო უსიამოვნო? მაგრამ ცხოვრება ისე სულელურადაა მოწყობილი, რომ ადამიანი თვითონ ისწრაფვის ყოველი სახის კომედიის კულისებს უკან, განსაკუთრებით კი მსოფლიო კომედიისა, და ისწრაფვის უმთავრესად იმისათვის, რათა გაფანტოს მათ მიერ შექმნილი ილუზიები და მათი მსხვრევის შემყურე სატანისებური სიამოვნებით დასტკბეს. აი რატომაა, რომ რომელიმე მნიშვნელოვანი მოვლენის წარმოშობის პირველივე ნიშნებთან ერთად ყველა ისწრაფვის კულისებისაკენ, რომლებითაც მორთულია ეს მოვლენა და ცდილობენ ახლოს დაინახონ, ხელით შეეხონ, ოდნავ მოფხიკონ, თვალის მოსატყუებლად, გადასმული ოქრო და დაინახონ „რა ხისგანაა“ გაკეთებული დეკორაციის ჩარჩოები...

მე ხშირად მინახავს ახლოდან ის, რაც შორიდან ბრწყინავდა და გვაკვირვებდა. იყო შემთხვევები, როცა შორ მანძილზე დაბრმავებული მოვლენები არა ნაკლებ ბრწყინვალე იყო ორ ნაბიჯზეც. მაგრამ ამგვარი შემთხვევები ძალზე იშვიათია. უმეტეს შემთხვევაში

მე მაკვირვებდა ოპტიკური ცდუნება; რაც უფრო თვალსაჩინო იყო კონტრასტები, მით უფრო მეტად და მეტად მიპყრობდა სურვილი მივახლოვებოდი მოვლენას და შევხებოდი თითებით ყველა სკეპტიკოსების მამის, ურწმუნო თომას, მსგავსად...

ცუდი არაფერია იმაში, რომ გააანალიზო ყოველი მოვლენა, ბეჯითად მოიცილო თავიდან ყველაფერი მოჩვენებითი და ჩასწვდე არსებით მხარეებს, მხოლოდ ამ გზით შეუძლიათ ადამიანებს მიაღწიონ საღ, რეალურ სიმართლემდე, საკუთარი ცუდი და კარგი მხარეების შესწავლამდე. შორიდან მაცქერალნო თვალში დიადი მოვლენა ერთი ბეწოთიც კი არ შეიცვლება იმის გამო, რომ ჩვენ გავაანალიზოთ მისი შემადგენელი ნაწილები. სულერთია, ფისისგან იქნება გაკეთებული მონუმენტი თუ ქვისაგან, შორიდან იგი თავის მოცულობით გაგვაკვირვებს და არა მასალით. ესაა ძირითადი, რასაც მისგან ადამიანები თხოულობენ. ხოლო შემადგენელი ელემენტების ახლო დანახვა და დაკვირვებით შესწავლა ჩვენ მიგვაჩვევს მომავალში მასიური და სხვა ელემენტების მომზადებას. რამდენიმე ასეთი დაკვირვება და ცდა დაგვეხმარება იმაში, რომ მომავალში აღვმართოთ უფრო „მტკიცე პირამიდები“.

მთელი ეს გრძელი და ბუნდოვანი წინასიტყვაობა იმისათვის დავწერე, რომ მინდა გაგაცნოთ ჩვენს სინამდვილეზე რამდენიმე დაკვირვების შედეგი. ამჟამად ეს სინამდვილე საინტერესოა და მოაზროვნე ადამიანების სრულ ყურადღებას იმსახურებს. ისეთი მოვენტები, როგორსაც ახლა განვიცდით, ძალზე იშვიათია საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ, ურიგო არ იქნებოდა რომელიმე გამოჩენილი საზოგადოებრივი ჯგუფის ფოტოგრაფირება იმ მიზნით, რომ შემოვუნახოთ შთამომავლობას მისი მერყეევი განწყობილებისა და ყოველ წუთიერად ცვალებადი ფიზიონომიის სურათი.

* * *

თქვენ გახსოვთ არც ისე მწყობრი ლექსი, არ ვიცი რომელი ეაიპოეტისა:

> «В столицах шум. Гремят витии,
> Кипит словесная война;
> А там, в глубине России,
> Там вековая тишина»...

აი, რა ხვდება ყველაზე მეტად თვალში დამკვირვებელს.

და მართლაც, როცა უყურებ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას, ჩვენს საყოფაცხოვრებო წუხილსა და ცხოვრებისადმი დამოკიდებულებას, ვერც კი მიხვდები რა „მოვლენები შეიძლება წარმოი-

შვას". ჩვენი ფიქრები ძველებურადვე დაკავებულია „სადღესასწაულო საჩუქრებით", „სამსახურში დაწინაურების" აღწერით და წრის მიერ მოწყობილი მასკარადით. ჩვენ ისევ ძველებურად ვსეირნობთ, ვწერთ „მიმართვებს", ვჩურჩულებთ, ვპორაობთ, ვმღიქვნელობთ, ვარშიყობთ, ვუბედობთ, ვკილავთ. და ამას ვაკეთებთ ისე, თითქოს არაფერი არ მომხდარა, თითქოს არ ვდგევართ გამოუცნობის ნახევრად ღია კარების წინ.

წაიკითხეთ, როგორი ეკონომისტი გვაყავს? ჯილდო მიიღო.—ეუბნება ღრმააზროვნად სამსახურიდან მომავალი ერთი ჩინოვნიკი მეორეს.

რა გასაკვირია! არა ნაკლებ ღრმააზროვნად პასუხობს მეორე. მას ძალზე სჭირდებოდა ნუკეში: ამასწინად რომ გვერდი აუარეს... ხი-ხი-ხი-ხი!...

აი ჩვენი მღელვარების „რეზიუმე"! მე რომ გაზეთებს არ ვკითხულობდე და დროდადრო არ მესმოდეს ქუჩებში „Гремит музыка полковая", ვერავითარ განსხვავებას ვერ დავინახავდი ახლანდელ დროსა და თუნდაც შარშანდელ ახალი წლის დროს შორის. ამ სხვაობას სხვაც ვერავინ შენიშნავდა. ეტყობა ჩვენ ისე ღრმად შევიჭერით ყოველდღიური ცხოვრების გაცვეთილ უბეში, ისე გაჰმტკიცდა ჩვენში „ძველი მხამზარეული ფორმა", რომ ვერავითარი მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა ვერ გამოგვაღვიძებს, ვერ შეგვაგნებინებს, რომ ჩვენც ადამიანები ვართ და ამიტომ არავითარი ადამიანური არ უნდა გვეუცხოვებოდეს.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩემს წარმოდგენაში ასეთი ფორმით არ ისახებოდა საზოგადოების დამოკიდებულება მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენებისადმი. მე და შენ, მკითხველო, არა ერთხელ წაგვიკითხავს ადრე „წიგნებში" რაღაც ელექტრულ ნაპერწკალზე, რაც ერთბაშად მოედო მთელ საზოგადოებას და დაამყარა სამუდამო კავშირი და სოლიდარობა სასახლეში მცხოვრებ მდიდრებსა და უსახლკარო ღატაკებს შორის. ახ, რა რიგად მინდა შევხედო ამ საოცარ, სასწაულმოქმედ ნაპერწკალს, ერთმანეთთან დავაკავშირო მისი ეფექტები და მე და ჩემმა მახლობლებმა ვიგრძნოთ მისი ძალა და ზემოქმედება. ასევე, არა ერთხელ წაგვიკითხავს ჩვენ ამ ქვეყნის სიკეთეთა ხსოვნის შესახებ. საკუთარ „მე"-ზე უარის თქმის, თავგანწირვის, ყველა ადამიანის გულის ამთები მისწრაფებების შესახებ და ა. შ. როგორ მინდა ვნახო სინამდვილეში ყველა ეს მშვენიერი მოვლენა?

«Где эта буйная отвага
И вдохновленные мечты?

Готовность где, во имя блага,
Покинув все, семью и дом
Идти на битву с мощным злом?»

არც ისაა მართალი, თითქოს მე ჩემს სიცოცხლეში არ მენახოს ვნებათღელვისაგან გამამაცებული ხალხი, არც ის, თითქოს მე არ ვიცნობდე იმ „შთამაგონებელ ოცნებებს“, რომლებიც ერთბაშად აღაფრთოვანებს ათას გულს! — არა, მაგრამ ასეთი ამბები მე დიდი ხნის წინათ, დიდი ხნის წინათ...

* * *

არ შემიძლია გავექცე ცდუნებას და არ ჩავრთო აქ პატარა ეპიზოდი, რომელიც ერთგვარ წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, რისი თქმაც ძნდა. მე დავესწარი პრუდონის დასაფლავებას პარიზში. უნდა მოგახსენოთ, რომ არასოდეს არ ვყოფილვარ მისი თაყვანისმცემელი. როგორც მოაზროვნესა და ეკონომისტს მე მას არც ისე მაღლა ვაყენებდი[32]. მისი მეტისმეტად ბურჟუაზიული მოძღვრება, რომელიც შეფერადებულია სოციალიზმის ყალბი ფერებით, მას უფრო ანტიპატიურს ხდიდა ისეთ სეისტემზე, როგორიც ბლანკი და ბასტიაა. ამით მე იმის თქმა მინდა, რომ პრუდონის მაგივრად საფლავში არ ჩავწვებოდი, მაგრამ გარდაცვლილ მწერალს იმ დროს ქონდა ერთი მიმზიდველი მხარე, რაც მისი წერილების წაკითხვის შემდეგ გაქრა. მაშინ მე მას პატივს ვცემდი, როგორც გამოჩენილ მოაზროვნეს, რომელიც გათელა და გასრისა მეორე იმპერიამ. მის დასაფლავებას ზუსტად ასეთივე გრძნობით დაესწრო ათასობით პარიზელი, რომლებიც არ იზიარებდნენ მის თეორიას, მაგრამ პატივს ცემდნენ მას, როგორც გამარჯვებული ძალის წინააღმდეგ მებრძოლ კეთილსინდისიერ მწერალს. იყვნენ თაყვანისმცემლებიც, რომლებიც იზიარებდნენ მის თვალსაზრისს და მოძღვრებას, მაგრამ, ვიმეორებ, ასეთები გაცილებით ნაკლები იყო.

ჩვენ ვიწრო ქუჩაზე ვიდექით და ველოდებოდით როდის გამოიტანდნენ კუბოს. ყველაზე ახდენდა ზეგავლენას იმ მწერლის ბედი, რომელიც დაიღუპა ძალმომრეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. უეცრად გაისმა მარშის გამაყრუებელი ხმაური და ქუჩაზე გამოჩნდა ნეაპოლის გვარდიის კირასირთა პოლკი, რომელიც მეცადინეობიდან ბრუნდებოდა. ჩვენ ეს მივიღეთ უბედურებისადმი დაცინვად, დაცემული მებრძოლის შეურაცხყოფად, გამარჯვებული პარტიის ცინიზმად. ყოველგვარი მოლაპარაკებისა და თათბირის გარეშე ყველამ ერთმანეთს ჩოჩქიდეთ ხელები, გადავკიტეთ ქუჩა და მრისხანედ დავიძახეთ:

— ძირს მუსიკა, უკან!

სინამდვილეში არც ერთ ჩვენთაგანს არ ეპარებოდა ეჭვი, რომ პოლკი არ შეჩერდებოდა, რომ მას არც ქონდა უფლება უკან დაეხია. ყველა დარწმუნებული ვიყავით, რომ, რაც არ უნდა მომხდარიყო, იგი მაინც ივლიდა ჩვენსკენ, „მაგრამ გაივლის მხოლოდ მას შემდეგ, როცა ჩვენს გვამებს გადააბიჯებს“, ვფიქრობდით ჩვენ და გაუნძრევლად ვიდექით.

ერთადროს არ დამავიწყდება გრძნობა, რომელიც განვიცადე ამ ოთხი-ხუთი წუთის განმავლობაში. მთელი ჩემი ანტიპატია პრუდონის მიმართ ერთბაშად გაჰქრა. გაჰქრა იმის შეგნებაც, რომ თუ კაცს სიკვდილი გიწერია, ჯობია მოკვდე სადმე სხვაგან. არაფერს არ ვგძნობდი გარდა გააფთრებისა და საშინელი შეურაცხყოფისა, რაც თითქოს პირადად მე მომაყენეს. აღარაფერი აღარ მახსოვდა. მხოლოდ ის მინდოდა, რომ შური მეძიებია ამ საშინელი შეურაცხყოფისათვის, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დამჯდომოდა. არ ვდავობ, შეიძლება ეს ჰგავს კიდეც იაპონურ შურისძიებას, როცა მტრის კარებთან მუცელს იშიგნავენ. მაგრამ ეს ასე იყო. ამ წუთებში ჩვენს შორის არ არსებობდა ნაცნობები და უცნობები. ერთმანეთის თვალებში ჩვენ თვითეული ჩვენთაგანის აზრს ვკითხულობდით და ვეხებოდით რა იდაყვებით ერთმანეთს, ვგრძნობდით საერთო ნაპერწკალს, საერთო აღმაფრენას, საერთო სურვილს—„გაგვეწნა მაგარი სილა ცინიზმისათვის“. გარწმუნებთ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, რომ იმ წუთებში არავითარ ფინდიხს, არავითარ იერიშს არ შეეძლო აღშფოთებისა და ბრძოლის სურვილით შთაგონებული ბრბოს ადგილიდან დაძვრა. გარწმუნებთ იმაშიც, რომ მე დღეს ვერ ვისაუბრებდი თქვენთან ასე სიამოვნებით, რომ პოლკის უფროსს, მას შემდეგ რაც გაიგო მიცვალებული პრუდონია, არ ებრძანებინა ორკესტრისათვის გაჩუმებულიყო, არ მისულიყო მიცვალებულის ბინის კარებთან და ბოდიშის მოხდის მიზნით პატივი არ ეცა დაშნით, არ ებრძანებინა პოლკისათვის უკან გაბრუნებულიყო.

ასე რომ მე მსურს კვლავ ვიხილო ამგვარი ნაპერწკალი, ამგვარი მზადყოფნა, რაც მახსოვრობის წყალობით საწილობრივ მაინც ნაცნობია ჩემთვის.

ბოლო დროს მე ხშირად ვუგდებდი ყურს ხალხს და ყურადღებით ვაკვირდებოდი მის განწყობილებას. როგორც ადგილობრივ გლეხებში, ისევე მათ შორისაც, ვინც შვებულების შემდეგ შიდა გუბერნიების სოფლებიდან დაბრუნდა, მე დავინახე ნამდვილი შეგნება აუცილებლობისა და მსხვერპლის გაღებისა. თუმცა ბუნდოვ-

ნად, მაგრამ მათ მაინც ესმით ომის მიზეზები, მისი კანონიერება და გარდუვალობა. „მართალი საქმისათვის“. აი, ამ სიტყვებითაა გამოხატული მათი საერთო აზრი. მართალია, მე ჯერ კიდევ არ შემინიშნავს ენთუზიაზმი, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, რომ ამ ფენებში ეს გრძნობა „მოქმედების ასპარეზზე“ იქმნება. ჯერჯერობით კი მე ვხედავ, რომ უდრტვინველად ეკიდებიან საქმეს, ზუსტად ისე, როგორც ცხელ დღეებში მიწას ხნავენ. მათ იციან, რომ ეს აუცილებელია, სასარგებლოა და თუმცა შრომას მათთვის ნეტარება არ მოაქვს, მაგრამ მაინც ზედმეტი ფრაზების გარეშე აკეთებენ თავიანთ საქმეს. ვიმეორებ, მათ შორის ჯერ ენთუზიაზმი არ შემიმჩნევია, მაგრამ არც აპატიის აჩრდილი სჩანს. ჩემის აზრით, ეს ცოტა არაა.

ავდივარ რა მაღლა და ვეხებით ქალაქის მოსახლეობას, საშუალო ფენის ბურჟუაზიას, ანუ ვაჭრებს, ჩინოვნიკებს და ა. შ., მე ვამჩნევ სხვა რამეს. აქ მოსალოდნელ მოვლენებს ისე უყურებენ როგორც პოეზიას, რაღაც ისეთს, რაც მათ თითქოს სრულიად არ ეხება. ზოგჯერ ჩვენ ასე ვუყურებთ მაღლობიდან სოფლის იმ ქალებისა და მამაკაცების მიმზიდველ პოზას, რომლებიც უხვ მოსავალს იღებენ „ივლისის შესანიშნავი დღის შუადღეზე“. ამ სფეროში ზოგჯერ ნაციონალურ თავმოყვარეობაზე, ომის შესაძლებლობებზე, უეჭველ გამარჯვებაზე და სხვა ამდაგვარზე ლაპარაკობენ, მაგრამ, რბილათ რომ ვთქვათ, „უცხო ტონით“... მათ არც საკუთარი თავის შიში აქვთ და არც მახლობლებისათვის უხდებათ თავის შეწუხება. ვიმეორებ, ომისადმი ასეთი დამოკიდებულება შეიმჩნევა წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენელთა და დაბალი რანგის ჩინოვნიკებს შორის, იმ სფეროში, სადაც დიდი ხანია შეეჩვიენ იმ აზრს, რომ დედამიწა თავდაყირაც რომ გადატრიალდეს, მათ ამით არც არაფერი შეემატებათ და არც არაფერი დააკლდებათ.

ავდივართ რა უფრო მაღლა და შევდივართ რა პატივმოყვარეობის დემონისაგან შელახულ და უკეთესის მსურველ სფეროში, ჩვენ ვამჩნევთ სხვა ინსტინქტებისა და მოსაზრებების უპირატესობას. აქ მოვლენებს უყურებენ თავიანთი პირადი და ქონებრივი ინტერესების თვალსაზრისით. ვაჭარი ისწრაფვის დიდი მოგებისაკენ, ჩინოვნიკს, რომელმაც ბურუსში იმედის კვალი დაინახა, „ხალხში გამოსვლა სურს“. უკვე ფიქრობენ იმაზე „ცუდია თუ კარგი ჩემთვის ეს ამბავი“, როგორ წავა ჩემი საქმეები? გაიზრდება თუ არა ვაჭრობა? მომემატება მცირედი, თუ დავკარგავ მცირედს ადრე შეძენილიდან? აი, ამ საკითხების ირგვლივ ტრიალებს ამ სფეროს წარმომადგენელთა აზრები და ოცნებები.

კიდევ ერთი ნაბიჯი და ჩვენ აღმოვჩნდებით დიდ ადამია-

ნებს, ფინანსურ ტუზებს შორის, აქ უკვე აღარაა ეჭვი და კითხვები. აქ საკითხი ყველასათვის მთლიანად და საბოლოოდ გადაჭრილია. „არსებობს მომარაგება და იჯარა, მე უნდა მივაღწიო მათ ხელში ჩაგდებას“,—ხმამაღლაც კი ფიქრობს ერთი წყება ამ ადამიანებისა.—„დაიწყება ფასების ზრდა, მთავარია მე არ ამცდეს“, ხმამაღლა აცხადებენ სხვები, როგორც ერთნი, ისე მეორენი მიჰქრიან თავიანთ სანუკვარ ოცნებისაკენ და, ებრძვიან რა მთელ ქვეყანას, მათ არც დაბრკოლებების ეშინიათ და არც მოწინააღმდეგეს ინდობენ. ეს ადამიანები დაძაბულად ადევნებენ თვალყურს ომისა და მშვიდობის შესაძლებლობას და ყველაზე მეტად იმისი ეშინიათ, მკითხველო, რასაც ჩვენ ვეძახით წარმოშობილი სიძნელეების ხელსაყრელი, მშვიდობიანი გზით გადაჭრას. აქ ცხადად, თავგანწირულად ცდილობენ მოზრდილი თანხის, დიდი ლუკმის ხელში ჩაგდებას და მათ შორის „ისეთი ბრძოლა მიმდინარეობს არსებობისათვის“, რომ მებრძოლნი ასიათასობით ადამიანის სიცოცხლესაც კი არაფრად აგდებენ...

და ასე შემდეგ... მაგრამ ეს უკნასკნელი სფერო ხომ ყველაზე განათლებული, ყველაზე უზრუნველყოფილი ადამიანებისაგან შესდგება. და თუ კი ამ სფეროში ასეთ მნიშვნელოვან წუთებში ბევრია ისეთი ადამიანები, რომელთაც არ აინტერესებთ საერთო საქმე და კეთილდღეობა, თუ კი ასეთი ადამიანები ივიწყებენ სახელმწიფოს ინტერესებს და მხოლოდ გამდიდრებისაკენ ისწრაფვიან, თუ კი ისინი მხოლოდ იმაზე ოცნებობენ, რომ როგორმე უკეთესად გაძარცვონ ხაზინა უმძიმესი იჯარის მეშვეობით, თუ მათ შორის უფრო მეტია ასეთი ადამიანები, რომლებიც ოცნებობენ აღმოჩნდნენ პორაკოვის მდგომარეობაში, ვიდრე ისეთები, რომელთაც უნდათ ჩერნიაევს გაუთანაბრდნენ, მაშინ რაღა უნდა მოვთხოვოთ უფრო დაბლა მდგარ ხალხს, გლეხებსა და აზატებს.

* * *

გარდა ამისა, რით უნდა ავსსნათ საქმის მეორე მხარე, ის ამბავი, რომ ამ სფეროს ადამიანებს შორის არ არსებობს სოლიდარობის, ურთიერთდახმარების, ინტერესებისა და მისწრაფებების ერთიანობის გრძნობა?

ამგვარი გრძნობის ნაცვლად შეიმჩნევა საყოველთაო აფეთქება მოურიდებელი კონკურენციისა, აღვირახსნილი ქიშპობისა, დაუნდობელი ანტაგონიზმისა, უსაზღვრო შურისა და უსაზღვრო მტრობისა. „დაე ხაზინამ ასი ათასობით მანეთი დაკარგოს, დაე შეილახოს ასი ათასობით ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე, ოღონდ საქ-

მე გაუფუჭო ჩემს ავის-მსურველსა და მტერს". აი, ესაა ამ სფეროს ბევრი წარმომადგენლის სახელმძღვანელო აზრი. აქ ცოტა ვინმეს ახსოვს იმის აუცილებლობა, რომ დაიოკოს საკუთარი ინსტინქტები, საზოგადოებასა და სახელმწიფოს თავის ინტერესების მცირე ნაწილი მაინც მიუტანოს მსხვერპლად. აქ იშვიათად ესმის ვინმეს, თუ საით უნდა იყოს წარმართული ხალხისა და საზოგადოების ძალა. „ჩვენი პოლიტიკის მიზანი? მე არაფერი მესაქმება მასთან,—ფიქრობენ ეს ადამიანები.—იქ დუნაიზე თუნდაც ქვა ქვაზე ნუ დარჩენილა! შენ კი ხელს ნუ მახლებ, ნუ ეხები ჩემს ამბიციას, რადგან ჩემი ჯიბის დაცარიელების უფლებას არასოდეს არავის არ მივცემ!"

და აი, ამ ამბიციასა და ჯიბეს მსხვერპლად წირავენ ყველაფერს, რაც კი საერთო და მნიშვნელოვანია ასეთ დიდმნიშვნელოვან საქმეში. ორ ამხანაგს არ შეუძლია ერთმანეთს ხმა შეუწყონ და საკუთარი გზით იარონ ერთი საერთო სახელმწიფოსა და საზოგადოების მიზნისაკენ. ყველას თავისებურად ეუფლება სურვილი ფეხი დაუდოს ამხანაგს, მოწინააღმდეგეს, თითქოს დედამიწა არც იმდენად ვრცელი და უხვი იყოს, რომ ორი პატივმოყვარე დაიტიოს, ან ორი ფულის მოყვარე გააძღოს. ამ სფეროს ადამიანების აზრით, არ შეიძლება გახსოვდეს საერთო მტერი და ებრძოლო მხოლოდ და მხოლოდ ამ საერთო მტერს, როცა ირგვლივ ბევრი ისეთი მოძმეა, რომელთაც უნდა მოსცხო.

რით უნდა ავხსნათ ეს და სად უნდა ვეძებოთ ჩვენი განათლებული სფეროს წარმომადგენლების საქმისადმი ასეთი დამოკიდებულების მიზეზი?

ისინი თურმე იმდენად განათლდნენ, რომ თითქმის მთლიანად დაკარგეს ხალხის გულუბრყვილო ჩვევა,—გასწყდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ „ჩვენებს სცემენ". ისინი განთავისუფლდნენ ამგვარი გრძნობებისა და მრწამსისაგან და მათ ცრუ რწმენას ეძახიან. წინაპართა ტრადიციები, რწმენა, ეკლესიის მოძღვრება, ყველაფერი ეს მათ შესცვალეს საყოფაცხოვრებო სიბრძნის წესებით. მაგალითად, ასეთი ხარისხისა: „ისარგებლე მომენტით; გამოიყენე ხელსაყრელი შემთხვევა", „გადაულაპე სხვები, თუ არ გინდა, რომ შენ გადაგყლაპონ" და ა. შ. ასეთი აფორიზმები უნდა ბატონობდნენ იმ ადამიანთა შეგნებაში, რომელთაც ძველი რწმენა დაკარგეს და ახალი იდეალები ვერ მოიპოვეს. ჩვენ ყველა გვარიანი ჩინოვნიკები, მოხერხებული ვაჭრები, დახელოვნებული ვექილები, შესანიშნავი ტექნიკოსები ვართ, მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ როგორც მოქალაქეები არაფრად არ ვარგივართ. ჩვენ ჩვენ თავს ვთვლით ტიტულარულ, ან სახელმწიფო მრჩევლების, აზნაურების, ან 1-ლი

გილდის ვაჭრების შთამომავლებად, სამღვდელოების ან კანცელარიის მოხელეების შვილებად; მაგრამ ერთი გვითხარით, ჩვენ შორის ვინ თვლის თავს საკუთარი ქვეყნის შვილად? ჩვენ ყველამ მივიღეთ კლასიკური, რეალური, ტექნიკური ან სასულიერო განათლება, მაგრამ რომელმა ჩვენგანმა მიიღო სულ მცირედი პოლიტიკური ან სამოქალაქო აღზრდა? სად და ვინ გვასწავლა ჩვენ, რომ ჩვენ ერთმანეთისადმი სოლიდარულად განწყობილი ძმები ვართ, განუყოფელი შვილები ერთიდაიმავე სამშობლოსი? რომელ ჩვენთაგანში ცდილობდნენ გამოემუშავებინათ ბავშვობიდანვე სამშობლოს სიყვარული, ვაჟკაცურად დაცვა სახალხო საქმისა, სახელმწიფოსადმი ერთგული სამსახური, ერთი სიტყვით, რომელ ჩვენგანს ზრდიდნენ მოქალაქედ და არა ჩინოვნიკად, ვაჭრად, ტექნიკოსად და ა. შ.? განა გასაკვირია, რომ ახლა, როცა ჩვენ მოქალაქეები გვჭირდება, ვხვდებით უამრავ ვაჭრებს, ჩინოვნიკებს, ტექნიკოსებს და სანთლითაც ვერ მოგვიძებნია საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების ერთგული და თავდადებული მსახური? მოვიმკათ, რაც დავთესეთ, გულშეკუმშულნი დავემორჩილოთ აუცილებლობას და ვუყუროთ თითოეულის ცალ-ცალკე სწრაფვას პირადი სარგებლობიანობისაკენ იმ დროს, როცა ეს ძალები ასე საჭიროა და დიდად სასარგებლო იქნებოდა საერთო საქმისათვის...

———————

11. საკვირაო

სიწყნარე და სიბნელეა, არაფერი არ სჩანს. ტყვიასავით დამძიმებული ჰაერი ისე გვაწვება, რომ სუნთქვა ჭირს. ეტყობა ქარიშხალი შორს აღარაა. ამოვარდება თუ არა, ეს მარტო ღმერთმა იცის. ჩვენში კი თითქმის ყველამ დაკარგა „ომის რწმენა", ყველა სკეპტიკურად უყურებს ამ ამბავს, ხოლო როცა შემაშფოთებელ ტელეგრამებს კითხულობენ, ბეფისტოფელური ღიმილით ფიქრობენ ხმამაღლა:

— უარესი ამბებიც წაგვიკითხავს, მაგრამ ღმერთმა შეგვიწყალა.

მყავს ერთი მეგობარი, დიდი ორიგინალური ადამიანი, რომელიც უკვე ორი წელიწადია ჩემთვის ჩვენი საზოგადოების განწყობილების უტყუარი ბარომეტრია. ამ ცოტა ხნის წინათ იგი ჯერ კიდევ „სენტიმენტალური განწყობის ლირიკოსი იყო" და უეცრად სკეპტიკოსი გახდა... და მერე როგორი! ასეთები მე უკვე ზუსტად თოთხმეტი წელია არ მინახავს.

ჩემმა მეგობარმა ბარომეტრმა. ამ რამდენიმე დღის წინათ მთელი თეორია განავითარა იმის შესახებ, რომ არავითარი ომი არ მოხდება და სინამდვილეში ომი დეპეშათა სააგენტოებმა გამოიგონესო. ამ სააგენტოებს მან „დეპეშისტებიც" კი უწოდა.

— ისინი, მეუბნება იგი, ნამდვილი ათანას ივანოვიჩები[24] არიან, რომელიც აშინებს პულხერია ივანოვნას, ანუ საზოგადოებას იმით, რომ მალე თურქებზე გავილაშქრებთო... ცხადია, ყოველივე ეს ბატ. კრაევსკის კარგ შემოსავალს მისცემს...

მე მეგონა ეს ახალმოქცეული სკეპტიკოსის „პირადი" აზრია. მაგრამ აი, ალექსანდროვის ბაღში ყურმოკრული საუბარი, საუბარი ნამდვილი, ჭეშმარიტად მომხდარი, ისეთი, როგორსაც ალბათ, ვერც კი მოიგონებ.

— რაა ახალი? იქნება ომი?

— არა, ომი არ იქნება.

— მაშასადამე, იქნება მშვიდობა?

— არა, არც მშვიდობა იქნება.

— ბოლოსდაბოლოს რა იქნება?

— დეპეშები!

გარწმუნებთ, მკითხველო, რომ ეს ენამახვილური დიალოგი რომელიმე ფრანტმა ან „კულტურულმა ფენამ“ კი არ გამოიგონა მათ სად შესწევთ უნარი ამგვარი ფერების მიგნებისა, არამედ ჩვენმა უსწავლელმა, თბილისელმა კინტოებმა, აზიის ამ გავროშებმა.

მაგრამ დავანებოთ თავი ხუმრობას, სერიოზულ ხუმრობასაც კი. ჩვენ სულ უფრო მეტად და მეტად ვგრძნობთ, რომ ახლოვდება ჟამი, როცა დაგვჭირდება გავიმეოროთ ემილ ჟირარდენის ცნობილი სიტყვები:

„კალამი უნდა დუმდეს, ახლა ქვემეხებმა უნდა სთქვან თავისი სიტყვა!“

ამას წინათ ჩვენთან, „ტიფლისკი ვესტნიკის“[1] რედაქციაში, შემოვიდა „უცხო წარმოშობის ბატონი“, და უცხოურად მოგვაწოდა სადარბაზო ბარათი. ვკითხულობთ და თვალს არ ვუჯერებთ — ბარათზე რუსულად და ფრანგულად დაბეჭდილია შემდეგი სიტყვები:

ბოგუმილ გავლასა,

პრაღის ყოველდღიურ გაზეთ „Politik“-ის კორესპონდენტ-ფელეტონისტი.

— სად და რისთვის ჩამოხვედით? — ვეკითხებით ჩვენ.

— აზიის ფრონტზე კორესპონდენტად გამომგზავნეს, — გვეუბნება იგი.

ღმერთს ვფიცავ, ყოჩაღები არიან ეს უცხოელი ჟურნალისტები. სად არ აგზავნიან კორესპონდენტებს და რეპორტიორებს ოღონდ თავიანთ მკითხველებს სხვა გაზეთებზე. ადრე ორი-სამი ახალი ამბავი და რამდენიმე ნარკვევი შიაწოდონ!

ჩვენ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ როგორც კი სამხედრო მოქმედება დაიწყება, ევროპის ყოველგვარი გაზეთების კორესპონდენტთა მთელი ბრბო მოგვაწყდება. თუ კი მიკროსკოპიული „Politik“-ი არ შეუშინდა ხარჯებს და სითამამის თანმხლებ უკუნს, მაშინ არც ტაიმსები, ნიუსები და ტელეგრაფები შეირცხვენენ თავს. ევროპა თავის კორესპონდენტ-ფელეტონისტთა ბინოკლების მთელ ბატარეას მომართავს ჩვენი ქვეყნისაკენ. „Attention, messieurs, ne bougeons plus!“[25] ასეთი სიტყვებით უნდა მივმართოთ ახლა ჩვენს ხალხს, როგორც ამას ფოტოგრაფები აკეთებენ სურათების გადაღების დროს.

საერთოდ, მიუხედავად იმისა, რომ მდგომარეობა „საინტერე-

სოა“, მოხეტიალე კორესპონდენტის როლი, და მით უმეტეს საბ-ჭედრო კორესპონდენტისა, არც თუ ისე სასიამოვნოა. ბანაკში ცხოვრება, ცნობების მოპოვება, მათი გადაგზავნის საშუალებების ძიება, ყველაფერი ეს უმნიშვნელო წვრილმანებია. უმნიშვნელოა აგრეთვე ისიც, რის გადატანა და მოთმენაც მოგიწევს. მაგრამ, აი, სად იწყება მეტისმეტად სერიოზული უსიამოვნებანი. თუ მთავარ შტაბში იქნები, სტრატეგიული ცნობების მეტს ვერაფერს შე-იტყობ... ხოლო თუ შტაბს მოცილდები და მოინდომებ შენი თვა-ლით დაინახო „საქმე“, წვრილმანების მეტს ვერაფერს დაინახავ. როცა შენს გვერდით „მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენები“ ხდე-ბა, შენ გრგვინვის მეტი არაფერი გესმის. ბევრმა კორესპონდენტ-მა ვერ შესძლო ღირსეულად გამოსულიყო ამგვარი მდგომარეობი-დან, განსაკუთრებით მაშინ, თუ არც გავრცელებულ ხმებს იყენებ-და და არც ტყუილით სარგებლობდა. მაგრამ ამის შესახებ ჩვენ და-წვრილებით ვილაპარაკებთ თავის დროზე.

---

12. წერილები ბრძოლის ველიდან

1. წინასიტყვაობის ნაცვლად

თბილისი, 1877 წ. 25 აპრილი

„ტიფლისკი ვესტნიკის“ სამხედრო კორესპონდენტის მრავალტანჯული როლი უანგაროდ ვიტვირთე, და რადგან გავწიე „სალაშქროდ“ ჩვენი მოქმედი კორპუსის, ხოლო თუ შესაძლებელი იქნება მისი მფრინავი რაზმის, კვალდაკვალ, უსაზღვრო მოთხოვნილება მაქვს გულწრფელად ვესაუბრო ჩვენი გაზეთის მკითხველებს ბრძოლის ველიდან გამოგზავნილი ჩემი წერილების ხასიათზე. საჭიროა, ახლავე იცოდეს მკითხველმა, თუ რა შეუძლია მოითხოვოს ჩემგან და რა—არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეძებოს ჩემს უწყებებში.

სამხედრო კორესპონდენტის ყველაზე ეფექტური ტიპი — ეს არის ტიპი ბატონისა, რომელიც მკითხველს არწმუნებს, რომ მან ყველაფერი წინასწარ გაითვალისწინა, ნაზიარებია ღმერთების საიდუმლოებას, წინამძღოლმა მაშინ ესა და ეს უთხრა, ხოლო შტაბის უფროსი ამაში და ამაში გამოუტყდა; ტიპი, რომელიც თავის კორესპონდენციებს ძნელადმოსანელებელი ტექნიკური წვრილმანებით, ანდა სტრატეგიული მოსაზრებებით ააჭრელებს, მაგრამ ასეთი ტიპი მე არ მომწონს. მე არავინ არავითარ საიდუმლოს არ გამანდობს და არავინ არაფერში გამომიტყდება. გულახდილად რომ ვთქვა, მე ნაკლებად მჯერა საერთოდ საიდუმლოების, ხოლო განდობილისა — განსაკუთრებით. მე არც სტრატეგიული მოსაზრებებით ვაპირებ გატაცებას, რადგან ნამდვილი და სერიოზული მოსაზრებების გამოქვეყნება ომის დროს საჭირო არაა, ხოლო სულელურისა — მით უმეტეს. ამიტომ ჩემს წერილებში ძალზე ცოტა იქნება წმინდა სამხედრო ელემენტი.

ეს არ უნდა მიაწეროთ ჩემს უმეცრებას სამხედრო საქმეში. ო, არა. ერთ დროს, როცა მწამდა, რომ ბედმა ამ ქვეყნად „დიდი ამოცანების შესასრულებლად“ მომავლინა, — გასაგებია ეს იყო სამოციანი წლების დასაწყისში, სხვა საგნებთან ერთად სამხედრო მეც-

ნიერებებსაც გულმოდგინედ ვსწავლობდი და არა ერთი „უძილო ღამე“ გამიტარებია ლოიდის, ჟომინის, რუსტოვის და სხვათა შრომების კითხვაში. მას შემდეგ ათ წელზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში სამხედრო ხელოვნება საკმაოდ წინ წავიდა. ამ დარგს მე უკვე ადრინდელი გატაცებით კი აღარ ვადევნებდი თვალყურს, არამედ ვეცნობოდი გულგრილად, ამაო ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, როგორც ამას ის ადამიანები აკეთებენ, რომელთაც მეცადინეობის დროს ახალგაზრდული რწმენა კი არ აძლევს ბიძგს წმინდა მიზნისაკენ, არამედ იმის სურვილი, რომ როგორმე გაართონ მოცლილი გონება და მისცენ მას, სულერთია როგორი იქნება, რაიმე საკვები. მე ვერც ახლა, როცა სამხედრო საქმე მოდაში შემოდის, ვერ ვადევნებ მას თვალყურს ძველი გატაცებით... როგორც არ უნდა იყოს, წმინდა სამხედრო ცოდნა ჩემში, ალბათ, იმდენივეა, რამდენიც სხვა რომელიმე სამხედრო კორესპონდენტში. სატრაბახო აქ არაფერია, რადგან ჯერ კიდევ ღმერთმა იცის რამდენად დიდი სიბრძნე და მადლია ყოველივე ეს... მიუხედავად ამისა, ვიმეორებ, რომ ჩემს წერილებში მცირე ადგილს დავუთმობ წმინდა სამხედრო ელემენტს.

რა ადგილები აქვთ დაკავებული ჩვენს ჯარებს, სად გამოიჩინეს თავი, რომელი უღელტეხილები გადაიარეს — ამას თქვენ ოფიციალური წყაროებიდან შეიტყობთ და უფრო ადრეც, ვიდრე მე შევძლებ მოგაწოდოთ. ზოგჯერ, თუ რაიმე ამდაგვარის გაგება მოვახერხე და მოვასწრებ გადმოვცე გაზეთს ტელეფონით, თქვენთვის გასაგები იქნება, რომ ამ შემთხვევაში მე ვასრულებ მხოლოდ ტელეფონის სადგურისათვის ოფიციალური ცნობების მიმწოდებლის მუნჯ როლს. ჩემი მხრივ კი, გარდა წერილმანი დეტალებისა, ვერაფერს დავუმატებ.

საერთო მოქმედების გეგმა, ან ამა თუ იმ რაზმის ცალკეული მოქმედება, მე არ მეცოდინება და არც მინდა ვიცოდე. ამიტომ, ჩემს წერილებში ნუ ეძებთ მრავალსიტყვაობას იმის შესახებ, რომ ესა და ეს ასე და ასე უნდა მომხდარიყო და ასე და ასე მოხდა, ანდა სხვა რაიმე ამდაგვარს. უფრო ელოდეთ მსჯელობას თემაზე „საჭირო კი იყო“... და ასე შემდეგ. ჩვენ, ცოდვილებს, სად შეგვწევს ძალა ამ დარგს მოვეჭიდოთ.

არა, ჩემი როლი უფრო მარტივია და უფრო პატარაც, მაგრამ, მე მგონია, ჩვენს პირობებში ასეთი როლი ყველაზე ბუნებრივია.

ჩემს თავს პირობა მივეცი ყველაფერს დავაკვირდე, რასაც კი დავინახავ და აღვწერო მხოლოდ ის, რასაც დავინახავ, რასაც „თვი-

თონ პირადად" შევიგრძნობ. ბევრი რამის აღწერა ნაადრევი იქნება, მაგრამ ამისთვის მე თან მიმაქვს „უბის წიგნაკი", რომელსაც მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ გადაგიშლით. გარდა ამისა, ომსა და ლაშქრობას ბევრი ისეთი გარემოება ახლავს, რაც მკითხველთა ყურადღებას იმსახურებს. ადგილები, რომელსაც ჯარი გაივლის, მნიშვნელოვანი პუნქტების ხედი, ადგილობრივ მკვიდრთა ყოფა, მათი დამოკიდებულება მეომარი მხარეებისადმი, ჯარის დეტალური ფიზიონომია. სამხედრო მოვლენებით დაწინაურებული პირები, სალაშქრო და საბრძოლო ცხოვრების გარემოება, დაჭრილებისა და ავადმყოფების მოვლის წესი, კავშირგაბმულობის, მომარაგების და სხვათა მოგვარების წვრილმანები, საერთოდ, ყველაფერი ის, რაც ომის მხოლოდ ეფექტური მხარის თვალყურის მადევნებელ საზოგადოებას ყურადღების გარეშე რჩება, ჩემი სფერო იქნება. მე სწორედ ამ სფეროში მინდა ყოფნა. ვეცდები კეთილსინდისიერად დავაკვირდე და მართებულად ავსახო ყველაფერი, რასაც საკუთარი თვალით დავინახავ.

ადამიანებმა, რომლებიც წვეროსანის რეპუტაციით მიცნობენ, „enfant terrible"[26] როცა გაიგეს, რომ ბრძოლის ველზე ვაპირებ გამგზავრებას, მითხრეს: თქვენგან „ფარდის ახდას" მოველითო. ეს, რა თქმა უნდა, ტყუილი იმედია. კიდეც რომ არსებობდეს ფარდა, მის ახდას აზრი არა აქვს. ახლა ამის დრო არაა... ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ ამგვარი ოპერაცია ჯერჯერობით სრულიად შეუძლებელია. საერთოდ, საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი ამ მიზნით არავითარი ცდა არ ჩავატარო. სამხედრო ვითარების სახალხოდ გამოტანა ჩვენში სრულიად ახალი და უაღრესად სასარგებლო საქმეა, როგორც მთელი საზოგადოებისათვის, ასევე თვით ჯარისათვის. პირველი ნაბიჯი ამ ვითარების სააშკარაოზე გამოსატანად ფრთხილად უნდა გადაიდგას. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მის სათუთ ნიადაგში ფესვების მტკიცედ გადგმა. და რადგანაც ჩვენში პირველს მე მერგო პატივი გადავდგა პირველი ნაბიჯები, ამიტომ არ მინდა ვიკისრო პასუხისმგებლობა პრესის წინაშე, არ მინდა ჩემი გაუფრთხილებლობით ზიანი მივაყენო მის ინტერესებს და ჩანასახშივე ჩავკლა უსათუოდ სასარგებლო და ცალკეული შედეგებით მნიშვნელოვანი საქმე.

გულითადად ვთხოვ მკითხველებს დაიმახსოვრონ ეს გარემოება, რომ შემდეგ ბრალი არაფერში დამდონ.

რადგან საქმე „გულახდილობაზე" მიდგა, მინდა დაუფარავად ვაღიარო, რომ ბრძოლის ველზე სრულიად არ მივდივარ ახალი ამ-

ბებისა და ცნობების შესაგროვებლად და გადმოსაცემად... მე გულის-
არევამდე მომწყინდა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება. მართალია,
მე არ ვეკუთვნი ახალი დროის იმ გმირთა რიცხვს, რომლებიც გარ-
თობისა და „ახალი მონეტის ხელში დაჭერის“ მიზნით მოუწოდებ-
დნენ ათი ათასობით ადამიანების სიცოცხლის მოსპობისაკენ. არა,
სამოქალაქო სევდას მე ჯერ აქამდე არ მივუყვანივარ. მაგრამ, რად-
გან ომი გამოცხადებულია, რადგან ჩვენს საზღვრებში დაინთო მისი
ხანძარი, რატომ არ უნდა გავგზავნო ეშმაკებთან, ვფიქრობდი მე,
ჩვენი ყოველდღიური ინტრიგების ყველა ეს გმირი, ჩვენი ვექილე-
ბი, პედაგოგები, მოსამართლეები, ბანკირები, et tutti; guanti [27]
და არ ვიხილო იშვიათი სანახაობა, არ შევხედო ნამდვილ გმირებს,
რომლებიც მარტო პერანგს კი არ სწირავენ, არამედ თავსაც? უკა-
ნასკნელ წლეებში ჩვენში მხოლოდ ისინი ითვლებიან გმირებად,
ვინც სხვებზე ოსტატურად ძარცვავს მახლობელს, ვინც უფრო
მოხერხებულად ატყუებს ბრბოს, ვინც საზოგადოებისათვის ვითომ-
დაც სასარგებლო მყვირალა ფრაზები მეღერად მონეტად აქცია,
ვინც თავისი ლიბერალური შეხედულებებით მტკიცე შემოსავალი
გაიჩინა, ვინც ვაჭრობდა ქნარით, სინდისით და პრინციპებით. ეშ-
მაკსაც წაუღია მათი თავი. მე გადავყევი მათ და საკმაოდ კარგად
შევისწავლე ისინი. ახლა უკვე სულერთია დაჭკრავ მათ, თუ არა: მათ
ყურადღებას არავინ მიაქცევს, რადგან თვალი ყველას ომისაკენ
უჭირავს. ახლა შეუძლიათ ისარგებლონ მოხერხებული დროით,
ძარცვონ და იქურდონ რამდენიც სურთ, გააბან ინტრიგები, რამდე-
ნის ძალაც და მოხერხებაც ეყოფათ. ბედმა მათ სრული თავისუფ-
ლება მისცა და ახლა არავის, არავითარ პრესას არ ძალუძს ხელი შე-
უშალოს მათ. ვისარგებლებ ამ დროით, გავიფიქრე მე, და პრაქტი-
კულად შევამოწმებ სამხედრო საქმის თეორიას, ვნახავ როგორ
კვდებიან ადამიანები... აი, ძირითადი მიზეზი, რისთვისაც ბრძოლის
ველზე გავემგზავრე.

არ ვიცი, რას უმზადებს ბედი ჩემს წერილებს და ლაშქრობას,
არ ვიცი საიდან მოგწერთ, მოგწერთ ხშირად, თუ იშვიათად, უსია-
მოდ თუ სიამოვნებით, სასიხარულო თუ სამწუხარო თემაზე. ყვე-
ლაფერი ეს დამოკიდებულია გარემოებაზე და შთაბეჭდილებებზე.
ერთი რამ კი შემიძლია შეგპირდეთ — საქმეს მთელი გულისყურით
მოვეკიდები და ყოველ ღონეს ვიხმარ, რაც შეიძლება სრული და
ზუსტი ცნობები შევაგროვო, რომლებიც ახლა თუ არა, შემდეგ მა-
ინც გამომადგება.

გამომშვიდობებისას მინდა რამდენიმე მგრძნობიარე სიტყვა

ვუთხრა მკითხველებს, მაგრამ ყველაფერი, რაც გულზე მაწევს, შეიძლება „ფრაზად“ მოგეჩვენოთ. უკეთესია ჩვეულებას გადავუხვიოთ, ერთმანეთს უსიტყვოდ გამოვეთხოვოთ და ვუსურვოთ ერთმანეთს ჩქარა დამდგარიყოს ის დრო, როცა ზედმეტი და შეუძლებელი იქნება ადამიანთა შორის სისხლის ღვრა, რასაც ამ რამდენიმე დღის შემდეგ საკუთარი თვალით ვნახავ.

2. არდაგანის სიმაგრის დაზვერვა

ბანაკი სოფელ ხევისკართან, 1877 წ. 2 მაისი

ცნობილია, რომ არდაგანს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი დგას ბათუმიდან ყარსისაკენ მომავალი და ახალციხიდან ოლთისაკენ მიმავალი გზების გზაჯვარედინზე. ამის გამო, თურქები შეეცადნენ ამ პუნქტის გამაგრებას. გარდა არდაგანის უწინდელი ციტადელისა, რომელიც წინა ომში უომრად დაგვნებდა, ამჟამად მათ არდაგანის გარეუბნებში ბევრი სიმაგრე და მოწინავე ფორტები ააგეს.

ახალციხის რაზმი, რომელსაც მეთაურობს გენერალი დეველი, დიდი ხანია დგას არდაგანთან. ეს რაზმი რომ გაეძლიერებიათ და გადამწყვეტი დარტყმა მიეყენებიათ არდაგანისათვის, მომქმედი კორპუსის მთავარი ძალებიდან გამოჰყვეს რაზმი, რომელიც, კორპუსის უფროსის მ. ტ. ლორის-მელიქოვის პირადი მეთაურობით, 28 აპრილს გამოვიდა ზაიმსკის ბანაკიდან და ჯელაუსის და ომერაღას გავლით არდაგანისაკენ დაიძრა. 1 მაისს რაზმი მივიდა დანიშნულ ადგილას. კორპუსის მეთაური მაშინვე გაემართა დასაზვერად და ნება დართო იმ პირთ, რომლებიც მის შტაბს შეადგენენ და რომლებიც მას ახლდნენ, გაჰყოლოდნენ თან, თუ ამის სურვილი ჰქონდათ.

დაახლოებით დილის 11 საათზე, კორპუსის მეთაური გაემგზავრა სოფელ გელგიალის მახლობლად გაშენებული ბანაკიდან თავისი შტაბის წევრების, თერგისპირა კაზაკების ერთი ასეულისა და ადგილობრივი მილიციონერებისაგან შემდგარი უმნიშვნელო რაზმის თანხლებით. ჩვენ მთას მივყვებოდით, თანდათან სულ უფრო მაღლა ავდიოდით და ყოველ წუთს ბინოკლებით ვათვალიერებდით გელიავერლის სიმაგრეებს, რომლებიც მრისხანედ დაგვყურებდნენ ზემოდან. ჩვენ უნდა ავსულიყავით მთაზე, რომელიც თითქმის მო-

წინავე სიმაგრეების დონეზე იდგა და ამ სიმაღლის ქედიდან არდაგანის ყველა სიმაგრეების განლაგება დაგვეთვალიერებინა.

ქალაქი არდაგანი გაშენებულია მდინარე მტკვრის აყვავებულ ველზე, სწორედ იმ ადგილას, სადაც ეს ველი უერთდება მტკვრის ვიწრო ხევს, რომელიც ორივე მხრიდან შეზღუდულია საკმაოდ მაღალი, მდინარის ნაპირებამდე მოსული მთებით. ქალაქი განლაგებულია ამფითეატრის მსგავსად მტკვრის მარცხენა ნაპირზე და ველს გაჰყურებს. ციტადელი ერტყმის აღმოსავლეთის მხრიდან. იმ ადგილიდან, საიდანაც ვაკვირდებოდით, ჩვენ მხოლოდ ქალაქისა და ციტადელის უმნიშვნელო ნაწილი შეგვეძლო დაგვენახა. ქალაქის დანარჩენ ნაწილს ფარავდა გორაკები, რომლებზედაც მრავალი სიმაგრე იყო განლაგებული. ჩვენ ვხედავდით ამ სიმაგრეების მხოლოდ ნაწილს და არდაგანის მთელ დაბლობს.

მტკვარი, რომელიც არდაგანთან ვიწროვდება, თითქმის სწორი კუთხით უხვევს. ყოველი მხრით, გარდა დასავლეთის მხრისა, აღმართულია ბორცვები და სიმაღლეები, რომლებიც ბატონობენ ქალაქზე და მტკვრის ხეობაზე. ამ ბორცვებისა და სიმაღლეების დიდი ნაწილი თურქებმა ფორტების ასაგებად გამოიყენეს და ამ ფორტებში ახლა დასვაებულია ყველა კალიბრის უამრავი ქვემეხი. აქაური მკვიდრის სიტყვებით, ჯერ კიდევ გასულ ზამთარს არდაგანში ყარსიდან გადმოიტანეს კრუპის მსხვილკალიბრიანი 12 ქვემეხი (როგორც ადგილობრივი მკვიდრი გვარწმუნებდა „ქვემეხებს ება 70 წყვილი ხარი და კამეჩი“).

ყველაზე მნიშვნელოვან სიმაგრედ, რა თქმა უნდა, რამაზანის ფორტი ითვლება, რომელიც აგებულია მაგლასის მთაზე არდაგანის მხრიდან და ბატონობს არა მარტო ქალაქზე, არამედ არდაგანის სიმაგრეების დიდ ნაწილზეც (თუ ყველაზე არა). არდაგანის მხრიდან იგი მიუდგომელია, რადგან მაგლასის მთა ციცაბო კლდეს წარმოადგენს. ერთადერთი მისასვლელი რამაზანის სიმაგრესთან — გურუუნის მთის მხრიდან — ახლაც თოვლითაა დაფარული და მიუვალია იმიტომ, რომ სიმაგრეების ფრონტი მიმართულია სწორედ ამ მხარეს და არა ქალაქისა ან ხევის მხარეს. ეტყობა თურქებს ეშინოდათ რუსების მიერ მაგლასის მთის დაკავებისა და რამაზანის ფორტი მხოლოდ იმ მიზნით ააშენეს, რომ ხელი შეეშალათ რუსებისათვის ამ მთის აღებაში.

მაგლასის მთის ძირში, ზუსტად ახალციხის გზაზე, აგებულია ყარატაშ-ჩუხურის სიმაგრე, რომელიც არდაგანის ციტადელიდან 700 საჟენითაა დაშორებული. უფრო ახლო მასთან, მტკვრის იმავე

მარცხენა ნაპირზე, სიმაღლეზე, რომელიც არდაგანზე ბატონობს, აგებულია ორი სიმაგრე კაია-ბაში, №№ 1 და 2. ციტადელიდან პირველი 150 საჟენითაა დაშორებული, მეორე — 250 საჟენით. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე აგებულია სიმაგრე ახალი-ტაბიე, ყაზტაპასი და სლიგერი. სამივე საკმაოდ მაღალ მთაზეა განლაგებული. ყველა ეს ფორტები და სიმაგრეები არდაგანს ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან იცავენ. მათგან დამოუკიდებლად მდინარე მტკვრის ველზე, დაბლობში აგებულია სიმაგრეები დიუსი, მეხრაბი და კუდიან-ჩაპრი, რომლებიც ბატონობენ ოლთისაკენ და ბათუმისაკენ მიმავალ გზებზე. მტკვრის იმავე მარჯვენა მხარეზე, არდაგანის აღმოსავლეთით, აღმართულია ფორტები ჩუმა-კენი და გიულიავერდი. ეს უკანასკნელი ბატონობს გამოუკლებლივ ყველა ხევზე, რომელიც კი არდაგანისკენ აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან და ნაწილობრივ ჩრდილოეთიდან მოდის და აგებულია ძალიან მაღალ მთაზე, რომელიც ამ მიდამოებში 15 ვერსზე სჩანს.

მარჯვენა ნაპირის უახლოესი სიმაგრე, არდაგანის ციტადელიდან, 500 საჟენითაა დაშორებული. ყველაზე უშორესი და ამავე დროს ყველაზე მნიშვნელოვანი გიულიავერდი კი—4 ვერსით.

ამგვარად, არსებული მდგომარეობის მიხედვით, არდაგანი წარმოადგენს ძალზე გამაგრებულ პოზიციას. მისი ციტადელი ყოველი მხრიდან გარშემორტყმულია ცალკეული მოწინავე სიმაგრეებით, რომელთა უმეტესობა მნიშვნელოვან სიმაღლეებზეა აგებული.

ჩვენი ჯარები არდაგანს დაახლოებით 20 აპრილს მიადგნენ ჩრდილოეთიდან. ახალციხის რაზმი (გენერალ დეველისა) ბანაკად განლაგდა ჩაგესტანში და ოლგენში, ხოლო მოქმედი კორპუსის მთავარი ძალები, რომლებიც 1 მაისს მოვიდნენ, ბანაკად განლაგდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან, ჯერ ბურდოსანთან, შემდეგ კი ალაგეზის მახლობლად და ამით არდაგანი ყარსისაგან მოსჭრეს.

1 მაისს, როგორც კი მომქმედი კორპუსის რაზმი ბურდოსანში მივიდა, კორპუსის მეთაური მ. ტ. ლორის-მელიქოვი არდაგანის სიმაგრის დასაზვერავად გაემართა და თანმხლებ პირებსა და მისი შტაბის წევრებს ნება დართო გაჰყოლოდნენ თან, თუ ამის სურვილი ჰქონდათ. თითქმის ყველამ ისარგებლა ამ წინადადებით იმ პირთა გარდა, რომლებიც მოვალენი იყვნენ ბანაკში დარჩენილიყვნენ.

დაახლოებით 11 საათზე ჩვენი კოლონადა ადგილიდან დაიძრა, კორპუსის უფროსს თან ახლდა თერგისპირა კაზაკების ასეული და ადგილობრივი მილიციისაგან შემდგარი რამდენიმე ათეული. მას თან გამოჰყვნენ მისი შტაბის უფროსი ს. მ. დუხოვსკი, მოქმედი

კორპუსის ფეხოსანი ჯარის მეთაური გენერალი გეიმანი, კორპუსის ხირურგი ი. ი. მალინინი, გენერალური შტაბის წარმომადგენელი პოლკოვნიკი პ. ფ. სემიონოვი და იმ პირთა უმრავლესობა, რომლებიც მის შტაბს შეადგენდნენ. გენერალი გეიმანი ხან ჩამორჩებოდა კოლონას, რათა სხვა პუნქტები დაეთვალიერებინა, ხანაც ისევ უერთდებოდა. მას ყველგან თან ახლდა რაზმის ცხენოსანთა დივიზიის მეთაური გ. მ. შერემეტევი. ჩვენ ავდიოდით სიმაღლეზე, რომელიც ზუსტად გიულიავერდის პირდაპირ იდგა. ეს ამაღლებული ადგილი თითქმის გელიავერდის დონეზე მდებარეობდა და სიმაგრიდან 2½ ვერსით იყო დაშორებული. ამ პუნქტების სიმაღლეზე რომ წარმოდგენა შეგექმნათ, მხოლოდ ერთ რაზეს ვიტყვი: სიმაღლეებზე ადგილ-ადგილ ჯერ კიდევ დევს თოვლი, ხოლო სიმაგრის კედლები და იმ სიმაღლეების ქედი, რომელზეც ავდიოდით, ზოგ ადგილას ჩაწოლილი თოვლის მნიშვნელოვანი ფენებითაა დაფარული. მთა გურგუნი კი, რომელიც რამაზანის ფორტზე ბატონობს, ისევე როგორც მთელი ქედი, რომელსაც უერთდება, თოვლის სქელი ფენით იყო დაფარული.

როცა ნახევარი გზა გავიარეთ, ჩვენს კოლონის წინ, იქ სადაც კოლონის თავი იყო, კურდღელმა გადაურბინა. ამ ამბავმა ბევრს ჟრჟოლა მოჰგვარა, მაგრამ არავის არაფერი უთქვამს. ბევრს უნდოდა, ალბათ, მოეგონებია რუსული სალაშქრო ცრურწმენა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც სამარისებური სიჩუმე სუფევდა, რაც ყველაზე უფრო ამტკიცებდა, რომ არავინ არ იყო სიცილისა და ნახვილსიტყვაობის ხასიათზე.

როცა მთაზე ავედით წინ საოცარი სურათი გადაგვეშალა: არდაგანის ველის დიდი ნაწილი ხელის გულივით გამოჩნდა ჩვენს წინ. მტკვარი ნათელი ფერის გველივით იკლაკნებოდა ველზე და თავის ბრწყინვალე ჩანჩქერებით კიდევ უფრო აძლიერებდა მის ზურმუხტისფერ სიმწვანეს, რაც მკვეთრად გეხვდებოდა თვალში ყველა მეზობელი სიმაღლეების და ჩვენს მიერ განვლილი მთელი გზის მოყავისფრო ზედაპირის გამო. სოფლები და მცირე დასახლებული პუნქტები მდინარის ნაპირების გაყოლებით შემეიდროებულიყვნენ, რომელზედაც აგრეთვე ბევრი წისქვილი და ცალკეული შენობები იყო აგებული. ყოველ მხრივ მიემართებოდა მოუკირწყლავი გზები, რომლებიც ამეღავნებდნენ ამ ველის მდიდარ შავმიწიან ნიადაგს. ღია ფერის სიმწვანეს, გველივით დაკლაკნილი მდინარის ბროლს და გზების შავ თასმებს ორივე მხრივ აგვირგვინებდა ირგვლივ გარშემორტყმული ქედების მუქი-მწვანე ფერის სიმაღ-

ლეებზე დარჩენილი თოვლი. მეტი ეფექტი რომ მოეხდინა, ჩვენ-გან მარჯვნივ აზიდულიყო მთა მაგლასი, რომელიც თავის სიმაგრეებიანად მუქი აგურისფერი იყო. ყველაფერი ეს განათებული იყო მზის ნათელი სხივებით და წარმოდგენა და აზრი წმინდა პოეტური ნეტარების სამყაროში გადაჰყავდა, რაც ძალზე შორს იყო ჩვენი მგზავრობის მიზნისაგან.

ზუსტად ჩვენ წინ აღმართული იყო მთა გელიავერდი, მოსჩანდა ცეხის კედლები, ქვემეხები და აგრეთვე ცნობისმოყვარე თურქები, რომლებიც ამოცვივდნენ თხრილზე ჩვენს დასანახავად და ჩვენი აზრის ამოსახსნელად. მთავარი სიმაღლის წინ აღმართული იყო მეორე, უფრო დაბალი მთა, რომელზედაც თავმომწონედ იდგნენ ოტომანთა საგზეადრო პირები და მოსჩანდა მიწის სამუშაოების კვალი, მაგრამ აქ არც ქვემეხები სჩანდა, არც თხრილები და არც ქვის კედლები. კიდევ უფრო შორს, ჩრდილოეთით, მესამე სიმაღლის ფერდობებზე მოსჩანდა თეთრი კარვები, რომელთა შორის დადიოდნენ ოსური ჯარისკაცები. ყველაფერი ეს ისე ახლო იყო, თითქოს ორ ნაბიჯზეო, სოლო ბინოკლებით „ალყაშემორტყმულთა“ ყველა მოძრაობას ვხედავდით.

ჩვენ მთელი საათი ვათვალიერებდით იქაურობას, ვტკბებოდით ბუნების სიმშვენიერით და გვაკვირვებდა თურქთა ძალების აპატიური მდგომარეობა. „რატომ არ გვესვრიან“? „რას ნიშნავს ეს“? აი კითხვები, რომლებიც ყოველ წუთს წამოგვცდებოდა ხოლმე.

ღამავიწყდა მეთქვა, რომ იმ დროს, როცა ჩვენი შტაბის მთავარი წევრები მთის პირს მოადგნენ და დაკვირვებით დაუწყეს თვალიერება თურქების სიმაგრეებს, მთავარსარდლის ამალას და მის ბადრაგს უბრძანეს მოშორებით გაჩერებულიყვნენ, მთის ქედს ამოფარებოდნენ. გარდა ამისა იმ პირთ, რომელთაც მთის კიდესთან მისვლის ნება მისცეს, უთხრეს ჯგუფ-ჯგუფად კი არ მდგარიყვნენ, არამედ ცალ-ცალკე. გამონაკლისს წარმოადგენდა კორპუსის მეთაურთა საშსახურეობრივი მოვალეობის თანასმად თავმოყრილი პატარა ჯგუფი.

ბოლოს, როცა ყველაფერი დაათვალიერეს, ჩვენი კოლონა უკან დაბრუნდა და ხან ქედს მოჰყვებოდა, ხანაც მასვე ეფარებოდა. მოპირდაპირე მხრიდან დინჯი ნაბიჯით მოდიოდა ჩვენსკენ გენერალი გეიმანი, რომელსაც თან ახლდა გენერალი შერემეტევი და ხუთიექვსი ყაზაკი. ამ მაღალი, ტანადი, მამაცი მხედრების ფიგურები მთელი ტანით, მკვეთრად მოსჩანდა მთის ქედზე. თითქოს სასროლად იწვევდნენ ფორტში მდგარ კრუპის ქვემეხებს.

მე ხუთმეტიოდე ნაბიჯი მაშორებდა ჩვენკენ მომავალ გენერალ გეიმანისაგან, როცა მოგვესმა აფეთქების ყრუ გრუხუნი. გავიდა რამდენიმე წამი და მომესმა შიშინისმაგვარი სტვენა, თითქოს ბგერა სპირალს მიჰყვებოდა. ყუმბარა რომ დამენახა თავი ავწიე, მაგრამ, ცხადია, ვერაფერი დავინახე ჰაერში. სამაგიეროდ ხუთმეტი თუ ოცი ნაბიჯის მოშორებით იმ ადგილიდან, სადაც გენერალ გეიმანი იმყოფებოდა, მისი ამალის ყველაზე უკან მომავალი კაზაკის ცხენის კუდთან, გაისმა აფეთქების ხმა და უეცრად აღიმართა ყუმბარის ნამსხვრევების, მიწის ნაჭრებისა და დამფრთხალი ჩიტების უზარმაზარი თაიგული, ამ თაიგულის ფონი მოყვითალო კვამლი იყო.

მე მეგონა გეიმანის მთელი ამალა აფეთქების მსხვერპლი გახდა და ამიტომ მთელი ჩემი ყურადღება მათ მივაქციე. მაგრამ გამაკვირვა თვითონ გენერლის გამომეტყველებამ. რა დაკვირვებითაც არ ვადევნებდი თვალს მის ფიზიონომიას და რა ახლოსაც არ ვიყავი მისგან, მაინც ვერავითარი ცვლილება ვერ შევნიშნე. არც ერთი ძარღვი არ შეტოკებულა ამ მშვიდ სახეზე. იგი არც კი შემობრუნებულა იმის გასაგებად. თუ რა შედეგი მოჰყვა აფეთქებას. მხოლოდ მისი ცხენი შეკრთა მშფოთვარედ, მაგრამ მხედარმა მაგრად მოუჭირა სადავე და ისევ დინჯი ნაბიჯით წავიდა წინ, რამაც ახალი გასროლა გამოიწვია.

მე ვერ მოვასწარი დამენახა ამ ჯგუფის სხვა წევრთა სახეები. პირველ გასროლას არც ერთი ჩვენგანისათვის არავითარი ზიანი არ მოუყენებია.

ახლა გადავიდეთ ჩემს პირად შთაბეჭდილებებზე. მე იმდენს მელაპარაკებოდნენ იმ დიდ შთაბეჭდილებაზე, რასაც პირველი გასროლა იწვევს, რომ უფრო მძაფრ განცდას ველოდი. არ მაქვს სურვილი თავი მოგაწონოთ სიმამაცით და გამბედაობით და ამიტომ გულახდილად გეტყვით, რომ პირველი განცდა ძალზე უსიამოვნო იყო. თვითონ ვიგრძენი, რომ საკმაოდ გავფითრდი, მაგრამ შიშის უსიამო გრძნობა გაჩიჩნდა არა ყუმბარის სროლისა და აფეთქების მომენტში, არამედ რამდენიმე წამის შემდეგ იმ მომენტიდან, როცა ცხადი შეიქმნა, რომ ყუმბარა არავის არ შებებია და არავითარი ვნება არ მოუტანია არც ერთი ჩვენთაგანისათვის.

მე კარგად ვიცნობ საშინელების განცდას, რასაც თან სდევს გონების დაბნეულობა, და იმ გულისცემას, რომელიც ჩვეულებრივი ხმით ერთი სიტყვის წარმოთქმის საშუალებას არ გვაძლევს და ა. შ. ყველა ეს გრძნობა მე ბოლომდე განვიცადე, როცა ერთმა ახლობელმა ადამიანმა შემთხვევით რევოლვერის ტყვია მოიხვედრა მკერდში,

მაგრამ ახლა ამის მსგავსი არაფერი განმიცდია. ვსუნთქავდი თავისუფლად და მხოლოდ რაღაც გაურკვეველი, გაუგებარი და უსიამოვნო გრძნობა მაწვა გულზე, ზუსტად ისეთი როგორიც ხანდიხან ღრმა სევდას ახლავს თან. მაგრამ ამ უსიამოვნო გრძნობით გამოწვეული უსიამოვნება ძალზე ძლიერი იყო. ჩემის აზრით, ეეშმარიტად მამაცი ადამიანები არ უნდა განიცდიდნენ ამგვარ გრძნობას. მართალია, ნებისყოფას შეუძლია ჩაკლას ეს გრძნობა, თვითონ მე. იოლად მოვერიე ჩემს ნერვებს და ჩემს სიფერმკრთალეს. მაგრამ ბატონებო, ჩვენი ნებისყოფა ის არაა, რასაც მე სიტყვა „მამაცში" ვგულისხმობ.

მე პირველად არ ვდგევარ სიკვდილის წინაშე: უკვე სამჯერ გავეჭეცი მის ბრჭყალებს. ერთხელ პირდაპირ ესროლეს რევოლვერი, მაგრამ არც ერთხელ არ განმიცდია ეს უსიამოვნო გრძნობა. შეიძლება ივიტომ, რომ მაშინ მე მტკიცედ მწამდა ჩემი ბედის ვარსკვლავისა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ბედი ასე უსაბელოდ არ გამწირავდა. როგორც არ უნდა ყოფილიყო, საფრთხეს არ მოუხდენია მაშინ ჩემზე ასეთი შთაბეჭდილება და მე. მხიარული ღიმილით და ზიზღით შევყურებდი მას.

გასროლის შემდეგ ვკითხე ყველას, ვინც კი პირველად იყნოსა ტყვიის წამლის სუნი. რას გრძნობს თითეული მათგანი. ყველა ერთდაიმავეს ამბობდა: „არასასიამოვნო გრძნობაა, არც თუ ისე სასიამოვნო განცდაა, საკმაოდ ზიზღისმომგვრელი შთაბეჭდილებაა". სხვა ვერავისგან ვერაფერი გავიგე. ამასვე ამბობდნენ ისინიც, რომლებიც არაერთხელ ყოფილან ბრძოლაში.

მაპატიეთ თხრობიდან ასე დიდიხნით განზე გადახვევა და თქვენი ყურადღების ჩემს პირად განცდებზე შეჩერება. მაგრამ თქვენ, ალბათ, გახსოვთ, რომ დაგპირდით ჩემს პირად განცდებს და შთაბეჭდილებებს გაგაცნობთ მეთქი, მე სწორედ ამისთვის წამოვედი აქ და ამიტომ ბრალს ნუ დამდებთ. გარდა ამისა ეს გრძნობა საკმაოდ საინტერესოა და, ალბათ, ყველა ახალბედას და არა მარტო ახალბედებს განუცდია ამგვარი ან ამის მსგავსი რამ. დაუბრუნდები თხრობას.

ცხადი იყო, რომ პირველ გასროლას, სხვები მოჰყვება. არც ერთ ჩვენგანს ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. არა ნაკლებ ცხადი იყო ისიც, რომ თურქი არტილერისტები შესანიშნავი მსროლელები არიან: მოახვედრო ასე ზუსტად ხაზს, სწორედ იმ წერტილს, სადაც გასროლის მომენტში გეიმანის ჯგუფი იმყოფებოდა, რომელიც 1100 საჟენით იყო დაშორებული მათგან, რაც გინდა თქვათ, მაგრამ ეს ცოტა არაა. ყველას ესმოდა, რომ მეორე გასროლა, ანდა მათი მომ-

დევნო, კორპუსის მეთაურისაკენ იქნებოდა მიმართული. მე დარწმუნებულიც კი ვიყავი, რომ მეორე ყუმბარა თავზე გადაუფრენდა მას და მოხვდებოდა მის მრავალრიცხოვან ბადრაგს, რომელიც ქედს ამოფარებოდა. მაგრამ გავიდა მთელი ნახევარი საათი და სროლა არ განახლებულა. მ. ტ. ლორის-მელიქოვი ბთის კიდეზე იდგა ფორტის პირდაპირ და ელაპარაკებოდა გენერალ გეიმანს, დუბოვსკის და დეველს, რომელიც სროლის შემდეგ მოვიდა პირდაპირ ახალციხის რაზმიდან. თითეული მათგანი ყოველ წუთს ბინოკლით ათვალიერებდა სიმაგრეებს. შლიდნენ და ათვალიერებდნენ რუკებს და ფორტების გეგმებს, ადარებდნენ თვალით დანახულს და ხელით აჩვენებდნენ ერთმანეთს თავდასხმისათვის ამა თუ იმ ხელსაყრელ პუნქტს. თურქები ბრძენიც რომ ყოფილიყვნენ, მაინც უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ მათ წინ უბრალო ტურისტები ან ოფიცრები კი არ არიან, არამედ მათთვის ალყაშემორტყმული ჯარის უმაღლესი მეთაურები. მაგრამ მთავარსარდლის ჯგუფი ადგილიდან არ იძვროდა. იგი ქედმაღლურად სთავაზობდა თავის თავს სანიშნოდ თურქეთის ქვემეხებს. ჩვენ ყველას შეგნებული გექონდა, რომ სადაცაა ეს ჯგუფი მტვრად იქცევა.

ასე გრძელდებოდა ნახევარ საათზე მეტ ხანს. ბოლოს დავინახეთ კვამლის სვეტი ფორტის კედელზე. რამდენიმე წამის შემდეგ კვლავ გაისმა გრგვინვა, რომელიც, ალბათ, პირველზე უფრო ძლიერი იყო. ისევ ხანგრძლივი. მკვახე, გულისკამაწვრილებელი სტვენა და საღღაც ჩვენს უკან, იქ სადაც ბადრაგი იმყოფებოდა, კვლავ აფეთქდა ყუმბარა. მსოლოდ იმ აზრის გაელვებამ, რომ ამ ზუსტად ნასროლმა ყუმბარამ, ალბათ, ოცი კაცი მაინც იმსხვერპლა, ერჟოლა მომეკარა. ცნობისმოყვარეობა იქითკენ მეწეოდა. სადაც ყუმბარა აფეთქდა, მაგრამ უსიამოვნო გრძნობა, რასაც სისხლის დანახვა იწვევს და ქედისაკენ ახალი გასროლების მოლოდინი, ადგილზე, ამ ქედის მახლობლად მაჩერებდა. და მართალაც, არ გასულა ორი წუთი და კორპუსის მეთაურის ჯგუფის წინ ხმაურით აფეთქდა ყუმბარა, რომლის ნამსხვრევები, როგორც მე მომეჩვენა, მთელ ჩვენ მთავარ შტაბს დაეცვივდა. მაგრამ როცა გადავდგი რამდენიმე აჩქარებული ნაბიჯი ამ ჯგუფისაკენ დავინახე, რომ ყველა მთელი და უვნებელია.

მალე ყველა იმ ადგილისაკენ დავეშვით, სადაც მეორე ყუმბარა აფეთქდა. ყუმბარა ნამსხვრევებად იქცა მოზდოკის გრენენსკის პოლის ასეულის წინ, ერთ-ერთი ნამსხვრევი მოხვდა მწყობრში მდგარ ცხენს კისერში, დაუმსხვრია კისრის მალები და იმ წამსვე ადგილზე დააწვინა. სხვა ყველა უვნებელი გადარჩა.

ჩვენ ისევ დავყევით მთას და ისეთივე ნელი ნაბიჯით, ისეთივე გაჩერებებით გამოვბრუნდით უკან, როგორც გავიარეთ ეს გზა.

დაზვერვა, რომელიც კინაღამ ტრაგედიად არ იქცა, ძველი მოდის დრამის დივერტისმენტით დამთავრდა. მოვედით, ვიყნოსეთ თოფის წამლის სუნი და უკანვე გამოვბრუნდით. თითქოს ამით დამთავრდა ყველაფერი, მაგრამ ნურას უკაცრავად. როცა უკან ვბრუნდებოდით, სწორედ იმ ადგილას, სადაც კურდღელმა გადაგვირბინა წინ, ისევ გამოვარდა კურდღელი. შეიძლება ეს კურდღელი იგივე იყო. იგი სწრაფად გაიქრა წინ, გრძელი ყურები ზურგზე გადაიწყო, ხოლო თეთრი კუდისმაგვარი ბოლო მაღლა ასწია. კურდღელს გაეკიდა პოლკოვნიკ თავ. ერისთავის ძაღლი. პოლკოვნიკი ჩვენ გენერალ დეველთან ერთად შემოგვიერთდა. ატყდა მხიარული ძახილი „ატუ, ატუ“ და საცოდავი კურდღელი მალე ჩვენი არდაგანისკენ ლაშქრობის მსხვერპლი გახდა. კურდღელი ზეიმით მოართვეს ძაღლის პატრონს და მისი თანმხლები კაზაკის ჩანთაში ჩასდეს. ამჯერად კურდღლის გამოჩენას სრულიად არ გამოუწვევია ისეთი გრძნობა, როგორც პირველად და ცრუმორწმუნეებს შეეძლოთ თვალნათლივ დარწმუნებულიყვნენ, რომ ხალხური ცრურწმენა ხშირად უაზრო.

მართლაც, იდგე ცხვირწინ მოწინააღმდეგისა, რომელიც ფორტის კედლებს უკან შორსმსროლელ ქვემეხებს ამოფარებია, ნაკუწნაკუწ აფეთქდეს ზუსტად ნასროლი ყუმბარები ამდენ ხალხს შორის და ყველაფერი ეს დამთავრდეს მხოლოდ ერთი ცხვნის დაკარგვით. — განა შეიძლება ამაზე უფრო დიდი ბედნიერება?

3. არდაგანის დაგომგვა და შტურმი

ბანაკი ალაგეზის მახლობლად. ღამე 5-დან 6 მაისამდე

ამ ღამეებში საკმაოდ დაწვრილებით აღიწერეთ არდაგანის სიმაგრეების განლაგება. ამიტომ ახლა შემიძლია გადავიდე იმ სიმაგრეებზე მიტანილი იერიშების დაწვრილებით აღწერაზე, რომელთა შედეგებიც ორ ნაწილად გადმოგეცით დეპეშით.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენი ჯარები არდაგანს ორი მხრიდან მიადგნენ. ახალციხის რაზმი მიადგა ჩრდილოეთიდან, ხოლო მოქმედი კორპუსის მთავარი ძალები სამხრეთიდან. 1 მაისს გენერალ-ადიუტანტ მ. ტ. ლორის-მელიქოვმა დაზვერა სიმაგრეები. რასაც მივაძღვენი მთელი წერილი. 2 და 3 მაისი გამოიყენეს იერიშის მოსამზადებლად და არტილერიის გადმოსაზიდად, განსაკუთრებით

საალყო არტილერიისა, რომელიც ახალქალაქიდან და ოლჩენიდან გადმოზიდეს. ღამით 3-დან 4 მაისამდე ინჟინერ-პოლკოვნიკმა ბულშერინგმა დადგა ჩვენი ბატარეები იმ სიმაღლეებზე, რომელთაც მოწინააღმდეგე ცეცხლს უშენდა, ე. ი. რომლებამდეც მათი ყუმბარები აღწევდა. როგორც საალყო არტილერიის გადმოზიდვისას ახალციხის რაზმის ბანაკიდან ჩვენს ბანაკში ალაგეზთან, ასევე არტილერიის დადგმის დროს, თურქებს შეეძლოთ მედგარი წინააღმდეგობა გაეწიათ ჩვენთვის, მაგრამ ჩვენებმა ერთიც და მეორეც განახორციელეს ღამით, შესანიშნავი მოხერხებულობით და სიფრთხილით, რის შესახებაც თურქებმა, ჩვენდაგასაოცრად, ვერაფერი გაიგეს. საერთოდ, თურქები უყურადღებოდ ტოვებდნენ მათი ფორტების გასწვრივ მიმავალ ჩვენს ცალკეულ რაზმებს და არ აწუხებდნენ სროლით მაშინაც კი, როცა ქვემეხის ყუმბარის ფრენის მანძილზე უფრო ახლო იყვნენ. დაბომბის დაწყებამდე თურქები იშვიათად და უხალისოდ ისროდნენ. ალბათ, იმ მიზნით, რომ ყუმბარები კრიტიკული წუთებისათვის შემოენახათ. არ ვიცი, რას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ თურქები ხელს არ გვიშლიდნენ არტილერიის დადგმაში, ტყვია-წამლის დაზოგვას თუ სიბნელეში ვერ დაინახეს ჩვენი მუშაობა. ყოველ შემთხვევაში, ფაქტი ისაა, რომ ჩვენმა ჯარებმა მოწინააღმდეგეს მხრიდან ყოველგვარი ხელის შეშლის გარეშე მოასწრეს ყველა ბატარიების დადგმა. მხოლოდ ერთხელ, მაშინ, როცა თბილისის პოლკის ბატალიონით გაძლიერებულმა ერევნის პოლკმა სოფელ გურჯი-ბეკის სიმაღლეები დაიკავა (სიმაღლეები აღნიშნულია ჩვენი შტაბის ვრცელ გეგმებში ლიტერით ა. ა.) გელიავერდის სიმაღლიდან ამ პოლკს ესროლეს 24 თუ 30 ყუმბარა, რომელთაც ჯარისათვის დიდი ზარალი არ მოუტანია. ეს სიმაღლეები ბატონობენ ქალაქზე და მის მარჯვენა ნაპირის მოწინავე სიმაგრეებზე, თუმცა მათ გელიავერდისა და კაზ-ტაპასის სიმაგრეების ცეცხლი წვდება. აქ დადგეს ერთი ჩვენი ბატარეა, რომელიც შესღგებოდა სამი ცხრაგირვანქიანი ქვემეხისაგან და ორი მორტირისაგან. სამწუხაროდ, მორტირები ვერ აიტანეს მთაზე დროულად. ბანთიადმა მათ ფერდობზე მოუსწრო.

მეორე ბატარეა, რომელიც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო როგორც თავის შემადგენლობით, ასევე დანიშნულებით, დადგეს სოფელ ბურდოსანის სიმაღლეზე გელიავერდის პირდაპირ, სწორედ იმ ადგილას, საიდანაც კორპუსის მეთაური 1 მაისს ზვერავდა სიმაგრეებს და სადაც აფეთქდა ჩვენთვის დამიზნული მტრის ყუმბარები. ამ ბატარეას უნდა შეემუსრა გელიავერდი და მასზე უფრო

მაღალ მთაზე აგებული მეზობელი სიმაგრეები. გარდა ამისა, სამხრეთიდან, დაწყებული სოფელ სეფისხევიდან თითქმის სოფელ ბურჯიბეკამდე, ალაგესის ფერდობების სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა სიმაღლეზე დადგეს 4 ბატარეა, რომლებიც ნაწილობრივ საველე ქვემეხებისაგან იყო შემდგარი, ნაწილობრივ საალყო ქვემეხებისაგან. ამ ბატარეებს უნდა დაებომბათ ქალაქი და მარჯვენა ნაპირის უახლოესი ფორტები, კაზ-ტაპასი, სლიგერი, დიუზი და ახალიტაბიე.

ვიმეორებ, ყველა ჩვენი ბატარეები ისეთ სიმაღლეზე დადგეს, რომელთაც წვდებოდა მტრის ფორტებიდან გამოსროლილი ყუმბარები, რაც, ცხადია, არდაგანის სიმაგრის მშენებელთა სასარგებლოდ მეტყველებს, რადგან მათ ძალზე გაართულეს ამ მნიშვნელოვანი პოზიციის იერიში.

4 მაისს, დილით ადრე ბატარეების უმეტესი ნაწილი მზად იყო ცეცხლის გასახსნელად. მაგრამ მტრის ყურადღება რომ ჩამოეცილებიათ იმ ბატარეებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ დადგმული არ იყო, გენერალ დეველს, ახალციხის რაზმის მეთაურს, დაავალეს დაეწყო სროლა ჩრდილოეთიდან. ამ მიზნით გენერალ დეველმა წინ წასწია თავის ჯარი და გახსნა ცეცხლი ყუბანის ცხენოსანი ბატარეიდან. სიმაგრე გელიავერდიდან მას უპასუხეს ქვემეხების განუწყვეტელი სროლით. ჩრდილოეთის მხრიდან საკმაოდ დიდ ხანს გრძელდებოდა ჩვენი და მტრის ქვემეხების სროლა, რასაც არავითარი მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია.

დაახლოებით დილის 7 საათზე კორპუსის მეთაურმა შემოიარა ალაგეზის ბატარეები, ნაწილობრივ შესცვალა მათი განლაგება და ზოგიერთი რამდენიმე ასეული საჟენით წინ წასწია. ზუსტად რვა საათზე გაისროლეს მანიშნებელი რაკეტა და ყველა ჩვენმა ბატარეამ, რომლებიც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ნახევარწრედ შემოეროდნენ არდაგანს და ყველა მის სიმაგრეს, ერთდროულად გახსნეს ცეცხლი. ყოველი ბატარეის ქვემეხები ისროდნენ რიგ-რიგობით, შუალედი გასროლასა და გასროლას შორის 2 წუთი იყო. განსაკუთრებით ძლიერი ხმა ჰქონდა ჩვენს ახალ ორფუთიან მორტირებს, რომლებიც თითქმის 6 ვერსზე ისროდნენ მიზანში. ჩვენი პირველი გასროლის საპასუხოდ აგუგუნდნენ ფორტები სლიგერი, კაზ-ტაპასი და გელიავერდი. რამდენიმე ყუმბარა რამაზანის სიმაგრიდანაც კი ისროლეს, ალბათ, სინიდისის დასამშვიდებლად, რადგან მისი ქვემეხის ცეცხლი ვერ სწვდებოდა ჩვენს ბატარეებს და საერთოდ ქალაქის ყველა სიმაგრეს (როგორც მახსოვს მე თქვენ უკვე გიამბეთ,

რომ ამ შესანიშნავი სიმაგრის ფრონტი ქალაქისაკენ კი არაა მიმართული, არამედ იმ მეზობელი მთების წინააღმდეგ, რომლებიც მას ჩრდილოეთიდან ეკვრის).მტრის პირველი ყუმბარები ეცემოდა 1 ვერსის დაშორებით ჩვენი ბატარეებიდან, მაშინ, როცა ჩვენი ბატარეების ყუმბარები თავისუფლად ხვდებოდა არდაგანის სიმაგრის თხრილებს და კედლებს. მაგრამ, რაც დრო გადიოდა, ყუმბარები სულ უფრო ახლო და ახლო ეცემოდა. სროლა ორივე მხრიდან გულმოდგინედ მიმდინარეობდა და რაც უფრო დიდ ხანს გრძელდებოდა, მით უფრო მეტი ხალისით ისროდნენ.

11 საათზე კორპუსის მეთაური, შტაბის წევრების თანხლებით, დაიძრა მთავარი ბატარეისაკენ, რომელიც იდგა ბურდისანის მახლობლად აღმართულ სიმაღლეზე. ამ ადგილას ყუმბარები სეტყვასავით ცვიოდა და ქვემეხებსა და ყუმბარების ყუთებს შორის ეცემოდა. ბორცვს მოფარებული შტაბი აქ იერიშის დაწყებამდე დარჩა.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ თურქების არტილერია ძალზე ზუსტად ისროდა. მაგრამ მე ვერაფრით ვერ ამიხსნია შემდეგი გარემოება: ორი საათის მანძილზე 11-დან 1 საათამდე, ჩემს თვალწინ, რამდენიმე ნაბიჯით ჩვენგან, აფეთქდა რამდენიმე ათეული ყუმბარა, ზოგმა ზემოდან გადაგვიფრინა, იქვე მახლობლად დაეცა და ნაკუწ-ნაკუწად იქცა. მიუხედავად ამისა, არცერთმა ყუმბარამ, რომელიც ჩემს თვალწინ აფეთქდა, არც არავინ არ მოჰკლა და არც არავინ დასჭრა, არც კაცი და არც ცხენი. ჩემი იქ ყოფნის დროს ერთი ყუმბარა რაღაც 4,5 მეტრის დაშორებით აფეთქდა კაზაკიდან, რომელსაც ცხენი სადავით ეჭირა. კაზაკი მიწაზე განერთხო, ყუმბარა აფეთქდა და იგი იმავე წამს წამოდგა ცოცხალი და უვნებელი. ვისმეს რომ ეაჭბნა მე ვერ დავიჯერებდი ამგვარ უცნაურობას. ამავე დროს მე ჩემი თვალებით ვნახე ამგვარი ბედნიერი შემთხვევითობა.

ამასობაში ახალციხის რაზმმა დაიწყო შეტევა მოწინავე სიმაგრეების წინააღმდეგ, რომლებიც იცავდნენ გელიავერდის ჩრდილოეთით განლაგებულ ბანაკს. ეს სიმაგრეები მოწყობილი იყო სწორედ იმ სიმაღლეების ფერდობებზე, რომელთაც თვით გელიავერდი ეკუთვნოდა. ჯარისკაცები გამართულად მოდიოდნენ შეტევაზე და საკვირველი იყო იმ ადამიანების გამბედაობა, რომლებიც პირველად მონაწილეობდნენ ბრძოლაში. ახალგაზრდები ბევრით არაფრით გამოირჩეოდნენ ძველი ვეტერანებისაგან: ელისავეტოპოლის პოლკის ერთი სრულიად ახალგაზრდა ჯარისკაცი, თითქმის ბავშვი, — როგორც კი დაინახა თურქების მისკენ მიშვერილი თოფები — უეცრ-

რად წინ გავარდა და დაიყვირა: „მომყევით, ბიჭებო, ამ თურქს ტყვია უნდა ჩავაცეცხლო“, და მართლაც ჩააცეცხლა, რადგან მთელი ასეული გაიყოლია. იერიშის დამთავრების შემდეგ ეს ჯარისკაცი მისი პოლკის მეთაურმა თავ. ამირეჯიბმა კორპუსის მეთაურს წარუდგინა. მ. ტ. ლორის-მელიქოვმა ხელი მოხვია ჯარისკაცს მთელი პოლკის თანდასწრებით, სამჯერ აკოცა და დიდი თავადის სახელით მკერდზე ორდენი დაკიდა (გიორგის ჯვარი ჯარისკაცებისათვის). მე დიდხანს და დაკვირვებით ვათვალიერებდი ერევნის პოლკის (მეთაური თავ. პუტიატინი) 2 ბატალიონის ჯარისკაცებს, როცა ისინი მთის ქედის გადალახვას და იერიშის დაწყებას აპირებდნენ. ყველას ცოცხალი, კმაყოფილი სახე ქონდა, თვალები უბრწყინავდათ, რიგებს შორის ისმოდა სიტყვები: „ბოლოს მაინც მივწვდებით მათ“. მაჩვენეს ამ ბატალიონის მედროშე 73 წლის ვეტერანი ვასილ კოლესოვი, რომელიც გასულ წელს მოხალისედ წავიდა სერბიაში და იქედან დაბრუნებული. ისევ ჯარში ჩაეწერა. იგი პირველ ბატალიონთან ერთად მიდიოდა, შაგრამ ბებერმა ძვლებმა უმტყუნეს და ჩამორჩა ნაწილს. მაშინ მან ქრისტე ღმერთი დააფიცა მეორე ბატალიონის მეთაურს და გამოსთხოვა თანხმობა მონაწილეობა მიეღო იერიშში. მიდიოდა როგორც შეეძლო, ძლივს ადგამდა ფეხებს რამდენიმე ჯარისკაცის დახმარებით, რომლებიც აღტაცებით შეჰყურებდნენ მას. ექიმი ი. ი. მალინინი მიყვებოდა, რომ ავადმყოფი ჯარისკაცები თავს არ სცნობდნენ ავადმყოფად, რათა იერიში არ გამოეტოვებიათ. მასთან, შესახვევ პუნქტში, მიიყვანეს დაჭრილი, რომელსაც ოთხი დღის წინად უნდა მოეთხოვა ჰოსპიტალში დაწვენა. „რატომ აქამდე არ მოხვედი ჰოსპიტალში“, ჰკითხა მალინინმა? „თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ამ დღეს მე დიდი ხანია ველოდი“! ამგვარ ფაქტებს ბევრი დამსწრე მიყვებოდა, შაგრამ მამაცობის ყველა მსგავს შემთხვევას კალმით ვერ აღწერ. საინტერესოა, აგრეთვე, თუ როგორ უპირავთ თავი დაჭრილებს, მიუხედავად მძიმე ჭრილობებისა, კვნესა თითქმის არ ისმის. „დაჭრილი ხარ“? „დაჭრილი ვარ“! „სად“? „ფეხში“ ან „ხელში“ პასუხობს იგი და ისე ეწევა თამბაქოს თავისთვის, თითქოს არავითარი არ მომხდარაო. ერთ ჯარისკაცს ყუმბარამ რამდენიმე ნეკნი მოგლიჯა, რის შედეგადაც მარცხენა მხარეს მკერდის ღრუ გამოუჩნდა. დაუწყეს ჭრილობის შეხვევა. „არა, შენ იმას უმკურნალე, ვინც იოლადაა დაჭრილი, ამბობს მძიმედ დაჭრილი, მე კი, ალბათ, მოვკვდები, როგორ უნდა ვიცოცხლო უძელოდ, უხორცოდ, უმკერდოდ!“. არც ამოოხვრა, არც ერთი ზედმეტი სიტყვა. ძნელია, ცხოვრებისადმი ასეთი გულგრი-

ლობის, სიკვდილთან ასე მშვიდად შეგებების წარმოდგენა. ტყუილად არაა თქმული ამ ჯარისკაცების შესახებ

«Без наслаждений он живет,
Без сожаления умирает»!

გასაგებია, რომ ასეთი ჯარისკაცებით შეიძლება სასწაულები მოახდინო!

სანამ ელიზავეტპოლელები, რომელთაც წინ მიუძღოდა მათი გულადი მეთაური თავ. ამირეჯიბი, იერიშით ღებულობდნენ სიმაგრეს სიმაგრეზე, სამხრეთიდან ჩვენი ბატარეები „წვავდნენ“ გელიავერდის ფორტს უზუსტესი გასროლებით. ბოლოს, დაახლოებით ნაშუადღევის 1 საათზე, კორპუსის უფროსთან ცხენი მიაჭენა გენერალ დეველის შიკრიკმა, რომელმაც მოუტანა ცნობა, რომ საჭიროა დაეხმარონ მის კოლონას, ხოლო სამხრეთიდან იერიში დაიწყონ. ჩვენი კოლონები დიდ ხანს ელოდნენ ამ მომენტს. გენერალი გეიმანი შეჯდა ცხენზე და ერევნელებსა და ბაქოელებს იერიშის მისატანად წინ გაუძღვა. მოწინააღმდეგეების ბატარეების ცეცხლქვეშ მათ 2¼ ვერსი უნდა გაევლოთ. გარდა ამისა, ყოველ წუთს შეეძლო ჯარისათვის ყუმბარების ნაცვლად ფინდიხი დაეშინათ. იერიშის არც ერთი ეპიზოდი რომ არ გამომრჩენოდა, ჩვენი ბატარეების ჩრდილოეთ მხარეს გასვლა შევძელი და იქედან ვუყურებდი შტურმს. ამ შტურმის ფიზიონომია ყურადღებას იმსახურებს. გაშლილი ჯარი ხალისიანად მიაბიჯებდა, მხოლოდ ერთი ჯგუფი მიდიოდა რიგებ-შემჭიდროებული და იწვევდა მტრის ცეცხლს, როგორც რიცხვობრივი შემადგენლობით, ასევე ფეხოსანი ჯარის უფროსის გენერალ გეიმანის უკან ამაყად გაშლილი დროშით. გელიავერდი კვლავინდებურად უშენდა ცეცხლს ჩვენს ბატარეებს, მაგრამ როცა მოიერიშეებმა სიმაღლის ძირამდე მიაღწიეს, სროლა შეწყდა. გაჩუმდნენ ჩვენი ბატარეები, რათა თავისიანები არ დაეზიანებინათ. გული ყველას ძლიერ გვიცემდა, მე კი მეგონა, თურქებმა სროლა იმისთვის შეწყვიტეს, რომ ყუმბარები ფინდიხით შეეცვალათ. მაგრამ მე თურმე შევცდი. როგორც შემდეგ შევიტყვე, სწორედ ამ დროს ელიზავეტპოლელები იერიშით ფორტს უახლოვდებოდნენ და, რა თქმა უნდა, თურქებს ჩვენი ბატარეების ჯავრი აღარ ქონდათ.

როცა ერევნელები და ბაქოელები სიმაგრეს სამხრეთიდან მიადგნენ, ელიზავეტპოლელები უკვე შეცვივდნენ სიმაგრეში, როგორც კი ჩვენი ჯარისკაცები თხრილებს მიადგნენ, მტერი ისე სწრაფად გაიქცა, რომ არც ქვემეხები წაუღია თან და არც ყუმბარები. ზარბაზნების დამოქლონვაც კი ვერ მოასწრეს. ბოლომდე მხოლოდ არტილერისტები, თურქეთის არმიის ეს საუკეთესო ძალა, დარჩა და სიკ-

ვდილამდე იბრძოდნენ. მათ თავიანთი გვამებით დაფარეს სიმაგრის თხრილები და ბატარეების პლატფორმები.

ამის შემდეგ მ. ტ. ლორის-მელიქოვი თავის შტაბიანად სიმაგრისაკენ დაიძრა. ჯარი მას აღფრთოვანებით შეხვდა, ჰაერი ირყეოდა გაუთავებელი „ურას“ ძახილით და ქუდების მაღლა სროლით. კორპუსის მეთაურმა მათ მადლობა გადაუხადა სამსახურისათვის და უთხრა ჯარს, რომ მათ „პირველებმა გაახარეს მეფე და დედა რუსეთი“, რამაც ძნელად წარმოსადგენი ენთუზიაზმი გამოიწვია. ბევრი ჯარისკაცის, ასევე ჩინით უფრო მაღლა მდგომ პირთა თვალებზე, ცრემლი შევნიშნე. მაგრამ დიადიდან სასაცილომდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია: ელიზავეტპოლის პოლკის ჯარისკაცთა შორის იდგა საშინლად გაფითრებული ტყვე თურქი ნაზიმი, რომელიც ჩვენ ჯარისკაცებთან ერთად ყვიროდა „ურას“ და მათსავით ისროდა ზემოთ თავის წითელ ფესკას. რამაზანის ფორტი, რომელიც უხმოდ უყურებდა შორიდან ამ ზეიმს, უნდა გაწითლებულიყო ტყვე თურქი ჯარისკაცის ღალატის გამო. მაგრამ ეს სიმაგრე ისედაც საკმაოდ წითელია.

მე შემოვიარე გელიავერდის სიმაგრე და ჩემდაუნებურად გამაკვირვა ჩვენს მიერ ნასროლი ყუმბარების სიზუსტემ და ძალამ. თითქმის ყველა ყუმბარა მოხვდა ბატარეას, ან მათი საფარის წინ აფეთქდა. მთელი სიმაგრე გადათხრილი და დაცხრილული იყო ყუმბარებით. კაზამეტების მიწის ბლინდაჟები ნახევრად ჩამონგრეული დაგვხვდა. ყველგან ეყარა დასახიჩრებული, დამახინჯებული, თავმოკვეთილი, გალურჯებული გვამები. კაზამეტის შესასვლელთან ფეხმორთხული იჯდა დაჭრილი, სისხლისაგან დაცლილი თურქი ჯარისკაცი, რომელსაც მკლავები გულზე დაეწყო, ხოლო ყაბალახით შებურვილი თავი ძირს დაეხარა. სხვა დაჭრილები აქა-იქ იწვნენ ან ეყარნენ. ჩვენი ჯარისკაცები ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ სამხედრო ტყვეებს, მაგრამ მე ვერ მოვახერხე თვალი შემევლო მათთვის... თუმცა მოკლული ჯარისკაცების სახეები და იმ გამოქცეულებისა და ტყვეების გამომეტყველება, რომლებიც ადრე ჩვენ ბანაკში ვნახე, ცხადყოფდა, რომ თურქეთის ჯარი, განსაკუთრებით აზიის თურქეთში, ბევრ ხელმოკლეობას და ტანჯვას განიცდის. ჯარისკაცები ფერდაკარგული, გამხდრები არიან, თვალები საშინლად აქვთ ჩაცვინული. ჩამოფლეთილები, ფეხშიშველები და ტანშიშველები აპატიურად გამოიყურებიან.

მალე, ამის შემდეგ, კორპუსის მეთაური ბანაკში დაბრუნდა. როდესაც ჩვენ სლიგერს 4 $^1/_2$ ვერსის დაშორებით ჩაუარეთ ა. ა. სიმაღლის მახლობლად, თავზე არაჩვეულებრივი სტვენით გადაგვევ-

ლო სამი ყუმბარა, რომელთა ხმაურმა ჩვენი ცხენები ააცეკვა. ყუმბარები საკმაოდ შორს, ჩვენს ზემოთ, ჩაეფლო მიწაში.

იძულებული ვარ შევწყვიტო წერა. დღევანდელი დღის აღწერა შემდეგი დღისთვის გადავდე.

• • •

არდაგანის სიმაგრე, 1877 წ. 8 მაისი

გელიავერდის სიმაგრეების აღებით, რომელთაც, როგორც შემდეგ გამოირკვა, თურქები ემირ-ოღლუს ეძახდნენ, გაკეთდა მხოლოდ ნახევარი საქმე, მაგრამ მთავარი მიზნის განხორციელებამდე ჯერ კიდევ შორს იყო. 5 მაისს მხოლოდ დანარჩენი სიმაგრეების დაბომბვა უნდა გაგრძელებულიყო. რაც შეეხება ცოცხალი ძალის გამოყენებას, ე. ი. იერიშს, ამ მომენტის დადგენა დამოკიდებული იყო დაბომბვის შედეგებზე. 5 მაისს დილით ჩვენი ბატარეები დადგეს წინა დღით აღებულ სიმაგრე გელიავერდის არდაგანისაკენ მიმართულ ფერდობებზე, რომლებიც თურქეთის სიმაგრეებზე ბევრად დაბლა იყო. აქ დადგეს ორი ბატარეა. თითოეული მათგანი შედგებოდა რვა-ცხრა გირვანქიანი საველე ქვემეხებისაგან. ეს ბატარეები წარმოადგენდა მოიერიშეთა მარჯვენა ფლანგს. ცენტრში, იმ სიმაღლეზე, რომელსაც პუნქტი ა. ა. ჰქვია, დარჩა იგივე ბატარეა. ეს ბატარეა შედგებოდა ოთხი საალყო ცხრაგირვანქიანი ქვემეხებისაგან და წინა დღით აქ მოქმედებდა. ნაწილი ქვემეხებისა, რომლებიც წინა დღით გელიავერდის წინააღმდეგ მოქმედებდა, ახლა ქალაქისაკენ შეაბრუნეს. მარცხენა ფლანგზე, მთა ალაგეთის ფერდობებზე, განლაგებული იყო ოთხი ბატარეა, რომელთაგან ერთი შედგებოდა სამი ექვსგირვანქიანი მორტირისაგან, მეორე ორი ასეთივე მორტირისაგან, ხოლო დანარჩენები ცხრა გირვანქიანი საალყო ქვემეხებისაგან, რვა-რვა თვითეულ ბატარეაში. ალაგეზის მთის ფერდობებზე განლაგებული ქვემეხები ქვემოდ ჩამოიტანეს და დადგეს იმ სიმაღლეებზე უფრო დაბლა, რომლებზედაც ამას წინათ იდგენ, მაგრამ ბევრად უფრო ახლო ქალაქის სიმაგრეებთან. ამგვარად, ყველა ზემოთ დასახელებული ბატარეები ნახევარ წრედ შემოერტყა არდაგანის აუღებელ სიმაგრეებს.

ამ ბატარეების უკან, ყუმბარების ყუთებისაგან საკმაოდ შორ მანძილზე, უსაფრთხო ადგილას, იდგა ფეხოსანი ჯარი, რომელსაც მტრისგან მიწის ბორცოვანი, უსწორმასწორო ზედაპირი იფარავდა.

მთელი დილა გავიდა არდაგანის მცხოვრებთა პასუხის ლოდინში, რომელთაც წინადადება მისცეს დაგვნებებოდნენ ბრძოლის გა-

უგრძელებლად. მაგრამ თურქეთის ხელისუფლებამ კაპიტულაციის ისეთი პირობები წამოაყენა, რომ მათი მიღება შეუძლებელი იყო: ისინი მოითხოვდნენ სიმაგრიდან ჯარის გაყვანის, ქვემეხების, იარაღის მარაგის, ქონების გატანის უფლებას და ა. შ. გარდა ამისა, წასვლის წინ არავითარ ვალდებულებას არ კისრულობდნენ. ამის გამო. ნაშუადღევის 3 საათზე, დაიწყო ქალაქისა და მარჯვენა ნაპირის სიმაგრეების დაბომბვა. ჩვენმა არტილერიამ სროლის სიზუსტით იმ დღეს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ყუმბარები სეტყვასავით ცვიოდა სიმაგრეთა გალავნის იქით და საშინელი ხმაურით ფეთქდებოდა მტრის არტილერისტებს შორის. ამ სიმაგრეების შიდა სივრცე ჩვენი ყუმბარებით გადაბნული და გადათხრილი დაგვხვდა, ხოლო მტრის ჯარისკაცების აურაცხელი გვამები ცხადად მოწმობდა თუ რა მომაკვდინებელი ძალა ჰქონდა ჩვენს ყუმბარებს. თავის მხრივ თურქების ყველა ბატარეამაც გახსნა ცეცხლი. ჩუმად იყო მხოლოდ სიმაგრე რამაზანი, რომლის მტკიცე დუმილი დიდ ცნობისმოყვარეობას უღვიძებდა იერიშის ყველა მონაწილეს. სიმაგრეები კაიაბაში. სლიგერი, დიუზი, ახალი-ტაბიე და მესრაბი განუწყვეტლად უშენდნენ ყუმბარებს ჩვენ ბატარეებს, მაგრამ სროლას დიდი ზარალი არ მოჰქონდა, რადგან ყუმბარები ან ვერ აღწევდა ბატარეებამდე. ანდა ბატარეების წინ საფარად აღმართულ მიწათხრილზე ეცემოდა. რაც უფრო დიდხანს გრძელდებოდა სროლა, მით უფრო სუსტდებოდა თურქების ქვემეხების ცეცხლი, რაც ყველაზე კარგი დამამტკიცებელი საბუთი იყო ჩვენი არტილერიის ცეცხლის მოქმედებისა. ნიადაგი იერიშისათვის საკმაოდ მომზადებული იყო და მიუხედავად იმისა, რომ ალზე დაგვიანდა და დაღამებამდე მხოლოდ 2 საათი დარჩა, საღამოს 6 საათზე კორპუსის მეთაურმა მ. ტ. ლორის-მელიქოვმა იერიშის დაწყების ნიშანი მისცა.

ახალციხის რაზმს, რომელმაც გელიავერდის სიმაგრის აღების დროს თავი გამოიჩინა, 5 მაისის იერიშში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. თუ არ ვცდები ეს რაზმი განლაგებული იყო გელიავერდის ჩრდილოეთით, მტკვრის ქვედა დინების ორივე ნაპირზე. მოიერიშეთა მარჯვენა ფლანგს წარმოადგენდა გენერალ გეიმანის კოლონა, რომელიც შესდგებოდა ერევნის პოლკის ორი ბატალიონისაგან (1 და 4) და მესანგრეთა პირველი ბატალიონის მეორე ასეულისაგან. რეზერვში ამ კოლონამ დასტოვა იმავე ერევნის პოლკის (2) ბატალიონი. როგორც ამას წინათ, კოლონას წინ მიუძღოდა გენერალი გეიმანი ინჟინერ-პოლკოვნიკ ბულმერინგთან ერთად, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ რაზმის არა მარტო მთავარი, არამედ ერთადერთი ინჟინერი იყო, მაინც ისურვა მონაწილეობა მიე-

ღო იერიშში. მათ ჯგუფად მიჰყვებოდა უკან გეიმანის შტაბი თავისი ლურჯი დროშით. ამ კოლონის ჯარისკაცები გაშლილი წყობით მიჰყვებოდნენ გელიავერდის სიმაღლეებიდან სიმაგრე სინგერის მიმართულებით მიმავალ ხევს იმ სიმაგრისაკენ, რომელიც ახალი მეთოდით გაწეული სამუშაოების გამო წარმოადგენდა ერთ-ერთ გამაგრებულ ადგილს კაზ-ტაპასის ადრინდელ ცალკე ლუნეტთან ერთად. მეორე ხევით იმავე სიმაღლეებისაკენ, იმავე მიმართულებით. ისეთივე გაშლილი წყობით მიდიოდა ბაქოს პოლკის ორი ბატალიონი. იმავე სიმაღლეებზე დადგმულ ,კავკასიის გრენადერთა არტილერიის ბრიგადის ორმა ბატარეამ გააძლიერა ცეცხლი სიმაგრე სინგერის წინააღმდეგ. ხოლო როცა იერიში დაიწყო, ეს ბატერეები ადგილიდან მოხსნეს და წინ წასწიეს მოიერიშეთა დასახმარებლად.

.ცენტრში, ალაგეზის ფერდობების ხეებით წინ წაიწია თბილისის პოლკის ორმა ბატალიონმა და გაემართა დიუზისა და ახალციხეების სიმაგრეებისაკენ. ეს ბატალიონებიც მიდიოდნენ გაშლილი წყობით, გადარბოდნენ ერთი საფარიდან მეორესაკენ და მსროლელთა რამდენიმე რიგად გაბმულ ჯაჭვს წარმოადგენ-ნენ.

მარცხენა ფლანგზე, სოფელ საზარსა და სანის-ხევს შორის, დაიძრა იმავე თბილისის პოლკის 4-ე ბატალიონი, რომლის მიზანი იყო არდაგანის მარჯვენა ნაპირის უკანასკნელი სიმაგრის მეხრაბიანაღება. ამ ბატალიონის დასახმარებლად დაიძრნენ ტვერის დრაგუნთა პოლკის დივიზიონის ცხენოსნები და კაზაკთა ორი ასეული. რომელთაც თან მოჰქონდათ ყუბანის ცხენოსანი არტილერიის ორი ქვემეხი. ეს არტილერია შანამდე სოფელ ჩუნჩურის პირდაპირ განლაგებულ სიმაღლეებზე იდგა და ოლთისის გზით შეიწევდა წინ.

როგორც კი იერიში დაიწყო, მიწინაალმდეგემ მთელი თავისი ძალები დაძაბა: დაიწყო ფინდიხის სროლა ყველა ქვემეხიდან და მანამდე ასტესა თოფის სროლა. სანამ ჩვენი ძალები თოფის სროლის მანძილზე მივიდოდნენ. თუ რამდენად დაიბნა მოწინააღმდეგე, ამის განსაზღვრის საშუალებას იძლეოდა ჭათი უწესრიგო სროლა. ერთდროულად გამოსროლილი ფინდიხი თავზე უვლიდა ჩვენს ფეხოსნებს და მხოლოდ რამდენიმე კაცს აზიანებდა. ისე ტყვეილად დახარჯეს ათი ათასობით თოფის ტყვია, რომ არავითარი ზარალი არ მოუყენებიათ ჩვენი ჯარისკაცებისათვის. ყველაზე საკვირველი ის იყო, რომ ჩვენმა ახალგაზრდა ჯარისკაცებმა, რომლებიც თითქოს უნდა დაბნეულიყვნენ ასეთ ცხარე წუთებში, შეინარჩუნეს სრული სიმშვიდე: ისინი მიდიოდნენ ნელა და, მიუხედავად მტრის ძლიერი და განუწყვეტელი ცეცხლისა, მთელი ნახევარი საათის მანძილზე

თოფი არ გაუსვრიათ. მაგრამ როდესაც თოფის სროლის მანძილზე დაუახლოვდნენ მოწინააღმდეგეს, ერთად გახსნეს ცეცხლი და მუხლზე წამოჩოქებულნი მეთოდურად ისროდნენ მიზანში. ჩვენი ჯარისკაცების ამ შესანიშნავმა და უნდა გამოგიტყდეთ ჩემთვის მოულოდნელმა სიმშვიდემ, დიდი სარგებლობა მოუტანა იერიშს. ჩვენი ტყვიები ტყუილად არ იკარგებოდა, ფეხოსნები არ ცხარობდნენ და მტკიცედ ასრულებდნენ დაკისრებულ ამოცანას. ხოლო მოწინააღმდეგე, რომელიც ძალზე ზარალდებოდა ჩვენი ჯარისკაცების მიერ ზუსტად ნასროლი ტყვიებით და ხედავდა რა შეუპოვარ შეტევას ადამიანებისა, რომელთაც თითქოს ტყვიაც კი არ ეკარებოდათ, სულ უფრო მეტად კარგავდა თავს. ისინი ისროდნენ, მაგრამ არ ზრუნავდნენ იმაზე, რომ ზუსტად დაემიზნებინათ. ასე რომ, ზოგჯერ სიმაგრის მიწათხრილებს ანათებდა განუწყვეტელი და ერთიანი ცეცხლი და მთლიანად იფარებოდა თოფის წამლის სქელი კვამლით. თურქებს რომ ამ დროს შესძლებოდათ ᲩᲨვიდად მიზანში სროლა, ეჭვი არაა, ჩვენი ჯარისკაცები დიდად დაზარალდებოდნენ და ღმერთმა იცის რა შედეგი მოჰყვებოდა იერიშს. მაგრამ თურქები ისროდნენ გაცხარებით, თითქოს თოფის გრიალისაგან მოიერიშეთა დასუსტება კი არ უნდოდათ, არამედ — საკუთარი შიშის დაძლევა. ერთი სიტყვით, მათ სროლას სერიოზული შედეგები არ მოქონდა. მათი სიმაგრეების ბრუსტვერებს ერთიანად ანათებდა თოფისა და ფინდიხის ცეცხლი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ჩვენი ფეხოსანი ჯარი მოიცელა ამდენი ყუმბარებისაგან. მაგრამ გაიხედავ და წელში მოხრილი ჯარისკაცები ფრთხილად გადარბიან ერთი ადგილიდან მეორესაკენ, იყენებენ რა ამისათვის მკვდარ სივრცეს და უსწორმასწორო მიწის ზედაპირს. ერთჯერად ნასროლი ყუმბარებისაგან, რომელთაც თითქოს ორასი ჯარისკაცი მაინც უნდა დაეწვინა, იღუპებოდა მხოლოდ სამ-სამი, ოთხ-ოთხი ან ხუთ-ხუთი კაცი.

ამრიგად, ყველა კოლონა ნელა და ერთდროულად მიიწევდა წინ და სულ უფრო მჭიდროდ ერტყმებოდა გარს არდაგანის მარჯვენა ნაპირის სიმაგრეებს. რაც უფრო უახლოვდებოდნენ მოწინააღმდეგეს, კოლონები მით უფრო ძლიერ უშენდნენ ცეცხლს. თხრილებთან მიახლოვებისას კოლონა უფრო იკვრებოდა, ხოლო გაშლილი ჯარისკაცები ჯგუფდებოდნენ. დაინახეს რა ჩვენი ჯარის ასეთი შეუჩერებელი შემოტევა, დაინახეს რა, რომ მალე ხიშტებით გადმოვლენ შეტევაზე, თურქების ფეხოსანმა ჯარისკაცებმა დაყარეს იარაღი, ამუნიცია და უკანმოუხედავად გაიქცნენ მტკვრის

მარცხენა ნაპირისაკენ, რითაც საშინლად აფრთხობდნენ და პანიკას თესავდნენ ქალაქის მცხოვრებლებსა და სანაპირო სიმაგრეების გარნიზონებს შორის. თურქი არტილერისტები ცოტა უფრო დიდხანს დარჩნენ თავიანთ ადგილებზე, მაგრამ ნაწილი ხიშტებზე წამოაგეს, დანარჩენები კი ისე გაიქცნენ, რომ ვერ მოასწრეს ბევრი იმ შესანიშნავი და ძვირფასი ქვემეხის დამოქლონვა, რომლებითაც შეიარაღებული იყო არდაგანის ყველა სიმაგრე.

ამგვარად, მარჯვენა ნაპირის სიმაგრეები მოიერიშეებმა დაიკავეს. ახლა საჭირო იყო მარცხენა ნაპირზე გადასვლა, მარცხენა ნაპირის სიმაგრეებზე და განსაკუთრებით ორ უმთავრეს, კაია-ბაშის და რამაზანის, სიმაგრეებზე იერიშის მიტანა.

ქალაქ არდაგანს მტკვარი ორ არათანაბარ ნაწილად ყოფს. მარჯვენა ნაპირზე დგას შეძლებული მცხოვრებლების რამდენიმე სახლი, ფაშას სასახლე, საინჟინრო კანცელარია, ჰოსპიტალი, ყაზარმები, თოფის წამლის საწყობი და რამდენიმე უბადრუკი ქოხი და მიწური. ქალაქის დანარჩენი ნაწილი, ციტადელით, კარავან-სარაით, სავაჭრო ფარდულებით და ბევრი კერძო და სახელმწიფო შენობებით, განლაგებულია მარცხენა ნაპირზე. ამ ორ ნაწილს ორი ხიდი აერთებს. ერთი სიმაგრე მეხრაპის მახლობლად, ხოლო მეორე სლიგერსა და კაია-ბაშს შორის. პირველ, უმოაჯირო და უტროტუარო, ხიდს არავითარი თაღი არ გააჩნია და აგებულია მრგვალი ძელებისაგან, რომლებიც დაგებულია ქვის ბურჯებზე გადებულ მორებზე. მეორე ხიდი კი მხოლოდ ფეხით მოსიარულეებისათვისაა აშენებული და უხეიროდ გაკეთებულ კოფოებზე რაღაც ფიცარნაგის მაგვარადაა დაგებული. შესანიშნავი ისაა, რომ არდაგანის მრავალრიცხოვანი სიმაგრეების არც ერთ ქვემეხს არ დაუბომბია ეს ხიდები. მაგრამ როცა ჩვენი ჯარი ქალაქს უახლოვდებოდა, კაია-ბაშიდან გამოგზავნეს გარნიზონი, რომელმაც დაიკავა მტკვრის ციცაბო ნაპირი სწორედ მეორე ხიდის ზემოთ და ძლიერი ცეცხლი დაუშინა შტუცერებით ხიდთან მიახლოებულ ჩვენს კოლონას, რამაც არც თუ ისე მცირე ზარალი მიაყენა მას. მაგრამ ერევნელების შემდგომმა შეტევამ ეს გარნიზონიც დააფრთხო პანიკურად. როგორც კი ერევნელები ხიდზე გადავიდნენ და მთას შეუდგნენ, კაია-ბაშის გარნიზონი გაიქცა და არტილერისტები ბედის ანაბარა მიატოვა.

ამასობაში მარჯვენა ნაპირის გარნიზონმა ნაწილობრივ მოასწრო პირველ, ფართო ხიდზე ფეხის შედგმა, რათა ამ გზით გაქცეუ-

ლიყო ქალაქში და ქალაქ გარეთ. მათ მოუსწრო კაზაკთა ცხენოსანმა არტილერიამ და თავის გადასარჩენად გაქცეულ ბრბოს რამდენიმე ფინდიხი ესროლა, რის შედეგადაც ბევრი თურქი ჯარისკაცი წყალში გადაცვივდა. დანარჩენებს ხიდისაკენ გზა მოუჭრეს თბილისელებმა, რომელთაც ხიდი დაიკავეს. თურქების მთელმა ბატალიონებმა იარაღი დაყარეს და მდინარეს მიაწყდნენ იმ მიზნით, რომ ცურვით გასულიყვნენ მეორე ნაპირზე. ჩვენი ჯარისკაცები აქაც ჰისდევდნენ მათ. თურქების მთელი ეს მასა მტკვარში დაიხრჩო, ხოლო გარნიზონის ის ნაწილი, რომელმაც ჰოსპიტალს და მის მეზობლად მდგარ კაზარმებს თავი შეაფარა და ფანჯრებიდან დაუწყეს სროლა ჩვენ ჯარს, დაჩეხეს ან ხიშტით განგმირეს თბილისის ჰოლკის ჯარისკაცებმა.

თბილისელები მარცხენა ნაპირზე ცხენოსნებზე გვიან გადავიდნენ, რადგან ცხენოსნები გაქცეულებს დაადევნეს. ცხენოსნების შემდეგ მარცხენა ნაპირზე ფეხოსანი ჯარი გადავიდა. სროლა, საკმაოდ ხანმოკლე, ქალაქის ჭუჩებშიც გრძელდებოდა. მაგრამ მალე ყველაფერი დამშვიდდა. თურქებს ეპვი აღარ ეპარებოდათ ჩვენს გამარჯვებაში და გაქცეულებმა უფლება მისცეს გამარჯვებულებს დაპატრონებოდნენ როგორც მათ სიმაგრეებს, ასევე ქვემეხებს, ყუმბარებს, მარაგს და ა. შ.

თურქების გაქცევა, არასწორი უკან დახევა, ჩამორჩენილი ჯარისკაცების გადარჩენაზე ზრუნვა კი არ იყო, არამედ უწესრიგოდ, ცალცალკე, პანიკურად გაქცევა და თურქეთის ჯარის სრული განადგურება. მთელი იარაღი მიატოვეს, ყველა ისე შველოდა თავს, როგორც შეეძლო და ეხერხებოდა. დაჭრილები მალე დაიხოცნენ ახლო-მახლო სოფლებში. ჩვენი კავალერია გაქცეულებს 8 ვერსზე ჰისდევდა. ღამის სიბნელე არ იძლევა შესაძლებლობას მტრის გარჩევისას და ამიტომ საჭირო გახდა მათი ქალაქში დაბრუნება გზაში დატყვევებული ჯარისკაცებითურთ.

მე უკვე გითხარით, რომ რამაზანის სიმაგრეების დუმილი ჩვენებს აოცებდა. ყოველ წუთს ელოდნენ, რომ ამ სიმაგრიდან აი ახლა დაუშენენ ყუმბარებს ჩვენს ჯარებს. და მართლაც, როცა ერევნელების კოლონა სლიგერს მიუახლოვდა, რამაზანის სიმაგრიდან ვამოაგორეს ერთი ქვემეხი, დადგეს სიმაგრის ქვემოდ ფერდობზე. და დაუშინეს ჯარისკაცებს ფინდიხი, მაგრამ ამით ამოიწურა ამ აუღებელი სიმაგრის მთელი როლი: ქვემეხმა მალე შეწყვიტა სროლა, რადგან სლიგერის მიწაყრილთან მისული ჩვენი ჯარისკაცები დაფარული იყვნენ რამაზანის ქვემეხებისაგან და ამიტომ გარეთ გამოგო-

რებული ქვემეხი ფერდობზევე დარჩა. მარცხენა ნაპირის აღების შემდეგ, რამაზანის ასაღებად გაგზავნეს ერევნის პოლკის ორი ბატალიონი, რომელთაც უბრძანეს ღამით მთაზე ასვლა, რათა განთიადისას იერიში მიეტანათ სიმაგრეზე. როცა ერევნელები რამაზანს მიუახლოვდნენ, დაინახეს რომ ფორტი მიტოვებულია თურქების მიერ, რომელთაც დაყარეს იარაღი, მიატოვეს მარაგი, ყუმბარები, შეუჭმელი წვნიანიც კი და ამიტომ ჩვენმა ჯარისკაცებმა გაუსროლად დაიკავეს ეს სიმაღლე მაშინვე.

სლიგერის აღების დროს შემთხვევით ერთმანეთს შეხვდნენ ინჟინრები, რომელთაგან ერთმა ააგო თურქეთის ფორტები, ხოლო მეორე ხელმძღვანელობდა მათ წინააღმდეგ მიმართულ სამუშაოებს. სლიგერში სწორედ იმ დროს მოკლეს ფორტების ამგები, როცა მოიერიშე ერევნელების წინამძღოლი ინჟინერ-პოლკოვნიკი ბულმერინგი სლიგერის მიწაყრილებს მიუახლოვდა.

კორპუსის მეთაური მ. ტ. ლორის-მელიქოვი, რომელიც პირადად ხელმძღვანელობდა იერიშს, ბრძოლის შედეგს ალაგეზის მთის ფერდობებიდან ადევნებდა თვალყურს და ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვებოდა, მთელი თავის შტაბით, იერიშზე გადასულ კოლონებს. ქალაქში იგი ჩვენს ჯარებს კვალდაკვალ შეჰყვა და განკარგულება გასცა მოეღლოთ დაჭრილებისათვის და დაედგინათ მტრის მიერ დატოვებული ქვემეხებისა და მარაგის რაოდენობა. როცა ჩვენ ქალაქის ქუჩებში გავიარეთ, ისინი მთლიანად მოფენილი იყო თურქთა გვამებით. აქ ეყარნენ არა მხოლოდ ისინი, ვინც სიმაგრის აღების დროს მოკლეს, არამედ ისინიც, ვისაც ბოლო მოუღო ჩვენმა ყუმბარებმა, რომლებიც 4 მაისიდან სეტყვასავით ცვივოდა ქალაქში. ჩვენი ჯარისკაცების გვამები ქალაქში ძალიან ცოტა იყო: როგორც კი ჩვენმა ჯარისკაცებმა ხიდი დაიკავეს, გაქცეულმა მოწინააღმდეგემ ეტყობა თავდაცვაზე ფიქრს თავი დაანება.

მე თქვენ უკვე გაცნობეთ დეპეშით ბრძოლის შედეგებისა და მოწინააღმდეგის უზომო ზარალის შესახებ. ბრძოლაში მოპოვებული ნადავლის რაოდენობის დადგენისა და სიმაგრეების გულმოდგინეთ შემოწმების შემდეგ, გამარჯვება მართლაც ბრწყინვალე აღმოჩნდა. ჩვენ ფორტი, ან სიმაგრეების რომელიმე რიგი, კი არ ავიღეთ, არამედ პირველხარისხოვანი, შესანიშნავად ნაგები და მოწყობილი, კარგად მომარაგებული ციხე-სიმაგრე, რომელსაც მთელი თვეების მანძილზე შეეძლო თავდაცვა. ამ ციხე-სიმაგრის გარნიზონი მრავალრიცხოვანი იყო, საკვებიც ბევრი ქონდათ — მაშ რით უნდა აეხსნათ ის ამბავი, რომ ჩვენ ასე ჩქარა და ასე მცირე მსხვერპლის გაღებით

შევძელით ამგვარი ციხესიმაგრის აღება? შევეცდები პასუხი გავცე ამ საინტერესო კითხვას.

არდაგანის ყველა სიმაგრის ფრონტების მიმართულება, განსაკუთრებით უმთავრესი სიმაგრეებისა, ცხადყოფდა, რომ თურქები რუსების თავდასხმას მხოლოდ ერთი მხრიდან მოელოდნენ, ახალციხის ან ახალქალაქის მხრიდან, ჩრდილოეთიდან, ან ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. უმთავრესი სიმაგრეები სწორედ ამ მხრისაკენაა მიმართული. აქეთკენვე იყურებოდნენ ყველა მსხვილი ქვემეხები, როგორც საცხოვნო, ასევე სანაპირო. მათი მობრუნება ორ-სამ დღეში ადვილი საქმე არ იყო. და მართლაც, როცა ჩვენ მივუახლოვდით არდაგანს, 1 მაისის დაზვერვის შემდეგაც კი, სპეციალისტების საერთო აზრი ის იყო, რომ არდაგანზე შეტევა უნდა დაწყებულიყო რამაზანზე თავდასხმით იმ სიმაღლეებიდან, რომლებიც მასზე ბატონობენ და რომლისაკენაც მიმართულია ამ ფორტის საოცრად მტკიცე, სამიარუსიანი სიმაგრეები. მაგრამ ეს აზრი უარყოფილი იქნა და არდაგანის სიმაგრის გასაღებად მ. ტ. ლორის-მელიქოვმა გელიავერდის ფორტი აირჩია, ხოლო შესატევ ხაზად ის სიმაღლეები, რომლებიც არდაგანზე სამხრეთ-აღმოსავლეთით ბატონობდნენ. ამ მხრიდან თურქები არავითარ თავდასხმას არ ელოდნენ: ეს ჩანს შედარებით სუსტი გამაგრებით იმ ფორტებისა, რომლებიც ამ სიმაღლეების წინააღმდეგ იყო მიმართული. ახალი-ტაბიე, დიუზი და მეხრაბი საკმაოდ მცირე ზომის ლუნეტებს წარმოადგენდა. დაინახეს რა, რომ რუსები ყარსის მხრიდან უახლოვდებიან, თურქებმა დაიწყეს ამ სიმაგრეების გაძლიერება: ორ-სამ დღეში გათხარეს თხრილები, აღმართეს მიწაყრილები სამხრეთის ცალკეული ლუნეტების გასაერთიანებლად და ახალი ძალის შესამატებლად, ააგეს ახალი ლუნეტები და რედუტები. ერთი სიტყვით, ყველა ღონე იხმარეს მათი ამ აქილევსის ქუსლის გასაძლიერებლად. მაგრამ ყველაფერი ამაო აღმოჩნდა. სწორედ ამ მხრიდან, საიდანაც თურქები, მათივე სიტყვების თანახმად, არასოდეს არ ელოდნენ თავდასხმას, ჩვენმა ჯარებმა მშვიდად, მაგრამ სწრაფად და ენერგიულად შეუტიეს, ერთმანეთზე მიყოლებით დაიკავეს არდაგანის ყველა სიმაგრე. ყბადაღებულმა რამაზანის სიმაგრემ ათიოდე გასროლაც კი ვერ მოასწრო, თუნდაც სინდისის დასამშვიდებლად.

როგორც კი ჩვენი ჯარები ქალაქში შევიდნენ, მათ თან მიჰყვნენ ყარაფაფახელებიც, სულთანის ამასწინანდელი ქვეშევრდომები, რომლებიც ახლა ჩვენს ჯარებს უკან მოჰყვებოდნენ და ჯარში ჩარიცხვას თხოულობდნენ. როგორც კი თურქებმა ცეცხლი შეწყვი-

ტეს, ყარაფაფახელები, რომლებიც იერიშის დროს საკმაოდ შორ მანძილზე იდგნენ, გაბედულად ეცენ დამარცხებულებს იმ ძაღლების მსგავსად, რომელთაც საჯიჯგნად თავიანთივე მკვდარი მოძმე მიუგდეს. აღარავითარ ძალას აღარ შეეძლო მათი მტაცებლური ინსტიქტების შეჩერება. ამტვრევდნენ ფანჯრებს, კარებს, ძარცვავდნენ, ანგრევდნენ ყველაფერს. და ცხენები, რომელთაც ტვირთი თივის ზვინებივით ედოთ, თვითონვე მიყავდათ უზანგით ბანაკში. მაგრამ მე ჩემი თვალით ვნახე, რომ ჩვენი ჯარისკაცები ბატალიონებად იდგნენ განზე მძარცველებისაგან და მონაწილეობას არ იღებდნენ ამ სისაძაგლეში. თუმცა სამხედრო პრაქტიკაში ბევრია ისეთი შემთხვევები, როცა მხედართმთავარი უფლებას აძლევდა ჯარისკაცებს გაეძარცვათ ქალაქი, მაგრამ, მ. ტ. ლორის-მელიქოვმა, როგორც კი გაიგო ქალაქს ძარცვავენო, მაშინვე ბრძანება გასცა შეეწყვიტათ. ამის გაკეთება არც ისე ადვილი იყო ჩვენი ძალზე მცირერიცხოვანი შტაბის მეშვეობით. მხოლოდ მეორე დღეს გახდა შესაძლებელი ყარაფაფახელების მტაცებლური ინსტინქტების ალაგმვა მათრახებით და ზოგიერთისათვის ზარალის ანაზღაურება იმის დაბრუნებით, რისი მონახვაც შესძლეს, ანდა ჩერვონცებისა და ნახევარიმპერიალების გადახდით. ყოველ შემთხვევაში, ამ ამბავმა, რომელმაც მთელი შტაბის წევრებისა და ყველა ოფიცრის გულში კეთილშობილური აღშფოთება გამოიწვია. ერთი მხრივ სარგებლობაც მოგვიტანა: ახლა შემუშავებულია სერიოზული ღონისძიებები ასეთი საძაგლობის აღსაკვეთად იმ შემთხვევებისათვის, როცა ჩვენ ჯარს მცირე ეზიის სხვა სიმაგრეების იერიშით აღება მოუხდება.

ახალციხის რაზმი, რომლის პირადი ამოცანა დასრულდა არდაგანის აღებით, დღეს შეუერთდება მომქმედი კორპუსის მთავარ ძალებს. არდაგანის პროვინციისა და ჩვენი საზოგადოების დასაცავად კი ჩამოყალიბებულია არდაგანის რაზმი, რომლის მეთაურად დაინიშნა პოლკოვნიკი კ. ვ. კომაროვი. როგორც დეპეშით შეგატყობინეთ[29], სამოქალაქო მართველობა დღეს უკვე შექმნილია და ჩვენი ჯარები მიემართებიან წინ, თავიანთი უმთავრესი ობიექტისაკენ.

4. მგზავრის შთაბეჭდილებები

ბანაკი არდაგანთან, 1877 წ. 5 მაისი

თბილისიდან ალექსანდრეპოლამდე გზის აღწერას აზრი არა აქვს. გზა ჩვეულებრივია,—გზატკეცილი, ალაგ-ალაგ გრუნტის. სადგურებიც ჩვეულებრივია — უბადრუკი, მოუხერხებელი, მგზავრმა

თან უნდა ატაროს ყველაფერი, რაც დასჭირდება: დაწყებული საპნიდან, გათავებული ჩაის კოვზით; ცხენები — დავარდნილები და ბოუველენი. ვთქვათ, სამგზავროდ მოწყობილი საკურიერო ეტლით რომელიმე სადგურზე მიხვედით. მეეტლე ყვირის „საკურიერო“. ვადის მეოთხედი საათი და სულ სხვა მეეტლეს, ეჟვნების ჟღარუნით, გარეთ გამოაქვს ეტლი, იქვე შესასვლელთან დებს და უჩინარდება. გადის კიდევ მთელი საუკუნე, ცხადდება იგივე მეეტლე. ახლა მას ხელში აღვირი უჭირავს, რომელსაც ეტლთან აგდებს და ისევ უჩინარდება. კიდევ საუკუნე — ბოლოს გამოაგორებენ ეტლს, რომელიც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს პირველი ბიძგისთანავე დაიშლება. მეეტლე ისევ უჩინარდება და დიდი ხნის შემდეგ გამოყავს გამხდარი, მელანქოლიური, ჩონჩხად ქცეული ცხენები. სამწუხაროა, რომ გუსტავ-დორეს არ უნახავს ისინი, თორემ უკეთ გამოხატავდა დონკიხოტისეულ როსინანტის[30] ტიპს. ბოლოს ყველაფერი მზადაა და თქვენც ნელა იძვრით ადგილიდან: შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო, მაგრამ გაუგებარია როდის... მაგრამ მე ბევრს მოთმენა შემიძლია, რასაც ბელინსკიმ „ვირული სათხოება“[31] უწოდა. მე მხოლოთ იმით ვინუგეშებ თავს, რომ არიან უბედურნი, რომლებსაც ჩემზე უარეს პირობებში უხდებათ მგზავრობა. ასეთია ყველა პირი, ვინც უბრალო სახელმწიფოებრივი, ან პირადი საჭიროებისათვის მგზავრობს. მე მაინც უკეთესი ხვედრი მერგო... იმის წარმოდგენა, თუ როგორ იტანჯებიან ეს უბედურნი, თმენის ძალას მმატებს და იმედს მაძლევს. დამეთანხმეთ, რომ მე მაინც სათნო კაცი ვარ, ყოველ შემთხვევაში ამ მხრივ მაინც.

კარაკლისამდე თითქმის ყველაფერი კეთილად მიმდინარეობდა. მაგრამ დაწყებული ამ სადგურიდან, სადაც გზატკეცილი თავდება, მგზავრობა გრუნტის გზით გიხდება. თქვენ არ იცით, ეს რა საძაგლობაა. სამოქალაქო საინჟინრო უწყებას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ამ გზის გაყვანაში. გზა გაიყვანეს სამიმოსვლო გზების პრიმიტიულმა ინჟინრებმა, ხარებმა და კამეჩებმა. გზატკეცილი დააგო ციდან მოძავალმა წვიმამ, ხოლო დატკეპნა — ნათელმა მზემ. მე მგონია, ამგვარ პირობებში, არც საერობო და არც სახელმწიფო ხაზინას, ამ გზის გაყვანა ერთი გროშიც კი არ დაჯდომია, თუმცა მე ამის მტკიცებას ვერ ვბედავ, რადგან დაბეჭდილი საფინანსო ანგარიშები ხელთ არ მაქვს.

ეს გრუნტის გზა გაუვალი ტალახით და წარმოუდგენელი აღმართებით არა მარტო ცარიელი ურმისათვისაა ძნელი სავალი, არამედ სამცხენშებმული „საკურიერო“ ეტლისათვისაც. წარმოდგენა-

შიც კი ვერ გასცემთ პასუხს ასეთ კითხვებს: როგორ გაიარა ამ გზაზე არტილერიამ, განსაკუთრებით საალყო არტილერიამ, და რა ძალა იყო საჭირო იმისათვის, რომ მასზე უზარმაზარი აღალი გაეტარებიათ, რომელსაც ჩვენი ჯარი აკილებდა. ღმერთმა იცის, რამდენი ზედმეტი დრო, ზედმეტი ფული, ზედმეტი ძალღონეა დახარჯული.

ამავე დროს ვინ არ იცოდა, რომ ალექსანდრეპოლის გზას უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ომი მუდამ ფოსალოდნელი იყო. რატომ არ დამთავრდა გზის მშენებლობა, რატომ მოუსწრო მას ომმა პირველყოფილ მდგომარეობაში, ესეც იცოლოდ ღმერთმა იცის.

ტელეფონის ბოძების თვლაში, სულელურად დაკარგული დრო რომ ამენაზღაურებია, გამოველაპარაკე მეეტლეს, ადგილობრივ სომეხ გლეხს. მინდოდა გამომერკვია, რა ფორმით შეაღწია მასების შეგნებაში აზრმა ომის მიზეზების შესახებ. რას ფიქრობენ მასზე ადგილობრივი მკვიდრნი, რამდენად ღრმაა მათი სიმპატიები.

დავიწყე შორიდან და ქარაგმულად. კითხვებით: როგორ ცხოვრობენ სომეხი გლეხები საზღვართან მდებარე სოფლებში?

— არა გვიშავს. ბატონო... ვცხოვრობთ ჩვენთვის... მიწა ძალიან ცოტა გვაქვს: ხალხი გამრავლდა, სივიწროვე ჩამოვარდა. მიწა, თავად ხედავთ, ცუდია. ქვიანი. ყველას არ გვყოფნის სახნავად. და აი, დავდივართ საშოვარზე. ზოგი მეურმეობს, ზოგი ვაჭრობს, ზოგი კი შორეულ ქალაქებში და სოფლებში მიდის მუშად. ჩვენში ბევრია ისეთი კომლი, რომელსაც მიწის ნაგლეჯიც კი არ გააჩნია, ხოლო გადასახადი გადასახდელია, თავი გამოსაკვები... აი, იმ მხარეს, არპაჩაის გაღმა (ე. ი. თურქეთში) მიწა ისე მდიდარია, იმდენია, რომ თვალს ვერ გაუწვდენ, სულ მინდვრები და დაბლობებია, ისეთი შავმიწა ნიადაგი, რომ, თუ ერთ საწყაულს დასთეს, ოცდაათს მოიმკი. პური თეთრი მოდის, ბატონებს რომ ეკადრება ისეთი, ორი კვირაც რომ გააჩერო, არ გაფუჭდება. ხალხი იქ ცოტაა, მიწა დაუმუშავებელი რჩება. ხედავთ აი, იმ მთებს, იქ ისეთი საბალახო მდელოებია, რომ საქონელი ქონში ჩაფლული ბრუნდება უკან. წყალიც ბევრი. წმინდა, კარგია, ერთი სიტყვით. სამოთხეა.

— ადრე ჩვენ ყველა იქ ვცხვრობდით. განაგრძო მეეტლემ. მაგრამ ჩვენი წინაპრები თურქებმა შეავიწროვეს და პასკევიჩს აქ გამოყვნენ. პასკევიჩმა მიწა მოგვცა და მას შემდეგ ვცხოვრობთ... ახლა კი, მადლობა ღმერთს, რუსები საომრად წავიდნენ, აიღებენ ყველა იმ მდიდარ მიწებს და ჩვენ ისევ ჩვენს ძველ ადგილებში გადავსახლდებით.

— რისთვის წავიდნენ რუსები იქით, რამ გამოიწვია ომი?

— უომრად როგორ იქნება: ის მიწები ყველა ჩვენი იყო, ახლა მათ რუსები აიღებენ, რადგან ხალხს უმიწოდ ცხოვრება არ შეუძლია და ისევ ჩვენ უნდა დაგვიბრუნონ. მაგრამ თურქები არ იძლევიან, ამბობენ — ამ მიწებზე ჩვენ სხვებს დავასახლებთ, ჩერქეზები გვყავანან, ყაჩაღები, მათ მივცემთ ამ მიწებსო. რუსები კი ეუბნებიან: არა, ეს მიწები სომხებისაა და არა ჩერქეზების, მოგვეცითო. თურქები არ დათანხმდნენ და დაიწყო ომი.

ო, გლეხკაცის პრიმიტიულო გულუბრყვილობავ! გერცოგოვინის გმირებს და წამებულ ბულგარელებს, ალბათ, სიზმრადაც არ ზმანებიათ, რომ სლავების განთავისუფლებისათვის დაწყებული ომი არპაჩაის ნაპირებზე ასე ვიწროდ და მერკანტულად შეიძლება აიხსნას!

მიუხედავად ამისა, მე განვაგრძობდი ჩემი თანამგზავრის გამოკითხვას, ვესაუბრებოდი ისეთ თემაზე, რომელიც მისთვის უფრო გასაგები იყო.

—როგორ ცხოვრობენ თურქეთში მყოფი სომხები ჩვენს ახლო მდებარე სოფლებში, მდიდრად თუ ღარიბად? ძალიან ავიწროებენ მათ თურქები? ვეკითხებოდი მე.

— თურქები ძლიერ ავიწროებენ, იყო პასუხი. მიწა გლეხებს ბევრი აქვთ, მეტიც, ვიდრე საჭიროა, მაგრამ თურქი უფროსობა გამუდმებით ძარცვავს მათ. იქ ისე არაა, როგორც ჩვენში: ჩვენ გადასახადს გადავიხდით, ფოსტის ფულს შევიტანთ, გზაზე ვიმუშაებთ, ზოგჯერ სოფელში ჩამოსულ უფროსებს გავუმასპინძლდებით და მორჩა. იქ კი ყოველგვარ პირუტყვზე გადასახადია შეწერილი, უნდა გადაიხადო მთელი შენი მოწეულის მეათედი ნაწილი და ათასგვარი ხარკი: მაწვნის, ცხვრის, ყველის, კარაქისა — სათვალავი არა აქვს. აქ ჩვენ მიწას მაშინ ვხნავთ, როცა საჭიროა, თავის დროზე, იქ კი გლეხი უნდა ელოდოს, სანამ უფროსი ნებას მისცემს. შემდეგ იწყება დავა იმის შესახებ, რა მოსავალი აიღეს მინდვრიდან, რომ მოსავლის მეათედი მიითვალონ და გლეხი ყოველთვის მოტყუებული რჩება.

— თქვენ სახელმწიფო გლეხები ხართ, თუ მემამულეს ეკუთვნით? არაფერს უნაწილებთ მემამულეს მოსავლიდან?

— არაფერს. ჩვენ სახელმწიფო გლეხები ვართ, მემამულე არ გვყავს. მემამულეები არც იქ არიან, აი, უკვე ორმოცი წელია, რაც არ არიან. მათ მხოლოდ უფროსობა ძარცვავს და ავიწროებს.

— თურქები, ესე იგი თურქი გლეხები, თუ ავიწროებენ სომეხ და ქრისტიან გლეხებს?

— თურქი გლეხები კარგი ხალხია, კეთილი, ტყუილი არ იციან. მათ ვინ უნდა შეავიწროვონ, როცა თავად მათ ძარცვავენ თავიდან ფეხებამდე. აი, ქურთები ნამდვილი ყაჩაღებია, სომეხსაც ძარცვავენ და თურქსაც. მოვლენ ღამით, წაიღებენ რაც ხელში მოხვდებათ, თუ ვინმემ წინააღმდეგობა გაუწია, მოკლავენ და ისევ თავიანთ მთებს მიაშურებენ. ქურთები ყველას ძარცვავენ, თავიანთებსაც კი. თურქი გლეხი კი კარგი კაცია, მორჩილი, უწყინარი.

— სომხურ სარწმუნოებას თუ დევნიან თურქეთში?

— მგონი, ზარების ჩამოკიდება არ შეიძლება. კაცი მოედანზე უნდა გამოვიდეს და დაიძახოს: ხალხო, ლოცვის ჟამი დადგა, შეგროდით ეკლესიაში. სომხურ ეკლესიაში თურქები არ შედიან, მღვდლებს არ ერჩიან, ლოცვაში ხელს არ უშლიან, — ცოდვაა ტყუილის თქმა.

— ვინ უფრო მდიდრად ცხოვრობს იქ, სომხები თუ თურქები?

— იქ ყველა ღარიბია, რადგან ყველას არბევენ. არის რამდენიმე შეძლებული გლეხი, სომეხიც და თურქიც, რომლებსაც მძარცველებისა და უფროსებისაგან თავის გამოსყიდვა შეუძლიათ. ყველა დანარჩენი მათხოვარივით ღარიბია. პატარპატარა მიწურები აქვთ, საქონელი ცოტა ყავთ, სხვისთვის მუშაობენ. მხოლოდ ესაა, რომ შიმშილით არ კვდებიან.

აი ყველაფერი, რაც ჩემს მეეტლეს წამოვაცდევინე.

* * *

მთავარ ბინას რომ დავწევოდი, ალექსანდრეპოლში რამე უნდა შეღონა. ციხესიმაგრის კომენდატმა, გენერალ-მაიორ კობიევმა, რომელმაც თავაზიანად და გულთბილად მიმიღო, ღია ბარათი მომცა, სადაც ადგილობრივ სამხედრო უფროსობას მითითება ეძლეოდა გამოეყოთ ჩემთვის ცხენი და ოთხი კაზაკისაგან შემდგარი ბადრაგი. მაგრამ თავისუფალი კაზაკები და ცხენი არ აღმოჩნდა და რადგან ლოდინი არ მინდოდა, მომცეს ნადავლად წამოყვანილი თურქული ცხენი იმათ რიცხვიდან, რომელთაც მთავარ ბინაში მიერეკებოდნენ, სადაც აუქციონით უნდა გაეყიდათ. შემომთავაზეს მესარგებლე ბელსაყრელი შემთხვევით და კოლონასთან ერთად მემგზავრა. იძულებული გავხდი ბარგი მიმებარებია რომელიღაც მეფურგუნესთვის, რომელიც უკან მოგვყვებოდა. როცა კოლონასთან ერთად 3-4 ვერსი გავიარე, მივხვდი, რომ მათთან ერთად დღეღამეში ოც

ვერსზე მეტს ვერ გავივლიდი. მიუხედავად გაფრთხილებისა, გავბედე და ჰენებით გავფრინდი წინ. გზის ყოველ ვერსზე კაზაკთა ავანპოსტი იდგა, ხოლო სამხედრო-სალაშქრო ტელეგრაფის ბოძები გზას მიჩვენებდა. მალე მივაღწიე კიზილ-ჩახჩახის პირველ სადგურამდე. მიწაში ჩაფლულ, სომხებით მნიშვნელოვნად დასახლებულ სოფლამდე (150 სახ.), რომლის მკვიდრნი წყნარად ისხდნენ თავიანთი მიწურების სახურავებზე. ადგილობრივი გარნიზონის უფროსმა განმიცხადა, რომ ამას იქეთ ჩემს გაშვებას ვერ ბედავს. მაგრამ როცა მე მას ღია ბარათი ვუჩვენე და განუმარტე, რომ არც ცხენი მკირდება და არც ბადრაგი, მან გზა დამილოცა და გამიშვა, თან დასძინა, რომ სულერთია კურუკ-დარინსკის იქეთ მაინც არავინ გაგიშვებთო. მე ეს სიტყვები დავიმახსოვრე და როგორც კი სადგურ პალდირვანამდე მივაღწიე, რომლის მახლობლადაც ჩვენი კურუკ-დარინსკის გამაგრებული პუნქტი მდებარეობდა, წამოღებული ხუთვერსიანი რუკის წყალობით მარჯვნივ გადავუხვიე და ცხენი ისე გავაჭენე, თითქოს უკან თვით კურუკ-დარინსკის გარნიზონის უფროსი მომსდევდა. რადაც არ უნდა დამჯდომოდა, მინდოდა იმ ღამეს ზაიმსკის ბანაკამდე მიმეღწია. მაგრამ სოფელ პარგეტში, სადაც დერბენტის პოლკის ბატალიონი იყო დაბანაკებული, თანამემამულეს, ქუთაისელ ოფიცერს გადავეყარე, რომელმაც იმისთვის, რომ ღამე ამ სოფელში გამეთია, ცხენი თითქმის ძალით ჩამომართვა. რას ვიზამდი. ჩაის დალევის სურვილმა დამძლია და დავრჩი. თანაც დამპირდნენ დილის 5 საათზე გაგიშვებთო.

დრო რომ ტყუილად არ დამეკარგა, გადავწყვიტე ოფიცერ ე***-სთან და მთარგმნელთან ერთად სოფელში წავსულიყავი. სოფელი მთლიანად თურქებით იყო დასახლებული. ჩვენ შევედით შეძლებული თურქის მიწურში, რომელსაც ბევრი საქონელი, ბევრი მუშახელი ყავდა და მარაგი ქონდა. თურქი თავაზიანად დაგვთანხმდა ეჩვენებინა ჩვენთვის მთელი თავისი სიმდიდრე, და საცხოვრებელი სახლის ყველა კუნჭული. სახლის სამი მეოთხედი მიწაში იდგა; ზედა ნაწილი ქვით იყო ნაგები, თეხისა და კირის ხსნარის გარეშე, ხოლო გადახურული იყო სოღანლუღის მაღლობებიდან მოზიდული (50 ვერსი) მორებით. მორებზე ფიცარი ელაგა, ფიცრები კი თიხის სქელი ფენით იყო დაფარული. ოთახები არაჩვეულებრივად ბნელია. ჭერში დატანებული აქვთ ორი-სამი ხელისგულის სიფართე სარკმელი, რომელიც შიგნით ერთი ბეწო შუქს უშვებს. ყველა კედელი დაგმანულია გულმოდგინედ, ყველა კარი მკვიდროდ იკეტება. ძნელად წარმოსადგენია რაიმე, ამ მიწურებზე უფრო პი-

გიენური: იგი მთლიანად იცავს მობინადრეს ზამთრის სუსხისგანაც, რომელიც ამ სწორ, 6000 ფუტზე[31] უფრო მაღლა ზეგანზე მომაკვდინებელია, და სიცხისგანაც, რომელიც ამ მხარეში ძალზე შემაწუხებელია. სარკმელი, გარდა თავლებისა, საკმარისად ანიავებს მიწურის ყველა კუთხეს. ყველაზე კარგ, საყონაღო ოთახში, სადაც სტუმრებს იღებენ, დაგებულია სქელი ფიცრული იატაკი, მოწყობილია ბუხარი, რომლის მილი კედელში გადის, და დგას ხის ტახტი, რომლის ზურგი, ისევე როგორც ბუხრისა და მთელი ოთახის კარნიზი, მოხატულია აღმოსავლური გემოვნების ძნელადმისახვედრი და ორიგინალური ჩუქურთმებით. საყონაღო ოთახის შესასვლელთან მთელი კედლები ტომრებს უკავია. ასევ იცავენ ხორბალს გაფუჭებისაგან, ქერს კი ინახავენ სახლს გარედ, მიწაში, უზარმაზარი ჭურების მსგავს ორმოებში, რომელთა კედლები ისეა გარსშემოგებული კირით, როგორც ცემენტით. სასტუმრო და საერთო ოთახებში დგას მუდამ წყლით სავსე ვარცლები და დევს ხის ციცხვები წყლის დასალევად და ამოსახაპავად. საერთო ოთახი დიდი ზომისაა და, სასტუმრო ოთახიდან დამოუკიდებლად, ცალკე შესასვლელი აქვს. ოთახს ოთხივე მხრიდან მიშენებული აქვს წალოები. ასე რომ საცხოვრებელს მთლიანად სწორი ბიზანტიური ჯვრის ფორმა აქვს. ამ მინაშენიდან ზოგს ჭურჭლის შესანახად იყენებენ. ჭურჭელი მთლიანად თიხისა და სპილენძისაა. ქოთნებს მაღალი ვაზების ფორმა აქვს, ქვაბები კი არაფრით არ განსხვავდება იმ ქვაბებისაგან, რომელთაც საქართველოში იყენებენ. წყლის ჭურჭელი, თეფშები, ლამბაქები. ქვესადგამები გაკეთებულია სპილენძისაგან და შიგნიდან და გარედან მოკალულია. სპილენძიდანვეა გაკეთებული ფინჯანი, რომელიც დამაგრებულია ხის მაღალ ქვესადგამზე და ჩაჭყლეტილი აქვს გვერდები გამოშვერილი ღრმულების წარმოსაქმნელად, რაშიც ზონარს ამაგრებენ. ფინჯანს ავსებენ ქონით ან ზეთით და ღამე ლამფად იყენებენ. საერთო ოთახის შუაში პირამდე მიწაში ჩადგმულია თიხის დიდი ჭური, რომელიც მთლიანად ქართულ თონეს გავს. თონეში ცეცხლს ანთებენ. გახურებულ კედლებზე თხელ ცომს აკრავენ, რომელიც სწრაფად გარდაიქმნება შოთის პურად. ასეთი თონეებია გაკეთებული იმ მინაშენებშიც, სადაც სძინავთ. მათ ირგვლივ თბება მთელი ოჯახი. ოჯახის წევრები შემოუსხდებიან თონეს, რომელშიც ცეცხლი ანთია, ფეხებს ან ზედ მიადებენ ან შიგ ჩაუშვებენ და ზემოდან ხალიჩას გადაიფარებენ. ზოგჯერ ამ მდგომარეობაში სძინავთ კიდეც. თონის ირგვლივ განლაგდებიან და ფეხებს მუხლებამ-

დე შიგ ჩაუშვებენ. ამ მდგომარეობაში შეუსწარი ჩვენი მასპინძლის 6-8 წლის მძინარე ვაჟს.

ქალთა სამყოფელი სხვა ოთახებიდან გამოყოფილია. მასში რომ მოხვდე უნდა გაიარო სრულიად ბნელი დერეფანი, სადაც არა სწორი ფორმის 4-5 საფეხურიანი ქვის კიბეა. მასპინძელმა ნება დაგვრთო დაგვეთვალიერებია მუსულმანთა ყოფის ეს სანქტუარი. ოთახი კიდევ უფრო ბნელია, ვიდრე დანარჩენი მიწისქვეშეთი. მიწის იატაკი მთლიანად ნოხებითა და ჭილოფებითაა დაფარული. ზოგ ადგილას, კედლის გასწვრივ, ლოგინია დაგებული, ე. ი. უხეშ ნარმაგადაკრული მატყლის ლებები და ბალიშები, ჩითგადაკრული ბამბის საბნები. როგორც ლებები, ასევე საბნები ისეთი შეძლებული კაცისათვის, როგორიც ჩვენი მასპინძელი იყო, საკმაოდ გაცვეთილი გვეჩვენა. ერთ კუთხეში, თითქმის ჭერამდე, ერთმანეთზე ეწყოთ უამრავი საბანი, ბალიში და ლები. ამ ქვეშაგებელს გლეხის მრავალრიცხოვანი ოჯახი, ალბათ, ღამე იყენებდა. რომელიღაც ქალი, რომელმაც ოთახიდან გასვლა ვერ მოასწრო, სანამ ჩვენ მიწისქვეშეთის დანარჩენ კუნჭულებს ვათვალიერებდით, ლოგინების ამ საწყობში დაიმალა და ზემოდან საბანი წაიხურა. აქვე შევნიშნე პირსახოცი, თეთრი ნარმის ნაგლეჯი, თითის ტარი, ძაფის გამოსაყვანი ფირფიტები და სხვა, ქალის ყოფაცხოვრების კუთვნილება. აქვე იდგა აკვანი, რომელიც ქართულ აკვანს ისე გავდა, როგორც წყლის ორი წვეთი ერთმანეთს, იგივე ცხაურიანი ყუთი დაწნული ბაწრით, იგივე რკალისებრი საგოგავები, იგივე სახელური, იგივე ძნელად ამოსახსნელი ხეზე ამოჭრილი არაბესკები, იგივე ბავშვების გასართობად სახელურზე ჩამოკიდებული ნიჟარები და მძივები, რომელთაც თურქეთში, ისევე როგორც ჩვენში, შელოცვილ ავგაროზებად თვლიან.

როცა ქალთა სამყოფელოდან გამოვდიოდით, ჩვენს მასპინძელს თავს დაესხნენ თავლიდან გამომავალი დედაკაცები, სადაც ისინი ძროხებს წველავდნენ. ოჯახის უფროსს ხმამაღლა, უდიერად დაუწყეს ლანძღვა. არ დაუზოგიათ არც ხმა და არც მუქარის გამომხატველი ჟესტები. როგორც მთარგმნელმა ამიხსნა, ქალები მასპინძელს იმას ესაყვედურებოდნენ, რომ კაცები მათ საცხოვრებელში შეგვიშვა და ამით წინაპართა ჩვეცა და ძველი აღქმა დაარღვია. მასპინძელი თავს დამცირებული კაცის ხმით იმართლებდა და ეს პატარა ეპიზოდი, რომელიც მთელი თხუთმეტი წუთი გაგრძელდა, ცუდად ეგუებოდა ჩემს შეგნებაში არსებულ შეხედულებებს თურქეთში ქალების მონური მდგომარეობის შესახებ.

საერთოდ ის ქალები, რომლებიც პარგეტელ სტუმართმოყვა-

რე თურქის ოჯახში ვნახე, არაფრით არ გავდნენ ბაიადერებს და არც ჰარემის არავითარი კვალი არ ეტყობოდათ. ჯერ ერთი, ისინი უფრო ულამაზონი და უხეშნი იყვნენ, ვიდრე პარგეტელი მამაკაცები, რომელთა აქამდე შემოინახეს ოსმალური უშფოთველი, სათნო და ლმობიერი ტიპი, სწორი სახის ნაკვთებით და თვალების უწყინარი გამომეტყველებით. მეორეც, ქალებს ეცვათ ბამბის უხეში ტანსაცმელი, სახელოები იდაყვებამდე ჰქონდათ დაკაპიწებული, ხოლო კალთა მუხლამდე აკეცილი. შიშველ ფეხებსა და ხელებს ჭუჭყისა და უსუფთაობის კვალი ეტყობოდა. ეს გასაგებიცაა: თურქეთში თურმე ქალები მეტს თუ არა, იმდენსავეს მუშაობენ. რამდენსაც მამაკაცები. წველავენ და უვლიან საქონელს, ამზადებენ ყველსა და კარაქს, კერავენ, ამზადებენ საკმელს, ასუფთავებენ. ბანენ, ქსოვენ, რეცხავენ და ზოგჯერ მინდორშიც მუშაობენ. პროფორმისათვის კი ნიკაპის წვერს და შუბლის ზემო ნაწილს იფარავენ.

შეძლებული თურქი-გლეხის თავლა სამ ნაწილად იყო გაყოფილი: ცხენებს დათმობილი ჰქონდათ ფართო და მაღალი დარბაზი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში კავალერიის მთელ დივიზიონს მანეჟად გამოადგებოდა. თავლას არ გააჩნდა ბაგები. ცხენებს კედელთან ბოძებზე, აბავდნენ და საკვებს მიწაზე უყრიდნენ. ეს იყო ერთადერთი შენობა, რომელიც მიწაში არ იდგა და ბრტყელი სახურავის ნაცვლად ჩვეულებრივი ნივნივიანი სახურავი ჰქონდა. თავლა საკმაოდ ნათელი იყო, ხოლო ნივნივები და კედონები მთლიანი, მასიური და გაუთლელი ძელებისა ჰქონდა. ძელებს ისეთივე სახე შერჩენოდათ, როგორიც ტყეს მიეცა. ასეთი ძელები აქ ცოტა არ დაიხარჯებოდა. ამ მხარეში ტყის სიძვირის მიხედვით შეიძლება წარმოიდგინო, რა დაუჯდებოდა ჩვენს მასპინძელს მისი აშენება.

ვერ მოვახერხეთ ცხვრებისა და ძროხების სადგომის დათვალიერება. იქ ქალები ძროხებს წველავდნენ. შენობებიდან მოცილებულად, გარედ მოწყობილი იყო ჩიხი, სადაც დროებით რქოსან საქონელს ამწყვდევდნენ. ჩიხში ოორმეტამდე ხარი და კამეჩი იყო დამწყვდეული. ისინი ჯანმრთელი, მაძღარი მოსჩანდნენ და საკმაოდ დიდი ზომისა იყვნენ. როგორც გადმოგვცეს, ამ გლეხს ცხვრებისა და ცხენების გარდა, რამდენიმე ათეული რქოსანი საქონელიც ყავდა.

გამოთხოვებისას მასპინძელს ვთხოვე ესწავლებინა ჩვენთვის ამ სოფელში ყველაზე ღარიბი გლეხის სახლი. მინდოდა ამ ხალხის ყოფის ორი უკიდურესობა მენახა, მაგრამ მდიდარმა ბოდიში მომიხადა და უარი მითხრა. მან უკვე იმითაც დაარღვია ჩვეულება, რომ

საკუთარ სახლში მიმიღო, ხოლო მიმასწავლოს ყველაზე ღარიბი გლეხის ოჯახი — ეს უკვე უცხო ხალხის თვალში მეზობლის შეურაცხყოფაა, ამიხსნა მან. რას ვიზამდი. მომიხდა ალალბედზე მეძებნა ყველაზე ღარიბი გლეხის ოჯახი. საბედნიეროდ სოფლის მამასახლისს გადავეყარეთ. მამასახლისმა ერთ-ერთ მიწურში შეგვიყვანა. მიწური, რომელიც ორი ოთახისაგან შესდგებოდა, სინამდვილეში თაღით გაყოფილ ერთ მთლიან სადგომს წარმოადგენდა. ამ მიწურში ცხოვრობდა ათი სულისაგან შემდგარი ორი ღატაკი ოჯახი. მათ ერთი ნაგლეჯი მიწაც კი არ გააჩნდათ და მოჯამაგირეობდნენ. ასე კვებავდნენ ოჯახს. ამ გლეხებს საქონელი არ ყავდათ და ამას ისიც ემატებოდა, რომ ერთი მათგანი ქვრივი იყო. მიწურში წარმოუდგენელი სიღატაკე სუფევდა. ლოგინის ნაცვლად ფარაჯებისა და ნოხების ნაგლეჯები, ჭურჭელი — მთლიანად თიხისა, არავითარი მოწყობილობა. პარგეტში სულ 70 კომლია, მათგან 12-მდე ასეთი ღარიბია. ასეთ გლეხებს გადასახადიდან ანთავისუფლებენ და სახელმწიფოს აღარაფერს უხდიან.

ჩვენს ირგვლივ ჯგუფად გარშემორტყმულ ადგილობრივ მკვიდრთა გამოკითხვის შედეგად გავიგე, რომ ამ მხარეში თურქეთის ხელისუფლებას ყველა სარწმუნოებისა და ეროვნების მოსახლისაგან მოსავალის ერთი მეათედი მიაქვს, ხოლო ვისაც 10 სამანზე ნაკლები მოჰყავს, გადასახადიდან ანთავისუფლებენ. თითეულ საქონელზე შეწერილი აქვთ 15 კაპ. გარდა ამისა, ყოველ კომლს ახდევინებენ 50 კაპიკ სალიანს, ე. ი. გზის ბეგარას. ხოლო თუ ამ მხარეში ჯარი დგას, ან გაივლის, ადგილობრივი მოსახლეობა ვალდებულია გაიღოს მათთვის კარაქი, ყველი, რძე, ცხვარი, პური, ქერი და ასე შემდეგ, წინასწარ დაუდგენელი ნორმით, „რამდენიც გამოვა". ადგილობრივი (შურაგელის სანჯიკის) ხელისუფალნი მათგან იღებს ქრთამებსა და გადასახადებს, ყოველგვარი შემწყნარებლობის გარეშე, და გლეხებს მტერზე და დამარცხებულზე უარესად ექცევიან. მათგან საშველი არაა, „ჩვენ, თურქებს, უფრო გვავიწროებენ, ვიდრე ქრისტიანებს", ვინაიდან ქრისტიანებს სასულიერო პირნი და უცხოელები იცავენ, თურქს კი დამცველი არავინ ყავს. გარდა ამისა, ყაჩაღთა ბრბოებისაგანაც არ იყო მოსვენება: ისინი თავისუფლად დათარეშობდნენ ირგვლივ და ძარცვავდნენ ყველას, ვისაც თავის შველა არ შეეძლო. მემამულენი ამ მხარეში კარგი ხანია არ არსებობდნენ (40 წელზე მეტი), უწინ კი აქ ბატონობდნენ ხაჯი-ბეგ-კორა, ხან-ოღლი და ქურთი უსეინ-აღა. მემამულეები კარგი ხანია დაიხოცნენ, მაგრამ მათი შვილები მდიდრებია და ყარსში

დიდი თანამდებობები უჭირავთ. თურქ სასულიერო პირებს საბელმწიფო ხაზინა არაფერს უხდის, სამაგიეროდ არც ისინია მასზე დამოკიდებული. მუსულმანის ყოველი ოჯახიდან მოლა ღებულობს 2 კოდ პურს და 1 კოდ ქერს. გარდა ამისა, ყოველი ოჯახი ვალდებულია ორი დღე მისთვის იმუშაოს. საეკლესიო რიტუალის აღსრულებისათვის — წესის აგება, ლოცვა და სხვა — მოლას ცალკე უხდიან ფულს ან ნატურით, სურვილისა და ჩვეულების მიხედვით, მაგრამ ცოტას. შურაგელის სანჯაკის მცხოვრებლები ჯარში არ მიჰყავთ (ყოველ შემთხვევაში, ასე მარწმუნებდნენ პარგეტელები). ხოლო ყარაფაფახელები და ჩერქეზები სრულიად განთავისუფლებულნი არიან სამხედრო სამსახურიდან. და თუ მსახურობენ — მოლოდ საკუთარი სურვილით.

არც პარგეტში და არც ახლომახლო სოფლებში კაპრობას არავინ მისდევს. აღგილობრივი მოსახლეობა მოწეულის უმნიშვნელო რაოდენობას ყიდის, ხოლო ლასარიბს თვითონ იხმარს. პროდუქტები მათ ან ყარსში მიაქვთ, ან ალექსანდრეპოლში, იმისდა მიხედვით თუ რისი ყიდვა სურთ. ალექსანდრეპოლში უფრო ხელსაყრელია რკინის, მარილის, ბრინჯის, თევის, თეთრი ნარმის და უხეში შალის ყიდვა. ხოლო ყარსში — ფრანგული (საუკეთესო) ჩითის, თხელი შალის ქალის საკოსტუმე ქსოვილების და ასე შემდეგ. ყარსშივე ღებულობენ პასპორტს ალექსანდრეპოლში წასასვლელად. პასპორტს ეროი წლის ვადა აქვს და ღირს ოთხი მანეთი. 3 მანეთს თურქეთის ხელისუფლებას ეხდიან, 1 მანეთს კი რუსეთის ელჩს ვიზისათვის. თითოეულ გლეხს თავად მიაქვს თავის ნაწარმი გასასყიდად და თავადვე ყიდულობს, რაც ჭირდება. მათ არ სჩვეოდათ ერთმა გაყიდოს, ან იყიდოს ყველაფერი, რაც სოფლის მოსახლეობას ჭირდება. ვაჭრობას მათ შორის არავინ მისდევს, რადგან ხელსაყრელი არაა. თითოეულს ურჩევნია საქონელი ყარსში ან ალექსანდრეპოლში იყიდოს, სადაც მათ მაინც უხდებათ წასვლა საკუთარი ნაწარმის გასასყიდად.

მე ძალზე მაინტერესებდა გამეგო, როგორ უცქეროდნენ ამ შორეული პროვინციის მკვიდრნი უკანასკნელ პოლიტიკურ მოვლენებს, განსაკუთრებით თურქეთის კონსტიტუციას. საწუხაროდ, ჩვენმა მთარგმნელმა თავად არ იცოდა რა არის კონსტიტუცია, თუმცა მე დაბეჯითებით ვცდილობდი ამეხსნა მისთვის ეს საოცრება. პარგეტელებმა იციან, რომ თურქეთში ახლა ჰამიდ-სულთანი მეფობს, მაგრამ სავფეტ-ფაშაზე სრულიად არაფერი სმენიათ. ვერ დამისახელეს ვერცერთი მინისტრი და ვერც ერთი ვეზირი, მაგრამ

როცა ვიკითხე: გაგიგონიათ თუ არა მითხად-ფაშას სახელი, ზოგიერთს თვალები გაუბრწყინდა. ამიხსნეს. რომ მითხადი დიდი ადამიანია, ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი თურქეთში, სულთანის მარჯვენა ხელია, ძალზე ჭკვიანი და კარგი ფაშაა. ყოვლად ძლიერი და ყოვლის შემძლე. — „თუ გაიგეთ, რომ სულთანმა იგი განდევნა“? — არა, უკანვე დააბრუნეს და ახლა ისევ ვეზირია. ჩვენს ქვეყანაში პირველი კაცი სულთანია, მეორე კი მითხად-ფაშა. მითხადი ყველაფერს აკეთებს. სულთანზე მეტს აკეთებს, თურქეთის ნამდვილი მართველი იგია, სულთანი კი მაოლოდ მეფობს. მითხადმა ორი სულთანი გამოიცვალა უკვე.

პარგეტელები მითხადზე აღფრთოვანებით, ხალისით, სიხარულით ლაპარაკობდნენ, მაგრამ ამაოდ ველოდი პასუხს კითხვაზე: რა გააკეთა ამ ბედნიერმა კაცმა დიდი, რით გაითქვა სახელი? — „იგი ჭკვიანია, ძალზე ჭკვიანი კაცია, კარგი კეთილი, მართალი და კარგიც ბევრი გააკეთა.“ ხოლო როცა ლაპარაკი ახალ წესრიგზე, კონსტიტუციაზე და სხვა ამღაგვარზე ჩამოვარდებოდა ყოველთვის ასეთ პასუხს მაძლევდნენ: კონსტანტინეპოლიდან აქ არავინ ჩამოდის, ეს ჩვენ არ ვიცით, ამის შესახებ არაფერი გაგვიგონია.

— დეპუტატი არ გაგიგზავნიათ სტამბოლში, არ აგირჩევიათ? ვიკითხე მე.

— არა, არ აგვირჩევია, არც ის ვიცით გაგზავნეს თუ არა ყარსიდან დეპუტატი.

— როგორ ფიქრობთ, რის გამო დაიწყო ომი რუსებსა და თურქებს შორის?

— არაფერი არ ვიცით, დიდი ხანია ლაპარაკობენ ომი იქნებაო და აი მოხვედით თქვენ, რუსები. მადლობა ღმერთს, ჩვენთვის ხელი არავის უხლია, არავის არაფერი წაურთმევია. ხოლო იმაში, რაც წაიღეს, ფული გადაგვიხადეს. ჩვენ გვეგონა რუსები დაგვხოცავდნენ, ახლა კი ჩვენში ისეთი სიმშვიდეა, რომ გახდილებს გვძინავს. აღარ გვეშინია ყაჩაღთა თავდასხმისა. რომლებიც ადრე აქაურობის ბატონ-პატრონნი იყვნენ.

არ ვიცი, მათ მხრივ ეს მლიქვნელობა იყო, თუ გულწრფელი აზრი. მაგრამ როცა გლეხებს გამოვეთხოვეთ და ერთერთ მათგანს ვთხოვე ბანაკამდე გამოგვყოლოდა, მინდოდა გზაში ზოგი რამ კიდევ გამომეკითხა. თანასოფლელებმა მას უთხრეს:

— თუ ბანაკში წასვლა გეშინია, ჩვენ გაგაცილებთ.

როცა ბანაკში დაუბრუნდით, სრულიად ბნელოდა. მეორე დღეს, დილის 5 საათზე, გზა განვაგრძე იმ რაზმთან ერთად, რომელიც მთა-

ვარ ბინაში სპირტით დატვირთულ ტრანსპორტს აცილებდა. მაგრამ გზაში ოფიცერი შემხვდა და მითხრა: მთავარი ბინა ადგილს იცვლის და წინ წასვლას აპირებსო. მე ცხენი გავაჭენე და ერთ საათში ჩიგი-კევალისა და ზაიმს შორის განლაგებულ ბანაკში ვიყავი. აქ მე გავიგე, რომ მოქმედი კორპუსის მთავარი ძალები კორპუსის მეთაურის, გენერალ-ადიუტანტ მ. ლ. ლორის-მელიქოვის სარდლობით არდაგანზე გალაშქრებას აპირებს. ზაიმის ბანაკში რომ უსაქმოდ არ მეხეტიალა მე, რა თქმა უნდა, მათ გავყევი, თუმცა ჩემი ბარგიდან, რომელიც ალექსანდრეპოლში ფურგუნზე დავყარე, არაფერი არ მიმიღია. მალე არდაგანის გზას დავადექით.

5. ნარკვევი არდაგანის სიმაგრეებზე*

ციხე-სიმაგრე არდაგანი, 1877 წ. 9 მაისი

არდაგანს ჩვეულებრივი თურქული ქალაქის სახე აქვს: მიწის ბრტყელ სახურავიანი ქვის სახლები, დაკლაკნული ქუჩები და აუცილებელი ძველი ციტადელი. ბოლო დროს არდაგანში რამდენიმე ხეირიანი, უმთავრესად ქვის, ყავრით დახურული სახლები აუშენებიათ. ამ ნაგებობათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ჰოსპიტალი, რამდენიმე ყაზარმა, თოფის წამლის ორი საწყობი, ფაშას საცხოვრებელი და რამდენიმე კერძო სახლი. ქალაქი განლაგებულია ამფითეატრის მსგავსად მდინარე მტკვრის ორივე ნაპირზე, მაგრამ ქალაქის დიდი ნაწილი მის მარცხენა მხარეზე მოდის. ქალაქისა და მისი სიმაგრეების ერთადერთი და სრული ხედი მხოლოდ მაშინ იხსნება, როცა მდინარე მტკვარს არდაგანის ვაკემდე აჰყვები. ჩემის აზრით, უფრო ლამაზი პანორამა ამ მხარეში არ მოიძებნება. პირველ პლანზე დაინახავთ არდაგანის სახლებს, რომლებიც ერთმანეთის მიმართ ტერასულადაა განლაგებული. მათ ზემოთ და მათ უკან აღმართულია ციტადელი, რომელიც ქალაქს კბილოვანი კედლებით აგვირგვინებს. მეორე პლანზე აქა-იქ მოსჩანს უახლოესი სიმაგრეები: კაია-ბაში, სინგერი, კაზ-ტაპასი, ახალი ტაბიე და მეხრაბი, რომლებიც დამცველ ჯაჭვს ქმნიან და ნახევარ რკალად ეკვრიან ქალაქს. მესამე პლანზე, უფრო შორს და კიდევ უფრო მაღალ მთაზე, ლამაზად მოსჩანს სიმაგრეები: რამაზანი, გელიავერდი №1 და გელია-

* ჩემს თავს მოვალედ ვთვლი გულწრფელი მადლობა მოვახსენო მოქმედი კორპუსის საინჟინრო ნაწილის უფროსს ე. მ. ზულნეინგს და ამავე კორპუსის არტილერიის უფროსს, გენერალ-მაიორ ფ. ა. გუბსკის, რომელთაც ამ წერილში მოყვანილი მონაცემები მომაწოდეს. ავტ.

ვერდი №2. ამავე მესამე პლანზე მოსჩანს გურჯიბეკის და ალაკეზის მაღლობები, რომლებიც ქალაქს ასევე ხახევარ რკალად შემორტყმია. და ბოლოს, მეოთხე პლანზე მოსჩანს თოვლით ჭაღარამოსილი მთების ზოლი, რომელსაც მთლიანად თოვლით დაფარული შორეული მთების ქედები აგვირგვინებს. მზის ჩასვლის წინ, რომ ამ პანორამით თხუთმეტი წუთით დატკბე, ორი ათასი ვერსი უნდა გაიარო. მაგრამ ახლა ჩვენ სურათებისა და ფერწერისათვის არ გვცალია.

ამგვარი აღწერის შემდეგ, რე მგონი, ნათელია, რომ ქალაქი არდაგანი ყოველი მხრიდან, გარდა დასავლეთისა, სულ მაღლა მიმავალი და მის გარშემო თითქმის წრედ შეკრული მაღლობების რაოდენობე იარუსითაა გარშემორტყმული და ამ მაღლობების ყველაზე მაღალი და შორეული ნაწილიდან იწყება თანდათანობითი და თითქმის ერთიანი დაღმართი ქალაქისაკენ, რომლის დასავლეთი ნაწილი მდინარე მტკვრისა და არდაგანის ვაკის დონეზეა. გვახსოვს რა ეს. გადავდგეთ ქალაქის სიმაგრეების აღწერაზე.

1. არდაგანის ციტადელს ქალაქის დაცვაში არავითარი როლის შესრულება არ შეეძლო. რადგან ეს ძველი შენობა თავდაცვის ადამისდროინდელი სისტემისათვისაა მოწყობილი. ციტადელი წარმოადგენს ძველ, მაღალ, კბილოვან კედლებს, რომლებიც მოგრძო ოთხკუთხედს ქმნიან, და რომლებსაც ზემო ნაწილში საკმაო რაოდენობის სათოფურები აქვს დატანებული. შიგნითა მხრიდან ამ სათოფურებთან ახლა არ მიისვლება, რადგან კედლებს ირგვლივ აშენებულია შენობები კომენდანტისა და მოსამსახურეებისათვის. ციტადელი ამართულია ქალაქის ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მაღლობზე, რომელიც მტკვრისაკენ ციცაბოდ ეშვება. ამ მხრიდან ციტადელის კედელი ფერდობიდან კი არ იწყება, არამედ ძირიდან, მტკვრის ნაპირიდან. სჩანს არდაგანის ციხესიმაგრე ქართველებს აუშენებიათ და არა თურქებს. მას ქართული ტიპის ასეთი ნაგებობების ყველა განმასხვავებელი ნიშანი აქვს და უფრო გავს, მაგალითად დუშეთისას, ვიდრე ფოთისას, რომელიც თურქების აშენებულია. ციტადელს აქვს მხოლოდ ერთი შესასვლელი დასავლეთიდან, რომელსაც მოგვიანებით ნაკეთები საკმაოდ ლამაზი კარი აქვს შებმული. თურქებმა აქ არსენალი მოაწყვეს. გაუგებარია რატომ და რა მიზნით ინახავდნენ თურქები ამ არსენალში 14 ქვემეხს, რომელთაგან ერთი იყო კრუპის ქარხნიდან, ფოლადის, სანაპირო, რგოლებით დამაგრებული რკინის მაღალ ლაფეტზე, ოთხი — სპილენძისა და ფოლადისა, კუთხოვანი ლულით და ასევე მე-

ორე მხრიდან გასატენი; დანარჩენი ცხრა წარმოადგენდა გლუვლულიან სხვადასხვა კალიბრის მორტირებს (5, 7 და 11 დიუმიანი).

2. კაია-ბაში — რამაზანის შემდეგ მარცხენა ნაპირის მთავარი სიმაგრე — ქალაქს იცავს ჩრდილო აღმოსავლეთიდან და ბატონიშს მტკვრის ქვედა დინებაზე, ე. ი. ახალციხის გზაზე. ჩემს მკითხველებს, რომლებიც საინჟინრო ტერმინოლოგიაში ერკვევიან, შეიძლიან ვუთხრა, რომ იგი შესდგება სამი ბასტიონური ფრონტისაგან რეველინით წინ და წინ წაწეული ფლეშებით. ამ სიმაგრეს აქვს ღრმა, კლდეში ამოკვეთილი თხრილები და ციცაბო ესკარპები და კონტრესკარპები. კაია-ბაშის ბრუსტვერის განი 3-5 საჟენია და გარმოსილია კორდით. სიმაგრეს აქვს თოფის წამლის საწყობი და გარნიზონის დასაბანაკებელი ბარაკები. ბარაკები ბლინდირებულია, ე. ი. ზემოდან მიწის სქელი ფენიანია დაფარული, ხოლო კედლების დაფარვა ეველარ მოუსწრიათ. შენობები აგებულია ფიქვის სქელი მორებისაგან და თავდასაცავად მოგრძო სათოფურები აქვს დატანებული. ბარაკები მდიდრულად მოწყობილი არაა. ბრტყელი სახურავი მსხვილი ბოძების ორმაგ მწკრივს უკრავს. ორივე კედელთან მიწაზე დაგებულია თივით გატენილი ტილოს ლებები, რომლებიც, მომცრო ნოხ-საბანთან ერთად, თურქი ჯარისკაცის ლოგინს წარმოადგენს.

კაია-ბაშის სიმაგრიდან ცეცხლს ქვეშ ექცევა ადგილმდებარეობა მაგლასის მთის ძირიდან (რომლის მწვერვალზე რამაზანის სიმაგრე დგას) კაზ-ტაპასის ფორტამდე, რომელიც მტკვრის მარჯვენა ნაპირზეა. ასე რომ, ახალციხისა და ახალქალაქის გზები კაია-ბაშის ცეცხლს ქვეშაა. გარდა ამისა, ინ შემთხვევაში, თუ მარჯვენა ნაპირის სიმაგრეები, კაზ-ტაპასი და სინგერი, მოწინააღმდეგემ დაიკავა, კაია-ბაშის სიმაგრიდან შეუძლიათ ცეცხლი დაუშინონ მათ. შესანიშნავი ისაა, რომ კაია-ბაშის სიმაგრე მტკვრის ხეობიდან გამოწეული არაა და ხიდეებისათვის ცეცხლის დაშენა არ ხერხდება. 5 მაისს, როცა ჩვენმა ჯარებმა ქალაქის მარჯვენა მხარე დაიკავეს, კაია-ბაშის გარნიზონი სიმაგრიდან გამოვიდა, მჭიდრო ჯაჭვად გაბმულმა მარცხენა ნაპირის ციცაბო ქედი დაიკავა და ჩვენს ჯარებს, რომლებიც ამ დროს, თოფის წამლის საწყობებთან, ხიდზე გადადიოდა, შტუცერებით მომაკვდინებელი ცეცხლი დაუშინა.

კაია-ბაშის აღებისას იქ სულ ოცი ქვემეხი აღმოჩნდა. მათ შორის ყველაზე შესანიშნავი იყო კრუპის ქარხნის ექვსი ქვემეხი, ფოლადის, სანაპირო, რგოლებით დამაგრებული, მაღალ ლაფეტზე შეგ-

დგარი. მეორე მხრიდან გასატენი. და ფოლადისა და სპილენძის ექვსი ასევე მეორე მხრიდან გასატენი, კუთხოვან ლულიანი ქვემეხები. ორი დიდი (ექვსი დიუმიანი), ლულიდან გასატენი სპილენძის ქვემეხი. გარდა ამისა, აღმოჩნდა სამი გლუვლულიანი მორტირი, ერთი გლუვლულიანი სპილენძის ქვემეხი და ორი მომცრო კრუპის ქარხნის ფოლადის საველე ქვემეხი. ყველა ეს ქვემეხი, ისევე როგორც არდაგანის სიმაგრეების სხვა ქვემეხები, ხის პლატფორმაზე იდგა. როგორც სხვა სიმაგრეებში, ისევე აქაც, დიდი ქვემეხების პლატფორმები გათლილი ქვისაგან იყო მოპირკეთებული.

3. სინგერი და კაზ-ტაპასი ცალკეული სიმაგრეები იყო, რომლებიც ცოტა ხნის წინად ყველაზე მაღალ ადგილას ერთმანეთს შეუერთეს. ეს სიმაგრეები მთელ ქალაქზე ბატონობენ და შეუძლიათ ცეცხლი დაუშინონ ქალაქის ყველა სიმაგრეს. ბრუსტვერისა და მთავარი ესკარპიანი მიწაყრილის სიმაღლე 4 საჟენამდე აღწევს, ხოლო ბრუსტვერის განი — 5 საჟენამდე. თხრილები ღრმა და, უმეტეს შემთხვევაში, კლდეში ამოკვეთილია. თხრილებს აქვს დაცული გზა, რომელიც იერიშის დროს თავდამცველებმა დაიკავეს და შეტევაზე გადასულ ჩვენს ჯარებს მომაკვდინებელი ცეცხლი დაუშინეს.

თურქებს ასევე არ ეწერათ დიდი ტევადობის ბლინდაჟების დამთავრება თოფის წამლის საწყობისა და გარნიზონის დასაცავად. გარდა ამისა, უკანასკნელ დღეებში თურქებმა ნაჩქარევად შექმნეს ცალკეული ბატარეები და სიმაგრეები სინგერსა და დიუზს შორის მდებარე მაღლობებზე. ამ სიმაგრეებზე სასწრაფოდ დადგეს ქვემეხები, რადგან აქამდე ეს ადგილები ფეხოსან ჯარს ეჭირა. ამ ბატარეებმა გზა გადაუღობეს ჩვენს ჯარებს, რომლებიც ალაგეზიდან ქალაქისაკენ ეშვებოდნენ და ერთმანეთს იცავდნენ.

როცა ჩვენმა ჯარებმა სინგერი დაიკავეს, მასში 19 ქვემეხი აღმოჩნდა. მათ შორის ორი სანაპირო, ფოლადის, 6 დიუმიანი, მეორე მხრიდან გასატენი, რგოლებით დამაგრებული კრუპის ქვემეხები. დამავიწყდა მეთქვა, რომ ასეთი ქვემეხები არაჩვეულებრივი შორსმსროლელობით გამოირჩევა და მას, ამ მხრივ, ვერცერთი ამავე კალიბრის ქვემეხი ვერ შეედრება. მათ გარდა სინგერში აღმოჩნდა: 5 გარე დასადგმელი. მეორე მხრიდან გასატენი ქვემეხი. 5 გარე დასადგმელი. ლულიდან გასატენი ქვემეხი და 7 გლუვლულიანი მორტირი. რომელთა შორის ერთი ჩვენს ყუმბარას დაეზიანებია.

სინგერის მთავარი სიმაგრეებიდან ამ ქვემეხებით ცეცხლს უშენდნენ მთელ სივრცეს გელიაევრდის ძირიდან სოფელ სახპარამდე, ალაგეზის მთის ჩრდილო ფერდობამდე. მათი ცეცხლის არეში ექ-

ცეოდა აგრეთვე მაღლობი ა. ა. (სოფელ გურჯიბეკის ზემოთ), დაშორებული $3^1/_4$ ვერსით. 4 მაისს, როცა მ. ტ. ლორის-მელიქოვი გელიავერდიდან ალაგეზის ბანაკში ბრუნდებოდა, თურქებმა სინგერიდან კოლონას ცეცხლი დაუშინეს. ყუმბარები ოთხ ვერსზე მეტ მანძილს ფარავდა და იშვიათად სცილდებოდა მიზანს.

4. ახალ-გაბიე ლუნეტია, რომელსაც სანგრების საკმაოდ მნიშვნელოვანი პროფილი და ღრმა თხრილები გააჩნია. უკანასკნელ დროს ლუნეტის ორივე მხარეს ღრმა სანგრები ამოუთხრიათ. რომელთაც ქალაქი სამხრეთიდან უნდა დაეცვათ. თურქებმა ამ სამუშაოების დასრულება ვერ მოასწრეს და ბრუსტვერებზე ქვემეხები დადგეს. სანგრები კი მხოლოდ იმ მსროლელებს იცავდა, რომელთაც იერიშის წინ, 5 მაისს, აქ მრავლად მოუყარეს თავი.

ახალ-გაბიედან ცეცხლი უნდა დაეშინათ სოფელ გურჯიბეკიდან და ალაგეზიდან არდაგანში მიმავალი გზებისათვის, ა. ა. მაღლობის ფერდობებისათვის და ალაგეზის მთის ნაწილისათვის. სიმაგრე შეიარაღებული იყო 5 ქვემეხით, რომელთაგან მეორე მხრიდან მხოლოდ ერთი იტენებოდა. მეორე, გარე დასადგმელი, იტენებოდა ლულიდან. დანარჩენი სამი უმნიშვნელო კალიბრის გლუვლულიანი ქვემეხები იყო.

5. დუზი — ისევე, როგორც ახალი-ტაბიე ,ლუნეტია, მაგრამ უფრო დიდი ზომისა. ამ სიმაგრის მიწაყრილი სიმაღლით და განით ვერ შეედრება სინგერისა და ბაია-ბაშის მიწაყრილებს, მაგრამ ძლიერია და დიდი ხნის პროფილი აქვს. დუზის თხრილების ნაწილი კლდეშია ამოკვეთილი, ნაწილი კი — მიწაში. ამ სიმაგრიდან გაუყვანიათ ახალი სანგრები, რომლებიც თითქმის მეხრების სიმაგრემდე აღწევს. სანგრების წინ ალაგ-ალაგ მოსჩანს ახალ დაწყებული სამუშაოების კვალი. ამ სამუშაოების შესრულება, რომელთაც მსროლელთათვის საჭვრეტი ლოკმენტების დანიშნულება ქონდათ, თურქებმა 1 მაისის შემდეგ დაიწყეს.

დუზში ვიპოვეთ 6 ქვემეხი, ყველა კუთხოვან ლულიანი. მათ შორის ოთხი ფოლადის, მეორე მხრიდან გასატენი (ერთი კრუპის ქარხნიდან), დანარჩენი ორი კი სპილენძის, უფრო დიდი კალიბრისა და ლულიდან გასატენი.

6. მეხრაბი — მოზცრო სიმაგრეა, რომელიც აღმართულია თითქმის მტკვრის პირას, სამხრეთ-დასავლეთით ქალაქში შესასვლელთან. ამ სიმაგრის ცეცხლის ქვეშ ეჭცევა ოლტენის გზა და ფლანგებზე აქვს რამდენიმე ლოკმენტი მსროლელთათვის. მეხრაბი იცავდა ქალაქის მთავარი ხიდის მისასვლელს და იფარავდა ერთერთს

თურქების მრავალრიცხოვანი ბანაკებიდან. სიმაგრეში აღმოჩნდა მხოლოდ სამი ქვემეხი, სამივე ფოლადისა კრუპის ქარხნიდან, გარე დასადგამი, მეორე მხრიდან გასატენი.

7. კუდიან-ჩაირი — მარცხენა ნაპირის დაუმთავრებელი სიმაგრეა, დგას ბათუმის გზაზე და ციტადელიდან 1 ვერსითაა დაშორებული. ამ სიმაგრიდან ცეცხლი უნდა დაეშინათ მტკვრის მთელი ზემო არდაგანის ხეობისათვის. თურქები არც შანამდე ჩქარობდნენ დაემთავრებიათ და შეეიარაღებინათ ეს სიმაგრე. ამის გამო იგი ნავარაუდევ პფოფილამდე ვერ მიიყვანეს. უნდა ვივარაუდოთ, რომ თურქები არ ელოდნენ ოლთიდან, ბათუმიდან და ერზრუმიდან თავდასხმას, ამიტომაც კუდიან-ჩაირი შეუიარაღებელი დარჩა. ამ სიმაგრიდან კაია-ბაშამდე გაყვანილია დაუმთავრებელი სანგარი, რომელიც თურქების ბანაკს იფარავს. ამ სანგარის წინ, კუდიან-ჩაირის და კაია-ბაშის თითქმის შუა გზაზე, აგებულია არტილერიით შეუიარაღებელი პატარა ლუნეტი. ამით ვამთავრებ უშუალოდ ქალაქის დასაცავი სიმაგრეების აღწერას და გადავდივარ ცალკეული სიმაგრეების აღწერაზე, კერძოდ:

8. გელიავერდი — აგებულია ამა წლის მარტსა და აპრილში, ინგლისელი ინჟინრების მითითებით და პროექტით, და არდაგანის სიმაგრეებს შორის ყველაზე ახალია. მაღლობი, რომელზედაც სიმაგრეა აგებული, გამოუკლებლივ ყველა ხევზე ბატონობს, რადიუსებით არდაგანისკენაა მიმართული და ციტადელიდან $5^1/_2$ ვერსითაა დაშორებული. სიმაგრის ცეცხლს ქვეშ, ძირითადად, ექცეოდა ახალქალაქიდან, ოშარ-აღადან და ყარსიდან მომავალი გზები. გელიავერდი შესდგება მთავარი და მოწინავე სიმაგრეებისაგან. მოწინავე სიმაგრეები აგებულია წინ მდებარე მაღლობზე. მთავარი სიმაგრის საშხრეთ-აღმოსავლეთით, და მისგან დაშორებულია 400 საჟენით. გარდა ამისა, თვით სიმაგრეში, გელიავერდის მთის შვერებზე, მსროლელთათვის, რამდენიმე იარუსად, მოწყობილია ლოჟმენტები, რომლებიც ბანაკის დასაცავადაა გათვალისწინებული.

გელიავერდის მთავარი სიმაგრე შესდგება ბასტიონური და ტენალური სისტემებისაგან. სიმაგრე ჩაკეტილია ყოველ მხრიდან და გარშემორტყმულია თხრილით, რომლის განი 2 საჟენს აღწევს, სიღრმე კი — ერთს. ბრუსტვერის განი $3^1/_2$ საჟენია, მაგრამ სიმაღლე დიდი არა აქვს. გალავნის უკან მოწყობილია თოფის წამლის საწყობები და ბლინდირებული ბარაკები. მოწინავე სიმაგრეები შესდგება რამდენიმე დაუმთავრებელი ლოჟმენტისაგან, რომლებიც იერიშის დღეს, 4 მაისს, მსროლელთა საფარად გამოიყენეს. თუმცა

2 და 3 მაისს აქ მსხვილ კალიბრიანი ქვემეხები დადგეს, მაგრამ შემდეგ ისევ სიმაგრეში დააბრუნეს.

გელიავერდში ჩვენმა ჯარებმა ხვლთ იგდეს ცხრა ქვემეხი. მათ შორის მხოლოდ 4 იყო ფოლადის, კუთხოვანი, მეორე მხრიდან გასატენი, დანარჩენები კი გლუვლულიანი.

9. რამაზანი — განლაგებულია ბაგლასის მთაზე, ციტადელიდან ჩრდილოეთით და მისგან $3^1/_2$ ვერსის დაშორებით. ამ სიმაგრეს, ახალქალაქის გზასთან ერთად, ცეცხლი უნდა დაეშინა მტკვრის ქვედა დინებისათვის, უმთავრესად კი მისგან ჩრდილოეთით მდებარე და მასზე გაბატონებული სიმაღლეებისათვის. მთავარი მიწაყრილი ფრონტით სწორედ ამ სიმაღლეებისაკენაა მიმართული. მიწაყრილი ძალზე მაღალი, ციცაბოა და გარშემორტყმულია კლდეში ამოკვეთილი თხრილით. მთავარი მიწაყრილის ფლანგებზე, მისდამი ბლაგვი კუთხით, მცირე მაღლობი მოსჩანს. ბრესტვერის განი $3^1/_2$ საჟენზე მეტია.

რამაზანის უმთავრესი სიმაგრეების წინ დადგმულია მოწინავე ბატარეები. მთავარი ბრესტვერის თხრილს წინ კი მოწყობილია გლასისი დამტვრეული ქვისაგან, ხოლო კიდევ უფრო წინ მტროლელთათვის კლდეში ღრმად ამოკვეთილი სანგრებია განლაგებული. მაგლასის მთის აღმოსავლეთი ფერდობები დასერილია სანგრების რამდენიმე რიგით. მიუხედავად კოლოსალური სამუშაოებისა და სიმაგრეებისა, რამაზანი ვერც ქალაქს აწვდენდა ცეცხლს და ვერც ქვედა, ახალციხის გზას, რომელსაც მისგან მთის განშტოება იფარავდა და მკვდარ სივრცედ ხდიდა.

მთავარი სიმაგრეების უკან გათლილი ქვისაგან აშენებულია საკმაოდ მკვიდრი ყაზარმა, რომელსაც თავდაცვითი მნიშვნელობა აქვს. ეს შენობა წარმოადგენს ოთხკუთხედს. სარდაფი გათვალისწინებულია თოფის წამლის საწყობისათვის, პირველი სართული — სურსათის საწყობისათვის, ხოლო მეორე სართული — გარნიზონის დასაბინაველად. მთელი შენობა კამარიანია, გარე კედლებს დატანებული აქვს ამბრაზურებისა და სათოფურების სახის მრავალი ფანჯარა. ზემო სართულის სახურავი გათვალისწინებულია მეთოფურთა თავდასაცავად. ყაზარმას ქვემეხები არც ქალაქის მხრივ გააჩნია და არც საპირისპირო მხარეს. ეს შენობა, ჩემი ვარაუდით, მხოლოდ გარნიზონისა და საწყობების განსალაგებლადაა აგებული. რამაზანის სიმაგრეში 13 ქვემეხი აღმოჩნდა, რომელთაგან 6 საუკეთესო იყო, კუთხოვანი, მეორე მხრიდან გასატენი.

* * *

მკითხველისათვის ნათელია, რომ აღნიშნული სიმაგრეები არდაგანს პირველხარისხოვან სიმაგრედ ხდის, როგორც მათი განლაგებისა და პროფილის. ასევე ქვემეხების რაოდენობის და საომარი ვასალის სიუხვის მხრივ. რაც ზრავალი თვის მანძილზე დამოუკიდებელი თავდაცვის საშუალებას იძლევა. უნდა დავსძინოთ ისიც, რომ სოფელ გურჯიბეკის ზემოთ მდებარე მაღლობებიც (წერტილი ა. ა.) თავდაცვისათვის იყო გათვალისწინებული. თურქებმა აქ უამრავი ბორები მოზიდეს, მაგრამ მათ გამოყენება ვეღარ მოასწრეს. ჩვენებმა სწორედ აქ დადგეს ორი უმნიშვნელოვანესი ბატარეა, რომელთაგან ერთი გელიავერდს უშენდა ცეცხლს, მეორე კი სინგერს და არდაგანს. გელიავერდი დაეცა ორი პუნქტიდან, ბურდოსანის ზემო მაღლობიდან და ა. ა. სიმაღლიდან, ჯვარედინად გახსნილ ცეცხლს ქვეშ. ხოლო სინგერი, და მასთან ერთად არდაგანიც, გახდნენ ა. ა. სიმაღლიდან და ალაგეზის ფერდობებზე და გელიავერდის მთაზე განლაგებული ბატარეების ჯვარედინად გახსნილი ცეცხლის მსხვერპლი. 16 ქვემეხისაგან შემდგარი გელიავერდის ორი ბატარეა იერიშის წინ ერთ საათზე ნაკლებ დროში აღმართეს. ბატარეების მიერ დაწყებული საქმე იერიშმა დაასრულა.

მალე არდაგანის ფორტებს და სიმაგრეებს მიწასთან გაასწორებენ. მინდა ამ ნარკვევით ნათელი წარმოდგენა შევინახო მათ შესახებ. ამის გამო, ვიმედოვნებ, მკითხველი არ დამემდურება წერილი რომ უამრავი წვრილმანებით გავაჭიანურე.

6. ნიადაგის მოიჯადება

ბანაკი არდოსტასთან, ყარსის ახლოს, 20 მაისი, 1877 წ.

ერთ თვეზე ცოტა მეტი დრო გავიდა ომის გამოცხადებიდან, მაგრამ თურქეთ-კავკასიის საზღვარზე მოქმედმა კორპუსმა უკვე ბევრის გაკეთება მოასწრო, გააკეთა ისაზე მეტიც კი, რასაც წინანდელ ომებში ორი-სამი წარმატებით ჩატარებული კამპანიის შემდეგ აღწევდნენ. დაპყრობილია ყარსის მთელი ოლქი, თვით ყარსის გამოკლებით, და ჩვენი ჯარები, ჩვენი შიკრიკები, შათირები, დამტარებლები და სხვა მისთ. დაპყრობილ ადგილებში უფრო უშიშრად დაღიან, ვიდრე თბილისის გუბერნიაში. ჩვენი ცხენოსანი პატრულები თავისუფლად აღწევენ ვანამდე, ოლთამდე, სოღანლუღამდე, ხოლო მთავარი ძალები შეუფერხებლად არიან განლაგებულნი ყარსისა და სოღანლუღის სიმაგრეებს შორის. რით უნდა ავხსნათ ასეთი

მიღწევა. რაც ძოულოდნელია ყველასათვის, ვინც ოდნავ მაინც იცნობს დაპყრობილი ოლქის სამხედრო ისტორიას?

არ შეიძლება ითქვას, რომ მტერი განიცდიდა ჯარის ნაკლებობას, ანდა ეს ჯარი ცუდად იყო შეიარაღებული. ჩვენს მიერ წართმეული მათი ზარბაზნები და ყუმბარები უთუოდ საუკეთესოა, ხოლო ჩვენს ხელთ ჩაგდებული აუარებელი, საუკეთესო ხარისხის ყუმბარები იმის დამამტკიცებელია, რომ, შეიძლება სხვა რამეში, მაგრამ შეიარაღების მხრივ, თურქეთი ამ ომს მოუმზადებელი როდი შეხვედრია! კარავთა რიცხვი მტრის ბანაკებში და უცხოური გაზეთების უტყუარი ცნობები ემთხვევა ჩვენი მზვერავების მიერ მოპოვებულ ცნობებს; ამ ცნობების მიხედვით თურქეთის ჯარის რაოდენობა, რომელიც ჩვენი კორპუსის პირდაპირ იდგა, ერთობ სოლიდურ ციფრს აღწევს. ახლა ვიკითხოთ — მიუხედავად ყველა ამ დამაკმაყოფილებელი პირობისა, რატომ დაიკავეს ჩვენმა ჯარებმა ყარსის ოლქი ასე მალე და ასე იოლად? დიდი ხანია ეს საკითხი მაინტერესებს და სწორედ მის გადაწყვეტას მინდა მივუძღვნა ეს წერილი.

ომის დროს მტრის ტერიტორიის ამა თუ იმ პუნქტის დაკავება, ამა თუ იმ პოზიციის დაუფლება, გამარჯვების მოპოვება, მტრის ჯარების დამარცხება — შეადგენს ამოცანის მხოლოდ ერთ ნაწილს და ამასთანავე არც თუ უმნიშვნელოვანეს. გაცილებით უფრო მეტ სახსრებს, მოწადინებას, ზრუნვასა და ხარჯებს მოითხოვს ყველა ამ სამხედრო ოპერაციის შემსრულებელი ჯარების უზრუნველყოფა. ისინი უნდა მომარაგდნენ სურსათ-სანოვაგით, ყუმბარებით, უნდა დამყარდეს მუდმივი კავშირი მათსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის, დაცული უნდა იქნეს ეს კავშირი მტრის თავდასხმებისაგან და ა. შ. ყველა ამას „ზურგის უზრუნველყოფა ეწოდება“. როცა ჯარები შედიან მტრის ტერიტორიაზე, ისინი ვალდებულნი არიან თითქმის ყოველ ნაბიჯზე გამოყონ თავისი ძალების ნაწილი: მთელი ათასეულები და ლეგიონები უნდა დატოვონ სოფლებში საკომუნიკაციო ხაზების, ე. ი. მოქმედი ჯარების გამოსავალ პუნქტიდან სამიმოსვლო გზების უზრუნველსაყოფად. რა თქმა უნდა, რაც უფრო შორს წაიწევს რახმი, მით უფრო მეტი ასეთი ძალები უნდა გამოყოს თავისი შემადგენლობიდან და მით უფრო უნდა შეასუსტოს თავისი თავი. მაგრამ პუნქტებში დატოვებულ ასეთი ძალების გარდა, ყოველ 15-20 ვერსზე, ყოველ გადასასვლელთან და მთავარი გზის თითქმის ყველა ჯვარედინზე, უბდებათ კიდევ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი ძალების გამოყოფა ყოველგვარი ტრანსპორტი-

სა, შიკრიკისა ანდა ოანამდებობის პირის გასაცილებლად. ზოგჯერ მთელი ლეგიონი მიაცილებს ფოსტას, შიკრიკს, ორცხობილათი დატვირთულ ტრანსპორტს, ანდა ტყვია-წამლის რამდენიმე დამატებით ყუთს. და მაშინ, როცა მტრისათვის საკმარისია ყავდეს ორისაგი მფრინავი რაზმი — თითოეული ასი-ორასი ცხენოსანისაგან შემდგარი, — რათა საფრთხეში ჩააყენოს შემტევი არმიის კავშირურთიერთობა, შემტევი არმია იძულებულია თავისი რიგებიდან გამოყოს მისი ძალების თითქმის ნახევარი მხოლოდ თავისი ზურგის დასაცავად. ყველაფერ ამას უნდა დაემატოს ზრუნვა იმაზე, თუ რა ხდება და რა შეიძლება მოხდეს ზურგში; იმაზე მეტი დამამძიმებელი და თავსატეხი არაფერია ყოველი სარდლისათვის, ვიდრე ფიქრები — თუ როგორ გაუმკლავდე წინა ხაზზე განლაგებულ მტრის ძალებს.

ევროპულ ომში, სადაც სამხედრო მოქმედების ადგილებში მოსახლეობა უკვე თითქმის არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს ბრძოლებში, შემტევ ჯარებს უხდებათ თავიანთი ზურგის დაცვა მხოლოდ მტრის ცხენოსანი ნაწილების, ანდა მისი მფრინავი რაზმების თავდასხმებისაგან. ასეთი ვითარება არაა აზიის ფრონტზე, სადაც, მტრის რეგულარული და არარეგულარული ძალების გარდა, საჭიროა კიდევ ანგარიში გაეწიოს მებრძოლ და მტაცებელ მოსახლეობასაც, რომლის თავაშვებულმა ფანატიზმმა ყოველ წუთში შეიძლება დაიწყოს, გარდა ჩვეულებრივი, სწორი ომისა, კიდევ მეორეც, გაცილებით უფრო მძიმე და ძნელი — მცირე, პარტიზანული ომი. თვით ნაპოლეონ პირველმა თავისი საუკეთესო გრენადერებით ვერ გაუძლო ესპანეთში ასეთ ომს; ვერ გაუძლო მან, რომელმაც ერთ დღეში გაანადგურა ყველა მებრძოლი ძალა ისეთი სახელმწიფოებისა, როგორებიც არიან პრუსია ან ავსტრია...

ჩვენს მოქმედ კორპუსს უხდებოდა ომის წარმოება აჭარლების, ქურთების, ყარაფაფახელების, გადმოსახლებულ ჩერქეზების და სხვ. მეომარ ტომების დასახელებულ ტერიტორიაზე. ამ ტომებს თვით თურქეთიც კი ვერ გაუმკლავდა: ფაქტიურად ეს ტომები თითქმის არც კი ემორჩილებოდნენ მის ხელისუფლებას და თვით ყარსის, არდაგანისა და არზუმის ციხე-სიმაგრეთა კომენდანტების ცხვირ წინ ეწეოდნენ ძარცვა-გლეჯას. მაშასადამე, გასაგებია, რომ მტრის რეგულარულ ძალებს გარდა, ანგარიში უნდა გაწეოდა მასაც, — ეაღრესად საშიშ მოსახლეობას, რომელმაც უამრავი დაბრკოლება შეუქმნა და ზიანი მიაყენა ჩვენს ჯარებს 1828-1829 და 1853-1856 წლების კამპანიათა დროს.

მე მცირედი წარმოდგენაც არა მაქვს იმის შესახებ, თუ ამჟამად როგორაა მომზადებული ევროპული თურქეთის მოსახლეობა, როგორია მისი განწყობილება და საითკენ იხრებიან მისი სიმპათიები და ძალები. მაგრამ იმის მიხედვით, რაც მე ვნახე ბულგარეთში 1868 წელს, და მას შემდეგ, რაც წამიკითხავს გაზეთებში, შემიძლია ვიფიქრო, რომ იქ მოსახლეობა თანდათანობით დიდიხანია მომზადებულია, თუ არა მთლიანად, დიდი მასები მაინც, სიმპათიური დამოკიდებულებისათვის იმ სახელმწიფოსადმი, რომელიც ბულგარეთის ფარგლებში გადაიტანდა ომს. შესაძლებელია ახლა ყველა ეს მასა უკვე დახოცილია, შესაძლებელია მათი მდგომარეობა შეცვლილია უკანასკნელ ხანებში ჩატარებული პოლიტიკური რეფორმებით, — მე ეს არ ვიცი. მაგრამ ვიცი, რომ იქ ჯერ კიდევ 1868 წელს, როცა ვმოგზაურობდი ბულგარეთში. ადგილი ჰქონდა შეგნებულ უკმაყოფილებას თურქული წყობილების წინააღმდეგ და შეგნებულსაკენ მისწრაფებას უკეთესი პოლიტიკური ბედისაკენ. ამის გარდა, ჩვენთან იქაური მოსახლეობის ტომობრივი და რელიგიური ნათესაობა, უაღრესად ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა თანაგრძნობისა და ხელშეწყობის აღგზნებისათვის... ყველა ამას მხოლოდ იმიტომ ვამბობ, რომ უფრო თვალსაჩინოდ დავახასიათო აქაური მდგომარეობა. აქაური მოსახლეობა არაა დაკავშირებული ჩვენთან არც ტომობრივად და არც რელიგიურად. ყარსის ოლქის მოსახლეობის მხოლოდ ნაწილს — სომხებს, რომლებიც ქრისტიანობის წმრივ შეიძლება ჩაითვალონ ჩვენს მონათესავედ. და აკარლებს, რომლებიც თუმცა დიდი ხანია გამუსულმანებული არიან. მაგრამ აქამდე არ დაუკარგავთ ქართული ენა, შეუძლიათ ჩვენთვის კეთილსასურველი ნიადაგის შექმნა

მაგრამ ცნობილია, რომ ყარსის ოლქის მშვიდობიანმა მიწათმოქმედმა სომეხმა მოსახლეობამ ვერასოდეს ვერ შეძლო ჩვენთვის აქტიურად ხელის შეწყობა, და თვით მას ესაჭიროებოდა ჩვენი დახმარება მძარცველი ქურთებისა და მთიელების წინააღმდეგ. მთელი დანარჩენი მოსახლეობა კი სისტემატურად ყოველთვის მტრულად ეკცეოდა აზიური თურქეთის ფარგლებში შესულ ჩვენს ჯარებს. საჭიროა დავუმატოთ, რომ როგორც მასების, ასევე შეძლებული ფენების გაუნათლებლობის გამო, აგრეთვე იმის გამო, რომ ძლიერ შორს არიან უკეთესი პოლიტიკური წესწყობილებისაგან, რომელსაც შეეძლო გამოეწვია სურვილი შედარებებისათვის თავისი ქვეყნის უმსგავსოებასთან და მით აღეძრა პოლიტიკური მისწრაფებები

და იმედები, ადგილობრივ მოსახლეობაში არ ყოფილა და არ არის შეგნებული უკმაყოფილება თურქული წესწყობილებით.

მართალია, უკანასკნელ წლებში, ნელ-ნელა დაიწყო აჭარლების ქართველებთან ტომობრივი კავშირის შეგნების შელწევა; ჩვენმა ქართულმა ლიტერატურამ, და განსაკუთრებით გაზეთმა „დროებამ"[7] ცოტა როდი გააკეთა ამ მხრივ. მაგრამ არც შევცდები თუ ვიტყვი, რომ გარდა იმ ღონისძიებებისა, რაც ჩაატარეს ისეთმა დამოუკიდებელმა და ოპოზიციურმა გამოცემებმაც კი, როგორიცაა ქართული გაზეთი „დროება" და სომხური „მშაკი"[32], მშვიდობიანობის ოცი წლის განმავლობაში, თიოქმის არაფერი არ გაკეთებულა, ჩვენ მიერ თურქეთთან ომის შემთხვევაში, მცირე აზიის საზღვარისპირა მოსახლეობის ჩვენდამი სიმპათიური დამოკიდებულების მოსამზადებლად. მე კიდევ უფრო მკვეთრად შემეძლო მეთქვა, შემეძლო ახალი ტირადის დაწყება ასეთი სიტყვებით: „პირიქით, ჩვენ..." მაგრამ ძე ცაგპირდით — ვიყო ზომიერი, აკურატული და დავიცავ ჩემს სიტყვებს.

ახლა გადავალ იმ ცნობების გადმოცემაზე, რომელთა შეგროვებაც მოვასწარი იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც ჩვენი სამხედრო ხელისუფლების მიერ იქნა მიღებული, რათა ადგილობრივი მოსახლეობა მოემზადოს ჩვენთვის აქტიური ხელისშეწყობისათვის თუ არა, ჩვენი ჯარებისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამოჩენისათვის მაინც.

უპირველეს ყოვლისა, მოსახსენებელია გადაწყვეტილება — მიემართათ ადგილობრივი მოსახლეობისათვის პროკმალაციით, რომელიც განაცხადებდა, რომ მშვიდობიან მცხოვრებლებს იმედი უნდა ქონდეთ იმისა, რომ ისინი და მათი ქონება საკუთარი ხელშეუხებელი და დაცული იქნება ჩვენის მხრიდან. დიდი თავადის, — კავკასიის მეფისნაცვლის პროკლამაციის შინაარსი თქვენთვის კარგადაა ცნობილი, მაშასადამე, მასზე აღარ შევჩერდები. აქ დავუმატებ მხოლოდ იმას, რომ ჩვენი ჯარების რომელიმე სოფელში შესვლისას, მცხოვრებლებში ვრცელდება პროკლამაციის თარგმანი მათ მშობლიურ ენაზე, ხოლო სოფლის მამასახლისს, ამასთან ერთად, ეძლევა „დაცვის ფურცელი", რომელშიც დაწერილია, რომ ამა და ამ სოფლის მცხოვრებლებმა გამოთქვეს ჩვენი ხელისუფლებისადმი მორჩილება, ამიტომ პირადად ისინი და მათი ქონება უნდა სარგებლობდეს კანონის მფარველობით, და მათი უფლების ყოველგვარი ხელყოფა დაისჯება კანონების მთელი სიმკაცრის მიხედვით. სოფლებში, რომელთა მცხოვრებლებმაც ჩვენ წინააღმდეგობა გაგვიწი-

ეს, ანდა მთებში გაიხიზნენ, ნადგურდება წინააღმდეგობის გამწევთა ანდა გახიზნულთა მიწური სახლები. მაგრამ აქამდე ასეთი შემთხვევები ძლიერ ცოტა იყო.

მეორე ღონისძიება, რომელიც სავსებით გამომდინარეობს პირველისაგან, მდგომარეობს იმაში, რომ ყველა იმ საგნისათვის, რომელიც ჩვენ ჯარებს მიაქვთ ადგილობრივ მცხოვრებთაგან, უბდიან ნაღდ ფულს (ე. ი. ჩვენს საკრედიტო ბილეთებს, რომლებსაც აქ ყველა იძენს). პასკევიჩმა, რომელმაც ეს სისტემა პირველად 1828-1829 წლებში შემოიღო, თითქმის უფრო მეტი სამსახური გაუწია მცირე აზიაში რუსეთის გავლენის გავრცელების საქმეს, ვიდრე თავისი გაბედული და წარმატებული ლაშქრობებითა და ბრწყინვალე გამარჯვებებით. მრავალი მოგზაური მოწმობს, რომ მცირე აზიის დაშორებულ, მიყრუებულ ადგილებში, თურქები ახლაც კი აქებენ რუსებს და ამბობენ, რომ ისინი არავის არ ერჩიან და ყველაფრისათვის გულუხვად იხდიან ოქროთი. ახლა აღიარებულ იქნა ამავე სისტემის გატარების აუცილებლობა, რომელიც ყოველთვის არ იყო დაცული 1853-1856 წლების ომებში. ჯერ კიდევ მდ. არაპაჩაიზე ჩვენი ჯარების გადასვლამდე შეკრებილი იყო „საცნობარო ფასები" ყოველი საგნის ნიხრის შესახებ, რომლის მიხედვითაც ჯარები ვალდებული არიან გადაუხადონ მოსახლეობას მათგან წაღებულ სურსათ-სანოვაგეში. ყოველი ასეთი წაღების დროს აუცილებლად უნდა იყოს ოფიცერი, რომელსაც თან უნდა ჰქონდეს შესყიდვის შესახებ მისი უფროსების მიერ მიცემული რწმუნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველი წაღება ჩაითვლება თარეშად, ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, ყაჩაღობად და ისჯება თითქმის სიკვდილით. იმ შემთხვევაში უკეთუ მოსახლეობა ნებაყოფლობით არ თანხმდება თავისი მარაგის გაყიდვაზე, ნებადართულია რეკვიზიციის ჩატარება: გაიჩხრიკება ბეღლები და საწყობები და აღმოჩენილი აღინუსხება და ჩამოერთმევა მცხოვრებლებს, რაც აუნაზღაურდებათ პატრონებს ნიხრით გათვალისწინებული ფასების მიხედვით. მაგრამ აქ ჯერ კიდევ ერთხელაც არ მომხდარა რეკვიზიცია ამ სიტყვის ევროპული მნიშვნელობით, ესე იგი, არც ერთ სოფელს არ დავალებია ჯარებისათვის გარკვეულ ვადებში, გარკვეული რაოდენობის სურსათ-სანოვაგის მარაგის მიწოდება. ჯარს მოაქვს მხოლოდ ის, რაც აქვს მოსახლეობას და ისიც არა მთლიანად. ფასები განსაზღვრულია უაღრესად კეთილსინდისიერად. წინათ ადგილობრივი მცხოვრებლები ალექსანდროპოლში ჩამოზიდავდნენ, მაგალითად, ერთ სამარ ქერს (სამარი 16 ფუთამდეა და ყიდდნენ მას 2 მან. 50

კაპ.—3 მანეთად, იშვიათად 4 მანეთად). ახლა კი ადგილობრივ, სოფელში, ჩვენი ჯარები იმავე ერთ სამარ ქერში იხდიან ცხრა მანეთს ვერცხლით. სხვა სახის სურსათ-სანოვაგეზე ფასები განსაზღვრულია ამავე, ანდა დაახლოებით მისდაგვარი მასშტაბით. დაიკავებენ თუ არა ამა თუ იმ სოფელს ჩვენი ჯარები, მცხოვრებლებს გასაყიდად გამოაქვთ რძე, პური, ყველი, ქათმები, ბატები, ერთი სიტყვით ყველაფერი, რისი გაყიდვაც კი შეიძლება. ვერც კი ასწრებენ ჯარები დაბანაკებას, რომ იქვე, ბანაკის გვერდით, იხსნება მთელი ბაზარი. გამოჩნდებიან ურმები ბზით, თივით და ქერით, მორეკავენ ცხვრებს, ბატებს, ქათმებს, სახედრებით ქილებში ეზიდებიან რძესა და მაწონს, ერთი სიტყვით ნამდვილი ვაჭრობა ჩაღდება. თურქებმა ძლიერ მალე აითვისეს ფულის ჩვენი ნიშნები და ჩვენი ფულით იოლად ანგარიშობენ. გაცხოველებული ვაჭრობა მიმდინარეობს, და ვინაიდან მოთხოვნილება სჭარბობს მიწოდებას, მყიდველები შეუვაჭრებლად იხდიან ფულს, რამდენიც არ უნდა მოითხოვონ გამყიდველებმა. გამყიდველები რაღაც ნახევარ საათში ყიდიან ყველაფერს, რასაც კი ჩამოიტანენ, შემდეგ ჭუჭყიან ჩვრებში ახვევენ ნავაჭრ ფულს, ამოიჩრიან იღლიაში და მხიარულად მიეშურებიან შინისაკენ.

მაგრამ ყველაფერი ეს ეხება იმ სოფლებს, სადაც უხდებათ გავლა ჩვენს ჯარებს. დაბრკოლებებს უნდა მოველოდეთ არა ამ სოფლების მცხოვრებთაგან, არამედ უმთავრესად ყარსის ოლქის მთიანი ნაწილებისა და მეზობელ — ქურთისტანის მცხოვრებთაგან, ქურთების, ყარაფაფახელების და სხვა მისთანა მტაცებელი ტომებისაგან. ეს უკანასკნელი ტომები ცხოვრობენ მიუვალ ხეობებში და იქედან პერიოდულად თავს ესხმიან ზეგანის მშვიდობიანი მიწადმოქმედ მოსახლეობას. არ შეიძლებოდა ოდნავი ეჭვის შეტანა იმაში, რომ ისინი არ დაინდობდნენ ჩვენს ფოსტას, ჩვენს ცხენოსან პატრულს, ჩვენს შიკრიკებსა და ჩვენს საგუშაგოებს. სწორედ ეს მოსახლეობა შუდამ ამარაგებდა ჩვენს მტერს აურაცხელი კავალერიით, რომლის შემადგენლობა ადრინდელ ომებში საარაკო ციფრს — 25-30 ათას და მეტ ცხენოსანს აღწევდა მტრის ყოველ რაზმში. აი ამ მოსახლეობის მხარდაჭერა იყო მოსაპოვებელი, ხოლო ამისათვის საჭირო იყო სულ სხვა და მეტად რთულ საშუალებათა გამოძებნა.

ადგილობრივი პირობებისა და ზნეჩვეულებების საუკეთესოდ მცოდნემ მ. ტ. ლორის-მელიქოვმა გამოიგონა ამ მოსახლეობის დამორჩილების მეტად ორიგინალური საშუალება. დიდი ხნით ადრე

ომის გამოცხადებამდე, როცა მიმდინარეობდა ომისათვის მზადება, მ. ტ. ლორის-მელიქოვი გაცხარებულ მოლაპარაკებას აწარმოებდა საშიში ტომების ყველა გავლენიან პირთან. იგი ათვინიერებდა მათ აღმოსავლური პოლიტიკის მაღალფარდოვანი ფრაზებით, ალერსით, დაპირებებით, საჩუქრებით, როგორიცაა საათი, ძეწკვი და სხვა მისთანა. ხანდახან, მაგრამ ძლიერ იშვიათად და მეტად ძუნწად, იყენებდა ოქროს ახალ-ახალ ხუთმანეთიანებს; მაგრამ გულისმოგების მთავარ ელემენტს წარმოადგენდა დაპირება, რომ „მოაწყობდა რუსეთის მეფის სამსახურში“ და დაუნიშნავდა ჯამაგირს. ამნაირად ყოველი მხრიდან მოგვაწყდა მტაცებელი ტომების თითქმის ყველა მესვეური, ყველა დაინიშნა მილიციაში და ხელქვეითებიდან თითონვე შეაგროვეს „დამხმარე ჯარების“ მთელი ასეულები. მ. ტ. ლორის-მელიქოვმა, რომელმაც კარგად იცოდა მათი ზნე-ჩვეულება, აამოძრავა მათი გულის ყველაზე მგრძნობიარე სიმი: — დართონება მათ შეედგინათ მისი პირადი მცველი რაზმი. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ რაიმე უფრო ორიგინალურს, ვიდრე ჩვენი შტაბის სანახაობას, როცა ეს შტაბი დაპყრობილ ოლქში მოგზაურობს ქურთ და ყარაფაფახელ მილიციის თანხლებით: მხოლოდ იშვიათად, ღა ისიც სადმე გასაგზავნად, მ. ტ. ლორის-მელიქოვი თან წაიყვანს კაზაკების ნახევარ ასეულს ან ასეულს; დანარჩენი მისი დაცვა შედგება ქურთებისაგან, — რომლებიც გამოწყობილია კაშკაშა სხვადასხვა ფერის ტანსაცმელში და შეიარაღებულია ადამისდროინდელი შუბებით, და ყავისფერ ფაფახიან ყარაფაფახელებისაგან. სურათი ევროპული ჯარის შტაბისა, რომელსაც მოგზაურობა უხდება ველურთა წმინდა აზიურ ურდოთა შორის თურქულ კოსტუმებში, ეკუთვნის განსაცვიფრებელი კონტრასტების რიცხვს, როგორიც კი ოდესმე მინახავს მე. მაგრამ საკითხი ეხება არა ამ კონტრასტს და არა ამ სურათს, არამედ იმას, რომ ჩვენს გარშემო მდებარე მთების ყაჩაღური მოსახლეობა სავსებით მოთვინიერებულია კორპუსის სარდლის ამნაირი ნდობით და წელებზე ფეხს იდგამს ოღონდ ჯამაგირი დაიმსახუროს და ჯილდოების ღირსი გახდეს.

* * *

ჩვენს მხარეზე გადმოსული რეგულარული კავალერიის უდროებს, ჩვენთვის არსებითად, არავითარი განსაკუთრებული სამსახურის გაწევა არ შეეძლოთ. ეს კავალერია ისე ცუდად და ისე პრიმიტიულადაა შეიარაღებული, რომ მტრის კარგად შეიარაღებულ ჯართან უმცირეს შეტაკებასაც ვერ უძლებს, ხოლო მათი ცეცხლმსრო-

ლელი იარაღით შეიარაღება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. ამიტომ მაო, იმ შემთხვევებშიც კი, როცა ეს საჭირო არაა, ბადრაგად იყენებენ, ან სამანის, შეშის, ცხვრის და სხვა ამდაგვარის მოსაპოებლად სოფლებში გზავნიან. ამ საქმეში ისინი პირველხარისხოვანი ოსტატები არიან. ხვრელში გაძვრებიან, მაგრამ ქათმებს, ხბორებს, ცხვრებს და საერთოდ ყოველგვარ სურსათს იშოვნიან. ადგილობრივი მოსახლეობა რომ ზედმეტად არ შეავიწროვონ მათ თან ახლავთ ოფიცრები და ნდობით აღჭურვილი პირები. ისინი ჩემთვის უცნობი სახელწოდების მთელ პოლკს შეადგენენ და „პოლკის უფროსს", ბელადების ზემდგომ ოფიცერს, გენერალური შტაბის პოლკოვნიკს ს. ო. ქიშმიშევს ემორჩილებიან. რომ იცოდეთ რა გაწამაწიაშია, რამდენი შრომის და ძალის დახარჯვა უხდება ისინი რომ წესრიგსა და დისციპლინის ფარგლებში დაიჭიროს. თუმცა ისიც ცხადია, რომ არ არსებობს ისეთი ძალა, რომელიც მათში დისციპლინას დაამყარებს. ამის საუკეთესო მაგალითი არდაგანის გაძარცვაა. მიუხედავად უდიდესი მორალური ზარალისა, რომელიც ჩვენს ჯარებს ჩვენმა ბაში-ბუზუკებმა მიაყენეს, მე მაინც უნდა ვთქვა, რომ მათი სახლებში გაშვების არავითარი საშუალება არ არსებობს. უპირველეს ყოვლისა, გაძლიერდებოდა მტრის კავალერია, რომელიც ახლა თითქმის არ არსებობს. ყარსში მთლიანად 700-მდე მხედარია, აქედან დაახლოებით 400 თვით ყარსის მოქალაქეა. მეორეც, ჩვენს ზურგში ისეთი ყაჩაღობა დაიწყებოდა, ჩვენი პოსტები, ჩვენი კავშირგაბმულობა ისეთი საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებოდა, რომ მათ დასაცავად ჩვენი კორპუსის თითქმის ნახევრის გამოყოფა იქნებოდა საჭირო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უარი გვეთქვა ყოველგვარ გადამწყვეტ წინსვლაზე. ამის დასადასტურებლად კმარა ამ მხარეში ცნობილი ყაჩაღის, მეჰრალის დასახელება, რომლის ჩვენ მხარეს გადმობირება რატომღაც არ მოხერხდა. მისი თავდასხმა ამ სამი დღის უკან ჩვენს მარკიტანტებს 15 სული საქონელი და რამდენიმე ფურგუნი დაუჯდა. აღარას ვამბობ იმაზე, რომ ამ ცოტა ხნის წინათ მან დაატყვევა 12 ჩვენი მარკიტანტი და ერთი ჩვენი ერთგული ბეგი ხაჯი-ველი-აღა, რომელიც ჩვენს ბანაკში საიდუმლოდ იყო მოსული და სახლში ბრუნდებოდა. მეჰრალიმ ეს ბეგი ყარსში მიიყვანა, სადაც ახლა, ალბათ, უბედურს ვარდებზე არ სძინავს.* მარტო ამ ერთი მეჰრალის წინააღმდეგ მთელი პოლკების გაგზავნა გვიხდება. რაღა იქნებოდა ყარსის ოლქში, რომ მასთან ერთად ყვე-

* ახლახან შეეტყვე, რომ ველი-აღა ყარსში ჩამოახრჩვეს.

ლა ამ მანსურებს, ქაზუმებს, ისმაილ-როვშან-ოღლებს, ტაგი-ბეგს, ქურთ-ოღლის და კიდეკ სხვა მათ მსგავსთ ეთარგშათ. მათი მხედრული დიდება თბილისის გუბერნიაშიც კი ცნობილია. ახლა კი ეს ბნედრები ლორის-მელიქოვის მცველი რაზმია და კორპუსის შტაბს კავშირგაბმულობის უზრუნველყოფისათვის ზრუნვასა და შიშს კი არ ახვევენ თავს, არამედ შტაბის მოხელეებს და ნაწილობრივ ჯარსაც ცხვრებითა და ქათმებით ამარაგებენ.

უნებურად მაგონდება ანეგდოტი, რომელმაც 1870 წელს მთელი ევროპის პრესა მოიარა: როცა როშფორი საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის წევრად დანიშნეს, აწ განსვენებულმა ერნსტ-პიკარმა, ამ დანიშვნით უკმაყოფილო პარიზელ ფილისტერებს, ამბობენ, ასეთი პასუხი გასცაო:

— როშფორი მინისტრთა საბჭოში ნაკლებ სახიფათოა, ვიდრე მის გარეთ. საბჭოსთან ერთად იგი უძლურია, მაგრამ თუ მას საკუთარ ძალებთან დაეტოვებთ, იგი ჩვენ პრუსიელებზე მეტ ვნებას მოგვაყენებს.

ახლა აქ, მცირე აზიაში, ყველა ეს მანსურები, ქაზუმები და მათი მსგავსი თავზეხელაღებული ყაჩაღები, მათი ქურთებითა და ყარაფაფახელებით, სწორედ როშფორის როლს თამაშობენ, რომელთაც მინისტრთა საბჭოში თუ არა, კორპუსის სარდლის მცველ რაზმში იწვევენ. და ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებენ, რომ უმეტესად ყურადღებით დატოვების შემთხვევაში ისინი თურქეთის ბატალიონებზე უფრო საშიში იქნებოდნენ ჩვენთვის. ბატალიონებზე, რომლებიც მშვიდად ისხდნენ თავიანთი სიმაგრეების ბრუსტვერებს იქეთ...

საჭიროა, აგრეთვე, აღინიშნოს, თუ როგორ უდგება ჩვენი სამხედრო ხელისუფლება აქაურ სასულიერო პირებს, მოსახლეობას და არისტოკრატიას. მ. ტ. ლორის-მელიქოვი თავისუფლად ლაპარაკობს თურქულ, სპარსულ, სომხურ და ქართულ ენებზე. იგი პირადად ღებულობს დაპყრობილი ოლქის ყველა გავლენიან პირს, ესაუბრება დიდხანს, ალერსიანად, მოხერხებულად გამოკითხავს ნტრის ძალებისა და მოძრაობის შესახებ. ლორის-მელიქოვი ტყვეთა დაკითხვასაც პირადად აწარმოებს, გზაში შემხვედრ გლეხებს შუდამ უბრალოდ გამოესაუბრება. მან თავის ხუთი თითივით იცის ომის თეატრის მთელი ასავალ-დასავალი და შეუძლია ზუსტად განსაზღვროს რამდენად ჭეშმარიტია მსტოვრების მიერ მოტანილი ცნობები. შეუძლია საჭირო ცნობები გამოსტყუოს ისეთ პირებს, რომელნიც, ალბათ, არ დათანხმდებოდნენ ეთანამშრომლათ ჩვენ-

თან. ანდა მოეყიდათ ცნობები მტრის ძალებისა და მოძრაობის შესახებ. რითიმე უკმაყოფილო, ან ვინმესაგან განაწყენებული გლეხი პირადად მას მიმართავდა და კარები მუდამ ღია ქონდა. ახლა თვითონ განსაჯეთ, როგორი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ყოველივე ამას აქაურ მოსახლეობაზე. მე თვითონ ვიყავი იმის მოწმე, თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ არდაგანის სანჯაკის მცხოვრებთა წინაშე, სადაც იგი მოსახლეობას მოუწოდებდა მშვიდობიან საქმიანობას დაბრუნებოდა. „რუსეთის მეფე თქვენ არ გებრძვით. — ეუბნებოდა მათ მ. ტ. ლორის-მელიქოვი, — და არც პირადად თქვენი, თქვენი სარწმუნოების, თქვენი ენის და თქვენი ზნეჩვეულების შევიწროება სურს. შემომხედეთ მე: თქვენ იცით, რომ მე სუფთა რუსი არა ვარ, არ ვაღიარებ სომხურ სარწმუნოებას, ვლაპარაკობ ჩემს ენაზე, მაგრამ ამას ჩემთვის ხელი არ შეუშლია რუსეთის მეფის ჯარის სარდალი გავმხდარიყავი, რადგან რუსეთის მეფე. ყველას მისი დამსახურებისა და ნიჭის მიხედვით აჯილდოვებს, სულერთია ქრისტიანია იგი, თუ მუსულმანი, რუსი თუ სომეხი. ჩვენს ჯარში მუსულმანი, ჩერქეზი და თათარი გენერალი ბევრია. მიხედეთ თქვენს საქმეს და თქვენს სარწმუნოებას, თქვენს ენას, თქვენ ადათ-ჩვეულებს არავინ შეეხება. ძე თქვენ თქვენივე მოსამართლეები დაგიტოვეთ, რომელნიც თქვენს საჩივრებს თქვენივე ადათის მიხედვით გაარჩევენ. თქვენგან მხოლოდ ერთს მოვითხოვთ: წინააღმდეგობას ნუ გაუწევთ ხელისუფლებას და ნუ შეუერთდებით ჩვენი ჯარების წინააღმდეგ მტრულ მოქმედებას“.

დამეთანხმეთ, რომ არ შეიძლება დიდი შთაბეჭდილება არ მოეხდინა არდაგანელთა გონებაზე ასეთი უბრალო, ყველასათვის გასაგები ენით ნათქვამ. ხატოვანი მაგალითებით დამშვენებულ სიტყვას, რაც პირადად მისი და ირგვლივ შემოხვეული მუსულმანი ოფიცრების წარმატებას ემყარებოდა. ხოლო, რამდენი ასეთი სიტყვა წარმოითქვა, რამდენი საუბარი გაიმართა დაპყრობილი ოლქის ტომთა ბელადებთან, მხოლოდ ღმერთმა იცის.

ასეთივე ღონისძიებას უნდა მივაკუთნოთ დაჭრილ და ტყვედ წამოყვანილი თურქებისადმი მიმართვა. არა ვრთხელ, ჩემს თვალწინ, მ. ტ. ლორის-მელიქოვს თავისუფლად გაუშვია ტყვე თურქი ჯარისკაცი. მხოლოდ პატიოსან სიტყვას ჩამოართმევდა, რომ თავის სოფელს დაბრუნებოდა. გარდა ამისა, ყოველ ტყვე ჯარისკაცს გზის ფულად მანეთი ეძლეოდა. ხოლო ზოგჯერ მეტიც. თურქეთის ხელისუფლება თურმე ჯარისკაცებს არწმუნებდა რუსები ტყვეებს

ნოცავენო. ამიტომ იყო, რომ იმ შემთხვევებში, როცა თურქ ჯარისკაცებს გასაქცევი გზა აღარ ქონდათ, გაბოროტებით იბრძოდნენ და თავისუფლებას ძვირად ყიდდენ. უკიდურეს შემთხვევაში აუცილებელი იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის და თურქი ჯარისკაცებისათვის შთაენერგათ რწმენა ჩვენი ხელისუფლების სიმტკიცეში და ჰუმანიურობაში...

დასახლებულ პუნქტებში, სადაც მნიშვნელოვანი მოსახლეობა იყო, იქმნება სამოქალაქო სამართველოები, რომელთა სათავეში ადგილობრივი მოსახლეობის ენის, ჩვეულებისა და შეხედულებების კარგად მცოდნე პირებს აყენებენ. სასამართლოს (მეჯლისის) წევრები უცვლელი რჩებიან, ხოლო ჩვენი ადმინისტრატორების მრჩევლებად იმ პირებს იწვევენ, რომლებიც ხალხში პატივისცემით და გავლენით სარგებლობენ. ადმინისტრატორებს ეძლევათ დაწვრილებითი სიტყვიერი ინსტრუქციები: ადგილობრივ მოსახლეობას ნება უნდა მისცენ იცხოვრონ როგორც სურთ. მათი საზრუნავი კი მხოლოდ ის უნდა იყოს, რომ არ დაუშვან ჩვენდამი რაიმე მტრული მოქმედება და დაკავებული ტერიტორიის მოსახლეობამ აბსოლუტურად გაწყვიტოს კავშირი მტრის ჯართან და ხელისუფლებასთან.

ყოველივე იმის მიხედვით, რაც აქ ითქვა, თქვენთვის გასაგებია, რომ ჩვენი სამხედრო ხელისუფლების ამოცანა ორი სხვადასხვა ხასიათის ნაწილისაგან შესდგებოდა, რომელთაგან ერთი მეორეზე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო. ჯარების წმინდა სამხედრო ოპერაციებისათვის მომზადებასთან ერთად ომისათვის ნიადაგის მოსამზადებლად უნდა განხორციელებულიყო, აგრეთვე, წმინდა დიპლომატიური მოქმედების მთელი სისტემა. შედეგები ცხადყოფს, რომ ამ სისტემამ კეთილი ნაყოფი გამოიღო. მტერი იძულებულია თავი ისე ეჭიროს საკუთარ ქვეყანაში, როგორც მტრის ბანაკში. არავითარი შესაძლებლობა არა აქვს იყოლიოს კავალერია, ურომლისოდაც რამე სერიოზული სამხედრო მოქმედების განხორციელება შეუძლებელია. მოსპობილი აქვს სამხედრო ძალების გადაადგილების საშუალება. მოსახლეობის მხარდაჭერას მოკლებულნი, ყოველი მხრიდან მტრებით გარშემორტყმულნი, სულით ადვილად დაეცნენ და შესაძლებლობა მოგვცეს ისფად მიგვეღწია გამარჯვებისათვის...

ჩემის აზრით, ამით უნდა აიხსნას ის ბრწყინვალე სამხედრო წარმატებები, რომელნიც ჩვენმა მოქმედმა კორპუსმა უკვე მოიპოვა.

ბანაკი კაჩალთან, ყარსის მახლობლად, 1877 წ. 24 მაისი

როგორც კი არდაგანის რაზმი ზაიმში დაბრუნდა, მ. ტ. ლორის-ბელიქოვმა ჯარები სამი დღით დაასვენა, ხოლო შემდეგ, 15 მაისს, მოქმედი კორპუსის მთავარი ძალების ერთი ნაწილი ყარსისაკენ დასძრა. ამ ნაწილის სარდლობა გენერალ ვ. ა. ჰეიმანს დაავალა, ზაიმში დარჩენილი ჯარები კი გენერალ ფ. დ. დეველს დაუმორჩილა. როგორც ყოველთვის, კორპუსის სარდალს თან ახლდა მისი შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი ს. მ. დუხოვსკი და შტაბის რამდენიმე მოხელე. რაზმს ხალიფ-ოღლი, ვიზინკევი, ორლოვი, ხაჯი-ჰალილი არდოსტი უნდა გაევლო და ყარს-ერზრუმის გზაზე გასულიყო. 18 მაისს ჩვენი ჯარები ბანაკად განლაგდა არდოსტსა და კატანლის შორის, ყარს-ჩაის მარცხენა ნაპირზე. კავალერია ბეჰლი-ახმეტისაკენ გაგზავნეს და ამ რაზმმა ყარსი ერზრუმს მოსჭრა, ყოველ შემთხვევაში, ამ ორი ქალაქის დამაკავშირებელი უმთავრესი გზების მხრიდან მაინც. ხოლო ყარსიდან პენიაკის და ოლთის გავლით ერზრუმში მიმავალი გზები 22 მაისს გაარღვიეს, როცა ჩვენი რაზმი ბანაკად სოფელ კოჩალს მახლობლად განლაგდა. კავალერიამ ყარსის ირგვლივ რადიუსით ყველა პოსტები დაიკავა და ამასთანავე ზაიმში დარჩენილ რაზმთან სწორი და მუდმივი კავშირი დაამყარა. 23 მაისიდან ყარსი მთელი ქვეყნისაგან მოწყვეტილ ქალაქად შეიძლება ჩაითვალოს.

ყარსი პირველად ხალიფ-ოღლიდან დავინახე. უნდა მოგახსენოთ, რომ თანამედროვე ციხე-სიმაგრეები ძალზე ცოტათი გავს ჩვენს იმ წარმოდგენას ციხე-სიმაგრეებზე, რომელიც გონებაში ბატალური ფერწერის საფუძველზე იქმნება. სიტყვა ციხე-სიმაგრე ჩვენს წარმოდგენაში წარმოსახავს ქალაქს, რომელიც ყოველ მხრივ მაღალი კედლებითაა გარშემორტყმული, ხოლო მათი ზემო კბილოვანი ნაწილი გრაფის ძველი მოყვანილობის გვირგვინს გვაგონებს. არდაგანის ციტადელი ფანტაზიის დიდი დაძაბვით შეიძლება კაცს ამგვარ ციხე-სიმაგრედ წარმოედგინა, მაგრამ ყარსში ასეთი არაფერია. ყარსი ჩვეულებრივი ქალაქია, შორიდან ძალზე ლამაზი, განლაგებული ყარს-ჩაის ორივე ნაპირზე, ნაწილი მარჯვენა ნაპირის ზეგანზე, ხოლო ნაწილი — ამფითეატრის მსგავსადაა გაშლილი იმ დამრეცფერდობიან ბორცვებზე, რომლებითაც მდინარის მარცხენა ნაპირია მოფენილი. შეუიარაღებელი თვალი შორიდანვე ადვილად არჩევს ქვის მრავალ მოზრდილ შენობებს, რამდენიმე მაღალ მინა-

რეთებს და ბევრ პატარა ნაგებობებს, რომელთა შორის პაპიემაშეს მსგავსი გეომეტრიული ფორმის თეთრი ნაგებობა გამოირჩევა. ესაა ყარსის ძველი ციტადელი, რომელიც ახლა თავმდაბლად შერწყმია ქალაქს. ვისაც თანამედროვე ციხე-სიმაგრეებზე წარმოდგენა არა აქვს დიდხანს დაუწყებს ცქერას ამ ქალაქს და თავის თავს და სხვებს ასეთ კითხვას მისცემს: სადაა ყბადაღებული, მრისხანე ყარსის ციხე-სიმაგრე? რომ არ ჩანს? იქნებ ყველაფერი ეს ჟურნალისტების მოგონილია?..

ციხე-სიმაგრე მართლაც არ სჩანს. ყარსს ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან ბორცვები და მაღლობები აკრავს, რომელთა მწვანე ფონზე ოდნავ შესამჩნევ შავ ლენტებს დაინახავთ. ეს შავი ლენტები ხან ნალის მაგვარი ფიგურაა, ხან ოთხკუთხედები, ხანაც ღვარჭნილი, კუთხეებით წინ წამოწეული ტეხილი ხაზები. ასეთივე ლენტები შეიმჩნევა ყარსის აღმოსავლეთით მდებარე სიბრტყეზეც. სწორედ ამ სიმაგრეების შერწყმა ქმნის ყარსის ციხე-სიმაგრეს.

თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა უხიაგი აზრები მებადებოდა, როცა ბინოკლით თუ უბინოკლოდ ამ ყბადაღებულ სიმაგრეს ვათვალიერებდი. სიმაგრეს, რომელზედაც მალე მთელი ცივილიზებული მსოფლიო ალაპარაკდება. სიბრტყე, რომელზედაც მივდიოდით, ზღვის დონიდან თითქმის 7000 ფუტის სიმაღლეზე არის. უბერავდა გამსჭვალავი ქარი, გვეყინებოდა აზრი და სხეული, ამას კიდევ წვრილი წვიმაც ემატებოდა. რომელიც ისე ატანდა ტანსაცმელში, თითქოს მილიარდი უწვრილესი ნემსებისაგან შესდგებაო. მიუხედავად არა ხელსაყრელი პირობებისა. მე მაინც უაღრესად უწმაწური აზრები მებადებოდა... დამშვიდდით, თუ ღმერთი გწამთ. ისეთს არაფერს ვიტყვი, რომ ჩვენი მხედართმთავრების ჩანაფიქრს თუნდაც ოდნავ შეუშალოს ხელი. ან ჩვენი მტრების უცოდინარობას სახელი გაუთქვას. არა, მე ნაკლებ სახიფათო საგნებზე ვფიქრობ, მაგრამ ვიმეორებ, უაღრესად უწმაწურზე. და რადგან ეს აზრები დიდი ხანია მდევნიან და მაწვალებენ, ვეცდები რაც შეიძლება მისაღებ ფორმებში გამოვხატო.

მაგრამ სანამ ამ ახირებული აზრების გამოხატვას შეუდგებოდე, მინდა ბრჭყალები გავხსნა და აქ პატარა შესავლის მაგვარი წინადადება ჩავსვა.

ჩვენ კორპუსში „მსახურობს“ სარდლის თანმხლები პატივცემული მოხუცი, რომელსაც კარგად იცნობს ბევრი ძველი კავკასიელი მეომარი. გენერალ-ლეიტენანტი მ. ხ. შულცი წარსულ ომში ალექ-

სანდრეპოლის კომენდანტი იყო. უსაქმობით მოწყენილმა 4 თვის შვებულება ითხოვა და ეს შვებულება ისე გაატარა, როგორც, ალბათ, დედამიწაზე არცერთ მოხელეს და არც ერთ მეომარს არ გაუტარებია; სევასტოპოლს მიაშურა და მის დამცველთა რიგებში დადგა. მეთაურობდა სახელგანოქმული სიმაგრის იმ ბასტიონს, რომელსაც ყველაზე მეტად უშენდნენ ცეცხლს. დაჭრილია თოთხმეტჯერ. დაჯილდოვებულია გიორგის ჯვრით და ბრილიანტის ხმლით. სურათის დანარჩენი ნაწილი თქვენ თვითონ შეგიძლიათ დაასრულოთ. ახლა იგი ოთხმოცი წლისაა. დიდი ხანია სამსახურიდან საბოლოოდ გადადგა და სიცოცხლის უკანასკნელ წლებს უშფოთველ გერმანიაში ატარებდა, სადაც მუხნარის სიმყუდროეში, რაინის ბასეინის მჟავე შუშხუნა, მწარე და მარილიან წყლებს შორის გერმანიის სამხედრო წარმატებების და ზნეობის ჭვრეტას ეძლეოდა. როგორც კი ომის გამოცხადება გაიგო, გადასწყვიტა, ძველ გენერალს უეცარი. ბრძოლის ველზე სიკვდილი უფრო შეეფერება, ვიდრე გერმანული პუმბულის ქვეშ დაჭკნობა და მტირალა გერმანელი ქალების ხელიდან მიქსტურების და აბების მიღებაო. გადასწყვიტა და განახორციელა კიდეც. და აი, შულცი ჩვენს რაზმში მხნედ მოაჭეხებს ცხენს, სროლის ხმის გაგონებაზე ხელებს იფშვნეტს და გოგოლის პროპორჩიკის ენერგიით იქაჩება წინ. ამავე დროს, როცა ცეცხლის ხაზზე არ უშვებენ და ფალდს იქეთ აკავებენ, წყენასა და ბერიკაცულ ცრემლებს ვერ მალავს.

მიყვარს ამ პატივცემულ ჭორუცთან საუბარი, განსაკუთრებით სტრატეგიის საკითხებზე, თუმცა მისი მსჯელობა ძალზე ექსცენტრულია. მთელი გზის მანძილზე, ზაიმიდან კალიფ-ოღლამდე, გენერალი მიმტკიცებდა, რომ ყარსის აღება საჭირო არაა.

— ყარსი და ერზრუმი გვერდზე უნდა დავტოვოთ და შეუჩერებლად წავიდეთ წინ, პირდაპირ კონსტანტინეპოლისაკენ, მარწმუნებდა იგი ათასგვარად.

— თქვენო აღმატებულებავ. შევნიშნავდი ხოლმე მოწიწებით, როგორღა უზრუნველვყოთ ზურგი: თურქი ეშმაკია, სანამ ჩვენ წინ ვივლით სიმაგრეებში დაიმალება, ხოლო როცა დარწმუნდება, რომ წინ ვართ წასული, სიმაგრეებიდან გამოვა და აღარც ჩვენს ტრანსპორტს გამოუშვებს და აღარც ჩვენს კურიერს. ვინღა მოუტანს მაშინ ჯარს პროდუქტებს და ჩვენ — ჯილდოებს?

— ყველაფერი ეს ცრუ შეხედულებებია. წინ უნდა ვიაროთ, სულ წინ და ავიღოთ კოსტანტინეპოლი. პრავიანტი საჭირო არაა.

შეიძლება რეკვიზიციის დაწესება, როგორც ეს გერმანელებმა გაკეთეს საფრანგეთში.

— კი მაგრამ, თქვენო აღმატებულებავ, ის იყო საფრანგეთი, ჩვენ კი მცირე აზიაში ვართ, ასე რომ ვთქვათ, ერთგვარ უდაბურ არაბეთში.

მიუხედავად იმისა, რომ ამ თვალსაზრისის უაზრობა ცხადი და ნათელი იყო, მაინც ვერ ვიშორებდი თავიდან. მესმოდა, რომ ყოველივე ეს შეუძლებელია, აღუსრულებელია, მაპატიეთ ასეთი გამოთქმა და უხიაგობაა, მაგრამ მოსვენებას მაინც არ მაძლევდა.

რატომ უყვართ ადამიანებს ასე ციხეების აღება? ვფიქრობდი მე, რადგან გენერლის ექსცენტრიულობა გადმომედო; რატომაა ყველაფერზე უფრო სასიამოვნო ციხეების იერიშით აღება?

და აი, ყარსის ციხე-სიმაგრე, რომელსაც წვრილი წვიმა რიდესავით ეფარა, ჩემს წარმოდგენაში მზეთუნახავივით დაიხატა. იმ მზეთუნახავივით, რომელსაც თავის მშვენება ყველას დასანახავად გამოუფენია და ამ სიმშვენიერით გარშემორტყმულებს გაანგარიშებული წინააღმდეგობით და ხელოვნური დაბრკოლებებით გვიზიდავს. ქვეყნად არაფერია ისეთი უარის თქმაზე უფრო მაცდუნებელი, რომელიც იმედითაა შვმოსილი. სულ სხვაა იმ მატრონების სახე, რომლებიც ერთბაშად ასხავენ მდუღარეს თქვენს წარმოდგენას დანტეს ცხადი და უდაო დევიზით „ხელი აიღე ყოველგვარ იმედზე". მიხვალ მათთან, შეხედავ და უკანვე გამობრუნდები. მაგრამ აბა სცადეთ ასევე მოიქცეთ იმ ქალთან, რომელიც უფლებას გაძლევს რამდენიც გინდა იმდენი უყურო მის მშვენებას, რომელიც შორიდანვე გამხნევებთ მომხიბლავი ღიმილით, და ამავე დროს კეკლუცად ეხვევა კოსტუმში, რომელიც პარიზში დიდი ხნის წინათ იყო მოდაში და ცნობილია ასეთი სახელწოდებით „gue s'y frotte—s'y pique!"[33] შესცქერით ამ კოსტუმის კორსეტებს, მის უამრავ თასმებს და ბაფთებს, „მაჩვზღარბის" მაგვარ თმის ვარცხნილობას, ნემსების უამრავ სამარჯვებს, ჯავშნიან სარტყელს, რომელიც ამ „წარმოსადეგობას" იცავს და სურვილი გებადებათ გახადოთ, შემუსროთ ეს სიმაგრეები, მიაღწიოთ პოზიციებამდე, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი თქვენს წინ ისე დევს, როგორც ხელისგულზე. როცა სამხედრო მატიანეს თვალს გადაავლებთ და გაიხსენებთ, რომ მზეთუნახავის ძიუკარებლობა ძალზე საეჭვოა, რომ წინათ იყვნენ გმირები, რომელთაც მისი სიმაგრეების არ შეშინებიათ და ვის შიშველი ძალით, ვის სამხედრო ეშმაკობით, ვის

მოსყიდვით დაუპყრია ოგი. მაშინ თქვენც გაბედავთ შემოარტყათ მას მეტად თუ ნაკლებად სწორი ალყა.

ამ ცოტა ხნის წინათ ხომ დაბეჭდა „ტიფლისკი ვესტნიკმა“[1] ყარსის დაცემის სამგლოვიარო ფურცელი, — განვაგრძობდი ფიქრს სიცივით აკანკალებული, მაგრამ ვის არ აუღია ეს ციხე, ვინ არ დაპატრონებია მას, ვის არ უბატონია მასზე! ყველა ერის აღმოსავლელი კაცი ჟინმორეული მუსრავდა მის მიუკარებლობას. ღმერთმა იცის როგორი კვალი არ დაუტოვებიათ მასზე ყველა ამ მონღოლებს, სპარსელებს, თურქებს, ქურთებს, თათრებს, etc, etc, etc!

ჩემთვის გასაგებია ისეთი უბიწო ციხის აღება, როგორიც მეცის ციხეა, „Metz la Pucelle“[34] (ხომ ხედავთ ფრანგებსაც ჩემსავით მოსვლიათ აზრად ქალის შედარება ციხე-სიმაგრესთან), მაგრამ ამ ძველი ბაიადერის გამო... ახლა რომ მდიდარი ლედის ჯავშანით იფარება, კედლებზე ასვლა... ნება თქვენია, უცნაურია... მაგრამ, ეტყობა ხედვის, ტანსაცმელის, ფორთულობის ძალა ისეთია, რომ ამ ნათრევი ქალბატონის გამო, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა, კვლავ სისხლი უნდა დაიღვაროს.

ვიმეორებ, მე კარგად. ძალზე კარგად მესმის ამ აზრის მთელი უხიაგობა და ამ შედარებების მთელი ურიგობა, მაგრამ რა ვქნა, როცა მის აღმატებულების მ. ხ. შულცის წყალობით მოუცილებლად მდევნიან. ჯობია, მაპატიოთ მთელი ეს უწმაწურობა და უაზრობა. აზრი, რა თქმა უნდა, უხიაგია, მაგრამ დამერწმუნეთ, რომ ეს წვრილიც ისევე მოსაწყენი იქნებოდა ძნელადმოსანელებელი აღწერილობებით, როგორც არდაგანის სიმაგრეზე დაწერილი ჩემი ნარკვევია. დამეთანხმეთ, რომ ეს ფლეშები, რედანები (თუნდაც ფრთებით), სანგრები, ბრუსტვერები, გორკები, ვალგანგები ძალზე ერთფეროვანია და ზოგჯერ საჭიროებს „le petit mot pour rire“.[35]

მაგრამ დაუბრუნდეთ დარბაისლობას. თავი დავანებოთ ხუმრობას და შევუდგეთ საქმეს, ანუ ყარსის სიმაგრეების სიმშვენიერის აღწერას. რადგან ადრე თუ გვიან, ბეირიანად თვითონაც არ ვიცი როდის, ამ სიმაგრეების შესახებ უწყებების კითხვა მოგიწევთ. მე ჩემ თავს ვალდებულად ვთვლი დაწვრილებით გაგაცნოთ ისინი. ვეცდები ჩემი უხიაგობა ყარსის სიმაგრეების დამძიმებული აღწერილობით გამოვისყიდო და ამით ყველას გული მოვუგო. უფრო ზერელე ადამიანებმა წერილის პირველი ნახევარი იკითხონ, ხოლო უფრო „სერიოზულებმა“ მეორე.

* * *

ყარსი ალექსანდრეპოლიდან ზუსტად სამოცი ვერსითაა დაშორებული და ამავე მანძილით — არდაგანიდან და სოღანლუღის გამაგრებული ბანაკიდან. მე მგონია ყველასთვის ცნობილია, თუ რა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ყარსს. იგია ერზრუმის და მთელი წინა აზიის გასაღები, რადგან ამიერკავკასიიდან ანატოლიის ცენტრალური დაბლობისაკენ მიმავალ უმთავრეს გზას კეტავს. ყარსი აშენებულია იმ ტერასების ძირში, რომელთაც ჩალგაურის მთების აღმოსავლეთი განშტოება ქმნის. მისგან აღმოსავლეთით, ჩვენს საზღვრამდე, გადაჭიმულია სუფრასავით გაშლილი ბრტყელი მაღლობი, რომელიც ალაგ-ალაგ ცალკეული ბორცვებითაა მოფენილი. ჩალგაურის მთებიდან ეს ბორცვები დიდი მანძილით ერთმანეთისაგან დაცილებულ, მიწაზე დადგმულ შაქრის თავებს გავს. სამაგიეროდ დასავლეთიდან ქალაქს მთლიანად მთიანი მხარე აკრავს. ერთი რიგი მაღლობებისა აღმართულია იმ ტერასს ზემოდ, რომლის ძირშიც ყარსი დგას. ეს მაღლობები ყოველი მხრიდან ციცაბო ფერდობებით დაბლა ეშვება და რამდენიმე ცალკეულ, მაგიდის მაგვარ მთას წარმოქმნის. საკმაოდ ფართო სიბრტყეზე, აქა-იქ, თითქოს განგებ აღუმართავთ უფრო დაბალი მთები, რომელიც პირველი რიგის მაღლობებს ჩალგაურის მთების მთავარი განშტოებებიდან ყოფს. ყველა ეს მეორე ხარისხოვანი მაღლობი გენერლის (მოგრძო) კარავს გავს და მათი ქედები რადიუსით პირველი რიგის მაღლობებისაკენ ვრცელდება. ამ მაღლობების დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 6 ვერსის მოშორებით, იწყება ჩალგაურის მთების მთავარი განშტოებები, რომელთა ქედი ყარსიდან 12 ვერსამდეა დაცილებული.

მდინარე ყარს-ჩაი ქალაქს ორ ნაწილად ყოფს. წყალი მიედინება ღრმა კალაპოტში, რომელსაც თითქმის სწორი კედლები აქვს. ქალაქის ფარგლებში მდინარე ფრანგული ასოს S მსგავსად იკლაკნება. მარცხენა ნაპირის ტერასი ნაწილობრივ ყარს-ჩაის მარჯვენა, აღმოსავლეთ ნაპირზე გადადის. აქ იგი ქმნის „მიწის ენას", რომელიც სამი მხრიდან: აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან (მეოთხე მხრიდან მდინარისაკენ ეშვება) დახრილად ეშვება სიბრტყისაკენ. მარჯვენა ნაპირის ტერასი ქალაქს ჩრდილოეთიდან იცავს. ქალაქის დიდი ნაწილი კი, რომელიც განლაგებულია მდინარის მარჯვენა ნაპირის სიბრტყეზე და ყარს-ჩაის ორივე ნაპირის ტერასების ძირში, დასავლეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან დაცულია მარცხენა ნაპირის ხრამებით ამგვარად, ყარსს ჩრდილოეთი-

დან და დასავლეთიდან იცავს ციცაბო ტერასები, რომელთა სწორი კუთხეები ერთმანეთს ეჯრწყმის. მდინარის მოსახვევთან შემავალ კუთხეში, მის მარცხენა ნაპირზე, ქალაქს ზემოთ მოსჩანს ლამაზი ოთხი ციტადელი. ქალაქი იშლება ციტადელის ორივე მხარეს, მარჯვნივ და მარცხნივ. ასე, რომ ქალაქის ორივე ნაწილი სწორი კუთხითვე ხვდება ერთმანეთს ციტადელთან. ამას დაუმატეთ ისიც, რაც მე წერილის დასაწყისში ვთქვი. ქალაქის ორივე ნაწილი ტერასის ძირში ამფითეატრის მსგავსადაა გაშლილი და რაც უფრო უახლოვდება ციტადელს, მით უფრო მაღლა იწევს, ქალაქის წინ კი გაშლილია თვალუწვდენელი ველი. იმედი მაქვს, რომ ამ აღწერილობის შემდეგ, ქალაქზე საკმარისი წარმოდგენა შეგექმნებათ.

ახლა გადავიდეთ სიმაგრეების აღწერაზე. დავიწყოთ ჩრდილოეთიდან. ტერასზე, რომელიც ქალაქს ჩრდილოეთიდან ეკვრის, აგებულია საკმაოდ მნიშვნელოვანი სიმაგრე — კარადახი. ამ სიმაგრის ცეცხლს ქვეშ ხვდება ყარსიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სიბრტყე. სიმაგრეს ორი მწკრივი მიწაყრილები და თხრილები აქვს და პირველი ხაზი გადის ტერასის აღმოსავლეთით მდებარე ხრამთან. ამ ტერასს ჰქვია კარადახის მთა. კარადახის სიმაგრიდან ჩრდილო-დასავლეთით ეს მთა ქმნის მაღლობს, რომელიც მასზე ბატონობს. ამ მაღლობზე, ტერასის დასავლეთით მდებარე ხრამთან, აგებულია სიმაგრე არაბი და მიმართულია ჩრდილოეთით. ორივე სიმაგრე ციტადელიდან ერთი ვერსით, ან ცოტა მეტი იქნება დაშორებული.

არაბის გვერდით, მაგრამ ყარს-ჩაის მარცხენა ნაპირზე, აგებულია მუხლისის სიმაგრე, რომელიც ჩრდილოეთითაა მიმართული. გარდა საკუთარი მიწაყრილებისა, ეს სიმაგრე სამი მხრიდან დაცულია ციცაბო ხრამებით, რომლებიც აქ მომცრო გამონაშვერს ქმნის, აქედან ტერასი თანდათან დაბლა ეშვება და $1^1/_2$ ვერსის სიგანე სიბრტყეს წარმოშობს. ამ სიბრტყეს ჩახმახის მთებს ეძახიან. რადგან ამ სიბრტყეზე გამოსარჩევი მაღლობი არაა, თურქებმა გაამაგრეს ქალაქთან ძალზე ახლო მდებარე მომცრო ბორცვი. სიმაგრეს ჰქვია ინგლისი. თუ არ ვცდები, ადრე მას ვილიამს-ფაშა-ტაბიე ჰქვიოდა. ასევე ქალაქის ახლოს, მეორე ასეთივე ბორცვზე, აღმართულია უფრო მნიშვნელოვანი სიმაგრე ველი-ფაშა-ტაბიე, რომლის ფრონტი დასვლეთითაა მიმართული. ამ ორ ბორცვს შორის, ამ ცოტა ხნის წინათ, ააგეს ასევე დასავლეთით მიმართული პატარა სიმაგრე ბლუმ-ფაშა-ტაბიე. ქალაქის ამ უახლოესი სიმაგრეების წრეში მოქცეულია სიმაგრე ჩიმიიგი მდებარეობს მდინარის ქალაქში შესასვლელთან და მიმართუ-

ლია სამხრეთ დასავლეთით. მის პირდაპირ, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, შენდება სიმაგრე სუვარი. ყველა ეს პატარა სიმაგრეები: ინგლისი, ბლუმ-ფაშა, ველი-ფაშა, ჩიმი და სუვარი ქმნის ყარსის სიმაგრეების პირველ, უახლოეს ხაზს.

მეორე, უფრო მნიშვნელოვან და უფრო შორს გამავალ ხაზს ქმნის კარადახის, არაბის, ბუხლისის სიმაგრეები და შორახის მთაზე აგებული ფორტები, რომლებიც ყარსს სამხრეთ-დასავლეთიდან აკრავს. ფორტების დასახელება სამხრეთ-დასავლეთიდან აა ეთია: ლაზ-ტაპასი (მიმართული ჩრდილო-დასავლეთით) აი-ტაბიე, ტიხ-ტაპასი (მიმართული დასავლეთით) და ტოხმასი (მიმართული სამხრეთ-დასავლეთით). ესაა შორახის ითის სწორედ ის სიმაღლეები, რომლებიც პასკევიჩმა 1828 წელს წინააღმდეგობის გაუწევლად დაიკავა და საიდანაც ყარსის კედლები დალეწა. ამავე მხრიდან მიადგა ყარსს 1855 წელს ნ. ი. მურავიოვიც, მაგრამ გაცილებით ნაკლებ წარმატებას მიაღწია... ამ მაღლობების წინ, სიმაგრის კედლებიდან $1^1/_2$ ვერსის დაშორებით, შეიძლება უფრო ახლოსაც, აღმართულია ბორცვები, რომლებიც მტერმა გაუმაგრებელი დასტოვა. ალბათ იმიტომ, რომ ისინი შორახის ყველა ფორტის ცეცხლს ქვეშ დევს... ჩვენი ახლანდელი ბანაკი განლაგებულია ამ ბორცვებიდან რამდენიმე ვერსის დაშორებით.

ყარსის აღმოსავლეთით მდებარე სიბრტყეზე განლაგებულია სიმაგრეები კაპლი და ჰაფიზ-ფაშა. მათ ცეცხლს ქვეშ ხვდება ყველა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და აღმოსავლეთიდან მომავალი გზა. ყველა ამ უკანასკნელ სიმაგრეთაგან, ჰაფიზ-ფაშა ყველაზე დიდია. ამ სიმაგრეებს, ისევე როგორც ყველა მოშორებით გამავალი ხაზის სიმაგრეებს, საკმაოდ მნიშვნელოვანი პროფილი აქვს და გარდა მთავარი მიწაყრილებისა, ისევე როგორც სხვა ფორტებს, ბევრი მოწინავე სიმაგრეები, სასროლი ლოქემენტები, სანგრები და სხვა ამდაგვარი გააჩნია.

დასახელებული სიმაგრეები ყარსის ირგვლივ ქმნის 5 ვერსამდე დიამეტრის მოედანს. ამბობენ, ეს სიმაგრეები შეიარაღებულია შორსმსროლელი ქვემეხებით და მათი ცეცხლი წვდება დიდ, 20 ვერსის დიამეტრის ფართობს. გასაგებია ის ამბავი, რომ მე არ შემიძლია ვიცოდე, როგორაა შეიარაღებული ყველა ფორტი, მაგრამ ერთ რამეში შემიძლია დაგარწმუნოთ: მათი ბრუსტვერები დიდი ზომისაა, ნათლად მოსჩანს მათზე დადგმული დიდი ქვემეხები, რომლებიც ჰორიზონტის ყველა მხრისკენაა მიმართული. ფორტების ხედები, როგორც ყველგან, შავად მოსჩანს, მაგრამ ბინოკლში

დაწყებული ძირიდან შუა წელამდე თეთრად მოჩანს, ალბათ იმიტომ, რომ თხრილები აქაც, ისევე როგორც არდაგანში, კლდოვან ნიადაგშია ამოთხრილი.

აი, ყველაფერი, რაც ყარსის შესახებ შემიძლია გაცნობოთ. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ცნობების მიხედვით ყარსის გარნიზონი 20.000-დე კაცისაგან შესდგება. დანარჩენს მოვლენათა შემდგომი განვითარება გვიჩვენებს.

8. ახალი ამბები ყარსიდან

მთავარი ბინა, სოფელ მაცრის მახლობლად 1877 წ. 29 მაისი

ამ რამდენიმე დღის წინათ ვესაუბრე ყარსის ერთ-ერთ მცხოვრებს, რომელიც 22 მაისს ალყაშემორტყმული ქალაქიდან იყო გამოსული. მისი ნაამბობი საკმარისად ახასიათებს ყარსის მოსახლეობის ახლანდელ განწყობილებას. მე ვერ ვიკისრებ იმის თავდებობას, თუ რამდენად ჭეშმარიტია მის მიერ მოწოდებული ცნობები, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია მოკლედ გადმოგცეთ ყველაფერი, რაც ყარსელის ნაამბობში საინტერესოდ მომეჩვენა.

არდაგანის დაცემამდე ყარსში დიდ იმედებს აბყარებდნენ მის გარნიზონზე და შეიარაღებაზე. როგორც ყარსის ხელისუფლება, ასევე ჯარი და მოქალაქეები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რუსები არდაგანს ვერასოდეს ვერ აიღებდნენ, რადგან დიდი ფული დაჯდა და მის მშენებლობას „წარჩინებული“ უცხოელი ინჟინრები ხელმძღვანელობდნენ. გარდა ამისა, ყოველი ყარსელი პირადად იცნობდა არდაგანის ერთ-ერთ დამცველს მირალაის (პოლკოვნიკი) კაფტარ-ბეგს, წარმოშობით ჩერქეზს. ყარსში მას იცნობდნენ როგორც ერთ-ერთ ყველაზე განათლებულ თურქ ოფიცერს, ხოლო პირადმა სიმამაცემ, ენერგიამ და გამგებლობამ ჯარისა მოსახლეობის ნდობა მოუპოვა. ამიტომ, როცა, 6 მაისს, პარასკევს, ყარსში ამბავი მოვიდა რუსებმა არდაგანი აიღესო, ეს ახალი ამბავი არავინ დაიჯერა. მაგრამ კვირას, 8 მაისს, ყარსში არდაგანის მცხოვრებნი ჩამოვიდნენ და დაწვრილებით მოყვნენ, როგორ აიღეს რუსებმა არდაგანი. მათ თქვეს, რომ რუსებმა ქვემეხები მთებზე დადგეს და იქედან დაუშინეს ცეცხლი ქალაქს და სიმაგრეებს. რუსების ყუმბარებმა ბევრი მცხოვრები იმსხვერპლა. ჩვენმა ჯარმა მათი შეჩერება ვერ შესძლო, რადგან რუსებს ძალზე ბევრი ქვემეხები და ჯარი ყავდათ. ბევრი მოკლეს, რომელთა კარმიდამო ყარაფაფახელებმა გაძარცვეს, მაგრამ როცა რუსეთის მმართველები მოვიდნენ, მოსახლეობას თავი

მოუყარეს და არწმუნებდა, რომ ხელს არავის ახლებდნენ. არდაგანელების ნაამბობმა ყარსის მოსახლეობა ისე დააღონა, რომ ბევრი ხმამაღლა ამბობდა: „ღმერთმა ინებოს და რაც შეიძლება მალე აიღონ ყარსი რუსებმა, ერთი დარტყმით გაათავონ საქმე, გაჭირვება ნაკლებად გაგვტანჯავს". როცა ქალაქის ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაინახეს, რომ ხალხი სულით დაეცა, ჯარს თავი მოუყარეს და განუცხადეს: „მართალია რუსებმა არდაგანი აიღეს, საშაგიეროდ ჩვენ ახალციხე დავიკავეთ, აქაც, ყარსში, ჩვენ ვიბრძოლებთ მამაცურად და მტკიცედ, გავანადგურებთ რუსებსო". მაგრამ მათ არავინ დაუჯერა, ყველა დარწმუნებული იყო, რომ ეს ამბავი ყარსში მოიგონეს, რადგან ამ ამბის მომტანი არავის უნახავს. ქალაქში მაშინვე დაიწყო ლაპარაკი: თუ არდაგანი დაეცა, სადაც საუკეთესო ჯარი (არაბისტანელები) იყო თავმოყრილი, ყარსი დიდხანს ვერ გაძლებსო. იმ დღიდან ყარსის მოვლი მოსახლეობა დარწმუნებული იყო, რომ დღეს თუ ხვალ რუსები ყარსს აუცილებლად აიღებენ.

ყარსის მოსახლეობის ამავე „მრწამსზე" მეტყველებს შემდეგი ფაქტებიც: ერთ-ერთმა ალექსანდრეპოლელმა სომეხმა, რომელიც ყარსში ათ წელზე მეტ ხანს ვაჭრობდა, როცა გაიგო რომ მას ეჭვის თვალით უყურებენ და რუსეთის მსტოვრობას აბრალებენ, გადასწყვიტა ქალაქიდან გამოსულიყო. მაგრამ მეზობლებმა და ნაცნობებმა სთხოვეს არ მიეტოვებია ქალაქი. როცა რუსები ყარსს აიღებენ, ეუბნებოდნენ მას, ,,ათთან მიგვიყვან და გამოგვესარჩლები, ეტყვი არაფერი დაგვიშაონ და არ დაგვხოცონ. უფრო დამახასიათებელია მეორე შემთხვევა. ყაჩაღმა მეჰრალიმ ამ ცოტა ხნის წინათ გაიტაცა 12 ტყვედ წაყვანილი მარკიტანტი მათივე ბარგით. ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა მას და მის აქხანაგებს მთელი მოტაცებული ქონება აჩუქა. მაგრამ ყარსის სამოქალაქო გუბერნატორმა მოითხოვა, რომ მათთვის ნაჩუქარი ქონება ჩამოერთმიათ, ან აღეწერათ. „როცა რუსები მოვლენ, განაცხადა გუბერნატორმა, ქონების ანაზღაურებას მოგვთხოვენ და თუ ახლავე არ აღვნუსხავთ, ყველაფერს გაცილებით მეტს, ათჯერ იმაზე მეტს გადაგვახდევინებენ, რაც იყო". თუ ყარსის გუბერნატორი ასე ლაპარაკობს, რა გასაკვირია, რომ მოსახლეობას ქალაქის თავდაცვისუნარიანობა არ სჯერა.

თურქეთის ხელისუფლება ენერგიას არ იშურებს ყარსის გასაშაგრებლად. აღარაფერს ვამბობ ყარსის სიმაგრეების ადრინდელ მშენებლობაზე, მაგრამ დაწყებული ამა წლის მარტიდან, ქალაქის ირგვლივ „დღე და ღამე" მუშაობენ. თხრიან მიწაყრილებს, თხრი-

ლებს, ორმოებს. აპრილში ყარსში ინგლისელი ინჟინრები ჩამოვიდ-ნენ და სიმაგრეები დაათვალიერეს. ინჟინრებმა განაცხადეს, რომ კარგად მოწყობილი მხოლოდ ორი სიმაგრეა — ტოხმასი და კარა-დახი. სხვები არ მოეწონათ. ხოლო სიმაგრე ინგლისზე თქვეს „ყარ-სის მტერიაო". რუსები მას იდვილად აიღებენ და თუ ეს სიმაგრე აიღეს, დანარჩენების აღება არ გაუჭირდებათო. ინგლისელების ჩა-მოსვლის შემდეგ, მუშაობა კიდევ უფრო გაძლიერდა. ინჟინრები ყარსში 4—5 დღე დარჩნენ, შემდეგ არდაგანში გაემგზავრნენ და ყარსში აღარავის უნახავთ.

თუ ყარსის რომელიმე მხარეს რუსები გამოჩნდნენ, ყარსის სი-მაგრეებში გარნიზონად განლაგებული თურქეთის ჯარი იმ ფორტებ-ში გადაყავთ, სადაც რუსები გამოჩნდნენ. დანარჩენ ფორტებში მხოლოდ არტილერისტები რჩებიან. ფორტებში განლაგებული ქვე-მეხები მუდამ ფორტიდან ფორტში გადააქვთ და ვერ გამიგია რა-ტომ. მათი გადატანა, უმეტეს შემთხვევაში, ღამით ხდება. სიმაგ-რეებში ბევრი ახალი და დიდი ზომის ქვემეხები დგას. ეს ქვემეხე-ბი ყარსში გასულ ზამთარს მოიტანეს. არის სპილენძისაც (ყვითე-ლი) და ფოლადისაც. ქვემეხებს ეზიდებოდნენ ხარებით და კამეჩე-ბით. თითო ქვემეხს 20—40 წყვილ რქოსან საქონელს უბავდნენ.

მიუხედავად თურქეთის ხელისუფლების მუდმივი გარჯისა, ყარსის მთელი მოსახლეობა დარწმუნებულია, რომ „ფაშებმა თავი რუსებს მიჰყიდეს" და ამიტომ არ ებრძვიან ყარსის ირგვლივ მოძრავ რუ-სეთის ჯარს. მთავარ ფაშას, ფერიკს, სიმხდალეს უსაყვედურებენ. იგი ქალაქშიც კი ვერ გამოდის, თუ 25 და მეტი შეიარაღებული მხლებელი არ ახლავს. ხალხი, განსაკუთრებით კი ქალები, ფაშას გა-საქანს არ აძლევენ. საყვედურით ეუბნებიან — რატომ არ გაჰყავს ჯარი რუსებთან საომრად. ხშირად ბრბო მის სახლს გარს ერტყმის, ფანჯრებს ქვებს უშენს და გაჰყვირის: გაიყვანეთ ჯარი რუსების წი-ნააღმდეგ. ბრბო, უმეტეს შემთხვევაში, ქალებისაგან შესდგება. ქა-ლები მძვინვარებენ და უწმაწურად იგინებიან. ყარსელის აზრით, ამ ქალების შეურაცხმყოფელმა გინებამ აიძულა მუხთარ-ფაშა იმ დროს გამოსულიყო ყარსიდან, როცა თავად ჭავჭავაძის კავალერია. თავის ცნობილ ძიებებს აწარმოებდა სოღანლუღის მთებისაკენ.

ქალების, და ისიც თურქი ქალების, „მძვინვარება" ცუდად ეგუ-ება ჩემს წარმოდგენას თურქეთში ქალების დაბეჩავებული მდგომა-რეობის შესახებ. მე ჩემი ეჭვი და გაკვირვება ყარსელს გაუზიარე. მაშინ ჩვენმა მთარგმნელმა შტაბს-კაპიტანმა დ. არუთინოვმა ასეთი-რამ მიამბო:

„1862 წელს ყარსში გამგზავნეს (ბ. არუთინოვი) იმ ბორჩალოელი ყაჩაღების მოსათხოვნად, რომლებიც თურქეთშ.ი იმალებოდნენ. ყარსის ხელისუფლებამ ყაჩაღები დააპატიმრა და მე გადმომცა. როცა ბორკილები დაადვეს და ყარსიდან ალექსანდრეპოლში უპირებდნენ გამოგზავნას, ყარსში სახალხო მღელვარება დაიწყო. იმ სახლის ირგვლივ, სადაც მე, რუსეთის კონსული და ყარსის ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელი ვიმყოფებოდით, 300—400 ქალზე მეტმა მოიყარა თავი. ქალები ჩვენი სახლის მესამე სართულის ფანჯრებს ქვებს უშენდნენ და, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ორი დღე ალყაშემორტყმული ვყავდით. ასე გრძელდებოდა მანამდე, სანამ თურქმა ჯარისკაცებმა ხიშტს არ მიმართეს, ბრბო არ გარეკეს და არ გაგვანთავისუფლეს. არა, ყარსელი ქალები თავაწყვეტილებია“, დაამთავრა მთარგმნელმა, რომელსაც ჩემი მოსაუბრეც დაეთანხმა.

რაც შეეხება ჯარს — ჯარში უმრავლესობა რედიფებია. ნიზამის რეგულარული ჯარისკაცები ყარსში სულ 9—10 ათასამდე იქნება. კავალერიასთან, რედიფებთან და მწყობრგარეშე ჯარისკაცებთან ერთად ყარსში სულ 20.000-ამდე მებრძოლი მოგროვდება. ყოველ შემთხვევაში, ასეთია ყარსის ინტენდანტის კმაყოფაზე მყოფთა რიცხვი. ყარსის მთელი ახლანდელი კავალერია შესდგება 800-დან 1000 კაცამდე. აქედან, რეგულარული კავალერისტები (სუვარები) მხოლოდ 400 კაცია, დანარჩენები ჩვენგან გადასახლებული მთიელები (200-დან 300 კაცამდე) და ადგილობრივი მოსახლეობაა. ესენი ჯარში ომის გამოცხადების შემდეგ ჩაეწერენ. ყარსში არც არაბისტანის ბატალიონებია და არც ზაპტიე (ჟანდარმერია).

ნიზამის ჯარისკაცები ჩივიან, რომ მათი ხმლები და ხიშტები აქამდე გაულესავია, რომ მათ ბრძანებას არ აძლევენ გალესონ იარაღი, მაგრამ ჯარისკაცები საერთოდ მაინც უხალისოდ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, განსაკუთრებით მაშინ, როცა რუსების წინააღმდეგ სიმაგრიდან გარედ აგზავნიან. როცა რუსეთის ჯარი მათი სიმაგრის მახლობლად გაივლის და უფროსები თურქ ჯარისკაცებს თავს უყრიან, იძულებულები არიან ეძებონ ფარდულებსა და ყავახანებში, სადაც თურქ ჯარისკაცებს დამალვა უყვართ, რათა რუსებთან ბრძოლა თავიდან აიცილონ. დიდი დრო სჭირდება მათ თავის მოყრას და ჯარის უმეტესი ნაწილის შეგროვებას. ბევრი მანამდე რჩება აღმოუჩენელი, სანამ რუსები არ გაივლიან. ჯარისკაცებს შეიძლება ხალისით ებრძოლათ, მაგრამ მათ უფროსების მაგალითი რყვნის. ოფიცრები უკან რჩებიან და ჯარისკაცებს წინ წასვლას

უბრძანებენ. ხოლო თუ სადმე საფრთხე აღმოჩნდა, უკან მდგარი ოფიცრები გარბიან. ჯარისკაცები ყოველივე ამას ხედავენ და თვითონაც გარბიან, საითაც კი შეუძლიათ.

უკვე 10 თვეა, რაც ჯარისკაცებს და ოფიცრებს ჯამაგირი არ მიუღიათ. ხოლო მოხელეები, ექიმები და უფროსები ჯამაგირს იღებენ ქაღალდის ფულით, რომელსაც კურსის მიხედვით არავინ ღებულობს. გადახურდავების დროს კი ფული თითქმის ღირებულების ნახევარს კარგავს და ისიც მაშინ, თუ აღმოაჩენ კაცს, რომელიც ქაღალდის ფულის მიღებას ისურვებს. მხოლოდ ტელეგრაფისტები და უცხოელი ექიმები ღებულობენ ჯამაგირს ოქროთი.

ოფიცერთა პირადი შემადგენლობა ეროფრით გამოირჩევა: კონსტანტინეპოლში ნასწავლი ოფიცრები ჯარში თითქმის არაა. მაგრამ ყოველი „ტაბიეს“ (ე. ი. სიმაგრის) უფროსს განათლება არა მარტო კონსტანტინეპოლში, არამედ „მარსელში“, ესე იგი საზღვარგარეთ აქვს მიღებული. ეს ოფიცრები სწავლულებათ ითვლებიან, გენერალურ შტაბში ირიცხებიან და ქალაქში იშვიათად გამოდიან. ექიმებს შორის რამდენიმე ფრანგია. ერთ-ერთი მათგანი თვეში 80 ლირს ღებულობს (500 მანეთზე მეტს ვერცხლით). ექიმთა უმრავლესობა სომხები და ბერძნებია. ყარსში არტილერისტ ოფიცრებსაც სწავლულებად თვლიან, მაგრამ მათ შორის ასეთი ცოტაა. უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ჩვენ მათ იშვიათად ვხედავთ. რადგან არტილერისტები „ტაბიებში“ სხედან.

* * *

ყარსის ოფიცერთა შორის გამეფებულია აზრი, თითქოს რუსები ჯერ ერზრუმს აიღებენ, შემდეგ კი ყარსს დაუბრუნდებიან. ქალაქში ოფიცრები ლაპარაკობენ: რუსეთის ჯარი აქ ცოტაა, ბევრი კი სჩანს, მაგრამ ყველაფერი ეს საზიდრები და ურმებია, ჯარისკაცები კი ცოტაა*. რუს ჯარისკაცებზე ასე ლაპარაკობენ: ახალგაზრდა ხალხია, თავაწყვეტილი, ურჩი, უფროსებმა არ იციან როგორ მოუარონ.

უფროსები ყარსელებს არწმუნებენ: მიუხედავად იმისა, რომ ირგვლივ „უამრავი“ რუსი მოსჩანს, მათი რიცხვი 40.000 კაცს არ აღემატებაო. მაგრამ თურქი ჯარისკაცები და ყარსელები ამბობენ, რომ ყარსისკენ 100.000-ზე მეტი რუსი მოდისო.

---

* ზუსტად იგივე მითხრა მე ერთ-ერთმა თურქმა ჯარისკაცმა, რომელიც ჩვენთან გადმოვიდა არდაგანში.

რუს მხედართმთავრებზე ყარსში კარგი აზრისა არიან. ყველა ყარსელი იცნობს და ყველას ახსოვს „ლორის-მელიქოვი“, რომელიც წარსულ ომში „უფროსი“ (ოლქის მმართველი) იყო. ყარსელები მასზე ამბობენ — „ჩვენი ფაშა რომ 1/10-ით ისეთი ჭკვიანი იყოს, როგორიც ლორის-მელიქოვია, ყარსს რუსები ვერასოდეს აიღებდნენ, რუსები განადგურებული იქნებოდნენო“. სხვა გენერლებიდან ყარსში მხოლოდ ჭავჭავაძეს იცნობენ (ჩვენი კავალერიის მეთაურს). ზასზე ამბობენ: „ძალზე მამაცი და კეთილი უფროსიაო“. დანარჩენები მათთვის უცნობია. ვერც მე დაგისახელებთ იმათ, რომელთა შესახებაც თქვენ მეკითხებით. საერთოდ, რუსებზე ლაპარაკობენ: მოსახლეობას არ ერჩიან, ყველაფერში ფასიან ფულს იხდიანონ. ასე ლაპარაკობენ ყარსში იმ სოფლების მცხოვრებლები, რომლებიც ჩვენმა ჯარებმა გაიარეს.

ყარსში თურქებს ყველაზე მეტად ეშინიათ რუსი დრაგუნების, რომელთაც „სპილენძის თავებს“ ეძახიან, რადგან მათი კიკერები სპილენძითაა შემკული. მათზე ამბობენ — არაფრის ეშინიათო, მიუხედავად ცეცხლისა, პირდაპირ წინ ქვემეხებისკენ მიიწევენო. სუვარები გარბიან, როგორც კი შორიდან „სპილენძის თავებს“ დაინახავენ.

ყარსში განლაგებული ჯარებიდან სიმაგრიდან გამოდის მხოლოდ ყაჩაღ მეჰრალის რაზმი, რომელიც ხშირად ესხმის თავს ირგვლივ მდებარე სოფლებს. ამ ცოტა ხნის წინათ მან თორმეტი მარკიტანტი დაატყვევა. ქალაქში ხმა დაირხა — მეჰრალიმ რუსები დაამარცხა, 500 კაცი ტყვედ წაიყვანა, აძდენივე დახოცა. მთელი ქალაქი გაეგება მეჰრალის, მაგრამ ტყვედ წამოყვანილი მხოლოდ 12 კაცი და ამდენივე ურჯმი აღმოჩნდა. ბრბოს ტყვეების ჩაქოლვა სურდა, მაგრამ ფაშამ ჯარებს მათი დაცვა უბრძანა და ტყვეები სიკვდილისაგან იხსნა, მაგრამ, ცოტა ადრე, 16 მაისს ტყვედ ჩაიგდეს დაჭრილი ჩერქეზი. ჩერქეზი ფაშამ დაკითხა და მისი სასახლიდან რომელიღაც ყაზარმაში მიყავდათ, მაგრამ ბრბო მას გარსშემოერტყა და ჩაქოლა.

საერთოდ, გადასახლებულ ჩერქეზებისაგან შემდგარ მთიელთა კავალერიაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. დიდ გამარჯვებებს ელოდნენ მუსა-ფაშა-კუნდუხოვისაგან, რომელიც ერთ დროს რუსეთის გენერალი იყო. 17 მაისს მუსა-ფაშა-კუნდუხოვი 5 ჩერქეზის თანხლებით ყარსში მოვიდა და განაცხადა, რომ რუსები ყარსის მიდამოებში გამოჩნდნენ, რომ ბეგლი-ახმეტაში დატოვებული კავალერიით რუსებს დაამარცხებს, და კომენდანტს ფეხოსანი ჯარი და არტილერია სთხოვა. ყარსელები ამბობენ კომენდანტს ასეთი თხოვნა არ

მოეწონაო. „ჩვენ აქ ექვსი თვეა ვდგევართ, უთქვამს ფაშას, იგი კი (კუნდუხოვი) გუშინ მოვიდა და ახლავე თავის გამოჩენა სურსო“. კუნდუხოვს თხოვნაზე უარი უთხრეს, ფეხოსანი ჯარი არ მისცეს. მხოლოდ ორი პატარა ქვემეხი და რამდენიმე არტილერისტი დაუთმეს, რომელთაც, როგორც ამბობენ, ამ ქვემეხების გამოყენება არ იცოდნენ. მერე ხმები მოვიდა: ფაშა კუნდუხოვი დაამარცხეს და სოღანლუღისაკენ გაიქცაო. ყარსელები ამ ამბავმა ძალზე დააღონა და კუნდუხოვის დაღუპვა ფაშას დააბრალეს, რომელიც თითქოს რუსების ერთგულია. ამის შედეგად ფაშას კიდევ უფრო მეტი ლანძღვა-გინება დაატყდა თავს და ახლა აღარავინ ენდობა.

ყარსიდან ჩემი გამოსვლის წინ მეჰრალი თავს დაესხა სოფელ იგნაზორს და ამ სოფლის პატივცემული და მდიდარი მაცხოვრებელი ხაჯი-ველი-აღა შეიპყრო*. მეჰრალიმ ხაჯი-ველი-აღას, რომელსაც ჯიბეში 90 ლირა ედო, მთელი ქონება და საქონელი წაართვა. ველი-აღამ მას 90 ლირა შესთავაზა თავის გამოსასყიდად, მაგრამ მეჰრალიმ ფული აიღო, ველი-აღა კი განთავისუფლების მაგივრად ყარსში მოიყვანა. ყარსში ველი-აღას ბრალი დასდეს, რუსებს არდაგანის გზა ასწავლაო და ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს. ჩამოახრჩვეს ხუთშაბათს, 20 მაისს. კარადახის მაღლობების ძირში, ბაირამ-ფაშას უბანში, ყოველთვის დგას სახრჩობელა. ველი-აღა აქ მოიყვანეს კატერით. როცა სახრჩობელას ქვეშ დააყენეს, თავზე ჯერ ქათამი გადაუგდეს, შემდეგ კი მამალი. თუ მამალი დაიყივლებდა, ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ სიკვდილმისჯილი უდანაშაულოა. მაგრამ მამალს არ დაუყივლია და ველი-აღა ჩამოახრჩვეს.

სწორედ იმ დღეს, როცა ყარსიდან გამოვედი, უნდა ჩამოეხრჩოთ ერთი სომეხი, სოფელ ბეგლი-ახმეტის მკვიდრი, სიმონ ადამოვი. მას ბრალს იმაში დებდნენ, რომ გზა ასწავლაო თავად ჭავჭავაძის კავალერიასო. როცა მისი რაზმი შორეულ ძიებებს აწარმოებდა სოღანლუღისაკენო. სოფელ ბეგლი-ახმეტის მცხოვრებლები ბევრს ცდილობდნენ გადაერჩინათ მეზობელი და ყარსის ხელისუფლებამ მათთან ასეთი ხელშეკრულება დასდო: ადამოვს მხოლოდ იმ შემთხვევაში გაანთავისუფლებდნენ, თუ ბეგლი-ახმეტის მცხოვრებლები ყარსის ხელისუფლებას 50 ურემ სამანს და 15 სულ რქოსან საქონელს ჩააბარებდნენ. ბეგლი-ახმეტელებმა საქონელი 16 მაისს მორეკეს, მაგრამ ყარსის მიდამოებში სწორედ იმ დღეს გამოჩნდა

---

* არდაგანის აღების შემდეგ, ველი-აღა დაინიშნა არდაგანის ახალი სანჯაკის მაზრის უფროსად. მაგრამ არ მახსოვს რომელის.

აპრილის ბოლოს ვიზიხკევიდან წაძოსული რუსების კავალერია და მომზადებული სამანი წაიღო. ამიტომ და იმ მიზნითაც, რომ ქალაქის მახლობელი სოფლების მოსახლეობა დაეშინებია, ფაშამ ადამოვის ჩამოხრჩობა გადაწყვიტა. საერთოდ, ბოლო დროს ყარსში გახშირდა სიკვდილით დასჯა. აბრჩობენ და ხერეტენ ჯარისკაცებს, გრძანების შეუსრულებლობისათვის და გაქცევისათვის, ადგილობრივ მცხოვრებლებს კი იმიტომ, რომ მსტოვრები გონიათ. ამ დღეებში ჩამოახრჩობენ კიდევ მასთან ერთად დაჭერილ ველი-აღას.

მას შემდეგ, რაც ყარსის მიდამოებში რუსები გამოჩნდნენ, პროდუქტები გაძვირდა. ადრე ერთი ბათმანი ფქვილი 6 კურუში ღირდა, რუსების გამოჩენის შემდეგ კი 15 კურუშამდე ავიდა. ხოლო როცა რუსები ისევ ვიზნიკევისაკენ გაბრუნდნენ, ფქვილის ფასმა 8 კურუშამდე დაიწია. მერე რუსები ისევ მობრუნდნენ, ყარსს და ერზუმეს შორის ჩადგნენ და ახლა ფქვილი 13—14 კურუში ღირს. ხორცი ადრე 3 კურუში ღირდა, ახლა კი გაძვირდა და იმდენად ცოტაა, რომ 6 კურუშადაც ვერ იშოვით. ბათმანი ბრინჯი ადრე ღირდა 24 კურუში, ახლა 60 კურუშადაც კი ვერ იშოვი. ფასი მოემატა არა მარტო პროდუქტებს, არამედ ყოველგვარ საქონელსაც. საუკეთესო შალი ადრე 45—50 კურუშად იყიდებოდა, ახლა კი 80—90 კურუში ღირს. ასევე გაიზარდა ნარმის, ჩითის, მარილის და სხვა საქონლის ფასები.

ვინაიდან ვაჭრებსა და მეურმეებს ეშინიათ ჩაუვარდნენ რუსებს, რომლებიც მიმოდიან ორივე გზით. ზოგჯერ, ორ კვირაში ერთხელ, მოდის ტრანსპორტი სამომხმარებლო საქონლით. ასეთი ტრანსპორტი, თ. ჭავჭავაძის სოღანლუღის ექსპედიციის შემდეგ, ყარსში მოვიდა მხოლოდ ხუთჯერ.

ფოსტა დადიოდა იშვიათად. ერზრუმიდან და ბათუმიდან პროდუქტებისა და საქონლის შემოტანა მთლიანად შეწყდა. ჩემს წამოსვლამდე სამი დღით ადრე ყარსს და ერზრუმს შორის ტელეგრაფით კავშირიც შეწყდა. ასე რომ, ბოლო დროს, ყარსში, არავითარი ცნობები აღარ მოდიოდა. ადრე კონსტანტინეპოლიდან ვღებულობდით თურქულ და სომხურ გაზეთებს. მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსები გამოჩნდნენ, გაზეთები ორჯერ მივიღეთ და ისიც შემთხვევით. მე თვითონ წამიკითხავს, კონსტანტინეპოლიდან მიღებულ სომხურ გაზეთში, რომ რუსებმა დუნაიზე დიდ სამხედრო წარმატებებს მიაღწიესო. ამ გაზეთს „ავეტაბერი“ ჰქვია. და „იმიტომ წერს ასე გაბელულად, რომ ფრანკმასონურია, ინგლისის მფარველობით სარგებლობს და შეუძლია სიმართლე წეროს“. მე არ ვიცი რა ჰქვია ამ

სომხურ, ფრანკმასონურ გაზეთს, რომელიც ამასთანავე ინგლისის მფარველობით სარგებლობს. ამის შესახებ, ჯობია „მშაკს“ ჰკითხოთ.

უფლება გეძლევათ თვითონ განსაჯოთ რაა მართალი, ან გაზვიადებული ყოველივე ზემოთქმულში. მე მხოლოდ ერთ რამეში შემიძლია დაგარწმუნოთ: ყოველივე ეს ჩაწერილია ყარსელის ნაამბობის მიხედვით, რომელიც მართლა გამოვიდა ყარსიდან და ალექსანდრეპოლში გაემგზავრა.

13. ლაშქრობის დღიურები

1

არავართანი, ოთხშაბათი, 8 ივნისი.

დღეს, დილით ადრე, ჩვენს ბანაკში, მაცრასთან, ალიაქოთი ატყდა. „ჩაალაგე სამოვარი“, ისმის ერთი კარვიდან, — „არ დაგავიწყდეს თეთრეული და წამოიღე გალეტები“, — გაისმის მეორედან. „ჩქარა დაჭედეთ ცხენი“, — მოგვესმა მესამედან. ამზადებდნენ ცხენებს, ალაგებდნენ ბარგს, კეცავდნენ კარვებს. მოკლედ, საძზადისი გაჩაღებული იყო. როგორი ძნელიც არ უნდა ყოფილიყო დილის 6 საათზე გაღვიძება იმ ადამიანისათვის, რომელმაც ოთხის ნახევარზე დაიძინა, მე მაინც მომიხდა ადგომა, რათა გამეგო, თუ საით ძიეემგზავრებით ჩვენ.

გამოირკვა, რომ ჩვენი ჯარის ვრცი ნაწილი ორი ვერსით უნდა დაუახლოვდეს ყარსის ყარადაღის მაღლობებს, ხოლო მეორე — შორეულ ლაშქრობას უნდა გაუდგეს. მაშასადამე, წამოიჭრა საკითხი: დავრჩე მე ყარსის მისადგომებთან, თუ გაუდგე შორეულ ლაშქრობას? ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორი ტანჯვის მომგვრელი და თავსამტვრევია ასეთი საკითხი ჩვენი პროფესიის კაცისათვის, რომელიც იძულებულია გუმანით იხეტიალოს, რომ კვალდაკვალ გაეკიდოს მოსალოდნელ ისტორიულ მოვლენებს, რომელნიც ვინ იცის სად გამოვლინდებიან. ლაშქრად წასვლა, რასაკვირველია, მიმზიდველია; მაგრამ რა, მოდი და ჩვენმა ჯარებმა აიღეს და დაეუფლენ ყარსს, ჩვენ კი, წარსულებმა ლაშქრად. ვდიოთ მუხთარის აჩრდილს და უდაბნოში ვიხეტიალოთ? მეორეს მხრივ. დარჩე ყარსში და თვალ-ყური ადევნო ჩვენი და ოსმალების ბატარეების ხანგამოშვებით სროლას მაშინ, როდესაც იქ, სადღაც საველე ბრძოლაში შეიძლება მთელი კამპანიის ბედი წყდება, რასაკვირველია. უფრო შეურაცხმყოფელი იქნებოდა ჩემთვის, ვიდრე ყარსის ხელიდან გაშვება. როგორ მოვიქცე? — ვკითხე რა „სანდო პირებს კაღდორში“,

გადავწყვიტე ერთგვარი რისკი გამეწია. ყუმბარების დაშენა და იერიშები ციხე-სიმაგრეზე მე უკვე ვნახე არდაგანში. მაშასადამე, ყარსს, ამ მხრივ, უმნიშვნელო სიახლის მოცემა თუ შეუძლია ჩემთვის. სამაგიეროდ, საველე და შემოვლითი, გვერდითი და ცენტრალური ბრძოლები, და სხვა ამისმაგვარი მოძრაობები ჯარისა, მე დღემდე არ მინახავს. აი, სწორედ ამიტომ მე ვარჩიე კვალდაკვალ გავყოლოდი სალაშქროდ წასულ ჯარს.

ჩვენი სამზადისი, ისე როგორც ყოველგვარი სამზადისი ამ ქვეყნად, იყო ხანგრძლივი და მომქანცველი. დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე სამზადისის ციებ-ცხელება გვქონდა ყველას; მოვიქანცეთ ბარგის ჩალაგებით, მაგრამ კიდევ უფრო მომქანცველი აღმოჩნდა ადგილიდან დაძვრის მომენტის მოლოდინი. ლაშქრობაში ეს ყველაზე არასასიამოვნო წუთებია. მთელი ბარგი შეკრულია და ჩალაგებულია ფურგონებში, კარვები აღებულია, ცხენები შეკაზმულია და მაინც აქ უნდა იდგე ერთი საათი, საათნახევარი, ორი საათი, სანამ „აღალი წაიწევს"; უნდა იცადო ადგილზე ტოკვით. საბედნიეროდ, ამ შემთხვევისათვის მე გასართობი ვიშოვე. ერთი საათით ადრე გამგზავრებამდე, ჩვენ ბანაკში ჩამოვიდა პარიზის გაზეთ Le temps-ის კორესპონდენტი ბ. კუტული, ოცდაათი წლის ბომრგვალო სასიამოვნო სახის ახალგაზრდა კაცი, რომელიც შვეიცარიელ გერმანელს უფრო ჩამოგავდა, ვიდრე ფრანგს. მისი ოდნავ მწითური სახე — სურათს კიდევ უფრო სრულყოფდა. ეტყობა ის ბრეტონიდან არის ან ვანდეელია. მისი გარეგნობა გაგონებთ პარიზელი მუშაკის ტიპს, რომელსაც საქმიანობა არ უშლის ხელს, რომ ლაზათიან ჩაცმულობაზე იზრუნოს. მას აცვია რქისფილებიანი მოხადირის ნაცრისფერი კოსტუმი, რომელსაც მწვანე სარჩული და ასეთივე არშია აქვს შემოვლებული. ასე რომ, შორიდან ის საგზაო ინჟინერ-გენერალსა ჰგავს. ისე როგორც ეს შეეფერება ნამდვილი ევროპული დიდი გაზეთის კორესპონდენტს, მან ჩამოიტანა ბარგით სავსე მთელი ფურგონი. მე მას მაშინვე აუხსენი, თუ როგორ საძნელოა კორესპონდენტისათვის გადაწყვიტოს საკითხი: დარჩეს ყარსის მისადგომებთან, თუ გაყვეს მიმავალ ლაშქარს. მან ეს უკანასკნელი აირჩია. მაგრამ მეფურგონე, რომელიც მას ალექსანდროპოლში დაექირავებია, კატეგორიულ უარს ამბობდა მაცრას იქით გაძგზავრებაზე. საჭირო გახდა ბარგისა და ლაქიის დატოვება ბანაკში. მან იქირავა კაზაკის ცხენი და ასე „მსუბუქად" გაუდგა გზას.

ამასობაში, როცა ბ. კუტული სამგზავრო საშუალებებზე ზრუნავდა ჩვენთან ერთად გასამგზავრებლად, გზას გავუდექით. რუსუ-

ლი გაზეთების კორესპონდენტთაგან მაცრაში დარჩნენ: „სანკტ.-პეტერბურგ. ვედომოსტის“ კორესპონდენტი—ნ. ა. პოტეხინი და „ნოვოე ვრემიას“ კორესპონდენტი ნ. ვ. სიმბორსკი. ლაშქარს გაყვა „გოლოსი“-ს კორესპონდენტი გ. კ. გრადოვსკი. იმ კარგი ამხანაგური ურთიერთობის გამო, რომელიც დამყარდა „კორესპონდენტთა ოჯახში“, ჩვენ შეეთანხმდით: იმ შეტაკებებში, თუ ყარსის მისადგომებთან ადგილი ექნება შესანიშნავ მოვლენებს, ბ. ბ. სიმბორსკი და პოტეხინი ამას უდეპეშებენ ჩვენ გაზეთებსაც. სამაგიეროდ, ჩვენც შევატყობინებთ მათ ყველაფერ შესანიშნავს, რასაც ადგილი ექნება ჩვენს ლაშქრობაში.

დაახლოებით დღის 3 საათზე, ჩვენი რაზმი დაიძრა არავართანიაკენ მელიქიოას, ჩახმურის და სიძაკათზე გავლით, სადაც განლაგებული იყო ჩვენი ძალების მარცხენა ფრთა, რომელსაც ვ. ა. ჰეიმანი მეთაურობდა. დავეშვით რა ყარსჩაისაკენ, იმ ტაფობიდან, სადაც ჩვენი ბანაკი იყო გახლაგებული, ჩვენ ავედით ზევით, ჩალგოურის მთის შტოებზე, სოფელ გიუნგერმეზის ახლოს. გვერდით ძოსჩახდა მიმზიდველი სურათი — თუ როგორ ესროდენ ერთმანეთს ჩვენი და მტრის ბატარეები: სინამდვილეში ჩვენ ვხედავდით სროლით გამოწვეულ ბოლის ბოლქვებს მოთეთროს და სქელს და მრუმე-ძოყვითალოს—ყუმბარების გასკდომით გამოწვეულს. ჩვენ გვესმოდა სროლით გამოწვეული ტკაცანი, რომელიც ძალიან ჰგავდა ხის საბეგველის დარტყმას ჟესტის დიდ ფურცელზე. გასროლები ენაცვლებოდნენ ურთიერთს ყოველ წუთს. ჩვენი ბატარეები გახლაგებულნი იყვნენ ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს და მიმართული იყო არაბასა და კორდაზისკენ. ჯერჯერობით ისინი სულ ხუთნი არიან. მათ კი „ტყავს აძრობენ“ ყარადაღიდან; არაბიდან და მუხლისიდან. გარდა ამისა, მათ უშენენ რამოდენიმე საველე ბატარეებიდან, რომლებიც თურქებს ჩაწყობილი აქვთ თავიანთი სიმაგრეების წინ, ერთი ვერსის დაშორებით მათი მიწაყრილებიდან. ჩვენი ბატარეები გაცილებით უფრო დაბალ სიპრტყეზე არიან განლაგებულნი, ვიდრე ის სიმაღლეები. რომელთაც ისინი ესვრიან. თურქების ბატარეები კი მათ ზემოდან უშენენ. ჩვენი ორი ბატარეის წინ ძოჩანს ერთი აძაღლებული სერი. რომლის დაღმართზე ჩვენი ჯარია განლაგებული. ეს ჩვენი არტილერიის საფარია. ნაცრისფერ პალტოებში გამოწყობილი ჩვენი ჯარისკაცები, რომელნიც სხედან ან წვანან დაღმართებზე, ძნელი გამოსაცნობია შორიდან. აქედან ბატალიონები, როგორც წვიმის ორი წვეთი, ისე გვანან თურქების სასაფლაოს, რომელიც მიწაში ჩარჭობილ და ერთი-ორი

ფუტით ზემოთ ამოშვერილი ქვის უსწორმასწორო ცილინდრების-კონუსების ან პირამიდებისაგან შესდგება. ჩვენ ადვილად შეგვეძლო გაგვერჩია თითქმის ყოველი გასროლის მოქმედება: მრუმე-მოყვითალო ფერის კვამლის ბოლქვები შავი წინწკლებით გვიჩვენებდნენ, თუ სად დაეცა ჭურვი. მტრის უუმბარები ეცემოდნენ ან ჩვენი ბატარეების მიწაყრილებს ან იმათ უკან, მარჯვნივ ან მარცხნივ კი ისინი არასოდეს არ იხრებოდნენ. სწორედ ამიტომ, ჩვენი საფარები ბატარეიდან მარჯვნით და მარცხნით არიან განლაგებულნი.

მთელი გზა, ჩალგურის აღმართის დასაწყისიდან (მელიქ-ქიოსაბ-ლო) თითქმის სამავათამდე, ჯარსის სიმაგრეთა არტილერიის ცეცხლ-ში გადის. გზიდან მარჯვნით და მარცხნით ჩვენ ვნახეთ თურქების გასროლის ნაკვალევი — ძაბრები, რომლებიც მიწაში საარტილ-ერიო უუმბარების სკდომით წარმოიქმნენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რაზმეული გაშლილი ალმებით მიჯრით მწყობრად მიდიოდა წინ, თურქებს ჩვენთვის არცერთი ჭურვი არ უსვრიათ. ისინი დაკა-ვებულნი იყვნენ ჩვენი ბატარეებით და ამიტომაც არ გვთვლიდნენ ყურადღების ღირსად. ლაზ-თაფარი და საერთოდ ყველა შორახის სიმაგრეები, რომელნიც არაფრით არ იყვნენ დაკავებულნი, მაინც დუმდნენ.

სამაკათთან კორპუსის უფროსს გენერალ-ლეიტენანტი ჰეიმანი შეხვდა ძთელი თავისი შტაბით და კავალერიის ნაწილით. მ. ტ. ლო-რის-ძელიქოვი ჯარს ძიესალმა და წინ წამოვიდა, რომ ვ. ა. ჰეიმანს გასაუბრებოდა. ჩვენ კი საუბარი გავმართეთ მარცხენა რაზმეულის შტაბის ძოხელეებთან ახალ ამბებზე და მტრის გამოხტომის შესახებ 3 ივნისს. გავიგეთ, რომ ამას წინათ დარხეული ხმა, რასაკვირველია არაოფიციალური, თითქოს ერევნის რაზმეულის უფროსს ტერგუკა-სოვს მარჯვე შეტაკება ჰქონოდეს თურქებთან, სადღაც ალაშქერთსა და დალიბაბას შუა. მართალი არ ყოფილა. შემდეგ ჩვენ მივედით იმ ადგილთან, სადაც 3 ივნისის ამბები მოხდა. არავართანსა და ლაზ-თაფიას შუა მთელი რიგი გორაკებია ამართული, რომელნიც თან-დათან ეშვებიან ხეობისაკენ, საიდანაც შარახის ციცაბო მაღლობები იწყება. თურქებმა ერთი ამ გორაკთაგანი თავიანთი არტილერიით დაიკავეს, მეორე კი, რომელიც უახლოესია არავართანთან და პირ-ველზე უფრო მაღალია, თავიანთი ქვეითი ჯარის ჯაჭვით დაიპირეს და იქედან სროლა აუტეხეს ჰეიმანის ბანაკს, მაგრამ სანამ ამის შე-სახებ დაწვრილებით ჩავწერდე ჩემს დღიურში, მე ამის მნახველს უნდა შევხვდე, სხვადასხვა პირებს გავესაუბრო, რომ შემექმნას

ნამდვილი წარმოდგენა ამ ამბის შესახებ. ერთი პირის ნაამბობი სხვების ცნობებით უნდა შემოწმდეს.

არავართანში ჩვენ ადრე ჩამოვედით, დაახლოვებით საღამოს 7 საათზე. ჩვენი კარვების გამართვის მოლოდინში, ყველამ თავი შევაფარეთ „არავართანელების“ კარვებს და შეუდექით ჩაის სმას, რომელიც თავაზიანად მოგვართვეს „ბანკის მასპინძლებმა“. ამავე დროს, ჰეიმანის კარვის წინ, სადაც კორპუსის უფროსი იჯდა, ერევნის პოლკის საუცხოვო მუსიკამ დაუკრა. უნდა წარმოიდგინოთ როგორი ოსტატობით ასრულებდნენ ისინი არიებს ოპერებიდან „ორფეოსი ჯოჯოხეთში“, „მშვენიერი ელენე“, „ბაზრის ასული“ და სხვ. წარმოიდგინეთ ოფენბახი ყარსის მისადგომებთან თავისი გიჟმაჟი, მსუბუქი საცეკვაო აკორდებით! ზოგმა, ამ შემთხვევის გამო, შეიძლება შუბლი შეიკრას და სთქვას: „ეს არ შეეფერება საქმის საზეიმო მდგომარეობას“ და სხვა. მაგრამ, ღმერთმანი, ამით ადამიანის სულიერი განწყობილება იცვლება. უნებლიეთ გამხნევდები, გამოცოცხლდები, როდესაც ერთფეროვანი სალაშქრო ცხოვრების მოწყენილობის დროს, რომელიც ხშირად დამკრძალავ პროცესიას გაგონებს, უცებ, სადღაც გაისმის მხიარული, უდარდელი სიცილი, ანდა ისმის ოფენბახისებური აღფრთოვანების ხმები. მე ვიცი „შეიძლება იყოთ საქმიანი კაცი და იფიქროთ ამქვეყნიურ მშვენიერებაზე“, სილამაზეზე. აი, სწორეთ ამიტომ, მთელი ჩემი არსებით ვტკბებოდი მუსიკით, თუმცა ლაზ-თაფაზის შავი მიწაყრილები სრულიად გარკვევით გვიმტკიცებდნენ, რომ ოპერეტიდან სისხლიან ტრაგედიამდე, რომლის მსგავსს ვერ შექმნის ვერცერთი ალექსანდრიელი ტრაგიკოსი, მხოლოდ ერთი ნაბიჯია. ამ მუსიკისაგან მიღებული შთაბეჭდილებით და კიდევ სხვა ცნობების ზეგავლენით, რომელიც არავართანში მივიღე, მე ძილს მივეცი თავი, — ჩავეკონე მორფეის, ძალიან დაშორებული იმ სისხლიანი სურათებისაგან, რომელიც ამ დღეებში უნდა მენახა აქ.

* * *

ჩვენ უკვე გავეცანით გენერალ-ლეიტენანტ ჰეიმანს, ახლა გავეცნოთ თ. დ. დეველს.

გენერალ-ლეიტენანტი თეოდორე დანიელის ძე დეველი დაიბადა 1818 წლის 12 აპრილს. მაშასადამე, ის ამჟამად 59 წლისაა. წარმოშობით თეოდორე დანიელის ძე სანკტ-პეტერბურგის გუბერნიის აზნაურთაგანია, სარწმუნოებით მართლმადიდებელი. მან აღზრდა მიიღო მთავარ საინჟინერო სასწავლებლის ყოფილ კონდუქტორთა ბანაკში, სადაც ის 12 წლისა შევიდა 1831 წლის 12 ნოემბერს.

ოფიცრად ის დაინიშნა 1838 წლის 8 ნოემბერს მესანგრეთა მეორე ბატალიონში, ორი წლის შემდეგ კი ღებულობს შემდგომ ჩინს და გადაყვანილი იქნა ჯერ მეოთხე მესანგრეთა ასეულში, ხოლო შემდეგ, 1842 წლის 23 მარტს, თანახმად უფროსების სურვილისა, — კავკასიის მესანგრეთა ასეულში. ამის შემდეგ, თედორე დანიელის-ძე თითქმის აღარ ჩოცილებია კავკასიას. აქ მან მოასწრო დაემსახურებინა ამხანაგების, ხელქვეითთა და უფროსების სიყვარული და საბრძოლო დიდება, სახელი და მთელი რიგი შესანიშნავი სამხედრო წარმატებანი, რომელთაც მაღალ შეფასებას აძლევდნენ უფროსები, რის გამოც მან რამოდენიმე მეტად საპატიო უმაღლესი ჯილდო მიიღო.

1847 წელს ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა ლეუტისის რაზმეულში, გენერალ-ლეიტენანტ შვარცის მეთაურობით, დანიელბეკის წინააღმდეგ.

შემდეგ ყირიმის კამპანია იწყება, რომელშიც, აგრეთვე, თედორე დანიელის ძე მონაწილეობას იღებს ბრძოლებში თურქების წინააღმდეგ, რომელთაც თავიანთი მტრული მოქმედება გამოამჟღავნეს ჩვენი ჯარების წინააღმდეგ შავი ზღვის ნაპირზე.

უწინარეს ყოვლისა, 1854 წლის 8—13 მაისს მას მონაწილეობის ძიღება მოუხდა ფლანგიდან შემოვლაში მდ. ციხზე რედუტ-კალეყულევის გზისკენ. იმავე წლის 15 მაისს ის იმყოფება რაზმეულში, რომელიც სიგლუტ-კალეს (ყულევს) უტევს, რათა ცხარე ბრძოლაში შეებას ნაპირზე გადმომსხდარ თურქთა ძლიერ დესანტს. მაგრამ ყველაზე შესანიშნავ საქმედ, რომელშიც მაშინ პირადად იღებდა მონაწილეობას თედორე დანიელის ძე, უნდა ჩაითვალოს 27 მაისის ბრძოლა, როდესაც ჩვენმა არცთუ მრავალრიცხოვანმა ჯარებმა სასტიკად დაამარცხა თურქთა 12 ათასიანი კორპუსი ეგრეთწოდებულ ბეიჩატის მაღლობებზე. თანაც მტერს წავართვით 2 ქვემეხი და სხვა საძეხედრო ხადავლი: ხუთი პატარა ხიშანი, 100 კაცი ტყვე, თითქმის მთელი აღალი, — სათადარიგო იარაღის ტრანსპორტით. ეს წელიწადი თედორე დანიელის ძისათვის ნამდვილი ზეიმის წელიწადი იყო: აქის შემდეგ მას წილად ხვდა უშუალო მონაწილეობა მიეღო გაცილებით უფრო მნიშვნელოვან ომში თურქებთან, ვიდრე ჩვენ ზემოთ აკწერეთ. 1854 წ. 4 ივლისს, ჩვენი ჯარები, რომლის შემადგენლობაში იყო თედორე დანიელის ძეც, თავს დაესხნენ თურქების უზარმაზარ 34 ათასიან კორპუსს, — ყველა სახეობის იარაღით შეიარაღებულს. აქ ჩვენები მტერს შეებნენ ხანგრძლივ, სისხლისმღვრელ სამკვდრო-სასიცოცხლო უთანასწორო ბრძოლაში მდინარე ჩოლოხზე.

ეარგა ხნის განმავლობაში ომის ბედი ირყეოდა ხან ერთ და ხან მეორე მხარეზე. ბოლოს თურქებმა ვეღარ გაუძლეს, აირივნენ და უწესრიგოდ გაიქცნენ, ისინი უსირცხვილოდ გაურბოდნენ შედარებით მცირერიცხოვან მოწინააღმდეგეს. თურქების გაქცევამ ძალა შემატა ჩვენს ჯარებს და მათი მხნეობა გააორკეცა; ისინი შეუბრალებლად მისდევდნენ მხდალ მტერს. ჩვენი ჯარების ამ დიდებული ბრძოლის შედეგი იყო შემდეგი სამხედრო აღალი: 14 ქვემეხი, 35 სხვადასხვა დროშა და ნიშნები, ოსმალოს მთელი აღალი სურსათით და ტრანსპორტით, სათადარიგო იარაღით და ცხენებით, ოთხთვალა ურმებით და საბანაკო სხვა მოწყობილობით. ამ დიდებული საქმისათვის თედორე დანიელის ძემ პოდპოლკოვნიკობა მიიღო.

ყირიმის კამპანიის დამთავრების შემდეგ თეოდორე დანიელის ძეს მნიშვნელოვანი დავალება მიეცა. მას დაეკისრა გადაეცა თურქების მთავრობისათვის ჩვენი ჯარების მიერ აღებული ყარსის ციხე-სიმაგრე. ეს გადაცემა მოხდა 1856 წელს. ამ გადაცემისათვის გახსენებულმა თურქეთის სულთანმა თედორე დანიელის ძე დეველი თურქეთის მეჯლისის მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. აბარებდა რა ყარსის ციხე-სიმაგრეს თურქებს, თედორე დანიელის ძემ საუცხოოდ იცოდა როგორც ამ ციხე-სიმაგრის მდგომარეობა, ისე მასში განლაგებული კაპიტალური ნაგებობანი.

მეთაურობდა რა 83-ე სამურის პოლკს, პოლკოვნიკმა დეველმა თავისი სახელი თავიდანვე თავისი პოლკის სამხედრო დიდებას დაუკავშირა. მრავალრიცხოვანი ბრძოლებით მთიულებთან, მან განსაკუთრებით გაითქვა სახელი 1859 წ. აგვისტოში, როდესაც შეტევით იქნა აღებული ციხე-სიმაგრე გუნიბი. ამ ბრძოლას უშუალოდ ხელმძღვანელობდა გენერალ-ფელდმარშალი თავადი ბარიატინსკი. აქ ტყვედ ჩავარდა თვით შამილი. გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის თედორე დანიელის ძემ მიიღო მეოთხე ხარისხის ვლადიმირის ორდენი მახვილებითა და ბაფთით.

2

ქოთანდლი, ხუთშაბათი, 9 ივნისი.

ჩვენ ბანაკი არავართანში დილის 5 საათზე აიყარა. ჩვენი და ჰეიმანის ჯარები, აღალის ნაწილთან ერთად, გზას გაუდგნენ. ყველაფერი, რაც აუცილებელი იყო, მაცრაში გაგზავნეს. ჩვენ გზას გაუდექით დაახლოებით დილის 7 საათზე. საშინლად ცივოდა, უბე-

რავდა ჩრდილოეთის ქარი, რომელიც ჩვენ ყინვის სუსხში გვხვევდა. შურიანობა, საერთოდ, ჩემთვის უცხოა, მაგრამ ეს გრძნობა უნებლიეთ იღვიძებს ისეთ წუთებში, როცა შენ, აქ, გაყინული თითის განძრევაც არ შეგიძლია და იგონებ, რომ ამ წუთს, ჩვენთან, თბილისში, არიან ბედნიერები, რომელნიც თბილ ლოგინში დილის ნეტარ ძილს ეძლევიან! მაგრამ არა, მიუღწეველ ნეტარებაზე სჯობს არ იფიქრო. როგორც კი მოიგონებ ამას, ყინვა უმოწყალოდ სუსხავს კანს, უფრო მეტად გცივა. მაგრამ ყველაზე საინტერესო, ასეთ წუთებში, ის არის, რომ არამც თუ ვერ წარმოიდგენ როგორია სითბოს და სიცივის შეგრძნება საერთოდ, არამედ თითქმის შეუძლებელია დააჯერო შენი თავი, რომ ოდესმე დადგება დრო, როცა ყინვა დამთავრდება და ამ ქვეყნად კვლავ ყველაზე უძვირფასესი სიკეთე — სითბო დადგება.

საათხახევრის, თუ ორი საათის შემდეგ, რაც ჩვენ გზას გაუდექით, მივედით გაშაგრებულ პანაკთან, რომელიც ქოგალს და ხოფალს შუა მდებარეობს, და სადაც ჩვენ ამ ორი კვირის წინათ რამოდენიმე დღე ვიდექით. იმ ბანაკიდან ახლა მხოლოდ მიწაყრილები და თხრილები დარჩენილან. ჩვენს წინ სევერსკი დრაგუნთა პოლკი იყო განლაგებული, რომლის კავალერიამ 3 ივნისის ამბებში არაჩვეულებრივი იერიშით ისახელა თავი. კორპუსის მეთაური ცხენზე მჯდომი მივიდა ჯარის რიგებთან და დიდი მთავარის და მთავარსარდლის მადლობა გადასცა დრაგუნებს მათი ვაჟკაცური სამსახურისათვის. დრაგუნები ჩვეულებისამებრ პასუხობდნენ: „მზად ვართ, თქვენო აღმატებულებავ!“ აქ ჩვენ რამოდენიმე ხნით შევჩერდით რომ აღალი შტაბს დაწვოდა და წინ წასულიყო. დავეშვით თუ არა მთის თხემიდან კულეს მიმართულებით, დაღესტნის ცხენოსანთა ირეგულარულ პოლკს გაუსწორდით. დაღესტნელთა მეტად ორიგინალურ და უაღრესად მრავალფეროვან სახეებს შორის, შეიძლება შეხვდეთ ყოველგვარ ტიპებს მალაელისა და მონღოლისას, წმინდა ევროპელისა და ებრაელისას. ისინი ყურადღებას იპყრობენ თავიანთი მრავალფეროვანი ფაფახებით, რომელთაგან ზოგი степка-растрепка-ს ემსგავსება, ზოგიც კი ჩვეულებრივ ჩერქეზულ ფაფახებს გვაგონებს. პოლკის ფორმის მიხედვით, ფაფახს ზემოდან წითელი მაუდის ამაღლება უნდა ქონდეს, მაგრამ ეს ფორმა ყველგან დაცული არ არის. ამ ფორმას ყველა არ იცავს. ყველა ატარებს ლაპ-ლაპა წითელი მაუდის ყაბალახს და შავ ჩოხა-ახალუხს, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ დაფლეთილია. მათი იარაღი, უმეტეს შემთხვევაში, კა-

ერიანი თოფებისაგან, რომელსაც, ჩვეულებრივად, ჩვენი მთიულები ხმარობენ, მთიულური ლეკურებისა, ხანჯლებისა და დამბაჩებისაგან შესდგება. თუმცა მას შემდეგ, რაც კაზაკებს ცხენოსანთა ბერდენკები ძიეცათ, ბევრ მათგანს დაურიგდა კაზაკების თოფები, რომლებიც ლულიდან იტენება; ზოგ მათგანს აქვს მარტინის, ჰენრისა და სნეიდერის სისტემის თურქული თოფები, რომელიც თურქებისათვის ბრძოლებში წაურთმევიათ. პოლკს თავისი ორკესტრი ყავს, მაგრამ ერთადერთი მებუკით და ორიგინალური დოლით. დოლზე დაღესტხელები ისე როდი უკრავენ, როგორც ჩვენი მეზურნეები, ე. ი. ერთდროულად ორივე ტყავზე, არამედ ორივე ჯოხით — ერთსა და იმავე ტყავზე, როგორც ამას აკეთებენ ჩვენი ჯარისკაცები. უნაგირზე შეშდგარმა ორმა ცხენოსანმა დაღესტნელმა ლეკურის ცეკვა დაიწყო, რამაც ბ. კუტულის epatement (გაკვირვება) გამოიწვია; სხვებმა სიმღერები წამოიწყეს, რომელთაგან ზოგი საკმაოდ მელოდიური იყო. რიგებში მე შევნიშნე ორი 14-15 წლის უწვერულვაშო ყმაწვილი, მაგრამ გაბედულად, ყოჩაღად გამოიყურებოდნენ. გამოირკვა, რომ იმათ უკვე მიეღოთ მონაწილეობა ბრძოლებში და, თურმე, ძველ მებრძოლებზე ნაკლებ როდი იბრძოდნენ. შემდეგი შესვენების დროს დაღესტნელებმა ჭრე შეჰკრეს და „ყველა წესების დაცვით“ იწყეს ცეკვა. ცეკვავდნენ გაჭაღარავებული მოხუცნი და უწვერულვაშო ჭაბუკნი, ცეკვავდნენ ლეკურს, დავლურს, კაზაჩკას, და ღმერთმა უწყის კიდევ რა ცეკვებს. ამ სანახაობის მზერით, ცეკვით და მუსიკით დამტკბარმა (თუმცა ძნელი იყო ამ უკანასკნელით დატკბობა) მაყურებლებმა ურთიერთ შორის შეაგროვეს მანეთიანები, სამმანეთიანები და უხვად დააჯილდოვეს როგორც მუსიკოსები, ასევე მოცეკვავენი და მომღერლები. დივერტისმენტი ამით დაასრულა.

ჩვენი შემდეგი მსვლელობა მიმართული იყო ურდახლის, სუსუს და ბეგლიახმეტისკენ ზემო კოტანლისთან. ამათში პირველი ორი არაფრით არ გამოირჩევიან ჩვეულებრივი ტიპიური თურქული სოფლებისაგან. შორიდან ისინი გაშიშვლებულ ბორცვს გვანან, ხოლო ახლოდან გაგონებთ დიდი კოცხის ნახანძრალს, რომელსაც ქვის კერა აქვს. მიწურები სანახევროდ მიწაშია ამოთხრილი, ხოლო მათი მეორე ნახევარი კედლის მსგავსად აწყობილ ქვებისგან შესდგება, რომელსაც არც კირი და არც თიხა არ ურევია. სახურავი ბრტყელია, მიწისა, რომლებიც ერთმანეთის მიმართ ტერასულადაა განლაგებული. ერთბაშად ვერც გაიგებ სად იწყება ერთი მიწური და სად თავდება მეორე. სოფლის მთელი ფართობი მოლურჯო-მონაცრისფე-

როა, თითქმის ყველაფერი ფერფლით არის დაფარული. სოფლის გარშემო საშინელი მყრალი სუნია ნეხვის, რომელსაც აგროვებენ წივის გასაკეთებლად. თუ ერთი თურქული სოფელი გინახავს, შეგიძლია დარწმუნებული იყო, რომ თითქოს ყველა მათი სოფელი გინახოს.

ბეგლიახმეტი სომხური სოფელია. აქ ჩვენ პირველად ვნახეთ ქალები, რომელიც თავიანთი მიწურების ბანებზე ისხდნენ და არ გვეშალებოდნენ. ისინი არც თუ ლამაზები და თან, რასაკვირველია, შავტუხები არიან. ღარიბულად აცვიათ ძალიან უხეში ჩითისა და შეღებილი ნარმის ტანსაცმელი. თავი შეხვეული აქვთ პირსახოცებით, თავსაფრებით და მატერიის ნაჭრებით, მაგრამ პირისახე დაფარული არ აქვთ. მათ ტანსაცმელს ორიგინალობის დამახასიათებელი თავისებურების ნიშანი არ აჩნია. წელთან ოდნავ შეკეწროებული კაბა უწესრიგო ნაოჭებით ეშვება კოჭებამდე. ფეხები, მეტწილად, შიშველი აქვთ და მეტოქეობას უწევენ სახის კანის ფერს ბრინჯაოს ელფერით, რაც ტალახისა და მზის გავლენის შედეგია. არ შემინიშნავს სარტყლები, მძივები ან სხვა რაიმე მსგავსი სამკაული, არც ბაფთები და სხვა ამგვარი რამ, რასაც ხშირად შეამჩნევთ ისეთი ჩამორჩენილი ქვეყნების ქალებს შორის, როგორიც არის ბოსნია და კაბადოკია.

სოფელი ურდახლო მდებარეობს ციცაბო ტერასის კიდეზე, როძელიც ხაკადულთან შვეულად ეშვება. ამ ნაკადულიდან გეჩვენება, რომ ურდახლო თითქოს უზარმაზარ მიწაყრილის მწვერვალზე მდებარეობს, რომელსაც ხელოვნური ნაგებობის მოხაზულობა აქვს. აქ ჩვენ 6600 ფუტის სიმაღლეზე ვართ. ბეგლიახმეტი, რომელიც გაცილებით უფრო დაბლა დგას, 6200 ფუტის სიმაღლეზე მდებარეობს. ამის შემდეგ ეს სიბრტყე მდ. ყარს-ჩაისკენ მიემართება, შემოუვლის სამხრეთით და აღმოსავლეთით და შემდეგ, მდინარისკენ დაშვების დროს, თავის ციცაბო შვეულით ძნელად მისადგომი ხდება. აქედან მოსჩანს ყარს-ჩაის ვიწრო კლაკნილი ხეობა, რომელსაც ჭაობები სერავს. აქედან მოსჩანს, აგრეთვე, დიდი რაოდენობა უმნიშვნელო სოფლებისა, რომლებშიც ყველაზე მნიშვნელოვანი ზედა ქოთანლია, რომელიც ჩვენი ღამის გასათევად არის ნავარაუდევი.

ქოთანლიმ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1829 წლის ომის დროს. პასკევიჩმა აქ თავი მოუყარა თავის ჯარს და უფრო ადრე დასტოვა აღალი, სანამ წამოიწყებდა თავის გაბედულ ლაშქრობას სოღანლუღზე გავლით არზრუმისაკენ. სამ დღეს წვრთნიდა ის აქ თავის ჯარებს, ასწავლიდა შეკრული მწყობრით მოძრაობას, რასაც

თურქები დღემდე ვერ ეგუებიან. აქედან წამოიწყო მან თავისი სამაგალითო გადასვლა სოლანლუღის მთებზე. ამ გადასვლას რუსტოვმა მე-19 საუკუნის სამხედრო ისტორიის ერთ-ერთი შესანიშნავი ფურცელი უწოდა...

ქოთანლში ჩვენ საკმაოდ ადრე, — საღამოს 5 საათზე, ჩავედით. ჩვმი ცდა, ბ. კუტულისათვის კარავი მეშოვა, უშედეგოდ დამთავრდა. ამის შემდეგ მე შეუდექი საკუთარი კარვის გაშლას. ამ დროს ჩვენმა ახალგაზრდა ადიუტანტებმა მთხოვეს მათთან ერთად წავსულიყავი სეევრელებთან, რათა მიგველოცა ვაჟკაცური გამარჯვება თურქების ფეხოსან ჯარზე. თითეულ ჩვენთაგანს უნდა ეშოვნა და წამოეღო თითო ბოთლი შამპანური. როგორც ითქვა, ისე გაკეთდა. ჩვენ ცხენებით ვიყავით, ზოგი ჩვენთაგანი უბელო ცხენზე შეჯდა; ასე წავედით დრაგუნთა საძებნელად. ნახევარი საათი ვიხეტიალეთ ჭაობებში და ბოლოს შევიტყვეთ, რომ სეევრელები მოწინავე პოზიციებზე გაუგზავნიათ. ამაში დასარწმუნებლად ჩვენ წავედით ერევნელებთან და, ბოთლები უკან რომ არ წამოგველო, შევედით პირველ კარავში და დავცალეთ. ერევნელებიც ვალში არ დარჩნენ, მათაც აღმოაჩინეს სადღაც ნახევარი დუჟინი კეთილშობილი სასმელი, შეწვეს მწვადები, მოიწვიეს მუსიკოსები, მომღერლები და „გაჩაღდა ქეიფი". მუსიკოსები ეჯიბრებოდნენ მომღერლებს, რომელთაც მოიმარჯვეს მთელი თავიანთი სიმღერების არსენალი ერევნელების პოლკის პატივსაცემად. აღმოჩნდა, რომ პოლკის ძუზამ უკვე შეამკო სიმღერით არდაგანის აღება. უნდა ითქვას, რომ სიმღერები საერთოდ მეტად აღმაფრთოვანებელნი იყო. მაგრამ სიტყვებზე გაცილებით უფრო შესანიშნავი იყო ჯარისკაცების მონაწილეობა სიმღერებში. მათ სწამთ თავიანთი სიმღერები და სიმხნევეს მატვბთ სიმღერის ის სიტყვები. რომლებიც თავიანთი სიმწარით ლახვარს სცემენ მტერს. ჩვენ გავესაუბრეთ ჯარისკაცებს და მათ გვიამბეს, თუ როგორ ებრძოდნენ თურქებს არდაგანთან. გვიამბეს, აგრეთვე, თუ როგორ უნდოდათ დაჭრილი თურქების გადარჩენა, მაგრამ შემდეგ დახოცეს, რადგან ზურგიდან სროლა დაუწყეს. ჯარისკაცები მაღალი წარმოდგენის არიან თავიანთ თავზე და ძალიან დაბალ შეფასებას აძლევენ თურქების მამაცობას და ბოხერხებულობას. ისინი ძალიან ბევრს იცინოდნენ, როცა გვიამბობდნენ თუ როგორ ისროდნენ თოფებს თურქი ჯარისკაცები უმიზნოდ, შეუსვენებლად, და ყველაფერი ეს თითქმის ჰაერში. არანაკლებ ორიგინალური იყო ჯარისკაცთა სტრატეგიული მოსაზრებანი. „თუ ღმერთმა ხელი ბოგვიმართა და ველზე შევხვდით მუხთარს, იქ მას ბოლო მო-

ელება. თორემ რა, ვს ეშმაკები ციხე-სიწაგრის კედლებს ეფარებიან, წადი და დაიჭირე იქ. მაგრამ როგორც კი მუხთარს დავიჭერთ და მოვცხებთ, მაშინ წავალთ ყარსის ასაღებად. ყარსი მაშინ ვერ გაგვიძლებს. მაგრამ, თუ ღმერთმა ინება, სანამ ჩვენ მუხტარს დავიჭერთ და სანამ ერზრუმს ავიღებთ, ის რაზმი ყარსს აიღებს". ყველაფერი ეს ნათქვამი იყო ჯარისკაცების შიერ მხიარულად, გულკეთილად, მაგრამ სრული რწმენით, რომ ყველაფერი ის, რასაც ისინი ლაპარაკობდნენ, სრული ჭეშმარიტებაა...

როდესაც ჩვენ გულით მადლობა გადაუხადეთ მასპინძლებს, ხოლო ფულით — მუსიკოსებსა და მომღერლებს და შინ დავბრუნდით, უკვე ძალიან გვიან იყო. გასეირნებით შთაგონებული ჩვენი ყიჟინი და ხმაურობა მოედვა წყნარ ბანაკს. ამ შემთხვევაში, სამოქალაქო ნაწილი ეჯიბრებოდა სამხედრო ნაწილს. სამი კორესპონდენტი უფრო მეტად შეაგობდა და ხმაურობდა, ვიდრე ოთხი ადიუტანტი.

3

ზივინი, ორშაბათი, 13 ივნისი, შუადღე.*

მას შემდეგ, რაც გუშინ იძულებით გავატარეთ ერთი დღე მელიდიუზთან, ჩვენ შევძელით ადრე გავდგომოდით გზას. გავიღვიძეთ დაახლოვებით დილის 4 საათზე და რადგან „მსუბუქად" მივდიოდით სალაშქროდ, მხოლოდ სამი-ოთხი დღით, ამიტომ სწრაფად მოვიყარეთ თავი. მთელ შტაბს, როგორც კორპუსისას, ისე რაზმისას, თავისი ბარგი ორ ფურგონში უნდა მოეთავსებინა. მესამე ფურგონი საერთო სასადილოს გამგის განკარგულებაში იყო. ჩქარა სამივე ფურგონი მზად იყო გასამგზავრებლად. სანამ ისინი ბარგს ჩაალაგებდნენ, ჩვენ ერთგან შევჯგუფდით და მე დანაშაულზე დავიჭირე ერთი ჩვენი ოფიცერთაგანი, რომელიც კორესპონდენციებით ამარაგებდა „მოსკოვსკოე ვედომოსტს"[37]. ის შეურაცხყოფას აყენებდა კლასიციზმს! მას დაეპმუჭნა და ჯიბეში ჩადებას უპირებდა, „ყოველ შემთხვევისათვის", რომელიღაც წიგნის ფურცლებს. რადგან ლაშქრობის

---

* სინამდვილეში დაიწერა 13 ივნისამდე, 13 ივნისის წინა დღით, და უშუალოდ 13 ივნისის საქმის შემდეგ, ყველაფერს, რაც მე დაეწერე, უცვლელად ვტოვებ იმიტომ, რომ დაინახოთ როგორ ვითარდებოდა მოვლენები და როგორ აღიქვამდა მას დამსწრე-მნახველი.

ა ვ ტ ო რ ი.

დროს საკომენტარო ქაღალდი ძვირად ღირს, მე ვთხოვე მას დაეთმო რამდენიმე ფურცელი ჩემთვის. თანამოძმეთა შორის ასეთ რამეზე უარს არ იტყვიან, ამიტომ მე მივიღე რაც ვთხოვე. გამოირკვა, რომ ეს იყო ფურცლები ამოგლეჯილი ლათინურ-რუსული ლექსიკონიდან, რომელიც რუსული კლასიციზმის საყრდენია. მე მერგო 227 და 228 გვერდები, სადაც პირველი გვერდის მეორე სვეტზე (პირველი სვეტი ნაწილობრივ მოხეულია) შემდეგი სიტყვები წერია: „Comlpanatio, — onis. f. ypabnenue — განტოლება — გათანაბრება, გამათანაბრებელი რხევა. Sen. caun. Complantare, i. v. a. ერთად დარგვა, Vulg. Ambcos“ და სხვა.

„მოსკოვსკიე ვედომოსტი“-ს კორესპონდენტი, რომელმაც ასე ვულგარულად შეურაცხყო კლასიციზმის წმინდათა წმინდა საგანი, ვის არ გააკვირვებდა; მე თავი ვერ შევიკავე და თანამოძმეს შევნიშნე, რომ უცნაურობაა კლასიციზმისადმი ასეთი უპატივცემულობა. მაგრამ მან მიპასუხა, რომ ეს უპატივცემლობა და შებღალვა კი არ არის. პირიქით, ეს არის პატივისცემა შინაური სიწმინდის. „მე, — მითხრა მან, — შეძლებისდაგვარად ვესწრაფვი თურქულ ნიადაგზე დავნერგო კლასიციზმის ეს თესლი“. ვინ იცის, შეიძლება ეს მართლაც ასე იყოს! ოდესღაც ბოროტი ენები ხომ გვარწმუნებდნენ, რომ თითქო ჩვენში, რუსეთში, კლასიციზმის დანერგვა უნდა ვუმადლოთ იმ გარემოებას, რომ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ მიერ გამოცემული ლათინურ-რუსული ლექსიკონის თითქმის ყველა ეგზემპლარი გაუყიდველი დარჩა და საწყობში რომ არ დამპალიყო, საჭირო გახდა კლასიციზმის ქადაგება ძვირფასი გამოცემის საჩქაროდ გასასაღებლად. ამჟამად ვხარჯავთ რა მცირე აზიაში ლექსიკონის ეგზემპლარებს, რომელიც შეიძლება მიღებული ჰონორარის სახით, „მოსკოვსკიე ვედომოსტი“-ს კორესპონდენტი, ალბათ, მისი გამომგზავნის ნებას ასრულებს. ხელი რომ არ შემეწყო საძულველი გამოცემის „წარმატებისათვის“, მე უარი ვთქვი Complantare-ზე „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ კორესპონდენტთან ერთად. კლასიკური ლექსიკონის ფურცლები მე შევინახე როგორც ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი მომხდარი „ამბისა“.

ბელი-დიუზის ბანაკიდან, რომელიც ბელი-დიუზისა და მეჯინკერტს შუაა განლაგებული, ჩვენ გავემგზავრეთ დილის შვიდის ნახევარზე. ჩვენგან მარცხნივ დარჩა როგორც ეს სოფელი, ისე მეჯინკერტის ციხე-კოშკის ნანგრევი, რომელიც სოფელს ქვემოთ მდებარეობს დაახლოებით სამ ვერსზე. ჩვენ ავედით დავა-ბიონის ქედის სამხრეთ განშტოებაზე, რომელიც ყოფს ყარსიდან ერზრუმამდე მიმავალ ორ თითქმის პარალელურ გზას. ჩვენ მივდიოდით სასოფლო

გზით მეჯინკერტიდან ზივინამდე. ჩვენი რაზმი მიემართებოდა პერპენდიკულარულად მთავარი საფოსტო გზისაკენ და ჩაუარა ისტორიულ ადგილებს ბარდუსს, კაინლს, ზაგინს და ზივინს. გრენადერთა პოლკის მესანგრეებს და ჯარისკაცებს, მესანგრეთა ოფიცრების ხელმძღვანელობით, დიდი ჯაფით და გამალებით გაყავდათ საურმე გზა, რათა ჩვენი არტილერიისათვის მიეცათ მოძრაობის საშუალება დავა-ბოიანის ურიცხვ განშტოებათა ციცაბო კლდეებსა და აღმართებზე ასასვლელად. ოთხი-ხუთი საათის განმავლობაში ჩვენმა ინჟინრებმა დაახლოებით ათი-თორმეტი ვერსი გზა გაიყვანეს სრულიად გაუვალ და კლდოვან ადგილებში; ისეთი გზა, რომელიც, ღმერთმანი, არაფრით არ ჩამოუვარდება ჩვენი ერობის მიერ გაყვანილ გზებს... ვუყურებდი ამ მუშაობას და მის შედეგს და მე გაკვირვებული ვიყავი ერთი გარემოებით: აი გზა, არა უშავს, გვარიანია, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება სხვა ჩვენს მეორეხარისხოვან გზებს პატარა ხიდებით და ქვიანი ნიადაგით. ეს გზა ჩქარა გაკეთდა და არაფერი დაჯდომია არც ხაზინას და არც ერობას. ჩვენი გზები კი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გლეხთა უფასო შრომით კეთდება, ძალიან ძვირად უჯდება ხაზინასაც და ერობასაც. რით აიხსნება ეს?

აქ მე უნებლიეთ მაგონდება ერთი ეპიზოდი არდაგანის ლაშქრობიდან. ინჟინერ-პოლკოვნიკი ბულმერინგი, რომელმაც ერთი ღამის განმავლობაში განალაგა და მოაწყო აუარებელი ბატარეები პლატფორმებით, თხრილებით, ორმოებით და სხვა ამგვარებით, ხუმრობით გვეუბნებოდა ჩვენ:

— ეს რა სამუშაოა, ასეთი სამუშაო ფურთხის ღირსია; აქ არც ჩვეულებრივი და არც დამატებითი ხარჯთაღრიცხვაა, არც თანხების გაღება და არც ასიგნებანი; არაფერი ისეთი, რაც საინჟინრო „სამუშაოს არსს შეადგენს; მოჩიჩქნი მიწას, გააკეთებ მიწაყრილს, მოაწყობ პლატფორმას და წახვალ. ხოლო ჩვენთან, ინჟინრებთან „სამუშაო“ ეწოდება: შეშის მოზიდვას, პატარა სახაზინო შენობისა და დიდი საკუთარი სახლის აგებას. აი ეს არის მუშაობა!

ახლადგაყვანილ გზაზე ჩვენი შტაბი და მთელი რაზმი ჩუმად, უხმაუროდ, ნელა და უხალისოდ მოძრაობდა. ყველას, დაწყებული კორპუსის მეთაურიდან უკანასკნელ ჯარისკაცამდე, დაფიქრებული და მოწყენილი სახე ჰქონდა. თვით გენერალი ჰეიმანიც ჩაფიქრებული იყო. ეს ის კაცია, რომელიც ასე მხიარულად ებმებოდა ხელჩართულ ბრძოლაში. სამარისებური სიჩუმე დროგამოშვებით ირღვეოდა ცხენების ნალების რიტმული თქარათქურით და ფეხოსანი ჯარის შეწყობილი ნაბიჯებით. მეც საშინელი დაღვრემილობა ვიგრძე-

ნი და გადავწყვიტე ხმამაღლა, მხიარულად გამოვლაპარაკებოდი ბ. კუტულის, მაგრამ ჩემი ხმა და სიცილი ისეთ ველურ ეხოთ გაისმა ამ სიწყნარეში, რომ უხერხულობა ვიგრძენი და ლაპარაკი შევწყვიტე.

უცებ კორპუსის მეთაურთან მიიყვანეს ვიღაც ქურთი, რომელმაც მას კაკლისოდენა რაღაც ბურთულა გადასცა. გასაგებია, ეს, ალბათ, ერევნის რაზმის უფროსის გენერალ-ლეიტენანტ ტერგუკასოვის წერილი იყო. უკვე რამოდენიმე დღეა, რაც მისგან არაფერი ისმოდა. დადასტურებული ოფიციალური ცნობებით, რომელიც ცნობილი იყო მხოლოდ რამოდენიმე პირისათვის, ის მტრის გარემოცვაში იმყოფებოდა; რომ ერთი მხრით მის წინააღმდეგ წამოვიდა მუხთარ-ფაშა 30.000 კაცით, ხოლო მეორე მხრიდან, ვანიდან, მისკენ 12 ბატალიონამდე მეტი ჯარი მოდიოდა. ამის შემდეგ ხმები მოვიდა, რომ მან თითქოს დაამარცხა თურქები, მაგრამ ეს ცნობა მეტად საეჭვო წყაროდან იყო მიღებული. ცნობილი იყო, აგრეთვე, რომ ჩვენ მივდივართ ერევნის რაზმის საბსნელად, რომელიც საკმაოდ სუსტია. ჩვენ მივდივართ არზრუმისაკენ დემონსტრაციის მოხდენის მიზნით, რათა მუხთარის ყურადღება ტერგუკასოვს ჩამოვაცილოთ. მაგრამ მათგან, რომელთაც იცოდნენ ეს ამბები, არც ერთმა არ იცოდა სად იყო ტერგუკასოვი, გაუმკლავდა თუ არა ის მტერს, რომელიც თითქმის ხუთჯერ ძლიერი იყო მასზე და ა. შ.

კორპუსის უფროსმა ჰკითხა ქურთს —თუ ვისგან იყო ბარათი.— ტერგუკასოვისაგან, — იყო პასუხი. უფროსს მაშინვე ფერი ეცვალა, მისი სახე, რომელიც აქამდე ავადმყოფურ მწუხარებას შეეპყრო, უცებ გაბრწყინდა, ტუჩებზე ღიმილი აუთამაშდა. თვალები გაუცოცხლდა. სასიხარულო ცნობა მან მაშინვე თავის უახლოეს თანამშრომლებს გაუზიარა. ამ შემთხვევაში საქმე იმაში როდი იყო, თუ რა ეწერა ჯერ კიდევ გაუხსნელ დეპეშაში, არც იმაში, — დაამარცხა თუ არა ტერგუკასოვმა მტერი, არამედ იმაში, რომ ის არსებობს, რომ ის უძლებს ჯერ კიდევ მტერს.

მაშინვე მოაწყვეს ხანმოკლე შესვენება. ამოიღეს სატელეგრაფო შიფრის სტრიქონთარგმანი და ბარათი წაიკითხეს. ბარათის შინაარსი კიდევ უფრო სასიხარულო აღმოჩნდა. გამოირკვა, რომ ტერგუკასოვმა ათასათიანი ბრძოლის შემდეგ მოიგერია მტრის თავდასხმა, რომელიც მის რაზმზე გაცილებით უფრო ძლიერი იყო, და დაიარის პოზიციები შეინარჩუნა (ეშაკ-ეილის ახლოს, ალაშკერტის წინ); აქ ის უცდის შემდგომ განკარგულებას. უნდა დაუმატოთ, რომ ქურთი, რომელმაც დეპეშა მოიტანა, სწორედ ის პირი იყო, ვინც ტერგუკასოვს კორპუსის უფროსის დეპეშა წაუღო, რომლითაც მას ეცნობა,

რომ ჩვენი რაზმი სოღანლუღის იქით მიდის, რათა მას მუხთარის ყურადღება ჩამოაცილოს. მაშასადამე, როცა ერევნის რაზმი გაიგებს, რომ ის საკუთარი ძალების ამარა არ არის მიტოვებული, თავის ძალას გააათკეცებს და კლდის გამძლეობას გამოიჩენს.

ქურთს დაპირებული ჰქონდა ჯილდო 2000 მანეთი, თუ ის ტერგუკასოვს წერილს გადასცემდა და მის პასუხს მოიტანდა. რასაკვირველია, ქურთს ფული მისცეს.

ცოტაოდენი შესვენების შემდეგ ჩვენ ისევ გზას გავუდექით. ერთ პატარა ველზე, რომელიც დავა-ბოიანის შტოთი იყო შექმნილი, დავეწიეთ კავალერიას, რომელიც ჩვენთან გაუდგა გზას. ხევიდან ჩვენ ზევით მთის თხემზე ავედით, საიდანაც არზრუმის მთავარი გზის და თურქების პოზიციების საერთო სანახაობა უნდა გამოჩენილიყო.

როგორც კი ჩვენი რაზმის უფროსების მრავალრიცხოვანი ამალა გამოჩნდა მთის თხემებზე, მოპირდაპირე ნაპირის ერთ-ერთ სიმაღლეზე სქელი თეთრი ბოლი დავინახეთ, რომელმაც ჩქარა მთელი მაღლობი დაფარა. თურქები ჩვენ გვესალმებოდნენ. მე მაშინვე საათს დავხედე, რომ მანძილი გამეგო. ბოლის გამოჩენიდან გასროლის ხმის გაგონებამდე დაახლოებით 20 წამი გავიდა. მაშასადამე, მტრის ბატარეებს ჩვენ 6 ვერსით ვართ დაშორებული. ჩვენ ვერ გავიგონეთ ყუმბარის სროლა და არ დაგვინახავს, თუ სად გასკდა ის. ჩქარა გამოჩნდა მეორე ბოლი იმავე ადგილზე და ჩვენ ისევ გავიგონეთ გასროლის ხმა, ყუმბარის გასკდომა არსად ჩანდა. აქედან ბევრმა ჩვენთაგანმა დასკვნა გააკეთა, რომ თურქებს ზივინში მარტო სამთო ქვემეხები აქვთ.

ამ თხემიდან ჩვენ ვხედავდით თურქების პოზიციებისა და მათი მისადგომების ბოლოდ ნაწილს, მათი საერთო ხედი რომ დაგვენახა, გადავწყვიტეთ ავსულიყავით მეორე მაღლობზე, რომელიც პირველიდან მარცხნით მდებარეობდა. ჩვენ ავედით ამ ახალ მაღლობზე, საიდანაც შემდეგი სახახაობა გამოჩნდა:

მთების მაღალი ქედიდან, რომელიც არზრუმის მთავარ გზას და მდინარე ხანი-ჩაის არშიად შემოვლებოდა, რამოდენიმე განშტოება ეშვებოდა, რომელნიც ციცაბოდ დაკიდებულან მდინარეზე და გზას უღობავენ მას. ამ მთის შტოებისგან დამოუკიდებლად, ერთ ადგილას, სწორეთ სოფელ ზივინის ზემოთ, მაღალი მთაა აღმართული, რომელიც თითქოს მიწებებულა მთავარ ქედს. ამ მთის წინ გადაშლილა ფართო ტერასა, რომელიც მთიდან ღრმა ხევითაა გამოყოფილი. კიდევ უფრო ღრმა ხევები გამოჰყოფენ ამ ტერასას, ყოველი მხრიდან, ყველა მეზობელ ტერასების, გორაკებისა და ბორცვები-

საგან. ასე რომ, ეს ტერასა არსებითად წარმოადგენს პატარა კუნძულს, რომელსაც ოდნავ გამოსადეგი მისადგომი მოეპოება სამხრეთ-დასავლეთ მხრიდან, საითკენაც ეს ტერასა დამრეცად არც თუ ისე მნიშვნელოვანი ხრამით ეშვება. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მდინარისაკენ ეს ტერასა შეეულად ეშვება და, ამას გარდა, მისი ორივე კუთხე მდინარეზე გორაკის მსგავსად აიმართება, ტერასის დონეზე გაცილებით უფრო მაღლა, შემდეგ. თითქოს განგებ, ამ გორაკების წინ, რომელნიც ტერასასთან უახლოესნი არიან, დგას ორი გორაკი, რომელნიც გამოიყოფიან როგორც ტერასისაგან, ისე ჩვენი მაღლობებისაგან ღრმა და ციცაბო ხევებით. ეს ცოტაა. ჩვენგან მარცხნით, მოსჩანს მთა, რომლის გრძელი ქედი გორაკს ქმნის. ერთი სიტყვით, უნდა წარმოვიდგინოთ უზარმაზარი კედელი, მასთან მიდგმული მაგიდა (ტერასა), მაგიდის წინ ორმაგი რიგი შაქრის თავებისა, რომელნიც განლაგებულია იატაკზე და აღმართულია ტერასზე უფრო მაღლა. ამას გარდა, მარცხნით კიდევ გრძელი და ძალიან მაღალი მთაა. ამ გორაკებს შორის გადიან ნაკადულები და ნიაღვრები, რომლებიც უერთდებიან მდინარე ხანი-ჩაის. ამგვარად, ჩვენ მივიღებთ ამ ადგილების სრულ რელიეფს.

ყველაფერი ეს გაღმა არის. ჩვენი მხრით კი მთათა შტოების უწესრიგო რიგებია, რომელნიც ასე თუ ისე მდინარისაკენ ეშვებიან. ჩვენი სიმაღლიდან მტრის უახლოეს სიმაღლემდე, სადაც ბატარეებია განლაგებული, მანძილი 4 ვერსზე ნაკლები არ იქნება.

ზემოთ აწერილ ყველა გორაკზე მოსჩანს თვალბედითი ზოლები, ლენტები. ამჯერად, მათ შოკოლადის ფერი აქვთ. როგორც ეტყობა, აქ მიწა კაჟნარია. ასეთი ზოლები ყველგან მოსჩანს, გორაკების მწვერვალებზე, ტერასების კიდეებზე, მთების შტოებსა და გორებზე, მარჯვნივ, მარცხნივ. ამით დაფარულია თითქმის მთელი ჰორიზონტი, საჭირო არაა იყო ტოტლებენი და მოლტკე, რომ სთქვა — ჩვენ მიერ ნანახი პოზიციის ფრონტი არა მარტო არდაგანზე, არამედ ყარსზედაც მაგარი იქნება.

* * *

იქვე, დღის ორ საათზე.

ახლა დამთავრდა მეთაურთა თათბირი ნაწილების უფროსებთან ერთად, ე. ი. პოლკების, ბატალიონების, ესკადრონებისა და ბატარეების უფროსებთან. მათ უჩვენეს ადგილი, მიუთითეს მიზანი, შეტევის მიმართულება, მიეცათ უკანასკნელი ინსტრუქციები და ა. შ. მე შევნიშნე, რომ მიმართულების, ციცაბო გზების და საერთოდ ამ ად-

ჯილების რელიეფის შესახებ ძალიან ცოტა ცნობებია შეკრებილი. ვანლაგება საბოლოოდ შემდეგნაირად არის დადგენილი:

ბექობზე. რომელიც ჩვენგან მარჯვნით მდებარეობს, ოთხი ვერსის დაშორებით მტრის ბატარეადან, გადაწყვეტილია დადგმული იქნეს 1. 2 და 3 ბატარიები (9 გირვანქიანი) გრენადერთა არტილერიის ბრიგადისა. მათ დაევალათ სროლა აუტეხონ იმ ბატარეას, საიდანაც აქეს წინათ ორი ბოლი გამოჩნდა. ეს ბატარეები დაცული უნდა იქნენ ერევნის პოლკის ორი ბატალიონით (1 და 3), რომელნიც უნდა განლაგდნენ ბექობის დალმართზე, ბატარეის უკან. ერევნის პოლკის ორი ასევე ბატალიონი (2 და 4) უნდა წარმოადგენდნენ მარჯვენა ფრთას და შეტევაზე გადავიდნენ გენერალ-მაიორ ავინოვის მეთაურობით. ქართულ გრენადერთა პოლკის სამმა ბატალიონმა (1, 3 და 4) და თბილისის პოლკმა მთლიანად, გრენადერთა არტილერიის ბრიგადის მე-6 ბატარეასთან ერთად (4 გირვანქიანი), უნდა შეადგინოს შუა კოლონა-რაზმეული, ბ-ნ კომაროვის მეთაურობით. მარცხენა კოლონა უნდა შეიქმნას მინგრელსკი პოლკიდან, რომელსაც უნდა დაეშმაროს მეოთხე ბატარეა (4 გირვანქიანი) გრენადერთა არტილერიის ბრიგადისა, ზედერგოლმანის მეთაურობით. შემდეგ მთელი ჩვენი კავალერია. სევერსკის და ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკები, და ორი — ცხენოსან-ირეგულარული დაღესტნისა და ორი ცხენოსან-კაზაკთა ბატარეებით თერგისა და ყუბანისა იგზავნებიან შემოსავლელად სამხრეთიდან. რათა თავს დაესხან მტერს არზრუმის მხრიდან და ამით მას დასახევი გზები მოუჭრან. ჯერ არ ვიცით რა სიგრძისა იქნება ეს შემოსავლელი გზა. ერთნი შემოსავლელ გზას განსაზღვრავენ 6 ვერსით, მეორენი — 8 ვერსით და 10 ვერსითაც.

14. წერილი გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორს

„ტიფლისკი ვესტნიკის“ დიდად პატივცემულმა რედაქციამ უარი განაცხადა ჩემი წერილის გამოქვეყნებაზე. ამიტომ, მოგმართავთ თქვენ და უმორჩილესად გთხოვთ დაუთმოთ ამ წერილს რამდენიმე ბწკარი „კავკაზში“. ვიმედოვნებ, უარს არ მეტყვით ამ თხოვნის დაკმაყოფილებაზე და არ წამართმევთ შესაძლებლობას განვთავისუფლდე ჩვენი საზოგადოების თვალში იმ გამოცემის ზნეობრივი პასუხისმგებლობისაგან, რომელშიც მე უკვე არავითარ მონაწილეობას აღარ ვღებულობ. ამგვარი პასუხისმგებლობა მე მარტო იმიტომ მაწევს მძიმე ტვირთად, რომ „ტიფლისკი ვესტნიკის“[1] რედაქციამ არა ერთხელ მოიხსენია ჩემი სახელი თავის გაზეთის ფურცლებზე, სადაც თანამშრომელსა და „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქციის წევრსაც კი მიწოდებს.

მოწყალეო ხელმწიფევ, მიიღეთ ჩემი დიდი პატივისცემა.

ნ. ნიკოლაძე

7 ივლისი 1877 წ.
ქ. თბილისი.

„ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქტორისათვის გაგზავნილი წერილის ასლი

„მოწყალეო ხელმწიფევ, იმის გამო, რომ ბევრი თქვენი მკითხველი პატივს მდებს და არა მარტო „ტიფლისკი ვესტნიკის“ თანამშრომლად მთვლის, არამედ თქვენი რედაქციის მუშაობაშიც მონაწილეობას მაწერს, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ განაცხადოთ, რომ მე დიდი ხანია აღარ ვმონაწილეობ ამ მუშაობაში და რომ, ჩემდა სამწუხაროდ, გარემოება იძულებულს მხდის საერთოდ უარი განვაცხადო თქვენს გაზეთში თანამშრომლობაზე.

ვსარგებლობ ამ შემთხვევით და გთხოვთ დასძინოთ, რომ ჩემი «Походныя письма» და «Походный дневник» შეამცირეს, ცხადია, თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, რამაც. მნიშვნელოვნად შესცვალა კორესპონდენციების საერთო აზრი და ხასიათი.

ნ. ნიკოლაძე

5 ივლისი 1877 წ.

ქ. თბილისი.

15. წერილები კვლავ ბრძოლის ველიდან

1

ბანაკი ყარაიალთან, 4 სექტემბერი.

მხოლოდ მესამე დღეს მივაღწიე ოქუმიდან ყარაიალის მთაზე განლაგებულ ბანაკამდე, სადაც აგვისტოს დამლევს საალყო არტილერიის შტაბი მოვიდა. ამჟამად აქ არის დიდი მთავარი, მეფისნაცვალი კავკასიაში, რომელმაც ეს-ეს არის მთავარსარდლობა მიიღო. არ ვიცი რა იქნება, მაგრამ დარწმუნებული ვარ საქმე გამოკეთდება და უკეთ წავა, ვიდრე ადრე მიდიოდა. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ახლა ბევრი რამის მოპოვება ძალიან დიდი შრომით მოგვიხდება, როცა ადრე, ომის დასაწყისში, ყველაფერს ადვილად ვახერხებდით.

თქვენ უკვე იცით, რომ ამ ორი თვის წინათ, უმაღლესი ბრძანებით, ჯარის გვარდიის ნაწილებიდან გამოგზავნეს ყველა სახეობის იარაღი და რამოდენიმე ოფიცერი, რომლებიც აქაური ჯარის ნაწილებში თანაბრად გაანაწილეს. მაგრამ მას შემდეგ, რაც გვარდიის კორპუსის მობილიზაცია გამოცხადდა და გვარდია დუნაისაკენ გაემართა, გვარდიის ყველა ფეხოსანი ოფიცერი თავიანთი ძველ ნაწილებში მოითხოვეს და, როგორც მე გავიგე, აქედან ისინი ყველანი დღესვე დილით გაემგზავრნენ დუნაიზე. გვარდიის ნაწილებიდან ფეხოსანი ოფიცრობა აქ ძალიან ბევრი იყო, ოთხ-ოთხი კაცი ფეხოსანთა თითეულ პოლკში, მაშასადამე, დაახლოებით მთელ კორპუსში 50 გვარდიელი იყო. გვარდიის არტილერიის ოფიცრები აქ ძალიან ცოტაა და ამიტომ მათ დუნაიზე ჯერ არ მოითხოვენ. გუშინ, როგორც ამბობენ, მათ შესახებ აქედან გვარდიის განსაკუთრებული კორპუსის შტაბის უფროსს გენერალ ადიუტანტ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს გაეგზავნა ტელეგრამა — შეიძლება თუ არა აქედან დუნაიზე გაიგზავნოს გვარდიის არტილერიის ოფიცრებიო, მაგრამ პასუხი ამ დეპეშაზე ჯერ არ მიუღიათ.

სიცივე აქ საკმაოდ საგრძნობია, განსაკუთრებით ღამ-ღამობით,

იძულებულნი ვართ თბილად ჩავიცვათ დღისითაც. ჩვენ აქ ამჟამად უკვე თბილ ხელთათმანებს და თბილ ბეწვიან ტანსაცმელს ვატარებთ. რა იქნება შემდეგ, როცა დადგება შემოდგომა ან ზამთარი? ამჟამად ღამ-ღამობით მთებში, სადაც ჩვენი ბანაკია განლაგებული, წყალი იყინება. აი ნამდვილი უბედურება, მძიმე სალაშქრო ცხოვრება მაშინ მოგვიწევს, როცა ჩვენ ბრძოლა მოგვიხდება არა მარტო მტერთან, არამედ ბუნებასთან და უამინდობასთანაც. მხოლოდ თბილ ქვეშაგებს და თბილ საცვლებს შეუძლია გვიხსნას გაცივების, ავადმყოფობისა და სხვა არასასიამოვნო მოვლენებისაგან. ვისაც შეუძლია უკვე იმარაგებს თბილ ტანსაცმელს.

ბანაკში მე თავი შევაფარე ერთ კარგ ძმაკაცს, ოფიცერს, რომელთანაც ერთად ვინაწილებ სალაშქრო ცხოვრებას და არც თუ ადვილად ასატან სიძნელეებს. ამ დღეებში ბანაკში ხმა გავრცელდა, რომ თათრები, რომელნიც ჩვენ პირდაპირ იდგნენ, აპირებენ მოკლე ხანში მთელ ხაზზე შემოგვიტიონ, ალბათ, ზომავალ სიცივეებთან დაკავშირებით და იმის გამო, რომ ამ პირობებში ძნელია დიდხანს დარჩე პოზიციაზე. ალბათ, იმასაც ანგარიშობენ, რომ მაშველი ძალა მოუვათო; ადვილი შესაძლებელია ყველაფერი ეს ასეც მოხდეს. სხვათაშორის, როგორც კი მაშველი ჯარი მოგვივა, ჩვენ წინ წავალთ, მაგრამ რამდენად შორს გავიწევთ, ეს ჯერ არ ვიცით. ყარსის მხრიდან შორს, მთებში თოვლი მოსჩანს.

ეს-ეს არის გავიგე ახალი ამბავი და ვჩქარობ გაცნობოთ. პასუხსაც ვაგებ ამ ცნობის სისწორეზე. ღამით, 25-26 აგვისტოს, მძარცველთა ერთმა ჯგუფმა, დაახლოებით 200 კაცმა, გაარღვია საპიკეტო ხაზი კუგიულიუკსა და გულუჯას შუა, გავიდა არაქსზე, თავს დაესხა მცურმეებს, აშოხოცა ისინი და, შეხვდა რა ყუბანის ფეხოსანთა პოლკს, მოერიდა მას, თავს დაესხა სარდარაბადას და ბრძოლა გაუმართა ტამპელების ნახევარ ასეულს. ჩვენმა კაზაკებმა დროზე მიუსწრეს მათ და მძარცველებს ხელიდან გამოგლიჯეს დარბეული სოფელი. მძარცველებმა 12 კაცი დაკარგეს. როგორც კი დაბრუნდნენ არაქსზე, და მიაღწიეს კიუხვიდან გულუჯისაკენ მიმავალ გზას, მათ ისევ დაესხა თავს კაზაკების ორი ასეული. მძარცველების მთელი ბრბო, იმ საფრთხის გამო, რომელიც მას მოელოდა, მაშინვე გაიყო სამ ჯგუფად. ამათგან ორი ჯგუფი წავიდა, მათ მოუკლეს მხოლოდ ერთი კაცი, მესამეს კი თავს დაესხა ხოპერელთა ორი ასეული, რომლებმაც კლდოვანი და უსწორმასწორო ადგილის გამო ვერ შესძლო დაეკავებინა მძარცველები, ან გზა გადაეჭრა მისთვის, მაგრამ კარგა ხანს სდიეს მათ, მოუკლეს ერთი ოფიცერი და სამი ბაშიბუზუკი,

ამას გარდა, ტყვედ წამოიყვანეს ათი კაცი, როგორც ჯანსაღნი, ასე-ვე დაჭრილები. წაართვეს, აგრეთვე, ნაძარცვი. ამ შეტაკების დროს ჩვენებს არ დაკარგვიათ არცერთი კაცი არც დახოცილთა და არც დაჭრილთა სახით. მთელ ამ ბრძოლებში ჩვენი დანაკარგი ორი მოკლული და ორი დაჭრილი კაზაკისაგან შედგება. ამათ გარდა, სამდარაბადთან მოკლულია ორი სომეხი. მეურმეებზე პირველი თავდასხმის დროს. მძარცველებმა მოკლეს 27 უიარაღო სომეხი, რომელთაგან ორი, არც თუ მძიმედ დაჭრილნი, დიდი ტანჯვით ცეცხლში დაწვეს. დაჭრეს, აგრეთვე, სომხებთან მყოფი ორი ბავშვი 12-12 წლის. და თუ ისინი ცეცხლში არ დაწვეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ შენიშნეს ურემზე საერთო აურზაურში. ბავშვები დაჭრილნი იყვნენ, მათ ხმა გაკმინდეს და მოთმინებით იტანდნენ ჭრილობებით გამოწვეულ ტანჯვას, რათა მტერს მათი ყვირილი არ გაეგონა.

დასასრულს ნება მომეცით რამოდენიმე სიტყვა ვთქვა თბილ ტანსაცმელზე, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, მათი გამოგზავნის შესახებ ჩვენთან. აქ, აშკარად, ძალიან ძნელია რაიმე კარგი თბილი ტანსაცმლის შოვნა. თუ იშოვე რამე, ისიც უვარგისია და ძალიან ძვირად ფასობს. ოფიცრების უმრავლესობა, როდესაც აქ მოემგზავრებოდა კამპანიის დასაწყისში, არ ელოდნენ. რომ აქ ასე საგრძნობი სიცივე იქნებოდა. ამიტომ ლაშქრად წასვლის წინ ისინი თბილი ტანსაცმლით არ მომარაგებულან. ამჟამად, როდესაც ამაზე აუცილებლობა შეიქმნა, აქ მყოფმა ოფიცრებმა თხოვნით მიმართეს თავიანთ ნათესავებს, ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ გამოუგზავნონ თბილი ტანსაცმელი. მაგრამ მათი ამ საფუძვლიანი თხოვნის შესრულება შეუძლებელია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ, საფოსტო უწყების გახკარგულების თანახმად, ფასიანი თუ უფასო ამანათები, რომელნიც მოქმედ არმიაში იგზავნება, არ უნდა აღემატებოდეს 6 გირვანქას. ამანათებს, რომლებიც მოქმედ არმიაში იგზავნება და 6 კგ. მეტს იწონის, არც კი ღებულობენ პეტერბურგში და სხვა ქალაქებში. ჩემი სიტყვების დასამტკიცებლად მოვიყვან ფაქტს, რომელიც შეიძლება თქვენ ანეგდოტად ჩათვალოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს უტყუარი ჭეშმარიტებაა. ერთ ოფიცერს უნდოდა თავისი ხმალი ფოსტით გაეგზავნა. ხმალი 6 გირვანქაზე მეტს იწონიდა, ამიტომ ფოსტაში არ მიიღეს. მაშინ ხმლის პატრონმა ასე გააკეთა: თვით ხმალი ერთი ამახათით გაგზავნა, ხოლო ქარქაში — მეორეთი. მაგრამ როგორ გინდათ გამოგზავნოთ თბილი პალტო, რომელიც 10-15 გირვანქას იწონის? ხომ არ დაჭრით პალტოს ნაწილ-ნაწილ და ისე ხომ არ გამოგზავნით? აქ, ალბათ, რაღაც გაუგებრობაა. ამ

ფაქტს მე პრესის ფურცლებზე ვაქვეყნებ. ეგებ ჩემმა განცხადებამ ამ გაუგებარი მოვლენის განმარტება გამოიწვიოს.

2

ბანაკი ყარაიალთან, 6 სექტემბერი.

გ. კ. გრადოვსკის გამგზავრებასთან დაკავშირებით, გადავწყვიტე მოგაწოდოთ ცნობები კავკასიისა და მცირე აზიის სამხედრო მოქმედების ასპარეზიდან, რათა საქმის დღევანდელი მდგომარეობა გაგაცხოთ.

დაუყოვნებლივ, როგორც კი გამოცხადდა ომი, ჩვენი ჯარები აზიური თურქეთის საზღვრებში შეიჭრნენ ოთხი მხრით. უნდა ითქვას, რომ ომის მოლოდინში, თურქეთ-კავკასიის საზღვრებზე ჩამოყალიბდა ერთი „მომქმედი კორპუსი", შემდგარი სამი რაზმისაგან, რომელთა საერთო ხელმძღვანელი იყო გენერალ-ადიუტანტი ლორის-მელიქოვი. ამ სამი რაზმიდან, რომელთაგანაც ეს „მომქმედი კორპუსი" შესდგებოდა, პირველი იყო — „ერევნის" (მარცხენა ფრთა), — გენერალ-ლეიტენანტ ტერგუკასოვის მეთაურობით, მეორე — „მთავარი ძალების" (ცენტრი), გენერალ-ლეიტენანტ ჰეიბანის მეთაურობით, აქვე იყო თვით კორპუსის მეთაური, და მესამე — „ახალციხის" (მარჯვენა ფრთა), რომელსაც გენერალ-ლეიტენანტი დეველი მეთაურობს. ამ „კავკასია-თურქეთის საზღვარზე მომქმედ კორპუსს" უნდა განეხორციელებია ის ამოცანები, რასაც მას დაუსახავდა კავკასიის ჯარების მთავარსარდალი. იმავე დროს, დროებით მომქმედი კორპუსის მეთაურს არ ქონდა უფლება სამეურნეო-სასურსათო საქმეებში ჩარევისა. ამ კორპუსისაგან სრულიად დამოუკიდებლად ქუთაისის გუბერნიაში ჩამოყალიბდა „რიონის რაზმი", რომელსაც გენერალ-ლეიტენანტი ოკლობჟიო მეთაურობდა, რომელსაც, აგრეთვე, კავკასიის ჯარების მთავარსარდალი ხელმძღვანელობდა. მთავარი კორპუსის მიზანი იყო, პირველ რიგში, ბაიაზეთის, ყარსის, არდაგანის და არზრუმის აღება. რიონის რაზმისა კი — ბათუმის.

გადალახეს თუ არა საზღვრები, ჩვენმა ჯარებმა, პირველ რიგში ერევნის რაზმმა, აიღო ბაიაზეთი და ეფრატის ხეობისაკენ გაემართა; ახალციხის რაზმი, არდაგანის აღების შემდეგ, ცენტრის ძალების ნაწილებს შეუერთდა, მივიდნენ ყარსესთან და ზაიმთან დაბანაკდნენ. ბრძოლის ამ ფრონტზე, ეგრეთწოდებულ სომხეთის ფრონტზე, თურქებმა თავიანთი თავდაცვის პირველი სისტემა გამოამეღავნეს,

რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ გაეყვახათ თავიანთი საველე ძალები არზრუმისაკენ და მხოლოდ ციხე-სიმაგრეები დაეცვათ. ამ სისტემამ ჩვენ შესაძლებლობა მოგვცა დაგვეკავებინა ერზრუმის ვილაეთის ნახევარი, რითაც მტერმა დაკარგა შესაძლებლობა საომარი და სასურსათო მარაგი მიეღო ჩადირის (არდაგანის), ყარსის და ბაიაზეთის სანჯაკებიდან. მაგრამ ერთი კორპუსის ძალა, რომელიც ფეხოსანთა სამი დივიზიისაგან შესდგებოდა, სრულიად არ იყო საკმაო ყარსის ასაღებად, ბით უმეტეს ბლოკადისათვის, ვინაიდან, გარდა ამ ციხის გარნიზონისა და არდაგანისა და ბაიაზეთის საზების დამცველი რაზმებისა, მხედველობაში უნდა მიგვეღო მუხთარ-ფაშას საველე ნაწილები, რომელნიც სოღანლუღში იდგნენ. თუმცა ცნობილი იყო, რომ ომის ამ ხაზზე, ბრძოლების დასაწყისს თურქები მოუმზადებელნი შეხვდნენ, მაგრამ მუხთარ-ფაშას დამხმარე ძალები, როგორც ზღვით, ისე ხმელეთით, ყოველდღე მოსდიოდა. გარდა ამისა, მისი ძირითადი ძალებიც სრულიად საკმაო იყო ხელ შეეშალათ ალყისათვის, თუ რომ ამას ჩვენი ძალები გადაწყვეტდნენ. პირველი მოსაზრება, რომელიც არდაგანის აღებასთან ერთად წამოიჭრა, — მიგვეტოვებინა ყარსი სუსტი სამეთვალყურეო რაზმის ამარა და მთელი ჩვენი ძალებით დავძრულიყავით მტრის საველე ძალების წინააღმდეგ. სანამ მას ჯერ კიდევ დამხმარე ძალები არ მიეღო, — არ იქნა შესრულებული. გადაწყვეტილი იყო გვემოქმედნა მხოლოდ ყარსის წინააღმდეგ, მაგრამ არა ბლოკადით და ნორმალური ალყის შემორტყმით, ამისათვის ძალები არ გვეყოფოდა, არამედ პირდაპირ შეტევით, შტურმით. ეს შეტევა ჩვენ მოვამზადეთ მტრის ზოგიერთი მოწინავე სიმაგრეების ბომბარდირებით ჩვენი საალყო ქვემეხიდან. მუხთარ-ფაშას ყურადღება რომ შემტევი კოლონებიდან სხვაგან გადაგვეტანა, სოღანლუღიდან სამხრეთით დაძრულ იქნა ერევნის რაზმი, რომელიც შედგებოდა მხოლოდ 7 ფეხოსანი ბატალიონისაგან, — არტილერიისა და კავალერიის სათანადო რაოდენობით.

მუხთარ-ფაშამ თავისი მთავარი ძალები ერევნის რაზმის წინააღმდეგ გადააჯგუფა და ვინაიდან ის ზურგში მოექცა, ერევნის რაზმი კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა: მას მტერი ორი მხრით ეძუქრებოდა, ხოლო ორი სხვა მხარე გაუვალი მთებით იყო გარშემორტყმული. ამან აიძულა კორპუსის ნახევარი სოღანლუღისაკენ დაძრულიყო, რათა მუხთარ-ფაშას ყურადღება ერევნის პოლკს ჩამოცილებოდა. ეს მიზანი მიღწეულ იქნა, და მუხთარ-ფაშასაგან გახთავისუფლებული ერევნის რაზმი წავიდა იგდირისაკენ და ბაია-

ზეთის გარნიზონი გაანთავისუფლა, მაგრამ ჩვენ არ დავკმაყოფილდით მიღწეული სტრატეგიული მანევრით, სოღანლუღისაკენ წასვლით, და ამიტომ გადავწყვიტეთ შეგვეტია თურქების ფრთისაკენ, რომელიც გამაგრებული იყო სოფელ ზევინის ზევით. ამ შეტევამ დადებითი შედეგი არ მოგვცა და ჩვენი რაზმი ისევ ყარსის მისადგომებს დაუბრუნდა.

ამის შემდეგ, კვალდაკვალ დაიძრა მუხთარ-ფაშაც, მაგრამ საკმაოდ საპატიო მანძილზე. მან მოასწრო ციხე-სიმაგრის გარნიზონი მოემარაგებინა საკმაო რაოდენობის სურსათ-სანოვაგით და საჭირო მასალებით, თითონ კი გამაგრებული ბანაკი შექმნა ალაჯაგის დალმასთან, ყარსის აღმოსავლეთით, ციხე-სიმაგრესა და ჩვენს საზღვრებს შორის. მისმა მოძრაობამ ჩვენი ჯარები აიძულა ქიურ-დარასაკენ დაეწია.

ამავე დროს, რიონის რაზმმა, რომელიც თავისი რაოდენობით მთელ ძოწენიდ კორპუსს არ ჩამოუვარდებოდა, ვერ შესძლო დაძრულიყო ბათუმისაკენ ზღვის გასწვრივ მიმავალი გზით, რადგან წმ. ნიკოლოზის სიმაგრესთან გაჩნდნენ ოსმალეთის ჯავშნოსანი გემები და ჯალიბს სროლა აუტეხეს. საჭირო შეიქნა ახალი გზების გაყვანა ოსმალეთის ფარგლებში მყოფი საქართველოს ჭაობიან და ხეებით დასერილ ადგილებში. ამ მუშაობამ ჯარების მოძრაობა შეაფერხა ორი თვით. ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ რაც აფხაზეთს თავს დაესხა ოსმალეთი, ამ რაზმის ნაწილი, მაისის შუა რიცხვებში, დაკავებული იყო სამურზაყანოსა და სამეგრელოს დაცვით. გურიაში დარჩენილი რიონის რაზმის ნაწილიდან ქობულეთის რაზმი შექმნეს, რომლის მეთაური იყო გენერალ-მაიორი დენიბეკოვი. თურქების სადესანტო ჯარების წინააღმდეგ გაგზავნილმა ნაწილმა კი შექმნა ეხგურის რაზმი, რომელსაც გენერალ-მაიორი ალხაზოვი მეთაურობდა. ორივე ეს რაზმი რიონის რაზმის ნაწილი იყო და მეთაურობდა იგივე ოკლობჟიო.

ქობულეთის რაზმმა მოასწრო ნახევარი გზის გაყვანა ოზურგეთიდან ბათუმამდე, — თურქეთის გამაგრებულ პუნქტ ციხისძირამდე ძიაღწია და დაიწყო მასზე შეტევა. ეს შეტევა უშედეგო აღმოჩნდა და რაზმი იძულებული გახდა დაეხია ჩვენი საზღვრებისაკენ. ამის შემდეგ, მას თავდაცვითი პოზიცია უჭირავს მუხაესტატეს პოზიციებზე.

ენგურის რაზმსაც დიდხანს თავდაცვითი მდგომარეობა ეჭირა. მაგრამ მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა ცნობა, რომ თურქებს განზრახვა აქვთ თავიანთი ჯარები გადაიყვანონ კავკასიიდან დუნაიზე,

სამი რაზმის შეერთებულ ძალებით, — ენგურის რაზმისა და შავი ზღვის ოლქის ჯარებით, დაკავებულ იქნა სოხუმ-კალე. ამ რაზმის საქმიანობა ჯერჯერობით ამით ამოიწურა.

თავის მხრივ, ერევნის რაზმი, გახთავისუფლდა თუ არა მუხთარ-ფაშას გარემოცვისაგან, უკან დაბრუნდა და შემოუარა თურქეთის რაზმს ქარვანსარაის გადასასვლელის მეშვეობით. თურქების რაზმს ალყა ქონდა შემორტყმული ბაიაზეთის გარშემო. ერევნის რაზმი მოვიდა იგდირში, შეივსო იქ თავისი მარაგი და ბაიაზეთისაკენ დაიძრა. იხსნა რა ამ ქალაქის გარნიზონი, კვლავ რომ არ მოეწყვიტა ის თურქების განახლებულ ძალებს, რომელნიც მას შემოვლას უპირებდნენ, გვერდიდან, იგდირისაკენ დაიხია.

ალაჯაში მოკალათებული მუხთარ-ფაშა, პირველ ყოვლისა, შეეცადა ჩვენი მთავარი ძალები დაესუსტებინა ისმაილ-ფაშას დივერსიით ერევნისაკენ. ისე როგორც ომის დასაწყისში ჩვენ შევასუსტეთ ჩვენი ცენტრი მარჯვენა ფრთის სასარგებლოდ, აგვისტოს დასაწყისში ასევე მოვიქეცით მარცხენა ფრთის სასარგებლოდ. მაგრამ ისმაილ-ფაშამ არავითარი სერიოზული გადაჯგუფება არ მოახდინა, ცენტრის დასუსტებამ კი ჩვენ არ მოგვცა საშუალება მუხთარ-ფაშას წინააღმდეგ სერიოზული ოპერაციები ჩაგვეტარებინა. რადგან თურქებს ძალიან სერიოზული ძალები აღმოაჩნდათ, იძულებული შევიქენით, 6 აგვისტოს, დემონსტრაცია-რეკოგნოსციროვკით დავკმაყოფილებულიყავით. ამის შემდეგ, 13 აგვისტოს, თურქებმა მოულოდნელი თავდასხმით ყიზილ-თაფას მთაზე მნიშვნელოვანი პოზიცია დაიკავეს, რამაც მათ საშუალება მისცათ მთიდან დაბლა დაშვებულიყვნენ, ხოლო ჩვენ გვაიძულა დაბლობიდან ყარაიალის მთაზე ავსულიყავით. 13 აგვისტოს 13 საათიანმა ბრძოლამ მხოლოდ ის შედეგი მოგვცა, რომ თურქებს არ მივეცით საშუალება ჩვენთვის ზურგიდან შემოევლოთ. ამის შემდეგ, პირველად ომის დაწყებიდან, დავიწყეთ პოზიციების გამაგრება, ბანაკს თხრილები შემოვავლეთ და ა. შ.

14 აგვისტოს, ალექსანდრეპოლიდან ჩვენთან მოვიდა კავკასიის არმიის მთავარსარდალი და თითონ მოჰკიდა ხელი კორპუსის სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელობას, ხოლო ლორის-მელიქოვს დაევალა მისი განკარგულებები მოეყვანა სისრულეში. ამგვარად, მთავარსარდლის ბრძანებამ განსაზღვრა ის ურთიერთობა, რომელიც დამყარდა ომის დასაწყისიდან.

ოთხივე ადგილას, კავკასია-თურქეთის საზღვართან, ჩვენი ჯარები ჯერჯერობით უძრავად დგანან მტრის პირისპირ. მარჯვენა ფრთაზე, ქობულეთის რაზმის ჯარებს უჭირავს ზუხა-ესტატეს პოზიცია, საზღვართან ახლოს, — ოზურგეთიდან 8 ვერსზე. 12 აგვისტოდან მათ მოუხდებათ სასტიკი თავდაცვითი მდგომარეობა დაიკავონ მტრის წინააღმდეგ, რომელსაც ციხისძირში აქვს გამაგრებული ბანაკი, ხოლო მისი საავანგარდო ბანაკი სოფელ ლეღვაშია. სამხედრო მოქმედების ამ ასპარეზზე (ეგრეთწოდებულ ლაზისტანისა), მიუხედავად რამოდენიმე შემოტევისა, მტერი დღემდე არ ამჟღავნებს სერიოზული შემოტევის სურვილს. დერვიშ-ფაშას, რომელიც აქ ჯარებს სარდლობს, დაახლოვებით 20 ბატალიონი ჯარი ყავს. ამბობენ, რომ მისი ჯარებიდან ნაწილი დუნაისკენ იგზავნება, ხოლო ნაწილი ბათუმის, ართვინის და არტანუჯის გავლით არდაგანისაკენ დაძრეს, სადაც ჩვენს ჯარებს თავდაცვითი პოზიციები უჭირავთ. ამას წინათ არდაგანის მიმართულებით დაიძრა, აგრეთვე, რვა ბატალიონი, მუხთარ-ფაშას მთავარი ძალებიდან, რომელნიც ამჟამად არფაშენში არიან გახლაგებულნი, ყარსიდან 50 ვერსზე, — ყარს-არდაგახის გზაზე.

ყარსსა და ალექსანდროპოლს შუა, ჩვენ ჯარებს, როგორც ცნობილია, სტრატეგიული და ტაქტიკური თვალსაზრისით უფრო ხელსაყრელი პოზიცია უჭირავთ ქიურუქდარიდან ოგუზლამდე. მთა ყარაიალი, რომელიც შუაშია აღმართული, გამაგრებულია. თურქები ჩვენგან სამხრეთით არიან განლაგებულნი, ალაჯას ძირში, ყიზილთაფიდან იაგნამდე. მუხთარ-ფაშას აქ მცირე აზიის საუკეთესო თურქების ყველაზე უკეთესი ჯარის ნაწილები ყავს, რომელიც 83 ბატალიონიდან შედგება. ორივე მხარე მარჯვე შემთხვევის მოლოდინში არიან.

მარცხენა ფრთაზე, ერევნის რაზმი, რომელიც გამაგრებულ იქნა სათანადო ძალებით კორპუსის მთავარი ძალებიდან, იცავს არაქსის დაბლობს კულვიდან იგდირამდე. მისი ავანგარდი გულიუჯში და აბასგელშია და მტერს არ უშვებენ არაქსის დაბლობამდე. კულპებში კი ჩვენები ემუქრებიან და ხელს უშლიან კავშირის დამყარებას მუხთარსა და ისმაილს შორის. აქ მტერს უჭირავს ჩინგილისა და აგრიდაგის ქვდების ჩვენსკენ მომართული დაღმართები. ამასთან, მისი ირეგულარული კავალერია, შემოიჭრება რა ჩვენს ავანპოსტებში, ხშირად არქარის დაბლობის უახლოეს სოფლებამდე აღწევს. მაგალითად, ასეთი სოფლებია: ხოლფალი, არგაჩა და სხვ. საკმაო სარწმუ-

ნო წყაროებიდან ცნობილია, რომ იზმაილ-ფაშას*, რომელიც აქ თურქების ჯარებს სარდლობს, არ ყავს 30 ბატალიონზე მეტი ფეხო-
რომელიც უმეტესად რედიფებისაგან შესდგება.

ასეთია ორივე მხარის მებრძოლი ძალების განლაგება მცირე აზიაში. თუ სად მოხდება პირველი სერიოზული შეტაკება — ეს არის ყველაზე საკაძათო და არსებითი საკითხი იმ საკითხებს შორის, ორმელსაც აღელვებენ და სთიშავენ სამხედრო საკითხებში დახელოვნებულ სპეციალისტებს. საით გადაიტანენ თურქები ბრძოლის სიმძიმის ცენტრს—ერევანში, ყარაიალსა, არდაგანსა თუ ოზურგეთში. ან სად ეხდა ვიყოთ ჩვენ უფრო ძლიერნი, — აი „სამხედრო ძოკაბა". რომელსაც გადაწყვეტენ ჩვენი სპეციალისტები. ჩვენ არ შევიერეპით მათი სპეციალობის სფეროში, მაგრამ თუ ვიმსჯელებთ უბრალო დაკვირვების შიხედვით, უნდა ითქვას, რომ მთავარი მიზანი იქ არის, სადაც მტრის მთავარი ძალებია თავმოყრილი. ამიტომ, მე ვფიქრობ, დღეგანდელი კამპანიის კვანძის გასსნა მოსალოდნელია ალაჯალსა და ყარსს შუა. ხოლო სხვა უბნებზე შეტაკებას მხოლოდ სადივერსიო ხასიათი ექნება, ანდა მოქმედება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ მიმაროულებას მიიღებს ბრძოლა ამ უბანზე.

თქვენ იცით, რომ ჩვენ აქ ახალ დამხმარე ძალებს ველით. ესენი იქნებიან, უმთავრესად, გრენადერთა პირველი დივიზიის ჯარები; მისი პირველი ეშელონი უკვე მოვიდა გუშინ, დანარჩენებსაც დიდაანს არ დააგვიანდებათ. ასე რომ, როცა თქვენ ამ კვერდებს წაიკითხავთ, ყველა მაშველი ძალა ადგილზე იქნება. შესაძლებელია ჩვენ მაშინ ძეტევაზე გადავალთ და მტერსაც დავამარცხებთ, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ პირდაპირ მისი სიმაგრეების ფრონტზე არ მივადგებით და დაკიცავთ ძალების ეკოხოძიას იმ გზით, რომ მტერს რაიმე მანევრით ზურგში მოვექცევით. მაგრამ მოიცდის თუ არა მტერი ჩვენი მაშველი ჯარების ძოსვლამდე და მოისურვებს თუ არა დაიწყოს ბრძოლა მასამ, სანამ ჩვენი მაშველი ძალები მოვლენ, — აი, ესეც საკითხავია.

---

* იზმაილ-ფაშას, რომელიც ამ რაზმს მეთაურობს, არაფერი აქვს საერთო იმ ისმაილ-ფაშასთან, რომელიც ზეინში მეთაურობს ჯარებს. იზმაილ-ფაშა არზრუმის ვალად (ვუბერნატორად) რჩება, მაშინ როდესაც ისმაილ-ფაშა ვანის ვალი და ვანის ჯარების მეთაურია.

3

ბანაკი ყარაიალთან, 7 სექტემბერი.

მუხთარ-ფაშას ჯარებთან გადამწყვეტი ბრძოლის მოლოდინში, ჩვენი ძალები დროგამოშვებით მსუბუქი შეტაკებებით და მტრის ბანაკის მოწინავე პოზიციებზე გაბედული თავდასხმებით კმაყოფილდებიან. თავისთავად ცხადია, რომ ეს შეტაკებები და თავდასხმები სრულიად არავითარ შედეგს არ იძლევიან, გარდა იმისა, რომ ღლიან მტრის ჯარებს და ნაწილობრივ ჩვენებსაც. სხვანაირ გარეობას გვანიშებს ჩვენ ის ხმები და ცნობები, რომელსაც დროგამოშვებით გვახვდიან მზვერავები იმის შესახებ, თუ როგორ ემზადება და მუშაობს მუხთარ-ფაშა ჩვენს პოზიციებზე თავდასასხმელად. ჯარებს განკარგულება ეძლევათ იყვნენ მზად, ვაძლიერებთ პიკეტებს. გაბურებულია სადარაჯო სამსახური, ყოველ საღამოს ღილებიანი ვიჯიცებთ, ბოლო დღეს ვიცინით... ასე იყო 13 აგვისტოსაც. ერთი კვირის განმავლობაში მზვერავები გვატყობინებდნენ, თუ როგორ ემზადება მტერი ჩვენზე თავდასასხმელად. პირველ ხანებში ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ამ მოსალოდნელი თავდასხმისადმი, ბოლოს კი იმდენად დავკარგეთ რწმენა ამ ხმებისადმი, რომ ყიზილ-თაფა დაუცველად და უარტილერიოდ დავტოვეთ.

სხვათაშორის, ჩვენთან მეტად საინტერესო სამზადისი მიმდინარეობს, და თქვენც რომ შეგეძლოთ ღირსეულად შეაფასოთ ის ცვლილებები. რომლის შესახებაც მე ძიხდა გესაუბროთ, ჯერ უნდა მოგაგონოთ ერთი ჩვენი უცნაურობათაგანი. ნათქვამია — „ბეფის სამსახური არ იკარგებაო“. ეს სიტყვები ჩვენში აქამდე ისე ესმოდათ, თითქოს ვინც ერთხელ ხაძდვილად თუ წარმოდგენით ემსახურა ბეფეს, იმას თავისუფლად შეუძლია ყოველგვარი შეცდომა ჩაიდინოს, ანდა გაუფრთხილებლობა გამოიჩინოს. სდებოდა ისეც, რომ გამოიჩესდა ვინმე თავს იჩკერთან, ვთქვათ, ორი მოკრილი მუხის აღების დროს და მისი კარიერა უზრუნველყოფილი იყო სამუდამოდ. მიუხედავად ჩამორჩენილობისა, შეცდომებისა და აცილებისა, იგი თითონ იქცეოდა ისეთ ზვავად, რომელსაც ვერავითარი შეტევით ვერ შემოუვლის და ვერ გაუსწრებს ვერავითარი ტალანტები. სამსახურით უფროსობა ჩვენთან პირველობისათვის, უფროსებისათვის ბრძოლის ერთგვარ უფლებად გადაიქცა.

ჩვენი ჯარების პირველივე მოძრაობამ და განსაკუთრებით მტერთან პირველმა შეტაკებამ გამოაშკარავნა ის ამბავი, რომ ჩვენ არ გვყოფნის გენერლები, რომელთაც შეუძლიათ სამხედრო ხელოვნე-

ბის თანამედროვე დონეზე იდგნენ, იცოდნენ საქმე და იყვნენ რაზმებისა და ხაწილების ენერგიული და გოხიერი მეთაურები. ეს ნაკლი იმდენად საგრძნობი იყო, რომ კორპუსის უფროსს არ ქონდა შესაძლებლობა შეჩერებულიყო ცოტად თუ ბევრად რთულ სამხედრო გეგმაზე, რომელიც მოითხოვდა ოპერაციების წესიერ და ზუსტ შესრულებას ყოველ ცალკეულ ხაწილთან კავშირში.

ეს ნაკლი რომ თავიდან აგვეცილებინა, საჭირო შეიქნა ენერგიული ზომების მიღება, რასაც არ შეუშინდა კავკასიის არმიის მთავარსარდალი, დიდი მთავარი, რომელიც ხელმძღვანელობს იმ მოსაზრებით, რომ თვითონ პრაქტიკა ყაძოსყევს წინ სამხედრო ნიჭს კრიზისის დროს და გადაძწყვეტ მომენტში შემსრულებლის გონიერებასა და ხასიათს უნდა დაუკვირდე და არა მის ხხოვანებას. ჩვენმა ძთავარსარდალმა, რაძდენადაც მე ეს უტყუარი წყაროებიდან დავადგინე, სარგებლობს რა გამოცდილებით, წინ წამოსწია ახალგაზრდები, რომელთაც თავიანთი უპირატესობა ნიჭით და საქმით დააძტკიცეს.

ძველი ძოსამსახურენი, რომელნიც სრულიად სხვა პირობებში ბეჯითად შრომობდნენ წარსულში, ახალი მდგომარეობის მსხვერპლნი არ არიან, და ხალხის ნათქვამი „დამსახურება არ იკარგება“ ამით არ დარღვეულა. პენსიები, საპატიო თანამდებობები და იჯარა საკმაოდ აუხაზღაურებს ძათ ადრინდელ დამსახურებას. ახალ პირობებში კი, მადლობა ღმერთს, საჭიროა ახალი ადამიანები.

აღვხიშხავთ და ძიევესალმეპით იმ პირველ დიდ ნაბიჯებს, რომელიც ამ ორი-სამი კვირის განძავლობაში გადაიდგა.

შედარებით ახალგაზრდა პოლკოვნიკმა ბ. რიდზევსკიმ, გრაფმა გრაბემ, ზეზემანმა და ფონ-შაკმა გენერალ-მაიორის ჩინები მიიღეს და ბრიგადის უფროსებად დაინიშნენ. მე აქ ჩვენი ახალგაზრდა და გახათლებული ოფიცრების აზრს გაძოვთქვამ, თუ ვიტყვი, რომ ეს ძეტად ბედხიერი არჩევახია.

არა ნაკლებ ბედნიერებად თვლიან ყველანი ყუბანის ოლქის ჯარების შტაბის უფროსის პოლკოვნიკ გურჩინის დანიშვნას მთელი მოქმედი კორპუსის შტაბის უფროსად გენერალ-მაიორ დუხოვსკის ნაცვლად, რომელიც საზღვარგარეთ მიემგზავრება.

გენერალ-ლეიტენანტი დეველი, რომელსაც ბევრნი 13 აგვისტოს მარცხს მიაწერს, შეცვლილია და მის მაგიერ კოლონის უფროსად დახიშხულია გენერალ-ლეიტენანტი ლაზარევი, რომელსაც, როგორც ამბობენ, გაძბედობა. ენერგია და საბრძოლო გაძოცდილება თეორიული სამხედრო განათლების მაგივრობას უწევს.

პოლკოვნიკი კ. ვ. კომაროვი, რომელმაც თავი ისახელა არდაგანში თავისი გონივრული განკარგულებებით, აგრეთვე წარდგენილია გენერლის ჩინზე, რომლის წინაშე დღემდე ბარიკადად იყო ამართული ძისი „ბოროტი ენა“.

ძე ამ ძაგალითებზე შევჩერდი. მართალია, ეს ძალიან ცოტაა იძასთან შედარებით, რასაც საჭიროება მოითხოვს, მაგრამ მაქვს საფუძველი ვიფიქრო, რომ ძალიან ჩქარა მოვა დრო, როცა ამ მიძართულებით გაცილებით უფრო მეტი გაკეთდება და ჩვენს ახალგაზრდა, ნიჭიერ სამხედრო პირებს მიეცემათ სრული საშუალება ძიიღონ ძათთვის ‘ძესაფერი საძოღვაწეო ასპარეზი, რათა გვიჩვენონ თავიანთი ნიჭი.

ძე არ ვიცი როგორ შეხვდებიან ამ ამბებს მანდ, აქ, ჩვენთან კი, ამ მოვლენას აფასებენ როგორც წინგადადგმულ დიდ ნაბიჯს. დამეთანხმეთ, რომ წარსულის გაკვეთილებით სარგებლობის უნარი მოძავალი წარმატების საუკეთესო გირაოა. მე ეჭვი არ მეპარება, რომ ჩემს ძიერ აღნიშნული ცვლილებები ახალ სტიმულს მისცემს საბრძოლო თვისებების გამომჟღავნებას. ბევრი ოფიცერი, რომელიც აქამდე უხალისობას იჩენდა, გამოფხიზლდა და თითქოს გამოცოცხლდა. ეს გამოცოცხლება შეიძლება წარმატებას გვიქადის.

4

ბანაკი ყარაიალთან, 18 სექტემბერი.

ამ დღეებში მე მიმოვიხილე ჩვენი საგუშაგო სამსახური, რომელიც დიდი ყურადღების ღირსია.

როდესაც ძეომარი ძხარეები ისე არიან განლაგებულნი, რომ მათ შორის მანძილი ერთ გადასავალზე ნაკლებია, ასეთ დროს, თუ ყველაზე მნიშვნელოვანს არა, ყველაზე მძიმე მოვალეობას წარმოადგენს საგუშაგო სამსახური, რასაც ჩვეხძა ჯარისკაცებმა მოსწრებულად უწოდეს „საძაღლე“ სამსახური. წესიერ საგუშაგო სამსახურზეა დაძოკიდებული ჯარის დაცვა გადამდებ სნეულებისაგან, რაც ხშირად ‘ეშმოაქვთ მტრის ბანაკიდან; — დაცვა მტრის მზვერავთა თვალისაგან, რომელიც ჯარის განლაგებას და ძის რაოდენობას ადგენს და, ბოლოს, საბრძოლო უშიშროებაც ბევრად არის დამოკიდებული იძისაგან, თუ რამდენად წესიერად არის დაყენებული საგუძაგო საძსახური. ჯარისკაცთაგან ის ძოითხოვს ხანგრძლივ და დაძქანცველ ფიზიკურ და მორალურ ძალთა დაძაბვას, მოითხოვს უსიტყვო და დაუხანავ გძირობას. მის ‘ესახებ არ იგზავნება მყვი-

რალა დეპეშები და სამხედრო კორესპონდენციები. საერთო ყურადღებას იქსახურებენ მხოლოდ ეფექტის მომხდენი ფაქტები, რომელნიც ადამიანის სისხლით არის დაწინწკლული და თოფის სროლის ქექა-ქუხილი სდევს თან, ხოლო ასეთ გმირობაზე კი კრინტსაც არ ძრავენ. გმირს ხომ ისე არავინ ხარმოიდგენს, თუ არა ტყვიის წვიმის ქვეშ შეტევაზე გადასულს, ან ცხენებზე ამხედრებულ ეაქკაცებს, რომლებიც ერთმანეთს ჩეხენ. მაგრამ არის სხვა არა ნაკლებ მნიშვნელოვანი გმირობაც, სრულიად მშვიდად, მარტოდმარტო ჩადენილი, რომელსაც არ აგულიანებს ძმეხტით მთვრალი ბრბო. ასეთ გმირობას არავინ აქცევს ყურადღებას და დაძეთანხმეთ, რომ ეს დიდი უსაძართლობაა.

ათის ხახევარზე, ერთ წყნარ მთვარიან საღამოს, ბარონ ფ. კ. პილერ-ფონ-პილხაუსთან ერთად გამოვედით ჩვენი ბანაკის შტაბიდან. იგი ერთ-ერთი თანაშემწეა ყველა მოწინავე საგუშაგოების უფროსისა. ჩვენ ძოვდევდა ეეისკის ცხენოსანთა პოლკის ოთხი კაზაკი, რომელთაც იმ ღამით ავანპოსტებზე პიკეტები ჰყავდათ დაყენებული. შემოუარეთ რა ყარაიალის მთის ძირს ირდილო დასავლეთიდან, ჩვენ ჩაუარეთ კორპუსის ეკლესიის ფატერს, ქართველ გრენადერთა პოლკის ბანაკს და გავყევით მთის ძირის იმ უმნიშვნელო ბორაკებისაკენ, სადაც 1854 წ. 24 ივლისს გაიმართა კიურიუკდარის ბრძოლის პროლოგი. ძიუხედავად იმისა, რომ მთვარე მკრთალად ანათებდა, ყარაიალის დაღმართებზე მე გავარჩიე ბალახით დაფარული ტრახშეები, რედუტები, რომელიც აქ აღმართა პოლკოვნიკმა კაუფმანმა, რომელიც ამჟამად თურქესტანის გენერალ-გუბერნატორია. აქ ახლა გაკეთებულია სხვა ტრანშეები. რომელთაც ჭადრაკულად განლაგებული ნალისა და სწორი ხაზის ფორმა აქვთ. ამ-ჟვარადაა აშრელებული ყარაიალის მთელი დაღმართი.

ბარონ პილერს საყვარელ ქიმერად ქონდა გადაქცეული გასხლტომოდა ფეხოსანთა ჯაჭვს ისე, რომ ვერ შეენიშნათ. „აი, მაშინ კი ვაჩვენებ მე მათ!", — ჩაილაპარაკა მან თითქოს თავისთვის და საკუთარ გოხებაში ხატავდა ფეხოსანთა შერცხვეხისა და მეთვალყურეთა ზეიმის სეირს.

— ვინ მოდის? — მოისმა უცებ ჩვენ წინ ასიოდ ნაბიჯზე. ნაწყენმა ბარონმა გადააფურთხა და ოდნავ გასაგონი ხმით ჩაილაპარაკა — „შინაურები".

ამ დროს ჩვენ ძიუახლოვდით ფეხოსანთა ჯაჭვს. ქართულ გრენადერთა პოლკის ჯარისკაცები იდგნენ გაბმულად, ერთიმეორისაგან დაშორებულნი არა უმეტეს ათი ნაბიჯისა და ქმნიდნენ გრძელ ხაზს

ყარაიალის ძირის უკიდურესი შვერილიდან უკიდურესი მარჯვენა ფლანგის რომელიღაც შორეულ პუნქტამდე. — „აქ ვერ გააღწევ შეუმჩნევლად!“, — ვიფიქრე მე. ამ დროს ერთმა ჯარისკაცმა მოგვაძახა — „საშვი?“

— „გაიკა“, — ძლივს გასაგონი ხმით უპასუხა ბარონმა.

— ნაბრძანებია აქ არავინ გაუშვათ, — თქვა ჯარისკაცმა. გასაშვები პოსტი მარჯვნითაა.

ჩვენ ხაზს მარჯვნით გავუყვით. თოფზე დაყრდნობილი ჯარისკაცები უწყვეტ ჯაჭვად იდგნენ. ხუთი წუთის შემდეგ ჩვენ წავაწყდით ცხენოსანთა ჯგუფს, როძელიც მოპირდაპირე მხრიდან მოდიოდა ჯაჭვის გასწვრივ. როცა გასაშვებ პოსტთან ერთმანეთს დავუახლოვდით, აღმოჩნდა, რომ ეს იყო ყველა ნოწინაღე საგუშაგოების უფროსი, პოლკოვნიკი ა. ვ. ტოლსტოი და ქართველ გრენადერთა პოლკის მეთაური რომანოვიჩი, კაზაკების თანხლებით. რადგან პოლკოვნიკ ტოლსტოის მარცხენა ფლანგისკენ წასვლა უხდოდა, სადაც ჩვენ ძევდიოდით, ხოლო პოლკოვნიკი რომანოვიჩი ფეხოსანთა ჯაჭვთან რჩებოდა, გამოვემშვიდობეთ რომანოვიჩს და ტოლსტოისთან ერთად გავუდექით გზას.

ყველაზე ადრე ჩვენ უნდა გვეპოვნა ქართველ გრენადერთა პოლკის მსვერავი რაზმი. რომელსაც უნდა ეგუშაგნა ცხენოსანთა ჯაჭვის წინ, ჩვენ მიერ ასლახან დადგმულ ბატარეასთან ერთად. ეს რაზმი ტოლსტოის უნდა წაეყვანა ბატარეასთან. ჩვენ კი უფრო მარჯვნივ უნდა წავსულიყავით ცხენოსანთა უკიდურეს რგოლამდე, რათა შემდეგ ჯაჭვის ყველა რგოლი შემოგვეველო. მზვერავთა რაზმი დანიშნულ ადგილზე ვიპოვეთ. მზვერავთა ასეული, რომელსაც ქართული პოლკის პორუჩიკი კობალაძე მეთაურობდა, სამხრეთ გორაკის პირას იდგა. ტოლსტოიმ რაზმი თან წაიყვანა და გაემართა ბატარეასკენ, რომელიც აქედან არ სჩანდა. მაგრამ მისი საერთო მიმართულება ჩვენ ყველას წარმოდგენილი გვქონდა. მე და ბარონმა პილერმა, სამი კაზაკის თანხლებით, ძარცხვით, „სივრცეში“ გავწიეთ.

უხდა ითქვას, რომ ჩვენს მოწინავე ბანაკს, რომელიც ოგუზსა და ბაირახტარს შორის იყო, ჰყავდა საკუთარი დაცვა, რომლის შემოწმება ბარონ პილერს არ ეხებოდა. მაგრამ ჩვენთან ხმები მოდიოდა თითქოს ამ ჯაჭვის უკიდურესი მარჯვენა რგოლი ყოველთვის არ უერთდება ჩვენი ჯაჭვის უკიდურეს მარცხენა რგოლს, ამიტომ უნდა დაგვეთვალიერებინა მთელი ის ფართობი, რომელიც ორივე ჯაჭვს ყოფდა. თუ ხმები გამართლდებოდა, ისინი უნდა შეგვეერთებინა მიჯრით.

ფეხოსანთა ჯაჭვი უკან, შორს ჩამოვიტოვეთ ყარაიალსა და ყიზილ-თაფას პირდაპირ მდებარე კვარცხლბეკთან. ჩვენ გავიარეთ ერთი, ორი, სამი ვერსი, მაგრამ ცხენოსანთა ჯაჭვის შესახებ ვერაფერი გავიგეთ, ოდნავ ტალღის მსგავსი ველი ყოფდა ყარაიალს ყიზილ-თაფისგან. ყველაფერი დაფარული იყო მთვარის მკრთალი მოქარგული ნათელით; ყიზილ-თაფა უფრო რელიეფურად მოსჩანდა, ვიდრე ყარაიალი, რომელიც თანდათან იფარებოდა ბოლის მსგავსი შორეული სილურჯით. ამავე დროს, ყიზილ-თაფაზე გარკვევით შეინიშნებოდა თურქების მწკრივები. ჩვენ სწორედ იმ მიმართულებით ძივდიოდით, სადაც დამთავრდა მარცხენა ფლანგის ჯაჭვი და შარჯვენა ფლანგი იწყებოდა. ამიტომ, ბუხებრივია, ჩვენს თავებში უპირველესი ადგილი ეჭირა აზრს — „ხომ არ გავცილდით ჩვენს ხაზს? ეგებ იგი დავტოვეთ მარჯვნით ან მარცხნით?“

სოფელ ქიულვერხიდან ჩვეხამდე აღწევდა ძაღლების ყეფა. ქიულვერნი, სხვათაშორის, თათრების ხელშია. გარშემო ყველგან მოსჩანს პატარა გორაკების გრძელი თხემები, რომელთა იქით იწყება ის ხევები და ღარტაფები, სადაც მტრის ვედეტები იმალებოდნენ. ჩვენგან დამფრთხალი ჩიტის ოდნავ გაფართხალებასაც კი დიდის დაძაბულობით ვისმენდით, მაგრამ სრულიად არაფერი ჩანდა, გარდა ჩვენს გარშემო განლაგებული ძთების მწვერვალებისა. სადღაც ყიზილ-თაფასთან ცეცხლმა გაახათა. „ეს რა სროლაა?“, — ჰკითხა კაზაკებს ბარონმა. მათ არაფერი უპასუხეს. ისევ გაკაშკაშდა რაღაც უფრო ახლოს. „ალბათ, ელვაა“, — გადავწყვიტეთ ჩვენ საკუთარი სიბიდისის დასამშვიდებლად.

საფრთხის მოახლოებას, ალბათ, ჩვენი ცხენოსნებიც გრძნობენ. ისინი წინ მიიწევენ სამგლოვიარო პროცესიის მსგავსი მოწყენილი ქედძაღლობით, დიხჯად, ყოველწუთს ყურდაცქვეტილნი. ჩვენ მივდივართ იმ მინდოროზე, სადაც, 13 აგვისტოს, ეცემოდა მტრის ათასობით ჭურვი, რომელთაგან ზოგი არ აფეთქებულა. ვაი თუ ჩვენი ცხენების ფლოქვების გაუფრთხილებელმა მიკარებამ ააფეთქოს რომელიმე ძათგანი! ვფიქრობთ ჩვენ და ვცდილობთ ახლოს დავინახოთ ეს ჭურვები. იქ შორს კი — მტრის მსროლელებია. ჩემი ცხენი — გონიერი ხადავლია, რომელიც მე თურქების დრაგუნებისაგან მერგო. ის სულ ძარჯვნით მიიწევს და ცდილობს ჩემსა და მტერს შორის ბარონ პილერის ცხენი დააყენოს. მე ეს მსიამოვნებს. რას იზამ, მაინც უფრო სასიამოვნოა სხვისი სიკვდილი ნახო, ვიდრე შენი, საკუთარი! მაგრამ თავმოყვარეობა სძლევს თავდაცვის ინსტიქტს, გმირულ ძალდატანებას ვიჩენ საკუთარი თავისადმი და

გზას ვადგები ბარონიდან მარცხნივ, თუმცა ტანში შიშის ჟრუანტელი მივლის. სამაგიეროდ, როგორ მიხარია, როცა ჩემი ცხენი კვლავ ჩამორჩება ბარონის ცხენს და ისევ პილერის ცხენი აღმოჩნდება მარჯვნით.

სიცივე ჩემს სულში სავსებით ემთხვევა ირგვლივ გამეფებულ ღამის სიგრილეს. ჩვენ გვცივა. დიდი სიამოვნებით დავბრუნდებოდი უკან. მაგრამ არა, თავმოყვარეობა არ იძლევა ამის უფლებას, რომ ხმამაღლა წამოვაყენო წინადადება: „ხომ არ დავბრუნდეთ უკან?, ხომ არ ვეძებოთ ჯაჭვი უკან?“ ძალიან კარგად ვიცი, რომ სწორეთ ასეთივე აზრი უტრიალებს თავში ჩემს თანამგზავრსაც. მანაც იცის, რომ ეს აზრები მეც მიტრიალებს ტვინში, მაგრამ ყოველ ჩვენთაგანს უნდა, რომ ის მეორემ, სხვამ გამოთქვას. ამიტომ, არცერთი არ ვამბობთ.

ისევ წინ მივიწევთ. ძაღლების ყეფა ქულვერნში უფრო ხმამაღლა, ხშირად და გარკვევით ისმის. თურქების ბანაკებში ცეცხლი მოსჩანს. ყიზილ-თაფაში თუ დაუზიანებელი დარჩა ჩვენი დურბინდი, რომელიც იქ დაგვავიწყდა 13 აგვისტოს, ახლა იქედან, ალბათ, გვხედავენ. გარშემო სიწყნარეა. კაზაკები მდუმარედ მოგვდევენ და ყოველ ნაბიჯზე სულ უფრო უკან გვრჩებიან, ბოლოს მაინც ბარონი ალაპარაკდა:

— ეშმაკმა უწყის, რა არის ეს! მე და თქვენ ეხლა შეგვეძლო ვმჯდარიყავით ბუხართან, კარგ ვახშამზე, მშვიდობიანად მივცემოდით ოჯახურ ბედნიერებას. მაგრამ არა, ქაჯები აქეთკენ გვეწევიან, ამ სისაძაგლისკენ. როძელიმე ბაში-ბუზუკი ერთი გასროლით გამოგასალძებს ხუთისოფელს ძაღლივით, ან საიდუმლოდ გაგიტაცებს ძტერი და დაწერენ „უკვალოდ დაიკარგაო“. ვერავინ გაიგებს სად და როდის დაიკარგე. განა ეს სისულელე არ არის?

— დიახ, სისულელეა, — დავეთანხმე მე.

— და მართლაც, — გავიფიქრე მე, — რა კარგი იქნებოდა ეხლა იჯდე შინ, მშობლიურ წრეში, იმის ნაცვლად, რომ მინდვრებში დავეხეტებოდეთ, ორას-სამასი ნაბიჯის დაშორებით მტრისგან, და ვიღაც არაბისტანელს შეუძლია საუკუნოდ გამოგასალმოს სიცოცხლეს, კაცს, რომელსაც არც ვიცნობ და არც მინდა ვიცნობდე, ისე როგორც იმას არ უნდა მიცხობდეს და ჩემზე რაიმე იცოდეს.

— არა, რაც არ უნდა თქვათ, — განაგრძო ბ. პილერმა, — გაცილებით უკეთესია, უფრო ოლია იბრძოლო, გადადიოდე შეტევაზე, ვიდრე ღამის სამსახურს ეწეოდე. იქ ადამიანთა შორის სიკვდილი უფრო ლამაზია და მისაღები, რაღაცნაირი სიმთვრალე გე-

უფლება. უკანასკნელი დღის სიხათლე და სხვისი თვალები თავმოყვარეობას აღიზიანებს და მიდიხარ წინ გაბედულად, თამამად. აქ კი არ გინდა...

რომ არ დავმცირებულიყავით თანამგზავრ კაზაკების თვალში, ჩვენ ვლაპარაკობდით ფრანგულად, მაგრამ საუბარი მაინც არ გამოგვდიოდა. თითქოს მთელმა საუკუნემ გაიარა, სანამ შორიახლოს შევამჩნიეთ რამდენიმე ფიგურა, თუმცა გაურკვეველი იყო—ისინი ჩვენები იყვნენ, თუ მტრის ჯარისკაცები. რასაკვირველია, შეიძლება მობრუნდე უკან და ჭენებით გაუდგე გზას, მაგრამ ხომ შეიძლება უცებ აღმოჩნდეს, რომ ეს ჩვენი პიკეტია. შეიძლება ახლო მივიდეთ, მაგრამ რა ვქნათ, თუ ეს მტრის პიკეტია. რაც იქნება, იქნება. მივდიოთ წინ. ჯგუფს ერთი ცხენოსანი გამოეყო, ჩვენსკენ გაქოქარა, და თოფს გვიმიზნებს; ეპვს გარეშეა, რომ ეს თურქია. თითქოს გესმის „ბაც", მაგრამ არა, ამის ძაგივრად ისმის ხმა— „ვინ მოდის"? ბარონ პილერი ჩურჩულით უპასუხებს — „ცხენოსანი პატრული". მიუხედავად იმისა, რომ გვერდით მივყვები, მე ძლივს მესმის მისი სიტყვა. როგორღა უნდა გაიგონოს პიკეტმა? ცხენოსანი ჩერდება, მაგრამ თოფი, რომელიც ჩვენსკენაა მომართული, ძირს არ დაუშვია, „გაჩერდი, საშვი?", — კითხულობს ის. — „გაიკა". მაშინ ის მიდის ბარონთან, მიაბრუნებს ცხენს, მიჰყვება მას გვერდით, გადაიწევა და, თითქმის ჩურჩულით, ყურში ეუბნება:

— თქვენო ბრწყინვალებავ, ბ. პოლკოვნიკო (ბარონ პილერი შტაბ როტმისტრია), ეისკის ცხენოსანთა პოლკის მეოთხე ასეულიდან, მოწიხავე პოსტებზე ყველაფერი წესრიგშია, მტრის მხრიდან არაფერი ძეგვიხიშხავს.

— შენ უფრო ახლოს მოდი, როცა საშვს მეკითხები, მე ხომ არ შემიძლიან ხმამაღლა დავიყვირო.

— მესმის.

— რამდენია აქ თქვენი პიკეტი უკიდურეს მარცხენამდე?

— ოთხი.

პიკეტი ხუთი კაზაკისაგან შესდგება. ერთი გუშაგთაგანი უძრავად იდგა წინ. მას გატეხილი თოფი ყიზილ-თაფას მიმართულებით ჰქონდა გაშვერილი. დანარჩენი სამი უკან იდგა თოფებით, მეხუთე კი ჩვენკენ მოდიოდა. ყველანი ცხენებზე იყვნენ, ნაბდებში გახვეულნი და მზად იყვნენ ბრძოლაში ჩასაბმელად, ან უკან გასაქცევად.

ამის შემდეგ, გავიარეთ თუ არა დაახლოებით ასი ნაბიჯი, ჩვენ ისევ გავიგონეთ „ვინ მოდის"? და ისევ იმავე ცერემონიის მოწამე

გავხდით, მხოლოდ აქ ბარონ პილერს შაორის ჩინი „მისცეს“. ხოლო კითხვაზე — „რამდენი პიკეტია“?, — უპასუხეს: ექვსი.

კიდევ იქით, ასი-ასორმოცდაათი ნაბიჯის მოშორებით, აღმოჩნდა მესამე პიკეტი, სადაც ბ. პილერს იასაული უწოდეს, ამის შემდეგ კიდევ მეოთხე და მეხუთე. ბოლოს მივაღწიეთ უკიდურეს პიკეტამდე და გავიარეთ კიდევ ასორმოცდაათ ნაბიჯამდე. აქ გავიგონეთ: — „ვინ მოდის“?. ეს იყო მოწინავე ბანაკის პიკეტის ხმა. ბარონ პილერი დარწმუნდა, რომ რგოლებს შორის კავშირი არსებობს. ამის შემდეგ ის მობრუნდა. სწორედ აქედან იწყებოდა ცხენოსანთა ჯაჭვის შემოვლა.

არავითარი აზრი არ აქვს ამ ჯაჭვის ყველა რგოლების თანამიმდევრულად აღწერას. ისინი ერთმანეთზე 100—200 ნაბიჯით არიან დაძორებულნი. რგოლები ისე გაყიან ერთმანეთს, როგორც წყლის ორი წვეთი. ყოველი რგოლი ხუთი ცხენოსანი კაზაკისაგან შესდგება, ამათში თითეული ძათგანი ძორიგეობს თითო საათით. სამი მხათაა გაუწიოს მას დახმარება, თუ კი ნიშანს მისცემს. ამ დროს მეხუთე შეშოიცლის იმ ფართობს, რომელიც პიკეტების რგოლებს ერთმანეთისაგან აშორებს. ყოველ ასეულს თორმეტზე მეტი პიკეტი ჰყავს. დანარჩენი კაზაკები, ოფიცერთან ერთად, ზურგში არიან, 500—1000 ნაბიჯის მოშორებით; ხანდახან კი ერთი ვერსითაც კი არიან ერთმანეთს დაშორებულნი და აქ ქმნიან რაღაც სპეციალურ საყარაულოს მსგავსს. ყველაფერს, რასაც პიკეტი შენიშნავს, დაუყოვნებლივ აცნობებენ საყარაულოს. აქედან, თუ საჭიროა, ცნობა მიდის „მთავარ ყარაულთან“, რომელიც არა მარტო ასეულებს, არამედ მთელ ფეხოსახთა ჯაჭვს ეკუთვნის.

როგორც კი შემოუარეთ ეისკის პოლკის მეოთხე ასეულის პიკეტებს, ჩვენ მის საყარაულოსთან მივედით. აქ კაზაკები თავიანთი ცხენების ახლო იწვნენ, რომელთა უმრავლესობა საძოვრად იყო გაშვებული. წინ დროშასთან გუშაგი დადიოდა, ახლო-მახლო კიდევ რამოდენიმე კაზაკი დარაჯობდა. დანარჩენებს ნაბდები გადაეხურათ და ისევე ეძინათ, როგორც ოფიცრებს, რომელთაც ჯგუფად მოეყარათ თავი და სამად მოკეცილები ბზემოყრილ ნესტიან მიწაზე დაწოლილიყვნენ. კიდევ უფრო იქით, ერთი ვერსით უკან, ჩვენ ვიპოვეთ ტვერის დრაგუნთა მთელი ესკადრონი, რომელიც ცხენოსანთა ესკადრონის თადარიგს წარმოადგენდა. ოფიცრები ბზემოყრილ მიწაზე ნაბდების ქვეშ იწვნენ, თითქოს გატყავებული მიწის დაფარვას ცდილობდნენ. ჯარისკაცებს ეძინათ თავიანთი ცხენების ქვეშ, რომელნიც რაც მოხვდებოდათ იმით იკვებებოდნენ. რადგან ჯაჭვი

ყველგან რკალს ქმნიდა, ამიტომ ყოველი ასეულის ყარაული იმყოფება თითქოს ნახევარი წრის ცენტრში, რომელსაც ამ ასეულის პიკეტები ქმნიან, ხოლო რეზერვი დაყენებულია ავანპოსტის საერთო წრის შუაგულში.

როდესაც ბარონ პილერი დარწმუნდა, რომ საგუშაგო და სათადარიგო პიკეტები წესრიგშია, მან განაგრძო მოწინავე ხაზის შემოვლა. მაგრამ აქ ჩვენ მოწინავე ხაზს დროებით უნდა განვშორებოდით, რათა მივსულიყავით ბატარეასთან, რომელიც მონადირეებს ეჭირათ. ის წინ იყო წამოწეული, თითქმის ერთი ვერსით, მაგრამ ჩვენ არ ვიცოდით როგორ მივსულიყავით ბატარეამდე. საღამოთი, შემოვლის დაწყების წინ, მე მას ვათვალიერებდი ყარაიალის სიმაღლეებიდან, და ვიცოდი, რომ ის უნდა ყოფილიყო დაახლოებით იმ გორაკზე, საიდანაც, 13 აგვისტოს, კორპუსის მეთაური ბრძოლას ხელმძღვანელობდა, მაგრამ ყარაიალის სიმაღლიდან გორაკის დანახვა უფრო ადვილია, ვიდრე მისი პოვნა ველზე, სადაც ყოველი მხრიდან გორაკები მოსჩანს. ბატარეის მშენებელთა ყურადღება სწორედ იქითკენ იყო მიპყრობილი, რომ ის ვერ შეენიშნათ 50 ნაბიჯის სიახლოვიდანაც კი. აი, ახლა ეძებე ბატარეა ერთ ვერსზე ცხენოსანთა ჯაჭვის წინ, ე. ი. იმ სივრცეზე, რომელიც მოცულია მტრის საიდუმლოებით.

ბოლოს, თითქმის ხელისფათურით, ვიპოვეთ ბატარეა. ის მოგაგონებთ გაჭიმულ ნალს, ანდა არაბუნებრივი სიდიდის რუსულ ასო C-ს, რომელიც თავისი ამობურცული მხარით ყიზილ-თაფასკენ არის მიშვერილი, ხოლო მეორეთი — სუბოტნისაკენ. ბატარეას მიწაყრილი ფართობი ორ საჟენზე მეტია, მაგრამ მის წინ თხრილი დიდი არ არის. თხრილის წინ აღმართულია დამრეცი მიწაყრილი, რომელიც თავით არის დაფარული ისევე, როგორც მთავარი მიწაყრილი მტრის მხარეზე. ამ თავის მეშვეობით გაივლით 50—100 ნაბიჯს მტრის მიმართულებით და ვერ შენიშნავთ ბატარეაზე ჩატარებულ მიწის სამუშაოებს. მიწაყრილი გარეგნულად არაფრით არ განსხვავდება მეზობელი მინდვრებისაგან, რომელიც თავით არის დაფარული. მოტყუვდებიან თუ არა თურქები? — ღმერთმა იცის მათი თავი.

ეს ბატარეა ააგო პოლკოვნიკმა ზეზემანმა, რომელსაც, ამასწინათ, გენერლობა მიანიჭეს. მეორე ასეთივე ბატარეა, მაგრამ ყიზილ-თაფიდან ჩრდილოეთით, იმავე დროს ააშენა ინჟინერ-პოლკოვნიკმა ბულმერინგმა. ინჟინრებსა და მესანგრეთა შორის შეჯიბრებამ, რომელიც კარგა ხანია ჩვენთვის ცნობილია, აქ ჰპოვა თავისი გამოვლინება. ვნახოთ, ვისი ბატარეა უფრო აიტანს მტრის ცეცხლს...

მზვერავები ბატარეის დაფარულ და ღია თხრილებში მოთავ-

სდნენ. მათ წინ გაგზავნეს თავიანთი მესაიდუმლენი. მესაიდუმლეად, ამ შემთხვევაში იწოდება რამდენიმე მსროლელი, რომლებიც ცხენოსანთა ჯაჭვის წინ, შორს იმალებიან, რათა აცნობონ მას მტრის მოახლოება. მესაიდუმლეები 3—4 მსროლელია, უმეტეს შემთხვევაში, მზვერავები, რომელთაც ცხენოსანთა პატრული არასოდეს არ შემოუვლის. ისინი, ზოგჯერ, მტრის ცხენოსანთა პიკეტებს 1½—2 ვერსით გასცდებიან იმის მიხედვით, თუ რამდენად უწყობს ხელს ადგილმდებარეობა მათ შეუმჩნეველ სვლას. აქ ჩვენ ვნახეთ პოლკოვნიკი ტოლსტოი, რომელმაც ჩვენთან ერთად დატოვა ბატარეა. მაგრამ ის წავიდა ჯაჭვიდან მარცხნით, ჩვენ კი — იაგნისაკენ.

პიკეტები ურთიერთს ცვლიდნენ ჩვეულებრივი ფორმალობით. უცებ, მეექვსე თუ მეშვიდე პიკეტის მიერ ნათქვამი სიტყვების შემდეგ — „ყველაფერი წესრიგზეა მტრის მხარეზე“, საგუშაგოს უფროსმა წამოიძახა ცუდის მომასწავებელი სიტყვები — „მოგვესმა სროლა“.

— რამდენი გასროლა? დიდი ხანია? რა მანძილზე? რა მიმართულებით?, — დააყარა სეტყვასავით კითხვები ბარონ პილერმა.

აღმოჩნდა, რომ გასროლა, დაუთვლიათ ათამდე, ეს სროლა ძალიან შორს ყოფილა, ასე რომ ხმა ძლივს ისმოდა. სროლა ისმოდა ყიზილ-თაფასა და სუბოტანს შუა და ა. შ.

ჩვენ გორაკზე ავედით შორს, ჯაჭვის წინ და სმენად და ცქერად გადავიქეცით. ჩვენ აქ თითქოს მთელი საუკუნე ვიდექით, მაგრამ არც შორს და არც ახლოს არაფერი ისმოდა და არც არაფერი ჩანდა. მდუმარე მეთვალყურეობით დაღლილებმა ჩვენ ერთგვარი სამხედრო საბჭო შევქმენით: რას უნდა ნიშნავდეს ეს გასროლები? ათასგვარი ფანტასტიური მოსაზრებანი იბადებოდა. ამოვწურეთ რა ჩვენი გერგილიანობა, იმ დასკვნამდე მივედით, რომ ჩვენ ამ საკითხს ვერ გადავწყვეტთ. კიდევ რამდენიმე ხანი ვიდექით, მაგრამ ვერაფერი შევნიშნეთ და უკან დავბრუნდით. ამასთან, პილერმა უბრძანა პიკეტს, რომ თუ რამე ახალი მოხდა, დაუყოვნებლივ აცნობონ საგუშაგოებს.

ჩვენ გავაგრძელეთ შემოვლა, გავიარეთ ეისკის პოლკის ოთხივე ასეული და გორსკო-მოზდოკის პიკეტებს მიუახლოვდით. ეს პიკეტები დაყენებული იყო დასავლეთის მიმართულებით, ე. ი. მოწინავე პოსტების ყველაზე ნაკლებ საშიშ მხარეს. აქ მხოლოდ ერთი გუშაგი იჯდა ცხენზე და ათვალიერებდა წინ გადაშლილ სივრცეს. დანარჩენი კაზაკები თითქოს სნვა საგუშაგოებზე ისხდნენ ან იწვნენ თავიანთ ცხენებთან და მზად იყვნენ ცხენზე შესაჯდომად პირველი სიგნალისთანავე. უნდა გვახსოვდეს, რომ საგუშაგოებზე მხოლოდ გუშაგი

უნდა იყოს ყოველთვის მზად, — სამეთვალყურეო მდგომარეობაში, საგუშაგოს დანარჩენ წევრებს უფლება აქვთ ისხდნენ, იწვნენ, მოიხსნან ჩანთები (ფეხოსანთა შორის), მოხადონ უნაგირი და ლაგამი ცხენებს (ცხენოსანთა შორის), აჭამონ და ასვან მათ. მაგრამ უფლება არა აქვთ გაიხადონ, ან იძინონ, ან მოიხსნან იარაღი. ამისი უფლება აქვს ადამიანთა ნახევარს საგუშაგოებზე, მაგრამ ეს არ ვრცელდება უშუალოდ გუშაგებზე. მაგრამ ჯაჭვის ყველაზე საშიშ ადგილებზე, იქ სადაც იეისკის პოლკის პიკეტები იყო განლაგებული, სმენაზე იდგნენ არა მარტო გუშაგები, არამედ ყველა დანარჩენი კაზაკებიც ცხენებზე იყვნენ შემსხდარნი და მზად იყვნენ ყველა შემთხვევისათვის.

შემოვლა უკვე რამოდენიმე საათი გაგრძელდა, მანამდე, სანამ ხევ-ხევ ყარზჩაის ჭალამდე არ ჩავედით, სოფელ ჯემუსლის ახლოს, იქ სადაც მთავრდება ცხენოსანთა და იწყება ჯაჭვი ფეხოსნებისა, რომლებიც ეს-ეს არის მოვიდნენ მოსკოვიდან, — გრენადერთა პირველი დივიზიიდან. აქ ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ორი ჯაჭვი მჭიდროდ არის მიკრული ერთმანეთს. ჩვენ უკან მივბრუნდით და გავწიეთ ყარაიალის ძირისაკენ, ველი ირიბულათ გადავჭერით, ჩაუარეთ ახლოს ფალდირვანს და კიური-კდარს. ჩემი ცხენი დაღლილობისაგან სიარულს უკლებს და უკან რჩება. მეც თითონ ძლივს ვიჯექი უნაგირზე. ორ-სამჯერ თითქმის ძილმა შემიპყრო. დილის სიცივისაგან მთელი სხეულით ვკანკალებდი. ჩემს გულში ვწყევლიდი თურქებს, საგუშაგო სამსახურს და ჩემს ცნობისმოყვარეობას. თითქოს ჩემი დაღლილი ნერვების გასაღიზიანებლად. ჩვენგან მარცხნით, ყარაიალისა და ყარაგუზის შუა უნაგირა მთაზე, აქა იქ, საშტაბო ბანაკის ცეცხლი ბჟუტავდა. ჩემი კარავი, ამ დროს, უმდიდრეს სასახლედ მეჩვენებოდა, ხოლო სალაშქრო ქვეშაგები თავისკენ მეწეოდა. მაგრამ ვაი უბედურებას! საქმის ყველაზე ძნელი და საშიში ნაწილი ჩვენ წინ გველოდა, — გათენებამდე უნდა მიგვესწრო ჯაჭვის პირველი ნაწილისათვის იმ ადგილებში, საიდანაც მტერს შეუძლია შემოტევა დაიწყოს და, თუ ასეთ შემოტევას ადგილი ექნება, ჩვენ უნდა დავხვდეთ მის პირველ დარტყმას...

ყარაიალი კვლავ უკან დარჩა. ჩვენ გავიარეთ შენიღბული თხრილები და ბატარეები, რომელიც აგებული იყო გრენადერთა ბანაკის წინ, სადაც ფეხოსანთა და არტილერისტთა სათადარიგო ჯაჭვი ღამეს ათევდა переступая с ноги на ногу. აქ ჩვენ რამოდენიმე წუთი დავდექით და გავცდით ფეხოსანთა ჯაჭვს... და აი, აქ, ამომავალი მზის პირველ სხივებთან ერთად, მე ვიხილე სრული სურათი, თუ როგორ ხდება ღამის საგუშაგო სამსახურის გადასვლა დღის

საგუშაგო სამსახურზე. მესაიდუმლენი უკან ბრუნდებოდნენ, ბანაკში და თან მხიარულად აბოძრავებდნენ გათოშილ ხელ-ფეხს. კაზაკების პიკეტები მცირდებოდა, — ნაცვლად ხუთი ცხენოსანისა. ადგილზე რჩებოდა მხოლოდ ორ-ორი, დანარჩენები უკან მიდიოდნენ საგუშაგოდ. ზოგიერთი პიკეტები სრულიად იხსნებოდა. საერთოდ, მთელი ჯაჭვი შეუმჩნევლად უკან იხევდა თითქმის ნახევარი ვერსით, თუ მეტით არა. ფეხოსანთა ჯაჭვი მთლიანად დაბრუნდა უკან სახლში ისევე, როგორც მისი სათადარიგო ნაწილები, მზვერავთა რაზმი, რომელიც ბატარეას დარაჯობდა, აგრეთვე, ნელ-ნელა აიკრიფა, მტერს რომ არ შეენიშნა და თოფი არ ესროლა. თანდათან ყველაფერი კალაპოტში ჩადგა. აქა-იქ დარჩა მხოლოდ კაზაკთა პიკეტები და მათი სათადარიგო ნაწილები.

ჩვენ ვიდექით და ვიყურებოდით ყოველ მხარეს, ვუცდიდით, თუ საიდან გამოჩნდებოდა მტერი. გავიდა ერთი, ორი საათი, ის კი არ იძვროდა. მზემ მაღლა ამოიწია. დადგა დღე. ჩვენ გვინდოდა დავმტკბარიყავით საუცხოო სანახაობით, თუ როგორ ანათებს მზე არარატისა და ალგეზის თოვლიან მწვერვალებს. მაგრამ ესეც არ მოხერხდა. არარატს თავზე ღრუბლები შემოსვეოდა, რაც მას ცეცხლის მფრქვეველი მთის შეხედულებას აძლევდა. ერთხანს კიდევ ვიდექით, სანამ ჯაჭვი მთლიანად არ შეიცვალა. გადავწყვიტეთ, რომ დღეს შემოტევა არ იქნება და ლაშქრული მოძრაობით დავბრუნდით ბანაკში. მერვე საათი იყო, როცა მე დასაძინებლად ჩავწექი დაღლილ-დაქანცული „ნერვებითა და სახსრებით“. ასე ჯერ ჩემს სიცოცხლეში არ დავღლილვარ.

ეს გასაგებია: გაიარო 60 ვერსი ერთი ღამის განმავლობაში დაძაბული ყურადღებით, როცა ყოველ წუთს მტრის სროლას მოელი, გააკეთო ყველაფერი ეს ღამით, როცა ნერვები ავადმყოფურად არის განწყობილი, როდესაც გარშემო გამეფებული სამარისებური სიჩუმე მძიმედ ტანჯავს შენს აზრს და ნებას, — ყველაფერი ეს ძნელი ასატანია. მაგრამ რა არის ჩემი დაღლილობა იმასთან შედარებით, ვინც მთელი ღამე უძრავად უნდა იდგეს ერთ ადგილზე და გადაიტანოს წვიმა, სიცივე და ქარი, სიბნელე და მოწინავე საგუშაგოს საფრთხე. ეს რა არის ნისლიან, წვიმიან ღამეში შემოვლასთან შედარებით, როცა ვერ ხედავ ვერც მეზობელ სიმაღლეებს, არც ის იცი შენ მხარეს მიდიხარ, თუ მტრის მხარეზე და ოდნავ გადახრა ჯაჭვიდან მტრის ბანაკში ამოგაყოფინებს თავს? იმის შეგნებამ, რომ ასეთ უამინდო ღამეს შემოვლა მოწინავე პოსტებისა იწვევს ძალიან ბევრ არაჩვეულებრივ

განცდებს, მაიძულა შევთანხმებოდი ბარონს, რომ ჩვენ ერთად კიდევ გავაკეთებთ ასეთ შემოვლას. როცა დადგება განსაკუთრებით ბნელი და ავდრიანი ღამე. თუ სასმელს ფიალიდან ვსვამთ, სჯობია ბსკერამდე დავცალოთ ის.

მოწინავე საგუშაგოები არავის არ უშვებენ არც ბანაკში და არც ბანაკიდან უფროსის ნებართვის გარეშე. ყველა გამვლელს ისინი აგზავნიან საგუშაგოზე, სადაც მათ ოფიცრები დაკითხავენ. სხვა პირთაგან რომ გამოიცნონ ისინი, ვისაც უფლება აქვთ გაიაროს ჯაჭვი, ამისათვის არსებობს საშვი და პაროლი, რომელიც ყოველდღე იცვლება და რის შესახებაც კომენდანტი, ან მოწინავე საგუშაგოების უფროსი აცნობებს ასეულის უფროსებს და იმ ნაწილებს, რომელთა ჯარისკაცები მოწინავე პოსტებზე დგანან. საშვისთვის აღებულია რომელიმე საგნის სახელი სამხედრო ყოფიდან: მუნდირი, ხმალი, ხიშტი, თოფი და სხვ. გამოძახილისათვის კი — რომელიმე წმინდანის სახელი, ხოლო პაროლისათვის — ქალაქის, დაბის, სოფლის სახელი. საჭიროა სამივე სახელი ერთიდაიმავე ასოთი იწყებოდეს: მაგ. გაიკა, გენადი, გროდნო. საშვი თავისიანთა გამოსაცნობად არის საჭირო, გამოძახილი იმისათვის, რომ გუშაგი დარწმუნდეს მას თავისიანი ეკითხება და არა სხვა ვინმე იმ დროს, როცა ორი რაზმი ხვდება ერთმანეთს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ისე მოხდეს, რომ მტერი, რომელმაც პირველად იკითხა „საშვი“, გამომჟღავნებული არ იქნება. პაროლი იციან მხოლოდ უფროსებმა და იმით დასტურდება ის, რომ მათ უფლება ეძლევათ ბრძანება გადასცენ.

მოწინავე საგუშაგოების უფროსს, რომელიც უშუალოდ ღებულობს მითითებებს კორპუსის უფროსისაგან, სამორიგეოდ ყავს სამი თანაშემწე, რომლებიც სამ დღეში ერთხელ შემოივლიან პოსტებს. მოწინავე პოსტების უფროსი ადრე პოლკოვნიკი გრაფი მ. პ. გრაბე იყო. ამას წინათ მას გენერლობა უბოძეს და გრენადერთა პირველ დივიზიაში ბრიგადის უფროსად დანიშნეს. ამჟამად მისი ადგილი უჭირავს გვარდიის პოლკოვნიკ ა. ვ. ტოლსტოის, კავკასიის არმიის მთავარსარდლის ერთ-ერთ ადიუტანტთაგანს. ის ჯერ ძალიან ახალგაზრდაა. მოწინავე საგუშაგოების უფროსის თანაშემწეები არიან მაიორი, თავადი ა. მ. ერისთავი, კაპიტანი ა. ა. ფანჩულიძე, შტაბ-როტმისტრი ბარონი ფ. კ. პილერ ფონ პილხაუ. და რადგან თავადი ერისთავი ამჟამად აქ არ არის, მის მაგიერ, ხშირად, საგანგებო დავალებით იგზავნება შტაბსკაპიტანი მ. ნ. ივანოვი.

ბანაკი ყარაიალთან, 20 სექტემბერი.

გენერალ-ლეიტენანტ ობრუჩევის ჩამოსვლამ ცოტა გააცოცხლა ჩვენი იმედები. დიდი ხნით ადრე, სანამ ის თბილისში ჩამოვიდოდა, ბევრს ლაპარაკობდნენ და ვარაუდობდნენ ობრუჩევის მოვლინების შესახებ. ჭეშმარიტი კავკასიელები ამ დანიშვნით ოდნავ უხერხულად გრძნობდნენ თავს. ჩვენ ხომ გვიყვარს და პატივსა ვცემთ მეცნიერებას, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვით, საქმით კი მთელი „წიგნური სიბრძნე“ ჩვენთვის დაცინვის საგანია და მეტი არაფერი. ჩვენთვის გასაგები იქნებოდა გვარდიის ოფიცრების დანიშვნა ასეულების მეთაურებად, რადგან ოფიცერთა დანაკლისი დიდი იყო და ისინი აქ დანაკლისის შესავსებად გამოგზავნეს, მაგრამ რად გვჭირდება ობრუჩევი, აკადემიის პროფესორი, სწავლული, — რა უნდა აკეთოს მან აქ?

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ნ. ნ. ობრუჩევმა, მოსვლის პირველი დღიდანვე, დიდი ტაქტი და თავდაჭერა გამოიჩინა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აქ. საპატიო რაოდენობის შეურაცხყოფილთა წრეში. მეტად ზრდილობიანმა ყველასთან ურთიერთობაში, მეტად ყურადღებიანმა სხვების შეხედულებათა მიმართ, მან ერთბაშად განაიარაღა თავისი მტრები. მიუხედავად ამისა, მარტო მისი აქ ყოფნაც უკვე ერთგვარი საყვედურია ბევრისათვის, განსაკუთრებით „შტაბელებისათვის“. ნათელი იყო, რომ ობრუჩევი იმისთვის როდი ჩამოვიდა, რომ გვასწავლოს, თუ როგორ წავიყვანოთ ჯარები შეტევაზე. ჩვენი მებრძოლი გენერლები არამც თუ შეურაცხყოფილნი იყვნენ. პირიქით, ძალიან გაეხარდათ, როცა გაიგეს გენერალ ობრუჩევის გამოძახება. ყველასათვის ნათელი იყო, რომ ობრუჩევი აქ ჩამოვიდა, რათა შეავსოს სრულიად სხვაგვარი ნაკლი და ყველა აღმასრულებელმა შტაბოფიცერმა თავისუფლად ამოისუნთქა, რადგან ისინი სრულიად სამართლიანად ფიქრობდნენ, რომ მისი ჩამოსვლის შემდეგ შეწყდება ჯარების უაზრო გადაყვანა-გადმოყვანა, რაც უშედეგოდ ღლის ხალხს კამპანიის მიმდინარეობის დროს და ყველაფერი ეს ძვირად ჯდება, დიდ მსხვერპლს მოითხოვს.

როდესაც ნ. ნ. ობრუჩევს ეკითხებოდნენ, — თუ რა მიზნით ჩამოვიდა ის და რა დანიშვნა მიიღო, — ის თავმდაბლად პასუხობდა, რომ მას არავითარი დანიშვნა არ მიუღია და ჩამოვიდა მხოლოდ იმისათვის, რომ ახლო გაეცნოს საქმის ვითარებას. ამასთან, როგორც გენერალური შტაბის ოფიცერი, თავის მოვალეობად თვლის გამოთქვას საკუთარი მოსაზრება, თუ მოისმენენ და თუ ეს საჭირო

იქნება. ამ თავმდაბლობამ აქ ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ამას ჩვეულნი არა ვართ. ჩვენ აქ არა მარტო მებრძოლები და გმირები ვართ, არამედ, ამავე დროს, უდიდესი სტრატეგებიც; ჩვენ ვერაფერს გვასწავლით; რაც შეეხება სხვისი აზრის მოსმენას, დაიმახსოვრეთ, — აზრის და არა რჩევისა, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ მოგისმინოთ; და მიუხედავად იმისა, რომ ეს რჩევა არაა, ჩვენ მაინც შევასრულებთ მას. მე ამას ვერაფერს დაუმატებ. გენერალ ობრუჩევის მდგომარეობა ისეთია, რომ შეიძლება მისი მოსაზრებები გაიზიარონ. რაც მეტად საინტერესო იქნება. მიუხედავად ამისა, საქმისათვის საჭიროა, რომ ყოველი რჩევა, ბრძანებაც კი, რომელსაც გენერალი ობრუჩევი იძლევა, — ობრუჩევი ბრძანებას სცემს უშუალოდ ან ვისიმე მეშვეობით, —მიღებულ იქნას და შესრულდეს უყოყმანოდ. ამიტომ უნდა ვაღიაროთ, რომ ტონი, რომელიც გენერალმა ობრუჩევმა აირჩია, მართებულია.

უკანასკნელ ხანებში ჩვენთან ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ახალ სტრატეგიულ გეგმაზე. „ჩვენ მხოლოდ ახლა ვიწყებთ კამპანიას“,— ისმის ყოველ მხრიდან. წარსულზე არავინ ფიქრობს, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ წარსულს ვერ დაიბრუნებ. დღევანდელ მდგომარეობას ყველა ღებულობს როგორც გამოსავალ წერტილს შემდგომი მოძრაობისათვის და არა როგორც წარსული ოპერაციის შედეგს. მე თამამად გადმოგცემთ ჩვენს ვარაუდს და მოსაზრებებს იმიტომ, რომ ცნობები ემყარება დარხეულ ხმებს, ნათქვამს. გარდა ამისა, როცა თქვენ წაიკითხავთ ჩემს წერილს, ჩვენი მდგომარეობა ისე იქნება შეცვლილი, რომ მას ვეღარ იცნობთ. მოსაზრებების ნაწილი სისრულეში იქნება მოყვანილი, ნაწილი — გაუქმებული და უარყოფილი.

თუ ყველა „ხმებს“ დაუჯერებთ, თუ დაუჯერებთ ყველაფერს, რასაც „ამბობენ“ იმ დიდ კონცერტზე, რომელსაც ომი ეწოდება და მცირე აზიის თეატრში იდგმება, მაშინ გამოირკვევა, რომ ჯერ მხოლოდ პრელუდია, შესავალია გათამაშებული. ხოლო თითონ კონცერტი ამ დღეებში უნდა დაიწყოს.

თქვენთვის უკვე ცნობილია, რომ მუხთარ-ფაშამ პოზიციები დაიკავა ჩვენ საზღვართან მეტისმეტად ახლოს და ძალიან გაამაგრა. ამ პოზიციებს გრძელი ხაზი უჭირავთ და თურქეთის ფრონტი მრავალ ვერსზეა გაჭიმული. მზვერავები ამბობენ, რომ ყარსი თითქმის დაცარიელდა და მთელი ძალები, რომელიც იქ თავმოყრილი იყო, ამჟამად თავმოყრილია მუხთარ-ფაშას მთავარ ძალებთან. მტრის ძალების ასეთ განლაგებასთან დაკავშირებით, მთავარი ამოცანა და წარმატების უპირველესი თავდები ისაა, რომ მუხთარ-ფაშას გზა

მოუჭრათ ყარსისაკენ და გადავჭრათ ყველა მისი საკომუნიკაციო ხაზები. და რადგან ყარსის გარნიზონი დაუძლურებულია, ზურგში ჩვენ საშიში მტერი არ გვეყოლება. ყველას შესაძლებლად მიაჩნია მუხთარ-ფაშას მოწყვეტა ყარსისაგან ისე, რომ თურქეთის მთავარ პოზიციებზე ერთდროულად ვაწარმოოთ დემონსტრაცია ორი ხაზით — ყარაიალისა და უჩთაფას მიმართულებით. ბევრს ისე შეუყვარდა ეს გეგმა*, რომ ჯარებიც კი გაანაწილეს. მათი დისპოზიციით, გენერალ შელკოვნიკოვის მეთაურობით უნდა შეიქმნას რაზმი სევასტოპოლისა და ბაქოს პოლკებისა, ვლადიკავკაზისა და ელიზავეტპოლის ბატალიონებისაგან და კიდევ ერთი ფეხოსანი პოლკისაგან. ეს რაზმი უნდა დაიძრას გზაზე, რომელიც ალაჯუსაკენ მიდის, გაიაროს ეს ძნელად გადასავლელი მთა და დადგეს ვიზინკიესთან და ამით მოწყვიტოს თურქების მთავარი ძალა მის მთავარ საყრდენს. იმავე ხმადარხეული დისპოზიციით და გავრცელებული ხმებით, არდაგანის რაზმი კომაროვის მეთაურობით, რომელიც ჭრილობებისაგან უკვე სავსებით განიკურნა, უნდა დაიძრას მაცრისკენ და განდევნოს თათრები მცირე იაგნიდან, რომელიც ძალიან მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენს.

აი ის „ხმები", რომლის შესახებ ამჟამად აქ ყველა ლაპარაკობს... თუ ეს გეგმა მართლაც სისრულეში იქნა მოყვანილი, მუხთარ-ფაშას მდგომარეობა სახარბიელო არ იქნება, ხოლო ყარსის გარნიზონის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება. მას ან ტრიალ მინდორზე გამოსვლა მოუხდება, ან იარაღის დაყრა, ანდა ფრონტის გარღვევა და სამშვიდობოზე გასვლა, როცა საარსებო საშუალება გამოელევა.

ყოველ შემთხვევაში, ეს გრანდიოზული გეგმა და მისი განხორციელება ჩვენ იაფად არ დაგვიჯდება. ძალიან ბევრი რუსული სისხლით მოირწყვება სომხეთის ქვიანი მთები და ქვიშიანი მიჰდერები. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს ადგილები ძნელი გასავლელია და მტრის პოზიციები გამაგრებულია. რამდენადაც ვიცით, მცირე იაგნებზე 24 საციხოვნო ქვემეხია დადგმული, რომლებიც ყარსიდანაა წამოღებული. თუ მზვერავები არ სტყუიან, ყველა მთის მისადგომი, ყველა გორაკი გადათხრილი და დაცულია.

ახალი ამბები აქ ჩვენ არაფერი გვაქვს. — გენერალი შელკოვნიკოვი თავს უყრის რაზმს, რომელსაც ის მეთაურობს. მან უკვე გაიარა გზა გიკაჩიდან კომბინის საგუშაგომდე. მესანგრეებმა დაამუშა-

---

* ეს გეგმა უკვე მოყვანილია სისრულეში ისე, რომ არდგანის რაზმს მასში ჰონაწილეობა არ მიუღია.

ვეს არფაჩაიზე რამოდენიმე ადგილას გადასვლის გეგმა. ალექსანდროპოლიდან არფაჩაიზე ჩამოიტანეს კაპპელევის ხიდი. სევასტოპოლის პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ვოედახინი, როგორც ამბობენ, პირველი გადალახავს საზღვარს.

6

ბანაკი ყარაიალთან, 21 სექტემბერი.

დიდი ხანია ყველა მოუთმენლად მოელოდა მუხთარ-ფაშასთან „ახგარიშის გასწორების“ დღეს. ბოლოს ეს დღეც დადგა.

19 სექტემბერს ბანაკში ელვის სისწრაფით გავრცელდა ხმა, რომ ჯარები აძალამვე უნდა დაიძრენ ადგილიდან, რათა განთიადისას შეტევაზე გადავიდხენ. შეტევის საერთო გეგმა, რომელიც რამდენიმე კვირის განმავლობაში მზადდებოდა მთავარ შტაბში მთელი რიგი სამხედრო თათბირების დროს, საიდუმლოებას წარმოადგენდა იმათთვის, ვინც მასში მონაწილეობას არ იღებდა. მხოლოდ რამოდენიმე კაცმა იცოდა დაახლოებით, რომ გეგმის არსი მდგომარეობდა მუხთარ-ფაშას საკომუნიკაციო ხაზებზე შეტევის წარმოებაში. მაგრამ, თუ როგორ მოხდება მუხთარ-ფაშას მოწყვეტა ყარსიდან და არზრუმიდან, ეს მხოლოდ სამხედრო საბჭოს წევრებმა იცოდნენ. მეთაურთა თათბირების ამბავი თანდათან გაიგო ყველამ. ყველაზე ადრე კი გაიგო ბაზარმა, რომელმაც საჩქაროდ ჩაალაგა საქოხელი ყუთებში და იქაურობას გაეცალა.

19 სექტემბერს, საღამოს, ჯარები ბანაკებიდან დაიძვრნენ; მათ ჩვენთან, ყარაიალში, გამოგზავნეს თავიანთი შტაბები და აღალები, თითონ კი, თანახმად შემუშავებული დისპოზიციისა, წინ წავიდნენ. ბანაკიდან მაშინვე დაიძრა სამხედრო-სატელეგრაფო ნაწილი, რომელსაც ღამის განმავლობაში კავშირი უნდა დაემყარებია ჯარის მთავარ ნაწილებსა და მთავარ შტაბს შორის. დილის სამ საათზე კორპუსის უფროსი თავის შტაბთან ერთად გაემგზავრა. მას ახლდნენ გენერალ-ლეიტენანტი ობრუჩევი და გენერალ-მაიორი შალიკოვი; არაფერს ვამბობთ მის სხვა, ჩვეულებრივ თანამგზავრებზე. ის პირდაპირ გაემართა ყაბახ-თაფას ბორცვისაკენ, რომელიც მდებარეობს ყარაიალის ბანაკიდან დასავლეთით 14 ვერსზე, იაგანის მთიდან კი აღმოსავლეთით 9 ვერსზე. დისპოზიციის მიხედვით, ბრძოლის პირველი საათების განძავლობაში მისი „ბინა“ აქ უნდა ყოფილიყო.

ჩამოვედი თუ არა ყაბახ-თაფაში, საშუალება მომეცა დაწვრილე-

ბით გავცნობოდი დისპოზიციას. რადგან სექტემბრის დასაწყისში დაწვრილებით აგიწერეთ" ის ადგილები, სადაც ბრძოლები მიმდინარეობს. ამიტომ პუხქტებს დავასახელებ ისე, რომ ყოველი მათგანის მდებარეობის შესახებ დაწვრილებით აღარაფერს ვიტყვი და არც მათ შორის არსებულ მანძილს გახვსაზღვრავ.

ჯარი, რომელიც ამჟამად „მომქმედი კორპუსის მთავარ ძალას" ყარძოადგენს, გაყოფილია ოთხ ნაწილად.

მარჯვენა შემტევი ფრთა, გენერალ ადიუტანტ ლორის-მელიქოვის ხელმძღვანელობით, შედგენილია ფეხოსანთა ჯარის 32 ბატალიონისაგან, 37 ესკადრონის და კავალერიის ასეულებისაგან და 104 ქვემეხისაგან. ამ ფრთამ, თავისი ძალების ერთი ნაწილით, უნდა შეაკავოს მუხთარ-ფაშას მარცხენა ფრთა, რომელიც განლაგებულია ჰაჯივალიდან სუბოტანისაკენ, და ხელი შეუშალოს მაშველ ძალებს, ყარსის რაზმებმა კი მთელი თავისი ძალებით უნდა შეუტიოს მტერს და, ძალებისდაგვარად, მთლიანად დაამარცხოს.

რადგან დღევანდელი დღის მთავარი ამოცანა ამ მარჯვენა ფრთას ჰქონდა დაკისრებული, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია დაწვრილებით გაგაცნოთ მისი შემადგენლობა და განაწილება.

მარჯვენა ფრთის მარჯვენა კოლონა შედგება 7 ბატალიონის, 16 ასეულისა და 20 ქვემეხისაგან, რომელსაც მეთაურობს გენერალ-გრაფი გარბე, და 6 ბატალიონის, სამი ასეულისა და 8 ქვემეხისაგან, რომელსაც მეთაურობს გენერალი კომაროვი (არდაგნელი). მათი საერთო ხელმძღვანელია გენერალ-ლეიტენანტი როოპი. ამ კოლონამ უნდა შეუტიოს მტრის იმ ნაწილებს, რომელსაც მცირე იაგნი უჭირავს. მ ა რ ჯ ვ ე ნ ა ფ რ თ ი ს შ უ ა კ ო ლ ო ნ ა შედგენილია 4½ ბატალიონისა, 12 ესკადრონისა და ასეულებისაგან და 16 ქვემეხისაგან, მისი უფროსია გენერალ-მაიორი შერემეტევი. მან, რაც შეიძლება სწრაფად, უნდა დაიკავოს დიდი იაგნი და მაშინვე წინ წასწიოს კავალერია ვიზინკეის მხარისაკენ და ვიზინკეი-ორლოვის მაღლობებისაკენ, რათა მტრის ძალები გამოავლინოს. მ ა რ ჯ ვ ე ნ ა ფ რ თ ი ს მ ა რ ცხ ე ნ ა კ ო ლ ო ნ ა შესდგება 7 ბატალიონისაგან, ორი ასეულისა და 40 ქვემეხისაგან, მეთაურობს გენერალ-მაიორი ფონ შაკი. მან უნდა დაიკავოს პოზიციები ჰაჯივალის პირდაპირ მაღლობებზე, აქ განლაგებული მტერი ძლიერი ცეცხლის სროლით შეაწუხოს და არ მისცეს საშუალება დაიძრეს ვიზინკეისაკენ. შუა და მარცხენა კოლონების საერთო უფროსია გენერალ-ლეიტენანტ გეიმანი. და ბოლოს, მ ა რ ჯ ვ ე ნ ა ფ რ თ ი ს ს ა თ ა დ ა რ ი გ ო ნ ა წ ი ლ ი, რომელიც შესდგება

7½ ბატალიონისაგან, ოთხი ასეულისა და 14 ქვემეხისაგან, და რომელსაც გენერალ-მაიორი სოლოვიოვი მეთაურობს, უნდა იდგეს ყაბახტაფის სამხრეთ დასავლეთით, სადაც, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, უნდა გაჩერდეს კორპუსის უფროსი, — მარჯვენა ფრთის ძოქმედების საერთო ხელმძღვანელი.

დისპოზიციის მიხედვით, შეტევა უნდა დაწყებულიყო „იმ ანგარიშით, რომ გახთიადის დასაწყისშივე ხელთ გვეგდო დიდი იაგნი, პოზიცია დაგვეკავებინა ჰაჯივალის პირდაპირ და ერთდროულად ძევსეოდით პატარა-იაგხის“. შაშასადამე, თავდაპირველად მარჯვენა ფრთას, საბრძოლო ხაზის 18 ვერსი უნდა ჭეროდა.

მარცხენა ფრთა შედგენილი იყო 11¼ ბატალიონისაგან, 15 ასეულისა და 40 ქვემეხისაგან, გენერალ-ლეიტენანტ ლაზარევის მეთაურობით. მას უნდა „დაეკავებინა ქიულვერანის მაღლობები და ბაშკადიკლარ-ქიულვერნის ხევის ნაწილი, შეეკავებინა ჩტრის ჩარჯვენა ფლანგის ჯარები, უმთავრესად, საარტილერიო ცეცხლის ზემოქმედებით“.

გენერალ-ლეიტენანტ შელკოვნიკოვის. კამბინის რაზმი, შემდგარი 5 ბატალიონის, 10 ასეულისა და 12 ქვემეხისაგან, — თავიანთი სარაკეტო კომანდით, დაინიშნა მტრის განლაგების მარჯვენა ფრთის ზურგში საქმოქმედოდ“. იმ შემთხვევაში, თუ კამბინის საგუშაგოსთან ორი ბატალიონი მივიდოდა, რომელსაც ერევნის რაზმიდან მოელოდნენ, მაშინ გენერალ შელკოვნიკოვს უფლება ეძლეოდა შეტევა განევითარებინა მტრის განლაგების ზურგში, მაგრამ მხედველობაში უნდა მიეღო, რომ ის ჩვენი მთავარი ძალებისაგან მოწყვეტილია მტრის მთელი მასით და იმედი არ უნდა ჰქონებოდა, რომ ვინმე დროულად დაეხმარებოდა. ამიტომ, შესაფერი წინდახედულობით უნდა ემოქმედა და ცალკე არ დამარცხებულიყო.

ჩვენი ძალების მეოთხე და უკანასკნელ ნაწილს შეადგენდა საერთო რეზერვი: ფეხოსანთა ჯარის 10 ბატალიონი, 12 ესკადრონი და ცხენოსანთა ასეული და 52 ქვემეხი. ამ ნაწილის უფროსი იყო გენერალ-ლეიტენანტი შატილოვი. ეს რეზერვი განლაგებული იყო ყარაიალის მთის ძირთან ახლოს, ქიურუქდარიდან სუბოტანში ძიძავალ გზაზე.

აქამდე მე მხოლოდ ამონაწერები მომქონდა „მომოქმედი კორპუსის მთავარი ძალების 1877 წ. 20 სექტემბრისათვის შედგენილი დისპოზიციიდან“.

ის აზრი, რომ შეტევა გვეწარმოებინა მტრის ბაზებთან დამაკავშირებელ ხაზებზე და არა უშუალოდ ფრონტზე, — მე ყოველთვის

ეჩვენებოდა საუკეთესო საშუალებად მცირე აზიის დღევანდელი კამპანიის წარმატებით დასამთავრებლად, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მუხთარ-ფაშამ ალაჯაზე პოზიცია დაიკავა. სამწუხაროდ, დისპოზიციის პირველმა გაცნობამ ჩემი იმედები არ გაამართლა მთლიანად. მცირე იაგნის მთა განზე დგას იმ გზიდან, რომელიც მუხთარ-ფაშას ბაზასთან აკავშირებს. ამ დამაკავშირებელ გზებზე, უმთავრესად, ბატონობენ ვიზინკეის მაღლობები და, ნაწილობრივ, დიდი იაგნი. ეს მთავარი ობიექტებია, საიდანაც შეიძლება შეტევა მტრის საკომუნიკაციო ხაზზე. მეორეს მხრივ, ამ ხაზზე შეტევას მიზნად უნდა ქონდეს დაკავება ხელსაყრელი პოზიციების, სადაც ჩვენს ჯარებს შეეძლებათ გამაგრება იმისათვის კი არა, რომ აქედან შეტევა დაიწყონ მტრის დღევანდელ განლაგების წინააღმდეგ, არამედ იმიტომ, რომ თუ მტერს დასჭირდება ჩვენი ფრონტის გარღვევა თავის ბაზებთან დასაკავშირებლად, ჩვენმა ჯარებმა უნდა გაუძლონ მტრის მთელ რიგ სასტიკ შემოტევას. როცა ყველასათვის ნათელი გახდა ჩვენი ჯარების მიმართულება და განლაგება, ჩვენი დღევანდელი ამოცანა, ბევრი ახალგაზრდა ოფიცერი, რომლებთანაც მე ლაპარაკი მომიხდა, პირდაპირ ამბობდა, რომ გამარჯვების მთავარ გზად უნდა ჩავთვალოთ ყაბახთაბადან ვიზინკეისკენ მიმავალი გზა დიდი იაგხის აღმოსავლეთ დაღმართის გავლით.

მეორე არა სასიამოვნო "მთაბეჭდილება ბრძოლის დაწყების წინ ის იყო, რომ დისპოზიციის მიხედვით განთიადისას დიდი იაგნი დაკავებული უნდა ყოფილიყო გენერალ-მაიორ შერემეტიევის კოლონის მიერ, ხოლო მცირე იაგნიზე იერიში უნდა მიეტანათ გარბეს და კომაროვის კოლონებს. განთიადი რამდენი ხანია უკვე დაიწყო, უკვე დილის ექვსის ნახევარზე მეტია, "ეტევა კი ჯერაც არ დაწყებულა. თურქებმა "ეხი"ხეს ჩვეხი კოლოხების მოძრაობა და მათ პირველ"ა გახსნეს ცეცხლი მცირე იაგნიდან. ეს მოხდა დილის 6 საათსა და 35 წუთზე.

ყაბახთაფას მაღლობიდან ჩვენი ჯარების მოძრაობა მთლიანად არ მოსჩანდა. სი"ორე ჩვენ ხელს გვიშლიდა დაგვენახა, თუ რა ხდებოდა მარჯვენა ან მარცხენა კოლონაში. არსებითად, ჩვენ მხოლოდ ჩვენი ფრთის რეზერვის მოძრაობას ვხედავდით. სწორედ ამიტომ. კორპუსის უფროსი ცხენზე შეჯდა და დაიძრა დიდი იაგნის მიმართულებით, რათა მას "ეიახლოებოდა. სანამ ჩვენ წინ წავიწევდით, სახამ ლორის-ძელიქოვი გახკარგულებას გასცემდა რეზერვების უფრო მიზანშეწონილად განლაგების შესახებ, ჩვენმა ჯარებმა დიდ იაგხიზე ასვლა დაიწყეს. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვხედავდით ამ მთის

საძხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთით წარმოებულ მთავარ შეტა-კებას. ჩვენ მხოლოდ ფეხოსანთა იმ ნაწილს ვხედავდით, რომელიც ბთის აღმოსავლეთ ციცაბო დაღმართზე ხევით ადიოდა. როდესაც კორპუსის უფროსმა დაინახა, რომ შეტევა ნელა მიმდინარეობს, რომ მტრის მსროლელები, რომლებიც დიდი იაგნის მწვერვალის ტრანშეებში სხედან, არ იძვრიან და ჩვენს შეტევას უძლებენ, მწვერ-ვალის როგორც ჩრდილოეთის, ისე სამხრეთის მხარეს, განკარგულება გასცა მთის ჩრდილო დაღმართისკენ დაეშრათ ერთი ან ორი ასეული რეზერვებიდან, რათა თურქებს დაეხახათ, რომ მათ ერთ-დროულად უტევენ ყოველი მხრიდან. ქართული პოლკის ერთი ასე-ული ჯაჭვად გაიფანტა და აღმართზე ასვლა დაიწყო. თურქთა ძსროლელებმა, რომლნიც შეტევის ობიექტს წარმოადგენდნენ და ბთის აღმოსავლეთისა და სამხრეთის მწვერვალების ტრანშეებს ავ-სებდნენ, როგორც კი ეს შენიშნეს, ჩრდილოეთის ტრანშეებისკენ გადაიხაცვლეს. ამავე დროს, შეტევა ძალიან ნელი ტემპით ვითარ-დებოდა, რადგან ამ უზარმაზარ კონუსზე თითქმის ორი ვერსი ცოცვით უნდა გაიარო.

ბოლოს, სრულ რვა საათზე, ჩვენ დავინახეთ, რომ თურქები გა-იქცნენ და ჩვენმა ჯარისკაცებმა მთის მწვერვალი დაიკავეს. შემდეგ გაძოირკვა, რომ მთავარი შემტევი ძალები იყო: კავკასიის პირვე-ლი ბატალიონი (პირველ ხაზზე), მთელი ნესვიჟის პოლკი გრენა-დერთა პირველი დივიზიისა, რომელიც ამას წინათ მოვიდა ჩვენ-თან მოსკოვიდან. თუ კარვების და მიწურების ოდენობით ვიმსჯე-ლებთ, რომელნიც სანგრებთან იყო მოწყობილი, მტერს აქ ორიდან სამ ასეულამდე ფეხოსანი ჯარი ყავდა. ხოლო თუ ჩვენს ხელთ ჩა-ვარდნილი სნაიდერის სისტემის თოფების მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ ირკვევა, რომ აქ იდგნენ რედიფის ბატალიონები, მტრის ფე-ხოსანთა ჯარის ყველაზე სუსტი ნაწილი. მტრის სანგრები ძალზე უხეიროდ იყო აგებული, მაგრამ მთის მწვერვალს მთლიანად ერტყ-მოდა გარს და წინ ჰქონდათ ხშირი ლოჟმენტები. მთელ მთასაც, თავის ნახევარ დაღმართზე გარსშემორტყმული ჰქონდა, აგრეთვე, სარტყელი არც თუ დიდი ლოჟმენტებისაგან. უნდა ითქვას, რომ აქ თურქები თავის უკანასკნელ შესაძლებლობამდე იბრძოდნენ. ჩვენი შეტევა მთლიანად კარგად იყო მომზადებული წინასწარი საარტილე-რიო ცეცხლით; მრავალი ჭურვი ტრანშეებში ეცემოდა და მე ვნახე ძტრის ბევრი ჯარისკაცი, რომლებიც სანგრებში ჩვენმა ყუმბარებმა ძოჭკლა.

გაქცეულთაგან 60 ჯარისკაცი ტყვეთ იქნა წამოყვანილი, 100 კა-

ცი მკვდარი დავითვალე, დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს. ვიღაცამ ხმა გაავრცელა თითქოს მოკლულთა შორის არის ჯარისკაცის კოსტუმში გაძოწყობილი ქალი, მსგავსად არვართანის საქმისა, სადაც, როგორც სჩანს, მოკლული იყო სანიტარი ქალი (რადგან მის ახლო იპოვეს ფთილი და ბინტები). ასეთი ხმა ვრცელდება ყოველი ბრძოლის შემდეგ. მე შემოვიარე ყველა სანგარი, გავსინჯე ყველა გვამი, მაგრამ ქალის გვამი არსად აღმოჩნდა. ჩვენ შეკითხვაზე, ამის შესახებ, ასეთ პასუხს ვღებულობდი: „ამბობენ ნამდვილად არისო, მაგრამ სად, — არავინ იცის“. მიუხედავად იმისა, რომ ქალის გვამის აღმოსაჩენად, ჩემს გარდა, ბევრი ოფიცერი წამოვიდა, გვამი მაინც ვერავინ იპოვა.

როდესაც კორპუსის უფროსს მოახსენეს, რომ ჩვენებმა იაგნი აიღესო, მან ჰკითხა ამბის მომტან ოფიცერს: გაგზავნილია თუ არა ცხენოსნების კავალერია ვიზინკევის მიმართულებით? ოფიცერმა უპასუხა, რომ მან ამის შესახებ არაფერი იცის, კორპუსის უფროსმა ეს ოფიცერი გაგზავნა გენერალ-მაიორ შერემეტიევთან ბრძანებით — დაუყოვნებლივ გაგზავნონ ჯარები ვიზინკეის ასაღებად, ან ძტრის ძალების აღმოსაჩენად.

ამავე დროს მარჯვენა კოლონის ჯარები წინ მიიწევდნენ. ისინი გაბმულ ჯაჭვად მიდიოდნენ იმ გორაკებისაკენ, რომელნიც პატარა იაგნის ჩრდილოეთის გაგრძელებას წარმოადგენდნენ. აქ ჩვენი კოლონა ძალიან ნელა მოძრაობდა და მტერი მას ხშირად ანადგურებდა ქვეშეხებით. ჩვენი შემტევი ძალები რომ გაგვემაგრებინა, ნაბრძანები იყო ფრთის რეზერვიდან გამოეყოთ ორი ბატარეა და გაეგზავნათ მცირე იაგნის წინააღმდეგ. გენერალ-ლეიტენანტი ობრუჩევი თითონ წავიდა ამ ბატარეების მოხერხებული ადგილის ამოსარჩევად და ჩქარაც გახსნა ცეცხლი პატარა იაგნის წინააღმდეგ. ბატარეები ძალიან მარჯვედ და ზუსტად მოქმედებდნენ. ჭურვი მტრის ბატარეების ძიწაყრილებთან ეცემოდა, მაგრამ, რამდენადაც ბინოკლიდან ძეშეძლო შემენიშნა, მტრის საარტილერიო საბსახური ძალიან ბეჯითად იყო დაცული სიმაგრეების დიდ მიწაყრილებს იქით. ჩვენი უუბარის ყოველი გასკდომის შემდეგ, მიწაყრილიდან ერთი ფიგურა გამოდიოდა, ნელა გაივლიდა მიწაყრილის წინ და მოწინააღმდეგე მხრიდან საფარში შედიოდა. როგორც ეტყობა თურქებს სურთ თავიანთი ძიწაყრილები დიდხანს შეინარჩუნონ. ამიტომ ყოველი უუბარის გასკდომის შემდეგ სინჯავენ მას. ყოველ შემთხვევაში, ეე სხვაგვარად ვერ ავხსენი ეს მუდმივი გასეირნება.

როგორც კი აღებულ იქნა დიდი იაგნი, კორპუსის უფროსი ამ ბთისა და პატარა იაგხის შუა ბდებარე ადგილისაკენ გაემართა, მას უნდოდა ეს ბთა სამხრეთ აღმოსავლეთის მხრიდან დაეთვალიერებინა, ენახა, აგრეთვე, ვიზინკიევის და ავღარის პოზიციები. საჭირო შეიქნა დიდი იაგნის ძირის შემოვლა დასავლეთიდან და სამხრეთიდან. მაშინვე გაცეცხლული იქნა განკარგულება — დაეძრათ იმავე მიმართულებით რეზერვებიდან გრენადერთა ქართული პოლკი, რათა ის ბცირე იაგხისთან სამხრეთიდან ძისულიყო. ეს კი ჩვენს მარჯვენა კოლონას მდგომარეობას შეუმსუბუქებდა.

მცირე იაგნის მთა გრძლათაა ამართული ველზე. სამხრეთით ის შეუმჩნეველია, გაბმულად ეშვება დაბლობისაკენ, აღმოსავლეთით ფერდობი ძალიან დამრეცია, ხოლო ჩრდილოეთიდან ციცაბო კლდეს წარმოადგენს; აქ იქმნება უნაგირი, რომელიც მას აკავშირებს მეორე გორაკთან, რომელსაც მოგრძო ტერასის სახე აქვს და გრძელდება სოფელ ხალიფოღლამდე. ამ ტერასაზე თურქებს ტრახშეები ქოხდათ აგებული, ხოლო უნაგირზე განლაგებულია საკმაოდ ძხიშვნელოვანი ბანაკი. მცირე იაგნის მწვერვალი გარშემორტყმულია მთელი რიგი ტრანშეებით, რომელნიც ერთდებიან ზიგზაგებით, რომელთა წინ გამოშვერილ კუთხეებში მოწყობილია ბრგვალი მიწაყრილები სათოფურების მსგავსად. ამგვარად, მთელი მწვერვალი წარმოადგენს ვარსკვლავის მსგავს დახურულ სიმაგრეს, საკმაოდ ღრმა თხრილებით და ძლიერი მიწაყრილებით. მისგან დამოუკიდებლად, სიმაგრის შიგნით, რამდენიმე ადგილას, გაკეთებულია ნალის მსგავსი მიწაყრილები, რომელთა უკან დაყენებულია მტრის ქვემეხები. ამ მიწაყრილებისა და ლოჟმენტების მარცხნით დადგმულია რამოდენიმე კარავი. რადგან ბწვერვალი მხიშვნელოვნად დაქანებულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ეს კარვები თითქო ტერასებით არიან დადგმულნი ერთიმეორეზე. ქართული პოლკი გაგზავნილი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარისაკენ, საიდანაც მთაზე ასასვლელი ყველაზე კარგი მისადგომი იყო და თან ყველაზე ნაკლებ დაქანებული.

როგორც კი კორპუსის უფროსი დიდი იაგნის აღმოსავლეთ ძირისაკენ გაემგზავრა, მას მიეგება გენერალ-ლეიტენანტი ობრუჩევი, რომელიც უკან ბრუნდებოდა ბატარეების დასადგმელი ადგილის არჩევის შემდეგ. „სწავლულმა გენერალმა“, როგორც მას უწოდეს აქ ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა, სთქვა, რომ ბოჭყავთ ტყვე, რომელიც დიდ იაგნის იცავდა. მართლაც, ჩვენ ჩქარა შევხვდით მსხვილ, მსუქან და ახოვან ვაჟკაცს, ოფიცერს, რომელმაც კორპუსის უფრო-

სის შეკითხვაზე უპასუხა, რომ მას ბაიმბაშის, ე. ი. მაიორის ჩინი აქვს. მას მართლაც ნამდვილი მაიორის გარეგნობა ჰქონდა. ამ შემთხვევის გამო, ბევრმა ჩვენთაგანმა ძალიან იცინა, მაგრამ ვერ მოვასწარით სიცილი დაგვეძთავრებინა, რომ თურქებმა, როგორც კი შენიშნეს მაჰმადის მწვანე ალამი, რომელიც ჩვენ არდაგანში ჩავიგდეთ ხელთ და მას შემდეგ მუდამ თან დაქონდა გენერალ ლორის-მელიქოვს, შესწყვიტეს სროლა, როგორც ჩვენი ბატარეების, ისე ჩვენ ფეხოსანთა ჯარის წინააღმდეგ, და ჩვენს პატარა ჯგუფს დაუწყეს სროლა. ბიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შცირე იაგნის დაშორებული ვიყავით ოთხი ვერსით, მტრის მესამე ყუმბარამ თავზე გადაგვიარა წივილით და ჩვენს ზემოთ რამოდენიმე ნაბიჯზე, დიდი იაგნის ფერდობზე გასკდა. ყუმბარის გადაფრენით გამოწვეული ჰაერის ტალღები ყველამ ვიგრძენით. ჩვენი ცხენები ყალყზე შედგნენ. ბაგრამ მაშინვე გაისმა გენერალ ლორის-მელიქოვის მკვეთრი ხმა: „არ გააჭენოთ“, და ჩვენმა ჯგუფმა ისევ ნაბიჯით განაგრძო გზა. ამ დროს, შემთხვევით, მე აღმოვჩნდი ლორის-მელიქოვის გვერდით, რომელმაც გვითხრა, რომ ყოველთვის, როცა მას ამ ადგილებში გაუვლია, თურქები სროლით უძასპინძლდებოდნენ. მან ვერ შოასწრო თავისი ფრაზის დამთავრება, რომ ახალი გასროლა გაისმა და ყუმბარა გამჭოლავი წივილით გადაგვევლო თავზე. გაისმა ყუმბარის გაბაყრუებელი გასკდომის ხმა. მიწისგან ავარდნილმა მტვერმა თვალები დაგვიბნელა. მტვერმა დაფარა ჩემთან ახლო მყოფი მხედრებიც: გენერალ-ლეიტენანტი ლორის-მელიქოვი, გენერალ-ლეიტენანტი შულცი, პოლკოვნიკი ქიშმიშევი, ადიუტანტები — პილარი და პეტროვი, თარხანოვი და კიდევ არ მახსოვს ვინ. ამ დროს ჰაერი ოდნავ გაიწმინდა და მე ვხახე კორპუსის მეთაური, რომელსაც ქუდი მოეხადა. „კორპუსის მეთაურს ვაშა“. — იყვირა მან. — „ყველანი უვნებელნი ვართ, ბატონებო!“ ღმერთმა იცის რამდენ წამს გრძელდებოდა გამაყრუებელი „ვაშა“ და ქუდების ქნევა. შემდეგ ყოველმა ჩვენთაგანმა საკუთარ თავს დაუწყო შინჯვა თავიდან ფეხებამდე, რათა დარწმუნებულიყო, რომ დაჭრილი არ არის.

გამოირკვა, რომ ყუმბარა დაეცა ჩემი ცხენის ცხვირის წინ კი არა, არამედ ორიოდე ნაბიჯით მარჯვნივ, კორპუსის მეთაურის ცხენის თავის ცოტათი მარჯვნივ; მისი ცხენიც შედგა, წინა ფეხები გაასავსავა და უკანა ფეხებზე ჩაჯდა. ყუმბარას არცერთი ჩვენთაგანი არ დაუზიანებია. ამის შემდეგ, ერთი ვერსის მანძილზე ნაბიჯით მივდიოდით; გენერალმა ობრუჩევმა გვიბრძანა ერთმანეთისაგან მოშორებით გვევლო. ჩვენი ჯგუფის მახლობლად, თითქმის ყოველ წუთს,

ეცემოდა ყუმბარა არაჩვეულებრივი სიზუსტით. მიუხედავად იმისა, რომ მტერმა ჩვენს წინააღმდეგ ყუმბარების მნიშვნელოვანი რაოდენობა დახარჯა, მისი მსხვერპლი მხოლოდ ბადრაგის ერთი მხედარი გახდა, რომლის თავი ერთ მხარეს გადავარდა, ხოლო ფეხები და ხელები — მეორე მხარეს.

როგორც კი დიდ იაგნის შემოუარეთ, ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ ეშვებოდა მთის მწვერვალიდან სამხრეთ ფერდობზე ნესვიეის პოლკი ძთლიანად, რომელიც იგზავნებოდა გენერალ შაკის დასახმარებლად ჰაჯივალის წინააღმდეგ. პოლკი მარჯვედ ეშვებოდა დაბლა იმ ზიგზაგებით, რომელიც თურქებს გაეკეთებინათ. ჩვენი ჯარის ეს ძოძრაობა მთის დაღმართზე მოგაგონებდათ სურათს საბალეტო სპექტაკლიდან, სადაც წარმოდგენილია ხელოვნურ ფერდობზე ჯარის დაშვების სცენა. ჩვენთან აქ გენერალი ჰეიმანი მოვიდა, მან კორპუსის უფროსს მოახსენა, რომ ვიზინკიევის მიმართულებით ცხენოსანთა რაზმი ჯერ კიდევ არ გაუგზავნია, რადგან განზრახული აქვს ჯერ ავღარი აიღოს და შემდეგ დაეშვას ვიზინკიევისაკენ. მიუხედავათ ამისა, კორპუსის უფროსმა უბრძანა ცხენოსანთა რაზმის ერთი ნაწილი ვიზინკიევისკენ გაეგზავნა, ხოლო მეორე ნაწილი დაეძრა ავღარის მიმართულებით; ეს უნდა გაკეთდეს მანამ, სანამ მტერი მოასწრებს ამ პოზიციების მომარაგებას ფეხოსნებით, რომლებიც უკვე მოდიოდნენ აქეთკენ სოფელ ქიერხანადან, თურქთა მარჯვენა ფლანგიდან. მე არ ვიცი რატომ, მაგრამ ვიცი რომ არცერთი ეს ბრძანება სისრულეში არ იქნა მოყვანილი. იმ კოლონამ, რომელიც ვიზინკიევისკენ იქნა გაგზავნილი, როგორც მე ეს შევნიშნე დიდი იაგნის მწვერვალიდან, მიმართულება გაცილებით უფრო მარჯვნით აიღო და ბრძოლაში ჩაება მტრის იმ ფეხოსნებთან, რომლებიც პატარა იაგნიდან იხევდნენ.

სწორედ ამ დროს, მთავარი ბანაკიდან დეპეშა მოვიდა, რომელიც გვატყობინებდა, რომ გენერალმა შელკოვნიკოვმა, მიდიოდა რა მტრის მარჯვენა ფრთის უკან, ალაჯის აღმოსავლეთ მწვერვალის სახგრები აიღო და გახაგრძობს სვლას მტრის ზურგში. მეორე დეპეშა მოვიდა ჩვენი ფრთის მარჯვენა კოლონიდან, რომელიც გვატყობინებდა, რომ გენერალმა კოძაროვმა საჭიროდ სცნო შეეტია მცირე იაგნისათვის დასავლეთიდან, რათა ყარსსა და ამ მთას შუა შეეღწია. ძესამე ცნობა გვატყობინებდა, რომ გენერალ შაკს, რომლის ძალების უმრავლესობა გენერალ ლეიტენანტმა ჰეიმანმა წაიყვანა დიდ იაგნიზე შესატევად, არ შეუძლია გაუმკლავდეს მტრის შემოტევას და შველას ითხოვს. ამ უკანასკნელს სათადარიგო ნაწილებიდან

ჭაშინვე გაუგზავნეს ორი ბატალიონი, გრენადერთა პირველი დივიზიის როსტოვის პოლკიდან.

ავედით თუ არა დიდი იაგნის მწვერვალზე, ჩვენ დავინახეთ დიდი რაოდენობა მტრის ფეხოსნებისა, რომელნიც ველზე მიაბიჯებდნენ ყარსსა და იაგნს შუა. გვეჩვენებოდა თითქოს ჯარები ყარსიდან მოდიოდნენ. მაგრამ ტოპოგრაფებმა, რომლებიც მიდამოს ათვალიერებდნენ სპეციალური დიდი მილიდან, დაინახეს, რომ ჯარები ყარსიდან კი არ მოდიან, არამედ ყარსისკენ მიდიან. ეს მოსაზრება ემთხვეოდა გენერალ კომაროვის ერთ-ერთ მოხსენებას. სადაც ნათქვამი იყო, რომ მას შეხვდა ჯარები, რომლებიც იაგნში მიდიოდნენ ყარსიდან. შემდეგ კი შებრუნდნენ და ხელახლა ყარსისკენ წაკიდნენ.

ამავე დროს პატარა იაგნის ზარბაზნების გრიალი შეუწყვეტლივ ვრძელდებოდა სამი სხვადასხვა მხრიდან. კომაროვის კოლონა მთას უშენდა კარტეჩის ყუმბარებს, რომლებიც ხშირად დიდ სიმაღლეზე სკდებოდნენ. თოფის სროლის ხმა მცირე იაგნის დასავლეთ ფერდობზე თანდათან უფრო ძლიერდებოდა. მაგრამ თურქების არტილერია უკან დახევის დროს არაჩვეულებრივი შეუპოვრობით ისროდა ყოველი მიმართულებით. ამ მთის აღმოსავლეთიდან ჩვენ სხვას ვერაფერს ვხედავდით. დიდი მოუთმენლობით კელოდით იმ მომენტს, როდესაც მთის მწვერვალზე ჩვენი ჯარისკაცები გამოჩნდებოდნენ. მაგრამ არც სამხრეთიდან, არც ჩრდილოეთიდან და არც დასავლეთიდან ისინი არ ჩანდნენ. მართალია ქართველთა ჯაჭვი მოჩანდა, მაგრამ დასახული მიზნიდან მეტისმეტად შორს, დანარჩენი ძალებიდან კი მხოლოდ ბოლო ჩანდა. ბოლოს, დიდი და მომქანცველი ლოდინის შემდეგ, მარჯვენა კოლონიდან მივიღეთ ცნობა, რომ კომაროვის შეტევა დასავლეთიდან უშედეგო აღმოჩნდა და ამიტომ უკან იხევს. გაძოირკვა. რომ გენერალმა სოლოვიოვმა, რომელსაც მინდობილი ქონდა ქართველები დაეძრა სამხრეთიდან, ვერ დააკავშირა მათი შეტევა კომაროვის მოძრაობასთან.

ჩვენ ისევ დავეშვით დიდი იაგნის ჩრდილოეთ ძირისაკენ, ავწონდავწონეთ ჩვენი მდგომარეობა პატარა იაგნისთან და დავიძარით ჩვენი ფრთის მარცხენა კოლონისაკენ, გენერალ-მაიორ შაკის რაზმისკენ. აქ ძდგომარეობა გახისაზღვრებოდა საარტილერიო ცეცხლით და თოფების სროლით ჩვენსა და მტერს შუა. ჩვენ გავედით ბატარეების წინ და იქიდან დავინახეთ, რომ თურქებმა უკვე მოასწრეს ავღიარის მწვერვალზე თავიანთი არტილერიის ატანა და იქიდან

ცეცხლის გახსნა. ამ გარემოებამ 50% გაართულა ჩვენი ამოცანის ძესრულება.

იაგნზე შეტევისათვის რომ ხელი შეგვეწყო და შაკი გაგვემაგრებინა, დაგვჭირდა ახალი რეზერვები. ამის შესახებ ეცნობა დიდ მთავარს და მთავარსარდალს, რომელიც ბრძოლას ხელმძღვანელობდა და თვალყურს ადევნებდა მის მიმდინარეობას ყარაიალის მაღლობიდან. მოთხოვნის მიხედვით, რეზერვი დაუყოვნებლივ გამოგზავნეს. მაგრამ სანამ მან 18 ვერსი გაიარა და ჩვენამდე მოაღწია, უკვე დაბნელდა.

ჩვენ დიდი იაგნის ჩრდილოეთ ფერდობზე გავჩერდით. აქედან ვხედავდით ბრძოლის მიმდინარეობას როგორც მცირე იაგნიზე, ესევე ჰაჯივალზე. სამი საათის განმავლობაში თავზე დაგვტრიალებდნენ მტრის ჭურვები და ტყვიები, რომელთა უმრავლესობა სულ რამოდენიმე ნაბიჯზე ეცემოდა ჩვენგან. განსაკუთრებული წარმატებით აწარმოებდნენ სროლას შორს მსროლელი სამთო ქვემეხები, რომელნიც ვიზინკეის მთის განშტოებებზე იყვნენ ამოზიდულნი და მომართულნი იყვნენ ჩვენსკენ დიდი იაგნის დაღმართიდან. თურქების მიერ გამოსროლილი ჭურვები, გადაგვივლიდნენ რა თავზე, ეცემოდნენ ჩვენგან ორი ვერსის მანძილზე ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. ერთი ამ ჭურვთაგანი ჩვენ წინ მიმავალ ბხედარს შეეხო. მხედარის თავი ისე გადავარდა თითქოს საძართებელს მოეჭრაა. ხოლო ცხენი გაიქცა და თან გაიტაცა უნაგირზე მყოფი ცხენოსნის ტანი.

მთელ ხაზზე ბრძოლა საღამოს 6½ საათზე შეწყდა. მთელი დღე ცივი ქარი უბერავდა, საღამოს კი სიცივე ყინვად გადაიქცა. მთელი დღის განმავლობაში ჩვენ ერთი წვეთი არაფერი გადაგვიყლაპია. სამი საათი ვიხეტიალეთ ველზე და დაახლოებით შუაღამისათვის მოვაღწიეთ ბანაკს. მალე კორპუსის მეთაურიც მოვიდა, მას პირადად უნდა მოეხსენებია დიდი მთავრისათვის საქმის ვითარება და მიეღო სათანადო მითითებანი შემდგომი მოქმედებისათვის. დღეს, 8 საათისათვის, ის ისევ გაემგზავრა იაგნისაკენ. იქით მივიჩქარი მეც.

7

ბანაკი ყარაიალთან, 22 სექტემბერი.

მთელი ფართობი, პარაგეტიდან (ყარსჩაი) ვიზინკეიმდე და კიურუკ-დარიდან ყარსამდე, ზაფხულობით, სრულიად მოკლებულია წყალს. არაერთხელ გვქონდა ჩვენ შემთხვევა ამაში დავრწმუნებულიყავით. ამიტომ, როდესაც ამ უწყლო უდაბ-

ნოში სამხედრო ოპერაციებს ვატარებდით, ვიცოდით, რომ ჩვენს ჯარებს ბრძოლა მოუხდებოდათ არა მარტო თურქებთან, არამედ წყურვილთანაც.

სამართლიანობა მავალებს ვთქვა, რომ ეს გარემოება არ იყო დაფიწყებული, როცა საერთო გეგმას ამუშავებდნენ. ცნობილი იყო, რომ ვიზინკეის ქვემოთ წყალი უხვად არის. ამიტომ, ყველაზე გადაუდებელი ამოცანა იყო ვიზინკეის ქვემოთა პოზიციების დაუყოვნებლივ დაკავება; ეს იყო გეგმის არსი. გარდა ამისა, „20 სექტემბრის დისპოზიცია“ პირდაპირ გვავალებდა „მარჯვენა ფრთის კოლონების უფროსებს ეზრუნათ დაენიშნათ საგანგებო რაზმი, რომ გაეწმიხდათ წყაროები და ჭები გზებზე, რომელსაც ჯარები გაიცლიდნენ; მიეზიდათ, აგრეთვე, წყალი ჯარებისათვის“, რისთვისაც პოლკოვნიკმა ქიშმიშევმა სათანადო ჭურჭელი (რუმბები და კასრები) დაარიგა. ამ ჭურჭლის ტევადობა უდრიდა სამას ვედროს თითეული პოლკისათვის. მიუხედავად ამისა, მთელი მომარაგებული წყალი შუადღემდე ილეოდა. საღამოს 5 საათისათვის უწყლობა აწუხებდა არა მარტო ჯარისკაცებს, არამედ გავლენას ახდენდა სანიტარული ნაწილის საქმიანობაზეც. მრავალი დაჭრილის შეხვევა შეუძლებელი იყო. რადგან არ იყო წყალი ჭრილობის მოსაბანად. წყლის მოზიდვა მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობით შეიძლებოდა, რადგან მის მოსატანად საჭირო იყო 45 ვერსის გავლა. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ თუ რა გავლენას მოახდენდა ეს ჯარზე, განსაკუთრებით კი არტილერიასა და კავალერიაზე, რომელთა ცხენებს გუშინდელი საღამოს შემდეგ წყალი არ დაულევიათ.

20 სექტემბრის საღამოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ჯარისკაცებმა შტაბის საერთო მომარაგების ფურგონი იპოვეს და ერთ ბოთლ სელტერის წყალში ვერცხლით ერთი მანეთი გადაიხადეს. ჯარისკაცები უბიდან იღებდნენ პატარა ტომსიკებს, რომლებშიც შენახული ჰქონდათ, ღმერთმა უწყის რა დროიდან შავი დღისთვის შრომით ნაგროვები კაპიკები. „სული ფულზე უფრო ძვირი ღირს“, — ამბობდნენ ისინი და სამი-ოთხი კაცი აერთებდა თავიანთ კაპიკებს, რომ ერთი ბოთლი სელტერის წყლის ფასი მოეგროვებინათ და მელანქოლიურად ემშვიდობებოდნენ უკანასკნელ გროშებს. ზოგი კი ოფიცრებს ევედრებოდა ერთ ყლუპ წყალს ღვთის გულისათვის. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც უსინდისოდ იპარავდნენ ბოთლებს და ტიკჭორებს, რომლებიც არც ისე გულმოდგინედ იყო შენახული.

ამავე დროს მინდორი დაიფარა მტრის ჭურვების და ტყვიებისაგან დაჭრილ-დახოცილებით. რას ნიშნავს სანიტართა რაზმის ვაუკა-

ცობა, როცა რომელიმე ასეულში ან ათასეულში მწყობრიდან გამოყვანილია შემადგენლობის თითქმის მესამედი? დიდი იაგნის აღების შემდეგ ჩვენი დაჭრილები საათობით ეყარნენ იქ, სადაც მათ მტრის ტყვიამ მოუსწროთ. მათი გამოყვანა და დახმარების აღმოჩენა მთელი საღამო და მთელი ღამე გრძელდებოდა. ამ შრომის შესასრულებლად საკმაო რაოდენობით არ იყო არც სანიტრები და არც საკაცეები: თოფებით შეიარაღებულ ჯარისკაცებს მძიმეთ დაჭრილები მოჰყავდათ, ხოლო მსუბუქად დაჭრილები თვითონ მილასლასებდნენ შესახვევ პუნქტამდე 8—9 ვერსის მანძილზე. ბრძოლის შემდგომ საღამოს ამ ჯოჯოხეთური სურათით მიღებულ შთაბეჭდილებას მე, ალბათ, სამარეში თან ჩავიტან. ეს ფერმკრთალი ფიგურები, მიბნედილი, ჩამქრალი მზერით, ეს თავშეკავებული ამოკვნესა, სულის ძღრღხელი და ნერვების ამაფორიაქებელი ვედრება „წყალი", „ვერ-ილ „ვაი"... მე დარწმუნებული ვარ, რომ თვით დაჭრილნი ისე არ ატანჯებიან, როგორც მათი მაყურებელი ჯანმრთელი ადამიანები! ამის ატახა ხარის ნერვებსაც არ შეუძლია; და მე მგონია, ხანგრძლივ ბრძოლაში ასეთი სურათების ხახვით, ყველა სახეობის ჯარები ჰკარგავენ განსაზღვრულ პროცენტს თავიანთი ბრძოლის უნარიანობისას. ძალასა და ენერგიას.

აძასთან, საერთო გეგმას მნიშვნელოვანი ნაკლი აღმოაჩნდა: არც ვიზინკეი და არც ავღარი აღებული არ ყოფილა, ჯარები კი უწყლოდ დარჩა. რა უნდა ექნათ? იმ დროს, როდესაც მე გავემგზავრე ბანაკისაკენ (დაახლოებით სააღამოს 8 საათისათვის), გამოთქვეს აზრი, რომ დიდ იაგნში დაეტოვებინათ ფეხოსანთა ორი ბატალიონი, ხოლო დახარჩენი ჯარი დაეწყიათ უკან, — ყაბახთაფასკენ. სადაც თავს ძოიყრიდა, აგრეთვე, გენერალ როონის ჯარები. მოსაზრებამ, რომ მცირე იაგნის (იაგნის ჩვენთან დაცინვით იაგნენოკს, — რუსულად— ბატკანს, ეძახიან) აღებას არავითარი შნიშვნელობა არ ჰქონდა, ამ დროისათვის მთელი მოქალაქეობრიობა მოიპოვა. ჯარის ის კოლონები, რომლებიც ამ სიმაგრეს იღებდნენ, ნავარაუდევი იყო დილისათვის ავღარისა და ვიზინკეისაკენ დაეძრათ. ჩვენ ხელში გვქონდა დიდი იაგნი და რაკი წავიწევდით თუნდაც ნახევარი გზით ავღარ-ვიზინკეის პოზიციებზე, უკვე გაბატონებული ვიქნებოდით მტრის საკომუნიკაციო ხაზზე. ე. ი. გავიმარჯვებდით მტერზე. ამაში ეჭვის შეტანა არავის შეეძლო, თუკი პოზიციებს დიდი იაგნის სამხრეთ დაღმართიდან დახედავდა.

ასეთ პირობებში ყველას თავისთავად მოსდიოდა მოსაზრება გაეგრძელებინათ დიდი იაგნი. „დისპოზიციებში" ამის შესახებ ნათქვამი

ყო, რომ „დიდი და მცირე იაგნის წარმატებით აღების შემდეგ, მაჰიხვე. ყველაფერი თავდაცვით ძდგომარეობაში უნდა იქნას მოყვანილი“. კავკასიის მესანგრეთა ბატალიონის პირველი ასეული დიდი იაგნის აღებისთანავე დაიძრა ამ ძთის მწვერვალისაკენ.

განთიადისას კორპუსის უფროსი მოვიდა ყარაიალში მთავარსარდალთან სათათბიროდ. მე არ ვიცი რა გადაწყდა ამ თათბირზე და რა ბრძანებები წაიღო თან გენერალ-ადიუტანტმა ლორის-მელიქოვმა, მაგრამ 21 სექტემბერს, მთელი დღის განმავლობაში, ძარჯვენა ფლანგზე არაფერი ბოძბდარა, მთელი ძალები მიმართული იყო იქითკენ, რომ წყალი მოეზიდათ, აეკრიფათ და გადაეყვანათ დაჭრილები, დაესაფლავებინათ დახოცილნი. ცხენოსნები რიგრიგობით იგზავნებოდნენ ყარას-ჩაისთან წყლის დასალევად. ფეხოსნები დაასვენეს — თუ რამდენად საჭირო იყო ეს დასვენება, ამის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ შემდეგი ფაქტების მიხედვით.

ჯარის დიდ უმრავლესობას სრულიად არ ძინებია 19 და 20 სექტემბერს. 20 სექტემბერს, მთელი დღის განმავლობაში, ჯარები ბრძოლაში და მოძრაობაში იყვნენ. 20 და 21 სექტემბერს ღამით ჯარების გადაჯგუფება ხდებოდა. ჯარის ნაწილები იქამდე მოიქანცნენ, რომ ზოგიერთ მებრძოლს ჰალუცინაციები დაეწყო. სამეგრელოს გრენადერთა პოლკის მგონი ორი ბატალიონი, რომელთაც ხუთი ღამე უძინიათ, 15 სექტემბრიდან სულ მოძრაობასა და გადაჯგუფებებში იყვნენ. ხოლო 20 სექტემბერს უთანასწორო ბრძოლას ეწეოდნენ ჰაჯივალის წინააღმდეგ. — დაძრულ იქნენ ავლანის მიმართულებით გენერალ ჰეიმახის მიერ, რათა ამ პოზიციიდან 3 ვერსის მანძილზე დაეცვათ ჩვენი ღამის მოწინავე საგუშაგო ხაზი. ბატალიონის უფროსმა ყველა გამაფრთხილებელი ზომა მიიღო. ჯაკვი-ყარაული, და სხვა ამის მაგვარი, დაყენებული იყო მათთვის განკუთვნილ ადგილებზე. არტილერია უკან იდგა. გუშაგს მოეჩვენა, როგორც ამბობენ არც თუ უსაფუძვლოდ, რომ რამოდენიმე კაცი უახლოვდება ჩვენს ბატალიონებს მტრის მხრიდან. ჯარისკაცებს ეძინათ. გუშაგმა ჩვეულებრივად დაიძახა „ვინ მოდის“! პასუხი არ ისმოდა. საქმე ამით გათავდებოდა, მაგრამ რომელიღაც ჯარისკაცს, რომელიც გუშაგთან ახლო იწვა, ძილში ყვირილი მოესმა და ძოეჩვენა თითქოს თურქები იდგნენ ჯოჯგინად დადგმულ თოფებთან. ახალგამოღვიძებულმა იყვირა „ურა“ და ჯარისკაცები მაშინვე ფეხზე წამოვარდნენ, დაიწყეს ყვირილი ყოველი მხრიდან: „თურქები“! „ჰკა მაგათ“! და, უწეს-

რიგად, ხელი დაავლეს თოფებს. ამ დროს გაისმა იმ ბატარეის ქვემეხის სროლა, რომელიც ბატალიონებს იცავდა. მას მოყვა მეორე. ყველანი აირივ-დაირივნენ. საბედნიეროდ, ოფიცრებს გონება არ დაუკარგავთ, ისინი მივარდნენ ჯარისკაცებს, რომ როგორმე დაემშვიდებინათ. როგორც იქნა დაამშვიდეს ისინი და დაარწმუნეს, რომ თურქები მათ მახლობლად არ არიან. ეს მოხდა 20 სექტემბერს დაახლოებით საღამოს 10 საათზე. განთიადისათვის ასეთივე სურათი განმეორდა დიდი იაგნის დაღმართზე, თუ არ ვცდები, ნესვიეის პოლკში (გრენადერთა 1 დივიზია). ძიამბეს, რომ ასეთსავე სცენას ჰქონდა ადგილი ყაბახთაფში, თუმცა ამის დაბეჯითებით მტკიცება არ შეშიძლია.

ასე და ამგვარად, 21 სექტემბერს მარჯვენა ფრთის ჯარებს მიეცათ დასვენება, რომელიც მათთვის ესოდენ საჭირო იყო. დილამ მშვიდად ჩაიარა. დროგამოშვებით მებრძოლი მხარეები საარტილერიო სროლით უმასპინძლდებოდნენ ერთმანეთს. ამის გამო, არ ვჩქარობდი საბრძოლო ხაზზე გასვლას. მაგრამ სანამ მე მარჯვენა ფრთისკენ გავემგზავრებოდი, ძარცხენა ფრთისათვის უნდა დამეხედა. სწორედ ამიტომ, პირველად გავემგზავრე „საობსერვაციო პუნქტისკენ", — ყარაიალის მთისკენ, სადაც ბრძოლის დღეებში დიდი მთავარი, კავკასიის ჯარების მთავარსარდალი იმყოფებოდა; აქ შეიძლებოდა გაგება იმისა, თუ როგორია შემდგომი ვარაუდი.

ჩვენი ბანაკიდან მე ერთი ვერსის გავლაც ვერ მოვასწარი, რომ მარცხენა ფლანგზე გაისმა ქვემეხების გახშირებული სროლა, რასაც თოფების სროლაც მოჰყვა. რაც შემეძლო მივაჭენებდი ჩემს ისედაც მოქანცულ ცხენს და როგორც იქნა მივაღწია მთის წვერს, საიდანაც ბრძოლის სრული სურათი გადაიშალა. თურქები ყიზითაბას მაღლობებიდან ისროდნენ ქვემეხებს, ასეთივე სროლა იყო ყარხანასა და სუბოტანის მიდამოებიდან; ამავე დროს თურქების ფეხოსანთა ნაწილი უტევდა ჩვენს იმ ბატარეებს, რომელნიც სუბოტანის პოზიციებისაკენ იყო მიმართული. შედარებით თხელი ჩვენი ჯაჭვი სროლით უმასპინძლდებოდა მტერს. ჩვენი ბატარეები გამალებული სროლით უპასუხებდნენ თურქების ქვემეხებს ქიულვერნთან გორაკებიდან და სუბოტანის გარშემო. სასტიკი ბრძოლა მთელი საათი გრძელდებოდა ყოველგვარი შედეგის გარეშე. საობსერვაციო კარავთან, სათვალთვალო მილთან ახლო იჯდა დიდი მთავარი და დაძაბული ყურადღებით აკვირდებოდა ბრძოლის მიმდინარეობას. მის უკან სათვალთვალო მილს უჯდა გენერალ-მაიორი პავლოვი, რომელიც არმიის შტაბის

ეფროსის მოვალეობას ასრულებს. იქვე ახლოს იდგნენ და თათბირობდნენ მთავარი შტაბის გენერლები სვიატოპოლკ-მირსკის შეთაურობით. მთავარსარდალი იქვე, კარავთან ახლო, ერთ-ერთ ადიუტანტს ელაპარაკებოდა. მარცხნით — მოწინავე ადიუ-ტანტები და მთავარი შტაბის სხვა ჩინოსნები იხდნენ. ყველანი და-ძაბული ყურადღებით უცქერდნენ ბრძოლას და თან შთაბეჭდილე-ბებს უზიარებდნენ ერთმანეთს. დასავლეთით, ჩვენ საალყო ბატარეას-თან, მოგროვილი ყოფილ რამოდენიმე ოფიცერი, რომლებიც, აგრეთვე, ბრძოლას ადევნებდნენ თვალყურს. ყარაიალის მწვერვალები და დაღ-ძართები, საიდანაც რისიმე დანახვა შეიძლებოდა, ხალხით იყო სავ-სე. ბანაკში დარჩენილი ჯარისკაცები, ყარაიალის ორი ბატარეის არ-ტილერისტები, მათი ფეხოსანთა საფარის ჯარისკაცები, მწყობრ გარეშე ჯარისკაცები, დეხშიკები, მეფურგუნე ძალაკნები, მარკეტა-ნტები, ერთი სიტყვით, ვისაც კი შეეძლო, ყველა მწვერვალზე ავიდა.

მე დავაკვირდი ბრძოლის ველს და დავინახე, რომ ჩვენი სა-ბრძოლო ხაზი სეგმენტად შემორტყმოდა მტრის სუბოტანის თითქ-ძის ნახევარ განლაგებას. ჩვენი მარცხენა ფრთა თანდათან შეიჭრა ყიზილ-თაფასა და სუბოტანს შუა და მტრის ჯაჭვი შეავიწროვა. ელიზავეტოპოლის პოლკი, რომელიც აქ იბრძოდა, დიდი სისწრაფით მიიწევდა წინ. ყოველი მისი ნაბიჯი, რასაკვირველია, ჩვენ ძვირად გვიჯდებოდა. ორივე მებრძოლ მხარეს შორის აქ 200—300 ნაბიჯი იყო და თითქმის პირდაპირ ესროდნენ ერთმანეთს. არა ნაკლები ხელჩართული ბრძოლა გაიმართა ცენტრში, სუბოტანის პირდაპირ, სადაც ერევნელები იბრძოდნენ. მათ იცავდა კავკასიის გრენადერ-თა ბრიგადის ბატარეა. მაგრამ აქ ჩვენი ჯაჭვის წინ წაწევა არ შეიძ-ლებოდა ისე თვალსაჩინო ყოფილიყო, როგორც, მაგალითად, მარცხენა ფლანგის ჯაჭვისა, რომელმაც მტრის ფლანგს შემოუარა. თურ-ქების ბატარეები შეუწყვეტელი სროლით ანადგურებდნენ მარცხე-ნა ფრთის ჯაჭვს არა მარტო ყიზილთაფადან და ყერხანიდან, არა-მედ ალაჯას მაღლობიდანაც, სადაც ჩვენ მტრის ბატარეები არ გვე-ჭულებოდა. მიუხედავად ამისა, ელიზავეტოპოლელები ორი საათის ბრძოლის შემდეგ ძივიდნენ იმ ხევამდე, რომელიც ყერხანას გარს ევლებოდა. ჩვენი ჯაჭვი გადავიდა ხევზე, ავიდა ტერასაზე, მაგრამ აქ წააწყდა მტრის საფარს, საიდანაც მთელმა ბატალიონმა ცეცხლი გახსნა. მთელი ნახევარი საათი გრძელდებოდ აქ თითქმის ხელჩარ-თული ბრძოლა ჩვენ მსროლელებსა და მტრის ჯარებს შორის. ჩვე-ნი მსროლელები რამოდენიმეჯერ გადაყარეს ხევში, მაგრამ ისინი კვლავ აცოცდნენ ტერასაზე. ბოლოს მაშველი ძალის წყალობით

ბსროლელთა რიგები შემჭიდროვდა და ერთობლივმა შეტევამ გაფანტა მტერი. ხიშტების მეშვეობით თურქები უკუგდებულნი იქნენ და უწესრიგოდ გაიქცნენ ყარახანის მიმართულებით.

ჩვენი რკალი, რომელიც გარს შემორტყმოდა მტრის სუბოტანის პოზიციებს, თანდათან უფრო ვიწროვდებოდა და მცირდებოდა. თურქები სროლით იხევდნენ უკან. ამ დროს, ჩვენს მარჯვენა ფრთას, რომელიც დიდი იაგნის ქვეშ იდგა, გამოეყო ფეხრსანთა და ცხენოსანთა შემჭიდროებული კოლონა და ჰაჯივალისა და სუბოტანის პირდაპირ გახლაგებულ ბორაკებისაკენ გაემართა. ამ კოლონების არტილერია ჩქარა დადგეს პოზიციებზე და მტრის ფლანგის საბრძოლო ხაზს ცეცხლი გაუხსნეს. ამ გარემოებამ თურქებზე, ალბათ, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მათ კიდევ უფრო მეტად დაიხიეს უკან ჰთელ ხაზზე და საბოლოოდ დადგნენ სუბოტანის თავიანთი სიმაგრის ქვემო საფარებში.

ბევრი ჩვენთაგანი ბინოკლით ხედავდა (ელიზავეტოპოლელების მეთაურმა თავადმა ამირეჯიბმა ამის შესახებ ოფიციალურად მოახენა), რომ როცა მოწინავე ხაზზე ბრძოლა მიმდინარეობდა, მტრის შემჭიდროებული მასები გადაყვანილნი იყვნენ ცეცხლის ხაზს უკან ბარჯვენა ფრთიდან მარცხენაზე. ავღარსა და ვიზინკეისაკენ. მაშასადამე. შემოტევას მუხთარ-ფაშას მხრით მოჩვენებითი ხასიათი ჰქონდა. რათა თავისი საკომუხიკაციო ხაზი დაეცვა. 20 სექტემბრის ბრძოლამდე თავის მთავარ ძალებს მან ყიზილთაფასთან შოუყარა თავი. როცა დარწმუნდა, რომ აქ მასთან ბრძოლას არაევინ აპირებს. და თავდასხმა მიმართულია ვიზინკეისაკენ, მან გადაწყვიტა ბარცხენა ფლანგზე შემოტევით მოეშორებინა ჩვენი ძალები დიდი იაგნიდან და ამით გაეძლიერებინა 20 სექტემბერს, დღის მეორე ნახევარში. ავღარისაკენ გაგზავნილი თავისი ძალები. მან მოასწრო მიეღწია თავისი სტრატეგიული მიზნისათვის. მართალია, დაკარგა მებრძოლები, მნიშვნელოვანი ტაქტიკური დამარცხება იგემა, მაგრამ; სამაგიეროდ, მოასწრო ავღარსა და ვიზინკეიში გამაგრება. მისთვის ამას სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

დაბინდდა, თითქმის სულ დაღამდა, ბრძოლა მაინც არ წყდებოდა. ჩვენ უკვე კვაძლსაც ვეღარ ვარჩევდით, მხოლოდ გასროლის ცეცხლი, რომელიც ხაზზე გადირბენდა ხოლმე, გვიჩვენებდა ბრძოლის მიმდინარეობას. ამ დროისათვის ყიზილ-თაფას ფერდობზე, სადაც აქამდე მხოლოდ არტილერიის ცეცხლი მოსჩანდა, უცებ, თითქოს ციცხათელების მთელი გუნდიაო, თოფის სროლის ცეცხლი ანთო. მთელი მთა ცეცხლში გაეხვია, თითქოს სადღესას-

ნაულო ილუმინაცია ეწყობოდა. სროლა გახშირდა. არტილერიის ქუბილი ერთ უწყვეტ ზმუილად იქცა. ყიზილ-თაფასთან დაწყებული ბრძოლის ცეცხლი გავრცელდა მთელ ხაზზეც. ორივე მხარე უკანასკნელ ძალებს ძაბავდა. ასე გრძელდებოდა 15 წუთს, შემდეგ კი ბრძოლა შესამჩნევად მიწყნარდა და რამდენიმე წუთის შემდეგ იშვიათად ისმოდა სროლა აქა-იქ.

გაძოირკვა, რომ გენერალ-მაიორ რიმევსკის ბრიგადას (მე-40 ფეხოსანთა დივიზია), რომელიც ყიზილ-თაფას პირდაპირ იდგა, მოესურვა ესარგებლნა მტრის მარჯვენა ფლანგის სისუსტით და ყიზილ-თაფას ეკვეთა. ის ჩქარა ავიდა მოწინავე გორაკებზე. ავიდა ალმაროზე უნაგირამდე, რომელიც მთის ორივე მთავარ მწვერვალს ყოფდა, და იქ აიტანა თავისი არტილერია, რომელმაც მტერს ცეცხლი გაუხსნა. აქ უნაგირაზე, სადაც მწვერვალამდე გასავლელი გზის უკვე $^3/_4$ შეადგენს, რიმევსკის ცხენი მოუკლეს. აქვე მოუსწრო მას ბრძანებამ — დაიხიეთ დაუყოვნებლივ.

ღამემ ბრძოლა მთელ ხაზზე შეწყვიტა. ჩვენი ჯარები სუბოტინის ქვემოთ დარჩნენ თითქმის შუაღამემდე. შემდეგ კი დასტოვეს ბრძოლით აღებული პოზიციები და მშვიდობიანად, სრული წესრიგით დაიხიეს თავიანთ სადგომებისაკენ.

8

ბანაკი ყარაიალთან. 22 სექტემბერი.

გავემართე დიდი იაგნისაკენ. მე წინასწარ მქონდა მიღებული ცნობები „კომპეტენტურ პირთაგან“ საქმის მდგომარეობის შესახებ. ყველანი ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ აზრი „იაგნოკზე“ (ბატკანი, იგივე ბცირე იაგნი) ბეტეევის ბესახებ საბოლოოდ უარყოფილია და მარჯვენა ფრთის ჯარები თავმოყრილია დიდი იაგნის ძირში იმისათვის, რომ მტრის პოზიციის გასაღები — ვიზინკეი-ავღარის სიმაღლეები ხელთ ვიგდოთ. ბოლოსდაბოლოს, — ეფიქრობდი მე,— ყველანი შეჩერდნენ ერთადერთ გონიერ გეგმაზე; ამ შემთხვევაში ჰქონდა სრული გამარჯვების იმედი, რაც მტრის კაპიტულაციით უნდა დამთავრებულიყო. ჩემი თანამგზავრი იყო ბ. ვოლხოვსკი — კორპუსის შტაბის უფროსი ადიუტანტის თანაშემწე. ჩვენთან ერთად მოდიოდნენ, აგრეთვე, ორი მოხელე ჩინოსანი იმავე შტაბიდან. ჩვენ წინ მივქროდით და თან დაუზოგავად ვაჩქარებდით მოქანცულ ცხენებს.

გზის შემოკლების მიზნით, დიდი იაგნისაკენ პირდაპირი გზით

გავეძართეთ. ერთი საათის შემდეგ გზაზე გვხვდებოდნენ სამი-ოთხი კაცისაგან შემდგარი კაზაკთა ჯგუფები, რომლებიც უძრავად იდგნენ ადგილებზე. ისინი ჩვენ ჩავთვალეთ გუშაგებად, რომლებიც დაყენებულნი იყვნენ გზაზე ტელეგრაფის ხაზისა და ზურგის დასაცავად. იმათგან ცოტა მოშორებით, მარცხნივ, საგუშაგოების ასეთივე ხაზი იყო განლაგებული. ჩვენ წინ, ყაბახთაფას ხაზზე, რომელიც ჩვენგან შორს, მარჯვნით მოსჩანდა, საკმაო რაოდენობის ფეხოსანი ჯარისკაცები იყვნენ გაფანტულნი. უცებ, დიდი იაგნის ძირში გასროლილი საარტილერიო ხალმის პატარა კვამლი გამოჩნდა, ასეთივე კვამლის საკმაო რაოდენობა გამოჩნდა ყაბახთაფას ძირში. კვამლი დავინახეთ აგრეთვე გაფანტულ ფეხოსანთა შორისაც. რა არის ეს? მცირე დაფიქრების შემდეგ, ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ თურქებმა, ალბათ, დაინახეს ჩვენი ძალების თავმოყრა დიდი იაგნის ძირში, გადაწყვიტეს შემოუარონ ჩვენს მარჯვენა ფლანგს და მცირე იაგნის მხრიდან ზურგში მოგვექცნენ. ჩვენ წინ წავედით. მივდიოდით და თან გაკვირვებულნი ვიყავით დიდი იაგნიდან ნასროლი ნალმების მიმართულებით. ნალმები ეცემოდნენ ყაბახთაფასთან, ან გაფანტულ ჩვენ ფეხოსანთა უკან, ჩვენთან ახლოს. „ბატონებო,— შენიშნა ერთმა ჩვენთაგანმა, — ეს ხომ ჩვენი საბრძოლო ხაზია?" მხოლოდ მაშინ მივხვდით, რომ ჩვენი გზა სულ მიყვებოდა ჩვენს ცხენოსანთა ჯაჭვის მოწინავე ხაზს, რომ დიდი იაგნი თურქებს დაუკავებიათ, ჩვენი მარჯვენა ფლანგი კი თავმოყრილია ყაბახთაფასთან. ამ დროს, რომ დიდი და მცირე იაგნის მწვერვალები წამოქცეულიყვნენ და თავზე დაგვცემოდნენ, ჩვენ, ალბათ, უფრო ნაკლებად ვიქნებოდით დამწუხრებულნი და დადარდიანებულები, ვიდრე ამ წუთს.

სროლა თანდათან გახშირდა. ქვემეხების ქუხილი ორივე მხრიდან არაჩვეულებრივი სისწრაფით ენაცვლებოდა ერთმანეთს. წინა ხაზზე დაიწყო თოფების სროლა. ბრძოლა სერიოზულ ხასიათს ღებულობდა. ჩვენ გავემართეთ ყაბახთაფასკენ, სადაც, ფეხოსან ჯარისკაცთა თქმით, კორპუსის მეთაური უნდა ყოფილიყო.

ყაბახთაფის ქვემოთ შემჭიდროებულ მწკრივად იდგა ჩვენი ფეხოსანთა ჯარი, რომელსაც წინ გაეგზავნა თავისი მსროლელები და თითონაც საბრძოლად ემზადებოდა. არტილერია პოზიციებისკენ ძიეძართებოდა, ცხენოსნები ფლანგებისაკენ გაუშვეს. ყაბახთაფას უკან (ე. ი. მისი მწვერვალიდან ჩრდილოეთით), სადაც ჩვენი შესახვევი პუნქტი იყო განლაგებული, გენერალ ჰეიმანის და კორპუსის მეთაურის კარვები იდგა. ძიეედი თუ არა მათთან, შევნიშნე, რომ იქვე

იყო თავმოყრილი მარჯვენა ფრთის მთელი ძალები, ე. ი. კომაროვისა და გრაბეს (როოპის) კოლონები. მაგრამ ჯარის შეთაურთაგან იქ არავინ აღმოჩნდა, ყველანი, კორპუსის მეთაურთან ერთად, ყაბახთაფას მწვერვალისკენ წასულიყვნენ.

ეს მწვერვალი დაეკავებინათ ჩვენ მსროლელებს, რომელნიც მტრის სანგრებში იყვნენ განლაგებულნი. აქვე იდგა ბატარეა. კორპუსის მეთაური, თავისი თანმხლებლებით, სანგრების წინ იდგა; ცოტა მოშორებით, მარცხნივ, იდგა ცალკე კოლონებისა და ნაწილების მეთაურთაგან შემდგარი მრავალრიცხოვანი ბადრაგი, რომელთაც სხვადასხვა მრავალგვარი სამხედრო ნიშნებით მხრები და მკერდი ჰქოხდათ დამშვენებული, რაც მტრის ქვემეხებისთვის საუცხოო საშუალება იყო მიზანში ამოსაღებად. ყაბახთაფას ძირში სამი ჩვენი ბატარეა მოქმედებდა. ცოტა იქით, სანგრებში იწვა ჯარისკაცების მიერ საჩქაროდ გაკეთებული ჩვენი მოწინავე ჯაჭვი, რომელიც მტერთან ხელჩართულ სროლაში იყო ჩაბმული, ჩვენი საველე ბატარეები დაფარულნი იყვნენ მიწაყრილებით. ბოლოსდაბოლოს მე ვეღირსე ადიუტანტის ნახვას, რომელიც ის-ის იყო დაბრუნდა მოწინავე ხაზიდან. მან გადმომცა, რომ, მიუხედავად მტრის ძლიერი ცეცხლისა, ჩვენმა ჯაჭვმა, სანგრების საფარქვეშ, აქამდე მხოლოდ შვიდი კაცი დაკარგა. ყველა გაკვირდა, ყველას ისე შეუყვარდა საფარები და სანგრები, თითქოს ყველა ელემენტარულ სახელმძღვანელოში ამას არ გვასწავლიდნენ. მაგრამ სჯობს ბევრან, ვიდრე არასოდეს.

მხლებელთა საუბრის დროს მე გავიგე, რომ, რადგან „იაგნონკზე" მარცხნიდან შეტევა დამთავრდა, აღარ არის საჭირო „დისპოზიციის" მითითების შესრულება ვიზინკეის მაღლობების აღების შესახებ. ჯერ კიდევ 20 სექტემბერს, შესაძლებელი იყო ოთხში ერთი გაკეთებულიყო: 1. გამეორებულიყო შეტევა მცირე იაგნზე. 2. იერიში მიეტანათ ჰაჯივალის პოზიციებზე ისე, რომ შემოეევლოთ მარჯვნიდან წინ დიდი იაგნის მხრიდან, 3. მთელი ძალებისათვის თავი ბოეყარათ მარჯვენა ფლანგზე იაგნებთან და დაეძრათ ისინი ვიზინკეისა და ავრიალის მაღლობების ასაღებად; და ბოლოს 4. დაგვეხია ყაბახთაფასაკენ, რათა ჯარები შეგვესვენებია და ახალი გეგმა გამოგვემუშავებია. პირველი ორი ღონისძიება ყველას მიერ ცნობილი იქმნა უაზროდ და დავიწყებას მიეცა. მესამეს შესახებ მთავარი ბანაკი თანხმობას იძლეოდა. მაშასადამე, იძულებული ვიყავით დაგვეხია უკან. მაგრამ კიდევ იყო ერთი აზრი: გაგვემაგრებია დიდი იაგნი, და იქ დაგვეტოვებია თუნდაც ერთი ბატალიონისაგან შემდგარი გარნიზო-

ნი, რათა მტრის საკომუნიკაციო ხაზების წინააღმდეგ მოქმედებ. განგვევითარებია მომავალში. დიდ იაგნს ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თუმცა აქ შეუძლებელია წყლის მიზიდვა 30.000 კაცისათვის და 8000 ცხენისათვის, მაგრამ წყლის მოზიდვა 600—1000 კაცისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, განსაკუთრებით მიშინ, თუ ჩვენ შევინარჩუნებთ ყაბახთაფას. ასე იყო თუ ისე, დიდი იაგნი ჩვენ დავტოვეთ 21—22 სექტემბრის ღამეს ისე, რომ მტერს სრულიადაც არ უცდია ძისი დაკავება. თურქებმა მთაზე ასვლა გაბედეს მხოლოდ მეორე დღეს, გვიან დილით, როდესაც დარწმუნდნენ, რომ დიდი იაგნი მართლაც მიტოვებულია ჩვენს მიერ და დაუყოვნებლივ აზიდეს მასზე თავიანთი შორსმსროლელი სამთო ქვემეხები.

ჩვენმა ჯარებმა ღამით სრული წესრიგით დაიხიეს უკან ისე, რომ მტერი არ მოსდევდა. კორპუსის მეთაური მთელი ღამის განმავლობაში განკარგულებებს იძლეოდა, მუდამ არიერგარდში იყო და თითონ აძლევდა მიმართულებას ჯარის ყოველ ნაწილს, მხოლოდ განთიადისას, როდესაც ჯარის ყველა ნაწილი მივიდა მათთვის განკუთვნილ ადგილებზე ყაბახთაფას ახლოს, მხოლოდ მაშინ მოქანცული და ფეხზე ძლივს მდგომი კორპუსის უფროსი და მისი შტაბი დაწვა დასასვენებლად.

მე ისევ ვუბრუნდები ამბავის თხრობას.

როგორც ჩანს, თურქებმა იფიქრეს, რომ ჩვენ მთლიანად ყარაიალისაკენ ვიხევთ. პირველი მათი იერიში საათნახევარს გაგრძელდა. იგი შეჩერებულ იქნა მარჯვე მოგერიებით, რომელიც ჩვენმა ფეხოსახთა ჯაჭვმა გახავითარა. ამ პირველი იერიშის შემდეგ, რომელიც ერთდროულად ვითარდებოდა როგორც მცირე იაგნის, ასევე დიდი იაგნის ძირიდან, თოფების ცეცხლი მიწყნარდა, ხოლო არტილერიის ცეცხლი ძალზე შესუსტდა. საათ-საათნახევრის შემდეგ შეტევა განმეორდა დიდი ძალებით. ესეც მარჯვედ იქნა მოგერიებული და, ამასთან ერთად, ყაბახთაფადან წინ გაიჭრნენ ჩვენი შემჭიდროებული კოლონები, რომლებიც, როგორც ჩანს, თურქებს დიდ ძალად მოეჩვენათ. ამ დროიდან (დაახლოებით შუადღის პირველი საათიდან) ისინი ჩვენ არ გვაფრთხობდნენ თავიანთი თოფების სროლით. დროგამოშვებით მათ ახლო მოჰქონდათ თავიანთი საველე ბატარეები და ყაბახთაფას რამოდენიმე ნაღმს ესროდნენ. ბრძოლა ჩქარა სრულიად შეწყდა. თურქების ფეხოსნებმა დაიწყეს დახევა თავიანთი სიმაგრეებისაკენ, ჩვენ ცერემონიალური მარშით შემოუარეთ

ყაბახთაფის დაღმართს, რომელიც მტრისკენ იყო მიმართული და ჩვენი სარდლების საბანაკო სადგომთან ჩამოვედით.

ყველაფერი დამთავრებული იყო. კორპუსის უფროსმა განკარგულება გასცა ეკიპაჟში ცხენები შეებათ და თავის შტაბს სთხოვა მზად ყოფილიყო ყარაიალში გასამგზავრებლად სამი საათისათვის. ყაბახთაფაში, გარდა კოლონების უფროსებისა, კორპუსის შტაბის უფროსად დატოვებულ იქნა გენერალ-მაიორი გურჩინი. რადგან არც ძალა და არც სურვილი არ მქონდა ჩორთით მეტარებინა ჩემი ცხენი ეკიპაჟის უკან, ზოგიერთ ორდინარელებთან და ადიუტანტებთან ერთად, მე ადრე გავემგზავრე ნაბიჯით. მთელ გზაზე ჩვენ წინ ვუსწრებდით პირველ გრენადერთა დივიზიის ჯარისკაცებს, რომლებიც ჰოსპიტალში მიდიოდნენ ავადმყოფობის გამო; მათ ვერ აიტანეს სიცხე, წყურვილი, მოქანცულობა. მრავალი ჯარისკაცი ძალის ვამოლევისაგან, წყურვილისაგან ეცემოდა. ამ მიზეზებით ბევრი დაიხოცა. ახლა ნახეთ რამდენი გახდება ავად დღეს, ხვალ, ზეგ, ავადმყოფები ძლივს მილასლასებდნენ, დიდის გაჭირვებით იდგნენ ფეხზე და ყოველ წუთს ეცემოდნენ მიწაზე. მათ არავინ აცილებდათ. სანიტრები დაჭრილებს ვერ აუდიოდნენ, ავადმყოფებისათვის ვერ ეცალა.

ორიოდე სიტყვა ჩვენი კავკასიელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების დამოკიდებულების შესახებ ახლადმოსულ პირველ გრენადერთა დივიზიის ჯარებისადმი. ამ ჯარისკაცების მხნე გარეგნობამ და ფიზიკურმა აღნაგობამ აქ ყველაზე საუცხოო შთაბეჭდილება დასტოვა. მაგრამ მათმა ჩქარმა დაღლამ და გაჭირვების აუტანლობამ კავკასიელებში მათ მიმართ ერთგვარი ქედმაღლობა გამოიწვია. მე ვფიქრობ, რომ ამ ქედმაღლობას საკმაო საფუძველი არ აქვს. პირველ გრენადერთა დივიზიის ჯარისკაცებმა, რომელნიც სატახო ქალაქში ცხოვრებით არიან გახაზებულნი, და მიჩვეულნი არ არიან აქაურ ჰავას, ბუხებრივია, ვერ აიტანეს გაჭირვება და სიძნელეები ამ ლაშქრობისა ისე ადვილად, როგორც ეს შესძლეს კავკასიელებმა, რომელნიც გამოწრთობილნი არიან ბრძოლებსა და ლაშქრობებში. მაგრამ საკმარისია გავიდეს დრო, რომ ჩამოსულნი შეეჩვიონ აქაურ ჰავას, მაშინ ისინი არ ჩამოუვარდებიან თავიანთ თანამოძმეებს. ასევე იყო მე-40 ფეხოსანთა დივიზიის ჯარისკაცთა მიმართაც, რომელნიც ჩვენთან მოვიდნენ აგვისტოს დასაწყისში კავკასიის სამხედრო ოლქიდან. ისინი მოისუსტებდნენ 6—13 აგვისტოს ბრძოლებში, მაგრამ სამაგიეროდ 20—21 სექტემბერს ისინი არ ჩამოუვარდებოდნენ ძველ კავკასიელებს.

გზაზე მე შემხვდა ცხენოსნები, რომლებიც ყარაიალიდან ყაბახთაფაში მოდიოდნენ. გამოირკვა, რომ ეს იყო დიდი მთავარი და ძთავარსარდალი, რომელიც თავის მხლებლებთან ერთად მიეშგზავრებოდა მარჯვენა ფრთის ჯარების დასათვალიერებლად, რათა უფრო ახლო გაცნობოდა საქმის ვითარებას ადგილზე. მას თან ახლდა არმიის მთელი შტაბი, გარდა გენერალ-მაიორ პავლოვისა. შტაბის უფროსი ადგილზე, მთავარ შტაბში დარჩა.

საღამო ჟამს დიდი მთავარი და მთავარსარდალი, კორპუსის მეთაურთან ერთად, თავის მთავარ სამყოფელში დაბრუნდა. ამის შემდეგ დაუყოვნებლივ ჩატარდა საჰხედრო საბჭოს სხდომა. დიდი გამჭრიახობა არ იყო საჭირო იმისათვის, რომ მათ სახეებზე წაგვეკითხა, რომ სამხედრო საბჭომ ბრძოლა დამთავრებულად ცნო. შტაბის ჩინოსნებმა გაიხადეს და, ამდენი უძილო ღამეების შემდეგ, დასაძინებლად წავიდნენ, არცერთ მათგანს არ უბრძანებია გაეღვიძებიათ ადრე დილით.

მაშასადამე, ყველაფერი დამთავრებულია. ჩვენთან ყარაიალზე სამი პოლკი დგას არტილერიასთან ერთად. მარჯვენა ფლანგის დანარჩენი ჯარები ყარაიალისაკენ იხევენ...

აი, საქმის საერთო მიმდინარეობა 20—22 სექტემბრის ამბებსა და ის შთაბეჭდილებები, რომელიც მე მივიღე მათგან. ამ ამბების ეპიზოდურ მხარეებს მე ავწერ მაშინ, როცა საკმაო მასალას შევკრებ. რაც შეეხება საერთო დასკვნებს, საქმის შედეგებისა და ჩვენი ჯარების დღევანდელი მდგომარეობის ძესახებ, ომის აქაურ ასპარეზზე — მათ შესახებ ამ დღეებში გაცნობებთ. ამისათვის საჭიროა გონს ძოსვლა, უკან მიხედვა, ახლა კი თავბრუ მეხვევა.

9

ბანაკი ყარაიალთან, 25 სექტემბერი.

მიუხედავად იმისა, რომ თურქებმა მაშველი ძალები გამოგზავნეს ავლიართან და ვიზიხკეისთან, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სამხედრო ოპერაციების წარმატება მაინც არ ყოფილა სავსებით საშარცხვინო. თურქთა ძალების ძთავარი მასა, წინანდებურად, მათი განლაგების მარჯვენა ფრთაზე რჩებოდა, ინახსა და სუბოტანს შუა. ავლიარი დაიკავა მხოლოდ ორმა ბატალიონმა, რომელნიც ნაჩქარევად იყვნენ გამოგზავნილნი ქერხანიდან. დიდი იაგნი ჩვენს ხელში იყო. თუ როოპის კოლონას, რომელიც მცირე იაგნის წინააღმდეგ იყო მიმართული, მთლიანად ჩვენკენ გადმოვიყვანდით, მაშინ

შეიძლებოდა როოპის, შერემეტიევის, შაკის და სოლოვიოვის კოლონებით, 21 .სექტემბერს დილით, ავლიარი და ვიზინკეი აგვეღო. მართალია, 21 სექტემბერს ჩვენ ეს დაახლოებით 500—700 კაცის სიცოცხლედ დაგვიჯდებოდა, მაგრამ 20 სექტემბრის დისპოზიციის მითითებანი რომ ზუსტად შეგვესრულებინა, მაშინ ეს წარმატება თითქმის უდანაკარგოდ შესრულდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ამ ოპერაციით ძიღწეულ შედეგებთან შედარებით, ასეთი დანაკარგი უმნიშვნელო იქნებოდა. კორპუსის მეთაურის პირველი განკარგულებანი, 20 სექტემბრის ბრძოლის დამთავრების შემდეგ, ცხადია, ამ მიზნისკენ იხრებოდნენ. მაგრამ, როგორც ჩანს, 21 სექტემბრის განთიადისათვის მოხდა შეხედულებების შეცვლა მთელ ოპერაციაზე და მოსაზრება — მიეყვანათ ოპერაცია ბოლომდე, — დაუფლებოდნენ ავლარსა და ვიზინკეის — უარყოფილ იქნა, მისი განხორციელებისათვის ზომების მიღების გარეშე.

მაქვს საფუძველი ვამტკიცო, რომ ეს მოსაზრება უარყოფილ იქნა 21 სექტემბრის დილისათვის. ამიტომ, მე ვერ გამიგია რა მიზანი ჰქონდა ამ დღეს ჩვენი ჯარების დარჩენას დიდ იაგნთან და უაბახთაფას გარშემო. დიდი იაგნის სტრატეგიული მნიშვნელობა უშუალოდ დაკავშირებულია ავლარისა და ვიზინკეის დაუფლებასთან. სამკუთხედი, რომელსაც ქმნის ეს სამი პუნქტი, სავსებით ბატონობს მტრის ყველა საკომუნიკაციო გზაზე ყარსსა და არზრუმთან. ხოლო თვითონ ძთა დიდი იაგნი ბატონობს მხოლოდ ორ გზაზე სუბოტახიდან ყარსისაკენ. დიდი იაგნის დაკავებით ჩვენ დაბრკოლებას ვერ ვუქმნიდით მტერს კავშირი ჰქონოდა ყარსთან; ამით მხოლოდ ნაწილობრივ ვუძნელებდით მას კავშირს და ვაიძულებდით ევლო ვიზინკეიზე შემოვლით. სხვათაშორის. წყალი არის ვიზინკეის ახლოს და არსად არაა იგი იაგნისთან. მაშასადამე, რაკი უარი ვთქვით ჩვენს განზრახვაზე დაგვეკავებინა ავლიარი და ვიზინკეი, ყარაიალისაკენ დასახევად დაუყონებლივ უნდა დაგვეტოვებინა დიდი იაგნიც, რადგან უწყლო ადგილზე დარჩენა მრავალრიცხოვანი ჯარით და ისიც მაშინ, როცა მიზნად არ გვქონდა მტრის საკომუნიკაციო გზებისა და პუნქტების დაუფლება, საკუთარი ძალების ტყუილ-უბრალოდ მოქანცვას ნიშნავდა.

როგორც უკვე გწერდით, მთელი დღე, 21 სექტემბერი, გავიდა მარჯვენა ფრთისაფვის წყლის მოზიდვისა და დაჭრილ-დახოცილთა აკრეფა-ძოვლაში.

ბრძოლის მეორე დღეს მოქმედება გადატანილ იქნა მარცხენა ფრთაზე, მაგრამ ეს მოხდა მტრის ინიციატივით. 21 სექტემბერს

№ 92 — ГОДЪ ПЯТНАДЦАТЫЙ — № 92

ГОЛОСЪ

ГАЗЕТА ПОЛИТИЧЕСКАЯ и ЛИТЕРАТУРНАЯ

ЕЖЕДНЕВНОЕ ИЗДАНІЕ

მუხთარ-ფაშამ იერიში მიიტანა ჩვენ მარცხენა ფრთაზე, რომელიც სუბოტანისა და ყიზილ-თაფას საპირისპიროდ იყო განლაგებული. თავისთავად ამ ფრთას თავისუფლად შეეძლო გამკლავებოდა მტრის შემოტევას. მით უმეტეს მაშინ, როცა მას ზურგს უმაგრებდა ჩვენი არტილერიის მხიშვნელოვანი ძალა, წინააღმდეგობის გაწევა თავისუფლად შეიძლებოდა მთელი დღე-ღამის განმავლობაში. ამას გარდა, მას ხელთ ჰქონდა ყარაიალის ძალიან გამაგრებული პოზიცია, საითკენაც დახევა მას საშუალებას მისცემდა მთელი თვეების მანძილზე გამკლავებოდა მტრის ყოველგვარ შემოტევას. და, ბოლოს, შეტად მრავალრიცხოვანი დასვენებული საერთო რეზერვი მისგან იყო არა შორს, არამედ იქვე, — ყარაიალის ძირში. მაშასადამე, მუხთარ-ფაშას შემოტევას მარცხენა ფრთაზე, რომელიც ნაკარაუდევი იყო დისპოზიციით, არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეეცვალა ჩვენი წინასწარი გეგმები. ეს აპრიორული მსჯელობა სავსებით დაადასტურეს მოვლენებმა. ჩვენმა მარცხენა ფრთამ არაჩარტო ბრწყინვალედ მოიგერია მტრის იერიში, არამცთუ გარეკა თურქები ალაჯას ძირამდე, არამედ კინაღამ შესძლო ყიზილთაფას აღებაც. ყველაფერი ეს ისე მოხდა, რომ მარჯვენა ფრთისაგან მას არავითარი დახმარება არ მიუღია. სანამ ჩვენი მარჯვენა ფრთის ჯარებმა ბრძანება მიიღეს წაეწიათ მარცხენა ფრთისკენ, სანამ ისინი მოემზადებოდნენ და დახიზნულ პოზიციებზე მივიდოდნენ, ბრძოლა არსებითად დამთავრებული იყო მარცხენა ფრთის ძალებით და მტერი მიმწყვდეული იყო ალაჯასთან.

მაგრამ მტრის საბრძოლო ხაზს უკან, თურქების ფეხოსანთა დიდი ძასა გაემართა მუხთარ-ფაშას მარჯვენა ფრთიდან მარცხენაკენ, და ეს მოძრაობა შენიშნა ყველამ, ვინც ყურადღებით უთვალთვალებდა ბრძოლას. ელიზავეტოპოლის ფეხოსანთა პოლკის ნიჭიერმა მეთაურმა თავადმა ამირეჯიბმა, რომელიც თითონ იყო საბრძოლო ხაზზე, და ყველაზე ახლო მისული მტრის ბანაკთან, ფორმალურად უპატაკებდა მტრის ძალების ამ მნიშვნელოვანი გადაჯგუფების შესახებ. ამგვარად, ჩვენს მარცხენა ფრთაზე მტრის შემოტევის მიზანი იყო, ერთი მხრივ, ჩვენი ძალების ყურადღების გადატანაში დიდი იაგნი — ავლიარი — ვიზინკეის სამკუთხედიდან და, მეორე მხრივ, თურქთა ძალების დაუბრკოლებელი გადასავლა იმ სამკუთხედისაკენ, რომელიც მუხთარ-ფაშას პოზიციის გასაღებს წარმოადგენდა. მუხთარ-ფაშამ სავსებით მიაღწია თავის მიზანს ორივე მხრივ. წინააღმდეგ აქსიომისა — „არასოდეს არ უნდა გააკეთო ის,

რაც შენს მტერს უნდა", ჩვენ იმ საღამოს სწორედ ის გავაკეთეთ, რაც მუხთარ-ფაშას უნდოდა.

ძალების ამ ორმხრივ გადაჯგუფებას, მარჯვენა ფრთიდან მარცხნისაკენ, საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა ჩვენი ოპერაციების ბედი. გასაგებია, რომ ღამით 21—22 სექტემბერს ჩვენს ჯარს უკან უნდა დაეხია დიდი იაგნიდან. ეს დახევა ღამით მოხდა, ყოველგვარი სიფრთხილის დაცვით და დახაკლისის გარეშე. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს გენერალ-ადიუტანტ ლორის-ძელიქოვის არაჩვეულებრივი გამძლეობა; ის მთელი ღამის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჯარების უკან დახევას და იმყოფებოდა ჯარების საფარის უკანასკნელ ხაზზე. მისი მეთაურობით დახევა სრული წესრიგით ჩატარდა, მიუხედავად ჯარების არაჩვეულებრივი მოქანცულობისა. გახსაკუთრებით, არც თუ სასიამოვნო სულიერი განწყობილებისა, თურქები ისე მოხერხებულად იქნენ დაბნეული ჯარებისა და ბატარეების ოსტატური განლაგებით საღამოს, რომ არც კი უფიქრიათ შეეწუხებიათ უკანდამხევი ჯარი, რაზეც წარმოდგენაც არ ჰქონდათ. სხვა შემთხვევაში ღამით მათ თავდასხმას უკანდამხევ მოქანცულ ჩვენს ჯარზე, და ისიც ორი მხრიდან მცირე იაგნის და ჰაჯივალის მხრიდან, შეეძლო სერიოზული არევ-დარევა გამოეწვია ჩვენს რიგებში...

22 სექტემბერს, გახთიადისათვის, ჩვენი მარჯვენა ფრთის ჯარები თავმოყრილი იყო ყაბახთაფას გარშემო. ეს პოზიცია ხელსაყრელი იყო თავდაცვისათვის, თუ რომ მტერი თავს დაგვესხმოდა. დილისათვის თურქები დიდი სიფრთხილით უახლოვდებოდნენ დიდ იაგნს, და როდესაც დარწმუნდნენ, რომ ჩვენი ჯარები იქ არ არიან, მხოლოდ მაშინ განალაგეს მის მწვერვალსა და კალთებზე თავიანთი არტილერია. შემდგომი ჩვენი განკარგულებები, თურქების ყაბახთაფაზე ორგზის შეძოტევის გამო, არავითარ კრიტიკას არ საჭიროებს. ამ დღეს ჩვენ დიდად ვისარგებლეთ თურქთა ჯარების ახალი ტაქტიკით: საველე ფორტიფიკაციის გამოყენება საველე ჯარების ყველა წვრილმანი შეტაკებებისათვის. არა მარტო ჩვენი ბატარეები და პოზიციები, არამედ მოწინავე მოძრავი ნაწილებიც დაფარული იყო საფორტიფიკაციო საძუშაოებით, რომელსაც ელვის სისწრაფით ასრულებდნენ თვით მსროლელები „ala tuca" (თურქების მსგავსად). ამ ახალი სისტემის შედეგებმა ერთბაშად გააოცეცეს ჩვენი ფეხოსანთა ძალები, რომელიც ბოიცვა ენთუზიაზმმა. ამ დღეს ბევრმა ჯარისკაცმა მითხრა: „ახლა ჩვენ ვიცით როგორ დავცხოთ თურქებს, ერთი გაბედონ ცხვირი შემოჰყონ!"

სანამ შევეხებოდე 20—22 სექტემბრის ბრძოლის უშუალო შედეგებს, რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვა 22 სექტემბრის ჩემს დეპეშაზე, რომლითაც გაგაცანით საქმის საერთო მიმდინარეობა. ჩემ თანამოძმეთა თავაზიანობის წყალობით, მე გავეცანი მათ მიერ დეპეშით გაგზავნილ მასალებს ამავე ამბების შესახებ. მათ მიერ მოწოდებულ რელაციებსა და ჩემს ცნობებს შორის ძნიშვნელოვანი განსხვავებაა. ოცი სექტემბრის პირველმა ჩვენმა წარმატებებმა მათ გამარჯვების დეპეშა დააწერინათ. დიდი იაგნის აღების შემდეგ წარმატებას ყველა უეჭველად თვლიდა და კორესპონდენტებმა დეპეშა გაგზავნეს ვითომ მუხთარ-ფაშა უკვე მოწყვეტილია ყარსისაგან. მე არ ჩავთვალე საჭიროდ ასევე შეცნობებისა თქვენთვის, სანამ ავლიარი და ვიზინკეი აღებული არ იყო. ამას გარდა, მე ზედმეტად ვთვლიდი ბრძოლის წვრილმანი წარმატებებისათვის გადამეტებული მნიშვნელობა მიმეცა და, მათ გამო, უყურადღებოდ დამეტოვებინა მომავალი ბრძოლის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა. მე მოუცადე ბრძოლის დასასრულს. ამის შემდეგ, დავალაგე საერთო და ძთავარი დამახასიათებელი თავისებურება ამ ბრძოლისა. სრულიად დარწმუნებულმა იმაში, რომ ახლანდელი ომის საბზედრო ისტორია ვერ უარყოფს ჩემს ბიერ წარმოდგენილი ანგარიშის ვერც ერთ დებულებას. მე არ გამიკვირდება, თუ, სანამ გამოქვეყნდებოდეს სერიოზული და ზუსტი ანგარიშები, თქვენ გაკვირვებთ წინააღმდეგობა, რომელიც ჩემს დეპეშასა და სხვა კორესპონდენტთა დეპეშებს შორის არის. მაგრამ იმედი მაქვს, დაგეთანხმებით, რომ მე ვალდებული ვიყავი ზუსტად გადმოგეცა საქმის მდგომარეობა, ისე, როგორც ეს მე მესმოდა. და თუ თქვენ შეადარებთ ბრძოლის წვრილმანებს დისპოზიციის მითითებებთან, დარწმუნდებით, რომ ჩემი დეპეშა ზუსტად გადმოსცემდა მთელი საქმის ვითარებას.

ბრძოლის შედეგი ჯერჯვრობით მხოლოდ ნაწილობრივ გამოირკვა. მოწინააღმდეგეთა ძალები თითქმის თანაბარია. მუხთარ-ფაშამ გაასწორა თავისი შეცდომა და ისევ გამაგრდა სამკუთხედზე, რომელიც მისი პოზიციის ერთადერთი გასაღებია. ახლა ამ სამკუთხედის აღება გაცილებით უფრო ძნელი იქნება. თურქების ჯარის დიდი მასა, რომელიც თავმოყრილი იყო სუბოტანთან, ახლა განლაგებულია ავლიარისა და ვიზინკეის შუა; ამ უკანასკნელი პოზიციის იერიშით აღება მტერს ხელს არ შეუშლის დაიხიოს არზრუმისკენ, ე. ი. შეინარჩუნოს თავისი საველე ჯარები მომავალი კამპანიისათვის.

ერთი მეტად კომპეტენტური პიროვნება დღეს მარწმუნებდა, რომ ამ დღეებში ჩვენ იერიშს მივიტანთ ყიზილ-ოფაზე და რომ ამი-

სათვის საალყო ქვეშეხები უკვე გამოთხოვილია ალექსანდროპოლიდან.

ეს-ეს არის მე გავიგე, რომ გენერალ-ლეიტენანტი ჰეიმანი თიოქოს დაუბრუნეს თავის დივიზიას, ისევე, როგორც 13 აგვისტოს შემდეგ გენერალ-ლეიტენანტი დეველი დაუბრუნეს თავის დივიზიას. ვინ იქნება ამის შემდეგ კოლოსის მეთაური, ეს ჯერ გარკვეული არ არის. მაგრამ სასურველია, რომ ახალგაზრდა გენერლები, რომლებზედაც მე თქვენ გწერდით მეორე წერილში, არ იქნან დაყენებული ხელქვეითებად ისეთი ადამიანებისა, რომელთაც ისიხი სძულთ როგორც „სწავლულხი!“.

10

ბანაკი ყარაილთან, 1 (13) ოქტომბერი.

23 სექტემბრის შემდეგ ჩვენი ბანაკი გარეგნულად სამწუხარო შთაბეჭდილებას ახდენდა. დიდიდან პატარამდე ყველამ დაკარგა რწმენა მტრის დაძლევისა, ყველას ცხვირი ჩამოუშვია, ყველას თავმოყვარეობა შელახულია. საქმის ყველა წვრილმანის განხილვას, საერთო გეგმის კრიტიკას და შემსრულებელთა ძიმართ გაკიცხვას ბოლო არ უჩანს. ყველაზე მეტ გმობას და გაკიცხვას, სხვადასხვანაირ, ხშირად ერთიმეორის საწინააღმდეგო, გაგებას, რაც ხშირად თან სდევს ყოველგვარ მარცხს, განსაკუთრებით იმსახურებდა გენერალი ჰეიძახი, რომელძაც ვითომდა მეტად ხელსაყრელი მომენტი გაუშვა ხელიდან, რომ ავლიარი და ვიზინკეი აეღო. ამ მოსაზრებას ყველა იზიარებდა. რაც შეეხება საერთო გეგმის კრიტიკას, აქ ამოტივტივდა ის აზრთა სხვაობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ადრე. ამ შემთხვევაში, როდესაც ყოველმა მხარემ დაიწყო თავისი მოსაზრების აშკარად გამოთქმა, მოიგონა ის რჩევები, რომელსაც ის ადრე იძლეოდა, ყველას შიეცა საშუალება გაეგო როგორ წარმოიშვა საერთო გეგმა და როგორ ხდებოდა მისი თანდათანობითი განვითარება. რადგან ყველაფერ ამას მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ზედმეტად მიმაჩნია მისი გაცნობა.

ჩვენთან შეიქმნა მუხთარ-ფაშას პოზიციებზე იერიშის მიტანის რამდენიმე გეგმა. იმ მრავალგვარ ვარაუდთა შორის, რომელიც კომპეტენტური პირების მიერ იყო წარმოდგენილი, ყველაზე მეტ ყურადღებას იმსახურებდა ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო გეგმა, რომელთაგან ერთი გენერალ-ადიუტანტ ლორის-მელიქოვს ეკუთვნოდა, ხოლო მეორე — თავად სვიატოპოლკ-მირსკის. პირვე-

ლი მათგანის არსი სამკუთხედის — დიდი იაგნი-ავლიარ-ვიზინკეის დაკავებაში მდგომარეობდა, ხოლო მეორე გულისხმობდა მტრის მარჯვენა ფრთის შემოვლას ანთან, ალაჯის მაღლობების აღებას და თურქთა პოზიციებზე იერიშის მიტანას ზევიდან ქვევით. 6—13 აგვისტოს მსგავსად ფროხტალური იერიშის გახმეორებას, რასაკვირველია, არავინ ფიქრობდა.

ამ ორ გეგმას შორის, ისევე როგორც მათ ავტორთა შორის, დიდხანს წარმოებდა სერიოზული ბრძოლა. დიდი ხნის განმავლობაში ეს ორი გეგმა ორად ყოფდა ყველა კომპეტენტურ პირთა საერთო რაოდენობას. მაგრამ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი ცნობილი სტრატეგების მოსაზრება ყველაზე ძეტად უკანასკნელ გეგმას თანაუგრძნობდა. პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ გენერალ-ლეიტენანტ ობრუჩევის ჩამოსვლამ ქიურიუქდარაში ძალიან შეუწყო ხელი საერთო გეგმის შემუშავებას.

ამ გეგმის შინაარსიც იმაში მდგომარეობს, რომ დაკავებული იქნას იგივე სამკუთხედი — დიდი იაგნი-ავლიარი-ვიზინკეი; იმავე დროს, მეორეხარისხოვან ოპერაციად ნაგულისხმები იყო ხუთი ბატალიონის გაგზავნა თურქების მარჯვენა ფლანგის შემოვლით და მტერზე მორალური შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით სუსტი ცეცხლის გახსნა ალაჯის მაღლობებზე. უფრო მეტიც, ალბათ, ჩვენი მარჯვენა მოიერიშე ფლანგის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, გენერალმა ობრუჩევმა გეგმას დაუმატა იერიშის მიტანა მცირე იაგნიზეც.

როდესაც გეგმის ზოგადი იდეა მიღებულ იქნა, დისპოზიციების შედგენა უკვე ძნელი აღარ იყო. თუ არ ვცდები, დისპოზიციები შედგენილ იქნა დიდი მთავრის და გენერლების ლორის-მელიქოვისა და ობრუჩევის მიერ და სახეშეცვლილი სამხედრო საბჭოს რამოდენიმე სხდომის შემდეგ. მთელი ეს სამუშაო ძალიან გულდასმით და ბეჯითად იქნა ჩატარებული, რაც მის შემდგენლებს და შესწორებების შემტანთ დიდ ღირსებას მატებს. ადრე, როდესაც მტერზე იერიშისათვის ემზადებოდნენ, არაფერი ამის მსგავსი არ გაკეთებულა. მომავლისათვისაც „20 სექტემბრის დისპოზიცია", მთელ თავის ნაწილებში, სამხედრო ხელოვნების ნიმუშად გამოდგება.

და უცებ, ეს დიდი გეგმა, რომელიც ამდენი შრომა დაჯდა, ყველაფერი დაწვრილებით იქნა შესწავლილი, შემოწმებული, გაკრიტიკებული, დამთავრდა მარცხით, ე. ი. მოსალოდნელი შედეგის მიღწევის გარეშე! მართალია 20—22 სექტემბერს გვქონდა მიღწე-

ვები, საკმაოდ მნიშვნელოვანიც, მაგრამ მოსალოდნელ შედეგთან შედარებით იგი უმნიშვნელო იყო, ამიტომ ყველას მარცხის შეგნება დაეუფლა.

ამაო იყო ლორის-მელიქოვის მტკიცება, რომ მუხთარ-ფაშა თითქოს სასტიკად დასუსტდა 20—22 სექტემბრის ამბების შედეგად. მისი აზრით საჭიროა გამეორდეს იერიში, და ის დაიღუპება, იერიშის განმეორების გარეშეც, ის თითონ წავა, რადგან ეშინია ახალი საფრთხის. — მოწყვეტილ იქნას იგი თავის ბაზიდან. ლორის-მელიქოვის ნათქვამი თითქმის არავის სჯეროდა... თუ არ ვცდები, მხოლოდ გენერალი ობრუჩევი და გენერალი შელკოვნიკოვი იზიარებდნენ ლორის-მელიქოვის აზრს, დანარჩენებს კი ეს მოსაზრება ძცდარად, საშიშ რისკად მიაჩნდათ. 25 სექტემბრის საღამოს ბანაკში ხმა გავრცელდა, რომ ჩვენთან მოდის საალყო არტილერია და ყიზილთაფას წინააღმდეგ დაწყებული იქნება საალყო სამუშაოები. გენერალი ლორის-მელიქოვი მაინც ვერ განთავისუფლდა თავის „უტოპიისაგან". ის შეუპოვრად განაგრძობდა ჩვენი ჯარის ნაწილის დატოვებას ყაბახთაფაზე, რათა შემდეგ ხელახლა დაეძრა დიდი იაგნისაკენ.

25 სექტემბერს, საღამოს, ყიზილ-თაფასთან შევნიშნეთ, რომ რაღაც იწვის. „ეს მუხთარ-ფაშა სწვავს თავის კარვების ნაწილს, რადგან მას განზრახული აქვს თავისი ჯარის მარჯვენა ფლანგი დასტოვოს და ავლიარის ქვემოთ მოიკუნტოს", — მითხრა მე კორპუსის უფროსმა. საერთოდ, მე ყოველთვის თანავუგრძნობდი მის გეგმებს, მაგრამ, უნდა ვაღიარო, ეს მისი მოსაზრება არ დავიჯერე. ხოლო თქვენ თითონ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ რამდენად დაიჯერებდნენ მას დანარჩენები.

27 სექტემბერს, დილით ადრე, შტაბში მოიყვანეს ვიღაც ადგილობრივი მცხოვრები, რომელიც წინადღით საღამოს იქნა დაკავებული ჩვენი პიკეტების მიერ. მან კორპუსის მეთაურთან მოიტანა მუხთარ-ფაშას ბანაკში მყოფ ჩვენი აგენტის წერილი, რომელიც გამოგზავნილი იყო 26 სექტემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, და იუწყებოდა, რომ ამ ღამით მუხთარ-ფაშა ფიქრობს დასტოვოს ყიზილთაფა და სუბოტანი და ისევ ავიდეს ალაჯაზე. ეს ცნობაც თითქმის არავის ჯეროდა, გახსაკუთრებით იმიტომ, რომ ჩვენს პიკეტებს არაფერი შეუნიშნავთ და არ შეუტყობინებიათ თურქთა ღამით მოძრაობის შესახებ. ამას გარდა, ყარაიალის საჭვრეტ მილიდან დანახული ადამიანთა ფიგურები ყიზილთაფაზე, როგორც შემდეგ გამოირკვა, თურქების მიერ დატოვებული საფრთხობელები იყო!..

მიუხედავად ამისა, ყიზილ-თაფასთან და სუბოტანზე კარვების არ არსებობა ჩათვლილ იქნა კარგის მაუწყებელ ნიშნად და ჩვენმა ჯარებმა ბრძანება მიიღეს — დაძრულიყვნენ ამ პუნქტებისაკენ.

თურქები, რომელთაც ეს პოზიციები გაათავისუფლეს, სრულიადაც არ ფიქრობდნენ ჩვენთვის დაეთმოთ იგი. მათ, ალბათ, იმედი ჰქოხდათ, როგორც ეს მოხდა 13 აგვისტოს, ეს პოზიციები ნეიტრალურ ზონას შექმნიდნენ მებრძოლ მხარეთა შორის. და როდესაც მათ შენიშნეს ჩვენი ჯარების მოძრაობა, რაც მათ იმედებს არ შეეფერებოდა, ისიხი სიმაღლეებიდან ძირს ჩამოვიდნენ და ბრძოლაში ჩაებნენ. სანგრებში ჯდომა ერთი საქმეა, მაგრამ მათ დასაკავებლად მწვერვალიდან ძირს ჩამოსვლა — მეორე. ჩვენი ჯარისკაცები, გაცოფებულნი წინა ცდების უშედეგობით, გამსჭვალულნი იყვნენ აზრით: „ასე თუ ისე, უნდა გავათავოთ, რაღგან აქ დაზამთრება შეუძლებელია". მათ მთელი თავიანთი ძალღონე დაჭიმეს. მათ არ დაუშვეს, რომ თურქებს კვლავ დაეკავებინათ თავიანთი სანგრები; გამაგრებული ადგილებიდან ამოყარეს მტრის მსროლელები, რომლებიც იქ იყვნენ დარჩენილნი. დაიკავეს რა სანგრები, მათ შექმნეს თავიანთი საფარები, თუმცა საწინააღმდეგო მხრიდან. ამგვარად, ბრძოლით იქნა აღებული ყიზილთაფას, ქერხანის, სუბოტანისა და ჰაჯივალის პოზიციები. ჰაჯივალის აღებამ საშუალება მოგვცა ხელახლა აგვეღო დიდი იაგნი, რომელიც თურქებმა ჯერ კიდევ 25 სექტემბერს დასტოვეს; რაკი ჰაჯივალის ხევი, რომელშიც ნაკადული ჩამოდის, ხელში გვქონდა, ჩვენ თავისუფლად შეგვეძლო წყლით მოგვემარაგებინა ჯარი, რომელმაც დაიკავა ეს მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი.

მაშასადამე, 27 სექტემბერს საღამოს ჩვენ „კუდზე" ვადექით თურქებს, რომლებიც რაღაც ცვლილებებს აპირებდნენ თავიანთი ფრონტის პოზიციებზე. მაგრამ მოცდა იმისათვის, თუ რის გაკეთებას აპირებს მუხთარ-ფაშა, ნიშნავდა „ფსიქოლოგიური მომენტის" ხელიდან გაშვებას. მას ხომ შეეძლო მთლად არზრუმისაკენ წასულიყო, ან ყარსის მისადგომებთან დამდგარიყო, შედარებით უფრო ნაკლებ მისადგომ პოზიციებზე. მაშასადამე, არ არის გასაკვირი, თუ აზრი—დავძრულიყავით მუხთარ-ფაშას საკომუნიკაციო ხაზების დასაპყრობად—ისევ დაეუფლა ყველას გონებას. 20—22 სექტემბერს მარცხით დამთავრებული ამ გეგმის შესრულების ცდამ თუ ასეთი საგრძნობი შედეგი მოგვცა, ამავე გეგმის უფრო ზედმი-

წევნით გამოყენებას ჩვენთვის უფრო გადამწყვეტი გამარჯვების მოტანა შეუძლია.

მაგრამ ყიზილ-თაფას და სუბოტანის დაუფლების შემდეგ, უკვე საჭირო აღარ იყო ჩვენი კომუნიკაციების გულმოდგინედ დაცვა. მეორე მხრით მუხთარ-ფაშამ, დაასუსტა რა თავისი მარჯვენა ფლანგი, ამით აშკარად გააძლიერა მარცხენა ფლანგი. ჩვენ შეგვეძლო და კიდეც უნდა გაგვეგზავნა მისი საკომუნიკაციო ხაზებისაკენ გაცილებით უფრო მეტი ძალა, ვიდრე ეს გავაკეთეთ 20 სექტემბერს. მაშინდელი მარცხენა ფრთის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ მიზნით შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყენებული. ამასთან, მცირე იაგნზე იერიშის მიტანის უაზრობა ყველასათვის ხათელი იყო. ამიტომაც, ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვეძლო ამ მიზნისათვის არ გამოგვეყენებინა ფეხოსანთა ჯარის 22 ბატალიონი.

საჩქაროდ, უკამათოდ შედგენილ იქნა დისპოზიცია. ჩვენი მოწინავე ბანაკის და მემარცხენე ფრთის უფროსს გენერალ-ლეიტენანტ ლაზარევს დაევალა დაძრულიყო 22 ბატალიონით კიგაჩის, კამბინის საგუშაგოს, დიგორისა და ბაზარჯიკის გავლით, ალაჯის მთების შემოვლით, ვიზინკეისაკენ. კამბინის საგუშაგოზე მას უნდა შემოეერთებინა გენერალ ციტოვიჩის 4 ბატალიონი, რომელიც ჩვენთან მოდიოდა ერევნის რაზმიდან.

მაგრამ ჩვენი მოძრაობის მთავარ სიძნელეს სურსათ-სანოვაგის უკმარობა წარმოადგენდა. ჯარისკაცებს ჰქონდათ და შეეძლოთ თან წაეღოთ მხოლოდ ორი დღის საკმარისი სუხარი. ლორის-მელიქოვმა, რომელიც საუცხოოდ წვდებოდა ასეთ საქმეებს, ამ შემთხვევაშიც დიდი წინდახედულება და ოსტატობა გამოიჩინა. საერთოდ, მას კარგად ჰქონდა დაყენებული ჯარის მომარაგება სურსათ-სანოვაგით. თავის კეთილსინდისიერ ინტენდანტ ბობოხოვთან ერთად, მან შეიმუშავა ბრძანებების და განკარგულებების მთელი რიგი, რომელთა მეოხებითაც მთელი ტრანსპორტი საჩქაროდ გაემგზავრა კამბინის საგუშაგოსკენ, მთელი რვა დღის სურსათით, ახლადდაძრულ გენერალ ლაზარევის რაზმის კვალდაკვალ.

ლაზარევის რაზმი დაიძრა ოღუზლიდან ღამით 27—28 სექტემბერს. რადგან დღემდე ვერ გამიგია რა და რა ნაწილებისაგან შესდგებოდა ის ზუსტად, მე მეშინია არ შევცდე წვრილმანებში. ამიტომ, შემადგენლობის შესახებ ცნობის მოწოდებას უფრო ხელსაყრელი დროისათვის გადავდებ.

11

ბიუვაკი ვიზინკეის მაღლობებზე, 5 ოქტომბერი.

გენერალ ლაზარევის შემომვლელი რაზმის მოძრაობას მოწინააღმდეგის განლაგების ზურგში ჰქონდა ისეთივე ფრიად შესანიშნავი „პრეცედენტი“, როგორიც, ასეთივე მოძრაობაში, 20 სექტემბერს შეასრულა გენერალ შელკოვნიკოვის სუსტმა კოლონამ. ორივე ამ მოძრაობათა შორის არსებობს მჭიდრო კავშირი. ამიტომ მე საჭიროდ მიმაჩნია წინასწარ გაგაცნოთ გენერალ შელკოვნიკოვის მოქმედება; ეს მით უფრო საჭიროა, რომ ჩემ მიერ მოთხრობილ მასალებში 20—22 სექტემბრის ბრძოლების შესახებ, ამ მხრივ, ადგილი აქვს ხარვეზს.

როდესაც საერთო მოქმედების გეგმა მუშავდებოდა, თავიდან ასეთი განზრახვა არსებობდა — შემომველელი კოლონა გაეგზავნათ ალაჯის ზურგში, ვიზინკეისა და ბაზარჯიკზე. ნავარაუდევი იყო ამ კოლონის მეთაურობა დაეკისრებინათ ბ. მ შელკოვნიკოვისათვის, რომლის სამხედრო და ადმინისტრატიული ნიჭი საუცხოოდ გამოვლინდა ზაქათალის ოლქში და, აგრეთვე, მისი მოძრაობის დროს სოჩიდან სოხუმისაკენ. გენერალმა შელკოვნიკოვმა მოითხოვა, რომ მისთვის მიეცათ ფეხოსანთა ერთი დივიზია; ის სრულ გარანტიას იძლეოდა ექსპედიციას წარმატებით ჩაატარებდა. მას შეესთავაზეს 12 ბატალიონი, რაზედაც ის დათანხმდა, მაგრამ უკანასკნელ მომენტში მხოლოდ 5 ბატალიონი მისცეს და გაგზავნეს კამბინის საგუშაგოსაკენ, არფაჩაიზე. აქ მას შეეძლო კიდევ შემოეერთებინა რამოდენიმე ბატალიონი, რომელიც აქ ერევნის რაზმიდან უნდა მოსულიყო. ეს კოლონა, რომელიც შესდგებოდა „5¹/₄ ფეხოსანთა ბატალიონისაგან, 10 ასეულისა და 12 ქვეშეხისაგან, სარაკეტო კომანდით, დანიშნული იყო სამოქმედოდ მტრის განლაგების ზურგში მარჯვენა ფრთაზე“. „დისპოზიცია“ შემდეგ მიუთითებდა:

„იმ შემთხვევაში თუ კამბინის საგუშაგოსთან მოვიდოდა მოსალოდნელი მაშველი ძალა ერევნის რაზმიდან არა ნაკლებ ორი ბატალიონისა, გენერალ-მაიორ შელკოვნიკოვს ნება ეძლევა განავითაროს თავისი შეტევა მტრის ზურგში (ე. ი. ვიზინკეისაკენ); ამასთან ერთად, მხედველობიდან არ უნდა გაუშვას ის გარემოება, რომ ის ჩვენ მთავარ ძალისაგან მოწყვეტილი იქნება მტრის მთელი მასით, რის გამო იმედი არ უნდა ქონდეს, რომ ვინმე დროულად მიეშველება. ამიტომ, მან საჭირო წინდახედულობა უნდა გამოიჩინოს მოქმედებაში, რათა დამარცხება არ განიცადოს“.

მოვიდა თუ არა გენერალი შელკოვნიკოვი კამბინის საგუშაგოსთან*, აქ მას არასრული ორი ბატალიონი დასვდა და მაინც გადასწყვიტა ვიზიხკეისაკენ დაძრულიყო დიგორსა და ბაზარჯიკზე გავლით. ეს გზა დაზვერილი იყო სექტემბრის დასაწყისში ჩვენი კორპუსის შტაბის ტოპოგრაფიული განყოფილების დაუღალავ და მამაც ჩინოსანთა მიერ, მიუხედავად იმისა, რომ მტრის ცხენოსნები მუდმივად დაძვრებოდნენ მასზე. სიტყვამ მოიტანა და უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენმა ახალგაზრდა ტოპოგრაფებმა: ნეპორკინმა, ზავრიევმა, კლიმენტიევმა და შატილოვმა აქაურობა არაერთხელ გადაიღეს თითქმის თურქების ცსვირწინ.

კამბინის საგუშაგოდან გენერალი შელკოვნიკოვი გავიდა 18—19 სექტემბრის ღამის პირველ საათზე. დიგორი-ბაზარჯიკის გზა ძალიან ვიწრო ხეობაზე გადის, რომლის დასასრულთან, სადაც გზა არფაჩაის მიდამოში გამოდის, აღმართულია მთა ყიზილ-გულა, რომელსაც თურქებმა ჯერ კიდევ აგვისტოში ორი იარუსიანი სანგრები შემოავლეს. კამბინის საგუშაგოდან ყიზილ-გულამდე გზა სულ ათი ვერსია. განთიადისათვის გენერალი შელკოვნიკოვი მივიდა მასთან იმ განზრახვით, რომ თურქები იქედან გაერეკა და ამით გზა გაეკაფა ბაზარჯიკისაკენ, დიგორზე გავლით. მაგრამ როგორც კი იერიში დაიწყო, გენერალმა შელკოვნიკოვმა მიიღო კორპუსის მეთაურისაგან გამოგზავნილი წერილი, რომელშიც ნაბრძანები იყო, რომ რადგან მას მხოლოდ ორი ბატალიონი შეუერთდა, ამიტომ იკმაროს მოძრაობა ალაჯასაკენ; რომ ეს ძალა არ კმარა ვიზინკეის წინააღმდეგ სამოქმედოდ. ვინაიდან ალაჯას თხემისაკენ ასასვლელად დიგორის გზაა და, მაშასადამე, ყიზილ-გულის პოზიცია სრულიად არ არის საჭირო, ამიტომ გენერალმა შელკოვნიკოვმა დაიხია კამბინის საგუშაგოსაკენ, სადაც დღის ორ საათზე მივიდა.

ალაჯას მაღლობზე, თურქების მარჯვენა ფრთის ზურგში, გენერალ შელკოვნიკოვის გამოჩენა საჭირო იყო მხოლოდ 20 სექტემბერს დილით. ამიტომ, კამბინის საგუშაგოდან ის ისევ გავიდა როგორც კი დაღამდა, დაახლოებით საღამოს 8 საათზე. მან მიმართულება მარჯვნივ, ალიამისაკენ აიღო (სოფელ ალაჯის სამხრეთით ექვსი

---

* კამბინის საგუშაგო მდ. არფაჩაის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, 15 ვერსზე ქ. ყალაუზთაფადან სამხრეთით და 20 ვერსზე ქალაქ ანიდან სამხრეთით. აქ, ამ ადგილებში, დიდი გარჯით შეიძლებოდა არფაჩაიზე გადასასვლელის მოწყობა, რაც სრულიად შეუძლებელი იყო სხვაგან, კიგაჩსა და ჰაჯი-ბაირამს შორის.

ვერსის მანძილზე, რაც აღნიშნულია რუკაზე*). გენერალმა შელკოვ-ნიკოვმა მთელ ღამეს იარა და 35 ვერსის გავლის შემდეგ, 20 სექტემბრის დილის 8 საათისათვის, გამოჩნდა ალაჯას მთის თხემზე, სოფელ გიულიუჯის ზემოდან, თურქების სანგრებში. მტრის ცხენოსანთა პიკეტები საკუთარ თვალებს არ უჯერებდნენ, როდესაც ჩვენ-მა კაზაკებმა მათ მოსთხოვეს „ჩაგვბარდითო". თურქებმა კაზაკები თავისიანებად მიიღეს. გენერალმა შელკოვნიკოვმა სანგრები წინააღ-მდეგობის გაუწეველად აიღო; ამის შემდეგ მან დაიწყო ძირს დაშვება ქერხანეს მიმართულებით, მაგრამ თავისი მოქმედება მას უნდა შეეხამებინა იმასთან, თუ როგორ განვითარდებოდა მოქმედება ავ-ლიართან. თითქოს ჯიბრზე, ამ დროს (დილის 9 საათისათვის) შაკთან, ჰაჯივალის პირდაპირ, ცეცხლი მიწყნარდა, დიდ იაგნისთან არაფერი ხდებოდა, ხოლო ავლიარისაკენ არავინ მიდიოდა. ამავე დროს, თურ-ქები გენერალ შელკოვნიკოვის წინააღმდეგ დაიძრნენ ორი მხრიდან: ყიზილ-თაფას და სუბოტანის მხრიდან მტრის სამმა ბატარეამ გახ-სნა მის წინააღმდეგ ცეცხლი; შელკოვნიკოვმა მათ წინააღმდეგ თავი-სი სამთო არტილერია აამოქმედა, ფეხოსანთა ნაწილი თოფით სრო-ლაში ჩაება. და თითქმის მთელი დღის განმავლობაში, ჩვენ უმოქ-მედო მეთვალყურენი ვიყავით ამ უთანასწორო ბრძოლისა, რომე-ლიც მტრის ზურგში მიმდინარეობდა ჩვენგან 20 ვერსის მოშორე-ბით. გენერალი შელკოვნიკოვი დღის 4 საათამდე იტანდა მტრის დაწოლას, შეუპოვრად ესროდა მტერს და არცერთი მტკაველი მიწა არ დაუთმია. ბოლოს ყველასათვის ნათელი გახდა, რომ უსარგებლოა შელკოვნიკოვის მთაზე ყოფნა, რაკი ავლიართან არაფერი არ უნდა მომხდარიყო; ჩვენთან, მარჯვენა ფრთაზე დიდი ხანია რაც სერიოზუ-ლი ბრძოლა შეწყდა. გენერალი შელკოვნიკოვი თვლიდა, რომ საქმე ძარცხით გათავდა. ამიტომ, მან გადაწყვიტა დაეხია, მითუმეტეს, რომ თურქებმა იწყეს მის ზურგში შემოვლა. ალაჯას გადაღმა თაშ-ნიკში** თურქებს ფეხოსანთა ორი ბატალიონი ედგათ და ოთხი—კი-დევ ყიზილ-გულაში. თურქებმა ეს 6 ბატალიონი დაძრეს სუგუთლუ-სა და ალიამისაკენ, გენერალ შელკოვნიკოვის ერთადერთი უკანდა-სახევი გზისაკენ, ძაგრამ სახამ ყიზილ-გულას ბატალიონები, როგორც

---

* იხ. გაზეთ „გოლოსის" № 230, ყარსსა და არფაჩაის შუა განლაგებული ადგილების რუკა.

** თაშნიკი — სოფელი, ცხრა ვერსზე სოფელ ალაჯადან სამხრეთით. ყიზილ-გულა მდებარეობს 6 ვერსზე თაშნიკის სამხრეთით. სოგუთლუ და ალიამი სოფ-ლებია მთა ალაჯის აღმოსავლეთ ფერდობზე, ოთხ ან 6 ვერსზე სოფელ ალა-ჯიდან სამხრეთით.

უფრო დაშორებულნი. მოეიდოდნენ დასახვევ გზამდე, გენერალმა შელკოვნიკოვმა მოასწრო მოხერხებულად ჩაევლო თაშნიკის ბატალიონებისათვის, ის ოსტატურად ეფარებოდა ხევს. ამგვარად მისი რაზმი კამბინის საგუშაგოსთან მივიდა შუაღამისათვის; ორი დღის განმავლობაში მას დაკარგული ჰყავდა 132 კაცი მოკლული და 328 — დაჭრილი. დაჭრილები ბანაკში მიიყვანეს კაზაკების ცხენებით. ენახველები მარწმუნებდნენ, რომ რაზმმა მტერს არცერთი დაჭრილი არ დაუტოვა.

გენერალ შელკოვნიკოვის ამ მოძრაობამ გამოააშკარავა, რომ შემოვლითი მოძრაობა სავსებით შესაძლებელია და არც ისე ძნელია, როგორც ამის შესახებ ჩვენთან ფიქრობდნენ. თუ გენერალმა შელკოვნიკოვმა შეძლო ემოძრავნა არტილერიით ალაჯის დაღმართზე უგზო-უკვლოდ ღამით, უმნიშვნელო რაზმით, უეჭველია, უფრო ძლიერ რაზმს ადვილად შეეძლო გზა გაეკაფა უფრო უკეთეს დიგორის გზაზე. ალაჯას გადაღმა, გარდა მსუბუქი სანგრებისა, არავითარი მნიშვნელოვანი თურქთა სიმაგრეები არ ყოფილა აღმოჩენილი. ერთი სიტყვით, მას შემდეგ, რაც გენერალმა შელკოვნიკოვმა ჩაატარა ცდა, მოსაზრებამ შემოვლითი მოძრაობის შესახებ მტრის ზურგში მოქალაქეობრივი უფლებები მოიპოვა. აქედან გასაგებია, რომ როგორც კი 27 სექტემბერს გამოაშკარავდა მტრის სურვილი შესცვალოს თავისი პოზიციები, გარდა ამისა, როგორც კი ყიზილ-თაფასა და სუბოტანის აღებამ შესაძლებლობა მოგვცა, რომ შემომვლელ რაზმისათვის სერიოზული ძალები გამოგვეყო, მტრის ზურგში მოძრაობის გეგმა, მისი კომუნიკაციებისაკენ მოძრაობის იდეა დაეუფლა ყველას გონებას.

იღებდნენ რა მხედველობაში გენერალ შელკოვნიკოვის მოძრაობას, კამბინის საგუშაგოსაკენ გაყვანილ იქნა სახელმწიფო ტელეგრაფის ხაზი. გენერალ ლაზარევის მოძრაობასთან დაკავშირებით გადაწყდა დაეკავშირებინათ მისი რაზმი ამ ხაზთან სამხედრო ტელეგრაფის საშუალებით. ჩვენ არც ისე მდიდარი ვართ სახსრებით, რომ გავიყვანოთ სამხედრო ხაზები, რადგან ჩვენი პარკის სახსრები გაანგარიშებულია მხოლოდ 75 ვერსისათვის. ამიტომ, ჩვენ ხშირად მივმართავთ სახელმწიფო ტელეგრაფის მომსახურებას. როგორც არ უნდა იყოს, სრული შეგნება იმისა, რომ აუცილებელია მუდმივი კავშირი გენერალ ლაზარევის რაზმთან, გენერალ-ადიუტანტმა ლორის-მელიქოვმა მიაღწია მოეწყოთ სამხედრო ხაზი, რამაც 2—3 ოქტომბრის საქმეს დაუფასებელი სამსახური გაუწია.

27 სექტემბერს, ღამით, გენერალი ლაზარევი გაემართა კიგაჩისა-

კენ, სადაც არის არფაჩაიზე გადასასვლელი. გადმოვიდა რა აქ ჩვენ ნაპირზე, მან მიმართულება აიღო ყიზილკილისა და ყარაკულზე გავლით, კამბინის საგუშაგოსთან თავის რაზმს შეუერთა ოთხი ბატალიონი, რომელიც ჩვენთან მოვიდა ერევნის რაზმიდან. აქ მან ოდნავ დაასვენა ჯარები, დროის დაუკარგავად გადავიდა თურქების ნაპირზე და 30 სექტემბრისათვის დაუბრკოლებლად მივიდა დიგორამდე. ის აქ უნდა დარჩენილიყო მთელი მეორე დღე, რომ მიეღო განკარგულება შემდგომი მოძრაობის შესახებ, რადგან მას უხდებოდა თავის რაზმის გაყოფა რამდენიმე თითქმის დამოუკიდებელ ნაწილად. 30 სექტემბერსვე ყარაიალიდან მას გაუგზავნეს გენერალი შელკოვნიკოვი, ალბათ, იმისათვის, რომ აქ უკანასკნელს შეეცვალა ლაზარევი დაერის, ან სიკვდილის შემთხვევაში. გენერალი შელკოვნიკოვი გაეგზავნა ყარაიალის ბახაკიდან დილის 6 საათზე; ათ საათზე კი გენერალ ლაზარევისაგან მიღებულ იქნა დეპეშა, რომლის მინაწერებში ნათქვამი იყო: ეხლა მოვიდა გენერალი შელკოვნიკოვი. დიდი თავადი, მთავარსარდალი და კორპუსის მეთაური, რომელნიც აპარატთან იდგნენ და გენერალ ლაზარევს ელაპარაკებოდნენ, არაჩვეულებრივად განცვიფრდნენ ამ ცნობით. და მართლაც, როგორ შეიძლებოდა რაღაც ოთხ საათზე უფრო ნაკლები დროის განმავლობაში ცხენით გაევლო კაცს 60 ვერსი მანძილი, ეს მხოლოდ შელკოვნიკოვისათვის იყო ცნობილი. ალბათ, ის პირდაპირი გზით წავიდა, მტრის პიკეტებზე გავლით; ამ შემთხვევაშიც მას მოუხდებოდა 40 ვერსზე მეტის გავლა.

პირველ ოქტომბერს კორპუსის მეთაურმა ტელეგრაფით ლაზარევის მოხსენება მიიღო, რომ მისი მოძრაობა ბაზარჯიკისაკენ გაძნელებულია იმის გამო, რომ თურქების 15 ბატალიონი ჩამოვიდა ავლიარიდან ძირს და დაიკავა ის სიმაგრეები, რომლებიც მათ ააგეს აგვისტოში ბაზარჯიკის სიმაღლეებზე. გენერალ-ადიუტანტმა ლორის-მელიქოვმა დაუყონებლივ გაგზავნა ბრძანება — თურქთა სიმაგრეების წინ დაეკავებიათ მნიშვნელოვანი პოზიციები შათირ-ოღლუს მთაზე* და კიდევ ორ გორაკზე, რომლებიც ამ მთას საფარად გამოადგება. თან დასძენდა, რომ მაშინ თურქები იძულებულნი იქნებიან ბაზარჯიკის სიმაღლეები გაწმინდონ. მაგრამ, რადგან გენერალ ლაზარევის მთელმა ჯარმა უკვე მიიღო დავალება, ამ სი-

---

* შათირ-ოღლუ მდებარეობს სამ ვერსზე ბაზარჯიკიდან სამხრეთ-დასავლეთით. ორლოვი მდებარეობს სუბოტანიდან ბალაკლისაკენ მიმავალი გზის გადასავალზე, იმ გზასთან, რომელიც ვიზინკეიდან სამხრეთისაკენ მიდის.

მაღლეების დაუყოვნებლივ აღება მხოლოდ ლორის-მელიქოვის (უმცროსი) კავალერიას შეეძლო. ჩამოქვეითებულმა დრაგუნებმა და კაზაკებმა შათირ-ოღლუ დაიკავეს; თურქები მაშინვე ბაზარჯიკის სიმაღლეებიდან ძირს ჩამოვიდნენ, მაგრამ არა უკან დასახევად, არამედ იმისათვის, რომ ჩამოქვეითებულ კავალერიაზე იერიში მიეტანათ. როდესაც ლაზარევმა შენიშნა საფრთხე, რომელიც მის კავალერიას ემუქრებოდა, მან დასძრა მსროლელთა სამი ბატალიონი გენერალ-მაიორ გურჩინ II-ის მეთაურობით. წუთის დაუკარგავად გენერალმა გურჩინმა სირბილით გაუშვა თავისი ჯარისკაცები მტრის კოლოხებზე საიერიშოდ. იმავე დროს, თურქების იმავე კოლონების წინააღმდეგ მეორე მხრიდან გენერალმა ლაზარევმა გამოგზავნა ოთხი სხვა ბატალიონი. ხანმოკლე, მაგრამ სასტიკი ბრძოლის შემდეგ თურქები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ ორლოკის სიმაღლეებისაკენ, სადაც მათ ცსვირწინ უცბად აღმოჩნდა გენერალი შელკოვნიკოვი, ფეხოსანთა რამდენიმე ბატალიონით. ამან, რა თქმა უნდა, მტრის რიგებში საშინელი არევ-დარევა გამოიწვია. სამი მხრიდან შევიწროებული თურქები უწესრიგოდ გაიფანტნენ. ნაწილი ავლიარისაკენ მიმავალი გზით, ნაწილი კი — ვიზინკეის მხარეს. ჩვენმა ჯარებმა ორლოკის მაღლობის პოზიციებზე მტკიცედ შეადგეს ფეხი. აქით ისინი დაეუფლნენ გზას, რომელიც მტერს არზრუმთან აკავშირებდა.

მოახსენებდა რა კორპუსის მეთაურს 2 ოქტომბრის ამბების შესახებ, გენერალმა ლაზარევმა თავისი დეპეშა ასე დაამთავრა: „თუ ხვალ გახთიადისათვის თქვენ, თქვენის მხრით, იერიშს შიიტანთ მუხთარ-ფაშაზე, მისი დაღუპვა აუცილებელია“. მე არ ვამბობ, რომ სიტყვა სიტყვით გადმოგცემთ ამ დეპეშის ტექსტს, მაგრამ ზუსტად გადმოგცემთ მისაზრს. ეს დეპეშა 2-3 ოქტომბრის ღამის სამ საათზე იქნა მიღებული. იმავე მომენტში შეწყდა სატელეგრაფო კავშირი ყარაიალსა და ბაზარჯიკს შორის გაურკვეველი მიზეზით.

დეპეშით გამოღვიძებულმა კორპუსის მეთაურმა დაუყოვნებლივ შეადგინა დისპოზიციები, რომლის შესახებ თანხმობა მიიღო დიდი თავადის მთავარსარდლისაგან, რომელმაც ბრძანა ეხლავე შედგომოდნენ მის შესრულებას. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ თათბირზე გენერალი ობრუჩევიც იყო, რომელმაც, აგრეთვე, დაადასტურა, რომ დისპოზიცია სავსებით შეეფერება დასახულ მიზნებს.

მიიღო რა დიდი თავადის, მთავარსარდლის თანხმობა, გენერალ-ადიუტანტმა ლორის-მელიქოვმა დისპოზიცია გადასცა დეპეშით ყველა კოლონის უფროსს. ორ საათზე უფრო ნაკლებ დროში ჯა-

რები ფეხზე იქნა დაყენებული, მომზადებულნი ბრძოლისათვის და დანიშნულ პოზიციებისაკენ დაძრულნი; დილის 7 საათზე დაიწყო მეორე საერთო შეტევა მტრის საკომუნიკაციო ხაზებზე.

საქმის შემდგომ მიმდინარეობას ხვალინდელ წერილში გიამბობთ.

12

ბიუვაკი ვიზინკეიზე, 6 (18) ოქტომბერი.

3 ოქტომბერს, დილის 7 საათზე, ჩვენი ჯარები დაიძრნენ თურქების წინააღმდეგ. რომელთაც ალაჯას ქედის ზედა დაღმართზე ავლიარზე, ვიზინკეის ძაღლობებზე და მცირე იაგნის მთაზე გამაგრებული პოზიციები ეჭირათ. თურქთა განლაგების მარჯვენა ფრთა წინანდებურად დაფარული იყო წინ წამოწეული დამოუკიდებელი კონუსის მაგვარი ინახტეფესის გორაკით. ისე როგორც 13 აგვისტომდე, მთელ განლაგებას ნახევარი მთვარის ფორმა ჰქონდა, რომელიც თავისი შეზნექილი მხარით მომართული იყო ჩვენსკენ. ორი ოქტომბრიდან ამ განლაგების ზურგში უკვე დაჭერილი გვქონდა ორლოკის მაღლობები, რომლებიც არზრუმის მტრის საკომუნიკაციო ხაზებზე ბატონობდნენ; ახლა ჩრდილოეთის მხრიდან უნდა დავუფლებოდით ყარსის ასეთსავე საკომუნიკაციო ხაზებს, რომ ბაზისათვის მოგვეწყვიტა მტრის მთელი ძალა თუ არა, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც.

ამ მიზნის მისაღწევად, 3 ოქტომბერს განთიადისათვის, კოლონების უფროსებს დაწვრილებით შედგენილი დისპოზიციები გაეგზავნათ. ამ დისპოზიციების არსი შეიძლება შემდეგნაირად დაჯამდეს:

1. გენერალ-ლეიტენანტ თავად ჭავჭავაძეს, მარცხენა ფრთის თავისი კავალერიის ნაწილით, უნდა შემოევლო მტრის მარჯვენა ფრთაზე ინახტეფესის მხრიდან, შეევიწროებინა მტერი, რისთვისაც უნდა ემოძრავა წინ თითქმის ალაჯას ქედის თხემზე.

2. გენერალ-მაიორი კუზმინსკი, თავისი ფეხოსანთა ბრიგადით და ირეგულარული კავალერიით, უნდა წასულიყო ყიზილ-თაფადან ქერხანასაკენ და თავისი მოძრაობით, ზემო ალაჯანის გზაზე, შეევიწროებინა თურქები.

3. გენერალ-ლეიტენანტ როოპის (რომელიც მთელი მარცხენა

ფრთის უფროსია) კოლონა გაგზავნილი იყო ჩიფთეპესის* მხარისაკენ; ძაა კავშირი უნდა ჰქონოდა გენერლების კუზმინსკისა და ჰეიმანის კოლონებთან, უნდა შეექმნა მთავარი ბირთვი ძალებისა, რომელსაც უნდა ედარაჯნა ალაჯაზე განლაგებული მტრის მარჯვენა ფრთისათვის.

4. გენერალ-ლეიტენანტ ჰეიმანის კოლონის მთავარი ნაწილი, რომელსაც ამ დღის ამოცანის უმნიშვნელოვანესი მხარე ეკისრებოდა, დაძრულ იქნა ავლიარის მთისკენ. გენერალ ჰეიმანს დაევალა ამ მთისაკენ ძიეძართა კავკასიის ოტილერიის გრენადერთა ბრიგადის ექვსივე ბატარეის ცეცხლი და, ნიადაგის მომზადებისთანავე, იერიში მიეტანა მთაზე კავკასიის გრენადერთა დივიზიის პირველი ბრიგადით და გრენადერთა პირველი დივიზიის ექვსი ბატალიონით, ე. ი. ფეხოსახთა 14 ბატალიონით. თავისი კავალერია კი გენერალ ჰეიმანს უნდა გაეგზავნა ვიზინკეისაკენ, რომ იქ განლაგებული მტრისათვის არ მიეცა საშუალება დახმარებოდა ავლიარის დამცველებს.

5. გენერალ-ძაიორ შაკის (კავკასიის გრენადერთა დივიზიის მე-2 ბრიგადა) ბრიგადას უნდა შეენარჩუნებინა დიდი იაგნი და ამით დაეცვა ჩვენი მარჯვენა ფრთა ყარსის მხრიდან, აგრეთვე, მცირე იაგნიდან და ვიზინკეის გზაზე ემოქმედნა მხოლოდ არტილერიით.

6. პოლკოვნიკ ბაზინსკის პატარა რაზმს ყაბახთაფასაკენ უნდა მიეზიდნა კავალერია პარგეტიდან და დაძრულიყო ყარსის გზისაკენ, მცირე იაგნის მხარიდან.

ყველასათვის გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, ან, თუ გნებავთ, ფამილარულად გამოვხატოთ ჩვენი ეს დისპოზიცია, შეიძლება ვთქვათ, რომ გენერალ ჰეიმანს ევალებოდა ხელთ აეღო ხაფანგის კარები, რომელიც გენერლების ლაზარევის და შელკოვნიკოვის მეცადინეობით იქმნა გაკეთებული, ხოლო გენერლებს როოპს, ჭავჭავაძეს და კუზმინსკის ამ ხაფანგში უნდა შეერეკნა თურქების ჯარი, რომელიც გაჭიმული იყო ალაჯის ფერდობებზე; გენერალ შაკს ევალებოდა ყარსიდან არავინ გაეშვა ამ ხაფანგისაკენ.

დილის შვიდ საათზე, როდესაც გენერალ-ადიუტანტი ლორის-მელიქოვი მოვიდა ჯარებთან სუბოტანში, მან საჭიროდ ჩათვალა

---

* ჩიფთეპესი — მთაა, რომელიც ალაჯის ქედის უკიდურეს დასავლეთ შტოს წარმოადგენს. ის სოფელ ნალბანტზეა აღმართული და აელიარიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთით, 8 ვერსით არის დაშორებული; ჩვენი რუკის ნახაზში სახელწოდება ჩიფთეპესი არ არის აღნიშნული, მაგრამ თვით მთა და მასზე აგებული სიმაგრეები აღნიშნულია: ეს ერთადერთი ბატარეაა ნალბანტის ახლო. ამ პატარა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

რამდენადმე შეეცვალა მის მიერ გაგზავნილი დისპოზიცია, არსებითი მხარე ამ ცვლილებისა მდგომარეობდა გენერალ შაკილ კოლონისადმი მიცემულ ბრძანებაში — დაშვებულიყო დიდი იაგნიდან ვიზინკეის გზაზე, მისულიყო ავლიართან ახლოს და არტილერიით ემოქმედნა ამ მთაზე ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან.

ჯარები ავლიარისაკენ დაიძრნენ, დაიკავეს მათთვის მითითებული პოზიციები და არტილერიის ცეცხლი გახსნეს დაახლოებით დილის 9 საათისათვის. აქ მაშინვე არდაგანის მსგავსი ამბები დატრიალდა. რამდენიმე საათის განმავლობაში ჩვენი მხრიდან, ისე როგორც არდაგანის მისადგომებთან, მოქმედებდა მხოლოდ არტილერია, რომელიც უახლოესი დისტანციებიდან შეუწყნარებლად ანადგურებდა ავლიარის პატარა პლატფორმას ორმოცდაათი ქვემეხის ძლიერი ცეცხლის ბათქით, რომლებიც მარაოს მსგავსად იყვნენ განლაგებულნი მთის გარშემო. რაც შეეხება ჩვენს ფეხოსანთა ნაწილს, მთავარი ამოცანა, რასაკვირველია, წილად ხვდათ ჩვენი კორპუსის ყველაზე გამოცდილ, კავკასიის გრენადერთა დივიზიის ერევნისა და ქართულ პოლკებს. საბედნიეროდ, მათ უკვე არ სჭირდებოდათ შუბლით გაერღვიათ მიუვალი სიმაგრეები. ისე, როგორც არდაგანთან, ფეხოსანთა ბატალიონები, რომელნიც იერიშისათვის იყვნენ დანიშნულნი, მივიდნენ რა მწყობრით ავლიარის ძირთან, ჩაწვნენ არტილერიის მიერ „ნიადაგის მომზადების“ მოლოდინში. ავლიარის მაღლობიდან თურქებმა მათ ძლიერი ცეცხლი გაუხსნეს დილის ათის ნახევარზე. ამასთან, ქართული პოლკი მცირე ხანს ჯვარედინი ცეცხლის ქვეშ აღმოჩნდა, მას უშენდნენ წინიდან და უკანიდან; თურქების ფეხოსანთა ნაწილი ძირს დაეშვა ჩიფთეპესის მთიდან ბულონასის ხევში და ამ საფარით მიეპარა ზურგიდან ჩვენს მოიერიშე კოლონას. ეს შენიშნა ჩვენმა არტილერიამ და თავისი ჭურვები დაუშინა გამბედავ თურქებს, რომელთაც ვერ გაუძლეს ჩვენი უბრალო და კარტეჩის ყუმბარების დარტყმას და დაბნეულად უკან დაიხიეს; თუმცა. ავლიარის დამცველები მედგრად უხვდებოდნენ ჩვენი არტილერიის მომაკვდინებელ ცეცხლს. მათ მხოლოდ სამი ქვემეხი ჰქონდათ და. მიუხედავად ამისა, ოთხი საათის განმავლობაში უპასუხებდნენ ჩვენს ბატარეებს, რომელნიც უმოწყალოდ ანადგურებდნენ ავლიარის გარნიზონის შემდგენელ ოთხ ბატალიონს. ყოველ წუთს თანდათან უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ამ ბრძოლის მართლაც „გადამწყვეტ“ ადგილზე ჩვენ მტერზე გაცილებით უფრო ძლიერნი ვიყავით. ბრძოლის დაწყებიდანვე ძნელი იყო ასეთი მომენტის და-

ჭერა, როცა ავღარის პლათფორმაზე, ან მის სანგრებში არ დაცემულიყო ჩვენი ჩვეულებრივი ან ფინდისიანი ჭურვი. ისე, როგორც არდაგანის მისადგომებთან. ჩვენი არტილერია შორს კი არ დაგვიდგამს, არამედ 1000—1200 საჟენზე მიზანთან, ე. ი. დისტანციაზე, საიდანაც ჩვენს არტილერიას შეეძლო ემოქმედნა მარჯვედ, წესიერად და ზუსტად.

როდესაც გენერალ-ადიუტანტი ლორის-მელიქოვი დარწმუნდა ჩვენი არტილერიის ცეცხლის ძლიერებაში, მას უკვე ეშვი არ ეპარებოდა, რომ მტერი ავლიარს დატოვებდა. მან გენერალ ჰეიმანს გაუგზავნა ერთი თავისი ადიუტანტი ბრძანებით — იერიში არ დაეჩქარებინა. მაგრამ სანამ გაგზავნილი ადიუტანტი ადგილზე მივიდოდა, გენერალმა ჰეიმანმა ფეხოსნები იერიშისათვის დაძრა. მოიერიშეებს თურქებმა, ისე როგორც არდაგანში, გამალებული თოფის სროლით უპასუხეს. მაგრამ როცა დაინახეს, რომ ჩვენი ფეხოსნები დასახული მიზნისაკენ შეუფერხებლად მიიწევდნენ, თურქებს არ მოუცდიათ „ხიშტის მუშაობისათვის“, დასტოვეს თავიანთი სანგრები, დააგდეს ქვემეხები, თოფები და უწესრიგოდ დაიხიეს. აქ არაღირს იმაზე ლაპარაკი, თუ რა აღფრთოვანებამ მოიცვა ჩვენი გრენადერები; აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ავლიარს, ამ გასაღებს ჩვენი მტრის პოზიციისას, უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს კარგად ჰქონდათ შეგნებული როგორც ჩვენს ოფიცრებს, ისე ჩვენ ჯარისკაცთა მასას. აქ უნდა ითქვას, რომ ჩვენი ჯარისკაცები უკვე დიდი ხანია აღარ არიან „უაზრო მანქანები“. ახლა ისინი ფიქრობენ, მსჯელობენ და ესმით მნიშვნელობა ავლიარისა და განსხვავება ამ უკანასკნელისა ინახსა და ყაბახთან შედარებით. და ყოველგვარ იერიშს, თუნდაც წარმატებით დასრულებულს, ერთნაირი აღფრთოვანებით როდი ეგებებიან. აქედან გასაგებია ის ენთუზიაზმი, რომელიც ჩვენს ჯარისკაცებს დაეუფლა, როდესაც ისინი ავლიარზე დამკვიდრდნენ.

იერიშის ხანგრძლივმა, გონიერმა და ენერგიულმა მომზადებამ საარტილერიო ცეცხლით, ავლიარზე დამკვიდრება ჩვენ შედარებით იაფად დაგვიჯდა. ავლიარზე იერიში მწყობრიდან გამოსულ 300—400 კაცად დაგვიჯდა, ე. ი. გაცილებით იაფად არა მარტო ზევინზე მიტანილი იერიშისა, არამედ თვით 6 აგვისტოს „დემონსტრაციაზეც“; მაშინ, როდესაც ზევინზე და მცირე იაგნზე (20 ოქტომბერს). სადაც იერიში იწყებოდა თითქმის საარტილერიო ცეცხლზე ადრე, ჩვენ მძიმე დანაკარგები გვქონდა.

ამავე დროს ვიზინკეის მხრიდან თურქებმა სცადეს ავლიარს დახმარებოდნენ. ისინი დაიძრნენ ვიზინკეიდან ავღარისაკენ, მაგრამ აქ

წააწყდნენ წინააღმდეგობას, რომელიც ჩვენ მიერ წინასწარ იყო გათვალისწინებული. ეს „გამოხტომა“ ისეთივე მარცხით დამთავრდა, როგორც გამოხტომა ჩიფთეპესისთან და თურქების მოიერიშენი იძულებულნი გახდნენ მძიმე ხვედრი გაეზიარებინათ.

ავლიარიდან გარეკილ თურქებს არ ჰქონდათ საშუალება ვიზინკეისკენ დაეხიათ, ისინი უწესრიგო ბრბოებად მიემართებოდნენ სამხრეთისაკენ. მათ შემოუარეს ჩიფთეპესის მთას ბაზარჯიკის მიმართულებით. როდესაც ჩვენმა ჯარებმა ავლიარი დაიკავეს და ა ქ ნტრის ს

არიდან. აქ ჩვენმა არტილერიამ, რომელიც იმავე სისტემით მოქმედებდა, რომლითაც ჩვენ გავიმარჯვეთ ავლიარზე, დაიწყო თურქების განადგურება იმდენად ახლო მანძილიდან, რომ თურქები თოფის სროლით იცავდნენ თავს. ერთი საათის შემდეგ, რაც ქვემეხების გრიალი დაიწყო, მისი შედეგები გამოაშკარავდა. თურქებმა ვერ გაუძლეს ჩვენი ქვემეხების ყუმბარებს და დატოვეს იქაურობა ისე, რომ არ მოუცდიათ ჩვენი მოიერიშე კოლონების გამოჩენისათვის. საიერიშოდ გამზადებულ ხაზზე ყოფნისას, აქ ტყვიით თავში დაშავდა გენერალი გუბსკი. მტრის ტყვიამ მას ქუდი გაუხვრიტა, და თუმცა თვით თავი უვნებელი დარჩა, მაგრამ კონტუზია იმდენად საგრძნობი იყო, რომ გენერალმა გუბსკიმ გრძნობა დაკარგა.

როგორც კი ჩვენმა ჯარებმა ზედა ვიზინკეის პოზიცია აიღეს, მათ შეავიწროეს მტრის ძალები და აიძულეს სოფელ ვიზინკეის მიმართულებით დაეხია.

იმავე დროს, ჩვენმა მარცხენა ფრთამ შეავიწროვა თურქები და ინახასადან, ქერხანადან და სუბოტანიდან ისინი თანდათან შერეკეს ხაფანგში, რომელიც იქმნებოდა შათიროღლუს, ორლოკის, ვიზინკეის, ავლიარის და დიდი იაგნის მაღლობებით. როდესაც თურქებმა ავლიარის აღება შენიშნეს, მათ მთელ ხაზზე დაიწყეს უკან დახევა, რაც სრული წესრიგით მიმდინარეობდა. იმავე დროს, ისინი სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ მათ შემავიწროებელ როოპის, კუზმინსკისა და ჭავჭავაძის კოლონებს. მტერი თანდათან ხაფანგს უახლოვდებოდა, მას იმედი ჰქონდა, ვიზინკეიზე გავლით, ყარსისკენ დაეხია. მაგრამ მანამ, სანამ ეს მოძრაობა მოყვანილი იქნებოდა სასრულეში, ერევნელებმა და მესანგრეებმა უკვე დაიკავეს ზედა ვიზინკეის პოზიცია, ხოლო გენერალმა ლაზარევმა, რომელიც ორლოკის სიმაღლეებზე იდგა, როცა გენერალმა ჰეიმანმა სროლა აუტეხა ზედა ვიზინკეის პოზიციებს, ქვედა ვიზინკეისკენ გაგზავნა გენერალ ციტოვიჩის კოლონა და გენერალ ლორის-მელიქოვის (უმცროსი) კავალერია. ეს უკანასკნელი პოზიციაც საკმაოდ ჩქარა დაეცა. დატოვეს რა ეს უკანასკნელიც, თურქებმა ყარსისკენ დაიხიეს.

გენერალ-ადიუტანტი ლორის-მელიქოვი მოვიდა ვიზინკეიში, როგორც კი ეს პოზიცია ჩვენ მიერ იქნა აღებული. მიუხედავად ჩვენი ჯარების საშინელი მოქანცულობისა, მან დაუყოვნებლივ გასცა განკარგულება — მოემკოთ გამარჯვების ნაყოფი. მან უბრძანა გენერალ ციტოვიჩის კოლონასა და ლორის-მელიქოვის (უმცროსი) კავალერიას დაძრულიყვნენ ყარსის გზისკენ. ისინი უნდა დადევნებოდნენ მტერს და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, შემოევლოთ და

გზა გადაეჭრათ ყარსისაკენ დასახევად მიმავალი მტრისათვის. ერევნის პოლკი მან ორლოკისაკენ დაძრა, ხოლო ქართულ პოლკს დაავალა დაეკავებინა ვიწრო ველი ორლოკისა და ბაზარჯიკის მაღლობებს შორს. თავადი შჩერბატოვის კავალერია კი კიდევ უფრო ადრე იქნა დაძრული ყარსის გზისკენ, რომ თავს დასხმოდნენ თურქებს, როდესაც ისინი მცირე იაგნიდან ძირს დაეშვებოდნენ. ჩვენებს თურქებისათვის უნდა წაერთმიათ ქვემეხები და სხვა სამხედრო მარაგი. ამგვარად, პოზიციებზე დარჩენილ თურქთა გარშემო შემოვლებული ალყა თანდათან უფრო მტკიცე და გაუწყვეტელი ხდებოდა. რაც შეეხება მტრის იმ ნაწილებს, რომლებიც გასხლტომას აპირებდნენ, მათ წინააღმდეგ მიღებული იყო ზომები — დაადევნეს მდევრები.

ამავე დროს, ვიზინკეის მაღლობზე მოვიდა დიდი მთავარი, — კავკასიის ჯარების მთავარსარდალი, რომელიც აქამდე ბრძოლის მიმდინარეობას თვალყურს ადევნებდა სუბოტანის პოზიციიდან. დაახლოებით საღამოს ექვსი საათისათვის საქმის მიმდინარეობა სავსებით გამოირკვა, მტერი მარჯვენა ფრთიდან უკვე მომწყვდეული იყო ხაფანგში.

თავისთავად ცხადია, რომ ამ მომენტიდან ბრძოლის მთელი ინტერესი ყარსისაკენ დახეული მტრის ნარჩენების ღევნაში კი არ იყო, რომელთაც ზოგიერთი ჩვენი კოლონა მისდევდა, არამედ საინტერესო იყო მოქმედება მტრის ჯარის იმ ნაწილისა, რომელსაც ხაფანგისაკენ მივერეკებოდით. გარშემორტყმულ ჩვენს კოლონებს მათ სასტიკი საარტილერიო ცეცხლით და თოფების სროლით უპასუხეს, მთელი ორი საათის განმავლობაში სროლით გვიმასპინძლდებოდა მტერი და თან ყველა ზომებს ხმარობდა მოესინჯა ნიადაგი და ეპოვნა გამოსასვლელი ან ერთი ან მეორე მხრით. მან სცადა რკალი გაერღვია ჯერ ერთ უღელტეხილთან, შემდეგ მეორესთან, მაგრამ დარწმუნდა, რომ რკალი დაუძლეველი იყო და იძულებული იყო იარაღი დაეყარა, სხვანაირად ის განწირული იყო სასიკვდილოდ. უამისოდაც მთელი დღის ბრძოლამ ისე გაანადგურა მტრის რიგები, რომ თითო ბატალიონში 30—50 კაცზე მეტი არ დარჩა, ზოგში კი ამაზე ნაკლებიც.

დაახლოებით საღამოს 6 სააათისათვის თურქებს ამაღლებული ქვაბური ეჭირათ ნალბანტსა და ბაზარჯიკს შუა, ის სამიზნო ობიექტს წარმოადგენდა ჩვენი ბატარეებისა და ჯარებისათვის, რომლებიც ყოველი მხრიდან შემორტყმოდნენ მათ პოზიციებს. საღამოს 6 საათზე მათ გამოეყოთ ცხენოსანთა პატარა ჯგუფი, რომელთაც ხელში თეთრი ალამი ეჭირათ. წარმოგზავნილებმა მოიტანეს წინადა-

დება — მზად არიან სამხედრო ტყვეებად ჩააბარონ ამ ქვაბურში თავმოყრილი 26 ბატალიონი და 20 ქვემეხი. მათ მიერ წამოყენებული პირობით, მათ ოფიცრებს უნდა შერჩენოდათ უფლება ეტარებინათ ხმლები, არ ჩამორთმეოდათ პირადი ქონება და გაეთავისუფლებინათ მათი მომსახურე პერსონალი, რაც შეეხება ჯარისკაცებს, მათზე ისინი თავს არ იწუხებდნენ. ღამის მოახლოება ჩვენს მეთაურებს ავალებდა არცერთი წუთი არ დაეკარგათ უმნიშვნელო საკითხებზე მოსალაპარაკებლად. როდესაც ჩვენმა მთავარსარდალმა მიიღო ცნობა, რომ გენერალ როოპთან ოსმალების წარმოგზავნილები მოვიდნენ, მან მაშინვე გაგზავნა ადიუტანტი პოლკოვნიკი პეტერსი, რომელსაც უბრძანა დათანხმებულიყო წამოყენებულ პირობებზე. მეორე მხრით, თვით კორპუსის მეთაურიც, რომელიც ამ დროს ბრძოლის სხვა ადგილზე იყო, გაემართა გენერალ როოპისაკენ, რათა თავიდან აეცდინა საქმის გაჭიანურება იმ შემთხვევაში, თუ რაიმე გაუგებრობა წამოიჭრებოდა. ღამის 12 საათისათვის პირობებს ხელი მოაწერეს: თურქების მხრიდან დივიზიის გენერალმა ომერ-ფაშამ (ფერიკმა), ჩვენი მხრიდან — გენერალმა როოპმა და პოლკოვნიკმა პეტერსმა. ყველა განკარგულება თურქთა ჯარების განიარაღების შესახებ, იარაღის და ჭურვების მიღებისა და გადაგზავნის შესახებ, სამხედრო ტყვეებზე ყარაულის დაწესების შესახებ, და სხვა ამდაგვარი განკარგულებები, კორპუსის მეთაურმა გაიკეთა. ღამის პირველ საათზე დაიწყო „ჩაბარება", რომელიც მხოლოდ 4 ოქტომბრის განთიადისათვის დამთავრდა.

თითქმის მთელი ღამის განმავლობაში გენერალ-ადიუტანტი ლორის-მელიქოვი აქვე წვალობდა; ის სიცივისაგან კანკალებდა, ახლო-მახლო შეშა არსად იშოვებოდა ცეცხლის გასაჩაღებლად. არც დიდ მთავარს, ჯარების მთავარსარდალს გაუტარებია ეს ღამე დიდად მოხერხებულ პირობებში, ღამე იგი ვიზინკეისთან ბიუვაკში დარჩა. ბაგრამ გამარჯვებით აღფრთოვანებულნი და თავბრუდახვეულნი ადვილად ურიგდებოდნენ ყოველგვარ უკმარობასა და კომფორტის უქონლობას.

სამწუხაროდ, უნდა შევნიშნოთ, რომ თურქებმა შესძლეს გადაერჩინათ თავიანთი ძალების ნაწილი. ვიზინკეიდან ყარსისაკენ დასეული მტრის სამხედრო ნაწილების დევნა ისე წარმატებით არ მიდიოდა, როგორც ამას კორპუსის უფროსი ვარაუდობდა. მტრის ამ კოლონის შემოვლა ვერ მოხერხდა; მან მოასწრო მიერბინა ციხესიმაგრე ყარსის ცეცხლის გავლენის სფერომდე უფრო ადრე, ვიდრე ციტოვიჩისა და ლორის-მელიქოვის (უმცროსი) კოლონები მო-

ასწრებდნენ მათთვის დასახევი გზის გადაჭრას. შე არ ვიცი რამდენი ბატალიონი გადარჩა, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ დაახლოებით ათი ბატალიონი იქნებოდა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მტრის ძალების დევნა ენერგიულად მიმდინარეობდა, რაც თურქებს ძალიან ძვირად დაუჯდათ. მაგრამ მტრის ძალების ეს დევნა არ იყო მოწყობილი მცირე იაგნიდან, საიდანაც თურქებმა წაიყვანეს თავიანთი შვიდი ბატალიონი და მთელი თავისი არტილერია ისე, რომ ჩვენგან ცდაც კი არ ყოფილა ხელი შეგვეშალა ამ მოძრაობისათვის. ცხენოსანთა დივიზიამ, რომელსაც გენერალ-მაიორი თავადი შჩერბატოვი მეთაურობდა და რომელიც ამ მიზნით სპეციალურად იყო დაყენებული მცირე იაგნთან, არც კი სცადა ხელი შეეშალა თურქებისთვის, რომ ყარსში არ წაეღოთ მძიმე ქვემეხები.

არც დრო და არც საჭიროება არ მოითხოვს, რომ ახლა ვრცლად ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის სამი ოქტომბრის შედეგებს, რომ ასეთი გამარჯვება მცირე აზიას არ უნახავს და ჩვენ ეხლა საშუალება გვაქვს თავისუფლად მიუდგეთ ანატოლიის გულს. ყველაფერი ეს თავისთავად იგულისხმება.

ჩვენი ჯარების აღფრთოვანებას და სიხარულს საზღვარი არა აქვს! „ვაშას“ ძახილი დღემდე არ წყდება. დაჭრილებსაც ავიწყდებათ თავიანთი ტანჯვა და სხვებთან ერთად ყვირიან „ვაშას“. მორალური სიფხიზლე ფიზიკურ დაღლილობას გამომძღავნების უფლებას არ აძლევს. სარდლებს კი, რომელთაც ბოლოს მიაღწიეს სრულ, გადამწყვეტ და მძიმე გამარჯვებას, არა აქვთ შესაძლებლობა დატკბენ მით. მაშინ, როდესაც ოფიცრები და ჯარისკაცები დიდი შრომის შემდეგ ისვენებდნენ, სარდლები გულმოდგინედ თათბირობდნენ იმაზე, თუ როგორ შეიძლება უკეთ და გონივრულად იქნას გამოყენებული გამარჯვების ნაყოფი.

რამდენადაც მე ვიცი, ამ თათბირის შედეგი ასეთია: ყარსთან უნდა დარჩეს ჯარის ისეთი რაოდენობა, რომელიც საკმაო იქნება მისი გარემოცვისათვის; არზრუმისაკენ დაძრულ უნდა იქნას ძლიერი რაზმი, რომელიც უნდა შეეცადოს აიღოს კეპრიკეი არაქსზე იმაზე ადრე, სანამ იზმაილ-ფაშა მოასწრებს იგდირიდან უკან დახევას და თავისი კორპუსით დაიცავს არზრუმის პოზიციებს. ვინ უფრო ადრე დაიჭერს სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტს -- კეპრიკეის ხიდს, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

16. წერილი რედაქტორს

პოწყალეო ხელმწიფევ, თქვენი პატივცემული გაზეთის ღღეანდელ ნომერში წავიკითხე ქვემოდმოყვანილი შენიშვნა:

„ზედმეტი არ იქნება მკითხველთა ყურადღება მივაქციოთ ბრძოლის ველიდან „მოსკოვსკიე ვედომოსტის“[37] კორესპონდენტის შემდეგ ცნობას:

ახლახან გავიგე „გოლოსის“[38] სპეციალური კორესპონდენტების არსებობა. მე დანამდვილებით ვიცი, რომ ა რ მ ი ა შ ი ი ს ი ნ ი ა რ ი ყ ვ ნ ე ნ და ამიტომ ყ ვ ე ლ ა სპეციალური კორესპონდენცია, რომლებიც დაბეჭდილია ამ გაზეთში, გამოგონილი და შ ე დ გ ე ნ ი ლ ი ა პ ე ტ ე რ ბ უ რ გ შ ი. ამიტომ, იყავით ფრთხილად, როცა ამ გაზეთიდან მონაცემებს სესხულობთ.

ჩვენი მხრით კი ვიტყვით, რომ ეს ფაქტი კარგა ხანია შევამჩნიეთ“.

მე არ ვიცი რომელ ბრძოლის ველზეა აქ ლაპარაკი. მაგრამ, თუ ნაგულისხმებია ჩვენი მოქმედი კორპუსის მთავარი ძალების ბრძოლის ველი, მაშინ შენიშვნა მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ბრძოლის ა მ ვ ე ლ ზ ე „გოლოსს“ ნამდვილად ჰყავდა და ჰყავს სამხედრო კორესპონდენტები. პირველი ასეთი კორესპონდენტი იყო გ. კ. გრადოვსკი, შემდეგ კი — მე. როცა სექტემბრის ბოლოს, ავადმყოფობისა და ოჯახური მდგომარეობის გამო, რაზმიდან წამოვედი, ახალი სპეციალური კორესპონდენტის გაგზავნამდე, რომლის მოხსნა და ყარსში გაგზავნა რედაქციამ მე დამავალა, შეუთანხმდი იმ პირებს, რომლებიც უფრო ახლო იდგნენ საქმესთან და სრულიად დამოუკიდებელი შეხედულებები და აზრები ჰქონდათ, ჩემთვის ეგზავნათ კორესპონდენციები.

„გოლოსში“ დაბეჭდილი ყარაიალიდან და ვიზინკეიდან გამოგზავნილი კორესპონდენციები რომ პეტერბურგში არ ითხზვება, ეს ნაწილობრივ თქვენთვისაც ცნობილია. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ, თქვენ მოწმედ მე მოგყავდით, როგორც 20—22 სექტემბრის ამბების უშუალო მხილველი, ხოლო 2—3 ოქტომბრის ამბებიც „გო-

ლოსში“ თვითმხილველთა მიერაა აღწერილი; მე კი რედაქცია გავუკეთე ამ აღწერებს და, საჭიროების შემთხვევაში, ამ ამბის დასამტკიცებლად შემიძლია წარმოგიდგინოთ დამსწრეთა წერილების დედნები. და ბოლოს, „გოლოსი“ თითქმის ყოველ დღე ღებულობს ტელეგრამებს, რომელთა სიზუსტის უარყოფა არ შეუძლია „მოსკოვსკი ვედომოსტის“ კორესპონდენტს. ერთი სიტყვით, თუ „გოლოსის“ ეს კორესპონდენციები პეტერბურგში ითხზვება, მაშინ „მოსკოვსკი ვედომოსტის“ კორესპონდენტმა სცადოს მათში სერიოზული უზუსტობის აღმოჩენა და მათი უარყოფა. იმედი მაქვს, რომ ამას ვერ შესძლებს ვერცერთი ის პირი, ვინც საქმის ნამდვილ მიმდინარეობას იცნობს.

მოწყალეო ხელმწიფე, მიიღეთ ჩემი დიდი პატივისცემა

ნ. ნიკოლაძე

29 ოქტომბერი, 1877 წ.
თბილისი.

1878

17. „ობზორის“ დანიშნულება

თბილისი, 1877 წ., 31 დეკემბერი.

თანახმად საყოველთაოდ მიღებული ჩვეულებისა, რომელიც მოითხოვს ყოველ ახალ გამოცემას წარემძღვაროს ვრცელი წინასიტყვაობა რედაქციის შეხედულებებისა და განზრახვის შესახებ, ჩვენც ჩამოვაყალიბებთ, ზოგად ხაზებში, მომავალი მოღვაწეობის ძირითად საფუძვლებს.

სანამ საზოგადოებრივი ცხოვრება თანაბარი, ყოველდღიური ცხოვრების ნაბიჯებით, რუტინის გზით მიედინება, მკითხველი საზოგადოება პერიოდული პრესისაგან გართობის მეტს არაფერს თხოულობს. ასეთ დროს პრესის სიღარიბე, უმიზნობა და უშინაარსობა თითქმის არავის არ ხვდება თვალში. უმრავლესობას ისიც კი ჰგონია, რომ ეს ასეც უნდა იყოს. მაგრამ როცა საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობა საზოგადოების წევრების სასიცოცხლო და წმინდა ინტერესებს ეხება, მაშინ მკითხველები, წერა-კითხვის მცოდნე ადამიანები, ხარბად ეწაფებიან პრესას და მის ფურცლებზე სინათლეს, ადრინდელი გაუგებრობების ახსნას და თავიანთი მისწრაფებებისა და სიმპათიების დაკმაყოფილებასაც კი ეძებენ.

ახლანდელი ომი, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების სწორედ ასეთ ინტერესებს ეხება, სატახტო ქალაქისა და პროვინციულ პრესას მოულოდნელად დაატყდა თავს. ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ აღმოჩნდა იმ მდგომარეობის სიმაღლეზე, რომელიც მათ გარემოებამ შეუქმნა. ჩვენს პრესას ხელმძღვანელობდნენ გაუნათლებელი ადამიანები, რომელთაც არც ცოდნა გააჩნდათ, არც მიმართულება და, გარდა ხელოსნური და ექსპლოატატორული დამოკიდებულებებისა, ლიტერატურასთან არ ჰქონდათ არავითარი კავშირი ამ სიტყვის კეთილშობილური გაგებით. ამიტომ, პრესა იძულებული იყო რუსეთის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებში ხელისფათურით კუდში მიჰყოლოდა მოვლენებს. მას იმის პრეტენზიაც კი არ ჰქონდა, რომ მოგვიანებით მაინც გააშუქებდა მათ. ჩვენი

ОБЗОРЪ

დროისა და ჩვენი თაობის სამარცხვინოდ, ხალხის გამოღვიძების ამ საზეიმო წუთებში პირველობა მიმდინარე ლიტერატურულ ასპარეზზე ეკუთვნოდათ სრულიად უმეცარ ადამიანებს, რომელთაც საზოგადოების ყურადღება ღრმა აზრით, კეთილსინდისიერი მისწრაფებებით და ფართო განათლებით კი არ მიიქციეს, არამედ — მარჯვე სიტყვებით, ცხარე ფრაზებით და თავხედური ლანძღვა-გინებით. მათ თამამად შეეძლოთ გამოეყენებინათ ამგვარი მისატყუარები: გამომცემლობათა მონოპოლია, რომელიც სისტემატურად ყრიდა გარეთ ნამდვილ ლიტერატურულ ძალებს, პრესას უკონტროლოდ უთმობდა „გათამამებულ" გაქნილ კაცებს". და იმ დროს, როცა რუსეთის ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლები განზე დგანან თანამედროვე ლიტერატურული მოძრაობიდან და ჯიუტად სდუმან. «Суворины господствуют в печати». ზუსტად ისეთივე სათნოების წყალობით, რომელთა მეშვეობით მოლჩალინები[40] ამ ქვეყნად ბატონობდნენ. ჩვენ შორსა ვართ იმ სასაცილო პრეტენზიებისაგან, რომ თავი „საუკეთესო ადამიანებს" მივაკუთვნოთ, მაგრამ ვაღიარებთ, და ეს აზრი თავხედობათ არ მიგვაჩნია, რომ ერთი რამით მაინც ვჯობივართ თანამედროვე ჟურნალისტიკის გაქნილ კაცებს: ჩვენ უფრო სერიოზულად გვესმის პრესის მოვალეობა და დანიშნულება, ვიდრე ამ ვაჟბატონებს. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ჟურნალისტური მოღვაწეობის ალფა და ომეგა გაზეთის სიმარჯვე და პიკანტურობაა, ანდა „რემარკების" სიმრავლე, რომელთაც ერთმანეთს აკერებს მდივნის გამოცდილი ხელი, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ცხოვრების მოვლენები თხოულობენ გააზრებულ დაჯგუფებას, სწორად გაშუქებას და დროა რომ ამისათვის მივმართოთ საზოგადოების შემსწავლელ მეცნიერებას, რომლის თანამედროვე განვითარება საკმაოდ ბევრ გაკვეთილებს და მითითებებს შეიცავს. ერის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება ემორჩილება ისეთსავე უცვლელ კანონებს, როგორსაც მისი ფიზიკური არსებობა. გვაქვს იმის მტკიცების საფუძველიც, რომ კანონები, რომლებიც ადამიანისა და საზოგადოების მორალურ ცხოვრებასა და ბუნების ფიზიკურ არსებობას განსაზღვრავს, ერთი და იგივეა. ჩვენის აზრით, დროა გავეცნოთ ამ კანონებს და მიუყენოთ ისინი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველდღიურ მოვლენებს. იმის გამო, რომ ჩვენი საზოგადოება და პრესა სრულიად არ იცნობს საზოგადო მეცხიერებათა ამ კანონებს, ამჟამად ჩვენი საზოგადო მოღვაწეები ყოველ ნაბიჯზე გვერდს უვლიან მათ. ერთნი ამას უმეცრებისა და გულუბრყვილობის გამო აკეთებენ, მეორენი — იმიტომ,

რომ საზოგადო მოღვაწეობას აზარტულ თამაშად, ბედის ბრმა მერყეობად სთვლიან. მათ არავითარ ზიანს არ მოუტანს რაც შეიძლება ხშირად შეხსენება იმისა, რომ საზოგადო ცხოვრებაში ამ ცხოვრების კანონების დარღვევას ზუსტად ისეთივე აუცილებელი და უბედური შედეგები მოჰყვება, როგორსაც იწვევს ბუნებრივი კანონების დარღვევა ერთი კაცის ცხოვრებაში.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ჟურნალისტი საზოგადოების განვითარების სასარგებლოდ სერიოზულ შედეგებს მიაღწევს, ანდა დიდ გავლენას მოახდენს თანამედროვეებზე აღნიშნული საზოგადო მეცნიერების გვერდის ავლით და, მით უმეტეს, არსებული ცხოვრების ფაქტების გადაადგილებით და დამახინჯებით. ჩვენი პრესა ძალზე დიდხანს ვარჯიშობდა ამგვარ საქმეში, რადგან ფიქრობდა, რომ სწორედ ესაა საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეობის სიბრძნე. ამით პრესამ მიაღწია იმის დიამეტრალურად საწინააღმდეგო შედეგებს, რასაც ელოდა. ახლა არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს მისი დაცემა. მისი უძლურება თანამედროვე საზოგადოების გონებრივ ცხოვრებაში. მეცნიერების ისტორიაში აღნიშნულია ასეთივე უძლურების პერიოდი, ეს ის პერიოდია, როცა მეცნიერებამაც სცადა ეშმაკობა გამოეყენებია, საიდუმლოებისათვის მიემართა. ბუნების კანონები დაემახინჯებია, ესაა ალქიმიის. მეტაფიზიკის და სოფიზმის პერიოდი. მაგრამ, მადლობა ღმერთს, მეცნიერებამ დიდი ხანია დააღწია თავი ამ მდგომარეობას. იმ უსაზღვრო კრედიტს, იმ ნდობას, რაც მან თანამედროვეობაზე მოიპოვა და რომლითაც ახლა სარგებლობს, იგი უნდა უმადლოდეს მხოლოდ ახალ მეთოდს, რომელიც ყველა მისი გამოკვლევების საფუძველი გახდა. ესაა სინამდვილეზე გულმოდგინედ და ყურადღებით დაკვირვების, ამ სინამდვილის სწორად და სიმართლით გაშუქების მეთოდი, რომელიც გარდა სიმართლის დადგენისა, უარს ამბობს ყველა სხვა მიზნებზე. და თუ პერიოდულ პრესას აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სერიოზული როლის შესრულების პრეტენზია, მაშინ მას მხოლოდ ამ მეთოდის აღიარებით შეუძლია ბოიპოვოს ძალა და მნიშვნელობა. საზოგადო მეცნიერებამ, რაზედაც ჩვენ უკვე ვლაპარაკობდით უკანასკნელ დროს აღიარა ეს თვალსაზრისი. დროა პოლიტიკური პრესაც დაუკავშიროთ მეცნიერებას.

ამგვარი თვალსაზრისის შემდეგ, ცხადია, ჩვენ არ ვიცლით გაცვეთილი გზით და „ობზორს“[36] არ გადავაქცევთ მიკერძოების მოყვარულ ვექილად, რომელმაც მკითხველს ყოველგვარი სიცრუით სასურველი გადაწყვეტილება უნდა გამოსტყუოს. ვიღწვით რა, უმ-

თავრესად და უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივი დამოუკიდებლობისათვის, ჩვენ ჩვენს ღირსებად ჩავთვლით იმ კეთილსინდისიერი მოძხსენებლის პატარა როლს, რომელიც საზოგადოებას აწვდის საზოგადო საკითხების სწორი გაგებისა და გადაწყვეტის აუცილებელ, და ჩვენთვის ხელმისაწვდომ, ელემენტებს.

მიუხედავად თანამედროვე საზოგადოების დაძაბული ყურადღებისა, ყველას თვალში ხვდება ის ინდეფერენტიზმი, როგორითაც რუსეთის საზოგადოების ნამდვილი ინტელიგენცია ჩვენს პრესასა და დღის საკითხებს უდგება. მასაზე, რა თქმა უნდა, ლაპარაკიც ზედმეტია. მკითხველები ყველაფერს კითხულობენ გაზეთის ფურცლებზე, რისი მოცემაც კი ამ უკანასკნელს შეუძლია: ტელეგრამებს, შიშველ და დანაწევრებულ ფაქტებს, სკანდალებს და განა მარტო ამას? მაგრამ როგორც კი მკითხველი გაზეთს წაიკითხავს, ისეთივე შინაგანი სიცარიელით შორდება მას, როგორითაც ხელში აიღო. იშვიათად, რომ მის გონებაში ახალი აზრის სხივმა გაიელვოს, კიდევ უფრო იშვიათია ის, რომ იგი ზნეობრივად ცოტათი მაინც ამაღლდეს და ადრინდელთან შედარებით უფრო სრულყოფილი გახდეს. პრესის დაბალი დონე, განმანათლებელი ელემენტების უქონლობა და განხილული საკითხების თვალსაჩინო სიწვრილმანე, გულგრილს ხდის ისეთი ბუნების ადამიანებს, რომელთაც განვითარების უნარი შესწევთ და სინათლე და სიმართლე სწყურიათ. ჩვენს ირგვლივ ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ ახალგაზრდა, პატიოსან, მგზნებარე, თავდადებულ ადამიანებს, რომლებიც, ლიტერატურისა და სადღეისო საკითხებისაგან სისტემატური სიშორის გამო, იკლაკნებიან და თანამედროვე საზოგადოების საუკეთესო ძალას უნაყოფო, სამოქალაქო თვითმკვლელობით ღუპავენ. ეს ძვირფასი ძალა, რომელიც ასე უნაყოფოდ იღუპება, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვიძლია ჩავაბათ საერთო შრომაში, თუ ავამაღლებთ ლიტერატურის ღირსებას და დღის წესრიგში მდგომი საკითხების მნიშვნელობას.

არსებითად, თანამედროვე ცხოვრება მდიდარია ისეთი საკითხებით, რომლებიც დამუშავებას მოითხოვენ და ლიტერატურული მსჯელობისათვის ხელმისაწვდომია. რუსული ლიტერატურის განვითარების არცერთ პერიოდს, ყველაზე ბრწყინვალესაც კი, არ წამოუყენებია იმდენი სხვადასხვა საკითხები, რომლებიც უფრო მეტად ყოფილიყო ღირსი ჩვენი საზოგადოების საუკეთესო ნაწილის ყურადღებისა და სიმპათიებისა. ამჟამად წამოყენებული საკითხების მოჩვენებითი სიწვრილმანე სხვა არაფერია თუ არა ოპტიკური სიცრუე, რასაც იწვევს ყველა საზოგადოებრივი საკითხისა

და სურვილის სოლიდარობის შეუგნებლობა. ხალხისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში არ არსებობს არცერთი საკითხი, რომელიც მუდმივად არ იყოს დაკავშირებული როგორც სხვა მრავალ საკითხებთან, ასევე წესწყობილების ზოგად საფუძვლებთანაც. ჩვენს საზოგადოებაში ლიტერატურისადმი და სადღეისო საკითხებისადმი ინდიფერენტიზმი იმან გაბოიწვია, რომ ჩვენს პრესას არ შესწევს უნარი გამონახოს ამგვარი კავშირი და ყოველ მოვლენას, ან კერძო საკითხს, მიუყენოს ერთი საერთო მნიშვნელობა, გამომხატველი ძირითადი ძალებისა და გავლენისა. იმ დღეებში, როცა ჩვენი ლიტერატურა ისეთი ადამიანების ხელში იყო, რომელთაც იცოდნენ ასეთი კავშირის გამონახვა, წვრილმანი საკითხები, ისეთები, როგორიც იყო „სელსკი ხაზიაინში“ დაბეჭდილი აქციონერთა გაცურება, ანდა ცარიცინის გზის მშენებელი მუშების მოტყუება, მკითხველი საზოგადოების დიდ ყურადღებას იქცევდა. ამავე დროს თანამედროვე ცხოვრებაში ყოველდღიურად ხდება იმაზე უფრო მნიშვნელოვანი კაზუსები, როგორითაც განსვენებული დობროლუბოვი თავის მკითხველებს აფხიზლებდა და იტაცებდა. მაგრამ ახლა ამგვარი კაზუსები შეუმჩნეველი რჩება და „წვრილმანად“ ითვლება.

დააკვირდე ასეთ მოვლენას, ჩაწვდე ამ საკითხებს, შეისწავლო მათი ურთიერთკავშირი და მიზეზობრიობა, ვიდრე გამოიყენო საყოველთაოდ ცნობილი შეხედულებები და მზამზარეული ფრაზები, რასაც პლატონისა და არისტოტელეს დროიდან უცვლელად იმეორებენ, ცხადია, ბევრად უფრო ძნელია. რაც უფრო აბსტრაქტული და ბუნდოვანია აზრი, მით უფრო მეტ „მიმდევარს“ პოულობს, რომელთა უმეტესობა არც კი უკვირდება მის რეალურ შინაარსს, არ გადმოაქვს საყოფაცხოვრებო დამოკიდებულებათა ენაზე. მაგრამ თაობა, რომელსაც სამართლიანი პრეტენზიები გააჩნია კანონიერი უფლებების თანახმად მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივი საქმეების წარმოებაში, ვალდებულია ასეთ მზამზარეულ და მყვირალა ფრაზებს მოეშვას და ხელი მოჰკიდოს ცხოვრების რეალური საკითხების ახლო გაცნობას. შესაბამისად მათი პრაქტიკული ხასიათისა და მათი გადაჭრის არსებული საშუალებებისა.

რა თქმა უნდა, აუცილებელია აბსტრაქტული ფიქრებისა და პლატონური ოცნებების სფეროში ნავარდი, როცა თავს არ იტეხ მათი პრაქტიკული განხორციელებისათვის. მაგრამ ეს „ფრაზიორების“ მეტს არვის ეკადრება და თითქმის არავითარი სარკეებლობა არ მოაქვს, გარდა თვითკმაყოფილების უხამსი და ეგოისტური ინსტინქტის დაკმაყოფილებისა, თანამედროვე ადამიანის ღირსებას ფრაზების, აზ-

რებისა და მისწრაფებების ულევი მარაგი კი არ წარმოადგენს, არამედ თავისი იდეალების განხორციელებისათვის პრაქტიკული, მოხერხებული და შესაძლებელი გზის პოვნა.

ახლანდელ თაობას ამის უნარი იმიტომ უფრო სჭირდება, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება ახლა განვითარების ახალ ფაზისში შედის. ამ თვალსაზრისით, ახლანდელ ომს უდაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. როგორიც არ უნდა იყოს დასახული საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევის საბოლოო შედეგი, როგორიც არ უნდა იყოს მისი ეკონომიური შედეგები, ერთი რამ მაინც ცხადია—იგი უნდა გახდეს შინაგანი წესების შემობრუნების წერტილი. თუ მოსალოდნელ შედეგებს მთლიანად ვერ მივაღწევთ, მაშინ ჩვენ საზოგადოებას და მთავრობას ომი ბევრ მასალას მისცემს შინაგანი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მომავლისათვის უფრო საფუძვლიანი მომზადებისათვის, ხოლო თუ მოსალოდნელ შედეგებს მთლიანად მივაღწევთ, მაშინ გაუმჯობესების მოთხოვნილება კიდევ უფრო ძლიერ გამოვლინდება, არსებობს კეთილშობილური როლები, რომლებიც კალდებულს გხდიან უფრო სრულყოფილი გახდე, მსგავსად Toblesse odligt[23]-ის წესისა. როცა გავხდებით განმათავისუფლებელი და მფარველი ისეთი ქვეყნებისა, რომლებიც ბევრ რამეში ჩვენზე შორსაა წასული საზოგადოებრივი განვითარების გზაზე, მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებით თავს ძალა დავატანოთ და გავუსწორდეთ მათ. ესაა გარდუვალი, ლოგიკური დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს არსებული მდგომარეობიდან და რამდენიც არ უნდა ვეცადოთ გვერდი აუაროთ ამ მოთხოვნილებას, მაინც იძულებული გავხდებით დავემორჩილოთ. ამგვარად, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, მოზღვავდება მრავალი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხი, რომელთა შემდგომი გადაჭრა ჩვენი სამშობლოს ყველა ცოცხალი ძალის მონაწილეობას მოითხოვს.

ამ საკითხების მნიშვნელობის გამო, სასურველი იქნებოდა, რომ ჩვენი პრესა ამჯერად მაინც აღმოჩნდეს თავის მდგომარეობის სიმაღლეზე და გამოიყენოს მეცნიერების ყველა მონაცემი და მითითება, რათა წამოყენებული ამოცანები უფრო მიზნობრივად გადაეჭრათ. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს ზომიერ სფეროში, ამ როლის შესრულების დროს, ნაწილობრივ მაინც ვიქნებით სასარგებლო, ყოველ შემთხვევაში, იმ მხრივ მაინც, რომ ვეცდებით კეთილსინდისიერად გამოვიკვლიოთ ამ საერთო საკითხების მნიშვნელობა ჩვენი ადგილობრივი მკითხველებისათვის, ხოლო რუსული პრესის იმ ნაწილისათვის,—რომელიც ამით დაინტერესდება,—ისეთი ადგილობ-

რივი საკითხების არსის გაცხობით, რომლებიც საერთო საკითხებს ეხმაურება.

ჩვენი აზრით, ზემოთ თქმული სრულიად საკმარისია ჩვენი მიმართულების გამოსარკვევად. მაგრამ, ვბედავთ რა დავღალოთ ჩვენი მკითხველების დიდი ნაწილის ყურადღება, საჭიროდ მიგვაჩნია, დაწვრილებით ვილაპარაკოთ კიდევ უფრო დიდ და კონკრეტულ საკითხებზე, რათა ამით მოვიგოთ იმ მკაცრი შემფასებლების და მსაჯულების გული, რომლებიც პირველი შეხვედრისთანავე არა მარტო თვალებში, არამედ სულშიც გიყურებენ. და რადგან გადაწყვეტილი გვაქვს საქმე გულახდილად ვაწარმოოთ და დარწმუნებულიც ვართ, რომ მეტი სინათლე საქმისათვის უკეთესია, ჩვენ შევეცდებით მათი გემოვნებაც დავაკმაყოფილოთ. ბევრი მკითხველის წინაშე წინასწარ ვიხდით ბოდიშს, თუ რომ ჩვენი შემდგომი ახსნა-განმარტება მშრალად იქნება გადმოცემული და დამძიმებული ბევრი პოპულარული ტერმინით. მაგრამ რადგან იგი იწერება მხოლოდ „მკაცრი შემფასებლებისათვის", ამიტომ, ამ უკანასკნელთ, არა აქვთ უფლება საყვედური გამოსთქვან ტერმინოლოგიის გამო, ხოლო მკითხველთა უმრავლესობამ გვაპატიოს სიმშრალე ადგილის უქონლობის გამო.

ვიზიარებ რა უტილიტარული სკოლის შეხედულებას — რაც შეიძლება მეტი სარგებლობა, რაც შეიძლება მეტი ადამიანისათვის — ჩვენს საკუთარ თვალსაზრისში ეს მოძღვრება დავაკავშირეთ მეორე მოძღვრებასთან, რომელიც ამტკიცებს, რომ ასეთი სარგებლიანობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამყარდება ჰარმონიული ურთიერთობა რაც შეიძლება მეტ ადამიანთა შორის. ასეთ თვალსაზრისთან დამოკიდებულებაში, ჩვეულებრივი პოლიტიკური და საზოგადოებრივი საკითხები და ფორმები კარგავენ მ ი ზ ნ ი ს მნიშვნელობას და ხდებიან ჩვეულებრივ ს ა შ უ ა ლ ე ბ ა დ. მათი მნიშვნელობის განსასაზღვრავად, ყველა მათგანს შეიძლება მივუდგეთ ერთი საერთო მასშტაბით — რამდენად უწყობს ხელს, რაც შეიძლება მეტ სარგებლობას, რაც შეიძლება მეტი ადამიანისათვის და რამდენად აჩქარებს ადამიანთა ჰარმონიული ურთიერთობის დამყარებას. იმ თვალსაზრისით, რომ — რაც უფრო მჭიდრო კავშირი იქნება რაც შეიძლება მეტ ადამიანებს შორის და რაც უფრო სოლიდარული იქნება მათი ინტერესები, ხოლო ურთიერთობა — ჰარმონიული, მით უფრო დიდ სარგებლობას ვნახავთ, — ჩვენ, რა თქმა უნდა, უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენი სამშობლოს შეერთებას რუსეთთან, — მომავლის მქონე ქვეყანასთან

და ვისურვებდით, რომ ეს კავშირი არა მარტო მექანიკური იყოს, არამედ ზნეობრივიც, ორივე მხარისათვის თანაბრად მტკიცე და სასარგებლო.

მაგრამ როგორ დავამყაროთ ასეთი კავშირი? ჩვენი აზრით, ეს საკითხი არც ისე თავის სამტვრევია, როგორც ჩვეულებრივ ჩვენში თვლიან. რა თქმა უნდა compaison n'est pas raison[94], მაგრამ მაგალითი, რომელიც ჩვენ გვინდა მოვიყვანოთ, თვალსაჩინოდ გვიხატავს უდაოდ სწორ სურათს, რაც არა ერთხელ და ორჯერ შემოწმებულა ამ ქვეყნად. არავინ არ დაიწყებს იმის წინააღმდეგ დავას, რომ ჩვენი სხეულის ყოველი ცალკეული ნაკვთის სიჯანსაღე წარმოუდგენელია მთელი ორგანიზმის სიჯანსაღის გარეშე. მეორე მხრივ, არავინ არ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ შეიძლება სხეული სრულიად ჯანმრთელი დარჩეს მას შემდეგ, რაც მოვკვეთთ, ან მოვაცლით ამა თუ იმ ნაკვთს. ზუსტად იგივე ხდება ყოველდღიურ და სახელმწიფო ცხოვრებაში. ის აზრი, რომ ამა თუ იმ პროვინციას შეუძლია გახვითარდეს ცალკე, ძიაღწიოს მოწიფულობას და სანიმუშო წესრიგს, მთელი სახელმწიფოს შესაბამისი პროგრესის გარეშე, ისევე უაზროა როგორც იმის ცდა, რომ შეუძლებლობამდე განვავითაროთ ჩვენი სხეულის რომელიმე ნაკვთი და არ განვავითაროთ მთელი ჩვენი ორგანიზმი. ხელოვნური საშუალებებით, რა თქმა უნდა, შეიძლება ნებისმიერად განვავითაროთ ხელი ან ფეხი, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ამას ავადმყოფობამდე და სიკვდილამდე მივყავართ. ზუსტად იგივე მოხდება თუ ჩვენ გავაკეთებთ დიამეტრალურად საწინააღმდეგო რამეს და დავიწყებთ, მაგალითად, მხოლოდ მუცლის კვებას მსუყე საჭმლით, ან მხოლოდ გონებისას—სულიერი საზრდოთი ისე, რომ არ ვავარჯიშებთ სხეულის სხვა ნაკვთებს. ერთ შემთხვევაში გავსუქდებით და ქლოშინი აგვიტყდება, მეორე შემთხვევაში კი მეტისმეტად დავსუსტდებით ფიზიკურად. რა საჭიროა ბუნების კანონების მთელი ეს დარღვევა, როცა თითეულ ნაკვთს დაკისრებული აქვს თავისი ფუნქცია, გააჩნია საჭირო უნარი და აქვს თავისი მოთხოვნილებები. საერთო-სახელმწიფოებრივ და საკანონმდებლო საკითხებში სახელმწიფოს აქვს თავისი სფერო, რომელიც მხოლოდ მისთვისაა ხელმისაწვდომი და რაც უფრო აქტიურია მისი ინიციატივა — მით უფრო ბევრია საშუალება, რაც უფრო ფართოა ხელისუფლება — მით უფრო სასარგებლოა ყოველი ოლქისათვის ცალ-ცალკე და ყველასათვის ერთად. მაგრამ იმისათვის, რომ ინიციატივა იყოს აქტიური, საშუალებები — ულევი და რეალური, ხოლო ხელისუფლება არსებითად ძლიერი, აუცილებელია, რომ თავის

სფეროში პროვინციებსაც ჰქონდეთ თავისი სიცოცხლისუნარიანობა და სახელმწიფოს არ ჩამოეკიდონ კისერზე. მათ აქვთ საკუთარი ადგილობრივი ინტერესები, თავიანთი საერობო საკითხები, თავიანთი შემოსავლის წყარო, თავიანთი სიმდიდრე. საჭიროა, რომ ამ სფეროში მათ იცხოვრონ და იმოქმედონ თავიანთი ჭკუით და დაეხმარონ თავიანთ თავს. ამგვარად, ამოცანის სასურველ და დამაკმაყოფილებელ გადაწყვეტად მიგვაჩნია საკანონმდებლო და საერთოსახელმწიფოებრივ საკითხებში სრული ცენტრალიზაცია, და ასეთივე სრული დეცენტრალიზაცია — ადგილობრივ, საერობო საკითხებში.

ზემოთ თქმულიდან ძნელი არაა მიხვდე, თუ როგორია ჩვენი დამოკიდებულება რასობრივი და რელიგიური საკითხებისადმი. ჩვენ მათ პირველ რიგში არ ვაყენებთ. ჩვენი მხარე დასახლებულია სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხებით და ჩვენი სურვილია მათ შორის იყოს ჰუძახიური და გოხივრული დამოკიდებულება, რასაც საფუძვლად უნდა ედოს ურთიერთპატივისცემა ერთმანეთის ინტერესებისა და უფლებებისადმი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დრო და მოქალაქეობრიობა საყოველთაო სარგებლობისათვის, და უმთავრესად ცივილიზაციის ინტერესებისათვის, მოსპობს უსწორმასწორობას. ამიტომ, ჩვენ არ ვეცდებით გავაღვივოთ ბრბოს უხეში ინსტიქტები და არ შევისყიდით იაფფასიან გვირგვინებს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის ადამიანურ ურთიერთობათა უგულველყოფის ფასად. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ჩვენ თავს ვუკრძალავთ კავკასიის ეთნოგრაფიის და მისი მოსახლეობის ზნე-ჩვეულებების, ადათების, მოთხოვნილებებისა და გასაჭირის გაცნობას.

ღრმად ვართ რა დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენი მხარის დაწინაურება დამოკიდებულია მთელი რუსეთის პროგრესსზე, ჩვენ გულწრფელად გაგვახარებს ამ პროგრესის მიერ ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი და მხურვალედ ვისურვებთ, რომ ჩვენი მხარეც მას შეუერთდეს. ამ მხრივ ჩვენ- განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ ადგილობრივი საზოგადოების მომზადებას თვითმმართველობისათვის, რაც მას ნაწილობრივ მიანიჭეს, და რასაც კიდევ ელოდება გასაგები მოუთმენლობით.

საერთოდ, ჩვენი მოღვაწეობის ყველა სფეროში ჩვენ ვეცდებით, — რამდენადაც ძალ-ღონე გვეყოფა, — გამოვარკვიოთ ჩვენი მხარის მდგომარეობა, ძალები და მოთხოვნილება, გავაცნოთ მკით-

ველებს რუსეთისა და ევროპის საზოგადოებრივი და გონებრივი ცხოვრება.

ჩვენს დროში, სკოლასთან ერთად, გაზეთი გახდა საზოგადოებრივი განათლების ყველაზე ძლიერი ფაქტორი. ჩვენ განზრახული გვაქვს ყოველგვარი ძალა ვიხმაროთ, რომ „ობზორის“ ამოცანის ეს ნაწილი რაც შეიძლება საფუძვლიანად განვახორციელოთ.

მაგრამ ვიმეორებთ, მთელი ჩვენი შეხედულებები, რაც „მკაცრ შემფასებლებს“ ჩვენს მსოფლმხედველობას აცნობს, სრულიად არ ამცირებს იმ მეთოდის მნიშვნელობას, რომელზედაც ზემოთ ვლაპარაკობდით. როგორიც არ უნდა იყოს მეცნიერი მკვლევარის თვალსაზრისი და რწმენა, მისი უპირველესი მოვალეობა და ერთადერთი გირაო მისი ძალებისა ისაა, რომ ნათლად, მართებულად, მიუკერძოებულად მიუდგეს თავის ამოცანას. მსგავსად ამისა, ჩვენც ვეცდებით დავიძახუროთ მკითხველთა ყურადღება ფაქტებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით და არ მივხედავთ იმას — სასიამოვნო იქნება ეს პირადად ჩვენთვის თუ არა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ვეძებთ რა სინათლესა და სიმართლეს, ჩვენს ღირსებად მიგვაჩნია არასოდეს არ გადავუხვიოთ ამ გზიდან, თუნდაც ამის გამო დაზარალდეს ჩვენი ყველაზე ძვირფასი ინტერესები და რწმენა.

18. პირველად

ძვირფასო მკითხველო! მრავალი, მწუხარე თვეების შანძილზე, იძულებითი ლიტერატურული დუმილის შემდეგ, კვლავ მეძლევა შესაძლებლობა განვაახლო თქვენთან ჩვეულებრივი საუბრები. ჩემი სიხარული მით უფრო უსაზღვროა, რომ ამ საუბრებს ვანახლებ სრულიად ახალ, დიდხანს ნანატრ ვითარებაში. აქამდე ჩვენ ერთმანეთს, მეტად თუ ნაკლებად შემთხვევით, საერთო ნაცნობებთან სტუმრობის დროს ვხვდებოდით. სადაო არაა, რომ მასპინძლები შესანიშნავი, კეთილი, კარგი ადამიანები იყვნენ, მაგრამ რა კარგადაც არ უნდა გრძნობდე თავს სტუმრად, საკუთარი სახლი მაინც ბევრად უკეთესია და, აი, ბოლოს შესაძლებლობა მეძლევა საკუთარ სახლში, საკუთარ ჭერს ქვეშ ბიგიღოთ.

რომ იცოდეთ რამდენი წელიწადია, რაც ამგვარ ბედნიერებაზე ოცნებობ და რა დიდ ხანს, რა გულმოდგინეთ ვცდილობდი მის მოპოვებას! თუ თქვენ ყოფილხართ იმდენად უბედური, რომ გიხდებოდათ „კუთხიდან კუთხეში“ და ბინიდან ბინაში ხეტიალი, ავეჯით გაწყობილ ოთახებსა და სასტუმროებში ცხოვრება, მაშინ თქვენ კარგად უნდა იცნობდეთ იმ გამაწამებელ გრძნობას, რომლითაც ამ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი შეძენაზე, სიბერის დროს საკუთარ ქოხზე ოცნებობს. იგი თავის თავს სიტყვას აძლევს, რომ არ გაცვლის მას სხვის სასახლეებზე და წლებს იმაზე ოცნებაში გაატარებს, თუ როგორ მორთავს საკუთარ საცხოვრებელს, როგორ გააწყობს პლუშით, როგორ დაამშვენებს ყვავილებით და მწვანე მცენარეებით, რათა მისმა მცირერიცხოვანმა, მაგრამ ერთგულმა მეგობრებმა, რომელთაც იგი გაჭირვების დროსაც უყვარდათ, შესძლონ მის ჭერს ქვეშ, სიწყნარეში, სითბოში დატკბობა. ზუსტად ასეთი ოცნება ეუფლება ყოველთვის ყველა ლიტერატურულ მუშაკს, რომელსაც მწერლობის ეშმაკი შესჩენია. შეიძინოს საკუთარი გამოცემა, გახადოს იგი რაც შეიძლება მოხერხებული მეგობარი მკითხველებისათვის, მისცეს მას საკუთარი შეხედულებების, გემოვნებისა და რწმენის შესატყვისი მიმართულება — აი, წმინდა სისხლის ლიტერატორ-

ჟურნალისტის მუდმივი და საყვარელი ოცნება. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ამგვარი ოცნება უკანონო იყოს. თუ რომ ყველა კერძო პირს უფლება აქვს მიაღწიოს ისეთ მდგომარეობას, როცა მის შრომას, ან დასვენებას არ არღვევს კაკუნი, ხმაური ან მეზობლების ყვირილი, მაშინ ჩვენ ძმებს ლიტერატორებს თვით ღმერთმა უბრძანა მიაღწიონ ამგვარ მდგომარეობას. ყველა ჭეშმარიტ მწერალს სწამს თავისი იდეალები, თავისი მრწამსი, თავისი მიმართულება. მისი უდიდესი და უკეთილშობილესი პატივმოყვარეობა, ისევე როგორც მისი პირდაპირი ძოვალეობა, ისაა, რომ მიაღწიოს საქმეთა ისეთ წარმართვას, რომელიც მისი აზრების შესაბამისი იქნება. ამ შემთხვევაში მცირედი დისონანსი, მცირედი გადახრა, ავადმყოფურად მოქმედებს მთელს მის არსებაზე, გულს უცრუებს სამუშაოზე, ყინავს მის შთაგონებას. და ეს მაშინ, როცა მწერლის მთელი ძალა მისი შთაგონებაა. მწერლებს ხშირად უგრძვნიათ ამ შენიშვნის მთელი სისწორე. შეგიძლიათ ხარის გულმოდგინეობა გამოიჩინოთ, ოფლი ღვარებად ღვაროთ, ქაღალდის დასტები ააჩრელოთ და, მიუხედავად ამისა, მაინც ვერაფერი შექმნათ მანამ, სანამ თქვენში „ღვთიური ნაპერწკალი“ არ ჩამოსახლდება, სანამ მთელი თქვენი არსება არ გაიღვიძებს რაიმე ნერვიული ძალის ზემოქმედებით, რომელიც ძილს დაგიფრთხობთ, დასვენების საშუალებას არ მოგცემთ და ჭამის მადას დაგიკარგავთ. მხოლოდ ისეთი რამ პოულობს პირდაპირ გზას მკითხველის გულისაკენ, რაც ასეთ მდგომარეობაში დაწერილა, მხოლოდ ამ მდგომარეობის გამო რჩება მკითხველის მახსოვრობაში მწერლის აზრი წარუშლელად, მხოლოდ იგი აღელვებს მკითხველის მთელ არსებას და დროებით აშორებს მისი აზრებისა და ზრუნვის ყოველდღიურ დიხებას. როგორ გიხდათ, რომ ასეთი შთაგონება მწერალს ყოველგვარ ვითარებაში ეწვიოს?

თუ განიმსჭვალები რწმენის ღვთიური ცეცხლით და ვნებათღელვაც ისევე იოლი იქნა, როგორც ტილოს არშინით გაზომვა, ანდა თავის დაკვრა, მაშინ, რა თქმა უნდა, მწერალი შესძლებდა „სტოიკურად“ მუშაობას და არ მიაქცევდა არავითარ ყურადღებას იმას, თუ რა მოსდით მის გარშემო მყოფ მეზობლებს. მაგრამ, მადლობა ღმერთს, მწერლებიდან ჯერ არავინ მისულა იმ მდგომარეობამდე, რომელსაც ვაჭრები იდეალურად თვლიან, ხოლო ჩვენ ლიტერატურის დაცემას და გადაგვარებას ვეძახით. ახლანდელ ვითარებაში კი მწერლის შთაბეჭდილებიან და ნერვიულ ბუნებაზე, რასაც ჩვენ მის საუკეთესო ღირსებად ვთვლით, ყველაფერი გულის ამაცრუებელ, დამაძინებელ გავლენას ახდენს: მეზობლის აპატიური ხვრინვაც,

თანამოძმის თავაშვებული ქცევაც, მომსვლელთა მეორე გამომეტყველებაც და ა. შ.

აი რატომაა, რომ ყოველი ლიტერატორი ოცნებობს და უნდა ოცნებობდეს კიდეც საკუთარ კუთხეზე, რომლის მოწყობასაც ფიქრობს საკუთარი გემოვნებისა და შეხედულებების მიხედვით.

„ობზორზე"[36] მე იმ დროიდან ვოცნებობდი, რაც ხელში მწერლის კალამი ავიღე. მაგრამ როცა „ბედმა", რვა წლის ამაო მეცადინეობის[95] შემდეგ, ჩემი მისწრაფებები დააკმაყოფილა, ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ოცნება ერთია, ხოლო მისი განხორციელება — მეორე.

თქვენ გახსოვთ ცნობილი არაკი ციყვზე, რომელმაც საკმაო რაოდენობით მოიმარაგა კაკალი იმ ღროს, როცა კბილებში ძალა აღარ ჰქონდა. საერთოდ ეს ქვეყანა საკმაოდ სულელურადაა მოწყობილი. სანამ გაგვაჩნია ცოცხალი ძალები, გაუფლანგავი ნიჭი, წამოწყებათა გაბედულება და დასკვნების გამოტანის უნარი, — წვრილმანი სიძნელეების ქსელში ვართ გახლართული, ვებრძვით უცნობ სამყაროს, უნდობლობას, სიღატაკეს. უმეტესობა ამ უთანასწორო ბრძოლაში იღუპება და, გაჭირვების გამო, კარგავს საკუთარი იდეალებისადმი და საკუთარი დანიშნულების შეგხებისადმი რწმენას. მაგრამ ის უმცირესობაც, რომელიც არაადამიანური ძალ-ღონის დაძაბვით, ბოლოსდაბოლოს სახელისა და გავლენისაკენ გზას იკაფავს, ამასობაში თავის ძალ-ღონის ნახევარზე მეტს კარგავს. თუ რამდენი შესანიშნავი მასალა იხარჯება ასე უსარგებლოდ საზოგადოებისათვის და რა ძლიერ ბრკოლდება, ამის გამო, საზოგადოებრივი პროგრესი, ეს მოცლილმა სტატისტიკოსებმა გამოიანგარიშონ. მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ არავინ ფიქრობს იმაზე, თუ როგორ ვუშველოთ ამ უბედურებას. უდაოა, რომ ეს ბოროტება საერთო ხვედრია ყველა თაობისა და მხოლოდ თვითმმართველობისა და საჯაროობის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ინგლისი და საფრანგეთი, შეიძლება აღმოაჩინო ახალგაზრდა ტალანტები, რომელთაც ერთბაშად მოიპოვეს ძალა და გავლენა. მხოლოდ ინგლისში შეიძლებოდა მომხდარიყო ის, რომ ოცდაორი წლის პიტი სამინისტროს ხელმძღვანელი გახდა, მხოლოდ საფრანგეთში შეეძლო ოცდაექვსი წლის გამბეტას ხელში აეღო „მართველობის საჭე". ჩვენ არც კი უნდა ვლაპარაკობდეთ ასეთ მაგალითებზე. მაგრამ თუ ჩვენს სამშობლოში გამოუკლებლივ ყველა თაობა იტანჯებოდა იმის მტკიცების აუცილებლობით, რომ მათ კანონიერი უფლება აქვთ საზოგადოებრივ საქ-

მეებს უხელმძღვანელონ, დამიჯერეთ, რომ არცერთ თაობას არ გაჭირვებია ამის გამო ისე, როგორც ჩვენსას.

«Мы в жизнь вошли с счастливым упованьем,
Мы в жизнь вошли с неробкою душой,
С желаньем истины, добра желаньем,
С счастливой, поэтической мечтой!»

«Но в жизни не встретили мы участья», — განაგრძობს პოეტი"[6]. იგივე შეემთხვა ჩვენს თაობასაც. ჩვენამდე და ჩვენ შემდეგ რუსეთში თითქმის არცერთ თაობას არ ჰქონია ქვეყნის საერთო კეთილდღეობისათვის ზრუნვის უფრო მეტი სურვილი. ეს გასაგებიცაა. აღზრდილნი ყირიმის ომის ცოდვათა ქვეშ, «В годину мрака и печали», ჩვენ ვვითარდებოდით რუსეთის პროგრესის პირველი ტიკტიკის დროს, ამიტომ ჩვენ ხელისუფლებისა და წესწყობილების ბევრი ბნელი მხარე დავინახეთ, და ვისმენდით იდეალებისაკენ გაბედულ მოწოდებას. მოღვაწეობის ძველ ფორმებს — ბიუროკრატიზმს და საშინელ პირობას, არ შეეძლო ჩვენი გატაცება: იმ დროს ისინი დისკრედიტებული იყვნენ. ხოლო ახალი ფორმები — ბანკირობის ადვოკატურა, მშენებლობა — ჯერ კიდევ არ არსებობდა. ჩვენ ირგვლივ მხოლოდ „კითხვები" დუღდა, ისეთი პირველხარისხოვანი კითხვები, რომლებიც ეხებოდნენ საგლეხო, საერობო, სამართლმსაჯულო საკითხებს. მიმდინარეობდა ძველი წესების რღვევა. შორიდან ისმოდა ჭუხილის ერთფეროვანი გრგვინვა, რაც არღვევდა ძველ, მეტერნიხის ევროპას. გარიბალდის გმირობის წყალობით თავისუფლდებოდა იტალია; იწყებოდა ომები მონების განთავისუფლების მიზნით. რა გასაკვირია თუ ჩვენი წარმოდგენა სარედაქციო კომისიების საკირკიტო სამუშაოზე უფრო შორს მიდიოდა და უფრო გაბედულ გეგმებს გვისახავდა. ჩვენს შემდეგ ცხოვრებაში შემოვიდნენ სულ ახალი და ახალი თაობები, რომელთაც შუბლზე პრაქტიკულობის დაღი ესვათ. მიართვეს მათ აქციები, საერობოები, სასამართლოს რეფორმების კონტროლი, რკინიგზები, ბანკები, ტაშკენტი. ამავე დროს, როგორც ჩვენ ვამბობდით, «да мимо идет Чаша сия», ის, ახალი თაობა, ხარბად დაეწაფა პრესას და თვრებოდნენ მისი შინაარსით. იქონიეთ მხედველობაში, რომ ჩვენს შორის იმათმაც კი, ვინც უსაქმურობის გამო „პრაქტიკას" მოჰკიდა ხელი და ვექილი ან მოხელე გახდა, ვერ შეძლეს თავიანთი თავის გარდატეხა და „მელანქოლიური საქმოსნები" გამოვიღნენ. შეადარეთ, მაგალითად, ორი თაობა, ჩვენი და ჩვენს შემდგომი. თქვენ

დაინახავთ, რომ პირველი ძლივს ინახავს თავს, ძლივს ღებულობს იმდენს, რომ საცხოვრებლად ეყოს, და ეს მაშინ, როცა მეორემ ცხენებიც შეიძინა, ქურქიც, მიწაც და მოზრდილი კაპიტალიც. ამავე ფაქტს შეამჩნევთ ყველა სხვა სფეროშიც. ეს კი იმის გამო ხდება, რომ ჩვენი თაობის ყველაზე სუსტმა ადამიანმაც კი შეინარჩუნა „ტრადიცია", შეინარჩუნა ეგრეთწოდებული „სინდისის ქენჯნა" (სხვები ამას უუნარობას ეძახიან). თვითეული ჩვენგანი იმისთვის ემზადებოდა, რომ კონტროლი გაეწია სამოქალაქო საქმეებისათვის, გაენადგურებია მეხისმცემლები, ჩვენ კი შემოგვთავაზეს კონტროლი გაგვეწია სამაზრო დაწესებულებების მიერ გამომავალ და გამოსაცემ ჟურნალებისათვის და ხუთი კაპიკისათვის გაგვენადგურებია ვექილები. ამიტომ, ჩვენ ჩვენი ბუნების გარდაქმნა ვერ შევძელით. ჩვენთვის ყველა სფერო ღია იყო, გარდა იმ ერთადერთი სფეროსი, რომელიც გვიყვარდა და მახლობლად მიგვაჩნდა. და ჩვენ დავრჩით „не у деле", არ გაგვაჩნდა სამუშაო, მიზანი, ძალა...

მაგრამ მე დასმულ ამოცანას გადავუხვიე. მე ვამბობდი, რომ შევძელი ჩემი კუთხის მოწყობა, და რაც უფრო ახლოვდება საკუთარ ბინაში გადასახლების დრო, სულ უფრო მეტად და მეტად ვგრძნობ, რომ ჯერ კიდევ შორსა ვარ ჩემი ოცნებების განხორციელებამდე. ციყვის მაგალითი ზემოთ იმიტომ კი არ მოვიყვანე, რომ თქვენთვის მეცნობებია კბილებს გამოვეთხოვე-მეთქი. ო, არა, ისინი მე ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით შემრჩა და ერთ ათ წელიწადს კიდევ მეყოფა, მაგრამ ნაწილი კბილებისა რომ ოცნებებში დავკარგე, ამაში საეჭვო არაფერია. მაგრამ წარსულს ვერ დაიბრუნებ, და ამიტომ სინანულს აზრი არა აქვს. უკეთესია იმაზე იზრუნო და იფიქრო, რაც არის და რაც იქნება.

სხვა ადამიანებთან ხეტიალის დროს, მე ბევრი ძალ-ღონე დავკარგე და ჩემი პირველი მუშაობა საკუთარ ქოხში ისეთი აღარ იქნება, როგორიც მსურდა და როგორზედაც ოცნებობდი ახალგაზრდობაში. ჩვენთან, საქართველოში ხალხურ გამოთქმად გადაიქცა გასული საუკუნის ერთი მივიწყებული პოეტის [104] ოთხსტრიქონიანი ლექსი:

„მინახავს ერთი პირუტყვი
გორსა თუ ახალგორსაო,
თავისთვის მუტრუკს აკეთებს,
სხვათ გაუკეთებს ჯორსაო".

მე არ მეშინია იმისა, რომ, თუნდაც ნაწილობრივ, ეს გამოთქმა საკუთარ თავს მივუყენო. ასეთი უცნაურობა ჩემზე უფრო მნიშვნელოვან ადამიანებს და ერებსაც ემართებოდათ. ავიღოთ თუნდაც

1813 წლის გერმანია. გახსოვთ თავისი არპდტოვების და კერნერების მოწოდებათა ხმების შედეგად როგორ აზარტით დაირაზმა „გამანთავისუფლებელი დიდი ომისაფვის“ იგი, რათა გერმანია, საფრანგეთი და მთელი ევროპა გაეთავისუფლებია „ბონაპარტის უღლისაგან“? მან ამ უღლისაგან გაანთავისუფლა ავსტრიაც, გერმანიის სამთავროებიც და საფრანგეთიც. მან უკანასკნელი კონსტიტუციური მონარქიაც დაანაწევრა, მაგრამ თვითონ შინაურ დესპოტების უარესი მონობის ქვეშ აღმოჩნდა, გენიალური ბონაპარტეს უღლის ნაცვლად უნიჭო მეტერნიხის უღელი დაიდო კისერზე... რას იზამ, თუ ასეთი ხვედრი წილად ხვდა ისეთ განათლებულ ერს, რომელმაც წარმოშვა ლესინგი, შილერი, შტეინი და გიოტე, მაშინ ჩვენისთანები რატომ არ უნდა აღმოჩნდნენ ზოგჯერ ასეთ მდგომარეობაში!

ხოლო ასეთ მდგომარეობაში მოხვედრა ძალზე იოლია. შესანიშნავი ისაა, რომ ადამიანი ბევრად უფრო გამჭრიახე და გულმოდგინეა სხვის საქმეებში, ვიდრე საკუთარში. ეს მაშინებს მე საკუთარი თავის მიმართ და კიდევ უფრო მეტად — სხვის მიმართ. ზემოთ მე ერთი ქართული ანდაზა მოვიყვანე, ახლა კი მოვიყვან მეორეს — „სხვა სხვის ომში ბრძენიაო“. ვნახოთ, როგორი ვიქნები ახლა მე — და როგორი ვიქნებით ჩვენ — ჩვენს... თქვენ, ალბათ, სკოლაში გისწავლიათ კრილოვის არაკები, ამიტომ უნდა გახსოვდეთ არაკი სამი გლეხის შესახებ, და ამ არაკის მორალი:

«Что будет с Индией, когда и от чего,
Так ясно для него;
А пóглядишь у самого
Деревня между глаз сгорела!»

ასე იქნება თუ არა, ამას მომავალი დაგვანახებს. ახლა კი ყოველივე ამას მხოლოდ იმიტომ ვამბობ, რომ სრულიად არა ვარ დაბრმავებული ჩემი მომავლით, არ ვუყურებ ჩემს მოღვაწეობას ვარდისფერი სათვალეებით და მომავალი ამოცანები დიდ ეჭვსა და შიშს იწვევს ჩემში.

მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს ჩემი მომავალი ამოცანა, იგი მაინც არ აღემატება ჩემს მზადყოფნას — არ დავზოგო არც ძალღონე და არც შრომა იმისათვის, რომ დამაკმაყოფილებლად შევასრულო. გულახდილად რომ გითხრათ, რა მძიმე და ძლიერიც არ უნდა იყოს ჩემს მიერ წინასწარ განჭვრეტილი სიძნელეები, მე მაინც დარწმუნებული ვარ წარმატებაში. ჩემთვის საეჭვო მხოლოდ

ისაა: მალე მივაღწევთ მას თუ არა. მაგრამ, რომ მივაღწევთ, და აუ-ცილებლად მივაღწევთ, ამაში სრულიად არ გვეპარება ეჭვი. და ამ ურყევი რწმენის საფუძველი ისაა, რომ ჭეშმარიტება, გონივრულობა და საღი აზრი ადრე თუ გვიან მაინც თავისას გაიტანს. აუჩქარებლად და აუღელვებლად, ყოველგვარი ბრწყინვისა და დაძაბულობის გარეშე, გავყვებით ჩვენ ჩვენს გარკვეულ მიზანს — ცოტაოდენი შეგნება შევიტანოთ ჩვენი მოსახლეობის მასებში. ჩვენ რომ გარკვეული, პრაქტიკული მიზნებისათვის ვიბრძოდეთ, ამ მიზნების მისაღწევად გარკვეული გეგმების შედგენა გვჭირდებოდეს და მათ განსახორციელებლად ბნელ კომბინაციებს, მახინაციებს და ინტრიგებს ვიყენებდეთ, მაშინ გამარჯვების იმედიც გვექნებოდა. მაგრამ ჩვენ ამგვარ თამაშში არ ვებმებით, „ნამდვილ" გზას ვადგევართ და მხოლოდ იმისათვის ვზრუნავთ, რომ ჩვენს შემდეგ ჩვენმა მკითხველებმა უკეთ იცოდნენ როგორც საკუთარი, ასევე სხვისი ცხოვრება, ცხადად შეიგნონ თავიანთი მდგომარეობა და უფრო უნარიანად გამოიყენონ ცოდნის საუნჯე, ვიდრე ჩვენამდე იყენებდნენ. თუნდაც ჩვენ შევცდეთ ჩვენს შესედულებებში, თუნდაც ჩვენ ბევრ შეცდომას დავუშვებთ ჩვენი მოღვაწეობის დროს, ეს ხომ დაეხმარება სხვებს — ჩვენ წინააღმდეგ კამათის დროს — ჭეშმარიტება და გონების უფლებები აღადგინონ. ჩვენ კი სხვა არაფერი გვინდა და თავს იმით დავიმშვიდებთ, რომ ირიბად მაინც დავეხმარეთ სინათლისა და გონების გამარჯვებას უცოდინარობასა და სიბნელეზე.

სიმშვიდეს, როგორითაც ჩვენ ჩვეულებრივ ვუდგებით ყოველ საქმეს და რაც „ობზორში" ჭარბად იქნება, საფუძვლად სწორედ ჩვენი ეს რწმენა უდევს. გვაქვს რა ჩვევად ჩვენს ლიტერატურულ მოღვაწეობაში, უმეტეს შემთხვევაში, შეგონებისა და დაჯერების მეთოდით ვისელმძღვანელოთ, ჩვენ სწორედ მათი ძალის იმედი გვაქვს. მათზევე ვამყარებთ ჩვენ შიმართულების მომავალი გამარჯვების მთელ იმედებს. ასეთი შედეგებისათვის ჩვენ შეგვიძლია საკუთარი ვნებათღელვა საღ აზრს დავუმორჩილოთ და, გვახსოვს რა, რომ „La raison finira par avoir raison"[97], მოთმინებით გადავიტანოთ ყველა გაჭირვება და სიძნელე.

19. ნ. ა. ნეკრასოვი

(ნეკროლოგი)

„ობზორის“[35] დღევანდელ ნომერში მკითხველი იპოვის ჩვენი კორესპონდენტის ტელეგრამას პეტერბურგიდან. ნ. ა. ნეკრასოვის დასაფლავების შესახებ. ამ ტელეგრამიდან ჩვენ პირველად შევიტყვეთ ჩვენს პოეტთა შორის ყველაზე გამოჩენილი პოეტის სიკვდილის ამბავი, იმ კაცის სიკვდილის ამბავი, რომელიც უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე რუსეთის ლიტერატურაში დიდ როლს თამაშობდა. სამწუხაროა, რომ ტელეგრაფის საერთაშორისო სააგენტომ, რომელიც ასე გულუხვად გვაწოდებს ცნობებს ნოვო-ინგერმანლანდის პოლკის რომელი ბატალიონის და ამ ბატალიონის რომელი ასეულის ჯარისკაცი შეიჭრა პირველად ამა თუ იმ სანგარში, საჭიროდ არ ჩასთვალა თავის მრავალრიცხოვან ტელეგრამებში ორი სიტყვით მაინც გადმოეცა — „ნეკრასოვი გარდაიცვალა“ — და ამით ეცნობებია რუსეთისათვის თანამედროვე პოეტთა შორის ყველაზე გამოჩენილი პოეტის სიკვდილი. მაგრამ ცნობის მიმცემებმა, რომლებიც ამ სააგენტოს განაგებენ, ალბათ, არ იციან, რომ არსებობს ამ ქვეყნად დარგი, რომელსაც რუსული ლიტერატურა ეწოდება და რომ ამ ლიტერატურას ემსახურებოდა ადამიანი, რომლის გვარი ნეკრასოვია.

ამ წერილის ავტორისათვის უცნობია განსვენებული პოეტის ბიოგრაფიული დეტალები. ამგვარი ცნობებით, ალბათ, სავსე იქნება სატახტო ქალაქის გაზეთები და ჩვენც, როცა შესაძლებლობა მოგვეცემა, გავაცნობთ მკითხველებს ნ. ა. ნეკრასოვის ცხოვრების გარეგნულ ფაქტებს. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის, — რასაც პეტერბურგის გაზეთები არ დაბეჭდავენ, — განსვენებული პოეტის სრული ლიტერატურული დახასიათებაა. ამიტომ, ჩვენ რამდენიმე სიტყვას ვიტყვით მის შესახებ ნეკრასოვის ლიტერატურული ნაწარმოებებისა და მათ შესახებ იმ პირთა ლიტერატურული აზრის საფუძველზე, რომლებიც მას ახლოს იცნობდნენ.

ლიტერატურული მოღვაწეობა განსვენებულმა პოეტმა თავის პირველი ლექსების კრებულის გამოცემით დაიწყო. ი. ი. პანაევი თავის „ლიტერატურულ მოგონებებში“ სწერდა, რომ პოეტის პირველი ლექსები მონური ხასიათისაც კი იყო. მაგრამ დაუახლოვდა რა მოწინავე მწერლების წრეს და შეითვისა რა ლიბერალური აზრები, ნეკრასოვმა საჭიროდ სცნო თავის წიგნის ყველა ეგზემპლარის შესყიდვა და დაწვა. იყვნენ ისეთი პირები, რომლებიც მონდომებით ეძებდნენ ამ წიგნს, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს. ამბობენ, რომ საჯარო ბიბლიოთეკასაც კი არა აქვს თავის კოლექციაში ეს იშვიათი წიგნი.

ოცდაათიანი წლების მიწურულში, როცა ბატ. კრაევსკიმ ხელი მოჰკიდა „ოტეჩესტვენი ზაპისკის“[62] გამოცემას, ნეკრასოვმა ამ ჟურნალში დაიწყო მუშაობა და ამარაგებდა კრიტიკასა და სხვადასხვა ამბების განყოფილებას ყოველგვარი შენიშვნებით, რეცენზიებით და აღნიშვნებით. იგი ყველაფერზე წერდა და თითქმის მთელი ექვსი წლის მანძილზე წარმოადგენდა ჟურნალის შავი მუშის ტიპს, რომელშიც პოეტს არ შეეძლო დაენახა ჟურნალისტური მოღვაწეობის მომავალი ვარსკვლავი. ამავე დროს, იგი დროდადრო სხვადასხვა ალმანახებსა და ჟურნალებში ბეჭდავდა ლექსებს, რომელთაც არავითარი წარმატება არ ჰქონდათ.

დაახლოებით 1845 წელს, მრავალი ასეთი ლექსიდან ერთმა ლექსმა მიიქცია ბელინსკის ყურადღება. ეს იყო ლექსი „გზაში“, რომელსაც ყველა მისი გამოცემის პირველ გვერდზე ბეჭდავდნენ. ბელინსკის წერილებში შემონახულია აღტაცების გამოძახილი ამ ლექსზე და საუბარია იმ შთაბეჭდილებაზე, რაც მან გენიალურ კრიტიკოსზე მოახდინა. ბელინსკიმ მაშინვე უწინასწარმეტყველა ნეკრასოვს ბრწყინვალე მომავალი, დაარწმუნა იგი, რომ შესაფერ სფეროში მოხვდა, მიაგნო სიმს, რომელიც მისი ტალანტის მთელ ძლიერებას გამოხატავს.

იმ დროს რუსეთის „ნატურალურ“, როგორც მაშინ ეძახდნენ, და „რეალურ“, როგორც ახლა ეძახიან, გოგოლის სკოლის გვერდით ჩვენს ლიტერატურაში ბატონობდა ორი თავისებური მიმართულება, ორივე ნასესხები საფრანგეთიდან. ერთი ცდილობდა „უბედურთა“ ტანჯვით სენტიმენტალურად გული აეჩუყებია მკითხველისათვის. ეს მიმართულება ჩვენში დამკვიდრდა ჟორჟ-სანდის გავლენით, რომელიც ამ დროს პიერ ლერუს გავლენას განიცდიდა. მეორე მიმართულებას ჩვენში მეტი წარმატება ჰქონდა იმის გამო, რომ ნატურალურ სკოლას ენათესავებოდა. ეს სკოლა ცდილობდა „ფიზი-

ლოგიურად" მოეხაზა სხვადასხვაგვარი რეალური ტიპები. ჩვენში იგი ანრი მონიეს და მისი ბრავალრიცხოვანი მიმდევრების წყალობით შემოვიდა. ნეკრასოვმა ორივე მიმართულებას გადაუხადა ხარკი. მუზა მან პირველის სამსახურს მიუძღვნა, ხოლო თავის მცირე სახსრები — მეორე მიმართულების ნაწარმოებების გამოცემას, და 1864 წელს მის მიერ გამოცემული „პეტერბურგსკი სბორნიკი"[29] რუსულ ლიტერატურაში მოელენა იყო. ამ ჟურნალში თ. დოსტოევსკის „ღარიბი ადამიანების" გვერდით დაიბეჭდა ი. ტურგენევის „მემამულე", თ. ოდოევსკის „მორტინგალი", კრონენბერგის მიერ თარგმნილი „მაკბეტი". კრებულში მოთავსებულ დანარჩენ სტატიებს წარმოადგენდა ისკანდერის, ბელინსკისა და სხვათა ნაწარმოებნი. კრებულს უფროდესი, მანამდე უნახავი, წარმატება ხვდა წილად. ამ წარმატებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ნეკრასოვის ცხოვრებაში.

იმ დროს ბელინსკის ტვირთად აწვა თავისი დამოკიდებულება „ოტეჩესტვენნიე ზაპისკისადმი", რადგან, გაჭირვების გამო, „შავი მუშის" მდგომარეობა ეჭირა და იძულებული იყო უმნიშვნელო გასამრჯელოსათვის ამ ჟურნალში ეწერა ყველაფერზე, თითქმის ვაქსაზეც კი. ბელინსკის მიმოწერა (მისი ცნობილი წერილი, რომელიც აღმოაჩინეს 1869 წელს სუხარევის კოშკის მახლობლად) და ბატ. კრაევსკის განცხადება გვიჩვენებს, რომ მას იტაცებდა ფიქრი ჟურნალის დაარსებაზე. და რადგან არ იყო არავითარი შესაძლებლობა მიეღო ჟურნალის დაარსების ნებართვა, ანდა ეყიდა რომელიმე უკვე არსებული ჟურნალი თავის სახელზე, გადაწყდა, რომ პანაევი და ნეკრასოვი ბატ. პლეტნეევისაგან მეიძენენ „სოვრემენიკის" გამოცემის უფლებას, ხოლო ბელინსკი ხელმძღვანელობას გაუწევს მას. თავიდან საქმე ასეც მიდიოდა. „სოვრემენიკის" წარმატებამ, რომელსაც ბელინსკიმ, გარდა საკუთარი თანამშრომლობისა, ლიტერატურის საუკეთესო ძალების მხარდაჭერა და საზოგადოების საუკეთესო ნაწილის თანაგრძნობა მოუპოვა, გამომცემელთა მოლოდინს გადააჭარბა. მაგრამ ერთი წლის შემდეგ, როგორც ეს ჩანს სუხარევის მახლობლად ნაპოვნი ბელინსკის წერილიდან, დიდი კრიტიკოსი გამომცემლობის საქმეს ჩამოაცილეს და „სოვრემენიკში" ისეთივე როლს ასრულებდა ნეკრასოვის მიმართ, როგორსაც „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში" ბატ. კრაევსკის მიმართ, ე. ი. შავი მუშისას.

მაგრამ ნეკრასოვი უმადური არ დარჩენილა თავის მასწავლებლისადმი. მან ბელინსკის ხსოვნას მიუძღვნა ლექსი ბ-სადმი:

«Наивная и страстная душа,
В ком помыслы высокие кипели»...

ამ ლექსში პოეტი იმას უჩივის, რომ ბელინსკის შრომის ნაყოფი სხვებმა იგემეს და არა თვითონ ბელინსკიმ...

ბელინსკის სიკვდილისა და 1848 წლის ცნობილი რეაქციის დადგომის შემდეგ. „სოვრემენიკი" სამწუხარო არსებობას ეწეოდა. 1856 წლამდე. სანამ ნეკრასოვმა ახალი ტალანტი არ აღმოაჩინა, რომელიც არაფრით ჩამოუვარდებოდა ბელინსკის. ჟურნალი ტრადიციის მიხედვით არსებობდა.

იმ დიდი გამოხმაურების გამო, რაც ჟურნალისტიკაში დისერტაციის „ესთეტიკური დამოკიდებულება ხელოვნებისა სინამდვილესთან" გაჭოჩენამ გაჭოიწვია და რაც ახალი ლიტერატურული მიმართულების ამოსავალი წერტილი გახდა, ნეკრასოვმა ყურადღება მიაქცია ამ დისეტრაციის ავტორს[100]. ნეკრასოვმა მას მთლიანად მიანდო „სოვრემენიკის" კრიტიკის განყოფილება. ამ დროიდან დაიწყო „სოვრემენიკის" წარმატების განახლება, რამაც ადრინდელი წარმატებაც კი დაჩრდილა. საჭირო არაა ვილაპარაკოთ იმ ბრწყინვალებაზე, უნარზე და მოხერხებულობაზე, რასაც ჟურნალმა 1856—1862 წლებში მიაღწია და იმაზე, თუ რა გავლენა მოიპოვა და როგორ ვრცელდებოდა იგი. მისი ყოველი წიგნის გამოსვლას მოუთმენლად ელოდა რუსეთის საზოგადოების საუკეთესო ნაწილი ქვეყნის ყოველ კუთხეში და „სოვრემენიკი" მაშინ უდაოდ და კანონიერად ჩაუდგა სათავეში მთელ რუსულ ლიტერატურას...

1862 წლის რეაქციის დადგომის დღიდან „სოვრემენიკმა" ბედის ძრავალი უკუღმართობა განიცადა. მისი საუკეთესო თანამშრომლები ლიტერატურული ასპარეზიდან საფლავში ჩავიდნენ.

ვინც დარჩნენ, ისინი იძულებული შეიქმნენ დაეთმოთ რეაქციის ძალებისათვის, მაგრამ ტრადიციამ და დარჩენილების მეცადინეობამ „სოვრემენიკს" დახურვამდე შეუნარჩუნა პირველობა ლიტერატურაში.

1866 წლიდან, ახალი ქარიშხლის მოახლოების გამო, ნეკრასოვმა, როგორც თვითონ სთქვა, „დაშალა თავის კონსისტორია" და დაიწყო თანამშრომლობა ბატ. გაიდებუროვსა და კომპანიასთან გამომცემლობაში. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მან ინგლისურ კლუბში დიდი ამბით უარყო რადიკალიზმის ყველა დებულება, ქარიშხალს მაინც ვერ ასცდა. ეს ლექსად დაწერილი უარყოფა, რომლის არსი შთამომავლობას „მოსკოვსკიე ვედომოსტის"[37] პეტერბურ-

გის კორესპონდენციებმა (1866 წლის აპრილი) შემოუნახა, ნეკრასოვს ნაბეჭდი სახით მაინც არ გამოუშვია.

ორი წლის შემდეგ ნეკრასოვი, შჩედრინთან და „სოვრემენიკის“ ბევრ მეორეხარისხოვან თანამშრომლებთან ერთად, სათავეში ჩაუდგა „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“[82] რედაქციას. იგი ცდილობდა ამ ჟურნალისათვის მიეცა ისეთივე მნიშვნელობა, როგორიც ჰქონდა „სოვრემენიკს“, მაგრამ ამ უკანასკნელის მიმართულების გარეშე, და რადგან შეუძლებელია ერთდროულად მოიგო ყველას და საკუთარი მამის გულიც, ამიტომ მიმართულების უქონლობა გასაგებია.

ახლა დავასახელოთ ნეკრასოვი როგორც პოეტი და გამომცემელი.

ნეკრასოვის პოეტური შემოქმედების ნიშანდობლივი თვისება— მისი შინაარსია. მას შეიძლება უფრო მრითმველი პუბლიცისტი უწოდო, ვიდრე პოეტი, რადგან მან მხოლოდ იშვიათად, ზოგიერთ ნაწარმოებში, აქა-იქ შესძლო თავისი პოეტური ტალანტის გამობრწყინება, რამაც იგი ჩვეულებრივ მელექსეებზე მაღლა დააყენა. მისი ლექსების უმეტესობა კი გამოირჩევა პოეტური სახეების, ფოლადისებური სიმკვეთრისა და ლაკონიურობის, ფორმის სიმსუბუქისა და გრაციოზულობის უქონლობით. როცა მის ლექსებს კითხულობთ, ძალაუნებურად გრძნობთ, რომ „გაკეთებულია“ და პოეტური შთაგონების სპონტანურობის ნაცვლად თქვენს წინაშე პოეტის შრომა წარმოსდგება. თავის შემოქმედების ეს დამახასიათებელი მხარე, თვითონ ნეკრასოვმა ასე გამოთქვა:

«Не льщусь чтобы в памяти народной
Сохранилось что-нибудь из них:
Нет в тебе поэзии свободной
Неуклюжий, тяжелый мой стих»[101].

მიუხედავად ამისა, „სამოქალაქო სევდამ“ და აზრის ძალამ ეს ნაწარმოებები ჩვენი პოზიციისათვის მნიშვნელოვანი გახადა. მათი წყალობით ნეკრასოვი სათავეში ჩაუდგა იმ პოეტებს, რომლებიც იზიარებდნენ შეხედულებას — „ხელოვნება ცხოვრებისათვის“.

ნეკრასოვის მოღვაწეობის ბრწყინვალე პერიოდი „სოვრემენიკის“ გაფურჩქვნის დროს განეკუთვნება. იმდროინდელი პოემები და ლექსები უდაო ძლიერებით და სიღრმით გამოირჩევა. სწორია ის აზბავიც, რომ „სოვრემენიკის“ დაცემამ ნეკრასოვის ნიჭიც დააკნინა. მისი შემდგომი ნაწარმოებები ხასიათდება გაცვეთილი აზრებით, გაცვეთილი სიუჟეტით და დაუხვეწელი ფორმით. იშვიათად,

რომ რომელიმე მათგანი მაღლა იდგეს იმ უამრავ გარითმულ „შენიშვნებზე", როგორებიც უსვამ იწარმოება ბატ. მინაევებისა და კომპასის ჭარხნებში. ეს გარემოება მნიშვნელოვნად ადასტურებს ბ. ანტონოვიჩის* აზრს, რომ ნეკრასოვის პოემების თემები მას შთაგონებულ იმ პირებმა, რომლებიც მისი ჟურნალის მთავარ ძალას წარმოადგენდნენ. თუ რამდენად განუვითარდა ნეკრასოვს სხვისი აზრებისა და სახეების ასიმილაციის უნარი, ამას სხვა ლიტერატურული ფაქტიც ადასტურებს. ნეკრასოვის ცნობილი ლექსი „Осторожность", სადაც ასახულია მწერლების მდგომარეობა წინასწარი ცენზურის გაუქმების შემდეგ, სიტყვასიტყვითაა გადმოწერილი ბატ. სუვორინის ეტიუდიდან „Всякие", რომელიც დაიბეჭდა „სანკტ-პეტერბურგსკია ვედომოსტში"[30] 1866 წელს.

მიუხედავად ამისა, ნეკრასოვმა მაინც ჩაწერა თავის სახელი რუსული პოეზიის ისტორიაში, და არც ისე შორს ლერმონტოვის სახელიდან. ეს კი, რაც არ უნდა თქვათ, ადვილი საქმე არაა.

მიუხედავად ნეკრასოვის პოეტური ნაწარმოებების უდაო მნიშვნელობისა, დიდება მას ამ ნაწარმოებებმა კი არ მოუტანა, არამედ იმ მდგომარეობამ, რომელიც მას მთელი ოცდაათი წლის მანძილზე ეჭირა რუსულ ჟურნალისტიკაში. შევეხოთ მის მოღვაწეობას ამ დარგში.

ნეკრასოვი როგორც ჟურნალისტი ძალზე გულისხმიერი იყო რუსული აზროვნების მიმართ და იცოდა როგორ მოეზიდა პროგრესულად მოაზროვნე, გამოჩენილი მოღვაწეები, სანამ მას არჩევანში ბედი წყალობდა, სანამ მას შეეძლო დაყრდნობოდა ისეთ ადამიანებს, როგორიც იყო „ესთეტიკური დამოკიდებულების" ავტორი[31] ან დობროლუბოვი, იგი უვნებელი იყო და თავისი ადგილი ეჭირა. მაგრამ, როცა ხელმძღვანელები დაჰკარგა და მარტო დარჩა, ვერ შეძლო ახალი ფაზების შექმნა, ვერ შეძლო წასულიყო უფრო შორს აღნიშნული გზით. ეს კიდევ ცოტაა, მან ვერ შეძლო არსებით საკითხებში ტრადიციის ერთგული ყოფილიყო. 1846—1856 წლებში „სოვრემენიკისა" და 1868—1877 წლებში „ოტეჩესტვენი ზაპისკის" მოღვაწეობამ მხოლოდ ის გამოამჟღავნა, რომ მან მოხერხებულად იცოდა შეენარჩუნებია შირმა და ტრადიციის გარეგნული მხარე. ამავე დროს, ამ შირმის უკან ტრადიციის შინაარსი უარყოფილი და ტალახში ამოსვრილი იყო. ზედმეტია ლაპარაკი წინსვლა-

* «Материалы для характеристики современной русской литературы» гг. Антоновича и Жуковского. СПб., 1869.

ზე, თეორიულ შეხედულებათა ცხოვრების ახალ ვითარებასთან შეთანხმების შესახებ და ა. შ.

მიუხედავად ამისა, მას მუდამ გარს ერტყა რუსული ლიბერალიზმის ცნობილი ადამიანები, მან შეძლო რეპუტაციის გამანაწილებელი გამხდარიყო, მიაღწია იმას, რომ თუ პატივისცემით არა, შიშით მაინც დაემორჩილებია სუსტი მწერლები და ჩაეჩუმებია კონკურენტები. იგი დიდხანს, და უკანასკნელ დრომდე, წარმოადგენდა ისეთ ძალას, რომ ისეთი გამოჩენილი და დამოუკიდებელი რედაქტორებიც კი, როგორიც იყო თითქოსდა გაბედული ბატ. სუვორინი, პირდაპირ აცხადებდნენ, რომ არა თუ მასთან ბრძოლას ვერ ბედავენ, არამედ ვერც კი ეხებიან.

ნეკრასოვმა შესძლო როგორც პოეზიაში, ასევე ჟურნალისტიკაში ნებადართულის საზღვრებში რადიკალური ყოფილიყო და ამ რადიკალიზმით არა თუ დაზარალდა, არამედ მოიგო კიდეც. სინამდვილეში მისმა „შურისძიებისა და სევდის“ მუზამ არ დაასვა წარუშლელი დაღი არცერთ იმ პირს, ვისზედაც ჩვენ დროში შური უნდა ეძია პოეტ-მოქალაქეს. ჩვენი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების არცერთ დიდ მოვლენას არ გამოუწვევია ნეკრასოვის პოეზიაში და მის ჟურნალებში რაიმე ღირსშესანიშნავი, რაიმე ისეთი, რასაც ძლიერების კვალი ან გავლენა ექნებოდა. მოკლულთა დაწიხლვა, ყოვლისშემძლეთა ბოროტების ავლა, უძლურთადმი ზიზღი და გაცვეთილ გზაზე მწყობრი, ფრთხილი ნაბიჯით სიარული, — აი მისი ჟურნალისტური, და ნაწილობრივ პოეტური, მოღვაწეობის ავინტესენცია. მაგრამ ვიმეორებთ, მისი დროის საზოგადოებას, ეტყობა, ყოველივე ეს სჭირდებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ მოიპოვებდა იმ წარმატებას, რაც მას წილად ხვდა.

ნეკრასოვში ჩვენ ვხედავთ სატირელი და რადიკალური მუზის პირველ მაგალითს, რომელმაც ცხოვრებაში დიდი პატივისცემა და გავლენა მოუპოვა, მაგრამ, ამავე დროს, თავზე არ დაადგა ეკლის გვირგვინი. ცხოვრების უკანასკნელ წლებში კი ვხედავთ პირიქით: წყნარად და მშვიდად სარგებლობდა იმ რეპუტაციით და სიმდიდრით, რაც მან მოიპოვა ნაწილობრივ დიდი ხნის მუყაითი შრომით, ნაწილობრივ კი — ბრმა ფორტუნის წყალობით, რომლის ალერსისაკენ არ უნდა ილტვოდეს პოეტი-მოქალაქე.

არსებითად ნეკრასოვმა რუსულ ლიტერატურას უფრო მეტიც მისცა, ვიდრე შეეძლო მიეცა. მისი წირვა კარგა ხანია გამოსული იყო და ამ მომწიფებულ და გადამწიფებულ ტალანტს გამოუთქმელი და გაუგებარი საფლავში არაფერი ჩაუტანია. ვაღიარებთ რა მის

დამსახურებას, მაგრამ გადაუჭარბებლად, ჩვენ ამ წერილს ვამთავრებთ სურვილით, რომ რუსულ ლიტერატურაში ყოველი ლიტერატურული ტალანტი და ყოველი საზოგადო მოღვაწე ისევე ბედნიერი იყოს, როგორც ნეკრასოვი იყო; რომ მათაც შეძლონ, ნეკრასოვის მსგავსად, თავიანთი მოღვაწეობა დაასრულონ პატივით და უზრუნველყოფილი ცხოვრებით, სთქვან თავიანთი უკანასკნელი სიტყვა და თვალები ისე დახუჭონ, რომ აღარ ზრუნავდნენ ოჯახსა და ნათესავებზე. სამწუხაროდ, ჩვენი მწერლებისათვის ეს გაუგონარი მაგალითია. ისინი ჩვეულებრივ თავიანთ ცხოვრებას სიღატაკეში ამთავრებენ, — ყველასაგან დავიწყებულნი, მიტოვებულნი, მათგანაც კი, ვინც მათი შრომის, აზრისა და თავგანწირვის ხარჯზე გამდიდრდა, გადიდკაცდა, თავზე გვირგვინი დაიდგა და სახელი მოიპოვა. ნეკრასოვმა აიცდინა ასეთი ხვედრი.

20. ომი თუ მშვიდობა?

თბილისი, 2 იანვარი.

რიგითი საზოგადოებრივი და პოლიტიკური საკითხებიდან, ცხადია, არცერთი არ იქცევს ისეთ საყოველთაო ინტერესს და არ იმსახურებს ისეთ ყურადღებას, როგორც ომისა და მშვიდობის საკითხი. და თუ თითქმის მთელი ცივილიზებული სამყაროს აზრი აქეთკენაა მიპყრობილი, მაშინ გასაგებია, რომ ჩვენ, მცხოვრებლებს იმ ოლქისას, რომელიც ყველაზე ახლოა ბრძოლის ველთან, ეს საკითხი ორმაგად გვაინტერესებს.

ასეთი საკითხების გადაწყვეტა უბრალო მოკვდავთ არ ძალუძთ. ამისათვის ხელთ უნდა გვქონდეს უამრავი ისეთი მონაცემები და ცნობები, როგორსაც არა თუ არ აწვდიან ხალხს, არამედ მთავრობათა წმინდათაწმინდა საიდუმლოებაა. ასეთი მონაცემები თავიანთი ქვეყნის ბედის გამგებელ სახელმწიფო მოღვაწეებსაც კი არა აქვთ ყოველთვის ხელთ და, ამის გამო, იძულებულნი არიან ვარაუდით, ალალბედზე იმოქმედონ. და ჩვენ, კერძო პირებმა, სადღა უნდა ვეძიოთ და ჩავწვდეთ ამგვარ საიდუმლოებებს! ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ შევაჯამოთ საზოგადოებრივი ფაქტები, მათი შედარების გზით გამოვიტანოთ მეტად თუ ნაკლებად სარისკო დასკვნები და საქმის მსვლელობა შევადაროთ ჩვენს მოლოდინს ან ინტერესებს.

ახლანდელი ომი შეიძლება განვიხილოთ ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო თვალსაზრისით. ფრთხილ, „პრაქტიკულ", მომთმენ ადამიანებს შეუძლიათ მასში დაინახონ მხოლოდ ერთი რგოლი იმ გრძელი ჯაჭვისა, რომლის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს პეტრე დიდის პირველი გალაშქრება თურქეთის წინააღმდეგ, ხოლო დასასრულად — თურქეთის ბატონობის სრული მოსპობა შორეულ მომავალში. ამ თვალსაზრისით, ახლანდელი ომი საუკუნოვანი ომის მხოლოდ ერთი ეტაპია და, ამასთან, არც ბოლო და არც ბოლოს წინა ეტაპი. მეორე მხრივ, მგზნებარე, გამბედავმა, გატაცების ადამია-

ნებმა ომს ისე უნდა უყურონ, როგორც თურქეთის იმპერიასთან ერთხელ და სამუდამოდ ანგარიშის გასწორების და „მემკვიდრეობით დატოვებული მტრის" თავიდან მოშორების საშუალებას. ომისა და მშვიდობის საკითხი, რაც ამჟამად მთელ ჩვენს მოსახლეობას აინტერესებს, ორნაირად შეიძლება გადაწყდეს, და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ამ ორი თვალსაზრისიდან რომლით მიუდგებით მას.

არსებითად რომ ითქვას, უკანასკნელი ორმოცდაათი წლის მანძილზე, ჩვენი საგარეო პოლიტიკის ერთადერთი საზრუნავი „აღმოსავლეთის საკითხი" იყო. ხელ-ნელა ჩვენ ინტერესი დავკარგეთ ევროპის პოლიტიკური საკითხებისადმი, რაც ადრე ასე ხშირად ითრევდა რუსეთს ევროპის ომებში. ისეთი ამბები, როგორიც იყო შვიდწლიან ომში მონაწილეობა, ან სუვოროვის ლაშქრობა შვეიცარიასა და იტალიაში, ჩვენთვის სამუდამოდ შეუძლებელი გახდა. უკანასკნელი ასეთი ომი იყო უნგრეთში ლაშქრობა 1849 წელს, რაც ძველი მანერა უფრო იყო, ვიდრე მტკიცე და თანმიმდევრული სისტემის გამოხატულება. მას შემდეგ კი მთელი ჩვენი ფიქრი და ძალები აღმოსავლეთისკენაა მიმართული, რადგან ევროპასთან ბრძოლაში რუსეთი თუ დაკარგავდა რამეს, თორემ ვერაფერს ვერ შეიძენდა, ხოლო აღმოსავლეთთან ბრძოლა საპატიო როლიც იყო და სასარგებლოც.

ჩვენი პოლიტიკის მიმართულების ამგვარი შეცვლა შეინიშნება განსაკუთრებით ნიკოლოზ I-ის ტახტზე ასვლის დროიდან. არ შეიძლება არ დაეთანხმო იმას, რომ ახალი მიმართულება უფრო შეეფერებოდა რუსეთის მდგომარეობას და ინტერესებს, ვიდრე უწინდელი. მანამდე ჩვენ მძიმე ტვირთს ვეზიდებოდით, მსხვერპლს ვიღებდით, ვერეოდით სხვის საქმეებში, და შუდამ მხოლოდ იმისათვის, რომ ხან ინგლისს, ხან გერმანიას ჩვენი ხელით ეკალი ეკრიფა. ახლა კი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია ვიმოქმედოთ თავისუფლად, საკუთარი რისკისა და შიშის ხარჯზე, მაგრამ ჩვენდა სასარგებლოდ. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ახალი პოლიტიკა იდეალურად მიგვაჩნია, ჩვენ მხოლოდ იმას ვამტკიცებთ, რომ ძველზე ბევრად უკეთესია.

როგორც გასული წლის ბოლოს „რუსსკოე სტარინაში"[102] და „რუსსკი არხივში"[103] გამოქვეყნებული განსვენებული ხელმწიფის პირადი მიმოწერებიდან ჩანს, იმპერატორმა ნიკოლოზმა მთელი ძალღონე პორტას წინააღმდეგ წარმართა, რადგან არ შეეძლო მხედველობიდან გამოეშვა თურქეთის უძლურების მომწიფებული ელემენტები. ეკატერინე მეორის მსგავსად, მან თურქეთის სლავ და ქრის-

ტიან მოსახლეობაში სწორედ ასეთი ელემენტები დაინახა, და ამ დროიდან ჩვენი ბრძოლა თურქეთის წინააღმდეგ სამხედრო თვალსაზრისით გაადვილდა, პოლიტიკური თვალსაზრისით კი გართულდა.

თავისთავად თურქეთი არც იმდენად ძლიერი და სიცოცხლისუნარიანია, რომ რუსეთთან ბრძოლას გაუძლოს, მით უმეტეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას, მაგრამ მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ მოუპოვა მას ევროპის საზღვაო სახელმწიფოების მხარდაჭერა ჩვენთან ბრძოლაში. ამ სახელმწიფოებისათვის სულერთია როგორი დამოკიდებულება გვექნება ჩვენ თურქეთთან ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ოღონდ ბოსფორი და დარდანელი არ ჩაგვივარდეს ხელში. მაგრამ მას შემდეგ, რაც ბრძოლამ ნაწილობრივ სლავიანური ხასიათი მიიღო, ეტყობა, საქმის არსი შეიცვალა. საზღვაო სახელმწიფოებს, რომლებისთვისაც თურქეთის დაცვა თავიანთი პირდაპირი ინტერესების დაცვა იყო, შეუერთდა, აგრეთვე, ავსტრიაც, რომლის ბევრი ინტერესები სლავიანურ სამყაროსთანაა დაკავშირებული. ამის გამო, მოვიპოვეთ რა სლავიანურ სამყაროში საბრძოლო ძლიერების უდაო ელემენტები, ამავე დროს, ამ სამყაროში შევიძინეთ პოლიტიკური უძლურების სოლიდური ელემენტებიც. 1854—1855 წლებში ავსტრიამ მეტისმეტად ცხადად გვაგრძნობინა ეს.

ეტყობა, განვითარების ახლანდელ ფაზისში, ჩვენი საგარეო პოლიტიკა ამ უხერხულობის აღმოფხვრისაკენ ისწრაფვის. იგი ცდილობს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ისედაც ლოკალიზებული ბრძოლის ლოკალიზებას, ე. ი. ამ ბრძოლაში მხოლოდ აღმოსავლეთის სლავების ჩარევას. დასტოვა რა ბოსანია და ჰერცოგოვინა (რომელთა გამოც დაიწყო თითქოს ახლანდელი ომი) ბედისა და ავსტრიის მფარველობის ამარა, რუსეთმა ამით ამ უკანასკნელის ნეიტრალიტეტი უზრუნველყო. ასეთი სიფრთხილე და ზომიერება მით უფრო იმსახურებს პატივისცემას, რომ ავსტრიისგანაა, უმთავრესად, დამოკიდებული ძისცემს თუ არა ახლანდელ ომს ევროპის ომის ხასიათსა და მასშტაბებს.

მართლაც, ვებრძვით რა თურქეთს, ჩვენ ამით ზარალს ვაყენებთ ინგლისს, რომლის აღმოსავლეთის ინტერესები ყველა სხვა ინტერესებზე მნიშვნელოვანია. მაგრამ მიუხედავად ამისა, ინგლისისათვის მაინც მოუხერხებელია ომში ჩაბმა მანამ, სანამ მარტოა. ინგლისის ტრადიციული პოლიტიკა ისეთი მოკავშირეების პოვნაა, რომლებიც როგორც საკუთარი, ასევე ინგლისის ინტერესებისათვის საკუთარ ხალხს გასწირავს. 1854 წელს ასეთი მოკავშირე მან სა-

ფრანგეთის სახით იპოვა. ახლა კი მისი მეცადინეობა იქეთკენაა მიმართული, რათა ასეთ მოკავშირედ ავსტრია გაიხადოს. ავსტრიასთან ერთად, იგი სიაძოვნებით დადგებოდა კვლავ თურქეთის მხარეზე, მით უმეტეს, რომ ის, ალბათ, საფრანგეთის მხარდაჭერას ვარაუდობს, და მაშინ, რა თქმა უნდა, შეტაკება უფრო ხელსაყრელი იქნება მისთვის...

ახლა საქმე ისაა, თუ რამდენად შესაძლებელია ავსტრიის თანხმობა ინგლისთან შეერთებაზე, და ეს უკანასკნელი რამდენადაა დაინტერესებული ჩაერიოს ომში მოკავშირეების გარეშე. გარდა ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ, თავი დავანებეთ რა ბოსნიას და ჰერცოგოვინას, ჩვენმა პოლიტიკამ მოახერხა, აგრეთვე, ავსტრიის ნეიტრალიზაცია სხვა კიდევ უფრო ძლიერი საშუალებით, — თავისი განუყრელი კავშირით გერმანიასთან. — რომელთანაც რუსეთს ბევრი საერთო ინტერესები აქვს. ბისმარკის გეგმას, რომელიც გერმანიის გაერთიანებას ითვალისწინებს, საფუძვლად ედო რუსეთსა და ავსტრიას შორის ურთიერთობის გამწვავება წარსული ომის დროს. ბისმარკმა შესძლო იმის დამტკიცება, რომ ავსტრიის დასაოკებლად საჭიროა მისი ჩაყენება გამოუვალ მდგომარეობაში, ხოლო თუ შეესაძლებლობა იქნა, მისი განაწილება პრუსიასა და რუსეთს შორის. შორეულ მომავალში ეს გაყოფა ისევე გარდუვალია, როგორც აუცილებელი იყო გერმანიის ამა თუ იმ გზით გაერთიანება. მაგრამ კიდევაც რომ არ ვიწინასწარმეტყველოთ მომავალი და მხოლოდ აწმყოთი შემოვიფარგლოთ, მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ ავსტრიის ალაგმვის ერთადერთი ჭეშმარიტი საშუალება რუსეთსა და გერმანიას შორის კავშირის დადებაა, და რადგან ამ თვალსაზრისით ამგვარი კავშირი თანაბრად ხელსაყრელია ორივესათვის, ამიტომ მის სისწორეში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. თვით ავსტრიაც კი, რომელიც თავაზიანად მიიწვია ბისმარკმა და რომელიც გრძნობდა ამ კავშირის ძალას, იძულებული იყო შეერთებოდა მას.

მაგრამ ერთადერთი საფუძველი მისი შეერთებისა ის იყო, რომ ემუქრებოდა საშიშროება გასრესისა ორ წნეხს შორის. ამიტომ გასაგებია, რომ იგი ისარგებლებს პირველივე ხელსაყრელი შემთხვევით, რათა გახთავისუფლდეს მეგობრებისაგან, რომლებიც არაკეთილისმსურველებად მიაჩნია. ამის გამო, იგი კმაყოფილდება იმ მცირედით, რაც ახლა ჰერცოგოვინაში და ბოსნიაში მისცეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ამჟღავნებს სურვილს უკეთესად უზრუნველყოს საკუთარი ინტერესები. და რამდენიც არ უნდა მიუთითოს მას ბისმარკმა, რომ ეს ინტერესები აღმოსავლეთშია, სლავიანთა მი-

წებთანაა დაკავშირებული, მას ყოველთვის ახსოვს, რომ ასეთივე მითითებებს აძლევს იგივე ბისმარკი რუსეთს.

ავსტრიის ჩაბმა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაშინვე გამოიწვევს გერმანიის ავსტრიის წინააღმდეგ გამოსვლას. ეს კი, ინგლისის წინასწარი განჭვრეტის თანახმად, გამოიწვევს ომში ჩაბმას საფრანგეთისას, რომელიც დიდი ხანია ელოდება ისეთ შემთხვევას, როცა გერმანია რომელიმე ომში ჩაებმება, „რათა თავს დაესხას და შური იძიოს 1870 წლის დამარცხებისათვის. შემდეგ, იტალიის მოსალოდნელი ჩარევის წინააღმდეგ, რომელსაც ასევე სურს ავსტრიის ხარჯზე რაიმე მიითვისოს, განზრახულია ესპანეთის გამოყენა. ამგვარად, დიპლომატები თავიანთი ვარაუდის დროს ევროპის რუკის კარტს ისე აწყობენ, რომ ერთ მხარეს დგანან: რუსეთი, გერმანია, იტალია და წვრილი სახელმწიფოები (საბერძნეთი, სერბია, ჩერნოგორია და რუმინეთი), ხოლო მეორე მხარეს: თურქეთი, ინგლისი, ავსტრია, საფრანგეთი, ესპანეთი და, შეიძლება, დანია და შვეცია.

ასეთი შეტაკებების პერსპექტივას, რომლის მსგავსი ევროპას არ ახსოვს 1813—1814 წლების ნაპოლეონის ომების დროიდან, ცხადია, არავის გატაცება არ შეუძლია. იგი, ნაწილობრივ, ამართლებს მათ აზრს, ვინც თანამედროვე ომს ისე უყურებს, როგორც მომავლის ეტაპს და ვინც ფიქრობს, რომ შემდეგი ნაბიჯების გადადგმა ამ ძიძართულებით უკეთესი ვითარებისათვის უნდა გადავდოთ.

მაგრამ თუ საქმეს სხვა მხრიდან განვიხილავთ, საწინააღმდეგო დასკვნამდე მივალთ.

თურქეთი რომ არ იყოს, რუსეთი, ალბათ, არ დახარჯავდა თავის შემოსავლის დიდ ნაწილს ისეთი არმიის შენახვაზე, რომლის რიცხვი სრულიად არ შეესაბამება მის იხტერესებს ევროპაში. მაშინ მას მეტი შესაძლებლობა ექნებოდა დაეხარჯა თავის ძალა და სახსრები შინაგანი წარმატებისათვის, ვიდრე ახლა აქვს. ომმა უკვე მოითხოვა საკმაოდ დიდი მსხვერპლი, უკვე შელახა ბევრი ინტერესი, და, ინტერესების სწორი გაგების თვალსაზრისით, სასურველი იქნებოდა, რომ რუსეთი ერთხელ და საძუდამოდ განთავისუფლდეს დიდი ხარჯების აუცილებლობისაგან მშვიდობის მოკლე პერიოდის მანძილზე, და დიდი მსხვერპლისაგან — პერიოდულად განმეორებული ომების დროს. თუკი რუსეთის არსებითი ინტერესები მართლაც ვერ ეგუება თურქეთის ბატონობას ევროპაში და სრუტეებზე, მაშინ დადებითი იქხებოდა ის ვარაუდი, რომ რუსეთმა მთელი ძალები დაძაბოს და ბოლო მოუღოს თურქეთთან საუკუნოვან ბრძოლას. რამდე-

ნადაც ცნობილია, ევროპის პოლიტიკური ვითარება ამ ამოცანის გადაწყვეტას უფრო უწყობს ხელს, ვიდრე უშლის. ავსტრია ჯერ კიდევ ვერ გამართულა წელში 1859 და 1866 წლების მატერიალური და ზნეობრივი განადგურებისაგან. საფრანგეთი, ცხადია, რამდენიმე წლის შემდეგ გაცილებით უფრო საშიში და ერთსულოვანი იქნება, ვიდრე ახლაა. როცა ინგლისი „კომპენსაციებით" კმაყოფილდება, ხოლო ესპანეთის სისუსტეზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამგვარად, თუ მსედველობაში მივიღებთ ამ გარემოებას, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, ხელმძღვანელთა სფეროებში მოსალოდნელია ბევრს გაუჩნდეს იმის იმედი, რომ შეიძლება ამ ომში უკანასკნელი და საბოლოო დარტყმა მივაყენოთ თურქეთის ბატონობას ევროპაში.

მაგრამ ჩვენ არ ეფიქრობთ, რომ ასეთი დარტყმის მიყენება ისე ადვილი იყოს, როგორც ამას ჩვენი პრესა ვარაუდობს. მარტო თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაც კი ჩვენგან საკმაოდ დიდ დაძაბულობას მოითხოვს. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ მწერლები, რომლებიც ახლა ბოსფორს და მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძულს მოითხოვენ, ვერ მალავდნენ თავიანთ სასოწარკვეთილებას ჩვენი პირველი წარუმატებლობის გამო, და მზად იყვნენ თურქეთისათვის ზავის დადება ეთხოვათ. ცნობილია ისიც, რომ ჩვენი ფინანსიური ძდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. ხოლო ომი, მით უმეტეს ევროპული, ხანგრძლივიც იქნება და ძვირად ღირებულიც.

ამიტომ, თუ ჩვენ გვინდა, რომ გაღებული მსხვერპლი და უკვე გაწეული ხარჯები ტყუილად არ დაგვეკარგოს, ანდა ისე, რომ შედეგი არ გამოიღოს, ჩვენ მართლაც უნდა დავძაბოთ მთელი ჩვენი ძალები. მაგრამ, თუ ამ გამოთქმას რეალური საქმეების ენაზე ვთარგმნით, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა გამოვსახოთ ომისათვის საკმარისი ენერგიაც და საჭირო ფინანსებიც. ისეთი ომისათვის, რომელიც შეიძლება რამდენიმე წელი გაგრძელდეს, არ შეიძლება მხოლოდ დეპოზიტების მარაგის იმედი ვიქონიოთ, სესხის იმედზე ყოფნა იმიტომ არ შეიძლება, რომ გასული წლის გამოცდილებამ საკმაოდ ცხადად დაგვახახა ამგვარი ვარაუდის მცდარობა. ამიტომ, რჩება ერთადერთი გზა. — ჩვენს ფინანსიურ სისტემაში ძირეული რეფორმების გზა.

ერთი სიტყვით, იმისათვის, რომ აღმოსავლეთის საკითხი გაბედულად და საბოლოოდ გადაწყდეს, რუსეთი მტკიცედ და ხანგრძლივად დამშვიდდეს, საჭიროა სახელმწიფოს მთელი საშუალებების სრული დაძაბვა და სამშობლოს მთელი ცოცხალი ძალების გამოწვევა და მთელი სიმდიდრის გამოყენება. ამავე დროს, უნდა გვახსოვ-

დეს, რომ ძალების ასეთი დაძაბვის დროსაც კი შანსები ძალზე მერყევია და, ამიტომ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა მივიყვანოთ ეს საქმე ბოლომდე. რადგან, მიუხედავად გაჭირვებისა და ბედის უკუღმართობისა, შეგვიძლია წარმატების იმედი ვიქონიოთ.

მაგრამ თუკი ვითარება შესაძლებლობას არ მოგვცემს მივანიჭოთ ახლანდელ ომს ასეთი მტკიცე ხასიათი, მაშინ კეთილგონიერება მოითხოვს, რომ ისეთი საპატიო ზავით დავამთავროთ იგი, რომელიც სინამდვილეში მხოლოდ დაზავება იქნება. მე ვფიქრობ, ჩვენ არ ვცდებით, როცა ვამბობთ, რომ ახლანდელი მომენტი ხელს უწყობს საქმის ასე თავდაბლურად გადაწყვეტას. ჩვენ ახლახან მოვიპოვეთ ბრწყინვალე გამარჯვება ევროპაში და აზიაში, ახლახან დავიკავეთ ოტომანთა იმპერიის ორი ისეთი ბუნებრივი და ხელოვნურად გამაგრებული ღასაყრდენი პუნქტები, როგორიცაა ბალკანეთი ბლევნასთან ერთად და სოფლანლი-დაგი ყარსთან ერთად, და ახლა ვდგევართ ნამდვილი თურქეთის ორი კარის წინ — აზიაში ერზრუმისა და ევროპაში ადრიანოპოლის წინ. პორტა დაუძლურებულია მორალურად, სუსტია ხატერიალურად და მზადაა შეგვირიგდეს, თუ მას ასატან პირობებს შევთავაზებთ. იგი დაგვითმობს საქართველოსა და სომხეთის თურქულ ნაწილს ბათუმიდან ბაიაზეთამდე, სცნობს ბულგარეთის ავტონომიას და შეიძლება დამოუკიდებლობასაც, სცნობს ჩვენი სამხედრო ფლოტის უფლებას თავისუფლად გავიდეს სრუტეებში, — ყოველივე ეს შეიძლება ამჯერად საკმარისად ჩათვალოთ. და თუ მოლაპარაკებას, რომელიც თურქეთმა წამოიწყო ინგლისის დაჟინებით, მიზნად არა აქვს დროის გაყვანა და ჩვენი შეტევის შეჩერება გაზაფხულამდე, როცა ინგლისს ლაშქრობის მოწყობის შესაძლებლობა ექნება, მაშინ ზავის დადება შეიძლება დაუბრკოლებლად. ყოველ შემთხვევაში, თურქეთთან არაბელსაყრელი ზავის დადება სჯობია ევროპასთან ხელსაყრელ დავას.

ხოლო თუ ჩვენ დიდი წარმატებების იმედი გვაქვს, და არ გვსურს დაკმაყოფილდეთ ამგვარი შედარებითი და ზომიერი წარმატებით, მაშინ ლოგიკურნიც უნდა ვიყვეთ და წინდახედულნიც. მაშინ საჭიროა ენერგიის მომარაგება და ბრძოლისათვის მთელი იმ ძალების გაძოწვევა, რის მოცემაც შეუძლია რუსეთის მიწას.

21. მოლაპარაკება

თბილისი, 1878 წ., 3 იანვარი.

ტელეგრაფით გადმოცემული სამი უკანასკნელი დღის ცნობათა შეჯერების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პორტა დათანხმდა აწარმოოს უშუალო მოლაპარაკება რუსეთთან და, როგორც მისგან მოითხოვდნენ, გამოგზავნოს სპეციალური წარმომადგენლები რუსეთის დუნაისა და კავკასიის არმიების მთავარ შტაბებში. მაგრამ დანამდვილებით არაფერია ცნობილი ამ მოლაპარაკების შემდგომი მსვლელობის შესახებ.

პირდაპირი და უშუალო მოლაპარაკება თურქეთსა და რუსეთს შორის, ჩვენი აზრით, გამარჯვებულისადმი დათმობაა და ფორმალური ხასიათი უფრო აქვს, ვიდრე არსებითი. როგორც ინგლისის, ასევე ავსტრიის მთავრობებმა სიტყვა მისცეს თავიანთი ხალხების წარმომადგენელებს, და ამას წინათაც გაიმეორეს, რომ არ დაუშვებენ მათ ჩაურევლად აღმოსავლეთის საკითხის გადაჭრას. ასეთი ვალდებულების გარდაც ეს საკითხი ბევრ საერთო ინტერესებს ეხება და ტყუილია იმის იმედი, რომ ევროპის ბევრი სახელმწიფოს ჩაურევლად გადაიჭრას.

ამიტომ რუსეთისა და პორტას უშუალო მოლაპარაკება არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ევროპამ უარი სთქვა თავის უფლებებზე. სადაც და როგორც არ უნდა მიმდინარეობდეს ეს მოლაპარაკება, ევროპის სანქციის გარეშე მაინც ვერ იწარმოებს. მაშასადამე, თუ ევროპა გულგრილად უყურებს რუსეთსა და თურქეთს შორის უშუალო კავშირის დამყარებას — ეს შეიძლება ხდება ან იმიტომ, რომ მოლაპარაკება და დაზავება საქმის გაჭიანურებისა და დროის მოგების საშუალებად მიაჩნიათ, ანდა კარგად იცნობენ პირობებს იმ ზავისას, რომელიც შეიძლება მოლაპარაკების შედეგად დაიდოს.

ყოველ შემთხვევაში ცნობილია, რომ ჩვენმა მთავრობამ აუცილებელ პირობად წამოაყენა საომარი მოქმედების შეჩერება და საკონვეციო ხელშეკრულების დადება, რაც განსაზღვრავს რუსეთსა და თურქეთს შორის მომავალი ზავის პირობებს. ამავე დროს ჩვენს ჯა-

რებს აქამდე არასოდეს არ შეუტევიათ მტრისათვის ისე ენერგიულად და მტკიცედ, როგორც ამ ბოლო დღეებში. ეს კი თვალნათლივ ამტკიცებს, რომ ჩვენს მთავრობას არ სურს არც უაღრესად ძვირფასი დროს დაკარგვა და არც თავის მოტყუება უნაყოფო და გაჭიანურებული მოლაპარაკებით.

თუ მართალია უკანასკნელი ცნობა იმის შესახებ, რომ ინგლისმა საბოლოოდ მიატოვა თურქეთი ბედის ამარა, ხოლო თურქეთმა არსებულ პირობებში ვერ შეძლო დაეინტერესებია ევროპა იმდენად, რომ მხარი დაეჭირა მისთვის, მაშინ ცხადი ხდება, თუ რამდენად ზომიერ მოთხოვნილებებს აყენებს ჩვენი მთავრობა. არსებითად ევროპას არ ესაქმება ჩვენს თუ თურქეთის ხელში იქნება ბათუმი და ყარსი, ერზრუმი და ბაიაზეთი. თუ მათ დაუშვეს რუმინეთის, სერბიის და ჩერნოგორიის დამოუკიდებლობა, მაშინ რა საფუძველი აქვთ წინააღმდეგობა გაუწიონ ბულგარეთის ავტონომიას და თუნდაც დამოუკიდებლობას. სრუტეების საკითხის რუსეთის სასარგებლოდ გადაჭრის დროსაც შეუძლიათ გამოიჩინონ მოთმინება. ამიტომ, არსებულ პირობებში არ არსებობს არსებითი დაბრკოლება, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს ზავის დადებას, თუ რომ სლავთა საკითხს ჩვენ მხოლოდ ბულგარეთის საკითხამდე დავიყვანთ. ადვილი შესაძლებელია მოსკოველმა პუბლიცისტებმა და „ნოვოე ვრემიას“[4] მყვირალებმა არ მოიწონონ ასეთი ზომიერება. ისინი, ალბათ, დაიწყებენ ყვირილს, რომ სლავების მიწების ნახევარი ჰაბსბურგელ გერმანელებს მივეცით, ხოლო მეორე ნახევარი გოგენცოლერ გერმანელებს, ჩვენთვის კი არაფერი დავიტოვეთო, მაგრამ ბევრი რამის თქმა შეუძლიათ იმ ადამიანებს, რომელთაც არ ესმით, რომ სურვილსა და აღსრულებას შორის დიდი უფსკრულია და ამ უფსკრულს „საშუალებები“ ჰქვია...

22. ახალი თაობა

„თაობათა თანმიმდევრობითი მემკვიდრეობა“ ცხოვრებაში ზოგჯერ უცნაურ ოინებს წარმოგვიდგენს. არის შემთხვევები, როცა ახალი თაობა, იმის მაგივრად, რომ წინა თაობას გაუსწროს და გააუმჯობესოს სავალი გზა, დედაენისადმი მონური ერთგულებით იმეორებს ერთ-ერთი უფრო ძველი თაობის ყველა სწრაფვას, უცნაურობებს და შეცდომებს. დიდი ხნით ადრე უარყოფილ მიმართულებათა ასეთი „დაბრუნებანი“ არც თუ იშვიათია კაცობრიობის გონებრივ ცხოვრებაში. მაგრამ მათ ჯერ კიდევ ნაკლებად ექცევა დამკვირვებელთა ყურადღება, რაც მეტად დასანანია. თუ ეს შესაძლებელია, ღირს ამგვარი „უკუქცევების“ პერიოდულობისა და მათი მიზეზების შესწავლა.

ამჯერად ჩვენ ხელს არ ვკიდებთ ასეთი მეტისმეტად ძნელი ამოცანის გადაწყვეტას. ჩვენი მიზანია მკითხველების ყურადღება მივაქციოთ ერთ-ერთ ამგვარ „უკუქცევას“, რაც ჩვენს დროში და ჩვენს საზოგადოებაში შეიმჩნევა, და ამ მიზნით ვცადოთ ერთგვარად დავაახლოოთ ჩვენი აზრები.

ჩვენი თანამედროვე საზოგადოება, განსაკუთრებით ახალი თაობა, ნაკლებად იცნობს ეგრეთწოდებულ „ორმოციანი წლების მოძრაობას“. დიდი ხანია შემჩნეულია, რომ ჩვენ არ გვიყვარს არაფრის შესწავლა, გამოკვლევა და შეცნობა. ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ შევქმნათ კერპები და მათ წინაშე „მტვერში“ ვიხოხოთ, ანდა შევიძულოთ და შევიზიზღოთ ისინი. ისე ცოტა ხნის წინათ განვთავისუფლდით მონობისაგან, რომ ჯერ ვერ მოგვიშორებია თავიდან ჩვევა — ან პირქვე დავემხოთ მათ წინაშე, ანდა გავთელოთ და ტალახში გავსვაროთ. ინსტიტუტელი ქალიშვილების მსგავსად, საზოგადო მოღვაწეებში ჩვენ ვეძებთ „სულიკოებს“, რომელთაც ლაქა არ ატყვიათ და უარყოფითი მხარეები არ გააჩნიათ, ხოლო თუ ერთი მანკი მაინც შევამჩნიეთ, მაშინვე „საძულველი“ ხდებიან ჩვენთვის. ჩვენ არ ვცდილობთ გამოვიკვლიოთ ეს ჩრდილოვანი მხარე, ავხსნათ როგორმე, გავეცნოთ სხვა ნათელ მხარეებს. ყველაზე საკვირველი კი

ისაა, რომ თუ „საძაგელი“ აღმოჩნდა გზათა უწყების ორი-სამი მუშაკი, ამის შემდეგ საბოლოოდ დარწმუნებული ვართ, რომ საძაგლები არიან საერთოდ გზათა უწყების მუშაკები.

ამის გამო, როცა ჩვენ გვითხრეს, რომ ორმოციანი წლების ადამიანები დიალექტიკოსები, მოლაყბენი, მყვირალები, იდეალისტები და ა. შ. იყვნენ, ჩვენ ყველაფერი ეს გადაწყვეტილ, საბოლოო ამბად ჩავთვალეთ და არც კი ვცდილვართ გაგვეცნო მათი ცხოვრება, მოღვაწეობა, მოძღვრება. ჩვენთვის საკმარისი იყო იმის ცოდნა, რომ ისინი „მოხუცები“, „საძაგლები“ იყვნენ.

ხოლო იმაზე, რომ ცნობილ ორმოციანი წლების მოძრაობაში, რაც რუსი საზოგადოების დიდი ღირსებაა, იყო ბევრზე ბევრი კარგი, მიმზიდველი, სასარგებლო, და იმაზე თუ რა იყო მასში სწორედ ასეთი, ჩვენ სრულიად არ ვფიქრობდით. როცა საზოგადოებაში ამის შესახებ ლაპარაკი დაიწყებოდა, ჩვენ მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველებით ვიგრეხდით ულვაშებს და მოწყალე ღიმილით ვლაპარაკობდით:

— რუდინების[42] ტიპი მოძველდა, გამოიფიტა. ესაა სიტყვისა და არა საქმის ხალხი, მათ არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ, არ შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი ჩანაფიქრი. მათ მხოლოდ ის შეუძლიათ, რომ ბოლმისაგან უსარგებლოდ მოკვდნენ ბარიკადებზე, სადმე პარიზში.

მკითხველო, აბა გულზე ხელი დაიდე და თქვი — განა მართალი არაა, რომ თქვენ მხოლოდ ამგვარი სიტყვები გესმოდათ ყოველ ნაბიჯზე ყველა ჩვენგანისაგან, მეტად თუ ნაკლებად აბალგაზრდა ადამიანებისაგან?

და უეცრად, ჰოი საშინელებავ, ჩვენ თვითონ გადავიქეცით რუდინებად, ჩვენ თვითონ ვმოქმედებთ მისი პროგრამის მიხედვით, ყველაფერში ბრმად ვბაძავთ მას, ესე იგი ჩვენ თვითონ გავხდით სიტყვისა და არა საქმის ადამიანები.

აი როგორ მოხდა ეს.

ჩავაბარეთ რა არქივს „ორმოციანი წლების ადამიანები და თეორიები“ საფუძვლიანი შესწავლის გარეშე და ჩავთვალეთ რა ისინი „ჩამორჩენილებათ“, თუმცა არც კი ვიცოდით რა იმალებოდა მათში, ჩვენ დავიწყეთ მოგზაურობა, ცხოვრებაზე და ადამიანებზე დაკვირვება. გზაზე ჩვენ ყოველგვარი ჯურის ადამიანებს შევხვდით. მაგრამ იმის გამო, რომ ცხოვრებას ცუდად ვიცნობდით, ადამიანთა მისწრაფებებს ერთმანეთისაგან ვერ ვანსხვავებდით, ვერ ვაფასებდით მათ ხასიათს, რის გამო მათ შორის ხელის ფათურით დავბორიალობდით. ჩვენ რომ გვცოდნოდა რა იმალება, რა არსი გააჩნია თითოეულ მი-

მართულებას — ისეთსაც, რომელიც მოგვწონდა და ისეთსაც, რომელიც არ მოგვწონდა. მაშინ, ცხადია, ადვილად დავყოფდით კატეგორიებად გზაში შეხვედრილებს. მაგრამ ჩვენ ამის გაკეთება არ შეგვეძლო...

სხვა ჯურის ადამიანებთან ერთად გვხვდებოდა „ორმოციანი წლების" ადამიანებიც, მოხუცებიც და ახალგაზრდებიც, მაგრამ ჩვენი დროის ახალგაზრდებს შორის გვხვდება ისეთებიც, რომლებიც არა თუ ორმოციან, არამედ ოციან წლებსაც კი განეკუთვნებიან. მათ რომ შუბლზე წერებოდათ „ჩვენ ორმოციანი წლების ადამიანები ვართ", მაშინ ჩვენ მათ, ალბათ, ვერ ვერ ამოვიცნობდით. თუნდაც რომ კარგად გვცოდნოდა ორმოციანი წლების მოძრაობის კარგი და ცუდი მხარეები, მაინც ვერ შეგვაცდენდა, ვერ მოგვატყუებდა გზაში შემხვედრი ბატონების ტკბილი ფრაზები. „ე-ე-ე, ვეტყოდით მათ, რა გზით და როგორ ფიქრობთ თქვენ ამის განხორციელებას?" და ჩვენ არ მოვტყვილდებოდით. მაგრამ ჩვენ ყოველივე ეს არ ვიცოდით. ჩვენ გვეგონა ორმოციანი წლების ადამიანები მხოლოდ იმით გამოირჩევიან, რომ ქალიშვილებს „ვნებიან ფრაზებს" ეჩურჩულებიან და როცა ბაღში ქალიშვილები მათ „rendez — vous" აძლევენ, გამბედაობა არ ყოფნით საქმე ბოლომდე მიიყვანონ.

ამიტომ, როცა გზაში შემხვედრი ადამიანები გვეუბნებოდნენ ორმოციანი წლების ადამიანებისაგან სიტყვასიტყვით ნასესხებ ფრაზებს, ჩვენ არ ვიცოდით, რომ ეს იყო ძველი, ნახმარი ქონება, გვეგონა აღმოვაჩინეთ ამერიკა, ვფიქრობდით საკმარისია ხელში ავიღოთ პრინციპების სათამაშო თოფი, გავისროლოთ ჰაერში გაკვირვებული ბარბაროსების წინაშე და ფერდინანდ კორტესის მაგვარად მთელ ქვეყნებს დავიპყრობთ. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცოდით, რომ თოფი ჟანგმოკიდებულია, ბარბაროსებს კი, რომელთა გაკვირვებაც ცეცხლმსროლელი იარაღით გვინდოდა, უკვე დიდიხანია აქვთ ბერდენკები, მორტირები, ოცდაოთხგირვანქიანი ქვემეხები და ა. შ.

ჩვენ ყველაფერი ეს სიტყვიერად დავიჯერეთ, რადგან არაფრის შემოწმება, არაფრის გაკონტროლება არ შეგვეძლო და ამიტომ შემდეგ მდგომარეობაში აღმოვჩნდით:

იმ ადამიანთაგან, ვისაც რუსეთში კალამი სჭერია ხელში, თითქმის არავინ არ სარგებლობს ჩვენი პატივისცემით, მოწონებით და ნდობით ისე, როგორც ნ. ა. დობროლუბოვი. მას ჩვენ არ ვთვლით ჩამორჩენილ, თანდათანობით განვითარების მომხრე, ზომიერ, მშიშარა ადამიანად. მაგრამ როცა გადავშალეთ ნ. ა. დობროლუბოვის მე-2 ტომი და წავიკითხეთ სტატია „გასული წლის ლიტერატურული წვრილმანები" (1862 წლის გამოცემა, ტ. 2, გვ. 415 და შემ.), გაკვი-

რვებულმა და გაოგნებულმა აღმოვაჩინეთ ორმოციანი წლების ადამიანების ისეთი დახასიათება, რომლის გამოყენება თავისუფლად შეიძლება ჩვენზე და ისეთივე მსგავსებაა ჩვენს შორის, როგორც წყლის ორ წვეთს შორის:

«Люди того поколения проникнуты были высокими, но несколько отвлеченными стремлениями. Они стремились к истине, желали добра, их пленяло все прекрасное; но выше всего был принцип. Принципом же называли общую философскую идею, которую признавали основанием всей своей логики и морали. Страшной мукой сомненья и отрицанья купили они свой принцип и никогда не могли освободиться от его давящего, мертвящего влияния. Что-то пантеистическое было у них в признании принципа; жизнь была для них служением принципу, человек — рабом принципа; всякий поступок, не соображенный с принципом, считался преступлением. Отвлекшись таким образом от действительной жизни и обрекши себя на служение принципу, они не умели верно рассчитывать свои силы и взяли на себя гораздо больше, чем сколько могли сделать... Большая часть осталась только при рассудочном понимании принципа, и потому вечно насиловали себя на такие вещи, которые были им вовсе не по натуре и не по праву. Отсюда вечно фальшивое положение, вечное недовольство собой, вечное одобрение и расшевеливание себя громкими фразами, и вечные неудачи в практической деятельности. Отлично владея отвлеченной логикой, они вовсе не знали логики жизни, и потому считали ужасно легким все, что легко выводилось посредством силлогизмов, и вместе с тем ужасно мертвили всю жизнь, стараясь втиснуть ее в свои логические формы. Может быть, они отстали бы от всего этого, если бы успели исподволь присмотреться к ровному ходу жизни. Но судьба поступила с ними безжалостно: она круто перевернула многих из них испытаниями всякого рода, общими и частными — и они утвердились в убеждении, что жизнь беззаконна и нелепа, а только принцип истинен и законен. Они ринулись было в борьбу за принцип, но проиграли одну битву, другую, третью, четвертую, — и увидели, что бороться долее невозможно. Тяжелое недовольство осталось затем у них в душе. Но и оно не было цельным, могучим и деятельным так как они сами не были цельными людьми. Они состояли из двух, плохо спаянных между собою начал: страсти и принципа. Редко принцип разливался по всему их существу с силою страсти, и они всячески старались надуть себя, подогревая фразами свои холодные отвлеченности...

Мгновенное привлечение к себе симпатий общества и замечательно быстрое обнаруженне своего бессилия были естественными последователями самой сущности того характера, какой получило большинство их, вследствие влияния обстоятельств, тяготевших над целым их поколением».

Далее мы увидели, что покойный Добролюбов характеризовал людей нового молодого поколения вот каким образом: «Совсем не так отнес-

лось к вопросам жизни молодое поколение (разумеем хороших его представителей)... Благодаря трудам прошедшего поколения, принцип достался этим людям уже не с таким трудом, как их предшественникам, и потому они не столь исключительно привязали себя к нему, имея возможность и силы поверять его и соразмерять с жизнью. Осмотревшись вокруг себя, они, вместо всех туманных абстракций и призраков прошедших поколений, увидели в мире только человека, настоящего человека, состоящего из плоти и крови, с его действительными, а не фантастическими отношениями ко всему внешнему миру... Они спустились из безграничных сфер абсолютной мысли и стали в ближайшее соприкосновение с действительной жизнью. Отвлеченные понятия заменились у них живыми представлениями, подробности частных фактов обрисовались ярче и отняли много силы у общих определений. Люди нового времени не только поняли, но и прочувствовали, что абсолютного в мире ничего нет, а все имеет только относительное значение. Оттого для них невозможно увлечение тенденциями, подобными, напр., следующим: «pereat mundus et fiat justitia»; «лучше умереть, нежели солгать хоть раз в жизни»; «лучше убить свое сердце, чем изменить хоть однажды долгу супружескому, или сыновнему, или гражданскому», и т. д. Все это для них слишком абстрактно и слишком мало имеет значения. На первом плане всегда стоит у них человек и его прямое, существенное благо; эта точка зрения отражается во всех их поступках и суждениях. Сознание своего кровного, живого родства с человечеством, полное разумение солидарности всех человеческих отношений между собою — вот те внутренние возбудители, которые занимают у них место принципа. Их последняя цель — не совершенная, рабская верность отвлеченным высшим идеям, и принесение возможно большей пользы человечеству; в их суждениях люди возвышаются не по тому, сколько было в них сокрыто великих сил и талантов, а по тому сколько они желали и умели сделать пользы человечеству; не те события обращают на себя особое их внимание, которые имеют характер грандиозный или патетический, а те, которые сколько-нибудь подвинули благосостояние масс человечества. Таким образом стремления людей новых, ставши гораздо ближе к жизни и к людям, естественно принимают характер более мягкий, осторожный, более щадящий, нежели бьющий. Не мудрено, разумеется, проскакать во всю конскую прыть по чистому полю: но ежели вам скажут, что на дороге в разных местах лежат и спят ваши братья, которых вы можете растоптать, то, конечно, вы поедете несколько осторожнее. Руководясь только принципом, требовавшим скорейшего прибытия к цели, можно бы, конечно, сказать: «А кто им велит спать на дороге? Сами виноваты, если будут растоптаны!» Но человек новых стремлений отвечает на такое замечание: «Разумеется, они глупы, что спят на дороге и мешают свободной езде, но что же делать, если они так глупы? Надобно над ними остановиться, пробудить и вразумить, а ежели не послушают, то придется силою оттащить в сторону от проезжей дороги».

Так обыкновенно и поступают эти люди; мудрено ли же, что в них не заметно той стремительности, какая отличала людей, руководившихся только принципом. Кроме всего этого, прибавилась у молодых поколений и опытность, которой так недоставало прежним. Люди нового времени приняли от своих предшественников их убеждения, как готовое наследие; но тут же они приняли и жизненный урок их, состоящий в том, что надрывание себя вовсе не есть доказательство великой души, а просто признак нервного расстройства. Прежние-де молодые люди постоянно ставили себя в положение шахматного игрока, который желает сделать своему противнику знаменитый трех-ходовый мат. Всем игрокам этот мат известен, и носит у них даже название «казенного», следовательно, обмануть им кого бы то ни было довольно трудно. Но неопытные новички в шахматах все-таки на него иногда рассчитывают и с первых же ходов расстраивают свою игру. Нынешние молодые люди считают нелепым фарсом даже удачу этого рода; они хотят мести правильную, серьезную игру, и потому считают вовсе ненужным с первого же раза выводить слона и ферзья, чтобы на третьем ходе дать шах и мат королю. Они, наверное, рассчитывают, что это только повредит их игре, и потому подвигаются понемножку, заранее обдумав план атаки и беспрестанно следя за всеми движениями противника. Они также добьются своего шаха и мата; но их образ действий вернее, хотя вначале игра и не представляет ничего блестящего и поразительного...

Признавая неизменные законы исторического развития, люди нынешнего поколения не возлагают на себя несбыточных надежд, не думают, что они могут по произволу переделать историю, не считают себя избавленными от влияния обстоятельств. Таким образом, ясное сознание своего положения не допускает их входить в азарт и убиваться из пустяков. Но в то же время они вовсе не впадают в апатию и безчувственность, потому что сознают и свое значение. Они смотрят на себя, как на одно из колес машины, как на одно из обстоятельств, управляющих ходом мировых событий. Так как все мировые обстоятельства находят в связи и некотором взаимном подчинении, то и они подчиняются необходимости, силе вещей; но вне этого подчинения они никаким кумирам не поклоняются, они отстаивают самостоятельность и полноправность своих действий против всех случайно возникающих претензий. Предоставляя другим кричать, гневаться, плакать и прыгать, они делают свое дело ровно и спокойно, плачут и прыгают, когда приводит к этому сила событий, но не делают ни одного лишнего движения по своему капризу, а если и сделают что лишнее, то не гордятся этим, а прямо сознаются, что сделали лишнее. Они — актеры, хорошо вошедшие в свою роль житейской комедии: они делают то, чего требует роль, и не выходят из нее, несмотря на все обоснованья, хлопанье, свист и стук партера... Пусть праздные зрители бесятся: актеру нет надобности покрывать их крик своим голосом. Он переждет немного; потом опять станет продолжать свою роль: стихнут же они наконец, если хотят его послушать...

После наших объяснений должно быть понятно, кажется, почему наши собственные симпатии обращены к будущему, а не прошедшему»...

ამგვარად ირკვევა, რომ ჩვენ ოდნავადაც ვერ გავასწარით დობროლიუბოვის თაობას, არამედ, პირიქით, უკან დავიხიეთ, დაუბრუნდით ბაბუების შეცდომებს და გატაცებებს, რუდინისებურ უძლურებას...

საიდანაც უნდა დავასკვნათ, რომ დროშა ყოველთვის არ შეეფერება არსს, და პირიქით..

23. სამხედრო საქმეების საჯაროდ გამოტანა

თბილისი, 1878 წ. 4 იანვარი.

გასულ წელს ჩვენს მიერ მოპოებულ ბევრ გამარჯვებებს შორის არის ერთი, თითქმის ყველაზე უფრო შესანიშნავი, რომლის შესახებაც არავის არ დაუგზავნია მქუხარე ტელეგრამები და რომლისთვისაც არავის არ მიუნიჭებია მნიშვნელობა. ჩვენ ვლაპარაკობთ იმ გამარჯვებაზე, რომელიც მოვიპოვეთ ადრე არსებული ოფიციალური საიდუმლოების სისტემაზე, ხალხისაგან ყოველივე იმის დაფარვის სისტემაზე, რაც ეხება საომარ მოქმედებას, განსაკუთრებით კი სამხედრო წარუმატებლობას.

ადრე, მშვიდობიან დროსაც კი, პრესა თითქმის არასოდეს არ ეხებოდა სამხედრო საქმეებს და საჯაროობა, რამაც სასულიერო პირებამდეც კი მიაღწია, ვერც ერთი მხრიდან ვერ შეეხებოდა სამხედრო საქმეებს. სამხედრო დარგი დაცული იყო „უცხო" თვალისაგან მკაცრი ცირკულარების მთელი სერიით, ხოლო ომიანობის დროს რომ პრესა ხმას ვერ იღებდა, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. ცნობილია, რომ ხივინის ლაშქრობაზეც კი, რომელიც სულ რაღაც ხუთი წლის წინათ მოხდა, ჩვენი პრესის წარმომადგენლებს ერთი სიტყვაც არ უთქვამთ. ყველა უწინდელ ომს ჰყავდა ისტორიკოსები, რომლებიც აღწერდნენ საქმის მხოლოდ საბრძოლო მხარეს, და იმასაც გარკვეული თვალსაზრისით. ყოველი ომის შემდეგ გადიოდა რამდენიმე ათეული წელიწადი, სანამ ჩვენ საზოგადოებას მიეცემოდა შესაძლებლობა, რომ რამდენადმე სწორი წარმოდგენა შეექმნა იმის შესახებ, რაც ომის დროს მოხდა. ჭეშმარიტების აღდგენა ხდებოდა ნელა-ნელა, დამსწრეთა ნაწყვეტ-ნაწყვეტი მოგონებების, მთავარ მოქმედ პირთა მემუარების, მონაწილეთა შემონახული მიმოწერის მეშვეობით. ამ მომენტამდე კი მთელი საზოგადოება იძულებული იყო დაკმაყოფილებულიყო ცალმხრივი რელაციებით, სიტყვიერი მოთხრობებით და დაბალი ჩინის აღმსრულებელთა ჭორებით...

როცა ხელისუფლების წარმომადგენლები ასეთ მდგომარეობას

ქმნიდნენ. ალბათ, იმ მოსაზრებებით ხელმძღვანელობდნენ, რომ ჩვენი საზოგადოების მასების განვითარების დაბალი დონე შესაძლებლობას არ იძლევა ჭეშმარიტების სააშკარაოზე გამოსატანად. ყოველი არახელსაყრელი ცნობა, — ფიქრობდნენ ისინი, — სულიერად დასცემს ხალხს, რომელსაც ჯერ ძალა არ შესწევს იმისა, რომ მომავლის იმედი ჰქონდეს და ამიტომ მცირე წარუმატებლობაშიც კი შეიძლება დაინახოს ჩვენი საქმის საბოლოო და გამოუსწორებელი დამარცხება. უყურებდნენ რა ამ თვალსაზრისით საზოგადოებას ისე, როგორც ბავშვს, ხელისუფლების წარმომადგენლებს, რა თქმა უნდა, არ უნდოდათ „შეელახათ" (როგორც ფიქრობდნენ) ხელმძღვანელთა ზნეობრივი ავტორიტეტი. რასაც გამოიწვევდა მათი შეცდომების და წარუმატებლობის გაშუქება. საზოგადოება კი თავის მხრივ ხვდებოდა. რომ მას ექცევიან მცირეწლოვან ბავშვივით, ამიტომ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა რელაციებს და მუდამ ფიქრობდა, რომ ბევრს უმალავენ და უმალავენ, რა თქმა უნდა, არახელსაყრელ ამბებს. ამის შედეგად, ყოველი ცნობა ჩვენი წარუმატებლობის შესახებ, სრულიად უსაფუძვლოც კი, ხალხში ელვასავით ვრცელდებოდა. სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა და არც საწინააღმდეგო აზრს ხვდებოდა და არც უნდობლობას, რადგან ხელსაყრელი ცნობები ორთქლდებოდა მსმენელთა უნდო ღიმილის წინაშე... და რაც უფრო ვითარდებოდა გონებრივად ჩვენი საზოგადოება, რაც უფრო მეტ განათლებას იძენდა მისი ფენები, მით უფრო ძლიერდებოდა ამგვარი უნდობლობა, მით უფრო იზრდებოდა საზოგადოებრივი სკეპტიციზმი...

ბევრი ფიქრობდა, რომ ამ მხრივ არც ახალი ომი გამოირჩევა რითიმე წინა ომებისაგან; „წინა წლების მსგავსად" ჩვენ ახლაც დავინახავთ გადაულახავ ჩინურ კედელს ჩვენ ჯარებსა და თანამედროვე საზოგადოებას შორის. საკითხი იმის შესახებ, დაუშვებენ თუ არა ამ ამბების საჯაროდ გამოტანას, ბევრისათვის სასინჯი ქვა იყო სხვა უფრო მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხების გადასაჭრელად.

„თუკი ჩვენ მთავრობას სურს გამოიწვიოს სამოქმედოდ, დასახმარებლად რუსეთის ყველა ცოცხალი ძალა, თუ კი თვითონ მას სწამს რუსეთისა, თუკი მიაჩნია, რომ რუს ხალხს შესწევს უნარი ვაუკაცური როლის შესრულებისა, — ფიქრობდნენ ისინი, — მაშინ, ალბათ, დაუშვებს სამხედრო საქმეების საჯაროდ გამოტანას. მაშინ ამ საქმეს მსხვერპლად არ მოუტანს ამა თუ იმ გენერლის წვრილმან თავმოყვარეობას, არ შეაჭრის ფრთებს რუსულ ენთუზიაზმს, არ მოექცევა საზოგადოებას, როგორც ბავშვს!".

ამიტომ გასაგებია რა მოუთმენლად, რა მტკივნეული ეჭვით ველოდებოდით ჩვენ სამხედრო საქმეების სააშკარაოზე გამოტანის საკითხის პრინციპულ გადაჭრას.

ომის პრაქტიკამ დაგვანახა, რომ მთავრობა საქმეს სწორედ ამ მხრივ უდგებოდა.

დუნაის არმიის მთავარსარდლის ცნობილი დეპეშით, რომელმაც დაუფარავად აუწყა მთელ რუსეთს პირველი წარუმატებლობის შესახებ პლევნასთან, იხსნება ჩვენთვის ახალი ერა მთავრობის გულახდილი და ნდობით აღჭურვილი დამოკიდებულებისა თავის ხალხისადმი.

დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა მთავრობის ხელისუფლების სიმტკიცისათვის აუცილებელი იყო ხალხს ერწმუნა მთავრობის წევრთა წმინდანობა, შეუცდომლობა და უცოდველობა. უკვე ყველამ შეიგნო, რომ გუბერნატორები, მინისტრები და მმართველები, უპირველეს ყოვლისა, ადამიანები არიან და როგორც ადამიანები განიცდიან გარემოების, შეცდომების, გაუგებრობის და მარცხის ზეგავლენას. არა ნაკლებ ცხადია ყველასათვის ისიც, რომ არ ცდებიან მხოლოდ ისინი, ვინც არაფერს არ აკეთებს, ვინც ჩამორჩენილობამ გაქვავა და ვისაც უნარი არ შესწევს მოუტანოს თავის დროსა და საზოგადოებას რაიმე სარგებლობა. ამიტომ, თანამოქალაქეთა ნამდვილი პატივისცემისა და ნდობის მოსაპოვებლად ყველა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, ვინც მართლა ღირსია ამ სახელწოდებისა, დიდი ხანია უკვე ეყრდნობიან საქმის ვითარების სრულად და გულახდილად გამოკვლევას, და პატივისცემაც მათ მიმართ ასეთივე პროპორციული გულახდილობით იზრდება.

ავიღოთ პლევნის მაგალითი. ახლა მთელ ჩვენს პრესაში, მთელ ჩვენს ხალხში მოარულ ფრაზად იქცა ამგვარი სიტყვები: „ჩვენ ბევრი შეცდომა დავუშვით პლევნასთან“. და მერე რა, განა ამის გამო ცოტათი მაინც შემცირდა ჩვენი და ხალხის ნდობა იმ სამხედრო მოღვაწეებისადმი, რომლებიც პლევნასთან მოქმედებდნენ? დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე ადრეც პოპულარული იყო გვარდიის ჯარებში. მაგრამ ჩვენ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მთელ რუსეთში მის პოპულარობას ხელი შეუწყო მისმა პირველმა დეპეშამ პლევნიდან და ახლა, მიუხედავად პირველი შეცდომების საყოველთაო აღიარებისა, მას კიდევ უფრო დიდი პატივისცემით და ნდობით იხსენებენ ყველგან.

საქმისადმი ასეთივე დამოკიდებულება შეიმჩნევა პრესის გამოძახილზე დუნაის არმიის სურსათისა და მომარაგების შესახებ. ვის არ ახსოვს რა საზიზღარ საქმეთა მხილებისა და მკაცრი თავდასხმის უფ-

ლება მისცეს პრესას ამ არმიის საინტენდანტო სამსახურისა და წითელი ჯვრის მოქმედების წინააღმდეგ.

ვიმეორებთ, რომ ჩვენმა მთავრობამ საქმის საჯაროდ გამოტანისადმი ასეთი ნდობით აღსავსე დამოკიდებულებით, ხალხისადმი მიმართვის ამგვარი გულახდილი სისტემით, ყველა გონიერი ადამიანის თვალში, უკეთესად და უფრო თვალსაჩინოდ გამოავლინა თავის ძალა და რუს ხალხთან კავშირის სიმტკიცე. მხედველობაში რომ არ მივიღოთ იმ მთავარსარდლის პირადი მიმზიდველობა, რომელმაც ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა, ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ ასეთი ქველი მაგალითი გონივრული დამოკიდებულებისა მთავრობასა და ხალხს შორის რუსეთში სწორედ სამხედრო უწყებამ დანერგა, უწყებამ, რომელიც სხვა ქვეყნებში ყველაზე ჩამორჩენილ, ყველაზე გაუნათლებლად და ყველაზე ნაკლებ გულახდილად ითვლება. ჩვენ კი, დ. ა. მილიუტინის რეფორმატული მოღვაწეობის წყალობით, სრულიად საწინააღმდეგო მოვლენის მოწმენი გავხდით. ჩვენში საქმის საჯაროდ გამოტანამ თავის პირველი სერიოზული ნაბიჯები სწორედ სამხედრო საქმეში გადადგა, მაშინ როცა ყველა სხვა სფეროში ძლივს ითმენენ, ჯერ კიდევ ჩვრებშია გახვეული და ხელის შეწყობით სულდგმულობს...

თუმცა ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმას, რომ კავკასიის ომის მიმართაც არსებობდეს საქმის ასე საჯაროდ გამოტანა, მაგრამ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ საჯაროდ გამოტანას აქაც მოელის უკეთესი დღეები. გასულ წელს საქმის საჯაროდ გამოტანას ჩვენში ადრინდელმა შეხედულებების ბატონობამ კი არ შეუშალა ხელი, არამედ ჩვენი მხარის სრულიად განსაკუთრებულმა მდგომარეობამ. ხელისუფლების წარმომადგენლები შეშფოთებულნი იყვნენ იმ შთაბეჭდილებით, რაც პირველმა წარუმატებლობებმა მოახდინა ჩვენი მხარის მთის მცხოვრებლებზე და მუსულმანებზე. ისინი ფიქრობდნენ, რომ გულახდილობამ აქ შეიძლება გამოიწვიოს ვნებების აფეთქება, რის აღგვაც ძნელი იქნებოდა არსებული ძალებით. სამწუხაროდ, პრესის ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე, ხმებმა ამ წარუმატებლობის შესახებ მიაღწია მთიელებამდე მნიშვნელოვნად გაზვიადებული სახით და აფეთქება მაინც გამოიწვია...

ახლა, როცა აჯანყების ცდა თითქმის ყველგან ჩააქრეს და ევლიახთან გამარჯვებამ და ყარსის აღებამ ცივი წყალი გადაასხა მათ ცდასა და იმედებს, რომელთა დანიშაულს ამსუბუქებს მათივე სიბრიყვე და შეუგნებლობა, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სამხედრო საქმეების საჯაროდ გამოტანა ჩვენშიც ისეთივე ფართო უფლებებს მოიპოვებს, როგორიც რუსეთში აქვს. ჩვენ ამაში იმიტომ უფრო ვართ

დარწმუნებული, რომ გასულ წელს, გავეცანით რა ახალი სამხედრო საქმეების მდგომარეობას და მსვლელობას, შეგვიძლია გულზე ხელი დავიდვათ და ვთქვათ, რომ ამ მხრივ აქაური ვითარება დუნაის ბრძოლის ველზე უარესი არაფრით არ არის. ამ მხრივ ჩვენ ბევრი რამ შეგვიძლია ვთქვათ კავკასიის არმიის შესახებ სანაქებო და სასიხარულოც, და ერთადერთი, რაც ჩვენ გვაკავებს იმის შიშია, რომ ჩვენი სიტყვები არ მიიღონ ისე, როგორც საქმის ცალმხრივი განხილვა. ხოლო იმ პირთ, რომლებიც საქმის ვითარებას არ იცნობენ, სწორედ ასეთ შთაბეჭდილებას შეუქმნის ჩვენი სიტყვები თუ, ნათელ და სასიხარულო სურათებთან ერთად, უფლება არ გვექნება სინამდვილის სწორად ასახვისათვის, ჩრდილებიც აღვნიშნოთ.

მაგრამ ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ჩვენს პრესას მისცემენ შესაძლებლობას ასახოს კავკასიის ომის ვითარება დაგეროტიპული სიზუსტით.

24. თბილისის საბჭოს ფიზიოგნომია

1

გახსოვთ მოლიერის ის „გააზნაურებული მდაბიო“, რომელიც ქმნიდა პროზას ისე, რომ თვითონაც არ ესმოდა ეს? ამ „ბატონ ჟურდანის“ პორტრეტი შეიძლება ჩვენი ქალაქის საბჭოს შესასვლელის საუკეთესო სამკაულად გამოდგეს. ჩვენი საბჭოც ხომ პარლამენტარიზმს იქმს და არკი იცის ეს. ქალაქის ინტერესებისა და უმნიშვნელო საქმეების ვიწრო სფეროში, იგი წარმომადგენლობითი მმართველობის როლს თამაშობს, ჰყავს პასუხისმგებელი სამინისტრო. ოპოზიცია და მთავრობაში, ანუ გამგეობაში, უმრავლესობა. განვიხილოთ იგი იმ ორიგინალური თვალსაზრისით, რომელიც ევროპული პრესისათვის დააწესა ქ-მა კლოდ ვინიონმა, გაზეთ „Independance Belge“-ის ცნობილმა პორტრეტისტმა. ჩვენი საბჭოს სხდომების დარბაზი საუკეთესო დადასტურებაა იმისა, რომ არც საბჭოს, არც გამგეობას არ ესმოდათ, როცა ეს დარბაზი სხდომებისათვის მოაწყვეს, რომ პროზაულ საქმეს იქმოდნენ, ანუ წარმომადგენლობით მმართველობას. წარმოიდგინეთ გრძელი ოთახი, რომელსაც არავითარი რეზონანსი არა აქვს, სიგრძეზე გაყოლებული სკამებით, რომლებიც ფანჯრებისაკენაა შექცეული. შემდეგ წარმოიდგინეთ ასეთივე სკამების რიგი, ჩამწკრივებული ფანჯრებთან პირით დანარჩენი სკამებისკენ. ამ ერთი რიგის შუაგულში წარმოიდგინეთ მოუხერხებელი სათავმჯდომარო მაგიდა, რომელსაც აუცილებელი წითელი მაუდი აქვს გადაფარებული, და მის გვერდით მდივნის პატარა მაგიდა, კონტორით, რომელიც კაზაკთა კოშკს წააგავს. მერე გადატიხრეთ ამ გრძელი ოთახის მერვედი, წარმოიდგინეთ, რომ აქ სასკოლო სკამები დგას სხვა სკამების მიმართ სწორი კუთხით და თქვენ სრული წარმოდგენა შეგექმნებათ სხდომათა დარბაზზე. მისი საერთო ხედი, არც მეტი არც ნაკლები, მოგაგონებთ ხალხმრავალ გიმნაზიების მოსამზადებელი კლასის საკლასო ოთახს. ეს შედარება ნიშანდობლივია და არც თუ უადგილო. ჩვენი საბჭოც ხომ თავისი ახლან-

ელი მდგომარეობით სხვა არაფერია, თუ არა ადგილობრივი მმართველობის მოსამზადებელი კლასი.

ფიზიონომიებზე მსჯელობას ზემოდან დავიწყებთ.

საბჭოს თავმჯდომარე, — იგივე ქალაქის თავი, — დიმ. ივ. ყიფიანი, ასაკში შესული კაცი, საკმაოდ ჭაღარაშერთული და ამობურცული ღია შუბლით. ლაპარაკობს ჩქარა, ბოხი ხმითა და ისეთი ინტონაციით, რომელიც მეტყველებს, რომ მუდამ აღიზიანებს ერთი რამ — როგორ უნდა სჭირდებოდეს ხალხს ყველაფრის ახსნა. დრომ და უფრო მეტად ბიუროკრატიულმა საქმიანობამ, საკმაოდ ძლიერ მოხარა ბეჭებში, მაგრამ მის თვალთა ბრწყინვალებას, სიმკვირცხლესა და გამომეტყველებას ვერაფერი დააკლეს. ცხოვრებაში ბევრი რამ გადაუტანია. ერთ დროს, — და ძალიან დიდხანსაც, — იგი ჩვენს მხარეში ითვლებოდა მმართველი წრეების ბურჯად, მას ენდობოდნენ და რჩევა-დარიგებისათვის მიმართავდნენ საწინააღმდეგო მხარეები: მმართველნი ყურად იღებდნენ მის სიტყვებს, რამდენადაც ადგილობრივ პირობებში ერკვეოდა. ადგილობრივ მცხოვრებთათვის კი მნიშვნელოვანი იყო, რადგან სხვადასხვა ჯურის მმართველებს იცნობდა. მაგრამ ერთბაშად და გაურჯელად როდი მიუღწევია ამ მნიშვნელოვანი როლისათვის.

მიაღწია რა მეფისნაცვლის საბჭოს წევრის თანამდებობას და ბოლომდე მიიყვანა თუ არა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო საქმე, დაკავშირებული ამ მხარის ადმინისტრირებასა და კეთილმოწყობასათან, მაშინვე დაკარგა თავისი ადგილი, რადგან მეტისმეტად გულმოდგინედ, და ჩვენი აზრით უსაფუძვლოდ, შეუდგა სამეგრელოს მთავართა თავად დადიანების სახლის ინტერესების დაცვას. თუმცა ამ შეცდომის გამო ორგზის დაისაჯა, რამეთუ სამეგრელოს თავადმა, რომელიც ყველაფრით იყო დავალებული მისგან, არა თუ ბედის ანაბარა მიაგდო, არამედ სურვილიც კი დაებადა ეზღვევინებინა მისთვის დიდძალი თანხა მრავალი ათეული ათასი მანეთის ოდენობით.. ადგილობრივი თავადაზნაურობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, ნდობამ დააყენა იგი სათავადაზნაურო მთავრობის სათავეში სწორედ მაშინ, როცა ჩვენში საგლეხო რეფორმა ტარდებოდა.

აქ მან დაუკავშირა თავისი სახელი ჩვენში საადგილმამულო ბანკების დაარსების საქმეს, — რომლის ნაყოფი, სხვათაშორის, სხვა, უფრო პრაქტიკულ მოღვაწეებს ერგო. ახლა თავს დაატყდა სხვების ვალდებულებათა განაღდების აუცილებლობა, რადგანაც ყოვლად გაუფრთხილებლად თავის დროზე თავდებად დაუდგა მათ. მან ყველაფერი დაკარგა, სარჩენი ჰყავდა მრავალრიცხოვანი ოჯახი და მა-

ინც მედგრად იტანდა ბედის უკუღმართობას; ამ დროს თბილისის პრესამ — ანუ „მშაკმა“[32], „ტიფლისსკი ვესტნიკმა“[1] და „დროებამ“[7] — წამოაყენეს მისი კანდიდატურა ქალაქის თავად. იგი აირჩიეს ერთი ხმის უპირატესობით განსვენებული იერემია არწრუნის წინააღმდეგ, რომელიც ეგზომ პოპულარული იყო ჩვენს ქალაქში. ეს ცოტას როდი ნიშნავდა. თუმცა ყვებიან, რომ ეს ერთი ხმა, რომელმაც საქმე მის სასარგებლოდ გადაწყვიტა, მისი კონკურენტის შვილის, — „მშაკის“ რედაქტორის, გ. ი. არწრუნის ხმა იყო.

სამართლიანობა მოითხოვს, არ დავუკარგოთ დიმ. ყიფიანს ეს დამსახურება: მან რაღაც წესრიგი მაინც შეიტანა კამათში. უნდა გენაცვალეთ ენათა ის बाबილონური აღრევა, რომელიც დიმ. ყიფიანამდე საბჭოში იყო, განსაკუთრებით კი ლ. კ. ელიმირზოვის დროებითი თავმჯდომარეობის დროს. ერთმანეთის არაფერი გაეგებოდათ, ერთმანეთს არ უსმენდნენ, ყველანი ლამის ერთდროულად ლაპარაკობდნენ, ღმერთმა უწყის რაზე. თავმჯდომარის წრიპინა ხმას საერთო ღრიანცელი ფარავდა და ჩვენ დუმას ვტოვებდით თავშიდომხალით. „უთავო საბჭო“ — აი სარკაზმი, რომლითაც ბოლოს უღებდნენ და ათახსირებდნენ მაშინ ჩვენს წარმომადგენლობით რეჟიმს. ცხადია, არც ახლა გვიფენია საბჭოში ია-ვარდი, მაგრამ განა შეიძლება იმ და ჩვენი დროის შედარება!

სამინისტრო, ანუ გამგეობა, ოთხი წევრისაგან შედგება: მ .ი. დოლუხანოვი, ა. ს. მატინოვი, ი. ნ. ხანჯიევი და პ. ლ. ალხაზოვი.

ბ-ნ დოლუხანოვს საოცრად დამახასიათებელი თავი აქვს, ასეთი არას დროს მინახავს. იგი სიმაღლეშია წასული და მისი ნახევარი განკუთვნილია ტვინისათვის. ფრენოლოგი ბევრს მისცემდა ასეთ თავის ქალაში, რომელიც სავსეა ყოველგვარი გაშიშვლებული კოპებით. მართალი რომ ვთქვათ, ეს თავი მთელს საბჭოში ყველაზე ლოგიკური, მშვიდი, თანმიმდევრული და თავდაჭერილია. მიყვარს ბ-ნ დოლუხანოვის სიტყვების მოსმენა, რადგანაც მომწონს მისი არგუმენტაციის მშვიდი დინება, მისი აზრის ორიგინალური თანმიმდევრობა. სამწუხაროდ, და დიდად სამწუხაროდაც, იგი მეტისმეტად შეეთვისა იმ გარემოს, სადაც თავისი სიჭაბუკე გაატარა. იგი იურისტი, ვიტყვი უფრო პირდაპირ, უწინარეს ყოვლისა ბიუროკრატია. თუმცა ეს შენიშვნა ეხება მთელ საბჭოს, სადაც ქალალდების საქმის წარმოების და ბიუროკრატიული წესების დადგენილი ფორმები უაღრესად დიდ როლს თამაშობენ, რაც თვითმმართველობის ხასიათს მაინცდამაინც არ შეეფერება.

ა. ს. მატინოვი — სიმპათიური, საქმიანი ახალგაზრდაა, ტკბილმოუბარი, ხათრიანი. ხშირად ახერხებს სწორი აზრის წარმოთქმას,

რომელიც პირდაპირ მიზანში ურტყამს. მაგრამ თავისი არგუმენტაციის კონცენტრირება არ ეხერხება და ძალიან მალე ყრის პოლემისტის ფარხმალს, როდესაც ოპოზიციის წინააღმდეგობას აწყდება. საკმარისია მისი აზროვნების და ხასიათის აქილევსის ქუსლი გაიგო, რომ მუდამ გაიმარჯვებ მასზე პარლამენტში, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მართალია. ამით განსაკუთრებით ხშირად ბოროტად სარგებლობს გ. გ. ევანგულოვი, რომელზედაც შემდეგ იქნება ლაპარაკი.

ი. ნ. ხანჯიევი გამგეობის მესამე წევრია, — გაფანტული ქარიშხლის უკანასკნელი ღრუბელი. სამინისტრო კრიზისებში იგი უკიდურესად გულგრილია. სულ არ ესაქმება, ურტყავენ გამგეობას თუ არა, მხოლოდ კეთილად იღიმება, ქანაობს სკამზე, რითაც საშინელ საფრთხეს უქმნის სამინისტრო სკამს, რომელიც ძლივს უძლებს მისი უზარმაზარი სხეულისა და მასთან შედუღაბებული ძველი დროის სიმძიმეს. ამ ქვეყნად უპორტფელო მინისტრები არსებობენ. ჩვენთან ბ-ნი ხანჯიევი უსიტყვო მინისტრის როლს თამაშობს. გასაგებია, რომ მასზე არაფრის თქმა არ შემიძლია.

პ. ლ. ალხაზოვი — წევრია სამშენებლო ხაზით. როგორც ტექნიკოსი ცოტას ლაპარაკობს და ჟესტებით უფრო პორტფელზე მიუთითებს. იმდენად კომპენტენტური არა ვარ, რომ მასზე ვიმსჯელო. იგი ახალი კაცია, შრომისმოყვარე, პატიოსანი, ქალაქის ინტერესების ერთგული. მაგრამ რამდენად კარგი მოღვაწე იქნება, ამას მხოლოდ მომავალი დაგვანახებს, იმიტომ, რომ ქალაქს, არც თუ დიდი ხანია ემსახურება.

ქალაქის მდივანზე პ. ა. იზმაილოვზე, ჩემს პირად მეგობარზე და „ობზორის“[38] ადმინისტრატორზე ლაპარაკის უფლება, ცხადია, არა მაქვს.

ახლა გადავიდეთ სათათბიროს წევრებზე.

წარმომადგენელთა სკამებზე. სამწუხაროდ, დიდ როლს თამაშობს ჩინური გამოთქმა Чин-чина — почи-тай. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სასკოლო სკამების პირველ რიგში სხედან ჩვეულებრივი სახელმწიფო მრჩევლები ბ-ბი ელიმირზოვი და სუნდუკიანცი, და ის ნამდვილი სახელმწიფო მრჩევლები, რომლებიც დროდადრო აბედნიერებენ საბჭოს თავისი მობრძანებით. თუმცა, ხანდახან ლიბერალური ელემენტი ამ რიგშიც იჭრება: ხსენებული საბჭოს წევრების გვერდით, ხშირად ვხედავთ ჟურნალისტიკის და ლიბერალიზმის გენერლებს, „მშაკის“ რედაქტორს ბ-ნ არწრუნის და „პორძას“[43] რედაქტორს ბ-ნ იოანისიანს.

ამ პირველი რიგის სკამებზე უფრო თავშესაქცევი არაფერი მეგულება, — იმიტომ კი არა, რომ ზედ გენერლები სხედან, ო, არა,

მხოლოდ იმიტომ, რომ აქ ზის ოპოზიცია და გამგეობის პარტია, ერთიც და მეორეც თითო წევრისგან შედგება. მაგრამ მათი დასახელება არ შემიძლია„ და აი რატომ:

საბჭოს ორი წევრი ბ-ბი სუნდუკიანცი და ელიმირზოვი, ამ ორ პარტიას ანსახიერებს. მაგრამ რომელი მათგანია ოპოზიცია, და რომელი — გამგეობის პარტია. ამის გადაწყვეტა, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, არ შემიძლია. მარცხნივ, განაპირა სკამზე, ზის ბ-ნი სუნდუკიანცი და ამიტომ ეს მაფიქრებინებს, რომ ოპოზიციას ის წარმოადგენს. კიდევ იმიტომ ვამტკიცებ ამას, რომ იგი მზაკვრულად და არაჩვეულებრივი ტაქტით ახერხებს გამგეობის საქმის წარმართვას, რის შედეგადაც გამგეობას და ქალაქის თავს გვარიანად ხვდება საბჭოსაგან. იგი ჩინებულადაა დაუფლებული საპარლამენტო ტაქტიკას, იცის ყველაზე კრიტიკულ მომენტში „ნდობის“ საკითხის დაყენება, და ამით გამგეობას შიგ გულში სცემს დანას. მაგრამ მე მარწმუნებენ, რომ ვცდები, როცა ამ დასკვნებს ვაკეთებ. ამბობენ, რომ მარცხნივ კი არ ზის განაპირა სკამზე, არამედ მარჯვნივ, რადგანაც თბილისში ჯერ არ იციან, რომ მარჯვენა და მარცხენა მხარე განისაზღვრება თავმჯდომარის და არა დეპუტატთა მარჯვენა ან მარცხენა ხელის მიმართულებით. გამგეობას და ქალაქის თავს დარტყმებს აგებებს მხოლოდ იმიტომ, რომ, ამბობენ, ის plus royaliste que le roi[4], და რომ ქალაქის თავმა ჯერ ვერავინ შეაგულიანა მოექაჩათ მისი კალთა ამ სიტყვებით „ღვთის გულისათვის, ნაკლები გულმოდგინეობა გამოიჩინეთ!“

ზუსტად ასეთივეა ბ-ნ ელიმირზოვის მდგომარეობა. ჩანს, მარჯვნივ ზის (თავმჯდომარისაგან) განაპირა სკამზე და წარამარა ეხება ისეთ საკითხებს, სვამს ისეთ შეკითხვებს, წარმოთქვამს ისეთ სიტყვებს, რომ საბოლოოდ გამგეობა სრულ კმაყოფილებას გრძნობს. იგი ჩინებულად ფლობს მიმდევართა უდიდეს ხრიკს — ლანძღვით პირმოთნეობს და გინებით აქებს, ტკბილი ხმით მკაფიოდ წარმოთქვამს „არასასიამოვნო სიტყვებს“. მაგრამ როცა მისი თვალების და ფიზიონომიის დამტკბარ გამომეტყველებას ვუკვირდები, ვრწმუნდები, რომ ყოველივე ამას განგებ სჩადის, გამგეობის გამარჯვებას უწყობს ხელს. მაგრამ სხვები მარწმუნებენ, რომ ვცდები, რომ მსგავსი მზაკვრობა აზრადაც არ მოსდის ბ-ნ ელიმირზოვს, რომ ყოველივე ამას მიამიტად სჩადის, მომზადების, მიზნის გარეშე, მხოლოდ იმიტომ, რომ რამე თქვას. არა მჯერა„ არა მჯერა, არა მჯერა!

არ არსებობს საკითხი, რომლის ირგვლივ არ ელაპარაკოს ბ-ნ ელიმიზოვს. როცა პატივი მექნება გავხდე საბჭოს წევრი, — თუ ამ პატივის ღირსს გამხდიან, — განზრახული მაქვს ვილაპარაკო არაკ-

ნიან ჩიტის ბუდეებზე. დარწმუნებული ვარ საბჭოს წევრი ბ-ნი ელიმირზოვი ტკბილად, სასიამოვნოდ მოჰყვება: „როცა პატივი მქონდა ქალაქის თავის მოვალეობის აღსრულებისა, მაშინ ბ-ნი იასონ დიმიტრის ძე მეუბნებოდა, რომ ჩიტის ბუდეები სასიამოვნო ალიმენტია ადამიანისათვის, და ამიტომ მაშინვე შესთავაზა საბჭოს გამოეწერა ისინი ჩინეთიდან. მაშინვე შეადგინეს ოქმი, სადაც ეს წერია, და მე ვთხოვ ბ-ნ ქალაქის საბჭოს მდივანს წაგვიკითხოს ის!".

და საბრალო ბ-ნი იზმაილოვი იძულებული იქნება წავიდეს არქივში და ეძებოს ოქმი. სამი საათის შემდეგ დაბრუნდება და მოგვახსენებს, რომ ოქმი, საუბედუროდ, ვირთხებმა დაღრღნეს, და რომ მას მხოლოდ ბ-ნ ელიმირზოვის ხელისმოწერა შემორჩა და წყალსადენის კონცესიის გეგმა, რომელიც იმ დროს ცნობილ Sociète Générale-ის „წარმომადგენელს" ბ-ნ რუკოს მისცეს.

საბჭოს დანარჩენ წევრებზე სხვა დროს ვილაპარაკოთ.

2

ჩვენი ხმოსნები, საერთოდ, წესიერად არ ესწრებიან სათათბიროს სხდომებს. ცნობილია, რომ ერთ დროს, მგონი 1875 წლის დამლევს, სულაც არ ესწრებოდნენ ამ სხდომებს, და ამჯობინებდნენ რელიგიური გულმოდგინეობით დასწრებოდნენ საცირკო წარმოდგენებს. გარდა ამისა ცნობილია, რომ რამდენიმე კვირის წინ ქალაქის თავი იძულებული გახდა უაღრესად მკაცრი, მაგრამ სავსებით სამართლიანი სიტყვებით შეეხსენებინათ მათთვის, რომ ისინი სხდომების უგულვებელყოფით უბრალოდ ქალაქის ინტერესებს ღალატობენ და ფიცის გამტეხნი არიან. ჩვენ ასე შორს არ მივდივართ, და თუმც ვხედავთ „ინტერესებისადმი ღალატს", მაგრამ ამას ვხსნით მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ხმოსნების ორიგინალური შეხედულებით თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებზე. ისინი ხმოსნობაზე კენჭს იყრიდნენ, ისევე როგორც ჩვენ, მკითხველო, კენჭს ვიყრით რომელიმე წრის ან კლუბის წევრობაზე: ხმოსნობაში ისინი საპატიო თანამდებობას ხედავდნენ და სხვას არაფერს. მიეცით დრო და ისინი თანდათან დარწმუნდებიან, რომ ამ სახელთან განუყოფლადაა დაკავშირებული საკმაოდ მნიშვნელოვანი უფლებები და უცილობლად წმიდათა წმიდა მოვალეობანი. რომი ხომ ერთ დღეს არ აშენებულა.

მაგრამ თუ საბჭოს სხდომებზე დაუსწრებლობის გამო საყვედური ეთქმის ხმოსანთა უმეტესობას, სამართლიანობა მოითხოვს გამოვყოთ ამ საერთო რიცხვიდან რამდენიმე წევრი, რომელნიც კეთილსინდისიერად ესწრებიან და თითქმის არასდროს არ აცდენენ ამ სხდომებს. ასეთ წესიერ პირთა რიცხვს განეკუთვნებიან, პირველ

რიგში, ბატონები ალადატოვი, სურგუნოვი, ხარაზოვი და ზოგი სხვა- და რადგანაც სწორედ ესენი გამოირჩევიან საბჭოს კამათში ყველა- ზე აქტიური მონაწილეობით, სრულიად ბუნებრივია მათგან დავიწ- ყოთ ჩვენი საბჭოს წევრების დახასიათება.

ა. ა. ხარაზოვს, ლ. კ. ელიმირზოვისა არ იყოს, ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი ჩაერიოს ყოველგვარ კამათში რა საკითხზეც უნდა იყოს მსჯელობა, აუცილებლად აქვს შენიშვნები, ყოველ ინციდენტთან დაკავშირებით გამოთქვამს თავის თვალსაზრისს. იგი ყველაზე უფ- რო მოგვაგონებს იმ ინგლისელ პერს, შოტლანდიის მთიანი რაიონე- ბიდან, რომელიც წარამარა დგება თავისი ადგილიდან ერთი და იგივე შენიშვნის წარმოსათქმელად, — რომელსაც ყველა დიდი ხანია შე- ეჩვია, — და ვალმოხდილის დამშვიდებული სინდისით კვლავ ჯდე- ბა ხავერდის სკამზე. გულკეთილი, მშვიდი, წყნარი, თვინიერი, იგი ეკონომიას ქადაგებს და პირზე ქალაქის ინტერესები აკერია. თავისთა- ვად ცხადია, რომ ამ ინტერესებში ხარჯის შემცირებას გულისხმობს. პლიუშკინივით განუწყვეტლივ დაცახცახებს ხარჯებისათვის გაღე- ბულ ყოველ კაპიკს, მაგრამ ვაი რომ ამ გზით ვერ მოაწესრიგებ ქალაქის მეურნეობას... თუმცა, საბჭოს ყველა წევრის მსგავსად, ისიც ამჟღავნებს საოცარ პრაქტიკულ გაუთვითცნობიერებლობას მეურნეობის საკითხებში და მისი სწორად წარმართვის საშუალება- თა ცოდნაში. სანაქებოა მისი გულწრფელობა, რამდენადაც მისი გა- მოსვლებისა და შენიშვნების მეტი წილი ასე იწყება: „მე არ ვიცნობ საკითხს, რომელზედაც ვმსჯელობთ, მაგრამ მგონია...“ მას პასუხო- ბენ, რომ ეს უკვე გაკეთდა, რომ ეს უკვე გათვალისწინებულია. მა- შინ ნირს არ კარგავს და კეთილგანწყობილი განაგრძობს: „ჰო, ძა- ლიან კარგი, მე მხოლოდ ეს მინდოდა“, და ჯდება თავის ადგილზე, რათა ათი წუთის შემდეგ იგივე გაიმეოროს.

მაგრამ უსამართლობა იქნებოდა შემოვფარგლულიყავით ამ შე- ნიშვნებით. ნათქვამია, უძაღლო ქვეყანაში კატას აყეფებენო, ჩვენს უკაცრიელ საბჭოს სხდომებზე ბატონ ხარაზოვსაც უეჭველი სარ- გებლობა მოაქვს. გულმოდგინედ მუშაობს შემფასებელ კომისიაში. მაგრამ კიდევ უფრო მეტი გულმოდგინეობით უჩხიკინებს გამგეობას და არ აძლევს საშუალებას განცხრომას მიეცეს. ის ერთი იმ იშვიათ წევრთაგანია, რომელთაც ესმით, რომ მათი მოვალეობა არ განისაზ- ღვრება საბჭოს სხდომებზე რეგულარული დასწრებით: მას ხშირად შეხვდებით გამგეობაში, აგროვებს ცნობებს, ეცნობა ძველ საქმეებს, რამდენადაც შესაძლებელია სწვდება საქმის არსს.

ვ. ი. სურგუნოვი მიეკუთვნება ახალგაზრდა წევრთა რიცხვს, თუმცა საბჭოს წევრია მას შემდეგ, რაც ჩვენთან შემოიღეს ქალაქის

წარმომადგენლობა. თუ გარეგნულად არ იცნობთ, გირჩევთ აიღოთ შ. გოპეს მსოფლიო კალენდარი 1878 წლისა, და გადაშალოთ თანდართული თურქი გენერლების პორტრეტები. აიღეთ სულეიმან-ფაშას პორტრეტი, მოხადეთ მას ფესი და მიიღებთ ბატონ სურგუნოვის ფოტოსურათს.

ბ-ნი სურგუნოვიც ძალიან ხშირად ერევა კამათში, მაგრამ უფრო საფუძვლიანად, ვიდრე ბ. ბ. ელიმირზოვი და ხარაზოვი. მან უაღრესად წესიერი სპეციალობა მოიპოვა, შექმნა საკუთარი ფიზიონომია, და საბჭოში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. უდაოდ გავლენიანი პირია. კანონიერების ფარგლებს არ სცილდება, მაგრამ ბიუროკრატობის კალაპოტი მიატოვა და ცდილობს სარგებლობა მოუტანოს ქალაქს სხვა ქალაქების მიღწევების პრაქტიკული განხორციელებით. იგი თვალყურს ადევნებს დედაქალაქის საბჭოში კამათსა და მის გამოცემებს, და იყენებს მათ თავისი რეპუტაციისა და ქალაქის ინტერესების სასარგებლოდ. ახლახან მოახერხა ჩვენი ქალაქის ზოგიერთი ქუჩის გაზით განათების პროექტის დამტკიცება და ფრიად ორიგინალურადაც. იცოდა რა ჩვენი საბჭოს სუსტი მხარეები და ნაკლი, თვითონ დაამუშავა ეს საკითხი დეტალურად, დადო ხელშეკრულება მეწარმეებთან და საბჭოს წარუდგინა სრულიად მზა გადაწყვეტილება, რომელიც ამ გზით ასცდა კომისიის განსაწმენდელს და გამგეობაში მოხსენების ჯოჯოხეთს, და დაუყოვნებლივ მიღებულ იქნა საბჭოს მიერ.

ბ-ნი სურგუნოვი მკვირცხლია, მოძრავი, გამოირჩევა ცნობისმოყვარეობით, გონების მაძიებლობით. მაგრამ არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ მისი გონება შორსაა სრულყოფისაგან, აკლია საფუძვლიანი, ასე ვთქვათ მეცნიერული მომზადება. იგი უბრალოდ პრაქტიკოსია, არც თუ უჭკუო პრაქტიკოსი, საზრიანი, გონიერიც კი. მაგრამ იმ ადამიანს, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ისეთი ქალაქის საბჭოში, როგორიც თბილისია, გაცილებით მეტი მოეთხოვება..

სანამ სხვა წევრებს შევეხებოდეთ, ჯერ იმათი სია ამოვწეროთ, ვინც ყოველგვარ კამათში ებმება.

ს. პ. ალადატოვი — უდაოდ ჩვენი ქალაქის საბჭოს ყველაზე ორიგინალური ფიგურაა. როდესაც ის წამოდგება, საბჭოს წევრები და მაყურებელნი ღიმილს ვერ იკავებენ, ხოლო როცა ლაპარაკობს— სიცილსაც კი. ჩემი აზრით, ეს ღიმილიც და ეს სიცილიც ფრიად უსამართლო და უადგილოა. ამ ქვეყნად არაფერი არაა უფრო საზიზღარი, ვიდრე დაცინვა, გამოწვეული ადამიანის გარეგნობით, ჩაცმულობით, მიხვრა-მოხვრით. შეძიძლია დაგარწმუნოთ, რომ საბჭოს

წევრთა შორის ცოტა როდი მეგულება კოხტად ჩაცმული, სწორად მოლაპარაკე, მკვირცხლი, რომელნიც აზრთა უბადრუკობით და მიზან-სწრაფვით ჰომერულ სიცილს იმსახურებენ. მაგრამ მათ არავინ არ დასცინის. ბ-ნ ალადატოვს კი უმთავრესად იმიტომ იგდებენ მასხარად, რომ ჩოხა აცვია, რუსულად სწორად ვერ ლაპარაკობს, არა აქვს თავის თავში შეყვარებული ბატონების რიხი. ეს არ ეკადრება იმ პირთ, რომელნიც ვალდებულნი არიან საკუთარ თავში და თავის ამხანაგებში, უწინარეს ყოვლისა, პატივი სცენ ჩვენი მოსახლეობის მასების წარმომადგენლებს. ვინც უნდა იყოს საბჭოს წევრი, იგი ათასობით ამომრჩევლის კოლექტიური წარმომადგენელია, და მას სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა მიუდგე.

ბ-ნი ალადატოვის სიტყვები მუდამ გულწრფელია, და ცდილობს გააცნოს საბჭოს ჩვენი ქალაქის საშუალო ვაჭართა წოდების მამოძრავებელი ფიქრები და თვალსაზრისი. ჩემთვის იგი ხშირად ბარომეტრია, რომლის მიხედვითაც ვამოწმებ ამ წოდების გუნებ-განწყობას, და ჩემმა დაკვირვებებმა იმ დასკვნამდე მიმიყვანეს, რომ ეს ბარომეტრი ხშირად სწორად აჩვენებს. ამიტომ, ბატონებო, თქვენც შეეცადეთ ამოარჩიოთ მის ნათქვამში ის, რასაც ფასი აქვს, წარმოიდგინეთ, თითქოს გარეგნულადაც არა უშავს რა, და ჩვენს წევრებს შორის ბ-ნი ალადატოვი მაჩანჩალად აღარ მოგეჩვენებათ. საერთოდ, ამასთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ საბჭოში არა მარტო „განათლებული" კლასებიდან უნდა შედიოდნენ წევრები, არამედ მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენელნიც. სწორედ ასეთი წარმომადგენელნი ქმნიან იმ ფესვებს, რომელთა მეშვეობით თვითმმართველობა მოსახლეობაში პოპულარული ხდება. თავისი მონაყოლით ოჯახსა და ნაცნობებში ისინი მასაში თვითმმართველობისადმი ინტერესს აღვიძებენ, აცნობენ მას, თუ რა დაბრკოლებებს აწყდებიან და მასებში ნერგავენ საზოგადოებრივი მმართველობისადმი სიმპათიებს. მისთვის მხარდაჭერის სურვილს. უამისოდ, რაგინდ ლამაზადაც არ უნდა ვილაპარაკოთ საბჭოში, მასა ვერ გაგვიგებს, მხარს არ დაგვიჭერს. იგი გულგრილი დარჩება ჩვენდამი, ჩვენი გაუგებარი სიტყვებისადმი და მისწრაფებებისადმი..

გ. გ. ევანგულოვმა იმ ჩაქუჩის როლი იკისრა, რომლის დარტყმა აუქციონის დასასრულის მაუწყებელია. სადღაც შორს ზის, კამათში მონაწილეობას არ ღებულობს. მაგრამ „ჩასაფრებულია" და გამოცდილი მონადირის გამჭრიახობით და ალღოთი თვალყურს ადევნებს კამათის მიმდინარეობას. გაერკვევა რა ამ კამათის სუსტ და ძლიერ მხარეებში, და ალღოს აუღებს რა საბჭოს წევრთა სიმპათიებსა და განწყობილებას, ბოლოს უეცრად წელში გასწორდება გველნაკბე-

ნივით და შემოაქვს წინადადება, გამოხატული მკაფიოდ და უკმეხად. მისი წკრიალა ხმა, თავდაჯერებული ტონი და დიქტატორული მანერა საბჭოს წევრებზე გასაშტერებელ შთაბეჭდილებას ახდენენ და წინადადება გასულია ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, ფრანგების თქმისა არ იყოს, — „როგორც წერილი ფოსტიდან". საბჭოს წევრთაგან ბევრი მხოლოდ მეორე დღეს ხვდება, თუ რა ეწერა იმ წერილში. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ ბ-ნი ევანგულოვი განეკუთვნება ჩვენი საბჭოს უფრო საქმიან და გონიერ წევრთა რიცხვს, და ძალიან ხშირად მისი წინადადებები დამაკმაყოფილებლად აკვირგვინებენ უნაყოფო და უაზრო კამათს.

დაახლოებით ასეთსავე როლს, მაგრამ მნიშვნელოვანი ვარიაციებით, ასრულებს საბჭოში ნ. დ. ზუბალოვიც.

ღვარძლიანი ტიპია, უყვარს საკითხის გულწრფელად და პირდაპირ დაყენება და გამოთქმებს არ ერიდება. უწინარეს ყოვლისა, ენა გალესილი აქვს და ხშირად საგრძნობლად ლახავს საბჭოს თანაწევრთა თავმოყვარეობას. ეს როლი იმდენად მოსწონს, რომ ზოგჯერ კიდევაც ერთობა ამით, და მარტო სიმართლით კი არ იკბინება, არამედ სოფიზმითაც. როდესაც რაიმეს სათქმელად წამოდგება, საბჭოში სამარისებური სიჩუმე მკვიდრდება, — რაც საუკეთესო ნიშანია იმისა, რომ მისი სიტყვები აინტერესებთ, რომ ამ სიტყვებს წონა და მნიშვნელობა აქვს მათ თვალში, ცნობილია, რომ ასეთი პრივილეგიით მხოლოდ გონება სარგებლობს, ვინაიდან გონებას ძალუძს შთაუნერგოს მასას იმედი: „აი ახლა იტყვის ისეთ რამეს, რაც მე არ ვიცი, რაც საქმეს ნათელს მოჰფენს". ასეთი პრივილეგიით ჩვენს საბჭოში, ჩემი დაკვირვებით, მხოლოდ სამი ადამიანი სარგებლობს: მ. ი. დოლუხანოვი, გ. გ. ევანგულოვი, ნ. დ. ზუბალოვი. მართალია ისიც, რომ სამივენი არც თუ სიტყვაუხვნი არიან და არც წარამარა დგებიან ფეხზე სალაპარაკოდ.

საგანგებო მოხსენების ღირსია ჩვენი საბჭოს კიდევ ერთი წევრი. მკითხველი შეამჩნევს, რომ აქამდე მხოლოდ ისეთ პირებზე ველაპარაკობდი, რომელთაც ზნეობრივი ფიზიონომია შეიქმნეს და თავიანთი როლების ორიგინალობით გამოირჩევიან. ასეთ პირთა რიცხვს განეკუთვნება კიდევ ა. ი. ზუბალოვი.

იგი საბჭოში იშვიათად მოდის, იმიტომ რომ ხშირად არ არის თბილისში. მარტოხელა მდიდარ კაცს უყვარს ევროპაში მოგზაურობა, და იქ უმიზნო ჭვრეტაზე როდი ხარჯავს დროს. კითხულობს, აზროვნებს, ყველაფერს უკვირდება და ცდილობს საღი აზრის შენარ-

ჩუნებას. აი ვის ვერ დავწამებთ ბიუროკრატიზმს, დადგენილი ნორმებისა და წესებისადმი მონობას! ხშირად ისეთი წინადადებები შეშოაქვს და ისეთ სიტყვებს წარმოთქვამს, რომლებიც გამსჭვალულია მგზნებარე გააზრებული სურვილით მოუტანოს ხალხს სარგებლობა, მაგრამ კანონიერებას ნაკლებად შეიცავს. სულ არ აწუხებს, შეესაბამება თუ არა ესა თუ ის წინადადება ცირკულარებს, დადგენილებებს, წესებს, განკარგულებებს და ა. შ. — ოღონდ კი ქალაქის ინტერესებს შეესაბამებოდეს და სხვა არაფერი აინტერესებს. ამიტომ, მის სიტყვებში მუდამ იგძნობა რაღაც ახალი, ახალი სამყარო. მართალია არ ივარგებდა, რომ ყველა მისი წინადადება განუსჯელად მიგვეღო, — მე პირველი გავილაშქრებდი ამის წინააღმდეგ. მაგრამ ყოველ წარმომადგენლობით მმართველობას უნდა ჰქონდეს უკიდურესი ოპოზიცია, რომელიც ისწრაფვის dahin, dahin[45] წმინდა იდეალებისა და თეორიების სამყაროში. უმეტესობა მოუსმენს მას, დაინახავს, თუ რა არის მის სიტყვებში გონივრული და უშუალოდ შესაძლებელი, შეიმუშავებს პრაქტიკულ გზას, დანარჩენს კი ყურად არ იღებს ისევე, როგორც ბულბულის გალობას ან ოპერის მელოდიებს. ამის შემდეგ ადამიანის სულიც და მასებიც შვებას იგრძნობენ, — თითქოს ახალმა სიომ დაუბერაო... საბჭოს დანარჩენ წევრთაგან მოვიხსენიებთ, უწინარეს ყოვლისა, ლიტერატორებს: ბ-ბს არწრუნს და იოანისიანს, მაგრამ ორივეზე ერთად ვილაპარაკებ.

ორივე ახალგაზრდაა, შეძლებული, პატივმოყვარე, — ამ სიტყვის კარგი მნიშვნელობით. ვფიქრობ, მომავალში ორივე გავლენიანი იქნება. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს, ვინაიდან მათი მდგომარეობის ადამიანებისათვის გავლენის მოპოვება ძნელი არ არის. ორივე მუშაობს და მიზნად ისახავს სარგებლობა მოუტანოს თავის საზოგადოებას, და დარწმუნებული ვარ, რომ არც თუ უმნიშვნელო სარგებლობა მოუტანეს, თუმცა მწამს, ათჯერ მეტის გაკეთება შეეძლოთ, რომ მოენდომებიათ და სცოდნოდათ — როგორ. ზედმეტად მიმაჩნია მათი სრული დახასიათება: მომავლისა და მოქმედების ადამიანებია და არა ერთხელ მოედებიან ჩემს კალამს, ან ჩემს კბილებს, და მე სრულიად გულწრფელად ვიტყვი როგორც მათ ქებას, ისევე ძაგებას. აქ კი მათზე მხოლოდ ისე ვმსჯელობ, როგორც საბჭოს წევრებზე.

არ ვიცი განზრახ აკეთებენ ამას თუ უნებურად, მაგრამ საბჭოს სხდომებზე საკმაოდ უღიმღამო როლს თამაშობენ. იშვიათად, და არც თუ მოსწრებულად ლაპარაკობენ.

ჩანს, ნაკლებად ცდილობენ გაეცნონ საკითხების იმ პრაქტიკულ

მხარეებს, რაზედაც საბჭომ უნდა იმსჯელოს. მათი შენიშვნების მეტი წილი საერთო საკითხების და აზრების ირგვლივ ტრიალებს და, სამწუხაროდ, აქამდე ვერ მოახერხეს საბჭოს წევრებზე გავლენის მოპოება. ძალიან მწყდება გული ამის გამო. ლიტერატურის წარმომადგენლებს აქვთ შესაძლებლობა შეიქმნან ადგილობრივ თვითმმართველობაში ღირსეული და ორიგინალური როლი, — პრაქტიკულად გამოიყენონ საერთო მასშტაბი ყოველ კერძო საკითხში. როცა ამას საერთო ფრაზებით აკეთებ, საბჭოზე ზეგავლენას ვერ მოახდენ. მაგრამ აბა სცადეთ და დეტალურად შეისწავლეთ ყოველი კერძო საკითხი, და შეეცადეთ გამოიყენოთ იგი პოლიტიკური ეკონომიისა და საზოგადოებრივი მეცნიერების დასკვნებსა და დებულებებში, და თქვენ დაინახავთ, რომ თქვენ მოგისმენენ, მოგმართავენ, თქვენ სარგებლობას მოიტანთ...

დანარჩენ წევრებზე, ჯერჯერობით, ვერაფერს ვიტყვი. იშვიათად გამოთქვამენ თავიანთ აზრს და მეც ნაკლებად ვიცნობ მათ საბჭოს წევრების როლში. ფიზიონომიის მიხედვით ხომ ვერ ვიმსჯელებ!

მაგრამ არ შემიძლია რამდენიმე სიტყვა არ ვთქვა ჩვენი საბჭოს თვალსაჩინო მოვლენაზე. ჩვენცა გვყვანან ჩვენი აბსენტეისტები. მათ სათავეში უდგას თავადი ნ. ი. ამატუნი, რომლის შესახებაც უფლება მაქვს ვთქვა ზოგი რამ, იმიტომ რომ არაერთხელ მომისმენია მისთვის საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელთა წარმომადგენლობით კრებებზე.

ბუნებამ უხვად დააჯილდოვა ეს ადამიანი ყველაფრით, რაც აუცილებელია თანამედროვე გავლენის მოსაპოვებლად, საკუთარი თვალსაზრისის და აზრების განსახორციელებლად, საკუთარი თვალსაზრისიც გააჩნია, ორიგინალურადაც აზროვნებს და თამამიცაა, მაგრამ გულუხვად ფანტავს ყოველივე ამას, რადგან პირადი ცხოვრების ვიწრო ინტერესებს მისცემია. საფრანგეთში რომ დაბადებულიყო, ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე იქნებოდა. მაგრამ იგი თბილისში დაიბადა. ეს კიდევ არაფერი; თბილისში ცხოვრობდა ისეთ წრეში, რომელიც არასერიოზულად უყურებდა ადამიანის დანიშნულებას და აი, ამ წრეში წვრილმან სიამოვნებას, და კიდევ უფრო წვრილმან ინტერესებს, შეალია ძვირფასი ძალები, რის შემწეობითაც არც თუ ცოტა სარგებლობას მოუტანდა საზოგადოებას, რომელიც მეტად ღარიბია ამგვარი ტალანტებითა და ტემპერამენტებით. დასანანია, თუ ბოლოს იძულებული ვიქნებით ხელი ჩავიქნიოთ მასზე.

* * *

ვამთავრებ ჩემს დახასიათებებს და თავს ნებას ვაძლევ ვკითხო მკითხველს: ნუთუ ჩვენი ქალაქი და ჩვენი ასათასიანი მოსახლეობა სწორად და პროპორციულადაა წარმოდგენილი ახლანდელ საბჭოში? დადიხარ ქუჩაში და ხედავ ისეთ პირებს, რომლებიც საბჭოს ჩინებული წევრები იქნებოდნენ, მცოდნე, გონიერ, დამოუკიდებელ პირებს, შედიხარ საბჭოში და გაოცებს ეს კოლექცია — ლამის მთქნარებით მოკვდნენ. ალბათ, უმძიმთ დაკისრებული როლის შესრულება. ნუთუ მუდამ ასე იქნება?

25. ადგილობრივი მიმოხილვა

28 დეკემბერი, ბაქო (ობზორის კორესპონდენცია). ჩვენი ცხოვრების ჩვეულებრივ მოვლენათა შორის, რაც საკმაოდ წყნარად და თანაბრად მიმდინარეობს, გამოირჩევა ჩვენი საოლქო მოსამართლის ა. მ. ლისოვსკის უეცარი გამგზავრება პეტერბურგში. ეტყობა ეს გამგზავრება გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, რომლებიც საზოგადოებრივ ყურადღებას იმსახურებენ და ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია გაგაცნოთ ისინი იმ სახით, როგორც მათ ჩვენი ქალაქის საბჭოები ხსნიან.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი სასამართლო ბოქაულების არჩევნები საკმაოდ უხეიროდ ჩატარდა. ყოფილი სასამართლო პრისტავი მენჟინსკი, თანამდებობის მრავალჯერ ბოროტად გამოყენებისათვის, სასამართლოს კი არ გადასცეს, არამედ თანამდებობიდან გადააყენეს, ხოლო ახლანდელი სასამართლო ბოქაულის მაჩინსკის საქმე, თბილისის სასამართლო პალატის გადაწყვეტილებით, საგამომძიებლო ორგანოებს გადასცეს, რადგან ბრალს დებენ სხვადასხვაგვარ თაღლითობაში და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში. ამბობენ, ამის გამო, სასამართლო პალატის მიერ ვიღაც იარემკევიჩის საჩივრის საფუძველზე კერძო რწმუნებულის ან ვექილის დანიშვნა საკმაოდ დუნედ და ნელა მიმდინარეობდა. იარემკევიჩმა, რომელიც ამ ამბავს აწერდა სასამართლოს თავმჯდომარის ბატ. ლისიცკის ერთგვარ გავლენას, რადგან ბატ. მაჩინსკი მისი გერია, საჩივარი შეიტანა სასამართლო პალატაში, რომელსაც სთხოვდა პასუხი მოეთხოვათ ბატ. ლისოვსკისათვის მიკერძოებისა და დაფარვის გამო, სასამართლო პალატამ არ განიხილა იარემკევიჩის საჩივრის არსი და სრულიად სამართლიანად აიცილა თავიდან, საფუძვლად კი ის დაუდო, რომ ამგვარი საჩივრები უნდა შეიტანონ იმ დაწესებულებაში, რომელსაც უფლება აქვს სასამართლოს გადასცეს ის პირი, ვისზედაც შეტანილია საჩივარი. ამ შემთხვევაში, სასამართლოს თავმჯდომარის მიმართ ამგვარი დაწესებულებაა სენატი და არა სასამართლო პალატა.

ბატ. იარემკევიჩი თურმე ასედაც მოიქცა. მან საჩივარი სახელმ-

წიფო სენატში გაგზავნა, რომელმაც მალე მოითხოვა კიდეც ბატ-ლისოვსკის ახსნა-განმარტება.

ახსნა-განმარტება, რა თქმა უნდა, მაშინვე გადაგზავნეს სადაც ჯერ არს. საქმე თითქოს ჩვეულებრივი გზით წარიმართა, მაგრამ ნურას უკაცრავად. ამ დღეებში ბატ. ლისოვსკის სახელზე პეტერბურგიდან მოვიდა რაღაც ქაღალდი, რომლის წაკითხვისთანავე ბატ. ლისოვსკი, მაშინვე. იმავე დღეს გაემგზავრა პეტერბურგში.

ამ გამგზავრებამ. რომელსაც არავინ არ ელოდა, ჩვენ ქალაქში ბევრი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რაზედაც, რა თქმა უნდა, ჯერ ადრეა საუბარი. გაგაცანით რა ძირითად ხაზებში საქმის ვითარება, მე დაველოდები უფრო მნიშვნელოვან ცნობებს, რათა გაგაცნოთ რა არის მართალი, გადაუჭარბებელი წარმოშობილ მითქმა-მოთქმასა და საყვედურებში. ბატ. ლისოვსკიზე ახლა ყვირიან ბევრ ანეგდოტს და სასურველი იქნებოდა მათი გაშუქება მიუკერძოებელი მკვლევარის შუქით. მხოლოდ ესაა, რომ გამოკვლევა აღუმატება გაზეთის კორესპონდენტის კომპეტენტურობას. ადვილი შესაძლებელია, რომ გავრცელებული ხმები და ამბები გადაჭარბებულია, მაგრამ მაინც არ იქნებოდა ზედმეტი საქმის გამოკვლევა და ზღაპრებისაგან ჭეშმარიტების გამოყოფა.

ჩვენს ადგილობრივ პრესას სულ უფრო მეტი და მეტი გამოცოცხლება ეტყობა. გარდა ყოველდღიური რუსული გაზეთებისა, „კავკაზისა"[3], „ტიფლისსკი ვესტნიკისა"[1], „ობზორისა"[30] და ერთი ყოველკვირეული ქართული გაზეთის „დროებისა"[7], 15 იანვრიდან თითქმის ყოველდღიურად გამოვა თბილისში სომხური გაზეთი „მშაკი"[32] (მუშა). გარდა ამისა, 3 იანვრიდან გამოდის ყოველდღიური გამოცემა „თბილისის განცხადებები", რომლის სპეციალური დანიშნულებაა ქალაქის აფიშების შეცვლა. ახლა კი „ტიფლისკი ვესტნიკი" იუწყება, რომ განზრახულია თბილისში გამოსცენ ახალი ყოველდღიური სომხური გაზეთი „პსაკი". თუ ეს ხუმრობა არაა, ჩვენ გულით გვიხარია გამოცემათა გაზრდა. რაც უფრო მეტი გაზეთები გვექნება, მით უფრო მეტად აიძულებს მათ კონკურენცია გაზეთის სახელის ღირსნი იყვნენ და ამის შედეგად მეტი მკითხველები გვეყოლება. ყოველთვის სასურველია გაზეთების გამოცემა ადგილობრივ მკვიდრთა ენაზე, რადგან ამ გზით შეაქვთ სინათლე, ცოდნა და ჰუმანიურობა იმ წრეებში, რომელთაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. ამ თვალსაზრისით სამწუხაროა, რომ მხარეს, რომლის მოსახლეობის ნახევარს მუსულმანები შეადგენენ, არც ერთი თათრულ ენაზე გამომავალი გაზეთი არ გააჩნია. დიდი ხნის მეცადინეობისა და მტკიცე ბრძოლის შემდეგ ბაქოს ყოფილმა გუბერნატორმა ბატ. სტა-

როსელსკიმ შესძლო დაეარსებია ბაქოში პირველი და ერთადერთი თათრული გაზეთი „კანჩი“ (მეხრე), რომელიც, სამწუხაროდ, მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო შინაარსისაა. მაგრამ ბატ. სტაროსელსკის ბაქოდან წასვლის შემდეგ ამ გაზეთმაც დაიწყო დაცემა და გასულ წელს სრულიად დაიხურა. ამასთან, ჩვენი მხარის თათარი მოსახლეობის განვითარებას და გამოფხიზლებას არაფერი არ შეუწყობს ხელს ისე, როგორც თათრულ ენაზე გამომავალი პოპულარული და საქმიანი პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთის გამოცემა. მუსულმანთა შორის უკვე საკმარისად ბევრია ისეთი ადამიანები, რომელთაც უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული და საღად უყურებენ ადგილობრივი ცხოვრების მოთხოვნილებებს. ნუთუ მათ შორის არ აღმოჩნდება არც ერთი კაცი, რომელიც მოისურვებს იმუშაოს როგორც ჩვენი მხარის მოქალაქეობრივი უფლებების მოსაპოებლად, ასევე თანამემამულეების საკეთილდღეოდ? ჩვენი აზრით, ეს მათი მოვალეობაა და საკვირველია, რომ ისინი ასე დიდხანს ამბობენ უარს ამ მოვალეობის შესრულებაზე.

26. ადგილობრივი მიმოხილვა

ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი, რომელსაც ვბეჭდავთ ისე, რომ ვერ დაგვიჯერებია შიგ მოყვანილი ცნობები. ახლანდელი ომის დროს სამედიცინო პერსონალმა საერთოდ თავდადება და საქმისადმი ერთგულება გამოავლინა, მით უფრო გვაოცებს მოყვანილი ამბავი. იმედი გვაქვს, რომ მალე საწინააღმდეგოში დაგვარწმუნებენ. აი, ეს წერილიც:

„ადგილობრივი გაზეთები და კორესპონდენციები გვამცნობდნენ, რომ დუხაბორი მოსახლეობა (ალექსანდროპოლის მახლობლად რომაა) თავგადაკლული ითხოვდა, რომ კიდევ და კიდევ გამოუგზავნონ ავადმყოფი და დაჭრილი ჯარისკაცები. როგორი დიდიც არ უნდა იყოს მოსახლეობის გულკეთილობა და სურვილი იმისა, რომ აღმოუჩინონ ძმებს დახმარება, ეს გრძნობა მალე ამოიწურება, თუ ავადმყოფ და დაჭრილ ჯარისკაცთა დაბებში განაწილების წესი და მათი მკურნალობა დუხობორებს შორისაც ისეთივე წესით იწარმოებს, როგორც ეს ხდება გერმანულ დაბა ასურეთში (თეთრი წყაროს მახლობლად). აქ ავადმყოფი და დაჭრილი ჯარისკაცები, რომლებიც წვანან სოფლელების სახლებში, მიტოვებულნი არიან ბედის ანაბარა და სახლის პატრონები თუ უწევენ სულგრძელად, შეძლებისდაგვარ, დახმარებას. ამ ავადმყოფებს მიუჩინეს ექიმი, რომელიც ასურეთშივე ცხოვრობს, მაგრამ ბევრი ავადმყოფი არც კი უნახავს და არც აპირებს მათ ნახვას, რადგან განკარგულება გასცა — ვისაც ჩემი თავი სჭირდება, ბინაზე გამომეცხადოსო. მათ რიცხვს განეკუთვნება ერთი ჯარისკაციც, რომელიც კისერშია დაჭრილი და ციებით იტანჯება, მაგრამ, რაც ასურეთშია, ერთხელ არ მიუღია რაიმე სამედიცინო დახმარება. მოწყალების დები და ძმები, ალბათ, ექიმის პატივისცემის გამო, ცდილობენ არ შეურაცხყონ იგი განსაკუთრებული გულმოდგინეობით და თავის მოვალეობაზე ხელი აიღეს, თითქმის არაფერს არ აკეთებენ, და დასუსტებული ავადმყოფებისთვის საცვლების და თეთრეულის გამოცვლა სახლის პატრონების მოვალეობად გახდა. გარდა ამისა, ავადმყოფებს არც ჩაის აძლევენ, არც თამბაქოს, რადგან სადღაც გზაში იკარგება და დანიშნულების ადგი-

ლამდე ვერ აღწევს, და ავადმყოფები უნდა სჯერდებოდნენ მხოლოდ წვნიანს, პურს და პორციონის ფულს დღეში 35 კაპ., რასაც სახლის პატრონებს აძლევს ავადმყოფების განმანაწილებელი ოფიცერი; ბ-ნი ოფიცრის გულმავიწყობის წყალობით, ხაზინის მიერ ერთ კაცზე გაღებული 45 კაპიკი 35 კაპიკად იქცა მხოლოდ მამასახლისის (ტულცის) შეხსენებამ, რომელმაც შემთხვევით გაიგო ჯარისკაცებისათვის დაწესებული პორციონის ნაშდვილი ციფრი, გამოიწვია ბ-ნ ოფიცრის მხრივ ავადმყოფი ჯარისკაცების სარჩენის სწორი გაცემა. მამასახლისს წინადადება მისცეს ხელი მოეწერა ავადმყოფებისათვის ღვინის ხარჯზე, მაგრამ მან ამაზე უარი თქვა, რადგანაც ეს უკანასკნელი არავითარ ხარჯს არ იწვევდა, სახლის კეთილი პატრონები უსასყიდლოდ იძლეოდნენ ღვინოს. რა გასაკვირია, თუ ამ წყალობას ბოლო მოეღება; რა მოეთხოვება ზემოხსენებული ბატონების თავიანთი მოვალეობისადმი ესოდენ გულგრილი დამოკიდებულების შემხედვარე ხალხს, მათ ხომ ავადმყოფების მოვლა-პატრონობა დაეკისრათ.

6 იანვარს „ტიფლისსკი ვესტნიკში" ვკითხულობთ:

„დღეს გაზეთმა „ობზორმა"[36] განაცხადა, რომ დ. ი. ყიფიანის კანდიდატურა ქალაქის თავის თანამდებობაზე თბილისის ბეჭდვითმა ორგანოებმა — გაზეთებმა „მშაკმა"[32] „ტიფლისსკი ვესტნიკმა"[1] და „დროებამ"[7] წამოაყენეს, და ამრიგად მისი არჩევის ინიციატივა მათ მიეწერა. ამის მტკიცება მთლად სწორი არ არის:

ბ-ნ ყიფიანის კანდიდატურის ინიციატივა ეკუთვნის თბილისის საბჭოს ერთ ფრაქციას, რომელიც თავს იყრიდა გაზეთ „მშაკის" რედაქციის შენობაში. ამ ფრაქციამ თავის წრეში მოახდინა რამდენიმე პირის, როგორც ქალაქის თავის თანამდებობის კანდიდატთა კენჭის ყრა. როდესაც ფარული კენჭის ყრის გზით ხმების უმრავლესობამ დ. ი. ყიფიანის კანდიდატურას დაუჭირა მხარი, საბჭოს წევრების ფრაქციამ დაადგინა წამოეყენებინა ეს კანდიდატურა საბჭოშიც. მხოლოდ ამ დადგენილების შემდეგ, თბილისის ბეჭდვითმა ორგანოებმა მხარი დაუჭირეს საბჭოს ბატონი წევრების მიერ წამოყენებულ კანდიდატურას, თანაც „ტიფლისსკი ვესტნიკი" დ. ი. ყიფიანის ბიოგრაფიის დაბეჭდვას დასჯერდა".

ამ ფაქტიურად უდაო, სწორი მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ ბ-ნ ყიფიანის წამოყენების ინიციატივა მთლიანად საბჭოს წევრებს ეკუთვნის, ხოლო თბილისის ბეჭდვითი ორგანოების როლი ამ საქმეში ამ კანდიდატურის „მხარდაჭერით" იფარგლება და არა აქვს

ის გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომელსაც მათ გაზეთი „ობზორი“ მიაწერს“.

თუმცა ეს ყველაფერი წვრილმანია, რომელიც საქმის ფორმალურ და გარეგან მხარეს ეხება, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია შევახსენოთ „ტიფლისსკი ვესტნიკს“, მოვაგონოთ ჟურნალისტების შეკრება „დროების“ რედაქტორთან, რაც რამდენიმე დღით უსწრებდა „მშაკის“ რედაქტორთან საბჭოს წევრების კრებას.

27. უცხოეთის ამბები

რუსების მიერ სოფიის დაკავებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ისეთი თურქოფილური გაზეთიც კი, როგორიცაა „N. F. Presse“ და აღნიშნავს, რომ პლევნას აღების შემდეგ ეს ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატებაა, რომელიც რუსეთის ჯარებმა ევროპაში მოიპოვეს. „ამ დიდი, ხალხმრავალი ქალაქების ხელში ჩაგდებით, — ამბობს გაზეთი, — რუსებმა დაიკავეს ახალი ერცელი მხარე ჯარის სურსათ-სანოვაგით მოსამარაგებლად, ყოველ შემთხვევაში, ბოლო მოეღება გაჭირვებას და ხელმოკლეობას, რასაც დასავლეთის არმია განიცდიდა. გარდა ამისა, სოფია მარჯვე რუსი ინჟინრების ხელში შეიძლება გადაიქცეს პირველხარისხოვან ციხე-სიმაგრედ და ბაზისად ფილიპოპოლისა და ანდრიანოპოლის წინააღმდეგ ოპერაციების საწარმოებლად. და ბოლოს, არ შეიძლება უგულვებელვყოთ, რომ სოფიის დაკავება რუსებისათვის პოლიტიკურად ხელსაყრელია. ვინაიდან მთელი ჩრდილო ბულგარეთი, ციხე-სიმაგრეთა ოთხკუთხედის გარდა, რუსეთის ჯარებმა დაიკავეს, სოფიაში, ალბათ, დაარსდება ბულგარეთის ხალხის წარმომადგენელთა საკრებულო, რომლის დაარსება უწინ ტრნოვეში ჰქონდათ განზრახული.

სოფიის ქვაბური განეკუთვნება იმ ოროგრაფიულ ფორმაციათა რიგს, რომლებიც მარადჟამს იყვნენ და იქნებიან ადამიანთა მისწრაფებებისა და ბრძოლის ცენტრები. მატერიკის ერთ-ერთი უმთავრესი სავაჭრო არტერია, გზა ბელგრადიდან კონსტანტინეპოლისაკენ, დიდ მანძილზე გასდევს სოფიის ოვალურ დაბლობს, საიდანაც, უზარმაზარი ობობას ქსელის რადიუსისებრი ძაფების მსგავსად, მრავალი სხვა გზა მიდის ძველ სერბიაში, ბულგარეთში, რუმელიაში, თრაკიასა და მაკედონიაში. ეს სოფიას ისეთ სავაჭრო მნიშვნელობას ანიჭებს, რომელიც ბალკანეთის ნახევარკუნძულის მრავალ სხვა ქალაქს არა აქვს. მაგრამ ამ მნიშვნელობის გარდა, სოფიას სხვა, უფრო არსებითი მნიშვნელობაც აქვს: იგი ძველთაგანვე ყოფილა სისხლისმღვრელი და გადამწყვეტი ბრძოლების ასპარეზი. აქ, ისევე,

როგორც ყველგან, მეომარს უნებურად უხდებოდა გაჰყოლოდა ვაჭრისა და მხვნელის კვალს.

* * *

ბუხარესტის გაზეთი „Timpul“ იუწყება, რომ ოსმანის შტაბის ცნობილი უფროსი ახალგაზრდა თევფიკ-ფაშა, ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი თურქი გენერალი, ტურნ-მაგურელისკენ გაემართა. მწუხარება, რომელიც მიაყენა მას პლევნის არმიისა და მისი მთავარსარდლის სავალალო ბედმა, იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ თვითმკვლელობამდე მიიყვანა იგი.

* * *

„Deily News“-მა ვენიდან ცნობა მიიღო, რომ დიდი ვეზირი სეპარატული მოლაპარაკების წინააღმდეგია და ერთ პირთან საუბარში თავისი თვალსაზრისი იმით დაასაბუთა, რომ თურქეთს სურს სამსახური გაუწიოს თავის მახლობელ მეზობელს, ავსტრიასო. საფრთხე, რომელიც თურქეთს ემუქრება, ამავე დროს, ბუნებრივად, ავსტრიასაც ემუქრება. თურქეთი დაინტერესებულია იმით, რომ იმოქმედოს მხოლოდ ავსტრიასთან, რომლისთვისაც იგი პანსლავიზმის საწინააღმდეგო იარაღია (?!)

* * *

ვოლფის სააგენტოს მიერ 26 დეკემბერს კონსტანტინეპოლიდან მიღებული დეპეშა გვამცნობს შემდეგს: „ინგლისის ელჩი ლეიიარდი გადაჭრით აცხადებს, რომ მას პორტის დიდ მოხელეებთან კერძო საუბარშიც კი, არასდროს არ მიუცია მათთვის იმის იმედი, რომ თურქეთმა შეიძლება ინგლისისგან დახმარება მიიღოს.

* * *

ბუქარესტიდან გვაცნობებენ „Politische Correspondenz“-ში, რომ რუმინეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება სანკტ-პეტერბურგში, რომსა და ბელგრადში, აქიერიდან იყოლიოს მუდმივი დიპლომატიური აგენტები, რომელთა თანამდებობები, მისი განმარტების თანახმად, ეკონომიური მოსაზრებების შედეგად იყო გაუქმებული. კოგალნიჩანუმ ამასთან დაკავშირებით პალატის სხდომაზე კანონპროექტი შეიტანა. „თქვენთვის კარგადაა ცნობილი, — თქვა მინისტრმა, — რომ ამჟამად პეტერბურგი წარმოადგენს ცენტრს, რომლის ირგვლივაც ტრიალებს ევროპის დიპლომატიის მთელი საქმიანობა, და ამიტომ, რაღა თქმა უნდა, აუცილებელია, რომ ჩვენს ქვეყანას იქ თავისი წარმომადგენელი ჰყავდესო“.

— იმავე გაზეთში ნათქვამია, რომ გალაცის ზემოთ, ორი კილომეტრის დაშორებით, გაპყავთ გზა დუნაის ყინულზე. იმასვე გააკეთებენ სისტოვოსთანაც.

* * *

ამას წინათ ქიმიკოსმა პიკტემ ერთ-ერთი უდიდესი აღმოჩენა მოახდინა — სახელდობრ, მოახერხა ჟანგბადის თხევად მდგომარეობაში გადაყვანა. ამის შემდეგ მეორე მეცნიერმა — კალიეტემ შესძლო წყალბადის და აზოტის გათხევადება. ეს ორი აღმოჩენა უდაოდ გავლენას მოახდენს ქიმიის დარგში ცოდნის გაღრმავებასა და შემდგომ განვითარებაზე.

* * *

სტატისტიკური ცნობებით გერმანიაში 1876 წლის დამლევს 38 სიცოცხლის დამზღვევი საზოგადოება იყო. ამ საზოგადოებებში 1876 წლის განმავლობაში 66,114 ახალი პირი შევიდა, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე 245.501,418 მარკად დააზღვიეს. 1876 წლის დამლევს დაზღვეულ პირთა რიცხვი ყველა გერმანულ საზოგადოებაში 555,128 კაცს აღწევდა, რომელთა სიკვდილის შემდეგ უნდა გაიცეს 1.760.053,121 მარკა. 1876 წელს სიკვდილიანობის 8,767 შემთხვევას ჰქონდა ადგილი. რის გამოც 38 გერმანულმა საზოგადოებამ გადაიხადა 23.103,262 მარკა ან 37.45 პროცენტი მთელი წლიური შემოსავლისა.

* * *

ათენიდან მიღებული ცნობების თანახმად, საბერძნეთი განაგრძობს შეიარაღებას. ნავილიასა და პაროსში დიდძალი საომარი მასალა ჩაიტანეს. იანვრის შუა რიცხვებში მეორე კლასის რეზერვს მოუწოდებენ იარაღისკენ, ხოლო პირველი გაწვევის რეზერვი, რომლის სამსახურის ვადა მომავალი თვის პირველ რიცხვებში იწურება, არ იქნება დათხოვნილი და სამხედრო სამსახურში დარჩება. მეფე თავისი ადიუტანტის თანხლებით გაემგზავრა კოლხიის ბანაკში, იქ თავმოყრილი ჯარების დასათვალიერებლად. ლამიაში საბერძნეთის ჯარები მეფეს აღტაცებული შეძახილებით შეეგებნენ და მოითხოვდნენ, რომ ბრძოლაში წაეყვანათ. სწრაფად მიმდინარეობს საბერძნე-

თის ფლოტის კადრების დაკომპლექტება. კრიტის კუნძულზე ამბოხება დღითი-დღე სულ უფრო ფართოვდება. აქაური ცნობების თანახმად, კლოსოს და ჰერაკლიონის თემთა მცხოვრებთაც აიღეს ხელში იარაღი და თავისი სოფლებიდან თურქი მოხელენი განდევნეს. კერძო გეგმებს, მიუხედავად თურქეთის სამხედრო გეგმის „სიფხიზლისა", ყოველდღე მოაქვთ საომარი და საამუნიციო მარაგი აჯანყებულთათვის. მუსულმანმა მოსახლეობამ ფორტებს შეაფარა თავი.

28. რიუსტოვის აზრი თანამედროვე ომზე

თბილისი, 8 იანვარი.

ცნობილი სამხედრო წერილი, შვეიცარიის სამსახურის პოლკოვნიკი რიუსტოვი შეპირდა „ოსზერვერს“ ქმედით თანამშრომლობას და გამოგვიგზავნა თავისი თხზულების „1877 წლის აღმოსავლეთის ომის“ გამოქვეყნებული გამოცემები და შემდეგი გამოცემების გამოუქვეყნებელი ფურცლები. გარდა ამისა, იგი გვპირდება ორიგინალურ სტატიებს თანამედროვე სამხედრო ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებზე. ჩვენდამი გამოგზავნილ წერილში რამდენიმე სიტყვით გამოთქვამს თავის თვალსაზრისს თანამედროვე კრიზისზე. იმ მწერლის აზრს, რომლის ავტორიტეტს აღიარებს ჩვენი დროის ყველა სამხედრო პირი, ისეთი ფასი აქვს პოლიტიკური პრესისათვის, რომ უფლებას ვაძლევ ჩვენს თავს მკითხველს მივაწოდო რამდენიმე ნაწყვეტი ამ კერძო წერილიდან. დავსძენთ, რომ წერილი დაწერილია 26 დეკემბერს (7 იანვარს):

„...ჩემი აზრით, ჩვენ სრულიადაც არ მივუახლოვდით ომის დასასრულს. რუსეთს, რომელმაც 1877 წ. გაზაფხულზე დაიწყო, ან სურდა დაეწყო თურქეთის წინააღმდეგ ომი ევროპაში 8 ფეხოსანი დივიზიით, ამჟამად ევროპის და აზიის ბრძოლის ველებზე 48 დივიზიიდან (გვარდიისა და გრენადერების ჩათვლით), რაც მისი სამხედრო ორგანიზაციის საფუძველს შეადგენს, 40 ფეხოსანი დივიზია ჰყავს.

„რუსეთს არ შეუძლია ამ ომის დამთავრება ისე, თუ საკმაო შედეგებს არ მიაღწია, ე. ი. თუ თურქები არ განდევნა ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან. მან მეტისმეტად დიდი მსხვერპლი გაიღო და ახლა ვერ დააკმაყოფილებ ცარიელი სიტყვებით, დაპირებებით და მთელი იმ დიპლომატიური ძველმანებით, რომელსაც ევროპული პოლიტიკოსები ასე თავქარიანად მიმოაბნევენ, მაგრამ მათ თანამედროვე ხალხების სიბრძნე არ სცნობს და მასხარად იგდებს.

„ადვილი შესაძლებელია, ინგლისს ჩაითრევს ახლანდელ ომში

ბისი წვრილმანი პოლიტიკური ვაჭრული ინტერესები ისე, რომ თვითონაც ვერ გაერკვევა წესიერად როგორ და რისთვის.

ასეთ შემთხვევაში, ჩემი შენიშვნები, წიგნში „აღმოსავლეთის ომი“ სუეცის არხის და ეგვიპტეს შესახებ თანამედროვეობის უეჭველ და სრულ ინტერესს მოიპოვებს, და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ბევი ადამიანები ცოტას როდი იცინოდნენ ამ შენიშვნების გამო.

„საჭიროა, რომ რუსეთმა ახლა განაგრძოს თავისი იერიშები, რათა ერთხელ და სამუდამოდ განახორციელოს დასახული ამოცანა. ამას მომენტიც უწყობს ხელს. ვერც პორტას და ვერც ინგლისს ვერ უშოვია ახლა ევროპაში მოკავშირეები. ღმერთმა უწყის ასევე იქნება თუ არა ათი წლის შემდეგ“.

ჩვენ მკითხველს გავაცანით რიუსტოვის აზრი იმ კრიზისზე, რომელსაც განვიცდით. ახლა თავს ნებას ვაძლევთ მოვიყვანოთ იმავე წერილიდან კიდევ ერთი ნაწყვეტი, რომელიც გამოხატავს რიუსტოვის განწყობილებას ჩვენი არმიისადმი:

„ყველაფერს გავაკეთებ, რაც კი შესაძლებელია, გვწერს იგი, რათა თქვენი სურვილი შევასრულო და ბედნიერი ვიქნები, თუ ვნახავ, რომ ჩემი შეხედულებები გამოძახილს ჰპოებს კავკასიაში, კავკასიის არმიაში, რომელიც იქ ასე მარაცურად, გმირულად და ვაჟკაცურად იბრძვის“.

ახლო მომავალში დავიწყებთ რიუსტოვის თხზულებათა ბეჭდვას, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა ჩვენს საზღვრებში და ბცირე აზიაში სამხედრო მოქმედებათა დეტალურ აღწერას.

29. ინგლისის ორმაგი თამაში

თბილისი, 9 იანვარი.

უკანასკნელმა დეპეშებმა გვამცნეს მთელი რიგი ძალიან მნიშვნელოვანი ამბები, რომლებსაც შეიძლება ბევრი რამ მოჰყვეს. ერთი მხრივ ინგლისის დედოფლის სეფე სიტყვის მოკლე რეზიუმე, რომელშიც დედოფალი მერყეობს დადებით და უარყოფით გადაწყვეტილებას შორის, და, მეორე მხრივ, მრავლის დამპირებელი ცნობები დუნაის საომარ მოქმედებათა ასპარეზიდან, საქმის ნამდვილი ვითარების სავსებით სწორ სურათს წარმოგვიდგენენ. იმ დროს, როდესაც ჩვენი არმია მტკიცედ მიიწევს წინ მრავალ დაბრკოლებათა გადალახვით, ინგლისის სამინისტროს ვერ გაუბედია გარკვეულად გამოთქვას თავისი აზრი და ვერ მოუხერხებია პირდაპირ დააყენოს საკითხი, თუმცა პარლამენტს კრედიტს სთხოვს მოსალოდნელი სამხედრო ხარჯებისათვის.

ის ამბავი, თუ როგორ შეხედავს ამას პარლამენტი, ჩვენთვის ამ დღეებში გახდება ცნობილი და მაშინ უფრო კომპეტენტურად, ვიდრე ახლა, შევძლებთ იმის თქმას. თუ რაოდენად ქმედითი და გადამწყვეტი იქნება ინგლისის მონაწილეობა მომავლის ისტორიის შექმნაში და რამდენად ქმედითად დაიცავს თავის აღმოსავლურ ინტერესებს.

მაგრამ, სანამ ინგლისის სამინისტრო ცდილობს პარლამენტში კენჭის ყრის გზით კულისების გარეთ მოღვაწეობის სანქცია მიიღოს, ჩვენი ჯარები სწრაფად მიიწევენ მიზნისაკენ, ქალაქიდან ქალაქში გადადიან და არა უგვიანეს რამდენიმე დღისა იქნებიან ანდრიანოპოლში, სადაც საკითხის გადაწყვეტა არც ორატორულ ხელოვნებას მოითხოვს და არც საპარლამენტო ტაქტიკას.

მაგრამ, მცდარი იქნებოდა გვეფიქრა, თითქოსდა ინგლისმა უარი თქვა რუსეთთან ბრძოლაზე. უკანასკნელ ხანებში მას იმედი მიეცა, რომ უზრუნველჰყოფს თავის ინტერესებს აღმოსავლეთში ისე, რომ თავის ჯარისკაცებს სისხლის ერთ წვეთსაც კი არ დააღვრევინებს და

თავის სკივრებიდან გროშსაც კი არ დახარჯავს. მაგრამ თუ ამ გზით ვერ მოახერხებს მათ უზრუნველყოფას, მაშინ არც ევროპაში ომის გაჩაღებას მოერიდება. თუმცა აშკარად ეტყობა, რომ დაწყებული მოლაპარაკების ასეთი მშვიდობიანი დასასრულის იმედი ნაკლებად აქვს. დედოფალ ვიქტორიას სეფე სიტყვა პირდაპირ ზიმართავს ბრიტანელი ერის გულუხვობას, ხოლო ასეთი მიმართვები უბრალოდ და სხვათაშორის როდი კეთდება. გარდა ამისა, საერთაშორისო საგენტოს დღევანდელი დეპეშა პირდაპირ გვაცნობებს, რომ ინგლისმა მოსთხოვა პორტას გაატაროს დარდანელზე ბრიტანეთის ფლოტი, რათა ვალიპოლი დაიკავოს. ეს მოთხოვნა გასულ ზაფხულს უკვე წაუყენა პორტას, მაგრამ მაშინ ამ უკანასკნელმა მოსთხოვა ინგლისს წინასწარი სათავდაცვო ხელშეკრულების დადება ინგლისსა და თურქეთს შორის. პორტას ახალი პასუხი იმავე ხასიათს ატარებს და ადვილი შესაძლებელია. რომ ინგლისსა და რუსეთს შორის უშუალო შეთანხმების წარუმატებლობის შემთხვევაში, ინგლისი იმაზეც კი წავა, რომ თურქეთს დაუკავშირდება.

ამგვარად ვლინდება ინგლისის დიპლომატიის ორმაგი თამაში, რომელიც საკვანძო შეესაბამება მის როლსა და ინტერესებს. მას სურს შიაღწიოს თავისი ინტერესების დაკმაყოფილებას ყოველგვარი ხარჯისა და მსხვერპლის გარეშე, ე. ი. სურს რუსეთის ხარჯზე მოიპოვოს ხელი, რასაც ასე შესანიშნავად ახერხებს ამჟამად ავსტრია.

მაგრამ შეგნებული აქვს, რომ შესაძლოა ვერც მოახერხოს ეს და ამიტომ მზადაა უმტროს რუსეთს. და რამდენადაც არ გაგვაჩნია საფუძველი ვიფიქროთ. რომ რუსეთი, რომელიც ავსტრიასთან საკმაოდ ღიე და არსებით დათმობაზე მიდის, ინგლისის სასარგებლოდაც ასევე მოიქცევა. საფიქრებელია, რომ უკანასკნელი კვირეების მშვიდობიანი განწყობილება, ალბათ, მალე ძლიერი ქარიშხლით შეიცვლება. როგორც ცნობილია, ყველაზე ძლიერი ქარიშხალი მყუდროებას, „ულრუბლო დღეს“ მოჰყვება ხოლმე.

გარდა ამისა, მკითხველთა ყურადღება იმ გარემოებაზეც მინდა გავამახვილო, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის შეთანხმების შემთხვევაშიც. რამდენადაც ეს შეთანხმება მხოლოდ საფრანგეთის საზიანო იქნება, აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტაში ახალი ფაქტორი გაჩნდება. ეს ფაქტორი იქნება საფრანგეთი, რომელიც არც ისე გულგრილია ამ საკითხისადმი, როგორც ჩვეულებრივ პრესაში აღნიშნავენ.

30. პრესის გიგიენილვა

ფოსტა წესიერად აღარ მოდის. ორი დღეა არაფერი მიგვიღია და ღღეს მოგვიტანეს ამ ორი ფოსტის ნაწილი, მაგრამ მეტი წილი გაზეთებისა დაკარგულია.

ნ. ა. ნეკრასოვზე დაწერილ მთელ რიგ სანეკროლოგო წერილებში ყურადღებას მნიშვნელოდ გაზვთ „ნოვოსტის“[19] შენიშვნა იმსახურებს, სადაც არა აქვს ადგილი პოეტის პიროვნებისადმი ფარისეველობას. — ე. ი. მის დამსახურებასა და სასიათს არც ამაფერი ღაკლეს და არც მოუმატეს. აი ეს შენიშვნაც:

„დიდი პატიეისცემით ღაკრძალეს პოეტი, ორმოციანი წლების ადამიანი, რომელ[illegible] საშინიბლეს მნოლოდ თავისი მხურვალე სიტყვის ძალა მოსცა ღა აწკარად ალიარა, რომ მეტის მოცემა არ შეეძლო: პოეტისადმი სიყვარულის გარდ., იგრძნობოდა სრული შერიგება ადამიანთან. მდ. „მარე ალიარება იმისა, რომ არ შეიძლება გარკვეული დროის [illegible] ბიანს მოსთხოვო ის, რის მოცემაც. არ ძალუძს. რომ არ შეიძლება გაბეცხავი ქვა ესროლო მწერალს იმის გამო, რომ თავისი პირადი ცხოვრებით არ გასცილებია იმას (და ეს ოსტატურად დაახასიათა შჩედრინმა). რომ ორმოციანი წლების ადამიანთა აღსარება გადმოეცა. ამ მხრივ გუშინდელ ღაკრძალვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, და ღაკრძალვაზე თავმოყრილმა ახალგაზრდობამ დიდი ტაქტი გამოიჩინა. პატივი ღასდო შემოქმედებისა და მეშეუნვარების მუზის მომღერალს“..

* * *

„ბირჟევიე ვედომოსტში“[20] ფელეტონისტი ლექსად შემდეგს გვიწინასწარმეტყველებს მომავალ წელთან დაკავშირებით:

«Вперед без страха и сомнения»
Смотреть вы можете, друзья.
Я не могу назначить срока,
Но общий мир Европу ждет,
Придет к нему и край пророка,
И все по старому пройдет.

Турист, подъехавший к Балканам,
Так рови не увидит вновь;
Остынет к западным славянам
Ореста Миллера любовь.
Привыкнуть все к славянофилу,
К его кликушеству в бреду;
И в семьдесят восьмом году
Пий наконец сойдет в могилу.
От скуки странствовать опять
Начнет дон-Карлос по Европе;
И немцы, вроде Маркса с Гоппе,
Возьмут в аренду всю печать.
И Мак-Магон бояться будет
Не так всех «левых» как жены;
И в «Новом Времени» убудет
Подписка после дней войны,
А сам Суворин поневоле
Другую заиграет роль,
Напомнив нам о Рокамболе,
Неуязвим, как Рокамболь.
Потом, как водится, в Мадриде
Откроют новый заговор,
И «Русский Мир» в другой эгиде
Забудет юнкерский задор.
Затем, не будет двух Катковых,
Катков у нас всегда один, —
Но триста шестьдесят картин
Напишет Айвазовский новых.

თუმცა იგივე პოეტი ფიქრს ეძლევა და ხედავს და ოცნებობს შემდეგს:

К чему ж теперь смотреть назад,
Вздыхая и нахмурив брови?
Там, позади, следы утрат,
Потоки слез, озера крови
И море пролитых чернил
В защиту бойни бесполезной,
Для шовинистов столь любезной,
Ввиду безвременных могил.
Нет, мы не камни и не льдины...
Не те нам грезятся картины...
Стараясь заглянуть вперед,
Мы тихой, мирной ждем годины,
Ждем, — прояснеет неба свод,
Умолкнет пушек рев суровый,

Преобразиться штык в резец,
И типографский шрифт свинцовый
Заменит боевой свинец,
И Крупп, как на металл безвредный,
Начнет смотреть на сталь и медь...
Мечты!.. Но разве в век наш медный
Их не дозволено иметь?»[47]

* * *

„სევერნი ვესტნიკის“[48] კორესპონდენტი აჯამებს ინგლისის ცხოვრებაზე თავის დაკვირვებებს, რომელთა მიზანი იყო, რომ გამოერკვია ინგლისი ომის მომხრეა თუ წინააღმდეგი. მისი აზრით, ეს შედეგები გაწონასწორებულია.

„მშვიდობის მომხრეთა მიტინგები გაცილებით ჭარბობს ომის მომხრეთა მიტინგებს. სამაგიეროდ ლონდონში ომის სულისკვეთებით გაჟღენთილი გაზეთები მეტია, ვიდრე მშვიდობისმოყვარე. პროვინციაში კი მეტია მშვიდობისმოყვარე გაზეთები. საწინააღმდეგო მიმართულების სტატიები ყოველთვიურ ჟურნალებში ერთმანეთს აწონასწორებენ.

კარის, მიწისმფლობელ და სამხედრო არისტოკრატიას ომი უნდა, ხოლო ყველა, ვინც ვაჭრობასთან და მრეწველობასთანაა დაკავშირებული, ომს უფრთხის, მაგრამ არც რუსეთი უყვარს.

მთავრობაში ბიკონსფილდი ომის მომხრეა (ყოველ შემთხვევაში ვარეგნულად), დერბი — მშვიდობის. დერბი ბიკონსფილდზე უფრო პოპულარულია; მაგრამ ბიკონსფილდი დერბიზე გაქნილი და ეშმაკია.

შეაჯამეთ ყოველივე ეს განყოფილებების მიხედვით; პლუსები და მინუსები გაბათილდება და შედეგად ნოლები დაგრჩებათ. საერთო ჯამიც ნოლი იქნება. მაშ რა დასკვნაა შესაძლებელი? სასწორის ჯამები ერთ დონეზეა და სრულიად უბრალო გარემოებას შეუძლია გადაწონოს ერთი ან მეორე მხარე. შოვინისტებს შეუძლიათ უცბად ნახონ ომის საბაბი, ან რუსეთის სულგრძელმა პოლიტიკამ შეიძლება ეს ქვეყანა ისეთ სიმაღლეზე აიყვანოს ინგლისელი ერის თვალში, რომელზედაც აქამდე არც ერთი ერი არ მდგარა“.

იმავე გაზეთის მეორე კორესპონდენტი იასიდან თურქ ტყვეთა მდგომარეობის საშინელ სურათს გვიხატავს.

„ტყვეები ბარაკიდან შორს იყვნენ, ტრიალ მინდორში. იმ დღეს საკმაოდ ცივი, ძვალ-რბილში გამტანი ქარი ქროდა, საერთოდ ცივი და ნესტიანი დარი იდგა. როცა ტყვეებს მივუახლოვდი, ძალზე საჭალალო სურათი დავინახე. პირველად შევამჩნიე ბაში-ბუზუკები, ასე

30—40 კაცი. ყველანი ჩაცუცქულიყვნენ და ისე მიკროდნენ ერთმანეთს, როგორც ქარიშხლით დამფრთხალი ცხვრები, რათა ამით ოდნავ მაინც შეუმცირებინათ ქარის და სიცივის მოქმედება. ჩანდა, რომ ძალიან აწუხებდათ სიცივე და მწვავე ქარი, თავისუფლად რომ დანავარდობდა ტრიალ მინდორში. ტანსაცმლის ნაცვლად ბაში-ბუზუკებს რაღაც ძონძები ეცვათ. თავზე, ჩალმის მაგივრად, რაღაც ჩვრები ჰქონდათ შემოხვეული; ბევრს პერანგიც არ ებადა, მხოლოდ დახეული ქურთაკები ეცვა. თითქმის სუყველა ფეხშიშველი იყო. მხოლოდ ზოგიერთ მათგანს ეცვა რაღაც ქალამნისმაგვარი. საიდანაც მოყინული თითები გამოეშვირათ. ბაში-ბუზუკები ცალკე ისხდნენ. სხვა ტყვეთაგან ცოტა მოშორებით. ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ სხედან ცალკე, მიპასუხეს — ეს თვითონ თურქებმა ვეთხოვეს, რადგან ისინი ჩვენ თავს არ გვიყადრებენო. დანარჩენ ტყვეებს თუმცა ცოტა უკეთ ეცვათ, ვიდრე ბაში-ბუზუკებს, მაგრამ ისინიც საკმაოდ დაკონკილები იყვნენ. ჩვეულებრივ თითქმის არავისათვის არ დამინახავს, ზოგიერთ მათგანს ჩვენი გლეხების ყაიდაზე ქალამნები ეცვა; ბევრი კი ფეხშიშველა იყო და უნიბურად სიბრალული შეგიპყრობდათ მოყინული ფეხების, და ზოგჯერ ხელების, დანახვაზე. მიუხედავად იმისა, რომ ტყვეები ნიზამს ეკუთვნიან, თითქმის არც ერთს არ ჰქონდა თბილი ტანსაცმელი და საშინლად იყინებოდნენ. შეიაში 15 თურქი ოფიცერი იდგა, რომელთა შორის ერთი პოლკის მეთაური იყო".

ეაზეთ „le Temps"-ის მოსკოველი კორესპონდენტი, აღვიწერს რა მოსკოველი სიბარბაროსის ბ-ნ სვინინის დარბაზებს, ამ აღწერაში შემდეგ სარკაზმს ურთავს:

„მე ვცდილობ გაგაცნოთ რუსი არისტოკრატების გემოვნება. — ბრძანებაზე ეგი თავის მკითხველებს, — მინდა სიამოვნება მოგანიჭოთ და ამავე დროს ბევრს გასწავლოთ; თქვენ კი მიპასუხებთ: ეს ყველაფერი ჩვენთვის კარგადაა ცნობილი საფრანგეთიდან! მერე რა? თუ ასეა, ეს ორჯერ მეტად ჭკვის სასწავლია".

31. ინგლისის ჩარევა

თბილისი, 14 იანვარი.

გასული წლის 12 აპრილიდან მიღებულ ცნობებს შორის, ტელეგრაფმა დღეს უფროლ ყველაზე მნიშვნელოვანი ცნობა გვაუწყა. ჩადაფარდოვ ნი სიტყვებით რომ ვსთქვათ: „აღსრულდა. ინგლისმა მოვლენათა სასწორსე დააგდო თავის მძიმე ხმალი".

ეტყობა, საერთაშორისო საკვანძოს დებეში არ გაუკეთებია სენსაციურ დებეშათა რიცხვს. იგი გაღმოგვცემს ინგლისის პრესის ყველაზე თავდაჭერილი და მშვიდი ორი ორგანოს ცნობას, ორგანოებისა, რომლებიც, ალბათ, ვერასოდეს ვერ გაბედავენ ასეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ საბოლოო ხმები დაბეჭდონ. ამიტომ, სანამ საწინააღმდეგო აზრის ღიმაბეტრეცებელ ცნობას მივიღებდეთ, ინგლისის შეიარაღებულ ჩარევას რუსეთ-თურქეთის ომში ჩვენ მომხდარ ფაქტად ვიღებთ.

ინგლისის საშინაო პოლიტიკის თვალსაზრისით, ჩვენ მაინცადამაინც დიდ მნიშვნელობას არ ვაიჭებთ არც გრაფ კორნარვონის და არც ლორდ დერბის გადადგომას. ბიკონსფილდს უდაოდ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ, ამ შემთხვევაში, თან გაიყოლიოს ინგლისელთა უმრავლესობა და ომი, რომელსაც იგი ირჩევს, სულ მალე ინგლისში პოპულარული გახდება. რადგან იმის მიზანი დარდანელის დაცვაა. ჩვენ ამასაც ვფიქრობთ, რომ მას ინგლისის პარლამენტი წინააღმდეგობას არ გაუწევს. ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, ამ წინააღმდეგობას მომხდარი ფაქტები ჩაახშობს. მაგრამ ამ წუთში იმის თქმა, რომ გალიპოლში ინგლისის ჯარების გადასხმა რუსეთსა და ინგლისს შორის ომის დასაწყისია, ნაადრევი იქნება. ადვილი შესაძლებელია, რომ ინგლისის მიერ ასეთი გაბედული და მკაცრი ნაბიჯის გადადგმა ევროპული სახელმწიფოების დიპლომატიურ მოლაპარაკებას ახალ მიმართულებას მისცემს და ინგლისი შეიძლება მანამდე დააკმაყოფილონ, სანამ მას და რუსეთს შორის პირველი შეიარაღებული შეტაკება მოხდება. ამ შემთხვევაში კი ჩვენ დავკარგავთ გასული წლის

ომის საუკეთესო ნაყოფს. ამიტომ, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ საქმე საბედისწერო შეტაკების გარეშე მოგვარდება და ამ უკანასკნელი ვარაუდის გაზიარება უფრო გონივრულია, ვიდრე პირველი შესაძლებლობის მტკიცება.

ახლა გადავხედოთ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე წარმოებულ ომის ვითარებას ინგლისის ჯარების ამ სავარაუდო გადმოსხმის თვალსაზრისით.

ადრიანოპოლის აღების შემდეგ ჩვენი ჯარები, ცხადია, ორ ნაწილად უნდა გაიყოს და ერთი მხრიდან, აღმოსავლეთიდან, კონსტანტინეპოლს მიადგნენ, ხოლო მეორე მხრიდან, სამხრეთიდან, გალიპოლს. კონსტანტინეპოლის მიმართულებით მათ შეიძლება წინააღმდეგობა გაუწიონ თურქეთის არმიის ნარჩენებმა და თურქეთის სატახტო ქალაქის გარნიზონმა ქ. ჩორლუსა და ქ. ჩატალჯას შორის. მაგრამ უდაოა, რომ მათი წინააღმდეგობა მაინცდამაინც სერიოზული არ იქნება. თურქეთი რომ საკუთარი ბედის ანაბარა იყოს მიტოვებული, მაშინ გალიპოლის მთელი ნახევარკუნძულის დაკავება ჩვენს ჯარებს არ გაუჭირდებოდათ. ანდრიანოპოლიდან გალიპოლში მიმავალი გზა ვაკე ადგილს მიჰყვება და სიგრძით სულ რაღაც 150 ვერსს აღწევს. ამ გზის ყველაზე მნიშვნელოვანი უღელტეხილი მდინარე მაზარ-დარესთან გვხვდება, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 980 ფუტს აღწევს. უმრავლესობა იმ მდინარეებისა, რომლებიც გზაში გვხვდება, გარდა მდინარე ერგენესი (უზან-კეპრთან), ადვილი გადასალახავია ფონის მეშვეობით. ხოლო მდინარე ერგენეზე გადებულია გვარიანი ხიდი. ჩვენ ვლაპარაკობთ იმ გზის შესახებ, რომელიც კეპრიზე, კეშანზე და ურშაზე გადის. ამ გზის პარალელურად გადის რამდენიმე სხვა არა ნაკლებ მოხერხებული გზები ქ. მალვარაზე, აირობოლზე და ა. შ. ასე რომ, ამ მიმართულებით ჯარს შეუძლია იაროს რამდენიმე კოლონად, ე. ი. გადასვლაზე ერთ კვირაზე ნაკლები დრო დაკარგოს.

ვიმეორებ, თურქეთი რომ საკუთარი ბედის ანაბარა იყოს მიტოვებული, ჩვენს ჯარებს სწრაფად და ადვილად შეეძლოთ მტკიცედ მოეკიდებიათ ფეხი დარდანელზე, მაგრამ სიძნელეს სწორედ ეს სიადვილე ქმნის. ბიკონსფილდისათვის საკმარისია დაანახოს ყოველივე ეს ინგლისს და მაშინვე ჩაითრევს მას ამ ომში.

აქ ჩვენ მკითხველებს გალიპოლის მნიშვნელობა უნდა გავაცნოთ.

გალიპოლის ნახევარკუნძული გრძელ ზოლად იჭრება საროსის ყურესა და დარდანელს შორის განლაგებულ არხიპელაგში. ამ ნახევარკუნძულის სამხრეთ სანაპირო დარდანელის სრუტის ჩრდილო-

ეთი სანაპიროა, რომელიც, როგორც ცნობილია, აერთიანებს მარმარილოს და ამიტომ შავ ზღვასაც ხმელთაშუა ზღვასთან. ამის გამო, გალიპოლის დაკავებას ზუსტად ისეთივე პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, როგორიც კონსტანტინეპოლის დაპყრობას. იმისათვის, რომ ბატონობდე შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში გასასვლელ სრუტეზე, საჭიროა როგორც კონსტანტინეპოლის, ასევე გალიპოლის დაკავება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ქვეყანა, რომელსაც გალიპოლი უკავია, შავი ზღვიდან არცერთ გემს არ გაუშვებს ხმელთაშუა ზღვაში, ზუსტად ისევე, როგორც კონსტანტინეპოლის ბეფლობელი არ გაუშვებს არცერთ გემს ხმელთაშუა ზღვიდან შავ ზღვაში.

ჯერ კიდევ ამ ომის დასაწყისში ინგლისმა ხმამაღლა განაცხადა, ლორდ დერბის პირით, რომ იგი არ დაუშვებს კონსტანტინეპოლის რუსეთის ხელში გადასვლას. ცხადია, როცა ასეთ განცხადებას აკეთებდა, იგი სიტყვაში „კონსტანტინეპოლი" შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში გასვლას გულისხმობდა. ლორდ დერბის ამ განცხადებას ინგლისის ოპოზიციამაც კი დაუჭირა მხარი და რადგან ყოველი ინგლისელისათვის ცნება კონსტანტინეპოლის შესახებ განუყოფლადაა დაკავშირებული გალიპოლის ცნებასთან, ამიტომ, ცხადია, ინგლისელთა უმრავლესობა მხარს უჭერს ბიკონსფილდის იმ ცდას, რომ ხელი შეუშალოს ჩვენი ჯარების წინსვლას გალიპოლისაკენ.

ტელეგრაფი გვატყობინებს, რომ ინგლისის ფლოტს უბრძანეს გადასხვა ბრიტანეთის დესანტი ბლოხარის მახლობლად, მაგრამ ეს, ალბათ, შეცდომაა, რადგან ჩვენი ჯარების წინსვლა მოსალოდნელია ქ. ურშას და სოფ. კავოკის მხრიდან. ამიტომ უდაოა, რომ ინგლისის ჯარების გადასხმა უნდა მოხდეს ბულაიარის მახლობლად, 23 ვერსის დაშორებით გალიპოლის ჩრდილოეთით. გალიპოლის ნახევარკუნძული ამ ადგილას ვიწრო ყელით მყარ ხმელეთს უერთდება და სიგრძით 15, განით კი 2,5 ვერსია. სამი ვერსის დაშორებით ბულაიარიდან სამხრეთით, მთელი ამ ყელის გაყოლებით, სარდოსის ყურედან დარდანელამდე აგებულია დამცველი კედელი, რომელიც იფარავს გალიპოლის მისასვლელებს. და რადგან ამ კედელთან ჩვენი ჯარები შეიძლება მოხვდნენ ინგლისის ჯავშნოსნების ჯვარედინი ცეცხლს ქვეშ, ჯავშნოსნებისა, რომლებიც ხმელთაშუა ზღვის ყურეში და დარდანელის სრუტეში დგანან და რადგან აქაური ადგილმდებარეობა ყველაზე მეტად ხელსაყრელია გალიპოლის ნახევარკუნძულის დასაცავად, — სამხრეთ კედელთან იწყება 500 ფუტის სიმაღლის მთა, ხოლო მის წინ სწორი მინდორი დევს, — ამიტომ ინ-

გლისის დესანტი. ალბათ. ამ კედლის უკან გამაგრდება და აქ დაელოდება ჩვენი ჯარების შეტევას.

საკითხავია. რას იზამს ჩვენი ჯარები, როცა ბულაიარს მიადგებიან? შეჩერდებიან, როცა გალიპოლის კედელზე ინგლისის დროშას ღაინახავენ. თუ გადასწყვეტენ გადალახონ ინგლისის ეს პირველი და აუცილებლობისაგან გამოწვეული სუსტი წინააღმდეგობა? დადუმდებიან ქვემეხები იმისათვის. რომ სიტყვა დიპლომატიას მისცენ, თუ ჩაახშობენ მის ხმას სწრაფი იერიშით? აი, საკითხავი ესაა.

ინგლისმა, რა თქმა უნდა. იცის რას აკეთებს და როგორ წინააღმდეგობას უნდა ველოდეს. მაგრამ ვიცნობთ რა ნაწილობრივ მის ვარაუდს, ლონდონის პრესის მეშვეობით. ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ. რომ იგი არც ისე უტყუარია.

ეს ვარაუდი უმოავრესად შემდეგ მოსაზრებებს ეყრდნობა: „თურქეთთან ომში რუსეთს მთელი ძალღონის დაძაბვა მოუხდა და ბრძოლებში ჩაება მთელი შეიარაღებული ძალების 5/6-დი. ამიტომ, ინგლისის წინააღმდეგ იგი ბევრს ფერაფერს გაკეთებს“, აი. ინგლისის პრესის მსჯელობის საფუძველი. მაგრამ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ რუსეთს. რომელსაც აქამდე მხოლოდ მზა. სახელმწიფოს სათადარიგო ნაწილი გამოჰყავდა. ჯერ არ მიუმართავს თავის სახალხო ძალებისათვის. აქამდე მიმდინარეობდა ოფიციალური ომი წმინდა ოფიციალური საშუალებებით. მაგრამ მომავალი მოვლენების განვითარებამდე არ შეიძლება მსჯელობა განვლილი გზის მეშვეობით. რუსეთს შეუძლია გამოიყენოს თავისი საუკეთესო ძალები, გამოიყენოს არა მხოლოდ ოფიციალური, არამედ მოქმედების წმინდა სახალხო ზამბარები. იბრძვის რა უფულობის წინააღმდეგ. მას შეუძლია განახორციელოს ყველაზე გაბედული ფინანსიური რეფორმები. შეუძლია მიმართოს სხვა რეფორმებს არსებული სახსრების მომჭირნედ გამოყენებისათვის. თუ კი მარტო ცარიელი დაპირებებით. რაც ამ მხრივ თურქეთმა განახორციელა, ამ დეზორგანიზებულმა სახელმწიფომ წარმოუდგენელი სიცოცხლისუნარიანობა მოიპოვა და ათი თვის მანძილზე გაუძლო რუსეთის დაწოლას, მაშინ რას არ უნდა მოველოდეთ რუსეთისაგან ასეთი დაპირებების გულწრფელად და მთლიანად განხორციელების შემდეგ? ჩვენ ეჭვი არ გვეპარება. რომ თუ კი რუსეთი აიღებს ბიკონსფილდის მიერ ნასროლ ხელთათმანს და მოინდომებს გამოიწვიოს სამოქმედოდ მთელი თავისი ხალხის უდიდესი ძალები. ინგლისის ვარაუდი და მოლოდინი გაცრუვდება.

32. ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲒᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

„დროებისა“[7] და „ტიფლისსკი ვესტნიკის“[1] თქმით, ქალიშვილის ნინა ანდრეევსკაიას მოკვლის საქმის გარჩევა დანიშნულია თბილისის საოლქო სასამართლოში 27 თებერვალს. პასუხისგებაში მიცემული ორი ყველაზე მთავარი დამნაშავის, სახელდობრ ძმების ჩხოტუების დაცვა იკისრა ახალგაზრდა ნაფიცმა მსაჯულმა ი-მა ნ. ვ. ორბელიანმა.

* *

საალყო წესების შემოღებასთან დაკავშირებით, რაც თითქმის მთელს კავკასიაშია გამოცხადებული მიმდინარე ომის დაწყებიდან-ვე, გუშინ თბილისში საველე სასამართლომ გაასამართლა ორი მძარცველი, რომელთაც ბრალად ედებოდათ პოლიციის მოსამსახურის მოკვლა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის მოვალეობის დროებითი აღმსრულებლის ბინის წინ. ბრალდებულნი, — ძმები კუზანოვები. — დამნაშავედ სცნეს წაყენებულ ბრალდებაში და, „ტიფლისსკი ვესტნიკის“ თქმით, მიესაჯათ სიკვდილით დასჯა—ჩამოხრჩობა. თუ არ ვცდები, ჩვენთან ომის განმავლობაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა საალყო წესების კანონები არასამხედრო პირების მიმართ გამოიყენეს.

* *

ჩვენ გადმოგვცეს, რომ სამხედრო-სასამართლო კომისიამ, რომელიც საველე კანონებით ასამართლებდა იმ პირთ, ვინც გასულ შემოდგომაზე მონაწილეობა მიიღო ქუთაისის მაზრაში მომხდარ მღელვარებაში, უკვე დაამთავრა თავისი საქმიანობა და განაჩენები დასამტკიცებლად წარუდგინა უფროსებს.

* * *

დღეს „კავკაზში“ წავაწყდით ექიმ რემერტის მიერ საასენიზაციო კომისიისათვის, რომლის დაარსება უკვე ვაცნობეთ მკითხველებს. წარდგენილი პროექტის განხილვას. კომისიის განსახილველად ბ-ნ რემერტის მიერ წარდგენილმა პროექტმა საკმაოდ გაგვაოცა. მთელი

პროექტი თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს მოქმედი არმიის ჯარებში ჯანმრთელობის შენარჩუნებასთან დაკავშირებით მემუშავებული საკმაოდ ცნობილი ინსტრუქციის დადგენილებებს, რამაც თავის დროზე სათანადო სანქცია მიიღო. ჩვენი აზრით, ამ ინსტრუქციის დადგენილებები არ საჭიროებენ ბატონების ბრაშნიოვსკის, რეიხისისა და ახვათა შემოწმებას და მოწონებას. გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუ საასენიზაციო კომისია განსჯიდა, როგორ გამოეყენებინათ ჩვენში მთლიანად ამ ინსტრუქციაში მოცემული წესები, ის კი „თავისი ჭკუით" დიდი ხნის წინ აღმოჩენილი ჭეშმარიტების და აფორიზმების „აღმოჩენას" უნდება.

* * *

თავის პირველ ნომერში „მშაკმა"[32] საჭიროდ სცნო დაებრალებინა „ოპზორისათვის"[33] ნიადაგიდან მოწყვეტა იმ საფუძვლით, რომ საერთო საკითხებს უფრო მეტ ადგილს ვუთმობთ, ვიდრე კერძოს. ჩვენ არ გვსურს გავებათ ლანძღვასა და სიტყვიერ კამათში, მაგრამ ზოგიერთი ცუდად დასმული საკითხების გამორკვევას ძნელად თუ მიიჩნევს ვინმე პოლემიკად. „მშაკის" თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მხარეში არც თუ ცოტაა ისეთი მკითხველი, რომელთაც მობეზრდათ წვრილმან პიროვნებათა წვრილმანი მხილება და დაუსრულებელი წყლის ნაყვა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რასაც არსებითად არავითარი ფასი არ აქვს. უხეში შეცდომაა იფიქროთ, თითქოს ამიერკავკასიის მკითხველ საზოგადოებას მხოლოდ ბაზრის ჭორები და ბულვარის მითქმა-მოთქმა აინტერესებს. ჩვენს გაზეთებს დიდი ხანია უნდა ესმოდეთ ეს. მეტისმეტად მცდარია, აგრეთვე, ის აზრი, თითქოს საჟურნალო საქმიანობა პიროვნებათა მხილებაზე დაიყვანება. პიროვნებები რიგ-რიგობით წავლენ, სისტემა კი რჩება, და სერიოზულ პრესას ეს მხედველობაში უნდა ჰქოედეს. აი რატომ გვგონია, რომ მყარ ნიადაგზე ვდგავართ და დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი მკითხველი საზოგადოება, დაინტერესებული საერთო საკითხებით, საქმეს ემსახურება და არა პიროვნებებს და, ამ შემთხვევაში, იზიარებს ჩვენს თვალსაზრისს. თუმცა მომავალი გვაჩვენებს — მართალი ვართ ჩვენ, როცა მკითხველი საზოგადოების საჭიროება და მოთხოვნილებანი ამგვარად გვესმის, თუ მართალია „მშაკი", რომელსაც ადგილობრივი პრესის დანიშნულებად მიაჩნია ემსახუროს თბილისის ბულვარების ან ჩვენი ბნელი სავაჭრო რიგების წვრილმან და ვიწრო ინტერესებს.

38. ერზერუმი

თბილისი, 17 იანვარი.

მოსალოდნელ ამბებთან დაკავშირებით და იმ ინტერესის გამო, რომელიც გამახვილებულია ჩვენი „სოღანლუღის რაზმის“ მოქმედებაზე, რაზმისა, რომელიც ამჟამად „მოქმედი არმიის მთავარ ძალად“ გადაიქცა, საჭიროდ მივიჩნიეთ „ობზორის“[38] მკითხველებისთვის წარმოგვედგინა ერზერუმის მიდამოთა დეტალური რუკა.

ეს რუკა, კავკასიის და მისი მოსაზღვრე ოლქების ორვერსიანი რუკის ნაწილი, თავაზიანად მოგვაწოდა კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო-ტოპოგრაფიული განყოფილების უფროსმა ბ-მა ი. ი. სტებნიცკიმ. გასული წლის მანძილზე ჩვენ არა ერთხელ მოგვეცა შესაძლებლობა დავრწმუნებულიყავით ადგილზე, თუ რაოდენ მაღალი ღირსებები აქვს ორვერსიან რუკას, რომელიც წარმოადგენს ჩვენი სამხედრო-ტოპოგრაფიული განყოფილების მრავალწლიანი დაუღალავი შრომის ნაყოფს; ამ განყოფილებას წილად ხვდა ბედნიერება ემუშავა მეცნიერების ისეთი კომპეტენტური მოღვაწეების ხელმძღვანელობით, როგორიცაა ი. ი. ხოდზკო და ი. ი. სტებნიცკი. თუმცა, ამ განყოფილების საკარტოგრაფო ნაშრომების ღირსებას, აღიარებულს რუსეთისა და ევროპის გეოგრაფიულ ავტორიტეტთა მიერ, ჩვენი ქება არ სჭირდება. ჩვენ ამას მხოლოდ იმიტომ შევეხეთ, რომ აღგვენიშნა იმ რუკის ავტორიტეტულობა, რომელსაც „ობზორის“ მკითხველებს ვაცნობთ.

იმ პირთათვის, ვისაც რუკის წაკითხვა შეუძლია, ასეთები კი ახლა ჩვენში ცოტა როდია, — ჩვენს მიერ მიწოდებული რუკა ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს. იგი საკმაოდ ნათლად აცნობს მკითხველს ერზერუმის ტოპოგრაფიულ მდგომარეობას. მეომარ მხარეთა პოზიცია ყველასათვის ცხადი გახდება, თუ დავურთავთ, რომ ჩვენს ჯარებს — მათ მთავარ მასებს — უკავიათ დევე-მოინუს მაღლობები და პალან-ტეკენის ფერდობები. და რომ ერზერუმი, სადაც თურქეთის ანატოლიის არმიის ნაწილია ჩაკეტილი, თითქმის მთლიანად გარშემორტყმულია ჩვენი ჯარებით.

მტრის სიმაგრეთა უმეტესობა აღნიშნულია ჩვენს რუკაზე. მაგრამ ვინაიდან ეს რუკა შედგენილი და შესწორებულია ომის გამოცხადების მომენტამდე შეკრებილი ცნობების შესაბამისად, მტრის საინჟინრო სამუშაოები, ესოდენ დიდი ენერგიით წამოწყებული და შესრულებული გასული წლის აპრილში, მაისში და ივნისში, ვერ აღინიშნა რუკაზე. იმედი გვაქვს, რომ ამის შესახებ დროულად მივიღებთ, შეძლებისდაგვარად, სრულ ცნობებს, რასაც, ცხადია, სასწრაფოდ გავუზიარებთ ჩვენს მკითხველებს.

მაგრამ იმ სახით, როგორც ეს სამუშაოები ომის დაწყების მომენტისთვის იყო, ერზერუმი წარმოადგენს საკმაოდ გამაგრებულ პოზიციას. დევე-ბოინუს მთებს ზემოთ, რომელნიც სავსებით იცავენ კაპრი-კეის დაბლობიდან ერზერუმის დაბლობში შესასვლელს, ქალაქი აღმოსავლეთიდან დაცულია მთელი რიგი მაღლობებით, რომლებზეც უკვე დიდიხანია აღმართულია საფუძვლიანი მეწინავე სიმაგრეები. ამისგან დამოუკიდებლად, მთელი ქალაქი, მისი ორივე მხრიდან დამცველი მაღლობებით, უწყვეტი ზღუდითაა გარშემოვლებული. მთავარ მიწაყრილს ხანგრძლივი და ფრიად სოლიდური პროფილი აქვს. მისი მოხაზულობა შედგება შვიდი საბასტიონო ფრონტისგან. ეს ბასტიონები და ზღუდის ფარგლებში შემავალი ორი მაღლობი, გვერდიდან ცეცხლს უშენენ სიმაგრის ყველა მისადგომს.

ამ ზღუდის უწყვეტობა, — ზღუდეს მხოლოდ ოთხი გასასვლელი აქვს, — აიძულებს ერზერუმის გარნიზონს მხოლოდ პასიური თავდაცვა აწარმოოს და არ ეცადოს სიმაგრიდან გამოსვლას, რაც მაინც არ ახასიათებს თურქეთში გავრცელებული თავდაცვის სისტემას. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ჩვენმა ჯარებმა უკვე მოასწრეს თითქმის ყოველი მხრიდან შემოერტყათ ალყა ქალაქისთვის.

რაკი ხელთა ჰქონდათ ორი ისეთი მაღლობი, როგორიცაა პალანტეკენი და დევე-ბოინუ, ჩვენი ჯარები ადვილად გაუმკლავდებოდნენ სიმაგრეს. ზამთარს რომ არ დაებრკოლებინა სოლანლუღის მთებზე საალყო არტილერიის გადატანა. ქალაქის და სიმაგრეთა დაბომბვა ხსენებული მაღლობებიდან საგრძნობ შედეგებს მოგვცემდა. საბწუხაროდ, ჩვენი ახლახან გამოქვეყნებული ალექსანდროპოლის კორესპონდენციიდან მკითხველებს შეეძლოთ დაენახათ, რომ არა მარტო 24-გირვანქიან ქვეშეხვებს, არამედ უბრალო ადგილობრივ ურმებსაც კი დიდი გაჭირვებით შეუძლიათ მოძრაობა ყარსიდან ჰასან-კალესკენ მიმავალ გზაზე.

არსებითად რომ ვილაპარაკოთ, წლის დრო რომ ხელს უწყობდეთ, ძალიან ადვილი იქნებოდა სამხედრო ოპერაციების გაგრძელე-

ბა ერზინგიანის ან ტრაპიზუნდის მიმართულებით, და ეს მიუხედავად იმისა, რომ ერზერუმი თურქების ხელში ხვდება. ერზერუმის დაზვერვა, იმ პირობით, რომ მის მახლობლად და განსაკუთრებით ლევე-ბოინუზე მცირერიცხოვანი სადაზვერვო რაზმი დატოვონ, სპეციალისტებს ფრიად შესაძლებელ და მოსახერხებელ რამედ ეჩვენებათ. მაგრამ ზამთარი ბრტყელ მაღლობზე, რომელიც ზღვის დონიდან 5 — 7 ათასი ფუთის სიმაღლეს აღწევს, არა მარტო ჯარების მოძრაობას აბრკოლებს ქვეყნის სიღრმისაკენ, არამედ ადგილობრივ საალყო ოპერაციებსაც.

იმედი გვაქვს, რომ ომის გაგრძელების შემთხვევაში, „ობზორის“ მკითხველებს, თავის დროზე, სხვა ამგვარ რუკებსაც წარვუდგენთ, ოღონდ უფრო მცირე მასშტაბით. ამიტომ, ზედმეტი არ იქნებოდა მკითხველს შეენახა „ობზორის“ რუკიანი ეგზემპლარები კოლექციისათვის, რომელიც წლის ბოლოს საკმაოდ მოზრდილი იქნება.

34. ადგილობრივი მიმოხილვა

გუშინ და დღეს თბილისში ემზადებოდნენ სიკვდილმისჯილი ორი ძმის, კუზანოვების, დასასჯელად, რომელთაც სამხედრო სასამართლო ბრალად სდებს პოლიციელის მოკვლას და მძარცველობას. თუ მზადების მიხედვით ვიმსჯელებთ, დასჯა მოხდება სოფეხთა სასაფლაოდან ცოტა მოშორებით, არსენალისა და პოკროვსკის კაზარმების მახლობლად. ცნობილია, რომ სასამართლოს განაჩენის მიხედვით მათ ჩამოახრჩობენ.

* * *

სამოქალაქო უწყების სამედიცინო ნაწილის სამმართველომ შეადგინა რჩევა-დარიგება სოფლის მცხოვრებლებისათვის იმ შემთხვევებში გამოსაყენებლად, თუ საქონელი შავი ჭირით დაავადდება. ჩვენ შეგვატყობინეს, რომ მალე ეს რჩევა-დარიგება ოთხ ენაზე გამოვა: რუსულზე, ქართულზე, სომხურზე და თათრულზე. როგორც გადმოგვცეს, ამ დღეებში მათ ბეჭდვას დაიწყებს „კავკაზისა“[3] და „დროების“[7] სტამბა.

ჯეროვნად ვაფასებთ რა ამ რჩევა-დარიგების შემდგენელთა შრომას, ამასთანავე არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, რომ მეტისმეტად დაგვიანებულია. მსხვილფეხა საქონლის ჭირი ჩვენს მხარეში გასული წლის გაზაფხულის ბოლოს მძვინვარებდა. სარწმუნო წყაროების მიხედვით ეს სენი უკვე ქრება.

* * *

„გოლოსს“[38] ტელეგრაფით აცნობეს ოზურგეთიდან, რომ ქობულეთის რაზმში ჩავიდა ამ რაზმის ახალი მეთაური გენერალი დ. ვ. კომაროვი (ზივინსკი). ადგილობრივ სხვა ახალ ამბებთან ერთად, ჩვენ გვინდოდა ეს ცვლილებაც დროულად გვეცნობებია მკითხველებისათვის, მაგრამ ამის შესაძლებლობა არ გვქონდა. რატომ ხდება, რომ ის, რის უფლებაც აქვს „გოლოსს“ და „სანკტ-პეტერბურგსკი ვედომოსტს“[50], ეკრძალება „ობზორს“[36] და „ტიფლისსკი ვესტნიკს“[1], ამის გაგება არაფრით არ შეგვიძლია. ბოლოსდაბოლოს, დროა ყვე-

ლა გამოცემისათვის დაწესდეს საზომი და რაც უფრო ლიბერალური იქნება იგი, მით უკეთესი იქნება პრესისთვისაც და საქმისთვისაც.

* * *

„ობზორის“ № 14-ში მრავალ შეცდომებს შორის ორი განსაკუთრებით უხეშია და თხოულობს შესწორებას: სამხედრო-სასამართლო კომისია ქუთაისის გუბერნიაში კი არ მოქმედებდა, არამედ ნუხის მაზრში. ჩვენს მიერ „მშაკის“[32] შესახებ დაწერილ შენიშვნაში იმის თქმა გვინდოდა, რომ „პიროვნება მიდის, ხოლო წესები და სისტემა რჩება“.

35. მოლაპარაკება ზავის შესახებ

თბილისი, 18 იანვარი.

სამი უკანასკნელი დღის განმავლობაში ტელეგრაფი არ იღლება გაგვიმასპინძლდეს საწინააღმდეგო ცნობებით. მკითხველი სამყაროს ყოველ კუნჭულს ხან ევროპაში ომის გარდუვალობის შესახებ, ხანაც, უეცრად, მშვიდობიანი ხასიათის ცნობებს უგზავნის. საკუთარი საქმიანობით გართულმა ადამიანებმა, რომელთაც გულუბრყვილოდ წარმოუდგენიათ, რომ პოლიტიკურ მოვლენებს შეიძლება მარტოოდენ დეპეშების კითხვით ადევნო თვალყური, არ იციან რა იფიქრონ და რას ერწმუნონ. მაგრამ სრულიად არაფრის მთქმელი დეპეშების გარდა, პოლიტიკური პრესის მსჯელობას და გამოხმაურებასაც რომ კითხულობდნენ, ისინი დაინახავდნენ, რომ ტელეგრაფის ცნობები მხოლოდ ერთი შეხედვითაა ერთმანეთის საწინააღმდეგო.

არსებითად, თუ ყურადღებით ჩავუკვირდებით თანამედროვე ისტორიულ მოვლენებს, მთელ ამ ვითომდა საწინააღმდეგო ცნობებს, აშკარად გასდევს ერთი ხაზი, რომელიც თავგზას უბნევს ზერელე დამკვირვებლებს.

ჩვენ გვგონია, რომ ხაზი, რომელზედაც ვლაპარაკობთ, ამ შემთხვევაში, შემდეგნაირად შეიძლება გაირკვეს.

რუსეთის იარაღის ბრწყინვალე წარმატების შემდეგ, როგორც აზიის, ასევე ევროპის ბრძოლის ველებზე, თურქეთი იძულებული გახდა მიემართა იმ სახელმწიფოთა მფარველობისათვის, რომელთაც პარიზის ტრაქტატს მოაწერეს ხელი. ამ სახელმწიფოებმა, გაიგეს რა, თუ რა აზრისაა ჩვენი მთავრობა, ურჩიეს პორტას უშუალოდ რუსეთისათვის მიემართა. ამასთან, ზოგიერთი მათგანი არწმუნებდა პორტას, რომ ამ ტრაქტატის დადგენილებებში არავითარი ცვლილებები არ იქნება დაშვებული ევროპის სახელმწიფოთა ნებართვის გარეშე. თუმცა, ეს უკანასკნელი გარემოება თავისთავად ცხადი იყო, თუ გავითვალისწინებთ ხსენებულ სახელმწიფოთა მიზნებსა და მისწრაფებებს საერთო ჯამში.

როგორც ცნობილია, პორტამ რუსეთს მიმართა ინგლისის შუამავლობით, მაგრამ ინგლისს ამ შუამავლობაზე ზრდილობიანად ხელი ააღებინეს. რუსეთის სურვილით, ზავზე მოლაპარაკება დაკავშირებული იყო პორტის მიერ დაზავების წინასწარი პირობების მიღებაზე, და რუსეთმა პორტის წარმომადგენლებს ჩამოუთვალა ეს პირობები.

ვენის ოფიციალური გაზეთების სერიოზული ცნობებით, სახელდობრ იმ გაზეთებისა, რომელთაც ახლო ურთიერთობა აქვთ ბ-ნ აბდრაშისთან, თავდაპირველი მოთხოვნები ქვემომოყვანილ პუნქტებში მდგომარეობდა:

1. რუმინეთის სრული დამოუკიდებლობა იმ პირობით, რომ ამ ქვეყანას სამეფო აღარ ეწოდოს; 2. სერბიისა და ჩერნიგორიის ასეთივე დამოუკიდებლობა, მათი ტერიტორიის უმნიშვნელო გაზრდით, მაგრამ იმ პირობით, რომ ჩერნიგორიას ნავსადგური არ ეერგება; 3. ბულგარეთის ავტონომია, თურქეთის მბრძანებლობის ქვეშ, მაგრამ ქრისტიანი გუბერნატორის მმართველობით; 4. რუსეთისათვის ბათუმის, ყარსის, ერზრუმის და მათი ახლო-მახლო რაიონების დათმობა.

ეს პირობები დღევანდელმა ფოსტამ გვამცნო. ყველა ევროპულ გაზეთში ისინი 2 (14) იანვარს გამოქვეყნდა.

მაშასადამე, იმაში, რაც გუშინ და გუშინწინ ტელეგრაფმა შეგვატყობინა, არაფერია არც ახალი და არც განსაცვიფრებელი. ყოველივე ეს ზუსტად ორი კვირის წინ შეეძლო ტელეგრაფს ეცნობებინა ჩვენთვის.

მაგრამ განა მართლა ასეთია რუსეთის მოთხოვნები? განა შესაძლებელია, რომ ამდენი მსხვერპლის შემდეგ, რაც მან ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში გაიღო, იგი დაკმაყოფილდეს ასეთი მეტისმეტად უმნიშვნელო მოთხოვნებით სლავი ხალხების თავისუფლებასთან და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით? აი საკითხი, რომელიც ბევრ ჩვენთაგანს აიძულებს ეჭვი შეიტანოს უკანასკნელი დღეების სატელეგრაფო ცნობების სიზუსტეში.

დაზავების პირობები მოყვანილი მოთხოვნების გარდა, სხვას არაფერს რომ არ შეიცავდნენ. ძნელი საფიქრებელი იქნებოდა, რომ მოლაპარაკება ასე გაჭიანურებულიყო. ამასთანავე, ნაკლებად დასაშვებია ვარაუდი იმისა, რომ ინგლისის მთავრობა შეეწინააღმდეგებოდა ასეთ ზავს, რომელიც, აღადგენდა რა, თავის არსებით ნაწილში, status quo ante მხოლოდ რამდენიმე წლით დაზავება თუ იქნებოდა.

მაშასადამე, თუ ინგლისი ეწინააღმდეგებოდა ზავის დადებას და ჭშვიდობას, და თუ დღემდე არ დაიდო ზავი, ეს ერთ-ერთი შემდეგი ბოსაზრებით შეიძლება აიხსნას: ან რუსეთის მოთხოვნები შეიცავენ რაღაც გამოუქვეყნებელ ფრიად მნიშვნელოვან პუნქტებს, ანდა თურქეთმა და ინგლისმა წამოიწყეს მოლაპარაკება და განზრახ აჭიანურებდნენ მას იმ მიზნით, რომ გაიყვანონ დრო გაზაფხულამდე, როცა მიეცემათ შესაძლებლობა ფაქტიურად დაეხმარონ პორტას.

ჩვენ არ ძალგვიძს ვიცოდეთ, ამ ორი ვარაუდიდან რომელია უფრო სწორი. მაგრამ ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანომ საჭიროდ სცნო გამოეთქვა თავისი აზრი ამ საკითხზე, თანაც ისე, რომ ეს მკითხველთა სრულ ყურადღებას იმსახურებს. ამიტომ ჩვენ აქ მთლიანად მოგვყავს Journal de St. Peterburg"-ის 10 (22) იანვრის ნომერი) სიტყვები:

«С того самого дня, когда телеграф возвестил просьбу Турции об открытии переговоров, мы сочли благоразумным предостеречь наших читателей от чрезмерного оптимизма, от уверенности, что пришел уже конец войне, ибо, по общему мнению, предъявляемыя Россией условия не могли послужить неодолимым препятствием к заключению мира, испрашиваемого неприятелем, который признает себя побежденным. Наша оговорка была основана на том, что самая искренность просьбы о мире не представлялась нам достаточно доказанною. Дипломатическая переписка, обнародованная ныне английским правительством, вполне подтверждает наше мнение. Мы видим из нея, во-первых, что почин попытки, которую должна была сделать Порта, исходит не из Константинополя, а из Лондона; мысль о нем была подана лордом Дербя, и притом не с целью предложить воюющим сторонам почву для сближения, но чтобы доставить Англии возможность вмешаться в переговоры с самого их начала. Этот безпримерный дипломатический маневр в самом деле заслуживает вниманія всех друзей мира в Европе.

«Лондонский кабинет принял на себя роль глашатая оттоманского правительства, чтобы просить переговоров о мире и перемирии. Россия тотчас согласилась на переговоры, лишь бы Турция прислала своих уполномоченных в обе русския главныя квартиры, где ей будут сообщены условия, на которых может состояться приостановка военных действий.

«Первым условием, естественно, должно было быть принятие Турцией предварительных условий мира. Мы уже достаточно объяснили, что перемирие, без условия мира, могло повести лишь к усилению неприятеля и к продлению ужасов войны.

«В иныя времена бывало, что военныя действия приостанавливались между армиями, которыя, будучи истощены прежними усилиями, или задержаны суровым временем года, располагались по так-называемым зимним квартирам, предоставляя себе возобновить борьбу, как

скоро позволят обстоятельства. В наши дни, и особенно в такой войне, как настоящая, подобное соглашение уже немыслимо, тем более, что одна из армий, преодолевая все препятствия, быстро подвигается к столице неприятеля, и последнему почти нечего противопоставить ей. Оно, к тому же невозможно в такой войне, цель которой — не завоевание, а прекращение порядка вещей, которому нельзя дать время упрочиться, не изменяя существенной миссии, преобладающей в человеколюбивом деле, предпринятом Россией.

«Даже помимо военных соображений, не допускающих, чтоб неприятелю давали время оправиться для новой борьбы, перемирие без оснований мира было бы непозволительно: оно оставило бы на произвол турецких войск области и населения, участь которых, столь печальная в мирное время, и вызвала самую войну.

«Понятно, что со всех этих точек зрения, — не говоря уже о вполне законных причинах, военных и финансовых, — перемирие может быть лишь следствием, соглашением воюющих сторон относительно условий мира. Но лондонский кабинет объявляет ныне, что он допустит лишь такой мир, который состоится при участии Европы.

«Что же при этом выходит? То, что даже и в том случае, если Порта подпишет теперь условия, ведущие к перемирию, то Россия должна остаться при убеждении, что эти основания мира не имеют никакой цены, так как согласие Турции ни к чему не обязывает, и Европа может обратить их в ничто.

«Это положение еще усилено заявлением английского правительства, что оно выжидает только ознакомления с условиями России, чтобы предъявить свое предложение о субсидиях для вооружений.

«Таким образом, если нынешняя попытка будет безуспешна, то опять Англия сделает невозможными перемирие и мир и подвергнет Восток роковому кризису. Мы далеки от мысли, что именно этого желают в Лондоне. Но неоспоримая логика наших размышлений очевидна для всякого искреннего и беспристрастного человека. Пусть судит теперь Европа. Нужно, чтобы каждый нес свою долю ответственности перед общественным мнением и судом истории».

ამ დიპლომატიური სტატიის ტონსა და სიმკაცრეს ფაქტიურად ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც მის შინაარსს. ჩანს, ამ თვალსაზრისით მეორე ვარაუდს უნდა დავუჭიროთ მხარი.

ჩვენი ჯარების შემდგომმა წარმატებებმა აიძულეს ინგლისი თავი დაენებებინა მეთვალყურის როლისათვის და მიეღო ენერგიული გადაწყვეტილება — წინააღმდეგობა გაუწიოს ჩვენს ჯარებს. მაგრამ ინგლისის მთავრობის ეს გადაწყვეტილება როგორც კი ცნობილი გახდა კონტინენტალური სახელმწიფოებისთვის, ეს უკანასკნელნი საქმის მოგვარებას შეუდგნენ. როგორც ეტყობა, შესძლეს მიზნის მიღწევა. ვენის და, განსაკუთრებით, ბერლინის კაბინეტებს, ჩანს, ორ

ეწერათ ამ საქმეში წარმატება. ინგლისისათვის სერიოზული გარანტიები რომ არ მიეცათ მისი უბადაღებული ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით.

თუ ვიმსჯელებთ ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით, პირველი გარანტია, რომელიც კონტინენტალურმა სახელმწიფოებმა ინგლისს მისცეს, მდგომარეობს იმაში, რომ ინგლისს არწმუნებენ რუსეთსა და ინგლისს შორის ცალკე ზავის დადებისას არ იქნება დარღვეული პარიზის 1856 წლის ტრაქტატის არც ერთი მუხლი, და რომ ეს მუხლები მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება სახეშეცვლილად, თუ ეს ეცნობება ხსენებულ სახელმწიფოებს, რომელთაც ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას და ისინიც თანხმობას განაცხადებენ. მეორეს მხრივ, ანდრიანოპოლის დაკავების შემდეგ განვლილმა ათმა დღემ, — ამ ხნის განმავლობაში არავითარი ცნობა არ მოსულა ჩვენი ჯარების გალიპოლის მიმართულებით წინსვლის შესახებ, — ცხადჰყო, რომ არავის არ სურს საქმის უკიდურესობამდე და გათიშვამდე მიყვანა. ინგლისის ფლოტის ბეზიკის ყურეში დაბრუნება კი შეიძლება ჩაითვალოს ინგლისის დამშვიდების მომასწავებლად: ალბათ, იგი დარწმუნდა, რომ ჩვენი ჯარების მხრივ გალიპოლის საშიშროება არ მოელის.

ჩვენთვის ამ ფაქტების და მოსაზრებების ერთობლიობა წარმოადგენს ჩვენი მთავრობის ზომიერების უტყუარ დადასტურებას, მას აშკარად სწადია მოიპოვოს ᲨᲨვიდობა და თავი აარიდოს ინგლისის შეიარაღებულ ჩარევას. ჩვენს სტატიაში[9], ინგლისის დესანტის გალიპოლში გაგზავნის მაუწყებელ დეპეშასთან დაკავშირებით, პირდაპირ მივუთითებდით ამგვარი ზომიერების შესაძლებლობაზე. მაგრამ ჩვენ არ გვგონია, რომ ამან სათანადო მიზანს მიგვაღწევინოს. ევროპა, ან უკეთ, მისი ნაწილი, რომელიც ჩვენდამი მტრულადაა განწყობილი, რუსეთს ზომიერებაში ჩაუთვლის მხოლოდ ომის დადებით შედეგებზე სრულ უარის თქმას. ცხადია, ჩვენ ვერ განვსჯით, რამდენად სასურველი და მოსახერხებელია ამგვარი უარი, მაგრამ სავსებით დარწმუნებულნი ვართ, რომ რუსეთის ყოველგვარი გადაწყვეტილება შარშანდელი ომი გამოიყენოს თავის ან სლავების დამოუკიდებლობის საქმის სასარგებლოდ, გამოიწვევს მის შეიარაღებულ შეტაკებას არა მარტო ინგლისთან. მაშასადამე, ისღა დაგვრჩენია ავწონ-დავწონოთ, თუ რა უფრო სასურველი და მოსახერხებელია ჩვენთვის: ჩაებას ევროპის ნაწილთან ბრძოლაში, ომის რეალური შედეგების მიღწევის მიზნით, თუ შემოფარგლოს სლავების ყოფის მეტ-ნაკლებად ფიქტიური გაუმჯობესებით, იმ ფარგლებში,

რაც თურქეთმა კონსტანტინეპოლის კონფერენციის დროს შეს-
თავაზა.

ეს საკითხი რომ გადავწყვიტოთ, საჭიროა გვქონდეს უამრავი ცნობები მოსალოდნელ სიძნელეებისა და ფაქტიურად არსებულ საშუალებათა შესახებ. და რამდენადაც ასეთი ცნობები არ გაგვაჩნია, ამიტომ უარს ვამბობთ ამ საკითხის გადაწყვეტის პრეტენზიაზე და მხოლოდ მისი დასმით ვკმაყოფილდებით.

36. ოფიციალური ცნობა საბრძოლო მოქმედების თეატრიდან

18 იანვარს ქობულეთის რაზმის ჯარებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის ციხისძირის პოზიციების მარჯვენა ფლანგზე და ცენტრის ნაწილზე. გენერალ შერემეტევის კოლონამ იერიშით დაიპყრო სამების სიმაღლე და... მთის ნაწილი, ხოლო ცენტრში შეტევა უნაყოფო აღმოჩნდა, რადგან მდინარე კინტრიშზე გადასვლის დროს დაბრკოლებას წააწყდნენ — სანგრებიდან ძლიერი ცეცხლი დაუშინეს. მოწინააღმდეგის ძალები საკმაოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ნაშუადღევის ორი საათისათვის ჩვენმა ჯარებმა უწინდელი პოზიციებიდან ხუცუბანისაკენ დაიხიეს. ჩვენი დანაკარგი, მოკლულთა და დაჭრილთა სახით, 20 ოფიცერსა და 600 ჯარისკაცს შეადგენს. ამ ოპერაციის დროს, თავში მძიმედ დაჭრილი გენერალი შერემეტევი ჭრილობისაგან გარდაიცვალა.

37. ადგილობრივი მიმოხილვა

ჩვენ გვთხოვენ განვაცხადოთ, რომ 9 იანვარს წრის მიერ ?ოწყობილ ბალზე, რომელიც გაიმართა წმინდა ნინოს სახელობის თელავის საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ, მთლიანად შეგროვდა 590 მანეთი. იმ თანხის გამოკლებით, რაც ბალის მოწყობაზე დაიხარჯა და რაც 104 მანეთს შეადგენს, საზოგადოებას მთლიანად ერგო 486 მანეთი ვერცხლით.

* * *

კავკასიის მეფისნაცვლის, — დიდი მთავარის განკარგულებით საასენიზაციო კომისიას გამოუყვეს 100.000 მან. ვერცხლით ორი ქალაქის — თბილისის (75.000) და ალექსანდრეპოლის (25.000) ასენიზაციისათვის. როგორც გადმოგვცეს, ყარსისა და სხვა ქალაქების ასენიზაციისათვის საჭირო ხარჯებს დაფარავენ სხვა სპეციალური თანხებიდან. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ამბავს, რომ სადეზინფექციო მასალების შესაძენად ფულს გაიღებენ ზემოთ აღნიშნული სახსრებისაგან დამოუკიდებლად, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ თანხებით ბევრი რამის გაკეთება შეიძლება...

* * *

ქუთაისიდან გვწერენ, რომ 15 იანვარს გაიმართა ბალმასკარადი წვრილი მოხელეების და, უმთავრესად, სოხუმიდან გადმოსახლებული ოჯახების სასარგებლოდ. მასკარადი გაიმართა ადგილობრივი საზოგადო სათათბიროს შენობაში. შესასვლელი ბილეთები ქალებისათვის და სათათბიროს წევრებისათვის 1 მანეთი ღირდა, ხოლო გარეშე პირთათვის — 2 მანეთი. ამ საღამოზე შეგროვილი თანხა მნიშვნელოვნად აღემატება 400 მანეთს ვერცხლით.

ფოსტა ისევ უწესრიგოდ მოდის. დღეს ჩვენ სატახტო ქალაქის არცერთი გაზეთი არ მიგვიღია. ფოსტის უწესრიგობა რომ მარტო ქარ-ბუქზე და ზვავებზე იყოს დამოკიდებული, ამას როგორმე შეურიგდებოდით. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ამ უწესრიგობაში დიდ

როლს თამაშობს ჩვენი ფოსტის წესები, ხოლო ამ ამბავთან შერიგება ძალზე ძნელია.

მაგალითად, დღეს ჩვენ საზღვარგარეთიდან წერილები მივიღეთ. პარიზიდან წერილი გამოგზავნილია 14 და 15 იანვარს (ჩ. ს.), ხოლო ვენიდან 18 და 19 იანვარს. ამავე დროს, სამი დღის წინათ ჩვენ მივიღეთ პარიზიდან 17 იანვარს გამოგზავნილი წერილები.

იმისათვის, რომ შესაძლებლობა გვქონოდა უახლესი საზღვარგარეთული ცნობები ერთი ან ორი დღით უფრო ადრე მიგვეღო თბილისში, ვიდრე მათ სატახტო ქალაქის გაზეთები გვაწვდიან, ჩვენ გამოვიწერეთ სხვადასხვა სააგენტოების ლითოგრაფირებული კორესპონდენციები. ხელის მოწერა ყოველ ასეთ გამოცემაზე თვეში 40 და 50 მან. გვიჯდება. ამავე დროს, ამ წლის დაბადებიდან, 18 თუ 19 დღის მანძილზე. ჩვენ მხოლოდ ორჯერ მივიღეთ პაკეტები დროულად. ფოსტის ბეჭდებიდან ჩანს, რომ ფოსტის უწესრიგობის მიზეზი საზღვარგარეთი არაა. ნუთუ ჩვენს საფოსტო უწყებას არ შეუძლია გამონახოს წერილების რეგულარულად და წესიერად მოტანის საშუალება?

ასეთი წესების დროს არ გინდათ გაწიოთ ხარჯი და გაეკიდოთ ქიმერას — რეგულარულად მიიღოთ და დროზე აცნობოთ სხვებს ყველასათვის საინტერესო ცნობები. როცა ჩვენი ფოსტა მათ ჩვენამდე მოიტანს, მათ უკვე დაკარგული აქვთ სიახლე და ყოველგვარი მნიშვნელობა, და იმის მაგივრად, რომ ეს ძვირფასი კორესპონდენციები ჩვენს გაზეთებში დავბეჭდოთ, იძულებული ვართ საქაღალდეში ჩავყაროთ...

38. კავკასიის ასენიზაცია

თბილისი, 19 იანვარი.

კავკასიის ასენიზაციის საკითხი იმდენად რთულია, და ისეთ სხვადასხვაგვარ საგნებს ეხება, რომ მისი ერთ წერილში ამოწურვა შეუძლებელია. მისი ყოველმხრივი და, ვიმედოვნებთ, წარმატებით გადაჭრისათვის გამოიყო მთელი კომისია, რომელიც, როგორც გავიგეთ, მხურვალედ მოეკიდა თავის ამოცანას. მალე კომისია სათანადო ზომებს მიიღებს, მანამდე კი ნავარაუდევი გვაქვს დროდადრო გავაცნოთ „ობზორის“[36] მკითხველებს მისი გასაკეთებელი საქმის ზოგიერთი მხარე. ჩვენს შენიშვნებს არ ექნებათ სისტემატური ხასიათი. საქმის ვითარებას წარმოგიდგენთ მასალის დაგროვების მსვლელობაში, იმ იმედით, რომ კომისია ისარგებლებს აქედან იმით, რაც საქმის ინტერესებისათვის გამოადგება.

ერთ-ერთ არსებით ნაკლად, არა მარტო დასახელებული კომისიისა, არამედ მთელი ჩვენი სამედიცინო პერსონალისა, უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ჩვენთან, კავკასიაში, სულ არ არიან ჰიგიენის სპეციალისტები. ჩვენ კარგი სპეციალისტები გვყავს საშედიცინო მეცნიერების ყველა დარგში. გვყავს გვარიანი ქირურგები, გულმკერდის, კანის დაავადებათა სპეციალისტები და ა. შ. ეს კიდევ არაფერი, „კავკასიის სამხედრო ოლქის ოკულისტიც“ კი გვყავს, მაგრამ სპეციალისტი სანიტარულ დარგში, ჰიგიენიაში, არა გვყავს. გასული წლის ზაფხულში შევხვდით ყარსთან პროფესორ დობროსლავინს, ცნობილ ჰიგიენისტს, რომელიც დროებით ჩამოვიდა კავკასიაში. აქ რამდენიმე თვეს დარჩა და უკან წავიდა სწორედ იმ დროს, როდესაც მისი ცოდნა ყველაზე უფრო საჭირო იყო. არ ვიცით, გააკეთა თუ არა ჩვენთვის რამე, და ვისარგებლეთ თუ არა მისი მითითებებით... მაგრამ, მას გარდა, ამ დარგში, არც ერთი სპეციალისტი არცა გვყოლია და არცა გვყავს. ჩვენ ოდნავადაც არ გვეპარება ეჭვი იმ მედიცინის დოქტორთა ღრმა სამედიცინო ცოდნაში, რომლებიც საასენიზაციო კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ, და მაინც სავალალოდ

ვიგვაჩნია, რომ მის მუშაობაში ჰიგიენისტები არ იღებენ მონაწილეობას. ჩვენ სავსებით დარწმუნებულნი ვართ, რომ „კავკასიის სამხედრო ოლქის ჰიგიენისტის“ შეძენა არა ნაკლებ აუცილებლობას წარმოადგენს, ვიდრე ოკულისტისა. მეორე შენიშვნა, არა ნაკლებ ძნიშვნელოვანი, მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენთან სრულიად არ არის სამედიცინო სტატისტიკა. სამხედრო-სამედიცინო სამმართველოს ამაში ნაკლები ბრალი მიუძღვის, ვიდრე სამოქალაქოს. პირველი მაინც დროდადრო აცნობს საზოგადოებას რაღაც მონაცემებს კავკასიის არმიაში დაავადებასა და სიკვდილიანობასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამ სტატისტიკის მთელი ნაკლისა, იგი დროდადრო მაინც ხელმისაწვდომი ხდება. რაც შეეხება სამოქალაქო უწყების სამედიცინო სამმართველოს, უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი არ აგროვებს, ან ყოველ შემთხვევაში, არ აქვეყნებს სრულიად არავითარ სტატისტიკურ ცნობებს მოსახლეობის დაავადებისა და სიკვდილიანობის შესახებ. ამჟამად თითქმის ყველა ცივილიზებულ ქალაქში, ყოველ კვირას, ზოგან კი ყოველ დღეც, იბეჭდება ცნობები დაავადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობის, დაავადებათა რაობის, პროცენტულობის და სხვ. შესახებ. ასეთი პუბლიკაციები აფრთხილებენ საზოგადოებას, აიძულებენ დროულად მიიღოს ზომები თავისი ჯანმრთელობის დასაცავად. ჩვენთან არაფერი ამის მსგავსი არ არის. ნაცვლად ამისა, ხანდახან გავრცელდება ხმა ეპიდემიურ დაავადებათა შესახებ, და საზოგადოებას პანიკა მოიცავს ხოლმე, მეტ წილად ყოვლად უსაფუძვლო. გავიხსენოთ ახლახან გავრცელებული ხმა თბილისში შავი ჭირიაო, აბანოებში თურქებმა რაღაც სენი შეიტანესო და ა. შ. რა საჭიროა მოსახლეობაში ასეთი პანიკის გამოწვევა, როდესაც არსებობს მისი თავიდან აცილების საშუალება? ეს საზიანოა, რადგანაც თუ ქალაქში მართლა იქნება მოსალოდნელი რაიმე ეპიდემია, არავინ არ მიიღებს საჭირო სიფრთხილის ზომებს იმ ვარაუდით, რომ ეს ისეთივე ჭორია, როგორც ქალაქის ქრონიკებში ცნობილი შავი ჭირიო.

ქალაქში, სადაც თითქმის ასიათასი მცხოვრებია, სადაც არის საავადმყოფო, სამკურნალო, ქალაქის სამედიცინო პერსონალი და ბრავალი მედიკი და სამედიცინო სამმართველო, ვფიქრობთ, ძნელი არ უნდა იყოს რამდენიმე მართალი და წესიერი სამედიცინო სტატისტიკის ორგანიზაცია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მთელი ჩვენი გაზეთები უდიდესი ხალისით დაუთმობენ თავის ფურცლებს ამგვარ ცნობებს, თუ კი სამედიცინო სამმართველო, სამხედრო და სამოქალაქო, თავს შეიწუხებენ ასეთი სტატისტიკის შედგენით, რაც

მათთვის არც ისე ძნელი გასაკეთებელია. ტყუილად ჰგონიათ ამ სამმართველოებს, რომ დაავადება და სიკვდილიანობა კანცელარიის საიდუმლოებას უნდა შეადგენდნენ. ამ საქმის, ისევე როგორც ყველა დანარჩენის, საჯაროდ გამოტანა სამედიცინო მეცნიერების ყველა ჭეშმარიტ წარმომადგენელს უკვე დიდიხანია მიაჩნია ხალხის ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად. იცავენ რა საკანცელარიო საიდუმლოებას, ჩვენი შედიკები ამით მხოლოდ იმას ამტკიცებენ, რომ არ იცნობენ თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნებსა და დასკვნებს...

იმ ცნობებიდან, რომლებსაც ხანდახან სამხედრო სამედიცინო საქმართველო აქვეყნებს, ჯერჯერობით შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ დაავადებას კავკასიის არმიის განლაგების ფარგლებში თავისი სპეციალური რაიონები აქვს. ასე, მაგალითად, რიონის რაზმის ჯარების განლაგების რაიონში შეიმჩნევა უპირატესად ციების გავრცელება, ერევნის რაიონში — დეზინტერიისა, მთავარი ძალების რაიონში — ტიფი ჭარბობს და ა. შ. ყოველ რაიონში, დაავადებათა ამ გარკვეული ხასიათის შესაბამისად, უნდა წარიმართოს საასენიზაციო კომისიის მუშაობა, რათა მისი საქმიანობა უფრო მიზანშეწონილი და სასარგებლო იყოს. უდიდესი უბედურება, რომელიც კავკასიას ემუქრება, და ჩვენი მოქმედი კორპუსის მთავარ ძალთა განლაგების რაიონში მძვინვარებს, ტიფია, რომელიც, ჩანს, ტყვედ წამოგვიყვანია თურქების დივიზიებთან ერთად... საბედნიეროდ, აქამდე არ მიგვიღია სერიოზული ზომები ჩვენი ჯარის და მოსახლეობის ავადმყოფ თურქთაგან სრული იზოლაციისათვის. ცხადია, ჩვენ აქ ვერ მიუთითებთ, თუ რა ზომებია საჭირო ასეთი იზოლაციისათვის. მაგრამ რომ ეს აუცილებელია ამ საშიში ეპიდემიის შეწყვეტის მიზნით, ამაში, ვფიქრობთ, ყველა დაგვეთანხმება.

ექიმების ნაკლებობას, რამაც ბოლო დროს იჩინა თავი, ფრიად სავალალო შედეგები მოჰყვება და უდაოდ გაადიდებს დაავადებულთა შორის სიკვდილიანობის პროცენტს. ეს ხელს შეუწყობს, ავრეთვე, ავადმყოფობის ძლიერ გავრცელებას. ამიტომ, საჭიროა აბლაგე მივიღოთ ზომები და ჩამოვიყვანოთ ექიმები რუსეთის იმ გუბერნიებიდან, სადაც მათზე არ არის ისეთი დიდი მოთხოვნილება, როგორც კავკასიაში. გარდა ამისა, ჩვენი სამედიცინო სამმართველოების უპირველეს მოვალეობად მიგვაჩნია სანკტ-პეტერბურგში ფორმირებული ექიმების რეზერვიდან ექიმების დაუყოვნებლივ ჩამოყვანა. რაც უფრო ადრე შეასრულებენ თავის ამ მოვალეობას, მით უფრო

ბეტ სიცოცხლეს გადაარჩენენ და მით ნაკლები იქნება ეპიდემიის გავრცელების შანსები.

საერთოდ ყურადღება უნდა მიექცეს ორ უაღრესად მნიშვნელოვან გარემოებას. სანიტარულ საქმიანობას მხოლოდ მაშინ მოაქვს მოსალოდნელი სარგებლობა, როდესაც იგი ერთსა და იმავე დროს მიმართული იქნება როგორც არსებული ანორმალური საქმის ვითარების შედეგების, ასევე მისი მიზეზების მოსპობისაკენ. სენშეყრილი ადგილების დეზინფექცია ოდნავ სარგებლობასაც კი არ მოიტანს, თუ ამასთან ერთად მიღებული არ იქნება ზომები გადამდები სენის აღდგენის და გავრცელების ხელშემწყობი მიზეზების მოსასპობად. ამ თვალსაზრისით, სანიტარული კომისიების საზრუნავის სფეროში უნდა შედიოდეს ჯარის მომარაგება წესიერი საკვებით, ტანსაცმელით და ბინით. მრავალ შემთხვევაში, მაგალითად, საჭიროა ჯარის კვება გამომცხვარი პურით და არა ორცხობილათი. საჭიროა საამისოდ ზომების მიღება, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც ამის გაკეთება არა თუ შესაძლებელია, არამედ მოსახერხებელიც.

მეორე გარემოება, რომელზედაც გვსურს ვილაპარაკოთ, ეს არის ამ მხარის სამოქალაქო მოსახლეობის სანიტარული მდგომარეობა. რაც უნდა მაღალ დონეზე იდგეს ჯარში სანიტარული ნაწილი, თუ ქვეყანაში თავისთავად ეპიდემიები მძვინვარებს, ის ჯარზეც აუცილებლივ გადავა. ამ თვალსაზრისით აუცილებელია გაცილებით მეტი ყურადღება მიექცეს ხალხის ჯანმრთელობას, ვიდრე აქამდე. საჭიროა, აგრეთვე, ვიფიქროთ სიძვირეზე, რომლის გამოც ხალხი ყოველგვარ გასაჭირს განიცდის. ის, ვინც გაჭირვებულია, ვისაც არ შეუძლია წესიერად და რიგიანად იკვებოს, წარმოადგენს მზა ნიადაგს ყოველგვარი ეპიდემიის დაწყებისათვის, და რადგანაც მძვინვარე ეპიდემიები მდიდრებსაც ერევიან, თითოეულის ინტერესია იზრუნოს მასების ცხოვრების შემსუბუქებაზე არსებულ სიძვირისა და ყოველგვარი გაჭირვების „მძიმე დროში“.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ჩვენ განსაკუთრებული კმაყოფილებით აღენიშნავთ იმ ფაქტს, რომ საასენიზაციო კომისიაში შევიდნენ თითქმის ყველა უწყების წარმომადგენელნი, და, უმთავრესად, სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა უფროსები სამედიცინო ხაზით. გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ეს გამოიწვევს კეთილი ჰარმონიის დამყარებას ღონისძიებებში, რომელთა აუცილებლობა ასე ძლიერ იცნობა ამ მხარის სანიტარული მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით მეორეს მხრივ, კომისიის შემადგენლობაში შედიან სამხედრო სამმართველოს თითქმის ყველა დარგის უფ-

როსები. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი და მათი უწყებანი მეცნიერების კარნახით ყოველგვარ შემწეობას აღმოუჩენენ მეცნიერებას, ვინაიდან, რაც უნდა ბრძნული იყოს მეცნიერება, ხელშეწყობის გარეშე ვერაფერს გახდება, თანაც ამას მოითხოვს ფორმალურად უზენაეს ხელისუფალთა მიერ 1876 წლის 2 დეკემბერს დამტკიცებული ინსტრუქცია სამხედრო პირთა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

ამჯერად დავკმაყოფილდებით ამ უწესრიგო შენიშვნებით და თავს ნებას მივცემთ კიდევ არა ერთგზის დავუბრუნდეთ ამ მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხს.

89. საკვირაო საუბრები

„თანამედროვე აზროვნების უდიდესი ნაწარმოები". — ქალბატონი ბლავატსკაია და ბატონი, ბეთანელი, — ქალბატონი ბლავატსკაია ქუთაისში. — ორი სიტყვა მის ნაშრომზე. — მის მიერ 1877 წ. არავარტანში წარმოთქმული სიტყვა. — მისი როლი ზივინში ამავე წლის 13 იენისს. — ორი ძმა. — შეხვდებიან ისინი ერთმანეთს ბათუმში თუ არა.

გასული კვირა ეკუთვნის არაჩვეულებრივი მოვლენებით ყველაზე მდიდარ კვირათა რიცხვს. მოვლენები იმდენად ბევრია, რომ არ გაგვაჩნია არავითარი შესაძლებლობა ჩავატიოთ ყველა ერთი ფელეტონის ჩარჩოებში. ფელეტონისტს, თუ კი მას სურს თავი აარიდოს ფაქტების მშრალ ჩამოთვლას და რამდენიმე მათგანში მაინც იპოვოს დაფარული აზრის მცირედი ნაწილი, ძალაუნებურად უხდება რამდენიმე ეპიზოდით შემოფარგვლა.

* * *

თქვენ, ალბათ, არ იცით, რომ ქვეყნად გამოჩნდა „თანამედროვე აზროვნების უდიდესი ნაწარმოები". ეს ნაწარმოები შობა თბილისათვის და ამიერკავკასიისათვის ცნობილმა ქალბატონმა ბლავატსკაიამ. აი, როგორი სიტყვებით აუწყა ამის შესახებ ქვეყანას „ტიფლისკი ვესტნიკმა" (№ 15):

„შეერთებულ შტატებში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამას წინათ გამოსულმა მეცნიერულ-გეოლოგიურმა თხზულებამ, რომლის ავტორია რუსი ქალი ე. ნ. ბლავატსკაია. ნიუ-იორკის და ვაშინგტონის ჟურნალები სავსეა მაღალი შეფასებებით ამ წიგნის შესახებ, რომელსაც დიდი პატივი ხვდა წილად, რადგან დაბეჭდვამდე, ჯერ კიდევ კორექტორული ფურცლების მიხედვით, განიხილეს კრიტიკულად ამერიკის უნივერსიტეტების სწავლულმა პროფესორებმა.

მთელი ადგილობრივი პრესა გაკვირვებულია „იზიდას მხილების" ავტორის აზრის სიღრმით, სიტყვის ძლიერებით, ავტორისა, რომელმაც იპოვა უახლესი მეცნიერების და ღვთისმეტყველების გასაღები. Daily record Union ამბობს, რომ „ეს ერთადერთი წიგ-

ნია, რომელიც მომავალში კლასიკური გახდება". ნიუ-იორკის „Times" აცხადებს, რომ „ამ წიგნის ყოველი გვერდი სავსეა მაღალი აზრებით და დიდი ცოდნით". ძალზე სამართლიანად გამოეხმაურა მას ერთ-ერთი ჩვენი მაღლა მდგომი სასულიერო პირი, რომელმაც ეს წიგნი ქადაგების საგნად გახადა და უწოდა „თანაშედროვე აზროვნების უდიდესი ნაწარმოები". შეუძლებელია გადმოგცეთ ყველა გამოხმაურება და რეცენზია „იზიდას" შესახებ, მით უმეტეს არ შემიძლია მოკლედ განგიმარტოთ ცნება, მისი არსისა. „New-Jork Herald"-მა მას რამდენიმე სტატია უძღვნა, და მაინც განაცხადა, რომ არ ძალუძს ჯეროვნად დააფასოს იგი და ყველა განათლებულ ადამიანს მის წაკითხვას ურჩევს. მაგრამ წიგნს ყველაზე უკეთ ის ახასიათებს, რომ 10 დღის მანძილზე, პირველი ორი გამოცემიდან, ერთი ცალიც კი არ დარჩა გაუყიდავი. ერთი მესამედი მთლიანად შეიძინა ლონდონმა. „World"-ი გაკვირვებას გამოსთქვამს, რომ ევროპულ გაზეთებში ამ წიგნზე რეცენზიები არ დაბეჭდილა და ამის ახსნა მხოლოდ ძველი სამყაროს საგანგაშო მდგომარეობით შეიძლებაო. ამერიკის კათოლიკურმა სამღვდელოებამ ეს ნაწარმოები შეაჩვენა და ხალხს არწმუნებს, რომ ბელზებელის მიერაა დაწერილი. „იზიდას" სრულ წარმატებას მხოლოდ ისღა აკლია, რომ პაპმა auto da fe მოუწყოს".

ჩვენ არ გვაკვირვებს ის, რომ „ტიფლისკი ვესტნიკი"[1] ქალბატონ ბლავატსკაიას მისტიფიკაციის მსხვერპლი გახდა. მან ისეთი ხალხიც კი გააცურა, რომელთაც გამოცდილებით იცოდნენ რა ადვილად მოსახერხებელია და რა ფასი აქვს ამერიკული გაზეთების რეკლამებს. ბატ. ვაგნერისა და „რუსკი ვესტნიკის"[57] მკითხველებს კარგად ახსოვთ როგორ გამოაკეყეჩა ქალბატონმა ბლავატსკაიამ ჩვენი უბედური ბატ. ბეთანელი ქართული სიმღერით „ტირის, ტირის ბარბალე", რომელიც მან ამერიკაში სპირიტების სეანსის დროს იმღერა, სადაც ბატ. ბეთანელი თავის თავს კავკასიის ერთადერთ წარმომადგენლად თვლიდა. ქალბატონ ბლავატსკაიას სპირიტულმა მუცლითმეზღაპრეობამ, მსგავსად „მიხაკოსა" და „მაკოცესა", დაარწმუნა ღრმადმოაზროვნე ბატ. ბეთანელი, რომ მისი წინაპრების სულები საქართველოდან მოფრინდნენ ამ სეანსზე და მან ამ სასწაულის შესახებ აცნობა პროფესორ ვაგნერს, რომელმაც თავის მხრივ იგივე ცნობა გამოაქვეყნა ბატ. კატკოვის ჟურნალში.

ჩემდა სასიამოვნოდ, მე პირადად ვიცნობდი ქალბატონ ბლავატსკაიას და, მის მიერ მოხვეჭილი ახალი დიდების გამო, ზედმეტად არ მიმაჩნია გავიხსენო ჩვენი შეხვედრების ეპიზოდები.

ეს იყო 1863 წლის გაზაფხულზე, ქუთაისში. მაშინ იგი მარტო ცხოვრობდა ქუთაისში და აყეყეჩებდა ადგილობრივ მწერლებს და იუნკერებს. მე, სრულიად ახალგაზრდა სტუდენტი, სწორედ მაშინ დავბრუნდი პეტერბურგიდან და ნათესავებს ჩამაბარეს... მალე წამათრიეს ქალბატონ ბლავატსკაიასთან, რათა მენახა მისი მაგიდის ბრუნვა. როცა წარმადგინეს, მან კატეგორიულად განაცხადა უარი სასწაული მოეხდინა და უარი იმ ბანალური მიზეზით ახსნა, რომ დამსწრეთა შორის არის პიროვნება, რომელსაც სპირიტიზმი არ სწამსო. მე ვუპასუხე, რომ დიდი სურვილი მაქვს ვიწამო, და მას მხოლოდ დამამტკიცებელ საბუთებს ვთხოვ. მან ითავა ჩემი წარსულის ყველაზე ფარული საიდუმლოებების მოყოლა. ჩემი „წარსული" ყველამ კარგად იცოდა ისეთ პატარა ქალაქში, როგორიც ქუთაისია. საუბედუროდ, მთელი მისი ნათელმხილველობა დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდა სინამდვილეს და, ამის გამო, დამსწრეთა თავშეკავებულ ფრუტუნს იწვევდა. არა ნაკლებ წარუმატებელი აღმოჩნდა მაგიდის ბრუნვის ცდები მას შემდეგ, რაც მე მაგიდის ქვეშ შეხედვა დაქიწყე. საერთოდ, „სეანსს" არავითარი წარმატება არ ჰქონია, და ამის შემდეგ ქალბატონმა ბლავატსკაიამ მთელი საღამო ლიბერალურ თემებზე ბანალურ ლაყბობაში გაატარა...

იმ დროს იგი მომწიფებული და მსხვილი ქალი იყო, რომლის მანერები მაყურებელზე მეტისმეტად არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა. თვალები მას სხვაგან გაურბოდა და მონდომებით ცდილობდა არ შეხვედროდნენ თქვენსას. მის საღამოებზე ნათლად გხვდებოდათ თვალში აფექტაცია, სიყალბე და შარლატანობა, — უმეცარი ბრბოს დამონების ეს ყოვლისშემძლე იარაღები. რაც უფრო ხშირად ვხვდებოდი მას, მით უფრო აუტანელი იყო ჩემთვის მისი სეანსები და რამდენიმე კვირის შემდეგ გავლაც კი არ შემეძლო იმ ქუჩაზე, სადაც იგი იდგა.

მე არ წამიკითხავს „თანამედროვე აზროვნების უდიდესი ნაწარმოები", მაგრამ ვნახე ეს ორი ტომი და გადაქათვალიერე. ყოველი თავის სათაურში იგრძნობა ქალბატონ ბლავატსკაიას ზუსტად ის ხერხები, რომლებზედაც ზემოთ ვლაპარაკობდი. ჯერ მხოლოდ წიგნის სათაური რად ღირს: „ზილებული იზიდა, ძველი და ახალი მეცნიერებისა და ღვთისმეტყველების გასაღები". თავისთავად ცხადია, რომ ასეთი სახელწოდება ძალაუნებურად დააღებინებს პირს უმეცარ ბრბოს, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს, რომ არც ძველსა და არც ახალ მეცნიერებას არავითარი იდუმალება და საიდუმლოება

არ გააჩნია. მეცნიერება მხოლოდ ბუნების საიდუმლოების ამოხსნას ეძებს...

* * *

მაგრამ მოვეშვათ შარლატანების სამყაროს და შევხედოთ კვირის უფრო მნიშვნელოვან მოვლენებს.

ცნობა ციხის-ძირის პოზიციების მეორე იერიშის წარუმატებლობის შესახებ მტკივნეულ გამოძახილს პოებს ამიერკავკასიის ყველა კუთხეში. რა თქმა უნდა, ამ წარუმატებლობას არავითარი გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს და საომარ მოქმედებათა მსვლელობას ვერ შეცვლის. ბრძოლის ამ ველზე საქმე ისევე რჩება, როგორც 18 იანვრამდე იყო. მიუხედავად ამისა, ეს კერძო წარუმატებლობა მთელ კავკასიაში სინანულს გამოიწვევს...

შესანიშნავი ისაა, რომ, ამ შემთხვევაში, ერთმანეთს შეხვდნენ ორი ისეთი ერთეული, რომელთაც თანაბრად არ სწყალობდა ბედი მთელი ამ ომის მანძილზე. ქობულეთის რაზმს, რომელმაც ამდენი სიძნელეები და ხელმოკლეობა განიცადა, თითქოს ბედი დევნის და არაფრით არ უნდა მისცეს მას დაფნის გვირგვინი, რომელიც მრავალჯერ მოიპოვეს ჩვენი კავკასიის არმიის სხვა რაზმებმა. მეორეს მხრივ, ამ რაზმს წინ უძღოდა ისეთი ადამიანი, რომელსაც ბედად ეწერა ყველგან წარუმატებლობა განეცადა. მე ჩემ თავს ნებას არ მივცემ შევეხო აქ ამ საქმის საომარ მხარეს, მაგრამ როგორც დელეტონისტი, მხედველობიდან ვერ გავუშვებ ამ საქმის ანეგდოტურ მხარეებს.

ქობულეთის რაზმის ახალ მეთაურს დ. ვ. კომაროვს იმდენად არ წყალობდა ბედი, რომ ამ ომის ყველაზე დიდ საომარ წარუმატებელ ბრძოლაში ღებულობდა მონაწილეობას. ეს მეტისმეტად სიმპათიური პიროვნება ჩემთვის იმ ძირითად წინააღმდეგობების განსახიერებაა, რომელიც არსებობს თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უუნარობას შორის...

ვოვიყვან მის შესახებ ერთ დამახასიათებელ ანეგდოტს ჩემთვის ნარად სახსოვარი „ზივინის ლაშქრობიდან“.

კავკასიის გრენადერთა დივიზიის მეთაური დ. ვ. კომაროვი ყარსის მახლობლად არავარტანში იდგა. ჩვენ აქ 9 ივნისს ჩამოვედით და. მეორე დღეს, მასთან ერთად სოღანლუღისაკენ უნდა გავეგრძელებია გზა. 8 ივნისს, საღამოს, დ. ვ. კომაროვს საინტერესო საუბარი ჰქონდა საკმაოდ კომპეტენტურ პირებთან, რაც ისტორიაში შეტანის ღირსია. იშვიათი პრინციპულობით იმ დროისათვის, — როცა

მხოლოდ ხუთი-ექვსი კაცი წინასწარმეტყველებდა შესაძლებელ წარუმატებლობას, კომაროვი მჭევრმეტყველურად იმაღლებდა ხმას „თავდასხმებისა" და „შესევის" სისტემის წინააღმდეგ და ამტკიცებდა, რომ ეს სისტემა უბედურებამდე მიგვიყვანსო. იგი ამბობდა, რომ თურქები მთიელები არ არიან და თუ ჩვენ გვინდა კავუმკლავდეთ მათ, უნდა დავივიწყოთ მთიელებთან ბრძოლის ჩვეული და გამოვიყენოთ ევროპული ომის წესები. ამ დროს ჭეშმარიტება, ვონიერება და რწმენა მეტყველებდა ბატ. კომაროვის პირით. რომლის ლამაზი და ვაჟკაცური გარეგნობა წინასწარმეტყველის შარავანდედით იმოსებოდა.

იმ პირთა შორის, რომლებიც მის სიტყვას ისმენდნენ, ასეთები კი სულ ორი კაცი იყო, არავის არ ეპარებოდა ეჭვი მისი სიტყვების საფუძვლიანობაში. მთელი ხუთი დღის განმავლობაში, 9-დან 13 ივნისამდე, ეს სიტყვები განუყოფლად, მოუცილებლად, მთელი ძალით ბატონობდა მათ გონებაზე... ყველა დარწმუნებული იყო, რომ ეს ავისმომასწავებელი წინასწარმეტყველება ერთი ბეწოთიც კი არაა გაზვიადებული...

გავიდა ოთხი დღე. ჩვენ ზივინს მიუახლოვდით. უნდა გადაგვწყვიტა მიგვეტანა იერიში იმ სიმაგრეზე, თუ არა და თუ მივიტანდით, როდის? მე ვიცოდი რა აზრისა იყო ამის შესახებ არავარტანში ბატ. კომაროვი. წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როცა დავინახე, რომ ზივინთან მან პირველმა წამოაყენა „თავდასხმის" გეგმა და პირველი მოითხოვდა მის მიღებას...

ჩემს ცხოვრებაში არ დამავიწყდება არც 13 ივნისი და არც ის რჩევა და აზრები, რაც მაშინ სხვადასხვა პირმა გამოსთქვა. დ. ვ. კომაროვი იმ პირთა მჭევრმეტყველი ქომაგი იყო, რომელთაც წესიერად არ დაუზვერიათ და ჩვეულებრივი, შეუიარაღებელი თვალით არ დაუთვალიერებიათ პოზიციები და ამავე დროს თხოულობდნენ დაუყოვნებლივ დასხმოდნენ მას თავს...

ვიღაცამ შენიშნა, რომ გვიანაა (ნაშუადღევის ორი საათი იქნებოდა) და შეიძლება ამან იერიშის წარმატებით დამთავრებას ხელი შეუშალოს.

— თავს ვდებ, — წამოიძახა მაშინ აღტაცებულმა ბატ. კომაროვმა, — რომ ორი საათის შემდეგ ყველაფერი დამთავრებული იქნება. საჭიროა ვიჩქაროთ, არ უნდა დავკარგოთ არცერთი წუთი, თორემ თურქები გაიქცევიან.

იერიში ერთი საათის შემდეგ დაიწყო. ორი საათის შემდეგ ყველაფერი დამთავრებული იყო... მაგრამ მხოლოდ ბატ. კომაროვისა-

თვის. იგი ჩვენთან მსუბუქად დაჭრილი მოიტანეს. ტყვიამ კანს ქვეშ გაუარა. ექიმებმა კინალამ სამარის კარამდე მიიყვანეს. განაკაწრი ტიფის გამო გართულდა, რასაც ზედ წითელი ქარები დაერთო.

მას შემდეგ მე ვერაფრით ვერ შევგუებივარ ამ შეუწყნარებელ წინააღმდეგობას. როგორ შეეძლო კაცს, რომელსაც თეორიულად შეგნებული ჰქონდა თავდასხმების უვარგისობა, ასე მტკიცედ დაეჭირა მხარი ამ სისტემისათვის პრაქტიკაში.

არდაგანის ლაშქრობის დროს, დ. ვ. კომაროვი ყარსთან დარჩენილ ჯარებს მეთაურობდა. მან 4 მაისს განახორციელა დაზვერვა, რაც თავ. ი. ზ. ჩოლოყაევის სიკვდილით დამთავრდა. მოვალე არავარ მოგიყვეთ ამ დაზვერვის ამბავი დაწვრილებით, რაც, სხვათაშორის, არავის არ აღუწერია. მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ დ. ვ. კომაროვმა რელიეფურად გამოამჟღავნა იგივე წინააღმდეგობა...

ახლა იგი ქობულეთის რაზმის უფროსად დანიშნეს და ოპერაციები მის ძმასთან, კ. ვ. კომაროვთან ერთად უნდა ჩაეტარებია, რომელსაც მისგან განსხვავებით არდაგანელს ეძახიან, და რომელიც ბათუმისაკენ არტანუჯის მხრიდან მიიწევს. ეს ორი ძმა მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუმც გარეგნულად მათ შორის დიდი მსგავსებაა. არდაგანელი კომაროვი პრაქტიკოსია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მაშინ როცა, ზიკინელი კომაროვი თეორიის სფეროში დაფრინავს. ორივე გენერალური შტაბის წევრია, მაგრამ პირველმა შეძლო თავისი ცოდნა ადგილობრივი პირობებისათვის შეეგუებია. მაგრამ მის შესახებ შემდეგ ვილაპარაკებთ.

ბევრი ჩვენთაგანი ოცნებობდა იმაზე, თუ ორი ძმა კომაროვები, რომელთაც მას შემდეგ არ უნახავთ ერთმანეთი, რაც დაჭრილები იწვნენ ალექსანდრეპოლში, როგორ ჩამოართმევენ ხელს ერთმანეთს ბათუმის მიდამოებში. სამწუხაროდ, ბევრ ჩვენგანს ებადებოდა ავბედითი კითხვა — თუ რომელი მათგანი მიაღწევს პირველად ბათუმამდე, რამაც ბევრი კარგი საქმე დაღუპა. ვიმედოვნებთ, რომ ციხისძირის წარუმატებლობას არა თუ არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ამ საკითხთან, არამედ სრულიად არ დააყოვნებს ამ სიმაგრის აღებას...

40. პატარა გაუგებრობა

თბილისი, 22 იანვარი.

ჩვენ არ განგვიზრახავს შევჩერდეთ ჩვენი პერიოდული გამოცემების მიერ „ობზორის“[36] შეფასებაზე, მითუმეტეს, რომ ამ შეფასებაში მეტისმეტად ბევრს აქებენ ჩვენ გაზეთს. მაგრამ გარემოებანი ვვაიძულებენ გავაკეთოთ ერთი გამონაკლისი და რამდენიმე სიტყვა ვთქვათ იმ პატარა გაუგებრობაზე, რაც საფუძვლად დაედო „რუსსკაია. გაზეტას“[52] (№ 10-ის) მიერ ჩვენი მისამართით გამოთქმულ საყვედურს.

ამ გაზეთის № 10-ის ფელეტონი ასეა დასათაურებული: «Мелочи дня» и на этот раз посвящаются провинциальной газете «Обзор» и журналу «Слово» „რუსსკაია გაზეტა“ განიხილავს ჩვენს რამდენიმე წერილს, ადარებს მათ „სლოვოს“ [53] მსჯელობას და შემდეგ დასკვნამდე მიდის:

„ჩვენ შევადარეთ „ობზორის“ და „სლოვოს“ წერილები და მიგვაჩნია, რომ ერთსა და იმავე კალამს ეკუთვნიან, და ჩვენ გვგონია. რომ თავდასხმას, რომელსაც თანამედროვე ლიტერატურა განიცდის, როგორც ჩრდილოეთიდან, ისევე სამხრეთიდან, როგორც დედაქალაქის ინტელიგენციის ცენტრიდან, ისევე პროვინციალურ გარეუბნებიდან, — კავკასიის მწვერვალებიდან, — სხვა არავინ ახდენს, თუ არა... ბ-ნი ანტონოვიჩი“.

ჩვენ ძალიან გვასიამოვნა ამ ვარაუდმა, მაგრამ სიმართლის ინტერესები მოითხოვს დავარწმუნოთ პატივცემული „რუსსკაია გაზეტა“. რომ იგი, სამწუხაროდ, სასტიკად ცდება. მ. ა. ანტონოვიჩი, ჩვენდა სამწუხაროდ, არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს „ობზორში“.

მაშასადამე, „რუსსკაია გაზეტას“ ყველა საყვედური, მიმართული „ობზორის“ წინააღმდეგ, წარსულისაკენ მიხედვასთან დაკავშირებით, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გვეხებოდეს ჩვენ. შეგვიძლია დავარწმუნოთ „რუსსკაია გაზეტა“, რომ ნუ აშინებს „ობზორში“ უმიზნო პოლემიკის გამართვა. თუმცა დარწმუნებული ვართ, რომ ბ-ნი ანტონოვიჩის პოლემიკა სრულიად არ იყო უმიზნო, მა-

ინც არ ვფიქრობთ ჩავეფლოთ იმ ჭაობში, რომელშიც ოდესღაც ბ-ნი ანტონოვიჩი ჩაეშვა, რათა დაეხასიათებინა მოდური ოდესღაც ლიტერატურული მოღვაწეები, რომელთაც შემდეგში უწყალოდ დაკარგეს დიდების შარავანდედი. რა საჭიროა შეეხოთ კერძო ცხოვრებას იმ მიმართულებათა წარმომადგენლებისას, რომლებიც ჩვენთვის ანტიპათიურნი არიან. იმედი გვაქვს ისედაც გავუსწორდეთ მათ, ჩვენი შეზღუდული მოქმედების სფეროში, და მხოლოდ მათ აზრებსა და ცოდნას შეეხებით.

მეორე მხრივ, შეგვიძლია დაეარწმუნოთ „რუსსკაია გაზეტა", რომ ჩვენ სრულიად არ ვიმსახურებთ მის მეორე საყვედურს. ლაპარაკობს რა კრიზისზე, რომელიც სამოციან წლებს მოჰყვა, „რუსსკაია გაზეტა" კითხულობს:

„რატომ მოხდა, რომ ლიტერატურული კრიზისის დაწყებისთანავე, „საუკეთესო მოაზროვნენი" მიიმალნენ სხვადასხვა დეპარტამენტებში, ბანკებში და ა. შ.

ხსენებულ კრიზისს ჩვენზე ასეთი შთაბეჭდილება არ მოუხდენია და ჩვენ არსად არ დავმალულვართ. სანამდეც გვყოფნიდა ძალა და რამდენადაც ხელს გვიწყობდა გარემოება, ჩვენი გზით განვაგრძობდით სიარულს. ყოველთვის იმ თვალსაზრისზე ვიდექით, რომ სწორედ ასეთ წუთებში აქვს მნიშვნელობა დამოუკიდებელი მწერლის მოღვაწეობას.

რაც შეეხება „რუსსკაია გაზეტას" შეკითხვას — შევძლებთ თუ არა შეეხოთ ისეთ საკითხებს, რომელთაც ჩვენი პერიოდული გამოცემები არ შეხებიან, — ამაზე პასუხს ჩვენი გაზეთის მომავალი გასცემს. მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ყოველ შემთხვევაში ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებისმოყვარე ორგანოებს, როგორიც „რუსსკაია გაზეტაა", უფლება გვაქვს მოვთხოვოთ ჩვენს ბიერ ამ მხრივ გადადგმული ნაბიჯების მიმართ მეტი ყურადღება, ვიდრე ამას ჩვენს წარსულ საქმიანობაში ვსვდებოდით.

41. რედაქციისაგან

როდესაც „ობზორის“[36] გამოცემა დავიწყეთ, ყველაფერი გავაკეთეთ, რაც კი ჩვენს მდგომარეობაში მყოფ ადამიანს შეეძლო, რათა გაზეთისათვის დროზე და წესიერად გამოსვლის საიმედო პირობები შეგვექმნა. სამწუხაროდ, ამ მიზნით ჩვენს მიერ მიღებული ზომებიდან ბევრი არასაკმარისი აღმოჩნდა. მაგალითად, პეტერბურგიდან გამოვიწერეთ კორექტორი და ასოთამწყობები. პირველი ამ საქმისათვის ცუდად მომზადებული აღმოჩნდა, ასოთამწყობთა შორის კი გამოერია რამდენიმე ღვინისმოყვარული, რომელთაც მუშაობა არაფრად ეჭაშნიკებათ. თანაც თბილისში შეუძლებელია მათი შეცვლელი კორექტორისა და ასოთამწყობთა პოვნა. ჩვენ უკვე მივიღეთ ზომები იმისათვის, რომ მომავალში დავიცვათ გაზეთი ამგვარი არაწესიერი გამოსვლისაგან, მაგრამ ამ ზომების განხორციელებას დრო სჭირდება და კიდევ ორი-სამი კვირა გაივლის, სანამ შევძლებთ ჩვენი გაზეთის დროზე და გამართული ტექსტით გამოშვებას. მკითხველებს ვთხოვთ მოგვიტეონ ეს პირველი და აუცილებელი უწესივრობა, რასაც ახლო მომავალში გამოვასწორებთ.

მთელი ნომრის ნაცვლად დღეს ერთი ფურცლის გამოსვლა და დაგვიანებით დაგზავნა სხვა ქალაქების ხელისმომწერლებთან, ისევე როგორც დაგვიანებით გამოსვლა გაზეთის ნომრებისა, აიხსნება აღნიშნული სიძნელეებით, რასაც, ვიმედოვნებთ, ჩვენი მკითხველები მხედველობაში მიიღებენ.

42. დაზავებასთან დაკავშირებით

თბილისი, 24 იანვარი.

უკანასკნელმა დეპეშებმა, როგორც ოფიციალურმა, ასევე კერძომ, საბოლოოდ გვაცნობეს, რომ დაზავება რუსეთსა და თურქეთს შორის მომხდარი ფაქტია. დაზავებასთან ერთად, ამ ორმა სახელმწიფომ, ხელი მოაწერეს წინასწარ პირობებსაც. სამწუხაროდ, ტელეგრაფმა საჭიროდ არ სცნო ეცნობებინა ჩვენთვის, რა პირობებითაა მოხდარი დაზავება და რა პირობებია სავარაუდო საბოლოო ზავის დასადებად. ამ საკითხს კი უდაო მნიშვნელობა აქვს იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად მყარი და ხანგრძლივია სამხედრო მოქმედების დროებითი შეწყვეტა.

ჩვენი მკითხველი საზოგადოება საკმაოდ თავშეკავებული შეხვდა დაზავების ცნობას და თითქმის არავინ უმალავს თავის თავს, რომ საბოლოო ზავი მხოლოდ მაშინ იქნება მიღწეული, როდესაც დამკვიდრდება სრული თანხმობა ევროპის სახელმწიფოებსა და რუსეთს შორის 1856 წლის ტრაქტატის[54] უმნიშვნელოვანესი მუხლების შეცვლის, ან გაუქმების თაობაზე.

რამდენად საფუძვლიანია ასეთი თავშეკავება ზავის საკითხის მიმართ, შეიძლება ვიმსჯელოთ შემდეგი გარემოების მიხედვით. ცნობილია, რომ ზოგიერთ ევროპულ სახელმწიფოს განზრახული აქვს არ ცნოს არავითარი ცვლილებები პარიზის ტრაქტატის დადგენილებებში, სანამ ეს ცვლილებები დამტკიცებული არ იქნება ხელშეკრულების ხელისმომწერ სახელმწიფოთა საერთო შეთანხმებით. მათ შორის ავსტრიამ, რომ აღარაფერი ვთქვათ ინგლისზე, ფორმალურად პროტესტი განაცხადა. როგორც ჩანს, ჩვენი მთავრობა დათანხმდა მიანდოს ევროპის კონფერენციას ამ საკითხების გადაწყვეტა. მაშასადამე, ადრიანოპოლში ხელმოწერილი გარიგება საბოლოოდ შეიძლება მიჩნეული იქნას მხოლოდ იმ პუნქტებში, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო პარიზის ხელშეკრულებასთან.

პარიზის ხელშეკრულების მთავარ მუხლებს შორის არის ერთი,

რომელმაც ოტომანთა იმპერიის მთლიანობა და ხელშეუხებლობა ევროპის დიდ სახელმწიფოთა მფარველობის ქვეშ მოაქცია. ამ მუხლის გამო კი არავითარ ტერიტორიალურ დათმობას, თურქეთის მხრივ, არ ექნება ძალა სხვა სახელმწიფოების თანხმობის გარეშე. იმავე ტრაქტატის მეორე მუხლის ძალით, დუნაის სამთავროების ბედ-იღბალი და მათი თურქეთთან ურთიერთდამოკიდებულება, ასევე, ევროპის სახელმწიფოთა მფარველობის ქვეშაა მოქცეული. 1852 წლის აღმოსავლეთის ომამდე, პროტექტორატს ამ სამთავროებსა და პორტის ქრისტიანულ ქვეშევრდომებზე მხოლოდ და მხოლოდ რუსეთი ანხორციელებდა კუჩუკ-კანაკრაჟის ხელშეკრულების თანახმად. 1856 წლიდან კი, პარიზის ტრაქტატის ძალით, ეს პროტექტორატი რუსეთის ხელიდან ევროპის სახელმწიფოთა ხელში გადავიდა.

საკითხი კომერციული გემების დუნაიზე, შავ ზღვაზე და კონსტანტინოპოლსა და დარდანელის სრუტეებში თავისუფალი ცურვის შესახებ, და საერთოდ ყველა სახელმწიფოს სამხედრო გემების შავ ზღვაში შესვლის აკრძალვის შესახებ, გადაწყდა, აგრეთვე, პარიზის ტრაქტატით, როგორც საერთო-ევროპული საკითხი.

ამგვარად, თითქმის ყველა საკითხში, რომლებშიც კი შეიძლება რუსეთსა და თურქეთს შორის შეთანხმების მიღწევა, საჭიროა ევროპის თანხმობა. ევროპის კონფერენციის თანხმობის გარეშე, რუსეთი ვერ მიაღწევს მოსთხოვოს თურქეთს ქრისტიანთა უზრუნველყოფა და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, დუნაის სამთავროთა განთავისუფლება, შავ ზღვაში გზის გახსნა და ტერიტორიალური დათმობაც კი...

ამის გამო, შეუძლებელია არ მიხვიდე იმ დასკვნამდე, რომ მთავარი საკითხი ომისა და ზავის შესახებ ვერ გადაიჭრება რუსეთსა და თურქეთს შორის ხელშეკრულების ხელმოწერით. ამ საკითხის მთელი ინტერესი ახლა მიპყრობილია მომავალი კონფერენციის სხდომაზე, სადაც გადაწყდება სინამდვილეში — მშვიდობა ჩამოვარდება თუ ომი გაგრძელდება.

ამ კონფერენციაზე უდავოდ მოსალოდნელია ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოს ენერგიული ბრძოლა. არც ავსტრიას, არც ინგლისს, არც საფრანგეთს ჯერ არ დაუხარჯავთ თავიანთი მარაგი. მათ საკმარისი რაოდენობით გააჩნიათ ხელუხლებელი ძალები აღმოსავლეთის საკითხში შეიარაღებული ჩარევისათვის. ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ისინი ერევიან, მაგრამ ეჭვსგარეშეა, რომ, თავიანთ ხელუხლებელ ძალებზე დაყრდნობით, ისინი შეეცდებიან მინიმუმამდე დაიყვანონ ახლანდელი ომის შედეგები. მათ გაზეთებში, როგორც ერთხელ

უკვე აღვნიშნეთ, გამოსჭვივის რწმენა, რომ რუსეთმა თავისი ძალების მეტი წილი დაძაბა თურქეთთან ბრძოლაში, და რომ მას მოუხდება ანგარიში გაუწიოს ევროპის სახელმწიფოებს. და რამდენადაც ისინი არიან თურქეთივით უნუგეშო მდგომარეობაში, ამდენად ჩვენი დიპლომატიის მომავალმა ბრძოლამ ევროპის „ინტერესების" წინააღმდეგ, საეჭვოა მიგვიყვანოს საბოლოო მშვიდობიან შეთანხმებამდე, თუ კი მოვინდომებთ, რომ ამ ომიდან მივიღოთ ყველა ის შედეგი, რომელთაც ველოდით.

43. ბათუმი, ფოთი, სოხუმი

თბილისი, 25 იანვარი.

1

რა სხვადასხვაგვარიც არ უნდა იყოს ვარიანტები, რომელთაც გვატყობინებს ევროპის პრესა იმ საზღაურის შესახებ, რაც რუსეთმა ამ ომში გაწეული ხარჯებისათვის უნდა მიიღოს, ბათუმისა და მისი ოლქის შემოერთებას ყველგან ისე ახსენებენ, როგორც გარდუვალ მოვლენას. ეს, რა თქმა უნდა, სრულიად ბუნებრივია: თურქეთისათვის ბათუმს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, არც სავაჭრო, არც სტრატეგიული და არც პოლიტიკური. და თუ ბოლო დროს თურქეთმა ბატარეები დადგა ნავთსადგურის დასაცავად და ცდილობდა ბათუმი ციხე-სიმაგრედ ექცია, ეს მან პორტის კეთილისმსურველების შთაგონებით გააკეთა, რაც ითვალისწინებდა entente cordiale-ეს განმეორების შემთხვევაში გადმოესხათ დესანტი ამიერკავკასიაში, რადგან თათრების გადასახლების შემდეგ თურქეთის მოკავშირეებს ყირიმში არაფერი საქმე არა აქვთ. ყოველშემთხვევაში, თურქეთი არასოდეს არ ანიჭებდა დიდ მნიშვნელობას ბათუმს და დათმო იგი 1829 წლის ომში, როცა დათანხმდა საზღვრის გავლებაზე მდინარე ჭოროხის გაყოლებით. როგორც ცნობილია, ბოლოდ შეგნებული, თუ შეუგნებელი, შეცდომების გამო დარჩა ბათუმი კიდევ ორმოცდაათი წლის მანძილზე თურქებს ხელში, რადგან მდინარე ჭოროხი ნაკადულ ჩოლოკად გადაიქცა. თურქეთის ქვეშევრდომების ამ უკანონო ბატონობის შედეგად, პირველი ოცდაათი წლის მანძილზე, ქ. ბათუმი საცოდავ სოფელს წარმოადგენდა, რომლის მცხოვრებლები ჯერ თევზის ჭერით ირჩენდნენ თავს, ხოლო როცა ამიერკავკასიაში თავისუფალი ტრანზიტი აიკრძალა, კონტრაბანდისტობასაც მიჰყვეს ხელი, რადგან ახალციხიდან და გურიის საზღვრიდან კონტრაბანდის შემოტანა ადვილი საქმე იყო. ასეთი ახსოვს ბათუმი ბევრ ჩვენთაგანს, რომელთაც მოუხდათ რუსეთის საზოგადოების გემით პირველად ემგზავრათ კავკასიაში. მაგრამ ამ

დროიდან, ე. ი. 1856 წლიდან, როცა ფოთი ნავსადგურად გამოაცხადეს და გემების ზუსტი მიმოსვლა დაწესეს, იწყება ბათუმის კეთილდღეობა და განვითარება. რაკი რიონის მეჩეჩის წინ გაშლილი რეიდი ნავსადგურად იქნა გამოცხადებული, ეს არავითარ მოხერხებულ მდგომარეობას არ უქმნიდა იმ ორთქლის გემებს, რომელთაც აქ საქონელი მოჰქონდათ, ხოლო რუსეთის საზოგადოებას ჯარიმის შიშით მუდამ უნდა ჰქონოდა განუწყვეტელი და სწრაფი კავშირი ქ. ფოთთან. ასეთი კავშირის დამყარება კი შეუძლებელი იყო მდინარე რიონის შესართავის მიუდგომლობის გამო და ცუდ ამინდში მათ, მათდაუნებურად, უხდებოდათ ამ დაბრკოლების გადასალახავი საშუალების გაძონახვა. იპოვეს ასეთი გამოსავალი: შექმნეს ისეთი გადასატვირთი გემები, რომლებიც ღრმად არ იჯდნენ წყალში ღა კარგ ამინდში შეეძლოთ რიონში შესულიყვნენ, წაეღოთ ტვირთი, გადაეყვანათ მგზავრები, რომლებიც ფოთში დიდ საზღვაო გემებს მოჰყავდა. ხოლო იმისათვის, რომ საზღვაო გემებს ტყვილად არ დაეწვათ ნახშირი იმ დროის მანძილზე, სანამ გადმოტვირთავდნენ და ფოთის რეიდზე დაღუპვის საფრთხის ქვეშ რომ არ ყოფილიყვნენ, მათ უფლება მისცეს ცუდ ამინდში არ გაჩერებულიყვნენ ფოთის რეიდზე და პირდაპირ ბათუმში წასულიყვნენ, სადაც შეეძლოთ საქონლის გადმოტვირთვა, ნახშირის მომარაგება, ხელახლა დატვირთვა და უკან გამობრუნება. პატარა გემებს კი ბათუმში ამიერკავკასიის საქონელი გადაჰქონდათ იმ გემებისათვის, რომლებიც ანატოლიის გაყოლებით კონსტანტინეპოლისაკენ, ხოლო აღმოსავლეთი სანაპიროს გაყოლებით ქერჩისაკენ მიდიოდნენ. ზუსტად ამავე გზით მოდიოდა ყოველგვარი საქონელი ამიერკავკასიაში. ამის შედეგად, ბათუმი ნელ-ნელა რუსეთის საზოგადოების ორივე მარშრუტის გემებისათვის ნახშირის საწყობი გახდა, შემდეგ კი ამიერკავკასიის უმთავრესი სავაჭრო საქონლის საწყობიც. ე. ი. ბათუმი, რომელიც ფოთისაგან 60 მილითაა დაშორებული, მისი ნავსადგური აღმოჩნდა და ბათუმის განვითარება ფოთის შემდგომი განვითარების ხარჯზე მოხდა.

ამგვარი შეუსაბამობა, რა თქმა უნდა, აღმოიფხვრებოდა ფოთში რომ პორტი აეშენებინათ, მაგრამ ეს ყველასათვის სასურველი ამბავი, მეტისმეტად რთული მიზეზების გამო, აქამდე იმდენად საეჭვოა, რომ საბოლოო პროექტიც კი არაა შედგენილი. პორტის უქონლობამ კი, ბუნებრივია, ხელი შეუშალა თვით ქალაქ ფოთის უკეთ მოწყობას, რადგან ამ ქალაქის მცხოვრებლებს აქამდე არა აქვთ იმის მტკიცე რწმენა, თუ სად აშენდება პორტი და, საერთოდ, აშენ-

დება კი ოდესმე? ახლა, ბათუმის, ქალაქ ფოთის ამ ნავსადგურის შეძლერთებასთან დაკავშირებით, ეჭვი კიდევ უფრო გაძლიერდა. ბათუმში, მათი ვარაუდით, შეიძლება გადაინაცვლოს სავაჭრო საქმიანობამ და გაიმეოროს 1830 წლის ექსპერიმენტი, როცა ფოთის ციხესიმაგრე გააუქმეს იმის გამო, რომ თითქოს ჯარი ვერ იქნება ისეთ ადგილას დაბანაკებული, სადაც ფოთის მსგავსი დამღუპველი ჰავაა და ამიტომ სანავსადგურო ქალაქი რიდუტ-კალეში უნდა დაარსდესო.

ბათუმის, როგორც შესანიშნავი პორტის, რეპუტაცია გაბატკიცებულია ყველა ტურისტს შორის და ეს გასაგებია ყველა იმ ადამიანისათვის, ვისაც აღმოსავლეთის ნაპირის გაყოლებით უცურია, ზღვის ავადმყოფობით გატანჯულა და ავადმყოფობისაგან მხოლოდ მაშინ თავისუფლდებოდა, როცა გემი ბათუმის წყნარ ნავსადგურში შედიოდა. ასეთი შთაბეჭდილებების ზეგავლენით, ძნელი არაა უარყო ასეთივე სიწყნარის შესაძლებლობა ფოთის ნავსადგურში იმ შემთხვევაშიც კი, თუ იქ პორტს ააშენებენ. ამიტომ, სრულიად საფუძვლიანი მოჩანს ის წინადადება, რომელიც მოითხოვს თავი დაანებონ ფოთის მოწყობას და ზღვაში ფულის გადაყრას, როცა იქვე გვერდით ასეთი შესანიშნავი პორტია, რომლის ამიერკავკასიასთან რკინიგზით დაკავშირება იოლი საქმეა.

ასეთი თვალსაზრისი საკმაოდ გავრცელებულია და სწორედ ეს აშინებს ყველაზე მეტად ქ. ფოთის მცხოვრებლებს. რომლებიც ომმა გაფანტა და მანამდე არ უბრუნდებიან თავიანთ ნასახლარებს, სანამ არ გაიგებენ მთავრობის საბოლოო გადაწყვეტილებას ბათუმისა და სოხუმის, ამ ორი მეტოქე ქალაქების შემდგომი დანიშნულების შესახებ, ქალაქებისა, რომლებიც თანაბარი მანძილითაა მისგან დაშორებული სამხრეთით და ჩრდილოეთით.

ჩვენი ჯარების ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ უნდა ველოდოთ იმ ამბავს, რომ რუსეთს მომავალში მოუხდება შავი ზღვის ბედიღბლის ვადაწყვეტა და, ამიტომ, მის სანაპიროზე ნავსადგურების და სანავსადგურო ქალაქების მოწყობა, რაც ზავის დადების შემდეგ მისთვის შესაფერის პირველ ადგილს დაიჭერს. ამ საკითხის სწორად გადაწყვეტაზე დამოკიდებულია მთელი სანაპიროს საწარმოო ძალების სწრაფი, დაუყოვნებელი განვითარება. მთელი რუსეთის სავაჭრო-ეკონომიური განვითარება, რაც უნდა ვუმადლოთ იმ ცვლილებებს, რომელიც მოხდება ვაჭრობის დარგში და მრეწველობაში შავ ზღვაზე ზღვაოსნობის განვითარების და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებთან, სუეცის არხის მეშვეობით, უშუალო კავში-

რის დამყარების შედეგად. სასარგებლოდ მიგვაჩნია გავიხსენოთ სუეცის არხის გავლით გზის შედარებითი სიგრძის ციფრობრივი მონაცემები.

კუნძულ ცეილონიდან	სევასტოპოლამდე	5020	მილ.
	ოდესამდე	5080	
	მარსელამდე	5490	
	ჰავრამდე	.7090	
	ლონდონამდე	7300	
	ჰამბურგამდე	7610	„
	პეტერბურგამდე	8360	

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ შორეული აღმოსავლეთიდან უახლოეს სანავსადგურო ქალაქებად უნდა ჩავთვალოთ შავი ზღვის სანაპიროზე განლაგებული სევასტოპოლი, ოდესა და სხვ. ამიტომ, მათი მეშვეობით რუსეთის კოლონიალური საქონლით მომარაგება უფრო იაფი დაჯდება და უფრო სწრაფად მოხდება, რის გამოც საქონელიც უფრო იაფი ეღირება, ვიდრე ახლა ღირს, როცა ამსტერდამიდან, ლონდონიდან და სხვა ქალაქებიდან შემოაქვთ პეტერბურგში. მაგრამ ის, რომ არსებობს ასეთი მოხერხებული საშუალება შორეულ აღმოსავლეთთან ვაჭრობისათვის, სრულიად არ ნიშნავს იმას, თითქოს სინამდვილეშიც ასე ხდება მაშინ, როცა ჩვენ შავ ზღვაზე შორეული მგზავრობისათვის გამოსადეგი სავაჭრო ფლოტი არა გვყავს და კაბოტაჟის განვითარებასაც მხოლოდ ახლა ვარაუდობენ. ცხადია, საზღვაო ვაჭრობის ამ ძირითადი იარაღის უქონლობა შორეულ აღმოსავლეთთან ვაჭრობას შეუძლებელს ხდის და, ამიტომ, გეოგრაფიული და ეკონომიური პირობების მოხერხებულობა ჩვენთვის მანამდე არ იარსებებს, სანამ შესაფერისი საზღვაო ფლოტი არ გვეყოლება. ძნელი არაა აქედან იმ დასკვნის გამოტანა. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ აშბავს და რა დიდი მეცადინეობა სჭირდება რუსეთს იმისათვის, რომ შავ ზღვაზე ზღვაოსნობა განავითაროს. სრულიად გასაგებია ისიც, თუ რა დიდ როლს თამაშობენ ამ შემთხვევაში მოხერხებული ნავსადგურები. ჩვენს ნავსადგურებში კი, აღმოსავლეთის ღია სანაპიროს გასწვრივ, საკაბოტაჟო გემების ცურვაც არაა დაზღვეული საფრთხისაგან და არ ხერხდება ვაჭრობის წესიერად წარმოება, ე. ი. საქონლის დროულად გადმოზიდვა, გადმოტვირთვა და დატვირთვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თვით საზღვაო ვაჭრობა.

შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე უკვე არის რამდენიმე უძრავი პუნქტი (ოდესა, სევასტოპოლი, როსტოვი). რომელთა მნიშვნე-

ლობა საბოლოოდ გამტკიცებულია იმით, რომ დიდი შინაგანი სარკინიგზო გზების უკანასკნელი სადგურებია. ხოლო შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო, იმის გამო, რომ თურქეთთან ომის დროს უაზროდ განადგურდა მთავრობისა და კერძო პირების ყოველგვარი წამოწყება, თავისუფალია ყველა წამოწყებისათვის, წინადადებისათვის. მოსაზრებისათვის. შემოქმედების ამ თავისუფლებას სარგებლობის თავისი წილიც აქვს, მაგრამ კიდევ უფრო მეტია იმის საშიშროება, რომ მოუფიქრებელი გადაწყვეტილებებით შეიძლება არივდარიონ რუსეთისა და შავი ზღვის ყველა პოლიტიკურ-ეკონომიური ინტერესები. ამიტომ, მომავალი ნავსადგურებისა და ქალაქების შედარებითი მნიშვნელობის განსაზღვრა, უპირველეს ყოვლისა, პირად თვალსაზრისს, სიმპათიებსა და ანტიპათიებს კი არ უნდა ემყარებოდეს, არამედ იმ ძირითადი აზრის სერიოზულად განხილვას, რომელიც, ყველა მოსაზრებასთან ერთად, საფუძვლად უნდა დაეღოს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროების განვითარებას.

2

თბილისი, 26 იანვარი.

კავკასიის აღმოსავლეთ სანაპიროზე სანავსადგურო პუნქტების შერჩევის საკითხს სწყვეტს კავკასიაში რკინიგზის ქსელის გაყვანა, ე. ი. ის ეხება ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების სწორი განვითარების მთელ მომავალს. ამიტომ, ჩვენ გვგონია, რომ სწორედ ახლა, როცა ამ საკითხის განხილვას მთავრობის სფეროებში იწყებენ, საზოგადოებრივმა ძალებმა უნდა შეაგროვონ ყველა არსებული მასალა, რათა ეს საკითხი სწორად გადაწყდეს. წინა სტატიაში ჩვენ გამოვთქვით რწმენა, რომ ამ მნიშვნელოვანი სახელმწიფო ღონისძიების განხორციელების დროს, საჭიროა ერთი საერთო გეგმის შედგენა, ერთი ძირითადი აზრის გამომუშავება ნაცვლად იმ კერძო წამოწყებებისა, რასაც ადგილი ჰქონდა აქამდე. ამ საერთო აზრის გამომუშავება არც ისე ძნელია, როგორც ეს შეიძლება მოგვეჩვენოს იმ სიძნელეების შესწავლის დროს, რაც დაკავშირებული იყო სხვადასხვა ადგილას პირველხარისხოვან სანავსადგურო ქალაქების აშენებასთან, ან მათი მნიშვნელობის ნულამდე დაყვანასთან. 1804 წლიდან, მთავრობა ზრუნავს იმისათვის, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ნავსადგურები მოაწყოს და შექმნას აქ სავაჭრო ფლოტი, მაგრამ ისტორიული მიზეზების გამო დღევანდლამდე შეუძლებელი იყო კავკასიის მოწყობის შესახებ საერთო აზრის გამო-

მუშავება და მხოლოდ იმისკენ ისწრაფოდნენ, რომ შეექმნათ ნავსადგური ამიერკავკასიისათვის. საკითხის ასე დასმის დროს შეიძლება სოხუმმაც, რედუტ-კალემაც, ფოთმაც და ბათუმმაც დაგვაკმაყოფილოს, მაგრამ ეტყობა ეს მხოლოდ კერძო წამოწყება, ნაწილობრივი მოსაზრება, ცალკე აზრია და სრულიად არ წყვეტს შავ ზღვაზე ზღვაოსნობისა და თვით სანაპიროს ნაოსნობის მეშვეობით განვითარების საკითხს. რუსეთი ერთბაშად კი არ დაუფლებია აღმოსავლეთ სანაპიროს, — გარკვეული გეგმით გათვალისწინებული მიზნისაკენ სწრაფვის დროს, — არამედ ნელ-ნელა, ასე ვთქვათ, შემთხვევით, კავკასიაში სამხედრო მოქმედებათა წარმატების შედეგად. 1804 წელს სამეგრელოს შემოერთებამ გახსნა ამიერკავკასიიდან რუსეთისაკენ მიმავალი საზღვაო გზა, მაგრამ საზღვაო თვალსაზრისით რედუტ-კალე ძალზე მოუხერხებელი იყო. 1810 წელს ჩვენ დავიკავეთ თურქეთის სოხუმ-კალე, ხოლო ირგვლივ მდებარე მთელი სამფლობელოები აფხაზეთის მთავარს დავუტოვეთ და ამიტომ არ შეგვეძლო მიგვეღო საჭირო ზომები ეკონომიური განვითარებისათვის. 1828 წელს ჩვენ ავიღეთ ფოთი, ანაპა (მეორედ) და შემდეგ ნელნელა დავიკავეთ ამ ორ პუნქტს შორის მდებარე მთელი ფართობი. ეტყობა, ყოველი ახალი შენაძენი იწვევდა მთელ რიგ მოსაზრებებს და ხარჯებს ახალი სანავსადგურო ქალაქის მოსაწყობად და შემდეგ დაკავებული ადგილები ძალაუნებურად ცვლიდა ყველა წინა მოსაზრებას და უსარგებლოს ხდიდა ადრე გაწეულ ხარჯებს. მაგრამ ბათუმის დაკავებამ ბოლო უნდა მოუღოს ამ მერყეობას, რადგან მთელი სანაპირო, ქერჩიდან ბათუმამდე, რუსეთს ეკუთვნის და თანაბრად განახორციელებს გადაუდებელ ღონისძიებებს თავისი ეკონომიური განვითარებისათვის. ახლა შეუძლებელია ერთი პუნქტით შემოფარგვლა და მხოლოდ მასზე ზრუნვა: საჭიროა შევიგნოთ, თუ რა სჭირდება რუსეთს აღმოსავლეთ სანაპიროსაგან, და როცა შევიგნებთ ამ ძირითად აზრს, ძნელი აღარ იქნება მისი განხორციელებისათვის შესაბამისი საშუალებების გამონახვა და რუსეთისა და შავი ზღვის საერთო პოლიტიკურ-ეკონომიური მნიშვნელობის ყველა პუნქტების შედარებით განსაზღვრა.

ასეთი ამოცანა ორია: შავ ზღვაზე ზღვაოსნობის განვითარება და აღმოსავლეთის სანაპიროს ექსპლოატაცია საერთო კეთილდღეობის ინტერესებისათვის. ეტყობა, ორივე ამ ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება ერთიდაიმავე საშუალებებით. აღმოსავლეთ სანაპიროების ექსპლოატაციისათვის აუცილებელია ამიერკავკასიის უმდიდრეს სანაპიროზე კოლონიზაციისათვის საჭირო ქალაქების შექმნა. როგორც

საყრდენი პუნქტებისა, და ქვეყნის შიდა რაიონებიდან ამ ქალაქებამდე რკინიგზის მიყვანა, რათა გაადვილდეს ყოველგვარი ნაწარმის გაყიდვა და ამით არსებობის საშუალება მიეცეს ახალ დასახლებებს. ზღვაოსნობის განვითარებისათვის აუცილებელია ნავსადგურები, რომლებიც გემებს არა მხოლოდ ავდრისაგან თავდაცვის საშუალებას მისცემს და დაღუპვისაგან იხსნის, არამედ სავაჭრო მიმოქცევით თვით ამ ქალაქებსაც გააცოცხლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ გემების ცურვას არავითარი აზრი არ ექნებოდა. ამიტომ, ადგილი და მისი მნიშვნელობა სანაესადგურო ქალაქებისათვის ბუნებრივად უნდა განისაზღვროს იმ სავაჭრო მიმოქცევით, რაც შეიძლება დაიწყოს ამ ქალაქებში. ირგვლივ მდებარე ადგილების ეკონომიური და ბუნებრივი პირობების გამო. ასეთი მითითება შეიძლება ძალზე განუსაზღვრელი მოგეჩვენოთ, რადგან რკინიგზების გაყვანის პრაქტიკამ რუსეთში ფაქტიურად დაამტკიცა, რომ ყველა პოლიტიკურ-ეკონომიური და სტრატეგიული მოსაზრებები. და თვით მოშავალი სტატისტიკური მონაცემებიც კი. არასოდეს არ გამართლებულა და ეს მიუხედავად იმისა. რომ ყოველთვის ოსტატურად იყო შედგენილი. ვამტკიცებთ რა ამ ფაქტის სინამდვილეს და მისი განმეორების შესაძლებლობას, თუკი დაინტერესებული პიროვნებები, ისეთები, როგორიცაა რკინიგზის კონსენსიონერები, გამონახავენ ყველა საჭირო არგუმენტს ასეთი დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხების გადასაწყვეტად, — ჩვენ ეჭვი არ გვეპარება. რომ არსებულ ვითარებაში შეიძლება ამ საკითხების მიუკერძოებლად გამოკვლევა, ცხადია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვითონ მთავრობა დაიწყებს მათ განხილვას, სახელმძღვანელოდ ისტორიის მითითებებს გამოიყენებს და თავის ვარაუდს პრესის ფურცლებზე გამოიტანს. მაგრამ ჯერჯერობით არცერთი კონცესიონური წერილი არ უარუყვიათ დროზე, რადგან ისინი კანცელარიის საიდუმლოებას წარმოადგენენ და ცნობებს მხოლოდ მაშინ უზიარებდნენ ხალხს, როცა კონცესია უკვე გაცემული იყო და შემდეგ რუსული ანდაზის თანახმად «Снявши голову, по волосам плакать было безполезно». მიუხედავად ამისა, ამგვარი უსარგებლო ტირილი ისმოდა ჩვენს პრესაში ყოველი კონცესიური თაღლითობის დროს და, თუ გულახდილად ვიტყვით, ჩვენმა პრესამ დიდი საქმე გააკეთა ყველა იმ მდგომარეობის გამოყენების მხილების საქმეში. რაც ანადგურებდა რუსეთის ეკონომიურ კეთილდღეობას, რის განმტკიცებისათვის თითქოსდა უამრავი უცხოელი და საკუთარი სპეკულანტები და საქმოსნები ზრუნავდნენ.

აღმოსავლეთ სანაპიროს ისტორია ერთ-ერთი უძველესია ევროპაში და იმ საარაკო დროს განეკუთვნება, რომლის შესახებაც ჩვენ თითქმის არაფერი არ ვიცით. მაგრამ თქმულება პრომეთეს შესახებ და არგონავტების ლაშქრობა მიგვითითებს იმაზე, რომ აღმოსავლეთ სანაპირო რუსეთის დასახლებამდე რამდენიმე ათეული საუკუნით ადრე იყო ცნობილი. კერძოდ, უმთავრესი სავაჭრო ქალაქების—ფანაგორიის, დიოსკურიის, ფაზისის სახელები ბევრად უსწრებს წინ ცნობას პირველი რუსული დასახლებებისა და ქალაქების შესახებ. ბევრი ისეთი ხალხი, რომელიც აღმოსავლეთ სანაპიროზე ბატონობდა, შესცვალა სხვა ხალხებმა, და თუმცა სამი ქალაქი დაინგრა, მაგრამ შემდეგ ისევ აღსდგნენ ძველ ადგილას და თავის მნიშვნელობა მაინც არ დაკარგეს მანამდე, სანამ თურქებმა კონსტანტინეპოლი არ აიღეს და არ გაანადგურეს გენუის ყველა კოლონია ყირიმში და აღმოსავლეთ სანაპიროზე. მიუხედავად ამისა, ამ ქალაქებმა თურქების ბატონობის დროსაც აღიდგინეს თავის მნიშვნელობა. ასე რომ, თურქებსაც მოუხდათ ანაპაში (ფანაგორიის ახლოს), ფოთში და სოხუმში ციხე-სიმაგრეების აშენება თავიანთი სამფლობელოების დასაცავად და აღმოსავლეთ სანაპიროებთან ვაჭრობის შესანარჩუნებლად. ამ გეოგრაფიული პუნქტების ასეთი მტკიცე სიცოცხლისუნარიანობა ამტკიცებს მათ უდაო საჭიროებას, ასე რომ ვთქვათ. ტოპოგრაფიული არსებობის აუცილებლობას და ადვილად აიხსნება ამ ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიური პირობებით. რა სხვადასხვაგვარიც არ უნდა ყოფილიყო ამ სანაპიროს სხვადასხვა დროის მფლობელი, ხალხები და მთავრები, ჩრდილოეთ კავკასიას მაინც სჭირდებოდა ნავსადგური. ზუსტად ისევე, როგორც ამიერკავკასიას სჭირდებოდა მეორე ნავსადგური, ხოლო იმ ქვეყანას, რომელიც სანაპიროს გაყოლებით მათ შორის იდო, — მესამე სანავსადგურო ქალაქი. ეს არის გარდუვალი შედეგი, გამოწვეული ადგილმდებარეობის ტოპოგრაფიული პირობებისაგან და ფიქრი იმისა, რომ თითქოს ანაპის შეცვლა შეუძლია სოხუმს ან ფოთს, უაზრობაა.

ზღვის ნაპირის მოხაზულობა, კავკასიის ქედის მიმართულება და ახლომდებარე ქვეყნების განლაგება არ იძლევა აღმოსავლეთ სანაპიროზე მთავარი სანავსადგურო ქალაქების სხვაგვარად განლაგების შესაძლებლობას. ბათუმის რუსეთთან შემოერთება ამ ბუნებრივ პირობებს ვერ აღმოფხვრის და, ამიტომ, ფიქრი იმისა, თითქოს ბათუმს შეუძლია ფოთის შეცვლა, მხოლოდ ტოპოგრაფიული მიზეზების გამოც კი უაზრობაა. და თუ თანამედროვე საინჟინრო ხელოვნებას რკინიგზების მეშვეობით შეუძლია გააწონასწოროს სავაჭრო

პუნქტების ბუნებრივი უპირატესობა ხელოვნურად არჩეული ქალაქების სასარგებლოდ. ეს, რა თქმა უნდა, სრულიად არ ამტკიცებს იმას, რომ აუცილებელია ხელოვნურად ავრიოთ ქვეყნის ბუნებრივი განვითარება ტოპოგრაფიული და სავაჭრო-ეკონომიური პირობების საზიანოდ. სახელმწიფოს მართვის მთელი სიბრძნე ისაა, რომ დავეხმაროთ ქვეყნის ბუნებრივ განვითარებას, რადგან სინამდვილისადმი მხოლოდ ასეთი დამოკიდებულება უწყობს ხელს ნავარაუდევი ამოცანების სწრაფად გადაწყვეტას და არ ფარავს წინა ღონისძიებების შეცვლის პერსპექტივას ‘ემდგომი განმარტებების საფუძველზე. ყველა ამ მერყეობის აღმოფხვრა იმას ნიშნავს, რომ მთავრობის დასახმარებლად მოუწოდოს ქვეყნის მთელ საწარმოო ძალებს, და პირიქით, — ამ მხარეში ყოველი ხელოვნური ინტერესების გამოგონება ნიშნავს დამბლა დასცე ქვეყნის ყველა საწარმოო ძალებს და მხოლოდ მთავრობას დააკისრო ნავარაუდევ გაუმჯობესებათა შესრულების მთელი სიმძიმე.

ჩვენში არსებობს აზრი, რომ მთავრობას, ყოველწლიური, ბიუჯეტის ხარჯზე, შეუძლია ყველაფრის გაკეთება, რომ მისი ფინანსიური სიძლიერე ბევრად აღემატება მოსახლეობის ფინანსიურ სიძლიერეს და, ამიტომ, ქვეყნის განვითარებისათვის საჭირო ყველა ღონისძიება ხაზინას უნდა დაეკისროს. ყველაფერი ეს შეიძლება იფიქროს კაცმა, თუ მხედველობაში ექნება სახელმწიფო ბიუჯეტის აბსოლუტური ციფრი, მაგრამ თუ გავიხსენებთ რუსეთის ფართობსა და მოსახლეობას და გავიანგარიშებთ რამდენი უწევს ფართობის ყოველ კვადრატულ მილს და მოსახლეობის თითეულ სულს, მაშინ ის თანხა, რაც მთავრობამ ყოველი ოლქის განვითარებაზე უნდა დახარჯოს, ძალზე პატარა აღმოჩნდება. ასე მაგალითად, თუ ბიუჯეტი 60 მილ. იქნება, რუსეთის ტერიტორიას, რომელიც 404.453 კვადრატულ მილს შეიცავს და რომლის მოსახლეობა 83.256.000 სულია, ყოველ კვადრატულ მილზე 1490 მან. მეტი არ მოუწევს, ხოლო ყოველ სულზე 7,20-ზე მეტი არ მოვა. თუ ავიღებთ აღმოსავლეთ სანაპიროს ტერიტორიის კვადრატული მილის რაოდენობას, მათ მახლობლად მდებარე ოლქებით და მოსახლეობით, მაშინ ისეთი უმნიშვნელო თანხა შეხვდება წილად კავკასიის სანაპიროს. რომ ამ თანხის მეშვეობით ნავსადგურების, ქალაქების და გზების სწრაფად აშენება შეუძლებელი აღმოჩნდება იმ შემთხვევაშიც კი. თუ ჩვენ უკანასკნელი ოცი მშვიდობიანი წლის გამოცდილებას დავეყრდნობით. კერძოდ, შავი ზღვის მხარე შეიცავს 96,3 კვადრატულ მილს, ხოლო მოსახლეობა შეადგენს 15,735 სულს, სოხუმის მხარე,

შეიცავს 132,83 კვადრატულ მილს, მოსახლეობა შეადგენს 74,442 სულს, მთელი ქუთაისის გუბერნია შეიცავს 378,19 კვადრატულ მილს, ხოლო მოსახლეობა შეადგენს 570,691 სულს. სულ 607,32 კვ. მილი. ამგვარად, მთელ სანაპიროს, ადმინისტრაციის შესანახად საჭირო ხარჯებთან ერთად, სულ მოუწევს 900.000 მან. ცხადია, რა ღარიბიც არ უნდა იყოს აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობა, 660,868 სულის სახსრები და შრომა ისეთ თანხას შეადგენს, რაც ათჯერ აღემატება იმას, რის დახარჯვაც შეუძლია მთავრობას ჩვენს მხარეში. ამიტომ, განსაკუთრებით სასურველი და აუცილებელია ქვეყნის მოთხოვნილებების სწორი ეკონომიური დაკმაყოფილებით მოვიზიდოთ მთელი მოსახლეობის შრომა და კაპიტალი, რათა ხელი შეუწყოს სახელმწიფო ამოცანების სწრაფად გადაწყვეტას. ხოლო წუთიერი შთაბეჭდილებების ზემოქმედებით ყოველგვარი ხელოვნური მიზნების შექმნა, ანდა მერყეობა, მოსახლეობაში პროექტების სიმტკიცისადმი უნდობლობას იწვევს და უდაოდ ძირს გამოუთხრის მოსახლეობის კერძო წარმოებას.

ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია 22 წლის მზრუნველობა ქ. ფოთის განვითარებისათვის, რომელსაც ბევრი შეღავათი მისცეს, ბევრი ფულადი დახმარება გაუწიეს, მაგრამ ყოველივე ამის შედეგი ჯერ მაინც არ ჩანს.

ვეხებით რა შავი ზღვის სანაპიროს თანამედროვე პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგომარეობას, ვაწყდებით ახალ მოთხოვნილებებს, რასაც იწვევს ქვეყნის განვითარებისათვის საჭირო მძლავრი იარაღი. კერძოდ კი რკინიგზები. ეს იარაღი არა თუ არ ასუსტებს არსებულ მოთხოვნილებებს, არამედ, პირიქით, აძლიერებს. რკინიგზების წყალობით, ნავსადგურების მოქმედების რაიონი, წინა მასშტაბებთან შედარებით, მეტისმეტად ფართოვდება. ნავსადგურიდან შორს მდებარე ოლქებს შესაძლებლობა ეძლევათ მოითხოვონ ნავსადგურის აშენება თავიანთი ნაწარმის გასასყიდად. ეტყობა ასეთი სანავსადგურო ქალაქების ადგილის შერჩევა იმდენად არაა დამოკიდებული თვით სანაპიროს ტოპოგრაფიულ და ეკონომიურ პირობებზე, რამდენადაც რკინიგზის მოხერხებულობაზე და იმაზე, თუ რამდენად ხელსაყრელია ამ გზით საქონლის გადაზიდვა. ამიტომ, ნავსადგურებისათვის პირველი მოთხოვნილებებით შერჩეული ადგილის აუცილებლობა შეიძლება დაემთხვეს და არც დაემთხვეს ნავსადგურის მოთხოვნილებას რკინიგზის განტოტებათა შესახებ.

ასეთ ნავსადგურებს ჩვენი ქვეყნის ორი მხარე მოითხოვს: ამიერკავკასია და კავკასია, ე. ი. მდ. ყუბანისა და თერგის სათავეების

ნოყიერი ოლქები. საუკეთესო გზა, ამიერკავკასიიდან ზღვისაკენ, ბდ. რიონის ხეობას მიჰყვება. სადაც ააშენეს კიდეც რკინიგზა და ამიტომ ამიერკავკასიის ნავსადგური მხოლოდ ფოთი შეიძლება იყოს. ამ ადგილას ნავსადგურის არსებობა გაპიროვნებულია ისტორიული და ადგილობრივი ეკონომიური მონაცემებით. მაგრამ მეორე მხარისათვის არ ვარგა არც სოხუმი და არც ანაპა. პირველი იმის გამო, რომ რკინიგზის გაყვანა ძნელია; ხოლო მეორე იმიტომ, რომ ხაჯი მეტისმეტად გრძელი გამოდის. ამიტომ, აღმოსავლეთ სანაპიროს სჭირდება ახალი ნავსადგური, რომელიც უწინ საჭირო არ იყო და რომლის მდგომარეობას განსაზღვრავს მოკლე და ყველაზე იაფი რკინიგზის ხაზი სტავროპოლიდან შავ ზღვამდე. აქამდე წარმოებული კვლევის თანახმად, და ყველა თვალსაზრისით, ასეთი ადგილია მდინარე ტუაფსეს შესართავი. ასე რომ, დასახელებულ სამ ნავსადგურს, მდინარე ტუაფსეს შესართავთან ემატება მეოთხე, ხოლო ბუნებრივი ნავსადგური ბათუმი, რომელიც თურქეთმა უნდა გადმოგვცეს, ბეხუთე იქნება. ამგვარად, აღმოსავლეთ სანაპიროზე ყველა ამ ხუთი ნავსადგურის მოწყობა და საჭირო რკინიგზების გაყვანა, თითქოსდა აკმაყოფილებს როგორც საერთო, ასევე ადგილობრივ პოლიტიკურ-ეკონომიურ მოთხოვნილებებს. აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ მოხერხებული და უსაფრთხო ცურვის ყველა მოთხოვნილებას და, ამავე დროს, გემების პატრონებსა და არმატორებს მომგებიან შემოსავალს უქმნის, რადგან გაიზრდება ქვეყნის ტვირთბრუნვა, რასაც იწვევს ამ მხარის მოთხოვნილებების რაციონალური დაკმაყოფილება და მისი საწარმოო ძალების შესაბამისი განვითარება. საკითხის ასე ბუნებრივად დასმის დროს, არავის არ მოუვა აზრად ფოთის მიტოვება და მთელი მოქმედების სოხუმში გადატანა, ანდა სოხუმის მიტოვება და ტუაფსეს ნავსადგურის მოწყობა, ანდა, ბოლოს, მთელი იმ ტერიტორიის მოთხოვნილებების დავიწყება, რომელიც ქერჩიდან ფოთამდეა გადაჭიმული, და ბათუმის კეთილმოწყობაზე ზრუნვა მხოლოდ იმიტომ, რომ აღმოსავლეთ სანაპიროზე ეს ერთადერთი ბუნებრივი და მოხერხებული ნავსადგურია. ამ უკანასკნელ მოსაზრებას ჩვენ მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ: საინჟინრო ხელოვნების თანამედროვე ეტაპზე არ არსებობს ისეთი ადგილი, სადაც არ შეიძლებოდეს საკმაოდ მოხერხებული ნავსადგურების აშენება, და მთელ მსოფლიოში ყველაზე დიდ საზავსადგურო ქალაქებს შორის იშვიათია ისეთი ქალაქი, რომელსაც ბუნებრივად მოხერხებული მდგომარეობა ჰქონდეს. ლონდონის, მარსელის, ლივერპულის, ჰავრის, მერბურგის, ამსტერდამის, ვენე-

ციის, ბრინდიზის აშენებას კოლოსალური ხარჯები დასჭირდა, მაგრამ ეს სახელმწიფოები არ შეუშინდნენ ამ სიძნელეებს და ეს თანხა დიდი მოგებით დაუბრუნდათ უკან. ამავე დროს, ამ ამბავმა ხელი შეუწყო საზღვაო ვაჭრობის განვითარებას. თუ კი სახელმწიფოს დასაცავი სიმაგრეები შენდება არა იმ ადგილას, სადაც მოხერხებულია, არამედ იქ, სადაც ეს საჭიროა სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, მაშინ, რა თქმა უნდა, უცნაურია, ლოგიკის გვერდის ავლით, ნავსადგურები ავაშენოთ არა იქ, სადაც საჭიროა, არამედ იქ, სადაც მისი აშენება მოხერხებულია. სანავსადგურო ქალაქები ინჟინრებისათვის საქმის გასაადვილებლად და ხარჯების დასაზოგად კი არ შენდება, არამედ ქვეყნის ეკონომიური და სავაჭრო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და საწარმოო ძალების განსავითარებლად. ასე რომ, მათ ადგილს ირჩევს თვით გარემოებათა არსი, ხოლო ინჟინრების საქმე ამ ამოცანის შესრულებაა ისეთი სახით, რომ, რაც შეიძლება, ნაკლები დაჯდეს და რაც შეიძლება მოხერხებული იყოს ვაჭრობისათვის და ზღვაოსნობისათვის.

როცა ამ საკითხს ამგვარი რაციონალური თვალსაზრისით უდგები, ძნელი არაა განსაზღვრო სოხუმის, ფოთისა და ბათუმის შედარებითი მნიშვნელობა. ფოთი მთელი ამიერკავკასიის ბუნებრივი ნავსადგურია, რადგან ამ ქალაქამდე მიყვანილია ყველაზე ახლო მდებარე და მოკლე რკინიგზა, რომელსაც არსად არ გადაიტანენ. სოხუმსა და ბათუმს რომ იგივე მნიშვნელობა მივანიჭოთ, ეს ნიშნავს მოძრაობა რკინიგზის ხაზზე 100 ვერსით გავზარდოთ, რაც ყოველი ფუთი ტვირთის გადაზიდვას 5 კაპიკით გააძვირებს, ეს კი ბევრი იაფფასიანი საქონლისათვის გატანის აკრძალვას უდრის. ისეთი პროდუქტები, რომელთაც შეუძლიათ კონკურენცია გაუწიონ უცხოურ საქონელს იმ შემთხვევაში, თუ ერთი ფუთი (მაგალითად) 15 კაპიკი ეღირება, ვეღარ გაუძლებენ კონკურენციას, როცა მათი ფასი 20 კაპიკამდე გაიზრდება. ეს ეხება ნახშირს, ხორბალს, ნედლ ტყავს, სხვადასხვა ჯიშის ხეს და საერთოდ ნედლ პროდუქტებს, რაც წარმოადგენს ძირითად საქონელს, რის გატანაც მოუხდება მომავალში ამიერკავკასიას რუსეთში და ევროპაში. ამიტომ რკინიგზის მეშვეობით მათი ხელოვნურად გაგზავნა ბათუმში ან სოხუმში, არავითარ სარგებლობას არ მოიტანს: უბრალო გაანგარიშება იძულებულს გახდის ყველას გაგზავნონ საქონელი ფოთში, მიუხედავად სოხუმისა და ბათუმის პირველ პლანზე დაყენებისა. ამიტომ, ბუნებრივია ფოთის მიჩნევა ამიერკავკასიის ცენტრალურ ნავსადგურად, რასაც აძლიერებს რკინიგზის გაყვანა თბილისამდე და შემდეგ აუცილებლად

ბაქომდე. მაგრამ ეს ხელს არ უშლის იმას, რომ განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინონ ბათუმისა და სოხუმის ნავსადგურის კეთილმოსაწყობად იმ მისწრაფებების შესაბამისად, რასაც იჩენს მთავრობა აღმოსავლეთ სანაპიროს ეკონომიური განვითარებისა და შავ ზღვაზე ნაოსნობის განვითარების საქმეში. ეასაგებია ისიც, რომ როცა მეზობლად გყავს თურქეთი, ძალზე არარაციონალურია მთავარი ნავსადგურის საზღვრის მახლობლად აშენება, რითაც ცდუნებას უქმნი თურქეთის მტაცებლურ ინსტიქტებს. ამიტომ, ბევრად უფრო სწორია დაიცვა მთავარი ნავსადგური თურქეთისაგან და ბათუმი გადააქციო სიმაგრედ, სადაც ჩვენი სამხედრო ფლოტის მოწინავე ესკადრები გვეყოლება. ბათუმის ყურის მოხერხებულობა და სიფართოვე, და ბათუმიდან ფოთამდე გაჭიმული პოზიციების სიმაგრე, უზრუნველყოფის ყველა გარანტიას უქმნის ფოთს, თუ მას გადავაქცევთ ამიერკავკასიაში წარმოებული ისეთი საქონლის საწყობად. ოომელიც ზღვით გააქვთ. ბათუმის სიახლოვე საზღვართან და ამ ქალაქის მცირე სავაჭრო-ეკონომიური მნიშვნელობა მთელი მისი ისტორიული არსებობის მანძილზე, თითქოსდა ცხადად მიგვითითებს იმაზე, რომ ბუნებრივი გზით იგი ვერ გადაიქცევა ამიერკავკასიის დიდ სავაჭრო ქალაქად იმავე უდაო მიზეზების გამო, რომლებიც ყოველთვის დიდ სიცოცხლისუნარიანობას ანიჭებდნენ ანაპას, სოხუმს და ფოთს. სოხუმის დანიშნულება კი ისაა, რომ ადგილობრივი ნავსადგური იყოს მის ირგვლივ მდებარე მხარისა და, ამავე დროს, გადაიქცეს ცენტრალურ დეპოდ იმ სამხედრო ესკადრების შესაკეთებლად და მოსამარაგებლად, რომელთა დანიშნულება აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ ცურვაა.

ასეთია ჩვენი აზრი სამი სანავსადგურო ქალაქის მნიშვნელობის შესახებ, რომელთა კონკურენცია კერძო მწარმოებელთა დამაყოვნებელ მერყეობას იწვევს, რადგან არ იციან სად დასახლდნენ და სად მოკიდონ ხელი მეურნეობას, რათა არ წააგონ თავიანთი ქონება. იმის გამო, რომ არ ხერხდება ამ საკითხის ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტა, მიუხედავად მთავრობის ყველა დახმარებისა და მეცადინეობისა, ყოვნდება ჩვენი სანავსადგურო ქალაქების განვითარება. მთელი მხარის ინტერესებისათვის კი სასურველია ასეთი არანორმალური მდგომარეობის აღმოფხვრა, ერთი საერთო აზრის, აღმოსავლეთ სანაპიროს განვითარების ერთი საერთო გეგმის მიღება და საჭირო ნავსადგურების რაოდენობისა და მნიშვნელობის შედარებითი გარკვევა.

მშენებლობის ადგილობრივი სიძნელეები, ამ შემთხვევაში, არა–

ვითარ როლს არ თამაშობს და ფოთის მშენებლობის წარუმატებელი ცდები ცხადყოფენ, რომ შავ ზღვას ამ ამბავში არავითარი ბრალი არ მიუძღვის. ამბობენ, შავ ზღვაზე ხშირად იცის ქარიშხალი და ძლიერი ღელვა, მაგრამ განა შეედრება იგი ოკეანეს, რომელსაც ხელი არ შეუშლია მსოფლიოს ყველა კუთხეში პირველხარისხოვანი ხელოვნური ნავსადგურების აშენებისა და არსებობისათვის? გარდა ამისა, ოკეანემ მიმოქცევა იცის, რაც ართულებს სამუშაოებს და ბევრად უფრო ძვირად ღირებულს ხდის. ხოლო ნავსადგურები თხოულობენ წყალსაცავებს, სადაც წყალი ერთ დონეზე უნდა იდგეს, და შლუზებს — ნავსადგურებში გემების შესაშვებად და გამოსაშვებად. ყოველივე ეს ვერ აბრკოლებს ხელოვნური ნავსადგურების სწრაფად მშენებლობას საზღვარგარეთ. ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ფოთის მშენებლობის დაყოვნება ხელოვნური და შემთხვევითია და არა ბუნებრივი მიზეზების შედეგი. როგორია ეს მიზეზები და როგორ უნდა აღმოვფხვრათ ისინი, ამას დრო გვიჩვენებს, ადამიანთა მოქმედების ეს უცოდველი კონტროლი, და ამიტომ ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ სრულიად შესაძლებელია გაიაზრო და განახორციელო აღმოსავლეთ სანაპიროს განვითარების საერთო გეგმა ისე, როგორც ეს შეესაბამება ჩვენი მხარის ეკონომიური მოთხოვნილებების განვითარებას და შავ ზღვაზე ნაოსნობის განვითარებას.

3

თბილისი, 12 თებერვალი.

ჩვენს მიერ ფოთის, ბათუმის და სოხუმის შესახებ დაწერილ სტატიებში განვითარებულმა აზრებმა, კერძოდ კი აზრმა: აუცილებელია გვქონდეს ერთი საერთო იდეა აღმოსავლეთ სანაპიროზე ნავსადგურების განლაგების დროს, რადგან ყოველმა მეცადინეობამ და აზრმა იმის შესახებ, თუ როგორ ავიყვანოთ რომელიმე ადგილი სანავსადგურო ქალაქის რანგამდე, და შემდეგ ისევ დავამდაბლოთ, სახელმწიფოს მხრიდან უზომო ხარჯები გამოიწვია. აზრმა, ვიმეორებ, ვერაფრით ვერ გაიკაფა გზა! «Всяк кулик свое болото хвалит» — აი პრინციპი, რომელსაც აქამდე მიჰყვებოდნენ და რომელსაც მხარს უჭერს გაზეთ „კავკაზის“[3] № 33 ნომერში დაბეჭდილი ფელეტონის ავტორი[92]. — ფოთი არაფრად არ ვარგა, არასოდეს არ იქნება სანავსადგურო ქალაქი, — ამას ამბობდნენ და ყოველთვის იტყვიან სოხუმის მცხოვრებლები. მაგრამ ოდესა, რომელიც ასევე შავი ზღვის სანაპიროზეა გაშენებული და რომლის

ნავსადგურის მშენებლობას ათეული წლები დასჭირდა, ახლა მოხერ-ხებული ხელოვნური ნავსადგურია. რატომ არ უნდა მივიღოთ მხედ-ველობაში უცხო ქვეყნების პრაქტიკა, რატომ არ შეიძლება იგივე ჭოხდეს ქალაქ ფოთშიც. მას უპირისპირებენ სოხუმის ყურის რეი-დის მოხერხებულობას, მაგრამ რეიდი და ნავსადგურის მოხერხებუ-ლობა ორი სხვადასხვა ფაქტია და, ამიტომ, თუ სოხუმამდე რკინი-გზას გაიყვანენ, ამ ქალაქს დასჭირდება მოხერხებული ნავსადგურის აშენება, რომელიც ჯერ არ არსებობს. იმის თქმა, რომ სოხუმის ნავ-სადგურის აშენება უფრო იოლია, ვიდრე ფოთის, და ეს მაშინ, რო-ცა არ არსებობს ამ ნავსადგურის პროექტი და არ დაწყებულა არა-ვითარი სამუშაოები, ე. ი. არ გაგვაჩნია გამოცდილება და არ გვი-გრძვნია წარუმატებლობა, შეუძლია მხოლოდ ისეთ გაბედულ ადა-მიანებს, რომლებიც საკითხებს a priori-ით წყვეტენ. მაგრამ საქ-მე ამაში არაა: რითაა ბათუმი სოხუმზე უარესი? ბათუმის ყურეს ბევრი უპირატესობა გააჩნია სოხუმის ყურესთან შედარებით, რად-გან უფრო მეტ გემს აქვს საშუალება პირდაპირ ნაპირს მიადგეს და ისე გადმოტვირთოს ტვირთი უშუალოდ ნავმისადგომზე, რომ არა-ვითარი ღელვისა არ ეშინოდეს. როცა ცნობილია, რომ მანძილი სო-ხუმამდე და ბათუმამდე თანაბარია, — სოხუმის ამიერკავკასიის მთა-ყარ ნავსადგურად გადაქცევაზე ლაპარაკი არაფერს არ ამტკიცებს. მაგრამ იმ პრინციპის სახელით, რომ «Всяк кулик свое болото хвалит», პრინციპისა, რომელმაც იქამდე მიგვიყვანა, რომ 74 წლის მანძილზე, იმ დღიდან, როცა ამიერკავკასიაში პირველი ნავსადგუ-რის მშენებლობა დაიწყეს, ნავსადგური ჯერ კიდევ არ აშენებულა. მათთვის მთავარია, არახელსაყრელი სახით წარმოადგინონ უახლე-სი ნავსადგური, რომელიც მათ ქალაქს კონკურენციას უწევს, ხო-ლო საერთო იდეასთან, საერთო ამოცანებთან, რაც სახელმწიფოს ჭირდება, არავის არა აქვს საქმე. — ოღონდ ნუ იქნება ფოთი!, — ამბობენ სოხუმელები, — ოღონდ ნუ იქნება ბათუმი, — ამბობენ ფოთელები და ა. შ. და არავის არ სურს მიუკერძოებლად დააყენოს საკითხი: რატომ არ უნდა იყოს ფოთიც, ბათუმიც და სოხუმიც ერ-თად, მაგრამ მხოლოდ ისეთ მდგომარეობაში და იმ მნიშვნელობით, რასაც მოითხოვს საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანები? ამისა-თვის კი საჭიროა ძალიან ბევრი ფული. მაინც რამდენი? რა თქმა უნდა, არა უმეტეს იმისა, რაც დაიხარჯა შორეული და არახელსაყ-რელი რკინიგზის ხაზების გასაყვანად. ასე მაგალითად, გრიაზე-ცარი-ცინის გზა დაჯდა 39.840.000 მან. თუ ამ გზას მიუდგებით როგორც რუსეთის ეკონომიური განვითარების საშუალებას და შევადარებთ

ძას აღმოსავლეთ სანაპიროს კეთილმოწყობის მიზნით შავ ზღვაზე ნავსადგურის აშენებას და მათ მნიშვნელობას ნაოსნობის განვითარებისა და მთელი სანაპიროს ექსპლოატაციის თვალსაზრისით, მაშინ ცხადია, რომ ხელოვნური ნავსადგურების ასაშენებლად საჭირო კაპიტალის მოთხოვნა არავის არ შეაშინებდა. გრიაზე-ცარიცინის გზის მშენებლობა არავის არ შეუმჩნევია. ბაგრამ როცა საქმე ეხება ხელოვნური ნავსადგურების ასაშენებლად საჭირო რამდენიმე მილიონს, ბევრი ხმას იმაღლებს იმის დასამტკიცებლად, რომ ამგვარი რამ შეუძლებელია. მიზეზი გასაგებია. ისევ უნდა გავიხსენოთ ლაინი და მისი ჭაობი, რომლის იქეთ მას არაფერი არ ეიაჩნია სასარგებლოდ და შესაძლებლად.

ჩვენ, რა თქმა უნდა, შორსა ვართ იმ აზრიდან, რომ კამათი დავიწყოთ ავტორთან, რომელიც სოხუმს იცავს, რადგან მის მიერ მოყვანილი მოსაზრებები არაერთხელ განმეორებულა და კიდევ ბევრჯერ განმეორდება, მაგრამ, თვით საქმის ინტერესების გამო, ჩვენს თავს უფლებას მივცემთ დავანახოთ მას მის მიერ გამოთქმული რამდენიმე არასწორი აზრი, რათა, სოხუმის შემდგომი დაცვის დროს, უარყოფის საბაბი არ მოგვცეს.

ჯერ გელენჯიხის შესახებ. ცნობები, რომელთაც ავტორი გვაწვდის, ზუსტი არაა. გელენჯიხის ყურე, ნავსადგურისათვის საჭირო სერიოზული სამუშაოების გარეშე, ვერ იქნება უსაფრთხო ნავსადგური. კომისიამ, რომელიც გელენჯიხში იყო გაგზავნილი, დააპროექტა საკმაოდ დიდად ღირებული ნაგებობები, ხოლო მეორე კომისია, რომელიც მისი უდიდებულესობის ბრძანებით გზათა სამინისტრომ გაგზავნა, იმ აზრზე შეჩერდა, რომ საჭიროა გელენჯიხის მაგივრად ნავსადგური ანაპაში აშენდეს, რაც განსაკუთრებით იმიტომაა ხელსაყრელი, რომ ანაპიდან მდ. ჯიგამდე, ყუბანის შენაკადამდე, შეიძლება მცირე არხით მიაღწიო და, ამგვარად, მთელი ყუბანის სამდინარო ნაოსნობას მოხერხებული ნავსადგური ექნება შავ ზღვაზე. ამასთან, ჩემი აზრით, საჭირო არ იყო საბუთად რუსეთის ტექნიკურ საზოგადოებაში წარმოებული კამათის მოყვანა, სადაც ვიღაცამ განაცხადა, რომ ჩვენი პურისა და ნედლეულის გატანა ევროპის ბაზრებზე ყოველწლიურად მნიშვნელოვნად მცირდება, საიდანაც ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ახალი რკინიგზების გაყვანის განხილვის დროს, მათი სიგრძის გავლენის საკითხს ნედლი მასალის გასაღებაზე, არ უნდა მივანიჭოთ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა. საინტერესოა ვიცოდეთ, რა პასუხი გასცეს ამაზე ტექნიკური საზოგადოების წევრებმა? ნუ თუ არავის არ გაახსენდა, რომ ამერიკული პური კონ-

კონკურენციას უწევს ბაზრებზე რუსულ პურს იმის გამო, რომ მისი გადაზიდვა უფრო იაფი უჯდებათ, და უფრო იოლად გადააქვთ როგორც ქვეყნის გარეთ, ასევე ქვეყნის შიგნით. ამიტომ, გადაზიდვის მანძილის შემოკლება, სარკინიგზო ტარიფის შემცირება, გემების დატვირთვის გაიაფება და ფრახტის შემცირება, — რაშიც ჩვენ ორმაგს ვიხდით იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში უცხოეთის გემები ბალასტით მოდიან, — აი, დაბრკოლება, რომელთა აღმოფხვრისაკენ უნდა ისწრაფოდნენ რუსეთში, რათა ჩვენი პური ისე გაიყიდოს უცხოეთში, რომ მწარმოებლებმა ზარალი არ ნახონ. აქედან კი ის გამომდინარეობს, რომ გზის სიგრძეს, როგორც გადაზიდვის ღირებულების მთავარ ფაქტორს, ყოველთვის ეჭირა და დაიჭერს პირველ ადგილს ნედლი მასალის გასაღების პროექტების შედგენის დროს.

და რადგან ვერაფრით ვერ მიხვდება კაცი, რა კონკურენცია უნდა არსებობდეს გელენჯიხსა და სევასტოპოლს შორის პურის გადაზიდვის საკითხში, როცა თითეულ მათგანს თავისი რაიონი აქვს და მას უნდა მოემსახუროს, ავტორს ჩვენ ვურჩევთ სრულიად მიატოვოს სოხუმის დასაცავად და ფოთის დასაგმობად ქვემოთ მოყვანილი აზრი: „ამის გამო, ზოგიერთი ამ კრებაზე იმასაც კი ამტკიცებდა, რომ სევასტოპოლის რკინიგზის გამო, რომლის გაყვანასაც მაშინ აპირებდნენ, გელენჯიხის რკინიგზის ტოტი უსარგებლო აღმოჩნდება. და მიუხედავად პირველის მნიშვნელოვანი სიგრძისა, საქონლის პატრონები გელენჯიხის ყურეს მაინც სევასტოპოლის ყურეს ამჯობინებენო“.

44. ადგილობრივი მიმოხილვა

„ტიფლისსკი ვესტნიკი“[1] ადასტურებს ცნობას თბილისის (მართლმადიდებელ) სასულიერო სემინარიაში ტიფის შემთხვევების შესახებ. ამ გაზეთის თქმით, 23 იანვარს დაასაფლავეს ამ სემინარიის პანსიონერი, მეორე კლასის მოსწავლე. ეს ავადმყოფობა მეორე პანსიონერსაც აღმოაჩნდა.

* * *

დღეს ქართული გაზეთი „დროება“[7] სულ არ გამოვიდა. ასეთი არაჩვეულებრივი მოვლენის მიზეზია — ამ გაზეთის ასოთამწყობთა სამსახურში გამოუცხადებლობა.

* * *

რამდენიმე დღის წინ „ტიფლისსკი ვესტნიკმა“ განაცხადა, რომ მისთვის ადვილია ჩვენი გაზეთის იგნორირება და მართლაც, იგი ჩვენს იგნორირებას ახდენს იმით, რომ თავის კორექტორებსა და მთარგმნელებს „ობზორის“[36] წინააღმდეგ პოლემიკის საშუალება მისცა. გუშინ „ტიფლისსკი ვესტნიკის“ № 20-ში დაბეჭდილი იყო ამ გაზეთის კორექტორის წერილი „ობზორის“ რედაქტორისადმი. დღეს (№ 21-ში) დაბეჭდილია ქ-ნ ბლავატსკაიას დის ქ-ნ ჟემჩუჟნიკოვასკაიას წერილი[65]. ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა გადმოგვებეჭდა „ობზორის“ ფურცლებზე ეს ვრცელი წერილები და ამიტომ ჩვენს მკითხველებს ვურჩევთ თვითონ წაიკითხონ. თუ „ტიფლისსკი ვესტნიკი“ კვლავაც მოგვისევს თავის დარაჯებს, ხსენებულ გაზეთს ვთხოვთ, სთხოვოს მათ მოკლედ წერონ, რათა მოგვცეს შესაძლებლობა გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს მათი ნაწერი.

45. საზღვარგარეთის ახალი ამბები

სრულიად სარწმუნო წყაროდან შევიტყვეთ, რომ გერმანიის მთავრობა უკვე შეუდგა მზადებას თავისი არმიის მობილიზაციისათვის. არმიიდან შვებულებაში წასულ და უვადო შვებულებაში გასულ პირებს, რომლებიც საზღვარგარეთ იმყოფებიან, საელჩოებმა აუწყეს, რომ მზად იყვნენ პირველივე მოთხოვნისთანავე დაუბრუნდნენ თავიანთ დროშებს. აუცილებელი არაა აღვნიშნოთ ამ ღონისძიების დიდი მნიშვნელობა, რომლის შესახებაც ტელეგრაფი რატომღაც აქამდე ბეჯითად სდუმს.

* * *

25 იანვარს „Times" და „Daily Newk-მა გვაცნობა ორი ინგლისელი მინისტრის ლორდ დერბისა და ლორდ კარნარვონის გადადგომა. ამ უკანასკნელის გადადგომა მიღებულია, ხოლო ლორდ დერბის გამო დიდი მოლაპარაკებაა გამართული, რადგან სურთ დაიყოლიონ დარჩეს ახლანდელი კაბინეტის წევრად. გაზეთ „Morning Advertiser"-ის ცნობების მიხედვით, ინგლისის პარლამენტის ოპოზიციის ბელადებმა გადაწყვიტეს მისცენ მთავრობას ექტერნული კრედიტი (5 მილიონი ფუნტი სტერლინგი) იმ შემთხვევაში, თუ იგი ამ კრედიტს ომისათვის კი არ გამოიყენებს, არამედ მოსამზადებლად, რაც აუცილებელია საქმეთა ახლანდელი მდგომარეობის გამო და მხოლოდ მაშინ თუ ამ კრედიტს მოითხოვს ისეთი კაბინეტი, რომელშიც არავითარი განხეთქილება არ იქნება.

ქვედა პალატის საღამოს სხდომაზე (25 იანვარი) ლორდმა გარტინგტონმა მთავრობას შემდეგი კითხვებით მიმართა: ცნობილია თუ არა ზავის პირობები? იცოდა თუ არა მთავრობამ მაშინ, როცა მან (ამას წინათ) პარლამენტს ექსტერნული კრედიტი მოსთხოვა, რომ ამ პირობებს უკვე იხილავს პორტა? ხელმოწერილია თუ არა დაზავების წინასწარი პირობები? მიიღო თუ არა მთავრობამ რაიმე ზომები და მისცა თუ არა რაიმე ინსტრუქციები? საფუძვლიანია თუ არა ხმები ერთი ან ორი მინისტრის გადადგომის შესახებ? ლორდმა გარ-

ტიქტონმა დასძინა, რომ იგი უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო არ იძლევა ამ კითხვებს. ეტყობა, მთავრობის პოლიტიკას ზოგიერთი პარლამენტის წევრიც არ უჭერს მხარს? როგორიღა უნდა იყოს, ამ შემთხვევაში, ინგლისის დამოკიდებულება უცხო სახელმწიფოებთან და ხომ არ არის იგი მთლიანად იზოლირებული?

* * *

სერ სტაფორდ ნორტკოტი უარყოფს, როგორც ულირსს, ორატორის მიერ გამოთქმულ ვარაუდს იმის შესახებ, თითქოს მთავრობამ ამას წინათ გამოაცხადა თავისი განზრახვა მოითხოვოს დამატებითი კრედიტი და ამავე დროს იცოდა, რომ პორტა უკვე იხილავს რუსეთის მიერ შეთავაზებული ზავის პირობებს. გრაფმა შუვალოვმა მხოლოდ დღეს აცნობა ლორდ დერბის ზავის საფუძვლის რამდენიმე პუნქტი, რასაც მანამდე ვერ აცნობებენ პალატას, სანამ ამის შესახებ წინასწარ არ აცნობებს რუსეთის ელჩი მთავრობას, რადგან ჯერ არაფერი არაა ცნობილი დაზავების, ან ზავზე ხელისმოწერის შესახებ. გასულ ოთხშაბათს, საღამოს, მთავრობამ გადასწყვიტა გაგზავნოს ფლოტი დარდანელის სრუტეში იმ მიზნით, რომ კონსტანტინეპოლის აღების შემთხვევაში დაიცვას დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომთა სიცოცხლე და ქონება. მაგრამ მას შემდეგ, ზუსტად კი ვუშინ, ფლოტს უბრძანეს დარჩეს დარდანელის შესასვლელთან. მთავრობასა და უცხო სახელმწიფოებს შორის მოხდა დეპეშების იხტენსიური გაცვლა, რომელთა შინაარსს ვერ გაუმხელენ პარლამენტს, რადგან დეპეშები კონფიდენციალური ხასიათისაა. მას არ შეუძლია პასუხი გასცეს კითხვას ინგლისის იზოლაციის შესახებ. დამატებითი კრედიტი, რის მოთხოვნასაც მთავრობა აპირებს, 6 მილიონ ფუნტ სტერლინგს მიაღწევს.

ლორდ გარტინგტონის შემდეგ კითხვებზე ხაზინის კანცლერმა გასცა პასუხი. მან სთქვა, რომ ახალ მოვლენებს არ შეუცვლია მთავრობის პოლიტიკა ექსტერნული კრედიტის მოთხოვნის სფეროში, თუმცა შესცვალა ფლოტისადმი ბრძანება. ნორტკოტის განცხადებას ფლოტის დარდანელისაკენ გადაადგილების შესახებ ოპოზიცია ირონიული ტაშის ცემით შეხვდა, ხოლო მმართველმა პარტიამ გაუბედავად დაუჭირა მხარი.

ზემო პალატაში ლორდმა ბიკონსფილდმა, რომელიც ლორდ სანდვიჩის მიერ დასმულ კითხვებს პასუხობდა (ინგლისის ფლოტის დარდანელისაკენ გაგზავნის შესახებ), განაცხადა, რომ ინგლისის დედოფლის მთავრობას არ აცნობეს მეომარ მხარეთა შორის მოლაპა-

რაკების დაწყება. მაგრამ რუსეთის ჯარების ისეთი პუნქტებისაკენ მოძრაობამ, რომლებთანაც ინგლისის ინტერესებია დაკავშირებული და აგრეთვე თურქეთის სულთანის განცხადებამ თითქოს კონსტანტინეპოლში დაწყებული არეულობა მის სიცოცხლეს ემუქრება, ინგლისი იძულებული გახადა ებრძანებია ფლოტისათვის დარდანელისაკენ დაძრულიყო. მიუხედავად ამისა, ყველა სახელმწიფოს წინასწარ აცნობეს, რომ ეს ღონისძიება სრულიად არ ნიშნავს ნეიტრალიტეტის დარღვევას. ფლოტი დარდანელისაკენ მხოლოდ იმ მიზნით იგზავნება, რომ დაიცვას ინგლისის ქვეშევრდომები, მათი ქონება და აგრეთვე ინგლისის ინტერესები. მაგრამ მას შემდეგ გამოგვიგზავნეს რუსეთის მიერ წამოყენებული პირობები, რაც საფუძვლად უნდა დაედოს დაზავებას. და ამიტომ აღნიშნული ბრძანება გაუქმდა.

ამის შემდეგ ლორდმა კარნარვონმა განაცხადა, რომ გამოდის კაბინეტის შემადგენლობიდან. უკვე კარგი ხანია, სთქვა მან, მისი შეხედულებები არ ეთანხმება კაბინეტის ძირითად პოლიტიკას. და ამის გამო მან რამდენჯერმე ითხოვა გადადგომა, მაგრამ მისი თხოვნა უკანასკნელად 15 იანვარს უარყვეს. გუშინ კი (24 იანვარს) მან ხელახლა მოითხოვა გადადგომა იმის გამო, რომ ინგლისმა ფლოტის კონსტანტინეპოლში გაგზავნა გადასწყვიტა, ამჯერად მის გადადგომას დათანხმდნენ. მისი აზრით, ფლოტის გაგზავნა ნეიტრალიტეტის დარღვევაა. ამასთანავე, მომენტი ძალზე არახელსაყრელია. ფლოტის გაგზავნა ხდება მოლაპარაკებისათვის კრიტიკულ დროს, იმ ღროს, როცა ინგლისის ჩარევამ შეიძლება თურქეთი გააშხნეოს და მან, საკუთარი ინტერესების საწინააღმდეგოდ, ომის გაგრძელებაც კი მოინდომოს, რადგან ფლოტის ამგვარი გადაადგილება შეიძლება გაიგონ როგორც რუსეთისადმი დამუქრება.

ლორდ დერბის გადადგომის საკითხი ჯერ კიდევ გაურკვეველია.

46. ადგილობრივი მიმოხილვა

„ბაკინსკიე იზვესტია“[56] გვაცნობებს, რომ 8 იანვარს ბაქოში შედგა ქალაქის ახალი საზოგადოებრივი სამმართველოს საზეიმო გახსნა. ლოცვის შემდეგ, ახლადარჩეულმა საბჭოს წევრებმა თბილისში გამოგზავნეს სამადლობელო დეპეშა დიდი მთავრის კავკასიის მეფისნაცვლის სახელზე, და იმავე დღეს ბაქოს ქალაქის თავის მოვალეობის აღმასრულებელს ი. ი. ჯაყელს ეღირსა მისი უდიდებულესობისაგან შემდეგი პასუხის მიღება:

„ბაქოელებს ვუსურვებ ქალაქის ახალი სამმართველოს გახსნას, ვიმედოვნებ, რომ ქალაქის საბჭოს ყველა წევრი თავისი მოვალეობის პირნათლად შესრულებით გაამართლებს ამომრჩეველების ნდობას ქალაქის საკეთილდღეოდ“.

მ ი ხ ე ი ლ ი

* *

„ტიფლისსკი ვესტნიკში“[1] ნათქვამია, რომ 30 იანვრიდან ჩვენი წრის სცენაზე, გასული ზამთრების მსგავსად, ყოველკვირეული წარმოდგენები გაიმართება. პირველად ნაჩვენები იქნება: ვ. კრილოვის „ალყაშემორტყმულნი“. სპექტაკლების გამგებელი იქნება წრის მამასახლისი პ. მ. ლებედევი, რეჟისორი — კვლავინდებურად ა. ოპოჩინინი.

* * *

„კავკასი“[3] დღეს უარჰყოფს ჩვენს ქალაქში გავრცელებულ ხმას, თითქოსდა ადგილობრივ სასწავლო დაწესებულებებში სწავლა კანონით დადგენილ ვადაზე ადრე დამთავრდება. „არავითარი ოფიციალური განკარგულება ან, თუნდაც, ვარაუდი ამ საკითხთან დაკავშირებით აქამდე არ ყოფილა, — ამბობს ხსენებული გაზეთი, — და არც არის მოსალოდნელი, რადგანაც თბილი დარების დადგომასთან დაკავშირებით ეპიდემიის აცილების მიზნით მთავრობა ფრიად ენერგიულ ზომებს მიმართავს მის თავიდან ასაცილებლად და მოსასპობად“.

* * *

ბაქოში, — ქალაქში, — სადაც ყოველგვარი კომპანიები და აფიორები სოკოსავით მრავლდება და ისპობა, ადგილობრივი „იზვესტიების“ თქმით, ჩამოყალიბდა რამდენიმე „კომპანია“ იმ მიზნით, რომ ხელი მოჰკიდონ კასპიის ზღვაზე გადაზიდვის საშუალებათა გაზრდის პრობლემას.

ჩვენ შეგვატყობინეს, რომ ჩვენი მხარის ერთ-ერთი მკვიდრი გ. ვ. პეტრიევი არჩეულია ნოვოროსისკის უნივერსიტეტის ექსტრაორდინალურ პროფესორად ქიმიის კათედრაზე. თბილისის მეორე მკვიდრი ბ-ნი მელიქიშვილი ამჟამად ოდესაში გამოცდას აბარებს ქიმიის მაგისტრის ხარისხზე.

* * *

კვირას, დიდი თავადის ასულის ოლგა ფეოდოროვნას თბილისის ქალთა გიმნაზიის დარბაზში, შეიკრიბა თბილისის ქალთა გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების აღსაზრდელთა ხელშემწყობი საზოგადოების წევრთა ყოველწლიური კრება. ეს საზოგადოება უკვე თითქმის ორი წელია, რაც არსებობს. სამწუხაროდ, მისი მოღვაწეობის შესახებ რაღაც ძალიან ცოტა გვსმენია.

* * *

ჩვენი მკითხველების განსაკუთრებულ ყურადღებას შევაქცევთ შემდეგ შესანიშნავ „ცნობას“, რომელიც გაზეთმა „კავკაზმა“ ქუთაისიდან მიიღო. ამ ცნობაში აღნიშნული ფაქტები თავისთავად საკმაოდ მჭევრმეტყველურია და კომენტარებს არ საჭიროებენ:

„გასული წლის „ტიფლისსი ვესტნიკის“ 274-ე ნომერში დაბეჭდილია გასული წლის კორესპონდენცია ქუთაისიდან, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა შორის ქუნთრუშის გაჩენის შესახებ. ხსენებულ კორესპონდენციაში ნათქვამის შესაავსებად და განსამარტავად, საჭიროდ მიმაჩნია დავუმატო ქვემოთ თქმული. თასაც დავსძენ, რომ ჩემთვის კარგადაა ცნობილი როგორც დაავადებულთა რაოდენობა, ისევე სასწავლებლის მიერ მიღებული ზომები, რადგანაც მე, როგორც ქალაქის პოლიციის ექიმს, მევალებოდა და მომიხდა კიდეც ამ ავადმყოფობასთან ბრძოლა.

„ქუთაისში ქუნთრუშის პირველი შემთხვევები შემჩნეული იყო ოქტომბრის თვეში და მოდებული იყო ქალაქში ეგრეთ წოდებულ არქიერეის მთაზე, კერძო პირთა შვილებსა და, თითქმის ერთდროულად, სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებს შორის.

„ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში 700-მდე მოსწავლეა,

ისინი უმეტესად ხსენებულ მთაზე ცხოვრობენ, მაგრამ ბევრიც ქალაქში ცხოვრობს, სემინარიიდან თითქმის ორი ვერსით დაშორებულ უბნებში. სასწავლებლის შენობაში მხოლოდ 36 აღსაზრდელი ეტევა, ისინი, რომელნიც მეტწილად სახელმწიფო ხარჯზე ცხოვრობენ. დანარჩენები, მცირე გამონაკლისის გარდა, ძალიან ღარიბულად ცხოვრობენ, უბადრუკ ქოხებში რამდენიმე კაცია მოთავსებული, ქოხებში ღუმელი არ არის, არც ჭერი და იატაკია, სინათლე ღია კარიდან შემოდის. აქვე არიან ქოხის პატრონები, მათი ავლა-დიდება, საქონელი და ა. შ. ასეთი მრავალრიცხოვანი მოსწავლეებისაგან შემდგარ სასწავლებელს არც საავადმყოფო აქვს, არც ექიმი ჰყავს. ჰყავს მხოლოდ ფერშალი, და აქვს საოცრად უმნიშვნელო თანხა წამლებისათვის. ასეთ ცუდ პირობებში მოსწავლეებს შორის გაჩნდა ქუნთრუშა.

ავადმყოფობის გავრცელების გამო სასწავლებლის ადმინისტრაციამ სასწავლებლის ერთ-ერთი ოთახი გადააქცია საავადმყოფოდ სახელმწიფო ხარჯზე მყოფი აღსაზრდელებისათვის.

მაგრამ, რადგანაც იძულებულნი იყვნენ აქვე მოეთავსებინათ სხვა სენით დაავადებულნიც, გასაგებია, რომ საავადმყოფოში ქუნთრუშაც გადაედებოდათ მათ. და მაინც კერძო ბინებზე მცხოვრებთ გაცილებით უფრო უჭირდათ. ქუნთრუშით დაავადებულნი იმავე ქოხებში იწვნენ, სრულიად მოუვლელნი, ნახევრად შიშველნი. დაუბანელნი; მშივრები იწვნენ ნესტიან იატაკზე, ხშირად სისხლიანი ფაღარათით დაავადებულის გვერდით. სასწავლებლის ადმინისტრაციამ სხვა ვერაფერი გაახერხა და მიმართა საშუალებას—დაითხოვა მოსწავლეები, მაგრამ ძალიან საზიანო იყო მოსახლეობისათვის, რადგან სენის გადადების შესაძლებლობა დიდი იყო და არც მოსწავლეები იყვნენ დაზღვეული ავადმყოფობის მიღების შესაძლებლობიდან.

მოსწავლეთა დათხოვნის შედეგად ავადმყოფობა არ გავრცელდა; მანამდე კი ოცდაათზე მეტი ბიჭი დაავადდა, როგორც სახელმწიფო შენობაში მცხოვრები, ისევე უპირატესად კერძო ბინებზე მყოფნი. სიკვდილიანობას მხოლოდ იმიტომ არ ჰქონდა ადგილი, რომ ძძიმე ავადმყოფები შინ მიჰყავდათ, რასაც აღმინისტრაციაც უწყობდა ხელს, რაც ზემომოყვანილი წერილიდან ჩანს. ამჟამად ყველა მოსწავლემ კვლავ მოიყარა თავი. ჩამოჰყვათ თუ არა ქუნთრუშა და გაბოაკლდათ თუ არა ვინმე — ჩემთვის ოფიციალურად არაა ცნობილი; მაგრამ ვე კარგად ვიცი, რომ ქალაქში კვლავ მძვინვარებს ქუნთრუშა, და რომ ეგ ავადმყოფობა ამჟამად მოდებულია არქიიერეის მთა-

ზე მცხოვრებ ბავშვებში, რომლებიც ხშირად იმავე სახლებში ცხოვრობენ, სადაც სასწავლებლის მოსწავლენი.

„ხსენებული კორესპონდენციის ავტორი ამბობს, რომ ერთადერთი იმედი შეიძლება იყოს საკუთარი საავადმყოფო. რომელიც მომავალ. ე. ი. მიმდინარე წელს გაიხსნება. ჯერჯერობით ასეთი არ არსებობს, ქუნთრუშა კი შეიძლება ისევ მოედოს ბავშვებს. ნუთუ არ არის არავითარი შესაძლებლობა ავადმყოფისათვის ბინის დაქირავებისა? საამისოდ არ არის აუცილებელი ქვის სახლები; საკმარისია ორი-სამი ოთახი სუფთა, ნათელ ქოხში, და ერთი-ორი მომვლელი, სასწავლებლის ფერშლისათვის დახმარების გასაწევად. ნუთუ დაავადებული მოსწავლენი ისევ უსახურავო და უიატაკო ქოხებში ეყრებიან გათოშილები? განა სასარგებლო არ იქნება მოსწავლეთა ბინების ხშირი ინსპექცია და მოსწავლეთათვის სიფრთხილის ზოგიერთი წესის სწავლება, დაავადებულთა შეძლებისდაგვარად სწრაფი მორიდება ჯანმრთელთაგან, მოსწავლეთათვის ჰიგიენის ძირითადი წესების განმარტება, როგორც მაგალითად სისუფთავის დაცვა და ა. შ. ნუთუ ბ-ნი მასწავლებლები არ ისურვებენ იკისრონ ბინების ინპექტორთა მოვალეობა?

„რაც შეეხება მომავალ საავადმყოფოს, იგი უაღრესად აუცილებელია. 700 მოსწავლეში ავადმყოფი მუდამ გამოერევა. მოკლე ხნის განმავლობაში წვავწყდი ტიფით, სისხლიანი ფაღარათით და სხვადასხვა ანთებებით დაავადებულ მოსწავლეებს. მოსწავლეთა ასეთი რაოდენობა განა დასაშვებია საავადმყოფოსა და საკუთარი ეჭიმის გარეშე? ნუთუ მშობლებისათვის უფრო ხელსაყრელია ავადმყოფების შინ წაყვანა, ვიდრე, შეძლებისდაგვარად, ყოველწლიურად ფულის გაღება თავშესაფარის და დამხმარე სათავსოების მოსაწყობად მათივე ავადმყოფი შვილებისათვის? „ტიფლისსკი ვესტნიკის“ კორესპონდენტთან ერთად, მეც მივცემ ჩემს თავს უფლებას ვიქონიო იმედი, რომ სასულიერო პირნი ყურად იღებენ ამ ყველაზე საჭირბოროტო აუცილებლობას და სასწავლებელთან საექიმო პუნქტს მოაწყობენ“.

ქუთაისის ქალაქის პოლიციის ექიმი ნოვიცკი.

47. გაზეთებიდან

„ბაკინსკიე იზვესტიიდან"[56] ამოვკრიფეთ შემდეგი ნაწყვეტები ბაქოს საბჭოს პირველი სხდომის შესახებ:

14 იანვარს ბაქოს ქალაქის საბჭოში იყო საბჭოს წევრთა პირველი სხდომა. თავმჯდომარეობდა ქალაქის თავი ბატონი ჯაყელი. თავიდან 68 საბჭოს წევრი ესწრებოდა. ბოლოს მხოლოდ 60 დარჩა.

ქალაქის თავმა წინადადება შემოიტანა აერჩიათ გაგეობის წევრები და მდივანი. ატყდა საშინელი ხმაური და განუწყვეტელი ლაპარაკი. როდესაც პირველი ბობოქარი ტალღა მინელდა და ვნებათა ღელვა ცოტა მიწყნარდა, მაშინ პრაქტიკულმა ხალხმა შეიტანა წინადადება ჯერ თვითეული მათგანისთვის ჯამაგირი დაენიშნათ და მერე წევრები აერჩიათ. ითქვა და გაკეთდა. ქალაქის თავმა განაცხადა. რომ როდესაც საქმე ჯამაგირის დანიშვნას ეხება, მას არა აქვს თავმჯდომარეობის უფლება და ამიტომ ამ წოდებაზე უარს აცხადებს. მის ნაცვლად სმის უმრავლესობით დანიშნეს საბჭოს წევრი. ბაქოს ჟანდარმერიის სამმართველოს მთარგმნელი დადაშ-ბეკ საფარ ალიევი. მდივნის საკითხში ყველანი მორიგდნენ — დაუნიშნეს 1500 მან., მაგრამ წევრთა ჯამაგირებზე აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი: ზოგმა 600 მან. იკმარა, ზოგნიც 800, 1000 და 1200 მანეთს ამჯობინებდნენ; მხოლოდ ყველაზე გაბედულებმა განაცხადეს 1500 მან. დავუნიშნოთო, მაგრამ უმრავლესობამ გაიმარჯვა და გადაჭრით შეჩერდნენ 1200 მანეთზე. ქალაქის თავმა კვლავ დაიკავა თავისი ადგილი და წინადადება შეიტანა აერჩიათ გამგეობის წევრები. ატყდა ყვირილი: აივაზოვი, ანტონოვი, ვერმიშევი, დადაშ-ბეკი, სელიმხანოვი სხ. ბევრმა მათგანმა უარი თქვა პატივზე, გამხდარიყო საბჭოს გამგეობის წევრი. ბ-ნი ანტონოვი წამოდგა და დაახლოებით შემდეგი განაცხადა: „თქვენ მოგეხსენებათ, ბატონებო, რომ მე მაზრის უფროსი ვარ; ძალიან ბევრი სხვადასხვაგვარი სამუშაო მაქვს, და არა მაქვს შესაძლებლობა საზოგადოებრივ საქმეებს მოვკიდო ხელი. ამის გამო გადაჭრით ვაცხადებ უარს პატივზე, რომელიც დამდეთ". ბ-მა საფარ-ალიევმა უარი თქვა ამ პატივზე და თავისი უარი, ან-

ტონოვის მსგავსად, იმით დაასაბუთა, რომ მთარგმნელია ბაქოს ჟანდარმერიის სამმართველოში და ვერ იკისრებს საზოგადოებრივ საქმეებზე ზრუნვას.

აივაზოვი შეუერთდა ორ კანდიდატს და აუხსნა საზოგადოებას, რომ ხაზინაში მსახურობს და ამიტომ ვერ მიატოვებს თავის სამსახურს. ვერმიშევმაც რაღაც ამდაგვარი გამოთქვა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო თანამდებობის ნაცვლად ბევრი საზოგადოებრივი საქმე აკისრია. დანარჩენნი სდუმდნენ. ასეთი საყოველთაო უარის გამო, ზოგიერთი წევრი ალაპარაკდა გამგეობის წევრთა ჯამაგირის გადიდების აუცილებლობაზე. ქალაქის თავმა კვლავ უარი თქვა თავმჯდომარეობაზე და ადგილი დაუთმო საფარ-ალიევს. საბჭოს წევრებმა გადაწყვიტეს გაეუქმებინათ ამ წუთში ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება გამგეობის წევრთათვის 1200 მან. ოდენობით ჯამაგირის დანიშვნის შესახებ და ერთხმად დაადგინეს დაენიშნათ ჯამაგირი 1500 მან. ზოგიერთებმა ისევ დაადგინეს, რომ საბჭოს ეს დადგენილებაც უნდა გაუქმდეს და ჯამაგირი 2000 მანეთი უნდა დაენიშნოთო. აზრთა სხვადასხვაობის გამო საკითხის გადაჭრა ფარულ კენჭის ყრას მიანდეს. ჩვენმა საბჭოს წევრებმა მოახერხეს ორი საკითხისთვის ერთად ეყარათ კენჭი: ვინც 2000 მან. მომხრეა, ბურთს თეთრ განყოფილებაში ჩადებს, ვინც 1500 მანეთს — შავში. დახურულმა კენჭის ყრამ ნათელყო, რომ უმრავლესობა 2000 მანეთის მომხრეა და საბჭომ, მესამედ, გააუქმა რა თავისი დადგენილება, საბოლოოდ დაუნიშნა საბჭოს წევრებს 2000 მანეთი. ბ-მა ქალაქის თავმა კვლავ დაიკავა თავისი ადგილი და წინადადება შეიტანა აერჩიათ გამგეობის წევრები. ჯერ მხოლოდ ორის არჩევა გადაწყვიტეს, მაგრამ როდესაც მუსლიმანებმა თავისი კანდიდატი წამოაყენეს, მაშინ ქალაქის თავმა განაცხადა, რომ, თუ მხოლოდ ორ წევრს აირჩევენ, ორივე ქრისტიანი უნდა იყოსო. მუსლიმანთა უფლებების დამცველად გამოვიდა შიხ ალი დადაშევი და აუხსნა ქალაქის თავს, რომ რაკი მისმა უდიდებულესობამ, კავკასიის ნაცვალმა, უფლება მისცა საბჭოს წევრთა ნახევარი მუსლიმანებისაგან აერჩიათ, ამით იმის უფლებაც მიანიჭათ, რომ გამგეობის ნახევარიც მათგან აერჩიათ. მაგრამ ქალაქის თავმა აუხსნა, რომ წესდება პირდაპირ მიუთითებს, რომ მუსლიმანები გამგეობის წევრთა 1/3-ზე მეტს არ უნდა შეადგენდნენ. დადაშევს შემოაქვს წინადადება დროებით გადაიდოს არჩევნები და ეთხოვოს დიდ მთავარს წესდების ამ პარაგრაფის შეცვლა. მაგრამ ქალაქის თავი კვლავ აჩერებს მას და ეუბნება, რომ აქ არ შეიძლება წესდების შეცვლაზე ლაპარაკი; ჩვენ აქ მოვედით

კანონების შესასრულებლად და არა მათ შესაცვლელად. თუ რაიმეს შეცვლა გსურთ, მაშინ შუამდგომლობა აღძარით საბჭოში. მაგრამ რაკი ჩვენს მიერ დაყენებული საკითხის გადადება არ შეიძლება და თქვენ აუცილებლად გინდათ გამგეობის ერთი წევრი მუსლიმანი გყავდეთ, მაშინ სამი წევრი აირჩიეთ და ამ შემთხვევაში მესამე შეგიძლიათ თქვენი წრიდან აირჩიოთ. ამაზე ყველანი შეთანხმდნენ. გადაწყვიტეს გაეუქმებინათ თავიანთი პირველი გადაწყვეტილება ორი წევრის არჩევის შესახებ და დაადგინეს აერჩიათ სამი წევრი, ოითეული 2000 მან. ჯამაგირით.

სამი ღირსეული მოქალაქე, რომლებმაც ჯერ უარი თქვეს წევრობაზე, — თითოეული თავის სამსახურებრივ მდგომარეობას იმიზეზებდა, — როცა 2000 მან. დაენიშნათ, ვერ აღუდგა საერთო სურვილს და თავგანწირვით დათანხმდნენ ეკისრათ გამგეობის წევრის სახელი და წელიწადში 2000 მანეთის მიღების მთელი სიმძიმე. რაც მიუხედავად დიდი სურვილისა და საზოგადოებრივი ინტერესებისადმი უზომო თანაგრძნობისა, ვერასგზით ვერ გააკეთეს 1200 მანეთიანი ჯამაგირის ხათრით... სათქმელი აღარაფერია. მუსლიმანებმა გაიყვანეს თავისი კანდიდატი, ქანდარმერიის სამმართველოს მთარგმნელი დადაშ-ბეგ საფირ ალიევი, რომელმაც 67 საარჩევნო ბურთიდან 46 თეთრი მიიღო, ხოლო მის კანდიდატად — ასან ბეგი მელიქოვი, რომელმაც 44 საარჩევნო ბურთი მიიღო. ქრისტიანთაგან არჩეულია ბაქოს მაზრის უფროსი ანტონოვი და ხაზინის მოხელე აივაზოვი; პირველმა 56 თეთრი ბურთი მიიღო, მეორემ — 53. მათ კანდიდატებად დაინიშნენ კუროედოვი და კრიკუროვი. მდივნად არჩეულია ბ-ნი კანევსკი.

*

„ტერსსკი ვედომოსტში"[57] დაბეჭდილია სტანიცის ზნე-ჩვეულებათა ამსახველი შემდეგი სურათი:

„გასული წლის ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში, სტანიცა გოლიუგავსკიზე გზად მიმავალს. მომიხდა სტანიცის მმართველობის წინ ჩავლა. უკვე ბინდი ჩამოწვა; მმართველობის შენობამ ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო, იმიტომ, რომ ხალხით იყო სავსე და იქედან მკივანი, უაზრო ლაპარაკი ისმოდა. ცნობისმოყვარეობამ მაიძულა შემხდური მოხუცისათვის მეკითხა — ეს რა ყაყანია, და იმან ამიხსნა, რომ მათ საზოგადოებას სომეხ სუსანოვისათვის მიუცია უფლება სტანიცაში სამიკიტნოს გახსნისა და მადლიერ მიკიტანს, მადლობის ნიშნად, საზოგადოებისათვის მიურთმევია ერთი ვე-

დრო არაყი და ხუთი ვედრო ღვინო; ჰოდა, ამ უფასო სასმელს რომ მოერიენ, თავისას — საზოგადოებრივს — მისდგნენ; მერე მოხუცი, — ეტყობა ლაპარაკი არ ეზარებოდა, — არ დასჯერდა მონაყოლს სტანიცის მმართველობაში ხმაურთან დაკავშირებით და მიამბო, რომ გასულ შემოდგომაზე დიდად მოილხინეს და გვარიანადაც სვეს! ჩემს შეკითხვაზე — რამ აიძულათ ესვათ, ძალიან დაწვრილებით ამიხსნა, რომ მათი სტანიცის ყოფილი ატამანი მივლინებულია თურქეთში, მის ნაცვლად კი აირჩიეს ურიადნიკი; — ჰოდა, გაუჩერებლად სვამდნენ, სამ დღეს სვეს არჩეულის ხარჯზე. მაგრამ ოლქიდან უარი მოვიდა, რადგან არჩეული ატამანი ვერ იქნებაო; განკარგულება გასცეს სხვა აგვერჩია. ავირჩიეთ სხვა იასაული; ახლა სამი დღე მის ხარჯზე ვსვით. ორი კვირის შემდეგ ოლქის უფროსის თანაშემწე ჩამოვიდა და რატომღაც ბრძანა კვლავ მოგვეხდინა არჩევანი; მაშინ საზოგადოება ორად გაიყო: ვისაც მეტი თასი ერგო იასაულისაგან, მისი მომხრე იყო, ხოლო ვისაც უფრო ადრე არჩეულმა, ურიადნიკმა, ასიამოვნა, მას მიემხრო. ეს საკითხი იასაულის სასარგებლოდ გადაწყდა და მისი მომხრენი ისევ წავიდნენ მასთან ღვინის სასმელად, სხვები კი თავის ურიადნიკთან წავიდნენ — ასევე სასმელად და უფროსებთან არზის დასაწერად თითქოსდა არასწორი არჩევის თაობაზე. ახლა რით დამთავრდება საქმე, არ ვიცით. ამასთან, მოხუცმა დაურთო, რომ ეს გამასპინძლება, ასე ვთქვათ, საჯარო იყო, მაგრამ ჩუმჩუმადაც კარგად ყლაპეს. კონკურენტები ჯერ კიდევ არჩევამდე, ერთმანეთს არც უმალავდნენ, ისე ჩაიგდებდნენ ხოლმე ხელში ორ-ორ, სამ-სამ ან ხუთ-ხუთ მოხუცს, შეიპატიჟებდნენ სახლში და ასმევდნენ რამდენიც მოესურვებოდათ, თან სთხოვდნენ. სასოფლო ყრილობაზე ჩემი მომხრე იყავიო. ვკითხე მოხუცს, რამდენი ჯამაგირი დაენიშნა ატამანს. იმან მითხრა — ძალიან ცოტა, 150 მან. არც მოსამსახურე ეკუთვნის, არც გათბობა და არც სხვა ხელსაყრელი პირობებიაო. ამით დამთავრდა მოხუცის მონაყოლი. შეიძლება კიდევ ეთქვა რამე, მაგრამ მასაც გვარიანად აწუხებდა ის, რაც სტანიცის მმართველობაში ხდებოდა. მოხუცის ნაამბობის შემოწმების მიზნით, სადაც ღამე გავათიე, ორ-სამ კაცს კიდევ ვკითხე და ნათქვამი დადასტურდა".

48. ლაშქრული ცხოვრების სურათი

1

ყველაფერი სველია, ცივა... ჭუჭყიანი, ნაცრისფერი ღრუბლები ბეთის მწვერვალებს ებღაუჭებიან და მიცოცავენ, დაუნდობლად უშენენ მწირ, გაშიშვლებულ მიწას წვიმის ნაძიმე და მომაბეზრებელ წვეთებს. კორპუსის უფროსის რაზმი ტალახიან შარაზე მიაბიჯებს, გუბეებში დაგუბებული წყალი აქეთ-იქით აშხეფებს და Pendant[58] სევდიან ვითარებაში, როგორღაც სევდიან შტრიხს იძენს... შტაბის წევრების სხვადასხვაგვარი მუნდირები და ქურთთა ბადრაგის ჭრელი, ორიგინალური კოსტუმები შავმა ნაბდებმა დაფარა. აღარ ფრიალებს ამაყად არდაგანთან ხელში ჩაგდებული მწვანე დროშა... ტარზე მშიდროდ შემოხვეული, ის ისევე სველი, როგორც ირგვლივ ყველაფერი, ნაღვლიანად, დამცირებულად გამოიყურება. მხედრები ჩუმად მიაბიჯებენ და მთელი ტანით მოუთმენლად იბუზებიან, როცა წვიმის გესლიანი, ცივი წვეთი ყაბალახში გაატანს და კისერზე დაცურდება... და აი ერთი წამით გაირღვა ღრუბელთა საბურველი და ჩამავალი მზე ერთხანს მომაკვდავი სხივებით აშუქებს გენერლების ტყავისა და კაუჩუკის პრიალა პალტოებს, სხვადასხვა ჯიშის ცხენების სველ ბალახს... გაიარა ამ წამმა და საძაგელმა, მღვრიე ღრუბლებმა ისევ ამოავსეს ნაპრალი და ნიშნის მოგებით კიდევ უფრო ძლიერ წვიმას უშენენ დედამიწას... ერთი სიტყვით, დიდი საძაგლობაა!..

ეჰ, მოგვცა ახლა ერთი-ორი ჭიქა არაყი, დასაყოლებლად კი ხიზილალა, ან ასთაკვი. — ამბობს ვიღაც ჩემს მახლობლად და ენას ისე მადიანად აწკლაპუნებს, როგორც კლასიკური მამალი.

— რა საძაგელი ჩვეულება გაქვთ, რუბლევიკოვ, კაცს ყველაზე შეუფერებელ მომენტში უნდა მოაგონოთ ამგვარი რამ? გაღიზიანებაა და მეტი არაფერი...

— არა, კარგი იქნებოდა... — ახელებს მაცდური.

ღრუბლები სულ უფრო და უფრო მძიმდება, მწუხრის ჟამი დგება. ხშირად ისმის დაქანცული ცხენების ფრუტუნი.

— ბატონებო, სად დავისვენებთ დღეს?

— ორლოკში.

— აღალი მაინც მოვიდეს დროზე, თორემ ამ სიცივესა და ტალახში მოგვიწევს დგომა.

— მათხოვეთ თქვენი ასანთის კოლოფი, მოვწევ მაინც ჯავრისაგან.

— არ მოხვიდეთ ახლოს, წიხლებს გესვრით!

უკან ყურებგადაწყობილი, მაღალი ულაყი ბოროტად უყურებს ჩემ გაპუტულ, სველ პატარა კაზაკურ ცხენს.

ფართო ღარტაფი, რომელსაც შუაში ნაკადული ჰკვეთს, მაღალ მთას ებჯინება. მხარმარცხნივ, დამრეც ფერდობზე, ნახევრად ბნელში რომელიღაც ციხის ნანგრევები მოჩანს.

— აი, მოვედით!

შტაბის წევრები ცხენზე დიდხანს ჯდომით დაბეჟეებულ ფეხებს ამოძრავებენ და ჯგუფ-ჯგუფად გაჩერებულნი სევდიანად გაჰყურებენ უკან დარჩენილ გზას. ხომ არ სჩანს მუდამ დაგვიანებით მომავალი აღალი, რომელსაც მუდამ მოუთმენლად ელოდებიან, რადგან ყველაფერი მას მოაქვს: კარვებიც, სამზარეულოც და სალაშქრო ცხოვრების მთელი მცირერიცხოვანი სიკეთეც. თითქოს ჯინაზე, წვიმის სქელი ბადე ათობით დაძაბული თვალისაგან ფარავს ფურგონების თეთრ ზედანაწილს, რომლებიც იმ ადგილიდან, სადაც ჩვენ ვდგევართ, ორი კილომეტრით არიან დაცილებული, და ნელა მოჰყვებიან ტალახიან გზას. ჯერჯერობით მხოლოდ კორპუსის მეთაურის კარავი ამშვენებს ბალახითა და გუბეებით დაფარულ ველს და მისი დანახვა კიდევ უფრო აღიზიანებს სხვებს, უფრო ხშირად გაისმის ამაო შეძახილები:

— როდისღა?..

ჯგუფის მთელი წევრებიდან მხოლოდ მე ვუყურებ გულგრილად აღალის ნელ მოძრაობას. მიზეზი მარტივია: ჯერ ერთი ახალი ჩამოსული ვარ, მეორეც, წინასწარ არავითარი წარმოდგენა არ მქონდა რა სჭირდება ადამიანს ბანაკში და ამიტომ არაფერი არ წამომიღია ისეთი, რასაც ცხენი ვერ წამოიღებდა.

Omnia mea mecum porto[50], — ვეუბნებოდი ნაღვლიანად ყველას, ვინც კი მეკითხებოდა ჩემი ბარგის ადგილმდებარეობის შესახებ და გაკვირვებულნი მხრებს იჩეჩავდნენ. ხოლო იმათ, ვისაც

გამოცდილება ჰქონდა, იცოდნენ რომ ნესტიანი, ცივი ღამეების გათევა უსაწოლოდ, უკარვოდ და etc მომიწევს.

— „დასწყევლოს ეშმაკმა"..., მდგომარეობა მართლაც ჯოჯოხეთურია... რა უნდა ვქნა, სად შევაფარო თავი? ეს კითხვა მოუცილებლად ჩამისახლდა თავში, რომელიც ციმერმანის აბრეშუმის საგზაურ ქუდის ქვეშ დასველდა და გაციებულია. ღამის მოახლოებასთან ერთად, ყინვა სულ უფრო მკაცრი და საგრძნობია. როგორც იქნა შოაღწია აღალმა. ყველა აფუსფუსდა. ჯარისკაცები ოფიცრების კარვებს მოათრევენ და „სახლის პატრონების" თავგამოდებული მოწონებით სწრაფად იზრდება დიდი ქალაქი... განმკარგულებელი-პოლკოვნიკი, რომლის მოვალეობაც ბანაკის მოწყობა იყო, დაიქანცა, დარბის, ყვირის... საწყალს ხმაც კი ჩაებლიჩა...

— პოლკოვნიკო, ჩემი კარავი სადღაც დაიკარგა, უბრძანეთ მონახონ... ყვირის ვიღაც სასოწარკვეთილი ხმით.

— ახლავე.., ახლავე...

— პოლკოვნიკო, რას ჰგავს ეს? ყველა პალო სადღაც დააბნიეს.

— ამ წუთში... ბატონებო!..

— პოლკოვნიკო, რას ჰგავს ეს? შეხედეთ კარავი შემიცვალეს... დახეული დამიტოვეს, ჩემი ახალი კი ვიღაცამ წაიღო... დარბის, აქეთ-იქით აწყდება საწყალი და ხან ერთ, ხან მეორე ადგილას გაისმის მისი მბრძანებლური, ან მავედრებელი ხმა.

— რას ბღავის, არაფერი უჭამია დღეს... ისმის შენიშვნა აბუზღუნებული ჯარისკაცების ჯგუფიდან, რომლებმაც, პოლკოვნიკის ბრძანებით, ათჯერ გადაზიდეს კარვები ერთი ადგილიდან მეორეზე, რათა უფრო სწორად განლაგებულიყო ბანაკი...

მთლად დაბნელდა. მე ჯერ არ ვარ მიჩვეული ამ ერთფეროვან საცხოვრებლებს შორის ორიენტირებას და უხერხულად, ნაღვლიანად მივჩანჩალებ ნაცნობი თურქული კარვისაკენ, რომელიც თითქმის ბრძოლით შეიძინა ჩემმა ბევრად უფრო პრაქტიკულმა და უკვე მოწყობილმა თანამოკალმემ.

— სინამდვილეში ეს ხომ იგივე გარეთ ღამის გათევაა, — ვფიქრობ შუა გზამდე მისული და გეგმას ვცვლი. მას მხოლოდ ერთი საწოლი აქვს, ამიტომ მე უნდა დავწვე იატაკზე, წყალში, სადაც დასაგებათაც და დასახურავადაც პლედისა და ბალიშის მეტი არაფერი მექნება.

ბედნიერმა აზრმა გამიელვა... მაშინვე უკან შემოვბრუნდი და ისევ დავიწყე კარვების შორის ტალახის ზელა.

— სად იმყოფება ექიმი? — ვეკითხები ვიღაცის დენშჩიკს, რო-

ჰელიც გულმოდგინედ ცდილობდა სამოვარის გაღვივებას. წითელი, ულვაშებიანი სახე რამდენიმე წამით მის მიერვე გაღვივებული ნაკვერჩხლებითაა განათებული და ეოლას ძველ გამოსახულებას ჰგავს.

— მგონი, იქ უნდა იყოს, — მესმის ბოლოს პასუხი. ჟესტი, რომელსაც მე ვერ ვხედავ, სადღაც უკუნისაკენ მითითებს.

— ნება მიბოძეთ გავიგო, აქაა ექიმი***? — ვეკითხები ვიღაცას და განზე ვწევ პირველივე კარავის სველ კალთებს, რომლებიც უსიამოდ მიტყაპუნებენ და ეწებებიან ჩემს ისედაც გათოშილ ხელებს.

— ექიმი მარჯვენა ერთი კარვის შვმდეგაა... არაფერია... მეუბნება უცნობი ოფიცერი, რომელსაც ბოდიში მოუხადე და რომელიც უკვე ჩაის მიირთმევდა თითქმის დალაგებულ სადგომში.

ექიმი, რომელსაც მთელ კორპუსში ენამახვილი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი, ლოგინში დამხვდა. მისი წმინდა რუსული, მრგვალი, კეთილი სახე გაკვირვებით მიყურებს ბალიშიდან წვრილი თვალებით.

ვე იმას ჩემს მდგომარეობას ვუხსნი.

— არ შეიძლება ლაზარეთის ფურგონში მომათავსოთ როგორმე, სულერთია მაინც ცარიელი დგანან?!

— კარგი აზრია, მიწონებს ექიმი. აი რა. წადით შ-სთან და უთხარით, რომ მე გამოგგზავნეთ... ჩემზე უკეთესად მოეწყობით. ნახვამდის.

გაჭირვებით აღმოვაჩინე ლაზარეთის სადგომი.

შ. წავიდა და მიბრძანა მისი თანხმობის გარეშე არაქინ შემოუშვა... მეუბნება ახალგაზრდა ექიმი, რომელსაც თხოვნით მივმართე.

— სად წავიდა და როდის დაბრუნდება?

— არ ვიცი.

— მე ექიმმა*** გამომგზავნა... მაციებს, ვიწყებ თვალთმაქცობას, რათა თავი შევაცოდო უფროსების ბრძანების მკაცრ აღმასრულებელს.

— ვწუხვარ, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შემიძლია... პასუხი მოკლე და გასაგებია. ვხედავდი რა, რომ არაფერი არ გამოვიდოდა, უკან გამოვბრუნდი.

— მისმინეთ, — მომაძახა ახალგაზრდა მკურნალმა, — ხინას მოგცემთ, დალიეთ!

მე ხელი ჩავიქნიე.

გარშემო ცარიელი ფურგონების ბნელი მასა მაკრავს. ხანდახან ვეჯახები რვილზე მიბმულ ცხენებს, რომლებიც ხმამაღლა ცოხნიან ქერს. ბოლოს ნახევრად ჩამქრალ კოცონთან მივაღწიე, რომელსაც

ორგვლივ შემოსხდომიან ჯერ კიდევ მღვიძარი ფურგონის პატრონები. ვიცანი ერთი მათგანი, — „დუხაბორი“, რომლის ფურგონში წინა შესვენების დროს ჩემი ბალიშით და ზაკვოიაჟით მოვეწყვე.

— ამაღამ შენს ფურგონში დავიძინებ, გამათევიე ღამე როგორმე და პატივისცემა ჩემზე იყოს...

— აქ თავს უხერხულად იგრძნობთ, თქვენო კეთილშობილებავ, — მეუბნება ერთი წუთის შემდეგ კეთილი გლეხკაცი და რაღაცას მაფარებს.

დილაა. წვიმამ კარგა ხანია გადაიღო. სქელი ნისლი ირხევა და ისე იკეცება, როგორც უზარმაზარი საბურავი, რომელიც სველ მიწას ცილდება და აშიშვლებს მას პირველი ამომავალი ბზის ჯერ კიდევ სითბო მოკლებული სხივების წინაშე.

ღმერთო ჩემო, რა საძაგელი ღამე გავატარე. ფეხები თითქმის გამიშეშდა სალაშქრო ჩექმებში; სველი, ცივი ბალიში ლოყაზე და ბეფაზე შეწებებოდა... სულ გავითოშე, ვკანკალებ, ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ვიღაც უცნობი. მაგრამ ძლიერი. ჩემში ჩასახლდა და შინაგან ორგანოებს შეუჩერებლად არყევს და აქანავებს... სულის ამოთქმა მიჭირდა... გიჟივით გადმოვხტი ფურგონიდან... იმ წუთში რომ სიცილის ხასიათზე ვყოფილიყავი. შემეძლო ხუმრობით მიმებაძა შექსპირისათვის.

— ჩაი, ნახევარ სამეფოს ვიძლევი ერთ ჭიქა ჩაიში!

ბედი, რომელიც ზოგჯერ დედინაცვლურად გვექცევა, ხანდახან დედობასაც გვიწევს. უეცრად. თითქოს ჯადოსნური კვერთხის ერთი განძრევით, ჩემი უდიდესი სურვილი აღსრულდა.

— რა გაგაღვიძათ ასე ადრე, — მომესმა საიდანღაც ხმა.

მთელი ტანით შემოვბრუნდი. დაბალი. გამხდარი კაცი. რომელსაც უდაოდ გააჩნდა სემიტური ტიპის ნიშნები. უახლოესი კარავიდან გამოვიდა და „ჩემსკენ გამოეშართა.

მაშინვე ვიცანი კორპუსის მეთაურის კამერდინერი.

— ივანუშკა!

აბის შემდეგ მოკლედ, მაგრამ ენერგიულად მოუყევი. თუ როგორ გავატარე ღამე.

— ჩაი არ გნებავთ? — აჩქარდა პატარა კაცი. რომელმაც ყველასთან „კეთილისმყოფელის“ სახელი დაიმსახურა, რადგან სამხედრო ცხოვრების ასეთ კავერზულ მომენტში ყველას მხსნელი იყო...

— ვაღიარებ. რომ ამ ჩაიზე გემრიელი არასოდეს არაფერი დამილევია. ერთი საათის შემდეგ ბანაკმა გაღვიძება დაიწყო. საკმაოდ

დიდ ხანს ვხეტიალობდი ბანაკში, დიდად დავტკბი გამოცოცხლებული სურათის ცქერით. დენშიკები დარბოდნენ ბატონების ჩექმებით და სამოვრებით ხელში. დიდ ხანს უსმინე სასიგნალო მუსიკას, რომელიც მკვახედ ისმოდა ყოველი მხრიდან დილის სუფთა ჰაერში. ბოლოს ექიმს წავაწყდი, რომელმაც გულით გადაიხარხარა, როცა მოვუყევი ჩემი მგზავრობის შესახებ ლაზარეთის ფურგონებისაკენ...

— ოჰ რა ავაზაკებია, რა ავაზაკები... გესლიანად მანუგეშებდა იგი. — კაცს ცივა, ისინი კი ხინას სთავაზობენ... ნამდვილი ბარბაროსები არიან!

გვიახლოვდებიან ნაცნობი და უცნობი ოფიცრები, იქმნება ჯგუფი... ხუმრობენ, იცინიან... ექიმი ეტყობა კარგ გუნებაზეა.

— ჯერ არ იცნობთ? მაშინ ნება მიბოძეთ გაგაცნოთ ერთმანეთი, ბატონებო. ჩვენი სახელგანთქმული ბატ. *** ამბობს იგი. მე ხელს ვუწვდი მაღალ, მსუქან კაცს, რომელიც ის-ის იყო შემოგვიერთდა და ვუყურებ სახეში, ვეძებ ბრწყინვალე რეკომენდაციის შესაბამის რაიმე ნიშანს, მაგრამ სახე მსუქანი აქვს, თვალები კი მომაკვდავ ხბოს მიუგავს. მან იმ წამსვე დაუწყო რაღაცაზე ლაპარაკი ექიმს და მე განზე დავდექი.

რუბლევიკოვი, აწოწილი ოფიცერი, მოუშორებელი თეთრი ნაბდით, რომელიც კარავივით ადგას გარშემო, იქვე, მახლობლად მანაცურ პოზებს იღებს.

— რუბლევიკოვ, რაც გინდა სთქვით და ახლა თქვენ ნამდვილი თურქული კარავი ხართ, შუაში ბოძია ჩარჭობილი, ხოლო მასზე ნაბადია ისე დაჭიმული, როგორც ტილო, — ეხუმრებიან ამხანაგები.

ახალგაზრდა მეომარმა ღრენა დაიწყო და თეატრალური ჟესტით დაეჭიდა ხმლის ვადას.

— ah! le sabre de mon pere...—[60]—განაგრძობს აბუჩად ამგდები. ზომით არ შეგეფერებათ... ძალზე მძიმეა...

— გინდათ ნანგრევებთან ასვლა? — მეუბნება ექიმი, რომელმაც ლაპარაკი დაამთავრა.

წავიდეთ. ნაკადული გადავლახეთ. იქ, სადაც ხევის ყელი უფრო დაბალია, ადგილმდებარეობა მთლიანად დაეფარა ხშირ, მაღალ ბალახს. კაზაკების ცხენები სიამოვნებით დახეტიალობენ ამ ბალახში. დავიწყეთ მთაზე ასვლა. აღმართი არც ისე ციცაბოა, როგორც ყველა მთა ამ მხარეში, დახერგილია წვრილი და მსხვილი ქვებით. ჩამოცხა. გუშინდელი უმოქმედების გამო მზის სხივები თითქოს ვალს გვიხდიდა და მეტისმეტად გვიცხელებდა ზურგს.

მივაღწიეთ ციხემდე. საყურადღებო არაფერია. დაუნგრეველი

გადარჩა მხოლოდ საძირკველი, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა გევარაუდა, რომ ციხე მრგვალი იყო და უდაოდ დიდი ხნის წინათ აშენებული, კედლები ამოეყვანათ უსწორმასწორო ფორმის ქვებით და არ ეტყობოდა დუღაბის არავითარი ნიშანწყალი, რასაც ვერ იპოვით უფრო გვიანდელ დროის ზოგიერთ ნანგრევებზე.

ვბრუნდებით უკან.

— იცით, ვინ გაგაცანით დღეს? — მეუბნება ექიმი. მე, ჩემო კარგო, ტყუილად არ ვუწოდე მას სახელოვანი კაცი. მისი მსგავსი მთხზველი ჯერ დედამიწაზე არ დაბადებულა და ამავე დროს მეტისმეტად თავდაჯერებულია. მისი სიტყვების თანახმად, არც ერთი მნიშვნელოვანი საქმე არ მომხდარა და არ მოხდება უიმისოდ.

— თუმცა ჯობია ნაბიჯს აუჩქაროთ, ბანაკი მგონი ადგილიდან იხსნება, კარვებს ხსნიან, ფურგონებზე ალაგებენ.

ჭაღარა განმკარგულებელი ისევ ცოფიანივით დარბის და მისი ოხელი ფიგურა ხან აქ, ხან იქ ჩნდება.

— არა, ჩემო ძმაო, როგორც არ უნდა ეცადო, ჩვენ ა**-ზე უკეთესი მაინც ვერ იქნები... აი კიდევ ერთი ტიპი... მოკლედ, იცხოვრებთ და თვითონ დაინახავთ...

2

ისევ გზაში ვართ. ორლოვსკის ბანაკიდან ციცაბო აღმართი იწყება და დაფარულია ფეხადგმული ფეხოსანი ჯარისკაცებით, მხედრებით, ყუმბარების მწვანე ყუთებით, რომლებიც ქვიან, უსწორმასწორო გზაზე თავიანთი ბორბლებით გრუხუნებენ. გააფთრებული ყაყანით და ყვირილით ადის აღმართს ,ჯაჭვად გაბმული ფურგონები... ოთხ ძლიერ ცხენს თავები დაუხრიათ, ფეხები ფართოდ გაუდგამთ და ჭაპანწყვეტით ცდილობენ ღრანტეზე გადაათრიონ უკან გამობმული მახინა..

— მოგვეხმარეთ, ძმებო!

გვერდით მიმავალი ჯარისკაცები ბორბლებს ებღაუჭებიან,... გო... გო... გო... ისმის ხმამაღალი ჩიჩინი და გინება, ბოლოს ადამიანების და ცხენების გაერთიანებულმა ძალამ დაბრკოლება გადალახა... ფურგონი, რომლის ჭუჭყიანი ზედა ნაწილი ირყევა, მცირე ხანს კიდევ განაგრძობს გზას... და ისევ ღრანტი. ოთხი გაოფლიანებული ცხენი მძიმედ სუნთქავს, ნესტოებს ბერავენ და ისევ ერთ ადგილზე დგანან.

— ყოჩაღ, მესანგრეებო!.. ეუბნება კორპუსის უფროსი გზის გა-

ყვანაზე მომუშავე მესანგრეებს ნელა, მთელი ფრაზის ბგერებად დაყოფით, ხოლო ბოლოში ხმას უწევს.

— გამარჯობათ, ძმებო! — ისმის ხელახლა. მისი ხმა, რომელიც ზიმართულია ჩვენი მიახლოების დროს მწყობრად დამდგარი ფეხოსნებისკენ... ჩვენსკენ ჭენებით მოემართება ხელაღებული, წვერმოშვებული ოფიცერი, რომელიც ცდილობს „შტაბის წევრებს“ თავი ზოაწონოს ცხენითაც და ცხენზე ჯდომითაც.

ვეშვებით ხევში, შემდეგ ისევ ავდივართ მთაზე და ამგვარად ვაკეთთ ველურ, გულისამრევად ერთფეროვან მიდამოს. ირგვლივ არც ბუჩქი მოჩანს და არც ხე, არაფერი ისეთი, რაზედაც შეიძლება თვალმა დაისვენოს. ყოველი მხრიდან გვერტყმის სხვადასხვა სიმაღლის, ქვით მოფენილი მთები და თითეულს აგონებს ნაცნობ, ერთნაირად დახატულ სურათებს, სადაც ბრძოლაა ასახული და მის ფონზე ყოველთვის სჩანს უამრავი თოვლიანი მწვერვალები და შიშველი ბორცვები.

შევდივართ სოფელში. რამდენიმე ადგილას თავმოყრილი საქონლის პატივი, საზიზღარი სუნი, ტალახი, სახლები, რომლებიც მხეცების ბუნაგს უფრო ჰგავს, — აი, ესაა ყველაფერი, რის გაკეთებაც შესძლო და რაც გარს ახვევია ადამიანს იმ ღვთისაგან კურთხეულ ქვეყანაში. სასოფლო-სამეურნეო მარაგის არავითარი ნიშანწყალი არ სჩანს, არსად არ აწყვია თივა, სამანი, ხოლო კედელივით დაწყობილი წივის შავი ფილები იმაზე მეტყველებს, რომ ამ ხალხს თავის გატანის გარდა არავითარი მისწრაფებები არ გაჩნია; არავითარი ცხოველი არ სჩანს, გარდა დიდი, ბანჯგვლიანი ძაღლებისა, რომლებიც ჩახლეჩილი ხმით უყეფენ შორიდან ჩვენს რაზმს. გზა გადის სახლებს შორის და ზოგჯერ სახურავებზეც კი გადადის... ყარაფაფახელებისაგან შემდგარი ბადრაგი ცხენებს მათრახით ახურებენ და მთელ სოფელს ედებიან იმ მიზნით, რომ იქნებ სადმე ცუდად დევს რამე... მარცხნიდან ყვირილი ისმის. ერთ-ერთმა ოფიცერმა, რომელიც ცხენით მიწურის სახურავზე გავიდა, იგრძნო, რომ ფეხქვეშ ნიადაგი ეცლება. საწყალი ცხენი მართლაც ჩავარდა მიწურში და თავის პატრონი როდოსის კოლოსის მაგვარად დასტოვა ხვრელის თავზე, რაც მისი სხეულის მიწადაყრილ სახურავში ჩავარდნამ წარმოშვა. მთელი ტანით აცახცახებული ცხენი დაუზიანებლად გამოიყვანეს დღის სინათლეზე სადღაც უკნიდან, საკმაოდ შორს იმ ადგილიდან, სადაც კატასტროფა მოხდა, რაც მიწისქვეშა საცხოვრებლის სიფართოვეს თუ არ ადასტურებდა, იმას მაინც ცხადყოფდა, რომ ეს საცხოვრებლები ერთმანეთთან არიან დაკავ-

შირებული და მეზობელ მიწურს რაღაცნაირი გვირაბით უერთდება.

ვტოვებთ სოფელს. ფართო მინდორი, რომელსაც ირგვლივ მთები ეკვრის, დაფარულია დაბალი, ხშირი ბალახით. მინდორზე ბალახს ძოვს ცხვრის უზარმაზარი ფარა... ჩვენში ყარაფაფახელებმა მოჯადოებულებივით გაიწიეს ცხვრის ფარისაკენ... მათში, ალბათ, ინსტიქტმა გაიღვიძა... როცა ვუყურებდი შიშისაგან ალაგ-ალაგ შეჯგუფებულ ცხვრის ფარაში მათ უმიზნო თარეშს, ჩემდაუნებურად გამახსენდა ახალგაზრდა მონადირე ძაღლი, რომელიც ახლახან გალახა პატრონმა ქათმისათვის პირის წატანებისათვის და უეცრად ისევ აღმოჩნდა ქათმების მთელ ჯგუფში... „კატა ვერ შეწვდა ძეხესაო. პარასკევია დღესაო". ცხენებს, რომელთაც მეტისმეტად წინწაწეულ კისრებზე გამობმული თავები დაბლა დაუხრიათ და ქვიან ნიადაგზე ფეხები უცურდებათ. აღმართზე ავყავართ. ცხენს უჭირს... ხედავ რა სწრაფად და ხშირად იბერება მისი მუცელი ხშირი სუნთქვისაგან. ამიტომ ფაფარში ხელს ჰკიდებ და წინ იბრები, რათა გაუადვილო ძნელი აღმა სვლა...

— რა დაწყევლილი გზაა. სულ სხვაა საფრანგეთში ომი. სადაც გზები და ყოველ ნაბიჯზე სოფელი, ქალაქი და რესტორანია..

— ერთი რამ დაგავიწყდა: იქაური გენერლები, ჩემო ძმაო, არც ისე ადვილად დასამარცხებლებია, რომელიმე აქაური არ გეგონოს...

— ჩუ!.. ეს რა არის?

გაისმა თოფის ცალკეული გასროლის ხმა... კიდევ და კიდევ ლაბნეული ცერცვის მარცვლებივით გახშირდა სროლა. შემდეგ ერთი წამით თითქოს შეწყდა, მერე კი ისევ გახშირდა. ხევში ცხადად ისმოდა მათი გამოძახილი... წინიდან ისმის ცალკეული გასროლები. მთის ქედი, რომელიც ჯერ არ გადაგვევლო, ხელს გვიშლიდა დაგვენახა „პასაჟის" მიზეზი... ჩვენ ჩამოვქვეითდით, სადავეები კაზაკებს გადავეცით და ფეხით ავედით მომცრო მოედანზე, რომელიც მთის წვერს წარმოადგენდა. კორპუსის უფროსი დაჯდა ტაბურეტზე, რომელსაც ასეთ შემთხვევისათვის სპეციალურად ატარებდნენ მისთვის და, ბინოკლით ხელში, რაღაცას ეუბნება ირგვლივ თავმოყრილ მეთაურებს. ჩინით უმცროსი თანმხლები პირები კი ამ ჯგუფის გარშემო გაიფანტა და ზოგი იწვა, ზოგი იჯდა და ზოგიც იდგა. ჩვენს წინ აღმართულია მთა, რომლის ფერდობზე ციხის ნანგრევები მოჩანს და რომელსაც სამკუთხოვანი ველი გვაშორებს. კოშკების შავად მოხაზულ ნარჩენებსა და ნაყარ ქვებს შორის, რითაც მოფენილია ეს მთა, ფუსფუსებენ, ადგილიდან ადგილზე გადარბიან ფეხოსან და ცხენოსან ადამიანთა ფიგურები. ისინი არიან. პატარა თეთრი

კვამლი, რომელიც ფერდობზე ხან აქ გამოჩნდება და ხან იქ, გვიჩვენებს თუ სად არიან ჩასაფრებულნი მათი მსროლელები. თურქები ესვრიან მთის ძირისაკენ ნელა მიმავალ კაზაკთა პოლკს, რომელმაც ასევე წინ გაგზავნა ცხენიდან ჩამომხტარი მსროლელები... ჩვენი კოლონის მოწინავე რაზმი თურქების პატრულს წააწყდა...

— რას შვრებიან, მგონი იერიშით უნდათ მთის აღება? უბრძანეთ უკან დაიხიონ... რა აუცილებელია ხალხის ტყუილად დაკარგვა, მოვა დრო და რამდენიც უნდათ იმდენი იომონ, — ამბობს კორპუსის უფროსი და პოლკოვნიკ პ-ს, კაზაკთა იმ პოლკის მეთაურს, რომელიც ჯერ კიდევ უახლოვდება თურქებს, შიკრიკს უგზავნის.

მაღლა ასული მზე კაშკაშა ბრწყინვალებას აფრქვევს მთელ მიდამოს და ოფიცრების ეპოლეტებზე, ხმლების ვადებზე, ლოდების მონამტვრევებზე და ყველაფერზე, რასაც კი მზის სხივების არეკვლა შეუძლია, ათას ბრწყინვალე ნაწილად იყოფა. თითქოს ამავე სინათლითაა გაჟღენთილი სუფრა, შსუბუქი ჰაერი... თავზე ლურჯი მოწმენდილი ცა დაგვნათის...

ტრახ, ტახ-ტახ... ისმის ქვემოდან სროლის ხმა.

— მაკვირვებს რა საჭიროა არდაგანის, ყარიხის და სხვა სიმაგრეების აღება!.. დავდივართ და დავდივართ უაზროდ... ჩემი აზრით, საჭიროა ერთი რამ: პირდაპირ კონსტანტინეპოლისაკენ წასვლა... ამბობს კეთილი მოხუცი შ..., ვეტერანი, რომელმაც ჯერ კიდევ „ცრემლისა და სისხლის ღვრის ჟამს", სევასტოპოლის დაცვის დროს, გამოიჩინა თავი.

— ასე როგორ შეიძლება, თქვენო ბრწყინვალებავ? მაშინ ყარსი და მუხტარი ზურგში მოგვექცევიან: საკვებს სად ვიშოვით? — ახელებენ მას.

— რეკვიზიცია! პრუსიელებიც ცივილიზებული ერია, მაგრამ მათ ასე ჰუმანიურად არ მოქცევიან. A la guerre, comm á la guerre!... [61]

— არა, ჩემის აზრით, მთელი ჯარი კონსტანტინეპოლისაკენ უნდა გავგზავნოთ,—უაპელაციოდ აცხადებს გაყოყლოჩინებული მოხუცი.

— ნება მიბოძეთ წარმოვიდგინოთ შემდეგი რამ, თქვენო ბრწყინვალებავ: ვთქვათ და ჩვენი ჯარები, ქარიყლაპიას ბრძანებით, წინააღმდეგობას არ აწყდებიან და კონსტანტინეპოლს იკავებენ... მაგრამ თურქები სარგებლობენ ამ მდგომარეობით და პეტერბურგ'ი ცხადდებიან...

ვარაუდის გრანდიოზულობისაგან გაკვირვებული ბატ. შ... ჩუმდება.

— თქვენო ბრწყინვალებავ, როგორი ჰაერია?...—ეუბნება ვიღაცა და „სერიოზულ“ ლაპარაკს არ აცლის.

— დიახ... დიახ... შესანიშნავია! კაცი ორჯერ, სამჯერ უფრო ჯანსაღად გრძნობ თავს. მხოლოდ ერთი რამაა სამწუხარო: ქალები არაა...

— როცა მშვიდობა იქნება, ერთიორად აინაზღაურებთ, — გესლიანად ეხუმრება ვიღაც აღერღილ ბერიკაცს.

სროლა შეწყდა. თავზე მელანქოლიური ზუზუნით გადაგვიქროლა თურქების მიერ დასამშვიდობებლად გამოგზავნილმა ორმა-სამმა ტყვიამ, ამის შემდეგ ისევ დავადექით გზას.

— კორპუსის მეთაური გთხოვთ სადილი მის სუფრაზე მიირთვათ შტაბის წევრებთან ერთად, — მეუბნება გენერალი დ..., რომელმაც. ჩემს მიახლოვებისთანავე, წაბლისფერი ცხენი შეაჩერა, — რადგან თქვენ აქ ვერაფერს იშოვით.

მე, რა თქმა უნდა, მადლობას ვუხდი მიწვევისათვის, რომლის მნიშვნელობას ყველა გაიგებს. დაზვერვის პერიოდში არ შეგვხვედრია არცერთი რესტორატორი სახელგანთქმული პიერის მსგავსი რომ ყოფილიყო და არც et tutti quanti[62] მოგვყვებოდა უკან. ცოცხალი ცხვრის ყიდვა, რა თქმა უნდა, ყოველთვის შემეძლო, მაგრამ მისი ყიდვა მე არავითარ სარგებლობას არ მომიტანდა, რადგან ცოცხალს, მატყლიანად და ძვლიანად ვერ შევჭამდი. ამიტომ, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ მადლიერების რა გულწრფელი გრძნობით აღვიქვი მე მ. ტ. ლორის-მელიქოვის თავაზიანობა.

— აი, ჩვენ უკვე ქვემეხების ცეცხლის ხაზზე ვართ... ახლა ჩვენამდე ხუთ ვერსზე მეტი არ იქნება, ანგარიშობს გაზეთის კორესპონდენტი რუკაზე, რომელიც უნაგირის კოტაზე გაუშლია.

მაგრამ სიმაგრეების შავი ზოლები აჭრელებული, ყარსის ირგვლივ აღმართული შაროსის სიმაღლეები სდუმან. თუნდაც ერთი ყუმბარა გამოისროლონ მოსალმების ნიშნად!

ვისვენებთ. მზის სხივების ზემოქმედებით ოდნავ გაყვითლებულ ღაბალ ბალახზე უზარმაზარი ხალიჩაა დაგებული. შტაბის ოფიცრები ხმამაღლა ლაპარაკით ჯდებიან ცხვრის ცივი ხორცით სავსე ქვაბების ირგვლივ, რაც ღარიბული საუზმის ძირითადი ელემენტია; გარდა ამისა, გვაქვს ადგილობრივი, ღაწნილი ცხვრის ყველი, ერთი ბოთლი არაყი და სუფრის დამამშვენებელი ორი ბოთლი კახური ღვინო, რომელიც მშიერ კუჭს აღიზიანებს. ჯგუფს ვუერთდები იმ კაცის უხერხულობით, რომელიც პირველად ხვდება უცნობ საზოგადოებაში.

თუ შეთვრთმეტე ცნება არ გახსოვთ, მშიერი დარჩებით, შარიგებს ჭკუას ექიმი, რომელმაც ჩემი უხერხულობა შენიშნა.

არაყს რატომ არ სვამთ?

— არ მინდა.

დალიეთ, ადრე ხომ სვამდით.

— ადრე სხვა რამეც ხდებოდა... ერთ დროს ძუძუს ვწოვდი, მაგრამ ვიმედოვნებ, ახლა ვერ შევძლებ!

ერთობლივი ხარხარი ლაპარაკს აწყვეტინებს იმ ჯგუფს, რომელიც ხალიჩის კუთხეში მოკალათებულა.

— გულახდილად რომ გითხრათ, ბატონებო, თქვენი ანეგდოტები სრულიად არაა „ქალებისათვის“ შექმნილი!..

— მათ ყოველთვის ასე იციან... ახალგაზრდებია!

— ახალგაზრდობა რა შუაშია, ასეთია კანონი, ჩემო კარგო. როგორც კი მამაკაცები მარტო შეიკრიბებიან... იწყება საქმე... მოსასმენადაც კი საძაგლობაა...

— მე თქვენ ერთ ანეგდოტს მოგიყვებით. ეს ამბავი მგონი ლონდონში მოხდა. ყველა რესტორანში და იმ ადგილებში, სადაც უცოლო მამაკაცები იკრიბებიან, მუდამ დადიოდა ერთი ექსცენტრიული ინგლისელი. სანამ საზოგადოებაში იმყოფებოდა, ჩუმად იჯდა და მხოლოდ მოკლე ბრძანებებს აძლევდა მოსამსახურეებს ეს ან ის მოეტანათ. მაგრამ ყველაზე უცნაური მის ქცევაში ის იყო, რომ წინ. მაგიდაზე მუდამ დებდა ოქროს ერთ მონეტას და როცა მიდიოდა. ისევ ჯიბეში იდებდა, რათა შემდეგ, სხვა ადგილას იგივე გაემეორებია... ამ ამბით ბევრი დაინტერესდა. ზოგიერთები ეშმაკურად ეკითხებოდნენ — რა იყო მისი უცნაურობის მიზეზი, მაგრამ ინგლისელი მთელი ოცი წლის შანძილზე ჯიუტად სდუმდა. ბოლოს განაცხადა. რომ მან გადაწყვიტა გაიღოს ოქროს მონეტა ქველმოქმეღების მიზნით ყოველთვის, როცა, უცოლო მამაკაცების საზოგადოებაში, არ გაიგონებს უხამს სიტყვებს და „ქალებისათვის“ შეუფერებელ ლაპარაკს...

— მერე?

— მგონი ეს ფული მან, ამ ომში, თურქეთის დაჭრილი ჯარისკაცების სასარგებლოდ გაიღო.

41. ბ-ნი კუვშინსკი და სემინარიის წესრიგი

თბილისი, 31 იანვარი.

ექვსი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც „ობზორში"[36] დაბეჭდეთ აღმაშფოთებელი ცნობა სემინარისტ ქუთათელაძის სიკვდილის შესახებ. მას შემდეგ თბილისის თითქმის ყველა გამოცემამ დაადასტურა ეს ფაქტი, ხოლო გაზეთებმა „დროებამ"[7] და „ივერიამ"[8] ისე დაწვრილებით გვიამბეს, თუ რა წესრიგია სემინარიის საავადმყოფოში, რომ ჩვენი მონაყოლი გახუნდა. ამ დაწვრილებითი ცნობებიდან ჩანს, რომ სემინარიის საავადმყოფოში აგერ ერთი თვეა აღარ დადის ექიმი იმის გამო, რომ სემინარიის ავადმყოფი ექიმის ნაცვლად, ავადმყოფების სამკურნალოდ, აღარავის იწვევენ, ეს ზედმეტად მიაჩნიათ. სემინარიის საავადმყოფოს ფერშალი თუმცა იქვე ცხოვრობს, მაგრამ სემინარიიდან ხშირად სადღაც მიდის და თითქმის მუდამ გადაკრულშია. საავადმყოფოს ჰყავს ერთადერთი მსახური, რომელიც საავადმყოფოში უამრავი საქმითა და ფერშლის მომსახურებით საღამოს ისე იღლება, რომ ღამით მკვდარივით სძინავს სადღაც სხვაგან და ავადმყოფები ბედის ანაბარა არიან მიტოვებულნი. ტიფით დაავადებულ ქუთათელაძეს მთელი ხუთი დღის განმავლობაში, 15-დან 20 ივნისამდე, სამედიცინო დახმარება არ აღმოუჩინეს.

ჩვენ ველოდით უარყოფას. თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორმა, რომელსაც უკვე ოთხი დღეა მძიმე ბრალდება აწევს, ხელში აიღო უარმყოფელის კალამი და ბ-ნ „კავკაზის"[3] რედაქტორს მისწერა გასამართლებელი წერილი, რომელიც ამ გაზეთის საკვირაო ნომერშია დაბეჭდილი. ჩვენ ხარბად დავეწაფეთ ამ წერილს იმ იმედით, რომ იგი დაკმაყოფილებს აღშფოთებულ საზოგადოებრივ სინდისს და აღადგენს სემინარიის ხელმძღვანელობის შელახულ სახელს. მაგრამ ბ-ნ კუვშინსკის წერილი სულაც არ ეხებოდა ცნობას ქუთათელაძის სიკვდილის შესახებ. იგი ახლაც სხვა ბრალდებაზ-

თან დაკავშირებითაა დაწერილი, რომელიც ზუსტად ორი წელია ტვირთად აწევს ბ-ნ კუვშინსკის.

ბ-ნ კუვშინსკისა და თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობის ყველა წევრის დუმილი ადასტურებს თბილისის პრესის ერთსულოვან განცხადებას ქუთათელაძის სიკვდილთან დაკავშირებით. მაშასადამე ჩვენ ვალდებული ვართ მკითხველების ყურადღება მივაქციოთ იმ წესრიგს, რომელმაც შესაძლებელი გახადა ამგვარი აღმაშფოთებელი ფაქტი.

აგერ უკვე ოთხი წელია, რაც თბილისის საზოგადოებაში დაჟინებით ტრიალებს ხმები აქაურ სემინარიაში არავითარი წესრიგი არ არისო. ყოველგვარ უკანონობაზე ლაპარაკობდნენ ამ სემინარიასთან, მის მმართველობასთან ახლოს მდგომი პირნი. 1873 წლის დამლევს უწმინდესმა სინოდმა ფორმალური ძიებაც კი დანიშნა, რასაც ბევრი არაფერი გაუკეთებია. სემინარიაში წმინდა სინოდის მიერ გამოგზავნილი რევიზორის ყოფნის შედეგი იყო რექტორის შეცვლა, მაგრამ ბ-მა კუვშინსკიმ, რომელიც სემინარიის ავან-ჩავანი იყო, მოახერხა დარჩენილიყო ამ ადგილზე. მან მოახერხა და გააძევა სემინარიიდან ყველა, ვინც სასულიერო განათლების საქმეს წინასწარ აკვიატებული მიზნებით არ უყურებდა... როდესაც რევიზიამ აღმოაჩინა მრავალი უკანონობა, ბ-მა კუვშინსკიმ მოახერხა საზოგადოების ყურადღება აეცდინა სემინარიის სამეურნეო მხარისათვის და გადაეტანა რაღაც გამოგონილ და მის მიერ გაბერილ ამბავზე, რომელშიც თითქოს უმცროსი კლასების სამი სემინარისტი ერია...

საერთოდ ბ-ნი კუვშინსკი თავისი საქციელით პირწმინდად გვაგონებს ქურუმ კალხასს ოფენბახის „მშვენიერი ელენედან". თქვენ გახსოვთ, როდესაც გამოაშკარავდა, რომ ეს ქურუმი შულერია, მან თავისი მდევნელების ყურადღება მიაპყრო ზეცაზე რაღაც შავ ლაქას და, სანამ მიამიტი მდევნელები ამ ლაქას უყურებდნენ, მარჯვედ უშველა თავს და თან ზარდახშაც გაიტაცა. ზუსტად ამგვარად არიდებს ბ-ნი კუშინსკი აქამდე თავს ყოველგვარ ანგარიშგებას და ბრალდებას

გასაგები ამბავია, მას შემდეგ, რაც ბ-მა კუვშინსკიმ მოახერხა თავის გარშემო ჰყოლოდა უტყვი, მისი ბრძანებების მორჩილი შემსრულებლები, სემინარიაში შესაძლებელი გახდა ისეთი აღმაშფოთებელი მოვლენა, როგორიცაა მოსწავლეთა შიმშილობა და ავადმყოფების სამედიცინო დახმარებისა და მოვლის გარეშე დატოვება...

ვიმედოვნებთ, რომ ეს აღმაშფოთებელი შემთხვევა ხელს შეუწყობს სემინარისტთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესე-

ბას. დარწმუნებულნი ვართ, რომ ახალი სასულიერო ხელმძღვანელობა ყურადღებას მიაქცევს ამ დაწესებულებაში დამკვიდრებულ უწესრიგობას და საკადრისად გაუსწორდება მთელ ამ მწიგნობრებს, რომელთაც ღვთის სახლი გადააქციეს მოურიდებელი მოპყრობის ასპარეზად იმ მოწაფეებისადმი, რომელთა დარიგებაც ევალებათ რელიგიისა და სახელმწიფოსადმი უანგარო სამსახურის გამო.

50. მოწინააღმდეგენი კონსტანტინოპოლში

თბილისი, 1 თებერვალი.

საერთაშორისო სააგენტოს გუშინდელმა დეპეშამ, რომელმაც ვადმოგვცა ჩვენი სახელმწიფო კანცლერის მიერ დიდ სახელმწიფოებთან მყოფი რუსეთის წარმომადგენლებისადმი გაგზავნილი დეპეშის შინაარსი, საბოლოოდ ცხადჰყო, რომ აღმოსავლეთის საკითხი ოავისი განვითარების ლაშის ყველაზე მწვავე ფაზაში შევიდა. ახლა უკვე აღარავითარ ეჭვს არ იწვევს ის ამბავი, რომ ზოგიერთმა უცხო სახელმწიფომ — და მათ შორის ინგლისმაც და ავსტრიამაც — გაგზავნეს თავისი ჯავშნოსნები კონსტანტინოპოლში.

ოტომანელ ქრისტიანთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა მართლა რომ აწუხებდეს იმ სახელმწიფოებს, რომელნიც კონსტანტინოპოლში თავის ფლოტს გზავნიან, მაშინ ეს სახელმწიფოები დიდი ხნით ადრე გაგზავნიდნენ თავიანთ ჯარებს მრავალტანჯულ ბულგარეთში, რომლის მოსახლეობას გაცილებით უფრო დიდი საფრთხე ემუქრებოდა, ვიდრე ახლა კონსტანტინოპოლს, მაგრამ არც ბულგარეთში, არც ჰერცეგოვინასა და ბოსნიაში, სადაც ქრისტიანთა სისხლის ღვარი დიოდა, ამ სახელმწიფოებს არც ერთი ნავი, არც ერთი ჯანდარმი არ გაუგზავნიათ, რადგან იქ არ ჰქონდათ ისეთი საარსებო ინტერესები, როგორც კონსტანტინოპოლში აქვთ. მაშასადამე, საბაბმა, რომელიც ახლა დაასახელეს, არავინ არ უნდა შეიყვანოს შეცდომაში.

ინგლისმა, ავსტრიამ და, ადვილი შესაძლებელია, საფრანგეთმაც, გადაწყვიტეს დადგნენ კონსტანტინოპოლის კარიბჭესთან, ალბათ, იმ მიზნით, რომ ნირწამხდარნი სწორედ აქ გახდნენ გულცივი მოწამენი ჩვენი ჯარების თურქეთის დედაქალაქში და ბოსფორის სამფლობელოში შესვლისა. მაშასადამე, იბადება კითხვა — ამ სახელმწიფოებს მართლა დაუსახავთ მიზანი წინ აღუდგნენ ჩვენი ჯარების კონსტანტინოპოლში შესვლას, თუ იმედი აქვთ, რომ თავისი დროშების

„მორალური მთაბეჭდილებით“ ჩვენს ჯარებს თურქეთის დედაქალაქის გალავანთან არ მიუშვებენ.

ევროპის სახელმწიფოთა ჯავშნოსნები რუსეთის სახმელეთო ჯარებს სხვაგვარად ვერ გაუწევენ აქტიურ წინააღმდეგობას, თუ არ დაბომბეს კონსტანტინოპოლი, რაც, აშკარად, სრულიად საწინააღმდეგო იქნებოდა ამ ჯავშნოსანთა ბოსფორში გასაგზავნად დასახელებული საბაბისა. მაგრამ ვისთვისაც ცნობილია კონსტანტინოპოლის ტოპოგრაფიული მდებარეობა, მან იცის, რომ ასეთი ბომბარდირება თუნდაც მოხდეს, მაინც ვერ აიძულებს ჩვენს ჯარებს დატოვონ კონსტანტინოპოლი. კონსტანტინოპოლის გარშემო საკმაოდ ბევრი ბორცვებია, რომლებიც როგორც მარმარილოს ზღვას, ისევე ბოსფორსა და ოქროს რქას დასცქერიან, და ამ ბორცვებზე ძნელი არ არის ბატარეების მოწყობა, რომელნიც შეძლებენ აიძულონ ჯავშნოსნები საგრძნობ მანძილზე იდგნენ მათ მიერ დასაცველი დედაქალაქიდან.

მაგრამ თუ ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ უცხოური ჯავშნოსნების ფაქტიურ წინააღმდეგობას, შეცდომა იქნებოდა ასევე უმნიშვნელო აშბად მიგვეჩნია ბოსფორის წყლებში მათი ყოფნით გამოწვეული მორალური შთაბეჭდილება. ეჭვგარეშეა, რომ პირველივე გასროლა რომელიმე ამ ჯავშნოსნიდან ან ჯავშნოსნისადმი იქნება ომის დაწყების ნიშანი, ომისა, რომელიც მთელს ევროპას მოედება.

როგორც ჩანს, ჩვენს მთავრობას გადაუწყვეტია არ აპყვეს ასეთ შთაბეჭდილებას. შეჰყავს რა თავისი ჯარები კონსტანტინოპოლში, იგი ამით ადასტურებს, რომ მზადაა მიიღოს გამოწვევა, თუ კი მისი უცხოელი მოწინააღმდეგენი ამაზე წავლენ.

არსებითად რომ ვილაპარაკოთ, კონსტანტინოპოლის დაკავებას მხოლოდ ორ შემთხვევაში აქვს სერიოზული მნიშვნელობა: იგი მნიშვნელოვანია ან სრუტეებზე რუსეთის საბოლოო დამკვიდრების თვალსაზრისით, ან, საერთო-ევროპელი ომის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტებიდან დროებითი დახმარების მიღების შესაძლებლობის თვალსაზრისით. თუკი ბედად გვიწერია, რომ რუსეთსა და ზოგიერთ ევროპულ სახელმწიფოს შორის ომი ატყდეს, მაშინ კონსტანტინოპოლის ფლობა, ამ ომის განმავლობაში, რუსეთს მისცემს შესაძლებლობას სულაც არ იზრუნოს თავისი შავი ზღვის სანაპიროების დაცვაზე. მარტო ამ ფაქტის წყალობით, ევროპის ომი რუსეთის წინააღმდეგ ლოკალიზებული იქნება გალიციაში ან პოლონეთის სამეფოში, რაც რუსეთს შესაძლებლობას მის-

ცემს ბრძოლის ასპარეზზე თავი მოუყაროს საკმარისი რაოდენობით ჯარებს. მაშინ ველარ განმეორდება ყირიმის ექსპედიცია. ჩვენ მით უფრო უნდა გვახარებდეს ეს გარემოება, რომ, როგორც ინგლისის საბინისტროთა გაზეთებიდან ჩანს, ასეთი ექსპედიციის ასპარეზად ბრიტანეთის სტრატეგებს ჩვენი კავკასია აურჩევიათ...

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ სანამ მიმდინარეობდა მოლაპარაკება, რომლის შედეგი ამჟამადაც არ არის სავსებით ცნობილი, და სანამ ინგლისის და ავსტრო-უნგრეთის მთავრობები ყოყმანობდნენ თუ რა გადაწყვეტილებები მიეღოთ, რუსეთმა, ჩანს, მოახერხა ხელში ჩაეგდო ასეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი. თუ ჩვენი ჯარები მართლა მოახერხებენ კონსტანტინოპოლში შესვლას და იქ ფეხის მოკიდებას, მაშინ ევროპის ომის შანსები რაოდენადმე მაინც სხვაგვარი გახდება ამ გარემოების გამო. ძნელი დასაშვებია, რომ კონსტანტინოპოლის დაკავება არ ნიშნავდეს ევროპაში ომის გარდუვალობას. საეჭვოა ისიც, რომ რუსეთს მოესურვებია საბაბი მიეცა ასეთი ომისათვის თურქეთის დედაქალაქის უმიზეზო პლატონიური დაკავებით.

51. საკვირაო საუბრები

ავადმყოფი ფელეტონისტი. — ტანსაცმლის გავლენა ადამიანის მსოფლმხედველობაზე. — თბილისში აღმოჩენილი ხერხი სასჯელის თავიდან აცილებისა. — კინტო სახრჩობელასთან, ბეკარიას როლში. — ასენიზაცია. — თბილისის გაზეთების მიერ შეშინებული შავი ჭირი. — ექიმი რემერტი, რომელიც შავ ჭირს მაშით მისდევს. — შარშანდელი შავი ჭირი, რომელიც, რემერტის საანგარიშო მოხსენებასთან ერთად, უკვალოდ გაქრა. — ქალაქის მმართველი პრიმორსკში, რომელსაც იშვიათობა და ყდები უყვარს, — ვეშაპის დუელი სპილოსთან. — გემი, რომელმაც ტრიესტი დაბომბა. რუსეთ-თურქეთის კავშირი.

რადგან ავადმყოფობამ იძულებული გამხადა გასული კვირის ფელეტონი „გადამეყლაპა", ამიტომ დღეს მთელი ორი კვირის მიმოხილვა მიხდება. ყოველი ავადმყოფობა თავისთავადაა საძაგლობა, მაგრამ სრულიად აუტანელია მაშინ, როცა იგი ეწვევა კაცს, რომელმაც საჩქარო საქმეს მოკიდა ხელი. თქვენ, ალბათ, ფიქრობთ, ავადმყოფობა იმიტომაა აუტანელი, რომ ადამიანს ხელს უშლის თავის საქმის გვარიანად შესრულებაში და თქვენ ამაში მართალი ხართ. მაგრამ რაც ბევრად უფრო ცუდია, და რაზედაც თქვენ, ალბათ, წარმოდგენა არა გაქვთ, ისაა, რომ შეუსრულებელი და დაუბეჭდავი საქმეაოც კი მეტისმეტად ამწვავებს და ამძიმებს ავადმყოფობას. მარტო იმის შეგნება, რომ შენგან ელიან სამუშაოს შესრულებას და შენ მას ვერ ასრულებ, ავადმყოფობას წარმოუდგენლად მწვავე ხასიათს აძლევს. იქმნება რაღაცნაირი ჯადოსნური წრე შედეგსა და მიზეზს შორის და, ბოლოსდაბოლოს, ექიმებიც ვერ ერკვევიან სად იწყება ერთი და სად თავდება მეორე.

მაგრამ განსაკუთრებით სამწუხარო და ამასთანავე სასაცილოა ფელეტონისტის ავად გახდომა. გაგონილა სადმე, რომ ავად გახდეს მკითხველი საზოგადოების ნაფიცი გამამხიარულებელი, რომ მას ორივე ხელით გული ეჭიროს იმ დროს, როცა მის მკითხველებს ბუცლები უჭირავთ? მხოლოდ ვიქტორ ჰიუგოს, „ანტითეზისა" და

„სასაცილო საშინელებასთან“ შერწყმის ამ დაუღალავ მაძიებელს, შეეძლო მოეგონებინა ისეთი ტრაგი-კომიკური ვითარება, „Le Roi s.amuse“ (რიგოლეტო). სადაც გამოყვანილი ყავს მასხარა, რომელმაც იმისათვის, რომ მოსისხლე მტერი სასაცილოდ აეგდო, საკუთარი ქალიშვილის სისხლი დაღვარა, მაგრამ იმ ნაწარმოებში ეს როგორღაც შემთხვევით და შეუგნებლად ხდება. აქ კი სავალალო და გამოუვალ მდგომარეობაში ხარ, ასე რომ ვთქვათ, en pleine connaissance de cause“.

* *

მაგრამ მივანებოთ ეშმაკებს ეს სამწუხარო სიუჟეტი. რა საჭიროა სინანული, თუკი ვერაფრით უშველი? ჯობია შევეხოთ გასული ორი კვირის მოვლენებს.

ვიგონებ რა ამ ხნის მანძილზე მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს, უპირველეს ყოვლისა, ვჩერდები ანეგდოტზე. რომელიც ჩვენი სასამართლო უწყების ერთ-ერთმა ყველაზე ენამახვილმა წევრმა მიამბო. სულ ტყუილად გეღიმებათ, მკითხველო, ამ უწყებაშიაც მუშაობენ გონებამახვილი და ჭკვიანი ადამიანები და თუ თქვენ ეს ვერ შენიშნეთ სხდომებზე, სამაგიეროდ მე შევნიშნე კერძო საუბრებში. დიდია რუტინის ფორმის, გარსის ძალა და მე არაერთხელ მითქვამს, რომ ადამიანებს ყველგან და ყოველთვის ცვლის არა მარტო დრო, არამედ ტანსაცმელიც... მაგალითად, ხედავ ადამიახს, რომელსაც სამოქალაქო ტანსაცმელი აცვია, მაგრამ საკმარისია მოირთოს ზიზილ-პიპილებით და თქვენს წინ სრულიად სხვა პიროვნებაა, სხვაგვარი შეხედულებებით და ზნეჩვეულებებით. მე მახსოვს წმინდა-სისხლიანი არა თუ ლიბერალები, არამედ ურადიკალესი რადიკალები, რომლებიც ჩემთან ერთად დარბოდნენ კრონშტანდტში. მახსოვს მეზღვაურთა ბლუზები და ჯარისკაცთა ხალათები. რა შესანიშნავად მსჯელობდნენ ამ უბრალო ტანსაცმელში გამოწყობილნი და რა მაღალი იდეები უნათებდათ შუბლს! ახლა მე მათ ძვირფას კოსტუმებში, ბეწვეულებში და ზიზილ-პიპილებში გამოწყობილებს ვხვდები და ადრინდელი ფიქრები მათ აღარც კი ახსოვთ. ახლა ისინი სწავლობენ ცნობებს ნასამართლეობის შესახებ და, სხვათა შორის, პროცენტების, ვიზიტების და წარმატებების ანგარიშში საკუთარი ნასამართლეობა ავიწყდებათ.

* * *

მაგრამ მოვეშვათ ამ სამწუხარო სიუჟეტსაც და დაუბრუნდეთ ანეგდოტს. თქვენ იცით, რომ ამ დღეებში ჩამოახჩვეს ორი ძმა კუ-

ზანოვები, რომელთაც პოლიციელი მოჰკლეს. როცა სასჯელი სისრულეში იქნა მოყვანილი, ბრბო სახრჩობელებისაკენ მიიწევდა. რათა ახლოს ენახა ბოძები და ტომრები... არეულ-დარეულობაში რომელიღაც კინტო (თბილისელები თარგმნიან gamain) ვიღაცას ჯიბეში ჩაუძვრა და შეიპყრეს არა მარტო ბოროტმოქმედების ჩადენის ადგილზე, არამედ სასჯელის ადგილზედაც.

დაზარალებული პირი ცოფებს ყრიდა, მაგრამ კინტო მას შემდეგი პათეტიური სიტყვებით მიუბრუნდა:

— ვერ ხედავ, რა დრო დაღგა? ამისათვის ახლა კაცს აღრჩობენ, ნუთუ შენ სახრჩობელამდე გინდა მიმიყვანო?

კინტომ მზერა ცას მიაპყრო და დაზარალებულს ყესტით ღვთი შეახსენა.

გაძარცული, რა თქმა უნდა, მოლბა და ქურდი მშვიდობიანად გაუშვა, se taire pendre ailleurs[84].

ბევრი დაწერილა სიკვდილით დასჯის მორალურ და დემორალურ გავლენაზე. მაგრამ თუ მე მეწარედ არ ვცდები, ამ ამბავს არავინ არ მიდგომია ასე ორიგინალური მხრიდან; სიკვდილით დასჯა დანაშაულს კი არა სპობს, არამედ — ღევნას.

ამგვარად, თბილისელმა კინტომ იურიდიულ მეცნიერებათა საუნჯეს „ახალი თვალსაზრისი" შესძინა და მე იმედი მაქვს, რომ ბაკარიას დიდებული აჩრდილი აპატიებს მას ჩადენილ ცოდვას უნებურად გამოთქმული იმ აზრისათვის, რითაც მოსალოდნელი სასჯელისაგან თავი დაიხსნა.

* * *

ასენიზაცია ახლა მოდაშია, განსაკუთრებით ჩვენში. ადგილობრივმა პრესამ მას იმით გადაუხადა ღირსეული ხარკი, რომ უამრავი ძნელად მოსანელებელი სტატიები მიუძღვნა, რის გამოც შავი ჭირი სპარსეთში გაიქცა თავის დასახსნელად. თურქეთში ეს სენი კარგად ვერ გრძნობს თავს, რადგან ექიმი რემერტი შაშით გაეკიდა ერზრუმამდე. ხოლო დასახელებულ ექიმს რომ შავი ჭირის დევნის უნარი შესწევს, მე ამის უდაო საბუთები გამაჩნია.

ამბობენ, შავმა ჭირმა შარშან სადღაც სპარსეთში იჩინა თავი. ექიმმა რემერტმა მაშინვე გაგზავნა მის წინააღმდეგ თავის ერთგული საბურველეთმტვირთველები, ექიმები უშაკოვი და სკოროვი. რიმელთაც მიიღეს შესაბამისი მივლინება და გაეკიდნენ დაუპატიჟებელ, მაგრამ ძვირფას სტუმარს. ყველგან, სადაც საჭირო იყო და არ იყო, მოაწყვეს კარანტინები და შავი ჭირი არა მარტო გაქრა,

არამედ მათთან ახლოს მისვლაც კი ვერ გაბედა. რას ნიშნავს კარანტინების რეპუტაცია? იგი მხოლოდ ჩინოვნიკებს და ექიმებს ვერ აფრთხობს.

საჭურჭლეთმტვირთველები დაბრუნდნენ, კარანტინები, შავ ჭირთან და შვიდი ათას მანეთთან ერთად, აორთქლდა. ეს თანხა საქალაქოს ფომ იმისთვის გამოჰყო, რომ საშინელი სენი ჩვენს მხარეში არ გავრცელებულიყო. სამწუხაროდ, სამედიცინო ფოლიანტები დღემდე არ გამდიდრებულა ექიმების ასენიზაციური შოღვაწეობის საფუძვლიანი, ან მოკლე ანგარიშით, ექიმებისა, რომელთაც წარმატებით დაამარცხეს შავი ჭირი. ეს კი სამწუხაროა. მეცნიერებას სჭირდება „გამოცდილებათა მითითებები", რადგან კავკასიელ მედიკებს, შავი ჭირის დამარცხების საფუძვლიანი საანგარიშო მოხსენებით, შეეძლოთ დიდი წვლილი შეეტანათ ევროპის მედიცინის განვითარებაში, ყოველ შემთხვევაში, იმდენად ღირებული, რამდენადაც ღირებულია ცნობა «О значении воспаления зрительных нервов для распознавания внутри черенных страданий»-ის შესახებ და თუ ამ უკანასკნელ ცნობას კავკასიის სამედიცინო საზოგადოება თავის ოქმებში ბევრ გვერდს უთმობს, მაშინ რატომ არ უნდა დაუთმოთ ადგილი საანგარიშო მოხსენებას ისეთი შესანიშნავი მოვლენის შესახებ, როგორიცაა შავ ჭირთან წარმატებით ბრძოლა?

* * *

ჩემი აზრით, ყველა სამედიცინო საზოგადოებას არ შეუძლია ასეთი მოვლენებით თავის გამოჩენა. მეორეს მხრივ, ამ ამბავს შეუძლია დააინტერესოს არასპეციალისტებიც. იგი საინტერესოა სხვა ადამიანებისთვისაც, — ადმინისტრატორების, კონტროლიორების, ვადამხდელებისა და სხვათათვის. ადვილი შესაძლებელია ანგარიში გამოქვეყნდება იმ ეპიდემიების მოსპობასთან ერთად, რომელთან საბრძოლველადაც ახლა ექიმი რემერტი გავმართა. მაგრამ რამდენ კაცს შეუძლია ასე დიდ ხანს ლოდინი და რამდენ კაცს მოუღებს ბოლოს ეს ეპიდემიები, სანამ შარშანდელი შავი ჭირის ანგარიშს გავეცნობით.

* * *

არა, დღეს მე სრულიად არ მწყალობს ბედი. როგორ სიუჟეტებს ვირჩევ ფელეტონისათვის: ავადმყოფობა, სახრჩობელა, შავი ჭირი, ეპიდემია. უბრალოდ საშიშიც კია! ეტყობა ჩემს ავადმყოფ ნერვებს მეტისმეტად სევდიანი განწყობილება დაეუფლა. გავეცალოთ თბილისს, იქნებ გავმხიარულდეთ.

იმ დროს, როცა რუსეთში ფეხს იკიდებდა საჯარობა და როცა იგი ჯერ კიდევ ცენზურის უღელ ქვეშ იყო, მას არ შეეძლო წარმოეთქვა საკუთარი სახელები და ბავშვის მსგავსად ყველაფერს გაუგებარ სახელებს არქმევდა. ქალაქებსაც კი ხელახლა ნათლავდა. გეოგრაფიულ ლიტერატურაში გაჩნდა ყველასათვის უცნობი ქალაქების სახელები: პრიმორსკი, კრუტოგორსკი, გლუპოვი და ა. შ. აი, სწორედ ერთ-ერთი ასეთი ქალაქიდან, სახელდობრ ქ. პრიმორსკიდან, კურიოზულ ამბებს მწერენ.

ამ ღვთისაგან კურთხეულ ქალაქში, — სადაც ბედმა პირველ რიგში ერთად წამოისწია ორი ისეთი ორიგინალური პიროვნება, როგორებიც კი ოდესმე წარმოუშვია რუსეთს, — დიდებული, რომელიც მხვეპელი გახდა და მხვეპელი, რომელიც დიდებული გახდა, — ამ დღეებში მოხდა ორიგინალური კაზუსი, რის შედეგადაც ადგილობრივი პრესის ზნეჩვეულება და მდგომარეობა არც ისე სახარბიელო გამოჩნდა.

პრიმორსკში გამოდის რამდენიმე გაზეთი, რომლებიც ერთმანეთს ესხმიან თავს. ერთ მშვენიერ დილას სამი „დამოუკიდებელი", ან უკეთ მეტისმეტად დამოკიდებული, გაზეთი ქალაქის მმართველისაგან ბრძანებას ღებულობს დაუყოვნებლივ შეიტანონ გადასახადი სამხედრო მოქმედებათა ყველა ოფიციალური დეპეშისათვის, რომელიც კი გასული წლის მანძილზე დაბეჭდილა. გადასახადი განისაზღვრა იმ მანძილით, რაც გამომგზავნ პუნქტამდე იყო და სიტყვათა რაოდენობით. დარტყმა მოულოდნელი და გამანადგურებელი აღმოჩნდა. მოულოდნელი იმიტომ, რომ მთელ რუსეთში მთავრობა უფასოდ უგზავნის გაზეთებს ამგვარ ტელეგრამებს, რათა, რაც შეიძლება, ფართოდ გავრცელდეს ხალხში ოფიციალური ცნობები. ხოლო გამანადგურებელი იმიტომ, რომ რედაქციებს უხდებოდათ ხელმოწერით აღებული უკანასკნელი კაპიკების გადახდა. ამ განკარგულებასთან ერთად, ქალაქის მმართველი, იმ უფლების ძალით, რომელიც მისთვის არ მიუნიჭებიათ, იმუქრებოდა, რომ თუ ფულს არ შეიტანენ, შეწყვეტს მათთვის ოფიციალური ტელეგრამების მიწოდებას. რედაქტორებმა უკიღურეს საშუალებას მიმართეს და კოლექტიურად განაცხადეს, რომ უარს ამბობენ ტელეგრამების დაბეჭდვის უფლებაზე.

ქალაქის მმართველი, რომელსაც ეგონა, რომ მისი მუქარა საწინააღმდეგო შედეგებს გამოიღებდა. საშინლად განრისხდა. „მორეკეთ აქ რედაქტორები", — იბღავლა მან ისე, როგორც ჩვეოდა. რედაქ-

ტორები გამოცხადდნენ ფრაკებით, თეთრი ხელთათმანებით, გამოწკეპილები. ქალაქის მმართველი იმ წამსვე თავს დაესხა მათ:

— თქვენ იცით, ბატონებო, რომ ქალაქ პრიმორსკში სამხედრო წესებია შემოღებული?

— როგორ არა, თქვენო კეთილშობილებავ, — პასუხობენ გაკვირვებული რედაქტორები.

— ისიც ხომ იცით, რომ მე ქალაქის მმართველი ვარ!

— არ შეიძლება არ ვიცოდეთ, თქვენო კეთილშობილებავ, — ეუბნებიან რედაქტორები, მელანქოლიური სულის მოთქმით.

— მაშ როგორ ბედავთ და უარს აცხადებთ ოფიციალური ტელეგრამების დაბეჭდვაზე და ამასთანავე ჩემს სახელზე კოლექტიურ განცხადებას წერთ. ეს ამბოხებაა: ყველას სამხედრო სასამართლოს გადაგცემთ, ოცდაოთხ საათში გაგასამართლებთ, სიკვდილით დაგსჯით, გაგანადგურებთ, et patati, et patata...

შენიშნა რა, რომ მისმა სიტყვებმა შთაბეჭდილება მოახდინა და რედაქტორებს შიშისაგან მუხლები აუკანკალდათ, ქალაქის მმართველმა თავის სიტყვა ასეთი ულტიმატუმით დაამთავრა:

— თუ ხვალიდან არ განაახლებთ ოფიციალური ტელეგრამების ბეჭდვას, და თუ გადასახადს მე არ მომართმევთ, მაშინ მე თქვენ..

რედაქტორები დანებდნენ მებრძოლი ქალაქის მმართველს და თავიანთი სკივრების გასაღებები მიართვეს.

თანამოკალმეების მწუხარება და დამცირება ყოველთვის მანაღვლიანებს. მაგრამ მე რჩევით მაინც შემიძლია დავეხმარო ჩემს პრიმორსკელ კოლეგებს. ოდესღაც მეც ვიცნობდი მათი ქალაქის მმართველს, რომელიც არაერთხელ დამმუქრებია — ისეთ ადგილას ჩაგაგდებ, რომ დღის სინათლე მოგენატროსო. მაგრამ არც ისე წვიმს, როგორც ქუხს... მას აქვს ერთი ისეთი მხარე, რასაც ფრანგულად Cadavre ჰქვია, გატაცებულია იშვიათობებით, ძველი ხელთნაწერებით, მინანქრით დამშვენებული ყდებით და ა. შ. ჩემს პრიმორსკელ ძმებს, რომ მისთვის რაიმე ამდაგვარი მიერთმიათ, მე დარწმუნებული ვარ მის რისხვას აიცდენდნენ... A bon entendeur—salut[65]!

* * *

არა, ნება თქვენია, მაგრამ ეს სიუჟეტიც ნაღვლიანია. თუ კი საბრჭობელაზე ლაპარაკი სეგდას იწვევს, არა ნაკლებ დამაღონებელია სამხედრო სასამართლოზე ლაპარაკი, რადგან ამ უკანასკნელიდან პირველამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია. წავიდეთ კიდევ უფრო შორს, გადავლასოთ სასღვარი, იქნებ იქ მაინც აღმოჩნდეს რამე...

* * *

ამბობენ ინგლისი არ ხუმრობს და მართლა აპირებს რუსეთთან ომსო. ამ საქმის სერიოზული მხარეების განხილვას ჩემს თანამოკალმეს, მოწინავე სტატიების ავტორს, ვუთმობ, მე კი არ შემიძლია არ შევეხო მის სასაცილო მხარეებს. მართლაც, რა უნდა იყოს უფრო საშინელი და სასაცილო, ვიდრე ვეშაპსა და სპილოს შორის ბრძოლა? მინდა ვიცოდე სად და რა ნიადაგზე შეხვდებიან ერთმანეთს, რომ შესაფერისად მიბერტყონ ერთმანეთი? ვეშაპი გამოვა ხმელეთზე, თუ სპილო შეცურდება ზღვაში? თუ შორიდან დაუწყებენ ერთმანეთს მრისხანედ ცქერას და მოწინააღმდეგეს ტალახის შადრევნებს გაუგზავნიან, ერთი Times-ის ცხვირიდან, მეორე კი „მოსკოვსკი ვედომოსტის“[37] ხორთუმიდან.

* * *

ამას წინათ „ობზორი“[35] იხილავდა ასეთ საკითხს: შეუძლიათ თუ არა ინგლისის ჯავშნოსნებს კონსტანტინეპოლის დაბომბვა? მე არ ვიცი შეუძლიათ თუ არა, მაგრამ „ამ ამბის შესახებ შემიძლია მოგიყვეთ ერთი საკმაოდ საინტერესო ანეგდოტი“.

ერთხელ ტრიესტს მიადგა რომელიღაც ამერიკული გემი, რომელიც ჩვენი „გოლუბჩიკის“ ოდენა თე იქნებოდა. ამ გემზე, სხვა ბგზავრებთან ერთად, იმყოფებოდა რომელიღაც იტალიელი ემიგრანტი, რომელიც, 1849 წლის დამარცხების შემდეგ, ამერიკაში გაიქცა. როცა ტრიესტი დაინახა, იტალიელს გულმა ვეღარ გაუძლო და იმის იმედით, რომ ვერავინ მიცნობსო, ნაპირზე გადმოვიდა. მაგრამ ნურას უკაცრავად. იმ დროს ყოველ ავსტრიელს თითო ჯაშუში დაყვებოდა და იტალიელი პირველსავე ტავერნაში შეიპყრეს.

როგორც კი ეს ამბავი გაიგო, პატარა გემის კაპიტანმა ულტიმატუმი გაუგზავნა ტრიესტის სიმაგრეების კომენდანტს: თუ ორი საათის განმავლობაში ემიგრანტს არ გაანთავისუფლებთ და გემზე არ ამოიყვანთ, მაშინ ამა და ამ საათზე, ამა და ამ წუთზე გემი... ტრიესტის დაბომბვას დაიწყებსო. უნდა დავსძინოთ, რომ გემზე იყო მხოლოდ ერთი ნიშნის მიმცემი ქვემეხი, ოთხჯერ უფრო პატარა იმ ქვემეხზე, რომელსაც შუადღეზე ალექსანდროვის ბაღთან ისვრიან. იანკი სწორედ ამ ქვემეხით იმუქრებოდა ტრიესტისა და მისი სიმაგრეების დაბომბვას.

როგორ ფიქრობთ, რა მოხდა? ულტიმატუმის გაგზავნიდან ერთი საათის შემდეგ ემიგრანტი, ბოდიშის მოხდით, დააბრუნეს გემზე.

ყველაფერი საწყალ ჯაშუშებს დააბრალეს და საქმე ღვინის სმით დამთავრდა.

აქედან კი შეიძლება ამგვარი დასკვნის გამოტანა: მიუხედავად პატარა ქვემეხისა, მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ალამი, რომლის უკან შეიძლება უამრავი დიდი ქვემეხი იმალებოდეს.

* * *

მინდოდა ცოტა კიდევ მეცინა რუსეთ-თურქეთის თავდაცვით და თავდასხმით კავშირზე, რაც ტელეგრაფით ესესაა „ობზორის“ კორესპონდენტმა გვაცნობა. მაგრამ ამ ქვეყნად რა არ ხდება. მოლაპარაკებას მშვიდობის შესახებ გრაფი იგნატიევი აწარმოებდა, ხოლო რუსეთ-თურქეთის კავშირზე იგი ყოველთვის ოცნებობდა. ჯერ-ჯერობით შევიკავებთ სიცილს.

52. კიდევ ადგილობრივი პრესის შესახებ

თბილისი, 13 თებერვალი.

წინააღმდეგ ყოველგვარი მოლოდინისა, ჩვენმა სტატიამ ადგილობრივი პრესის შესახებ („ობზორი" № 40) დიდი აურ-ზაური გამოიწვია[66]. ამ საქმით დაინტერესებულ პირებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ადგილობრივ გამოცემათა პლატონიური თაყვანისმცემელნი-არამკითხველნი, თავს დაგვესხნენ მკაცრი ბრალდებებით და ყოველნაირად ცდილობენ თავისი დემონსტრატიული აღშფოთებით გამოისყიდონ გულგრილობა, რომელსაც აქამდე იჩენდნენ და კვლავაც გამოიჩენენ ადგილობრივი პრესის ბედისა და მდგომარეობისადმი. ყოვლად ურცხვად, როგორც ეს მათ თავქარიანობას ეკადრება, ბედავენ დაგვაბრალონ, თითქოს ადგილობრივი ბეჭდვითი ორგანოების თუ მოსპობა არა, ყოველ შემთხვევაში, დამცირება მაინც გვსურდეს, და ინიღბებიან წარმოსახვით შექმნილი მტრისაგან, ე. ი. ჩვენგან, ამ ბეჭდვითი ორგანოების დამცველის მომგებიანი როლით.

სანამ ამ ბრალდებებზე გადავიდოდეთ, იძულებულნი ვართ მკითხველი საზოგადოებრიობის სამსჯავროზე გამოვიტანოთ ასეთ ბრალდებათა უტიფრობა. ამ სტრიქონების დამწერს, მეტად ვინემ რომელიმე სხვას კავკასიაში, უფლება აქვს ილაპარაკოს ადგილობრივ პრესაზე და არ ეშინოდეს მისი არაკეთილმოსურნე კაცის სახელი დაიმსახუროს. თავისი მოღვაწეობის დასაწყისში, მას აკვანში დახვდა ეს პრესა, რომელიც არა თუ გავლენას არ ახდენდა ადგილობრივ ცხოვრებაზე, არამედ საერთოდ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ორ ადგილობრივ გაზეთს, რომლებიც მაშინ კვირაში მხოლოდ ერთხელ გამოდიოდა, თითოეული არა უმეტეს 200—300 ეგზემპლარისა, თითქმის არავინ არ კითხულობდა. რედაქციები ასე მცირერიცხოვან ხელისმომწერთა შეგროვებასაც ვერ ახერხებდნენ და იძულებულნი ხდებოდნენ მიემართათ ძალა-უფლებით აღჭურვილი პირებისათვის—გუბერნატორების, მღვდელმთავრების, მაზრის უფროსებისა და სხვებისათვის, რომლებიც მოუწოდებდნენ საზოგადოებრიობას

აეღოთ ხელმოსაწერი ბილეთები. თავის თავად ცხადია, რომ ასეთი ხელისმომწერნი ისევე კითხულობდნენ ძალით შეჩეჩებულ გაზეთებს, როგორც ჩვენ ვკითხულობთ იაპონურ გაზეთებს. ჩვენ არაფერს ვიტყვით ამ გაზეთების შინაარსზე: იგი რომ ვერავითარ კრიტიკას ვერ ვაუძლებდა, ამაზე ის ფაქტი მეტყველებს, რომ ნებაყოფლობითი მკითხველები არ ჰყავდა.

ასეთ მდგომარეობაში დაგვხვდა ადგილობრივი პრესა რაღაც რვა წლის წინ. ახლა ყველას შეუძლია შეადაროს ამ მდგომარეობას ახლანდელი მნიშვნელობა იმავე პრესისა, რომელიც ამჟამად რამდენადმე მაინც წააგავს სერიოზულ პერიოდულ ლიტერატურას.

ჩვენ აზრადაც არ მოგვსვლია საკუთარ თავს მივაწეროთ დამსახურება საქმის ასეთი შეტრიალებისა ადგილობრივი პრესის მდგომარეობაში. მაგრამ ვერავინ უარყოფს, რომ ამ სტრიქონების დამწერის ცდამაც თავისი წვლილი შეიტანა ამ შეტრიალებაში... გარდა ამისა, ვერავინ უარჰყოფს, რომ ადგილობრივი პრესის ახლადგამომცხვარ „დამცველებს", რომელნიც ბულვარზე ფარისევლურად თავში ხელებს იშენენ, და ლამისაა ყველაფერი შემოიხიონ „ობზორის" სტატიის გამო, თითიც არ გაუნძრევიათ, რომ თავიანთი თანამშრომლობით ხელი შეეწყოთ პრესისათვის.

თვით „მშაკის"[32] შესახებაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ღმერთმა უწყის. იარსებებდა თუ არა ეს გაზეთი, ამ სტრიქონების დამწერს, რომელიც მისი დაარსების ინიციატორი იყო, მრავალი თვის განმავლობაში რომ არ წაექეზებია მისი დამაარსებელნი ხელი მოეკიდათ საქმისათვის, რომელიც უიმედო ეგონათ.

და ახლა ბრალსა გვდებენ, თითქოს ადგილობრივი პრესის მოსპობას ვლამობთ, და ბრალსა გვდებენ სწორედ ის ადამიანები, რომელნიც ნამდვილად მოსპობდნენ მას, ან ისევ უწინდებურ უბადრუკ მდგომარეობამდე მიიყვანდნენ, ჩვენი ადგილობრივი პრესა რომ მათ ხელში ყოფილიყო...

ჩვენ მართლაც დავიმსახურეთ ამგვარი თავდასხმა იმით, რომ მოვერიდეთ ვინმეს წყენას და ბოლომდე არ გამოვთქვით ჩვენი აზრი. ჩვენ ვვარაუდობდით, რომ ჩვენს მეგობრულ რჩევა-დარიგებას მაშინ უფრო მიიღებდნენ, თუ სათქმელს ზოგად ფორმებში ვიტყოდით. მაგრამ რადგან იმედები გაგვიცრუვდა, დღეს დავასრულებთ ჩვენს აზრს და დავიმოწმებთ მკითხველებს, ადგილობრივი პრესის საკეთილდღეოდ თუ საზიანოდაა მიმართული ამჟამად ჩვენი ცდა.

რა იყო თქმული არსებითად წერილში, რომელიც „ობზორის" 1ᲘᲐ 40-ში დაიბეჭდა? ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ადგილობრივ გაზე-

თებს, რომელნიც უჩივიან ჩვენი მოსახლეობის ინტელიგენტური ფენების მათდამი გულგრილ დამოკიდებულებას, არ ძალუძთ დააკმაყოფილონ ამ ფენების გონებრივი მოთხოვნილებანი ისე, როგორც ამას რუსული და უცხოური გაზეთები აკეთებენ, და რომ ამიტომ ჯობს ყურადღება მიაქციონ იმ ფენებს, რომელთაც ადგილობრივი გაზეთები ესაჭიროებათ. ვეკითხებით ყველა გულწრფელ მკითხველს — განა ეს აზრი სადავოა? განა შეიძლება შეედავო იმ დებულებას, რომ პრესა, რომელიც მაღალ განვითარებულ ლიტერატურას ეყრდნობა, უფრო დაინტერესებს ამ ლიტერატურას გაცნობილ მკითხველს, ვიდრე პრესა, რომელიც წარმოადგენს დასაწყისს შშობლიური ლიტერატურისას? კითხვა ისმის, ვინ უფრო ადვილად და მარჯვედ შეეხება ყოველგვარ გონებრივ საკითხებს — ჟურნალისტი, რომელიც ეყრდნობა მთელ რიგ გამოჩენილ მოაზროვნეებს, როგორიცაა ვოლტერი, დიდრო, ლესინგი, ბორნე, ბორკი და ა. შ., თუ პუბლიცისტი, რომელსაც ლამის ერთადერთ წინამორბედად ჰყავს ბ-ნი კერესელიძე ან ბ-ნი სიმონიანცი?

ჩვენ პირველნი გავიხარებლით სულითა და გულით, ადგილობრივ პრესას რომ მიეღწია, თუნდაც ხვალ, იმავე სიმაღლისათვის, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში ინგლისურმა, ფრანგულმა და გერმანულმა ჟურნალისტიკამ მიაღწია. მაგრამ ბავშვი უნდა იყო ან შეშლილი, ასეთი იდეები რომ გასულდგმულებდეს. ასეთი ქიმერის დევნაში აღგილობრივი პრესა ნამდვილად გაითხრის საფლავს: იგნორირებული, ინტელიგენტური ფენებისაგან, და გაუგებარი მასებისათვის, ისე დაიღუპება, რომ კოკრების გაშლასაც ვერ მოასწრებს და მერე მისი გაცოცხლება ათასჯერ უფრო ძნელი იქნება, ვიდრე ახლა მისთვის მიჩნევა ბუნებრივი ნიადაგისა, რომლისგანაც ყოვლად გაუგებარი დაბრმავების გამო, ახლა თავი შორს უპირავს...

და როლის აქვთია, რაც პრესის უგულვებელყოფას ან დასამარებას ნიშნავს მოწოდება — ემსახურე ხალხს, აზიარე ის გონებრივ ცხოვრებას, გააცანი მას გონივრული საზოგადოებრივი ცხოვრება? განა პროტესტები ჩვენი ამგვარი გონივრული რჩევა-დარიგების წინააღმდეგ არ წარმოადგენენ საუკეთესო დადასტურებას იმისას, რომ მათ ავტორებს არავითარი წარმოდგენა არა აქვთ იმ საგანზე და იმ საქმიანობაზე, რაზეც ასე ქედმაღლურად მსჯელობენ?

ჩვენ რომ ადგილობრივი პრესის დაღუპვა გვდომებოდა, მაშინ დუმილს ვარჩევდით, ან ვურჩევდით ებეჭდა მაღალფარდოვანი სტატიები დიფერენციალების და ინტეგრალების, კაბინეტის ინტრიგებისა და დიპლომატიური დეტალების და სხვა მნიშვნელოვანი მატე-

რიების შესახებ. ამ გზით იგი ხუთ წელიწადში ადგილობრივ მოსახლეობას სამუდამოდ მოუსპობდა ადგილობრივი გაზეთების ხელში აღების ყოველგვარ სურვილს. თუმცა, დაე ამ პრესამ იმ გზით იაროს, რომელსაც ადვია, და ჩვენი წინასწარმეტყველება ძალიან მალე დადასტურდება რიგი ფაქტიური საბუთებით

მაგრამ ჩვენი სტატიის — „ადგილობრივი პრესა" — დასაწყისშივე იგრძნობოდა, რომ ასეთი ფაქტიური საბუთების ნაკლებობას არც ახლა განვიცდით. განა თვით „მშაკი" არ ჩიოდა, რომ ინტელიგენტმა ხელისმომწერლებმა წელს აღარ მოაწერეს ხელი ამ გაზეთსო?..

აქამდე ჩვენ ვლაპარაკობდით a priori. ახლა ჩვენ ბოლომდე მივიყვანთ ჩვენს თვალსაზრისს და მოვიყვანთ საბუთებს a posteriori.

ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ადგილობრივ პრესას რომ გამოჩენილი ტალანტები ჰყავდეს თავის განკარგულებაში, ინტელიგენტთა ფენებიც მიაქცევდნენ მას ყურადღებას. მაგრამ ამჟამად ეს ასე არ არის, და ღმერთმა უწყის როდის გაჩნდებიან ასეთი ტალანტები. იმ ლიტერატურული და გონებრივი ძალებით, რომლებიც ამჟამად ადგილობრივ პრესას გააჩნია, სწორედაც სასაცილოა ეცადო რამდენადმე განვითარებულ მკითხველთა ყურადღების მიპყრობას. აქავე დროს კი, იმავე ძალებით გაჭირვებით მოხერხდება მოსახლეობის განუვითარებელ ფენებს გააცნო გონებრივი ცხოვრება. თუ ვინმე შეედავება ამ აზრს, ჩვენ მას დავიცავთ — გადმოვბეჭდავთ „ობზორში" ადგილობრივი გაზეთებიდან მთელ რიგ მოწინავეებსა და ფელეტონებს და ჩვენი მკითხველი დაინახავს, დასაშვებია თუ არა, რომ ამ შეთითხნილი სტატიების ავტორებს იმედი ჰქონდეთ, რომ მკითხველი საზოგადოებრიობა ყურადღებას გაამახვილებს ყოველივე ამაზე. ამ მიზნით აქვე მოვიყვანთ „მშაკის" № 17-ის მოწინავე სტატიას.

„მშაკის" სტატია ასეა დასათაურებული: „რას იტყოდა სომეხი?" აი, მისი სიტყვასიტყვითი თარგმანი:

„როგორ განრისხდება ხოლმე სომეხი, როცა ხედავს, რომ ესა თუ ის უცხოური გაზეთი აღწერს სომეხი ერის ნაკლს! სომეხი განრისხებულია იმიტომ, რომ მისი ნაკლი მთელმა ქვეყანამ შეიტყო.

„ჩვენ თავს ყველაფრის გაკეთების უფლებას ვაძლევთ: ვჩაგრავთ სხვებს, ვავიწროებთ ჩვენს ოჯახს, ვტყუით, ვქურდობთ, უზნეობას ჩავდივართ; თვითონვე ვხდებით ჩვენი ხალხისა და საზოგადოების პირველი მტრები. ვდევნით ჩვენს მშობლიურ ენას, ვცდილობთ ზიანი მივაყენოთ ჩვენს სახალხო სკოლებს და მშობლიურ

ლიტერატურას, მაგრამ ვერ აგვიტანია და გახრისხებულნი ვართ, როდესაც მთელი ეს ნაკლი გაზეთებში იბეჭდება, განსაკუთრებით კი უცხოურ გაზეთებში.

„ასეთ სტატიებს ცილისმწამებლურს ვუწოდებთ.

„სანამ უცხოელები ჩვენს ნაკლს არ ხედავენ, კარგი წარმოდგენისა არიან ჩვენზე. რას იტყოდა სხვა ერის წარმომადგენელი, ყოველმხრივ რომ გვიცნობდეს, ყველა ჩვენი ნაკლი რომ იცოდეს? რას იტყოდა ის იმაზე, რომ საკმარისია რომელიმე სომეხმა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმე წამოიწყოს, რომ დანარჩენი სომხები მაშინვე იწყებენ მის დევნას, ცილს სწამებენ და, როგორც იტყვიან, მიწასთან ასწორებენ.

„რას იტყოდნენ უცხოელები, რომ გაეგოთ, რომ საკმარისია სომეხს ნიჭი შეატყო, მისი თანამოძმენი მაშინვე ეცდებიან ყოველნაირად შეუშალონ ხელი და ზიანი მიაყენონ მის რეპუტაციას საზოგადოებაში?

„რას იტყოდნენ უცხოელები, რომ გაეგოთ, რომ ის პირნი, ვინც ზიანს აყენებს ყოველგვარ სომხურ დაწესებულებას ან სასწავლებელს, ვინც სომხური პრესის დაუძინებელი მტერია და წამოწყებული საქმის სრულ მოსპობას ლამობენ — თვით სომხები არიან.

„შორს ნუ წავალთ, მკითხველო, — აი მჭევრმეტყველი მაგალითი: როცა ჩვენი გაზეთი ჯერ არ გამოდიოდა ყოველდღე, გვყავდა რამდენიმე ხელისმომწერი ეგრეთ წოდებულ განათლებული კლასიდან. მაგრამ როგორც კი დაიწყო ყოველდღე გამოსვლა, ამ ბატონებმა აღარ მოაწერეს ხელი ჩვენს გაზეთს.

„თქვენ გგონიათ რომ დაავიწყდათ ამის გაკეთება? ეს შეუძლებელია. განა შეიძლება ყურადღება არ მიაქციოთ ისეთ მოვლენას, როგორიცაა ყოველდღიური სომხური გაზეთის პირველად გამოცემა? და თუ ასეთი პირნი ხელს არ აწერენ გაზეთს, მხოლოდ შური აღოძრავებთ. ამას იმ მიზნით აკეთებენ, რომ ზიანი მიაყენონ ჩვენს საქმეს; რომ არ მოხერხდეს ყოველდღიური სომხური გაზეთის გამოცემა. ამას პიროვნებისადმი ზიზღით სჩადიან, მაგრამ ვინ არის ეს პიროვნება, სომეხი ამას არ კითხულობს. საკმარისია, რომ ის სომეხია, ამის გამო უნდა ყოველნაირად შეუშალოს ხელი, მოსპოს ის, რადგან, ასე თუ ისე, იგი მეტ-ნაკლებად ცნობილი გახდა.

„საკმარისია სომეხმა რაიმე საქმით სახელი გაითქვას, დანარჩენი სომხები მაშინვე მიმართავენ ყველა ხერხს, რომ ზიანი მიაყენონ, მოსპონ, დაასაშარონ.

„საამისოდ სომხები სხვადასხვა საშუალებებს მიმართავენ, მაგრამ ერთნაირ შედეგებს აღწევენ.

„რას იტყოდნენ სომხები, ვინმეს რომ ეთავა რომელიმე რუსულ-ან უცხოურ გაზეთში ყველა მათი ნაკლის აღწერა, მაგალითად, რომ აეხსნა სომხური სკოლების წარუმატებლობა? ეჭვგარეშეა, სომხები ამას მაშინვე უწოდებდნენ ცილისწამებას და ურცხვ ავსიტყვობას.

„ჩვენ მთელს ქვეყანაზე არ გვეგულება მეორე ისეთი ერი, როგორც სომხებია, ყოვლად მდაბალი თვისებებით, მაგრამ ამავე დროს ესოდენ თავმოყვარე, რადგან სხვებთან მიამიტად და წმინდად მოაქვს თავი".

დამერწმუნეთ, რომ ყოველი ოდნავ განვითარებული მკითხველი, ამ სტატიის წაკითხვისას მბრეგს აიჩეჩავს და შეორედ აღარ დააინტერესებს ჩაიხედოს „მშაკის" მოწინავე სტატიებში. ამისათვის საჭირო არაა არც შური დოქტორ არწრუნის ავტორიტეტის მიმართ და არც ზიზღი... ამასთან, სხვათა შორის, იგივე ბ-ნი არწრუნი შეიძლებოდა ყოფილიყო სასარგებლო პოპულარიზატორი საზოგადოებრივ მეცნიერებათა ელემენტარული ცნებებისა სომეხი მოსახლეობის ფასებისათვის...

„გაზეთ „დროებას"[7], რომელიც ამავე საბაბით დაგვესხა თავს, ამ დღეებში დავუბრუნდებით.

53. ადგილობრივი მიმოხილვა

ქუთაისიდან გვწერენ, რომ ადგილობრივი საქალაქო საბჭოს უკანასკნელი სხდომები გამოირჩეოდა მთელი რიგი უწესო საქციელით, რაც ჩაიდინა ოთხმა საბჭოს წევრმა. ყოფილი საბჭოს მდივნის მეთაურობით, რომელიც ამჯერად აღარ აირჩიეს საბჭოში. ჩანს, რომ საბჭოს წევრებმა კასანიაკის სკოლის ფრანგი ბონაპარტისტების ტაქტიკა აირჩიეს: როგორც კი საბჭოში რაიმე მსჯელობა გაიმართება, იწყებენ ღმუილს, ლანძღვას, ყვირილს და ამით სუსტნერვებიან საბჭოს წევრებს იძულებულს ხდიან ყურები დაიცვან და შინისაკენ გაიქცნენ „სკანდალისაგან" თავის არიდების მიზნით".

* * *

გაზეთ „დროების"[7] უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია ცნობა სოფ. საგარეჯოში სამომხმარებლო საზოგადოების დაარსების შესახებ, რომლის მიზანია იაფად მიაწოდოს თავის წევრებს ყველა საჭირო სურსათი და საქონელი. ხსენებული გაზეთის სიტყვებით, ეს საზოგადოება მიზნად ისახავს თბილისშიც დაიწყოს თავის წევრთა ნაწარმის გაყიდვა ისე, რომ შუაკაცებად არ აიყვანონ ვაჭრები და კულაკები, რომლებიც ტყავს აძრობენ როგორც მწარმოებელს, ასევე მომხმარებელს ამ არასასურველი შუაკაცობით. ამ მიზნით საზოგადოება ქ. თბილისში ხსნის დუქანს.

* * *

ჩვენ გადმოგვცეს, რომ შაბათს, 11 თებერვალს, ჩვენი იტალიური ოპერის მიმზიდველი მომღერალი ქალი, ქ-ნი გარგანო თბილისის მძარცველთა მსხვერპლი გახდა. იმ დროს, როცა იგი თავის სიმღერით მაყურებელს ატკბობდა „საცოლე-ლუნატიკში" (ბ-ნ პეროვსკის ბენეფისზე), ქურდების ბანდა შეიპარა მის ბინაში და პირწმინდად გაქურდა. ტანსაცმელი, სამკაული, ფული, ერთი სიტყვით მთელი მისი ქონება, შეფასებული დაახლოებით 20.000 ფრანკად, ქურდებმა წაიღეს. მსახიობს კი მხოლოდ ის დარჩა, რაც თეატრში ეცვა.

მსახიობის გამოუვალმა მდგომარეობამ მისი თანადასელების თანაგრძნობა გამოიწვია. როგორც გავიგეთ, ბ-მა მაზიმ გადასწყვიტა

15 ლოჟაზე მოაწეროს ხელი, თუ რომ თეატრის დირექცია ანგარიშს გაუწევს მსახიობის სავალალო მდგომარეობას და გაუმართავს ბენეფისს, რომელიც დაეხმარება გამოვიდეს ამ დიდი გაჭირვებიდან. ყოველ შემთხვევაში, ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი დასის მსახიობებიც და თეატრალური საზოგადოებაც მოახერხებენ თავისი საყვარელი მსახიობის გაჭირვებიდან გამოხსნას.

ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ უნდა შეახსენოს პოლიციას, რომ აუცილებელია სათანადო ზომების მიღება ქალაქის მცხოვრებთა უსაფრთხოების დასაცავად. გაქურდვა ხომ საღამოს მოხდა, 8-დან 10 საათამდე, გოლოვინის პროსპექტიდან ორ ნაბიჯზე, ქალაქის ცენტრში და ყველაფერმა იმდენად მშვიდად ჩაიარა, რომ არცერთ პოლიციელს, არცერთ პატრულს არ შეუწუხებია ის პირნი, რომელთაც დიდი ბინიდან უამრავი ნივთები გამოჰქონდათ...

54. ისევ ადგილობრივი პრესის შესახებ

თბილისი, 16 თებერვალი

არაფერია იმაზე არასასიამოვნო, როცა კამათს იწყებ ისეთ პირებთან, რომელთაც არ ძალუძთ აზრს აზრი დაუპირისპირონ და არგუმენტს არგუმენტით გასცენ პასუხი მათთან კამათის დროს როგორც არ უნდა ეცადოთ თქვენთვის საინტერესო საკითხი პრინციპული მსჯელობის სათანადო სიმაღლემდე აიყვანოთ, თქვენი თანამოსაუბრის პასუხები კამათს წამდაუწუმ აძლევს პირადული კინკლაობის წვრილმან და უბადრუკ ხასიათს. ამ მდგომარეობაში საკმარისია ერთი წუთით დაივიწყო სიტუაცია და თანამოსაუბრის წინააღმდეგ მისივე იარაღი გამოიყენო, რომ ლიტერატურული კამათი ბაზრულ შებლა-შემოხლად გადაიქცეს.

ჩვენი ლიტერატურული მოღვაწეობის პერიოდში არაერთხელ გვქონია შემთხვევა გვეწვნია ამ მდგომარეობის ყველა უხერხულობა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიგვიმართავს ჩვენი მოწინააღმდეგეების იარაღისათვის და მათ ზურგზევე გამოგვიცდია მათი ტაქტიკის ყველა უხერხულობა, გარემოებათა საოცარი დამთხვევის გამო, მაინც ჩვენ გაგვივარდა ლიტერატურაში პირადული ელემენტის შემტანის სახელი და არა მათ. ახლა შესაძლებლობა გვეძლევა დავანახოთ ჩვენს მკითხველებს ამგვარი ბრალდებების წარმოშობის მაგალითი. მკითხველს ახსოვს, რომ ჩვენს სტატიაში ადგილობრივი პრესის შესახებ ოდნავადაც არ ჰქონია ადგილი გამოხდომებსა და ბზილებას, რომ ჩვენ მხოლოდ ჩვენს მიერ აღძრული საკითხის ლიტერატურულ მხარეზე ვლაპარაკობდით. ამ მხრივ ჩვენ იმდენი მორიდება გამოვიჩინეთ, რომ ადგილობრივი გაზეთების ახლანდელ რედაქტორებზე მსჯელობას საერთო ხასიათი მივეცით. ჩვენ კი, ამ ზოგადი მსჯელობის პასუხად, ახლავე გვესმის წმინდა პირადული ხასიათის გამოკამათება. „მშაკის“[32] ბ-ნი რედაქტორი, რომელმაც მთელი სომხური ერის ლანძღვა დაიწყო იმის გამო (ამას თვითონვე აღიარებს), რომ მისმა ზოგიერთმა ძველმა ხელისმომწერმა უარი განაცხადა გაზეთის გამოწერაზე, ბრალდებას გვიყენებს მათდამი „პირადი ანგარების გამო ფარისევ-

ლობის“ სურვილში. ჩვენ დიდ ხანს დავტოვებთ უყურადღებოდ ჩვენი ოპონენტების ამგვარ გამოხდომებს. მაგრამ როცა მოთმინება გამოგველევა და ჩვენც სულმდაბლად შევეცდებით ამ ბატონებს სამაგიერო მიუზღოთ, დაინახავთ, რომ ისინი ყვირილს მორთავენ: „გვიშველეთ“ და პირადი შეურაცხყოფის მიყენებას დაგვაბრალებენ.

როდესაც მწერალს არ ძალუძს მოწინააღმდეგის აზრის გაბათილება, მას ჩვეულებრივ ან ამგვარი ეპვი შეაქვს ოპონენტის მამოძრავებელ მიზეზებში, ანდა ასხვაფერებს მის აზრსა და არგუმენტებს. სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ გაზეთმა „მშაკმა“ იმთავითვე ჩაიყენა თავის თავი ასეთ მდგომარეობაში და მაშინვე მოჰკიდა ხელი ამგვარ იარაღს. აქ მოგვყავს მისი პასუხის სიტყვა-სიტყვითი თარგმანი ჩვენს პირველ წერილზე ადგილობრივი პრესის შესახებ.

„ჩვენ რამდენჯერმე გვქონდა შემთხვევა გამოგვეთქვა ჩვენი აზრი გაზეთ „ობზორის“ შესახებ (?). ამ გაზეთის პირველივე ნომრის გამოსვლის შემდეგ, მისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი, გარდა იმ მოწინავე სტატიისა, რომელიც ამ გაზეთის №40-ში დაიბეჭდა. აი რას ამბობს „ობზორი“: „ადგილობრივ გაზეთებს, თუმცა მარტო „მშაკიან“ ნახსენები, უფლება არა აქვთ უჩიოდნენ ხელისმომწერთა სიმცირეს, რადგან მათ უშვებენ საზოგადოების იმ უმნიშვნელო ნაწილისათვის, რომელმაც არც რუსული იცის და არც ევროპული ენები. და რადგან სომხების განათლებულ კლასს უფრო ფართო საგანმანათლებლო მოთხოვნილება გააჩნია, ამიტომ არც სჭირდება მშობლიურ ენაზე გამომავალი გაზეთები“.

„ბ-ნ ნიკოლაძეს რომ ეთქვა „მშაკი“ სომეხი საზოგადოების მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებსო, მას რომ „მშაკის“ რედაქტორი ამ საქმისათვის მოუმზადებელ კაცად მიეჩნია, მაშინ ეს სხვა ამბავი იქნებოდა. ყველა ადამიანს აქვს უფლება საკუთარი აზრი და საკუთარი გემოვნება ჰქონდეს.

„მაგრამ მთლიანად უარყოფდე განათლებული სომეხი კლასისათვის მშობლიურ ენაზე გაზეთის გამოცემის აუცილებლობას, ეს ისეთი საშინელებაა, რომ არც კი ვიცით რა ვუპასუხოთ.

ბ-ნი ნიკოლაძე აქაურია, ქართველი, მაგრამ ევროპული განათლება მიიღო. წარმოშობით იგი ქართველია, განათლებით კი ევროპელი. ზუსტად ისევე, როგორც „ტიფლისსკი ვესტნიკის“ [1] რედაქტორი არის სომეხი.

ახლა გეკითხებით: რატომ შეუძლია სომეხს ან ქართველს, რომელმაც ევროპული განათლება მიიღო, გამოსცეს რუსული გაზეთი და თავისი თხზულებებით მკითხველთა მოთხოვნილებები დააკმა-

ყოფილოს. ამავე დროს კი იმავე სომეხს ან ქართველს, რომელმაც ევროპული განათლება მიიღო, თუ გაზეთს მშობლიურ ენაზე გამოსცემს, არ ძალუძს თავის თანამემამულეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მაშასადამე, თუ ევროპულად განათლებული ადგილობრივი მცხოვრები მშობლიურ ენაზე სცემს გაზეთს, იგი აუცილებლად ვიწრო და შეზღუდულ აზრებს უნდა გამოთქვამდეს, ხოლო როგორც კი, ბ-ნი ნიკოლაძის მსგავსად, რუსული გაზეთის გამოცემას დაიწყებს, მყისვე იძენს ფართო აზრებს და თავის თხზულებებით საზოგადოების განათლებული ნაწილის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. რუსული გაზეთის აზრები მხოლოდ მაშინ იქნებოდა სასარგებლო, თუ რომ ჩვენი სომხური ენა იქნებოდა იმდენად ღარიბი, რომ ევროპული აზრები ვერ გამოეთქვა, ანდა ჩვენი სომეხი ინტელიგენცია იყოს იმდენად განვითარებული, რომ ჩვენ, მთელი ჩვენი ცოდნით, მასზე დაბლა ვიდგეთ.

რაც შეეხება სომხურ ენას, შეგვიძლია დაგარწმუნოთ ბ-ნო ნიკოლაძე, რომ ჩვენი ენა ისევე მდიდარია, ისევე ელასტიურია, ისევე შესწევს უნარი გამოხატოს ყოველგვარი აზრი და განიცადოს პროგრესი, როგორც რუსულ და ევროპულ ენებს. ჩვენ ვლაპარაკობთ ახალ, თანამედროვე ენაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩვენ მდიდარ მწიგნობრულ კლასიკურ ენაზე, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდებოდა ძველ ბერძნულსა და ლათინურს. რაც შეეხება ჩვენს ინტელიგენციას, დაე გაზეთი „ობზორი" მოეფარისევლოს მას პირადი მიზნების გამო, მაგრამ ჩვენ იძულებული ვართ ვუპასუხოთ, რომ ჩვენი სომეხი ინტელიგენცია იმდენად განუვითარებელი და უმეცარია, რომ მას არაფერი არ აინტერესებს. სომეხი მოხელე ან მოსწავლე ქალიშვილი რუსულად მაინც რომ კითხულობდეს რამეს, ჩვენ ფრიად კმაყოფილი ვიქნებოდით, რადგან საერთოდ განვითარდებოდნენ როგორც ადამიანები და ბოლოსდაბოლოს დაუბრუნდებოდნენ ეროვნულ პრინციპს, მშობლიურ ენას. მაგრამ თქვენი ქებული ინტელიგენცია არც რუსულად კითხულობს და არც სხვა რომელიმე ენაზე. საერთოდ იგი არაფერს არ კითხულობს, ხოლო „ვესტნიკ ევროპის", „გოლოსს" [38] და, იქნებ, „ობზორსაც" ზოლოდ მოდის გამო იწერს და ადვილი შესაძლებელია არც კი ფურცლავს.

„როგორ აგვიხსნის, მაგალითად, ბ-ნი ნიკოლაძე იმ მოვლენას, რომ „მშაკის" ხელისმომწერნი და ის პირნი, ვინც „მშაკს" თანაუგრძნობს, მეტწილად ან ისეთი ადამიანებია, ვინც სომხურის გარდა არც ერთი ენა არ იცის, ან ისეთი, ვისაც ნამდვილი ევროპული განათლება მიუღია. ამ წუთში რამდენ ჭეშმარიტად ევროპული გა-

ნათლების მქონე სომეხს უჭირავს ხელში „ობზორი“ და რამდენ-ევროპულად განათლებული ადამიანი კითხულობს ჩვენ გაზეთს!

მაგრამ, ცხადია, მათი რიცხვი უმნიშვნელოა და ამ მიზეზით ჩვენ- ხელისმომწერთა რიცხვიც მცირეა. ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ გაზეთები არა თუ არ უნდა დაიხუროს, არამედ, პირიქით, მხოლოდ მაშინ მოიპოვებს მნიშვნელობას, როცა სომეხი, როგორც ადამიანი, ჰეშმარიტად განვითარდება, ხოლო იმ დრომდე ჩვენი საქმის წინ წაწევა ძნელია“.

სრულიად ზედმეტად მიგვაჩნია გამოვედავოთ სტატიას, რომლის ყოველი დებულება საკმარისად უარყოფს ყველა დანარჩენ დებულებებს.

ჩვენი მკითხველი ჩვენი მითითების გარეშეც გაერკვევა „მშაკის“ ლოგიკასა და არგუმენტებში. მაგრამ იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო ცხადი გავხადოთ ჩვენი აზრი, ვისარგებლოთ „მშაკის“ მიერ მოყვანილი მაგალითით. ყველა ევროპაში ნამყოფს როდი აქვს უფლება თავი მოჰქონდეს ევროპული განათლებით. მისი უდაო უპირატესობა ბ-ნ არწრუნთან, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორთან შედარებით უბრალოდ ისაა, რომ მას უფრო საღი გონება და [illegible] ცოდნა გააჩნია. უდაოა, რომ ბ-ნ არწრუნსაც ჰქონდა ოდესღაც რამდენიმე ახალი აზრი და მათ სომხური ენის ყველა მცოდნე კითხულობდა. მაგრამ ეს აზრები გაცივდა და ახლა მის სტატიებში, როგორც „ობზორის“ მკითხველებს შეეძლოთ დაენახათ, ძნელად თუ მიიპყრობს რაიმე მკითხველი საზოგადოების ყურადღებას. სომხური გაზეთი რომ ბ-ნ ბებუთოვს გამოეცა, იგი გაცილებით უფრო პოპულარული გახდებოდა, ვიდრე „მშაკია“. და უმთავრესად იმიტომ, რომ მას საღი გონება უკარნახებდა, თავის სომხური ხტატიები უნდა წეროს ამიერკავკასიის მხარის სომხური საზოგადოების უმრავლესობის მოთხოვნილებებისა და გონებრივი დონის შესაბამისად.

მიუხედავად ამისა, ყველაზე უფრო განათლებულ სომხებს მაინც ვერ ოაკმაყოფილებდა ბ-ნ ბებუთოვის სომხური გაზეთი და თანამიდროვე პოლიტიკურ ცხოვრებას მაინც რუსული და უცხოური გამოცემებით გაეცნობოდნენ. ზუსტად ისევე, როგორც ახლა ჩვენ არც „ვოლოსს“ ვკერდებით, არც „ნოვოე ვრემიას“ და გერმანულ და ინგლისურ გაზეთებს ვკითხულობთ.

ვიმეორებ, ჩვენ არც კი გვიფიქრია იმის მტკიცება, თითქოს ადგილობრივი პრესა ვერასოდეს ვერ შეძლებს ადგილობრივი ინტელიგენციის დაკმაყოფილებას. ჩვენ ვამტკიცებდით და ვამტკიცებთ მხოლოდ იმას, რომ მას ამჟამად არ ძალუძს მიაღწიოს ამ მიზანს.

ენისა და ლიტერატურის განვითარების დონის საკითხი, ამ შემთხვევაში, არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ადგილობრივი პრესის უნიჭობისა. ის, რისი დახასიათებაც ფრანგ ჟურნალისტს ერთი სიტყვით შეუძლია, ან რასაც რუსი მწერალი ჩიჩიკოვშჩინის" სახელით ახასიათებს, ადგილობრივი პრესის პუბლიცისტისაგან რამდენიმე გვერდიან, ვრცელ მსჯელობას მოითხოვს. მარტო ეს გარემოებაც კმარა იმისათვის, რომ განვითარებულ მკითხველს რუსული ან უცხოური გამოცემების კითხვის სურვილი გაუჩნდეს. თუ ადგილობრივ პრესას სურს მასებისათვის გასაგები გახდეს. იგი იძულებულია გადაღეჭოს და დეტალური მსჯელობით ახსნას ის, რაც განვითარებული მკითხველისათვის გასაგებია ერთი მინიშნებით. ასეთ შემთხვევაში იგი ძალაუნებურად წყალწყალა ხდება და ბეზრდება ინტელიგენტურ ფენებს. და თუ იგი ამ ფენების სიმპათიებს უფრო უფრთხილდება, ვიდრე ხალხის მოთხოვნილებებს და მისთვის საკვებლობის მოტანას, მაშინ რაღად უჩივის ხელისმომწერთა სიმცირეს. მაგრამ „მშიერი" არ ირჩევს არცერთ პირობას და სურს ისარგებლოს ორივე პირობის სასარგებლო მხარეებით ისე, რომ თავი არ შეიწუხოს ერთერთ მათგანთან შეგუებით. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ იმ პირთა მსგავსად, ვისაც ორ სკამზე დაჯდომა სურთ, მიწაზე ამოჩრილს.

ჩვენ გვეგონა, რომ ყოველი მწერლისათვის, რომელიც გულწრფელად ერთგული თავისი საქმისა, არ შეიძლება არსებობდეს იმაზე უკეთესი აზრი, რომ ხელი შეუწყოს თანამემამულეთა გონათლებასა და შეთანერგოს ადამიანური შეხედულებები საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ. ეს ის როლია, რომელსაც ჩვენ თვითონ ვასრულებდით დიდ ხანს ჩვენი ძალ-ლონის შესაბამისად და რომელზედაც მხოლოდ დროებით აგვაღებია ხელი დაუძლეველმა გარემოებებმა. რაც განუმარტეთ კიდეც ადგილობრივ პრესას. რა სახელი უნდა ვუწოდოთ იმ გარემოებას, რომ ადგილობრივი ვაზეთების რედაქტორები ჩვენს რჩევას თავიანთ მკითხველებთან ისე ასაღებენ, როგორც ჯდგილობრივი პრესის მოსპობის სურვილს. თუ ამ რედაქტორებმა თავიანთი გაზეთები ისეთ უბადრუკ მდგომარეობამდე მიიყვანეს, რომ ერთი ჩვენი სიტყვა საკმარისია ძირი გამოუთხაროს მათ მნიშვნელობას. ეს მათვე ახასიათებს ცუდად. მაგრამ ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მიუხედავად დაუფიქრებელი მრისხანებისა, ისინი ან მათი შემცველნი, ადრე თუ გვიან ყურად იღებენ ჩვენს რჩევას და თავიანთ გამოცემებს გარდაქმნიან ადგილობრივი მასების ზოგადსაკაცობრიო განვითარების ორგანოებად. ამ მასებს ხომ აქამდე აკლიათ მშობლიური ლიტერატურის ყურადღება და დახმარება.

55. ადგილობრივი პრესის თანმიმდევრობა და ჩვევები

თბილისი, 17 თებერვალი

დიდი ხანია შემჩნეულია, რომ, ადამიანთა უმრავლესობისათვის, ფორმალური მხარე ყოველგვარი საქმისა უკან სწევს და სრულიად სპობს საქმის არსს. ადამიანებს, საერთოდ, ბრმად სწამთ დოგმატები, რომელთა აზრსა და მნიშვნელობას აღარავინ ეძებს. არავის არ აინტერესებს რა ვითარებაში გამომუშავდა არსებული დოგმატი, რას შეიცავდა, თავდაპირველად, რომელ რეალურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა და ა. შ. მათთვის საკმარისია ისიც, რომ დოგმატი ოდესღაც სცვნეს. ისინი ასრულებენ წეს-ჩვეულებას, ქებას ასხამენ მას და „წინაპართა ჩვევების მიხედვით“ მუხლს იდრეკენ მის წინაშე. მზად არიან ბიწიერ ადამიანად ჩასთვალონ ყველა, ვინც გაბედავს და შეახსენებს მათ, რომ იმ მიზნისათვის, რომლისთვისაც ერთ დროს შეიქმნა არსებული დოგმატი, ახლა, შეცვლილ ვითარებაში, სულ სხვა დოგმატები და სამსახურია საჭირო...

მდგომარეობა, იმ ადამიანთა, რომელთაც გაბედეს და ხმა ამოიღეს ამ ძირმომპალი დოგმატებისა და ნახევრად გახრწნილი კერპების გადასინჯვის აუცილებლობაზე, ყოველთვის და ყველგან სავალალო იყო. მაგრამ არის კიდევ უფრო სავალალო და გამოუვალი მდგომარეობა — ასეთ მდგომარეობაში ვარდება ის ადამიანი, რომელიც ბედავს შეეხოს ჩვენი ფორმალური ლიბერალიზმის მოძველებულ დოგმატებს. თქვენ გამოდიხართ საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე და ამჩნევთ, რომ ლიბერალიზმის ცარიელი და ფორმალური დოგმატებით ფონს გადიან ის ადამიანები, რომლებიც შეგნებულად, თუ შეუგნებლად, სპობენ საქმის არსს; თქვენ ბედავთ და ახსენებთ მათ ამ არსს. წარმოდგენაც კი ძნელია იმ აურზაურისა, რომელიც ამ დროს იწყება თქვენს წინააღმდეგ. მაშინვე გაცხადებენ „ლიბერალიზმის“ მტრად, უსამართლობის მომხრედ, ერეტიკოსად, რომელმაც ხელყო პროგრესის წმინდა საფუძვლები. არავინ არ გაგცემთ პასუხს „საკითხის არსებით მხარეზე“, რადგან თქვენი სიტყვების წინააღმდეგ კამათი არ შეიძლება, საამისო

არაფერი არ გააჩნიათ. და ის ადამიანები, რომელთაც სათქმელი არაფერი აქვთ, ღრმააზროვან გამომეტყველებას ღებულობენ და გამვლელ-გამომვლელს ყურში ეჩურჩულებიან, რომ თქვენ განათლების მტერი, შპიონი და მოღალატე ხართ... ასეთი „პატიოსანი“ იარაღით გებრძვიან ის ადამიანები, რომლებიც თავს მოვალედ თვლიან დაიცვან ცარიელი დოგმატი, რათა დაღუპონ წმინდა საქმე.

ჩვენ სწორედ ასეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, როცა დავიწყეთ კამათი ადგილობრივი პრესის შესახებ. მაგრამ ჩვენ არ ვეკუთვნით იმ ადამიანთა რიცხვს, ვისაც აშინებს ამგვარი ტაქტიკა. ჩვენ ჯერ კიდევ კარგად გვახსოვს, თუ როგორ უწინასწარმეტყველა განსვენებულმა გერცენმა ასეთსავე მდგომარეობაში მყოფ „ესთეტიკური დამოკიდებულების“ ავტორს[69] და ნ. ა. დობროლუბოვს «досвистаться до Станислава». ჩვენ ჩვენსას ვიტყვით, შემდეგ კი ხალხი და მომავალი გაარჩევს ვინ სადამდე მივიდა...

და ასე, დავუბრუნდეთ ჩვენს საგანს.

რაში მდგომარეობს არსი საქმისა, რომელზეც ჩვენ ასე დიდ ხანს ვკამათობთ? იმაში, რომ გადაეწყვიტოთ საკითხი, თუ როგორ ჯობია წარვმართოთ ადგილობრივი გაზეთები, რათა მტკიცედ მოიკიდონ ფეხი და დააკმაყოფილონ ადგილობრივი მოსახლეობის რეალური მოთხოვნილებები. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ თუ კი ჩვენი პრესა ხალხამდე არ დავა, იგი დაიგმობა უნაყოფობისათვის და მოელის ფატალური განადგურება. ნუ თუ ავადმყოფობის დასახელება, მისი მიზეზების განსაზღვრა და მის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალების ძიება იმას ნიშნავს, რომ პრესისათვის ავი გსურდეს? თუ ჩვენ მართალი არა ვართ, მაშინ დაამტკიცეთ, რომ თქვენ ყველასათვის გასაგებად სწერთ, რომ მასას ესმის და კითხულობს თქვენს ნაწარმოებებს, რომ ჩვენს მიერ დასახელებული ავადმყოფობა სულ არ არსებობს, ანდა, ბოლოს, წარმოადგინეთ სხვა, უკეთესი საშუალებები მასთან საბრძოლველად. ასეთ შემთხვევაში ჩვენი კამათი მიზანდასახული და კეთილსინდისიერი იქნება, რადგან მხედველობაში გვექნება საქმის არსი და არა ცარიელი დოგმატები, რომლებიც არც თქვენ გწამთ მთელი გულით. თორემ არ დაიწყებდით მათ გამო შიშისაგან კანკალს და თრთოლვას. როცა ჩვენ მათ ვეხებით. მაგრამ თქვენ, ბატ. ადგილობრივო მწერლებო, ამას არ აკეთებთ, ფონს გასვლა კი გინდათ სამარცხვინო ინსინუაციებით, რომელთაც ისევ არ გადაურჩენიათ არავინ, როგორც თქვენ ვერ გადაგარჩენთ.

არა, თქვენ სახეზე ხელებს იფარებთ და ყვირიხართ: „რა თავხედობაა, ჩვენ ამას არ მოველოდით!“. თქვენ ეფარებით „ენის“ დოგმატს. მშობლიური ენა დიდებული რამაა და ჩვენ ამის საწინააღმდე-

გო არაფერი გვაქვს. ენა ჩვენთვის ძვირფასია, მაგრამ ძვირფასი მხოლოდ როგორც საშუალებას ჩავაბათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მივაჩვიოთ გონივრულ წესწყობილებას მასები, რომლებიც, გარდა მშობლიურისა, არც ერთ სხვა ენაზე არ ლაპარაკობენ. ემსახურეთ ამ ხალხს მის მშობლიურ ენაზე. აი ესაა თქვენი დოგმატის არსი. ამიტომ უნდა გრცხვენოდეთ სიმართლის დამახინჯებისა და იმის მტკიცებისათვის, თითქოს ჩვენ წინააღმდეგი ვართ დოგმატისა, რომელსაც ამგვარი არსი გააჩნია. მაგრამ როცა თქვენ ივიწყებთ ამ არსს და ფონს გასვლა გინდათ „დედა ენის“ წყალობით, თანაც ტირიხართ, რომ ჩვენს ნაწარმოებებს არ კითხულობენ უმაღლესი განათლების მქონე პირებიო, ჩვენ უფლება გვაქვს მიგითითოთ თქვენი დოგმატის სიცარიელეზე ამ ადამიანების მიმართ. თუ თქვენ გსურთ დაინტერესოთ ადამიანები თქვენი გამოცემებით, ეცადეთ გააკეთოთ ეს თქვენი ნაწარმოების შინაარსით, თუ კი ამის უნარი შეგწევთ. მაგრამ თქვენ ამას არ აკეთებთ და გინდათ თქვენი ნაწარმოებები მხოლოდ იმის გამო იკითხონ, რომ მშობლიურ ენაზე წერთ. ჩვენ კი ვამტკიცებთ, რომ ეს საკმარისი არაა. მე შემიძლია ვიყო რუსეთის ერთგული ქვეშევრდომი, შემიძლია გულწრფელად მიყვარდეს რუსეთი და მაინც ვერავინ ვერ მაიძულებს ვიკითხო „სინ ოტეჩესტვა“[6] მხოლოდ იმის გამო, რომ ეს გაზეთი რუსულ ენაზე გამოდის. ზუსტად ასევე შემიძლია მთელი გულით მიყვარდეს ჩემი სამშობლო და არ წავიკითხო „დროება“[7], თუ კი იგი თავის არსით არ მაინტერესებს...

გაიგეთ, ბატონებო, რომ აყენებთ რა პრეტენზიებს — ყოველმა ქართველმა აუცილებლად წაიკითხოს „დროება“, ან ყოველმა სომეხმა თავიდან ბოლომდე გადაიკითხოს „მშაკი“[32], არსებითად თქვენ მიჰყვებით კატკოვის გზას. აწესებთ მშობლიური ენის ფორმალურ რელიგიას, აკანონებთ სახალხო განათლების წესჩვეულებებს... რისა გამო, რომელი პრინციპებისათვის ილაშქრებდით და ილაშქრებთ კატკოვების, ყველა ამ კუვშინსკების, სტრელნიცკების და tutti gvanti წინააღმდეგ, რომელთაც გაბატონებულ ენას მსხვერპლად მოუტანეს მოსახლეობისა და საზოგადოების ტვინი და გონებრივი ინტერესები?

თქვენი არათანამიმდევრობა სასაცილოა. „მშაკი“ აცხადებს, რომ სომხები მხოლოდ მაშინ დაიწყებენ კითხვას, როცა ყოველმხრივ განვითარდებიანო. დიდად გმადლობთ. მაგრამ მაშინ აღარც „მშაკი“ იქნება საჭირო. ანდა რა საჭირო იქნება გაზეთი ყოველმხრივ განვითარებული ადამიანებისათვის. ისინი ჩვენი გონებრივი დახმარების გარეშეც შეძლებენ არსებობას... „დროებას“ კი სხვა არგუმენტი მოჰ-

ყავს. ამ გაზეთის აზრით, ჩვენში არც კი არსებობს განსხვავება ხალხსა და ინტელიგენციას შორის: ორივე თურმე თანაბრადაა განვითარებული. ამ შემთხვევაში თქვენ კიდევ უფრო მეტად უნდა ცდილობდეთ გაუტოლდეთ ხალხს და ღრუბლებში არ უნდა ცურავდეთ იმ საზოგადოების ჭკუის სასწავლებლად, რომელიც თქვენივე აღიარებით, სულაც არ არსებობს ჩვენში.

თქვენი არათანამიმდევრობა შემდეგ გარემოებაშიც მოჩანს. თქვენ არწმუნებთ მკითხველებს, თითქოს გულთან ახლოს მიგაქვთ მშობლიური ენის ინტერესები, თითქოს მთელი გულით ემსახურებით მას. მაგრამ თქვენ თუ მართლა ასეთი კეთილი სურვილები გაქვთ, მაშინ რატომ გაშფოთებთ ჩვენი რჩევა შეაჩვიოთ ხალხი თქვენი გამოცემების კითხვას მშობლიურ ენაზე? ნუთუ მშობლიური ენა წაიბილწება და მშობლიური ლიტერატურა დამცირდება იმის გამო, რომ მას დაუახლოვდება ხალხი, რომელიც ახლა განზე დგას ჩვენი სამოღვაწეო ასპარეზიდან? განა ჩვენი მშობლიური ენა არ გამდიდრდება, არ გახდება უფრო მოქნილი და სავსე, თუ კი წმინდა სასაუბრო ხალხურ მეტყველებას დაუახლოვდება და განა ჩვენი მშობლიური ლიტერატურა დაეცემა იმის გამო თუ ჩვენი გამოცემები 500—600 ეგზემპლარის ნაცვლად 6000—10000 ცალად გავრცელდება? მაგრამ თქვენ, ყველა თქვენი ლიბერალური დოგმატებით, რომლებიც შესისხლხორცებული კი არა, არამედ ნასესხები გაქვთ, აქამდე ვერ გაგთავისუფლდით მემკვიდრეობით მიღებული ცრუ შეხედულებებისაგან. ხართ რა თითის წვერებამდე არისტოკრატები, ქება-დიდებას ასხამთ „ენებს“, „ხალხს“ და „სამშობლოს“ ზუსტად ისე, როგორც ჩვენი ვაჭრები იმეორებენ სახარების ამგვარ სიტყვებს: „გაჰყიდე ქონება შენი და დაურიგე გლახაკთ“. როგორც ვაჭრები არ ანიჭებენ სახარების ამ ცნებას რეალურ მნიშვნელობას და არ ფიქრობენ მის განხორციელებაზე, ზუსტად ასევე არ განხორციელებთ თქვენ თქვენ ლამაზ ფრაზებს. იმ აზრის გაგონებაც კი, რომ ლიტერატურა ხალხის განვითარებას უნდა ემსახურებოდეს, თქვენ გაღშფოთებთ და მაშინვე ყვირიხართ დამცირებაზე. თქვენ, ამ შემთხვევაში, ისეთ გამოთქმასაც კი ხმარობთ როგორიცაა „დაბალი ხალხი“ და ა. შ. აი-აი-აი, ბატონებო. ეს ხომ კიდევ უფრო დიდი ღალატია ლიბერალიზმისა. ვიდრე რჩევა, რომელიც თქვენ „ობზორმა“ მოგცათ.

* * *

მკითხველებს ჩვენ გავაცანით ადგილობრივი პრესის მიერ ჩვენი აზრის წინააღმდეგ გამოთქმული მოსაზრებების არსი. ამ საწინააღ-

მდეკო მოსაზრებათა სიმტკიცეს და სოლიდარობას სრულიად არ დაუბრმავებია პატივცემული რედაქციები, და ამიტომ თავიანთი ინსინუაციებით და არამყარი მოსაზრებებით, რომლებიც ცხარე უფროა, ვიდრე დამაჯერებელი, ჩემი პიროვნების წინააღმდეგ გაილაშქრეს და რადგან ამგვარი გამოხტომები ყველაზე უკეთ ახასიათებს ამ რედაქციების ჩვეულებს, ადათებს და გვიჩვენებს, თუ როგორ შორს არიან ჩვენი მოწინააღმდეგენი ლიტერატურული კეთილსინდისიერების ელემენტარული ცოდნისაგან, ამიტომ ჩვენ საქმის ამ მხარესაც შევეხებით.

უპირველეს ყოვლისა, „დროება“ გვეკითხება — რატომ განუდგა განზე ამ სტრიქონების ავტორი ადგილობრივ ლიტერატურას. ჩვენ არც გვიფიქრია მისგან განზე გადგომა. ხოლო თუ „დროებაში“ არ ვთანამშრომლობთ, ამ გაზეთის რედაქტორმა სხვებზე უკეთ იცის ჩვენი განდგომის მიზეზი და ამიტომ საკითხავიც არაფერია! მაგრამ „დროების“ რედაქცია ამას გვეკითხება მზაკვრული მიზნით, რათა ხაფანგში გაგვაბას. თუ ჩვენ გულახდილად ვუპასუხებთ, იგი ისევ აიფარებს ხელებს სახეზე და დაიყვირებს: „ეს არაა ლიბერალური ქცევა, ეს არამზადობაა“ და ა. შ. ხოლო, თუ ჩვენ პასუხს არ გავცემთ, მაშინ იგი მართალი გამოვა და ჩვენ დეზერტირად გამოგვაცხადებს... სხვათაშორის, „დროება“ თვითონ აცხადებს, რომ ჩვენი ქართული სტატიები ესმოდათ როგორც უბრალო ხალხს, ასევე განათლებულ ქართველებსაც. გულითად მადლობას ვუძღვნით „დროებას“ ამგვარი მოწმობისათვის იმის შესახებ, რომ ჩვენს ახლანდელ რჩევას ჩვენ თვითონ ვანხორციელებდით ჩვენს საქმიანობაში. ჩვენი სურვილიც მხოლოდ ისაა, რომ ადგილობრივი გაზეთების სტატიებს და მთელ ნომრებს უნარი შესწევდეთ დააინტერესონ ყველა ადგილობრივი მკვიდრი, დაწყებული, რა თქმა უნდა, მასებით, მაგრამ შემდეგ გაზეთ „დროებამ“ ჩვენ მოგვიძღვნა მოწინავე სტატია, რომლის სათაურია „კითხვა ბატ. ნიკოლაძეს“. ამ მოწინავე სტატიაში ნათქვამია, რომ ბატ. ნიკოლაძე ქუჩაში ეუბნებოდა ორ ნაცნობს (მდინარეთა სახელები), რომ თავის პირველი სტატია ადგილობრივი პრესის შესახებ („ობზორი“ № 40) მას არ აკმაყოფილებს, რომ იგი დაბეჭდილია მის მიერ შედგენილი პროგრამით სხვა პირის მიერ (გვარი დასახელებულია „დროებაში“) და რომ ამ სტატიაში სრულად არაა გამოხატული მისი აზრი და ა. შ. და ახლა „დროება“ თხოულობს, რომ ჩვენ ვცნოთ ან ვუარყოთ ყოველივე ეს. მკითხველო, როგორ მოგწონთ ამგვარი ზნეჩვეულება? გაგონილა სადმე, რომ კერძო საუბრის შინაარსი, და ისიც ღმერთმა უწყის სწორადაა,

დამახსოვრებული ან გადმოცემული, ლიტერატურული კამათის საფუძველი გახდეს? და აი ეს ხალხი, რომლებიც არ იცნობენ ლიტერატურული კამათის ანბანს, ჩივიან, რომ მათ ნაწარმოებს განათლებული ადამიანები ცოტას კითხულობენ და ამავე დროს ამტკიცებენ, რომ ჩვენში არაა განათლებული ადამიანები. რას იზამ, ყველა თავის საზომით ზომავს სხვებს!

რას იტყოდა ბატ. მესხი, ჩვენ რომ თავი დაგვემცირებია, სამაგიერო მისთვის ამავე გზით მიგვეზღო და დაგვებეჭდა სიტყვები, რომლებიც მას კერძო საუბარში გამოუთქვამს? იგი, სრულიად სამართლიანად, მაშინ მოგვაკერებდა ლიტერატურული ჭორიკანას საზიზღარ სახელს და გვირჩევდა შემდგომში ლიტერატურასთან კი არ გვქონოდა საქმე. არამედ с передними, либо с девичьими невзыскательных домов...

მაგრამ ჩვენ რომ პასუხი არ გავცეთ მის კითხვაზე, მას უფლება ექნება ამტკიცოს, რომ წინააღმდეგობაში დაგვიჭირა...

და ასე, ჩვენ მას პასუხს გავცემთ. დიახ, მართალია, რომ ამ სტრიქონების ავტორი მართლაც უკმაყოფილო იყო „ობზორის“ № 40-ში დაბეჭდილი სტატიის ორი უტაქტობით, მართალია ისიც, რომ სტატია დაწერა არა თვითონ მან, არამედ იმ პირმა, რომლის გვარიც დასახელებულია „დროებაში“ და მართალია ისიც, რომ სტატია დაწერილია რედაქტორის მიერ ნაკარნახევი პროგრამის მიხედვით იმიტომ, რომ მას ავადმყოფობის გამო საერთოდ აკრძალული აქვს მუშაობა. მართალია, რომ მას განზრახული ჰქონდა დაეწერა სხვა სტატია, სადაც ჩამოყალიბებული იქნებოდა მისი თვალსაზრისი ამ საკითხზე, და მართალია, ისიც, რომ თუ არ დასწერა, კარნახით ჩააწერინა „ობზორის“ № 43, 46, 47 სტატიები. მართალია ისიც, რომ იგი უკმაყოფილო იყო პირველი სტატიის ორი ნაწყვეტით, რომელთაც არ დაბეჭდავდა სტატიის ან კორექტურის წაკითხვა რომ შეძლებოდა.

აი, პირველი ამ ორი ნაწყვეტიდან:

„ბატ. არწრუნის ამ უკანასკნელ დასკვნას, რომელთანაც იგი ცოტა გვიან მივიდა, ჩვენ ვერ „დავეთანხმებით, მხოლოდ იმ პირობით, რომ სიტყვა „არ იმსახურებენ“ — ნაცვლად ყოფილიყო „ნაკლებად საჭიროებენ“.

და აი მეორე ნაწყვეტიც:

„(ადგილობრივ პრესას) არ შეუძლია ამაღლდეს ევროპული პრესის დონემდე იმის გამო, რომ ადგილობრივ ენებს არ გააჩნიათ საჭირო პირობები და თავისებურებანი, და სხვა მრავალ გარემოებათა გამო“.

სინამდვილეში ყოველი გონიერი მკითხველისათვის ამ ნაწყვეტებში არაფერი არაა არსებითი, არაფერი არაა განსაკუთრებით შემაძრწუნებელი. მაგრამ მათზე იყო აგებული მთელი სტატია, რომლის შინაარსს სულ სხვა აზრი და მიზანი ჰქონდა. ვიცოდით რა, ვისთანაც გვქონდა საქმე, დარწმუნებული ვიყავით, რომ ეს უცოდველი ნაწყვეტები ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს ჩვენს რედაქტორებზე და მათ მეგობრებზე. ჩვენ კი არ დაუშვებდით ასეთ „უტაქტობას". სწორედ ეს აზრი გამოვთქვით ჩვენ მეგობრებთან საუბარში. მაგრამ რადგან კერძო საუბრებს ისტორიულ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ, ამიტომ არც ჩვენი სიტყვების სტენოგრაფირება გვჩვევია, ამიტომ ჩვენი მსმენელების, — ამ ამბის გადამცემთა, — სინდისზე იყო იმის განსაზღვრა, მართლაც ისე მკაცრად ვილაპარაკეთ ჩვენ ამ „უტაქტობათა" შესახებ, როგორც ამას „დროება" ამტკიცებდა?

მაგრამ ეს მხოლოდ ყვავილებია. შემდეგ იწყება უმდარესი ხარისხის უშვერი ლანძღვა-გინება. ლანძღვა საერთოდ უვარგისი იარაღია, რომლის გამოყენება ყოველთვის როდია მოხერხებული; ჩვენ ამას ოდესმე დავამტკიცებთ, დავამტკიცებთ როცა ლანძღვა-გინების სურვილი გვექნება. მაგრამ აქ ჩვენ ბატ. მესხის ხერხების ერთ მაგალითს მოვიყვანთ. როცა ეს ბატონები ყვიროდნენ და ბეჭდავდნენ, რომ ჩვენ ადგილობრივი პრესის მტერი ვართ, იძულებული ვიყავით შეგვეხსენებია ხალხისათვის, რომ ჩვენ არ შეგვიძლია აღვსდგეთ იმ საქმის წინააღმდეგ, რომელსაც ასე დიდ ხანს ერთგულად ვემსახურებოდით. მათ გადაყლაპეს ეს საწინააღმდეგო აზრი და ახლა „დროებას" უნდა ფონს გავიდეს იმ თემის მეშვეობით, რომ თითქოს ჩვენ „ვტრაბახობთ", რომ ბევრი რამ გავაკეთეთ ადგილობრივი პრესისათვის. სატრაბახო აქ არაფერია და ძალზე უბადრუკი და შეზღუდული წარმოდგენა უნდა გქონდეს მწერლის მოვალეობაზე, რომ დიდ რამედ მიიღო ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ. ვთვლით რა ამ ამბავს მცირე დამსახურებად, ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ამის შესახებ ყოველგვარი ტრაბახის გარეშე, ზუსტად ისე, როგორც ბატ. მესხს შეუძლია ილაპარაკოს წყნარად იმის შესახებ, რომ გაზეთ „დროების" ერთი ნომერი გამოუშვა და არ ეშინოდეს ტრაბახა კაცის სახელი გაუვარდეს. მაგრამ ნიძლავს ვდებ, რომ მაშინაც გამოჩნდება რომელიმე მიუჩნეველი ან მოუთავებელი მჯღაბნელი, რომელიც ერთი ნომრის გამოშვებას დიდ საქმედ მიიჩნევს და იფიქრებს ან იტყვის, რომ მესხი თავის გაზეთის გამოშვებით ტრაბახობს...

პოლემიკაში „ივერიაც"[8] ჩაერია და გუშინ რაღაც სტატია მოგვიძღვნა[7]. ჩვენ გვინდოდა გავცნობოდით ამ სტატიას, მაგრამ რად-

ვან ვერაფერი გავუგეთ, იძულებული ვართ მივმართოთ რომელიმე ძველი ქართული ენის მცოდნე ადამიანს, რათა დაუკვეთოთ ამ სტატიის თარგმნა თანამედროვე ენაზე. ეს საქმე დიდ დროს მოითხოვს და ამიტომ ამ საკითხზე საუბარს შემდეგი თავისათვის გადავდებთ, ცხადია, თუ „ივერიის“ სტატიის შინაარსი ყურადღების ღირსი იქნება.

56. საკვირაო საუბრები

ომის მსხვერპლნი. — ჩვენი წინდაჭედულება. — ძველ გუდებში დამყაყებული ახალი ღვინო. — ბრწყინვალე მისტიფიკაცია. — პასაჟი ბატ. პლიუშჩევსკისთან. — საიდან გაჩნდა აზრი, რომ ჩვენი სასამართლოს მოხელეებს ქრთამის აღების... უნარი შესწევთ? — მათი ბინძური ძმაკაცობა ვექილებთან. — პოლიციის მოხელე, რომელიც აკრძალულ წიგნებს ავრცელებს. ზოგიერთი პოლიტიკური საქმეების წყარო. — „ივერია" კამათის დროს. — მართლა გულგრილია კამათისადმი თავ. ი. გ. ჭავჭავაძე? — მიწვევა. „მშაკის" ოფიციალური ფურცელი. — ნოტაცია, რომელიც „მშაკს" „ტიფლისკი ვესტნიკმა" წაუკითხა. „მშაკის" უწყინარი ანეგდოტი. — ბატ. მესხისა და ჭავჭავაძის ვერაგული ჩანაფიქრი, რაც მე ვამბილე.

ომი მოითხოვს „გამოსასყიდ მსხვერპლს", და მოითხოვს — სამხედრო მოქმედების დამთავრების შემდეგაც. აქამდე ბრძოლის ველზე სისხლს ვიღებდით მსხვერპლად იმის გამო, რომ კაცობრიობამ ჯერ ვერ შესძლო გონივრულად განეხილა და გადაეწყვიტა საერთაშორისო დავა. ახლა კი უფრო დიდი მსხვერპლის გაღება გვიხდება, რადგან მან არ იცის როგორ გაუფრთხილდეს საკუთარ ჯანმრთელობას... უკიდურეს შემთხვევაში, იმით მაინც დავიმშვიდოთ თავი, რომ როდესმე, ორასიოდე წლის შემდეგ, ამგვარი მსხვერპლშეწირვის გზით, კაცობრიობა როგორმე გამოიმუშავებს გონივრულ წესებს და დაამყარებს სამართლიან ურთიერთობას როგორც ყოველი სახელმწიფოს საშინაო სფეროში, ასევე საერთაშორისო ურთიერთ დამოკიდებულებაში...

აქამდე ომისა და მისი შედეგების მსხვერპლნი მხოლოდ უცნობი ჯარისკაცები და ოფიცრები იყვნენ. ახლა კი ტიფმა საფლავში ჩვენი დღეების გმირებიც ჩააწვინა.

* * *

შელკოვნიკოვი, გუბსკი და ტოლსტოი გასან-კალაში გარდაიცვალენ პარტახტიანი ტიფისაგან. ქალაქში დადის ხმები, რომ ჰეიმანი და სოლოვიოვი* სიკვდილის პირას არიან. თუ გავიხსენებთ, რომ

* როგორც ჩვენ გვაცნობეს, გენერალი სოლოვიოვი უკვე გარდაიცვალა.

ბრძოლის ველზე ჩვენ მხოლოდ ორი გენერალი დავკარგეთ გრაბე და შერემეტიევი, ხოლო ტიფმა, დღესდღეობით, ორჯერ ძეტი გამოგვაცალა ხელიდან, მაშინ ჩვენ აქაც დავინახავთ იმ კანონის მოქმედებას, რომ ომი თავის შედეგებით გაცილებით უფრო საშინელია, ვიდრე ბრძოლაში დაღუპულთა და დაჭრილთა რიცხობრივი მონაცემებია.

ეს კანონი დაწერილია მისი უმაღლესობის ბრძანების — „Инструкции для охранения здоровья войнских чинов" — პირველსავე ფურცლებზე. ამიტომ, მისი არ ცოდნით არავის არ შეუძლია თავი გაიმართლოს. რით უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ ეპიდემიური ავადმყოფობა მოულოდნელად დაგვატყდა თავს იმ დროს, როცა არც საკმარისი ექიმები და სანიტრები გვყავს და არც მედიკამენტები გვაქვს? გლეხებზე მეტად ექიმებს უდგება ანდაზა: „როცა ურემი გადაბრუნდება"...

* * *

ალბათ, არავინ იცის, რომ ომის გამოცხადებამდე ორი კვირით ადრე ჩვენს სამხედრო-სამედიცინო უწყებას არა თუ ეპიდემიის წინააღმდეგ საბრძოლველ საშუალებათა მარაგი არ გააჩნდა, არამედ შესახვევი მასალის გვარიანი კომპლექტებიც კი არ ჰქონდა საკმარისად. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ადამის დროინდელი ფურგონების გარდა სხვა შესახვევი პუნქტების შექმნა აზრად არ მოსვლიათ და მხოლოდ ომის გამოცხადების წინ, კავკასიის სამედიცინო საზოგადოებამ, დაიწყო დაჭრილების გადასაყვანად უკეთესი სატრანსპორტო საშუალებების შექმნის საკითხის განხილვა. სამხედრო სამინისტრომ ჯერ კიდევ 1876 წელს განაცხადა, რომ იგი მზადაა სამედიცინო უწყებებს ყველაფერი მისცეს, რასაც კი მოითხოვენ, ოღონდ სამედიცინო სამსახური ორგანიზებული იქნეს თანამედროვე მეცნიერების ყველა წესის შესაბამისად.

* * *

ამგვარად, სახსრების ნაკლებობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ამავე დროს, ომის დაწყების პირველ ხანებში, მოქმედ არმიაში სრულიად არ არსებობდა ბევრი ისეთი დამხმარე საშუალებები, რომელთაც თანამედროვე მედიცინა მოითხოვს. ხშირად თაბაშირიც კი აკლდათ. ხოლო კოლოდიუმზე, რეზინის სახვევებზე და ა. შ. ლაპარაკიც არ ღირს.

ვერ წარმოიდგენთ რა ცუდად იყო ორგანიზებული სამედიცინო დახმარება არდაგანის შტურმის დროს. ცნობილია, რომ დაჭრილები

მთელი ღამე ეყარნენ ბრძოლის ველზე... ცნობილია ისიც, რომ ბეგლი-ახმეტასთან ბრძოლის დროს დაჭრილები ალექსანდრეპოლში უპროდუქტოდ და უწყლოდ გაგზავნეს. აქ არ მინდა მოვიყვანო ბევრი ამგვარი მაგალითი. საერთო დასკვნა კი ისაა, რომ ყველგან და ყველა შემთხვევაში ჩვენი სამედიცინო უწყების წარმომადგენლები პირჯვარს ქუხილის შემდეგ იწერდნენ.

როცა სამხედრო-სამედიცინო უწყებაზე ვლაპარაკობ, არ შემიძლია არ გავიხსენო ბატ. რემერტი. უკანასკნელად მე სრულიად უსამართლოდ მივაწერე მას შარშანდელი შავი ჭირის დევნაში მონაწილეობა. აღმოჩნდა, რომ ამ საქმეში მას არავითარი მნიშვნელოვანი როლი არ უთამაშია. ეს საქმე დაიწყო არა თუ მისი ინიციატივით, არამედ მისი რჩევის საწინააღმდეგოდ. მოგვიანებით „ობზორი“[26] ისევ დაუბრუნდება ამ საკითხს.

* * *

ახლა შევებოთ ქალაქის ახალ ამბებს.

საფელეტონო ქრონიკის პირველ პლანზე უნდა დავაყენოთ პასაჟი ბატ. პლიუშჩევსკის მონაწილეობით, რომელიც თბილისისათვის კიდევ ერთხელ გახდა ჩვენი დღეების გმირი. უნდა დამეთანხმოთ, რომ ეს პირველაც შესანიშნავი საქმე გააკეთა, რაკი შესძლო ისეთი პირების მოტყუება. როგორებიც ბატ. ტაიროვი და მარქაროვია, რომლებთანაც კაცს სიფრთხილე მართებს. მაგრამ გულუბრყვილობას, როგორითაც ეს არაგულუბრყვილო ადამიანები პლიუშჩევსკის ენდენ, უდაოდ საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ის, რომ ბატ. პლიუშჩევსკიმ სიცრუის წყალობით რამდენიმე ათასი მანეთი მიითვისა, დიდს არაფერს ნიშნავს. ეს მისი ხელობაა. ასევე არაფრით არაა უჩვეულო ის ამბავი, რომ ბატ. ტაიროვმა და მარქაროვმა მოისურვეს ამ რამდენიმე ათასით უსიამო საქმე მოესპოთ. მაგრამ მნიშვნელოვანი ისაა, რომ ამ ჭკუადამჯდარმა და თავდაჭერილმა ადამიანებმა დაიჯერეს, რომ ჩვენს პროკურატურას და მოსამართლეებს ქრთამის აღება შეუძლიათ. უდაოა, რომ ბატ. პლიუშჩევსკი მხოლოდ თავის მშვერმეტყველობით და აპრიორული მტკიცებებით მათ ამგვარ რწმენას ვერ შთაუნერგავდა. იმისათვის, რომ ამგვარი პრაქტიკული ადამიანები დაეჯერებია, მას ხელშესახები ნივთიერი საბუთები უნდა წარმოედგინა. საიდან მოიტანა ასეთი საბუთები ბატ. პლიუშჩევსკიმ?

საერთო, მეგობრული დამოკიდებულება, რომელიც დამყარდა ჩვენს სასამართლო მოხელეებსა და ვექილებს შორის, და ამ ამბის მეტისმეტად გამომზეურება, უდაოდ ბოროტებაა. როგორ შეიძლე-

ბა არ მოსტყუვდეს ხალხი, როცა ხედავს, რომ უნიჭო და უმეცარი ვექილი ბევრი მოსამართლის გულითადი მეგობარია, უმასპინძლდება მათ სადილით, ვახშმით, ქეიფობს მათთან ერთად და ა. შ.

ჩვენ ვიცნობთ ბევრ საკმაოდ წესიერ და კეთილსინდისიერ ვექილს, რომელთაც მხოლოდ იმიტომ არ გაანიათ პრაქტიკა, რომ არ შეუძლიათ ასეთი ბინძური მეგობრობა გაბან სასამართლოს ბოლელებთან. ხოლო ამ უკანასკნელმა დროა ყურადღება მიაქციონ თავიანთ უწესო კავშირს ვექილებთან და დროა საერთოდ გაემიჯნონ მათ.

* *

მძიმე არტილერიამ, რომელიც „ივერიამ"[6] „ობზორის"[5] წინააღმდეგ მომართა, თავ. ი. გ. ჭავჭავაძე გამახსენა. ადგილობრივი პრესის ფურცლებზე დასახელებული თავადი იშვიათად ღებულობდა მონაწილეობას პოლიტიკურ შეხლა-შემოხლაში. ბევრი იმასაც კი ფიქრობდა, რომ იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევს პოლემიკას და პრესის თავდასხმას. ნაწილობრივ მეც ასეთი აზრისა ვიყავი. მაგრამ უკანასკნელ დროს საწინააღმდეგო აზრი შემექმნა.

საქმე ისაა, რომ ყოველთვის, როცა კი იგი დარწმუნებულია, რომ იოლად და უთუოდ გაიმარჯვებს მოწინააღმდეგეზე, ხელიდან არ უშვებს კამათში მონაწილეობის არც ერთ შემთხვევას და მოწინააღმდეგეს იმ ქორივით ესხმის თავს, რომელიც ერთი შეხედვით ზომაეს მსხვერპლს და გებულობს რა ძალის დარტყმაა საჭირო. მაგალითად, გასულ წელს თავადმა ბებუთოვმა, „ტიფლისკი ვესტნიკის"[1] მეშვეობით, მას რამდენიმე დასამახსოვრებელი დარტყმა მიაყენა, რის გამოც თავად ჭავჭავაძეს ხმა არ ამოუღია, თითქოს არც კი წაუკითხავს თავის ბრწყინვალე მოწინააღმდეგის სტატია. მაგრამ სხვა ორი წკიპურტის გამო, რაც მას იმავე „ტიფლისკი ვესტნიკის" ფურცლებზე იმავე ბებუთოვმა მიაყენა, მან ხელში კალამი აიღო და „კაცია ადამიანის" ავტორმა „კავკაზის"[3] რედაქციაში „ვესტნიკის" წინააღმდეგ გრძელი ფილიპიკები გაგზავნა[7]. ამგვარად, იგი მხოლოდ მაშინ იძლევა პასუხს, როცა სათქმელი აქვს და თუ სდუმს, ეს არის დუმილით თავდაცვა და არა ის, რომ კამათი არ უყვარს.

ჩემთვის საკმუხაროა, რომ მისი გაზეთის ჩარევა ადგილობრივი პრესის შესახებ კამათში, ამგვარი ვარაუდით უნდა ავხსნათ. შემიძლია დავარწმუნო თავადი ჭავჭავაძე, რომ იგი მწარედ ცდება თუ კი ჰგონია, რომ ამ პოლემიკის სიუჟეტი უდაო გამარჯვებას მოუტანს. ჯერ ერთი, ეს პოლემიკა მისგან უფრო მეტი ძალ-ღონის დახარჯვას მოითხოვს, ვიდრე მას ჰგონია, მეორეც, იგი მოვალეა არ გაიქცეს

ბრძოლის ველიდან მანამდე, სანამ პოლემიკა არ დამთავრდება, როგორც მან ეს „თბილისის საადგილმამულო ბანკის პრაქტიკის“ შესახებ გამართული კამათის[31] დროს გააკეთა. ხოლო დათანხმდე ჩაერიო კამათში, წამოისროლო მთელი რიგი მკვახე სიტყვები და შემდეგ დაიმალო, მკვდარს დაემსგავსო, ეს არ ეკადრება არც პუბლიცისტს და არც საზოგადო მოღვაწეს.

ადგილობრივ მწერალთა შორის „ობზორისათვის“ ყველაზე სასიამოვნო თავად ჭავჭავაძესთან კამათი იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, მასთან კამათი შეიძლება: ესმის სხვაობა აზრსა, არგუმენტსა და ლანძღვა-გინებას შორის და რა ვიწროც არ უნდა იყოს მისი თვალსაზრისი, ისე ჩამორჩენილი მაინც არაა, როგორც სხვა მისი თანამოკალმეები. ამიტომ თუ „ივერია“ იკისრებს პოლემიკა ბოლომდე მიიყვანოს, მაშინ „ობზორი“ დიდი სიამოვნებით შეებრძოლება მას. ველით პასუხს.

* * *

ჩვენ უკვე ვლაპარაკობდით შემომწყრალი ადგილობრივი პუბლიცისტების, გაბერილ ლიბერალიზმზე და მათ მანერაზე უსაფუძვლოდ დაბრალონ მოწინააღმდეგეს ლიბერალიზმისადმი ღალატი. ინის მიხედვით, თუ როგორ იოლად აბნევენ ამგვარ ბრალდებებს, შეიძლება იფიქრო, რომ თვით ისინი ბატკნებივით უცოდველნი არიან ამ ლიბერალიზმის წინაშე. მაგრამ როლი, რომელსაც თამაშობს „მშაკი“[32] აღმოსავლეთის საკითხში, აჭარბებს ყველაფერს, რაც კი აქამდე ოფიციალურ პრესას გამოუგონებია. ამ საქმეში „მშაკი“ უწესობამდეც კი მივიდა. ასე რომ „ტიფლისკი ვესტნიკი“ იძულებული შეიქნა წაეკითხა მისთვის რამდენიმე მგრძნობიარე ნოტაცია. ჩვენ ამ გაზეთის დღევანდელ ნომერშიც კი ვპოულობთ ამდაგვარ შეგონებას:

„წელს გაზეთი მშაკი“ ბევრს ლაპარაკობს იმ დიდ იმედებზე, რასაც თურქეთში მცხოვრები სომხები, აღმოსავლეთის მიმართ, რუსეთის მისიაზე ამყარებენ.

უკანასკნელ სტატიაში გაზეთი „მშაკი“ გამოთქვამს რწმენას, რომ რუსეთი ისევე გაუწვდის დასახმარებლად ხელს თურქეთის ქვეშევრდომ სომხებს, როგორც თურქეთში მცხოვრებ სხვა ქრისტიანებს. თუ კი სხვა ქრისტიანებს მისცემენ ავტონომიას, უზრუნველყოფენ მათ პოლიტიკურ თავისუფლებას, დამოუკიდებელი განვითარების შესაძლებლობას და ბედნიერ მომავალს, ჩვენ დარწმუნებული ვართ, — ამბობს გაზეთი, — რომ იმასვე გააკეთებს რუსეთი, —

თუ გაზეთ „მშაკს“ დაუჯერებთ, — თურქეთის ქრისტიანებისა და თურქეთში მცხოვრები სომხების ეს ერთადერთი დამცველი“...

ზედმეტი არ იქნება მოვაგონოთ „მშაკს“, რომელიც ასე იღწვის იმ სომხებისათვის, რომელთაც, მგონი, არავითარი სურვილი არა აქვთ მოიშორონ თავიდან ეს უღელი, რომ მარტო სტატიებით რომ შეიძლებოდეს დამოუკიდებლობის მოპოვება, მაშინ ამ ქვეყნად არც ერთი დაპყრობილი ხალხი არ იქნებოდა.

მე მინდოდა მელაპარაკა „მშაკის“ ამ და სხვა ამგვარი სტატიების უწესოებაზე, მინდოდა შემემოწმებია მათი ლიბერალიზმი და მინდოდა მთელი ბრწყინვალებით გამომეტანა სააშკარაოზე დოქტორ არწრუნის ობსკურანტიზმი, მაგრამ იარაღი დამაყრევინა მისი უკანასკნელი ფელეტონის თარგმანმა, რომელიც ახლახან გადმომცეს. ამ ფელეტონში მთავარი ადგილი უჭირავს მომხიბლავ მარგალიტს, რომელიც ჩვენ მკითხველებს უნდა მივართვა.

საქმე ისაა, რომ ბატ. არწრუნი მეტისმეტად შემოსწყრა ბატ. ნიკოლაძეს იმის გამო, რომ მან გაკვრით ახსენა თავის მონაწილეობა „მშაკის“ დაარსებაში. დაივიწყა რა, რომ გაზეთის გამოცემაზე ოცნებასა და ამ ოცნების რეალიზაციას შორის დიდი მანძილია, ბატ. არწრუნი სწერს, რომ იგი სომხური გაზეთის გამოცემაზე ფიქრობდა ჯერ კიდევ ბავშვობაში, გიმნაზიაში სწავლის დროს, ჯერ კიდევ მაშინ, როცა სომხური ენა არ იცოდა. მე შემიძლია დავუშვა, რომ იგი ამაზე დედის მუცელშიაც ოცნებობდა და საერთოდ სიამოვნებით ვუთმობ მას „მშაკის“ დაარსების მთელ ინიციატივას იმ მშვენიერი ნაწყვეტისათვის, რომელიც მან ბატ. ნიკოლაძეს უძღვნა და რომელიც ქვემოთ მოგვყავს.

— იცით რას ჰგავს ბატ. ნიკოლაძის გამბედაობა? — ამბობს იგი. ბატ. ნიკოლაძის მიმართვა წააგავს ასეთ გამბედაობას:

„ვთქვათ ერთერთმა ჩემმა ნაცნობმა ქალმა შობა ჯანსაღი ბავშვი და მე მისალოცად მივედი.

— Madame, — ვეუბნები მე, თქვენ ჩემს ინიციატივას უნდა უმადლოდეთ, რომ ასეთი ჯანსაღი ბავშვი შობეთ“.

— როგორ თუ თქვენ უნდა გიმადლოდეთ, monsieur, — მეკითხება ბრაზმორეული ქალი და გიჟად მთვლის.

— დიახ, ასეა, — ვეუბნები აუღელვებლად, — როცა ქალიშვილი იყავით, მე თქვენ გირჩიეთ თქვენს ახლანდელ ქმარს მისთხოვებოდით.

— თუ ასე მსჯელობთ, მაშინ მართალი ბრძანდებით, — მეუბნება ქალი, — მაგრამ ჩემზე თქვენ ისევე ბავშვურად მსჯელობთ, როგორც „ობზორი“ „მშაკზე“. თქვენ მართლაც მირჩიეთ გავყოლოდი

ჩემს ახლანდელ ქმარს, მაგრამ ბავშვის დაბადება დამოკიდებული იყო ჩემს აღნაგობაზე და არა თქვენს ინიციატივაზე".

* * *

თქვენ უკვე იცით რა ძალა აქვს „მშაკის" მოწინავე სტატიების ავტორს. ახლა კი მისი, როგორც ფელეტონისტის, ძალა გაგაცანით. არსებობენ ადამიანები, რომელთაც სურთ სავალდებულო გახადონ ყველა სომეხისათვის ამგვარი სისულელეების ყოველდღე კითხვა!

სხვათაშორის, ახლა ჩემთვის ნაწილობრივ გასაგებია ბატ. მესხისა და ჭავჭავაძის ვარაუდი: მათ იმედი აქვთ, რომ როგორც კი დაკანონდება „მშაკის" სავალდებულო კითხვა, ყველა ამიერკავკასიელი სომეხი მესოპოტამიაში გაქცევით უშველის თავს და მესხი და ჭავჭავაძე, ალბათ, ამ გზით ფიქრობენ გაანთავისუფლონ საქართველო მათთვის არასასურველი სომხებისაგან, მაგრამ ჩვენ არც მათ ამ სურვილს ვიზიარებთ და არც ის გვწამს, რომ „მიზანი ამართლებს საშუალებას" და, ამიტომ, არ შეგვიძლია დავეხმაროთ მათ ამგვარი აზრის განხორციელებაში.

57. ბიბლიოგრაფია

(აღმოსავლეთის საკითხი წარსულში და აწმყოში. ტ. სინკლერის „რუსეთის დაცვა", გ. კ. გრადოვსკის „1877 წლის მცირე აზიის ომი". ა. უბიჩინის და პ. დე-კურტაილის „ოტომანთა იმპერიის თანამედროვე მდგომარეობა", თარგმანი ო. ბაკსტისა. სანკტ-პეტერბურგი 1877—78 წ.).

ინგლისურ პრესაში თითქმის არასოდეს არ ამეტყველებულა რუსეთისადმი უფრო სიმპატიურად განწყობილი ხმა, ვიდრე სერ ტ. სინკლერის ხმაა. მიუხედავად ნაწარმოების მეტისმეტად განმაცვიფრებელი სათაურისა — „რუსეთის დაცვა", მიუხედავად საკმაოდ ცუდი თარგმნისა და დედნის ბევრი ადგილის შემოკლებისა, რის ახსნასაც აყოვნებს ბატ. პუციკოვიჩი, ერთადერთი დიდი თანამშრომელი არა ნაკლებ დიდი თავ. მეშერსკისა, შემოკლებისა, რაც ნაწარმოების რუსულ თარგმანს არასრულ ხასიათს ანიჭებს და აძლევს ისეთ სახეს, თითქოს მასალა გროვადაა დაყრილი, წიგნი თუ სიამოვნებით არა, ინტერესით მაინც იკითხება ინგლისთან ჩვენი დამოკიდებულების გამო, რაც ბოლო დროს თუ არ „გამწვავდა", ყოველ შემთხვევაში, გაუგებარი ფორმა მაინც მიიღო.

პარლამენტის წევრი, რომელმაც ადგილზე გამოიკვლია სლავების უკანასკნელი აჯანყების მიზეზები, თითქმის ერთადერთი ინგლისელი, რომელიც უარყოფს რუსეთის ინიციატივას ბალკანეთის ნახევარკუნძულის არეულდარეულობაში და ღრმა თანაგრძნობით ეკიდება როგორც ჩვენი მთავრობის, აგრეთვე მთელი სლავი ხალხების მოქმედებას — რაც გინდათ სთქვით, მაგრამ „ვერაგი ალბიონის" შვილთა შორის ჩვეულებრივი მოვლენა არაა, განსაკუთრებით ახლა.

შენიშვნის დასაწყისში მე ვთქვი, რომ სათაური „რუსეთის დაცვა გაკვირვებას იწვევს, მართლაც, კაცს, რომელსაც ღრმად სწამს ჩვენი სახელმწიფოს უანგარო მოქმედება, თავისუფლად შეეძლო ამ ფრაზის წაშლა. რუსეთი არ საჭიროებს დაცვას. მისი საქმიანობა

მეტისმეტად სამართლიანია როგორც თვით მის, ასევე ყველას თვალში, გარდა მისტერ დიზრაელისა და თურქოფილთა ბრბოსა, რომლებიც დაუსაბუთებელი, ბინძური ინსინუაციების გავრცელებასაც კი არ ერიდებიან...

„აღმოსავლეთის საკითხის" პატივცემულ ავტორს, სურს რა მისმა ნაწარმოებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინოს მკითხველებზე, თავის მოსაზრებების გასამტკიცებლად მოჰყავს სიტყვები ბევრი ისეთი ცნობილი ადამიანებისა, რომლებიც სოლიდარულნი არიან მასთან არჩეული თემის დამუშავებაში. ეს მრავალრიცხოვანი ამონაწერები და წიგნზე დამატების სახით დართული, — არ ვიცი ავტორის თუ გამომცემლის მოფიქრებით, — გაზეთებისა და დიდი ადამიანების მაამებელი რეცენზიები ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, როგორც მალც-ექსტრაქტული ლუდის ყბადაღებული განცხადებები, რომელთაც ყოველთვის სხვადასხვა სახელმწიფო მრჩეველებისა და სახელმწიფო მოხელეების წერილებთან ერთად ბეჭდაკენ, სადაც ისინი დიდად იწონებენ ამ სამკურნალო საშუალებას.

საერთოდ, წიგნი რომ ცოტა უკეთესად იყოს თარგმნილი, მსუბუქი საკითხავი იქნებოდა. მე არ მოვიტან ნაწყვეტებს ჩემი აზრის დასამტკიცებლად თარგმანის ენის შესახებ და წინადადებას ვაძლევ მსურველებს თვითონ შემამოწმონ რამდენად მართალი ვარ, წაიკითხონ ორიგინალი და დასტკბენ ასეთი თარგმანის სიმშვენიერით „непроизносимых креностей на Душас" (?), „საქართველოს" მაგივრად ნახმარია „Георгия" და სხვა.

ჰო მართლა: არ შეიძლება სიცილი არ მოეგვარა ჩვენთვის ჰერკულესის იმ ბოძებს, რომლებამდეც მიდის ავტორი იმ მიზნით, რომ, რადაც არ უნდა დაუჯდეს, ჩამოთვალოს რუსეთის ღირსებები. სხვათაშორის, იგი გატაცებით ამტკიცებს: „რუსეთის დახვეწილ გემოვნებას უნდა დავუმადლოთ ჩვენ სადილის ჭამის თანამედროვე ცივილიზირებული სისტემის შექმნა à la Russe, როცა მაგიდა მორთულია მშვენიერი ყვავილებით და ბოგეემის ბროლსა და ფაიფურზე დაწყობილი საუკეთესო ნაყოფით, რაც შეთანხმებულია ვერცხლის მოხდენილ და ლამაზ ჭურჭელთან. ხოლო ღირსებამ Charlotte Russe glaeée და საუცხოვო ხიზილალისა, რაც დამახასიათებელია მხოლოდ რუსეთისათვის, დასძლია ჩვენი მოდუნებული აღქმის უნარი..."

„რუსები ევროპაში ცნობილნი არიან, აგრეთვე, თავიანთი მსუბუქი და სრულყოფილი ინტონაციით, რომლითაც გამოსთქვამენ უცხო ენის სიტყვებს, განსაკუთრებით კი ფრანგულს, რომლის იდიომები ისე შეითვისეს, რომ ჩვენ ვერცხლის ზოლის გადაღმელ მე-

ზობლებს (ფრანგებს) როცა სურთ ქათინაური უთხრან უცხოელს შესანიშნავი ფრანგული გამოთქმის გამო, „ეუბნებიან: „il parle français comme un Russe“ (იგი ფრანგულს ისე ლაპარაკობს, როგორც რუსი), და ეს მაშინ, როცა ფრანგულ ენაზე ასე სრულყოფილად მოლაპარაკე ინგლისელები, თითზე ჩამოსათვლელია“.

აი, ქებაც ამას ჰქვია! „გვიხსენი ღმერთო მეგობრებისაგან, ხოლო მტრებისაგან ჩვენ თვითონ როგორმე დავიხსნით თავს“.

* * *

უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებენო, უჩიტო ქვეყანაში კი... ბინიამიც ბულბულია. თუმცა ბატ. გრადოვსკი ხალხისათვის ყველაზე უცნობი ეპოქის კომპანიების ბევრ მოვლენათა მხილველია, მაგრამ შეეძლო უფრო გულმოდგინეთ მოჰკიდებოდა თავის გამოცემას და შეევსო რაიმე ახალი მონაცემებით, ვიდრე უბრალოდ გადაებეჭდა საკუთარი კორესპონდენციები „გოლოსში“. არ ვიცით რა იყო საქმისადმი ასეთი დაუდევარი დამოკიდებულების მიზეზი; არ ვიცით, რამ აიძულა იგი გაჩუმებულიყო. დროის უქონლობამ, — ავტორი ბრძოლის ერთი ველიდან პირდაპირ მეორისაკენ გაეშურა, — თუ სხვა მოტივებმა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ვიტყვით, რომ ბატ. გრადოვსკისაგან ჩვენ გაცილებით მეტს მოველოდით. მისი წერილების ყველაზე კეთილსინდისიერმა გამოცემებმა და მათ მიერ გამოწვეულმა ინტერესმა ჩვენში სინანული გამოიწვია იმის გამო, რომ წიგნი სრული არაა. სინანული უფრო იმიტომ გამოიწვია, რომ ჩვენ ამ მცირე გამოცემითაც კი შეგვიძლია ვიმსჯელოთ ავტორის სიძლიერეზე.

ჩვენ ძალიან გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ბატ. გრადოვსკი, საზოგადო ინტერესების გამო, შეეცდება შემდეგ მაინც შეავსოს თავის წიგნის ხარვეზები, ხოლო სანამ ველოდებით, მკითხველებს ეთავაზობთ მის ერთ-ერთ კარგ ნაწარმოებს [73].

* * *

„ოტომანთა იმპერიის თანამედროვე მდგომარეობის“ წაკითხვის დროს უნებურად გაგონდება De mortuis aut bene aut nihil... ფაქტების მშრალი ჩამოთვლა, მითითებები, ყოველგვარი განზოგადოების გარეშე კი უფრო აძლიერებს შთაბეჭდილებას... წიგნი საინ-

ტერესოა და ბევრ მასალას სთავაზობს იმას, ვისაც სურს გაეცნოს თურქეთის სახელმწიფო წყობილებას „ტანზიმატის“ დროიდან, ე. ი. რეფორმების გატარების დღიდან, რაც, როგორც გვარწმუნებენ, დაიწყო მახმუდის მეფობის დროს და არა აბდულ-მეჯიდისა, რომლის დროსაც იწყება სწორედ იანიჩარების განადგურება და დერებეიების მოსპობა, რაც ბრწყინვალედ დასრულდა მითხადის ცნობილი კონსტიტუციით და ბულგარელების დახოცვით...

58. ინგლისის სამხედრო საშუალებები

თბილისი, 3 მარტი

ლონდონის საომარმა დემონსტრაციებმა ამ უკანასკნელ დღეებში, ომისათვის მტკიცე მზადებამ, ბიკონსფილდის სამინისტრომ და ინგლისის პრესის მტრულმა განწყობილებამ რუსეთისადმი, ჩვენი სატახტო ქალაქის გაზეთებში გამოიწვია მთელი რიგი სტატიების დაბეჭდვა ინგლისის მებრძოლი ძალების შესახებ. კონტინენტალურ ქვეყნებთან შედარებით ეს ძალები მაინცდამაინც დიდი არაა.

ინგლისის გაზეთის „XIX საუკუნის" გამოანგარიშებით, ბრიტანეთის არმია 1854 წელს შედგებოდა ძალზე ცუდად შეიარაღებული 70.000 კაცისაგან, ამჟამად კი ინგლისს ჰყავს 400.000 ჯარისკაცი, რომელთა განკარგულებაშიც 372 მძიმე ქვემეხია. ინგლისის არმიის შემადგენლობა ასეთია:

მომქმედი არმია	— 99,000
რეზერვი	— 40,000
სახალხო ლაშქარი	— 85.000
მოხალისეები	— 180,000
მე-2 რეზერვი	— 10,000

გარდა ამისა ამათ მიუმატოთ კიდევ — 10,000 კაცი, რომლებიც იერომენრის ეკუთვნიან.

მაგრამ სახალხო ლაშქარი და მოხალისეები სამხედრო ძალას, ალბათ, მხოლოდ ქაღალდზე წარმოადგენენ. სინამდვილეში კი ინგლისის სახმელეთო ჯარების რაოდენობა 139,000 კაცს არ აღემატება. და თუ მათ გამოვაკლებთ 60.000 კაცს ინდოეთის დასაკავებლად და 24.000 კაცს სხვა კოლონიების დასაკავებლად, როგორც ამას ჩვენი გაზეთები ანგარიშობენ და ინგლისის წყაროები გვიმტკიცებენ, მაშინ ინგლისის არმიის რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს 50.000—60.000 კაცს, რაც შეადგენს ორ საარმიო კორპუსს. გაზეთების ცნობების მიხედვით, ორივე ეს კორპუსი, დაახლოებით 60.000 კაცის რაოდენობით, მთლიანად მზადაა გადასცურონ ზღვები და ოკეანეები და გამოცხადდნენ ყველგან, სადაც ამას ინგლისის ინტერესები მოითხოვს. მთავარსარდალმა სერნეპირ მაგდალელმა

და მისი შტაბის უფროსმა გენერალ უელსლეიმ თითქოს უკვე შეადგინეს ყველა გეგმები მომავალი სამხედრო მოქმედებისათვის და მხოლოდ ბრძანებას ელიან თავს დაატყდნენ იმ მტერს, რომელზედაც მიუთითებს ბიკონსფილდის სამინისტრო. აქვს რა ბევრი წყნარი, ჯარის გემებში ჩასასხმელად მოხერხებული ნავსადგურები და უზარმაზარი სავაჭრო ფლოტი, ინგლისის მთავრობას მართლაც შეუძლია თითქმის ერთდროულად ჩასხას თავის ჯარი გემებში და გაგზავნოს ექსპედიციაში. რა დაბრკოლებაც არ უნდა შეხვდეს, ინგლისი, თავისი კოლოსალური ფინანსური და ტექნიკური რესურსების მეშვეობით, მთლიანად მოამარაგებს მატერიალურად თავის ჯარს. ასე, რომ ინგლისის მზადყოფნა ომისათვის არავითარ ეჭვს არ იწვევს და ამას რუსეთიც კი აღიარებს. სახმელეთო ჯარს უნდა დაუმატოთ რიცხობრივად და მეზღვაურთა ზნეობრივი თვისებებით მეტისმეტად ძლიერი ფლოტი, რითაც ასე ამაყობენ ინგლისელები და გონებითაც კი არ უშვებენ იმას, რომ მათ გემებსაც შეიძლება ეწიოს ისეთი მარცხი, როგორიც მოუვიდა თურქეთის ფლოტს უკანასკნელ ომში. ინგლისელები, რომლებსაც თავიანთი ძალების და მზადყოფნის იმედი აქვთ, ფიქრობენ, რომ მათ არასოდეს არ შეუყვანიათ ხმელთაშუა ზღვაში ასეთი მრავალრიცხოვანი და ძლიერი ფლოტი, და საერთოდ მათი სამხედრო საშუალებები და ის პირობები, რომელშიც მოუხდება მოქმედება ინგლისის ჯარებს, გაცილებით უკეთესია იმ პირობებზე, რომელიც ყირიმის ომის დაწყების წინ ჰქონდათ.

მიუხედავად ინგლისელების ყველასათვის ცნობილი სიმშვიდისა, მათ სხვა ხალხებზე ნაკლებად არ შესწევთ უნარი პატრიოტული გატაცებისა, რაც ამჟამად შეიძლება ანგარიშის საქმეც კი იყოს იმის გამო, რომ ინგლისის ვაჭრობისა და მრეწველობის ინტერესები, ომის შემთხვევაში, ძალზე შეილახება და ამიტომ, ცხადია, ინგლისისათვის ხელსაყრელი იქნება მიაღწიოს ომში სასურველ შედეგებს მხოლოდ იმის მუქარით, რომ გადაუდებლად დაიწყებს საომარ მოქმედებას. ყოველ შემთხვევაში, არ ვწყვეტთ რა ინგლისელების მაგივრად, რას ფიქრობენ ნამდვილად და რას გააკეთებენ სინამდვილეში, მაინც არ შეიძლება დაუშვათ, რომ ინგლისი, დაუფიქრებლად, მანამდე ჩაებმება გაცხარებულ ომში, სანამ კონტინენტალურ სახელმწიფოებს შორის მოკავშირეებს არ შეიძენს.

რა კარგადაც არ უნდა იყოს მომზადებული ინგლისის ჯარი, ომის თანამედროვე ტექნიკის დროს რიცხობრივ უპირატესობას მაინც უპირველესი მნიშვნელობა აქვს წარმატებისათვის. კონტინენტალური სახელმწიფოები თავიანთ არმიებს ასი ათასობით ითვლიან.

ინგლისი კი ათი ათასობით. რა ხელსაყრელიც არ უნდა იყოს სხვა პირობები, აღნიშნული ფაქტი ჯარის შედარებით მცირერიცხოვნობისა, არ შეივსება არც სრულყოფილი ტექნიკით და არც ფულით, და ინგლისის იარაღის მომავალი წარმატებისათვის მართლაც არახელსაყრელ ვითარებას ქმნის. ამას უნდა დავუმატოთ მეორე, ინგლისელებისათვის ასევე მნიშვნელოვანი ფაქტი: ისინი ძალზე დაშორებულნი არიან მათთვის შესაძლებელი საომარი მოქმედების თეატრებიდან და, გარდა ამისა, მიუხედავად ორთქლის გემების შედარებითი სრულყოფისა, ჯარის ზღვით გადაყვანა თუმცა ეკონომიური თვალსაზრისით ხელსაყრელია, მაგრამ დიდ სიძნელეებს ქმნის, ამგვარი გადაყვანის შემდეგ, ჯარის სწრაფად და ერთდროულად თავმოყრისათვის. ოკეანის ზედაპირზე მოძრაობა არ შეიძლება გამოიანგარიშო ისევე ზუსტად, როგორც ხმელეთზე მოძრაობა, განსაკუთრებით თუ მიწის ზედაპირზე გაყვანილია რკინიგზა, რაც ჯარის სწრაფი მობილიზაციისათვის და გარკვეულ პუნქტებში თავმოყრის საშუალებას იძლევა. ყველაფერი ეს, აგრეთვე, წარუმატებლობის ბევრ შანსს შეიცავს და, ცხადია, წარმოადგენს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ნავარაუდევი ექსპედიციის სუსტ მხარეს!

წინააღმდეგ ინგლისელების პოლიტიკური შეხედულებისა, ახლა არც თანამედროვე პოლიტიკური ვითარებაა ყირიმის ომის დროინდელზე უფრო ხელსაყრელი ინგლისელებისათვის. მაშინ ლორდ პალმერსტონმა შესძლო შეექმნა რუსეთის წინააღმდეგ 4 სახელმწიფოსაგან შემდგარი კოალიცია, ხოლო ინგლისის სამ მოკავშირეს დიდი სახმელეთო საბრძოლო ძალები ჰყავდა. რომ არაფერი ვთქვათ საფრანგეთზე და იტალიაზე, მაშინ თურქეთსაც კი შეეძლო მნიშვნელოვანი საბრძოლო ძალების გამოყვანა. მაშინ ევროპაში არ არსებობდა ის ანტაგონიზმი, რომელიც ახლა არსებობს გერმანიასა და საფრანგეთს შორის, რაც ევროპის სიმშვიდის საუკეთესო გარანტია იყო. გარდა ამისა, მაშინ ყველაფერი დროულად ხდებოდა და სასურველ შედეგებსაც იძლეოდა. რუსეთის ჯარს არ შეეძლო გადაელახა დუნაი, რადგან ავსტრიას მის ზურგში ძლიერი ჯარი გამოყავდა და აცხადებდა, რომ დუნაის გადალახვას ჩათვლის caus belli — და ჩვენ იძულებული ვიყავით დაგვეცალა სამთავრო ოთხი სახელმწიფოს გაერთიანებულმა ძალებმა დესანტი გადმოსხეს ყირიმში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა თათრებია, რომელთა მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ მოკავშირეებს. თურქეთი ჩვენ გვეომებოდა მცირე აზიაში და გამოიყვანა ძლიერი კორპუსი მოკავშირეებთან ერთად სამოქმედოდ ყირიმში. რუსეთის არმია რიცხობრივად საკმარისი არ იყო; შეიარაღება ყოველმხრივ არადამაკმაყოფილებელი

გვქონდა და არც შეიძლებოდა მისი შევსება გზების უქონლობისა და ტექნიკური რესურსების უვარგისობისა და სიმცირის გამო. ამგვარად იმ დროს ყველა შანსი რუსეთის საწინააღმდეგო იყო. ყირიმის ომის წარუმატებლობა, პარიზის ტრაქტატით დასრულებული, ჩვენთვის გარდუვალი იყო ყოველივე ამის აგმო.

როგორც არ უნდა შეამცირონ რუსეთ-თურქეთის უკანასკნელი ომის შედეგები, თურქეთის უძლურება მაინც დამტკიცებულ ფაქტად რჩება. ასე რომ, ინგლისს ერთი მოკავშირე მოაკლდა. იტალია, რომელიც ნაპოლეონ III-ის წყალობით გაერთიანდა, ახლა აღარ საჭიროებს მსხვერპლის გაღებას იმისათვის, რომ პირველხარისხოვან სახელმწიფოდ ითვლებოდეს. მისი ინტერესები ხმელთაშუა ზღვაში არაფრით არ შეიძლება ეთანხმებოდეს ინგლისის ინტერესებს, ხოლო კავშირი ავსტრიასთან ეწინააღმდეგება ხალხის გრძნობას და პატრიოტულ მისწრაფებას გააძლიერონ სახელმწიფო, რაც შეიძლება მოხდეს მხოლოდ ავსტრო-უნგრეთის ხარჯზე. თვით ავსტრო-უნგრეთში ფონ-ბეისტის მიერ გამოგონილმა დუალიზმმა თავის საქმე გააკეთა და სახელმწიფო გაჰყო არა მარტო ორ, არამედ სამ ნაწილად. მაშინ, როცა უნგრეთი ოცნებობს თუ როგორ უნდა დაესხას თავს რუსეთს მთელი ძალებით თურქეთის დასაცავად, სლავები დაუფარავად გამოხატავენ თავიანთ თანაგრძნობას რუსეთის იარაღის წარმატებისადმი, ხოლო გერმანელები გამიზნულად ანგარიშობენ. რომ მადიარებისათვის ომი ძალზე ხელსაყრელია, რადგან ხარჯების მხოლოდ 1/3-ს გადაიხდიან, ხოლო დანარჩენი 2/3-ის გადახდა მოუწევს ავსტრო-უნგრეთის დანარჩენ ნაწილს, რომელიც სრულიად არაა დაინტერესებული აღადგინოს ოტომანთა იმპერიის ძალა და პრესტიჟი. საფრანგეთს არ შეუძლია მიემხროს ავსტრო-უნგრეთის კავშირს იმის შიშით, რომ ამ ამბავმა შეიძლება გერმანიასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოიწვიოს, ზუსტად ისევე, როგორც გერმანია სამ იმპერატორთან კავშირში ეძებს იმის რწმენას, რომ საფრანგეთის შურისძიება წააწყდება სიძნელეებს. მთელი ევროპის ინტერესების ასეთი დაქსაქსვა თურქეთის დაცვის ინგლისურ პროექტებთან ერთად, ან თუნდაც ევროპის სუსტი მხარეების გამოყენება იმისათვის, რომ წინ აღუდგნენ რუსეთს, ალბათ გაცილებით უფრო არახელსაყრელ ვითარებას ქმნის, ვიდრე იყო მაშინ, როცა ინგლისმა ისარგებლა არსებული ვითარებით და საფრანგეთი და იტალია ყირიმის ომში ჩაითრია. ამიტომ რა გატაცებულნიც არ უნდა იყვნენ ინგლისელი პატრიოტები, ახლა გაცილებით ნაკლები შანსი აქვთ რუსეთთან ომში წარმატებისათვის, ვიდრე 1852 წელს ჰქონდათ. ინგლისი თავისი საკუთარი ძალებით არ წარმოადგენს საშიშ

შტერს და შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ ინგლისი მანამდე ვერ გაბედავს ომს, სანამ ავსტრო-უნგრეთი არ დაიწყებს საომარ მოქმედებას. ხოლო ავსტრო-უნგრეთის საშინაო მდგომარეობა და მისი საგარეო დამოკიდებულება მეზობლებთან, იძულებულს ხდის მას ეძებოს მშვიდობა, მაგრამ თუ კი ავსტრო-უნგრეთი, მისდა საბედისწეროდ, ჩათრეული იქნება ომში, მსგავსად იმისა, როგორც ეს მოხდა თურქეთთან, მაშინ მას ძალზე ცოტა ხელსაყრელი და ბევრი არახელსაყრელი შანსები ექნება. ისტორიულ მოვლენათა მსვლელობა, ცხადია, არ იზღუდება პუბლიცისტის ლოგიკური დასკვნების გამო, მაგრამ ხალხები მიჰყავს გარკვეული, თუმცა ყველასათვის უცნობი მიზნისაკენ. გამოვა თუ არა ავსტრო-უნგრეთი თურქეთის დასაცავად, რათა დაჩაგროს ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქრისტიანი ხალხები, თუ გადასწყვეტს სცნოს მომხდარი ფაქტი, ამის წინასწარ თქმა ძნელია, მაგრამ არც ამგვარი გადაწყვეტილების ლოდინი მოგვიწევს დიდხანს, რადგან კონფერენცია და მისი მსვლელობა მალე განსაზღვრავს ევროპის სახელმწიფოების იმ ურთიერთობას, რომელსაც მოჰყვება ან მშვიდობა, ან ომი ევროპაში.

59. რედაქციისაგან

ჩვენდა სამწუხაროდ, სრულიად გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო, დღეს ჩვენ იძულებული ვართ გამოვუშვათ ნახევარი ნომერი...

ამიტომ და იმის გამოც, რომ არ გვინდა დავანაწევროთ ნინა ანდრეევსკაიას მკვლელობის შესახებ სასამართლოში გამართული კამათის შთაბეჭდილება, ჩვენ ხვალისათვის გადავდეთ პროკურორის ამხანაგის სიტყვის დაბეჭდვა, რაც მარტო დაიჭერდა „ობზორის“[36] მთელ ნახევარ გვერდს. ვეცდებით „ობზორის“ ცალკე ნომერში დავბეჭდოთ სხვა სიტყვებიც, თითეული მათგანი მთლიანად.

(გაზეთი „ობზორი“, 1878 წ., № 65)

* * *

„ობზორის“ გამოცემის პირველი თვეების მანძილზე ჩვენ თუმცა წესად გვქონდა ორშაბათობით გაზეთის ნახევარი ნომრის გამოცემა, მაგრამ იმის გამო, რომ გასულ კვირას იძულებული ვიყავით გამოგვეშვა „ობზორის“ რამდენიმე ნახევარი ნომერი, დღეს სრულ ნომერს ვბეჭდავთ. და თუ ასოთამწყობთა ნაკლებობამ თბილისში ისევ არ გვაიძულა შევამციროთ მოცულობა, ჩვენ ვიმედოვნებთ გასული კვირის დანაკლისის ასანაზღაურებლად ორშაბათობით კვლავ გამოუშვათ სრული ნომრები

(„ობზორი“, 1878 წ., № 69)

* * *

დღეს ჩვენ კვლავ იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ ნახევარი ნომრის გამოშვებით, ხოლო მიზეზი იგივეა, ის, რომ თბილისში შეუძლებელია ჩვენი ექვსი ავადმყოფი ასოთამწყობის შემცვლელ პირთა გამონახვა.

ამგვარი შემთხვევითობების თავიდან აცილების ძიზნით, რუსეთიდან გამოვითხოვეთ ახალი ასოთამწყობები. მათი ჩამოსვლის შემდეგ „ობზორი“ ყოველთვის რეგულარულად გამოვა. მანამდე კი ვთხოვთ მკითხველებს გვაპატიონ ყველა უწესივრობანი, რომელთა აღმოფხვრა ჯერჯერობით ფიზიკურად შეუძლებელია.

(„ობზორი“, 1878 წ., № 72).

60. საკვირაო საუბრები

ანდრეევსკაიას საქმე: ამ საქმის საინტერესო მხარეების უეცარი გაქრობის შესახებ. ვინაა დამნაშავე, მეცნიერება თუ აფხაზეთი.—პრესის დამოკიდებულება.—იმის შესახებ, თუ როგორ იმოსება უძლურება ლიბერალიზმით. განსხვავება დასჯენასა და საჯარო მხილებას შორის. — მოქმედებდა თუ არა პრესა ხელისუფლების გულის მოსაგებად? დაცვის პირობა. — კვლავ ჩვენები და აზნაურობის ბბოძებელი ლიბერალები. — ერთ-ერთი მათგანის როლი სასამართლოზე ანუ ახალი სიმონ-პეტრე, რომელმაც აღარ სცნო თავის რედაქტორი. — „უწმინდურთა საბჭო". — თავ. ანჩაბაძის მიერ შეთხზული ცნობილი ტრაგედია. — ფინანსისტები, რომლებიც ოცნებობენ თავიანთი ლიტერატურის შექმნაზე... ფულისა და უნიჭობის მეშვეობით. — ვინ იყიდეს და ვის ჩააბარეს თავიანთი დროშა. დილემა, რომელსაც ვერ გადასწყვეტს თვით ბ. ღოღობერიძე.

უნდა დაუბრუნდე ანდრეევსკაიას საქმეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს საქმე აგერ უკვე 20 დღეა ჩვენს გაზეთებს მთლიანად ავსებს, მას მაინც აქვს არა მარტო გამოურკვეველი მხარეები, არამედ ისეთებიც, რომელთაც არც დაცვა შეხებია და არც ბრალდება. უცნაური ამბავია, ასეთი აღმოჩნდა სწორედ ის მხარეები, რომლებიც ამ საქმეს საზოგადოებრივ საქმეს ანიჭებდა. მე არა მაქვს იმის პრეტენზიები, რომ ყველა ეს მხარე გავაშუქო. მაგრამ ვალდებული ვარ თუნდაც რამდენიმე მათგანს შევეხო.

ქარაფშუტა ადამიანები, რომლებიც ამ საქმის გარეგნულ მხარეებზე ჩერდებიან, ვერაფერს ხედავენ იმ აზრის იქეთ, რომ ერთ-ერთმა ბრალდებულმა, კერძოდ დავით ჩხოტუამ, საუნივერსიტეტო განათლება მიიღო. „დაიჯერეთ ამის შემდეგ განათლების ზნეობრივი ზემოქმედება", ამბობენ ერთნი. „მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენო". ამბობენ მეორენი გადაკვრით და მიუთითებენ იმაზე, რომ ჩხოტუაზე ვერ მოახდენდა ზეგავლენას განათლება, რადგან აფხაზია. ამ ბატონებს ვერ გაუგიათ, რომ განათლება და ეროვნება აქ არაფერ შუაშია. მეცნიერება დანაშაულის მეხამრიდი არაა, იგი არბილებს ადამიანის ბუნებას, მაგრამ არ აუქმებს ვნებათაღელვას. უამრავი მეცნიერი, ექიმები, პროფესორები, ღვთისმეტყველები დამორჩილებიან ანგარებისა და შურისძიების მდაბალ ვნებებს და დანაშაუ-

ლის ჩადენა სიცოცხლის ფასად დაჯდომიათ. მიუხედავად ამისა, ევროპაში დოქტორ ლამოპრეს სიკვდილის დასჯის შემდეგაც კი არავის უარყვია მეცნიერების მნიშვნელობა.

ბრალდებულის ეროვნება მეცნიერებაზე მეტ ზეგავლენას არ ახდენს მის დანაშაულზე. სტუდენტი დანილოვი, რომელმაც მოსკოვში მევახშე მოკლა, სრულიად არ ყოფილა აფხაზი, ხოლო სენატორ ბეზობრაზოვის შვილი, რომელმაც ამას წინათ ქურდულად მოჰკლა ხარკოვში ექიმი კოგალჩიკოვი, დაიბადა ნევისა და არა ენგურის ნაპირებზე. აქედან იმის დასკვნა, რომ ვერც ფრანგს და ვერც რუსს ვერასოდეს ვერ გააკეთილშობილებს მეცნიერება, აბსურდი იქნებოდა. მაგრამ განა ასევე აბსურდული არაა იმაზე ლაპარაკი, რომ აფხაზეთის ნიადგაზე თითქოს მეცნიერება ვერ იხარებს? მაგრამ ბევრი ჩვენი პედაგოგი მეცნიერების გაუვრცელებლობას აბრალებს არა თავიანთ უუნარობას, არამედ გამოგონილ უნაყოფო ნიადაგს. ჩვენ კი ამაში ეჭვი გვეპარება...

* * *

საქმის მეორე მხარე, რომელსაც მინდა შევეხო, ესაა დაცვის თავდასხმები ადგილობრივ პრესაზე საქმის აღმოცენებისათვის. გამოთქმული იყო აზრი, რომ პრესამ, ამ შემთხვევაში, თითქმის პოლიციის როლი შეასრულა. არაფერი არ შეიძლება იყოს ამ აზრზე უფრო უაზრო, საერთოდ ცნობილია, რომ როცა ბრძოლაში ადამიანები იძულებულნი არიან დაყარონ იარაღი ძალისა და არგუმენტების უქონლობის გამო, ჩვეულებრივ ებღაუჭებიან თავიანთი მდგომარეობის განსაკუთრებულ ლიბერალიზმს და ცდილობენ მოწინააღმდეგე ანტილიბერალად გამოაცხადონ. მაგრამ ეს სტანდარტული ხერხი იმდენადვე უნაყოფოა, რამდენადაც უბადრუკი. ამ შემთხვევაში ამ ხერხის გამოყენება უბრალოდ უსინდისობაა და აი რატომ.

„დასმენასა“ და სასამართლოს წინაშე საჯარო ბრალდებას შორის დიდი განსხვავებაა. დასმენა სწორედ იმიტომაა საძაგლობა, რომ თავის ნაკვალევით ბრალდებულს თავდაცვის საშუალებას უსპობს და მიმართულია უფრო ჯალათისადმი, ვიდრე სასამართლოსადმი. არაფერი ამის მსგავსი არ ხდება სასამართლოს წინაშე საჯარო ბრალდების დროს. ამ შემთხვევაში, ბრალდებულს შეუძლია ისარგებლოს დაცვის ყველა საშუალებებით და აღადგინოს ჭეშმარიტება მთელი თავისი ბრწყინვალებით და, რადგან აქ არაა არავითარი უთანასწორობა, უცნაურია დასმენაზე ყვირილი.

მაგრამ, ამ შემთხვევაში, არის ერთი გარემოება, რომელიც კიდევ უფრო მეტად ადასტურებს ჩვენს აზრს. დასმენის მიზანია ასიამოვ-

ნოს ვიღაცას; დაიცვას მისი ინტერესები არა მარტო კერძო, არამედ ნაწილობრივ საერთო ინტერესების საზიანოდ. როდესაც „ტიფლისსკი ვესტნიკმა"[1] ლაპარაკი დაიწყო ანდრეევსკაიას მკვლელობაზე, ეს არ მომხდარა იმ მიზნით, რომ ვინმესთვის ესიამოვნებინა. ჩემის აზრით, წინასწარი ძიების ნაკლის დიდი ნაწილი მომდინარეობს გაუგებარი სურვილისაგან —მიიჯუჩეჩონ საქმე იმ საბაბით, რომ ვნებებს აღვივებს. და იმ დროს, როცა მკვლელებს ლიბერალიზმის მანტიაში ახვევდნენ, „ტიფლისსკი ვესტნიკს" აბრალებდნენ შპიონობას და თვით გამოძიება ცდილობდა აეკრა მისთვის პირი.

* *

თვით მათ თვალში და მათივე სინდისის წინაშე წინასწარ წაგებული ყველა საქმის დამცველთა როლი ყველგან და ყოველთვის განწირულია მსგავსი უნაყოფო ცდისათვის გაეხვიონ ისეთ მანტიაში, რომელიც ქარის უბრალო დაბერვასაც ვერ უძლებს. ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული ეს როლი ნაადრევ და ხელოვნურ ფახიფუხთან და იმის ცდასთან, რომ თავდაჯერებული გამომეტყველებით და ტონით შეცდომაში შეიყვანონ მაყურებლები. ამიტომ, მე სრულიად არ მაკვირვებს, რომ დაცვამ, როგორც ცნობილია, არ წამოაყენა არც ერთი დამაჯერებელი არგუმენტი და ფონს მხოლოდ სიტყვიერი უარყოფით გადიოდა. საქმის დასაწყისში იგი ყველას არწმუნებდა, რომ ხელს მოსაჭრელად დასდებდა, თუ ერთი შტრიხი მაინც დარჩებოდა ბრალდების ყველა მოსაზრებებიდან. წიწილებს შეჰოდგომაზე ითვლიან, და ახლა თქვენ ხედავთ მოხსენებებიდან, რომ დაცვამ ბრალდების ერთი შტრიხიც ვერ გააქარწყლა. ვნახოთ, მოიჭრის თუ არა ახლა იგი ხელს.

ყურადღებას იმსახურებს, აგრეთვე, ხალხის დამოკიდებულება ბრალდებულებისადმი. სანამ ხალხს ეშინოდა იმის, რომ ასეთი აღმაშფოთებელი დანაშაული დაუსჯელი დარჩება, ბრალდებულებს ისე უყურებდა, როგორც პირად მტრებს. მაშინ გულწრფელი ქალიშვილის სახე ყველას კომშარივით ედგა თვალწინ და შურისძიებას მოითხოვდა. მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ როგორ ხდებოდა ყველასთვის ნათელი, რომ ბრალდებულნი სასჯელს ვერ გაექცევიან, მაღაროების ბნელმა სახემ ნელნელა განდევნა ნინა ანდრეევსკაიას სახის ნაკვთები. ამგვარი ვითარება მეორდება ყოველთვის, როცა ჩვენ ვესწრებით სიკვდილით დასჯას. როგორიც არ უნდა იყოს ბოროტმოქმედი, რა დანაშაულიც არ უნდა გქონდეს ჩადენილი, რადგან იგი მოიყვანეს საფლავის პირას ან მაღაროებში სამუშაოდ, სიბრალულის გრძნობა ძლევს შურისძიების გრძნობას. მაგრამ გაანთავისუფლეთ

თქვენ დამნაშავე და იგივე ბრბო მორთავს ყვირილს იმის შესახებ, რომ არ არსებობს მართლმსაჯულება და არ სჯიან ბოროტმოქმედებს.

ზოგიერთმა ჩვენმა ცრულიბერალმა, რომლებმაც ბანკებში მოიკალათეს და უფლება მოიპოვეს წველონ თავადაზნაურობა, მას შემდეგ რაც წარმატებით წველეს მთავრობა, ახლა პრესას ანტილიბერალიზმში დასდეს ბრალი და ამტკიცებენ, რომ ანდრეევსკაია კი არ გაგუდეს, არამედ თავი დაიხრჩოო. ერთ-ერთმა მათგანმა[74] ჩვენება მისცა სასამართლოს. და როცა მას ჰკითხეს — რა აზრისაა ჩხოტუას ხასიათზე, მან თავხედურად უპასუხა: „მე მას სრულიად არ ვიცნობ, მასთან მე უმნიშვნელო საუბარი მქონდა". მე მზად ვარ დავიჯერო ამ პასუხის გულწრფელობა და ცრულიბერალის მაგივრად მიხარია ის, რომ მან ვერ დაინახა დავით ჩხოტუას მზერა, რომელშიც უსაზღვრო საყვედური და ზიზღი იხატებოდა. მაგრამ მე მინდა ამ ბატონს მოვაგონო ორი ეპიზოდი მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან.

როდესაც გავრცელდა ხმა ნინა ანდრეევსკაიას მოკვლისა, დასახელებული ცრულიბერალი სწრაფად ჩამოვიდა თბილისში, მთელი თავის ადრინდელი რეპუტაციის გამოყენება სცადა. იგი ოცნებობდა, რომ საკმარისია მან თავის დოქტორალური ტონით დაიფიცოს ჩხოტუა უდანაშაულოაო და მთელი ეს საქმე დავიწყებას მიეცემა და იგი ფიცულობდა თბილისის, კოჯორის და რკინიგზის ყველა სალონში, რომ იცნობს ჩხოტუას და მხოლოდ მაშინ დაიჯერებს მის დანაშაულს, როცა თვით ჩხოტუა გამოუტყდება ამაში. მაგრამ მაშინაც, დასძენდა იგი, მე მაინც დარწმუნებული ვიქნები, რომ მას არ შეეძლო ჩაედინა ამგვარი დანაშაული. რატომ არ გაიმეორა მან ეს რწმენა სასამართლოში? საინტერესოა ვიცოდეთ, სად ტყუოდა იგი, სალონებში, როცა ამტკიცებდა ვიცნობ ჩხოტუასო, თუ სასამართლოში? როცა უარი სთქვა მასთან შორიდან ნაცნობობაზეც კი?

მეორე ეპიზოდი კიდევ უფრო აღმაშფოთებელია. ცნობილია, რომ ორივე ჩვენი საადგილმამულო ბანკის მმართველებმა, რომლებმაც მარცხი განიცადეს ჩემთან კამათში, გადაწყვიტეს დაეარსებიათ თავიანთი გაზეთი და მიეზიდათ ახალგაზრდობა იმით, რომ დიდ ჰონორარს პირდებოდნენ. მათ მიერ მოწვეულ თათბირზე, რომელსაც ვიღაცამ წინასწარმეტყველურად უწოდა უწმინდურთა თათბირი, ორივე მმართველის შემდეგ მთავარ როლს თამაშობდა თავადი შერვაშიძე. ორივე მმართველის მეცადინეობის შედეგად გაზეთი დაარსდა და ერთ-ერთ რედაქტორად, იმავე მმართველების მოთხოვნით, არჩეული იქნა დავით ჩხოტუა. თავადმა ილია ჭავჭავაძემ თამა-

ად ჩააბარა მას „ივერიის“[8] სადავე, ხოლო მეორე მმართველმა დალოცა იგი — „მაღლა სჭეროდა ქართული ლიტერატურის დროშა“. თავისთავად გასაგებია, რომ ქართული ლიტერატურა აქ არაფერ შუაში იყო. ამ თათბირზე, პოეტ ილია ჭავჭავაძის გარდა, ერთი ქართველი ლიტერატორიც არ ყოფილა. ახალგამომცხვარმა, შინგამოზრდილმა ფინანსისტებმა სცადეს ხელთ ეგდოთ ლიტერატურა ბანკის ფულებით მოსყიდვის გზით. და დავით ჩხოტუამ, აიღო რა ხელში ფინანსისტების ხარჯზე არსებული ლიტერატურის დროშა, მოიხმარა იგი, როგორც იცით. მე არ მინდა გამოვთქვა ჩემი აზრი მისი მონაწილეობის შესახებ ანდრეევსკაიას მკვლელობაში, მაგრამ ჩემთვის ცხადია, რომ მან ორი, მძიმე დანაშაული ჩაიდინა: მოკლა ანდრეევსკაიას სრულიად უდანაშაულო ძაღლი და დაახრჩო ფინანსისტის ახლადდაარსებული გაზეთი.

იქნებ ამიტომ არ სცნო მან იგი სასამართლოში საჯაროდ?..

ახლა საკითხავია, რა საფუძველზე ჩააბარა მან ლიტერატურის დროშა ისეთ კაცს, რომელსაც არ იცნობდა? რა ტალანტის, რა სათნოების, რა სიმტკიცის და რა მრწამსისათვის? თუ კი მან შესთავაზა მკითხველ საზოგადოებას დავით ჩხოტუა როგორც საიმედო ხელმძღვანელი და არ იცნობდა მას, მაშინ მან ჩაიდინა დანაშაული ამ საზოგადოებისა და შთამომავლობის წინაშე, რადგან განგებ ატყუებდა და შეჰყავდა შეცდომაში. ხოლო, თუ დარწმუნებული იყო მის ღირსებებში როცა წამოაყენა, მაშინ შეცდომაში შეჰყავდა მართლმსაჯულება და ფიცის ქვეშ წინასწარ მოფიქრებულ ცრუ ჩვენებებს იძლეოდა. ჩვენთვის დიდად სასიამოვნო იქნებოდა თუ პრესა დაგვანახვებს ამ დილემის რომელიმე სხვა გადაწყვეტას.

საქმის დანარჩენ მხარეების შესახებ შემდეგ...

---

61. კავკასიის უნივერსიტეტი

თბილისი, 21 მარტი.

1

გვემუქრება გარდუვალი ომი ევროპის ერთ ნაწილთან, თუ შეგვიძლია შეულახავი მშვიდობის იმედი ვიქონიოთ? როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, ჩვენ უნდა ვიფიქროთ ჩვენს შინაგან საჭიროებაზე. რადგან მხოლოდ შინაგანი საქმეების გონივრულად და დამაკმაყოფილებლად მოგვარება უზრუნველყოფს გარედან მოსალოდნელ უშიშროებას და მოგვიტანს საგარეო დიდებას. რა დიდიც არ უნდა იყოს ჩვენი გამარჯვებები, მათი დიდება კვამლივით გაიფანტება, თუკი ჩვენს შინაგან წესებს არ ავიყვანთ საგარეო დიდების სიმაღლეზე. თუკი ჩვენ ჩვენს საკუთარ სახლში არ დავაკმაყოფილებთ აუცილებელ მოთხოვნილებებს, თუკი ხელს მივყოფთ საკუთარი ინტერესების სისტემატურ იგნორირებას, შეუქმნით ჩვენს თავს მრავალ ხელოვნურ სიძნელეს, მაშინ ეს გარემოება ადრე თუ გვიან სამხედრო წარმატებებზეც კი უდაოდ დამასუსტებელ გავლენას იქონიებს.

ახლა, მგონი, ბრმებისთვისაც ცხადია, რომ შინაგანი წესების გაუმჯობესების ცდამ, რაც რუსეთმა უკანასკნელი თორმეტი წლის მანძილზე განახორციელა, არა თუ არ შეასუსტა მისი საგარეო მნიშვნელობა და სამხედრო ძალები, არამედ, პირიქით, წარმოუდგენლად გაზარდა. ეს მაგალითი რუსეთის ისტორიაში ერთადერთი არაა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ გამოუკლებლივ ყველა სახელოვან გამარჯვებას, რომელიც კი ოდესმე მოუპოვებია რუსეთის ჯარებს. უშუალოდ თან ახლდა რეფორმების და გარდაქმნების ეპოქები და პირუკუ, ყველა წარუმატებლობა რეაქციისა და ერთ ადგილზე გაყინვის შედეგი იყო. პოლტავა, რიმნიკი, ოჩაკოვი, პარიზი, კონსტანტინეპოლი, — აი პეტრე დიდის, ეკატერინეს, ალექსანდრე 1-ის და ალექსანდრე II-ის რეფორმების „რეფორმათა წერტილები". ხოლო თუ ჩვენ გავიხსენებთ ანნა იოანოვნას, ელისაბედ პეტროვნას, პავლე I-ის და ბოლოს ყირიმის ომის წარუმატებლობებს, ჩვენდაუნებურად უნდა ვაღიაროთ, რომ სხვაგვარად არც შეიძლება მომხდა-

რიყო, რადგან ყველგან საყოველთაო ჩამორჩენილობა და უმეცრება ბატონობდა... საბრძოლო დიდება, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივი ენთუზიაზმის და უმაღლესი მიზნებით ან იდეებით გატაცების შედეგია. ჯარი, რომელიც მხოლოდ ფულისათვის ან ჯილდოსათვის იბრძვის, ისევე არასაიმედოა და სუსტია, როგორც კონდოტიერების კოგორტები. იმის იმპულსს, რაც ასე აუცილებელია გამარჯვებისათვის, სხვა ვერაფერი ვერ მისცემს ადამიანს, თუ არა იმის შეგნება, რომ სამშობლო და მშობლიური წესები ღირსია სიყვარულისა და თავგანწირვის...

მეორეს მხრივ გასულ წელს ჩვენ წმინდა კავკასიური თვისების სხვა გაკვეთილიც მივიღეთ. ჩვენ დავინახეთ, რომ მთის ჭოსახელეობამ, რომელიც უმეცრების და უუფლებობის ამარაა დატოვებული, ბევრი უსიამოვნება მოგვაყენა საგარეო ომის ყველაზე მძიმე წუთებში. როცა ჯარის ყოველი როტა და ყოველი ასეული ასე ძვირფასი და საჭირო იყო საგარეო ომის ველზე, მთიელების დასაშოშმინებლად, ქვეყნის შიდა სამფლობელოში, კავკასიის ჯარების საუკეთესო დივიზიების გაგზავნა მოგვიხდა. და ეს ჯარები, რომლებიც ყარსთან ან ბათუმთან უნდა ყოფილიყვნენ, იძულებულნი იყვნენ რუსეთის ქვეშევრდომთა სისხლი დაეღვარათ, ან მათთან ბრძოლაში დაღუპულიყვნენ...

სამხედრო-საგამომძიებლო კომისიამ და სამხედრო სასამართლოებმა თავიანთი საქმე გააკეთეს და უამრავი მთიელი „გაასახლეს"... ახლა გეკითხებით: აღმოჩნდა „აჯანყებულთა" შორის თუნდაც ერთი კაცი, რომელსაც უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული? მადლობა ღმერთს, მთიელთა შორის ცოტა არაა ისეთი პირი, რომელსაც უნივერსიტეტში უსწავლია. დაიჭირეს რომელიმე მათგანი იარაღით ხელში? პირიქით, განა ისინი ყოველ ღონეს არ ხმარობდნენ იმისათვის, რომ ჭკუაზე მოეყვანათ მთიელები და აეხსნათ მათთვის თურქეთის იმედით ყოფნის მთელი უაზრობა?

ამ ახალგაზრდა ადამიანების მთელი ტრაგიზმი და მათი როლის მთელი ჰეროიზმი რომ გაიგო, მათ ტყავში უნდა ჩაძვრე. მათ საქმე ჰქონდათ მეგობრებთან, ერთიდაიმავე სამშობლოს შვილებთან, რომლებიც მათ ეუბნებოდნენ: „შეხედეთ რა უკანონობას სჩადიან ჩვენი უფროსები, შეხედეთ, რა გაჭირვებაში ვვაყენებენ, შეხედეთ, როგორ არღვევენ თვითონვე თავიანთ კანონებს, როგორ გვთელავენ. შემოგვიერთდით, ვისარგებლოთ ხელსაყრელი მომენტით და განვთავისუფლდეთ ამგვარი უსამართლობისგან"! ეს უსამართლობანი განათლებულ ახალგაზრდებს კიდევ უფრო აღშფოთებდათ, ვიდრე გნელ ხალხს, მაგრამ განათლებამ ასწავლა მათ, რომ რუსეთი და

ბნელი მოხელეები, რომლებიც მივარდნილ კუთხეებში მისი სახელით იმუქრებიან, ერთი და იგივე არაა, ოფიციალური რუსეთის უკან დგას ნამდვილი რუსეთი, რომელსაც წინსვლის უნარი შესწევს, რომელსაც შეუძლია განვითარების გზით ადამიანური წესეში დაამყაროს, და სწამთ რა მათ განათლება, სწამთ რა პროგრესი, სწამთ რა რუსეთის მომავალი, ამ ახალგაზრდებმა თავიანთ თანამოაზრეების თვალწინ გმირულად იტვირთეს დამამცირებელი სოლიდარობა ისეთ ადამიანებთან და წესებთან, რომლებიც სძულთ და ეზიზღებათ, ყველასთვის ცნობილია რამდენი სოფელი, რამდენი საზოგადოება დააშოშმინეს და დაამშვიდეს მათ ამ გზით.

მთელი რუსეთი, ყველა ჩვენ და ჩვენი მკითხველები დაინტერესებულნი არიან, რომ ამ პატიოსანი ადამიანების დაპირებები და შეგონებები რატიფიცირებული იყოს, რათა შემდგომმა მოვლენებმა არ დაამციროს ხალხის თვალში ამ ადამიანების კრედიტი, რაც ასეთი ძვირფასი აღმოჩნდა ცხოვრების მძიმე წუთებში...

ახლა შევხედოთ მედალის მეორე მხარეს. ჩვენ ვთქვით, რომ არცერთ „განათლებულს" არ მიუღია მონაწილეობა შარშანდელ არეულობაში. ახლა კი გვიპასუხოს კომპენტენტურმა ხელისუფლებამ: რამდენმა მიიღო მონაწილეობა ამ არეულობაში იმ პირთაგან, რომელთაც ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ჩინები, ჯილდოები, ფული და ორდენები უბოძა? მათი რიცხვი ლეგიონია, ვუპასუხებთ ჩვენვე დარწმუნებით, რადგან არავის არ შეუძლია ჩვენი სიტყვების უარყოფა, და თუ ვინმე ამის გაკეთებას მოინდომებს, მაშინ ჩვენ აჯანყებულთა წოდებას და გვარებს დავბეჭდავთ.

ამ ორი თანაბრად უდაო დებულების შედარების შედეგად უნდა დავასკვნათ, რომ მოფერების, მოსყიდვის და დაჯილდოვების სისტემას კარგი არაფერი მოაქვს. ეს სისტემა ვარგა მხოლოდ მანამდე, სანამ საფრთხე არ გამოჩენილა, სანამ მხარდაჭერა საჭირო არაა. ნამდვილი მხარდაჭერა და მტკიცე ძალა კი მხოლოდ საწინააღმდეგო სისტემას შეუძლია შექმნას, რაც გამოიხატება მეცნიერების შუქის ფართოდ გავრცელებაში, იმ პატიოსანი და გონიერი ადამიანების განათლებაში, რომელთაც გულწრფელად უყვართ თავიანთი სამშობლო, და ადამიანური და სამართლიანი წესების დამყარებაში... ჩინებისა და ფულადი ჯილდოების გამო არ მოქმედებდნენ გასულ წელს ის ახალგაზრდა ადამიანები, რომლებზედაც ვლაპარაკობთ. მათ წინ მიუძღოდათ იმის რწმენა, რომ კეთილი და პატიოსანი კავშირის დამყარება თანამემამულეებსა და რუსეთს შორის თანაბრად აუცილებელი და სასარგებლოა როგორც ამ უკანასკნელისათვის, ასევე მათი საკუთარი ხალხისათვის. ისინი სწორედ სამშობლოს სიყვარულის გა-

მო, საკუთარი ხალხის ერთგულების გამო არ ზოგავდნენ საკუთარ ტყავს, რათა თავიდან აეცილებინათ დიდი სისხლის ღვრა.

ამიტომ, ჩვენს მხარეში ასეთი ახალგაზრდა ადამიანების რიცხობრივი ზრდის საკითხი პირველხარისხოვანი, გადაუდებელი საკითხია, რასაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. თუ ჩვენ გვსურს კავკასიაში მტკიცე მშვიდობის დამყარება, თუ მართლა გვინდა ჩვენი მხარის „ცივილიზირება", თუ გვსურს, რომ მზად ვიყოთ წინ აღუდგეთ სხვათა შემოსევას, მაშინ აი ესაა პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადავდგათ. რაც შეიძლება ბევრი სასწავლებელი, მაგრამ არა ფორმალური, არამედ ჭეშმარიტად პედაგოგიური, რაც შეიძლება მეტი გიმნაზიები, რომლებიც თავისუფალი იქნებიან ვიწრო ეგოისტების მომაკვდინებელი გავლენისაგან და რომელთაც უხელმძღვანელებენ ჭეშმარიტად სწავლული ადამიანები, და ბოლოს უნივერსიტეტი, რომელიც შესძლებს საშუალო განათლების გაცოცხლებას და დაგვირგვინებას, — აი საშუალება, რომელსაც დროის დაუკარგავად უნდა მოვკიდოთ ხელი.

ამ საკითხს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით, ახლა კი უნდა შევეხოთ მხოლოდ ერთ არგუმენტს, რაზედაც ბევრი ფიქრობს.

— თქვენც ნახეთ ახალი ხარჯების მოთხოვნის დრო, ახლა, როცა ფინანსები ასე ძვირია...

ამაზე ჩვენ მოკლე და ნათელ პასუხს გავცემთ.

უნივერსიტეტის შენახვა უფრო იაფი ჯდება, ვიდრე იმ დივიზიებისა, რომლებიც შეიარაღებული უნდა გვყავდეს მანამდე, სანამ არ გამოვზრდით პატიოსანი და კეთილსინდისიერი ახალგაზრდების მთელ კონტინგენტს. თბილისში უნივერსიტეტის დაარსება ისეთ ზნეობრივ შთაბეჭდილებას მოახდენს, რომ შესაძლებლობას მოგვცემს ერთი ფეხოსანი დივიზია მაინც გავანთავისუფლოთ და გავგზავნოთ იგი იმ ადგილას, სადაც ასე ძლიერ იგრძნობა მისი ნაკლებობა...

2

თბილისი, 22 მარტი

დიდი ხანია ყველამ შეამჩნია ის ფაქტი, რომ ამიერკავკასიის და კავკასიის საშუალო სასწავლებლები ვერ იტევენ მოსწავლეებს. ყველასათვის ცნობილია, რომ ამ სასწავლებლებში მიღებაზე ყოველწლიურად უარს ეუბნებიან ბევრ ბავშვს, რომელთაც სწავლის სურვილი აქვთ, ცნობილია ისიც, რომ ყოველ წლიურად იმ პირთაგან, რომლებიც წარმატებით ამთავრებენ მეცნიერების კურსს საშუალო სასწავლებლებში, ორი-სამი პროცენტიც

კი ვერ პოულობს სახსრებს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად. უმაღლესი სასწავლებლის სიშორე, მოზრდილი თანხის წინასწარ დაგროვება, რაც მას სჭირდება გზაში და იმისათვის, რომ სწავლის დროს შიმშილით არ მოკვდეს, ახალგაზრდობას იძულებულს ხდის ან გადამწერლობა და კანცელარიის მოხელეობა დაიწყოს ანდა უსაქმოდ იხეტიალოს. ცნობილია, თუ როგორ მომზადებას იძლევა ჩვენი საშუალო სასწავლებლები პრაქტიკული ცხოვრებისათვის, სასწავლებლები, რომლებიც მხოლოდდამხოლოდ უმაღლესი სასწავლებლების ბსმენელებს ამზადებს. ახალგაზრდა, რომელსაც 8-10 წლის მანძილზე მხოლოდ ლათინურით და მათემატიკით უჭედავდნენ თავს, შედის ცხოვრებაში, რომელიც სრულიად არ მოითხოვს მისგან ამ საგნების ცოდნას, ხოლო სხვა, უფრო შესაფერისი მომზადება მათ არ გააჩნიათ. და აი იგი ვარდება სიღარიბეში, იცვითება, მჩვარს ემსგავსება და ეცემა, ხოლო ხუთი-ექვსი წლის შემდეგ მასში ვეღარავინ იცნობს იმ პიროვნებას, რომელმაც „საშუალო განათლება" მიიღო. ასე უკვალოდ ქრება ის მსხვერპლი, რომელსაც ჩვენ განათლების საქმეს ვწირავთ...

მაგრამ იმ ბედნიერთა შორისაც კი, რომელთაც მოახერხეს სტიპენდიის მიღება, ან იშოვეს ფული უმაღლეს სასწავლებელში წასასვლელად, ნახევარზე მატი ხელმოკლეობის, შორეული ჩრდილოეთის კლიმატის, ჭლექის, დაუძლურების, გამოფიტვის მსხვერპლი ხდება — აი, სიკეთე, რომელიც ამ „ბედნიერთ" დევნის. და თუ შიმშილი ასევ გავლენას ახდენს მათ ფიზიკურ ბუნებაზე, მაშინ გასაგებია, რა გავლენა უნდა ქონდეს მას მათ გონებაზე, რომელიც უნაყოფოდ იხარჯება შიმშილის, სინესტის, სიღარიბისა და ყოველგვარ ხელმოკლეობის წინააღმდეგ ბრძოლაში...

ამიტომ, თბილისში რომ არსებობდეს უნივერსიტეტი, მაშინ ბევრ ახალგაზრდას, რომლებიც ახლა იღუპებიან, შესაძლებლობა ექნებოდა მიეღო უმაღლესი განათლება და არ განეცადა ჩვენს მიერ აღწერილი ხელმოკლეობა: გვერდით ეყოლებოდათ ნათესავები, ნაცნობები, რომლებიც ადვილად დაეხმარებოდნენ. თვითეულ ჩვენგანს შეუძლია მისცეს თავის სახლში კუთხე და გაუმასპინძლდეს სადილით მოსწავლეს. ზოგიერთ მემამულეს, მღვდელს და მოსამსახურეს შეეძლებოდა მოემარაგებია თავიანთი ბავშვები თბილისში „ნატურით", როგორც ამას აკეთებენ გიმნაზიელებისათვის. განა ბევრ ჩვენთაგანს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ გაიღოს 30, 40 ან 50 მანეთი თვეში და რეგულარულად გაუწიოს დახმარება სტუდენტს, რომელიც პეტერბურგში, ოდესაში ან კიევში სწავლობს?

ყველა ეს მოსაზრება დიდი ხანია შეიჭრა ჩვენი საზოგადოების შეგნებაში. ამ საზოგადოებამ არაერთხელ გამოსთქვა ერთსულოვანი სურვილი თბილისში უნივერსიტეტის დაარსებისა. ყველაზე ცნობილი ამგვარი განცხადებიდან იყო ის დადგენილება, რომელიც მიიღო 1871 წელს თბილისის თავადაზნაურთა ექსტრაორდინალურმა კრებამ.

როცა თბილისში ხელმწიფე-იმპერატორი უნდა ჩამოსულიყო, მოიწვიეს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურები და როცა მათ დაიწყეს თხოვნის შედგენა, აზრი უნივერსიტეტის დაარსების შესახებ თავისთავად დაებადა ყველას. სამწუხაროდ, ჩვენი სამოქალაქო ხელისუფლების მაშინდელმა წარმომადგენელმა ბარონმა ა. პ. ნიკოლაიმ ამ სურვილის განხორციელება ნაადრევად ჩასთვალა და თავადაზნაურობას ურჩია იმპერატორისათვის უმაღლესი გიმნაზიის გახსნა ეთხოვა. მიუხედავად ამ რჩევის ავტორიტეტულობისა, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ მაინც გადაწყვიტა ეთხოვა უნივერსიტეტის დაარსება და თხოვნაც ამ აზრით იქნა შედგენილი კომისიის მიერ. ამ თხოვნას უკვალოდ არ ჩაუვლია და ახლა ჩვენ მაღალ სფეროებში აზრი უნივერსიტეტის დაარსების შესახებ ახალი ამბავი კი არაა, არამედ როგორც ცნობილი, გააზრებული და საფუძვლიანი რამ...

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ ამ საკითხის წამოსაჭრელად ინიციატივა გამოიჩინა და თავის საქმე გააკეთა. ცხადია, მათი მოშლილი მეურნეობა, რაც გლეხთა რეფორმების შემდეგ ჯერ კიდევ ვერ მომაგრდა, არ მისცემს მათ საშუალებას უფრო რეალური მსხვერპლი გაიღონ მათ მიერ წამოჭრილი საქმისათვის, მაგრამ ჩვენ მაინც დარწმუნებული ვართ, რომ თავადაზნაურობა არც მაშინ დაიხევს მსხვერპლის გაღებაზე უკან, როცა მათი დრო მოვა... მეორეს მხრივ, ჩვენი ქალაქის საზოგადოებაც, რომელსაც თბილისში უნივერსიტეტის დაარსება უამრავ სარგებლობას მოუტანს როგორც ზნეობრივი, ასევე მატერიალური თვალსაზრისით, მონაწილეობას მიიღებს ამ საქმის ხელახლად წამოჭრაში და საბოლოოდ გადაწყვეტაში. უნდა ვივარაუდოთ, რომ სხვა ქალაქების მსგავსად, რომელთაც უნივერსიტეტის დაარსება შესძლეს, ჩვენი თბილისიც გაიღებს მსხვერპლს იმისათვის, რომ ხაზინას შეუმსუბუქოს უნივერსიტეტის დაარსებისათვის საჭირო თავდაპირველი ხარჯები. რა თქმა უნდა, იმის გამო რომ ქალაქს არ გააჩნია ნაღდი ფული და ამავე დროს ბევრი არასწორი საქმეებითაა დამძიმებული. მისგან ბევრის მოთ-

ხოვნა არ შეიძლება. მაგრამ ყოველი მისი დახმარება მიწის გამოყოფით ან ფულადი სახსრებით, რაც შემსუბუქებული იქნება საბჭოს დადგენილებით, და რაც დაადასტურებს თბილისში უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობას და სარგებლიანობას, დამაჯერებელი მიწვევა იქნება როგორც კერძო პირებისა, ასევე ერობისა და ხაზინისა, იქნება საჩვენებელი მაგალითი, რომელზეც ვერავინ ვერ იტყვის უარს.

62. ქარიშხლის წინ

თბილისი, 24 მარტი

წინასწარმეტყველება იმ გაზეთებისა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ პლევნისა და ყარსის დაცემა ომის, თურქეთისა და აღმოსავლეთის საკითხის „დასასრულის დასაწყისია“, წარმატებით არ დაგვირგვინდა. ბევრად უფრო საფუძვლიანია აზრი, რომ გასული წლის ომი სხვა არაფერია, თუ არა აღმოსავლეთში გაბატონების საუკუნოვანი ბრძოლის ერთი ეტაპი, და შეიძლება სან-სტეფანსკის ზავის შემდეგ დროებით დასვენების იმედი ვიქონიოთ, თუმცა, სამწუხაროდ, არც ამ ზავის დადება მტკიცდება ფაქტებით. თუ უკანასკნელი ტელეგრამების მიხედვით ვიმსჯელებთ, შეჯახება გარდუვალია და თითქმის მთელ ევროპას უნდა მოედოს ახალი, კიდევ უფრო მძიმე ომი...

ამ ახალი ომის სიძნელეების დაფარვა და მისდამი ქარაფშუტული დამოკიდებულება ისეთივე ზერელე დამოკიდებულების განმეორება იქნებოდა, ხალხის ძალებისა და ამოცანებისადმი ყოველგვარი სარგებლობისა და გამართლების გარეშე, რის უფლებაც, თურქეთ-სლავების ომის დასაწყისში, თავის თავს მისცა რუსული პრესის გარკვეულმა ნაწილმა, რასაც თამამად შეიძლება ეწოდოს „მსუბუქი ყოფაქცევის პრესა“. ჩვენ კიდევ იმიტომ არ გვეპატიება ამ შეცდომის განმეორება, რომ ბრძოლის დასაწყისში, 1876 წლის ზაფხულიდან, მწერალთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს ვეკუთვნოდით, რომელთაც გაითვალისწინეს ბრძოლის სიძნელეები და მიუხედავად იმისა, რომ მთელი ჩვენი სიმპათიები ამ სიძნელეების მხარეზე იყო, მაინც, შეძლებისდაგვარად, ვცდილობდით გვებრძოლა ცრუ და თავხედური მტკიცებების წინააღმდეგ, რომელთა მეშვეობით ჩვენი შოვინისტები მკითხველებს თვითცდუნებას და ყოველგვარ საფრთხეს ახვევდნენ თავზე.

რუსეთი ჩაება ომში და ამიტომ გასაგებია, რომ მან მთელი ძალ-ღონე უნდა გამოიყენოს იმისათვის, რომ ღირსეულად დაამთავროს იგი. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, მან დიდი მსხვერპლი

გაიღო, როგორც ქონებრივი, ასევე ცოცხალი ძალის თვალსაზრისით. რუსეთის მრეწველობა და წარმოება, აგერ უკვე ორი წელია, ყოველგვარ გაჭირვებას განიცდის. გაიღო ასეთი მსხვერპლი და ვერ მიაღწიო ვერავითარ შედეგებს იმ საქმეში, რომლის დაცვაც რუსეთმა იკისრა, ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარი უძლურება აღიარო. ამიტომ ახლა ჩვენც, რომლებიც ადრე იმას ვამტკიცებდით, რომ რუსეთს ჯერჯერობით საკუთარ სახლში აქვს ბევრი საზრუნავი და მისთვის ჯერ არ დამდგარა სხვისთვის ზრუნვის მომენტი, ვიმეორებ, ჩვენც კი აღარ შეგვიძლია იმ აზრის გამოთქმა, რომ საჭიროა ახლა ომს თავი ავარიდოთ. ერისათვის, ხშირად, ერთხელ მიღებულ გადაწყვეტილებას საბედისწერო შედეგები მოაქვს. და რადგან გადაწყვეტილება საბოლოოდ მიღებულია, ვერავინ ვერ ახერხებს მისი გარდუვალი შედეგების აღმოფხვრას... სწორედ ასეთ მდგომარეობაში ვართ ახლა ჩვენ...

სამაგიეროდ, მაშინდელმა შეცდომებმა, და თვითცდუნებამ დიდი გამოცდილება შეგვძინა. გასულ წელს, ომის დაწყებამდე, განსაკუთრებით კი პირველი წარუმატებლობის დროს, ჩვენი შოვინისტები მკითხველებს არწმუნებდნენ, რომ ომი სხვა არაფერია, თუ არა სახალხო გასეირნება, საზაფხულო ექსკურსიის მაგვარი რამ, რომლის დანიშნულება გენერალური შტაბის ოფიცრებისათვის ჭკუის სწავლება და „მოწყენილი საზოგადოების“ გართობაა. სამწუხაროდ, ომი, თურქეთთან ომიც კი, არც ისე იოლი და გამამხიარულებელი აღმოჩნდა... საჭირო გახდა უფრო მეტი ძალების დაძაბვა, ვიდრე ადრე ვარაუდობდნენ და ათასჯერ უფრო მეტი მსხვერპლის გაღება, ვიდრე ჩვენ ვფიქრობდით. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ თვით შოვინისტებმაც დაკარგეს სულის სიმხნევე და თავიანთ გამოცემებში დაიწყეს ასეთი რამის ბეჭდვა: „ჩვენ მხოლოდ ლოცვა და ტირილი დაგვრჩენიაო“. ასეთია საერთო ხვედრი ყველა ქარაფშუტა ადამიანისა, რომელიც დაუფიქრებლად ჰკიდებს ხელს მისი ძალღონისათვის შეუფერებელ ამოცანას და მძიმე წუთებში სულით დაცემისა და ტირილის მეტი არაფერი შეუძლია... მათ რომ შესძლებოდათ სიძნელეების წინასწარ განჭვრეტა, თავიანთი ძალების განსაზღვრა, საშუალებათა აწონ-დაწონა, მაშინ ასე ზერელედ არ მიუდგებოდნენ ომის სიძნელეებს და, წარუმატებლობის შემთხვევაში, სულით არ დაეცემოდნენ...

ამჟამად კი, ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს არ ვიტვირთოთ ეს ამოცანა: იგი უკვე ადგილიდან დაძრულია და, რაც არ უნდა დაგვიჯდეს, ბოლომდე უნდა მივიყვანოთ.

ამიტომ, მხოლოდ ერთი რამ დაგვრჩენია, მშვიდად შევხვდეთ მო-

ალოდნელ სიძნელეებს და გავიაზროთ რა ახალი ძალები უნდა გამონახოს რუსეთმა იმისათვის, რომ ღირსეულად დააღწიოს თავი არსებულ მდგომარეობას, ე. ი. დაძლიოს ყველა ეს სიძნელეები...

ჩვენი შოვინისტები, როგორც ეს ყოველთვის მოსდით ქარაფშუტა ადამიანებს, ხედავენ რა ამ სიძნელეებს, უპირველეს ყოვლისა, ცდილობენ დახუჭონ თვალები და თავი მოიტყუონ ამ სიძნელეთა ძალის ხარჯზე, მაგრამ როცა რწმუნდებიან, რომ მათი დამალვა შეუძლებელია, დახმარებას და შველას გარეთ, სხვასთან ეძებენ... გადაათვალიერეთ ჩვენი შოვინისტური გაზეთები და ყველგან დაინახავთ, რომ უპირატესად ისინი ასეთ ნოტას იყენებენ: „გერმანია ჩვენს მხარეზეა, იგი ლაგამს ამოსდებს ევროპას". ჩვენ ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ გერმანიას და რუსეთს საერთო ინტერესები აქვთ და, ბოლოსდაბოლოს, იგი უნდა დაგვიახლოვდეს და დაგვიახლოვდება კიდეც, მაგრამ მსგავსად იმისა, როგორც კრედიტს მხოლოდ მდიდრებს აძლევენ და კავშირს იმასთან კრავენ, ვისაც კავშირის გარეშე შეუძლია არსებობა, ამიტომ მოკავშირის პოვნის საუკეთესო საშუალება მის გარეშე არსებობის შესაძლებლობის გამონახვაა. მეორეს მხრივ ქარაფშუტობა იქნება დაუმალოთ საკუთარ თავს, რომ გერმანიის შეიარაღებული ჩარევა აუცილებლად, და იმ წამსვე, გამოიწვევს საფრანგეთის ჩარევას, ამჯერად მხოლოდ მოწინააღმდეგის მხარეზე და რადგან ამ ორი სახელმწიფოს სამხედრო ძლიერება თითქმის თანაბარია, ამიტომ გერმანიაზე დიდი იმედების დამყარება იმას ემსგავსება, რომ საკუთარ თავს გულის გასაცრუებელი საშუალება მოუმზადოთ.

ყველა ამ თვალსაზრისის მიხედვით, ჩვენ უნდა შევჩერდეთ იმ აზრზე, რომ მომავალ ომში რუსეთის ყველაზე უკეთესი და საიმედო მოკავშირე თვით რუსეთი იქნება და ძალა და ბრძოლის საშუალებები მასში უნდა ვეძებოთ...

ფიქრი იმისა, თითქოს რუსეთი დამოუკიდებლად ვერ გაუძლებს ამ ბრძოლას, ეს იმას ნიშნავს, რომ სრულიად არ იცნობდე რუს ხალხს, მის სულსა და ძალას. მაგრამ ჩვენი შოვინისტები, რომელთაც ამ ცოტა ხნის წინათ ევროპის დამარცხება არაფრად მიაჩნდათ, ახლა სულმოკლეობას იჩენენ ჯერ ერთი იმიტომ, რომ ისევე ცუდად იცნობენ რუსეთს, როგორც თანამედროვე ევროპას, მეორეც იმიტომ, რომ მიიღეს და შეისისხლხორცეს ჩვენი წესები. ისინი იმეორებენ ასეთ ფრაზას: „Земля наша велика и обильна, володейте нами". ისინი ისე შეეჩვიენ ამ აზრს, რომ აღარც კი სწამთ რუსეთში თუ ოდესმე წესრიგი დამყარდება. სწორედ ესაა მათი სულმოკლეობის ძირითადი მიზეზი.

მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ უკეთესი წესები რუსეთში ყოველთვის მაშინ მკვიდრდებოდა, როცა უწინდელ წესებს საგარეო უძლურება არღვევდა. და თუ ახლა, — როცა სხვაგვარად მოქცევა შეუძლებელია, — ნდობას გამოვუცხადებთ ხალხის გრძნობასა და ძალას, არავის შეუძლია იმის განსაზღვრა, თუ რა საუნჯესა და რამდენ მსხვერპლს გაიღებს ხალხი ახალ ომში. მაგრამ ამგვარი მსხვერპლის გაღებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ეს მსხვერპლი მოხმარდეს იმ საქმეს, რომელსაც სწირავენ. საჭიროა ხალხიც და საზოგადოებაც დარწმუნებული იყოს, რომ არც ერთი კაპიკი, თმის არც ერთი ღერი, არც ერთი ჩვარი, რომელსაც კი მსხვერპლად გაიღებენ, ტყუილუბრალოდ არ დაიკარგება, არ მოხვდება ყველა ჯურისა და გატაცების ანგარებიან ექსპლოატატორთა ჯიბეში...

თუმცა ამ მხრივ ჩვენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით წინ, ყირიმის ომის დროინდელ წესებთან შედარებით, მაგრამ გასული წლის მოვლენებმა მთელი საზოგადოება დაარწმუნა, რომ სრულყოფამდე, და არა თუ სრულყოფამდე, არამედ რიგიანი წესების დამკვიდრებამდე ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი. აი საქმის ამ მხარეს უნდა მიექცეს საყოველთაო ყურადღება, თუკი გვინდა, რომ რუტინას ზურგი ვაქციოთ და ბრძოლისათვის მთელი რუსეთის ძალები გამოვიწვიოთ. მაგრამ თუ ეს არ გაკეთდება, თუკი საჯარო კონტროლით არ გამომუშავდება ჩვენს მიერ აღნიშნული ნდობა, მაშინ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მომავალი ომი არა თუ დიდ ხანს გაგრძელდება, არამედ ამ ომში ბევრ შემთხვევითობას და მერყეობასაც უნდა მოველოდეთ... თითეულისა და ყველას ინტერესებისათვის გულით ვისურვებდი, რომ ჩვენმა მთავრობამ საქმე ისე წარმართოს, როგორც უკეთესი იქნება ხალხის ინტერესებისათვის და რუსეთის მომავლისათვის.

---

63. დაწყევლილი საკითხები

თბილისი, 25 მარტი

ეტყობა ინგლისთან ომი გარდუვალია, ყოველ შემთხვევაში ასეთი აზრი ექმნება კაცს უკანასკნელი ტელეგრამებისა და ბეჭდური გამოცემების მიხედვით. მაგრამ ომი მარტო ინგლისთან შეუძლებელია, ხოლო ვინ იქნება მისი მოკავშირე, ამის განსაზღვრა თითქმის არ ხერხდება. ამ საკითხის განხილვისას პრესა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ინგლისს მხარში უნდა ამოუდგეს ავსტრო-უნგრეთი. მაგრამ ავსტრო-უნგრეთმა რომ იმოქმედოს, ამისათვის ბევრი პირობა უნდა იქნას დაცული, ხოლო ამ პირობების დაცვა შეუძლებელია მისი მთელი არსებობის საფრთხის ქვეშ დაყენების გარეშე. არავინ არ იცის გასწევს თუ არა ავსტრია ასეთ რისკს, აქვს მას იმის იმედი თუ არა, რომ, ინგლისის გარდა, სხვა მოკავშირეებსაც იპოვის, და ამიტომ უნდა დავუშვათ, რომ ამ დიპლომატიამ არაფერი არ იცის, ანდა ისე ოსტატურად თამაშობს, რომ თვით საზღვარგარეთულ პრესასაც კი, ყველა მისი ძლევამოსილი საშუალებებით, არ ძალუძს მიიღოს სწორი ცნობები პირველადი წყაროებიდან. ამიტომ, ზუსტად არავინ არაფერი არ იცის და ახალანდელი პოლიტიკური ვითარება მეტისმეტად გაურკვეველია. დაიწყება საერთო ომი, თუ ამ ამბებს საერთო მშვიდობა მოჰყვება,— —ამის წინასწარმეტყველება შეიძლება თანაბარი ლოგიკური არგუმენტაციით, და ორივე დასკვნა მართალი ან მცდარი იქნება, რაც მხოლოდ ბოლოს გამოჩნდება. ამგვარად, მომავალი მოვლენების ერთადერთი გადამწყვეტი ფაქტორი არის ჩვენი საზოგადოების შეგნება და იმათი შეხედულება, ვინც ამ საკითხებზე მსჯელობს. ასეთ შემთხვევებში, ძალაუნებურად, უარი უნდა სთქვა პირად თვალსაზრისსა და რწმენაზე და გადაინაცვლო ისტორიულ ნიადაგზე, ანდა უფრო სწორად გაიზიარო ისტორიული აუცილებლობის თვალსაზრისი. რამდენად აუცილებელი და გარდუვალია ახლა ომი ევროპაში?

იყო ევროპაში ისეთი დრო, როცა დიპლომატებს და პუბლიცისტებს საკმაოდ მარტივი გადაწყვეტილებები გამოჰქონდათ. წარმოი-

შობოდა რომელიმე საკითხი და ორაკულები მაშინვე გადაშლიდნენ ტრაქტატების კრებულს. ამ კრებულში, ისევე როგორც სამარჩიელო წიგნში, — სადაც სხვადასხვა კითხვებია ჩამოწერილი და ცენტრში დაკიდებულ ხორბლის მარცვლის მეშვეობით პასუხს ღებულობენ,— ასევე ღებულობდნენ ისინი პირდაპირ პასუხს„ ხოლო თუ ცოტათი გონებასაც დაატანდნენ ძალას, მთლიანად ამოწურავდნენ შესაძლებელ და შეუძლებელ კომბინაციებს. ამა და ამ ტრაქტატის, ამა და ამ პარაგრაფის საფუძველზე პასუხი ასეთი უნდა იყოს, აცხადებდნენ ავგურები, რადგან ამა და ამ ადამიანთა ნათესაური დამოკიდებულება და მეგობრობა, ამა და ამ ადამიანთა სიძულვილი, ამა და ამ ზღუდეებით ბოჭავს წამოყენებულ საკითხს. მოვლენებიც ამგვარი რეცეპტის მიხედვით ვითარდებოდა და თან მხოლოდ ის ცვლილებები ახლდა, რასაც იწვევდა ამა თუ იმ აღმსრულებლის ნიჭი ან უნიჭობა, ელჩების, დიპლომატების და წარგზავნილების მოხერხებულობა ან უუნარობა. ასე იყო ნაპოლეონ III-ის ტახტზე ასვლამდე, რომელმაც, პირველი დღიდანვე, მთელი თავისი თავგადასავლებით მდიდარი სიცოცხლე წმინდა კავშირისა და ვენის ტრაქტატის წინააღმდეგ ბრძოლას მოახმარა, რათა ამ გზით გამოეწვია მათდამი უპატივცემლობა და ვენის ტრაქტატისათვის ხაზი გადაესვა. ამ მაგალითს მიმბაძველებიც გამოუჩნდნენ. გენიალურმა თავადმა ბისმარკმა, რომელმაც მოიწონა ნაპოლეონ III-ის პრინციპი, არსებულ ტრაქტატებისადმი უპატივცემლობის პრინციპი, დაიწყო ომი ავსტრიასთან, ჩამოაშორა იგი გერმანიას, მოაწყო ეს უკანასკნელი თავის იდეალების მიხედვით და სრულიად არ შერცხვენია არსებული ურყევი საფუძვლებისა, რომლებიც დრომ და ტრაქტატებმა აკურთხა. შემდეგ მან მოქმედების ეს სისტემა მისი გამომგონებლის წინააღმდეგ მიმართა და ისე წარმატებით, რომ დატყვევებულმა იმპერატორმა დაკარგა ის ტახტი, რომელიც მოულოდნელი სიმამაცით მოიპოვა„ ხოლო საფრანგეთი იძულებული გახდა თავის საუკეთესო პრინციპები დაეთმო. მას შემდეგ ყველაფერი შეიცვალა: ევროპულ დიპლომატიას ნიადაგი გამოეცალა. გულის ფანცქალით ელოდებოდა ყველა რას იტყოდა ბისმარკი, იმპერატორი ვილჰელმი, ინგლისის დედოფალი, ანდა მისი პირველი მინისტრი. მათ ყველაფერი სთქვეს, მაგრამ როგორ უნდა გაიგო ნათქვამი სიტყვა, სწორედ ეს იყო სხვადასხვაგვარი ვარაუდისა და ახსნა-განმარტების საგანი. და მართლაც, შეიძლებოდა სხვანაირად ყოფილიყო? ყველა ტრაქტატს, რომლებითაც ისაზღვრებოდა ევროპული სახელმწიფოების ურთიერთდამოკიდებულება, განადგურებაზე უარესი ამბავი დაემართა; ისინი უბრალოდ დაივიწყეს. ჯერ კიდევ ახსენებდნენ მხოლოდ იმ

ტრაქტატს, რომლის მეშვეობითაც ბოლო მოეღო დავას პრუსიასა და საფრანგეთს შორის და ისიც იმიტომ, რომ ფრანგებს არ შეუძლიათ არ იოცნებონ Revânche-ზე და ამიტომ განუწყვეტლივ იმ უკანასკნელი ტრაქტატის მოსპობაზე ლაპარაკობენ, რომლის ძალითაც მათ ელზასი და ლოტარინგია წაართვეს.

კიდევ უფრო ხშირად ლაპარაკობენ 1856 წლის პარიზის ტრაქტატზე, რადგან ამ ტრაქტატის ხელისმომწერნი, ხან ერთ, ხან მეორე მხრიდან, თითქმის ყოველ წუთს არღვევდნენ მას. ტრაქტატებისადმი ასეთი დამოკიდებულების დროს, რითაც გაპირობებულია ევროპული ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულება, შეიძლება თამამად გამოსთქვა აზრი, რომ თანამედროვე ევროპა ორგანიზირების პროცესს განიცდის და მისი პოლიტიკური მოწყობის საბოლოო ფორმა გაურკვეველია. საჭიროა ამ ფორმის გამონახვა, განსაზღვრა. რა შეიძლება იყოს ეს უცნობი იქსი, რომელმაც უნდა გამოხატოს ევროპის სახელმწიფოების შინაგანი ორგანიზაციის მომავალი და მათი ურთიერთდამოკიდებულება, რაც აუცილებელია ხანგრძლივი მშვიდობის დასამყარებლად კონტინენტზე? რა თქმა უნდა, ვერავინ ვერ გაბედავს ამ კითხვას დადებითი პასუხი გასცეს და, საერთოდ, ყოველი ვარაუდი ამ მხრივ მოკლებულია ყოველგვარ მტკიცე საფუძველს. დავუშვათ თუნდაც ის, რომ თანამედროვე ევროპული სახელმწიფოები, ბოლოს და ბოლოს, ეროვნების მიხედვით დალაგდებიან, რადგან ეს არის სახელმწიფოს ორგანიზაციის ყველაზე ანგარიშგასაწევი და თანამედროვე პრინციპი, ამ შემთხვევაშიც მაშინვე წარმოიშობა ცნებათა საშინელი აღრევა. სხვადასხვა ხალხებისა და ტომების ენთოგრაფიული განაწილება ევროპის კონტინენტზე ეწინააღმდეგება ყოველგვარ აზრს, ტერიტორიულად ისეთი მრავალრიცხოვანი ტომების გაერთიანებასაც კი, როგორიცაა რომანული, გერმანული და სლავური. როგორც არ უნდა გაანაწილოთ ისინი გეოგრაფიულ რუკაზე, მაინც ვერ შეადგენთ მსხვილ სახელმწიფოს ერთი ტომისაგან ისე, რომ შუაში არ აღმოჩნდეს ოაზისები სხვადასხვა ტომების უმცირესობებისაგან, რომელთაც არც შეერთება სურთ გაბატონებულ ტომთან, და არც შერწყმა. ამ მოსაზრებას სხვა მოსაზრებაც ართულებს: ეტყობა, ტრაქტატების მეშვეობით ახლა ველარ შეცვლი ევროპის რუკას. სახელმწიფოს ველარ გადასცემ ვერც როგორც მემკვიდრეობას და ვერც როგორც მზითევს სხვა ტომებს. ამიტომ, ევროპამ რომ საბოლოო ფორმა მიიღოს, რის შედეგადაც დამთავრდებოდა დუღილის და ორგანიზაციის პროცესი და შეიქმნებოდა ისეთი წონასწორობა, რომელიც ყველა ევროპულ სახელმწიფოს ხანგრძლივ მშვიდობას დაპირდე-

ბოდა, ამისათვის საჭიროა ომი და, რა თქმა უნდა, საერთო ევროპული ომი. საჭიროა რომ ყველა ერი, რომელიც ამ კონტინენტზე ცხოვრობს, დაკმაყოფილდეს იმით, რასაც მისთვის შექმნიან. ამიტომ საჭიროა ყოველმა ერმა თვითონ იზრუნოს ამ ამოცანის გადასაწყვეტად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ინტერესებს მსხვერპლად გაიღებენ ისინი, ვინც მონაწილეობას მიიღებს მომავალ შეჯახებებში, რაც აუცილებლად უნდა უსწრებდეს წინ ევროპის მომავალ მშვიდობას. მაგრამ როგორც კი დაიწყება ომი, როგორც კი დადგება დავის იარაღით გადაჭრის დრო, მაშინ ძალა გაიმარჯვებს ყველა ეთნოგრაფიულ და იურიდიულ თვისებებზე. კი მაგრამ ვის მხარეზე იქნება ძალა? რომელი ევროპული სახელმწიფო იქნება პირველი ნომერი? და იძულებულს გახდის სხვებს პატივი სცენ მის ინტერესებს? ამჟამად შეუძლებელია ამის განჭვრეტა და გათვალისწინება. მხოლოდ ერთი რამაა სარწმუნო: ევროპაში არავითარი მშვიდობა არ დამყარდება საერთო ევროპული ომის გარეშე, რადგან არცერთ სახელმწიფოს არ აკმაყოფილებს თანამედროვე პოლიტიკური ვითარება და ყოველი მათგანი ცდილობს გააფართოოს თავის საზღვრები, გაზარდოს თავის პოლიტიკური და ტერიტორიული მნიშვნელობა იმ ეთნოგრაფიული ერთეულების შემოერთებით, რომელთაც თანაგრძნობას უცხადებს, ანდა გაბატონდეს გეოგრაფიული და სტრატეგიული პუნქტების მეშვეობით. მაგრამ რომ მივიდეთ კიდეც იმ დასკვნამდე, რომ საერთო ევროპული ომი გარდუვალია, მაინც დიდი ასპარეზი რჩება ყოველგვარი მერყეობისათვის იმის დასადგენად, თუ როდის მოხდება ომი და რა პირობებში დაიწყება. დაიწყება იგი რომელიმე ტრაქტატის გაუგებრობის გამო, რომელსაც ხელი მოაწერეს ს. სტეფანოში თუ ამ მიზეზს გვერდს აუვლიან და მეორე, უფრო შესაფერის მიზეზს გამონახავენ, მომავლის სახელით. ევროპის კეთილდღეობის მოსასპობად, ყოველივე ეს იმდენად გაურკვეველია, იმდენად შემთხვევითია, რომ ყოველგვარ ხალისს გიკარგავს იმსჯელო წარმოუდგენელ მომავალზე. ჯობია მშვიდად დაველოდოთ იმას, თუ რა მოხდება.

---

64. რედაქციისაგან

ჩვენ უკვე დიდი ხანია მივიღეთ ბატ. პოლტორაცკის ქვემოთ მოყვანილი წერილი[75], მაგრამ თავს ვიკავებდით მისი დაბეჭდვისაგან იმის გამო, რომ ამგვარ პოლემიკას თითქმის არავითარი საზოგადოებრივი მნიშვნელობა არა აქვს. ბატ. პოლტორაცკის წერილში პრინციპული საკითხი პოლიციისა და სასამართლოს ხელისუფლების ფარგლების შესახებ იმდენად უცილობლადაა გამოკვლეული, რომ ვერავინ ვერ გაბედა შეხებოდა საქმის ამ მხარეს. „ტიფლისკი ვესტნიკმა"[1], ამ შემთხვევაში, საჭიროდ სცნო პოლიციის დაცვა, ხოლო ბატ. პოლტორაცკი წარმოადგინა როგორც ბატონყმობის დამცველი და მოდავე. მაგრამ ბატონ პოლტორაცკის ზნეობრივი სახე იმდენად ცნობილია ამიერკავკასიის მკითხველი საზოგადოებისათვის, რომ ადვილი არაა რაიმე მოუნახო მას. ამ მოსაზრების გამო, ჩვენ არ ჩავთვალეთ სახიფათოდ იმ ლანძღვა-გინების გაგრძელება, რაც „ტიფლისკი ვესტნიკსა" და ბატ. პოლტორაცკის შორის დაიწყო. მაგრამ ერთმა მოსაზრებამ ჩვენ იძულებული გაგვხადა დაგვებეჭდა აღნიშნული წერილი. „ობზორის"[36] მკითხველებისთვის ცნობილია როგორ უშვერად გაგვლანძღა ჩვენ „ტიფლისკი ვესტნიკმა" იმის გამო, რომ გულის კანკალით დავბეჭდეთ ბატ. პოლტორაცკის მეორე წერილი. ბატ. ბებუთოვი უკვე დიდი ხანია ადგას მაგარი სიტყვებით არა მხოლოდ მოწინააღმდეგეების შეშინების ტაქტიკას, არამედ იმ გაზეთების რედაქტორებისასაც, რომლებიც ბედავენ და ბეჭდავენ თავიანთ გაზეთებში მის საწინააღმდეგო წერილებს. გასულ წელს, როცა ბატ. ბებუთოვმა რატომღაც მოინდომა საზოგადოებისაგან იმის დაფარვა, რომ ჩვენ თავი დავანებეთ „ტიფლისკი ვესტნიკში" თანამშრომლობას, და როცა გაზეთ „კავკაზმა"[3] დაბეჭდა ჩვენი განცხადება[76] ამ ფაქტების შესახებ, ბატ. ბებუთოვმა ბატ. ვორონოვს ისეთი მოურიდებელი სიტყვებით დაუწყო გინება, რომ „კავკაზის" რედაქციას სამუდამოდ დაუკარგა ხალისი დაბეჭდოს რამე ბატ. ბებუთოვისათვის უსიამო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლიტერატურაში ამგვარი ტერორიზმის დამყარება ერთნაირად მავნებელია საზოგადოებისთვისაც და პრე-

სისათვისაც. და რადგან ბატ. ბებუთოვმა. რომელიც დაგვპირდა აღ-ვილად შეეძლებ თქვენს იგნორირებასო, ახლა ისიც კი წარმოიდგი-ნა, რომ ჩვენი ტერორიზირებაც შეუძლია. ჩვენთვის სასიამოვნო-იქნება დაუმტკიცოთ საწინააღმდეგო.

ჩვენ სრულიად არ დავარღვევთ ჩვენ დაპირებას იმის შესახებ, რომ არ დავიწყებთ კამათს „ტიფლისკი ვესტნიკთან". დაე ამ გაზეთ-მა დაბეჭდოს ჩვენს შესახებ რაც უნდა, ჩვენ პასუხს არ გავცემთ. მაგრამ იმ შემთხვევებში, როცა იგი უსამართლოდ შეურაცხყოფს პა-ტივისცემის ღირს პიროვნებას, ჩვენ უარს არ ვიტყვით შეურაცხყო-ფილის საპასუხო წერილის დაბეჭდვაზე. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ჩვენ ადგილს დაუთმობთ ყველას, ვინც „ტიფლისკი ვესტნიკმა" გაანაწყენა. ამგვარ ადამიანთა შორის ბევრია ისეთები, რომელთა შესახებ ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ „ტიფლისკი ვესტნი-კის" შეხედულებებს. იმისათვის, რომ ჩვენ დავბეჭდოთ ამ გაზეთის საწინააღმდეგო წერილი, აუცილებელია მთლიანად დარწმუნებული ვიყოთ, როგორც ბატ. პოლტორაცკის შემთხვევაში, რომ „ტიფ-ლისკი ვესტნიკი" თავის თავდასხმებში მართალი არ იყო. ადგილობ-რივი ლიტერატურის საბედნიეროდ და ბატ. ბებუთოვის სასახელოდ ამგვარი რამ მას იშვიათად ემართება.

65. სადღეისო ჰირვარამი

„ქალთა მოძრაობამ“, — რომლის ინიციატივა რუსეთში ეკუთვნის ასე უდროოდ დალუპულ და ასე ცუდად დაფასებულ მ. ლ. მიხაილოვს, — რუსეთის საზოგადოება არაჩვეულებრივად სასიამოვნო სახით წარუდგინა ევროპას. მაშინ, როცა საფრანგეთში, ინგლისში ან გერმანიაში, მიუხედავად ჩვენი საუკუნის უკეთილშობილესი მოაზროვნეების მეცადინეობისა, აზრი ქალის შრომაში გათანასწორებისა და თანასწორუფლებიანობისა, ქალებსაც კი უაზრო ქიმერად ეჩვენებათ, რუსმა ქალებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში და პირველ რიგში დგანან იმ ქალთა შორის, ვინც უმაღლესი განათლება მიიღო. მათმა ბრწყინვალე წარმატებებმა, რასაც მიაღწიეს ბეჯითი შრომით, მიუხედავად დაცინვისა, უწმაწური სიტყვებისა, უკან დევნისა და ცილისწამებისა, ევროპაში მათ შეუქმნა სრულიად დამსახურებული რეპუტაცია, რომლის სხივებს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა მთელი რუსეთის საზოგადოებაზე. ეს შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ ყველაზე უკეთეს და მტკიცე გამარჯვებად, რამაც ევროპის საზოგადოება აიძულა მომავალში პატივისცემით მოეპყრას რუს ხალხს...

მაგრამ ქვეყანაზე ჯერ არ ყოფილა და, ალბათ, არც არასოდეს იქნება ისეთი ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელსაც არ ახასიათებდეს უკიდურესობები, არ გაეტაცოს გარეგნულ მხარეს, არ გადაემლაშებიოს და არ ჩავარდნილიყოს „სასაცილო“ მდგომარეობაში. თავისთავად იგულისხმება, რომ ქალთა მოძრაობასაც რუსეთში თავი დაეღწია მისგან. იყო მასში სასაცილო, ჰქონდა ნაკლი, იყო შემთხვევები ფორმის არსად მიღებისა. იყო კერპთაყვანისმცემლობა შეკრეჭილი თმებისა და ლურჯი სათვალეებისადმი, მაგრამ საქმის კარგი მხარეების დაუნახველობა ამ წვრილმანებისა და რუსი ქალის პირველი ნაბიჯების უხერხულობის გამო, საპატიებელია მხოლოდ ახლომხედველ და ქარაფშუტა ადამიანებისათვის. დრომ, რომელიც ასწორებს ხორკლებს და მარადიულობას და უკვდავებას მხოლოდ იმას ანიჭებს, რაც მართლა სასარგებლო, საჭირო და მიზანშეწონილია, რაც შეეფერება კაცობრიობის ბუნებრივ ზრდას და მოთხოვ-

ნილებას, განაჩენი გამოუტანა „ქალთა მოძრაობის“ ფორმასაც და არსსაც. არსი დარჩა და იმისდა მიხედვით თუ როგორ ხდება იმ ხელოვნური დაბრკოლებების აღმოფხვრა, რომლებიც შეჰქმნა მასების უმეცრებამ და „კონსერვატორების“ დახავსებულობამ, ეს მოძრაობა სულ უფრო და უფრო სერიოზულ სახეს ღებულობს, რაც გამოიხატება ქალების მისწრაფებაში სოლიდური წოდებისა და დამოუკიდებელი შრომისაკენ. ხოლო იმ დროის გარეგნული მხარე, როცა ამ მოძრაობას ჯოგური, მაიმუნური ხასიათი ქონდა, თანდათან ქრება და ეგუება ყოველი იმ ქალის ინდივიდუალობას, რომელიც განათლებისაკენ ისწრაფის. ჩვენ ველარ ვხედავთ ჟორჟ ზანდის მსგავსად მამაკაცის შარვალში გამოწყობილ ქალებს, რომელთაც დამოუკიდებლობის უდაო ნიშნად ქუჩაში თავდაყირა სიარული მიაჩნიათ... სამაგიეროდ ჩვენ უფრო ხშირად ვხვდებით ქალებს, რომლებიც არაფრით არ გამოირჩევიან თანამედროვე ქალის ტიპისაგან, მაგრამ რომლებიც გულმოდგინედ შრომობენ მეცნიერებისათვის და თვითგანვითარებისათვის...

შარშანდელი ომის დროს მთელმა რუსეთმა საქმეში დაინახა ეს ქალები, რომლებზედაც ადრე ავტორიტეტული ადამიანები ხმამაღლა ყვიროდნენ, რომ ისინი ევროპაში გარყვნილებისათვის უფრო მოხერხებული საშუალებების გამო დაეთრევიანო (თითქოს სახლში ვინმესთვის ძნელია გარყვნილი ცხოვრებით ცხოვრება). დაინახა ეს ქალები რუსმა ჯარისკაცმაც, რომელიც ჯერ კი არ დაავადებულა ბატ. კატკოვის ტყუილით და ბატ. სუვორინის ჭორებით. ჯარისკაცმა დაინახა, თუ რა შრომისუნარიანობა და რა უსაზღვრო თავგანწირვა გამოავლინეს ამ ქალებმა და ათი ათასობით დაჭრილმა და ავადმყოფმა რუსმა ჯარისკაცმა საყოველთაო და ერთხმად მიღებული განაჩენი გამოიტანეს, რითაც ეს ქალები თითქმის წმინდანებად მონათლეს. ბატ. კატკოვებისა და სუვორინების სამარცხვინოდ, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე დასცინოდნენ ამ ქალებს, ახლა ეს განაჩენი ამ ცილისმწამებლების გაზეთებმაც გადაბეჭდეს. მაგრამ ეს კიდევ არაფერია იმ დიდებასთან შედარებით, რასაც მათ შესახებ მთელ რუსეთს მოსდებენ ომში დაჭრილები და დაავადებულები, როცა თავიანთ სახლებს დაუბრუნდებიან. ჩვენ არ ვიცით რას მოჰყვებიან ათი წლის მანძილზე რუსული ქოხების ჭერქვეშ ეს „ჭირვარამს გამოვლილი ადამიანები“ სხვა ადამიანებზე, რომლებიც ომში ნახეს. მაგრამ ისინი რომ ბევრჯერ გაიმეორებენ — რუსი ექიმი ქალი დაჭრილებისა და ავადმყოფების ყველაზე უკეთესი მფარ-

ველი ანგელოზი იყოო, ეს არც ჩვენთვის და არც ბატ. კატკოვების და К°-სათვის არავითარ ეჭვს არ იწვევს...

ამ გმირი ქალებიდან ბევრი დაიღუპა და სიცოცხლე შესწირა სამშობლოს... მაგრამ მათ დაამტკიცეს, თუ რამდენი სიცრუე იყო იმათ სიტყვებში, ვინც ქალის განათლების წინააღმდეგი იყო და ახლა, როგორც ცნობილია, ამ ქალების წყალობით ქალთა განათლების საქმე უდაოდ მოგებულია:

. Дело прочно,
Когда под ним струится кровь!... [77]

აქამდე არავინ არ იცოდა, თუ რამდენი ჭეშმარიტი გმირობა უნდა გამოეჩინათ ამ ქალებს სამშობლოს წინაშე, რომ თავიანთი ვალი მოეხადათ ბრძოლის ველზე და ჰოსპიტალებში... შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ქალი, რომელიც უანგაროდ წირავდა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს დაჭრილების ტანჯვის შემსუბუქებას, უკიდურეს შემთხვევაში, შეურაცხყოფისაგან, ცილისწამებისაგან და სიცრუისაგან მაინც იქნებოდა დაზღვეული. ქალი ხომ ფულისათვის არ მიდიოდა ომში, რა უნდა მიეცა მისთვის წითელ ჯვარს? არც დიდებისათვის მიდიოდა, რადგან ყველა უცნობი დარჩა, არც ჯილდოსათვის, რადგან ჯილდო არც სჭირდებოდა და მიუწვდომელიც იყო მისთვის... მაშ რა მიიღეს მათ?

წაიკითხეთ „ობზორის"[36] დღევანდელ ნომერში უბედური კ. ს. ნეკრასოვის წერილი[78], რომელიც გადმოვბეჭდეთ „მოსკოვსკი ობოზრენიედან" [79] და თქვენ დაინახავთ, თუ რამდენი სიმწარის ვადატანა მოუხდათ ამ ქალებს და რა ადამიანებთან ჰქონდათ საქმე!..

ხედავდე ყოველდღე თავგანწირულ ქალიშვილს, დახრილს დაჭრილი ჯარისკაცების სასიკვდილო სარეცელზე, ხედავდე რამდენი ზნეობრივი ტანჯვის გადატანა უხდებოდათ მათ ამ ჯარისკაცთა ტანჯვის ყურების დროს, რომელთა დანახვაზე ამ სტრიქონების ავტორს, მამაკაცს და ისიც ჯანმრთელ მამაკაცს, დაუკარგავს გრძნობა, ხედავდე ყოველივე ამას, ვამბობ მე და მიეძალო ასეთ ქალიშვილს ეროტიული წინადადებებით, ამისათვის ცოტაა იყო „ეშმაკი", როგორც ამას უბედური ნეკრასოვა ამბობს, — ამისათვის უბრალო ცხოველი უნდა იყო.

და აი როგორი ფორმით წარმოგვიდგებიან ის ადამიანები, რომლებიც ყვიროდნენ ზნეჩვეულებათა გარყვნაზე იმის გამო, რომ ქალი ისწრაფვოდა ესწავლა რამე მხოლოდ იმისათვის, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა კეთილსინდისიერი და უანგარო სამსახური გაეწია რუსი ხალხისათვის!

60. ქალბატონ ზასულიჩის გამართლება

თბილისი, 4 აპრილი.

მსაჯულთა სასამართლოს მიერ ქალბატონ ზასულიჩის გამართლება, რომელსაც ბრალად ედება პეტერბურგის პოლიციის უფროსზე, გენერალ ტრეპოვზე თავდასხმა და რომელიც დანაშაულის ადგილზე შეიპყრეს, იმის ღირსია, რომ ყურადღება მიაქციოს მთელი რუსეთის მოაზროვნე ადამიანებმა. მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა თუ ამ ამბავს ისე მივაქცევთ ყურადღებას, როგორც სასამართლო კურიოზს ან როგორც ტრაგიკული საქმის მოულოდნელ სიურპრიზს. თავის მნიშვნელობით ეს ფაქტი სცდება იურიდიული შემთხვევის ჩარჩოებს და მთლიანად იჭრება თანამედროვე რუსეთის წმინდა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ საკითხთა სფეროშიც კი. სწორედ ამ თვალსაზრისით გვინდა მივაქციოთ ჩვენი მკითხველების ყურადღება ამ საკითხს.

ჩვენი სასამართლო რეფორმის იურიდიულ მატიანეს მხოლოდ ერთი პრეცედენტი ახსოვს ამგვარი გამართლებისა, ეს შემთხვევა ეხება უბედურ პროტოპოპოვს, რომელიც ბისმა უშუალო უფროსმა თავის უსამართლობით იმ საკალალო აუცილებლობამდე მიიყვანა, რომ სამსახურეობრივი მოვალეობის აღსრულების დროს ხელი აღმართა მასზე და პირადი შეურაცხყოფა მიაყენა. ცნობილია, რომ პეტერბურგის საოლქო სასამართლომ, რომელიც პროტოპოპოვს ნაფიც მსაჯულთა თანდასწრებით ასამართლებდა, გაამართლა ბრალდებული და ეს მიუხედავად იმისა, რომ პროტოპოპოვი არ უარყოფდა დანაშაულის ჩადენის ფაქტს. ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ მთელმა განათლებულმა რუსეთმა მოიწონა მსაჯულთა, საზოგადოებრივი სინდისის ამ წარმომადგენელთა განაჩენი.

ცხადია, იყო სხვა შემთხვევებიც მსაჯულთა მიერ ბრალდებულის გამართლებისა, რომლის დროსაც თვით ფაქტი „დანაშაულისა" მცირედ ეჭვსაც არ იწვევდა. გაუმართლებიათ ჩვენში ქალები, რომელთაც მოუკლავთ ქმრები, გაუმართლებიათ ქმრები, რომელთაც მოუკლავთ თავიანთი ცოლების საყვარლები და ა. შ. მაგრამ ამ ფაქ-

ტებს არ ჰქონდათ არავითარი პოლიტიკური ან საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ამიტომ ამგვარ ფაქტებს, ამ შემთხვევაში, არ ვიხსენებთ.

რადგან ქალბატონ ზასულიჩის მიერ ჩადენილი „დანაშაულის ფაქტი“ უდაო და ცხადია, მისი გამართლება შეიძლებოდა ისე, როგორც გაამართლეს პროტოპოპოვი, მხოლოდ იმ საპატიო მიზეზების ძალით, რამაც აიძულა ბრალდებული მიემართა პირადი შურისძიებისათვის, როგორც შელახული უფლებების აღდგენის ერთადერთი საშუალებისათვის. ამ შემთხვევაში, რომ „საზოგადოებრივი სინდისის სასამართლოს“ წარმომადგენლები არ შემცდარან საპატიო მიზეზების შეფასებაში და არც შელახული უფლებების მნიშვნელობა გაუზვიადებიათ, გვარწმუნებს იმ სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა ყურადღებით განხილვა, რომელმაც ქალბატონი ზასულიჩი გაასამართლა. მსაჯულთა სია დაიბეჭდა „პეტერბურგის გაზეთში“. ჩვენ ამ სიაში ვერ აღმოვაჩინეთ ვერცერთი პროფესორი, ვერცერთი სტუდენტი, თითქმის არაა არც ერთი ექიმი, არც ერთი ვექილი, ერთი სიტყვით, ჩვენ გაგვაკვირვა იმ ამბავმა, რომ სიაში არ იყო არც ერთი ლიბერალური პროფესიის წარმომადგენელი, რომლებშიც უნდა ვეძებოთ, უპირველეს ყოვლისა, არა მარტო დამოუკიდებელი მრწამსი, არამედ თითქოსდა გაზვიადებული შეხედულებები ადამიანის და მოქალაქის სხვადასხვა უფლებებზე...

სამაგიეროდ ამ სიამ ჩვენ გაგვაკვირვა იმით, რომ მასში, ჯერ ერთი, მრავლადაა წარმოდგენილი სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკები, მეორეც—„სანკტ-პეტერბურგის მეორე გილდიის დროებითი ვაჭრები“, რომლებიც, ამავე დროს, ითვლებიან ან მეშჩანებად, ანდა კოსტრომის, იაროსლავის და ა. შ. გუბერნიების სხვადასხვა თემის გლეხებად. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ იმას, რომ ნაფიც მსაჯულთა ამგვარი შემადგენლობა ყველაზე ნაკლებად შეიძლება დაადანაშაულო პირადი უფლებების შელახვის რაიმე „გადაჭარბებულ გაგებაში“

ამიტომ, თუ კი მსაჯულთა ასეთმა შემადგენლობამ გაამართლა ქალბატონი ზასულიჩი, ამ ამბავში, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავინახოთ ქალბატონ ზასულიჩის უფლებების შელახვის ნამდვილი, მასებისათვის გასაგები ფაქტების სიმრავლე, იმ ფაქტების სიმრავლე, რომლებიც, მის საქმესთან დაკავშირებით, სასამართლო ძიებამ გამოამეღავნა...

ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით როგორია ეს ფაქტები: ამას ჩვენ დაგვანახებს 31 მარტის სასამართლო სხდომის ანგარიში. მაგრამ მარ-

ტო ერთმა ფაქტმა, რომელიც უდაოდ დაიბეჭდა პრესაში და არავის არ უარუყვია, ბატ. ტრეპოვის განკარგულების თანახმად წინასწარი პატიმრობის სახლში პოლიტიკური დამნაშავის ბოგოლუბოვის ფიზიკური დასჯის ფაქტმა, პატიმარისა, რომელიც, სატახტო ქალაქის გაზეთების აზრით, მეტად ძვირფასი ადამიანი იყო ქალბატონ ზასულიჩისათვის, შეიძლება ერთგვარი ნათელი მოჰფინოს იმას, რაც სასამართლო ძიებას შეეძლო გაეხსნა...

მაგრამ რა მრავალმნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს საქმის ეს ბოლო, ჩვენ ჯერ არ გვინდა შევჩერდეთ მასზე. რადგან გვეჩქარება ამ მოვლენის კიდევ უფრო სერიოზულ მხარეს შევეხოთ.

თუ საერთაშორისო ტელეგრაფის სააგენტომ, რომელიც ოფიციალური დაწესებულებაა, აცნობა ყველა პროვინციალურ და, ალბათ, საზღვარგარეთულ გამოცემებს, რომ ქალბატონ ზასულიჩის გამართლებას ოვაციით შეხვდა სასამართლო დარბაზში და ქუჩაში თავმოყრილი ხალხი, მაშინ ამ ცნობაში უნდა დავინახოთ პეტერბურგის მოსახლეობის საერთო სიხარული სასამართლოს გადაწყვეტილების გამო... ეჭვი არაა, საქმე რომ მხოლოდ ახალგაზრდებისა და სტუდენტების თანაგრძნობის გამომხატველ ოვაციებს ეხებოდეს, საერთაშორისო სააგენტო არ დაიწყებდა ლაპარაკს ხალხის „აღტაცებულ ოვაციებზე“. მაშინ ასეთ ტელეგრამას გაგზავნიდა: „რამდენიმე ახალგაზრდა კაცმა სცადა გამოეწვია არეულ-დარეულობა თანაგრძნობის გამოსახატავად“. დამეთანხმეთ, რომ ეს ამბავი შორსაა „ხალხის აღტაცებული ოვაციებისაგან“.

რა ოვაცია უნდა მოეწყო ხალხს ქალბატონ ზასულიჩისათვის? ოვაცია ქუჩაში, რაც გამართა ხალხმა, რომელსაც, ალბათ, სიმრავლის გამო არ შეეძლო თვალყური ედევნებინა პროცესისათვის და კოდნოდა რა გამომჟღავნდა ამ პროცესზე და როგორ გამოიხატა ქალბატონ ზასულიჩის პიროვნება, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მიმართული ყოფილიყო ამ პიროვნებისადმი. ქალბატონ ზასულიჩს ამ ხალხიდან არავინ არ იცნობდა მანამდე, სანამ ქალაქის პოლიციის უფროსს არ ესროლა. იგი არ ეკუთვნოდა ისეთ სახელგანთქმულ ადამიანთა რიცხვს, რომელთა მარტო გამოჩენაც კი ხალხისათვის საყოველთაო ოვაციის დაწყების ნიშანია. ასე რომ, ქალბატონი ზასულიჩი არც თავის პოპულარობით და არც იმ ფაქტების წყალობით, რომლებიც სასამართლოზე გამომჟღავნდა, არ შეიძლება ყოფილიყო ოვაციების ობიექტი. ამიტომ, აუცილებელია მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ 31 მარტს გამართულ ოვაციას ქალბატონ

ზასულიჩის სადიდებელი, დადებითი ხასიათი კი არ ჰქონდა, არამედ მეორე მხარის წინააღმდეგ მიმართული, უარყოფითი მანიფესტაციისა.

მაგრამ რამ გამოიწვია სატახტო ქალაქის მოსახლეობაში ამგვარი მანიფესტაცია?

ამ ყველაზე სერიოზულ და არსებით კითხვას სხვა დროს გავცემთ პასუხს.

67. ომის სისტემის შესახებ მცირე აზიაში

კიურუკ-დარა, 1877 წ. 5 აგვისტო

1

სამხედრო კორესპონდენტის მოღვაწეობაში არის მომენტები, როცა ვიხდება გვერდზე გადასდო გადახდილი ბრძოლების, ადგილმდებარეობის, ზნეჩვეულებების მხატვრული ნარკვევები, რათა ნაჩქარევად გადახედო ომის წარმოების სისტემას და შეაჯამო არა მარტო მოპოვებული შედეგები, არამედ ბევრი დაგროვილი დაკვირვებებიც. მე მგონია, რომ ახლა, მუხტარ-ფაშას ჯარებთან ჩვენი ჯარების გადამწყვეტი შეტაკების წინ, სწორედ ასეთი მომენტი დაგვიდგა. აი, რატომ მინდა გავუზიარო მკითხველს ჩვენი საქმის ეგრეთწოდებული ფილოსოფიური მხარე...

იმ დროს, როცა ევროპულ ომებს იწვევდნენ არა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ნაციონალური ინტერესების დიდი საერთაშორისო შეტაკებები, არამედ კარის იმ დიპლომატების ხრიკები, რომელთაც პომპადურები ხელმძღვანელობდნენ, ომები წარმოებდა კაბინეტებს შორის, რომელთაც ხალხთან საერთო არაფერი ჰქონდათ. ომებს აწარმოებდნენ აღფრთოვანების, სახალხო ენერგიის აღგზნების გარეშე, თითქმის პროფორმის გულისათვის, და ეს ომები ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება შევადაროთ დუელებს, რომელთაც აწყობდნენ სხვისი ღირსების დასაცავად. ასეთი ომების წარმოების სისტემა შეეფერებოდა მათ წყაროს. თავდამსხმელი იჭრებოდა მოწინააღმდეგის საზღვრებში, ჩერდებოდა მისი გაშაგრებული პოზიციების წინ, არტყამდა ამ სიმაგრეებს „სწორ“ ალყას და ამ პოზიციების წინ გარკვეული რაოდენობის მანევრებისა და კონტრ-მანევრების შემდეგ ან თავის სამფლობელოში ბრუნდებოდა, ანდა იღებდა ამ პოზიციებს და საქმეც ამით მთავრდებოდა. ორივე მეომარი მხარე ერთმანეთის წინაშე ან ისეთ პირობით მოძრაობებს ასრულებდნენ თითქოს კადრილს ცეკვავდნენ, ანდა ფეხმოუცვლელად იდგნენ ერთმანეთის წინ და იმაზე კი არ ზრუნავდნენ,

რომ დაესუსტებიათ ან გაენადგურებიათ მტერი, არამედ ცდილობდნენ გადაეწყვიტათ ის წმინდა გეომეტრიული ამოცანები, რომელთა შესწავლამდეც იყო დაყვანილი მთელი მაშინდელი სამხედრო მეცნიერება. მთელი ამ სისტემის ქვაკუთხედი იყო ის აზრი, რომ ომში ყველაფერი დამოკიდებულია „ძლიერ პოზიციებზე და სიმაგრეებზე". ვინც მოასწრო ასეთი სიმაგრეების დიდი რაოდენობით აღება, გამარჯვებულიც ის ითვლებოდა, თუმცა მისი მოწინააღმდეგე ამით სრულიად არ დაუძლურებულა ისე, რომ ომის გაგრძელება აღარ შეეძლოს. ამ აზრს იზიარებდნენ არა მარტო სხვა ქვეყნები, არამედ თითქოსდა დამარცხებული ქვეყანაც, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ შეეძლო კიდევ ერთი წელიწადი გაეწია წინააღმდეგობა, ხელი მოაწერა სამარცხვინო ზავს, რაც ყველაზე მეტად გაუგებარია ჩვენთვის.

ამის გამო წინანდელი ომები, განსაკუთრებით XVIII საუკუნის ომები, იფარგლებოდა მხოლოდ და მხოლოდ ციხეებისა და „ძლიერი პოზიციების" დაცვით, ან ამ პოზიციებისათვის ალყის შემორტყმით. ყოველი სახელმწიფო ცდილობდა აეგო თავის საზღვრებზე უამრავი მეტად თუ ნაკლებად უმნიშვნელო სიმაგრეები, მაგრამ თუ გადმოცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს სიმაგრეები მთელი თვეებისა და წლების მანძილზე აჩერებდა მტრის ჯარს. ამის გამო, ომი თითქმის არასოდეს არ იჭრებოდა ქვეყნის გულში და მიმდინარეობდა მხოლოდ მის შორეულ საზღვრებზე. მაშინაც კი, როცა ციხე მთავარი გზებიდან მოშორებით იდგა, როცა იგი არავითარ გავლენას არ ახდენდა შეტევაზე ან თავდაცვაზე, ალყას მაინც არტყამდნენ და ცდილობდნენ ან ძალით აეღოთ, ანდა შიმშილით დაემორჩილებიათ. ასე გადიოდა თვეები და წლები და ომი მთავრდებოდა ისეთივე უმნიშვნელო მიზეზის გამო, როგორითაც ჩვეულებრივ იწყებოდა.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ ამ სისტემის საფუძველი ისე უაზრო იყო, როგორც XVIII საუკუნის დასასრულის მოვლენებმა დაგვანახა. მიზეზი, რის გამოც ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სიმაგრეებს და გამაგრებულ პოზიციებს, ის იყო, რომ უწინ ყოველ ჯარს, რომელიც იჭრებოდა მტრის საზღვრებში, უნდა უზრუნველყო თავის თავი საკვებით და ყოველგვარი სახის მარაგით. მტრის ახლოს ასეთი მარაგის დიდი რაოდენობით შენახვა შეიძლებოდა მხოლოდ გამაგრებულ პუნქტებში. და რადგან ჯარს, რომელიც წინ მიიწევდა, შეეძლო მხოლოდ ერთი კვირის მარაგი ჰქონოდა, ამიტომ ნელნელა გამომუშავდა წესი, რომლის თანახმადაც „არავითარი საბაბით არ შეიძლება დაშორდე 5 დღის სავალზე მეტი მანძილით იმ

გამაგრებულ პუნქტებს, სადაც მოწყობილია ჯარის სასურსათო მაღაზიები". ხოლო თუ აუცილებელი იყო წინსვლა, სანამ წინ დაიძვრებოდნენ, ჯარს უნდა აეგო ახალი გამაგრებული პუნქტი, მოეთავსებია მასში თავის მაღაზიები და ამის შემდეგ დაძრულიყო წინ იმავე 5 დღის სავალზე. ამგვარად, ჯარი დამოკიდებული იყო თავის სასურსათო მაღაზიებზე, ე. ი. სიმაგრეებზე და თუ მათ მეტისმეტად დასცილდებოდნენ, შეიძლება შიმშილით მომკვდარიყვნენ. აი, ამის გამო, სრულიად ბუნებრივი მისწრაფების გამო — უზრუნველეყოთ სურსათით თავიანთი ჯარები, იქმნებოდა გაზვიადებული შეხედულება სიმაგრის მნიშვნელობაზე. ის, რაც საშუალება იყო, დროთა განმავლობაში მიზნად იქცა, და მიზნად იქცა იმ შემთხვევაშიც კი, როცა ამგვარი საშუალება საჭიროებას აღარ წარმოადგენდა.

გამოდიოდნენ რა იმ აზრიდან, რომ გამაგრებული პუნქტები და ციხეები პოზიციები წარმოადგენს ომის არსებით მიზანს, გასული საუკუნის სტრატეგები მიზნად ისახავდნენ გადაეწყვიტათ ამოცანა, თუ რა გზით შეიძლება ამ პუნქტების უფრო იოლად აღება. გაყავდათ რა თავიანთი საზღვრებიდან წარმოდგენით შექმნილი ხაზები ამ პუნქტებამდე, ისინი ხაზავდნენ გეომეტრიულ ფიგურებს და ეძებდნენ საკითხის გადაწყვეტას გარკვეული პუნქტისაკენ ჯარის უკეთესი მიმართულებით გაგზავნის განსაზღვრაში. ფიგურები, ცხადია, ძნელად ამოსახსნელი გამოსდიოდათ: რუკაზე იხაზებოდა უამრავი სამკუთხედები, დიაგონალები, ტრაპეციები, პარალელური, თანამთხვევი, განშლადი ხაზები და ა. შ. მაგრამ არავინ არ ეკითხებოდა თავის თავს, ვინ იმოძრავებს ყველა ამ ხაზებზე, სად უნდა გამონახონ ძალა, რომლის სამოძრაო მიმართულებას ასე გულმოდგინედ სწავლობენ...

საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ, რომელმაც გამოიწვია გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და საერთო ინტერესების შეჯახება, ვიდრე კარის ხასა ქალების ინტრიგები იყო, თავის ომებით თავდაყირა დააყენა გასული საუკუნის მთელი ომის სისტემა. შეიტანა ომში პოლიტიკური და ნაციონალური გრძნობები და სამხედრო საქმეო დააინტერესა მანამდე უჩინარი ურდოები. თავისუფალი იყო რა ყოველგვარი ცრუ შეხედულებებისაგან და წინასწარ შექმნილი ახრისაგან, რევოლუციამ სამხედრო საქმეში გამოიყენა არა მარტო ერის მთელი ცოცხალი ძალა, არამედ მეცნიერების ყველა მიღწევა და გამოგონება და ამით კვლავ დაუბრუნა ომს მისი ძველი დამაბგრეველი და დაუნდობელი ხასიათი. გრძნობდა რა საკუთარ ძალებს, მან არაფრად არ ჩასთვალა პირველი წარუმატებლობანი, მტრის მი-

ერ მცირე სიმაგრეების აღება და პირველმა წამოაყენა თანამედროვე სამხედრო მეცნიერების პრინციპი „ვინც უკიდურესად დაუძლურებული არაა, იგი ჯერ კიდევ დამარცხებული არაა“. საფრანგეთმა შეკრიბა უამრავი მეომარი, სასწრაფოდ მოამზადა ომისათვის და არა საპარადოდ, აღაფრთოვანა გამარჯვების რწმენით და გაათავისუფლა სასურსათო მაღაზიებზე დამოკიდებულებისაგან. საფრანგეთმა აირჩია რეკვიზიციის სისტემა, ან უფრო სწორედ, გაბაზოგადა ეს სისტემა და ამით თავის ჯარს წინსვლისა და იმ ცენტრამდე სწრაფად მისვლის საშუალება მისცა, სადაც მოწინააღმდეგე ქვეყნის გული სცემს. მუყაოს სიმაგრეების წინ ადრინდელი პირობითი მეწუეტების კეთების ნაცვლად, საფრანგეთის ჯარები მტკიცედ მიიწევდნენ წინ და უწინდებურად ამა თუ იმ სიმაგრის აღების წვრილმანი მიზნებით კი არ ხელმძღვანელობდნენ, არამედ გრანდიოზული ამოცანებით — ერთბაშად აიღონ, ანდა ერთი დარტყმით გაანადგურონ მტრის შეიარაღებული ძალები, ან დაიკავონ მოწინააღმდეგე ქვეყნის ისეთი ცენტრალური პუნქტები, რომელთა დაკარგვის შემდეგ მას წინააღმდეგობის გაწევის საშუალება აღარ ექნება.

რეკვიზიცია საშუალებას აძლევდა ფრანგებს გამოეკვებათ თავი იმ ქვეყნის სურსათით, სადაც ომობდნენ. ამიტომ საკომუნიკაციო ხაზებმა, რაც პირველხარისხოვან როლს თამაშობდა ადრინდელ ომებში, დაკარგა თავის მნიშვნელობის დიდი ნაწილი. ახლა ეს ხაზები საჭირო იყო მხოლოდ ნადავლის, ყუმბარების, აღჭურვილობის მისატანად და რეზერვის მისაყვანად ბრძოლის ველამდე. შეიძლებოდა მათი დაკარგვაც რამდენიმე ხნის განმავლობაში, ყოველ შეტთხვევაში უფრო ადვილად დაიწყეს მათი შეცვლა, ვიდრე მაშინ, როცა მათ ამაგრებდნენ ყოველ ხუთი-ექვსი დღის სავალზე. გარდა ამისა, შემსუბუქდა ჯარის აღალი, ე. ი. ჯარი უფრო მსუბუქი და მოძრავი გახდა. ნაცვლად ადრინდელი 10-15-20 ვერსისა, ჯარის ახალი ნორმალური სვლა 40 ვერსს უდრიდა, ეს ისეთი სიჩქარეა, რომელსაც ვერასოდეს ვერ მიაღწევს ვერცერთი არმია, თუ მას თან მიაქვს მთელი თავისი ფურაჟი და სურსათი. ამ მხრივ შემსუბუქებულმა ჯარმა დაიწყო ფლანგობრივი და შემოვლითი მოძრაობა, რაც არც კი დაესიზმრებოდათ რევოლუციამდელ ჯარებს. და ამ სწრაფი, შეუმჩნეველი მოძრაობის წყალობით, მტრის მთელი არმიები ან ტყვედ ვარდებოდნენ, ანდა სასტიკად მარცხდებოდნენ, და მთელი სახელმწიფოს ბედი წყდებოდა ორ-სამ თვეში, მაშინ როცა უწინ მონტეკუკულები და ტიურენები რამდენიმე წელს ანდომებდნენ რომელიღაც საშუალო სიმაგრის აღებას.

ამ ახალი მეთოდების შემოღებამ რევოლუცია მოახდინა სამხედრო ხელოვნებაში. XVIII საუკუნის „ძლიერი პოზიციების“ სისტემამ მალე დაუთმო პირველობა „მარშ-მანევრების“ ახალ სისტემას და ომები, რომელთა ადრინდელი მიზანი ძლიერი პოზიციების აღება იყო, მოწინააღმდეგე ქვეყნის ბოლომდე გამოფიტვის საშუალებად იქცა. ამის გამო, ომი, რომელიც უფრო სწრაფი და სასტიკი გახდა, ვიდრე ადრე იყო, გახდა, აგრეთვე, მეომარი ერებისათვის ბევრად უფრო ხანმოკლე და ნაკლებად დამღლელი. ის, ვინც კარგავდა ძალას, იგებდა დროს, ხოლო საერთო ჯამში მეომარი მხარეების მრეწველობა და მოსახლეობა მოგებულნიც კი რჩებოდნენ ომის ასეთი ტკიცე წარმოებით.

აი, განსხვავება, მეტისმეტად ზოგად ხაზებში, გასული საუკუნის ომებისა და ჩვენი საუკუნის ომების სისტემებს შორის. ამ პარალელს მე შევეხე არაპირდაპირი მიზნით, რათა ორივე ეს სისტემა მიუყენო ჩვენს ომს აზიაში. სწორედ ამ საკითხზე გადავალ ახლა.

თავისთავად ცხადია, რომ ევროპული ომების პრაქტიკიდან გამოყვანილი წესები არ შეიძლება მთლიანად მიუყენოთ აზიურ ომს. ომი ხომ არაა აბსტრაქტული ამოცანა, რომელიც წყდება „დროისა და სივრცის გარეშე“. ევროპული ომების სისტემები გამომუშავდა ევროპული ცხოვრების პირობების შედეგად. საფრანგეთს მხოლოდ ევროპული მრეწველობის განვითარებამ მისცა შესაძლებლობა გამოემუშავებია ფრანგული, ომის წარმოების თანამედროვე სისტემა, რომელიც შეუძლებელი და დამღუპველი იქნებოდა საფრანგეთისათვის XVII და XVIII საუკუნეშიც კი. მაგალითად, მიუხედავად რეკვიზიციის სისტემის ყველა კარგი თვისებისა, ახლა ამ სისტემასაც ნაპოლეონ I-იც ვერ გამოიყენებდა ქვიან არაბეთში, ანდა სახარის ქვიშიან ტრამალებში იმის გამო, რომ აქ სარეკვიზაციო არაფერია, გარდა ისეთი მოუნელებელი ნივთიერებებისა, როგორიცაა ქვა და ქვიშა. ამიტომ, როცა ჩვენ ვმსჯელობთ აზიურ ომზე, მიზნად უნდა დავისახოთ ასეთი კითხვა: ომის წარმოების თანამედროვე ევროპული სისტემიდან რომელი გამოდგება მცირე აზიის ომისათვის და რომელი უნდა შევცვალოთ რაიმე სხვა სისტემით. შეეხო ამ საკითხს, თუნდაც ზერელედ, მით უფრო საინტერესო და აუცილებელია, რომ მას თითქმის არავინ არ შეხებია არც ყველასთვის ხელმისაწვდომ და, რამდენადაც მე ვიცი, არც სპეციალურ სამხედრო ლიტერატურაში.

მცირე აზიის ბრძოლის ველის ევროპის ბრძოლის ველთან შედარება არაფრით არ შეიძლება. ბალკანეთის ბრძოლის ველზეც კი,

რომელიც ბევრად ჩამორჩა სხვა ევროპულ სახელმწიფოებს, ომის წარმოებისათვის ათასჯერ უკეთესი პირობებია, ვიდრე მცირე აზიის ველზე. სომხეთის ერთიანი მაღლობი, რაც ბრძოლის ველს წარმოადგენს, ზღვის დონიდან 5.000-დან 7.000-ს ფუტამდე აღმართული ზეგანია. მარტო ეს გარემოებაც კი ცხადად მეტყველებს, თუ როგორი უნდა იყოს ამ მხარის მწარმოებლობა. ეს მხარე, რომელიც მეჩხერადაა დასახლებული საცოდავი, უმეცარი, გაღატაკებული ხალხით, არა თუ წარმოებას, ვაჭრობასაც კი არ იცნობს და ძლივს აწარმოებს იმდენს, რამდენიც საჭიროა მისი მოსახლეობის გამოსაკვებად. ის, რაც მათ რჩებათ, ხანგრძლივი დროის მანძილზე ერთ სრულ ფეხოსან დივიზიასაც ვერ გამოკვებავდა. აქ არ არსებობს არავითარი გზები გარდა იმ გზებისა, რომლებიც გაჰყავთ არაბებს და საპალნე აკიდებულ ცხოველებს ამ უსწორმასწორო დაბლობის ველებსა და ბორცვებზე. აქ კვალიც კი არ მოიპოვება ხიდებისა, მიწაყრილებისა, სანგრებისა და სხვა ხელოვნური ნაგებობებისა. ადგილობრივი მცხოვრებლების სახლი სხვა არაფერია თუ არა მიწური. ამ სახლებში თვითონ მაცხოვრებლებიც ვერ ეტევიან. ჯარის აქ დაყენებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ერთი სიტყვით, ყველა იმ სიკეთიდან, რასაც ევროპის ჯარს იმ ქვეყნის მოსახლეობა აძლევს, სადაც ომის წარმოება უხდებათ, მცირე აზიის ბრძოლის ველს შეუძლია მისცეს შხოლოდ გადასაზიდი საშუალებები: ხარები და კამეჩები, გარდა ამისა მცირეოდენი ხორბალი, ქერი, ალიზი და დასაკვლელი საქონელი. ეს კი, ალბათ, ძალზე ცოტაა იმისათვის, რომ აქ მთლიანად გამოიყენო რეკვიზიციის სისტემა.

ამიტომ ისმება ასეთი კითხვა: თუ კი მცირე აზიაში სრულიად არ არსებობს ის, რაც თანამედროვე ომის სისტემის ქვაკუთხედია, მაშინ ხომ არ გამოდის აქედან ის დასკვნა, რომ მცირე აზიაში ომი უნდა წარმოებდეს XVIII საუკუნის ჩვევების და წესების მიხედვით? იქნებ ამ შემთხვევაში საჭიროა ძლიერ პოზიციებზე პირობითი შეტევა და წინსვლა მხოლოდ მას შემდეგ, როცა საკომუნიკაციო ხაზები გამაგრებული იქნება უამრავი გამაგრებული პუნქტებით და მოხერხებული პოზიციებით?

ამგვარ კითხვებზე მართებული პასუხი, ალბათ, ასეთი იქნება: „დიახ, საჭიროა". მაგრამ შევეცდებით უფრო ღრმად ჩავწვდეთ საკითხს.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ჩვენს მსჯელობაში მცირე აზიის ომზე, უკვე დავკარგეთ იმის უფლება, რომ ყველაფერი გონებით ჰვრეტის საფუძველზე ავაგოთ და მხოლოდ ვარაუდით

ციხელმძღვანელოთ. ჩვენ საქმე გვაქვს ბრძოლის ველთან, რომელზეც აგერ უკვე მესამედ მოქმედებს ჩვენი ჯარები. ჩვენ არა გვაქვს უფლება დუმილით აუაროთ გვერდი 1828-1829 და 1853-1856 წლების „გამოცდილებას". აღარაფერს ვამბობთ მიმდინარე წლის გამოცდილებაზე. თუ ჩვენ გვინდა ჩვენი შეხედულებები და მსჯელობა ავაგოთ მტკიცე საფუძველზე და არა ქვიშაზე, მაშინ ნაწილობრივ მაინც უნდა ვისესხოთ ამ გამოცდილების მითითებანი.

უდაოა, რომ ყველა ამ გამოცდილებიდან ყველაზე საინტერესოა, ყოველ შემთხვევაში დღევანდლამდე, 1828-1829 წლების გამოცდილება. პასკევიჩის სამხედრო ტალანტი, რამაც ღრმა კვალი დასტოვა ჩვენთვის ამ ახალ ბრძოლის ველზე, აქამდე გვაწვდის ბევრ ჭკუის სასწავლებელ მასალას. ვეხები რა მის მოქმედებას, მე არ ვიქნები ბანალურად გაკვირვებული მისი წარმატებებით და არ დავიწყებ ორატორობას იმ თემაზე, რომ მან 14.000 კაცით გაანადგურა მოწინააღმდეგის ასი ათასიანი არმია: ყველაფერი ეს ჩემს პროგრამაში არ შედის. აქ მე შემოვიფარგლები მხოლოდ მისი სტრატეგიის იმ ხერხების განხილვით, რომლებიც მან პირველად გამოიყენა მცირე აზიაში.

ცხადია, პასკევიჩს, რომელიც მცირე აზიაში შეიჭრა ევროპული არმიით, თავის თავისათვის უნდა დაესვა კითხვა: შეიძლება თუ არა ბრძოლის ახალ ველზე სამხედრო ხელოვნების თანამედროვე პრინციპების, „მარშ-მანევრების" პრინციპების გამოყენება, თუ უნდა გამოეყენებია „ძლიერი პოზიციების" და სურსათით მაღაზიური სისტემით მომარაგების ძველი ხერხები. ეტყობა, მან პირველივე განკარგულებებით, ჯერ კიდევ გუმრში (ალექსანდრეპოლში), დაარღვია ახალი მოძღვრების ერთ-ერთი ძირითადი დოგმატი: ჯარის სიმსუბუქე და მოქნილობა. მისი რაზმი დამძიმებული იყო 2.000-ზე მეტი ოთხთვალათი და ურმით და ასეთივე რაოდენობის მსხვილფეხა საქონლით, გარდა 12.000 სასაპალნე, შესაბმელი და საჯდომი ცხენისა. მთელი მისი ოცი ათასიანი არმია ძლივს კმაროდა იმისათვის, რომ გვარიანად დაეცვა ასეთი დიდი აღალი, რაც ევროპაში საკმარისი იქნებოდა სამჯერ და ოთხჯერ უფრო ძლიერი არმიისათვის.

მაგრამ პასკევიჩმა ეს მნიშვნელოვანი დოგმატი მხოლოდ იმის გამო დაარღვია, რომ შეენარჩუნებია ამავე სისტემის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი დოგმატი, რითაც ანთავისუფლებდა თავის ჯარს „ყმური დამოკიდებულებისაგან" და აძლევდა შესაძლებლობას ისე ეწარმოებია მარშ-მანევრები, რომ არ ეზრუნა მხოლოდდამხოლოდ თავის საკომუნიკაციო ხაზების დაცვაზე. ვალდებული იყო რა და-

ეცვა ჩვენი საზღვრები რამდენიმე ასეული ვერსიის მანძილზე და ყავდა რა ამისათვის სასაცილომდე მცირერიცხოვანი ჯარი, მას უნდოდა ყოველ წუთს მზად ყოფილიყო დასმარებოდა საფრთხეში მყოფ პუნქტს ფოთიდან ბაიაზეთამდე. მას რომ მოესურვებია თავის საკომუნიკაციო ხაზების გამაგრება, თვითეულ გამაგრებულ პუნქტში 200-300 კაცზე მეტს ვერ დასტოვებდა, რითაც სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა მტერს. ამიტომ, აზიის ბრძოლის ველზე იგი იყენებს თანამედროვე ომის სისტემის ყველა სხვა ელემენტს. აიღო რა შემთხვევით და მოულოდნელად ყარსი, მანამდე სანამ კიოსსა-მუჰამედმა მოასწრო დამხმარე ძალების მოყვანა ერზრუმიდან, და დაინახა რა, რომ ეს ფაშა არდაგანის გავლით ახალციხეს ეცა, პასკევიჩმა მაშინვე მიატოვა თავის საკომუნიკაციო ხაზი (ყარსი-ალექსანდრეპოლი) და განახორციელა სამხედრო ისტორიაში ცნობილი ფლანგიდან შემოვლა ჩალდირის გზით ახალქალაქისა და ახალციხისაკენ. ამ შემოვლით პასკევიჩის არა მარტო საკომუნიკაციო ხაზი შეიცვალა, არამედ მისი საოპერაციო მიმართულებაც და თვით ბაზისიც: შემდგომი მოქმედებისათვის მას მარაგი და ძალები გუმრში კი აღარ უნდა ეძებნა, არამედ გორში და თბილისში. ხოლო ეს ახალი ხაზები არც ისე უხიფათო იყო: მოწინააღმდეგე იდგა ბორჯომის ხეობაში, ეჭირა ახალციხე და ახალქალაქი, და შეეძლო შეეკრილიყო ბორჩალოში, რომლის თათარი მოსახლეობა ჩვენთვის საეჭვოთ იყო. აიღო რა იოლად ახალქალაქის სიმაგრე და შემდეგ ხერთვისის ციხე, პასკევიჩი ახალქალაქს მხოლოდ მაშინ მიადგა, როცა ამ სიმაგრის კედლებთან კიოსსა-მუჰამედი გამოჩნდა. მაგრამ მან ალყა კი არ შემოარტყა სიმაგრეს, როგორც ამას მოითხოვს XVIII საუკუნის წესები, არამედ შემოიფარგლა სიმაგრიდან ჩრდილოეთით განლაგებული 30.000 კაცის წინააღმდეგ მოქმედებით.

2

ადგილმდებარეობა შესაძლებლობას არ აძლევდა პასკევიჩს შემოევლო მტრის ჯარისათვის, რომელიც მარცხენა ფლანგით მიუვალ მთებს ეყრდნობოდა, ხოლო მარჯვენათი — ახალციხის სიმაგრეს. ამიტომ, პასკევიჩი იძულებული იყო შეეტია ფრონტიდან, რასაც არ შეეძლო მიეცა, და არც მიუცია არავითარი შედეგები. როგორც ცნობილია, ბრძოლა გრძელდებოდა გარიყრაჟიდან საღამოს 5 საათამდე. მაგრამ პასკევიჩმა დროზე გამოასწორა თავისი შეცდომა: მან გადაწყვიტა მთელი ძალებით დაერტყა მტრის მხოლოდ მარჯვე-

ნა ფლანგისათვის, ე. ი. შეიჭრა მოწინააღმდეგესა და სიმაგრეს შორის. დაინახა რა თავის თავი მთებზე მიჭყლეტილი და ეშინოდა რა მთლიანად არ მოეწყვიტათ არა მარტო სიმაგრიდან, არამედ უკან დასახევი გზიდანაც, კიოსსა-მუჰამედმა უკან დაიხია. მაშინ პასკევიჩმა აღარ მისცა მას ფრონტის შეცვლის საშუალება, გადათელა მისი ჯარის რიგები და მტერი გააქცია. ხოლო კავალერიამ, რომელიც წინასწარ განალაგეს უკან დასახევ გზაზე, პოსხოვ-ჩაის მარჯვენა ნაპირზე, საბოლოოდ გაფანტა გაქცეულები. სახმელეთო ჯარების განადგურების შემდეგ სიმაგრის აღება ძნელი აღარ იყო.

პასკევიჩის შემდეგი, 1829 წლის კამპანია არა ნაკლებ ჭკუის სასწავლებელი მაგალითია არა მტრის პოზიციების, არამედ მტრის ჯარის წინააღმდეგ მოქმედებისა. მოიმარაგა რა ლაშქრობისათვის ყველაფერი, რაც კი აუცილებელი იყო, პასკევიჩი 31 მაისს არდაგანიდან გავიდა და 10 ივნისისათვის მთელ თავის ჯარს თავი მოუყარა კოტანლიში (14.400 ფეხოსანი, 5.800 ცხენოსანი და 70 ქვემეხი), რითაც თითქმის დაუცველი დასტოვა ახალციხეც, ყარსიც, არდაგანიც და ბაიაზეთიც. 13 მაისს პასკევიჩი გენერალ ბურცევს გზავნის გაკკი-ფაშას წინააღმდეგ, რომელსაც ეჭირა აუღებელი პოზიციები ბელი-დიუზში; თვითონ კი შემოვლას აწარმოებს. ბარდუსის მახლობლად, სოღანლი-დაგას* მეორე ნაპირზე, იგი თავის აღალს დაელოდა და 17 ივნისს ფარდულში დაამარცხა ოსმან-ფაშას რაზმი. მეორე დღეს დაამარცხა მეორე, კაინლში განლაგებული რაზმი. 19 მაისს თავს დაესხა ერზრუმის სერასკირს ზაგინში და გააქცია. ხოლო როცა მას ზივინში მისდევდა, დაიკავა თურქების მთავარი ბანაკი. 20 ივნისს პასკევიჩმა ზურგიდან მოუარა, მელი-დიუზთან, გაკკი-ფაშას და გაანადგურა მისი ოციათასიანი არმია, თვითონ ფაშა კი ტყვედ წამოიყვანა. ხოლო შემდეგ, ისევ მტრის სახმელეთო ჯარების განადგურების მერმე, მისთვის ძნელი აღარ იყო ჰასან-კალას და ერზრუმის სიმაგრეების აღება, რომლებიც აიღო კიდეც თოფის გაუსროლელად.

პასკევიჩი, ალბათ, ვერ შესძლებდა ასეთი სანიმუშო და შორე-

---

* საჭიროდ მიმაჩნია გამოვარკვიო — რატომ კერძოდ პასკევიჩი დაიძრა სოღანლუღით უაღალოდ: სამხედრო მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი დებულება ამბობს, რომ არც აღალი და არც არტილერია არ უნდა გაეყოლია ისეთ ხევებში, რომელთა ორივე გამოსასვლელი დაკავებული არა აქვს ჩვენს ჯარებს და დაზღვეული არაა თავდასხმებისაგან. ამიტომ პასკევიჩმა ჯერ ჯარით გაიარა ყველა ხევი, დაიკავა ორივე გამოსასვლელი, გამაგრდა, შემდეგ კი წინ დაძრა თავისი აღალი...

ული ლაშქრობების განხორციელებას სასურსათო მაღაზიებზე და გამაგრებულ პუნქტებზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული. მეორეს მხრივ კი, ალბათ, მისი მცირე რაზმის უზარმაზარი აღალი, ხელს არ უშლიდა მას განეხორციელებია საოცრად სწრაფი გადასვლები...

ახლა გავაკეთოთ დასკვნები: პასკევიჩმა, რომელმაც მცირე აზიის ბრძოლის ველზე პირველმა გამოიყენა სამხედრო ხელოვნების თანამედროვე წესები, აუცილებლად მიიჩნია მცირე აზიაში დაემახსოვრებია ისიც, რაც ევროპაში ყველა სამხედრო პირისათვის ცნობილია. კერძოდ ომის დროს პოზიციები და სიმაგრეები კი არაა არსი და მიზანი, არამედ მტრის ჯარები. იგი ცდილობდა მოეწყვიტა ჯარები სიმაგრეებიდან, ცდილობდა შებმოდა ველზე, შებმოდა ცალ-ცალკე და გაბედული და სწრაფი მოქმედებით გაერთიანების საშუალებას არ აძლევდა მათ. სიმაგრეები კი თავისთავად ეცემოდნენ მის წინ ამის შემდეგ.

მე მგონია, რომ ეს გაკვეთილი, რომელმაც მე მიმიზიდა ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი დიდი მხედარმთავრის მოქმედებიდან, ღირსია ყურადღებით, საფუძვლიანად შესწავლისა და მიბაძვისა. მაგრამ აქ მე პატარა გადახვევა უნდა გავაკეთო.

სამწუხაროდ, ბევრი ჩვენგანისათვის მეცნიერების საერთო პრინციპები სუსტადაა გამოყოფილი იმ დეტალებისაგან და კერძოობითისაგან, რომლებიც ეხება მხოლოდ ამ პრინციპების გამოყენებას არსებულ ვითარებაში. ამიტომ, პრინციპები ერწყმის გამოყენებებს და ახალ ვითარებაში ძნელად რომ ვინმეს შეეძლოს არსის გამოყოფა შემთხვევითი ფორმისაგან, რაც ერთხელ უკვე გამოიხატა სულ სხვა ვითარებაში. როდესაც, ისეთი პრაქტიკოსების წრეში, რომლებიც არ იცნობენ თეორიას, გამოჩნდება კაცი, რომელიც ცუდად იცნობს პრაქტიკას და როცა ეს თეორეტიკოსი შეიტანს ამ წრეში თავის ისეთ თეორიებს, რომელთა გამოყენება არ შეიძლება, ბაშინ, რა თქმა უნდა, წარმოიშობა თეორიისადმი უნდობლობა... წარმოიდგინეთ მექანიკოსი, რომელმაც ბრწყინვალედ შეისწავლა ნევის წყლის წისქვილების თეორია და წინადადებას იძლევა ავაგოთ ასეთივე წისქვილი თერგზე. თუ იგი არ გამოყოფს თავის თეორიის ერსს იმ ფორმისაგან, როგორიც მას აქვს ნევაზე, რომელიც მდორედ და თანაბრად მოედინება და დონეს ცოტათი იცვლის, მაშინ, ცხადია, მის წისქვილს თერგის პირველივე ნაკადი წაიღებს. ხალხი სიცილს დაიწყებს, აბუჩად აიგდებს მეცნიერებას და თეორიებს. მაგრამ ნიშნავს კი ეს, რომ ჰიდროტექნიკის პრინციპები ჩვენში არ გამოდგება, ანდა საერთოდ სწორი არაა? გამოჩნდება მეორე მე-

ქანიკოსი, რომელსაც ეცოდინება რა კარგად ეს პრინციპები, გაითვალისწინებს მდინარის სწრაფ დინებას, მისი კალაპოტის ცვალებადობას, მისი დონის სწრაფ მერყეობას და წისქვილს ხიმინჯებზე კი არ ააგებს, არამედ ბორანზე. და ხალხი, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ აბუჩად იგდებდა მეცნიერებას, გაკვირვებისაგან პირს დააღებს და ისევე უაზროდ დაიწყებს ტაშის ცემას, როგორ უაზროდაც უსტვენდა ამას წინათ.

ასეთი კაზუსები ზოგჯერ სამხედრო პრაქტიკაშიც შესაძლებელია. არსებითად ომის წარმოების კანონები, რომლებიც ნელ-ნელა ამოაქვთ ისტორიიდან გამოცდილების მეშვეობით, საერთოა ყველა საუკუნისათვის, ხალხისათვის და ადგილისათვის. მაგრამ მსგავსად ეკლებლივ ყველა მეცნიერული კანონისა, სხვადასხვაგვარ გარემოებათა შერწყმის დროს, ეს კანონები სხვადასხვა ფორმაში ვლინდებიან და ხშირად საწინააღმდეგო შედეგებს იძლევიან... მათი მნიშვნელობის ბრმად უარყოფა ისევე უაზროა, როგორც მათი ბრმად გამოყენება შეუფერებელ ფორმაში, ისეთ სფეროში, სადაც მათი სწორად გამოყენება თხოულობს ფორმის გარკვეულ შეცვლას.

პასკევიჩის მაგალითი, რომელიც ზემოთ მოგიყვანეთ, თვალსაჩინოს ხდის, თუ რა აუცილებელია ზოგჯერ ფორმის უგულველყოფა არსის ცხოვრებაში გასატარებლად. ხოლო სამხედრო საქმეზე თანამედროვე თვალსაზრისის არსი ისაა, რომ ომის მიზანი უნდა იყოს მტრის დაუძლურება მისი შეიარაღებული ძალების განადგურებით. რაც განსხვავდება წინანდელი თვალსაზრისისაგან, რომლის მიხედვითაც ომის მიზანი მოწინააღმდეგის პოზიციების დაკავება იყო. პასკევიჩს რომ ახალი თვალსაზრისი, რეკვიზიციის სისტემა ზუსტად გამოეყენებია მცირე აზიაში, მაშინ მისი ჯარები უეჭველად დაიხოცებოდნენ შიმშილით. ფორმა გადარჩებოდა არსის საზიანოდ. პასკევიჩმა კი, რომელმაც იცოდა ახალი ომის თეორია, ყურადღებით შეისწავლა ის სფერო, სადაც ამ თეორიის გამოყენება მოუხდებოდა და გაიაზრა რა ვითარება, ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია.

მეორეს მხრივ, ჩვენი სამხედრო თვალსაზრისის გამომუშავებაზე გავლენა მოახდინა ცალმხრივმა სამხედრო პრაქტიკამ. ჩვენ არ ვყოფილა შემთხვევა მონაწილეობა მიგვეღო ნამდვილ ევროპულ ომებში. ჩვენი საბრძოლო განათლება აქამდე მთიელებთან შეჯახებით იფარგლებოდა და ძალიან ცოტას ჰქონია შემთხვევა ებრძოლა თუნდ ცუდად დისციპლინირებულ და კიდევ უფრო ცუდად ნახელმძღვანელებ თურქთა ურდოებთან. მტრის სისუსტე, მისი ცუდი შეიარაღება, ბრძოლის წარმოების უცოდინარობა, ჩვენ შესაძლებლო-

ბას გვაძლევდა გაგვემარჯვა ყველა პირობებში. სულერთია, სწორად ვიქცეოდით თუ არა, შედეგი ყოველთვის კარგი იყო. ამის გამო, ჩვენ მივეჩვიეთ ისეთი ტაქტიკური ხერხების გამოყენებას, რომლებსაც ყველაზე მოკლე გზით და პირდაპირ მივყავდით მიზნისაკენ: ღია ძალის იერიშისაკენ, ე. ი. შტურმისაკენ, მტრის პოზიციის დაკავებისაკენ და ა. შ. ცხადია, ამ პირობებში ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმაზე, რასაც მეცნიერებაში „ძალთა ეკონომია“ ჰქვია. მილიონერებს კაპიკების თვლა არ სჭირდებათ.

მაგრამ, აი ჩვენ ჩავებით სერიოზულ ომში და მოქმედება გვიხდება ფართო ბრძოლის ველზე. ახლა ვიკითხოთ, რა ფორმით უნდა გამოვიყენოთ ამ ახალ ვითარებაში როგორც სამხედრო მეცნიერების პრინციპები, ასევე ის ხერხები, რომლებიც ემპირიულად გამოვიმუშავეთ ჩვენი საკუთარი პრაქტიკით?

ჩვენ უკვე დავინახეთ პასკევიჩის მაგალითზე, რომ ბიუხედავად რეკვიზიციის სისტემის მთლიანად გამოყენების შეუძლებლობისა, აქ შეიძლება მარშ-მანევრების (მოძრაობების) სისტემის გამოყენება. ჩემს წერილებში „ბრძოლის ველიდან“ (სტატიაში „ნიადაგის მომზადება“), მე აღვწერე ის ხელსაყრელი შედეგები, რასაც იძლევა აქაურ ბრძოლის ველზე ევროპული ხერხები, რომლის დროსაც ხდება მტრის შეიარაღებული ძალებისაგან ადგილობრივი მოსახლეობის იზოლაცია. ამჯერად ვისაუბრებთ ამ უკანასკნელ ძალებთან შეტაკების შესახებ.

გქონდეს სწორი წარმოდგენა მტერზე, იცოდე მისი ძალები, მისი ზრახვები და ომის წარმოების სისტემა, ესაა ომის წარმოების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა. თუ ჩვენ თურქებს ამ თვალსაზრისით შევხედავთ, დავინახავთ დიდ სხვაობას მათ ძალებსა და 1828-1829 წლებისა და ამ წლის მოქმედებათა შორის. უწინ ისინი თავიანთ ურდოებს მრავალრიცხოვან ცალკეულ რაზმებად ყოფდნენ, რომელთაგან თითოეულს თავის დანიშნულება ჰქონდა და თითოეული ცალკე რაიონში მოქმედებდა. ეს რაზმები ცუდად იყო შეიარაღებული და მეთაურებიც უვარგისი ჰყავდათ. ჩვენ მათ ვამარცხებდით ცალ-ცალკე, ხოლო სხვა რაზმები ამ დროს უმოქმედოდ იდგნენ. თურქები ერთბაშად რამდენიმე მიზანს ისახავდნენ: ერთდაიმავე დროს ცდილობდნენ დაეცვათ ყარსიც, არდაგანიც, ახალციხეც, ბაიაზეთიც, სოღანლუღიც, ერზრუმიც და ა. შ. და ამავე დროს შეეტიათ ახალციხისათვისაც, გურიისათვისაც, თბილისისათვისაც და ბაიაზეთისათვისაც. „ვისაც უნდა ყველაფერი დაიცვას, სთქვა ურიდრიხ დიდმა, იგი ვერაფერს ვერ დაიცავს“. ამიტომ შესძლო

პასკევიჩმა 12.000-14.000 ჯარისკაცით ნაწილ-ნაწილ დაემარცხებია ჯარი, რომლის რიცხვი უკიდურეს შემთხვევაში ათჯერ მაინც აღემატებოდა ჩვენს ძალებს.

ახლა კი ჩვენს წინ დგას ჯარი, რომელიც საწინააღმდეგო სისტემით მოქმედობს. სიმაგრეებში მათ უმნიშვნელო გარნიზონები დადატოვეს, ჯარს ერთ თუ ორ ადგილას მოუყარეს თავი, და თითქმის მთელი ფართო ბრძოლის ველი დაუცველი დატოვეს, თვითონ კი მიუდგომელ პოზიციებზე, მტკიცედ გამაგრებულ ბანაკებში გაწყლაგტნენ. მაგრამ მათ არ გააჩნიათ საკმარისი რაოდენობით პირველხარისხოვანი საშუალებები იმისათვის, რომ ადგილიდან ადგილზე გადავიდნენ და თავიანთი თავი სურსათით უზრუნველყონ. ამიტომ, მიუხედავად სხვა ხელსაყრელი პირობებისა, მტერი იძულებულია, თითქმის მუდმივად, თავდაცვითი როლით შემოიფარგლოს. მაგრამ თავდაცვით პოზიციებზე იგი მტკიცედ დგას. მტერი ჩვენ ჯარებს არტილერიის ცეცხლის რაიონში იტყუებს და, უმთავრესად, ცდილობს თავის მიწაყრილებს ამოეფაროს.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ვერც ერთი კომპეტენტური მსაჯული ვერ უარყოფს მტრის მოქმედების ამ საერთო დახასიათებას: ეს თვალსაზრისი გამომდინარეობს მიმდინარე წელს მცირე აზიაში თურქების მოქმედების მიუკერძოებელი მოქმედებიდან.

ახლა ვიკითხოთ, როგორი უნდა იყოს სისტემა, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, შეიძლება დაუპირისპიროთ მტრის ამგვარ ტაქტიკას?

ნაპოლეონ I-ის თქმით, ომში არასოდეს არ უნდა გააკეთო ის, რაც მტერს უნდა. ჩვენთვის ეს აქსიომა ასე ითარგმნება: „არასოდეს არ მიხვიდე ახლოს მტრის მიწაყრილებთან".

და მართლაც, თურქების სისტემა მთლიანად გამოდგება მათი მიზნისათვის. ბრძოლის სომხეთის ველის მთელი სივრცე წარმოადგენს სრულიად შიშველ ფართობს, სადაც აქა-იქ აღმართულია ბორცვები და მთის ქედები. აქ თითქმის ყოველი ამაღლებული ადგილი თავდაცვის გვარიანი პოზიციაა. მათთან მისვლა ჭირს აღმართისა და ოღრო-ჩოღრო ადგილების გამო, ხოლო ვაკე მინდვრები, რომლებიც ამ სიმაღლეებს გარს აკრავს, რამდენიმე ვერსის მანძილზე სჩანს და პოზიციის თითქმის ყოველი პუნქტიდან მისაწვდომია ყუმბარისათვის. აქ არაა არც ტყეები, არც ღობეები, არც შენობები, არც ბაღები, არც ხეთა რიგი, ერთი სიტყვით, არაფერი ისეთი, რომლის საფარს ქვეშ ჯარს შეუძლია მიუახლოვდეს მტრის ბატარეებს. შეტევაზე გადასული თითქმის მუდამ მტრის ცეცხლის ქვეშ მიიწევს წინ, ხოლო მოძრაობა უხდება თითქმის 4-5 ვერსის მანძილზე. და

ეს მაშინ, როცა მტრის ჯარი დაცულია სანგრების, თხრილების, მიწაყრილებისა და ნაყარის მწკრივებით. მეორეს მხრივ ყველასათვის ცნობილია თურქეთის ჯარების სისუსტე ველზე და მათი სიძლიერე, როცა ხელოვნურ სიმაგრეებს არიან ამოფარებული. არ მახსოვს ვინ, ბაგრამ ვიღაცამ ძალზე სწორად შენიშნა, რომ საკმარისია თურქებს მისცე შესაძლებლობა თუნდაც ქაღალდის ფურცელს ამოეფარონ და ლომებივით იბრძოლებენ. თავდაცვის დროს სარდლობას ადვილად შეუძლია განკარგულების გაცემა და თავიანთი ჯარის ყველა ნაწილის მართვა. მაგრამ ასე არაა ველზე, სადაც მცირე რაზმების მეორეხარისხოვან და მესამეხარისხოვან უფროსებს ხშირად საკუთარი ინიციატივის გამოჩენის უნარი და სერიოზული სამხედრო ნიჭი უნდა ქონდეს. ამ დროს შეცდომა, მიუხვედრელობა. ანდა პოლკის ან ბატალიონის უფროსის სისუსტე ხშირად იწვევს საერთო დამარცხებას. ამავე დროს, თურქებს, რომელთაც კარგი მთავარსარდლები და მაღალი რანგის გენერლები ჰყავთ, ძალზე ცოტა ჰყავთ გვარიანი მეორეხარისხოვანი მეთაურები. ორივე ეს გარემოება არის თურქეთის ჯარების სისუსტის უმთავრესი მიზეზები და ამის გამოა, რომ თურქები ასე ძლიერ გაურბიან შეტევით მოქმედებას.

ასეთ ვითარებაში და ასეთ ბრძოლის ველზე იმ ხერხების გამოყენება, რომლებიც ჩვენ მთებში ბრძოლების დროს გამოვიმუშავეთ, უდაოდ მავნებელია. როგორც ცნობილია ეს ხერხები წარმოადგენს მტრის პოზიციებზე იერიშის მიტანას ღია ძალებით და ,ამასთანავე უმთავრესად ფრონტიდან, თითქმის მუდამ საში კოლონით. ამავე დროს, სამხედრო ხელოვნება ერთ-ერთ აქსიომად თვლის, რომ მთებში ბრძოლის გენია მტრის პოზიციებზე იერიშის მიტანის უნარი კი არაა, არამედ შემოვლა და იმის უნარი, რომ აიძულო მტერი თვითონ მოიტანოს იერიში შენს პოზიციებზე. ამ ბრძოლების მთავარსარდლის ხელოვნების ალფა და ომეგა ის არის, რომ შემოუარო მტერს, დაიკავო მისი გზები, მოწყვიტო მაშველ ძალებს და სურსათის მარაგს, აიძულო თვითონვე გამოვიდეს თავის პოზიციებიდან, რათა ძალით გაიკაფოს გზა თავის ბაზისა და თავის მარაგისაკენ. ამ დროს ყველა უპირატესობა იმის მხარზე კი არაა, ვინც უტევს, არამედ იმის, ვისაც უტევენ. მოწინააღმდეგეს უკვე აღარ იცავს სიმაგრეები, არ იფარავს მიწის ნაყარი და უნდა იმოძრაოს თხრილების, მიწაყრილების და საფარების წინააღმდეგ, ე. ი. უნდა დაკარგოს 5-6 კაცი მტრის ერთი ჯარისკაცის მოსასპობად...

მცირე აზიის ბრძოლის ველზე ამ სისტემის გამოყენების მაგალითად ავიღოთ თუნდაც ჩვენი ზიკინის ლაშქრობა. როგორც ამბო-

პენ. ჩვენი ამ მოძრაობის მიზანი იყო მუხტარის ძალების ყურადღების ჩამოცილება ერევნის რაზმისაგან, რომელიც წინ წასწიეს იმ მიზნით, რომ მუხტარის ძალები ყარსისათვის მოეცილებიათ. თუ ეს მართალია, მაშინ ეს მიზანი უკვე მიღწეული იყო ჩვენი ჯარების მელი-დიუზში გამოჩენით. ჩვენ დავინახეთ, რომ როგორც კი გაიგეს ჩვენი მოძრაობის შესახებ, მუხტარის ძალების ნაწილი ადგილიდან მოიხსნა და წამოვიდა ჩვენსკენ, სოღანლუღისაკენ. ამგვარად, სტრატეგიული მიზანი მიღწეული იქნა გაუსროლელად, უკიდურეს შემთხვევაში, ამ მიზნის მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგრამ, როცა მშვიდობიანად და დაუბრკოლებლად გადავიარეთ სოღანლუღის ქედის სახიფათო გადასასვლელი, ჩვენ გავიგეთ და დავინახეთ, რომ მუხტარის არმია გაყოფილია რამდენიმე ნაწილად. მისი მარჯვენა ფლანგი განლაგებული იყო დაიარის მახლობლად, ცენტრი — ერზრუმის წინ, ხოლო მარცხენა ფრთა ეყრდნობა ზივინის გამაგრებულ პოზიციებს.

3

მიუსწრო მტერს. როცა მისი ძალები დაქსაქსულია და შორს დგანან ერთმანეთისაგან, და დაამარცხო ისინი ცალ-ცალკე, ეს, რა თქმა უნდა, სრულყოფილობაზე მეტია სამხედრო საქმეში. მაგრამ ასეთ შედეგს რომ მიაღწიო, საჭიროა დაიკავო პუნქტები, რომელთა დაკავება ქსაქსავს მტრის ძალებს. ამ თვალსაზრისით, თუ კი დავიჭერდით, მაგალითად, პოზიციას ხოროსანსა და კეპრი-კიეს შორის არაქსზე და თუ გავამაგრებდით მას საფუძვლიანად, მაშინ მუხტარის მთელი არმია გაყოფილი იქნებოდა სამ ნაწილად და, ამავე დროს, მისი მარჯვენა და მარცხენა ფლანგი მთლიანად მოწყვეტილი იქნებოდა თავის ბაზებისაგან. რა უნდა გაეკეთებიათ ამ შემთხვევაში მათ? ორში ერთი: ან შემოეტიათ ჩვენი სიმაგრეებისათვის, რათა ძალით გაეკაფათ გზა ბაზებისაკენ, ანდა კაპიტულაცია მოეხდინათ და დაგვნებებოდნენ. მე კარგად ვიცი იმ პირობებში, როგორშიც ჩვენ ზივინის ლაშქრობა მოგვიხდა, ამის გაკეთება არაფრით არ შეიძლებოდა: ასეთი ოპერაციისათვის აუცილებლად უნდა გქონდეს დიდი მარაგი და არა რვა დღის სამყოფი. და ცხადია, ძალზე ცოტაა ერთი დივიზია... თორემ, შესატყვისად წესისა „ვინც გარს უვლის, მასაც შემოევლება“ — შეიძლება თვითონ მოხვდეს ორ ცეცხლ შორის. მაგრამ ეს მაგალითი მე მხოლოდ იმ მიზნით მომყავს, რომ დაგანახოთ, თუ რომელი ხერხის გამოყენებით შეიძლება მიაღწიო სე-

რიოზულ სტრატეგიულ მიზნებს. შედარებით უმნიშვნელო მსხვერპლის გაღებით, იმ დროს, როცა ამისათვის სერიოზული ძალები გყავს და ყოველ მხრივ მომზადებული ხარ ომისათვის.

თვალსაჩინოებისათვის მოვიყვან კიდევ ერთ მაგალითს — მებრძოლი მხარეების ახლანდელ (5 აგვისტოს) განლაგებას მომქმედი კორპუსის მთავარი ძალების ბრძოლის ველზე.

მუხტარ-ფაშას უკავია ძნელად მისადგომი პოზიცია ალაჯის, ავლიიარის, იაგნის და სხვა მთებზე. მისი ძალების განლაგების ხაზი, თუ კი ზიგზაგურად გავყვებით მის პაკეტებს, სიგრძით 35 ვერსზე მეტია და სოფელ ალაჯადან სოფელ ხალიფ-ოღლუმდე გრძელდება. ძარტო ფრონტის სიგრძე ინახ-ტაპახის ბორცვიდან მცირე იაგნის მთებამდე, სწორხაზოვნად თუ გავყვებით, 18 ვერსზე მეტია. მეცნიერების ყველა წესის მიხედვით ეს პოზიცია ერთი ფრთით (მარცხენა) ეყრდნობა ყარსის სიმაგრეს. საერთოდ, მთელი პოზიცია წარმოადგენს მაღალი მთების ფერდობებს, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია უმნიშვნელო ხევებით. ბანაკი აქ განლაგებულია აჭფითეატრის მსგავსად ფერდობზე, დაწყებული ძირიდან მწვერვალამდე. მტრის სანგრები და ბატარეები ამ ფერდობებზე ჭადრაკულადაა განლაგებული. გარდა ამისა, ფერდობები ორივე მხრიდან დაცულია დამოუკიდებელი სიმაღლეებით, მარჯვნიდან ინახ-ტაბასით, მარცხნიდან იაგნით, რომლებიც თავ-შაქარს წააგავენ.

ცხადია, მე არ შემიძლია წარმოდგენა მქონდეს იმაზე, თუ რას ნოიმოქმედებენ ამ პოზიციის წინააღმდეგ. მაგრამ ეს სრულიადაც არ მიშლის ხელს ვიმსჯელო, თუ რამდენად ძლიერია და რამდენად მნიშვნელოვანია ეს პოზიცია. ჩემი აზრით, ფრონტიდან ეს პოზიცია თუ სრულიად მიუდგომელი არა, უკიდურეს შემთხვევაში, იმდენად ძლიერი მოჩანს, რომ მისი აღების შედეგები დახარჯული ძალების ტოლფასოვანი არ იქნება. ორი თვის წინათ ეს პოზიცია ხომ ჩვენ ხელში იყო, მაგრამ ჩვენთვის მას არ ჰქონდა და არც შეიძლება ჰქონდეს რაიმე მნიშვნელობა. ჩვენ ეს პოზიცია არც კი დაგვიკავებია და წინააღმდეგობის გაუწევლად დავუთმეთ მუხტარს. ახლა მას მხოლოდ იმიტომ აქვს მნიშვნელობა, რომ მასზე განლაგებულია მტრის ჯარები. თუ კი ჩვენ ვმოქმედებთ ამ პოზიციის წინააღმდეგ მხოლოდ იმიტომ, რომ მტრის ჯარი გავანადგურეთ, ისინი რომ აქედან წავიდნენ, თუნდაც იმიტომ, რომ შემოდგომაზე და ზამთარში ამ სიმაღლეზე უბრალოდ შეუძლებელია დარჩენა, ეს პოზიცია დაკარგავდა ყოველგვარ მნიშვნელობას. ამიტომ, სტრატეგიული თვალსაზრისით, ჩვენთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს მხოლოდ თვით არმიის გან-

დევნა ან განადგურება. იმისდა მიხედვით, თუ როგორ წარმატებას გვინდა. ან შეგვიძლია. მივაღწიოთ შედარებით ან მთლიანად.

მუხტარის არმია ისე მოხერხებულადაა განლაგებული, რომ მისი შევიწროება ფრონტიდან ან მარჯვენა ფლანგიდან, მეტი რომ არ ვთქვათ. დიდ სიძნელეს წარმოადგენს. მარცხენა ფლანგით კი, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, იგი ეყრდნობა ყარსს, რომლისგანაც პოზიციის უკიდურესი მარცხენა პუნქტი მხოლოდ 12 ვერსითაა დაშორებული. აქვე, ოდნავ სამხრეთით ამ პუნქტიდან, იწყება გზა. რომელიც მუხტარის არმიას აკავშირებს მის ბაზასთან, ერზრუმთან.

ნათქვამიდან ცხადია, რომ სრული შედეგების მისაღწევად, თუ გამოვიყენებთ ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებს, მხედველობაში უნდა გვქონდეს სწორედ ეს გზა. სწორედ ამ გზაზე უნდა ავირჩიოთ რომელიმე ძლიერი პოზიცია, დავიკავოთ იგი, ან ღია ძალებით ან შემოვლით, გავმაგრდეთ მასში და ველოდოთ ან იმას, თუ როდის გაუთავდება მუხტარს რვა დღის ბარაგი, ან მის შემოტევას. ცხადია, მე არ ვიცი გვაქვს თუ არა ჩვენ ასეთი ოპერაციის განხორციელების საშუალებები, მომზადებული ვართ თუ არა ამისათვის, მაგრამ ყველა სპეციალისტი დამეთანხმება იმაში, რომ საძხედრო ხელოვნების თვალსაზრისით, ეს ოპერაცია, თუ ჩვენ ჩვენი მზადყოფნით შევძლებთ მის განხორციელებას, უფრო მეტად შესაფერისი იქნებოდა ძალთა ეკონომიის კანონებისა, ვიდრე ფრონტალური ომერიში, ან ცენტრის სტრატეგიული გარღვევა, ან, საერთოდ, რომელიმე მსგავსი შეტევა...

რა თქმა უნდა, მცირე აზიის ბრძოლის ველს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა არა აქვს თურქეთისა და რუსეთის ახლანდელი შეტაკების ამოცანათა გადასაჭრელად. ჯერჯერობით ომის სიმძიმის ცენტრი გადატანილია დუნაიზე, სადაც თავმოყრილია რუსეთის მთავარი ძალები. აქ, ჩვენთან კი, როგორც შესანიშნავად იყო ახსნილი ოფიციალურ ცნობაში „Politische Correspondenz", კორპუსის ამოცანა ისაა, რომ თურქეთის ძალების ყურადღება ჩამოაშოროს ევროპის ბრძოლის ველს და აზიისაკენ გადმოიტანოს. ეს შედეგი ნაწილობრივ უკვე მიღწეულია, მაგრამ „გოლოსის"[38] საგენტომ უკვე გვაცნობა, რომ თურქებმა კვლავ განიზრახეს გაგზავნონ ევროპაში მუხტარის ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამიტომ, ჩვენი ამოცანა შეიძლება კვლავ დაისვას... მეორეს მხრივ, რაც უფრო მცირერიცხოვანია ჩვენი ძალები, რომლებიც გამოყოფილია ამ ამოცანის შესასრულებლად, მით უფრო ეკონომიურად უნდა გამოვიყენოთ. მით უფრო ანგარიშიანად უნდა მოვიპოვოთ სერიო-

ზული და გადამწყვეტი შედეგები. ისე, რომ არ დავიხარჯოთ წვრილმანებზე, არ გამოვეკიდოთ მეორეხარისხოვან ოპერაციებს და განსაკუთრებით არ დავხარჯოთ ძალები უსარგებლო იერიშებზე...

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ომის წარმოების ჩვენი სისტემა თურქების წინააღმდეგ ეყრდნობა აქამდე გაბატონებულ ჩვენს შეხედულებას თურქი ერის შესახებ. ჩვენ პერიოდულ პრესაში, ორი უკანასკნელი წლის მანძილზე, მკითხველს ყოველ წუთს არწმუნებდნენ, რომ თურქებთან ომში საჭიროა სულ სხვა ხერხები, განსაკუთრებული სისტემა. როდესაც გენერალ ჩერნიაევი სერბიაში ჩავიდა და სერბიის ჯარს სათავეში ჩაუდგა, ჩვენი პრესა ამტკიცებდა, როგორც ორჯერ ორი ოთხია, რომ თურქების წინააღმდეგ უკეთესი მხედარმთავრის გამონახვა შეუძლებელია, რადგან მან კავკასიაში და თურქესტანში შეისწავლა „აღმოსავლეთის ხალხების ხასიათი“. ისწავლა მათი დამარცხება და ა. შ. საერთოდ სამხედრო მწერლების ყველა თხზულებაში, რომლებიც წერდნენ ამ „აღმოსავლეთის ხალხების ხასიათზე“, მუდამ და ერთგვაროვნად გატარებულია ის აზრი, რომ აღმოსავლეთელი ხალხები, და მაშასადამე თურქებიც, მუდამ პირველი თავზარდამცემი შთაბეჭდილების გავლენის ქვეშ არიან, რომ პირველი დარტყმა. რომელიც მათ მიაყენეს, დამბლას სცემს მთელ მათ ძალებს და საკმარისია თავზარი დასცე მათ პირველი დარტყმის მოულოდნელობით, პირველი მოძრაობის გაბედულობით, რათა საბოლოოდ დასძლიო მათი წინააღმდეგობა... მართლაც სწორედ ასეთი იყო გენერალ ჩერნიაევის პირველი გეგმა. იგი ისე გაბედულად დაიძრა ბაბინა გლავისაკენ, რომ ზურგში დასტოვა ნიშში თავმოყრილი თურქეთის ჯარი და, არ ყოფნიდა რა ძალა გამაგრებულიყო მათ ზურგში და მოეწყვიტა ისინი ბაზისაგან, დაიძრა წინ პიროხისა და აკ-პალანკისაკენ. სამწუხაროდ, ამ გაბედულმა მოძრაობამ ვერ დააბნია თურქები, რომლებიც მშვიდად დარჩნენ ნიშში და ზაიჩარისა და ასექსინაცისაკენ მოძრაობით აიძულეს ჩერნიაევი უკან გამობრუნებულიყო... სხვათაშორის, ჩვენ მოგვეპოება სხვა, უფრო ავტორიტეტული მაგალითი ამგვარი მოძრაობისა: 1829 წლის ბალკანეთის ლაშქრობაში დიბიჩმა, რომელსაც ძალზე ხანგრძლივი მოეჩვენა შუმლინის გამაგრებული ბანაკის სწორი ალყა, სადაც თავმოყრილი იყო თურქეთის არმია, დაიწყო დივერსია ამ ბანაკის წინააღმდეგ და მაშინ როცა თურქეთის არმია ამ დივერსიით იყო დაკავებული, თვითონ მან, ოავის ძალების დიდი ნაწილით, გვერდი აუარა ბანაკს, გადალახა ბალკანეთი და დაიკავა ანდრიანოპოლი. შთაბეჭდილებამ, რაც ამ მოძრაობამ მოახდინა კონსტანტინეპოლში,

აიძულა სულთანი მახმუდ II ხელი მოეწერა ზავზე. მაგრამ, ჯერ ერთი, ასეთი რამ ყოველთვის არ ხერხდება, მეორეც, მოლტკემ ძალიან დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ თურქებს რომ ზავის დადებისაგან კიდევ ორი-სამი კვირით შეეკავებიათ თავი, დიბიჩის არმია უიმედოდ კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა: დარჩებოდა უსურსათოდ და ურეზერვოდ... მაგრამ მიუხედავად სრული წარმატებისა, ეს ოპერაცია ჩვენ ძალზე ძვირი დაგვიჯდა. ცნობილია, რომ 150.000 კაციდან, რომლებიც ჩვენ ევროპული თურქეთის საზღვრებისაკენ დავძარით, მხოლოდ 10, სულ ბევრი 15 ათასი კაცი დაბრუნდა უკან რუსეთში.

ასეთი „სიურპრიზები" მხოლოდ ერთხელ მოქმედებს ერის წარმოდგენაზე. რადგან ერთხელ უკვე იგემა ამგვარი გაკვეთილი, ყოველი ერი ეცდება თავი დააღწიოს ახალ ცდუნებას. ამიტომ, არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ თურქეთთან ომში მხოლოდ პირველ დარტყმაზე და პირველ შთაბეჭდილებაზე უნდა ვიზრუნოთ. პირიქით, საჭიროა ჩვენი ძალების ისეთი ეკონომია გავწიოთ, რომ თუ პირველი დარტყმა საჭირო შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს, შეგვეძლოს მისი განმეორება უფრო მეტი ძალით და განმეორება არა ერთხელ და ორჯერ, არამედ მანამდე, სანამ მოწინააღმდეგის ძალა მთლიანად არ ამოიწურება. ერთი სიტყვით, ვაჯამებთ რა ჩვენს აზრს, ვიტყვით, რომ უნდა დავარტყათ არა მოწინააღმდეგის წარმოდგენას, არამედ — მის შეიარაღებულ ძალებს...

ამაშივე იმალება ჩვენი დამოკიდებულებაც მტრისაღმი. რა ოქმა უნდა. ომის დროს საკუთარი ძალების რწმენა და დაჯერებულობა იმაში, რომ მოწინააღმდეგე შედარებით უძლურია, დიდ ზნეობრივ ძალას წარმოადგენს. მაგრამ მე არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ასეთი რწმენა უნდა ჰქონდეს ჯარისკაცებს, რიგით მეთაურებს და არა ხელმძღვანელებს. ეს უკანასკნელნი კი, პირიქით, სიფრთხილეს უნდა იჩენდნენ მტრის ძალებისა და ჩანაფიქრის მიმართ. ასეთი დამოკიდებულება მით უფრო აუცილებელია, როცა ჩვენს წინ დგას მტერი, რომელიც, ალბათ, მნიშვნელოვნად განვითარდა ჩვენთან უკანასკნელი შეტაკების დროიდან. 1828-1829 წლებში თურქეთს თითქმის სულ არ ყავდა რეგულარული არმია. გასაგებია, რომ გააზრებული მოქმედების შედეგად, ჩვენი უმნიშვნელო რაზმები ადვილად ამარცხებდნენ თურქების მოუწესრიგებელ და გაუწვრთნელ ურდოებს. მაგრამ 1853 წლიდან ჩვენ შეგვეძლო დავრწმუნებულიყავით, რომ ამ პერიოდის თურქეთის არმია სრულიად არ გავ-

და 1828 წლის არმიას და ხელმძღვანელებიც ბევრად უკეთესი ყავდათ. ამ წლის ომმა კი კიდევ უფრო მეტად გამოამჟღავნა თურქეთის თანდათანობითი პროგრესი. თურქეთის არმია ახლა შესანიშნავადაა შეიარაღებული, მისი მხედართმთავრები ამჟღავნებენ სტრატეგიისა და სამხედრო ხელოვნების წესებით სარგებლობის უნარს... ეს სრულებით არ ნიშნავს, თითქოს თურქები დაუმარცხებლები არიან, ო არა, მაგრამ რატომ უნდა ვუარყოთ ის კარგი, რაც მათ აქვთ და არ ვეცადოთ როგორ მოვსპოთ უკეთესად ეს კარგი. ყოველ ბრძოლაში მებრძოლის მთელი ხელოვნება სწორედ ისაა, რომ არ მისცე მტერს შემთხვევა და შესაძლებლობა გამოამჟღავნოს, ან გამოიყენოს საქმეში, თავის კარგი და ძლიერი მხარეები და აიძულო გამოამჟღავნოს მხოლოდ ცუდი და სუსტი მხარეები. რით შეგვიძლია მივაღწიოთ ასეთ შედეგებს, თუ არ გვეცოდინება რა აქვს მტერს კარგი და რა სუსტი?

ეტყობა ახლანდელი ომი დიდ ხანს გაგრძელდება და მძიმე იქნება. ამიტომ, უნდა ვისარგებლოთ გამოცდილების ყველა მითითებებით, თუნდაც სახელდახელოდ. რა კარგადაც არ უნდა ვიყოთ მომზადებული ომისათვის, ოცი წლის მშვიდობიანობა მაინც ვერ მოგვცემდა ყველაფერ იმას, რაც საჭიროა ომის წარმატებით წარმოებისათვის. სად იფურჩქნება, მაგალითად, მშვიდობიანობის დროს სამხედრო ნიჭი? მანევრებისა და პარადების დროს? მხოლოდ ომი წარმოშობს ბელადებს. მხოლოდ ომი ჰქმნის სისტემებს და გამარჯვებისაკენ მიმავალ გზებს. მაგრამ იმისათვის, რომ ამგვარ შედეგებს მიაღწიოთ, გამჭრიახი თვალით უნდა უცქირო ყველაფერს, რაც ირგვლივ ხდება. უნდა შესძლო წინასწარ გამომუშავებული შეხედულებების გარეშე ისარგებლო გამოცდილების მითითებებით, უნდა გასწავლიდეს, რომ ჩვენს დროში აღარ არსებობს უცოდველი ადამიანები... არ ცდება მხოლოდ ის, ვინც სრულიად არაფერს არ აკეთებს. ხოლო იქ, სადაც იჩენენ ინიციატივას, სადაც არის ენერგია და საქმე, შეცდომებიც აუცილებელია. შეცდომები სრულიად არაა საძარცხვინო, თუ არსებობს იმის სურვილი, რომ ისარგებლო გამოცდილებით და ჯიუტად არ გაიმეორო ისინი. ასეთი სურვილის დროს არ არსებობს გამოუსწორებელი შეცდომა, არ არსებობს მიზანი, რომლის მიღწევაც შეუძლებელი იყოს.

საბედნიეროდ, ჩვენ ამისათვის ბევრი დრო გვაქვს და ვიმედოვნებ, რომ არც ძალები გვაკლია. მთავარია იყოს სურვილი...

* *

ამგვარად, თუ თავს მოუყრით წინა გვერდებზე აქა-იქ გაბნეულ შენიშვნებს, ჩვენ დავინახავთ, რომ შესაძლებელი და აუცილებელია აზიის ბრძოლის ველზე გამოვიყენოთ თანამედროვე სამხედრო ხელოვნების ძირითადი კანონები მთელი მათი არსით, ზოგჯერ სახეშეცვლილი, ნაწილობრივ კი მხოლოდ მათი გარეგანი ფორმით. ჩემი აზრით, ჩვენი ამოცანა ისაა, რომ ვეცადოთ თავი მოუყაროთ ჯარების საკმარის რაოდენობას, სწრაფად და სწორად დავძრათ ისინი იმ პუნქტებისაკენ, სადაც მათი ყოფნა მოსწყვეტს მოწინააღმდეგეს ბილი სასურსათო ბაზებიდან და მიმოსვლის საშუალებებიდან, შეინარჩუნებს თავის სტრატეგიულ ინიციატივას და მოწინააღმდეგეს თავს მოახვევს ისეთ ტაქტიკურ გეგმას, რომლის მეშვეობითაც გაანადგურებს მოწინააღმდეგის სახმელეთო ჯარებს და შემდეგ დაიკავებს მისი ტერიტორიის პოლიტიკურ ცენტრებს. მაგრამ ამ ამოცანების შესრულება შეუძლებელია, თუ განზრახ არ ვცნობთ სამხედრო ხელოვნების წესებს. ისევე, როგორც ვერ შექმნი სამყაროს ახალ ფიზიკურ კანონებს, ვერ გამოიგონებ სამხედრო ხელოვნების ახალ კანონებს... რა თქმა უნდა, წინსვლა, შუბლით კედლის გარღვევა ლამაზი სანახაობაა, მაგრამ როცა არის იმის შესაძლებლობა, რომ მცირე ძალების დახარჯვით დიდ შედეგებს მიაღწიო, რატომ არ უნდა იფიქრო ეკონომიაზე?..

საერთოდ სამწუხაროა, რომ ჩვენ ასე ცოტა ყურადღებას ვაქცევთ ჩვენი საკუთარი სამხედრო ისტორიის შესწავლას, იმ სახეცვლილებების შესწავლას, რომლებიც შემოქონდათ ჩვენს სამხედრო პრაქტიკაში ევროპის პრინციპებისა და აზიური ვითარების ერთდროული ზემოქმედების შედეგად. მაშინ შეუძლებელი იქნებოდა მათი განმეორება მომავალში. მაშინ უდაოდ გამოირკვეოდა, რომ ყველაფერს კარგს, რაც გაკეთდა ჩვენს სამხედრო პრაქტიკაში, უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ ჭკვიანმა ბელადებმა უნარიანად გამოიყენეს, ახალ ვითარებაში, სამხედრო ხელოვნების მარადი და უცილებელი პრინციპები. ასეთი გამოყენებების უფრო საფუძვლიანი გამოკვლევა შესაძლებლობას მოგვცემდა მომავალშიც მიგვეღწია არა ნაკლებ ბრწყინვალე შედეგებისათვის.

* * *

ეს ნარკვევი არაფერს არ ეტყვის ახალს იმ პირებს, რომლებიც სპეციალურად ან ზერელედ მაინც იცნობენ სამხედრო მეცნიერებას. მაგრამ მე ვიმედოვნებ, რომ მკითხველ საზოგადოებას, სადაც სამხედრო საქმის ცოდნა ნაკლებადაა პოპულარიზებული, ამ ნარკვევის წაკითხვის შემდეგ უფრო ნათელი წარმოდგენა ექნება ჩვენს ამოცანებზე, ვიდრე მის წაკითხვამდე ქონდათ. ამ წერილის ერთადერთი დანიშნულებაც სწორედ ამ მიზნის მიღწევაა.

ცს. ჩემი „პირადი ანგარიშები“ ბ. ღოლობერიძესთან

თბილისი, 9 აპრილი

დიდი მადლობელი ვარ „ტიფლისსკი ვესტნიკისა“[1] ბ. ქუთაისელის იმ სტატიის დაბეჭდვისათვის, რომელიც ამხელს ჩემს ხრიკებს და რომელიც ჩვენ გადმოვბეჭდეთ „ობზორის“[36] დღევანდელ ნომერში. საზოგადო მოღვაწისათვის, რომლის ყოველი სიტყვა, ყოველი ნაბიჯი უნდა განიხილოს არა მარტო საზოგადოების მკაცრმა სამსჯავროს, არამედ მტრებისა და მეგობრების მგზნებარე კრიტიკამაც, არ არსებობს უფრო დიდი ნეტარება, ვიდრე მისი სიტყვების და საქმეების, მისი მიმართულებისა და ხასიათის შესახებ საჯარო, ფაქტიური, დოკუმენტალური მსჯელობაა. ეს ნეტარება ორჯერ და სამჯერ იზრდება, როცა მას განიცდის ადამიანი, რომლის მიმართ მოწინააღმდეგეები არასოდეს არ იყენებდნენ ასეთ მსჯელობას და, კედელს ამოფარებულები, არჩევდნენ ემოქმედათ ჭორებით, ინსინუაციებით, ბნელი, უჩინარი მითქმა-მოთქმით.

„ტიფლისსკი ვესტნიკისადმი“ ჩვენი მადლიერების გრძნობის გულწრფელობა მით უფრო ძლიერია, რომ ჩვენ არ გვჭირდება ვეძებოთ იმის მიზეზები, თუ რატომ გაგვიწია ამ გაზეთმა საამსახურო, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. ორში ერთი: ან „ტიფლისსკი ვესტნიკი“ ღრმადაა დარწმუნებული, რომ მე უსამართლოდ მოვექეცი ბატ. ღოლობერიძეს — და ასეთ შემთხვევაში ყველა პატივისცემით უნდა განეწყოს სტატიის გამოქვეყნების ფაქტისადმი, რომელიც დაზარალებულს იცავს, ანდა, სკეპტიკურად უყურებს რა დავის საგანს, მხოლოდ ჭეშმარიტების გამორკვევა სურდა და უნდოდა სიტყვის უფლება მიეცა იმ მხარისათვის, რომელსაც თავის განკარგულებაში არ გააჩნია ბეჭდვითი ორგანო — გაზეთმა ამ შემთხვევაში კარგი საქმე გააკეთა. ვიმედოვნებთ, ორივე შემთხვევაში და ყველა თვალსაზრისით ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს მადლობა გადავუხადოთ ბატ. ბებუთოვს ბატ. ქუთაისელის სტატიის დაბეჭდვისათვის.

ამის გამო, ვტოვებ რა განზე „ტიფლისსკი ვესტნიკს“, ვეხები ბატ. ქუთაისელის სტატიას, რომელიც მაძლევს შესაძლებლობას გამოვარკვიო და ღირსეულად დავხატო ერთი უაღრესად შესანიშნავი ტიპი ჩვენი „საზოგადო მოღვაწეებისა“.

თავისთავად ცხადია, რომ დაიწყოთ ფართო კამათი ავტორთან იმ სტატიისა, რომელსაც ჩვენი მკითხველები ქვემოთ წაიკითხავენ, ნამდვილად არ ღირს. თუ მას სურს, „ობზორში“ ჩვენ ვიპოვით ათასჯერ მეტ კორექტორულ შეცდომას, ვიდრე მან აღმოაჩინა და ამ გზით დავამტკიცებთ ჩვენს სრულ „უმეცრებას“. მე ძალზე მსიამოვნებს, რომ ბატ. ქუთაისელი რუსული ენის ჩემზე უკეთესი მცოდნე აღმოჩნდა. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ იგი თავის ბრწყინვალე ცოდნას მიწაში მარხავს, არ უზიარებს თანამედროვეებს და მხოლოდ მაშინ გამოდის პრესის ასპარეზზე, როცა მას, ან მის მეგობრებს, ვინმე აწყენინებს. მაგრამ ეს წვრილმანია. ასეთივე წვრილმახად ვთვლი მე იმ ამბავსაც, რომელშიც მადანაშაულებენ იმის გამო, თითქოს რეკომენდაცია გაუწიე ბატ. ნოვოსელსკის რწმუნებულს ბატ. ხოფერიას, რომელსაც თაღლითობაში სდებენ ბრალს. ეს სიცრუეზე აგებული წვრილმანია. ჯერ ერთი, იმ მომენტამდე, სანამ ხოფერია ბატ. ნოვოსელსკის რწმუნებული გახდებოდა, მე მას სრულიად არ ვიცნობდი. მეორეც, ვინ დაიჯერებს, რომ მე შემეძლო ვინმე შემეთავაზებია იმ კაცისათვის, რომელიც რწმუნებულს იმიტომ ეძებდა, რომ ჩემთვის ფული გადაეხდევინებია? მაგრამ, ვიმეორებ, ეს წვრილმანია. მე რომ ხოფერია წამომეყენებია „დროების“[7] ან „ივერიის“[8] რედაქტორად იმ დროს, როცა არ ვიცნობ მას, ანდა ვთვლიდე მას გაზეთის რედაქტორობის ღირსად. და სასამართლოზე ეპვის თავიდან ასაცილებლად განვაცხადო, რომ არ ვიცნობდი მის ხასიათს, ასეთ შემთხვევაში, მე მართლაც დამეკისრებოდა ზნეობრივი პასუხისმგებლობა და ყველას ექნებოდა ჩემი გაკიცხვის უფლება. მაგრამ მე ეს არ გამიკეთებია, და თქვენც არ შეგიძლიათ ამის დამტკიცება, თქვენ მხოლოდ ის შეგიძლიათ, რომ თქვენი ბრალდება აშკარა სიცრუეზე ააგოთ! იმაზე, რომ თითქოს მე ადრეც ვიცნობდი ბატ. ხოფერიას და თითქოს რწმუნებულად შევთავაზე ბატ. ნოვოსელსკის. მე მგონი, ეს ხერხი ნათლად ხატავს ჩემი მოწინააღმდეგის ხაზს.

ასევე არ ღირს იმ წვრილმანზე ლაპარაკი, თითქოს სასამართლოზე ბატ. ღოღობერიძეს უარი არ განუცხადებია ბატ. ჩხოტუასთან

ნაცნობობაზე. აქ ბატ. ქუთაისელი პატარა ოინს მიმართავს — თამაშობს სიტყვებით: ხომ ამბობდა ბატ. ღოღობერიძე „ვიცნობდი ბატ. ჩხოტუას". ის-ღა გვაკლია, უარი ვთქვა ბატ. ჩხოტუასთან შორეულ ნაცნობობაზე! მაგრამ შემდეგ, გაურბის რა სტენოგრაფიული ანგარიშის ჭეშმარიტი სიტყვების ციტირებას, თვით ბატ. ქუთაისელი ადასტურებს, რომ ბატ. ღოღობერიძემ განაცხადაო: „არ ვიცნობდი ბატ. ჩხოტუას ხასიათს, მასთან მხოლოდ საუბარი მქონდა" და ა. შ. განა ეს უარის თქმა არაა?..

ესაა ბატ. ქუთაისელის მეორე ხერხი. მესამე კი მდგომარეობს ორი ფაქტის უარყოფაში: ჩხოტუას რედაქტორად არჩევაში ბატ. ღოღობერიძის მონაწილეობაზე და იმ განცხადებებზე უარის თქმაში, რომელშიც. სხვათაშორის, ბატ. ღოღობერიძემ ბატ. ბებუთოვს განუცხადა, რომ ბატ. ჩხოტუა უდანაშაულოაო. მაგრამ მთელი თბილისის და ქუთაისის საზოგადოება იტყვის ჩვენს სასარგებლოდ, რომ ბატ. ღოღობერიძე თავს დებდა ჩხოტუასათვის, ხოლო ჩვენ ამაზე მეტი არაფერი გვითქვამს. ასევე უბადრუკია ცდა უარყონ ბატ. ღოღობერიძის მონაწილეობა ჩხოტუას რედაქტორად არჩევაში. თუმცა „ივერიის" გამოცემა დაიწყო 1877 წლის მარტში, მაგრამ ჩხოტუა რედაქტორად აირჩიეს 1876 წლის მაისში, რის შესახებაც ბევრი დაიწერა იმ დროის გაზეთებში. რატომ არ უარყოფდა მაშინ ბატ. ღოღობერიძე თავის მონაწილეობას არჩევნებში? ანდა, ვინ უნდა მოატყუონ ასეთი უარყოფით, როცა ჩვენ მოგვყავს მთელი ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობილი ფაქტები?

თავის დროზე იმის შესახებაც ბევრი დაიწერა, რომ ბანკების ორ გაერთიანებას ლიტერატურის მოსყიდვა სურდა. უდაოა ისიც, რომ ბატ. მესხს 5.000 მანეთი შესთავაზეს იმისათვის, რომ დაეთმო „დროება" ბატ. ი. ჭავჭავაძის, ვ. ჯაფარიძის და დ. ჩხოტუასაგან შემდგარი რედაქციისათვის, ანდა შეერთებოდა ამ რედაქციას და დამორჩილებოდა ხმათა უმრავლესობას (სამი ერთის წინააღმდეგ). უდაოა ისიც, რომ მესხს პირდებოდნენ: გარდა იმისა, რასაც აძლევდნენ. ორივე ბანკი მისცემდა გაზეთს თავის განცხადებებისათვის მინიმუმ 1.200 მანეთს წელიწადში. სადაო არც ისაა, რომ ბატ. ჯაფარიძეს და ჩხოტუას დაპირდნენ ქართველი მწერლისათვის საკმაოდ დიდი ჰონორარი. განა ყველაფერი ეს მოსყიდვა არაა და ადამიანები, რომლებიც ასეთ ხერხებს იყენებენ გასაკიცხი არაა? თავა-

დი ბებუთოვი მთლიანად მართალი იყო როცა თავის „აზეთში* ამგვარი ცდა გაიცხა.

მე მგონი ყველაფერი ეს საკმარისად გვიხატავს ჩემი ოპონენტების ხერხებს და ზნეობრივ ხასიათს. მაგრამ მე რომ უფრო შორს წასვლა არ მინდოდეს იმისათვის, რომ გავმარტო საქმის არსი და ჩემი დამოკიდებულება მისდამი, არც შევეხებოდი ამ წვრილმანებს...

უპირველეს ყოვლისა, შევეხები ერთ გარემოებას, მე მადანაშაულებენ იმაში, თითქოს „პირად ანგარიშს ეუსწორებ" ბატ. ღოღობერიძეს. ამის შესახებ მე უკვე დავწერე „დროებაში" და, რა თქმა უნდა, პასუხი ვერ მივიღე. მე მოვითხოვდი, რომ ეთქვათ, რა პირადი ანგარიშები შქონდა ამ კაცთან ოდესმე. მე ვკითხულობდი: „გვიყვარდა ორივეს ერთი ქალი, ვცდილობდი მისდა საზიანოდ დამეკავებია რაიმე თანამდებობა, მივდიოდით ერთი გზით, უარი მითხრა ფულის სესხებაზე, ერთი სიტყვით, მქონდა მასთან როდესმე რაიმე პირადი ურთიერთობა?" არავის არ შეუძლია სთქვას, ან დააშტკიცოს რაიმე ამდაგვარი. ჩვენ ერთმანეთი გავიცანით და გადავიცანით საზოგადოებრივი საქმის გამო. მე მას ყოველთვის საჯაროდ ვესხმოდი თავს, ვუყენებდი კონკრეტულ ბრალდებებს, მისი პირადი საქმიანობისათვის კი არა, არამედ მისი საზოგადოებრივი როლის გამო. მე არასოდეს არ დამიდანაშაულებია იგი რაიმე კერძო, პირადი საქმის გამო, ხოლო თუ ღავადანაშაულე, წამომიყენეთ ფაქტები. მე ვამტკიცებ, რომ იგი სწორად არ უყურებს საზოგადოებრივ საქმეებს, რომ მან არ იცის ის საქმე. რომელზედაც ლაპარაკია, რომ მას შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება და ა. შ. და ა. შ. განა ეს პირადულია? ვიმეორებ, შაჩვენეთ ფაქტი იმისა, რომ პირად ანგარიშს ეუსწორებ ბატ. ღოღობერიძეს, ან — იმისა, რომ მის პიროვნებას დაეესხი თავს. ამის გაკეთება თქვენ არ შეგიძლიათ.

და რადგან არა გაქვთ იმის საშუალება, რომ დამანახოთ ფაქტები, თქვენ მწამებთ და მწამებთ ცილს... ულამაზოა იმის მტკიცება, თითქოს მე იმიტომ ვესხმი თავს ბატ. ღოღობერიძეს, რომ მან ბანკის არჩევნების დროს 1000 (?) ხმა მიიღო. ბატ. ღოღობერიძეს ბანკი 1876 წელს ირჩევდა, მე კი მას 1873 წლიდან ვესხმი თავს („ტიფ-

---

* ჯერ კიდევ ამას წინათ, „ტიფლისსკი ვესტნიკიდან" ჩემი წამოსვლის შემდეგ, თავადი ბებუთოვი, რომელიც აღშფოთებული იყო ზოგიერთი ჩემი ოპონენტების უმსგავსო საქციელით თავიანთი საზოგადოებრივი მოვალეობის მიმართ, თხოულობდა, რომ თბილისის საადგილმამულო ბანკის საქმეებში პროკურორი ჩარეულიყო.

ლისსკი ვესტნიკი", 1873 წლის აგვისტო). გარდა ამისა, მე ხომ არ ვიყავი მისი კონკურენტი, ხომ არ ვეძებდი მის ადგილს? ასე რომ, ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს მის მიერ მიღებულ ხმებს? არჩევნების დროს მე დაინტერესებული ვიყავი გამეცხადებია (იხ. 1877 წლის „კავკასსკი ალმანახი", სტატია „ჩვენი წელი"), რომ ჩვენი ახალი თაობა მთლიანად არ უწევს სოლიდარობას ბატ. ლოლობერიძეს იმაში, რასაც იგი უხვი ფერებით პირდება თავადაზნაურობას; მე ეს გავაკეთე და ამის შემდეგ არც კი ჩავრეულვარ ამ საქმეში. მიიღო ბატ. ლოლობერიძემ 1000 ხმა თუ მხოლოდ 2 ხმა, ეს შეიძლება თითონ მას აინტერესებდეს. ჩემთვის ძალზე საინტერესო იქნებოდა, ეს რომ იმას ნიშნავდეს, რომ ასეთი მიმართულების მქონე ადამიანი ხალხის ამგვარი ნდობით სარგებლობს. მაშინ 1000 ხმა მოვალეს გამხდიდა გამომემეღავნებია ხალხის წინაშე მისი გონებრივი სიღატაკე. მაგრამ, მადლობა ღმერთს, მე კარგად ვიცი, რომ მიიღო 1000 ხმა მაშინ, როცა კონკურენტები არა გვყავს, სრულიად არაფერს არ ნიშნავს. ნაპოლეონ III-მ 1870 წლის მაისში მიიღო არა მარტო 1000, არამედ 8 მილიონი ხმა... იქნებ ბატ. ლოლობერიძეს პლებისციტის ძოწყობა სურს თავის თავისათვის იმერეთში.

მე მთელი გულით მგბრალება ის ადამიანები, რომელთაც არ შეუძლიათ გაიგონ, რომ კაცს მართლაც შეუძლია თავს ესსმოდეს ვინმეს პრინციპებში უთანხმოების გამო, საზოგადოებრივი საქმეების წარმოებაზე საკუთარი თვალსაზრისის გამო. მათთვის გასაგებია მხოლოდ პირადი მოტივები, მხოლოდ პირადი უმნიშვნელო ვნებები, და ეძებენ მათ ადამიანის ყველა მოქმედებაში. ღმერთო, როდის ველირსებით იმას, რომ ადამიანები, რომლებიც კალამს ხელს კიდებენ და გვიჩვენებენ რომ „წერა-კითხვა იციან", მოიპოვებენ სხვისი ვნებებისა და რაიმე ისეთი გატაცების გაგების უნარს, რაც წმინდა პირადულ ინტერესებზე მაღლა დგას!

იმ პირთ, ვისაც შეუძლია ასეთი გრძნობების გაგება, ჩვენ ვეტყვით, თუ რატომ ვესსმით თავს არა მარტო ბატ. ლოლობერიძეს, არამედ ყველა მის მსგავს ადამიანებს და მაშინ მკითხველებმა თვითონ განსაჯონ, მართლა საჭიროა თუ არა „პირადი ანგარიში" ჩვენი საქციელის ასახსნელად. მაპატიეთ, რომ უნდა გავიმეორო და გადმოვბეჭდო ის ამბები, რომლებიც თავის დროზე ქართულად დავწერე. მაგრამ ბევრი ჩემი მკითხველი არ იცნობს ამ ნაწერებს და ამიტომ, ვიმედოვნებ, იმ ტიპის მნიშვნელობის გამო, რომელზედაც ლაპარაკს ვაპირებ, მაპატიებს ამგვარ გამეორებას.

მე იმიტომ ვესხმი თავს ბატ. ლოლობერიძეს და მის მსგავს ადამიანებს, რომ ჩემის რწმენით ისინი დიდ ბოროტებას წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნისათვის. ისინი არიან ორპირნი, ეწევიან ორმხრივ თამაშს, რის გამოც სხვა უნდა დაზარალდეს. ჩვენს წინ მათ თავი მოაქვთ ლიბერალებად, რომელთაც მწარე ცრემლები დაუღვრიათ ადამიანის გაჭირვების გამო, და ჩვენ, გულუბრყვილობის შედეგად, მათ ტაშს ვუკრავთ. ხოლო ძველი თაობის ადამიანებისა და ხელისუფლების მპყრობელთა წინაშე ისინი მომაკვდავთა შორის ყველაზე კეთილად არიან განწყობილნი და სწუხან ჩვენს გზაარეულობას, ეშინიათ ჩვენი უკიდურესობების... ამ კატეგორიის ადამიანებს შეუძლიათ ერთდაიმავე დღეს ყურში ჩასჩურჩულონ თავადაზნაურობას: „დაამტკიცეთ ჩვენი წესდება, თორემ ბანკის დაარსების უფლებას არ მოგვცემენ“ და, ამავე დროს, წავიდნენ სადაც ჯერ არს დამამცირებელი თხოვნით — ითხოვონ დახმარება იმავე წესდების დასამტკიცებლად. ეს კიდევ ცოტაა. მათ შეუძლიათ, როგორც ეს ბატ. ბ. ლოლობერიძემ გააკეთა*, აიძულონ თავადაზნაურობა მადლობა გადაუხადოს ამ საქმისათვის იმავე ადამიანებს, რომლებიც მათ ამავე საქმის დაუძინებელ მტრებად გამოჰყავდათ. ასეთი ფოკუსები ჩვენ მით უფრო ნებადაურთველად მიგვაჩნია, რომ მათ აწყობენ ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავს ლიბერალიზმის ერთგულ მეგობრებად თვლიან. მიაჩვიო ჩვენი საზოგადოება ფარისევლობას, ეს უკვე დანაშაულია და ჩემთვის მარტო ეს ფაქტიც იკმარებდა იმისათვის, რომ მე მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე თავს დავსხმოდი იმ „საზოგადო მოღვაწეებს“, რომელთაც ჩვენს საზოგადოებაში აძგვარი ჩვევები შემოაქვთ.

ვიმეორებ: ამ წრთობის ადამიანებმა, ამგვარი ფოკუსებით მოახერხეს ორი კურდღლის დაჭერა. ისინი არც ლიბერალიზმის რეპუტაციაზე ამბობენ უარს და არც სოლიდურ ხელფასზე, რაც სახელმწიფო თანამდებობისათვის ეკუთვნით...

მე კი მათ ნიღაბს ვხსნი. ბატონებო, — ვეუბნები მე მათ, — თუ თქვენ ლიბერალები ხართ, მომეცით ხელი და იმოქმედეთ კეთილსინდისიერად, პირდაპირ, ცხადია, იმ ფარგლებში, რის უფლებასაც კანონი გვაძლევს ლიბერალური მოღვაწეობისათვის. მე თქვენგან არც მსხვერპლს ვთხოულობ და არც თავგანწირვას. იყავით თუნდაც ზომიერი ლიბერალები, მაგრამ იყავით ნამდვილად პატიოსანი ლიბერალები, ნუ შებილწავთ ლიბერალიზმს იეზუიტობით და ორპირობით.

---

* იხ. მისი სტატია ამის შესახებ 1873 წლის ივლისის „დროებაში“.

ხოლო თუ თქვენთვის უფრო სასიამოვნო და ძვირფასია კონსერვატიზმის სიკეთე, მაშინ იყავით გულახდილი კონსერვატორები, იარეთ თქვენი გზით... მაგრამ ღვთის გულისათვის ჩამოიხსენით ნიღაბი, ნუ გადააქცევთ საზოგადოებრივ ასპარეზს მასკარადად...

მე აღარ ვჩერდები იმაზე, რომ ამ ბატონებს, რომლებიც ჩუმად ლიბერალობენ, ეკავათ და უკავიათ კარგი თანამდებობები მიღებული იმ პირთაგან, რომლებიც ლიბერალიზმის სუნსაც კი ვერ იტანენ. მე მოგაგონებთ მათი ღირსეული ურთიერთობის ფაქტს (კიდევ კარგი, რომ ქუთაისელმა გაიხსენა 1876 წლის არჩევნები)... ახალგაზრდა და ლიბერალურად განწყობილ ადამიანებს ეს ბატონები ეჩურჩულებოდნენ: ბატ. ნიკოლაძე იმიტომ ეწინააღმდეგება ჩვენი ბანკის წესდებას, რომ სურდა და ახლაც სურს ძველი წესების მიმდევართა გული მოიგოს (ესე იგი მე „ლიბერალი“ არა ვარ). ხოლო ჩვენი სოფლის მოსახლეობის კონსერვატული ფენების წარმომადგენლებს, ძველ მემამულეებს ისინი ეუბნებოდნენ (სიტყვასიტყვით): „თუ ბატ. ნიკოლაძეს კრებაზე ლაპარაკის საშუალებას მისცემთ, მაშინ ვერც ერთი თქვენთაგანი ვერ მიიღებს ჩინებს: თქვენ არ იცით, რომ ბატ. ნიკოლაძის სახელი შავ დაფაზე წერია და იგი სძულთ“. ასეთი უბადრუკი ამბების შესახებ ძე უბრალოდ ვამბობ: ბატონებო, თქვენ ტყუიხართ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში. განა უკეთესი არაა ეროი რამის თქმა და ერთ აზრზე დგომა! ესაა ჩემი ჩვეულებრივი იარაღი მათ წინააღმდეგ. მათ ყოველთვის ამ დილემით ვიწვევ; იგივე დილემა მე ამას წინათ დაუყენე ბატ. ბ. ღოღობერიძეს. თქვენ შეგიძლიათ დაინახოთ ბატ. ქუთაისელის სტატიის მიხედვით, თუ როგორ ცდილობენ ისინი ისე დააღწიონ თავი ამ დილემას, რომ არ აირჩიონ არცერთი ამ მდგომარეობებიდან.

რისთვის აკეთებენ ამას? მე მათ ვერ ვაპატიებდი ასეთ საქციელს, თუნდაც რომ ყველაზე კეთილშობილი მიზნები და წადილი ამოძრავებდეთ. ბინძურ და არაკეთილშობილურ საშუალებებს არა თუ არ აბართლებს მიზანი, არამედ შეუძლია გასვაროს და დაგვაშოროს ყველაზე წმინდა მიზანსაც კი. მაგალითად, „ივერიის“ დაარსების დროს მე ვეკითხებოდი ამ ბატონებს: თუ თქვენ მართლა გსურთ ემსახუროთ ლიტერატურას და ზრუნავთ მის აყვავებაზე, სად იყავით აქამდე, რატომ არ ეხმარებოდით მას მაშინ, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა დახმარება, როცა ჯერ კიდევ ფეხს იდგამდა? თუ თქვენ ათეული წლობით ინდიფერენტულად იყავით განწყობილი მის მიმართ, მაშინ რაღამ აგინთოთ ახლა გულები? რა თქმა უნდა, პასუხი ვერც ამ კითხვაზე მივიღე. მათ ხელშია ბანკები, ისინი ამტკიცებენ,

რომ საზოგადოებას მათი უსიტყვოდ ჯერავს (მიიღო 1000 ხმა), მაგრამ თუ ასეა, როგორ გამოიყენეს მათ კეთილი მიზნების სასარგებლოდ თავიანთი მდგომარეობა და საზოგადოების ნდობა? არაფერი, არაფერი არ გაუკეთებიათ მათ გარდა წელიწადში რეგულარულად 3.000 და 4.000 მანეთის მიღებისა, საგირაო ფურცლებზე ხელის მოწერისა და საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების შედგენისა ნება თქვენია, მაგრამ ასეთი ბატონების მიჩნევა უანგარო საზოგადოებრივ ღოლვაწეებად დიდი გულუბრყვილობაა.

აი მთელი ჩემი „პირადი ანგარიში“ ასეთი ადამიანებისადმი. იმის გამო, რომ ისინი ორმხრივ თამაშს ეწევიან და ასეთი ერთიანი არიან ფულის აღებაში. იმის გამო, რომ ახალგაზრდების თვალში თავი ლიბერალებად მოაქვთ. ხოლო ჩამორჩენილების თვალში — კონსერვატორებად. მე ჩემს ზნეობრივ მოვალეობად ვიმაჩნია ჩამოვხსნა მათ ნიღაბი ყველა მოხერხებულ და მოუხერხებელ შემთხვევაში. თუ ისინი გონჯები არიან. მაშინ ნულარ ესაყვედურებიან სარკეს, მით უმეტეს, როცა მათ აქვთ მეორე სარკე, თუნდაც „ივერია“, სადაც შეუძლიათ დაინახონ თავიანთი ზნეობრივი სახე მთელი თავის სიწმინდით.

69. საზოგადოების სწავლული ეჭსპლოატატორები

თბილისი, 12 აპრილი

ჩვენ ჯერ არ დაგვიმთავრებია ნარკვევი „საზოგადო მოღვაწეთა“ იმ ტიპზე, რომელსაც შევეხეთ ამ დღეებში ბატ. ბ. ღოღობერიძის დამცველი, ფსევდონიმით ხელმოწერილი სტატიის გამო[90]. პირველ სტატიაში ჩვენ იძულებული ვიყავით თავისი მიგვეზღო საქმის პოლემიკური მხარისათვის, ახლა კი თავს ვანებებთ ყოველგვარ კინკლაობას და შეგვიძლია შევეხოთ დასახატავი ტიპის საერთო თვისებებს და თანაც ისეთს, რომელთაც ჩვენს ცხოვრებაში ღრმა საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს.

იმ „საზოგადო მოღვაწეების“ საერთო განმასხვავებელი თვისება, რომლებზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, განუზომელი სიმხდალეა. მათ სურთ ყოველი კაცის და ყველას გული მოიგონ და ყველა მიმართულებისათვის თანაბრად სასიამოვნო ადამიანები იყვნენ. მათ ავიწყდებათ, რომ ყოველ პატიოსან საზოგადო მოღვაწეს, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში უნდა ჰქონდეს თავის მიმართულების, თავის თვალსაზრისის ინტერესები, ე. ი. ის, რასაც იგი თვლის ჭეშმარიტებად, სიმართლედ. იგი ვალდებულია ამ ჭეშმარიტების ინტერესებისათვის წავიდეს არა მარტო საზოგადოების მცდარი შეხედულებებისა და თვალსაზრისის წინააღმდეგ, არამედ საფრთხეში ჩააგდოს მთელი თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა... ამავე დროს ჩვენი „საზოგადო მოღვაწეები“ ყოველ ნაბიჯს თავიანთი სიმართლის და თავიანთი თვალსაზრისის ინტერესებს კი არ უფარდებენ, არამედ იმას, თუ რა აზრისა იქნება ამის შესახებ საზოგადოების დიდი ნაწილი. ისინი მონდომებით არკვევენ საზოგადოების აზრს და შემდეგ გამოსთქვამენ თვითონ, აწერენ მას თავიანთ თავს და აღგვარად აღწევენ იაფფასიან, მაგრამ უსარგებლო წარმატებას. როგორ დიამეტრალურადაც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს უმრავლესობის ეს აზრი, ან განწყობილება, იმ თვალსაზრისს, რომელიც არა ერთხელ გამოსთქვეს მანამდე ამ „საზოგადო მოღვაწეებმა“, ეს მათ სრულიად არ ბო-

ჭავს. მიჰყევი დინებას, საითაც არ უნდა მიედინებოდეს, — აი მათი პრინციპი, მათი საიდუმლოება, მათი ძალა.

ამის გამო, „მშვენიერი ფრაზების“ მთელი მარაგი, რაც მათ ისეხეს ლიტერატურისაგან და ჩუმად ეუბნებიან გულუბრყვილო ადამიანებს, წარმოადგენს მხოლოდ ჩხარუნა ბგერებს, რომლებიც ეფარდებიან მათ საქმეს და არავითარი გავლენა არა აქვთ საზოგადოებრივი საქმეების მსვლელობაზე. რადგან ყოველთვის აღმოჩნდება, რომ საზოგადოების უმრავლესობა განწყობილია საწინააღმდეგოდ, და რადგან უმრავლესობის განწყობილება იცვლება მათ მცდარ შეხედულებებთან მტკიცე ბრძოლის შემდეგ, ხოლო ეს ბატონები ბრძოლას ისე გაურბიან, როგორც ჭირს, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მიუხედავად „ლამაზი ფრაზების“ მარაგისა, გულუბრყვილო ხალხის გამოსათაყვანებლად ისინი მუდამ ემსახურებიან ისეთ იდეებს და შეხედულებებს, რომლებიც დიამეტრალურად ეწინააღმდეგება მათ ყალბ თვალსაზრისს.

საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება უდაოდ ამტკიცებს, რომ ამ ბატონებისათვის პირადი წარმატება მათი თვალსაზრისის გამარჯვებაზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, რადგან მათ ეს თვალსაზრისი შეისისხლხორცებული კი არ აქვთ, არამედ, უბრალოდ, ფრაკივით აქვთ ნაქირავები, რაც აუცილებელია წრეში შესასვლელად...

ამიტომ ვერ გაქცევიან ისინი სასაცილო კურიოზებს. სცენაზე გამოდიან სხვა საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც საკუთარ წარმატებაზე ყოველგვარი ფიქრის გარეშე ებრძვიან საყოველთაოდ აღიარებულ საზოგადოებრივ შეცდომებს. ამ დროს კი ჩვენი საზოგადო მოღვაწეები“ უმრავლესობის მხარეზე გადადიან და „სწავლულის“ ავტორიტეტით და თავიანთი დიპლომების ძალით მხარს უჭერენ უმრავლესობის წინააღმდეგობას. ისინი მწიგნობრულად აფორმულებენ ყველაფერს, რისი თქმაც მასას შეუძლია ნოვატორების წინააღმდეგ და არ კმაყოფილდებიან რა ამით, საზოგადოებაში ავრცელებენ ხმებს არა მარტო ნოვატორთა შეხედულებების მავნებლობის შესახებ, არამედ მათი, როგორც პიროვნების მავნებლობის შესახებაც. მაგრამ რადგან იდეა ბოლოსდაბოლოს მაინც იმარჯვებს, ამიტომ უმრავლესობა ბრძოლის გადატანის შემდეგ მაინც ნოვატორთა შეხედულებებისაკენ იხრება, ამ დროს კი ჩვენი „საზოგადო მოღვაწეები“ აკეთებენ ვოლტფასს და პირველნი ქადაგებენ იმ შეხედულებებს, რომელთაც დიდი ხნის მანძილზე უარყოფდნენ!... ერთი სიტყვით, ეს ადამიანები იმ საქმესა და იმ წრეს უჭერენ მხარს, რომელიც მას თუ ბევრ ფულს არა, ხმებს მაინც მისცემს...

მეორე თვისება, რომელიც მთლიანად გამომდინარეობს პირველისაგან, ის სისტემატური და ავგურული დუმილია, რასაც ეს ბატონები ინარჩუნებენ საზოგადოებაშიც, პრესაშიც და კრებებზეც მანამდე. სანამ არ გამომეცხადება მკითხველთა ან მსმენელთა უმრავლესობის განწყობილება. მათ უყვართ ორაზროვანი, ორლესული, გარკვეულად არაფრის მთქმელი ფრაზები და მტკიცედ ახსოვთ, რომ ადამიანს ენა იმისთვის აქვს მიცემული, რათა... სდუმდეს. განა ლამაზია. როცა საკუთარი იდეების ერთგული ადამიანები მუდამ სდუმან მანამ, სანამ აზრისა და შეხედულებების ბრძოლა მიმდინარეობს? მავრამ ეს ბატონები უბრალოდ კი არ სდუმან, არამედ „ღრმაზროვნად". შეხედეთ მათ სახეებს, როცა საზოგადოებრივ ან კერძო კრებებზე ლაპარაკი ჩამოვარდება სადაც საკითხებზე: პირქუში მზერა, შუბლზე ნაოჭი, ზიზღნარევი ღიმილი, მხრების აჩეჩვა და ა. შ. ყველა ეს ფოკუსები ერთმანეთს ცვლის ყოველგვარი სისტემის გარეშე და ისე სწრაფად ეცვლებათ ერთი განწყობილება მეორეთი, რომ შეუძლებელია გაიგო მათი დამოკიდებულება საქმისადმი. სხვები კი ისეთი ოლიმპიური სახით იყურებიან, რომ შეგიძლიათ შეაფურთხოთ სახეში და ერთი კუნთიც კი არ შეუთამაშდებათ! და ყველაფერ ამას აკეთებენ თეატრალურად, სწავლობენ წინასწარ სარკის წინ, რათა გულუბრყვილო ხალხმა იფიქროს, რომ ამ ადამიანებში სიბრძნის დიდი საუნჯეა დაფარული!..

მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც მოხერხებული მოწინააღმდეგენი იძულებულს ხდიდნენ მათ გაეღოთ პირი, ზემოთ აღნიშნული საუნჯის ხვრელი. ღმერთო ჩემო, როგორი უძლურება, საბუთების, აზრის, რწმენის, ხასიათის როგორი სიცარიელე მეღავნდებოდა ამგვარ იშვიათ მომენტებში! აიღეთ, მაგალითად, ბატ. ღოღობერიძის პასუხი, რომელიც დაიბეჭდა „დროებაში"[7] 1873 წლის ივლისში, ანდა ბატ. ქუთაისელის პასუხი, რომელსაც მთელი სამი დღის მანძილზე წერდნენ ჩემს მიერ აღწერილ სკოლის „საზოგადო მოღვაწეების" სინედრიონი და თქვენ დარწმუნდებით იმაში, რომ ამ ბატონების ერთადერთი იარაღი საღი აზრი, არგუმენტაცია, აზრის სიძლიერე კი არაა, არამედ ინსინუაციები, ფაქტების დამახინჯება და ჭორები... დონ-ბაზილიოს[8] ამ ხერხებს ისინი ისე იყენებენ, რომ არც კი შეუძლიათ მათი გადასხვაფერება. ერთდაიმავე ჭორს, ერთდაიმავე ცილისწამებას რამდენჯერმე აწვდიან საზოგადოებას. ხოლო როცა დანაშაულზე წაასწრებენ მათსავე ნაჭუჭში, მათ იმის იმედი აქვთ, რომ მოწინააღმდეგეებს, ბოლოსდაბოლოს, მობეზრდებათ მათი დაჯილდოვება ყურის აწევით. ასე სდუმან ისინი თვეების,

ზოგჯერ წლების მანძილზე, მანამდე, სანამ არ დარწმუნდებიან, რომ ყურის აწევა არა მარტო შეწყდა, არამედ ყველას დაავიწყდა. მაშინ ისინი ისევ გამოდიან საზოგადოებაში ძველი ჭორების ახალი რედაქციით და როცა კვლავ მიიღებენ დამსახურებისამებრ, ისევ ბრუნდებიან დუმილის წმინდა ტაძარში, რომელიც ისევ იცავს მათ ღირსებას, როგორც უწინ წარმართული ტაძრები იცავდა სიცოცხლეს იმ დამნაშავეებისას, რომლებიც მოასწრებდნენ საკურთხევლამდე მირბენას... სხვათაშორის, უკანასკნელ დროს მათ გამოიგონეს გავრცელება ჭორებისა შენიღბულად, მსგავსად ანონიმური დაბეზღებისა და ფსევდონიმით ხელმოწერილი სტატიებისა...

მესამე თვისება, რომელიც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ის მანერაა, როგორითაც ეს ბატონები ექცევიან მათ მიერ ექსპლოატირებულ მასებს.

ჩვენი ადრინდელი საზოგადოებრივი ჩვეულებები იმდენად აღვირახსნილი და იმდენად ხელიდან წასული იყო, რომ ყოველი მოღვაწე, რომელიც ცხვირსახოცებს არ იპარავდა, არ იღებდა ქრთამს ანდა წესიერად იხდიდა ვალს, მასას „უანგარო, პატიოსან საზოგადო მოღვაწედ" მიაჩნდა. ხალხი შეეჩვია მედუქნეების მორალს და მზადაა „წმინდანად" აღიაროს ისეთი პირები, რომლებიც ბანალურ ქურდობას არ მიმართავენ, მაგრამ არა ნაკლებ ძარცვავენ საზოგადოებას და ეწევიან მის ექსპლოატაციას გაუმჯობესებული ხერხებით. მაგალითად ვექილი, რომელიც ასი ბანალური ფრაზისათვის ათას მანეთს ართმევს მომჩივანს, ფინანსისტი, რომელიც ამდენივე ფულს ართმევს აქციოიერებს ბლანკებზე უმნიშვნელო ხელის მოწერისათვის, მოსამართლე, რომელიც იმავე ათასებს ღებულობს წელიწადში 25 საქმის „მოხსენებისათვის" და ა. შ. და ა. შ. მასას პატიოსან ადამიანებად ეჩვენება მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა ეს პირები არ იპარავენ ცხვირსახოცებს... ეს ძალიან კარგად ესმით ჩვენს „საზოგადო მოღვაწეებს"...

...მაგრამ შეხედეთ მათ დამოკიდებულებას მასებისადმი და თქვენ დაინახავთ, რომ ვერცერთი ჯიბის ქურდი, ვერც ერთი მევახშე ვერ მიაყენებს საზოგადოებას შემილიონედ ნაწილსაც კი იმ ვნებისას, რასაც მათ ეს ბატონები აყენებენ...

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ვიცოდეთ, რომ ყველა საზოგადო საქმეს, ყოველ წარმოებას, რა ადვილი და უბრალოც არ უნდა იყოს, ამგვარი ბატონები ისე წარმოუდგენენ საზოგადოებას, თითქოს აკეთებენ რაღაც მეტისმეტად ძნელს, რაც არაჩვეულებრივ ცოდნასა და ჰერკულესის ძალას თხოულობს. ყველაფერს, რასაც ისინი აკე-

თებენ. თუნდაც ეს ქაღალდის უბრალო გადაწერა იყოს, აკეთებენ როგორც დიდ საიდუმლოებას. იციან რა რამდენიმე საიდუმლოება საქმის იოლად მოგვარებისა, ეს ბატონები განგებ თვალთმაქცობენ, თითქოს მათთვის აუცილებელია წლების მანძილზე მუშაობა იმისათვის, რომ შეასრულონ დავალება, რომელიც იტვირთეს. მაგალითად, რა უნდა იყოს იმაზე ადვილი, რომ აიღო მთავრობის მითითებათა და განკარგულებათა კრებული და გადმოიწერო იქედან საადგილმამულო ბანკის რომელი წესდებაც გნებავს და შეასწორო მხოლოდ ორი-სამი სიტყვა? ეს საქმე ჩვენს თავადაზნაურობას ისე წარმოუდგინეს, როგორც რაღაც გრანდიოზული, რასაც ვერ გაიკეთებენ უბრალო მომაკვდავნი. როცა წესდება გადმოიწერეს, მათ თავიანთი თავისგანვე შექმნეს კომისია თითქოსდა წესდების გადასახედავად და გასაუმჯობესებლად. მაგრამ როცა თავადაზნაურობა დაიშალა და როცა შეიძლებოდა ნიღბების ჩამოხსნა, მათ განუცხადეს დაინტერესებულ ადამიანებს, რომ მათ მიერ გადმოწერილი წესდება ნორმალურია და მასში მძიმის შესწორებაც კი არ შეიძლება.. შემდეგ მათ მოახერხეს პეტერბურგში გასამგზავრებელი სუბსიდიის მიღება იმისათვის, რომ ეთხოვათ ამ ნორმალური წესდების... დამტკიცება. მათ ამ ნორმალური წესდების დამტკიცების სიძნელე ისე აუწერეს თავადაზნაურობას, თითქოს ჩვენი მხრიდან საჭირო იყო დიდი გარჯა და გენიალური მეცადინეობა, და, გარდა ამისა, კიდევ რამდენიმე ათასი მანეთი... ჩინოვნიკების მოსაქრთამავად... თავადაზნაურთა წარმომადგენლები იმდენად გონიერნი აღმოჩნდნენ, რომ უარი უთხრეს „ჩვენს უანგარო და პატიოსან საზოგადო მოღვაწეებს“ გამოთხოვილი ათასების მიცემაზე და ორივე ბანკის წესდება დამტკიცებული იქნა ყოველგვარი დამატებითი ხარჯების გარეშე. ახლა ვიკითხოთ, რამდენი ცხვირსახოცი უნდა მოიპარო იმისათვის, რომ შეადგინოს ის თანხა, რომელიც ჩვენმა „საზოგადო მოღვაწეებმა“ კინაღამ დაცანცლეს თავადაზნაურობას მრუდე გზით?

ეს ფაქტი ჩვენ მოგვყავს სხვათაშორის, სიტყვისათვის, ხოლო ჩვენი საუბრის არსი ისაა, რომ ეს ბატონები შუდამ აზვიადებენ ყოველი საქმის სიძნელეს, რათა დაარწმუნონ საზოგადოება, რომ აუცილებლად საჭირონი არიან და ამ გზით უკეთესი ექსპლოატაცია გაუწიონ მას.

უანგარო საზოგადო მოღვაწე, ალბათ, არ მოთხოვდა ჩვენ ფსუსურ თავადაზნაურობას 4.000 მანეთს წელიწადში იმისათვის, რომ საჭირაო ფურცლებს ხელს აწერს. უანგარო მოღვაწე ყოველ საქმეში მხოლოდ იმას ეცდებოდა, რომ ასწავლოს საზოგადოებას როგორ

მოიქცეს მომავალში, როცა ასეთი საკითხები და სიძნელეები წარმოიშობა. უანგარო მოღვაწე ეცდებოდა აღეძრა საზოგადოებაში თვითმოქმედებისაკენ სწრაფვა, მიაჩვევდა თვითდახმარებას, ასწავლიდა როგორ იცხოვროს „აუცილებლად საჭირო ადამიანების“ გარეშე, რათა მომავალში საზოგადოება არ ჩაუვარდეს ხელში სხვადასხვა ჯურის ეგოისტ-ექსპლოატატორებს. ამისათვის საკმარისი იქნებოდა უანგარო საზოგადო მოღვაწეს ასეთი რამ ეთქვა საზოგადოებისათვის: როცა თქვენ დაგჭირდებათ რაიმე წესდებები, აიღეთ ჰითითებათა კრებული და იქ იპოვით ყველაფერს, რაც გჭირდებათ. თუ თქვენ ვინდათ შეუფარდოთ ყველაფერი ეს ადგილობრივ პირობებს, მაშინ სანამ მიიღებდეთ და დაამტკიცებდეთ წესდებას, აირჩიეთ თქვენს შორის გამოცდილი და მცოდნე პირები, ამგვარი ადამიანები თქვენს შორის ბევრია, ამისათვის საჭირო არაა კაცი ვარსკვლავებს წყვეტდეს ციდან. არა, ჩვენი „უანგარო მოღვაწეები“ სრულიად საწინააღმდეგოდ მოქმედებენ: ისინი საზოგადოების განვითარებისა და გაფურჩქვნისათვის კი არ ზრუნავენ, არამედ იმისათვის, რომ ეს საზოგადოება ყმად გაიხადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კამოიყენებდნენ სიტყვას საზოგადო კრებებზე და პრესას ხალხის დასარწმუნებლად...

ამის ყველაზე კარგი დამამტკიცებელი საბუთი იმალება ჰათ პრაქტიკაში: საადგილმამულო ბანკების წესდების მიხედვით ნებადართულია დამაარსებელთა კრებების მოწყობა, და მართლაც, ორივე ბანკის პირველ კრებებს ბევრი ხალხი ესწრებოდა. ყველა იმ ადამიანის თვალსაზრისით, ვინც გულწრფელად უჭერს მხარს ჩვენი ხალხის განვითარებას, ეს საერთო კრებები, რომლებიც გარკვეულ ვადებში თავს უყრიდა ჩვენი ქვეყნის მიხვეულმოხვეულ კუთხეებში და მიუვალ ადგილებში გაფანტულ ადამიანებს, ჩვენს მხარეში ცივილიზაციისა და საღი შეხედულებების გავრცელების საუკეთესო საშუალება იქნებოდა. როგორ მოიქცნენ ჩვენი „უანგარო მოღვაწეები“ ამ კრებების მიმართ? მათ ძალღონე არ დაიშურეს იმისათვის, რომ არ დაეშვათ ამ კრებებზე მორიგი საკითხის განხილვა, არავისთვის არ მიეცათ სიტყვის უფლება, რათა არავის არ ცოდნოდა რა წყდება და როგორ წყდება... თუმცა რა საქმე აქვთ მათ საზოგადო კრებების განმანათლებელ მნიშვნელობასთან, რა საქმე აქვთ საზოგადოების შეგნების განვითარებასთან: მათ კრება სჭირდებათ როგორც ფორმალური აუცილებლობა, როგორც სანქცია იმისა, რომ მათ უფლება ჰქონდეთ საგირაო ფურცლებზე ხელის მოწერისათვის წელიწადში 4.000 მანეთი მიიღონ, შემდეგ კი ქვაც ქვაზე ნუ დარჩე-

ნილა. ამის უფლება რომ მიიღონ, არჩეული რომ იქნენ, ისინი მზად არიან იცრუონ, ცილი დასწამონ, არჩევნების დროს მთელი რიგი თანამდებობები დაპირდნენ „გავლენიან მოთავეებს“, ხოლო ბნელ მასას უამრავი ოქრო. „აირჩიეთ მმართველობა და თქვენ მაშინვე მოიპოვებთ უფლებას მიიღოთ სესხი ბანკისაგან“, აი ერთადერთი რამ, რაც მათ იმ საზოგადოებას უთხრეს, რომელიც მათგან დიდ და მდიდარ წყალობას ელოდა, და არა მარტო ფინანსიურს, არამედ ზნეობრივსაც.

ჩვენ რომ მოგვენდომებია და ყველა ფაქტი მოგვეყვანა ამ ფარისევლების ანგარებიანი მოღვაწეობის დასახატავად, ვერასოდეს ვერ დავამთავრებდით ამ წერილს. ჩვენ დავკმაყოფილდით მხოლოდ ჭსხვილი შტრიხებით და არც კი შევეხეთ ამგვარი ადამიანების ტიპის ყველა თვისებას. მაგრამ მკითხველს შეუძლია იმის მიხედვითაც გადაწყვიტოს, რაც მე აქ ვთქვი, თუ რა უფლება აქვთ საზოგადოების ამგვარ ექსპლოატატორებს პრეტენზია ჰქონდეთ ტიტულზე, — რომელიც ყოველი პატიოსანი ადამიანის ერთადერთი ჯილდოა კარიერის დამთავრების შემდეგ, — „უანგარო საზოგადო მოღვაწის“ ტიტულზე.

70. შავი ზღვის კავკასიის სანაპირო

თბილისი, 22 აპრილი.

„ოტეჩესტვენი ზაპისკის“[82] მარტის ნომერში უცნობმა ავტორმა დაბეჭდა სტატია „შავი ზღვის კავკასიის ნაპირი“, რომელიც დაწერილია დოქტორალური ტონით და სავსეა ბევრი დამსახურებული საყვედურით თვითეულისა და ყველას მიმართ. თუ ვიმსჯელებთ ყველა იმ სწორი ფაქტის მიხედვით, რომლებიც მოყვანილია სტატიაში, ავტორი დეტალურად იცნობს შავი ზღვის ჩრდილო ნაპირს და სპეციალურად ამ ნაპირის სამიწათმოქმედო კულტურას. ყველაფერი, რასაც იგი ლაპარაკობს შავი ზღვის ოლქის წარსულ და მომავალ სამიწათმოქმედო კულტურაზე, კოლონიზაციაზე, სიძნელეებზე, რომელთაც იგი წააწყდა და ღონისძიებებზე, რომელთა მეშვეობით ეს მხარე უკეთეს წარმატებებს მიაღწევს — ყველაფერი ეს სრულიად საფუძვლიანი და სწორია. სამაგიეროდ, განსაკუთრებით არ გამოუვიდა ავტორს საერთო მოსაზრებები და ყველა განზოგადოება. ყველა მისი გადაწყვეტილება, რომელიც არ ეხება სამიწათმოქმედო კულტურას და კოლონიზაციას, არაზუსტია, არ ესმის და არც აქვს ლოგიკური დასკვნები. ასე რომ, როცა. გამოსთქვამს რაიმე აზრს, ოაიმე საკუთარ ვარაუდს, თვითონვე უარყოფს მათ და აქიტომ მისი სტატია რაღაც უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს. მიუხედავად ამისა, საკითხს, რომელიც მან წამოჭრა, ისეთი დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ჩვენი მხარისათვის, რომ ჩვენ უმეცარად არ ვთვლით უცნობ ავტორს, არ ვეხებით ყველაფერ იმას, რაც მან გამოსთქვა, ჩვენ მხოლოდ მიუთითებთ იმაზე. რაც დამაკმაყოფილებელი არაა და შესწორებას თხოულობს.

მის მიერ გამოთქმული აზრები და მოყვანილი ფაქტები სამხედრო მოქმედების შესახებ აფხაზეთში და საერთოდ შავი ზღვის ნაპირებზე, მას, ალბათ, სხვებისაგან გაუგონია და უკიდურესად არასწორია. ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო გავაანალიზოთ რუსეთ-თურქეთის უკანასკნელი ომის ეს ფურცელი. ფაქტების სიმართლით აღ-

დგენისათვის ჯერ კიდევ არ არსებობს სწორი, ოფიციალური მასალა.

ავტორი საყვედურს გამოსთქვამს იმის გამო, რომ კავკასიაში ჯარები, უმეტეს შემთხვევაში, სოფლებში, საგუბერნიო, სამაზრო ქალაქებში, ქვეყნის შიგნით იდგნენ, სადაც არაფერს არ აკეთებდნენ მაშინ, როცა მათი გამოყენება შეიძლებოდა დიდი სარგებლობით საბაპიროზე, სადაც ისინი ბევრად უფრო საჭირო იყვნენ არა მარტო ომიანობის, არამედ მშვიდობიანობის დროსაც ნავსადგურების საამშენებლო სამუშაოებზე, გზების მშენებლობაზე, ადგილმდებარეობის ასენიზაციისათვის და მიწის გასაწმენდად.

აქ ყველაფერი არასწორადაა გაგებული. თურქეთთან ომის დროს, შავი ზღვის ნაპირს არავითარი სტრატეგიული მნიშვნელობა არ ჰქონდა და ჯარს აქ შემთხვევით მოუყარეს თავი. მშვიდობიანობის დროს ჯარისკაცი მთავრობისათვის ყველაზე ძვირი მუშახელია, განსაკუთრებით შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე, სადაც ჯარმა ჯერ საცხოვრებელი ბინა უნდა ააშენოს, რის გარეშეც, როგორც ქვემოთ თვით ავტორი აგვიწერს, მათ უნაყოფოდ განადგურება ელით. ხოლო თუ ვიანგარიშებთ რა ჯდება ჯარის შენახვა შტატების მიხედვით და თითქმის მთლიანად ავადმყოფი ბატალიონების მკურნალობა ლაზარეთის კარვებში, აღმოჩნდება, რომ ერთი ჯარისკაცის ნაცვლად მთავრობას შეუძლია დიდი სარგებლობით დაიქირავოს ორი და სამი მუშა. აქედან შეიძლება პირდაპირ დავასკვნათ, რომ შავი ზღვის ნაპირზე მცირერიცხოვანი ჯარის განლაგება გონივრული ღონისძიებაა.

შევიგნეთ რა ნავსადგურის აშენების აუცილებლობა, ჩვენ შევუდექით მის აგებას ფოთში, ამბობს ავტორი, მაგრამ რიონის კალაპოტი წყალმცირე აღმოჩნდა, მუდამ იცვლებოდა, ხოლო მიწაყრილს და ჟეტესაც კი ზღვა რეცხდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ყურეს აშენებდნენ ხელოვნურად, რომ ფოთის ნაპირები ხელს არ უწყობდა სამუშაოებს, მაშინ გასაგები იქნება ის სიძნელეები, რომლებიც შეგვხვდა, თუმცა წარუმატებლობის დიდი წილი მშენებლობაზეც მოდის. შავი ზღვის ნაპირი აქ არაფერს შუაშია, არც ისაა რაციონალური, რომ ასეთ მოსაზრებებს დაუკავშიროთ ფოთის მომავალი. ამიტომ მივაქციოთ ყურადღება მხოლოდ ფოთის ნაპირს, რომელმაც ხელი არ შეუწყო სამუშაოებს. სწორია ის ამბავი, რომ აღმოსავლეთ ნაპირზე ყველგან ასე იქნება, რადგან ამ ნაპირზე არსად არაა ნავსადგურის ასაგებად მოხერხებული ადგილი. ამას თვით ავტორიც აღიარებს. არცერთი ხელოვნური ყურის აშენება არ შეიძლება დიდი ხელოვნური ნაგებობების გარეშე, ამბობს ავტორი და

ამიტომ, რა თქმა უნდა, უნდა გამოვიყვანოთ დასკვნა, რომ ყველგან ისეთივე სიძნელეები შეგვხვდება, როგორც ფოთში. მაგრამ ავტორი საკითხს სხვანაირად სწყვეტს: პუნქტის ამორჩევისა და გარკვეული სამუშაოების ჩატარების დროს უნდა ვხელმძღვანელობდეთ ეკონომიური და საერთო მოსაზრებებით... ამ ამბავში აზრი არაა და არც შეიძლება იყოს, რადგან იმაში, რასაც შემდეგ ამბობს ავტორი ნავსადგურების განლაგების შესახებ, მჟღავნდება სპეციალობის, ფაქტებისა და ადგილობრივი პირობების უცოდინარობა.

ავტორი, მაგალითად, გვარწმუნებს, რომ კომისიაში, რომელიც სწავლობდა კავკასიის ნაპირს ნავსადგურების ასაშენებლად, ხმები ზუსტად ორ ჯგუფს შორის გაიყო: 1. ანაპა, ნოვოროსისკი, გელენჯიკი და 2. ტუაფსე. არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა. კომისიამ აირჩია და შეადგინა პროექტი ანაპისა, ნოვოროსისკისა, გელენჯიკისა, ტუაფსესა და სოხუმისათვის, და, რა თქმა უნდა, კომისიის ყოველ წევრს ჰქონდა თავის სიმპათიები რომელიმე ნავსადგურისადმი, მაგრამ პროექტები შედგენილია ერთნაირად ყველასათვის და წარდგენილია გზათა სამინისტროში. საკითხი იმის შესახებ, თუ რომელია ამ პუნქტებიდან უფრო მნიშვნელოვანი, სწყდება არა ტექნიკური, არამედ პოლიტიკურ-ეკონომიური თვალსაზრისით იმ საფუძველზე, თუ როგორია საერთო მოსაზრება კავკასიის ნაპირის მომავალი განვითარების შესახებ. ამავე დროს, ცხადია, ნოვოროსისკი და გელენჯიკი ერთდროულად ვერ ითამაშებენ დიდი ნავსადგურების როლს ასე მოკლე მანძილზე და მხოლოდ ერთერთი მათგანი შეიძლება იყოს აყვანილი პირველხარისხოვანი ნავსადგურის რანგში, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სრულიად არ გამორიცხავს არც ტუაფსეს, არც სოხუმის, არც ფოთის და არც ბათუმის მნიშვნელობას. ავტორი მონდომებით ცდილობს დაამტკიცოს, რომ ტუაფსე ყველას სჯობია და ამიტომ იბრძვის ბატ. პალიბინის პროექტისათვის. პროექტი, ასე რომ ვთქვათ, აბსტრაქტულია, წარმოადგენს მხოლოდ ძირითად აზრს და ამიტომ არ გვაწვდის არავითარ მონაცემებს სხვა ნავსადგურების* არსებულ და მომავალ პროექტებთან შესადარებლად. ასე რომ, ავტორის აქედან გამოყვანილი ყველა დასკვნა წყალზეა დაფუძნებული და არავითარი ნიადაგი არ გააჩნია. და ამიტომ ყველა No, S,

---

* ჩვენ არ მიგვაჩნია საჭიროდ დაწვრილებით განვიხილოთ მისი აზრი ალმოსავლეთ ნაპირზე ნავსადგურების მნიშვნელობის შესახებ, რადგან ყველა მოსაზრება ამის შესახებ დაწვრილებითაა გაშლილი სტატიებში „ბათუმი, ფოთი, სოხუმი", რომლებიც დაიბეჭდა ჩვენი გაზეთის № 24, 25 და 42-ში.

SW და დანარჩენი რუმბების ქარები, რომლებიც ავტორმა შეიტანა ჩვენს მიერ კანხილულ სტატიაში, არაფერს არ ამტკიცებს და ბევრად ამცირებს შავი ზღვის სანაპიროს მომავალი კოლონიზაციის, კულტურისა და ეკონომიური მნიშვნელობის სხვა დასკვნებს; გვიჩვენებს იმ ზერელე მიდგომას, რომელსაც ავტორი ავლენს მისთვის გაუგებარ საგანზე მსჯელობისას.

71. ქუთაისის ბანკის საქმეები

ქუთაისი, 16 აპრილი.

ამ დღეებში უნდა შესდგეს ჩვენი ბანკის დამაარსებელთა საერთო კრება. საბედნიეროდ, ამ საერთო კრების წინაშე არ სდგას არცერთი ნაწვავე საკითხი, ე. ი. ბანკის თანამდებობათა დასაკავებლად არავითარი არჩევნები არ ჩატარდება. ამიტომ, შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ კრება განიხილავს მხოლოდ ბანკის მიმდინარე საქმეებს... ჩვენ ვიმედოვნებთ, ახლა აღარავინ არაა დაინტერესებული, როგორც ეს იყო 1876 წელს, გააწამოს ჩვენი მცირემამულიანი თავადაზნაურები, რომლებიც ჩამოვიდნენ ქუთაისში მხოლოდ რამდენიმე დღით გუბერნიის შორეული კუთხეებიდან, და ამასთან წლის ყველაზე გაცხარებული მუშაობის დროს, პროცედურული წვრილმანების უსასრულო გაჭიანურებით, რათა შემდეგ, როცა ბანკის მიმდინარე საქმეების განხილვაზე გადავლენ, დამაარსებელთა შორის ასეთი ლოზუნგი გადაესროლონ: „ჩვენ ჩამოვედით ერთი კვირით და მთელი თვე უსარგებლოდ ვცხოვრობთ აქ. დაგვეხარჯა. რაც გვქონდა, ყანებს აღარავინ უვლის. ახლა მსჯელობის დრო არაა, ვყაროთ კენჭი რაც შეიძლება ჩქარა და დავიძრათ შინისაკენ!“ ვიმეორებ, ახლა თანამდებობის მაძიებლები მტკიცედ სხედან თავიანთ ადგილებზე და აღარავინ აღარაა დაინტერესებული ბანკის სახელით დაიწყოს ამგვარი ხრიკები. ამიტომ, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ბანკის საქმეებს დაუთმობენ ერთ ბეწო დროს და ყურადღებას!

თავისთავად ცხადია, რომ თქვენ ჯერჯერობით არაფერი არ იცით ჩვენი ბანკის საქმეების შესახებ. უნდა გამოეტყდეთ, რომ თქვენზე მეტად არც ჩვენ ვიცნობთ მათ საიდუმლოებას. მართალია, „კავკაზი“[3] და „ივერია“[8] წელიწადში ორჯერ ბეჭდავენ ჩვენი ბანკის „აუგარიშების მდგომარეობას“, მაგრამ, ჯერ ერთი, თქვენ კარგად იცით, რომ ამგვარი ბალანსი სრულიად არაფერს არ არკვევს: მოსკოვის სესხის გამცემი ბანკის ბალანსი, ერთი კვირით ადრე იმ ტრიუმფალურ კრახამდე, რაც აქციონერებს დაემართათ, მტრედივით უმწიკვ-

ლო იყო. მეორეც, ორივე ზემოდასახელებული გაზეთი ჩვენში, და მგონი თქვენშიც, ისეთი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა, რომ სანთლითაც ვერ იპოვით... მართალია ისიც, რომ წესდების მიხედვით ბანკმა უნდა გამოაქვეყნოს დაწვრილებითი ანგარიში თავის საქმეების მიმდინარეობის შესახებ. მაგრამ მე არ ვიცი, აქვეყნებს კი ჩვენი ბანკი ამგვარ ანგარიშებს? მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ბანკი უკვე ორი წელიწადია არსებობს, მე გამოქვეყნებული ანგარიშები ერთხელაც არ მინახავს. ამგვარ ანგარიშებს, ალბათ, დამაარსებლებს დაურიგებენ ორი საათით ადრე, ანგარიშის დასამტკიცებელი კენჭის ყრის დაწყების წინ...

ჩვენი მმართველობის მხრიდან ყველაფერი ეს სრულიად გასაგებია, რადგან მტკიცედ ანხორციელებს თავის პოლიტიკას—წარმართოს საზოგადო საქმეები ირიბად, საიდუმლოების საფარ ქვეშ. გაუგებარია მხოლოდ სამეთვალყურეო კომიტეტის მხრიდან, რომლის წევრთა უმეტესობა დამაარსებელთა იმ პირებისაგანაა არჩეული, რომლებიც არ ეკუთვნოდნენ ბატ. ღოლობერიძის ხროვას. ჩვენთვის გაუგებარია — რატომ სდუმს ასე ჯიუტად სამეთვალყურეო კომიტეტი და ამით ფარავს მმართველობის მიერ კუკუმალულობის თამაშს...

ამავე დროს, ხმები, რაც ჩვენში დადის ჩვენი ბანკის საქმეების შესახებ, მის მდგომარეობას ვარდისფრად არ ანათებს. ვცდილობდი რა გამომერკვია ყველაფერი, რისი გაკეთებაც კი შეშეძლო იმ მკაცრი „საიდუმლოების" პირობებში, რასაც ამ მხრივ ბანკი იცავს, გაგაცნობთ ამ ხმებიდან ყველაზე უფრო უტყუარი.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ითქვას, რომ მიუხედავად 1876 წლის საზეიმო ფიცისა, ჩვენში აქამდე არაა შედგენილი ბანკის დამაარსებელთა სწორი სია. 1876 წელს არჩევნებში ასობით ადამიანი ღებულობდა მონაწილეობას, რომელთაც არავითარი უფლება არ აქონდათ ბანკის დამაარსებლებად ჩაეთვალათ თავიანთი თავი*... მინდობილობები იბეჭდებოდა ასობით და არავინ არ კითხულობდა ვინ არიგებს მათ და ვის ურიგებს... ჩვენ გვეგონა, რომ ორი წლის ძანძილზე სიას შეამოწმებდნენ, მაგრამ არაფერი ამდაგვარი არ მომხდარა. როგორც მმართველობას, ასევე სამეთვალყურეო კომიტეტს ამის გაკეთება თურმე დაავიწყდა... ორი წლის განმავლობაში. მხოლოდ გასულ კვირას, რამდენიმე დღით ადრე საერთო კრებამდე, გაახსენდათ სიის შედგენის აუცილებლობა და მმართველობის მდივა-

---

* ამ პირთა რიცხვში იყო დამაარსებელთა საერთო კრების თავმჯდომარე თავ. გ. ი. აბაშიძეც.

ნი ი. მესხი გაგზავნეს თბილისში, რათა შეემოწმებია სიები სახელმწიფო პალატაში. ამგვარად, მომავალი კრებაც თავისი კომპეტენტურობით 1876 წლის კრების მსგავსია.

მართველობის შინაგან განაწესზე ლაპარაკი ზედმეტია. მიუხედავად წესდების პირდაპირი მითითებისა იმის შესახებ, რომ მართველობა შესდგება მმართველისა და ორი დირექტორისაგან, საქმეების დიდ ნაწილს ერთპიროვნულად სწყვეტს მმართველი, ბატ. ბ. ღოღობერიძე. მას მარტო თვითონ, ერთპიროვნულად გამოაქვს ამდაგვარი დადგენილებები... „ვხედავთ რა, რომ შეფასება არასწორადაა წარმოებული, მართველობა ადგენს... დაევალოს ხელახალი შეფასება"... (და მართველობის ასეთ დადგენილებას ხელს აწერს მარტო იგი, მართველობის სხვა წევრების დაუკითხავად), მაგრამ შეფასებას შემფასებელ კომისიას კი არ აძალებს, არამედ ერთ შემფასებელს .. მართველობაში და შემფასებელ კომისიაში ამგვარი ერთხელისუფლებიანობის წყალობით... როგორც აქ ყვებიან, შესაძლებელი გახდა დიდ სესხთა გაცემა ისეთ მამულებზე, რომლებიც არავითარ შემოსავალს არ იძლევიან, მაგრამ ეკუთვნიან „გავლენიან პირებს".

ბანკის საქმეების ნორმალურად წარმოების დროს ერთპიროვნული ხელისუფლება მავნებელი არ იქნებოდა, რადგან ბანკის წესდება, რომელიც ზღუდავს სესხის გაცემას უძრავ ქონებაზე, მნიშვნელოვნად ამცირებს ბანკის ოპერაციების საშიშროებას. მაგრამ როცა ცდილობენ საადგილმამულო დაწესებულები გადააქციონ ჩვეულებრივ სპეკულატურ კანტორად, რაც მართველობამ გამოამჟღავნა, მაშინ, მმართველის ერთპიროვნულმა ხელისუფლებამ შეიძლება კრახამდე მიგვიყვანოს. გადაკრული ხმები ბატ. ღოღობერიძის სპეკულატური მისწრაფებების შესახებ რომ ტყუილი ფრაზა არაა, თქვენ ეს შეგიძლიათ დაინახოთ შემდეგი გარემოებიდან.

ჩვენი ბანკის ძირითადი კაპიტალი ინახებოდა სახელმწიფო ხაზინის სერიებში. ეყრდნობოდა რა წესდების იმ წესს, რომ ბანკის კაპიტალის ნაწილი სახელმწიფო ბანკში პროცენტიანი ქაღალდების სახით უნდა ინახებოდეს, ბატ. ღოღობერიძემ გადასწყვიტა დაეწყო საბირჟო თამაში პროცენტიანი ქაღალდებით. სარგებლობს რა იმით, რომ მართველობის სხვა ორმა წევრმა* აბსოლუტურად არაფერი არ იცის, იგი საკუთარი თვალსაზრისის მიხედვით ყიდულობს და ყიდის პროცენტიან ქაღალდებს, ხელს აწერს სესხებს და

---

* რომელთაგან ერთი ძველი დროის გადამდგარი ჩინოვნიკია, ხოლო მეორესათვის სრულიად უცხოა მეცნიერებაც და „გამოცდილებაც".

ა. შ. ეს კიდევ ცოტაა. პროცენტიანი ქაღალდების ყიდვისა და გაყიდვის დროს იგი არ იცავს ჩვეულებრივად ბანკებში მიღებულ ფორმას. ყიდულობს ხელიდან ხელში, ირიბი გზით და არა ბირჟის ნოტარიუსთა მეშვეობით, რათა დამაარსებლებმა იცოდნენ რამდენად იყიდეს სინამდვილეში პროცენტიანი ქაღალდები და რამდენად გაყიდეს... თუ ამგვარ თამაშში გამოიყენებენ პროცენტიანი ქაღალდების მნიშვნელოვან რაოდენობას, შეიძლება დამაარსებლებს ამ ამბავმა ბევრი უხერხულობა მოუტანოს...

მართალია, ბატ. ღოღობერიძის ხროეა ამტკიცებს, რომ ეს თამაში ბანკისათვის „ძალიან სასარგებლოა“: ჩვენ ვიყიდეთ ბილეთები 93 მანეთად, ხოლო გავყიდეთ 96 მანეთად, — ყვირიან ისინი. არ ვდაობ. მაგრამ თამაში ყველა საშიშია და შეიძლება ისიც მოხდეს, რომ ბატ. ღოღობერიძე ერთ მშვენიერ დღეს იძულებული იქნება 70 მანეთად გაყიდოს ის, რაც 92 მანეთად იყიდა. ვინ აგებს მაშინ პასუხს ბანკის ზარალზე? ბატ. ღოღობერიძე, რომელიც საკუთარი ოვალსაზრისით მოქმედებდა წესდების წინააღმდეგ, თუ ჩვენ, დამაარსებლები, რომელთაც არაფერი არ ვიცოდით მისი უკანონო ოპერაციების შესახებ? დამეთანხმეთ, რომ ეს საკითხი გამორკვევის ღირსია.

სპეკულაციის მეორე მაგალითი: ბატ. ღოღობერიძემ გადასწყვიტა აეშენებინა უსარმაზარი შენობა ბანკისათვის ბანკის ხარჯზე. მაღლობა ღმერთს, ქუთაისში შენობა ბევრია და დახარჯო რამდენიმე ათი ათასობით მანეთი იმისათვის, რომ თავიდან აიცილო ყოველწლიურად 8000-10000 მანეთის გადასახადი არც ისე ხელსაყრელია. ყოველ შემთხვევაში, საამშენებლო და სპეკულატური საქმიანობა უღათ აკრძალული აქვს ბანკს. თუ ჩვენს ბანკირებს იმდენი თავისუფალი დრო აქვთ, რომ სჭირდებათ ახალი სამუშაოები და წამოწყებები, მაშინ რატომ ვერ შესძლეს აქამდე დამაარსებელთა სიების შემოწმება? თუ კი ბანკი იმდენ მუშაობას მოითხოვს, რომ ორი წლის მანძილზე ვერ მოიცალეს სიების შესამოწმებლად, მაშინ რატომ უნდა დაიტვირთონ თავი ახალი წამოწყებებით? ქუთაისის თავადაზნაურობა არც ისე მდიდარია, რომ სასახლეები აუშენოს ბატ. ღოღობერიძეს, და, რა ეშმაკურადაც არ უნდა წარმოადგინოს მან თავის კომბინაციები, მე ვფიქრობ, ეს მაინც ყველაზე უგუნური ხასიათის სპეკულაცია იქნება, რაც ვერ გაუძლებს ყველაზე შემწყნარებლურ კრიტიკას. მაგრამ თქვენ დაინახავთ, რომ სანამ კრება გაცხარდება, იდავებს ამ საკითხზე, დახარჯავს თავის დროის 9/10-ს მის

განხილვაზე, ამასობაში ისე დაიშლება, რომ არ შეეხება სხვა საკითხებს... ალბათ, სწორედ ამის დამტკიცებაა საჭირო.

რა გითხრათ ბანკის სხვა საქმეებზე? აიღეთ უკანასკნელი ბალანსი („კავკაზი", 12 თებერვალი, 1878 წ. № 35) და თქვენ დაინახავთ, რომ ჩვენთანაც ისევე, როგორც თბილისში. სესხის ორი მესამედი ერგო არა მენამულეებს, არამედ ქალაქის მესაკუთრეებს.

გრძელვადიანი სესხი.	
მიწის დამგირავებლებს	61,300 მან
ქალაქის უძრავი ქონების დამგირავებლებს	143,600 მან.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მოკლევადიანი სესხის (146.062 მან.) დიდი ნაწილიც (თუ უფრო მეტი არა) ქალაქის მესაკუთრეთა ჯილდად მოვიდა. მაგრამ არავითარ მითითებას არ იძლევა ამის შესახებ.

ბანკის მიერ გამოშვებულ საგირაო ფურცლებიდან, 164.316 მანეთის ფურცლები აქამდე არ გაყიდულა და ბანკში „საკომისიოდ" დევს.

ბანკის საქმისანთა ს

რამ მე კიდევ უნდა გაგაცნოთ ორი ფაქტი, რომლებიც თუმცა კერძო სფეროს ეკუთვნიან, მაგრამ სურათს ავსებენ. ბატ. ბ. ღოღობერიძის ორმა ბიძაშვილმა ბატ. გ. და ს. ღოღობერიძეებმა ბანკიდან თითქმის პირველებმა მიიღეს სესხი, თვითეულმა 20.000 მანეთი და დასაგირავებლად წარმოადგინეს არა არსებული, არამედ ასაშენებელი შენობები. უკვე ორივემ მოასწრო ბანკიდან მიღებული ფულით შენობების აშენება. მე გეთანხმებით, რომ ეს წვრილმანია, მაგრამ დამეთანხმეთ თქვენც, რომ დამახასიათებელი წვრილმანია. და ამის შემდეგ კიდევ ედავებიან იმ ადამიანებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ამ ხროვამ ხელში ჩაიგდო ბანკი თქვენთვის ცნობილი საშუალებებით, რათა შესაძლებლობა ჰქონდეთ გამოასწორონ თავიანთი შინაურების საქმეები.

დიახ, ჩვენი დრო და ჩვენი ჩვევები მოხერხებულ ასპარეზს უქმნიან იმ ადამიანების მოღვაწეობას, რომლებიც წინასწარ ამღვრევენ იმ წყალს, რომელშიც თევზია და იციან როგორ დაიჭიროს...

72. მწუხარე მრეწველობა

თბილისი, 26 აპრილი.

ჩვენი გაზეთის № 10-ში დავბეჭდეთ შემაძრწუნებელი დეპეშები, რომლებიც ბაქოს ნავთის მრეწველებმა კავკასიის მეფისნაცვალს, ფინანსთა მინისტრს და გზათა სამინისტროს დაუგზავნეს. ეს დეპეშები ძალაუნებურად ბადებს ასეთ აზრს: რატომაა, რომ ჩვენს კერძო მწარმოებლებს მარტო დამწუხრება, ჩივილი და მფარველობის თხოვნა შეუძლიათ, ე. ი. აკეთებენ სწორედ იმას, რასაც კერძო მწარმოებლობა, ყველა საშუალებებით, ევროპის სახელმწიფოებში? ღარიბები ვართ, უბედურნი, ვიღუპებით, დაგვეხმარეთ, — აი, მხოლოდ ამგვარი წამოძახილებია ერთადერთი ნიშანი იმისა, რომ ჩვენში კერძო მწარმოებლობა არსებობს. მთავრობამ რომ გადახედოს რუსეთის მთელ კერძო მწარმოებლობას, ასე გაუბედურებულებს ბევრს აღმოაჩენდა, რადგან სათხოვარი ყოველ მათგანს აქვს მთავრობასთან, საჩივლელიც ბევრი აქვთ იმ საბაბით, რომ ყოველდღიურად ლუკმა პურისათვის ბრძოლაში სიძნელეები შეუმსუბუქონ და კონკურენცია აღმოფხვრან. მაგრამ რა მოუხერხოს მთავრობამ ყველა ამ თხოვნასა და საჩივრებს? რა თქმა უნდა, ყველგან და ყოველთვის სასურველია ის, რის მიღწევაც ჰენრიხ მე-4-ს უნდოდა. სახელდობრ: ყოველ გლეხს, ყოველდღიურად ჰქონდეს ქათმის წვენი, მაგრამ სადაა იმდენი ქათამი, რომ ყველას გემრიელი კერძი ჰქონდეს? ეტყობა, ასეთი კითხვა არ იბადება ჩვენი კერძო მწარმოებლების თავში, რომელთაც ქათმის წვენის ჭამა უნდათ, მაგრამ ქათმის მოშენება კი არა სურთ. სახელმწიფო თვალსაზრისით, კერძო მწარმოებლობის მთელი დამსახურება და სარგებლიანობა ისაა, რომ ადამიანს, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი მითითებების, ხელმძღვანელობის და მოვალეობისაგან, შეუძლია მთლიანად გამოამჟღავნოს თავის ენერგია და მოახმაროს იგი საკუთარი კეთილდღეობის შექმნას, რასაც სხვანაირად ვერ მიაღწევ თუ არა საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით, ქვეყნის მწარმოებლობისა და

სახალხო სიმდიდრის კაზრდით. ჩვენს მწარმოებლებს კი ყველაზე ნაკლებად საკუთარი თავის იმედი აქვთ და ყველაზე მეტად სხვის სარჯზე ცხოვრება სურთ. ხოლო როცა ამას ვერ აღწევენ, ცდილობენ მოტყუებით, ან რაიმე არაკეთილსინდისიერი გზით, გადმოიტანონ სხვისი მზა ფული საკუთარ ჯიბეში და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყონ კერძო მწარმოებლობა, რაც, იმის გამო, რომ საკუთარი კაპიტალის შექმნის უნარი არ შესწევთ, სხვის კაპიტალის უდაო განადგურებას იწვევს. პრესა ვანზე სტოვებს ჩვენი კერძო მწარმოებლების ამ ძირითად სიყალბეს და ეძებს რაღაც გარეშე მიზეზებს, რაღაც განსაკუთრებულ პირობებს, რაც თითქოს დამახასიათებელია ჩვენი კლიმატისა და ნიადაგისათვის. მაგრამ ფრანგული ანდაზა ამბობს: შუადღე თორმეტ საათზეა, უშედეგოა მისი ძებნა თოთხმეტ საათზე. და ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ სანამ ჩვენი კერძო მწარმოებლობა არ დაეყრდნობა საკუთარი მწარმოებლების ენერგიას და ხელს არ აიღებს დახმარებისა და მფარველობის გარეთ ძებნაზე, მანამდე იგი მართლაც უბედური იქნება და მის საქმიანობას შედეგად მწუხარება და სხვისი კაპიტალის განადგურება მოჰყვება.

კასპიის ზღარეში ბუნებამ მინერალური ზეთის უზარმაზარი მარაგი შექმნა და გამოსყიდვის სისტემის გაუქმებამ ყველა მსურველს შეუძლებლობა მისცა ისარგებლოს ამ მარაგით ისე, როგორც უნარი შესწევს და საშუალება აქვს. რა უნარი გამოვამჟღავნეთ ჩვენ იმისათვის, რომ ამ მარაგით გვესარგებლა? კასპიის მხარეს მიაწყდა ცამეტი კერძო პირი, შეიქმნა მრავალი ნავთის დამამუშავებელი კერძო კომპანია და ყველამ ერთად ბიწის ზედაპირზე ამოეჩეს და უსარგებლოდ გაანადგურეს რამდენიმე მილიონი ფუთი ნავთი. ჩვენში, ამიერ-კავკასიაში კი გვარიანი ნავთი ჯერ არ არის. ასეთი შედეგი მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ჩვენმა მწარმოებლებმა ნავთის დამუშავება მოუმზადებლად დაიწყეს, მათ მხოლოდ იმის სურვილი ამოძრავებდათ, რომ ამოექაჩათ მილიონები და ამავე დროს არ იცოდნენ როგორ ამოექაჩათ. კერძო მფლობელთა და კერძო საზოგადოებების წევრთა უმრავლესობამ ახლაც კი არ იცის რა მდგომარეობაშია მათი საქმეები, რა შესაძლებლობები აქვთ, როგორ შეიძლება წარმოების რაციონალურად გაფართოება. გასცემენ ბრძანებას გაბურღონ ჭაბურღილი, ამაზე იხარჯება ფული და არავინ არ იცის რა მოჰყვება ამ ამბავს. ხოლო შადრევანის ამოხეთქვა, ეს სასიხარულო და სასურველი მოვლენა, რომელსაც მილიონობით ფუთი ნავთი

მოაქვს, სევდისა და მწუხარების საგანი ხდება. სად წავიღოთ ნავთი? რა უყოთ. როგორ მოვიქცეთ და ა. შ. და აი სხვადასხვა მოსაზრებათა შორის, რომლებიც აოცებს თავის ბედნიერებით ნავთის მრეწველებს, ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა რკინიგზის გაყვანა ბაქოდან ფოთამდე და ემუდარებიან მთავრობას რაც შეიძლება სწრაფად გაიყვანოს ეს გზა. მუდარა აოცებს მთავრობასაც, რადგან არ იცის რას უსამენ მწარმოებლები ნავთს რკინიგზის გაყვანის შემდეგ. ყველაზე დაბალი ტარიფის დაწესების შემთხვევაშიც კი. მაგალითად, ერთ ვერსზე ერთი ფუთი ნავთის გადაზიდვისათვის 1/100 კაპ. რომ იყოს. 800 ვერსის მანძილზე. ბაქოდან ფოთში ერთი ფუთი ნავთის გადაზიდვა მატარებლების დატვირთვით და ეკვებში გადატვირთვით 10 კაპიკზე ნაკლები არ დაჯდება. ხოლო გადაზიდვის ამგვარი ხარჯები აკარწყლებს ყოველგვარ შესაძლებლობას ბაქოს ნავთმა კონკურენცია გაუწიოს ამერიკულ ნავთს, განსაკუთრებით კი ყუბანისა და ვურიის მომავალ საბადოებს, სადაც ნავთი ძალიან ბევრია. მაგრამ რომელსაც ჯერ არ ამუშავებენ. ბატ. ნობელმა თავის საბადოებიდან ნავთსადენი გაიყვანა ზღვამდე. ესაა ნავთის იაფად გადაზიდვის ერთადერთი საშუალება, რადგან არ საჭიროებს მოუხერხებელი და ძვირად ღირებული ეურმლის შექმნას. თითქოს ამ მაგალითისათვის უნდა მიგბაძათ ნავთის მწარმოებლებს და თუ მათ არ გააჩნდათ საკმარისი გაეყვანათ საკუთარი ნავთსადენი. ბაშინ უნდა ცდილიყვნენ ხელშეკრულება დადგოთ ბატ. ნობელთან ან მისი ნავთსადენით საჭიროებლობის შესახებ, ანდა. ბოლოსდაბოლოს. თუ ხელსაყრელად ან სასარგებლოდ არ მიაჩნიათ სხვადასხვა ტაბურლილის ნავთის ერევა. უნდა გაერთიანებულიყვნენ ჯგუფებად და ყოველი ჯგუფისათვის საერთო ძალით გაეყვანათ ნავთსადენი ერთი და იგივე ხარისხის ნავთის გადასაზიდად. მაგრამ არაფერი ამის მსგავსი აო მომხდარა! ნავთის მწარმოებლებს ურჩევნიათ თხოვნა, რომ თბილისი-ფოთის რკინიგზამ რაც შეიძლება მალე მიიღოს კონცესია, თბილისი-ბაქოს ხაზის გასაყვანად. იქნებ ასე უკეთესი იყოსო! და მართლაც უკეთესი იქნება: მწუხარებისა და საჩივრებისათვის კიდევ ერთი მიზეზი გაჩნდება, სახელდობრ, ნავთის წელა და არასწორად გადაზიდვა რკინიგზით... მაგრამ მანამდე, სანამ ეს სანატრელი გზა აშენდება, ორი-სამი წელი მაინც გავა, ხოლო ამ ხნის განმავლობაში რა შეცვლის ბაქოს ნავთის მრეწველობის მდგომარეობას? მდგომარეობის გაუმჯობესების იმედმა შეიძლება ნუგეში მოჰგვაროს სუსტ მწარმოებლებს, რომლებიც ცხარე ცრემლებით დასტირიან

თავიანთ უბედურებას, რადგან არ იციან სად წაიღონ სიმდიდრე მაგრამ ნუთუ ბაქოს ნავთობის ლორდების მრავალრიცხოვან ფენაში არ მოიპოვება ისეთი კაცი, რომელიც მოიწმენდს ცრემლებს, უკუაგდებს მწუხარებას და მთელ თავის ენერგიას გაფანტული ელემენტების თავმოყრას მოახმარს, იმ ელემენტებისა, რომლებიც კასპიის მხარეში აქამდე აწარმოებენ ნავთის მოპოებას. როგორღაც არ გინდა სცნო ამგვარი ფაქტი.

73. ბ-ნ ღოღობერიძის ხროვის პოლემიკური ხერხები

თბილისი, 6 მაისი.

უძლეველი რაინდი, რომელიც ბესარიონ ღოღობერიძედ წოდებულ წვეროსან დულცინეას უმანკოებას იცავს, კვლავ შეჯდა თავის არა ნაკლებ უძლეველ როსინანტზე. იგი ორი კვირა ფიქრობდა იმ სიტყვის შედგენაზე, რომელიც მთლიანადაა დაბეჭდილი „ტიფლისსკი ვესტნიკის“[1] № 95-ში და გადმობეჭდილია გუშინდელ „ობზორში“[36], მაგრამ ჩვენ მას ვერაფერს ვუსაყვედურებთ. ცნობილია, რომ ნამდვილი ლამანჩელი მთელი თვეობით ფიქრობდა იმ ძლევამოსილ სიტყვებზე, რომლებიც უნდა წარმოეთქვა. მაგრამ მსგავსების სისრულისათვის ჩვენს რაინდს ისეთი რამ დაემართა, რასაც ჩემი სუსტი კალამი ვერ მოერევა და მხოლოდ სერვანტესის ღვთიებრივი ფუნჯი თუ აღწერს. მისი დულცინეა მასზე უფრო ფხიზლად უყურებს საქმეს და გამწარებული გაჰკივის, რომ არ იცნობს და არც სურს იცნობდეს თავის უანგარო დამცველს, რომ ეს უკანასკნელი მას და მის უმანკოებას პირდაპირ დათვურ სამსახურს უწევს. დულცინეას მახლობლებმა ისიც კი ბრძანეს, რომ ბ-ნი ქუთაისელის მრისხანე, ამოუცნობი ნიღბის ქვეშ სხვა არავინ იმალება, თუ არა თვით ნიკოლაძე, რომელმაც თავის „მეგობარი“ თავ. ბებუთოვი დაიყოლია დაებეჭდა მის მიერ შეთხზული კეთილისმზრახველი სისულელე, რათა შეთხვევა მისცემოდა ადვილად გაემარჯვებია დულცინეაზე... ახლა კი თვით უძლეველი რაინდი ბ-ნი ქუთაისელი „ტიფლისსკი ვესტნიკში“ აცხადებს, რომ იგი ბ-ნი ღოღობერიძისათვის სრულიად უცხო პირია (постороннее*) და „ტიფლისსკი ვესტნიკის“ რედაქციაც ადასტურებს ამ მტკიცების სისწორეს. მილიონჯერ უფრო ადვილი იქნებოდა ამის მტკიცება მას რომ ნიღაბი ჩამოეხსნა და თავის ნამდვილი სახელი გაემხილა. მაშინ საზოგადოება მიხვდებოდა და გადასწყვეტდა რამდენად შორსაა სინამდვილეში ბ-ნი ქუთაისე-

---

* ვთხოვ კორექტორს იზრუნოს იმაზე, რომ აქ არ ჩამისვას ასო ъ e-ს მაგივრად.

ლი ბ-ნი ღოლობერიძის ხროვისაგან. მაშინ არავითარი ფიცი არ იქ-ნებოდა საჭირო: მაშინ ჩვენ სიტყვიერადაც დავიჯერებდით, რომ ბ-ნი ქუთაისელი არის პიროვნება, რომელიც უანგაროდ იცავს თა-ვის დულცინეას სახელს. მაგრამ სანამ ნიღაბი არ აგიხდიათ, ნება თქვენია. მაგრამ ვერავითარი ფიცი ვერ გიშველით: ნიღაბქვეშ ჩვე-ულებრივ ფიციც მისტიფიკაციაა...

მაგრამ ეს ორმხრივი უარყოფა შესანიშნავად ახასიათებს თქვენ ხროვას. თქვენ მეტისმეტად კარგად იცნობთ ერთმანეთს იმისათვის, რომ თავდებად დაუდგეთ. დიდად თქვენ არც თქვენი საქმე გწამთ და არც თქვენი ძალები და წინღაწინ ამზადებთ თავისდასაძვრენ სა-შუალებას „საკუთარი თავისაკენაც და ერთმანეთისათვისაც", მე კი მეტისმეტად მსიამოვნებს, რომ ამგვარი ფაქტის კონსტატირების სა-შუალება მეძლევა.

სინამდვილეში ბ-ნი ქუთაისელის ახალი სიტყვა კამათის ღირსი არ იქნებოდა, რომ არ გვამოძრავებდეს სურვილი იქისა, რომ საბო-ლოოდ ამოვწუროთ ეს პოლემიკა და საჯაარაოზე გამოვიტანოთ სა-ხელოვანი ხროვის მშვენიერი საქმენი. ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთი სუსტი ოპონენტი შემხვდა, მაგრამ სულგრძელობის უფლება არა მაქვს. სწორედ ამ იმედით განვაგრძობ ბრძოლას შენიღბულ გმირ-თან; რომელიც კუთხიდან ტალახიან კენჭებს მიშენს...

გადავიდეთ საქმეზე. ბ-ნი ღოლობერიძისათვის სრულიად უც-ხო პირი ისეთ ფაქტებს იმოწმებს, რაც ამტკიცებს, რომ მეტისმეტად კარგად ერკვევა თავის დულცინეას ფულად საქმეებში: ბ-ნი ქუთაი-სელი ამტკიცებს ბ-ნი ღოლობერიძის უანგარობას იმით, რომ ადა-რებს მის უწინდელ ხელფასს და პერსპექტივას პენსიის მიღებასე იმას, რასაც ბ-ნი ღოლობერიძე ახლა ღებულობს. დაიხსომეთ, რომ აზრადაც არ მომსვლია თავს დავსხმოდი ბ-ნ ღოლობერიძის ბურჟუა-ზიულ კეთილსინდისიერებას და თუ ბ-ნ ქუთაისელს სურს დაამტკი-ცოს, რომ ბ-ნ ღოლობურიძეს თავის სიცოცხლეში არცერთხელ არ მოუპარავს ცხვირსახოცები, იგი ბრწყინვალე გამარჯვებას მოიპო-ვებს... უდაბნოში, ქარის წისქვილებზე. მაგრამ მეორეს მხრივ, რაკი ბ-მა ქუთაისელმა ისურვა ამ საკითხის სიგრძე-სიგანით დაყენება, ჩვენ შევავსებთ მის განმარტებას შემდეგი ციფრებით. ბ-მა ღოლობე-რიძემ თავის წესდებაში შეიტანა ერთი ფრაზა, რამაც მისი არჩევა სრული ექვსი წლით დააკანონა. იქონიეთ მხედველობაში, რომ მას ამ ექვსი წლის მანძილზე ვერავითარი ძალა ვერ განდევნის ბან-კიდან. გადაამრავლეთ 4.000 მანეთი ექვსზე და თქვენ მიიღებთ 24.000 მანეთს. დაუმატეთ ამ თანხას პროცენტები, რაც ბ-მა ღოლო-

ბერიძემ ბანკის მოგებიდან უნდა მიიღოს და თქვენ მიიღებთ 30.000 მანეთს. მიათვალეთ კიდევ ასეული მანეთები, რასაც ბ-ნი ღოღობერიძე მოსთხოვს ბანკს ბანკის საქმეებზე ძიმოსვლისათვის და თქვენ მიიღებთ დიდ თანხას, რაც გაცილებით სჯარბობს ერთად აღებულ უწინდელ ხელფასსაც და მოსალოდნელ პენსიასაც. მხედველობაში მიიღეთ ისიც, რომ ბ-ნ ღოღობერიძეს სხვა შანსებიც აქვს: ან ხელახლა აირჩევენ, ანდა საბალხო განათლების სამინისტროს ხაზით ქუთაისის მაზრაში რაიმე ადგილს მისცემენ, რასაც თხოვდა კიდევ თავის ყოფილ უფროსებს, მაგრამ ამაოდ. ყოველივე ეს ბურჟუაზიული თვალსაზრისით სრულიად არ არის საძრახისი ანგარიშიანობა, ხოლო თუ ბ-ნი ღოღობერიძე სიმრუდეს არ მოერიდება, 35-40 ან 50 ათასი მანეთის ნაცვლად, რასაც ექვსი წლის განმავლობაში მიიღებს, შესაძლებლობა აქვს მოხუცებულობისათვის გადასდოს რამდენიმე ათასი მანეთის კაპიტალი, თუნდაც ბირჟაზე პროცენტიანი ქაღალდების თამაშით. მე არ ვამტკიცებ, რომ იგი ამას გააკეთებს, მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ამის შესაძლებლობა აქვს. მაგრამ გვერდიც რომ აუაროთ ამ უკანასკნელ საკითხს, ზემოთ მოყვანილი ანგარიში ცხადყოფს, რომ ბ-ნ ღოღობერიძეს აზრადაც არ მოსვლია რაიმე მსხვერპლი მოუტანოს საზოგადოებას, ამგვარი სიმღერა მხოლოდ არჩევნების დროს იყო გამოსადეგი, ახლა კი, ჩემო მეგობრებო, ჯობია ნუ ჩაეჭიდებით ასეთ უბადრუკ კეთილისმზრახველ სისულელეს და ნუ მოგაქვთ თავი „უანგარობით“, დაკმაყოფილდით იმით, რომ ამან უკვე სამსახური გაგიწიათ 1876 წელს, გაიგეთ, რომ სიყალბის მეტისმეტმა გაწელვამ შეიძლება მისი გაწყვეტის საშიშროება გამოიწვიოს.

მინდა აქ ერთი შენიშვნა ჩავურთო. გულუბრყვილო ადამიანებს შორის ბ-ნ ღოღობერიძის მსგავსი პირებით აღტაცება შეიძლება იმან გამოიწვიოს, რომ ირგვლივ ისინი კიდევ უფრო ანგარებიან ადამიანებს ხედავენ, ვიდრე ბ-ნი ღოღობერიძეა. ხედავენ მაგისტრებსა და კანდიდატებს, რომელთაც დიპლომები ადგილობრივ აფერისტებს მიჰყიდეს და თავიანთი სწავლულობით ჩვენი კომერციული ბანკების უღვთო ექსპლოატაციას ნიღბავენ. და როცა ასეთ გმირს თავიანთ გმირს ადარებენ, უბრალოდ არ ესმით რატომ ჩვენც არ ვიხრით ქედს ბ-ნი ღოღობერიძისა და ბ-ნი ჭავჭავაძის შედარებით პატიოსნების წინაშე. მაგრამ, ბატონებო, განა ჩვენი თავდასხმები ამ უკანასკნელთათვის სასიქადულო არ არის? ვის ჰქონდა ღამბაროვების, თამაშევების და სხვა ასეთი ბატონების იმედი, რომელთაც ჯერ კიდევ დედის რძესთან ერთად შეისისხლხორცეს, რომ „არ არს ღმერ-

თი გარდა ფულისა, ხოლო მანეთი წინასწარმეტყველია მისი". ნუ გეშინიათ, მივწვდებით მათაც, მათაც ვამხელთ, მაგრამ იმისათვის, რომ ყველას საკადრისი მიუზღოთ, ჯერ ფინანსიური სამყაროს უფრო წარჩინებულ წარმომადგენლებს უნდა მოუაროთ. ბ-ნ ღოღობერიძეს და კომპანიას იმიტომ მივდექით, რომ მათ მთელ რუსეთში პირველებმა დაუკავშირეს ფინანსიური საქმიანობა საზოგადოებრივს, ისინი ფინანსიური ოპერაციების ბილიკებზე მიაბიჯებენ როგორც ახალი თაობის წარმომადგენლები. დაე, უარი სთქვან ამ უკანასკნელ როლზე, დაე, განაცხადონ, რომ მხოლოდ მოგებას, რომ მხოლოდ მანეთსა და ბამონას ემსახურებიან და ჩვენ მაშინვე დავყრით იარაღს, პირველი განვაცხადებთ, რომ ჩვენთვის ცნობილ ფინანსისტთა წრეში ყველაზე პატიოსანი და სხვებზე მეტი ნდობის ღირსი სწორედ ისინი არიან, ისინი არიან უპატიოსნესი ადამიანები თანამედროვე ფინანსიზმის ჯადოქართა და მუცლითმეზღაპრეთა შორის. ჩვენი მეტისმეტი მომთხოვნელობა ბ-ნ ღოღობერიძისა და ბ-ნ ჭავჭავაძის მიმართ იმით აიხსნება, რომ თვითონ ჩვენ სრულიად არ ვუცქერით მათ ისეთი თვალებით, როგორც ბანკის უბრალო თვალთმაქცებს. გაიგეთ, ბოლოსდაბოლოს, ეს!

ამის შემდეგ ვფიქრობ, რომ საკითხი ბ-ნ ღოღობერიძის უანგარობის შესახებ, ღვთის წყალობით, შეიძლება არქივს გადაეცეს.

როგორც ვიწინასწარმეტყველეთ, ბ-ნი ქუთაისელი კვლავ იმეორებს თავის უწინდელ უსაფუძვლო მტკიცებას, თითქოს ბ-ნ ღოღობერიძესთან პირადი ანგარიში მქონდეს. იგი ასე იწყებს თავის სტატიას: „ბ-ნ ნიკოლაძეს გადაუწყვეტია ანგარიში გაუსწოროს საძულველ პიროვნებას". ხომ გახსოვთ, რომ მე მოვთხოვე უძლეველ რაინდს ფაქტიურად დაესაბუთებია, რა პირადი ანგარიში მქონდა როდესმე ბ-ნ ბ. ღოღობერიძესთან. ამის შესახებ იგი არაფერს ამბობს და კმაყოფილდება შემდეგი ახალი უსაფუძვლო ინსინუაციით:

„განა მხოლოდ ამის გამო შეიძლება გაჩნდეს პირადი ანგარიში, კითხულობს იგი. ცნობილი პიროვნება (ცხადია მე) მთელ რიგ შეუფერებელ საქციელს სჩადის. მის ამ საქციელს ჰგმობს ივანე, პეტრე, პავლე. შეიძლება ხსენებულ პიროვნებას ეს ადამიანები დაუძინებელ მტრებად მიაჩნია? ჰოდა, ასე ჩნდება პირადი ანგარიშები".

ამ ხროვის მთელი ზნეობა მთლიანად სჩანს ამ ამონაწერში. თქვენ ფიქრობთ, რომ ამ ინსინუაციას მოჰყვება იმის დასაბუთება, თუ სახელდობრ რა და რა „არასაკადრისი საქციელი" ჩავიდინე და როდის გამკიცხა ბ-მა ბ. ღოღობერიძემ? მაგრამ თქვენ ცუდად იც-

ნობთ ამ ხროვას. არსად არაა არავითარი დასაბუთება და არც შეიძლება იყოს. მე არ ჩავიყენებ სასაცილო მდგომარეობაში ჩემს თავს იმ ადამიანივით, რომელიც ამტკიცებს, რომ არასოდეს არავითარი „არასაკადრისი საქციელი“ არ ჩამიდენია. მაგრამ თუ ჩამიდენია, ვიკითხავ მაინც სად, ვის და როდის გავუკიცხივარ ამის გამო. გარდა ამისა, ვიკითხავ იმასაც, თუ რა სახელი ვუწოდო ბ-ნ ღოლობერიძეს, რომელმაც იცოდა, რომ „არასაკადრისი საქციელი“ ჩავიდინე და არა თუ არასოდეს არ გაუკიცხივარ, არამედ ქელოლიავებოდა კიდეც და ისე თავისდამამცირებლად მეფერებოდა, რომ ჩვენს ბევრ საერთო ნაცნობს ეცინებოდა, მეფერებოდა იქამდე, სანამ მე პირველი არ დავესხი თავს, არ ვამხილე საჯაროდ, რასაც ვერც ჭორს უწოდებ და ვერც ცილისწამებას, რადგან ყოველი ჩემი ბრალდება კონკრეტულ ფაქტს ეყრდნობა და გამოვსთქვამდი საჯაროდ, პრესაში და ხელს ვაწერდი.

გავყვეთ შემდეგ. ბ-ნი ქუთაისელი არ ეშვება თავის პედაგოგიურ ვარჯიშს და მიჭერს კორექტურულ შეცდომებში, მაგალითად სიტყვაში „сведущее“ დაბეჭდილი იყო ზედმეტი e.

სიამოვნებით ვაღიარებ, რომ ამ პუნქტში მჯობნის, მაგრამ მაინც იძულებული ვარ დავიჭირო იგი არაკეთილსინდისიერებასა და დიდ შეცდომაში. თქვენ გახსოვთ, რომ მე ვწერდი: ბ. ქუთაისელი მიჭერს მე კორექტურულ შეცდომაში... ახლა იგი სწერს: „ის (ნიკოლაძე) გულუბრყვილოდ უწოდებს ყველა შეცდომას კორექტურულ შეცდომას, სხვა შეცდომებზე კი კრინტს არ ძრავს“. მგონი კუზმა პრუდკოვმა სთქვა: „შესძელი წვრილმანების მიხედვით ძირითადზე იმსჯელო“. მიუყენეთ ეს ბრძნული ქადაგება ბ-ნ ქუთაისელს და თქვენ დაინახავთ, რომ მთელი მისი უანგარო კომპანია თავის დულცინეას სახელის დასაცავად ამგვარ ფოკუსებზეა დამყარებული.

„A pédagogue—pédagogue et demi“ [88], ამბობს ფრანგული ანდაზა. ამიტომ მეც შევეცდები ვიყო პედაგოგი. ბ-ნი ქუთაისელი ამტკიცებს, რომ მე შეცდომა დავუშვი, როცა ვთქვი: „ბატონმა ღოლობერიძემ ფიასკო გადაყლაპა“. დავუშვათ, რომ ამგვარი გამოთქმა შეცდომაა. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ არც ისე თავმოსაწონელია, როგორც მათემატიკის პროფესორების მიერ დაშვებული ზოგიერთი შეცდომა. მაგრამ მე მოვისხამ ბ-ნ ღოლობერიძის მიერ ესოდენ უანგაროდ დაგდებულ პედაგოგის მანტიას და გაკვეთილს ჩავუტარებ ბ-ნ ქუთაისელს. დიდი განსხვავებაა გამოთქმებში „ფიასკოს გადაყლაპვა“ და „ფიასკოს განცდა“. ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, მივმართავთ პედაგოგიურ ხერხს — შედარებას და თვალსა-

ნინოების მაგალითს. ახლანდელ პოლემიკაში ბ-ნი ქუთაისელი განიცდის ფიასკოს, ბ-ნი ღოღობერიძე კი ყლაპავს მას, რადგან პირველი ფართხალებს, იბრძვის, წინააღმდეგობის გაწევას ცდილობს, მეორე კი პასიურად ყლაპავს წარუმატებლობას. მაგრამ ეს მაგალითი მაინცდამაინც გასაგები არაა ბ-ნ ქუთაისელისათვის. ამიტომ მოვიყვანთ მეორეს, მისთვის უფრო გასაგებ მაგალითს. როდესაც ბ-ნი ქუთაისელი ხვდება ისეთ პირებს, რომელთაც ეპვი არ ეპარებათ, რომ ის არის ბ-ნ ღოღობერიძის დამცველი სტატიის ავტორი და როცა მათგან ისმენს ისეთ რამეს, რაც არც თუ ისე სასიამოვნოა ავტორის თავმოყვარეობისათვის და ინკოგნიტოს შესანარჩუნებლად იძულებულია აღიაროს, რომ ბ-ნ ღოღობერიძეს სუსტად იცავს ვიღაც ქუთაისელის სტატიები, მაშინ იგი ფიასკოს ყლაპავს. ხოლო როცა იგი მარტო თავისთავთან, ან ისეთ მეგობრებთან რჩება, ვისაც თავის საიდუმლოება გაანდო, ხედავს დაძმარებულ სახეებს და ისმენს მათ შემწყნარებლურად წამაქეზებელ და გამამხნევებელ სიტყვებს, მაშინ ფიასკოს განიცდის. ვიმედოვნებთ, რომ ახლა აღარ დაგვიწყებს დავას და დაგვეთანხმება, რომ ვიცით ჩვენს მიერ ხმარებულ სიტყვათა მნიშვნელობა და ელფერი.

ახლა კი გადავიდეთ წვრილმანებზე, რომლებიც გვისურათებს იმ ხროვის კეთილსინდისიერებას, რომელსაც დაჟინებით მივაკუთვნებთ ბ-ნ ქუთაისელს მანამდე, სანამ თავის სრულ სახელს არ გვეტყვის. დასტკბით, მკითხველო, ამ სიცრუის კოლექციით და შეიბრალეთ მწერალი, რომელიც იძულებულია ებრძოლოს ამგვარ მოწინააღმდეგეებს!

ბ-ნი ქუთაისელის სტატიაში, რომელიც „ტიფლისსკი ვესტნიკში“ დაიბეჭდა, ასეთი სტრიქონებია:

„ობზორის“ მკითხველებს, ალბათ, ახსოვთ, რომ ბ-ნი ნიკოლაძე ჩააცივდა „ტიფლისკი ვესტნიკის“ ერთ კორექტურულ შეცდომას და თავის ორგანოში მთელი სტატია მიუძღვნა“.

ლაპარაკია „ობზორის“ № 20-ში დაბეჭდილ ფელეტონზე, სადაც ვეხებოდი ქ-ნ ბლავატსკაიას თხუზულებებს. მკითხველებს ახსოვთ რომ ამ შარლატანური ნაწარმოების შესახებ „ტიფლისკი ვესტნიკში“ დაბეჭდილი იყო წერილი, რომლის ავტორი გვარწმუნებდა, რომ ეს არის „თანამედროვე მეცნიერების უდიდესი თხზულება“. მე არა თუ არ ჩავიებივარ მაშინ რომელიმე კორექტურულ შეცდომას, არამედ პირდაპირ განვაცხადე, რომ „ტიფლისკი ვესტნიკი“, ამ შემთხვევაში, მისტიფიკაციის მსხვერპლი გახდა და ვიხსენი რა რედაქცია, პირდაპირ გადავედი ქ-ნ ბლავატსკაიას პიროვნებაზე.

აიღეთ „ობზორი“ № 20 და თქვენ დაინახავთ, რომ ეს ასეა. და თუ მე მართალი არა ვარ, მაშინ მიმითითეთ სად და როდის ჩავაციედი კორექტურულ შეცდომას. აი, ჩემი ოპონენტების გულწრფელობა და სიმართლე!

შემდეგ ბ-ნი ქუთაისელი სწერს:

„ჩვენთან, ქუთაისში, ამჟამად იკრიბებიან ჩვენი საადგილმამულო ბანკის დამაარსებლები. ბ-ნი ნიკოლაძე თავქუდმოგლეჯილი ჩამოვარდა თბილისიდან და თავის ორგანოში (იხ. „ობზორი“ № 108) უკვე დაბეჭდა კორესპონდენცია ქუთაისიდან“.

სინამდვილეში ჩემს მხრივ აქ არავითარ ბოროტმოქმედებას არ ჰქონია ადგილი: მე სრული უფლება მქონდა თავქუდმოგლეჯილი გამოვცხადებულიყავი ქუთაისში და დამებეჭდა წერილი „ობზორში“. მაგრამ ბ-ნი ქუთაისელი მაინც ტყუის, აშკარად ტყუის. ქუთაისის ბანკის დამაარსებელთა კრება დანიშნული იყო 26 აპრილისათვის და იმავე დღეს დამთავრდა ბ-ნ ღოღობერიძის 1.000 ამომრჩევლიდან ზუსტად 940-ის გამოუცხადებლობის გამო. მე კი 26 აპრილს თბილისში ვიყავი, სადაც იმ დღეს, სხვათა შორის, „ტიფლისსკი ვესტნიკის“ რედაქტორმაც მნახა. ხოლო „ობზორის“ კორესპონდენცია დაიბეჭდა № 108-ში, 24 აპრილის ნომერში. და თუ ბ-ნ ქუთაისელს ამდენად აინტერესებს ჩვენი წასვლა-მოსვლა, მან უნდა იცოდეს, რომ თბილისიდან ქუთაისში მხოლოდ 27 აპრილს წავედით, და ისიც ისეთ გარემოებათა გამო, რომელთაც ბანკის საქმეებთან საერთო არაფერი აქვთ. მან ყოველივე ეს ძალიან კარგად იცის, მაგრამ აუცილებლად უნდა იცრუოს, დაუკავშიროს ჩემი გამგზავრება კორესპონდენციას, რომელიც გაცილებით ადრე გამოქვეყნდა... რატომ აკეთებს ამას? არ მინდა ვეძებო მოტივები, მაგრამ არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ეს უბადრუკობაა. ბატონებო, ჭკუა მოიკრიბეთ-ნუთუ გგონიათ, რომ ასეთი ცრუ ოინები მხილებული არ იქნება!

მოვიყვან სიცრუის კიდევ ერთ მაგალითს. ბ-ნი ქუთაისელი სწერს:

„ნ. ნიკოლაძე ბ-ნ ღოღობერიძეზე ყველაზე უფრო გაბრაზებულია 1876 წ. ქუთაისის ბანკის დამაარსებელთა კრების გამო. როცა შეკრებილმა თავადაზნაურობამ ბ-ნი ნიკოლაძე აიძულა დარბაზიდან გაქცევით ეშველა თავისათვის“.

ეს რომ მართალი იყოს, მაშინ ეს ფაქტი ჩემთვის კი არ იქნებოდა სამარცხვინო, არამედ იმ თავადაზნაურებისათვის, რომელთა გადაწყვეტილებასაც იმოწმებთ როგორც ბ-ნ ღოღობერიძისათვის განსაწმენდელ პლებისციტს. მართლაც, როგორ შეიძლება დაიმოწმო

ფონიერულობა არჩევნებისა იმ თავადაზნაურია, რომლებიც იმის გამო, რომ უმრავლესობას წარმოადგენენ, ეცემიან ოპონენტებს და იძულებულს ხდიან კრებიდან გაქცევით უშველონ თავს? მაგრამ ეს მტკნარი სიცრუეა. კრებაზე მე მანამდე დავრჩი, სანამ ხროვის ზიერ უკანონოდ დანიშნულმა თავმჯდომარემ არ განაცხადა, რომ არც მე და არც სხვას არცერთი სიტყვის წარმოთქმის უფლებას არ მოგვცემს. ასეთი განცხადების შემდეგ მშვიდად წავედი და ვთქვი, რომ კრებაზე აღარაფერი გვესაქმება. ჩემი წასვლიდან რამდენიმე საათის შემდეგ, ბ-ნ ღოღობერიძის არჩევის დროს, დარბაზში რაღაც არეულობა მოხდა. მე კი ისე წავედი, რომ არც არავინ მაიძულა და არც არავის მოუყენებია შეურაცხყოფა. ამის მოწმე 2.000 კაცი იყო და არ ვიცი რამდენად თავხედი უნდა იყო, რომ ასეთი სიცრუე სთქვა.

ვიმეორებ, მე რომ გავქცეულიყავი, პირდაპირ შემეძლო მეთქვა, რომ გავიქეცი და ვერავინ ვერავითარ ბრალს ვერ დამდებდა, არავინ ჩამთვლიდა სულმოკლედ იმის გამო, რომ მთელ თავადაზნაურობასთან შებრძოლება არ ვისურვე. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნ ღოღობერიძის ერთერთი ძმა პირდაპირ ყვიროდა კრებაზე, რომ საკმარისია ორი-სამი კაცი მოვსპოთ და ყველაფერი ზშვენივრად დამთავრდებაო, ასეთი რამ მაინც არ მომხდარა. გვყავს მოწმეებიც, ფრიად პატივცემული ადამიანები. მაგრამ, მეგობრებო, ტყუილად სწამებთ ცილს ქუთაისის თავადაზნაურობას: ქუთაისის გუბერნიის ფარგლებში ვერსად შეხვდებით ვერც გლეხს და ვერც აზნაურს, რომელიც ასეთ სისაძაგლეს ჩაიდენს. და თქვენ ამაში არაერთხელ დარწმუნებულხართ. გნებავთ ამის საბუთიც? კეთილი, მზად ვარ მოვიყვანო. ჩვენ ხომ ხელები ფაქტებით გვაქვს სავსე და არა ინსინუაციებით.

და, რადგან ასე გიყვართ ამბები სამარცხვინო გაქცევის შესახებ, გიამბობთ ერთ პატარა ეპიზოდს, რომლის სიზუსტის დადასტურება შეუძლიათ იმ ადამიანებს, რომელთაც ეს ამბავი თვის თვალით ნახეს.

მაშინ 16-ოდე წლის ვიქნებოდი, ბ-ნი ბ. ღოღობერიძე კი 30-ს იყო გადაცილებული. ჩვენ სხვა ამხანაგებთან ერთად გასეირნება გადავწყვიტეთ. თუმცა 16 წლის ვიყავი, მაგრამ მაინც წინასწარ ვიცოდი, რომ იმ ადგილს, სადაც ჩვენ გასეირნებას ვაპირებდით, ყარაული იცავს. წინა დღეს, როცა ბ. და ნ. ღოღობერიძეებმა გასეირნება დაიჩემეს, მე და კ. ლორთქიფანიძემ („დროების“ ყოფილმა რედაქტორმა) მათ ვუთხარით: გასეირნება სიძნელეებთანაა და-

კავშირებული, თუ თქვენ შეგიძლიათ გადაახტეთ ღობეს და მოერიოთ ყარაულს, თუ არ გეშინიათ დარტყმების, რომლებიც შეიძლება გვითავაზონ, მაშინ წავიდეთ, სიამოვნებით გამოგყვებით და წამოგყვებით. მაგრამ, თუ მხოლოდ მოწაფური ცუღლუტობა გამოძრავებთ და დაბრკოლების დანახვისთანავე მოკურცხლავთ, მაშინ თქვენი მონამორჩილი ვართ, მაგრამ არ წამოვალთ თქვენთან თავლაფის დასასხმელად. ამას ეუბნებოდნენ თექვსმეტი წლის ყმაწვილები ჭაღარაშერეულ მამაკაცებს ოცი ამხანაგის თანდასწრებით. ბ-მა ღოღობერიძეებმა დაიჩემეს, გინდათ თუ არა წავიდეთო, გვარიანი გასეირნება იქნებაო. როცა ჭიშკარს მივუახლოვდით, დავინახეთ, რომ ყარაული ადგილზე დგას... ყველაზე უწინ ბ-მა ღოღობერიძეებმა მოკურცხლეს. ჩვენ გავეკიდეთ მათ, პატარა ხელებით დავიჭირეთ, ყარაულთან მივიყვანეთ, მის პირისპირ დავაყენეთ და არც მათ და არც ჩვენ თავს უფლება არ მივეცით ფეხი მოგვეცვალა ადგილიდან მანამდე, სანამ ჩვენი არ გავიტანეთ. მაშინ ისინი ბავშვებივით დამჯერნი იყვნენ... მგონია, ეს სამდვილი ამბავია, სამდვილი, ბევრმა ნახა საკუთარი თვალით, ახლა კი მიბრძანდით და ჰკითხეთ თქვენს პატრონებს, ვის უფრო მტკიცედ შეუძლია ჩვენს შორის დაბრკოლებათა პირისპირ დგომა, და თუ ისინი ჩემი მონაყოლის სიმართლეს უარყოფენ, საბუთები მომთხოვეთ, მზად ვარ წარმოგიდგინოთ.

ახლა გადავიდეთ ბ-ნი ქუთაისელის მიერ ჩემი ოპონენტების მსრივ ლიტერატურის მოსყიდვის ცდის უარყოფაზე. ყველა ამ საქმესთან დაკავშირებული გარემოება მე მიამბო „დროების“ რედაქტორმა ბ-მა ს. მესხმა, ამავე გაზეთის გამომცემელმა ბ-მა ს. მელიქოვმა და პირადად ბ-ნი ბესარიონის მიერ მიწვეულმა ბევრმა პირმა, იმ „ცოდვილთა საბჭოზე“, რომელზედაც თავ. ანჩაბაძე ორატორობდა, ხოლო თანარედაქტორად დ. ჩხოტუა აირჩიეს. ყოველივე ეს მაშინვე დაბეჭდა გაზეთმა „დროებამ“. მე არ ვიცი რამდენ ფულს ხარჯავს ორივე ბანკი თავის განცხადებებზე. „ბ-ნი ღოღობერიძისათვის უცხო პირმა“ კი ეს დეტალები და ანგარიშები თურმე ჩემზე უკეთ იცის, მაგრამ არ იცის ის ფაქტი, რომ ბ-ნ მესხს მათი განცხადებების დაბეჭდვის შედეგად წლიური შემოსავალის სახით კარგა ძალ ფულს, 1200 მანეთს დაპირდნენ. სჩანს, ან მოხიბლეს ბ-ნი მესხი შემოსავალი თანხის შეგნებული გადიდებით, ანდა ვარაუდობდნენ გაედიდებიათ განცხადებების რაოდენობა, რაც მთლიანად მათზეა დამოკიდებული. თავდაპირველად სულ არ იყო ნავარაუდევი 5.000 მანეთის „ხელმოწერით შეგროვება ქართული პერიოდული პრესის

ვასაუმჯობესებლად“, როგორც ასლა ამას ბ-ნი ქუთაისელი ამტკიცებს. კრებაზე, რომელსაც მეორე დილასვე წინასწარმეტყველურად უწოდეს „ცოდვილთა საბჭო“, პირდაპირ განაცხადეს, რომ 5.000 მანეთი უკვე ხელთ აქვთ. გნებავთ იცოდეთ საიდან აიღეს? კეთილი, მზად ვარ ესეც გითხრათ.

ერთმა, თუმცა ფრიად პატივცემულმა პირმა, ბანკში საკუთარი სახლი დააგირავა 15.000 მანეთად. მას წინადადება მისცეს მოეხდინათ მისი მამულის გადაფასება და სესხი 15.000 მანეთიდან 25.000 მანეთამდე გაედიდებიათ იმ პირობით, რომ ზედმეტ 10.000 მანეთიდან 5.000-ს გაიღებდა „პერიოდული პრესის გასაუმჯობესებლად“ და ამ 5.000 მანეთის პროცენტებსაც მთლიანად გადაიხდიდა. პატივცემულმა პირმა, ვისზედაც ლაპარაკია, კეთილგონიერება გამოიჩინა და თავი აარიდა ექსტრა-ლიტერატურულ და ფინანსიურ გეშეფტს, რომელიც შესთავაზეს. „ივერიის“[8] დასაარსებელი ფული კი მხოლოდ ამის შემდეგ შეაგროვეს ხელისმოწერით. აი მიზეზი, რატომ იხილა დღის სინათლე „ივერიამ“ მხოლოდ 1877 წ. მარტში, როცა მის გამოცემას 1876 წ. მაისში აპირებდნენ.

რაც შეეხება ბ-ნ ქუთაისელის მიერ ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობის შეფასებას, ღვთის წყალობით, საქმის ეს მხარე, ყველასათვის ხელმისაწვდომია და დაცვას არ საჭიროებს, რადგან მის წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობს ბ-ნ ქუთაისელის ინსინუაციები და ბრალდებები. მე მხოლოდ ერთი რამ მაოცებს: თუ კი ლიტერატურული გავლენის მოსაპოებლად საკმარისია ძველი ჟურნალებიდან სტატიების გადმობეჭდვა, რატომ არ სარგებლობენ ჩემი ოპონენტები ასეთი ადვილი და ყველასათვის ხელმისაწვდომი საშუალებით? მაგრამ ძველ ჟურნალებში ისეთი სტატიებიც ურევია, რომელთა გაცნობაზე ბ-ნ ღოღობერიძეს არაერთხელ უთქვამს უარი. ასეთ წრეში და ასეთ ვითარებაში ძველი ჟურნალებიდან უბრალო გადმობეჭდვაც კი ისეთ დამსახურებას წარმოადგენს, რაც თქვენს ძალღონეს აღემატება, თორემ მე არავინ დამითმობდა ასეთ საპატიო მოვალეობას.

დღეს მე არაფერს არ ვიტყვი ქუთაისის ბანკის საქმეების შესახებ. ამ საქმის ირგვლივ ახალი მონაცემები შეკაგროვე და ამ დღეებში „ობზორი“ მათ გამოაქვეყნებს. მოითმინეთ, ბ-ნო ქუთაისელო, ლოდინისაგან თქვენ არაფერს დაკარგავთ.

74. რედაქციისაგან

„ობზორის“ [36] დღევანდელი ნომრისათვის მომზადებული სტატიები „განათლებული ადამიანების ქურდობა“, კორესპონდენციები ოდესიდან და ადგილობრივი ახალი ამბები არ დაიბეჭდა ჩვენგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო. ამიტომ, მთლიანი ნომრის ნაცვლად, იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ ნახევარი ფურცლის გამოშვებით.

75. ქუთაისის საადგილმამულო ბანკის ანგარიში

თბილისი, 12 მაისი.

ბოლოს, როგორც იქნა, ვიშოვეთ ქუთაისის საადგილმამულო ბანკის ანგარიში (1876 და 1877 წლებისა). უნდა აღვნიშნოთ, რომ ანგარიში დაიბეჭდა აპრილის დასაწყისში თბილისში. რადგან ქუთაისის ბანკის დამაარსებელთა პირველი საერთო კრება დანიშნული იყო 26 აპრილისათვის, ამიტომ ცხადია, რომ ბანკის მართველობას საქმისადმი მეტი გულწრფელობა და გულახდილობა რომ გამოეჩინა, მაშინ ყველა ჩვენს გაზეთს აპრილის შუა რიცხვებში ანგარიშის თითო ეგზემპლარი უნდა მიეღო. რა თქმა უნდა, არაფერი ამის მსგავსი მას არ გაუკეთებია. ანგარიში დაიბეჭდა დიდი საიდუმლოებით. ბატ. ღოლობერიძისაგნ სტამბას მოუვიდა ფორმალური ბრძანება — კორექტურული ფურცლებიც კი არავისათვის არ ეჩვენებია. ანგარიში, რომელიც აპრილის დასაწყისში დაიბეჭდა, წაიღეს ქუთაისში და მხოლოდ სააღდგომოდ, 26 აპრილს, დაურიგეს ბანკის დარბაზში თავმოყრილ დამაარსებლებს. საერთო კრება რომ შემდგარიყო, მათ ეს ანგარიში იმავე დღეს უნდა დაემტკიცებიათ. ყველა დამეთანხმება, რომ მარტო ამგვარი პროცედურაც კი საკმარისია მართველობისათვის ბრალის დასადებად. ასეთი ფოკუსების უფლებას მოსკოვის სესხის გამცემი ბანკიც კი არ აძლევდა თავის თავს.

საერთო კრება არ შესდგა, რადგან 2.000 დამაარსებლიდან 26 აპრილს კრებაზე გამოცხადდა მხოლოდ 60 კაცი, მათ რიცხვში ისინიც, ვისაც ბანკში მამული აქვს დაგირავებული. და ეს იმ დროს, როცა თვით ქალაქ ქუთაისში მუდმივად ცხოვრობს რამდენიმე ასეული დამაარსებელი. ეს, სხვათაშორის, პირველი მაგალითი არაა დამაარსებელთა გულგრილობისა. ასობით დამაარსებელთა გამოუცხადებლობის გამო, არ შესდგა არც განსაკუთრებული კრება, რომელიც გასული წლის შემოდგომაზე მოიწვიეს. საყოველთაო ენთუზიაზმის შემდეგ, რითაც ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობა შეეგება თავის ბანკის დაარსებას და იმ მწვავე ბრძოლის შემდეგ, რი-

თაც აღინიშნა ბანკის ოპერაციების დაწყება, დამაარსებელთა ამგვარი გულგრილობა სრული გულგატეხილობის უდაო მნიშვნელობას იძენს. ბანკის საქმოსნები ღაისაჯნენ თავისივე ცოდვების გამო. ბანკის დაარსებამდე ისინი უზომოდ აზვიადებდნენ მის მნიშვნელობას. ყვიროდნენ, რომ ბანკი ყველაზე უკეთესი საშუალებაა ჩვენი უბედურებების წინააღმდეგ, რომ იგი აღადგენს ჩვენს მხარეს, გადაახალისებს თავადაზნაურობას. ერთი სიტყვით, მისი დამაარსებლები, არც მეტი და არც ნაკლები, „სამშობლოს მხსნელებად" გვევლინებოდნენ. მაგრამ აგერ უკვე ორი წელია, რაც ბანკი მოქმედებს და სამშობლო ჯერ კიდევ არ გამოუხსნიათ, რაც იქედან სჩანს, რომ იმავე სამშობლოს გამოსახსნელად ახლა საჭირო გახდა დარბაზის აშენება სცენის მოყვარულთა წარმოდგენებისათვის. თავადაზნაურობამ მათ სიტყვიერად დაუჯერა და როცა დარწმუნდა, რომ სამშობლო ისევ გამოუხსნელია, გულგრილობამ მოიცვა. და განა შეიძლებოდა გული არ გასტეხოდა, როცა ბანკის სესხების დიდი ნაწილი მას კი არ ერგო, არამედ ქალაქის მესაკუთრეებს, როცა სესხის ცხრა მეათედი, რაც მისთვის გაიმეტეს, ბანკმა მას კი არ მისცა მამულების გასაუმჯობესებლად, არამედ მათ კრედიტორ-მევახშეებს? ყველაზე გინიერებმა თავადაზნაურთა შორის, როცა დაინახეს, რომ ბახკიდან გაძოტახილი სესხი ათი პროცენტი ჯდება და ეს ძაძიხ, როცა არცერთი სოფლისა და ქალაქის მამულიც კი არ იძლევა 4-8 პროცენტზე მეტს, დარწმუნდნენ, რომ ბანკში მამულის დაგირავება არც ისეთი დიდი სიკეთეა, როგორც თავიდან მოსჩანდა. ისინი თვალნათლივ დარწმუნდნენ, რომ ბანკის სესხი ცოტათი სჯობია მევახშეების სესხს. ხოლო ის მოუთმენელი დამაარსებლები, რომელთაც მევახშეების გასტუმრების აუცილებლობა მოსვენებას არ აძლევდა, მწარე გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ ბანკიდან სესხის მიღება არც ისე ადვილია, როგორც მათ აიმედებდნენ. გარდა ამისა, ისინი დარწმუნდნენ, რომ ბევრი მათგანი, მამულის დაგირავების შემთხვევაშიც კი, ვერ აღწევდა თავს მევახშეებს. ერთი სიტყვით, იმათაც, ვინც სესხი მიიღო და იმათაც, ვისაც ასეთი პატივი არ დასდეს, და რომლებმაც ბოლოს უარიც კი სთქვეს მის მიღებაზე, თანაბრად დაინახეს რომ იმედები გაუცრუვდათ. ვარდების საწოლზე არ უნდა ნებივრობდეს ის ადამიანი, ვისაც ისინი ამგვარი შეცდომის პასუხისმგებლობას აკისრებენ: ცნობილია, რომ გულწრფელად თავისთავსაც კი არ უტყდება არავინ იმაში, რომ თვითონ მოტყუვდა და ცდილობს მოტყუილება სხვას გადააბრალოს... აღვნიშნეთ რა ეს საყოველთაო გულისგატეხა, რასაც დიდი ხანია წინასწარმეტყვე-

ლობდით, ახლა გადავალთ ბანკის პირველი ანგარიშის ზერელე განხილვაზე.

ანგარიში გაოცებთ თავის სიმშრალით და ამ მხრივ მან ბევრად გადააჭარბა თბილისის საადგილმამულო ბანკის ანგარიშებს. ცხადია, რომ თითქმის არცერთ დამაარსებელს არ შეუძლია გაიგოს ამ ანგარიშიდან, თუ რა მდგომარეობაშია ბანკის საქმეები. საოცარი ამბავია. ჩვენი ბანკის საქმოსნები ყვირიან, რომ მათი ბანკები სრულიად არაა ისეთი, როგორც რუსეთის საადგილმამულო ბანკები, რომლებიც დაარსებულია მოვალეების საექსპლოატაციოდ და აქციონერების გასაკრეჭად. ჩვენ დავეთანხმებოდით ამ ამბავს, მაგრამ ჩვენ გვაკვირვებს არა მარტო წესდების მონურად გადმოღება, არამედ ამ ბანკების ანგარიშებიც. რით უნდა ავხსნათ ეს ამბავი?

ანგარიში შედგენილია არა მარტო მშრალად, არამედ უხეიროდაც. მიუხედავად სურვილისა, სჩანს, რომ შეუძლებელი აღმოჩნდა საქმის ზოგიერთი მხარის დაჩრდილვა. ჩვენ არ მოვიყვანთ ამის დამამტკიცებელ საბუთებს, რადგან ბანკის მართველობას ეზარება ღია და კეთილსინდისიერი კამათი. კაცს, რომელსაც მისჯილი აქვს მონოპოლისტი იყოს, კამათისა და მტკიცების ნაცვლად, მისდაუნებურად უხდება განაჩენების წარმოთქმა.

ავიღოთ ანგარიშის ნებისმიერი ციფრი.

მიწის ფასი, შემფასებელი კომისიის ანგარიშის მიხედვით, სოფლის მამულის ერთი დესეტინისათვის დადგენილია 70 მან. 70 კაპ. ჩვენ, ამ შემთხვევაში, გვაკვირვებს არა იმდენად ამ ციფრის სიდიდე (ცნობილია, რომ თბილისის გუბერნიაში ერთი დესეტინის საშუალო ფასი 25 მან. 94 კაპ.), არამედ ის ფაქტი, რომ სოფლის მამულის ყოველ დესეტინზე გასცა „44 მან. წილადებით", ნაცვლად იმისა, რომ გაეცა 35 მან. 35 კაპ., როგორც ეს წესდებაშია ნათქვამი. ამის ახსნა შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მართველობას წარმოდგენა ექნებოდა — რას ეძებენ ადამიანები ანგარიშში და რას თხოულობენ მისგან...

სადესეტინო სესხის ოდენობა მეტისმეტად მერყეობს. მოხსენების მიხედვით, უმაღლესი ფასი 200 მანეთია, ხოლო ყველაზე მცირე — 18 მანეთი. მართალია, ყველა მიწა ერთნაირად კარგი და შემოსავლიანი არაა, მაგრამ ნება თქვენია და ქუთაისში ზოგიერთი ფასები ისედაც გაზრდილია, ხოლო 200 მანეთს შეუძლია ადამიანი დააფიქროს.

ფასების გაზრდა რომ უსაფუძვლო ბრალდება არაა, ამას ჩვენ დავამტკიცებთ სენაკის, ზუგდიდის და ლეჩხუმის მაზრების ზოგიერ-

თი მიწის შეფასებით, სადაც ძვირად შეაფასეს არა მარტო მცირეშემოსავლიანი და სრულიად არაშემოსავლიანი მამულები, არამედ სესხი გასცეს არც კი იცი ვის და რომელ მამულზე. მაგალითად, როცა საზოგადოებრივმა აზრმა გაიგო, რომ ლეჩხუმელი მეგმამულის ახვლედიანის მამულზე სესხად 20.000 მან. გასცეს, ისეთი ყაყანი ატყდა, რომ მართველობა იძულებული გახდა გაეგზავნა ადგილზე შემფასებელი კომისია. კომისიამ ვერ იპოვა დაგირავებული მიწები და მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ შესძლო გეგმაში აღნიშნული მიწის რამდენიმე ნაგლეჯის აღწერა. მაგრამ როცა ეს მიწის ნაგლეჯები გაზომეს, აღმოჩნდა, რომ მისი ფართობი არც კი უდრიდა პირველ აღწერას, რის საფუძველზეც სესხი გასცეს. ჩვენ კარგად არ გვესმის რა საჭირო იყო კომედიის გათამაშება შეგფასებელი კომისიის გაგზავნით ისეთი მამულის აღსაწერად და შესაფასებლად, რომლის დაგირავების შედეგად უკვე გასცეს სესხი. მაგრამ თუ გავაკონტროლებთ ამგვარი კომისიის მეშვეობით გავლენიან, მოთავე ამომრჩეველთა მამულების შეფასებას, მაშინ მართველობა კურიოზულ ამბებს აღმოაჩენდა. იგი, მაგალითად, დაინახავდა, რომ ერთი ქცევა შემოსავლიანი მიწის ფასი დადგენილი იყო რამდენიმე ასი ფუთი სიმინდის მოსავლით, ხოლო ერთი ფუთი სიმინდის ფასი, ზოგიერთ მაზრებში, თითქმის 1 მან. უდრის. და ეს მაშინ, როცა, მაგალითად, თუნდაც იმავე ლეჩხუმის მაზრაში სიმინდი საერთოდ არ მოდის, ხოლო იქ, სადაც რკინიგზა გადის, ფუთი სიმინდი 45 კაპ. ღირს. ვიმეორებთ, მოგვცეს ბანკის გამგეობამ უფლება შევამოწმოთ ნაფიცი შემფასებლების მეშვეობით, და თუნდაც ბანკის შეგფასებელთა მეშვეობით, აქამდე შეფასებული მიწები და ჩვენ ვალდებულებას ვკისრულობთ, რომ სამუდამოდ დავანებებთ თავს ლიტერატურულ მოღვაწეობას და საჯაროდ განვაცხადებთ, რომ უბადრუკი ცილისმწამებელი ვართ, თუ ვერ დავამტკიცებთ, როგორც ორჯერ ორი ოთხია, რომ, სულ ცოტა ათ შემთხვევაში, ბანკის მართველობა და შემფასებლები პასუხისგებაში მიცემას იმსახურებენ.

ჩვენ ასევე ვარწმუნებთ მკითხველებს, რომ მეორე პუნქტი, სადაც ბანკის მართველობამ დაარღვია წესდება და ხელი მიჰყო სპეკულაციას, არის პროცენტიანი ქაღალდებით თამაში ბირჟაზე. როცა ჩვენ პირველად დავბეჭდეთ ცნობა ამ თამაშის შესახებ, არავის არ უნდოდა დაეჯერებია, რომ ამგვარი რამ შესაძლებელია. ყველა ფიქრობდა, რომ ჩვენ პირადი სურვილი, ან მიკერძოება გვაიძულებს გავაზვიადოთ საქმე. ახლა კი დასტკბით ანგარიშის შემდეგი სტრიქონებით (გვ. 4, სტ. 13-31):

პროცენტიანი ქაღალდები, რომლებიც ბანკს ეკუთვნის.

1876 წლის 1 მაისისათვის შეადგენდა:	
1333 ბილეთი სახელმწიფო ხაზინის (სერიის)	66,650 მან.
საანგარიშო პერიოდში შეძენილია:	
80.000 მან. სახ. ხაზინის 5 პროც. ბილეთი	73.600 მან.
10.000 მან. საგირაო ფურცლები მიხაილოვის საადგილმამულო ბანკის	8.750 მან.
	149.000 მან.

გაყიდულია:

1324 ბილეთი სახ. ხაზინის (სერიის)	66.200 მან.
10.000 მან. 5. პროც. ბილეთი სახ. ბანკის	9.375 მან.
მიღებულია მოგება გაყიდვის შემდეგ	175 მან.

1878 წ. 1 იანვრისათვის დარჩა:

9 სერია	450 მან.
70.000 მან. 5 პროც. ბილეთი სახ. ბანკის	64.400 მან.
10.000 საგირაო ფურცლები მიხაილოვის ბანკის	8.750 მან.
	73.600 მან.
საკუთარი მოგება 1878 წ. 1 იანვრისათვის	1.750 მან.

პროცენტიანმა ქაღალდებმა ბანკში არსებობის პერიოდში გაზარდა პროცენტებით 9.138 მან. 53 კაპ.

რა საჭირო იყო სერიების გაყიდვა იმისათვის, რომ ხუთპროცენტიანი ბილეთები ეყიდათ და რა საჭირო იყო ამ ბილეთების ყიდვა, თუ მათი გაყიდვა შეიძლებოდა? რა უფლება ჰქონდა ბანკს ეყიდა თავის საკუთარი საგირაო ფურცლები? რატომ იყიდა ბანკმა ისინი 8,75%-ად და არა უფრო ძვირად ან იაფად? ვინ გაბედა დაერღვია წესდება, რომელიც ბანკის ოპერაციებს ზღუდავს სესხის გაცემით უძრავი ქონების დაგირავების შედეგად? ამგვარი კითხვების გადაყლაპვა არ შეიძლება. ეს ისეთი დარღვევაა, რისთვისაც, ადრე თუ გვიან, პასუხი უნდა აგონ თუ ბანკის მართველობამ არა, მაშინ — ბანკის დამაარსებლებმა.

დავამტკიცეთ რა საადგილმამულო ბანკის ბირჟაზე თამაში და

სპეკულაციური ოპერაციები, ჩვენ გადავალთ მეორე, კიდევ უფრო სახიფათო საქმიანობაზე, საგირაო ფურცლების ოპერაციებზე.

ბანკის მართველობამ ვერ მოახერხა გაესაღებია თავის საგირაო ფურცლები. ჰქონდა რა ხელუხლებელი კაპიტალი 437.306 რაოდენობით, მას იზრად მოუვიდა ამგვარი უბადრუკი კომბინაციის განხორციელება: საგირაო ფურცლების ნაცვლად ავანსად გაცემ ფულს, 80 მანეთს ყოველ ას მანეთზე. ხოლო ავანსის გაცემისათვის დავაგირავებ საგირაო ფურცლებს და როცა ეს საგირაო ფურცლები გაიყიდება, შევავსებ ჩემს ხელუხლებელ კაპიტალს. შინ გამოზრდილ ფინანსისტებს არა თუ ეჭვი არ ეპარებოდათ ასეთი გამოგონების საშიშროებაში, არა მარტო ვერ შეამჩნიეს, რომ ამგვარი ოპერაცია საადგილმამულო ბანკს საბირჟო კანტორად ხდის, არამედ მხედველობიდან ისიც კი გამორჩათ, რომ ამგვარი ოპერაციები უდაოდ აკრძალულია ფინანსთა სამინისტროს ცირკულარით. მათ ცხოვრებაში განახორციელეს თავიანთი სისტემა და ახლა ბრბოს შემდეგი სიტყვებით აყეყეჩებენ:

თავიანთი ანგარიშის მე-7 გვერდზე ისინი წერენ, რომ ბანკმა საგირაო ფურცლების კუპონებში 18.085 მან. გადაიხადა ვერცხლით, ხოლო მე-9 გვერდზე სწერენ, რომ ბანკში შემოვიდა პროცენტები: საკომისიოდ მიღებულ საგირაო ფურცლების კუპონებიდან 8.739 მან. და ბანკის კუთვნილი პროცენტიანი ქაღალდებიდან (რომელთა შორის ბევრია საგირაო ფურცლებიც) 9.138 მან. სინამდვილეში ბანკში არაფერი არ შემოსულა, მათ მხოლოდ ერთი ჯიბიდან მეორეში გადაიტანეს გარკვეული თანხა. მართალია, ეს ჩანაწერები სწორია და შესრულებულია ბუღალტერიის ყველა წესის მიხედვით, მაგრამ სინამდვილეში განა ეს უბადრუკობა არაა?

წავიდეთ კიდევ უფრო შორს. ამოიწურა 400.000 მან. ფონდი და იცით რა გააკეთა მაშინ სამმართველომ? მათ მოურიდებლად დაგირავეს კერძო ბანკებში ის საგირაო ფურცლები, რომლებიც საკომისიოდ ჰქონდათ მიღებული. ეს კიდევ ცოტაა. დაგირავეს რა ეს ფურცლები, მათ აიღეს ასი ათასი მანეთის სესხი ექვსი თვის ვადით, ხოლო იგივე ფული სესხის აღებლებს მისცეს 18 და 40 წლის ვადით. აბა ბითხარით, განა ეს ბავშვობა არაა? თბილისის საადგილმამულო ბანკი კინაღამ გაკოტრდა ამგვარი ოპერაციის შედეგად, და გაკოტრდებოდა კიდეც ბატ. ვინეკენს რომ არ გადაერჩინა შემთხვევით, იცოდე და მაინც გაიმეორო შეცდომა, რომელშაც კინაღამ გააკოტრა თბილისის ბანკი, ეს შეცდომა კი აღარაა, არამედ დანაშა-

ული, განსაკუთრებით იმის გამო, რომ სამინისტრო ცირკულარი ამგვარ ოპერაციებს კრძალავს.

ყველაფერი, რაც ჩვენ ვთქვით, მხოლოდ ნაწილია იმისა, რისი თქმაც შეგვეძლო იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი საქმოსნები და ბანკის მეშვეობით სამშობლოს გამომხსნელნი ასპარეზზე გამოვიდოდნენ. მაგრამ ისინი სდუმან და ჩვენ იძულებული ვართ შემოვიფარგლოთ იმით, რაც ვთქვით. ახლა ჩვენს მკითხველებს შეუძლიათ შეიქმნან წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ აწარმოებენ ჩვენი „უანგარო საზოგადო მოღვაწეები" საზოგადოებრივ საქმეებს.

მათ ჩვენთვის პასუხი არ გაუცია. დაკმაყოფილდნენ მხოლოდ ბატ. ქუთაისელის სტატიის დაბეჭდვით და სიტყვიერი პროპაგანდით ჩვენი პიროვნების სისაძაგლის შესახებ. ჩვენ შეიძლება ბელზებელის განსაკიერება ვართ, ყველა საშინელი ცოდვის ჩამდენი, შეიძლება გვამოძრავებს, როგორც გნებავთ, „პირადი ანგარიშები", შეიძლება მკვლელიც, ფიცის გამტეხიც, სისხლის მსმელიც, ბაში-ბუზუკიც, მაზურკიც და სალახანაც კი ვართ, ერთი სიტყვით, ყველაფერი რასაც თქვენ ვერაგულად შეგვარქმევთ, მაგრამ ფაქტები ფაქტებად რჩება. თქვენ შეგიძლიათ მოატყუილოთ რამდენიმე გულუბრყვილო ახალგაზრდა, შეიძლება შეამინოთ რამდენიმე დაუძლურებული მოხუცი, მაგრამ გახსოვდეთ, რომ დრო თავისას გაიტანს. გაივლის წლები და თქვენ დარწმუნდებით, რომ გინებითა და ცილისწამებით ვერ მოსპობთ იმ ფაქტებს, რომლებიც მე წამოგიყენეთ. ამიტომ თავი დაანებეთ დედაკაცურ ჭორებს და თუ თქვენთვის ძვირფასია თქვენი რეპუტაცია, თუ თქვენთვის რამე ფასი აქვს „უანგარო საზოგადო მოღვაწის" საპატიო სახელს, თუ თქვენ აფასებთ მომავალი თაობის მახსოვრობას და თანამედროვეთა ნდობას, გამოდით დღის სინათლეზე, უარყავით ჩემს მიერ წამოყენებული ფაქტები, დაამტკიცეთ მათი სიცრუე და სიყალბე. თუ თქვენ მართლაც მთვლით მე ცილისმწამებლად, მაგრამ საზოგადო მოღვაწედ, უთხარით საზოგადოებას რაზეა დამყარებული თქვენი რწმენა, წამოაყენეთ ჩემს წინააღმდეგ ფაქტები ჩემი საზოგადოებრივი და კერძო ცხოვრებიდან. როგორც არ უნდა იყოს თქვენს მიერ ჩემი მხილება, თუ თქვენ ვერსად დაგიბეჭდიათ, მე ვალდებულებას ვღებულობ სიტყვასიტყვით დავბეჭდო „ობზორში"[36]. ნუ არიდებთ თავს ამგვარ პატიოსნურ ბრძოლას, თუ თქვენ მართლაც გულწრფელად ემსახურებით თქვენ სამშობლოს. ნუ ფიქრობთ, რომ მე თქვენ ასეთ ბრძოლაში იმიტომ გიწვევთ, რომ უცოდველი ვარ. არა, მე დამიშვია შეცდომები, ვყოფილვარ გატაცებული და არც უცოდველი

ვარ. ეძებეთ და თქვენ ბევრ მასალას იპოვით ჩემთვის ბრალის დასადებად. ნუ მომცემთ უფლებას ვამტკიცო, რომ თავს არიდებთ ბრძოლას იმის გამო, რომ წინასწარ გრძნობთ მის მწარე ნაყოფს, რომ თქვენ თვითონ მწამებთ ცილს, არ გწამთ თქვენი ცილისწამება და იცით, რომ ჩემს შეცდომებსაც კი ვერასოდეს ვერ გაასაღებთ დახაშულად საზოგადოების წინაშე.

* * *

ახლა მე ბოდიში უნდა მოვიხადო „ობზორის" მკითხველების წინაშე ერთი სამხედრო ეშმაკობისათვის, რომელიც გამოვიყენე. ჩვენი ქუთაისელი კორესპონდენტი სხვათაშორის გვწერდა, რომ ბატ. გ. ღოღობერიძეს და ბატ. ს. ღოღობერიძის მეუღლეს მიკერძოებით მისცეს სესხი. გვსურდა რა გამოგვეწვია ბანკის მართველობა, ან დაინტერესებული პირები, წერილობით კამათში, მე განგებ გავამუქე ამ საქმის საღებავები და იქვე დავურთე შენიშვნა, რომ ეს წვრილმანია. მე ასე ვფიქრობდი: თუ ყოველი ჩემი ფაქტი სწორი და ეპვმიუტანელი იქნება, მაშინ ბატ. ღოღობერიძეებს ძალითაც ვერ გამოიწვევ საკამათოდ. მოდი ერთ ფაქტს მაინც გავაზვიადებ, რათა ამან მაინც აღუძრას სურვილი მოწინააღმდეგეებს ჩემი დამარცხებისა და გამოვიდნენ თავიანთი სანგარიდან. მაგრამ ამაოდ, მოწინააღმდეგეები ჩემზე ეშმაკები აღმოჩნდნენ და არ წამოეგენ ჩემს ანკესზე. რას იზამ! მე თვითონ უნდა აღვადგინო ეს ფაქტი ისე, როგორც სინამდვილეში მოხდა.

აი სრული სიმართლე ამ საქმის შესახებ. ქალბატონმა ღოღობერიძემ მიიღო ზედმეტი თანხა სოფ. ბაშის სახნავი მიწების დაგირავების შედეგად, ხოლო მისმა ქმარმა ამ ფულით ქალაქში შენობა ააშენა. შეფასება რომ გადაჭარბებული იყო, ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ მეზობლად მდებარე მიწების ერთი ქცევა არასოდეს არ გაყიდულა 80 მანეთზე მეტად, რაც კარგად იყო ცნობილი ბატ. ღოღობერიძეების ხროვისათვის, რომელთაგან ერთი ქუთაისის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი გახდა, ე. ი. საგირაო მოწმობის გამცემი, ხოლო მეორე ღებულობს ამ მოწმობას და მის მიხედვით სესხის გაცემას აწარმოებს ბანკიდან. ვიმეორებთ, ჩვენ შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ აღნიშნული სესხი გაზრდილია უკიდურეს შემთხვევაში ორჯერ მაინც.

მეორე ღოღობერიძემ, გიორგიმ, რომლის ფინანსიური გაჭირვება მთელი ქუთაისისათვის იყო ცნობილი (რაც ჩვენ, სხვათაშორის, სამარცხვინოდ არ მიგვაჩნია, რადგან ჩვენ თვითონ გაცილებით უფ-

რო გაჭირვებულ მდგომარეობაში ვართ) ბანკის დაარსებისთანავე დაიწყო შენობების აგება. ქუთაისში გავრცელდა ხმები, თითქოს ბატ. გ. ღოღობერიძემ ბანკის თანხებიდან უკანონოდ აიღო ვალი, შეუფასებლად და ნებადაურთველად. ეს ხმები ბატ. მესხმა „დროებაში"[7] დაბეჭდა, მაგრამ არავის უარუყვია. შენობის კედლები უკვე აყვანილი და გადახურული იყო, როცა ბატ. გ. ღოღობერიძემ ფორმალურად მიიღო სესხი. მაგრამ შეფასება რომ მაშინაც გაზვიადებული და მიკერძოებითი იყო, ჩანს იქედან, რომ მას ფარდულში 20.000 მან. მისცეს და ეს მაშინ, როცა ბატ. ხარაზოვს იმავე რიგში განლაგებული უკეთესი შენობისათვის, რომელსაც დიდი სარდაფი და მაღაზია აქვს, სულ 8.000 მან. მისცეს. ამ ფაქტის არსებობამ და უეჭველობამ ჩვენ უფლება მოგვცა გამოგვეწვია მოწინააღმდეგე კამათში. ვიმედოვნებთ, რომ მკითხველები გვაპატიებენ ამ ამაოდ გამოყენებულ ეშმაკობას.

ამის შემდეგ კი, ვიღებთ რა ჩვენს თავზე სრულ იურიდიულ და ზნეობრივ პასუხისმგებლობას ყველა ჩვენს მიერ წამოყენებული ფაქტისათვის, მანამდე ვუშვებთ ხელს ჩვენს იარაღს, სანამ ბატ. ღოღობერიძეები ან პრესის მეშვეობით არ გაგვცემენ პასუხს, ან სისხლის სამართლის საქმეს არ აღძრავენ, ანდა, ბოლოს, ღირსების სამკავროში არ გამოგვიწვევენ.

70. საკვირაო საუბრები

დიდმარხვა აღდგომის შემდეგ. — ორმხრივ მახვილი გაფრთხილება საბედისწერო „pas de rèveries“.[89] — არაა ვარდი უეკლოდ. — ჩვენი წუთიერი ენთუზიაზმის ხასიათი. — ოცნების უკვდავება. — ჩვენი გაზაფხული. — საჭიროა კი დატკბობა? — ი. გ. ქუკოვსკის აზრი. — ჩანჩქერი ქუთაისში. — რჩევა ბატ. ქუთაისელს (ფსევდონიმს), ნამდვილ ქუთაისლებს და ბატ. ბ. ღოღობერიძეს. — როგორი კოცნით გვირჩევნია დავტკბეთ. ბატ. ნოვოსელსკის ამბორი. — ქალბატონი ბლავატსკაია ფელეტონისტის როლში. — რაღაც საერთოდ ახალგაზრდობაზე და კერძოდ ქუთაისის ახალგაზრდობაზე.

Опять война на носу...
Прошла неделя радости
Настал великий пост...

ეს აზრი არ მშორდება. განა დიდი ხანია, რაც ჩვენ ვეძლევოდით მომავალი... გაზაფხულის „ტკბილ იმედებს“, განა დიდი ხანია, რაც წელში გავიმართეთ იმ ადამიანებივით, რომლებმაც ახალი და დიდი თანამდებობა მიიღეს? ჩვენ ფრთები შეგვესხა, სახე გაგვიბრწყინდა, უსაზღვროდ ვიწამეთ ჩვენი ახალგაზრდული ძალები... ბუნება ეხმაურებოდა ჩვენს საგაზაფხულო აღტაცებას და თითქოს ყველა იღიმებოდა ჩვენს ირგვლივ. და უეცრად ყველაფერი ძველ კალაპოტს დაუბრუნდა, ყველამ ჩამოუშვა ცხვირი, ყველა გაწუწულ ქათამს დაემსგავსა... რა სასწაულია, გაიფიქრებ კაცი, რა გარდაქმნაა! და ყველაფერი ეს მოხდა იმის გამო, რომ ვიღაცამ მოიწადინა გაემეორებია თავის საბედისწერო „Pas de reveries“[90]. და, ჭკუის დარიგებასთან ერთად, წკიპურტი მოგვარტყა ცხვირში... „Pas de reverics“. მინდოდა მეთქვა, ჩემი მხრივ, ჩვენი საზოგადოების გულის გამტეხლებისათვის. ცხოვრება არ უსმენს ქადაგებებს და თავის გზით მიდის... როცა გაზაფხული დგება, იშლება მაისის ვარდები, რომელთაც თან ახლავთ საკმაო რაოდენობით ეკლები. უდაოა, რომ ეკლები იჩხვლიტება და ზოგჯერ ძალიან მწარედაც. მაგრამ გულუბრყვილობაა იმაზე ოცნება, რომ ასეთი ჩხვლეტის თავიდან აცილებით საჭიროა, ან შეიძლება, გაზაფხულის შეჩერება: იგი თა-

ვისაც გაიტანს. ოქვენთვის კი სჯობია ხელს ნუ ჰკიდებთ ისეთი უძნელესი ამოცანის გადაწყვეტას, როგორიცაა ცხოვრებიდან გაზაფხულისა და ყველა მისი თვისებების ამოშლა. ისწავლეთ ვარდების ოსტატურად მოწყვეტა, გვერდი აუარეთ ეკლებს, მიიღეთ გაზაფხულისაგან ყველაფერი, რაც კი აქვს კარგი და სასარგებლო, დატკბიო მისი მოხერხებული მხარეებით და იმ უამრავი სიკეთისათვის, რასაც იგი გვაძლევს, აპატიეთ მას ის მცირედი უხერხულობანი, რასაც დროდადრო გვიქმნის... წინააღმდეგ შემთხვევაში, წელს მოიწყვეტთ ამ უხერხულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში და ვერ ისარგებლებთ გაზაფხულის სასიხარულო თვისებებით... ასე რომ, ტყუილად ნუ ოცნებობთ, ბატონებო. Pas de reverie messieurs!..

* * *

დიახ, ადვილი არაა ამ აზრების ისე განვითარება, რომ გასაგები და დამაჯერებელი იყოს... თუმცა რა საჭიროა? ბატონი გულის გამტეხლები ყურს არ დაგიგდებენ, ხოლო გულგატეხილი ბატონები არ მოგისმენენ... ამ უკანასკნელთა ენთუზიაზმი როგორღაც ისეა მოწყობილი, რომ ორთქლდება. ათ-თხუთმეტ წელიწადში ერთხელ გამოჰყოფს თავს ჭუჭყიანი ნიჟარიდან, რომელშიც ლპება, გამოაჩენს თავის რქისებრ საცეცებს, დაყნოსავს ჰაერს და, ჰაერის ოდნავი მერყეობისთანავე, კვლავ ნიჟარაში ძვრება თავის დასახსნელად ისევ ათეული წლობით. შეგიძლიათ უყვიროთ ასეთ ენთუზიასტს რამდენიც გნებავთ: „ნუ გეშინია, მხოლოდ ტოროლა უსტვენდა, გამარჯვება ცხრა მთას იქით არაა!“ მაგრამ არა თუ არ გაინძრევა, არაძედ არც კი გაიგონებს თქვენ ხმას: დაიხშობს ყურებს, გაიყინება და ლაპარაკის თავი რომ ჰქონდეს, ალბათ, ფამუსოვის სიტყვებს წამოიძახებდა:

«Не слушаю, под суд! под суд!»[83]

* * *

ჩვენზე უფრო ხმამაღლა გაისმოდა ხმა იმ მჭევრმეტყველთა, რომლებიც ამტკიცებდნენ ბუნებისათვის წართმეულ სიკეთეთა მოუშლელობას, გახსოვთ „საახალწლო ლექსი“:

«В нем каждый миг убийцей был
Какой нибудь мечты...[84]

ამას ამბობდნენ 1858 წელს. მერე რა, მას შემდეგ ზუსტად ოცი წელი გავიდა. ახლა კი მითხარით, რომელი ოცნება აღმოჩნდა ნამდ-

ვილად მოკლული? შეიძლება მოკლა ადამიანი, ლოკოკინა, გაზეთი, ყოველგვარი საწარმო, მაგრამ ცხოვრებისა და ოცნების მოკვლა არ შეიძლება: „სული მარად არს". და ათასჯერ მართალი იყო იგივე პოეტი, როცა იმავე ლექსს ასე ამთავრებდა:

«Нас давит времени рука,
Нас изнуряет труд;
Всесилен случай, жизнь хрупка,
Живем мы для минут...
Но то, что с жизни взято раз
Не в силах рок отнять у нас!»

*

ამგვარად, მე მწამს გაზაფხული, თუ გნებავთ ეკლიანი, მაგრამ ძაინც გაზაფხული. ანდა როგორ არ უნდა გწამდეს, როცა ყოველი ღერო, ყოველი ბუჩქი ყველა თავის პირით აფრქვევს სითბოს, არომატს, სიცოცხლეს, როცა მღერის:

„გაზაფხული მოდის, გაზაფხული მოდის!"

მაგრამ რა მძიმე მშობიარობა ჰქონდა წლევანდელ გაზაფხულს! რამდენჯერ დადგა მოწმენდილი, თბილი დღეები, რამდენჯერ აგვიჩქროლდა სისხლი ძარღვებში, რამდენჯერ გამოვეწყვეთ საგაზაფხულო კოსტუმში და მზიარულად გამოვედით ბულვარზე, რათა დავმტკბარიყავით — „ძაღლების ბაღის" სიმწვანით და თბილისელი ლაშაზმანების სიარულით. ერთი საათის შემდეგ კი წამოვიდოდა წვიმა ან დაუბერავდა ჩრდილოეთის ქარი, დაგვკრავდა სიცივე, ძვლებამდე გაატანდა და დასველებულები, გათოშილები ვჩქარობდით ჩვენს ოთახებში ჩავკეტილიყავით ისევ. მაგრამ ახლა საბოლოოდ გამოიღარა და გაზაფხულმა თავისი გაიტანა...

შევძელით ჩვენ დავმტკბარიყავით გაზაფხულით? ჩემთვის ეს კითხვაა. საერთოდ ჩვენ დატკბობა არ ვიცით, რადგან ასეთ რამეს ვთვლით მაცდუნებელ ცოდვად. „სოვრემენნიკის"[85] ცნობილმა ეკონომისტმა წარსულში ბევრი დიატრიბები და ფილიპიკები მიუძღვნა ამ საკითხს და ამტკიცებდა, რომ ჩვენ ფარისევლებმა და ექსპლოატატორებმა შთაგვინერგეს დატკბობისადმი შიში. იგი ამბობდა: იმისთვის, რომ ცხოვრების ამქვეყნიური სიკეთით ისარგებლონ მხოლოდ ზოგიერთებმა, და არ გამოიწვიონ სხვების შური და თავდასხმა, — ფარისევლებმა და ექსპლოატატორებმა დაგვარწმუნეს, რომ

დატკბობა ადამიანის ყურადღების ღირსი არაა, რომ სათნოება რიგორიზმშია, რომ პატიოსნება თხოულობს განუდგე ხორციელი ტკბობის ყოველგვარ ცდუნებას. ბატ. ჟუკოვსკის სიტყვებით სწორედ ეს მისტიფიკაცია თითქმის მთავარი დაბრკოლება ნორმალური საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების გზაზე. როცა კაცობრიობა დარწმუნდება, რომ უფლება აქვს ეძებოს ნეტარება ამ ქვეყნად, ამბობს ბატ. ჟუკოვსკი, როცა იგი მიხვდება, რომ სხეულის უფლებები ისევე წმინდაა, როგორც გონებისა და სულისა, მაშინ ფარისევლები და ექსპლოატატორები, რომლებიც იმქვეყნიური სიტკბოების საძებრად გვგზავნიან, ასე ადვილად ვერ გაკრიჭავენ ბრბოს...

* * *

დიახ, ჩვენ არ ვიცით არც გაზაფხულით და არც ბუნებით დატკბობა. თუმცა განსვენებული ნ. ა. ნეკრასოვი ამტკიცებდა, რომ ჩვენ დაგვიტოვეს

...Сокровища природы,
Которых богатые и сильные земли
Отнять у бедняков голодных не могли...[86]

მაგრამ ესეც სხვა არაფერია, თუ არა რიტორიკული ფრაზა. ჩვენი გონების შთაბეჭდილების უნარიანობა იმდენად დახშულია, რომ ჩვენ ბუნებითაც კი არ შეგვიძლია დავტკბეთ... ამ დღეებში მე ცხადად დავრწმუნდი ამაში. ვიყავი ქუთაისში და, ვისარგებლე რა გაზაფხულის პირველი დღეებით, წავედი მუხლის მოსაყრელად მეტისმეტად თვალწარმტაცი ჩანჩქერისაკენ, რომელიც ქალაქიდან 6 ვერსითაა დაშორებული. ჩემი ცხოვრების მანძილზე მე მინახავს ევროპის თითქმის ყველა ჩანჩქერი, მაგრამ უფრო მომხიბლავი, უფრო საოცარი არაფერი მინახავს. რეინის ყბადაღებული ჩანჩქერი, რომელიც 8 საჟენის სიმაღლიდან ვარდება და ისიც საფეხურებით, მე უპრალოდ არარაობად მომეჩვენა ქუთაისის ჩანჩქერთან შედარებით, რომელიც ერთბაშად ვარდება 20 საჟენის სიმაღლიდან. ამავე დროს ქუთაისში არავინ არ იცის ასეთი ჩანჩქერის არსებობა. ივი რომ შვეიცარიაში იყოს, ახლომდებარე ქალაქის სიმდიდრე და დიდება იქნებოდა. ევროპის ყველა კუთხიდან ჩამოვიდოდნენ ტურისტები მისი საოცარი სიდიადის სანახავად, ჩანჩქერისა, რომელიც თითქმის მთელი დღის მანძილზე აირეკლავს სხივთა სპექტრალური გადატეხის ყველა სიმშვენიერეს. ჩვენში კი ეს ჩანჩქერი თითქმის

არავის არ იზიდავს, არავის არ აინტერესებს. ბატ. ქუთაისელებს, რომლებიც მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რომ შენიღბონ ბანკის დაცემა, არც კი უნდათ იცოდნენ თავიანთი ჩანჩქერის არსებობა...

* * *

ვისაც ამ სიმშვენიერით დატკბობა სურს, შემიძლია აქვე გავაცნო მთელი მარშრუტი. ექვსი ვერსის დაშორებით ქუთაისიდან, ოსეთის საბჭედრო გზაზე (იმ გზაზე, რომელიც გადის ფერმის წინ), სოფელ ოფიჩხეთთან თქვენ წააწყდებით დანგრეულ ხიდს, რაც ჩვენი ინჟინრების მიერ შესრულებული სამუშაოების* უტყვი მაგალითია. აქედან მარცხნივ უნდა გაუხვიოთ და სულ უნდა იაროთ იმ მდინარის გასწვრივ, რომელზედაც გადებულია დანგრეული ხიდი, და ერთი ვერსის დაშორებით მისგან დაინახავთ ჩანჩქერს, რომელზედაც გელაპარაკებით. ჩემო ძვირფასო თანამოქალაქენო, თუ თქვენ ვერ შესძელით დამტკბარიყავით ბრილიანტის მტვრით, რაც თვალებში შეგოგაყარათ თქვენი საადგილმამულო ბანკის ბრძენმა დამაარსებელმა, ჩანჩქერით მაინც დატკბით. თვით ბატ. ღოლობერიძემ კი ჩანჩქერის ცქერის დროს დაიმშვიდოს საკუთარი თავი: „დაცემაში არის თავისებური სიდიადე", გაიფიქროს მან და მაშინ უფრო მხიარულად დაუბრუნდება საგირაო ფურცლების ორდერებზე ხელის მოწერას.

ვიმეორებ, არ ვიცით გაზაფხულით, ბუნებით, ცხოვრებით დატკბობა. მე თქვენ მოგიყვანეთ მაგალითი იმისა, რომ არ იცით ბუნებით დატკბობა. ახლა კი ნება მიბოძეთ მოგიყვანოთ იმის მაგალითი, თუ რამდენად არ შეგვწევს უნარი დავტკბეთ გაზაფხულის კოცნით. დამშვიდდით, მშვენიერო მკითხველებო: ჩემს მოთხრობაში არ იქნება არავითარი უხამსობა. მე მჩედველობაში არა მაქვს ვიქადაგო კოცნის სიტკბოება, რასაც მალულად სწყვეტენ თქვენს წითელ ტუჩებს. მე ვლაპარაკობ ღია, საჯარო კოცნაზე, რომელიც მოსწყვიტა ერთმა ჩემმა ნაცნობმა... ბატ. ნ. ა. ნოვოსელსკის ჩამოშვებულ ტუჩებს.

ამგვარად, ჩემი ნაცნობი ეთხოვებოდა საიდუმლო მრჩეველს. ბრწყინავდნენ ვარსკვლავები, მაგრამ სამხრეთის ცაზე კი არა, არამედ ბატ. ნოვოსელსკის ვიც-მუნდირზე. თოვლივით თეთრ ფონზე, მაგრამ არა თოვლით დაფარულ ველის, არამედ ოდესის ქალაქის-

---

* ავტორი აქ აჭარბებს. ჩვენი ინჟინრების მიერ აშენებული ხიდები დროის კრიტიკას თუმცა ვერ უძლებს, მაგრამ მათ მიერ აშენებული სახლები მარმარილოზე მაგარია და პირამიდებზე მტკიცე.

თავის გულისპირზე ბრწყინავდა ჯვარი, ჯვარი არა სამრეკლოს შპილის, არამედ ვლადიმირის მეორე ხარისხისა. დიდმა კაცმა ხელი ბოხვია ჩემს მეგობარს და მხურვალედ, ძარღვიანად აკოცა. მეგობარი, რომელსაც სიამაყისა და სიდიადისაგან სახე უბრწყინავდა, მთელი ტანით გასწორდა. მის ცხოვრებაში ეს იყო ერთერთი უდიადესი წუთები, მაგრამ სამწუხაროდ ხანმოკლე წუთები.

«Зачем от мирных нег и дружбы простодушной,
Вступил он в этот свет завистливый и душный
Для сердца вольного и пламенных страстей?
Зачем поверил он словам и ласкам нежным,
Он, с юных лет постигнувший людей!»

მას უნდა მოეწყვიტა მხურვალე კოცნა და წასულიყო სადმე მივარდნილ ადგილას, მარტოობაში უნდა დაბთვრალიყო მოგონებებით. მაგრამ მან მოინდომა გაეგრძელებია თავის აღტაცება, მოინდომა ყველას დაენახა და შეეფასებია მისი ბედნიერება. მან ამაყად გადახედა სხვა გამცილებლებს და დარჩა... მაგრამ რა? ბატ. ნოვოსელსკი მიუბრუნდა სასტუმრო „კავკაზის“ პატრონს (სადაც იგი ცხოვრობდა), ხელი მოხვია m-me მარტენს და კიდევ უფრო მხურვალედ ეამბორა ამ ქალს, ვიდრე ჩემს მეგობარს, რომელსაც ბატ. ნოვოსელსკის გულუხვობა, კოცნის დარიგებაში, აშკარად არ მოეწონა. ჩემი მეგობარი მოიღუშა, მაგრამ რამდენად გაუტყდა გული, როცა ბატ. ნოვოსელსკიმ ხელი მოხვია და აკოცა თვით ბატ. მარტენს, რომელმაც იმწამსვე მოიწმინდა თავის სამზარეულო წისსაფარით... გულაჩუყებისაგან გამოწვეული ცრემლები. — ჩემმა მეგობარმა ვეღარ გაუძლო ამ ამბავს და სახლში გაიქცა, სადაც სამი დღის მანძილზე იმეორებდა დიდ აზრს დიდი ფილოსოფოსისას, რომელსაც ორმაგი საფუძველი ჰქონდა ჩასწვდომოდა ადამიანის გულის მთელ სიღრმეს, რადგან მეფეც იყო და პოეტიც:

„ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო“.

გუშინ მე შევხვდი მას, მოწყენილს, ნაღვლიანს. ვკითხე როგორ იყო საქმე. მან მელანქოლიურად მიპასუხა:

— რა უნდა იწამო? უწინ მე გოგონების კოცნას ვეძებდი, მაგრამ დავრწმუნდი მათ არარაობაში. ახლა დავიწყე სოლიდური მოხუცების, ამა ქვეყნის ძლიერთა კოცნის ძებნა, მაგრამ არც მათი სიმტკიცე აღმოჩნდა მყარი. რა უნდა იწამო, ვის უნდა აკოცო!

და ჩემმა მანფრედმა დაიწყო ქვაფენილის ჩხრეკა...

* *

ქალბატონი ბლავატსკაია, „თანამედროვე მეცნიერების დიადი ნაწარმოების“ დიდი ავტორი, რომელსაც ამასწინათ ასე დიდებულად შეასხა ხოტბა მისმა დიდად პატივცემულმა დამ — ვ. ჟელიხოვსკაიამ, ჩამოვიდა „თანამედროვე მეცნიერების“ მწვერვალიდან და გადასწყვიტა ლუკმაპური წაართვას ჩვენს ძმას, თბილისელ ფელეტონისტს. ადვილი შესაძლებელია მე ვცდებოდე, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ „ატლანტიკის“ იმ ნაპირიდან, ან სპირიტიზმის იმქვეყნიური სამყაროდან, იგი ჩვენ არც ისე გონებამახვილურ ლაყბობას გვიგზავნის... თუ კი ჩემი მიხვედრილობა საფუძვლიანია, მაშინ მე გაკვირვებიხ მეტი არაფერი დამრჩენია იმის გამო, რომ როგორ მოხდა და „თანამედროვე აზროვნების უდიდესი ნაწარმოების“ ავტორმა ვერ აღმოაჩინა ამერიკის მიმდინარე ცხოვრებაში ვერც ერთი დიდი აზრი, ვერ დაინახა ვერც ერთი მართლაც შესანიშნავი მოვლენა?

მაგრამ მე, ალბათ, ვცდები...

* *

„Cautais me fait taujours rirë“[00] ვიტყვი მე და მივბაძავ „გავარნის“ სიტყვებს, რომელმაც კარიკატურების მთელი ალბომი შეთხზა ასეთი სათაურით — „ქმრები ყოველთვის სიცილს მგვრიან“. დღეს მე წავიკითხე ცნობა იმის შესახებ, რომ ქუთაისელმა სცენისმოყვარულებმა, თავიანთი წარმოდგენებით, დაახლოებით ასორმოცდაათი მანეთი შეაგროვეს და გადასწყვიტეს, არც მეტი და არც ნაკლები, — ქუთაისში დააარსონ ნამდვილი თეატრი, ე. ი. ააშენონ მაყურებელთა დარბაზი. ო, ახალგაზრდობავ, ახალგაზრდობავ, შენ ყოველთვის ახალგაზრდა იქნები! ვერასოდეს ვერ ისწავლი გაზომილი ნაბიჯებით სიარულს მუდმივი მიზნისაკენ. შენ ვერასოდეს ვერ გაიანგარიშებ ძალას, ვერასოდეს ვერ გაზომავ დაბრკოლებებს და უიარაღოდ დაეძგერები ყოველთვის უამრავ დაბრკოლებებს, ხოლო როცა ცხვირს გაიჭეჭყავ, დაიწყებ სულიერად დაცემას, გაგიტყდება გული, დამჟავდები, დაკნინდები და ამით არა მარტო შენს თავს, არამედ სხვებსაც. მომავალ თაობასაც დაუკარგავ სურვილს ხელი მოკიდონ საერთო საქმეს...

...ჩემთვის ბით უფრო ადვილია ამის თქმა, რომ თვით მე, ცოდვილს, არაერთხელ დამიშვია ამგვარი შეცდომა.

ესეც, ალბათ, გაზაფხულის ვარდების ერთერთი ეკალია, ახალგაზრდობის ერთერთი განუყრელი ნაკლი, მაგრამ შეიძლება ღირსებაც. და მართლაც, ასეთი შეცდომები გაცილებით უფრო პატივსაცემია, ვიდრე იმ ახალგაზრდა მოხუცების შეუცდომლობა, რომლებიც სწრაფად პოულობენ მყუდრო თავშესაფარს და თითქმის კვერცხიდან გამოჩეკის მეორე დღიდანვე იწყებენ თბილი ბუდის მოღობვას. ხომ შეიძლება მართალი იყო პოეტი, როცა წერდა:

«Блажен, кто смолоду был молод»[67].

77. ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დამაარსებელთა საერთო კრება

15 მაისი, ქუთაისი.

1

ბოლოსდაბოლოს შესდგა ჩვენი ბანკის დამაარსებელთა საერთო კრება. ამჯერად თავი მოიყარა სულ 62 დამაარსებელმა. მათ რიცხვში არიან ისინიც, ვისაც ბანკში დაგირავებული აქვთ ქონება.

უპირველეს ყოვლისა კრებას წინადადება მისცეს დაემტკიცებია ინსტრუქცია საერთო კრებებზე საქმის წარმოების წესის შესახებ. ინსტრუქციაში სულ 18 პარაგრაფი იყო. უთანხმოება გამოიწვია მხოლოდ ორმა უმნიშვნელო პუნქტმა. ინსტრუქცია თხოულობდა დამაარსებლები კრებაზე გამოცხადებულიყვნენ უიარაღოდ. დამაარსებლებმა უარყვეს ეს პარაგრაფი მთლიანად და საბუთად ის მოიყვანეს, რომ მათ არასოდეს არ გამოუწვევიათ არავითარი არეულობა კრებებზე, თუმცა იარაღი თან ჰქონდათ. მეორე პარაგრაფი, რომელმაც კამათი გამოიწვია, ეხებოდა იმის განსაზღვრის წესს, თუ რომელ წინადადებას უპერს მხარს კრების უმრავლესობა. ინსტრუქცია წინადადებას იძლეოდა უფლება მიეცა თავმჯდომარისათვის ამგვარი განსაზღვრის საშუალებების არჩევისა. ერთერთმა დამაარსებელმა განაცხადა, რომ საჭიროა ახლავე გადასწყვიტონ რა საშუალებებს გამოიყენებს თავმჯდომარე. ცხარე კამათის შემდეგ, პარაგრაფს დაუმატეს ის, რომ კრების თავმჯდომარე ან დამაარსებელთა ადგომით და დაჯდომით განსაზღვრავს ვის მხარეზე იხრება კრების უმრავლესობა, ანდა კენჭის ყრის საშუალებით, რაც მხოლოდ მაშინ იქნება აუცილებელი, როცა ამას მოითხოვს კრების მესამედი. მესამე პუნქტი ეხებოდა არასწორი კენჭის ყრის გასაჩივრების წესს. კრებამ გასაჩივრებისათვის დაადგინა შვიდი დღის ვადა.

შემდეგ კრება გადავიდა 1876 და 1877 წლების ანგარიშის განხილვაზე. კრების თავმჯდომარე ამაოდ ცდილობდა განემარტა დამა-

არსებელთათვის ბანკის ოპერაციები და ბოლოს დაჯერდა მხოლოდ იმას, რომ ციფრები მოიყვანა ანგარიშიდან. ასე რომ, კრებისათვის ისევ საიდუმლოებად დარჩა რა გაკეთდა და, სინამდვილეში, რამდენი მოიგო ბანკმა. დიდი ხნის დუმილის შემდეგ, რაც გამოიწვია თავმჯდომარის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ, ზოგიერთმა დამაარსებელმა წამოიძახა: „ჩვენ ვამტკიცებთ ანგარიშს, თანახმა ვართ, თანახმა ვართ!“ მაშინ პოდპოლკოვნიკმა თავ. ლორთქიფანიძემ წინადადება შეიტანა დაენიშნათ კომისია ანგარიშის შესამოწმებლად და ბანკის საქმესთან შესადარებლად, ხოლო დ. ნ. ბაქრაძემ დასძინა, რომ საზოგადოებაში და პრესაში ორი საკითხი იწვევს გაკვირვებას: ავანსების გაცემა და პროცენტიანი ბილეთების ყიდვა და გაყიდვა. მაშინ ბანკის მართველობის თავმჯდომარემ ბ. ლ. ღოღობერიძემ წარმოთქვა სიტყვა, სადაც ამტკიცებდა, რომ ამ ორი ოპერაციიდან არცერთი არ ეწინააღმდეგება წესდებას და დაშვებულია რუსეთის საადგილმამულო ბანკებში. სინამდვილეში, ამტკიცებდა იგი, ეს ფულის ავანსად გაცემა კი არაა, არამედ საგირაო ფურცლების საკომისიოდ მიღება. ხოლო პროცენტიანი ბილეთების ყიდვა-გაყიდვა სხვა არაფერია, თუ არა ბანკის კაპიტალის შენახვა პროცენტიანი ქაღალდების სახით. ბატ. ღოღობერიძის ვრცელი სიტყვა დაწვრილებით ეხებოდა რუსეთის ბანკებში საქმის წარმოებას. ამის გამო, თავ. ირ. ლორთქიფანიძემ მას სიტყვა შეაწყვეტინა. „ჩვენ აქ იმისათვის კი არ მოვედით, — განაცხადა მან, — რომ ლექცია მოვისმინოთ ბანკების ისტორიისა და საქმისაგან დაშორებული ფინანსიური დეტალების შესახებ. ილაპარაკეთ საქმის ირგვლივ“. კრების თავმჯდომარემ სთხოვა თავ. ლორთქიფანიძეს სიტყვას ნუ აწყვეტინებთ ორატორსო, რომელმაც სხვა წვრილმანებზე ლაპარაკის შემდეგ განაცხადა, რომ მას არ დაურღვევია ბანკის წესდების არცერთი პარაგრაფი.

ამ სიტყვის პასუხად თავ. ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ ისიც კი, რაც ითქვა ამ კრებაზე სხვათაშორის და ისიც, რაც თქვა თვით ბატ. ღოღობერიძემ, სრულიად საკმარისია იმ აუცილებლობის დასამტკიცებლად, რომ დაინიშნოს კომისია ანგარიშის შესამოწმებლად.

საბეთვალყურეო კომიტეტის წევრმა ლ. ტ. ლოლუამ განაცხადა, რომ არ იზიარებს ბატ. ბ. ღოღობერიძის შეხედულებებს, „ის, რასაც ჩვენს შესახებ გაზეთებში სწერენ, სამართლიანია, ჩვენ მართლაც დავარღვიეთ ბანკის წესდება. მაგრამ ამ დარღვევების შესახებ ჩვენ ვიცოდით და ჩვენი თანხმობით მოხდა (ე. ი. სამეთვალყურეო კომიტეტის); ჩვენ კი მასზე დავთანხმდით იმ უკიდურესი სიძნელე-

ების გამო, რაც გამოიწვია ომმა. მაგრამ პრესის თავდასხმებში ბანკზე უსაფუძვლოა ის აზრი, თითქოს ჩვენს მიერ დაშვებულ შეცდომებს უბედურება მოაქვს ბანკისათვის. ამის ნუ გეშინიათ". ამის შემდეგ ილაპარაკა რამდენიმე კაცმა, რომელთაგან ზოგი მხარს უჭერდა თავ. ლორთქიფანიძის წინადადებას, ზოგი კი წინააღმდეგი იყო. ზოგიერთმა დამაარსებელმა განაცხადა, რომ ჩვენ გვყავს მუდმივი კომისია. ესაა სამეთვალყურეო კომიტეტი და კომისიისათვის კომისიის დახმარება ზედმეტია. კრების თავმჯდომარე დათანხმდა ამ აზრს და განაცხადა, რომ ზოგიერთი ბრალდება, რომელსაც საზოგადოება უყენებს მართველობას და სამეთვალყურეო კომიტეტს, უსაფუძვლოა. მაშინ თავ. ირ. ლორთქიფანიძემ შენიშნა: კომისია გამოარკვევს და დაამტკიცებს მათ საფუძვლიანობას ან უსაფუძვლობას და მაშინ საზოგადოებაში შესწყდება მცდარი მითქმა-მოთქმა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მითქმა-მოთქმა ჩვენ ძალიან გვაღელვებს. მაგრამ, როცა ამის შემდეგ კრების თავმჯდომარემ კელავ ურჩია დაემტკიცებიათ ანგარიში, თავ. ლორთქიფანიძემ პირდაპირ მას მიმართა ასეთი სიტყვებით: „თქვენ კარგად იცით, უსინდისობაა მოსთხოვო თანხმობა ადამიანს, ან საზოგადოებას ისეთი ანგარიშის დასამტკიცებლად, რომლის შემოწმების უფლებასაც არ აძლევენ და ნებას არ რთავენ გაეცნოს მას. ბევრმა ჩვენთაგანმა წერა-კითხვა არ იცის და ვერ ერკვევა არა თუ რთულ, არამედ ბანკის მარტივ ანგარიშშიც კი. დაიდეთ გულზე ხელი და სთქვით, რომ ეს მართალი არაა, რომ თუნდაც ერთი კაცი ჩვენს შორის დარწმუნებულია იმ ანგარიშის სიწორეში და წუნდაუდებლობაში, რომლის დამტკიცებასაც თქვენ ასე ძლიერ მოითხოვთ, და მაშინ მე ჩემს სიტყვებს უკან წავიღებ. ეს თითქმის იმას ჰგავს, რომ თქვენ თავზე გვახვევთ ანგარიშს, იძულებულს ხდით საზოგადოებას დაბუჭოს თვალები და ისე მოაწეროს ხელი იმას, რაც არ უნახავს და რასაც არ იცნობს.

— ამგვარი სიტყვები აღმაშფოთებელია,—წამოიძახა ბატ. ნ. ღოღობერიძემ, ხოლო სამეთვალყურეო კომიტეტის თავმჯდომარემ ლ. ნ. ასათიანმა კელავ დაუჭირა მხარი საკუთარ წინადადებას ანგარიშის დამტკიცების აუცილებლობის შესახებ. შემდეგ შეუდგნენ იმ საკითხის ფორმულირებას, რომელიც ამგვარად იყო დასმული: „გაქვთ თქვენ ნდობა თუ არა ბანკის მართველობის კეთილსინდისიერებისადმი და სამეთვალყურეო კომიტეტისადმი"? რადგან საკითხი ამგვარად იყო დასმული, ამით იგი საბოლოოდ იქნა გადაწყვეტილი. გარდუვალი საფრთხის წინ რომ მდგარიყო არა მარტო ბანკი, არამედ მთელი ქალაქი ან ქვეყანა და კაცობრიობა, მაინც ვერავინ

გაბედავდა პირდაპირ გაეცა პასუხი ასეთ კითხვაზე. მაშინ თავმჯდომარემ კვლავ იკითხა — ვინ არის იმის მსურველი, რომ საკითხი კენჭის ყრით გადაიჭრას? არავის არ ამოუღია ხმა, გარდა თავ. ლორთქიფანიძისა, ასე რომ ამტკიცებთ ანგარიშს? — ვამტკიცებთ, ვამტკიცებთ!

ანგარიში, რომელიც დამტკიცებულად ჩასთვალეს, ჩაბარეს არქივს. შთაბეჭდილება მოახდინა მხოლოდ ვიღაც უცნობი პირის გამოხტომამ, რომელიც ამ დროს წამოდგა და სთქვა: ახლა ყველაფერი გასაგებია, ყველაფერი მართალია. ამბობენ, ნიკოლაძემ ბანკის შესახებ ასეთი ლექსი დასწერა: Спи мой банк многострадальный, баюшки баю *, ხოლო ახლა ჩვენ უნდა დავუმატოთ: «Спи наше дворянство, баюшки баю».

ამის შემდეგ უნდა გადასულიყვნენ შემფასებელთა ინსტრუქციების განხილვაზე. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ინსტრუქცია მეტისმეტად გრძელია და ამიტომ კრებას მოკლედ მოახსენებენო. ვიღაცამ წინადადება შეიტანა გადაედოთ საქმე მეორე დღისათვის. მაშინ იგივე მოხუცი ადგა და წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა, რომელშიც ბევრი ცეცხლი და ირონია ჩააქსოვა. სიტყვის აზრი ასეთი იყო:

— რისთვის იწუხებთ თავს, ბატონო არჩეულებო, ინსტრუქციის კითხვით. თუკი თქვენ ხელი მოაწერეთ მილიონიან ანგარიშს ისე, რომ არ გახგიხილავთ, თუკი თქვენ მოგვთხოვეთ ბრმად და შეუმოწმებლად დაგიჯეროთ ყველაფერი, მაშინ რაღა საჭიროა მორიღება ინსტრუქციის დამტკიცების დროს? მას შემდეგ რაც ჩვენ დავთანხმდით ანგარიშის დამტკიცებაზე, განა ღირს შეგაწუხოთ ინსტრუქციის გამო?!

მაშინ ადგა გიორგი ღოღობერიძე და დაიწყო იმის მტკიცება... რომ არაფერი არ უნდა დაამტკიცონ განუხილველად.

—იქნებ თქვენ გსურთ გააპროტესტოთ ანგარიშის დამტკიცება,— მოუჭრა მას სიტყვა მოხუცმა, რომლის გვარის გაგება ვერ მოვასწარი.

კრება გაიხსნა დღის პირველის ნახევარზე და დაიხურა სამ საათზე.

მორიგი სხდომა დანიშნულია 15 მაისისათვის.

---

* თუმცა მოხუცი ამ ლექსებს ქართულად ამბობდა, მაგრამ ჩვენ ასეთი ლექსები არც ქართულად დაგვიწერია და არც რუსულად.

* * *

საგირაო ფურცლების კურსის შესახებ ჩვენი შენიშვნის გამო, გაზეთმა „დროებამ“[7] დღევანდელ ნომერში მოწინავე სტატია დაბეჭდა „დროება“ უკვე გვეთანხმება იმაში, რომ არ შეიძლება საგირაო ფურცლების გათანაბრება სხვა პროცენტიან ქაღალდებთან. გაზეთი პრინციპში სცნობს ჩვენს მიერ მითითებულ კანონს და მხოლოდ იმის დამტკიცებას ცდილობს, რომ საგირაო ფურცლების ფასი მაინც არ იზრდება ოქროს ფასის დარად. შემდეგ „დროება“ აღნიშნავს, თითქოსდა ჩვენ აზრებს შორის წინააღმდეგობაა. თითქოს ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ჩვენი საადგილმამულო ბანკები ამ დღეებში გაკოტრდება, და ამავე დროს, ვარდებით რა წინააღმდეგობაში, ვურჩევთ საგირაო ფურცლების პატრონებს არ გაჰყიდონ თავიანთი ქაღალდები იაფად. ბატ. ძესხმა, ალბათ, იმიტომ დაიწყო ჩვენი წინააღმდეგობების ძებნა ასეთი ხალისით, რომ ეგონა გაუვიდა ჩვენი თითქოსდა წინააღმდეგობებში დაჭერა მაშინ, როცა ჩვენ შესაძლებლობა არ გვქონდა პასუხი გაგვეცა მისთვის. მაგრამ ახლა, სანამ მან ჯერ კიდევ ვერ მოასწრო ამ საკითხის ისეთ ნიადაგზე დაყენება, რომელზედაც ჩვენ არ შეგვიძლია თვალყური ვადევნოთ მას, და სადაც მას უყვარს ამოეფაროს ყველაფერ იმის გამოთქმის მოჩვენებით შეუძლებლობას, რაც გულში აქვს, ჩვენ დავუმტკიცებთ, მას, რომ ჩვენს გამოსაჭერად წინააღმდეგობებში, სურვილის ვარდა, კიდევ სხვა რაღაცაა საჭირო. ჯერ ერთი, ჩვენ არასოდეს არ ვამტკიცებდით, რომ ჩვენი ბანკები გაკოტრდებიან. არცერთი საადგილმამულო ბანკი, რომელიც მტკიცედ იცავს წესდებას, არ შეიძლება გაკოტრდეს მანამდე, სანამ არ იქნება საყოველთაო კატაკლიზმი. ჩვენ მხოლოდ იმას ვამტკიცებდით, რომ ჩვენი ბანკების მართველობათა მიერ წესდების დარღვევას, შეიძლება მოჰყვეს ზარალი და კრახიც კი. ეს ორი სხვადასხვა რამაა. მაგრამ შეცდომებისა და წესდების დარღვევის შედეგად ბანკი რომ გაკოტრდეს კიდეც, ამის გამო საგირაო ფურცლები არ დაზარალდება, რადგან მათ ბანკი, ან დაწყობილი კაპიტალი, კი არ უზრუნველყოფს (რომლის დაკარგვა გაკოტრებას იწვევს), არამედ დამჭირავებელთა და ბანკის დაშაარსებელთა მიწები. ეს კარგადაა ცნობილი საგირაო ფურცლების მყიდველთათვის. ამ მყიდველებამდე ვერ აღწევს ჩვენი ბანკების მართველობათა გასაიცხი ხმები. ამიტომ, ჩვენ რომ გვწამდეს კიდეც თითქოს მართლაც გამოვთქვით რწმენა გარდუვალი გაკოტრების შესახებ, ეს არ ეწინააღმდეგება იმას, რომ საგირაო ფურცლების მფლობელებს ეურჩიოთ მოერიდონ სპეკულანტებს, რომელთაც

უკვე დაიწყეს ჩვენი თავადაზნაურობის საგირაო ფურცლების შესყიდვა ობილისში 75 მანეთად მაშინ, როცა პეტერბურგში ჰათი კურსი 90 მანეთია.

გაზეთ „დროებისათვის“ რომ საზოგადოების ინტერესები „ობზორის“[36] მხილებაზე უფრო ძვირფასი იყოს, მაშინ „დროება“ იჩქარებდა მხარი დაეჭირა ჩვენი რჩევისათვის და გულწრფელად აღიარებდა თავის პირველ შეცდომას. მაგრამ „დაიქცეს მთელი ქვეყანა, ოღონდ ვამხილოთ „ობზორი“! აი, ესაა გაზეთ „დროების“ ფილოსოფია.

ახლა ჩვენ აუხსნით ბატ. მესხს რატომ არ გაიზარდა საგირაო ფურცლების ფასი ოქროს ფასის დარად.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვეულებრივი სპეკულატური ქაღალდები, ნორმალურ ფასებთან შედარებით, 45-50%-მდე დაეცა. ხოლო საგირაო ფურცლები, რომლებიც 1876 წელს 82-84%-მდე დავიდა, ახლა, როცა კრიზისი გამწვავებულია, 90% ღირს, და ეს მიუხედავად იმისა, რომ გამოუშვეს მილიონობით ახალი ფურცლები, მაშინ, როცა, ამ ხნის განმავლობაში, არავითარი სხვა ქაღალდები არ გამოუშვიათ. ყველაზე ნაკლებად დაზარალდა მომგებიანი ბილეთები, მაგრამ ეს ბილეთებიც გაიაფდა 280 მანეთიდან 220 მანეთამდე. ხოლო სხვა ბილეთებზე, აქციებზე და ა. შ. სალაპარაკო არაფერია.

მართალია, ოქროს ფასმა აიწია ცოტათი უფრო მეტად, ვიდრე საგირაო ფურცლებისა, მაგრამ, ჯერ ერთი, ოქრო მიწაზე უფრო მოხერხებულია, მეორეც, საგირაო ფურცლების მყიდველს ახსოვს რომ საადგილმამულო ბანკები ისეთი ადამიანების ხელშია, რომელთაც შეუძლიათ შეცდნენ, შეუძლიათ ქურდობა ჩაიდინონ (იუხანცევიც მსახურობდა საადგილმამულო ბანკში). ამიტომაც აფასებენ ისინი საგირაო ფურცლებს ოქროს ფასად და მხოლოდ მცირე უპირატესობას ანიჭებენ ამ უკანასკნელს. ისინი, დარწმუნებულნი რომ იყვნენ არცერთი საადგილმამულო ბანკი არ დაარღვევს წესდებას, არასოდეს არ დაუშვებენ მიკერძოებას შეფასების დროს და ამიტომ საგირაო ფურცლების მფლობელებს არასოდეს არ დასჭირდებათ ღროის დაკარგვა და გარჯა საგირაო ფურცლების რეალიზაციისათვის ბანკის გაკოტრების შემდეგ, მაშინ მყიდველები საგირაო ფურცლებში 90 მანეთს კი არ გადაიხდიდნენ, არამედ — 180 მანეთსაც. თუკი გაზეთ „დროებას“ სურს მთელი საზოგადოების ინტერესებისათვის მიაღწიოს ასეთ ბრწყინვალე შედეგებს, მაშინ ხელი უნდა აიღოს წესდებიდან ყოველგვარ უკან დახევაზე, რათა ამით

დაამყაროს ჩვენს ბანკებში სრული წესრიგი. სამწუხაროდ, რამდენიმე ხანია გაზეთი „დროება“ არ ასრულებს ამ მოვალეობას...

ბოდიშს ვიხდით „ობზორის“ მკითხველთა წინაშე ამ ანბანური ამბების ასე ვრცლად გადმოცემისათვის; მაგრამ რა უნდა ვქნათ, როცა ამგვარ ანბანურ ჭეშმარიტებებსაც კი ჩიხში შეჰყავს არა მარტო ჩვეულებრივი მკითხველი, არამედ ზოგიერთი რედაქტორიც...

16 მაისი, ქუთაისი.

2

საერთო კრების მეორე სხდომა გრძელდებოდა გუშინ, 15 მაისს, თორმეტი საათიდან ოთხის ნახევრამდე და საღამოს რვა საათიდან— თერთმეტის ნახევრამდე. კრებამ უმთავრესად განიხილა შემფასებელი კომისიის ინსტრუქციები. ყველაზე დიდი კამათი გამოიწვია ინსტრუქციის მხოლოდ იმ პარაგრაფმა, რომელიც ადგენს, რომ მემამულეთა მიწები, რომლებიც გამოყოფილია გლეხებისათვის გასანაწილებლად, არ შეიძლება აღწერილი იქნეს და, ამიტომ, არც მათი შეფასება შეიძლება. თავ. ირაკლი ლორთქიფანიძემ დაიწყო კამათი ამ პარაგრაფის წინააღმდეგ. ჩემის აზრით, სრულიად უსაფუძვლოდ. რამდენადაც ძლიერი, ლოგიკური და სამართლიანი იყო მისი განცხადებები პირველ სხდომაზე, სამწუხაროდ, ამდენადვე უსაფუძვლო იყო მისი კამათი ამ პარაგრაფის წინააღმდეგ. ბანკის მმართველობამ განაცხადა, რომ მოთხოვნა — არ დაიგირავონ ის მიწები, რომლებიც უნდა გაუნაწილდეს გლეხებს, მომდინარეობს ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო კანცელარიისაგან. მათ შეეძლოთ დაემატებიათ, რომ ეს მოთხოვნა შეესაბამება სამართლიანობას, მაგრამ მათ ეს არ თქვეს. როგორც არ იყო, კრების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ინსტრუქციას. თავმჯდომარემ წამოაყენა საკითხი და სთქვა: „ვინც პარაგრაფის წინააღმდეგია, ფეხზე ადგეს“. არავინ ამდგარა ადგილიდან, გარდა თავ. ირ. ლორთქიფანიძისა. მაშინ ამ უკანასკნელმა განუცხადა თავმჯდომარეს, რომ მანერა, როგორითაც თქვენ მიმართავთ კრებას, შეუძლებელს ხდის თქვენი საწინააღმდეგო რომელიმე აზრის მიღებას. ინებეთ და სთხოვეთ ფეხზე ადგნენ ისინი, ვინც ჩემი წინადადების მოწინააღმდეგეა. თავმჯდომარემ მიმართა ამ თხოვნით კრებას. უმეტესობა ადგილიდან არ წამომდგარა, სხვები ადგნენ. საჭირო შეიქნა საქმის კენჭის ყრით გადაწყვეტა. თავ. ლორთქიფანიძის მხარეზე აღმოჩნდა 20 ხმა.

— აი, ხომ ხედავთ, ბატ. თავმჯდომარევ,—განაცხადა მაშინ თავ. ლორთქიფანიძემ.—თქვენ რომ გუშინ კენჭის ყრა დაგეშვათ, მაშინ

დაინახავდით, რომ დამაარსებელთა დიდი ნაწილი არ დაამტკიცებდა თქვენს საანგარიშო მოხსენებას.

როცა ინსტრუქციის განხილვის დროს სიტყვა ჩამოვარდა კაპიტალიზაციაზე, ბატ. გ. ღოღობერიძემ წინადადება წამოაყენა გადაედოთ კრება შემდეგი დღისათვის იმ საფუძველზე, რომ დამაარსებლებმა უნდა ისაუბრონ და გამოიკითხონ რას ნიშნავს სიტყვა „კაპიტალიზაცია.“

— რატომ არ მოითხოვეთ გადადება და ფიქრი, როცა გუშინ ლაპარაკი იყო საანგარიშო მოხსენების დამტკიცებაზე, სადაც ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდა უფრო გაუგებარი სიტყვები: „დებიტი“, „კრედიტი“, „აქტივი“, „პასივი“ და ა. შ.—ჰკითხა მას თავ. ლორთქიფანიძემ, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.

ინსტრუქციის დანარჩენი პარაგრაფები დამტკიცებული იქნა ყოველგვარი კამათის გარეშე, და საერთოდ კრებამ მშვიდად ჩაიარა.

სხდომის მთელი ინტერესი რიგითი საკითხები კი არ იყო, არამედ კამათი საანგარიშო მოხსენების მიღების შესახებ. „ბანკის მეგობრები“, ე. ი. მისი მართველობის მეგობრები, უკვე გრძნობენ თავიანთ შეცდომას. უკვე დარწმუნდნენ, რომ ადგილობრივმა საზოგადოებრივმა აზრმა მათი მეცადინეობა — მიეღო საანგარიშო მოხსენება განუხილველად — იმის საუკეთესო დამამტკიცებელ ფაქტად ჩასთვალა, რომ საანგარიშო მოხსენებაში და ბანკის საქმეებში იყო რაღაც ისეთი, რაც უნდა დაეფარათ კონტროლისაგან. ხოლო მოწინააღმდეგეები ყოველ გზაჯვარედინზე გაჰყვირიან ამის შესახებ. ბანკის მოსამსახურეებიც კი ლაპარაკობენ ხმამაღლა, რომ „ბანკის მეგობრებმა“ მას ახალი დათვური სამსახური გაუწიეს და მოწინააღმდეგეებს ხელში მისცეს ახალი ჯერ კიდევ უხმარი მათრახი *.

ინსტრუქციის დამტკიცების შემდეგ, მიიღეს დადგენილება—შვიდი შემფასებლის ნაცვლად იყოლიონ ექვსი, თითეულს დაუნიშნონ 700 მანეთი (ადრინდელი 600-ის ნაცვლად) და შემფასებელ კომისიას ჰყავდეს ერთი მიწის-მზომელი, რომელსაც წელიწადში 1700 მან. გადაუხდიან. მას შემდეგ, როცა გამომჟღავნდა სკანდალები და დაგირავებული მიწების ვაზვიადებული ზომა, არავინ არ დაიწყებს კამათს იმის წინააღმდეგ, რომ ბანკს ყავდეს თავის მიწისმზომელი.

კრებაზე ბევრი ილაპარაკეს, აგრეთვე, იმ სკანდალის შესახებ,

---

* ნუ შესწუხდებით, მას არავინ არ გამოიყენებს. არავინ არ გადაჰკრავს მათრახს იმ პირთ, ვინც შეჩვეულია ამგვარ ოპერაციას.

რომელიც მოხდა ქალაქის საბჭოში. ქუთაისის ქალაქის მართველობის პირველი წლის საანგარიშო მოხსენებაში, რომელსაც ხელს აწერენ ან. ლორთქიფანიძე და ივ. ჯაიანი, იმდენი შეცდომები აღმოჩნდა, რომ საბჭომ არ მიიღო და დანიშნა მართველობის რევიზია. აღმოჩნდა, რომ დახიშნულმა წევრებმა ისე მოაწერეს ხელი საანგარიშო მოხსენებას, რომ არც წაუკითხავთ და არც იცოდნენ რა ეწერა მასში. ხოლო, როცა გავიხსენებთ, რომ ორივე პირი ჩვენი ბანკის სამეთვალყურეო კომიტეტის წევრებიც არიან და რომ მათ სხვებთან ერთად ისეთივე ყურადღებით მოაწერეს ხელი ბანკის საანგარიშო მოხსენებას, როგორც ქალაქის საბჭოს მართველობის ანგარიშს, მაშინ აღარ გიკვირს რატომ ასე ცდილობდა ჩვენი „სამეთვალყურეო კომიტეტი", რომელიც სინამდვილეში სრულიად არ თანაუგრძნობს ბატ. ღოღობერიძეების ბროვას, მიეღოთ საანგარიშო მოხსენება შეუმოწმებლად და უკონტროლოდ.

კრების სხდომა ისევ გადადებულია დღეისათვის.

17 მაისი, ქუთაისი

3

სანამ წარმოგიდგენდეთ ანგარიშს ჩვენი ბანკის დამაარსებელთა გუშინდელ, მესამე საერთო კრების შესახებ, უნდა გავასწორო ერთი ძეცდომა, რომელიც გაიპარა ჩემს გუშინდელ წერილში. შემფასებლებს წელიწადში დაუნიშნეს ხელფასი არა 700 მანეთი, როგორც გწერდით, არამედ 800 მანეთი.

გუშინ, 16 მაისს, სხდომა დაიწყო 11 საათზე და გაგრძელდა ხუთის ნახევრამდე. საღამოს სხდომა, რომელიც დაიწყო ცხრის ნახევარზე, დამთავრდა დაახლოებით ღამის თერთმეტ საათზე.

უპირველეს ყოვლისა განიხილეს საკითხი ხაზინის მოხელეთა დაჯილდოვებისა იმის გამო, რომ მათ შეინახეს ბანკის კაპიტალი საბანკო ოპერაციების დაწყებამდე. მათ დასაჯილდოვებლად მოითხოვეს 500 მანეთის გაძოყოფა. ამავე დროს აღმოჩნდა, რომ სანამ კაპიტალი ხაზინაში იხახებოდა, სადღაც გაქრა 40.000 მანეთი. კრებამ მოისურვა ზუსტად სცოდნოდა, რამდენია დანაკლისი და რა მიზეზის გამო. ბანკის მმართველობამ, თავ. ირაკლი ლორთქიფანიძის ასეთ კითხვაზე, განაცხადა, რომ მას არა აქვს შესაძლებლობა გამოარკვიოს ეს საკითხი. საერთო კრებამ დაადგინა: გაირკვეს რამდენი აკლია და რის გამო, მხოლოდ ამის შემდეგ განიხილონ საკითხი კაპიტალის შემნახველთა დაჯილდოვების შესახებ.

შემდეგ კრება შეუდგა ბანკის 1878 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვას. ხანგრძლივი კამათის შემდეგ, ბანკის მოსამსახურეთა შესანახი თანხის მეტისმეტად გაზრდის შესახებ, კრებამ დაამტკიცა სამეთვალყურეო კომიტეტის მოსსენება. სხვათაშორის, ხარჯთაღრიცხვის მიხედვით გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის გამოყვეს 2.000 მანეთი, სადაც შედის აგრეთვე „მმართველობის წევრთა მიმოსვლაც".

შემდეგი საკითხი იყო ბანკის საგადასახადო ვადის გაგრძელება იმ მოვალეებისათვის, რომლებიც სამხედრო სამსახურს ეწევიან მომქმედ არმიაში. საერთო კრება დათანხმდა ამ წინადადებაზე, რადგან, როგორც ცნობილია, წინადადება წამოაყენა ფინანსთა მინისტრმა.

ხოლო იმ საკითხის შესახებ, თუ რომელი მუდმივი წყაროდან გამოჰყონ თანხა ორი სტიპენდიანტის სტიპენდიისათვის, რაც დაადგინა წინა კრებამ, დღევანდელმა კრებამ გადასწყვიტა — გასცენ სტიპენდიები ბანკის ყოველწლიური მოგებიდან.

შემდეგ, რიგის მიხედვით, დააყენეს საკითხი ბანკის წესდების ზოგიერთი პარაგრაფების შეცვლისა. მაგრამ იმის გამო, რომ მოწვეული კრების წევრთა რიცხვი არ აკმაყოფილებდა წესდების მოთხოვნას, ეს საკითხი გადადეს იმ დრომდე, როცა შეიკრიბება არა 62 დამაარსებელი, არამედ — 1500, როგორც ამას წესდება თხოულობს.

შემდეგ განიხილეს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი დანიშნულება მიანიჭონ ბანკის მოგების იმ ნაწილს, რომელიც წესდების მიხედვით გადადებულია ქუთაისის გუბერნიის სამიწათმოქმედო და სამიწათმფლობელო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამ საკითხის ირგვლივ წამოაყენეს სამი გადაწყვეტილება.

ბ. ლ. ღოღობერიძემ შემოიტანა წინადადება — გამოიყენონ ეს თანხა ბანკის შენობის ასაშენებლად ქალაქის საბჭოსთან ერთად, რომელსაც თავისთვისაც სურს ბინის აშენება.

ლ. ტ. ღოლუამ შესთავაზა კრებას გამოიყენონ მოგების ეს ნაწილი მოსამზადებელი სკოლის მოსაწყობად იმ ბავშვებისათვის, რომლებიც გიმნაზიაში შესასვლელად ემზადებიან, მაგრამ ვერ ხვდებიან სუსტი მომზადების გამო.

თავ. პ. ა. თუმანოვმა წამოაყენა წინადადება — გამოიყენონ მოგების ამ ნაწილის ნახევარი საშუალო ან უმაღლესი სკოლების მოსწავლეთა სტიპენდიისათვის, ხოლო მეორე ნაწილი გადაინახონ მანამდე, სანამ შეგროვდება საკმაო თანხა რომელიმე ტექნიკური სასწავლებლის გასახსნელად.

საერთო კრებამ, რომელმაც არ მიიღო არც ერთი წინადადება, გადასწყვიტა: გამოჰყონ დაახლოებით ათასი მანეთი გიმნაზიის მოსწავლეთა დასახმარებლად და შეჰქმნან კომისია იმ საკითხის გაძოსარკვევად და დასაძუშავებლად — საჭიროა თუ არა ბანკის შენობის აშენება და თუ საჭიროა როგორ და ვისთან ერთად.

შემდეგ განიხილეს სამეთვალყურეო კომიტეტის მოხსენება იმის შესახებ, რომ ჩვენი ბანკის წარმომადგენლები დაესწრონ რუსეთის საადგილმამულო ბანკების წარმომადგენელთა ყრილობებს, და ამისათვის გამოჰყონ საჭირო თანხა. საერთო კრებამ ეს წინადადება მიიღო კამათის გარეშე.

რიგში იდგა საკითხი სამეთვალყურეო კომიტეტის ორი წევრის არჩევისა ნაცვლად იმ ორი წევრისა, რომლებიც, წესდების თანახმად, კენჭის ყრის შედეგად გამოვიდნენ მისი შემადგენლობიდან. მაშინ კომიტეტის წევრი ბატ. ლოლუა ადგა და განაცხადა, რომ იგი იძულებულია უარი სთქვას თავის თანამდებობაზე იმ მიზეზების გამო, რომელთა შესახებაც აქ უკვე იყო ლაპარაკი.

დ. ა. ლორთქიფანიძე: საზოგადოებამ თქვენ მოგანდოთ ბანკის საქმეების მეთვალყურეობა. ამავე დროს თქვენ მიდიხართ ისე, რომ არ ასახელებთ მიზეზებს. ჩვენ ეს გვაკვირვებს. სთქვით, რატომ მიდიხართ, ჩვენ ეს უნდა ვიცოდეთ.

ლ. ტ. ლოლუა: თქვენ ყველამ კარგად იცით ეს მიზეზები. მაგრამ რადგან იძულებულს მხდით აგიხსნათ, მე ვემორჩილები თქვენ მოთხოვნას. მიზეზი ისაა, რომ ჩვენი ბანკის წესდება არ ვარგა, მას გააჩნია ბევრი ნაკლი და სრულიად გამოუსადეგარია ჩვენი ცხოვრებისათვის. ამის გამო, პირველი ორი წლის მანძილზე, ჩვენ იძულებული ვიყავით დაგვეშვა ბევრი უსიამოვნება (?), უსწორობა და „გადახრაც" კი (ქართულად „სიმრუდე", რაც უფრო ძლიერია, რადგან თითქმის თაღლითობას ნიშნავს). ვინმე რომ გამოგვედაოს, შეამოწმოს ჩვენი მოქმედება ნაბიჯიდან ნაბიჯამდე და პასუხი მოგვთხოვოს, ბევრ უსიამოვნებას და უბედურებას მოგვაყენებს... რაც იყო, წავიდა... მე მხოლოდ წარსულზე ვაგებ პასუხს. მაგრამ, ჩემის ღრმა რწმენით, თუ ჩვენი ბანკი ისევე იმოქმედებს, როგორც აქამდე მოქმედებდა, ამგვარი წესდებით დიდხანს ვერ გაძლებს... ეწუხვარ, რომ თქვენ მაიძულეთ სახალხოდ მეთქვა ის, რაც მშვენივრად იცის თვითეულმა თქვენგანმა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ვერ შეეძლებთ წესდების მალე შეცვლას და ამიტომ არ მინდა, ბანკის არა სწორი მოქმედების ხელის შეწყობით და მისი წესდების დარღვევით, შევარცხვინო ბანკი ან საკუთარი თავი.

შეუძლებელია იმ ყაყანის წარმოდგენა, რაც ატეხა ხროვამ ბატ. ლოლუას ამ სიტყვების შემდეგ.

მაგრამ, მიუხედავად ყაყანისა, საერთო კრებისა და სამეთვალყურეო კომიტეტის თავმჯდომარე ბატ. ლ. ასათიანი ადგა და განაცხადა, რომ სამსახურებრივი მოვალეობის გამო იგი იძულებულია უარი სთქვას სამეთვალყურეო კომისიის წევრობის საპატიო მოვალეობაზე.

თანამდებობაზე უარი სთქვა, აგრეთვე, კომიტეტის მესამე წევრმა დ. ნ. ბაქრაძემ და განაცხადა, რომ მოუთმენლად ელოდა ბანკის დამაარსებელთა კრებას, რათა გადამდგარიყო,

საკრებულო დარბაზში რომ ჭექა-ქუხილი დაწყებულიყო, ?აშინაც კი ვერ შეედრებოდა კრების გაკვირვება და გაოცება იმ შთაბეჭდილებას, რაც გამოიწვია ოსტატურად მოქსოვილი ფარდის ასეთმა გახევამ. დე იყოს ხათელი!

არა, გაიგეთ ყველაფერი ის, რაც ამდენი წლის მანძილზე ეწყობოდა, იქმნებოდა, იფარებოდა, ყველაფერი, რის დამალვისთვისაც ამდენი მოხერხებული და დახელოვნებული იეზუიტი შრომობდა, ყველაფერი, რასაც ასე თავხედურად უარყოფდნენ არა მარტო ქალური ჭორებისა და იხსიხუაციების მეშვეობით ხროვის ნამდვილი და სავარაუდო მტრების წინააღმდეგ, არამედ პრესის მეშვეობითაც, და უეცრად ყველაფერი ეს გამოაქვთ დღის სინათლეზე. ადამიანები, რომლებიც მიჩვეულნი არიან საჯაროდ დარტყმებს, პირდაპირ გამოსთქვამენ იმის შიშს, რომ არამარტო საჯაროობას, არამედ თვით ბატ. პროკურორსაც კი შეუძლია მიიყვანოს ბანკის საქმოსნები საბრალდებულო სკამამდე.

მძართველობის არც ერთი წევრი არ წამოდგა იმის სათქმელად, რომ ყველაფერი ეს ტყუილია, რომ ბატ. ლოლუას არაფრის არ უნ_, და ეშინოდეს, რომ ბანკის საქმეები შეუბღალავია ბროლის მსგავსად. ბ. ლ. ღოღობერიძეს სიკვდილის ფერი ედო, მისი ძმები ფუსფუსებდნენ, ჩურჩულებდნენ, დარბოდნენ აქეთ-იქეთ, როგორც ცეცხლმოკიდებულნი და ყველაფერ ამას აგვირგვინებდა ყაყანი: „დავიღუპეთ, საქმე ცუდადაა!“.

ბოლოს ხროვის ბრძენი კაცები მიხვდნენ, რომ საჭიროა გამოიყენონ თავიანთი. ჩვეულებრივი იარაღი: არ ქონდათ რა შესაძლებლობა პასუხი გაეცათ საჯაროდ, მათ მოითხოვეს კრების გადადება საღამომდე: უნდა გამოეგონებიათ რაიმე ინტრიგა, მიეცათ mot d'ordre დაბნეული მეზურნეებისათვის, ეპოვათ რაიმე გამოსავალი ამ ძნელი მდგომარეობიდან და ა. შ. ყველას უნდოდა შეგუებოდა ახალ ვითარებას და ყველა სიამოვნებით წავიდ-წამოვიდა. მაგ-

რამ სახლში წასვლას არავინ ფიქრობდა. დამაარსებელთა უმეტესობა ბულვარზე წავიდა სასეირნოდ. სადაც ისევ დაიწყო მითქმა-მოთქმა და სადაც მოსეირნე ხალხმა იმ წამსვე მიიღო მონაწილეობა „სკანდალში“ და დაიწყო შეუჩერებელი ხარხარი.

სანამ ყოველი მხრიდან ისმოდა დამცინავი და შეურაცხმყოფელი სიტყვები, სანამ დამაარსებლებს და მეზურნეებს ფეხდაფეხ სდევდნენ უეცრად გახსენებული აკ. წერეთლის ცნობილი ლექსის მისამღერით: „ბოლოს გაიგო, გაიგო ყველამ“, ხროვის ხელმძღვანელებმა ყველა საშუალება გამოიყენეს „სკანდალის მისაფუჩეჩებლად“. ბოლოს მათ მოიფიქრეს და დეპუტაცია გაუგზავნეს იმათ, ვინც თანამდებობაზე უარი განაცხადა. თხოვნას, ხვეწნას, დაპირებებს ბოლო არ უჩანდა. ბოლოს, როცა კერძო დეპუტაციებმა ვერაფერი გაახერხეს, გადასწყვიტეს დაეყოლებინათ გადამდგარები საახალხო თხოვნით — „მთელი საზოგადოების სახელით“. ამ გადაწყვეტილებაზე ძალაუნებურად შეჩერდნენ, რადგან ახლოვდებოდა კრების გახსნის დრო. ხროვის ხელმძღვანელებმა კრებაზე მოიყვანეს მათი აზრით ყველაზე პატივცემული პიროვნება, რომლის მოყვანაც მარტო მათ შეეძლოთ, თავ. გ. ი. აბაშიძე. მან ლაპარაკი დაიწყო მთელი საზოგადოების სახელით, მოუწოდა განდგომილებს საზოგადოებრივი სარგებლიანობის ერთგულებისაკენ, ეხვეწებოდა მათ თავიანთი წასვლით არ გამოეწვიათ განხეთქილება და ა. შ. სამივენი დიდ ხანს იდგნენ უარზე, მაგრამ დაუსრულებელი თხოვნისა და ხვეწნის შემდეგ ბატ. ასათიანი მორბილდა. მან განაცხადა, რომ მხოლოდ საზოგადოებისადმი პატივისცემისა და მისი თხოვნის გამო თანხმდება დარჩეს არა უმეტეს ერთი წლისა. სხვა წევრებს კი არ შეუცვლიათ თავიანთი გადაწყვეტილება.

ამის გამო, საჭირო გახდა კომიტეტის ოთხი წევრის არჩევა: ორის — იმათ მაგივრად. რომლებიც კენჭის ყრის შედეგად უნდა გამოსულიყვნენ კომიტეტის შემადგენლობიდან. მაგრამ სად მონახონ კანდიდატები? ისინი ხომ სანთლით საძებნი არიან! მაგრამ რა, განა იშვიათად დაგვირღვევია წესდება, განა არ შეიძლება ახლაც გავიმეოროთ იგივე? და აი, ხროვის იურისტებმა და იეზუიტებმა — ტარტიუფის იმ წესის მსგავსად, რომ შეიძლება ღმერთსაც მოურიგდე, იპოვეს გამოსავალი. მათ განაცხადეს: იმის გამო, რომ კომიტეტის ორი წევრი ნებაყოფლობით გავიდა მისი შემადგენლობიდან, საჭირო აღარაა დარჩენილი ორი წევრის გადასარჩევად კენჭის ყრა. ნებაყოფლობით გასულნი გადარჩეულებად ჩასთვალეს კენჭის ყრის შედეგად, თუმცა მათთვის კენჭი არ უყრიათ, და მათ მაგივრად აირჩიეს დ. ნ. აბდუშელიშვილი

და თავ. მელიქსედეკ ფაღავა. არ ვფიქრობ, რომ აბდუშელიშვილი ხროვას ბატ. ბაქრაძეზე ან ლოლუაზე უფრო აწყობდეს. ფაღავაზე კი არავის არაფრის თქმა არ შეუძლია, რადგან ეს ახალგაზრდა კაცი ახლახან დაბრუნდა უნივერსიტეტიდან და ახლახან შესდგა ფეხი ვექილობის ბილიკზე. წავა იგი ხელიდან, მსგავსად მისი წინაპრებისა, თუ სასწაულს მოახდენს და წარმოგვიდგება ახალგაზრდული რწმენისა და იდეების ერთგულების ნიმუშად, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დამაარსებელთა პირველი მორიგი კრება დამთავრდა ასეთი ბრწყინვალე ფინალით, — რომელმაც შუშხუნასავით გაანათა ჩვენი საბანკო საქმეების და პატარა საქმოსნობის ნისლით მოცული სფერო.

78. ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

გაზეთმა „დროებამ“[7], რომელმაც პასუხი გასცა ჩვენს შენიშვნას საგირაო ფურცლების კურსის შესახებ, ისევ მოკიდა ხელი თავის იარაღს. „კამათის არსის მიხედვით“ დღეს იგი უკვე იმას ამტკიცებს, რომ საგირაო ფურცლების ფასმა კი არ აიწია, როგორც ამას ჩვენ ვამტკიცებთ, არამედ, პირიქით, დაეცა. გაზეთი გესლიანად დასცინის „ჩვენს ცნობილ პოლიტ-ეკონომისტს“ ბატ. ნიკოლაძეს. რა თქმა უნდა, სადაო არაა, რომ ბატ. ნიკოლაძე მხოლოდ მანამდე იყო ცნობილი, სანამ „დროებაში“ სწერდა, და მთელი თავის ნიჭი დაკარგა მას შემდეგ, რაც „ობზორის“[36] გამოცემა დაიწყო. მაგრამ საქმე მის პიროვნებას, მის ცოდნას კი არ ეხება, არამედ იმ ფაქტს, რომ ჩვენი საგირაო ფურცლები არასოდეს არ გაყიდულა 95 მანეთად, როგორც ამას „დროება“ ამტკიცებს. დიდმა და სახელგანთქმულმა პოლიტ-ეკონომისტმა, რომელიც ამ გაზეთს რედაქტორობს, არ იცის, რომ ამ ჭეშმარიტების დამტკიცება ადვილია. აიღეთ თბილისის საადგილმამულო ბანკის ანგარიშები იმ პირთა შესახებ, რომელთაც საგირაო ფურცლები „საკომისიოდ“ ბანკს გადასცეს და თუ თქვენ ომამდე საგირაო ფურცლის 90 მან. მეტად გაყიდვის ერთ მაგალითს მაინც იპოვით, ჩვენ თავს დამარცხებულად ვცნობთ. ბატ. მესხის მდგომარეობაში მყოფი კაცისათვის ამის გაკეთება ძნელი არაა. მართალია, 1875 წელს საკურსო ცხრილებზე ორ-სამჯერ მიწერილი იყო, თითქოს თბილისის საადგილმამულო ბანკის საგირაო ფურცლები ბირჟაზე 92 მან. გაიყიდა, მაგრამ ეს მხოლოდ ბატ. როზენტალის ოინი იყო და ბატ. მესხს რომ წარმოდგენა ჰქონდეს ამ საქმეზე, რომელზედაც წერს, მაშინ ეცოდინებოდა რა ადვილია ასეთი ფოკუსის მოწყობა. ეს კი ასე ხდება: ბატ. როზენტალი, რომელსაც მაშინ ბანკის ყველა საკომისიო ფურცლები ეკუთვნოდა, ბირჟაზე თავის ნოქართან ერთად მოდის. ნოქარი ყვირის: „ვინ ყიდის თბილისის საადგილმამულო ბანკის საგირაო ფურცლებს!!“ — მე. რა ღირს? ოთხმოცდათხუთმეტი! გაძლევთ ოთხმოცდათორმეტს. — არა. ოთხმოცდაცამეტი! თანახმა ვარ! და ბირჟის მაკლერი

წერს: „თბილისის საადგილმამულო ბანკის საგირაო ფურცლები“ იყიდებოდა 95 მანეთად, შესთავაზეს 92 მანეთი, გაიყიდა 93 მანეთად და აი, ფოკუსიც მზადაა. ასეთი ფოკუსები მანამდე შეიძლება ჩაატარო, სანამ ყველა საგირაო ფურცელი ერთი კაცის ხელშია. ახლა კი მათი განმეორება არ შეიძლება, რადგან თუკი ბატ. ვინეკენის ნოქარი ახლა ასეთი კითხვით მიმართავს ხალხს, მას ასობით ადამიანი გასცემს პასუხს და ნოქარი იძულებული იქნება მართლაც გადაიხადოს ფული.

ვიმეორებთ, მიაკითხოს ბატ. მესხმა ბანკს და დაინახავს, რომ სინამდვილეში ჩვენი საგირაო ფურცლები ბირჟაზე 90 მანეთზე უფრო ძვირად არ გაყიდულა. იყიდებოდა 87, 85 და 82 მანეთად. 1876 წლის მანძილზე მათი კურსი სულ უფრო ეცემოდა, ხოლო როცა ამ ფურცლების სოლიდური კარგეზონი გაწოუშვეს, მათი ფასი 82 მანეთამდე დავიდა. ეს რომ სწორი არ იყოს, ფურცლები რომ ადვილად იყიდებოდეს, მაშინ ბანკის მართველობა არ მიჰყიდდა თავის ფურცლებს ბატ. ვინეკენს ოთხმოც მანეთზე ცოტა მეტად (მგონი 92 თუ 93 მან.). აი, რა მდგომარეობა იყო, სინამდვილეში, 1876 წლის მანძილზე, ე. ი. ომამდე. მას შემდეგ ფურცლების ფასი იმდენად იწევდა მაღლა, რამდენადაც ეცემოდა საკრედიტო ერთეული და ახლა ღირს 90 მანეთი. ამის უარყოფა შეუძლიათ მხოლოდ ბრმებს, ანდა საგირაო ფურცლების შემსყიდველთა აგენტებს. და რადგან ბატ. მესხს ჩვენ არ ვაკუთვნებთ ამ უკანასკნელთა რიცხვს, ამიტომ მის სიჯიუტეს მხოლოდ უცოდინარობით ვხსნით.

ბატ. მესხი, რომელსაც იმედი არა აქვს, რომ საქმეს თავისი „არსებითი“ ახსნა-განმარტებით მოიგებს, იყენებს სირაქლემას ეშმაკობას. იგი, უბრალოდ, მკითხველებს უმალავს ჩვენს მთავარ არგუმენტს. ბატ. მესხი ამტკიცებდა, რომ ჩვენ წინააღმდეგობაში ვარდებით, როცა ვამბობთ, რომ ბანკების წესდებების დარღვევა სახიფათოა და, ამავე დროს, ვურჩევთ მას იაფად არ გაყიდოს საგირაო ფურცლები. ახლაც ამასვე იმეორებს ბატ. მესხი და კრინტს არ ძრავს იმაზე, რომ საგირაო ფურცლებს ბანკის გაკოტრების შემდეგაც აქვს ფასი და ღირებულებას არ კარგავს. ბატ. მესხს არ სურს აღიაროს ეს ამბავი არაკეთილსინდისიერი მოკამათის სიჯიუტის გამო და ამიტომ ჩვენ ამასაც მის უცოდინარობას მივაწერთ და ფინანსიური მეცნიერების კიდევ ერთ გაკვეთილს წავუკითხავთ. როცა კომერციული ბანკი გაკოტრდება, მაშინ, დამაარსებელთა მიერ შეტანილი ძირითადი კაპიტალის დაკარგვასთან ერთად მისი კრედიტორები ყველაფერს კარგავენ, რადგან ასეთი ბანკის ოპერაციები არაფრით

არაა უზრუნველყოფილი, გარდა საკუთარი კაპიტალისა. მაშინ ასეთი ბანკის აქციებიც, დაბანდებული თანხის ბილეთებიც, ჩეკებიც, და ა. შ. ნომინალური ღირებულებიდან ერთბაშად ნულამდე ეცემა. საგირაო ფურცლები კი უზრუნველყოფილია დაგირავებული ქონებით და ურთიერთთავდებობით. საადგილმამულო ბანკების უზრუნველყოფის თვალსაზრისით მათი ძირითადი კაპიტალი არავითარ როლს არ თამაშობს: ეს კაპიტალი მხოლოდ იმისთვისაა აუცილებელი, რომ თავის დროზე გადაუხადოს პროცენტები და მანამდე დაფაროს თანხა, სანამ რამდენიმე დაგვიანებული მოვალე ფულს შემოიტანდეს. ამიტომ, საადგილმამულო ბანკის გაკოტრება არ იწვევს მისი ფასიანი ქაღალდების გაუფასურებას. ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ გაკოტრება გარდუვალია და მაინც ვუოჩიოთ ბანკს არ დასწიოს დაბლა საგირაო ფურცლების კურსი. წინააღმდეგობა აქ მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია დაინახოს, რომელიც სრულიად არ იცნობს საქმეს, რაზედაც წერს. გაიგეთ?

გავყვეთ უფრო შორს. ბატ. მესხი ამტკიცებს, რომ ჩვენ მკითხველებს ფრაზებით ვუმასპინძლდებით და არასოდეს არ ვცნობთ თავს დამარცხებულად. საქმე ის კი არაა, ვცნობთ ჩვენ თავს დამარცხებულად თუ არა, არამედ, ის, რომ მკითხველები გაერკვნენ ვინაა მართალი და ვინ მტყუანი. როცა ადამიანები კამათობენ, არც ერთი მათგანი არ ვარაუდობს, რომ მოწინააღმდეგეს დააჯერებს. მოკამათეთა შორის ცოტას ყოფნის იმის ვაჟკაცობა, რომ თავის შეცდომა აღიაროს. მოკამათეები მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ საზოგადოება დაარწმუნონ. ბატ. მესხს არავითარი საქმე არ უნდა ჰქონდეს იმასთან, დაგვარწმუნა მისმა მოსაზრებებმა და ვაღიარებთ თავს დამარცხებულად თუ არა. იგი უნდა არწმუნებდეს თავის მკითხველებს ფაქტებით, დასკვნებით, გონიერებით, და არა მოწინააღმდეგის ძირითადი აზრის მიჩქმალვით. ხოლო ასეთი აზრების დამალვა და ამგვარი მიჩქმალვის მეშვეობით თავის დაცვა, სირაქლემას ჩვევას ჰგავს, რომელიც თავს ბუჩქებში ყოფს და ჰგონია მონადირე მას იმიტომ ვერ ხედავს, რომ თითონ ვერ ხედავს მონადირეს. რაც შეეხება იმას, თითქოს ჩვენ კამათის დროს ფრაზებით გაგვაქვს თავი, ამის შესახებ ბატ. მესხმა მკითხველებს ჰკითხოს. იგი რომ მართლაც იცნობდეს თანამედროვე ლიტერატურას, მაშინ მას კარგად ეცოდინებოდა, რომ თანამედროვე მოკამათეებს შორის იშვიათად აქვს ვინმეს იმდენი ნდობა და პატივისცემა მკითხველის საღი აზრისადმი, რამდენიც ჩვენ. ჩვენი პოლემიკის მთელი საიდუმლოების საფუძველი ისაა, რომ ჩვენ არ „ვამახინჯებთ“ ფაქტებს, არ ვატყუებთ მკითხველებს,

არ ვუმალავთ მათ მოწინააღმდეგის მოსაზრებებს, არ ვცდილობთ თავი გამოვიჩინოთ ირონიით და სარკაზმით. ჩვენ ვწერთ ბანალობამდე უბრალოდ, ვიყენებთ მხოლოდ მოსაზრებებს და ვცდილობთ მოწინააღმდეგის აზრის უარყოფას. ჩვენ არასოდეს არ გვიკადრებია შევხებოდით მოწინააღმდეგის პიროვნებას, ჩვენ მხოლოდ მის აზრებს და მის ისეთ საქციელს ვიხილავდით, რომელიც საზოგადოებრივ საქმეებს ეხებოდა, და ამასაც მხოლოდ იმ შემთხვევაში ვაკეთებდით, როცა პოლემიკა ამგვარი საქმეების წარმოებას შეეხებოდა. ჩვენ ჩვევად არა გვაქვს მივაძახოთ მოწინააღმდეგეს: „არამზადა". ჩვენ იმით ვკმაყოფილდებით, რომ ვუმტკიცებთ მკითხველს: ჩვენს მოწინააღმდეგეს არ ესმის ეს საქმე, ან საერთოდ არ შესწევს უნარი მისი გაგებისა. ხოლო როდესაც მკაცრი ვართ, ვამტკიცებთ იმას, რომ ჩვენი მოწინააღმდეგე უმეცარი და უგუნურია. მაგრამ თუ ჩვენ მართალი არა ვართ, ჭკვიანი და განათლებული ადამიანისათვის განა ძნელია საწინააღმდეგო აზრის დამტკიცება. ამიტომ, ბატ. მესხი მაინცდამაინც ბევრს ნუ ლაპარაკობს კამათის ჩვენს სისტემაზე. ამ სფეროში მას არაფრის გაკეთება არ შეუძლია, გარდა ახალი შეცდომების დაშვებისა.

შემდეგ ბატ. მესხი ამტკიცებს, თითქოს ჩვენ პირველმა პირველად გამოვიწვიეთ იგი საკამათოდ ისეთ საკითხებზე, რომელთა განხილვაში „დროება" ჩვენ ვერ მოგვყვებოდა. ეს მართალი არაა. ჩვენ ვკამათობდით იმაზე, თუ ვინ და როგორი მკითხველები უნდა ყავდეს მხედველობაში „დროებას". ეს უმტკივნეულო საკითხი, რომელზედაც შეიძლება დაუბრკოლებლად წერდე მთელი წლების მანძილზე, თვითონ ბატ. მესხმა დააყენა ცხარე ვნებათღელვის ნიადაგზე. მაგრამ პირველი დარტყმა მას კი არ მიაყენეს, არამედ „ობზორს". „დროებამ" თავისი სთქვა, ჩვენ კი მოკლებული ვიყავით შესაძლებლობას პასუხი გაგვეცა მისთვის. ამგვარი ჩვევა — განგებ გამონახო ყოველ საკითხში სუსტი ადგილი — რაც იმ წამსვე გისპობს შესაძლებლობას მისი საჯაროდ განხილვისას, ძალზე მოხერხებულია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც თავიანთი მოკლე ჭკუის გამო ყოველგვარ საჯარო კამათს გაურბიან და ბრძენის მანტიაში გახვეულნი ისეთ გამომეტყველებას ღებულობენ, თითქოს სათქმელი ბევრი აქვთ, მაგრამ დუმილს არჩევენ. ბატ. მესხი ცხრა წელია ამ ტაქტიკას ადგას, რაც ძალზე ხელსაყრელია მისი პირადი პატივმოყვარეობისათვის, მაგრამ ძალზე არახელსაყრელია მკითხველი საზოგადოების გონებრივი განვითარებისათვის. ჩვენ კი დიამეტრალურად საწინააღმდეგო ტაქტიკას ვადექით და ვადგევართ. ყველაზე საჩოთირო და მწვავე საკითხების განხილვის დროსაც კი, ჩვენ ვეძებთ ისეთ მხა-

რეს, რომელიც მისი საჯარო განხილვის შესაძლებლობას იძლევა და ამის გამო, მადლობა ღმერთს, ყოველდღიურად ფართოვდება ის სფერო, რომლის განხილვაც შეუძლია პრესას და საზოგადოებას. ვიცნობთ რა ბატ. მესხის მანიას, ჩვენ წინასწარ ვიცით, რომ იგი უბრალოდ, ამ ამბავშიც კი „ტრაბახს“ დაინახავს. მას საერთოდ იმდენად შეზღუდული წარმოდგენა აქვს პუბლიცისტის პატივმოყვარეობაზე, რომ ჰგონია, თითქოს ვინმეს შეუძლია იამაყოს ამგვარი ამბებით, შეუძლია დამსახურებად ჩასთვალოს, იყოყოჩოს! ხომ მოეჩვენა ტრაბახად ჩვენი განცხადება, სადაც ვამბობდით რომ „ბატ. მესხს დაუმტკიცებთ მისი მოსაზრებების უსაფუძვლობას!“. განა არის ამ ამბავში რაიმე ისეთი, რითაც შეიძლება იტრაბახო, იამაყო!?

ბოლოს ბატ. მესხმა თავი ვერ დააღწია ცდუნებას და ცოტათი მაინც დაგვწამა ცილი. იგი ამტკიცებს, რომ იმ კამათის დროს, რომელზედაც ლაპარაკია, ჩვენ თითქოს ამოვეფარეთ იმათ ზურგს, ვისგანაც დამოკიდებული იყო კამათის დაწყება. თითქოს მათ ვემუდარებოდით, რომ დავეხსენით ბატ. მესხის ძლიერი და ყოვლის შემმუსრავი კალმისაგან.. ღმერთო ჩემო, სადამდე შეიძლება მივიდეს ისეთი კეთილსინდისიერი ადამიანიც კი, როგორიც ბატ. მესხია, როცა მის ვიწრო თავმოყვარეობას შეეხებიან. ნახევარი თბილისისათვის ცნობილია, რომ ჩვენ მთელი კვირა ვცდილობდით კამათის გაფართოებას ორივე მხრიდან. უბრალოდ, უაზრობაა ამტკიცო თითქოს ჩვენ იმისთვის ვიღწოდით, რომ უფლება არ მოეცათ ჩვენთვის დაგვებეჭდა საკუთარი სტატია გაზეთ „დროების“, ეშმაკმა იცის რომელი სულელური გამონაგონის წინააღმდეგ!

აი, ხომ ხედავთ, ბატ. მესხო, სანამდე მივყეევართ წადილს—იდათ თვალსაჩინო ამბების წინააღმდეგ და ისიც იმ მიზნით, რომ დაფაროთ შეცდომები. ნებით თუ უნებლიეთ, კაცი, რომელიც მცდარ პუნქტს ეყრდნობა, საქმეს ცილისწამებით ამთავრებს. იმის გამო, რომ ცდილობს დაფაროს უბრალო შეცდომა, რისთვისაც არავის არ სჯიან სიკვდილით და არც არაფრით არ ლახავს კაცის ღირსებას, მტყუანი მოკამათე ყოველთვის თაღლითობამდე, ცილისწამებამდე და ყოველგვარ სიბინძურემდე მიდის.

გაითვალისწინეთ ეს თქვენ მომავალი მოღვაწეობის დროს და დაე, ახლანდელი პოლემიკა ჭკუის სასწავლებელი იყოს თქვენთვის...

79. საბოლოო სიტყვა

თბილისი, 20 მაისი

ჩვენ თვითონ მოგვბეზრდა კამათი ქუთაისის მიხეილის საადგილ-მამულო ბანკის შესახებ, ამიტომ ჩვენ ძალიან კარგად გვესმის თუ რამდენად მომაბეზრებელი უნდა იყოს ეს კამათი მკითხველი საზოგადოებისათვის. თითქოს ახლა, როცა ბანკის წესდების დარღვევის შესახებ მარტო ჩვენ კი არ ვლაპარაკობთ, არამედ ბანკის სამეთთვალყურეო კომისიის წევრებიც, დროა ეს საქმე არქივს ჩაბარდეს, მაგრამ საქმის ბოლომდე გამორკვევის სურვილი ჩვენ მოვალეს გვხდის მივაქციოთ მკითხველთა ყურადღება მოურიდებლობის იმ ტიპიურ ნიმუშს, რომლის მეშვეობითაც ჩვენი ბანკის საქმოსნები არღვევენ თავიანთი წესდების პარაგრაფებს. ისიც ყოველგვარი აუცილებლობისა და „ადგილობრივი პირობების“ ზემოქმედების გარეშე.

ჩვენ, ჩვენი შეხედულებებით, არ ვეკუთვნით „ყველგან და ყველა შემთხვევაში ლეგალურობის“ მომხრეთა რიცხვს. ცხოვრებაში ლეგალურობის პირობები იმდაგვარად იქმნება, რომ წესდებებისა და დადგენილებების ავტორები უკეთესი წესებისადმი ლეგალური მიდგომის თითქმის არავითარ საშუალებას არ უტოვებენ არც თავიანთ მოწინააღმდეგეებს და არც იმათ, ვისზედაც ეს წესები ვრცელდება. ასეთ ვითარებაში ლეგალურობის ქადაგება იმას ნიშნავს, რომ საკუთარ თავს მიუსაჯო უმოქმედობა, ხოლო საზოგადოებას — უმოძრაობა. მაგრამ, როცა ადამიანებმა თვითონ შეადგინეს თავიანთი უფლებების და პრივილეგიების წესები ისე, რომ მათი შეცვლა კანონიერი გზით ერთი ბეწოთითაც კი არ შეიძლება (ცნობილია, რომ ქუთაისის ბანკის წესების შეცვლა ყოვლად შეუძლებელია), როცა ასეთი ადამიანები, ვამბობთ ჩვენ, თვითონვე არღვევენ ყოველ ნაბიჯზე თავისსავე კანონს, არღვევენ თავიანთ სასარგებლოდ და სხვების საზარალოდ, მაშინ ლეგალობა შესაფერისი იარაღია მათთან საბრძოლველად და აპატიური საზოგადოების თვალების ასახელად. მეორეს მხრივ, ინტერესები თვით იმ საქმისა, რომელიც ხელში ჩა-

უვარდა ასეთ ადამიანებს, და მათთან განუყრელად დაკავშირებული საზოგადო ინტერესები თბოულობენ, რომ ამ ადამიანებს ყოველთვის შეახსენონ — წმინდად დაიცვან მათ მიერვე შექმნილი კანონი, რაც საქმის სიმტკიცის ერთადერთი გარანტიაა... ორივე ამ თვალსაზრისით ჩვენ საჭიროდ ვთვლით გამოვიტანოთ საასკარაოზე ერთი დიდი დარღვევა, რაც აძას წინათ დაუშვეს ქუთაისის საქმოსნებმა.

საქმე, აი, როგორ იყო. ბანკის წესდების მიხედვით, ძირითადი კაპიტალი შეადგენს 10%-ს იმ თანხისას, რაც მთავრობამ გადაუხადა თავადაზნაურობას განთავისუფლებული გლეხების პირადი გადასახადის სახით. იმ თანხიდან, რაც ამ პროცენტებმა შექმნა, 1873 წელს, ჯერ კიდევ ბანკის ოპერაციების დაწყებამდე, თავ. ს. ი. აბაშიძეს ასესხეს დაახლოებით 30.000 მან. ვერცხლით იმ პირობით, რომ ბანკის გახსნისთანავე მისი მამულები დაგირავებული იქნება საერთო საფუძველზე, ხოლო თანხა, რომელიც მაშინ გასცეს, ირიცხებოდა ბანკის ძირითადი კაპიტალის ანგარიშზე. ეს ოპერაცია შესდგა და ბანკის 1876-1877 წლების ანგარიშში თანხა, რომელზედაც ვლაპარაკობთ, ითვლებოდა ძირითად კაპიტალში შემავალად. ამგვარად, ეს თანხა წარმოადგენს ბანკის • განუყოფელ საკუთრებას და. წესდების მიხედვით, არ შეიძლება მისი გაცემა სხვადასხვა საჭიროებისათვის, როგორიც არ უნდა იყოს ეს საჭიროება. ვიმეორებთ, ბანკის შენაგროვი კაპიტალის გაცემა წესდების დარღვევას ნიშნავს. მაგრამ ბანკის საქმოსნებმა გამონახეს მაინც საშუალება გვერდი აევლოთ წესდებისათვის. მათ დაავიწყდათ, რომ 32.000 მანეთი ანგარიშში შეტანილია როგორც განუყოფელი ნაწილი ძირითადი კაპიტალისა და საერთო კრებაზე წამოაყენეს წინადადება გამოჰყონ „მოსახლეობის მოთხოვნილებისა და საჭიროებისათვის", სკოლებისა (თითქოსდა) ან შენობების ასაგებად (მართლაც) ძირითადი კაპიტალის ნაწილი კი არა, არამედ... თანხა, რომელიც ირიცხება თავ. ს. ი. აბაშიძეზე.

მაგრამ ამგვარი გვერდის ავლა შეიძლებოდა მხოლოდ წესდების კიდევ ერთი დარღვევის გზით. როგორც ცნობილია, 26 აპრილს მოწვეული რიგითი კრება არ შესდგა. მის მაგივრად 14 მაისს მოიწვიეს მეორე. მიუხედავად იმისა, თუ რამდენი წევრი გამოცხადდა კრებაზე, წესდების მიხედვით. ეს მეორე კრება კანონიერად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მისი გადაწყვეტილება მხოლოდ იმ საკითხების მიმართ შეიძლება იყოს კანონიერი. რომელთა განხილვასაც ვარაუდობდნენ კრებაზე, რომელიც არ შედგა. ამავე დროს, სამეთვალყურეო კომიტეტის განცხადებებში, 26 აპრილსა და 14 მაისს მოწ-

ვეული კრებების შესახებ, ერთი სიტყვაც კი არაა ნათქვამი იმ წინადადებაზე, რომელიც წამოაყენა კრებაზე ბატ. ბ. ღოღობერიძემ თავ. აბაშიძის ვალის გადარიცხვის თაობაზე. ბატ. ღოღობერიძის წინადადება განხილულია და მიღებულია კრების მიერ სამეთვალყურეო კომიტეტის მხრივ ყოველგვარი პროტესტის გარეშე.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ წესდების ამგვარი დარღვევა ჩვენთვის სულერთია. თუ კი დავუშვებთ უეცარი წინადადებების პრეცენდენტს, მაშინ ერთ მშვენიერ დღეს მართველობა შეაგროვებს 50 ვაჟკაცს და გადარიცხავს ბანკის კაპიტალიდან ასიათასობით მანეთს ისეთ საქმისათვის, რაც კიდევ უფრო მოუფიქრებელია, ვიდრე სასახლის მშენებლობა, და ეს მოხდება იმის გამო, რომ არავის არ სჯერა კრებებზე მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის შესაძლებლობა და, ამიტომ, არ დადის ბანკში. მეორეს მხრივ, ბანკის კაპიტალის შემცირება არ შეიძლება კიდევ იმის გამო, რომ ეს ამბავი აახლოებს ბანკისათვის მძიმე წუთებს, იმ აზრით, რომ მოუწევთ მთელი კაპიტალის ავანსად გაცემა. მესამეც, ძირითადი კაპიტალის 32.000 მანეთით შემცირება უფლებას არ აძლევს ბანკს გამოუშვას 320.000 მანეთის საგირაო ფურცლები. ამიტომ, გასაგებია, ამგვარ ამბებს საზოგადოებამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს, რათა ერთხელ და სამუდამოდ ᲐᲦმოფხვრას წესდების ასეთი მოურიდებელი დარღვევის შესაძლებლობა მომავალში.

ქუთაისის ბანკზე ჩვენი შენიშვნების დასასრულს, მიკერძოებისა ან გაჯავრების ყოველგვარი ჩრდილების გარეშე, ვიტყვით: ამ ბანკის საქმეები სერიოზულად მოშლილია: ახლა ეს ყველასათვის ცხადია, დამოწმებულია და დამტკიცებულია თვალსაჩინოდ. სამეთვალყურეო კომიტეტის გულმოდგინეობისა და სიფხიზლის იმედი ისევე უსაფუძვლოა, როგორც ბანკის მართველობის ცოდნისა და კეთილსინდისიერების იმედი. ამ უბედური ბანკის საქმეებისადმი საზოგადოებისა და პრესის აპატიური დამოკიდებულება ამ უბედური ბანკის საქმეებისადმი, რომელშიც, — მზად ვართ დაგეთანხმოთ, — უცოდინარობა უფრო დიდ როლს თამაშობს, ვიდრე ბოროტი განზრახვა, ამ ბანკისათვის სასიკვდილო განაჩენს უდრის. ამიტომ დაე, ყოველმა კაცმა, რომელსაც ბანკისათვის და სამშობლოსათვის სიკეთე სურს, ზეგავლენა მოახდინოს თავის სფეროში ბანკის მართველობაზე და სამეთვალყურეო კომიტეტზე. დაე, თვითეული ჩაუკვირდეს საქმეს, თვალყური ადევნოს მის მიმდინარეობას, გაკიცხოს წესებისა და სამართლიანობისაგან განდგომა, და თვითეულმა შეიტანოს თავისი წვლილი რჩევა-დარიგებითა და ყურადღებით. ვიმეორებთ, ესაა ერთადერთი გზა ბანკის გადარჩენისა იმ საშიშროები-

საგან, რასაც ასე თავისებურად უარყოფენ ახლა ადამიანები, რომ-ლებიც იმდენად უვიცნი არიან და იმდენად მოკლებული შორსმხედ-ველობას, რომ მანამ ვერ ხედავდნენ ვერც საშიშროებას და ვერც დარღვევებს, სანამ თვალები არ აუხილეს. თუ კი ჩვენ, ვისთვისაც არ გაუმხელიათ არც ბანკის საიდუმლოება და არც მიმოწერა, შევ-ძელით შორიდან დაგვენახა ბანკის წესდების დარღვევის უამრავი შემთხვევა და მათზე უკეთ შევძელით გაგვეშიფრა საანგარიშო დო-კუმენტების არეულდარეული ციფრები, მაშინ ამ ბატონებმა სიტ-ყვიერად უნდა დაგვიჯერონ და იცოდნენ, რომ საშიშროება მარ-თლაც ემუქრება ბანკს, რომ არ ყოფილა არც ერთი ისეთი შეცდომა, რომელიც არ დაეშვა ბანკის მართველობას და რომ მხოლოდ საქმი-სადმი ჩვენი საზოგადოების სერიოზული, ფხიზელი და ენერგიული დამოკიდებულება იხსნის ბანკს იმ უბედურებისაგან და უსიამოვნე-ბისაგან, რომელიც მას მოელის.

80. საზოგადოების ახალი ფენები

აზრები ომის წყალობით სწრაფად გამდიდრებაზე.—ადვილია თუ არა მილიონის შეძენა? — ერთი გამდიდრების ტიპიური ისტორია. — „მეეზოვის რამდენ ძაღლს“ უნდა მოეფეროს მოიჯარადრე? — რისგან შესდგება შეძენილი მილიონის მანეთები? — სად უნდა ვეძებოთ ტიფისა, ცინგისა და სხვა ავადმყოფობების გამომწვევი მიზეზები? — მოიჯარადრის ზეიმი. — მისი მომავალი კონსერვატორიზმი, მისი ქველმოქმედება, მისი სიდიადე. — ქურდობის ძირი მწარეა, ნაყოფი კი ტკბილი. — „საზოგადოების ახალი ფენები“, რომელთათვისაც ანგარიშის გაწევა მოუხდება ჩვენს მემკვიდრეობას.

არ ვიცი რა გავლენა მოახდინა გასული წლის ომმა და „ომთაშორისმა“ ახლანდელმა წელმა ხალხის მასების კეთილდღეობაზე. ასევე არ ვიცი, მოიგო რაიმე თუ არა ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა საშუალო კლასმა. მაგრამ არავითარ ეჭვსა და დავას არ იწვევს ის, რომ некоторые единицы и даже пули порядком — тоже набили себе карман. მე მქონდა სიამოვნება შენახა ისინი „მუშაობაში“ იმ დროს, როცა მართლაც ძალღონის არაადამიანური დაძაბვით ცდილობდნენ ეშოვნათ რაც შეიძლება მეტი კრედიტები, რომელთა ფასი ყოველდღიურად ეცემოდა. ახლა მე მათ ვხედავ ბულვარზე, დასეირნობენ დამშვიდებული სინდისით, ან უკეთ უცოდველი გამომეტყველებით და ტკბებიან შეძენილი სიმდიდრით. როცა ვადარებ ამ ორ მომენტს, სულ უფრო და უფრო მაკვირვებს ადამიანის ბუნების გამძლეობა და გამოუსწორებლობა. მაგრამ განსაჯეთ თქვენ თვითონ.

ბრბომ, რომელიც შურით უყურებს ამ ბატონების „მოღვაწეობის“ შედეგებს, არ იცის და ვერც წარმოუდგენია, რა გაჭირვების გადატანა მოუხდათ მათ, სანამ ასეთ შედეგებს მიიღებდნენ. როგორც ცნობილია, შემძენელთა სხვადასხვაგვარ ტიპებს შორის, ყველაზე ბედნიერად ითვლება მოიჯარადრის ტიპი. მაგრამ თქვენ რომ იცოდეთ, თუ რამდენი რამ უნდა გადაიტანო მანამდე და მას შემდეგ, როცა „ბედნიერთა“ რიცხვში მოხვდები, შეიძლება მხურვალე მადლობაც კი გადაგეხადათ შემოქმედისათვის იმის გამო, რომ არ

მოგისაჯათ ამ უბადრუკი როლის შესრულება და ჯიბეების ასიგნაციებით ავსების კატორღული სამუშაოები...

გულუბრყვილობის გამო თქვენ, ალბათ, ფიქრობთ, რომ საკმარისია გქონდეთ „საიმედო რამ დაგირავებული“ და რამდენიმე ათასი მანეთი საბრუნავად, რომ გვარიანი მოიჯარადრე გახდეთ. გარდა ყველა ამ „სიკეთისა“, რის შესაძენადაც რამდენჯერმე უნდა ეწამოთ წინასწარ, უნდა გქონდეთ ბევრი სხვა სათნოებაც. თქვენ, ალბათ, მაინც ფიქრობთ, რომ ამისათვის საკმარისია იპოვოთ რომელიმე „კეთილგანწყობილი“ დიდი კაცი, მაგრამ ამჯერადაც სცდებით. თქვენ ვერ გიშველით და ვერ დაგეხმარებათ ვერცერთი დიდი კაცი, თუ ვერ მოიპოვებთ არა მარტო ორი დიდი კაცის, არამედ მათი ცოლების, დარაჯების და მოსამსახურეების კეთილგანწყობასაც. მსგავსად ნეტარხსენებული მდუმარე კაცისა, თქვენ მოსჯილი გაქვთ მოეფეროთ და გამოკვებოთ თითქმის „მეეზოვის ძაღლიც კი, რათა ალერსიანი იყოს“ [91].

ყველა მიმღები, ზედამხედველი, მეთვალყურე, მაგიდის უფროსი, განყოფილების უფროსი etc, etc, etc,—ხოლო მათი რიცხვი ლეგიონებია, — მეტისმეტად გულგამგმირავი მზერით გიყურებთ. თქვენ არა მარტო უნდა გამოკვებოთ ყველა, არამედ უნდა მოაჯადოვოთ კიდეც, არა მარტო ოქროთი ააავსოთ, არამედ სამუდამოდ შეაყვაროთ თავი. უნდა გაიგოთ თითეული მათგანის წვრილმანი საიდუმლოება, შეისწავლოთ მათი მგრძნობიარობის თავისებურება, მონახოთ გზა მათი „მოუსყიდველობისაკენ“. უნდა გაიგოთ, როგორი გემოვნება აქვთ მათ ცოლებს, რა სურთ მათ საყვარლებს, რაზე ოცნებობენ მათი ბავშვები. ხომ არ გნებავთ იფიქროთ რით და როგორ დააკმაყოფილოთ თითეული მათგანის მადა!? დიახ, ამისათვის არ კმარა ადამიანის გამოცდილება, ჭკუით აქ ვერაფერს გააწყობთ: უბრალოდ პირჯვარი უნდა გადაიწეროთ და თავი ისე უნდა მიანდოთ ბედს, თითქოს მსუბუქი ნავით აღელვებულ ზღვაში შესცურეთ, ამის შემდეგ კი ელოდოთ, რომ აი, ახლა, რომელიმე ვერაგი ტალღა, ერთი მოულოდნელი და ძლიერი დარტყმით, ზღვის ფსკერზე ჩაიტანს მთელ თქვენ ადრინდელ ჯაფას...

და რა ჯაფას! თქვენ უკვე ადამიანი აღარ ხართ, თქვენ გადაიქეცით რაღაც ყველაფრის მსანსლავ ნიანგად. თქვენ ხედავთ: ეს-ეს არის დამთავრდა ბრძოლა, რომელმაც ასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ათასობით სხვა ადამიანები სამუდამოდ დაასახიჩრა. ტანჯულთა კვნესა და ყვირილი მეზობლად მდებარე ქვებსაც კი უკარგავს სიმშვიდეს. მიწა მორწყულია ადამიანის სისხლით. საჭიროა ურმები დაჭრილების გადასარჩენად, იმისათვის, რომ ცოტათი

მაინც შეუმსუბუქონ მათ ტანჯვა. ურმები კი თქვენ უნდა იშოვოთ. ქაღალდზე მათი რაოდენობა საკმარისია, ჯერ კიდევ სამი დღის წინათ თქვენ ხაზინიდან მიიღეთ ზღაპრული ფასი ამ არარსებული ურმების მთელი კომპლექტისათვის. მაგრამ სინამდვილეში თქვენ იშოვეთ მხოლოდ ურმების დასახელებული რაოდენობის მარტო მესამედი. ექიმები თხოულობენ „შესახვევ საშუალებებს", და რადგან არ ღებულობენ, მოურიდებლად გეუბნებიან პირში თაღლითობის, ძარცვის, წამებულთა გაქურდვის შესახებ. კრიჭაშეკრული დაჭრილები, უკანასკნელ ლოცვასთან ერთად, საშინელ წყევლას უგზავნიან ზეცას. მეურმეები, რომლებიც თავიანთ ურმებზე ორჯერ მეტ დაჭრილებს აწვენენ, იშეორებენ მათ წყეველას და ისეთი ცინიკური გინებით კაზმავენ, რომ კამეჩსაც კი გამოიყვანს მოთმინებიდან. თვით მეთვალყურეც კი, ღმერთმა იცის რას უწოდებენ მას შტატის მიხედვით, რომელმაც სამი დღის წინათ ჯიბეში ჩაიდო ამ ფულის ნაწილი, რაც თქვენ არარსებული ურმებისათვის მიიღეთ, ასეთი მეთვალყურეც კი უწმაწურად გაგინებთ, რათა ამით ეჭვი აიცილოს თავიდან. თქვენ „გამოუსწორებლობაზევე" ყვირიან შტაბის წევრები, რომლებიც დაკმაყოფილებულნი გეგონათ. ამავე ამბის გამო ილანძღება უფროსი, ისიც კი... და თქვენ ყველაფერი ეს უნდა მოითმინოთ. შეცბუნებული აქეთ-იქით იყურებით. აი ჯარისკაცი, რომელიც ერთი წუთის წინათ წყევლიდა თქვენს გაუმაძღრობას, მყესივით გაიჭიმა, ღმერთს სული ჩააბარა და თან წაიღო საჩივარი თქვენზე, საჩივარი, რომელიც ვერ გაარკვია და ვერ დააკმაყოფილა ადამიანთა სასამართლომ. თქვენ ძალაუნებურად მიჯაჭვული ხართ მკვდარზე. შესცქერით მის გაფითრებულ სახეს. მიცვალებულს თვალები ღია აქვს და გიყურებთ უსაზღვრო საყვედურით, თქვენს მიმართ უძლური სიბრაზისაგან კრიჭა შეუკრავს. უსასრულო ტანჯვა, რაც დაბადებიდან წილად ერგო ცხოვრების ამ უცნობ გერს, ყველაფერი, რაც გადაიტანა სოფელში, ყარაულობისა და ლაშქრობის დროს, ყველაფერი ეს გამოვლინდა და აღიბეჭდა მის სასიკვდილო კრუნჩხვებში. და რადგან უკანასკნელმა განცდამ გადასწონა ადრინდელი მწუხარება, თქვენ გრძნობთ, რომ პირადად მოჰკალით ეს კაცი, თქვენ რომ წესიერი და პატიოსანი ყოფილიყავით, იგი დიდი ხანია ჰოსპიტალში იწვებოდა, დიდი ხნის წინათ აღმოუჩენდნენ სამედიცინო დახმარებას და თუ მოკვდებოდა, წყევლა მაინც არ შერჩებოდა ტუჩებზე...

განაგრძეთ გზა და ეცადეთ თავიდან მოიშოროთ სინდისის ქენჯნა. თქვენ მიხვედით ბანაკში. ჯარისკაცები ცეცხლს ანთებენ, რათა საჭმელი მოუხარშონ თავის თავსაც, დაჭრილებსაც და ავადმყოფებ-

საც. ქვაბები დადგმულია. გაშაეებულ, გამჩმარ ძროხის ხორცს წვრილად სჭრიან.

— ძმებო, ეს ცხენის ხორცია!—ამბობს ერთერთი იმპროვიზირებული მზარეული.

— ერთი კვირის წინათ ებრაელმა დაპკლა, ჩემი თვალით დავინახე, — ამბობს მეორე.

— შეხედე ერთი, ძვლები, რამდენი ძვლებია, პირდაპირ საშინელებაა, — უმატებს მესამე.

— ძვლები რა სალაპარაკოა,—გაჯავრებით პასუხობს მეოთხე,— მატლები კიდევ უფრო მეტია, — და იგი მეზობელს უჩვენებს თავის აღმოჩენას.

— მატლი კი არა, მუცლის ჭიაა, — ეუბნება მას მატლის სიდიდით გაკვირვებული მეზობელი...

თქვენ თავს ხრით და შორდებით იქაურობას, რადგან ამის შემდეგ ჯარისკაცები გაგინებენ, გაგინებენ გრძნობის დაკარგვამდე. გაგინებენ ყველაფერს. თქვენ კი მიდიხართ ნაცნობ ექიმთან.

— ჯობია გაემგზავროთ თბილისში, — გირჩევთ იგი მეგობრულად.—რას დაბორიალობთ აქ. მადლობა ღმერთს. თქვენ აქ სამსახური არ გაკავებთ. თავისუფალი კაცი ხართ. თორემ, ვინ იცის, იქნებ ტიფიც შეგეყაროთ. ხომ იცით, მუცლის ტიფი გაჩნდა, ადამიანები ბუზებივით კვდებიან... აქ კიდევ წყეული ცინგა გაჩნდა...

თქვენ ისე მიდიხართ საკუთარ კარავში, რომ მორთმეულ ჩაისაც კი არ სვამთ.

დაწექით ლოგინზე და გგონიათ ძილი დაგამშვიდებთ, თავისუფლად ამოისუნთქავთ...

ვერც კი მოასწრებთ საწოლზე წესიერად დაწოლას და მოდის თქვენთან ის მეგობარი, რომელსაც ფული გაუყავით ამ ორი დღის წინათ.

—ცუდადაა საქმე, ჩემო ძმაო, — გეუბნებათ იგი.—დღევანდელი სკანდალის მიფუჩეჩება არც ისე იოლი იქნება... უფროსი განრისხებულია, შტაბი ბანს აძლევს... რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ...

— განა თქვენი საქმე არაა, თავიდან ამაცილოთ ყოველგვარი უსიამოვნება? განა ცოტა მოგეცით ამ საქმისათვის? მე თქვენ ყოველგვარი საწინდარისა და კაპიტალის გარეშე აგიყვანთ ამხანაგად, მენახევრედ და, გარდა ამისა, ჩემი ნახევრიდან რამდენი მოგეცით ყველასათვის, თქვენ კი ყველაფერს მე მაკისრებთ...

— ჩუუ... ხმა არ ამოიღო, თორემ, ჩემო ძმაო, შენვე წაგივა საქმე ცუდად...

და თქვენ ხსნით ჩანთას, იღებთ ახალ დასტას და აძლევთ. ახენე-

შებული, გაოფლიანებული და გაბრაზებული... ამ დასტების გამო თქვენ მუცლის ტიფი გამოიწვიეთ, გააჩინეთ ცინგა, შიმშილით მოკალით დაჭრილები. ფიქრობდით, რომ მიუხედავად ყოველივე ამისა, ადამიანის სისხლი ფულს შაინც არ დააჩნდება, ადამიანის ცრემლები მას ვერ გააფუჭებს, ხოლო როცა თბილისში ჩამოხვალთ, მზეთუნახავები თვალებში ჩაგხედავენ, ძლიერნი ამა ქვეყნისა ხელს ჩამოგართმევენ, ნაცნობები თქვენს ღიმილს დაუწყებენ ძებნას, ბრბო შურით დაიწყებს ტუჩების ლოკვას, როცა დაინახავს მეჯლისებს, სასახლეებს, ეტლებს, საყვარლებს... მომავალ ზეიმზე ფიქრი თქვენ გაძლევდათ იმის ძალას, რომ მომაკვდავთა წყევლაც კი გადაგეტანათ...

და უეცრად ფული ქრება, მიდის დასტა დასტად!

დილით მიემგზავრებით თბილისში. ჯადოქრული ფულის დასტები ჯერ კიდევ ბევრია. „შავი დღისათვის მეყოფა", — ფიქრობთ თქვენ, მაგრამ თქვენი „ტანჯვა" არც აქ თავდება.

შლით თქვენს „მთავარ წიგნს" და მეორე დღეს ერთერთი გვერდი, რომლის რუბრიკაა — „საჩუქრები და შეწირულებანი", თავიდან ბოლომდე ივსება... გრძნობები დაგიჩლუნგდათ. თქვენ აძლევთ, აძლევთ, აძლევთ, როგორც вечный жид და მომავალი სიმდიდრის იმედი გაქვთ, იმედი გაქვთ იმისა, რომ რაღაც მაინც დაგრჩებათ, და მართლაც, ცოტა არ გრჩებათ. მთელი თანხა, რაც ხაზინიდან გამოიტანეთ, ვერ გამოგწოვა მილიონმა წურბელამ. მათმა ცოლებმა და მათმა ლიფსიტებმა გადარჩა რამდენიმე ათეული ათასი, შეიძლება ასი ათასიც კი. თქვენ გამოდიხართ ქუჩაში. მეგობრები და ნაცნობები გილოცავენ „ერთი მილიონის" შეძენას. როგორც კი თქვენ სადმე გამოჩნდებით, ყველას „მილიონი" აკერია პირზე. თქვენ აცხადებთ სუსტ პროტესტს, პროტესტს ისეთი კაცის გამომეტყველებით, რომელსაც ეუბნებიან:

— შე მამაძაღლო, ამა და ამ მზეთუნახავთან გაქვს საქმე არა!?...

— ტყუილია, ტყუილია, წმინდა წყლის სისულელეა, — არწმუნებთ თქვენ მათ, მაგრამ თქვენი ღიმილი და მზერა, თქვენი ავხორცული ჭიმვა, ყველაფერი ეს, ამბობს — „დიახ, მართალია", თუმცა სრულიად არ არის მართალი...

გაივლის წლები. კრედიტი, რომელიც თქვენ მოიპოვეთ შეძენილ მილიონზე გავრცელებული ხმებით, შესაძლებლობას მოგცემთ მონაწილეობა მიიღოთ რამდენიმე ასეთსავე ხელსაყრელ საქმეში. ყველა დაივიწყებს მომკვდავთა წყევლასაც, ტიფსაც, ათასობით დაობლებულ ოჯახსაც, ცინგასაც და ყველა მსგავს ამბებსაც. თქვენ თვითონვე დაგავიწყდებათ ურმებთან მიღებული შთაბეჭდილება, დაი-

ვიწყებთ იმ მომაკვდავთა სახეებსაც კი, რომლებიც დიდხანს გიკრთობდნენ ძილს... სავსე ჯიბე გზას გაგიხსნით ყოველგვარი პატივისაკენ. დაიწყებთ ლაპარაკს სათნოებაზე, ღირსებაზე, ოჯახური პრინციპების, კერძო საკუთრების და ღვთისმოსაობის პატივისცემაზე. გახდებით კონსერვატორი, ორ სიტყვას არ იტყვით ისე, რომ არ მიაწებოთ მათ „პატივისცემა დამსახურებისათვის", მხარს დაუჭერთ ყველაფერ დრომოჭმულს და თქვენი ფულის დასტებიდან, რომელთაც შეუერთებთ სხვებისაგან ამავე გზით შეძენილ დასტებს, ააგებთ გადაულახავ ბარიკადებს, რომელსაც შუბლს შეამსხვრევს სიმართლესა და სიკეთის. მაძიებელი რამდენიმე მომავალი თაობა. თქვენი დიდების სიმაღლიდან ქედმაღლური ზიზღით დაუწყებთ ყურებას ყველა იმ „სულელს", რომელთაც თქვენსავით ვერ უზრუნველყვეს თავიანთი თავი, ე.ი. ვერ შეიძინეს ფული. ბრბო მოწიწებით დაგიწყებთ ყურებას. ორ წელიწადში ერთხელ. ერთ ადგილას, სკოლისათვის გაილებთ რაიმეს, მეორე ადგილას ორასამდე მანეთს განცემთ სტიპენდიისათვის, ან ეკლესიისათვის და ამით მოიხვეჭავთ კაცობრიობის კეთილისმყოფელის სახელს. გაგიტაცებთ თქვენ თანამოქალაქეების ყურადღების გამომხატველი ნიშნები და აღივსებით პატივმოყვარეობით. გახდებით ქალაქის საბჭოს წევრი, რომელიც უფრო ხშირად ცირკშია, ვიდრე საბჭოში. ანდა რომელიმე ისეთი საბჭოს წევრი, სადაც თქვენვე უნდა ჰკითხოთ რჩევა სხვებს, თქვენივე ხელქვეითებს. და შეიძლება სხვისი თავის დახმარებით ქალაქის თავიც კი გახდეთ... ყველა ამ სიკეთის მოსაპოვებლად საკმარისია უთხრათ თქვენს თანამოქალაქეებს...

— საზოგადო საქმეების წესიერად წარმოება შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც შესძლებს კარგად წარმართოს. თავის საკუთარი საქმეები...

ჩემი წარსული საიმედო გარანტიაა იმისა, რომ შემიძლია საქმეების წარმოება... დამავალეთ, რაც შეიძლება მეტი, და სირცხვილს არ გაჭმევთ..,

დიახ, მკითხველო, გასულმა წელმა წარმოშვა ბევრი ისეთი პირი, რომელთაც ანგარიში უნდა გაუწიოს მომავალმა თაობამ. ჩვენ თქვენთან ერთად ვნახეთ ისეთი ღარიბების სასწაულებრივი გამდიდრება, რომელთაც ორი წლის წინათ რიგის სიგარის ყიდვაც კი არ შეეძლოთ... ტელეგრაფისტები, რომლებიც შაურს სესხულობდნენ, ახლა ასესხებენ. სოლიდური უზრუნველყოფის საფუძველზე, ორმოც და ორმოცდაათი ათას მანეთს. უბრალო პრაპორშჩიკებს ბანკში შეაქვთ ოცი და ოც ათასზე მეტი მანეთი. მაზრის უფროსები ნახევარმილიონერები გახდნენ. განყოფილების უფროსები სასახლეებს იშენებენ.

ცხვების შესახებ კი ამ ნიშუშების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ...

ჩე და თქვენ, — ვიდექით რა ყველა ამ ახალი სიმდიდრის წყაროსთან,—დავინახეთ, სად ჰქონდა მას სათავე. როგორი ქურდობით და ბინძური გარიგებით შეიძინეს იგი... მაგრამ ჩვენი მემკვიდრეები, რომელთაც მოუხდებათ ანგარიში გაუწიონ მთელი ამ სიმდიდრის მფლობელებს, დამიჯერეთ, რომ, ნებით თუ უნებლიეთ, მათ უღელქვეშ მოხვდებიან. ეს კიდევ ცოტაა, პატივისცემის გრძნობაც კი ექნებათ მათ მიმართ, როგორც „ბეჯითი შრომის პროდუქტისადმი". ამიტომ, ზედმეტი არ იქნება შევიტანოთ მატიანეში ამ სიმდიდრის წარმოშობის ისტორიის ორი-სამი დამახასიათებელი ნიშანი. ზედმეტი არ იქნება შევახსენოთ მათ, რომ მილიონები ბეჯითმა და კეთილსინდისიერმა შრომამ კი არ შეჰქმნა, არამედ სველ მიწაზე, თოვლში და წვიმაში შიმშილით სიკვდილმა...

81. სენატის მიერ „ტიფლისსკი ვესტნიკის“ რედაქტორის გამართლება

თბილისი, 25 მაისი

იმ მომენტში, როცა „ობზორის“[36] ამ ნომრის ბეჭდვას ვიწყებდით, ჩვენ მივიღეთ ცნობა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო სენატმა ძთლიანად გააძართლა ჩვენი თანამოძმე თავ. კ. ა. ბებუთოვი, ქალაქის საავადმყოფოში უწესრიგობის ცნობილ საქმესთან დაკავშირებით. დღეს ჩვენ ბევრს ვერ ვილაპარაკებთ ამ მოვლენის დიდ მნიშვნელობაზე, რაც უაღრესად სასიხარულოა ყველასათვის, ვისთვისაც ძვირფასია საზოგადოების განვითარების ინტერესები. ჩვენ ღრმად ვიყავით დარწმუნებული, რომ უმაღლესი სასამართლო დაწესებულება იმპერიაში არასოდეს არ გაუწვდიდა ხელს საქმის საჯაროდ გამოტანის მოწინააღმდეგეებსა და სიბნელის მეგობრებს, არ დასდებდა ბრალს „ტიფლისსკი ვესტნიკის“[1] რედაქტორს, რადგან მისთვის ბრალის დადება მძიმე დარტყმა იქნებოდა ღია სასამართლოს მიერ ჟურნალისტიკის საჯაროობისათვის. მრავალტანჯულ პროვინციულ პრესას სრული უფლება ჰქონდა იმედი ჰქონებოდა იმისა, რომ ღია სასამართლო შემწეანარებლურად მიუდგება პრესის შეცდომებსა და არასწორ მოქმედებასაც კი, რადგან მხედველობაში მიიღებდა მის მძიმე და კეთილსინდისიერ შრომას. ამიტომ კიდევ უფრო დიდი იმედი გვქონდა იმისა, რომ სენატი გამამართლებელ განაჩენს გამოიტანდა იმ საქმის გამო, სადაც სიმართლე და საზოგადოებრივ-სარგებლიანობა პრესის მხარეზე იყო...

ბევრი ბრძოლის გადატანა უხდება პროვინციულ პრესას, ბევრ მძიმე წუთებს განიცდის, მაგრამ ზოგჯერ მისი ხვედრის წილადაც ხდება ნათელი წუთები, როცა ობიექტური სასამართლოს, რომლისთვისაც უცხოა წვრილმანი გაგულისება და ადგილობრივი უმნიშვნელო ვხებათაღელვანი, გამოაქვს განაჩენი, სადაც ნათქვამია, რომ პრესა პატიოსნად ემსახურებოდა სიკეთისა და სიმართლის იდეას. ასეთი განაჩენი მით უფრო სასიხარულოა და მით უფრო შესწევს უნარი მხარი გაუმაგროს პრესას, რომ იგი არის საწინდარი მეორე,

კიდევ უფრო ძვირფასი და ხანგრძლივი განაჩენის, — ერთადერთი განაჩენის, რომელიც განსაკუთრებით და უპირველესად ყოვლისა უნდა დააფასოს ყველა პატიოსანმა მწერალმა და ყველა ღირსეულმა საზოგადო მოღვაწემ, — მომავალი თაობისა და მომავალი ლიტერატურის ისტორიის განაჩენის.

ამ შემთხვევაში ორივე ეს განაჩენი ერთმანეთს შეერწყა. ჩვენ დიდად გვახარებს ეს ამბავი როგორც „ტიფლისსკი ვესტნიკის", ასევე განსაკუთრებით მთელი პროვინციული პრესის გამო.

როდესაც სატახტო ქალაქის გაზეთები გვაცნობებენ სხდომის სრულ ანგარიშს, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დავუბრუნდებით ამ საქმეს, იმედი გვაქვს განსაკუთრებით იმიტომ, რომ თავადმა ბებუთოვმა, ალბათ, შესძლო სენატის წინაშე წინა პლანზე წამოეყენებია და საკმარისი სიცხადით გაეშუქებია პროვინციაში პერიოდული პრესის შევიწროებული მდგომარეობა.

82. საკვირაო საუბრები

გეირჩევნია ჩავახშოთ შადრევანი. — როგორი შადრევნებია ყველაზე უფრო საშიში. — ეპიზოდი ჩემი ახალგაზრდობიდან. — იმ გერმანელი ქალის უსაზღვრო გულუბრყვილობა, რომელსაც ჰგონია, რომ ხელზე კოცნა „დაუოკებელი ვნებების თარეშია". — რა იქნებოდა მე რომ ზომიერი ადამიანი ვიყო? — „მშაკის" მიერ გამოგონებული ლატარია ხელისმომწერთა გამოსაჭერად.—ჰამბურგის კანტორების თბილისის განყოფილება. — მემკვიდრეობის გაელენა ნერვებზე. — რით უხსნის „მშაკი" თავის თავს და სხვებს „ობზორის" წარმატებას? — რაა უკეთესი — გაზეთის დიდი ფორმატი თუ არაკეთილსინდისიერი საშუალებები?

უბრალოდ მე გასაქანს არ მაძლევენ საზოგადოებაში სავალდებულო, სწორედ სავალდებულო რჩევებით და შთაგონებებით „ავლაგმო" ჩემი ფანტაზიის სწრაფვა. ეტყობა, განსვენებული კუზმა პრუტკოვის სწავლა-დარიგებას ტყუილად არ ჩაუვლია ჩვენი საზოგადოებისათვის. ყოველ ნაბიჯზე ხვდები აქ ისეთ ადამიანებს, რომელთაც შესისხლხორცებული აქვთ მისი ცნობილი აფორიზმი: „დანახავ თუ არა შადრევანს, ჰაშინვე ჩაახშე"...

მაგრამ შადრევნები სხვადასხვაგვარი და სხვადასხვა თვისებისაა. იუმორისა და ფანტაზიის შადრევნების გვერდით, რაც, სხვათაშორის, ჩვენთან ძალზე იშვიათია, ცხოვრებაში გვხვდება უფრო ხვავიანი შადრევნები... საითაც არ გაიხედავ, წყაროსავით სჩქეფს რაიმე მისწრაფება, რაიმე სისაძაგლე. სადმე, აქ, ამოვარდება ნავთის შადრევანი, რომელიც თითქმის ვარსკვლავებამდე აღწევს და უაზროდ სპობს ქვეყნის საუკეთესო ბუნებრივ სიმდიდრეს; იქ — აფეთქდება რომელიმე ბანკი და დასცურავს თავისსავე ნამსხვრევებს შორის, რაც რამდენიმე მილიონი დაუჯდა ათასობით ოჯახს. ოჯახებს, რომელთაც მას მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე დაგროვილი ფული მიანდვეს; მესამე ადგილას კი — ხაზინადარი აწყობს ტკაცუნა ფეიერვერკს, რაც ნთქავს ათი ათასობით კერძო და სახელმწიფო მანეთს... ამგვარი შადრევნების სია უსასრულოდ შეიძლია გავაგრძელო და გარწმუნებთ, რომ ეფექტი მზარდად პროგრესული იქნება... გეთანხმებით, რომ შადრევნები საერთოდ უნდა

ჩაახშო, მაგრამ არ მესმის, რატომ უნდა დავიწყოთ პირადად ჩემი შადრევნიდან? მე აი რას ვფიქრობ: რომ მივყვეთ და ჩავახშოთ ყველა შადრევანი, ამით, აუცილებლობის კანონის თანახმად, ჩაიხშობა ჩემი ფანტაზიის შადრევანიც. ამიტომ, უფრო ბუნებრივი იქნებოდა ძიებამართოთ ყველა ეს სახშობები, საცობები და წნეხები იმ შადრევნების წინააღმდეგ, რომლებიც კვებავენ და ჰქმნიან ჩემ საკუთარ შადრევანს. ჩემი ფანტაზიის ჩახშობა, რა თქმა უნდა, ძნელი არაა, და თუ გსურთ მე თვითონ ჩავატარებ ამ ოპერაციას. მაგრამ რისთვის? ჩემს მიერ დასახელებული შადრევნების სიმრავლე, თუ ჩემი ფანტაზიის შადრევანს არ ააჩქეფებს აუცილებლობის კანონის თანახმად, ააჩქეფებს ჩემი მეზობლის შადრევანს და მაშინ ფანტაზიის შადრევნების ჩახშობა საზოგადოებისათვის სიზიფის შრომად გადაიქცევა, რასაც ამაოდ შეალიეს ძალ-ღონე ფანტაზიის შადრევნების ჩახშობის ხელოვნების პირველხარისხოვანმა ექსპერტებმა.

* *

რჩევა იმისა, რომ „დავიოკო მისწრაფებები", ჩემი ახალგაზრდობიდან ერთ სენტიმენტალურ ეპიზოდს მაგონებს, რის მოყოლის უფლებასაც ვაძლევ ჩემს თავს ყველაზე ზომიერი საშუალებით—„გაზს ამოფარებული"

მომხიბლა რა ერთი თექვსმეტი წლის გერმანელი ქალიშვილის სიღამაზემ და გრაციამ, რომლის გარეგნულ მომხიბლველობას აძლიერებდა მისი უსაზღვრო გულუბრყვილობა, ერთხელ ხანგრძლივი სენტიმენტალური სეირნობის, საუბრებისა და ოხვრის შემდეგ „ნება მივეცი" ჩემს თავს მგრძნობიარედ მომეჭირა ხელი მისი ფუმფულა ხელისათვის და ჩემი სითამამე იქამდეც კი გავაფართოვე, რომ გავბედე მსუბუქად მეკოცნა მისთვის... ხელზე. ჩემი გერმანელი ქალი, რა თქმა უნდა, მაშინვე, შეიპყრო აუწერელმა საშინელებამ. გაწითლდა არა მარტო თმის ძირებამდე, არამედ მისი ფეხსაცმელების ჭვინტებამდეც, გაჯავრების ნიშნად მან თავის მომხიბლველი ტუჩები გაბერა და წარმოუდგენელი საყვედურით მითხრა:

— ძალიან ცუდად, ძალიან ცუდად მოიქეცით!.. მე თქვენ გონიერი კაცი მეგონეთ... დაიოკეთ, თუ შეიძლება, თქვენი ვნებათაღელვა, თორემ ჩვენ წავიჩხუბებით...

და მისი გრძელი წამწამები დაფარა ცრემლებმა, გულწრფელმა, დამაჯერებელმა, ცვარივით წმინდა ცრემლებმა.

თქვენ ამითაც კი შეგიძლიათ დაინახოთ ის ძალაუნებური ღიმილი, რაც უნდა აღბეჭდილიყო მაშინ ჩემს ფიზიონომიაზე.

—სულო ჩემო, — ვუთხარი მე მაშინ გერმანელ ქალიშვილს და მისი ხელი კვლავ ხელში ავიღე, — თქვენი ანგელოსური უმანკოება საშუალებას არ გაძლევთ დაინახოთ ჩემი ზომიერების, ჩემი გონიერების, ჩემი თავდაჭერილობის მთელი სიღრმე. თქვენ რომ ცოტა უფრო გამოცდილი იყოთ, წარმოდგენა რომ გქონდეთ, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინეთ ჩემზე თქვენი მშვენიერებით, მაშინ გეცოდინებოდათ, რად მიღირს მე დავკმაყოფილდე სენტიმენტალური ხელის მოჭერით, ან თქვენი ხელის კოცნით; მაშინ თქვენ გეცოდინებოდათ, მე რომ ჩემს ვნებათაღელვას გასაქანი მივცე, მე რომ განვთავისუფლდე ზომიერებისაგან და გონიერებისაგან, უბრალოდ დაგახრჩობდით ხვევნით...

ეს ეპიზოდიც და აზრებიც „შადრევანის ჩახშობის" შესახებ მე გამახსენდა იმ მითქმამოთქმის გამო, რაც გამოიწვია ჩემმა უკანასკნელმა ფელეტონმა. ბატ. მოიჯარადრეები, სატელეფონო უწყების ტექნიკოსები, მაგიდის უფროსები, კომისრები და ა. შ. და ა. შ., რომლებიც აგერ უკვე მთელი კვირაა ყვირიან „შადრევანის ჩახშობის" და ჩვენი მისწრაფებების ალაგმვის აუცილებლობაზე, კარგს იზამდნენ, თუ ჩაუფიქრდებიან ზემოთ მოყვანილ სტრიქონებს. მეტსაც ვიტყვი: ნე მათ მორჩილად ვთხოვ გააკეთონ ეს... მაშინ შეიძლება მათ დაინახონ, რომ მე მეტისმეტად თავშეკავებული, ზომიერი და გონიერი ვიყავი, როცა მათი ხელი ავიღე ხელში...

• •

კმარა ამ საგანზე ლაპარაკი. გადავიდეთ უფრო მხიარულ სიუჟეტებზე, თუმცა სიმართლე რომ ითქკას, მე სრულებით არა ვარ ძხიარულ ხასიათზე.

ამას წინათ „ტიფლისსკი ვესტნიკში"[1] წავიკითხე გაზეთ „მშაკის"[2] მოწინავე სტატიების თარგმანები, სტატიებისა, სადაც პატივცემული რედაქცია გვაუწყებს, რომ რადგან არავითარი საშუალება არა აქვს იშოვოს ხელისმომწერლები. მან გადასწყვიტა მოიზიდოს ისინი 500, 300 და 200 მანეთიანი პრემიებით. სტატიაში ნათქვამია, რომ „ხელისმომწერლები მიიღებენ სამ პრემიას". მე კარგად ვერ გავერკვიე, თითეული ხელისმომწერი მიიღებს სამ პრემიას, თუ პატივცემულ გაზეთს ეყოლება სულ სამი ხელისმომწერი, რომელთაგან პირველი მიიღებს 500, მეორე 300 და მესამე 200 მანეთს. როგორც ვრთ, ასევე მეორე შემთხვევაში ძალზე ხელსაყრელია „მშაკის" ხელისმომწერი გახდე და მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ბევრი მკითხველი არ დააყოვნებს ისარგებლოს შემთხვევით, რათა დახარჯოს ათი მანეთი და მოიგოს ხუთასი. მაგრამ რა უნდა ვქნათ

მაშინ, თუ ამ პროექტის ქვეშ იმალება ჩვეულებრივი ლატარია და თუ ეს სიზმარი იმის მომასწავებელია, რომ ყველა ხელისმომწერი კი არ მიიღებს პრემიას, არამედ გამდიდრდებიან მხოლოდ ბრმა ფორტუნისაგან განებივრებულნი? ყოველ შემთხვევაში, სანამ „მშაკის" ხელისმომწერი გავხდები, დაველოდები უფრო დეტალურ განცხადებას, სადაც ახსნილი იქნება ტირაჟის წესები, თუ კი ასეთ რამეს ადგილი უნდა ჰქონდეს...

მაგრამ თუ სხვა რამეა და არა ლატარია, მაშინ, ვიცნობ რა ადამიანის გულს, მე ჩემს თავს ნებას მივცემ ვურჩიო პატივცემულ რედაქტორ არწრუნს შეიტანოს ერთი ცვლილება პრემიების მინიჭების პირობაში. დაე, სამი პრემიის ნაცვლად დააწესოს მხოლოდ ერთი, მაგრამ დიდი, თუხდაც ათასი მანეთის რაოდენობით. ასეთი დიდი თანხის მოგების მსურველი კიდევ უფრო მეტი მოინახება...

ბიყვარს და ვაფასებ რა ყველა გრანდიოზულ და გენიალურ აღმოჩენას, მე, ჩემდაუნებურად, უნდა დავაფასო ბატ. არწრუნის ეს ბრწყინვალე აზრი. მთელ მსოფლიოში მან პირველმა მოახერხა ლიტერატურის დაკავშირება ლატარიასთან და გაზეთის რედაქცია გადააქცია ჰამბურგის კანტორების სუკურსალად. თავის სიღრმით და უბრალოებით გვხიბლავს ის აზრი, რომ ხელისმომწერთ, ქვითრების ნაცვლად, ლატარიის ბილეთები დაურიგდებათ. გარდა ამისა, ეს აზრი, აგრეთვე, საზოგადოების ფენების და ჩვენი დროის საფუძვლიან ცოდნაზეც მეტყველებს. სთქვით ამის შემდეგ, რომ ჩვენ ემპირიულ სამყაროში დავფრინავთ!

სხვათაშორის, ორი რამ მაკვირვებს და მაკვირვებს საკმაოდ საფუძვლიანად.

ჯერ ერთი, ბატ. არწრუნი თავის გაზეთს აგერ უკვე შვიდი წელია უშვებს. რატომ იმთავითვე არ დაებადა მას ასეთი ბრწყინვალე აზრი და მხოლოდ მაშინ წარმოიშვა იგი მის გონებაში, როცა მემკვიდრეობით მშობლისაგან ცნობილი ქარვალსა მიიღო? ორში ერთია: მემკვიდრეობის მიღებამდე იგი ან მოუსაზრებელი იყო და თვალი მხოლოდ მას შემდეგ აეხილა, მას შემდეგ ჩასწვდა ადამიანურ სისუსტეს, როცა უშუალოდ შეეხო სიმდიდრეს, ანდა იგი მანამდე მალავდა აზრს ლატარიის შემოღების შესახებ, სანამ განხორციელების საშუალება არ მიეცა... ორივე შემთხვევაში სამწუხაროა ის ამბავი, რომ მან „მშაკის" გამოცემამდე არ მიიღო მემკვიდრეობა...

მეორეც, მე არ მესმის, რისთვის დასჭირდა ბატ. არწრუნს ასეთი... ულამაზო საშუალებების გამონახვა თავის გაზეთის პროპაგანდისათვის, როცა მან აღმოაჩინა უფრო იაფი, მოხერხებული და

ზელსაყრელი საშუალება საერთოდ ყოველგვარი გამოცემის წარმატებათა გასამტკიცებლად. იმის გამო, რომ მის მიერ აღმოჩენილ საიდუმლოებას შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს მთელ პერიოდულ პრესას, მე ჩემს თავს უფლებას ვერ მივცემ დავუმალო ეს ამბავი ჩემს ლიტერატურულ თანამოძმეებს.

თავის საიდუმლოება ბატ. არწრუნმა, „მშაკის" ერთ-ერთ უკანასკნელ ფელეტონში, გაგვაცნო შემდეგი სახით:

მოგვითხრობს რა საკმაოდ ვრცლად ერთი სადილის ამბავს, რომლის შესახებაც ჯერჯერობით ჩვენ უფლება არა გვაქვს ვილაპარაკოთ, ფილოსოფიის პატივცემული დოქტორი სრულიად უმიზეზოდ ამბობს: „ჩვენ დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ სადილის შემდეგ, როცა ყავას ვსვამდით, სტუმართა ერთ წრეში დაიწყო კამათი: რატომ აქვს გაზეთ „ობზორს"[38] მეტი წარმატება, ვიდრე „ტიფლისსკი ვესტნიკს"? ხანგრძლივი კამათის შემდეგ ყველა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ობზორის" წარმატების მიზეზი დიდი ფორმატია, ხოლო „ტიფლისსკი ვესტნიკის" წარუმატებლობის — პატარა.

მე არ ვეკუთვნი იმ პირთა რიცხვს, რომლებიც წარმატებას აფასებენ. მე ძალიან კარგად ვიცი, რომ ბევრი პატივცემული გამოცემა, ძართლაც კეთილსინდისიერი, გონიერი და სასარგებლო, ხშირად ვერ აღწევს წარმატებას და, ამავე დროს, არა ნაკლები რაოდენობა უვარგისი და უსარგებლო გამოცემებისა სწრაფად იყიდება. მაგრამ რადგან მე ვერავინ დამადანაშაულებს იმაში, რომ ბრბოს დაბალი ვნებების გაღვივების გზით ვეძებდე წარმატებას, თუნდაც ლატარიის, ან ნაციონალური შოვინიზმის მგრძნობიარე სიმზე დაკვრის, ანდა, ბოლოს, დუმილის იმ სათნოებათა დანერგვის გზით, როცა სისტემატურად გვერდს უვლიან ყველაფერს, რაც აღიზიანებს ხალხს, ან გავლენიან და მდიდარ პირებს, მე ჩემს მხრივ ძალიან მახარებს „ობზორის" წარმატება, რაც დაამოწმა „მშაკმა". ეს ამბავი იმიტომ უფრო მახარებს, რომ თვითონ „მშაკი", ჯერ კიდევ „ობზორის" დაბადებამდე, ტყავს იძრობდა იმის დასამტკიცებლად, რომ ამ გაზეთს არავითარი წარმატება არ ექნება, რადგან თბილისში უკვე არსებობს ორი ყოველდღიური რუსული გაზეთიო. იგი ამასვე ამტკიცებდა „ობზორის" გამოსვლის შემდეგაც და საბუთად ის მოჰქონდა, რომ ჩვენ გაზეთში არ იბეჭდება ადგილობრივი ცნობები, თუნდაც ამგვარი შინაარსისა: „ამ დღეებში მტკვარს მიქონდა ნაციონალურ კოსტუმში გამოწყობილი უცნობი პირის გვამი".

ამგვარად, მე მახარებს „ობზორის" წარმატება და მახარებს კიდევ უფრო იმიტომ, რომ არავის არ შეუძლია ეს წარმატება მიაწეროს რაიმე ბინძურ საშუალებას, როგორც „მშაკი" გვარწმუნებს,

ამას ხსნიან იმით, რომ „ობზორის“ ფორმატი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე „ტიფლისსკი ვესტნიკის“. სწორედ ესაა საიდუმლოება, რომელიც ბატ. არწრუნმა აღმოაჩინა.

არ მეპარება რა ეჭვი არც ბატ. არწრუნის და არც იმათ შორის-მკვლეველობაში, რომლებიც ყავის სმის დროს კამათობდნენ, მე მოვმართავთ თქვენ, მეგობრებო, სატახტო ქალაქის, პროვინციის რუსული და ადგილობრივი გაზეთებისა და ჟურნალების გამომცემლებს და გირჩევთ გამოიყენოთ ბატ. არწრუნის აღმოჩენა, და ამ გზით მიაღწიოთ წარმატებას, რაც არ შეიძლება არ სურდეს ყოველ მწერალს და განსაკუთრებით ყოველ გამომცემელს. დაბეჭდეთ თქვენი გამოცემები „ობზორის“ ფორმატის ქაღალდზე. დაბეჭდეთ თუნდაც ამ გასეთის ფორმატზე უფრო ფართო ზეწრებზე და უთუოდ მიაღწევთ წარმატებას. მაშინ თქვენ არ დასჭკნებით ხელისმომწერთა და მკითხველთა ლოდინში და, რაც მთავარია, არ დაგჭირდებათ გამოიყენოთ ისეთი უბრალო და საშიში საშუალება, როგორიცაა ლატარეა, ან ბრბოს დაბალი და მავნე ინსტიქტების წაქეზება..

შენიშვნები

კომენტარები

სახელთა საძიებელი

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები

წინამდებარე ტომში მოთავსებული სტატიები ავტორის მიერ გამოქვეყნებული იყო 1877 წელსა და 1878 წლის იანვარ-მაისის თვეებში.

1877 წელს ნ. ნიკოლაძე თანამშრომლობას აგრძელებდა გაზეთ „დროებასა“ და „ტიფლისსკი ვესტნიკში“, განსაკუთრებით ამ უკანასკნელში. 1877 წლის აპრილში ნ. ნიკოლაძე რუსეთ-თურქეთის ომის კავკასიის ფრონტზე გაემგზავრა, როგორც ჰავასის სააგენტოსა და „ტიფლისსკი ვესტნიკის“ სპეციალური სამხედრო კორესპონდენტი. გაზეთ „ტიფლისსკი ვესტნიკს“ ნ. ნიკოლაძე ფრონტიდან აწვდიდა მეტად საინტერესო სტატიებს საერთო სათაურით „Походныя письма“ (12 წერილი) და „Походный дневник“ (3 წერილი). ამათგან ნ. ნიკოლაძისეულად დღემდე ცნობილი იყო პირველი სერიის („Походныя письма“) ცხრა სტატია, ხოლო მეორე სერიის („Походный дневник“) წერილების ავტორობა მხოლოდ ახლა გაირკვა, როცა გაზეთ „კავკაზში“ მივაკვლიეთ ნ. ნიკოლაძის წერილს („Письмо к редактору „Кавказ“), რომელიც ამავე ტომში ქვეყნდება (სტატია № 14).

1877 წლის ივნისიდან ნ. ნიკოლაძე წყვეტს გაზეთ „ტიფლისსკი ვესტნიკთან“ ურთიერთობას და თავს ანებებს მის სპეც. კორესპონდენტობას. მაგრამ, იმავე წლის სექტემბრიდან ოქტომბრის პირველ რიცხვებამდე, ნ. ნიკოლაძეს კვლავ ბრძოლის ფრონტზე ვხედავთ, როგორც გაზეთ „გოლოსის“ სამხედრო კორესპონდენტს, რომელმაც ამ თანამდებობაზე შეცვალა გ. კ. გრადოვსკი.

„გოლოსის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ნ. ნიკოლაძის წერილების დადგენაში დიდად დაგვეხმარა გაზეთ „კავკაზში“ მოთავსებული ნ. ნიკოლაძის მეორე წერილი („Письмо к редактору“), რომელიც ამავე ტომში იბეჭდება (სტატია № 16). „გოლოსში“ ნ. ნიკოლაძის წერილები ქვეყნდებოდა საერთო რუბრიკის („Военный отдел“) ქვეშ. აქ მას გამოუქვეყნებია თორმეტი წერილი, რომელთაგან ათი ყარაიალის ბანაკიდანაა გამოგზავნილი, ორიც —

ვიზინკეიდან. ხელმოწერა მხოლოდ უკანასკნელ სტატიას აქვს, დანარჩენები — ხელმოუწერელია. აღნიშნულ წერილებს ჩვენი მკითხველი პირველად გაეცნობა და უფრო სრული წარმოდგენა შეექმნება ნ. ნიკოლაძის როგორც სამხედრო კორესპონდენტის მოღვაწეობაზე.

1878 წლის პირველი იანვრიდან ნ. ნიკოლაძე საკუთარ ორგანოს, გაზეთ „ობზორს" რედაქტორობდა. ამიტომ, ტომში შესული 1878 წლის (იანვარ-მაისის) ყველა წერილი „ობზორიდანაა" თარგმნილი. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ყველაზე მეტი მუშაობა სწორედ ამ წერილების დადგენამ მოითხოვა; მათი დიდი უმრავლესობა ხელმოუწერელია და მრავალგზის შესწავლასა და შემოწმებას საჭიროებდა.

გაზეთ „დროებაში" გამოქვეყნებული ექვსი სტატიის გარდა, ტომში შესული ყველა სტატია თარგმნილია რუსულიდან. თარგმანი ეკუთვნის გივი მაღულარიას, გარდა მეცამეტე და მეთხუთმეტე სტატიებისა, რომლებიც ვლადიმერ ანთელავამ თარგმნა.

* * *

1. **ჩვენი წელი** — დაიბეჭდა 1877 წლის „კავკასსკი ალმანახში", სათაურით „Наш год".

2. **საახალწლო გოდება** — დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში" 1877 წელს (2—I, № 1).

3. **გაფრთხილება** — დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში" 1877 წელს (16—I, № 6).

4. **ცოტა კიდევ** — დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში" 1877 წელს (16—I, № 6).

5. **სირაჯ-პოეტი** — დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში" 1877 წელს (16—II, № 18).

6. **„ივერიის" პირველი ნომერი** — დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში" 1877 წელს (6—III, № 26).

პოლიტიკური მდგომარეობა — დაიბეჭდა გაზეთ „ტიფლისსკი ვესტნიკში" 1877 წელს (3—III, № 65), სათაურით — „Политическое положение". ცენზორის მიერ ამოღებული ადგილები აღდგენილია ავტორის არქივში დაცული დედნიდან.

8. **საკვირაო** — დაიბეჭდა გაზეთ „ტიფლისსკი ვესტნიკში" 1877 წელს (3—IV. № 68), სათაურით „На воскресенье".

9. **ომი თუ იქნა** — დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში" 1877 წელს (3, 6—IV, № 36, 37). აღნიშნული სტატია ხელახლა გადაბეჭდა თი-

თქმის ყველა ქართულმა ჟურნალმა და გაზეთმა 1914 წლის ნოემბერში მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით.

10. კალმის კაპრიზები — იბეჭდება პირველად, ავტორის არქივში (10—15) დაცული დედნის მიხედვით.

11. საკვირაო — დაიბეჭდა გაზეთ „ტიფლისსკი ვესტნიკში" 1877 წელს (19—IV, № 73), სათაურით — „На воскресенье".

12. წერილები ბრძოლის ველიდან — დაიბეჭდა გაზეთ „ტიფლისსკი ვესტნიკში" 1877 წელს (27—IV, 8, 10, 12, 14, 26, 23, 29, 31—V, 1, 3, 4—VI, №№ 87, 96, 97, 99, 101, 110, 112—115, 117, 118), სათაურით — „Походныя письма".

13. ლაშქრობის დღიურები — დაიბეჭდა „ტიფლისსკი ვესტნიკში" 1877 წელს (18, 19, 25—V, №№ 130, 131, 136), საერთო სათაურით — „Походный дневник".

14. წერილი გაზეთ „კავკაზის" რედაქტორს — დაიბეჭდა გაზეთ „კავკაზში" 1877 წელს (8—VII, № 135), სათაურით — „Письмо к редактору газеты „Кавказ".

15. წერილები კვლავ ბრძოლის ველიდან — ამ სათაურის ქვეშ წარმოდგენილია ის წერილები, რომლებიც ავტორმა გამოაქვეყნა გაზეთ „გოლოსის" ფურცლებზე, როგორც მისმა სამხედრო კორესპონდენტმა, 1877 წელს (27, 28, 29, 30—IX, 12, 13, 16, 20, 21, 23—X, 1, 2, 7—XI, №№ 216, 217, 218, 231, 232, 235, 239, 240, 242, 251, 252, 257).

16. წერილი რედაქტორს — დაიბეჭდა გაზეთ „კავკაზში" 1877 წელს (30—X, № 219), სათაურით — „Письмо к редактору"

17. „ობზორის" დანიშნულება — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1878 წელს (1—I, № 1), სათაურით — „Назначение „Обзора".

18. პირველად — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1878 წელს (1—I, № 1), სათაურით — „На первый раз".

19. ნ. ა. ნეკრასოვი — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1878 წელს (3—I, № 2), სათაურით — „Н. А. Некрасов".

20. ომი თუ მშვიდობა? — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1878 წელს (3—I, № 2), სათაურით — „Война или мир"?

21. მოლაპარაკება — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1878 წელს (4—I, № 3), სათაურით — „Переговоры".

22. ახალი თაობა — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1878 წელს (4—I, № 3), სათაურით — „Капризы пера".

23. სამხედრო საქმეების საჯაროდ გამოტანა — დაიბეჭდა გა-

ზეთ „ობზორში“ 1878 წელს (5—I, № 4), სათაურით — „Военная гласность“.

24. თბილისის საბჭოს ფიზიონომია — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (5, 6—I, №№ 4, 5), სათაურით —„Физиономия Тифлисской думы“.

25. ადგილობრივი მიმოხილვა — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (5 — I, № 4), სათაურით „Местный обзор“.

26. ადგილობრივი მიმოხილვა — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (8—I, № 6), სათაურით — „Местный обзор“.

27. უცხოეთის ამბები — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (9—I, № 7), სათაურით — „Иностранныя новости“.

28. რიუსტოვის აზრი თანამედროვე ომზე — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (9—I, № 7), სათაურით —„Мнение Рюстова о нынешней войне“.

29. ინგლისის ორმაგი თამაში — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (10—I, № 8), სათაურით —„Двойная игра Англии“.

30. პრესის მიმოხილვა — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (10—I, № 8), სათაურით — „Обзор печати“.

31. ინგლისის ჩარევა — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (15—I, № 13), სათაურით — „Вмешательство Англии“.

32. ადგილობრივი მიმოხილვა — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (16—I, № 14), სათაურით — „Местный обзор“.

33. ერზერუმი — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (18—I, № 16), სათაურით — „Эрзерум“.

34. ადგილობრივი მიმოხილვა — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (18—I, № 16), სათაურით — „Местный обзор“.

35. მოლაპარაკება ზავის შესახებ — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (19—I, № 17), სათაურით — „Переговоры о мире“.

36. ოფიციალური ცნობა ბრძოლის ველიდან — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (20—I, № 18), სათაურით — „Официальное известие о театре военных действий“.

37. ადგილობრივი მიმოხილვა — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (20—I, № 18), სათაურით — „Местный обзор“.

38. კავკასიის ასენიზაცია — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (20—I, № 18), სათაურით—„Ассенизация Кавказа“.

39. საკვირაო საუბრები — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (22 — I, № 20), სათაურით — „Воскресные беседы“.

40. პატარა გაუგებრობა — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (23—I, № 21), სათაურით—„Маленькое недоразумение“.

41. რედაქციისაგან — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (24—I, № 22), სათაურით — „От редакции“.

42. დაზავებასთან დაკავშირებით — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (25—I, № 23), სათაურით — „По поводу перемирия“.

43. ბათუმი, ფოთი, სოხუმი — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს, სამ წერილად (26, 27—I, 13—II, №№ 24, 25, 42), სათაურით — „Батум, Поти, Сухум“.

44. ადგილობრივი მიმოხილვა — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (27—I, № 25), სათაურით — „Местный обзор“.

45. საზღვარგარეთის ახალი ამბები — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (27—I, № 25), სათაურით — „Иностранныя новости“.

46. ადგილობრივი მიმოხილვა — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (28—I, № 26), სათაურით — „Местный обзор“.

47. გაზეთებიდან — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (30—I, № 28), სათაურით — „Список делам, подлежащим рассмотрению Думы на 30 января 1878 г.“.

48. ლაშქრული ცხოვრების სურათი — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს ორ წერილად (31—I, 16—II, №№ 29, 45), სათაურით — „Картинка походной жизни“. პირველ წერილთან ახლავს შენიშვნა: „Под этим названием будет помещен ряд фельетонов, с целью ознакомить читателей с бытовой стороною, мало описанною первой половины компании нашей на М. Аз. театре войны“.

49. ბ-ნი კუვშინსკი და სემინარიის წესრიგი — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (1—I, № 30), სათაურით — „Г. Кувшинский и семинарские порядки“.

50. მოწინააღმდეგენი კონსტანტინეპოლში — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (3—II, № 32), სათაურით „Противники в Константинополе“.

51. საკვირაო საუბრები — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (5—II, № 34, სათაურით — „Воскресные беседы“.

52. კიდევ ადგილობრივი პრესის შესახებ — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (14—II, № 43), სათაურით — „Еще о туземной печати“.

53. ადგილობრივი მიმოხილვა — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (14—II, № 43), სათაურით — „Местный обзор“.

54. ისევ ადგილობრივი პრესის შესახებ — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (17—II, № 46), სათაურით — „Снова о туземной печати“.

55. ადგილობრივი პრესის თანმიმდევრობა და ჩვევები — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (18—II, № 47), სათაურით — „Последовательность и нравы туземной печати“.

56. საკვირაო საუბრები — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (19—II, № 48), სათაურით — „Воскресные беседы“.

57. ბიბლიოგრაფია — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (4—III, № 60), სათაურით — „Библиография“.

58. ინგლისის სამხედრო საშუალებები — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (4—III, № 60), სათაურით — „Военные средства Англии“.

59. რედაქციისაგან — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (9, 13, 16—III, №№ 65, 69, 72), სათაურით — „От редакции“.

60. საკვირაო საუბრები — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (19—III, № 75), სათაურით — „Воскресные беседы“. სტატია საკმაოდ დამახინჯებულად გამოქვეყნებულა, რის გამო რედაქცია საგანგებო შენიშვნას აკეთებს შემდეგ ნომერში დაბეჭდილ სტატიის „Восточная война 1877 г.“ სქოლიოში.

61. კავკასიის უნივერსიტეტი — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (22—III, № 78), სათაურით — „Кавказский университет“.

62. ქარიშხლის წინ — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (25—III, № 81), სათაურით — „Накануне грозы“.

63. დაწყევლილი საკითხები — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (26—III, № 82), სათაურით — „Проклятые вопросы“.

64. რედაქციისაგან — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (2—IV, № 89), სათაურით — „От редакции“.

65. სადღეისო ჭირ-ვარამი — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (2—IV, № 89), სათაურით — „Злоба дня“.

66. ქალბატონ ზასულიჩის გამართლება — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (5—IV, № 92), სათაურით — „Оправдание г-жи Засулича“.

67. ომის სისტემის შესახებ მცირე აზიაში — დაიბეჭდა გაზეთ

„ობზორში“ 1878 წელს სამ წერილად (5, 6, 7—III, №№ 92, 93, 94), სათაურით — „О системе войны в Малой Азии“.

68. ჩემი „პირადი ანგარიშები“ ბ. ღოღობერიძესთან — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (9—IV, № 96), სათაურით — „Мои „личные счеты“ с В. Гогоберидзе“.

69. საზოგადოების სწავლული ექსპლოატატორები — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (13—IV, № 100), სათაურით — „Ученые эксплоататоры общества“.

70. შავი ზღვის კავკასიის სანაპირო — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (23—IV, № 107), სათაურით — „Кавказский берег Черного моря“.

71. ქუთაისის ბანკის საქმეები — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (24—IV, № 108), სათაურით — „Дела михайловского земельного банка в Кутаисе“.

72. მწუხარე მრეწველობა — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (27—IV, № 111), სათაურით — „Скорбная промышленность“.

73. ბ-ნ ღოღობერიძის ხროვის პოლემიკური ხერხები — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (7—V, № 121), სათაურით— „Полемические приемы клики г. Гогоберидзе“.

74. რედაქციისაგან — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (12—V, № 125), სათაურით — „От редакции“.

75. ქუთაისის საადგილმამულო ბანკის ანგარიში — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (13—V, № 126), სათაურით — „Отчет михайловского земельного банка в Кутаисе“.

76. საკვირაო საუბრები — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (14—V, № 127), სათაურით — „Воскресныя беседы“.

77. ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დამაარსებელთა საერთო კრება — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს სამ წერილად (17, 18, 19—V, №№ 130, 131, 132), სათაურით — „Общее собрание учредителей михайловского земельного банка в Кутаисе“

78. ადგილობრივი მიმოხილვა — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (20—V, № 133), სათაურით — „Местный обзор“.

79. საბოლოო სიტყვა — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (21—V, № 134), სათაურით — „Заключительное слово“.

80. საზოგადოების ახალი ფენები — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორ-

ში“ 1878 წელს (21—V. № 134). სათაურით — „Воскресныя беседы“.

81. სენატის მიერ „ტიფლისსკი ვესტნიკის“ რედაქტორის გამართლება — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (26—V, № 138), სათაურით — „Оправдание сенатом редактора „Тифлисского вестника“.

82. საკვირაო საუბრები — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (29—V, № 141), სათაურით — „Воскресныя беседы“.

კომენტარები

1. „ტიფლისსკი ვესტნიკ“ («Тифлисский Вестник»)—პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი, რომელიც გამოდიოდა 1873—1882 წლებში. გაზეთის დამაარსებელი და რედაქტორი იყო ა. ბებუთოვი. გაზეთის დაარსებასა და მის შემდგომ მუშაობაში მეტად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ნ. ნიკოლაძე, რომელმაც მხოლოდ 1877 წელს გაწყვიტა მასთან კავშირი.

2. პრეისიშ-ეილაუ — პრუსიის ქალაქი, ამჟამად ბაგრატიონოვსკი, 1807 წლის 7—8 თებერვალს აქ მოხდა სისხლისმღვრელი ბრძოლა ნაპოლეონ პირველისა და რუსეთის ჯარებს შორის.

3. „კავკაზ“ («Кавказ») — რუსული გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1846—1918 წლებში. პირველად იგი გამოდიოდა როგორც კერძო გამოცემა, ხოლო შემდეგ — როგორც ოფიციოზი. გაზეთის პირველი რედაქტორ-გამომცემელი იყო ო. კონსტანტინოვი (1846—1851 წწ.), შემდეგში კი—ნ. სლივიცკი (1852—1853 წწ.), ვერდეროვსკი (1855—1856 წწ.), 1856 წლის ბოლოს იგი შეცვალა ნ. ბერძენოვმა, ბობილევი (1857 — 1863 წწ.), ე. შვარცი (1864 — 1867 წწ.), პ. სლივიცკი (1868—1871 წწ.), ე. სტალინსკი (1872 1876 წწ.), ნ. ვორონოვი და დ. კოშიაკოვი (1877—1881 წწ.), დ. ერისთავი (1882—1884 წწ.) და სხვ.

4. «Печально я гляжу на наше поколенье» — ტაეპი მოტანილია მ. ი. ლერმონტოვის ლექსიდან «Дума» (1838 წ.).

5. ნინა ანდრეევსკაია — მ. ვორონცოვის პირადი ექიმის ქალიშვილი, ცოლისდა გ. შერვაშიძის, დაახრჩვეს მტკვარში, რაც დაბრალდა დ. ჩხოტუას; სასამართლო პროცესი ძალიან გახმაურდა, ბევრი იწერებოდა გაზეთებში და ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებები გამოითქვა..

6. მხედველობაში აქვს მაჭახელაძის (ალექსანდრე ჭყონიას) სტატია — „საბაასო. უფ. ნიკოლაძეს“ (გაზ. „დროება“, 1877 წ., №№ 2, 3), რომელსაც აწერია: „პარიჟი (27) 15 ნოემბერი“.

„დროება“ — საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი, გამოდიოდა 1866—1885 წლებში; 1866—1874 წლებში—კვირაში ერთხელ, 1875—1876 წლებში — კვირაში სამჯერ, 1877—1885 წლებში — ყოველდღიურად.

გაზეთს რედაქტორობდნენ: გ. წერეთელი (1866 წ. 1869 წ. 10 აპრ.), ს. მესხი (1869 წ. 11 აპრ.—1873 წ.), კ. ლორთქიფანიძე (1873 წ. 8 ოქტ. — 1874 წ. 4 ოქტ.)), ს. მესხი (1874 წ. 4 ოქტ.—1880 წ.). ი. ჭავჭავაძე და ს. მესხი (1880 წ. — 1881 წ.), ს. მესხი (1882 წ.). ივ. მაჩაბელი (1883 წ. — 1885 წ.).

8. „ივერია“ — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი, გამოდიოდა 1877—1906 წლებში; 1877—1878 წწ.—კვირაში ერთხელ, 1879 წელს — როგორც ყოველთვიური ჟურნალი, 1880 წ. — როგორც სამთვიური ჟურნალი, 1881—1885 წწ. — როგორც ყოველთვიური ჟურნალი, 1886—1906 წწ. — როგორც ყოველდღიური გაზეთი.

„ივერიის“ დამაარსებელი და რედაქტორი 1901 წლამდე იყო ილია ჭავჭავაძე, რომელთანაც ერთად, 1881 წელს, ჟურნალს რედაქტორობდა ს. მესხი, ხოლო 1882—1884 წლებში—ი. მაჩაბელი. 1901 წლის დეკემბრიდან 1903 წლის ივლისამდე გაზეთს რედაქტორობდა ალ. სარაჯიშვილი, 1903 წლის ივლისიდან 1905 წლამდე—გრ. ყიფშიძე, ხოლო 1905—1906 წლებში—ფ. გოგიჩაიშვილი.

9. მხედველობაში აქვს ილია ჭავჭავაძის ყოფნა საადგილმამულო ბანკის დირექტორის თანამდებობაზე.

10. **მიკირტუმ გასპარიჩი** — გ. ერისთავის ცნობილი კომედიის „გაყრის“ პერსონაჟი, — ვაჭარი, მევახშე-პირველდამგროვებელი.

11. მხედველობაში აქვს ილია ჭავჭავაძის საპროგრამო შინაარსის სტატიები („ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვის „შეშლილის“ თარგმნაზედა“ და „პასუხი“), რომლებიც „ცისკარში“ გამოქვეყნდა 1861 წელს.

12. **„საქართველოს მოამბე“** — სალიტერატურო ჟურნალი, რომელიც დააარსა ი. ჭავჭავაძემ და მისივე რედაქტორობით გამოდიოდა 1863 წელს. სულ გამოვიდა 12 ნომერი.

„საქართველოს მოამბემ“ უდიდესი როლი შეასრულა ჟურნალ „ცისკრის“ გარშემო დარაზმულ კონსერვატორ-ლიბერალთა წინააღმდეგ ბრძოლასა და ქართულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრების საქმეში.

13. **„ნედელია“** («Неделя») — ყოველკვირეული ლიბერალურ-ხალხსნური პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი, გამოდიოდა

პეტერბურგში 1886—1901 წლებში. 1876 წელს გაზეთი გადავიდა ლიბერალი ხალხოსნის გაიდებუროვის ხელში. გაზეთი არ იზიარებდა რევოლუციური ბრძოლების აუცილებლობას.

14. გულისხმობს ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც თავის „გამოცანებში“ „ახლისა და ძველის შუა... ჩატეხილი ხიდი“ უწოდა ბესარიონ ღოღობერიძეს, ხოლო „მსუნაგი და ტრაბახა“ — პლ. იოსელიანს.

15. **„ცხოვრება და კანონი“** — ილია ჭავჭავაძის ცნობილი სოციალ-პოლიტიკური ხასიათის ნარკვევი, დაიბეჭდა „ივერიაში“ (1877 წ. №№ 1, 2, 3, 4, 6; 1879 წ. №№ 1, 2, 3; 1881 წ. № 1).

16. **„კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“** — ილია ჭავჭავაძის ფელეტონი, რომელიც დაიბეჭდა „ივერიის“ პირველ ნომერში 1877 წელს.

17. **„ქალაქის სცენები“**, რომლის პირველი ნაწილი დაიბეჭდა „ივერიაში“, ეკუთვნის ანჩისხატისუბნელს (ბ. უმიკაშვილს).

18. **„სოვრემენნიე იზვესტია“** («Современные известия») — პოლიტიკური, საზოგადოებრივი, საეკლესიო, სამეცნიერო, ლიტერატურული და მხატვრული ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა მოსკოვში 1867 წლის 1 დეკემბრიდან 1887 წლის 21 ოქტომბრამდე, რედაქტორობდა ნ. ბ. გილიაროვა-პლატონოვა, რომელიც გაზეთის ორ განყოფილებას (შინაურ და საზღვარგარეთის ამბებს) მხოლოდ თვითონ ადგენდა.

19. **გოროდნიჩი** — გოგოლის ცნობილი კომედიის „რევიზორის“ პერსონაჟი, — მექრთამე და გაიძვერა, თვითნება მმართველი და უფროსთა შეცდომაში შემყვანი.

20. **„ბირჟევია ვედომოსტი“** («Биржевыя ведомости») — ბურჟუაზიული მიმართულების პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული გაზეთი, რომელიც დაარსდა „კომერციული გაზეთის“ («Комерч. газета») და „აქციონერთა ჟურნალის“ («Журнал для акционеров») გაერთიანების საფუძველზე 1861 წელს; გამოდიოდა პეტერბურგში. მისი პირველი რედაქტორ-გამომცემელი იყო კ. ვ. ტრუბნიკოვი. გაზეთმა გამოსვლა შეწყვიტა 1917 წლის ოქტომბრიდან.

21. **ხლესტაკოვი** — გოგოლის ცნობილი კომედიის „რევიზორის“ მთავარი პერსონაჟი, — ქარაფშუტა, ტრაბახა, მღლაუბე და მექრთამე.

22. **„პრავიტელსტვენნი ვესტნიკ“** («Правительственный Вестник») — ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში

1869 — 1917 წლებში, გამოხატავდა მთავრობის ოფიციალურ თვალსაზრისს.

23. თავისი შეხედულება პრუდონზე ნ. ნიკოლაძეს გამოთქმული აქვს სტატიაში — „პ. ჟ. პრუდონი" (იხ. ტ. I, გვ. 230—245).

24. **ათანას ივანიჩი** — ნ. ვ. გოგოლის მოთხრობა „ძველი დროის მემამულეების" («Старосветские помещики») — მთავარი პერსონაჟი, რომლის ინტერესები არ ცილდებიან ჭამასა და საკუთარი ეზოს ფარგლებს; ტიპიური წარმომადგენელი პრიმიტიული, დრომოჭმული ბატონყმური ყოფისა.

25. Attention, messieurs, ne bougeons plus (ფრანგ.)—ყურადღება, ბატონებო, ნუღარ გავინძრევით!

26. Enfant terrible (ფრანგ.) — მოუსვენარი, დაუდეგარი ბავშვი.

27. et tutti quanti (იტალ.) — და ასე შემდეგ; და ყველაფერი სხვა; და სხვა.

28. მხედველობაში აქვს არდაგანიდან ექვს და რვა მაისს გამოგზავნილი დეპეშები, რომლებიც დაბეჭდილია გაზეთ „ტიფლისსკი ვესტნიკში" (1877 წ. №№ 96, 98).

29. მხედველობაში აქვს არდაგანიდან რვა მაისს გამოგზავნილი დეპეშა (გაზ. „ტიფლისსკი ვესტნიკი", 1877 წ., № 98), რომელშიც ნათქვამია: «Генерал-адъютант Лорис-Меликов образовал уже гражданское управление... Правителем области назначен генерал Попко».

30. **როსინანტი** — სერვანტესის ცნობილი რომანის „დონ კიხოტის" მთავარი გმირის დონ კიხოტის ცხენის სახელი, რომელიც მან ორი სიტყვისაგან შეადგინა: რ ო ს ი ნ—ჯაგლაგი და ა ნ ტ ე ს—წინათ. ნაწარმოებში ვკითხულობთ: დონ კიხოტი „დიდხანს იგონებდა სხვადასხვა სახელს, ზოგი დაიწუნა, ზოგი დაამოკლა, ათასნაირად გადააბრუნ-გადმოაბრუნა, კვლავ გამოიგონა და უარყო, ისევ დაძაბა მეხსიერება და გონებას ძალა დაატანა. და ბოლოს შეჩერდა რ ო ს ი ნ ა ნ ტ ზ ე, რადგან ეს სახელი უფრო დიდებული, უფრო ჟღეროვანი და მთელს ქვეყანაზე საუკეთესო ცხენისათვის უფრო შესაფერი მოეჩვენა"...

31. ფუტი — ზომის ერთეული, რომელიც უდრის დაახლოებით 30 სანტიმეტრს.

32. **„მშაკი"** (მშრომელი) — სომხური ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1872 — 1920 წლებში. მისი პირველი რედაქტორი (1872 — 1892 წწ.) იყო გრ. არწრუნი.

33. qui s'y frotte — s'y pique (ფრანგ.) — აყოლა არ ღირს.

34. metz la pucelle (ფრანგ.) — ქალწული მეცი.

35. le petit mot pour rire (ფრანგ.) — სასაცილო სიტყვები.

36. „ობზორ“ («Обзор») — პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი, რომელიც გამოდიოდა თბილისში ნ. ნიკოლაძის რედაქტორობით. იგი იყო პირველი ორგანო, რომელიც ოფიციალურად გამოდიოდა ნ. ნიკოლაძის რედაქტორობით. მის გამოცემაზე ზრუნვა ნ. ნიკოლაძემ ჯერ კიდევ 1870 წელს დაიწყო, მაგრამ მიზანს მხოლოდ 1877 წლისათვის მიაღწია.

1877 წლის ივლისში, როცა გაზეთ „ტიფლისსკი ვესტნიკთან“ უკვე კავშირი ჰქონდა გაწყვეტილი, ნ. ნიკოლაძემ თხოვნით მიმართა კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწეს სვიატოპოლკ-მირსკის მიეცათ მისთვის გაზეთ „ობზორის“ გამოცემის ნებართვა. თავისი თხოვნა და გაზეთის პროგრამა ნ. ნიკოლაძემ ასე ჩამოაყალიბა:

«Имею честь почтительно просить ходатайства вашего сиятельства перед е. в. кн. наместником кавказским о соизволении мне издавать в г. Тифлисе под моею же редакциею политическую и литературную газету «Обзор», по прилагаемой при сем программе. Ввиду же того, что подобные ходатайства мои двукратно были отклонены в 1870 и 1876 г.г., позволяю себе присовокупить к моей просьбе нижеследующее:

1) Цель, предзаданная мною означенному изданию заключается в доставлении местной читающей публике обстоятельного и осмысленного обзора современных событий. Всеобщий интерес к политическим и военным сведениям, охвативший все население России, плохо удовлетворяется беспорядочною перепечаткою разноречивых газетных известий, — чем до сих пор почти исключительно занимаются мелкие провинциальные издания. В самой России министерство внутренних дел, — в этих видах, начало щедро раздавать разрешения на издание ежедневных политических газет: В одном лишь Саратове сразу разрешены две такие газеты «Волга» и «Дневник». И если ходатайство мое будет уважено, я надеюсь сделать из «Обзора» солидное и полное издание, могущее дать местному обществу серьезную умственную пищу, а русской печати добросовестное и беспристрастное понятие о нашем крае.

2) Что я отнюдь не намерен основать успех своего издания

на раздувании местных скандалов, видно из того, что в моей программе местной хронике отведена совершенно третьестепенная роль, главное же внимание обращено в ней на общие вопросы.

3) Десятилетняя литературная деятельность моя на Кавказе служит нагляднейшим доказательством моей умеренности и безвредности. Кавказский цензурный комитет, которому лучше всех известно, какие статьи писаны мною, и какие другими, уже свидетельствовал об этом в прошлом году. Он может удостоверить, что в своей литературной деятельности я ни разу не разжигал пламенных страстей, не относился с систематическою враждебностью ни к одному из явлений нашей общественной жизни, и большею частью спокойно обсуждал экономические и литературные вопросы, бывшие у нас на очереди. Я и впредь твердо намерен держаться такого образа действий.

4) Отклонение моего ходатайства, не принося ни малейшей пользы правительству, наносит ущерб лишь мне лично и моей литературной репутации. Будучи лишен возможности быть ответственным распорядителем собственного издания, я принужден стать в зависимое отношение к чужим изданиям и содействовать успеху направлений, мною не разделяемых. А между тем, как правительство, так и читающее общество, возлагает на меня ответственность за чужие отзывы и суждения, приписывая мне статьи не только писанные мною, но идущие вразрез с моими воззрениями. В сущности, отклонение моего ходатайства, не лишая меня права писать и печатать свои статьи, устанавливает монополию в пользу издателей, отдавая на их эксплуатацию писателя, без всякой пользы для правительства.

5) Что же касается до подозрений, вызвавших отдачу мою под надзор полиции, то, ознакомившись с ними подробно лишь на днях, я имел возможность сказать и доказать, что три четверти этих подозрений абсолютно неверны и основаны лишь на непроверенных донесениях заграничных агентов. Я никогда не писал памфлетов, приписываемых мне: это можно доказать даже безграмотностью этих памфлетов; я никогда в жизни не

встречался с Бакуниным, не разделял его воззрений и всегда боролся против них. Никогда также я не мог сходиться для общих целей с г. Эльпидиным, просто из презрения к его личности и к его невежеству. Словом, я могу заверить честью, что в обвинениях, нагроможденных против меня агентами III отделения, нет ни слова правды, кроме лишь того, что я был знаком с г. Герценом, литературный талант которого я уважал наравне со всею Россиею, но против мнений которого я неоднократно высказывался перед ним лично и печатью. Этого, полагаю, слишком недостаточно, для лишения человека гражданских прав. Докладываю об этом вашему сиятельству вовсе не из желания выставить себя отменно благонамеренным. На многие общие вопросы я смотрю не с точки зрения господствующего направления.

Но основа моего собственного направления всегда заключалась и заключается в надежде добиться торжества своих воззрений единственно лишь путем убеждения и поднятия уровня образованности в обществе. Я всегда был верен этой основе, следовательно, можно решить, насколько неосновательны подозрения в солидарности с теми, кто всегда шел в разрез с этою основою, кто всегда ждал успеха от насильственных перемен.

Если, несмотря на все это, правительство признает невозможным дать мне просимое разрешение, то почтительно прошу ваше сиятельство исходатайствовать мне по крайней мере право отправиться на жительство в Петербург и за границу, где бы я мог зарабатывать себе средства к жизни своею литературною работою. При сем представляю также вид о моей личности». Николай Николадзе.

საკითხის გადაწყვეტის მიზნით, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობას კავკასიის საცენზურო კომიტეტისაგან მოუთხოვია ნ. ნიკოლაძის პიროვნებისა და მოღვაწეობის დახასიათება. ამ უკანასკნელსაც, იმავე წლის აგვისტოში, წარუდგენია ნიჭიერი პუბლიცისტის მეტად საინტერესო, დახასიათება, რომელიც ბევრ საყურადღებო ცნობას შეიცავს:

«Бывший студент С.-Петербургского университета Николай Яковлев сын Николадзе в прошении, от 23 прошлого июля, поданном помощнику наместника кавказского, просит

ходатайства его сиятельства пред е. и. в. великим князем наместником о разрешении ему издавать в г. Тифлисе, под его же редакцией, ежедневно политическую и литературную газету под заглавием «Обзор», по программе, к прошению приложенной. По прошению сему затребовано заключение комитета.

Цензурный комитет, обсудив в заседании своем 8 сего августа настоящую просьбу и, сообразив все обстоятельства дела, нашел, что, как из дел комитета видно, Николадзе уже два раза обращался по начальству с просьбами о разрешении ему издавать в исходе 1870 г., газету «Обзор», а в сентябре 1876 г. сборник под заглавием «Капризы пера». По первой просьбе, ввиду сведений о Николадзе, имеющихся в Главном управлении и компрометирующих личность его, в. кн. наместник изволил признать невозможным допустить его к изданию каких бы то ни было журналов и газет, причем, бывший начальник Главного управления предложил комитету иметь бдительный надзор затем, чтобы литературная деятельность Николадзе не имела вредного влияния на издающиеся в ведении комитета журналы и газеты. Равным же образом его высочество не соизволил на вторичную просьбу Николадзе об издании сборника.

Ввиду сих распоряжений высшей власти комитет не считает себя вправе входить в рассмотрение вопроса о степени права Николадзе на издание газеты, вопроса, разрешение которого всецело зависит от усмотрения начальства. Во исполнение же возложенной на комитет обязанности следить за деятельностью Николадзе и ввиду затребованного заключения его по настоящей третьей просьбе Николадзе, комитет признает своим долгом высказать с полною ответственностью мнение свое о характере литературной деятельности Николадзе, служащей выражением его образа мыслей и личных убеждений. Литературные работы Николадзе продолжаются в ведении Кавказского цензурного комитета, без перерыва, уже целое десятилетие: он постоянно снабжал и снабжает своими статьями повременные издания на Кавказе, русские и грузинские и из долгого знакомства с его деятельностью комитет вынес то убеждение, что Николадзе по природным сво-

им способностям, литературной подготовке, знакомству с краем и умению обобщать вопросы общественного и чисто литературного характера и излагать их в общедоступной форме не имеет соперника в местной публицистике. По мнению комитета, на Кавказе более, чем где-либо в России ощущается, в интересах правительства и самого общества, настоятельная необходимость всестороннего обсуждения в местной прессе текущих вопросов экономических и других, но ни один из литературных деятелей края не в состоянии удовлетворить этой необходимости в такой степени, как Николадзе. Самые лучшие статьи этого рода в грузинских изданиях, а именно, в прекратившейся «Кребули» и «Дроэба», равно как и в «Тифлисском Вестнике» принадлежат перу Николадзе. Николадзе почти никогда не подписывает своей фамилии под своими статьями, а поэтому местная публика, да и самые издатели, в интересах своих изданий, нередко, как комитету известно, приписывали ему статьи, которых он не одобрял, или скандальным тоном которых он сам возмущался, и однако он, при своей зависимости от издателей, был лишен возможности представить дело в истинном свете. Хотя комитет не может утверждать, чтобы обвинения лежащие на прошлой жизни Николадзе, были лишены основания; хотя он не может сказать и того, чтобы в его, Николадзе, литературной деятельности на Кавказе не замечались увлечения и крайности, но комитет может засвидетельствовать то, что с течением времени и годами жизни талант Николадзе приобретает все больше и больше солидарности. Если же он когда нибудь мог держаться крайнего направления, то в доказательство того, что в последнее время он стал на спокойно-разумный и правильный путь, можно сослаться, между прочим, на две его статьи, из которых одна была помещена в «Тифлисском Вестнике» (1876 г. № 143), а другая появилась в «Дроэба» (1877 г. № 37), перед началом войны между Россиею и Турциею. В первой из этих статей по поводу смерти Бакунина, Николадзе с полным убеждением бичует явную пустоту как этого эмигранта, так ровно и всех его последователей; во второй же, разъясняя смысл и значение «Декларации Брюссельской конференции 27 августа 1874 г.», выработанной на началах, предло-

женных нашим государем, советует грузинскому населению в течение военных операций неуклонно держаться правил «Декларации» и заявить себя, как подобает истинным патриотам и верноподданным великого монарха.

По всем этим соображениям комитет полагает, что литературный орган под редакциею такого даровитого и опытного публициста, как Николадзе, был бы весьма полезен для обсуждения и разработки местных вопросов, коими интересуются правительство и общество. Подобный орган тем более представляется желательным, что, по мнению комитета, ни одно из ныне существующих в крае повременных изданий не соответствует своему назначению, не умея ни резюмировать факты, относящиеся до высшей политики, ни развивать и даже подчас затрагивать текущие внутренние вопросы.

Обращаясь за сим к представленной Николадзе программе, комитет не находит в ней ничего противного правилам цензуры.

Представляя изложенные выше соображения на благоусмотрение вашего превосходительства, цензурный комитет считает нужным присовокупить, что если бы литературная деятельность Николадзе как и других лиц, в крае, и имела действительною целью проводить какие либо вредные идеи, то она не может достигнуть этой цели при существовании правил предварительной цензуры, которой подчинены все без изъятия местные издания на русском и туземных языках: цензура вверенная лицам строго исполняющим свои обязанности, всегда будет сдерживать всякие попытки к увлечениям и крайностям и, устраняя из прессы вредные стороны, направлять умственные силы ее на существенно необходимые общественно-экономические вопросы.

При этом комитет имеет честь возвратить прошение Николадзе с приложенной к нему программой и свидетельством о самоличности Николадзе. Председательствующий в комитете старший цензор Мелик-Меграбов.*

---

* ჩვენ მიერ აქ მოყვანილი საარქივო მასალები გამოქვეყნებული აქვს ა. ოთვიძეს (იხ. „საისტორიო მოამბე", 1945 წ., № 1).

მიიღო რა გაზეთის გამოცემის ნებართვა, 1877 წლის ნოემბერში ნ. ნიკოლაძემ შექმნა გაზეთის „საგამომცემლო ამხანაგობა ნდობაზე", რაც, როგორც სამართლიანად შენიშნავს მკვლევარი თამარ მაჭავარიანი, — „სრულიად ახალი საქმე იყო არამც თუ საქართველოში, არამედ რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ «Тифл. Вестник»-ის გამოცემისათვის 1875 წელს შემდგარ ამხანაგობას, რომლის ინიციატორიც ნ. ნიკოლაძე იყო". (იხ. „საისტორიო მოამბე", 1952 წ., № 6, გვ. 318).

ნ. ნიკოლაძის მიერ შედგენილი საგამომცემლო ამხანაგობა შედგებოდა 51 პირისაგან (მათ შორის იყვნენ: გრ. ორბელიანი, დიმ. ყიფიანი, სტ. მელიქიშვილი, ვ. თულაშვილი და სხვ.), რომელთაც სათანადო ხელშეკრულება გაუფორმებიათ იმავე წლის დეკემბერში (იხ. ნ. ნიკოლაძის არქივი, № 40—998).

ნ. ნიკოლაძეს იმთავითვე სერიოზული მუშაობა ჩაუტარებია გაზეთის თანამშრომელთა წრის შესაქმნელად. ამ მხრივ მას უსარგებლია თავისი ავტორიტეტით და ფართო ნაცნობობით,—მოლაპარაკება უწარმოებია როგორც თბილისში მყოფ პუბლიცისტებთან, ასევე რუსეთსა და საზღვარგარეთ მოღვაწე ჟურნალისტებთან. კერძოდ, მისთვის თანამშრომლობა აღუთქვამთ მ. ანტონოვიჩს, გ. უსპენსკის, ნ. სიბირსკის, ნ. შავროვს, პ. ვოლხოვსკოის, ა. პალმის, მ. ტერენტევს, ი. სვედენცოვს, მ. რიუსტოვს (შვეიცარია), როშფორს, მურიეს (საფრანგეთი), ჯ. ფორპესს (ინგლისი) და სხვ. ყველა მათვანმა, ზედმეტ-ნაკლებად, თავისი დაპირება აღასრულა.

„ობზორის" პირველი ნომერი გამოვიდა 1878 წლის პირველ იანვარს. მასში მოთავსებულია რედაქტორის ორი საპროგრამო ხასიათის სტატია: «Назначение «Обзора» და «На первый раз». სწორედ ამ წერილების გამო ამოიღო ნიშანში ცენზურამ „ობზორი" თავიდანვე. მაგრამ განა მარტო ცენზურამ?

გაცნობია რა „ობზორის" პირველ ნომერს, შინაგან საქმეთა მინისტრს ტიმაშევს კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწის სვიატოპოლკ-მირსკისათვის მიუწერია საგანგებო წერილი, რომელშიც ნათქვამია:

«Милостивый государь князь Дмитрий Иванович! В передовой статье № 1 газеты «Обзор», издаваемой в Тифлисе, под редакцией г. Николадзе, автор, рассуждая о конечных результатах настоящей войны, признает несомненным, что она должна послужить «поворотным столбом» для многих наших домашних распорядков. «Став освободителями и более чем по-

кровителями стран, во многих отношениях далее нас подвинувшихся по части общественного развития, мы тем самым принуждены будем сделать усилия сравняться с ними. Это неизбежный логический вывод, и сколько бы мы не старались обойти эту потребность, она заставит нас подчиниться ей».

...Сообщая о вышеизложенном вашему сиятельству, в дополнение к отношению моему от 20 июля минувшего года за № 3746, имею честь покорнейше просить вас, милостивый государь, не признаете ли вы соответственным предложить Кавказскому цензурному комитету, чтобы статьи подобные напечатанной в № 1 газеты «Обзор», не были им дозволяемы к печати.

Покорнейше прошу принять уверение в отличном моем почтении и совершенной преданности». А. Тимашев.

„ობზორს“ ბედი არ დაჰყვა. უფრო სწორად, მისი ბედი თავიდანვე გადაწყვეტილი იყო. მას არ შეეძლო დიდხანს და მოსვენებით ეარსებნა; შეუძლებელია, რომ მის რედაქტორს საერთო ენა გამოენახა ცენზურასთან. განუწყვეტელი და აშკარა ბრძოლა რედაქტორსა და ცენზურას შორის რედაქტორის პასუხისგებაში მიცემით „დამთავრდა“. 1878 წლის 4 დეკემბერს თბილისის საოლქო სასამართლომ გაარჩია „ობზორის“ რედაქტორის საქმე ცენზურისაგან აკრძალული სტატიისა და ამოღებული ადგილების თვითნებურად გაშვების გამო. ნ. ნიკოლაძე თვითონ იცავდა სასამართლოში თავს და თავისი სიტყვით კიდევ მეტი ავტორიტეტი მოიპოვა. მან ცენზორის თავგასულობა და უვიცობა იმდენად აშკარა გახადა, რომ საოლქო სასამართლო იძულებული გახდა გაემართლებია ნ. ნიკოლაძე. მაგრამ საქმე ამ განაჩენით მაინც არ დამთავრებულა. თბილისის სამოსამართლო პალატამ ხელახლა განიხილა საქმე, მაგრამ ნ. ნიკოლაძე კვლავ გაამართლეს.

სასამართლო პროცესმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია; ამ პროცესზე დასასწრებლად საგანგებოდ ჩამოსულა ვერა ზასულიჩიც. ნ. ნიკოლაძემ მიაღწია იმასაც, რომ ცალკე წიგნად გამოეცა «Первый процесс «Обзора». Полный отчет заседаний Тифл. Окружного суда и Тифл. Судебной Палаты». აღნიშნულმა ბროშურამაც დიდი გამოძახილი პოვა. ნ. ნიკოლაძემ მიიღო ბევრი აღმაფრთოვანებელი წერილი. «Искренне благодарю Вас, — წერს გაზეთ „ნაროდნი ლისტოკის“ რედაქტორი მ. მ. დიმიტრიევი ნ. ნიკოლაძეს მოსკოვიდან, — за присылку мне брошюры «Пер-

вый процесс «Обзора», которую я прочел с величайшим удовольствием. Как редактор, как юрист и как человек, не могу от души не порадоваться и не поздравить Вас с исходом процесса, исходом, которым Вы обязаны не только просвещенному взгляду почтенных судей, но и своей речи, в которой Вы не только осветили дело с юридической стороны, но и ясно, осязательно, выставили тупоумие цензора... Желая поднести моему цензору Вашу брошюру с надписью: «Его превосходительству Якову Ивановичу Прибиль в назидание от редактора «Народного листка».

ანალოგიური შინაარსის წერილები მიიღო ნ. ნიკოლაძემ სხვა ქალაქებიდანაც.

„ობზორის“ რედაქტორს მაინც არ ასვენებდნენ. სენატში გასაჩივრების შემდეგ, სასამართლო პალატამ საქმე მესამედ გაარჩია და ნიკოლაძე დააჯარიმა და, ამასთან ერთად, სასამართლოს ხარჯების გადახდა დააკისრა.

უიღბლოდ დაიწყო „ობზორისათვის“ 1879 წელიც. ამ წლის პირველივე ნომერი (№ 350) ცენზურამ სრულიად გაანადგურა. კვლავ დაიწყო გაზეთისა და მისი რედაქტორის შევიწროება; სტამბას პოლიცია მიუჩინეს და მის გარეშე გაზეთი ვეღარ გამოდიოდა. ეს წესი სხვა გაზეთებზეც ვრცელდებოდა, მაგრამ მიზანში მაინც „ობზორი“ უფრო იყო ამოღებული. „ტიფლისსკი ვესტნიკმა“ და „ობზორმა“ პროტესტის ნიშნად გამოსვლა შეწყვიტეს 1879 წლის პირველი თებერვლიდან. ნ. ნიკოლაძე მოითხოვდა გაეთავისუფლებიათ ადგილობრივი გაზეთები წინასწარი ცენზურისაგან და ჩაეყენებიათ ისინი ცენტრალური გაზეთების პირობებში. ამ მოთხოვნას შესაძლოა თავისი შედეგი გამოეღო, მაგრამ სოლოვიოვის ტერორისტული აქტის შემდეგ რეაქცია კიდევ მეტად გამოცოცხლდა და ცენზურული მეთვალყურეობის შესუსტებაზე ფიქრი ამაო იყო.

ასე რომ, „ობზორი“ 1879 წლის პირველი თებერვლიდან 1880 წლამდე აღარ გამოსულა. 1880 წელს „ობზორი“ გამოდიოდა აგვისტომდე, შემდეგ კი შეწყვიტა გამოსვლა. იმისათვის, რომ გაზეთის გამოცემის ნებართვა არ გაუქმებულიყო, 1881, 1882 და 1883 წლებში გამოვიდა თითო ნომერი (№№ 560, 561, 562).

37. „მოსკოვის უწყებები“ («Московские Ведомости») — გამოდიოდა მოსკოვში 1856—1917 წლებში. მეცხრამეტე საუკუნის 50-იან წლებამდე გაზეთს უშვებდა მოსკოვის უნივერსიტეტი. მაგრამ 60-იანი წლებიდან იგი გადადის რეაქციონერი გამომცემლე-

ბის ხელში (მ. ნ. კატკოვი — 1863 — 1877 წწ.) და ხდება მონარქისტულ-ნაციონალისტურ ორგანოდ, რომელიც ქადაგებდა დიდმპყრობელურ შოვინიზმს. 1905 წლიდან „მოსკოვის უწყებები“ შავრაზმელთა ორგანოა.

38. „გოლოს“ («Голос») — პოლიტიკური და ლიტერატურული ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1863—1884 წლებში, გამომცემელი და რედაქტორი — ა. კრაევსკი. პირველ ხანებში გაზეთი დაკავშირებული იყო ბურჟუაზიულ-ლიბერალურ წრეებთან და მთავრობის მხარდაჭერით სარგებლობდა; შემდეგში ის ზომიერი ლიბერალური მიმართულების ორგანო იყო.

39. მხედველობაში აქვს „გოლოსის“ 230-ე ნომერში გამოქვეყნებული რუკა.

40. მოლჩალინი — ა. ს. გრიბოედოვის კომედიის „ვაი ჭკუისაგან“ პერსონაჟი, — ჩინოვნიკი, რომელიც ემსახურება არა საქმეს, არამედ პიროვნებებს, უსიტყვო და შეზღუდული მოხელე, მაგრამ აღმსრულებელი, მონური ფსიქოლოგიის და ადამიანური ღირსებების უქონლობის ცოცხალი განსახიერება.

41. „ნოვოე ვრემია“ («Новое время») — ყოველდღიური რეაქციული გაზეთი, გამოდიოდა 1868 — 1917 წლებში; თავდაპირველად წარმოადგენდა ზომიერ ლიბერალურ გამოცემას, ხოლო 1876 წლიდან, როცა იგი გადავიდა ა. სუვორინის ხელში, გახდა რეაქციული ორგანო, დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ანტისემიტიზმის მქადაგებელი. დაიხურა 1917 წლის 26 ოქტომბერს.

42. რუდინი — ი. ს. ტურგენევის რომანის „რუდინის“ მთავარი გმირი, — ტიპიური წარმომადგენელი 40-იანი წლების იმ რუსი ინტელიგენციისა, რომელიც ახლოს ვერ მივიდა სინამდვილეესთან და არ ეყო ნებისყოფა აქტიური მოქმედებისათვის.

43. „პორძ“ („ცდა“) — სომხური ლიტერატურული ჟურნალი, გამოდიოდა თბილისში 1877 წლიდან, ა. იოანისიანის რედაქტორობით; დაიხურა 1881 წელს.

44. Plus royaliste que le roi (ფრანგ.) — მეფეზე უფრო როიალისტია.

45. dahin, dahin (გერმ.) — იქით, იქით.

46. „ნოვოსტი“ («Новости») — ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1872 წლიდან, დამაარსებელი — ი. შრეიერი. გაზეთი თავიდან განცხადებებსა და ცნობებს აქვეყნებდა, ემსახურებოდა მრეწველთა ინტერესებს.

47. მხედველობაში აქვს გაზეთ „ბირჟევიე ვედომოსტში“

(1877 წ., № 334) დაბეჭდილი ფელეტონი «Чем хата богата», რომელიც ხელმოწერილია «М. Д.»

48. „სევერნი ვესტნიკ“ («Северный Вестник») — პოლიტიკური, ლიტერატურული და იურიდიული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1877 — 1878 წწ., გამომცემელი — ე. კორში, რედაქტორი — ვ. რეჩაკოვი. „სევ. ვესტნიკი“ იყო ლიბერალური მიმართულების და დიდ ადგილს უთმობდა თურქების ბატონობის წინააღმდეგ სამხრეთელ სლავთა ბრძოლის გაშუქებას; ასევე ფართოდ აშუქებდა რუსეთ-თურქეთის ომის მსვლელობას.

49. მხედველობაში აქვს სტატია — „ინგლისის ჩარევა“ («Вмешательство Англии», газ. «Обзор», 1878 г., № 13), რომელიც შესულია წინამდებარე ტომში (იხ. სტატია № 29).

50. „ხანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტი“ («Санкт-Петербургские Ведомости») — მეფის მთავრობის ოფიციალური გაზეთი, წარმოადგენდა გაზეთ „ვედომოსტის“ გაგრძელებას; 1748 — 1765 წლებში რედაქციას განაგებდა მ. ვ. ლომონოსოვი. ყველაზე მეტი ხელისმომწერი გაზეთს ჰყავდა 1863 — 1874 წლებში, როცა მას რედაქტორობდა ლიბერალური მოღვაწე ვ. ფ. კორში, რომელსაც უშუალოდ იცნობდა ნ. ნიკოლაძე. 70-იანი წლებიდან გაზეთი მარცხნივ გადაიხარა.

51. „რუსსკი ვესტნიკ“ («Русский Вестник») — ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი, გამოდიოდა 1856 — 1906 წლებში. 1867 წლამდე გამოდიოდა ორ კვირაში ერთხელ, შემდეგ — ყოველ თვიურად; 1856 — 1887 წლებში გამოდიოდა მოსკოვში ნ. კატკოვის რედაქტორობით, 1887 — 1896 წლებში — პეტერბურგში, ფ. ბერგის რედაქტორობით, 1896 — 1902 წლებში — მოსკოვში. მ. კატკოვის რედაქტორობით და 1902 — 1906 წელს — კვლავ პეტერბურგში, ვ. კომაროვის რედაქტორობით. თავის დროზე ჟურნალი „სოვრემენნიკის“ საწინააღმდეგოდ იცემოდა.

52. „რუსსკაია გაზეტა“ («Русская газета») — ყოველკვირეული გაზეთი, გამოდიოდა მოსკოვში 1858 წლის ნოემბრიდან, ს. ა. პოლის რედაქტორობით. რედაქცია ცდილობდა ხელმისაწვდომი და პოპულარული გაეხადა გაზეთი, რომელიც ზომიერი ლიბერალური პოზიციებიდან აშუქებდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურსა და ეკონომიურ საკითხებს.

53. „სლოვო“ («Слово») — სამეცნიერო- ლიტერატურული და პოლიტიკური ყოველთვიური ჟურნალი, რომელიც „მოლვას“ მაგივრად გამოდიოდა პეტერბურგში 1878—1881 წლებში. 1878 წლის

მეორე ნახევრამდე ჟურნალს რედაქტორობდა ი. გ. ჟუკოვსკი, შემდეგ — კ. მ. სიბირიაკოვი და ა. ა. ჟემჩუჟნიკოვი, ხოლო 1880 წლიდან — ა. ა. გოლოვაჩევი.

54. მხედველობაში აქვს პარიზის საზავო ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილ იქნა 1856 წლის 30 მარტის ხუთკვირიანი მოლაპარაკების შემდეგ. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: ერთი მხრიდან — რუსეთი, მეორე მხრიდან — საფრანგეთი, ინგლისი, სარდინია და თურქეთი, — პრუსიისა და ავსტრიის დასწრებით. ხელშეკრულების მიხედვით, რუსეთს მოესპო უფლება ჰყოლებოდა ფლოტი შავ ზღვაზე და თურქეთს დაუბრუნდა ყარსი. მაგრამ 1870 წელს რუსეთმა უარყო ხელშეკრულების შემზღუდველი პარაგრაფი და მიაღწია შავ ზღვაზე თავისი უფლების აღდგენას.

55. მხედველობაში აქვს ვერა ჟელიხოვსკაიას წერილი: «Письмо к редактору», რომელშიც იგი იცავს თავის დას ბლავატსკაიას ნ. ნიკოლაძის კრიტიკისაგან, რომელიც მან თავის „საკვირაო საუბრებში“ გამოთქვა (იხ «Обзор», 1878 წ. № 20 და წინამდებარე ტომში სტატია № 39).

56. „ბაკინსკიე იზვესტია“ («Бакинские известия») — რუსული გაზეთი, გამოდიოდა ბაქოში 1876—1887 წლებში, თავდაპირველად — კვირაში ერთხელ, 1877 წლიდან — კვირაში ორჯერ.

57. „ტერსკიე ვედომოსტი“ («Терские Областные Ведомости») — რუსული გაზეთი, გამოდიოდა ვლადიკავკაზში 1868 — 1917 წლებში, თავდაპირველად — კვირაში ერთხელ, 1884 წლიდან — კვირაში ორჯერ, 1892 წლიდან — კვირაში სამჯერ.

58. Pendant (ფრანგ.) — დროს, განმავლობაში.

59. Omnia mea mecum porto (ლათ.) — რაც გამაჩნია — თან დამაქვს.

60. Le sabre de mon père (ფრანგ.) — მამაჩემის ხმალი.

61. A la guerre, comme à la guerre (ფრანგ.) (ომში ომივით) საჭიროა გარემოებას შეეგუო.

62. et tutti quanti (იტალ.) — და ასე შემდეგ; და ყველა ფერი სხვა; და სხვა.

63. en pleine connaissance de cause (ფრანგ.) — საქმის მთელი ცოდნით.

64. Se faire pendre ailleurs (ფრანგ.) — ეშმაკებში წასვლა, ჯანდაბაში წასვლა.

65. A bon entendeur — Salut (ფრანგ.) — კარგ გამგონეს — სალამი (ბრძენი სიტყვა ითქვა, ბრძენო ყურო, სადა ხარ).

66. მხედველობაში აქვს გაზეთ „ობზორში“ (№ 40) დაბეჭდილი

სტატია „ადგილობრივი პრესა“ («Туземная печать»), რომელმაც დიდი კამათი გამოიწვია ქართული და სომხური („მშაკ“) პრესის ფურცლებზე. თავის მხრივ „ობზორმაც“ დაბეჭდა საპასუხო სტატიები (იხ. № 43, 46, 47), რომლებიც ნ. ნიკოლაძეს ეკუთვნიან.

კამათში გაირკვა, რომ სტატია «Туземная печать» არ ეკუთვნოდა ნ. ნიკოლაძეს. ამ უკანასკნელის მითითებით იგი დაუწერია „ობზორის» თანამშრომელს ჟუკოვას, რომელსაც სწორად ვერ გაუგია და ვერ გადმოუცია ნ. ნიკოლაძის აზრები ადგილობრივი პრესის მდგომარეობისა და მნიშვნელობის შესახებ. ნ. ნიკოლაძეს კი, ავადმყოფობის გამო, ვეღარ გადაუკითხავს ჟუკოვას წერილი და „ობზორმაც“ სამართლიანი საყვედურები დაიმსახურა. თავდაპირველად ნ. ნიკოლაძეს არ უნდოდა გაეცხადებია ამ სტატიის დაბეჭდვის ნამდვილი ისტორია; გაზეთის ავტორიტეტს უფრთხილდებოდა და საქმე ისე სურდა წარმოედგინა, რომ მასში არცთუ ბევრი რამ იყო აღსაშფოთებელი და თავის სტატიად აცხადებდა. მაგრამ ს. მესხის წერილებმა (იხ. „დროება“, 1878 წ. №№ 32, 33, 37) აიძულეს ნ. ნიკოლაძე განეცხადებინა: „დიახ, მართალია, რომ ამ სტრიქონების ავტორი მართლაც უკმაყოფილო იყო „ობზორის“ № 40-ში დაბეჭდილი სტატიის ორი უტაქტობით, მართალია ისიც, რომ სტატია დაწერა არა თვითონ მან, არამედ იმ პირმა, რომლის გვარიც დასახელებულია „დროებაში“, და მართალია ისიც, რომ სტატია დაწერილია რედაქტორის მიერ ნაკარნახები პროგრამის მიხედვით იმიტომ, რომ მას ავადმყოფობის გამო საერთოდ აკრძალული აქვს მუშაობა. მართალია, რომ მას განზრახული ჰქონდა დაეწერა სხვა სტატია, სადაც ჩამოყალიბებული იქნებოდა მისი თვალსაზრისი ამ საკითხზე, და მართალია ისიც, რომ თუ არ დაწერა, კარნახით ჩააწერინა № 43, 46, 47 სტატიები. მართალია ისიც, რომ იგი უკმაყოფილო იყო პირველი სტატიის ორი ნაწყვეტით, რომელთაც არ დაბეჭდავდა სტატიის ან კორექტურის წაკითხვა რომ შეძლებოდა“.

67. ჩიჩიკოვი — ნ. ვ. გოგოლის ცნობილი პოემის „მკვდარი სულების“ პერსონაჟი, — გაქნილი საქმოსანი, ენერგიული „მაძიებელი“, ბურჟუაზიული გარიჟრაჟის ფხიანი პირმშო.

68. იგულისხმება ნ. გ. ჩერნიშევსკი, რომლის კალამსაც ეკუთვნის ცნობილი ნაშრომი «Эстетические отношения искусства к действительности». ვინაიდან ნ. გ. ჩერნიშევსკის ხსენება აკრძალული იყო, ნ. ნიკოლაძე მას ხშირად ასახელებს — როგორც „ესთეტიკური დამოკიდებულების“... ავტორს.

69. „სინ ოტეჩესტვა“ («Сын отечества») — პოლიტიკური,

ლიტერატურული და სამეცნიერო გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1862 — 1900 წლებში. მისი რედაქტორები იყვნენ (თანმიმდევრულად): ა. ვ. სტარჩევსკი, ა. პ. მილიუკოვი, ი. ი. უსპენსკი, მ. ა. კუპლეტსკი, ა. კ. შელლერი.

70. მხედველობაში აქვს გაზეთ „ივერიაში" (1878 წ., № 7) დაბეჭდილი სტატია „ფიქრი და შენიშვნა", რომელშიც გაკრიტიკებულია გაზ. „ობზორის" № 40-ის მოწინავე სტატია „ადგილობრივი პრესა" («Туземная печать»), რომელიც ქ-ნ ჟუკოვას კალამს ეკუთვნოდა.

71. მხედველობაში აქვს გაზეთ „კავკაზში" (1877 წ., № 239) გამოქვეყნებული ილია ჭავჭავაძის წერილი—«Письмо к редактору», რომელიც ავტორის თხზულებათა კრებულებში არასოდეს შესულა, არც ვისმეს აქვს მასზე მითითებული და, ამდენად, დღევანდელი მკითხველისათვის უცნობია. ამიტომ, მოგვყავს იგი მთლიანად:

«Г. редактор. Прошу Вас дать место в ближайшем номере вашей газеты настоящему заявлению.

«В № 252 «Тифл. Вестника» появилась заметка редактора этой газеты, кн. Бебутова о том, что в общем собрании дворян-учредителей (Тиф. двор. зем. банка) 15-го ноября, при суждении о распределении прибылей на общеполезные нужды, обнаружился курьез, цельно характеризующий манеру ведения дел в этом банке. Кн. И. Чавчавадзе, изображавший докладчика, не знал какие суммы подлежат распределению и только случайно выяснилось, что к распределению назначены суммы из прибылей за 1875 г., имеющих специальное назначение.

«Скорее эта самая заметка «Тифл. Вестника» обнаруживает курьез цельно характеризующий беззастенчивость кн. Бебутова обращаться с фактами по своему произволу и не брезгать никакими средствами, чтоб так или иначе повредить человеку и учреждению, раз навсегда объявившим, что не желают заискивать благорасположения кн. Бебутова и К°. Курьез этот заключается в том, что кн. Бебутов, сам быв очевидцем всего того, что происходило в собрании 15-го ноября, нашел возможным извратить факты и переставить лиц. Я это постараюсь сейчас же доказать.

«На основании устава банка, по всем предметам, подлежащим рассмотрению общего собрания, доклады составляются

набл. комитетом банка и им же докладываются. К составу комитета принадлежит сам кн. Бебутов, я же членом этого комитета не состою. Ясно, что ответственность за неполноту доклада должна падать не на меня, а на совокупность лиц, от имени которых исходит доклад, и в числе которых имеет честь состоять не И. Чавчавадзе, а кн. Бебутов. Доклад набл. комитета о распределении прибылей на общеполезные нужды был письменный, заверенный и утвержденный между прочим и собственною подписью кн. Бебутова.* След., если доклад о распределении прибылей не заключал сведения о том, какие суммы подлежат распределению, то в этом кн. Бебутов прежде всего должен винить себя, ибо он, вместе с другими членами комитета, распределял эти суммы, и скорее всего он сам должен был знать, какие именно суммы распределяет. Почему о неполноте доклада он не подумал еще тогда, когда его подписывал? Неужели с целью подвести своих сочленов по комитету, чтоб потом иметь повод крикнуть печатно: а вот вам манера ведения дел в дворянском банке! И для чего ему нужен этот крик?

«Доклад этот наблюдательного комитета был доложен, как и следовало, одним из членов комитета, а именно, кн. Дм. Дав. Джорджадзе,** а не мною, ибо, опять-таки повторяю, я не член комитета. След., я не мог изображать из себя докладчика, несмотря на все искусство кн. Бебутова переставлять, по своему усмотрению, лиц.

«Во время прений по предмету распределения прибылей, один из членов правления, кн. Челокаев, заявил, что в сумму денег, подлежащих к ассигновке на общеполезные нужды, входят и те деньги, назначение которых определено было общим собранием еще в 1876 г. В подтверждение этого именно обстоятельства, я вынес из канцелярии банка протокол общего собрания, бывшего в 1876 г., и, по предложению г. председателя собрания, я-же прочел его.

«Что выяснение этого обстоятельства не было случай-

* Доклад этот за подписью кн. Бебутова имеется в канцелярии банка.

** В доказательство этого ссылаюсь на самого кн. Джорджадзе, членов собрания и наблюдательного комитета.

ностью, как изволил сочинить кн. Бебутов, то в этом прежде всего должен быть убежден сам кн. Бебутов. Он участвовал в наблюд. комитете, когда рассматривался вопрос об определении предметов занятий для предстоявшего собрания! След., он обязан был вникнуть в то, в чем принимал прямое и непосредственное участие. А если б он вникнул, заметил бы, что первым по очереди предметом занятий указан в публикации от наблюд. комитета («Кавказ» № 188) доклад о распределении прибылей на общеполезные нужды и тут-же упомянуто о протоколе 1876 г., давшем прибылям 1875 г. специальное назначение, и даже указана самая сумма, находящаяся в расходе согласно означенного протокола.

«И ввиду всего этого хватает храбрости кн. Бебутову печатно превозглашать случайностью обстоятельство, давно известное и опубликованное печатно от имени набл. комитета, след. и от имени самого кн. Бебутова, как члена этого комитета. Тут не знаешь чему удивляться: беззастенчивой ли манере кн. Бебутова вредить всеми способами дворянскому банку, его ли бесшабашной храбрости изобретать, или же отсутствию способности помнить сегодня то, что сделал сам вчера. Мы готовы допустить последнее.

«В заключение скажу, что никто не обращался ко мне за какими бы то ни было сведениями,* в противном случае, не угодно ли кн. Бебутову указать, кто именно. След., вопрос о том знал ли я или не знал, какие суммы подлежали распределению, не может быть решен на основании данных, а за отсутствием их, кн. Бебутов вынуждает меня довольствоваться решением, всецело исходящим от его изобретательности».

19-го ноября.

Илья Чавчавадзе.

72. მხედველობაში აქვს თავისი სტატია «Практика земельного кредита», რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ტიფლისსკი ვესტნიკში“

---

* Хотя и сам кн. Бебутов присутствовал 15-го ноября на собрании, но я, не рассчитывал на его память, прошу его спросить г. председателя и своих сочленов по комитету — была ли вообще необходимость в каких-либо справках и обращался ли кто-либо из присутствовавших ко мне за этими справками.

(1876 წ., № 103), რომლის გამოც პოლემიკა გაიმართა ნ. ნიკოლაძესა და ი. ჭავჭავაძეს შორის (იხ. მ. კანდელაკი — «Из истории публицистической деятельности И. Кавчавадзе», თსუ „შრომები“, 1965 წ., № 65).

73. მხედველობაში აქვს ბროშურა «Война в Малой Азии в 1877 г. Очерки очевидца Г. К. Градовского», С. Пб. 1878 г.».

74. იგულისხმება ბ. ღოღობერიძე.

75. მხედველობაში აქვს ი. პოლტორაცკის წერილი «Письмо к редактору» („ობზორი“, 1878 წ., № 89), რომელშიც იგი პოლემიკას აგრძელებს გაზეთ „ტიფლისსკი ვესტნიკის“ რედაქტორთან.

76. მხედველობაში აქვს „წერილი გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორს“ (გაზ. „კავკაზ“, 1877 წ., № 135), რომელიც შესულია წინამდებარე ტომში (იხ. სტატია № 14).

77. «...Дело прочно, когда под ним струится кровь» — ტაეპი ამოღებულია ნ. ა. ნეკრასოვის პოემიდან «Поэт и гражданин».

78. მხედველობაში აქვს სტატია «Несколько писем студентки В. С. Некрасовой», რომელიც ეკუთვნის ეკატერინე ნეკრასოვას, ტიფისაგან გარდაცვლილ სტუდენტ ვ. ს. ნეკრასოვას დას.

79. „მოსკოვსკოე ობოზრენიე“ («Московское обозрение») — ყოველკვირეული პოლიტიკური, ლიტერატურული, თეატრალური და მხატვრული ჟურნალი, გამოდიოდა მოსკოვში 1876—78 წლებში, გამომცემელ-რედაქტორი — ხრუშჩოვ-სოკოლნიკოვი, შემდეგ — ნ. პუშკარევი.

80. მხედველობაში აქვს სტატია „ჩემი „პირადი ანგარიშები“ ბ. ღოღობერიძესთან“ (იხ. წინამდებარე ტომი, სტატია № 68).

81. დონ-ბაზილიო — ბომარშეს კომედია „სევილიელი დალაქის“ პერსონაჟი, რომელსაც ეკუთვნის სიტყვები: „ცილი დასწამე, ცილი დასწამე, რაიმე მაინც მოეცხება“.

82. „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“ («Отечественные записки») — ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1818 წლიდან, დააარსა სვინინმა; 1830 წელს დაიხურა, 1839 წელს მისი გამოცემა განაახლა კრაევსკიმ, კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა ბ. ბელინსკი. ჟურნალში თანამშრომლობდნენ: გერცენი, ოგარიოვი, გრანოვსკი, კოლცოვი, ნეკრასოვი, ტურგენევი. 1856—1861 წლებში ჟურნალს ზომიერი ლიბერალური პოზიცია ეჭირა და ებრძოდა „სოვრემენნიკსა“ და მის მესვეურებს. 1867 წელს კრაევსკიმ ჟურნალი გადასცა ნეკრასოვს, რის შემდეგ იგი ხდება რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულე-

ბის. ნეკრასოვის შემდეგ ჟურნალს რედაქტორობდა მ. სალტიკოვ-შჩედრინი, რომელმაც, მიხაილოვსკის გადასახლების შემდეგ, კრიტიკის განყოფილება ჩააბარა ნ. ნიკოლაძეს. 1884 წელს ჟურნალი დაიხურა.

83. «Не слушаю, под суд! под суд!» — ტაეპი მოტანილია გრიბოედოვის კომედიიდან „ვაი ჭკუისაგან" (მეორე მოქმედება, მესამე გამოსვლა; ფამუსოვის სიტყვები).

84. ციტატი მოტანილია ნ. ა. ნეკრასოვის ლექსიდან «Новый год» (1852 г.).

85. «სოვრემენნიკ" («Современник») — ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1836—1866 წლებში. მისი დამაარსებელი და პირველი რედაქტორი იყო ა. ს. პუშკინი, 1838—1846 წლებში რედაქტორობდა პლეტნევი. 1847 წლიდან ჟურნალი გადავიდა ნეკრასოვისა და პანაევის ხელში. 1854 წელს მასში თანამშრომლობა დაიწყო ნ. გ. ჩერნიშევსკიმ, ხოლო 1856 წელს — ნ. ა. დობროლიუბოვმა. რევოლუციური სიტუაციის წლებში (1859—1861 წწ.) ჟურნალი გახდა რევოლუციური დემოკრატიის მებრძოლ ორგანოდ. „სოვრემენნიკი" იბრძოდა მატერიალისტური ფილოსოფიისა და ესთეტიკისათვის, ილაშქრებდა იდეალისტური თეორიების, „წმინდა ხელოვნების" მომხრეთა წინააღმდეგ.

„სოვრემენნიკის" რედაქციასთან და მის თანამშრომლებთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებს და კერძოდ ნ. ნიკოლაძეს, რომელიც თანამშრომლობდა კიდევაც ჟურნალში.

86. აღნიშნული სტროფი მოტანილია ნ. ა. ნეკრასოვის ლექსიდან «За городом» (1852 г.), რომელშიც იგი ასე იკითხება:

«Судьбе воздать хвалу, что в нищете своей,
Лишенные даров, довольства и свободы,
Мы живо чувствуем сокровища природы,
Которых сильные и сытые земли
Отнять у бедняков голодных не могли»...

87. «Блажен, кто с молоду был молод» — ტაეპი მოტანილია ა. ს. პუშკინის „ევგენი ონეგინის" მერვე თავიდან:

«Блажен, кто с молоду был молод,
Блажен, кто во-время созрел,

Кто постепенно жизни холод
С летами вытерпеть умел».

88. A pédagogue—pédagogue et demi (ფრანგ.)—ის თუ პედაგოგია, არც მე ვარ ნაკლები.

89. Pas de rêveries (ფრანგ.)—არავითარი ოცნება.

90. Contais me fait toujours rire (ფრანგ.) — ქუთაისი ყოველთვის მაცინებს.

91. „მეეზოვის ძაღლიც კი, რათა ალერსიანი იყოს“ — ტაეპი მოტანილია ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ (მოლჩალინის სიტყვები):

«Мне завещал отец:
Во-первых, угождать всем людям без изъятья;
Хозяину, где доведется жить,
Начальнику, с кем буду я служить,
Слуге его, который чистит платья,
Швейцару, дворнику, для избежанья зла,
Собаке дворника, чтоб ласкова была».

92. მხედველობაში აქვს სტატია «К слову о будущих портах Черноморского Восточного Побережья» (გაზ. „კავკაზ“, 1878 წ., № 33), რომელიც ხელმოუწერელია.

93. Toblesse odligt (ფრანგ.) — შემოწმდეს.

94. Comparaison n'est pas raison (ფრანგ.)—შედარება არ არის დამამტკიცებელი საბუთი.

95. ნ. ნიკოლაძემ გაზეთ „ობზორის“ გამოცემა ითხოვა ჯერ კიდევ 1870 წელს, მაგრამ, ნაცვლად ნებართვის მიცემისა, მასზე დაუწესებიათ ფხიზელი მეთვალყურეობა. კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობის უფროსის მიმართვაში ნათქვამი იყო: «По поводу изъявленного кутаисским гражданином Николаем Николадзе желания издавать в Тифлисе, на русском языке, газету «Обзор», получены в Главном управлении сведения о нем, из которых видно, что Николадзе еще в 1861 г., будучи студентом С.-Петербургского университета, участвовал в студенческих беспорядках, но в числе многих других всемилостивейше прощен, и в 1864 г. ему разрешено было отправиться заграницу для пользования минеральными водами, что затем Николадзе очутился в Женеве, где сблизившись со многими русскими эмигрантами, осо-

бенно с Элпидиным, занимался вместе с ним, последним изданием сперва разных грязных политических брошюрок, а потом революционного направления листков и что, наконец, в 1866 г. Николадзе напечатал в Женеве, под псевдонимом Никифора Г-хх, противуправительственную брошюру, под заглавием «Правительство и молодое поколение», по поводу выстрела 4-го апреля 1866 года.

В виду таких сведений о Николадзе В. кн. Наместник изволил признать невозможным допускать его к изданию каких бы то ни было журналов и газет. Поэтому вышеозначенное желание Николадзе оставлено без последствий, о чем ему объявлено особо от сего.

О всем вышеизложенном считаю нужным сообщить Цензурному комитету и просить иметь бдительный надзор за тем, чтобы литературная деятельность Николадзе не имела вредного влияния на издающиеся в настоящее время в ведении Комитета, газеты и журналы.

Начальник Главного управления сенатор статс-секретарь:
барон Николаи,
Правитель канцелярии — Н. Прибиль».

სხვა გზა არ იყო, ნ. ნიკოლაძე შეურიგდა იმ აზრს, რომ საკუთარი ორგანოს გამოცემის უფლებას ვერ მიიღებდა. ამიტომ იყო, რომ ჟურნალი „კრებული“, რომლის ფაქტიური რედაქტორიც ის იყო, გ. წერეთლის შუამდგომლობითა და მისივე რედაქტორობით გამოვიდა.

1876 წლის სექტემბერში ნ. ნიკოლაძეს კვლავ უცდია მიეღო უფლება კრებულების სახით ექვეყნებინა თავისი წერილები, რისთვისაც საგანგებოდ მიუმართავს კავკასიის საცენზურო კომიტეტისათვის:

«Предлагая издавать в г. Тифлисе, с 1 января 1877 г. повременное издание на русском языке в виде сборника, состоящего исключительно из моих собственных сочинений, без всякого участия других каких либо сотрудников, имею честь просить Кавказский цензурный Комитет, на точном основании разъяснения Главного управления по делам печати за 1872 г., вошедшего в «законы о печати» изд. Мсерианца (3 изд. стр. 72, § 4), выдать мне:

1. Разрешение на печатание как самого издания сборника,

под заглавием «Капризы пера» — так и объявления об этом издании; и

2. Установленное свидетельство о дозволении набирать статьи этого издания без предварительного их просмотра цензурою, с тем, чтобы статьи эти представлялись на цензурный просмотр в чистых корректурных листах.

Сборник под заглавием «Капризы пера» будет издаваться мною, под моим редакторством и состоять лишь из моих произведений. Издание будет выходить выпусками приблизительно раз в неделю, в формате книжек in № 32°. Каждый выпуск будет заключать в себе от 32 до 64 страниц и будет продаваться по 20 коп. с. Подписная плата за все годовые выпуски будет назначена от 4 до 6 руб. сер. Печатание сборника будет производится в типографии И. Чанцева и К°.

При этом имею честь представить документ о моей личности и заявление о заведывании изданием.

Николай Николадзе».

გაცნობია რა ნ. ნიკოლაძის თხოვნას, კავკასიის საცენზურო კომიტეტს შესაძლებლად დაუნახავს აღეძრა შუამდგომლობა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობის უფროსის წინაშე მიეცათ ნებართვა ნ. ნიკოლაძისათვის აღნიშნული კრებულების გამოსაცემად, რასაც კავკასიაში რუსული პრესის სიღარიბითა და ჩამორჩენილობით ასაბუთებენ. ამასთან, მიუთითებენ იმაზეც, რომ კვლავ უარის თქმა ნ. ნიკოლაძეს გახდის გმირ-წამებულად და ავტორიტეტს გაუზრდის. «Если соображения сии, — დაასკვნის საცენზურო კომიტეტი, — удостоятся одобрения е. и. в. наместника, то цензурный комитет полагал бы издание сборника допустить под заглавием «Наблюдатель» взамен названия «Капризы пера», по собственному желанию г-на Николадзе»*.

როგორც ჩანს, ამ შუამდგომლობამაც არ გამოიღო შედეგი, მაგრამ ნ. ნიკოლაძემ მაინც არ დაყარა ფარხმალი და 1877 წელს მიაღწია მიეღო გაზეთ „ობზორის“ გამოცემის უფლება.

90. ციტატი მოტანილია ნ. ბ. ოგარიოვის ლექსიდან «Друзьям» (1856 წ.), სადაც ეს სტროფი ასე იკითხება:

---

* მოტანილი საარქივო მასალები გამოქვეყნებული აქვს ა. იოვიძეს (იხ. „საისტორიო მოამბე“, 1945 წ., № 1).

«Мы в жизнь вошли с прекрасным упованьем,
Мы в жизнь вошли с неробкою душой,
С желаньем истины, добра желаньем,
С любовью, с поэтической мечтой,
И с жизнью рано мы в борьбу вступили,
И юных сил мы в битве не щадили.
Но мы вокруг не встретили участья».

97. La raison finira par avoir raison (ფრანგ.) — ბოლოს გონება გაიმარჯვებს.

98. „პეტერბურგსკი სბორნიკ“ («Петербургский Сборник»)— ალმანახი, გამოვიდა 1846 წელს ნ. ა. ნეკრასოვის რედაქტორობით. ალმანახში მოთავსებულია გოგოლის სკოლის მწერალთა ნაწერები, აშკარად გამოხატული დემოკრატიული ხასიათის თხზულებები. მასში დაბეჭდილია, აგრეთვე, ბ. ბელინსკის და ა. გერცენის სტატიები; თ. დოსტოევსკის, ა. მაიკოვის, ი. ტურგენევის, ვ. ოდოევსკის და სხვათა მხატვრული ნაწარმოებები.

99. იგულისხმება ნ. გ. ჩერნიშევსკი.

100. იგულისხმება ნ. გ. ჩერნიშევსკი.

101. მითითებული სტროფი მოტანილია ნ. ა. ნეკრასოვის ლექსიდან («Праздник жизни — молодости годы», 1855 г.), რომელშიც იგი ასე იკითხება:

«Но не льщусь, чтоб в памяти народной
Уцелело что-нибудь из них...
Нет в тебе поэзии свободной,
Мой суровый, неуклюжий стих!»

პირველ ვარიანტში ნ. ნეკრასოვს ნაცვლად «суровый»... ჰქონებია «тяжелый»..., როგორც ნ. ნიკოლაძეს მოჰყავს, მაგრამ შემდეგ, ნ. ჩერნიშევსკის შენიშვნის გამო, შეუცვლია.

102. „რუსსკაია სტარინა“ («Русская старина») — ყოველთვიური ისტორიული ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1870—1918 წლებში, რედაქტორ-გამომცემელი, 1892 წლამდე — ისტორიკოსი მ. ი. სემევსკი (მაგრამ, სხვადასხვა მიზეზების გამო, გარკვეული წლების მანძილზე ხელს აწერდა სხვა).

103. „რუსსკი არხივ“ («Русский архив») — ყოველთვიური ისტორიული ჟურნალი, გამოდიოდა მოსკოვში 1863—1917 წლებში,

დამაარსებელი და რედაქტორი (1912 წლამდე) იყო ისტორიკოსი პ. ი. ბარტენევი.

104. მხედველობაში ჰყავს დ. გურამიშვილი, რომელსაც „დავითიანში“ ნათქვამი აქვს:

„მრუდი ხომ არა მითქვამს რა, ამასაც ვიტყვი სწორსაო,
საქმესა თვალით ნახულსა, არ მოგონილსა, ჭორსაო:
მინახავს ერთი პირუტყვი გორსა თუ ახალგორსაო,
თავისთვის მუტრუკს აკეთებს, სხვათ´ გაუკეთებს ჯორსაო“.

სახელთა საძიებელი

ა

აბაშიძე, გ. ი. — თავადი, ქუთაისის ბანკის დამფუძნებელთაგანი. — 597.

აბაშიძე, ს. ი. — თავადი, ქუთაისის ბანკის დამფუძნებელთაგანი. —605, 606.

აბდულ-მეჯიდი (1823-1861) — თურქეთის სულთანი 1839-1861 წლებში. პროგრესული რეფორმების მომხრეთა ზეგავლენით, 1839 წელს დაიწყო რეფორმების გატარება; დაუმორჩილა რა თავისი საშინაო პოლიტიკა ინგლისსა და საფრანგეთს, 1853 წელს მოხვდა კონფლიქტში რუსეთთან, რაც ყირიმის ომით დამთავრდა. — 470.

აბდუშელიშვილი, დ .ნ.—ქუთაისის ბანკის სამეთვალყურეო კომიტეტის წევრი. — 597, 598.

აკსაკოვი, ივანე სერგის ძე (1826-1886) — ცნობილი რუსი ჟურნალისტი, გვიანდელი სლავიანოფილობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. — 59.

აკსაკოვი, კონსტანტინე სერგის ძე (1817-1860) — რუსი მწერალი და ჟურნალისტი, სლავიანოფილური მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი. — 59.

ალადატოვი, ს. პ. — თბილისის საბჭოს ხმოსანი გასული საუკუნის 70-იან წლებში. — 322, 323, 324.

ალექსანდრე I (1777-1825) — რუსეთის იმპერატორი 1801-1825 წ.წ. — 482.

ალექსანდრე II (1818-1881) — რუსეთის იმპერატორი 1855-1881 წ.წ. — 482.

ალხაზოვი. —გენერალ-მაიორი. — 195.

ალხაზოვი, პ. ლ. — თბილისის საბჭოს გამგეობის წევრი გასული საუკუნის 70-იან წლებში. — 318, 319.

ამატუნი, ნ. ი. — თავადი, თბილისის საბჭოს ხმოსანი გასული საუკუნის 70-იან წლებში. — 327.

ამირეჯიბი. — ელიზავეტოპოლის პოლკის მეთაური რუსეთ-თურქეთის ომის დროს. — 110, 111, 232, 441.

ანა ივანეს (იოანეს) ასული (1863-1740) — რუსეთის იმპერატორი ქალი 1730-1740 წ.წ., მეფე ივანე V ალექსის ძის ქალიშვილი, პეტრე I ძმისშვილი. მისი იმპერატორობის დროს სახელმწიფოს ფაქტიურად განაგებდა გერმანელი ბირონი და მისი ამალა.—482.

ანდრაში, დიუელა (1823-1890)—ავსტრო უნგრეთის სახელმწიფო მოღვაწე, უნგრეთის 1848-49 წ.წ. ბურჟუაზიული რევოლუციის მონაწილე, უნგრეთის პირველი საკონსტიტუციო მთავრობის პრემიერი 1867 წლიდან, 1871-1879 წ.წ. ავსტრო-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, გერმანიასთან კავშირის მომხრე. — 359.

ანდრეევსკაია, ნინო. — მ. ვორონცოვის პირადი ექიმის ქალიშვილი, რომელიც მტკვარში დაახრჩვეს. — 22, 351, 476, 477, 479-481.

ანტონოვიჩი, მაქსიმე ალექსის ძე

(1835-1918) — ცნობილი რუსი კრიტიკოსი, ჟურნალ „სოვრემენნიკ"-ის აქტიური თანამშრომელი; ნ. დობროლუბოვის გარდაცვალების შემდეგ (1861 წ.) ხელმძღვანელობდა ჟურნალის კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილებას. — 292, 378, 379.

ანჩაბაძე, დავით. — ადვოკატი, თავადი. — 565.

არისტოტელი (384-322 ჩ. წ. ა.) — დიდი ბერძენი ფილოსოფოსი. — 274.

არუთინოვი, დ. —შტაბს-კაპიტანი (მთარგმნელი) კავკასიის არმიაში რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1877 წ.)— 162, 163.

არწრუნი, გრიგოლ (1845-1892) — სომეხი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი, გაზეთ „მშაკის" დამაარსებელი და რედაქტორი. — 318, 319, 326, 344, 450, 457, 465, 620-622.

არწრუნი, იერემია — თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი გასული საუკუნის 70-იან წლებში. — 318.

ასათიანი, ლ. ნ. — ქუთაისის ბანკის სამეთვალყურეო კომიტეტის თავმჯდომარე 70-იან წლებში. — 587, 596, 597.

ბ

ბაზინსკი. — პოლკოვნიკი. — 256.

ბაირონი, ჯორჯ ნოელ გორდონ (1788-1824) — დიდი ინგლისელი პოეტი, რევოლუციური რომანტიზმის წარმომადგენელი. — 52, 61.

ბარათაშვილი, ნიკოლოზ მელიტონის ძე (1818-1845) — დიდი ქართველი პოეტი, რომანტიკოსი. — 51.

ბარიატინსკი, ალექსანდრე ივანეს-ძე (1814-1874) — გენერალ-ფელდმარშალი, მეფისნაცვალი კავკასიაში. — 175.

ბასტია, ფრედერიკ (1801-1850)—ფრანგი ვულგარული ეკონომისტი. — 85.

ბაქრაძე, დ. ნ. — ქუთაისის ბანკის სამეთვალყურეო კომიტეტის წევრი.— 596, 598.

ბებუთოვი, კონსტანტინე ალექსანდრეს ძე — გაზეთ „ტიფლისსკი ვესტნიკის" რედაქტორი. — 450, 463, 497, 499, 528, 530, 531, 557, 615, 616.

ბეთანელი. — 373.

ბეზობრაზოვი. — რუსი სენატორი. — 478.

ბეისტი, ფრიდრიხ-ფერდინანდ (1809-1886) — საქსონიის სამეფოსა და ავსტრიის იმპერიის რეაქციონერი სახელმწიფო მოღვაწე, გრაფი.—474.

ბელინსკი, ბესარიონ გრიგორის ძე (1811-1848) — დიდი რუსი კრიტიკოსი და რევოლუციონერი-დემოკრატი. — 122, 288, 289, 290.

ბიკონსფილდი, ბენჯამინ დიზრაელი (1804-1881) — ინგლისის რეაქციული სახელმწიფო მოღვაწე და მწერალი, კონსერვატორების ლიდერი; პრემიერ-მინისტრი 1868 და 1874-80 წლებში; ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად თვლიდა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას, ეწეოდა დაპყრობით პოლიტიკას. — 345, 347, 349, 350, 403, 468.

ბისმარკი, ოტო ფონ შენჰაუზენ (1815-1898) — პრუსიისა და გერმანიის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, იუნკრულ-ბურჟუაზიული გერმანიის იმპერიის დამაარსებელი. — 494.

ბლავატსკაია. — მწერალი ქალი. — 372, 373, 374, 401, 562, 577, 583.

ბლანკი, ლუი ოგიუსტ (1805-1881) — ფრანგი რევოლუციონერი, უტოპისტი, 1830 წლის ივლისის და 1840 წლის თებერვლის რევოლუციების აქტიური მონაწილე. 1871 წ. ბლანკი ციხეში იმყოფებოდა და დაუსწრებლად იქნა არჩეული პარიზის კომუნის წევრად. — 85.

ბობოხოვი. — ინტენდანტი. — 248.
ბოკლი, გენრი ტომას (1821-1862) — ინგლისელი ლიბერალურ-ბურჟუაზიული ისტორიკოსი და სოციოლოგ-პოზიტივისტი, ავტორი „ინგლისის ცივილიზაციის ისტორიის“.— 61.
ბორკი, — გასული საუკუნის 70-იანი წლების სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, პარლამენტის წევრი. — 441.
ბორნე, ანრი (დაიბ. 1825 წ.) — ფრანგი პოეტი და კომედიოგრაფი. — 44, 61, 441.
ბულგარინი, თეოდორე ბენედიქტეს ძე (1789-1859) — ჟურნალისტი და ბელეტრისტი, 1825 წლამდე ლიბერალური განწყობილების მქონე, შემდეგ კი III განყოფილების მსახური, აქვეყნებდა დამაბეზღებელ და ცილისმწამებლური შინაარსის წერილებს. — 13.
ბულმერინგი, — ინჟინერ-პოლკოვნიკი, რუსეთ-თურქეთის 1877-78 წ.წ. ომის მონაწილე. — 107, 114, 119, 182, 208.
ბურცევი, — გასული საუკუნის 30-იანი წლების რუსი გენერალი.—514.

გ

გავდასა, ბოგუმილ — ჩეხი ჟურნალისტი. — 92.
გაიდებუროვი, პაველ ალექსანდრეს ძე — რუსი ჟურნალისტი და გამომცემელი. — 290.
გაკკი-ფაშა. —თურქი გენერალი.—514.
გამბეტა, ლეონ მიშელ (1838-1882) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ბურჟუაზიულ-რესპუბლიკელთა ერთ-ერთი ლიდერი. — 282.
გარგანო. — იტალიელი მომღერალი ქალი გასული საუკუნის 70-იან წლებში. — 445.
გარიბალდი, ჯუზეპე (1807-1882) — იტალიის სახალხო გმირი, დემოკრატი, მხედართმთავარი; დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა ქართველ მოღვაწეთა შორის. — 44, 283.
გარტინგტონი. — ლორდი. — 402,403.
გერცენი, ალექსანდრე ივანეს ძე (1812-1870) — დიდი რუსი რევოლუციონერი-დემოკრატი, მწერალი და პუბლიცისტი. — 61, 289.
გლადსტონი, უილიამ ჯარტი (1809-1898 წ.წ.) — ინგლისელი რეაქციონერი სახელმწიფო მოღვაწე, ლიბერალური პარტიის ლიდერი; ინგლისის პრემიერ-მინისტრი 1864-74, 1880-85, 1886 და 1892-94 წლებში. — 65.
გოგოლი, ნიკოლოზ ვასილის ძე (1809-1852) — დიდი რუსი მწერალი, „ნატურალური სკოლის“ მეთაური. — 70, 288.
გოეთე, იოჰან ვოლფგანგ (1749-1832) — დიდი გერმანელი მწერალი და მოაზროვნე. — 69, 285.
გოპპე, გერმანე დიმიტრის ძე (1836-1885) — რუსი მოღვაწე, წარმოშობით გერმანელი, დააარსა ჟურნალები: „მოდი ი ნოეოსტი“, „მოდნი მაგაზინ“ და სხვ. 1867 წლიდან სცემდა „ვსეობშჩი კალენდარ“-ს. — 323.
გრაბე, მ. პ. — გრაფი, გენერალ-მაიორი. — 200, 212, 217, 219, 235, 239, 255, 256, 262, 461.
გრადოვსკი, გრიგოლ კონსტანტინეს ძე (დაიბ. 1842 წ.) — რუსი პუბლიცისტი, გაზეთ „გოლოსის“ კორესპონდენტი რუსეთ-თურქეთის 1877-78 წ.წ. ომის დროს. — 171, 193, 264, 467, 469.
გუბსკი, ფ. ა. — გენერალ-მაიორი, რუსეთ-თურქეთის 1877-78 წ.წ. ომის მონაწილე. — 133, 259, 260, 460.
გურჩინი. — გენერალ-მაიორი. — 200, 237.

დ

დანიელ-ბეკი. —ლეკი სულთანი.—174.

დანილოვი, — რუსი სტუდენტი. — 34, 478.

დანტე ალიგიერი (1265-1321) — დიდი იტალიელი პოეტი. — 155.

დეველი, თეოდორე დანიელის ძე (1818-1887) — რუსი გენერალ-ლეიტენანტი, ერთ-ერთი დივიზიის მეთაური 1877-78 წ.წ. რუსეთ-თურქეთის ომში. — 98, 100, 105, 106, 108, 111, 173, 174, 175, 193, 200, 244.

დე-კურსი. —ფრანგი არტილერიის გენერალი. — 259.

დენიბეკოვი. — გენერალ-მაიორი. — 195.

დერბი, ედუარდ, ლორდ სტენლი (1799-1869) — ინგლისელი რეაქციონერი პოლიტიკური მოღვაწე, კონსერვატორთა ლიდერი, პრემიერ-მინისტრი 1852, 1858-59 და 1866-68 წ.წ. — 68, 345, 347, 349, 402, 403, 406.

დიბიჩი, ივანე ივანეს ძე (1785-1831)— რუსი გენერალ-ფელდმარშალი, პირველი სამამულო ომის მონაწილე, რუსეთის არმიის. მთავარსარდალი რუსეთ-თურქეთის ომში 1829 წელს. პოლონეთის აჯანყების დროს (1831 წ.) დანიშნული იყო მეფის ჯარების მთავარსარდლად, რათა ჩაეხშო აჯანყება. — 523, 524.

დიდრო, დენი (1773-1784) — გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსი-მატერიალისტი, მწერალი. — 441.

დიზრაელი. — იხ. ბიკონსფილდი.

დობროლიუბოვი, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1836-1861). — დიდი რუსი რევოლუციონერი-დემოკრატი, გამოჩენილი კრიტიკოსი და ფილოსოფოს-მატერიალისტი. — 61, 274, 292, 306, 307, 453.

დობროსლავინი, ალექსი პეტრეს ძე (1842-1889) — რუსი ექიმი-ჰიგიენისტი, ექსპერიმენტალური და სამხედრო ჰიგიენის მეცნიერების ფუძემდებელთაგანი. — 367.

დოლუხანოვი, მ. ი. — თბილისის ქალაქის საბჭოს გამგეობის წევრი 70-იან წლებში. — 318, 325.

დოსტოევსკი, თეოდორე მიხეილის ძე (1821-1881) — გამოჩენილი რუსი მწერალი. — 289.

დუხოვსკი (დუხოვსკოი) სერგი მიხეილის ძე (დაბ. 1838 წ.) — გენერალ-ლეიტენანტი, ცნობილი რუსი სამხედრო მოღვაწე. 1877-78 წ.წ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს შტაბის უფროსი ლორის-მელიქოვის კორპუსში. — 100, 105, 152, 200.

ე

ევანგულოვი, გ. გ. — თბილისის ქალაქის საბჭოს წევრი 70-იან წლებში. — 319, 323, 325.

ელიმირზოვი, ლ. კ. — თბილისის ქალაქისთავის მოვალეობის შემსრულებელი 70-იან წლებში. — 318—323.

ეკატერინე II (1729-1796) — რუსეთის იმპერატორი ქალი 1762-1796 წლებში. — 64, 296, 482.

ელიზაბედ პეტრეს ასული (1709-1761) — რუსეთის იმპერატორი ქალი 1741-61 წ.წ., პეტრე I-ის ქალიშვილი. — 482.

ერისთავი. — პოლკოვნიკი. — 106.

ერისთავი, ა. მ. — მაიორი. — 212.

ვ

ვაგნერი. — 373.

ვაშინგტონი, ჯორჯ (1732-1799) — ამერიკელი დიდი სახელმწიფო მოღვაწე, აშშ-ის პირველი პრეზიდენტი (1789-1797). — 44.

ვილჰელმ, ფრიდრიხ-ლიუდვიდ (1797-1888) — გერმანიის იმპერატორი და პრუსიის მეფე. — 394.

ვინეკენი. — მდიდარი ვაჭარი. — 573. 600.

ვინიონი, კლოდ. — ჟურნალისტი. — 316.

ვიქტორია, —ინგლისის დედოფალი.— 342.

ვოლტერი, ფრანსუა მარი (1694-1778) — გამოჩენილი ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი, განმანათლებელი. — 61, 441, 442.

ვოედანინი. — პოლკოვნიკი, სევასტოპოლის პოლკის მეთაური. — 216.

ვორონოვი, ნ. — გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორი. — 497.

ვორონცოვ-დაშკოვი, — გრაფი, გენერალ-ადიუტანტი, გვარდიის განსაკუთრებული კორპუსის შტაბის უფროსი რუსეთ-თურქეთის ომის დროს. — 190.

ზ

ზავრიევი. — ტოპოგრაფი. — 250.

ზასულიჩი, ვერა ივანეს ასული (1851-1919) — ცნობილი ხალხოსანი, შემდეგში სოციალ-დემოკრატი. — 502, 503, 504.

ზედერგოლმანი. — გრენადერთა არტილერიის ბრიგადის მეორე ბატარეის მეთაური 1877-78 წ.წ. რუსეთ-თურქეთის ომში. — 186.

ზეზემანი. — გენერალ-მაიორი. —200, 208.

ზუბალოვი, ა. ი. — თბილისის საბჭოს წევრი 70-იან წლებში. — 325.

ზუბალოვი, ნ. დ. — ცნობილი თბილისელი მრეწველი. — 325.

თ

თამამშევი, — თბილისელი სომეხი კაპიტალისტი. — 559.

თევფიკ-ფაშა. — თურქი გენერალი. — 336.

თუმანოვი, პ. ა. — თავადი, ქუთაისის ბანკის დამფუძნებელთაგანი. — 594.

ი

იგნატიევი, ნიკოლოზ პავლეს ძე (1832-1908) — გრაფი, რუსი დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე, რუსეთის ელჩი თურქეთში, 1881 წლის მაისიდან შინაგან საქმეთა მინისტრი. — 63, 439.

ივანოვი, მ. ნ. — შტაბსკაპიტანი.—212.

იზმაილოვი, პ. ა. — ჟურნალისტი, თბილისის ქალაქის საბჭოს მდივანი (70-იან წლებში). — 319, 321.

იზმაილ-ფაშა. — არზრუმის ვალი. — 198, 263.

იოანისიანი, — თბილისური სომხური გაზეთის „პორძა“-ს რედაქტორი 70-იან წ.წ. — 319, 326.

ისმაილ-ფაშა. — ვანის ვალი. — 196, 197.

კალიეტე, — მეცნიერი ქიმიკოსი. — 337.

კარელ, ნიკოლოზ-არმან (1800-1836)— ცნობილი ფრანგი პუბლიცისტი. — 61.

კარნარვონ, გენრი-გოვარდ (1831-1890) — ლორდი, ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე. — 402, 404.

კასანიაკი, — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ბონაპარტისტი. — 445.

კატკოვი, მიხეილ ნიკიფორეს ძე (1818-1887) — რუსი რეაქციონერი ჟურნალისტი. — 13, 373, 454, 500, 501.

კაუფმანი. — პოლკოვნიკი. 202.

კაფტარ-ბეგი. — თურქი სამხედრო პირი, წარმოშობით ჩერქეზი. — 160.

კერესელიძე, ივანე ივანეს ძე (1829-1892) — პოეტი, ჟურნალისტი, ჟურნალ „ცისკრის" რედაქტორი (1857-1875). — 441.

კერნერ, კარლ-თეოდორ. — გერმანელი პოეტი და პატრიოტი. — 285.

კიოსა-მუჰამედი. — 513, 514.

კლიმენტიევი, — ტოპოგრაფი. — 250.

კლუშინი, პავლე ნიკოლოზის ძე (1810-1886) — რუსი სენატორი და სახელმწიფო საბჭოს წევრი. — 14, 15, 16, 17.

კობალაძე, — პორუჩიკი. — 203.

კობიევი. — გენერალ-მაიორი. — 125.

კოგალ-ნიჩანუ, — რუმინელი პოლიტიკური მოღვაწე, მინისტრი (70-იან წლებში). — 336.

კოგალჩიკოვი, — ხარკოველი ექიმი. — 478.

კოკორევი, ვასილ ალექსანდრეს ძე (1817-1899) — რუსი კაპიტალისტი, კომისიონერი და კონცესიონერი, თანამშრომლობდა პრესაშიც („რუსსკი ვესტნიკ", „რუსსკი არხივ"). — 61.

კომაროვი, დ. ვ. (ზივინსკი) — ქობულეთის რაზმის მეთაური რუსეთ-თურქეთის ომში 1877-78 წ.წ.—224, 225, 235, 356, 375, 376, 377.

კომაროვი, კ. ვ. — პოლკოვნიკი, კავკასიის არმიის გენერალური შტაბის წევრი 1877-78 წ.წ. რუსეთ-თურქეთის ომში. — 121, 186, 201, 377.

კორტესი, ფერნანდო (1485-1547) — ესპანელი კონკისტადორი, მექსიკის დამპყრობი (1519-21 წ.წ.). — 306.

კრაევსკი, ანდრია ალექსანდრეს ძე (1810-1889) — რუსი ჟურნალისტი და გამომცემელი. — 91, 288, 289.

კრილოვი, ვიქტორ ალექსანდრეს ძე— ცნობილი რუსი დრამატურგი. —405.

კრილოვი, ივანე ანდრიას ძე (1768-1844) — გამოჩენილი რუსი პოეტი, მოიგავარაკე. — 285.

კრონებერგი, ანდრია ივანეს ძე. — ნიჭიერი რუსი მთარგმნელი. — 289.

კრუპი—მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ფოლადჩამომსხმელი ფირმის მეპატრონე. ფირმა დაარსა ფრიდრიხ კრუპმა 1810 წ. ხოლო მისმა შვილმა ალფრედმა იგი უზარმაზარ საწარმოდ გადააქცია. — 345.

კუვშინსკი. — თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი. — 425, 454.

კუზმინსკი, — გენერალ-ლეიტენანტი,— ფეხოსანთა ბრიგადის მეთაური რუსეთ-თურქეთის ომში 1877-78 წ.წ.— 255, 256, 260.

კუტული (ბარონი) — პარიზის გაზეთ „ლე ტემპს"-ის კორესპონდენტი რუსეთ-თურქეთის ომში 1877-78 წ.წ.— 170, 177, 179, 182.

ლ

ლაზარევი. — გენერალ-ლეიტენანტი.— 200, 218, 248, 249, 252, 254, 256, 260.

ლაპომრე, — ფრანგი მეცნიერი. — 34, 478.

ლასალი, ფერდინანდ (1825-1864) — ცნობილი გერმანელი წვრილბურჟუაზიული სოციალისტი, — 44, 61.

ლებედევი, პ. მ. — ერთ-ერთი დრამატული წრის მამასახლისი ქ. თბილისში 1875-78 წ.წ. — 405.

ლეიარდი — ინგლისის ელჩი კონსტანტინეპოლში 70-იან წლებში. — 336.

ლეონტიევი, პავლე მიხეილის ძე (1822-1874) — ცნობილი რუსი ფილოლოგი და პედაგოგი. — 181.

ლერმონტოვი, მიხეილ იურის ძე (1814-1841) — დიდი რუსი პოეტი. — 52, 292.

ლერუ, პიერ (1797-1871) — ფრანგი მწერალი. — 288.

ლესინგი, გოტპოლდ ეფრაიმ (1729-1781) — დიდი გერმანელი მწერალი და კრიტიკოსი. — 285, 441.

ლეუტისი, — რუსი სამხედრო პირი.— 174.

ლიხოვსკი, ა. მ. — ბაქოს საოლქო მოსამართლე 70-იან წლებში. — 329, 330.

ლოიდ, გენრი (1729-1783) — ინგლისელი სამხედრო მწერალი. — 95.

ლოლუა, ლ. ტ. — ქუთაისის ბანკის სამეთვალყურეო კომიტეტის წევრი.— 586, 594, 595, 596.

ლორთქიფანიძე, ანტონ —ქუთაისის ქალაქის მმართველობის წევრი.—593.

ლორთქიფანიძე, დ. ა. — ქუთაისის ბანკის დამფუძნებელთაგანი. — 595.

ლორთქიფანიძე, ირაკლი — თავადი, ქუთაისის ბანკის დამფუძნებელთაგანი. — 587, 588, 591, 592, 593.

ლორთქიფანიძე, კირილე. — ცნობილი ქართველი ჟურნალისტი. — 564.

ლორის-მელიქოვი, მიხეილ ტარიელის ძე (1825-1888) — გრაფი, გენერალი, მეფის რუსეთის სახელმწიფო მოხელე. — 98, 100, 105, 106, 110, 112, 114, 119, 120, 121, 133, 137, 146, 147, 149, 150, 152, 165, 172, 193, 195, 217, 219, 223, 229, 242, 244, 245, 246, 248, 252, 254, 256, 257, 260, 262, 423.

ლორის-მელიქოვი (უმცრ.) — კავალერისტი, 1877-78 წ.წ. რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე. — 254, 260, 261.

მ

მაკ-მაგონი (1808-1893) — ფრანგი რეაქციონერი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, საფრანგეთის პრეზიდენტი 1873-1879 წლებში.—344.

მალინინი, ი. ი. — ექიმი. — 101, 110.

მარლინსკი, — ცნობილი რუსი მწერალი, — დეკაბრისტ ა. ა. ბესტუჟევის (1797-1837) ფსევდონიმი. — 60.

მატინოვი, ა. ს. — თბილისის საბჭოს გამგეობის წევრი. — 318.

მაჩინსკი.—ბაქოელი სასამართლოს ბოქაული. — 329.

მაჭახელაძე — ჟურნალისტ ალ. ჭყონიას (1855-1907 წ.) ფსევდონიმი. — 43, 47, 49, 50.

მაჰმუდ II — თურქეთის სულთანი 1808-1839 წ.წ. — 470, 524.

მელიქიშვილი, პ. გ. (1850-1927) — გამოჩენილი ქართველი ქიმიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი. — 406.

მელიქიშვილი, სტეფანე (1841-1886) — გაზეთ „დროების“ გამომცემელი. — 565.

მენეინსკი — ბაქოელი სასამართლოს პრისტავი. — 329.

მესხი, ივანე სიმონის ძე (1849-1932)— ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. — 549.

მესხი, სერგი სიმონის ძე (1844--1883)— ცნობილი ქართველი ჟურნალისტი. გაზეთ „დროების“ რედაქტორი. — 457, 458, 460, 466, 530, 565, 577, 589, 590, 599—603.

მეტერნიხი, კლემენტ-ვენცელ, — ავსტრიელი დიპლომატი და მინისტრი. — 14, 283, 284.

მეშჩერსკი, ვლადიმერ პეტრეს ძე. — რუსი პუბლიცისტი და ბელეტრისტი, გაზეთ „გრაჟდანინის“ დამაარსებელი. — 467.

მეჰრალი, — თურქი ყაჩაღი, რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე 1877-78 წ.წ. — 148, 161, 165, 166.

მითხად-ფაშა. — 132.

მილერი, ორესტ თეოდორეს ძე (1833-1889) — ცნობილი რუსი ლიტერატურის ისტორიკოსი. — 344.

მილიუტინი, დიმიტრი ალექსის ძე. (1816-1912) — გენერალ-ფელდმარშალი, გრაფი, სამხედრო ინჟინერი (1861-81 წ.წ.); სამხედრო ბურეუაზიული რეფორმის ორგანიზატორი 60-70-იან წლებში. — 314.

მინაევი, დიმიტრი დიმიტრის ძე (1835-1889) — ცნობილი რუსი პოეტი და მთარგმნელი. — 292.

მიხაილოვი, მიხეილ ლარიონის ძე (1829-1861), — რუსი პოეტი და პუბლიცისტი, რევოლუციონერ-დემოკრატი, ნ. გ. ჩერნიშევსკისა და ნ. ა. დობროლუბოვის თანამოაზრე. 499.

მოლიერი, ჟან ბატისტ (1622-1673)— დიდი ფრანგი კომედიოგრაფი—316.

მოლტკე, ხელმუტ-კარლ - ბერნარდ (1800-1891) — გრაფი, პრუსიის ფელდმარშალი და რეაქციონერი, სამხედრო მწერალი, პრუსიული იუნკრობის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი. — 185, 524.

მონიე, ანრი. — ფრანგი მწერალი. — 289.

მურავიოვი, ნ. ი. — რუსი სამხედრო პირი. — 159.

მუსა-ფაშა — **კუნდუხოვი** — თურქეთის ერთ-ერთი ფაშა, რუსეთ-თურქეთის 1877-78 წ.წ. ომის მონაწილე.— 165, 166.

მუხთარ-ფაშა, — თურქი გენერალი, თურქეთის ჯარების მთავარსარდალი რუსეთ-თურქეთის ომში 1877-78 წ.წ. —162, 180, 194, 195, 196, 197, 199, 214 — 217, 219, 232, 241 — 243, 254, 506, 520 — 522.

ნ

ნაპოლეონ I (1769-1821) — დიდი ფრანგი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე, იმპერატორი. — 14, 142, 285, 299, 510, 518.

ნაპოლეონ III (ლუი ნაპოლეონ ბონაპარტი, 1808-1873) — საფრანგეთის იმპერატორი 1852-70 წლებში. — 67, 474, 494, 532.

ნეკრასოვა კ. ს. — 500.

ნეკრასოვი, ნიკოლოზ ალექსის ძე (1821-1878) დიდი რუსი პოეტი და ჟურნალისტი. — 287—294, 343, 580.

ნეპორკინი. — ტოპოგრაფი. — 250.

ნიკოლაი, ალექსანდრე პავლეს პე (ბარონ ნიკოლაი, 1821-1899) — მეფის მოხელე, 1852-1859 წ.წ. ასრულებდა კავკასიის ოლქის მზრუნველის თანამდებობას, 1863-74 წ.წ. იყო კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამართველოს უფროსი, 1881-82 წ.წ. განათლების მინისტრი; ცოლად

ჰყავდა ალ. ჭავჭავაძის ქალიშვილი— სოფიო. საყურადღებოა მისი მოგონებები საგლეხო რეფორმის შესახებ. დაბეჭდილი 1892 წ. „რუსსკი არხივში“ (№ 5, 6, 8). — 487.

ნიკოლოზ I (1796-1855) — რუსეთის იმპერატორი. — 75, 296.

ნობელი, ლიუდვიგ ემანუილის ძე (1831-1888) — განთქმული სავთის მრეწველი. — 555.

ნოვოსელსკი, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1823-1901) — „ზღვაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოების“ დამაარსებელი, კავკასიის წიაღისეული სიმდიდრით დაინტერესებული საქმოსანი, ოდესის ქალაქისთავი. — —529, 577, 581, 582.

ნოვიცკი. — ქუთაისის პოლიციის ექიმი. — 408.

ნორტკოტ, სტაფორდი — ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე. — 403,

ო

ობრუჩევი, ნ. ნ. — გენერალ-ლეიტენანტი. — 213, 214, 216, 221—223, 245, 246, 254.

ოდოევსკი, ვლადიმერ თეოდორეს-ძე (1803-1869) — რუსი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. — 289.

ომერ-ფაშა. — თურქი გენერალი. — 262.

ორბელიანი, ნ. ვ. — თავადი, ახალგაზრდა ნაფიცი მსაჯული 70-იან წლებში. — 351.

ოპოჩინინი, ა. — რეჟისორი. — 405.

ოსმან-ფაშა. — 514.

ოფენბახი, იაკობ (1819-1880) — ცნობილი კომპოზიტორი, წარმოშობით ებრაელი, ცხოვრობდა ჯერ გერმანიაში, შემდეგ საფრანგეთში. — 426.

პ

პავლე I (1754-1801) — რუსეთის იმპერატორი, მოკლულ იქნა შეთქმულთა მიერ. — 482.

პავლოვი, — გენერალ-მაიორი. — 230, 238.

პალიბინი. — ინჟინერი. — 545.

პალმერსტონი, ჰენრი ჯონ ტემპლ (1784-1865 წ.წ.) — ინგლისის რეაქციული სახელმწიფო მოღვაწე; 1853-56 წ.წ. ყირიმის ომის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი. — 473.

პანაევი, ივანე ივანეს ძე (1812-1862)— ცნობილი რუსი ჟურნალისტი და ბელეტრისტი, ნეკრასოვთან ერთად ხელმძღვანელობდა ჟურნალ „სოვრემენნიკის“ გამოცემას.—288, 289.

პასკევიჩი, ივანე თეოდორეს ძე (1782-1856 წ.წ.) — გამოჩენილი მხედართმთავარი, კავკასიის მთავარმართებელი.—123, 145, 159, 178, 512—518.

პეროვსკი. — მომღერალი. — 445.

პეტერსი, — პოლკოვნიკი, დიდი მთავრის მიხეილის ადიუტანტი რუსეთ-თურქეთის ომში 1877-78 წ.წ. — 262.

პეტრე დიდი (1672-1725) — რუსეთის სახელგანთქმული მეფე და პირველი იმპერატორი. — 295, 482.

პეტრიევი, გ. ვ. (იგივე პეტრიაშვილი) — ნოვოროსისკის უნივერსიტეტის ქიმიის კათედრის ექსტრა-ორდინარული პროფესორი 70-იან წლებში. — 406.

პიი IX (1792-1878 წ.წ.) — რომის პაპი 1846-78 წ.წ. — 349.

პიკარი, ლუი-ჟოზეფ-ერნსტ (1821-1877) ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ტიერის კაბინეტის წევრი.—149.

პიკტე, — ქიმიკოსი. — 337.

პილერ-ფონ-პილხაუ, ფ. პ. — გენერალი. — 202, 203—209, 212, 223.
პიტი, ვილიამ (1759-1806) — ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე.—282.
პიტი, ვილიამ (1759-1806)—ინგლისელი
პლატონი (427-347 ჩ. წ. ა.) — ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსი. — 274.
პლეტნევი, პეტრე ალექსანდრეს ძე (1792-1862), — კრიტიკოსი და ჟურნალისტი. — 289.
პლიუშჩევსკი, — 460, 462.
პოგენპოლი, ნიკოლოზ პეტრეს ძე (1824-1894) — ჟურნალისტი. — 70.
პოლტორაცკი, ივ. — ი. ბავშვაეაძის მეგობარი, ჟურნალისტი. — 497, 498.
პოტენინი, ალექსი ანტიპოს ძე (1829-1908 წ.წ.) — რუსი დრამატურგი და ბელეტრისტი. — 68, 71, 74.
პოტეხინი ნ. ა. — გაზეთ „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტის" „კორესპონდენტი" რუსეთ-თურქეთის ომში 1877-78 წ.წ. — 171.
პროტოპოპოვი, — 502.
პრუდონი, პიერ-ჟოზეფ (1809-1865) — გამოჩენილი ფრანგი ეკონომისტი და უტოპისტ-სოციალისტი. — 85, 86.
პრუტკოვი, კოზმა. — 561, 617.
პურტალესი, — ფრანგი ჟურნალისტ — 47.
პუციკოვიჩი, ვიქტორ თეოფილეს ძე— რუსი მწერალი და ჟურნალისტი. — 467.
პუტიატინი. — თავადი, ერევნის პოლკის მეთაური 1877-78 წ.წ. რუსეთ-თურქეთის ომში. — 110.

ჟ

ჟემჩოვსკაია, ვ. — მწერალი ქალის ბლავატსკაიას და. — 401, 583.
ჟირარდენი, ემილ დე (1806-1881) — ფრანგი ბურჟუაზიული ჟურნალისტი და პოლიტიკური მოღვაწე. —61, 65, 92.
ჟომინი. — სამხედრო მწერალი. — 95.
ჟორჟ-ზანდი (ავრორა დიუდევანის ფსევდონიმი. 1804-1876). — გამოჩენილი ფრანგი მწერალი ქალი. — 288, 500.
ჟუკოვსკი, იული გალაქტიონის ძე (1822-1907) — ვულგარული ბურჟუაზიული ეკონომისტი და პუბლიცისტი, რომელიც მკაცრად გააკრიტიკა კ. მარქსმა და ვ. ლენინმა. — 577, 580.

რ

რემერტი. — ექიმი. — 351, 431, 433. 434, 462.
რიდზევსკი. —გენერალ-მაიორი.—200,
რილეევი, კონდრატი თევდორეს ძე (1795-1826) — გამოჩენილი რუსი პოეტი, დეკაბრისტული მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. — 52.
რიუსტოვი, ფრიდრიხ ვილჰელმ (1821-1873) — სამხედრო მწერალი, წარმოშობით გერმანელი; 1857 წლიდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა შვეიცარიაში. — 95, 179, 339, 340.
როზენტალი. — თბილისელი ვაჭარი. 599.
რომანოვი, მიხეილ ნიკოლოზის ძე (1832-1909) — მეფის რუსეთის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე. დიდი თავადი, კავკასიის მეფისნაცვალი (1863-1881). — 144, 190, 200. 226, 230, 238, 245, 253, 313, 365.
რომანოვიჩი. — ქართველ გრენადერთა პოლკის მეთაური რუსეთ-თურქეთის ომში. — 203.
როშფორი, ანრი (1830-1913), —

ფრანგი ბურჟუაზიული პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე, საბელი მოიხვეჭა რესპუბლიკელთა შორის ბონაპარტისტთა წინააღმდეგ ბრძოლით პრესის ფურცლებზე, რამაც დიდი ავტორიტეტი მოუპოვა მის ჟურნალს „ლა ლატერნ“-ს; 1870 წელს დააპატიმრეს, მაგრამ მეორე იმპერიის დაცემის შემდეგ (1870 წლის 4 სექტემბერს) გათავისუფლდა. პარიზის კომუნის დროს, 1871 წელს, თავს ესხმოდა ვერსალელ კონტრრევოლუციონერებს, მაგრამ არ იზიარებდა კომუნართა რევოლუციურ მოღვაწეობასაც. კომუნის დაცემის შემდეგ დააპატიმრეს და გადაასახლეს ახალ კალედონიაში; 1874 წელს გაიქცა გადასახლებიდან ინგლისში და პარიზში დაბრუნდა მხოლოდ 1880 წელს. უკანასკნელად მიეკედლა რეაქციონერთა და რესპუბლიკის მტერთა ბანაკს. — 149.

რუკო, იული — ფრანგული კომპანია — „სოსიეტე ენერალე“-ს ვექილი. — 321.

ს

ხაბინინი, ო. ნ. — მწიგნობარი, გამომცემელი. — 68, 71—74.

ხავფეტ-ფაშა. — თურქი სახელმწიფო მოღვაწე. — 131.

ხანდვიჩი, — ინგლისის ლორდთა პალატის წევრი 70-იან წლებში. — 403.

ხემიონოვი. პ. ფ. — პოლკოვნიკი. — 101.

ხენტ-ბევი, შარლ-ოგიუსტ (1840-1869) — ცნობილი ფრანგი კრიტიკოსი და პოეტი. — 61.

ხვიატოპოლკ-მირსკი, დიმიტრი ივანეს ძე (1825-1899) — ინფანტერიის გენერალი. — 231, 244.

ხერვანტესი (1547-1616) — დიდი ესპანელი მწერალი, ცნობილი რომანის „დონ-კიხოტის“ ავტორი.—557.

ხვინინი, — მოსკოველი განთქმული სიბარიტი. — 346.

ხიმბორსკი, ნ. ვ. (1849-1881) გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ კორესპონდენტი რუსეთ-თურქეთის ომში 1877-78 წ.წ., შემდეგში გაზეთ „ობზორის“ თანამშრომელი. — 171.

ხიმონიანცი. — სომეხი ჟურნალისტი. — 441.

ხინკლერი, ტ.—ინგლისის პარლამენტის წევრი 70-იან წლებში. — 467.

ხოლოვიოვი, — რუსი გენერალი, დაიღუპა რუსეთ-თურქეთის ომში 1878 წელს. — 218, 225, 239, 460.

ხტაროსელსკი, დიმიტრი სიმონის ძე (1832-1884 წ.წ.) — გენერალ-ლეიტენანტი, სენატორი და კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი (1878-1884); სათავეში ჩაუდგა გაზ. „ბაქოს უწყებანის“-გამოცემას. — 330, 331.

ხტეპნიცკი, იერონიმ ივანეს ძე (1832-1897) — ცნობილი რუსი მეცნიერი-გეოდეზისტი; 1867 წლიდან 1881 წლამდე მუშაობდა კავკასიის სამხედრო-ტოპოგრაფიული განყოფილების უფროსად. — 353.

ხტრეპეტოვა, პოლინა (პელაგია) ანტიფოს ასული (1850-1903) — გამოჩენილი რუსი მსახიობი ქალი. — 71.

ხუვორინი, ალექსი სერგის ძე (1834-1912) — რუსი ბურჟუაზიული ჟურნალისტი და გამომცემელი. — 292, 500.

ხუვოროვი, ალექსანდრე ვასილის ძე (1730-1800) — ცნობილი რუსი მხედართმთავარი, — 296.

ხულეიმან-ფაშა (1838-1883) — თურქი გენერალი. — 323.

ხუნდუკიანცი, — თბილისელი მოხელე, ქალაქის საბჭოს მრჩეველი. — — 319, 320.

ხურგუნოვი, — თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი 70-იან წლებში. — 322, 323.

ტ

ტერ-გუკასოვი, არზას არტემის ძე (1819-1881) — გენერალ-ლეიტენანტი, ერევნის რაზმის მეთაური რუსეთ-თურქეთის ომში 1877-78 წლებში. — 183, 193,

ტოლსტოი, ა. ვ. — რუსი გენერალი, დაიღუპა რუსეთ-თურქეთის ომში 1878 წელს. — 203, 209, 212, 460.

ტოტლებენი, ედუარდ ივანეს ძე (1818-1884) — გრაფი, ცნობილი რუსი სამხედრო ინჟინერი. — 185.

ტრეპოვი, — გენერალი, პეტერბურგის პოლიციის უფროსი, მოკლულ იქნა ვერა ზასულიჩის მიერ. — 502, 504.

ტურგენევი, ივანე სერგის ძე (1818-1883)—დიდი რუსი ბელეტრისტი.— — 289.

უ

უბიჩინი, ა. — 467.

უელსლეი, — გენერალი, ინგლისის ჯარების შტაბის უფროსი რუსეთ-თურქეთის ომში 1877-78 წ.წ.—472.

ფ

ფანჩულიძე, ა. ა. — კაპიტანი. — 212.

ფაუსეტი, გენრი (1833-1884) — ინგლისელი მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე. — 65.

ფალავა, მელქისედეკ, — თავადი, ვექილი, ქუთაისის ბანკის სამეთვალყურეო კომიტეტის წევრი. — 598.

ფერიკი — ყარსის მთავარი ფაშა რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1877-78 წ.წ.) — 162.

ფლეროვსკი, — რუსი პუბლიცისტის ვასილ ვასილის ძე ბერვის ფსევდონიმი. — 40.

ფრიდრიხ დიდი (ფრიდრიხ ვილჰელმ), იგივე ფრიდრიხ III (1831-1888) — პრუსიის მეფე და გერმანიის იმპერატორი, შვილი იმპერატორ ვილჰელმ I-ის, 1870-71 წ.წ. საფრანგეთ-პრუსიის ომში სარდლობდა მესამე არმიას. — 517.

ქ

ქიშმიშევი, ს. ო. — რუსეთის გენერალური შტაბის პოლკოვნიკი რუსეთ-თურქეთის ომის (1877-78 წ.წ.) დროს. — 148, 223, 227.

ღ

ღოღობერიძე, ბესარიონ ლევარსის ძე (1832-1879) — ცნობილი თერგდალეულთაგანი, პეტერბურგის სტუდენტთა 1861 წლის არეულობის მონაწილე, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე. — 477, 528—534, 536, 538, 548—550, 557 — 566, 568, 581, 593, 594, 607.

ღოღობერიძე, გიორგი. — 452, 572, 573, 588, 592.

ღოლობერიძე, ნიკო.—ცნობილი თერგდალეული, ჟურნალისტი. შემდეგში მრეწველი. — 564, 587.
ღოლობერიძე, ს. — 452, 572.

უ

უიფიანი, დიმიტრი ივანეს ძე (1814-1887) — გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და პუბლიცისტი. — 317, 318, 333.

შ

შაკი, — გენერალ-მაიორი, კავკასიის გრენადერთა დივიზიის მე-2 ბრიგადის მეთაური რუსეთ-თურქეთის 1877-78 წ.წ. ომში.—200, 224—226, 239, 256, 257.
შალიკოვი. — გენერალ-მაიორი. — 216.
შამილი.—დაღესტნელთა ცნობილი მეთაური. — 175.
შატილოვი. — გენერალ-მაიორი.—218.
შატილოვი. — ტოპოგრაფი. — 250.
შელკოვნიკოვი, ბორის მარტინის ძე (1837-1878) — გენერალი, 1877-78 წ.წ. თურქეთ-რუსეთის ომის მონაწილე. — 215, 218, 224, 246, 249, 250 — 254, 256, 460.
შენიე, ანდრე (1762-1794) — ფრანგი პოეტი და პუბლიცისტი. — 52.
შერემეტიევი, სერგეი ალექსანდრეს ძე (1836-1896) — გენერალ-ადიუტანტი; მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში (1877-78 წ.წ.) როგორც კავკასიის ნაკრებ ცხენოსანთა დივიზიის მეთაური. — 101, 102, 217, 219, 221, 239, 364, 461.
შექსპირი, უილიამ (1564-1616) — დიდი ინგლისელი პოეტი და დრამატურგი. — 417.
შვარცი, გ. — გენერალ-ლეიტენანტი. — 174.
შილერი, იოჰან ფრიდრიხ (1759-1805) — დიდი გერმანელი პოეტი. — 285.
შიშკოვი, ალექსანდრე სიმონის ძე (1754-1841) — რუსი მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე. — 59.
შმიტი, იულიან (1818-1886) — გერმანელი კრიტიკოსი და ლიტერატურის ისტორიკოსი. — 61.
შტეინი, ლორენც (1815-1890) — ცნობილი გერმანელი მოაზროვნე და მოღვაწე. — 285.
შუვალოვი, პავლე ანდრიას ძე — გრაფი, ინფანტერიის გენერალი, სახელმწიფო საბჭოს წევრი. — 403.
შულნეინგ, ე. მ. — სამხედრო ინჟინერი. — 133.
შულცე-დელიჩი, გერმან (1808-1883) — გერმანელი ეკონომისტი და პოლიტიკური მოღვაწე. — 61.
შულცი, მ. ხ. — გენერალ-ლეიტენანტი, რუსეთ-თურქეთის 1877-78 წ.წ ომის მონაწილე. — 153, 154, 156, 223.
შჩედრინი (სალტიკოვ-შჩედრინი) მიხეილ ევგრაფის ძე (1826-1889) — ცნობილი რუსი მწერალი. — 291, 343.
შჩერბატოვი, — გენერალ-ლეიტენანტი, ცხენოსანთა დივიზიის მეთაური რუსეთ-თურქეთის 1877-78 წ.წ. ომში. — 261, 263.

ჩ

ჩერნიაევი, მიხეილ გრიგორის ძე — ცნობილი გენერალი, მრავალ ბრძოლების მონაწილე, კონსერვატიული გაზეთის „რუსსკი მირის" გამომცემელი. — 523.
ჩერნიშევსკი, მიხეილ გაბრიელის ძე

(1828-1898) — დიდი რუსი კრიტიკოსი და რევოლუციონერ-დემოკრატი. — 290.
ჩოლოყაევი, ი. ზ.—თავადი, სამხედრო პირი, დაიღუპა რუსეთ-თურქეთის ომში 1878 წელს. — 376.
ჩხოტუა, დ. — თავადი, ჟურნალისტი. — 351, 477, 480, 481, 529, 530, 565.

ც

ციტოვიჩი, — რუსი გენერალი, რუსეთ-თურქეთის 1877-78 წ.წ. ომის მონაწილე. — 248. 260, 262.

ძ

ჭავჭავაძე, — თავადი, გენერალ-ლეიტენანტი, კავალერისტი, რუსეთ-თურქეთის 1877-78 წ.წ. ომის მონაწილე. — 162, 165, 166, 167, 255, 256, 260, 480.
ჭავჭავაძე, ილია გრიგოლის ძე (1837-1907), — დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. — 56, 59, 62, 460, 463, 464, 466, 480, 481, 530, 559, 560.

ჯ

ჯაიანი, ივ., — ქუთაისის ბანკის თანამშრომელი. — 593.
ჯაფარიძე, ბ. (1850-1877) — პუბლიცისტი, გაზეთ „დროების" თანამშრომელი. — 530.
ჯაყელი, ი. — ბაქოს ქალაქის თავის მოვალეობის აღმასრულებელი 1877 წელს. — 405, 409.

ხ

ხანჯიევი, ი. ნ. — თბილისის ქალაქის საბჭოს გამგეობის წევრი 70-იან წლებში. — 318, 319.
ხარაზოვი, — თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი 70-იან წლებში. 322, 323.
ხაჯი-ველი-აღა. — არდაგანის ახალი სანჯაკის მაზრის უფროსი. — 166.
ხოდზკო, ნ. ი. — კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო-ტოპოგრაფიული განყოფილების თანამშრომელი. — 353.

ჰ

ჰაინე, ჰენრიხ (1797-1856) — დიდი გერმანელი პოეტი და პუბლიცისტი. — 57, 61.
ჰეიმანი, ვასილი ალექსანდრეს ძე (1823-1878) გენერალ-ლეიტენანტი, რუსეთ-თურქეთის 1877-78 წ.წ. ომში მეთაურობდა რაზმს. რომელმაც დიპყრო არდაგანი. — 101, 102, 103, 105, 111, 114, 115, 152, 171, 172, 173, 193, 217, 224, 229, 244, 256, 258, 259, 260, 460.
ჰიუგო, ვიქტორ (1802-1885) — დიდი ფრანგი მწერალი. — 61. 431.

ᲗᲐᲠᲩᲔᲕᲘ

1877 �წელᲘ

1. ჩვენი წელი 9
2. საახალწლო გოდება 31
3. გაფრთხილება 38
4. ცოტა კიდევ! 43
5. სირაჯ-პოეტი 51
6. „ივერიის“ პირველი ნომერი 57
7. პოლიტიკური მდგომარეობა 63
8. საკვირაო 68
9. ომი თუ იქნა 75
10. კალმის კაპრიზები 82
11. საკვირაო 91
12. წერილები ბრძოლის ველიდან 94
13. ლაშქრობის დღიურები 169
14. წერილი გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორს 188
15. წერილები კვლავ ბრძოლის ველიდან 190
16. წერილი რედაქტორს 264

1878 ᩬᲔᲚᲘ

17. „ობზორის“ დანიშნულება 269
18. პირველად 280
19. ნ. ნეკრასოვი 287
20. ომი თუ მშვიდობა? 295
21. მოლაპარაკება 302
22. ახალი თაობა 304
23. სამხედრო საქმეების საჯაროდ გამოტანა 311
24. თბილისის საბჭოს ფიზიონომია 316
25. ადგილობრივი მიმოხილვა 329
26. ადგილობრივი მიმოხილვა 332
27. უცხოეთის ამბები 335
28. რიუსტოვის აზრი თანამედროვე ომზე 339
29. ინგლისის ორმაგი თამაში 341
30. პრესის მიმოხილვა 343
31. ინგლისის ჩარევა 347
32. ადგილობრივი მიმოხილვა 351
33. ერზრუმი 353
38. კავკასიის ასენიზაცია 367
34. ადგილობრივი მიმოხილვა 356
35. მოლაპარაკება ზავის შესახებ 358
36. ოფიციალური ცნობა ბროლის ველიდან 364
37. ადგილობრივი მიმოხილვა 365

39. საკვირაო საუბრები 372
40. პატარა გაუგებრობა 378
41. რედაქციისაგან 380
42. დაზავებასთან დაკავშირებით 381
43. ბათუმი, ფოთი, სოხუმი 384
44. ადგილობრივი მიმოხილვა 401
45. საზღვარგარეთის ახალი ამბები 402
46. ადგილობრივი მიმოხილვა 405
47. გაზეთებიდან 409
48. ლაშქრული ცხოვრების სურათი 413
49. ბ-ნი კუკშინსკი და სემინარიის წესრიგი 425
50. მოწინააღმდეგენი კონსტანტინოპოლში 428
51. საკვირაო საუბრები 431
52. კიდევ ადგილობრივი პრესის შესახებ 439
53. ადგილობრივი მიმოხილვა 445
54. ისევ ადგილობრივი პრესის შესახებ 447
55. ადგილობრივი პრესის თანამიმდევრობა და ჩვენები 452
56. საკვირაო საუბრები 460
57. ბიბლიოგრაფია 467
58. ინგლისის სამხედრო საშუალებები 471
59. რედაქციისაგან 476
60. საკვირაო საუბრები 477
61. კავკასიის უნივერსიტეტი 482
62. ქარიშხლის წინ 489
63. დაწყებული საკითხები 493
64. რედაქციისაგან 497
65. სადღეისო პირ-ვარამი 499
66. ქალბატონ ზასულიჩის გამართლება 502
67. ომის სისტემის შესახებ მცირე აზიაში 506
68. ჩემი „პირადი ანგარიშები" ბ. ღოღობერიძესთან 528
69. საზოგადოების სწავლული ექსპლოატატორები 536
70. შავი ზღვის კავკასიის სანაპირო 543
71. ქუთაისის ბანკის საქმეები 547
72. მწუხარე მრეწველობა 553
73. ბ-ნ ღოღობერიძის ხროვის პოლემიკური ხერხები 557
74. რედაქციისაგან 567
75. ქუთაისის საადგილმამულო ბანკის ანგარიში 568
76. საკვირაო საუბრები 577
77. ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დამაარსებელთა საერთო კრება 585
78. ადგილობრივი მიმოხილვა 599
79. საბოლოო სიტყვა 604
80. საზოგადოების ახალი ფენები 608
81. სენატის მიერ „ტიფლისსკი ვესტნიკის" რედაქტორის გამართლება 615
82. საკვირაო საუბრები 617
ბიბლიოგრაფიული შენიშვნები 625
კომენტარები 633
სახელთა საძიებელი 000